სანდრო პაპა



# საჯილდაო

თბილისი
2006 წ.



(მვ.წ.ა.2038წ)

თარგამ-(ოსის) სამეფო კარავი

თარგამ-(ოსი)
მოკვდავთა ფიქრი, ჟინი და ნება, დაუთმენლობა, ბრძოლა და გზნება
არი დიდი თუ არი პატარა, დაღვინებული, ანცი,თავნება
არი საღამო თუ არი დილა. არი მარტო თუ არიან წყვილად
აფასებს მვირად თუ ულირს ჩირად, არას დაეძებს თუ არი ფრთხილად
მთელი სიცოცხლე მოკვდავებისა, ჩემი თუ შენი, სხვისა და სხვისა
კიდეც დავმალოთ სახმილი წვისა, არი მიება უკვდავებისა.
ჩვენამდე რამდენს ეს სადარდელი გრძელი ჟამთასვლა უტარებია
რომელი იყო შეხვდა სიამით, სიკვდილის წამი როცა ხლებია.
ჩვენ მაშინ ვმაგრობთ როდესაც ვხვდებით, შორს არი ჩვენგან მსახვრელი ხელი
როცა არ ვიცით რა მოაქვს ხვალეს, რასა გვპირდება წუთისოფელი
და უფრო ხშირად ღვინოში ვახშ/რობთ, რათა არ დავრჩეთ ფიქრის ამარა
რომელი იყო, რას მიაღწია, ცხოვრება სიბრძნით ვინც მოიხმარა.
ნოემდე იქით ვინცა ყოფილა და მათი მირი ადამ და ევა
რომელი იყო არ გაჭყოლოდა სიცოცხლის ნატვრა და ნატვრის ჩვევა.
ვიტყვით რა დიდხანს ზოგი ცოცხლობდა, ზოგს გაუძლია რა დიდი ხანი
უკვდავებასთან მათი მანძილი მცირეა როგორც ზღვასთან ცის ნამი
და ჩვენი გონი უცებ ვერ ხვდება, ვინ რად იბრძოდა, ვინ რისთვის კვდება.
იტირე მერე, გინდ უგალობე, წარსული აღარ განმეორდება.
ჩვენი საწუთრო, მალზე ხანმოკლე, უკვდავებასთან შენაწონები
იმითი ფასობს რასაც დავთესავ, რითაც მომავალს მოვეგონები.
ის, რაც მე მახსოვს მამის და პაპის, შვილებს ჩაესმით როგორც ზღაპარი
ნოეს კიდობანს ბევრჯერ ვეძებდი და ახლაც ვფიქრობ, ნეტა სად არი.
მე თუ ვერ ვნახე, ჩვენთა მომავალთ, მის ხსენებაზე გაეცინებათ
იტყვიან კიდეც: ჩვენთა წინაპართ ჩვენი დაცვინვა ასე ენებათ,
თვით მამაჩემი, ჰაიოს გახსოვს, უფროსი შენხარ ჩემგან შვილებში
ვანის ნაპირთან დაგატარებდა და სანადიროდ დაჰყავდი მთებში.
მიდი და ჰკითხე შენ უფროს შვილებს, თარშისის თუ აქვთ ხსოვნა-პატივი
მინდობილი ვართ მომავლის რწმენას, როგორც ვანის ზღვას ნაფოტის ტივი.
ამიტომ, ვფიქრობ, სანამ მაქვს ძალი, სანამ ბნელს აპობს გონი და თვალი
გავიყოთ შვილებს ჩემი სამეფო, განვსაზღვრო წილი და სამართალი.

ჰა-(ოსი)
უფალო მამავ, შენ ღმერთებს ვფიცავ და შენ ნატერფალს დავეკონები
მიხმე, მომენდე. თუ აზრი გითხარ, თავხედი შვილი ნუ გეგონები.
შენ მრავალ ცოლებს და იმათ შვილებს, ვისაც სიცოცხლის ჩაუდგი სული
არ მიგვაჩნიხარ ჯერ ხანდაზმულად, არც ქონებაზე ვართ სულწასული.
ჩვენ გვინდა მუდმივ წინ მიგვიძღოდე, შენით შევიტყოთ ღმერთების ნება
შენ თუ წარსულზე აგეჭრა ფიქრი, მომავლის ხედვა რას ეგვანება.

თარგამ-(ოსი)
ჩემთა ცოლთაგან უფროსისაგან რვანი ხართ, რვავე ერთ-ურთზე კარგი
სამეფოს ბედი თქვენ უნდა მართოთ, თუ ვერ შეიძლებთ-გახდებით ბარგი.
სხვა ცოლთა შვილთა რად ენაღვლებით შეძლებენ? მონად გაგასხვისებენ
თქვენ ცოლებს, შვილებს მიითვისებენ, თქვენ სადარდებელს არ იდარდებენ.
არ მინდა ღმერთთა სურვილის შეშლა, რაც ნოეს ჩვენში დაუთესია
უფროსი ცოლის უფროსი ვაჟი ყველას პატრონობს, როგორც წესია.
შენ უნდა ძმებსაც მისცე გზა-კვალი, ავზე და კარგზე გეჭიროს თვალი
გვერდიდან მიტომ არ მოგიშორე, არ გაგიმრუდე გზა გასავალი
ღმერთების ნებით მომდგა სიბერე, მეყო რაც ვხანი და რაც ვიმღერე
ახლა შვილებმა მიხედეთ მამულს, შენ გაუძეხი და მიეფერე.

ჰა-(ოსი)
ის, რაც მამათ და პაპათ მოგვანდეს, რაც უფრო მძიმედ არ უნდა ჩანდეს
ჩვენ მაინც შევძლებთ წაღმა ვაბრუნოთ, რომ უკუღმართად არ გადაქანდეს.
მაგრამ შენ უნდა განსაზღვრო თავად, როგორ, რა გავჭრათ კარგად თუ ავად
ვის რა ეკუთვნის, რომელს რას უძღვნი, რომ არ ეგონოთ სხვის ნაპარავად.

თარგამ-(ოსი)
რვა ვაჟკაციდან, როდესაც შვიდი, სოფლის სხვადასხვა მხარეს გავუშვი
დავარიგე და ტკბილად დავმომღვრე, განა სიგიჟის ეშმა აუშვი
მათ მოვლეს სოფლის კიდითი-კიდე, დიდხანს უცხოთა ტომები თვალეს
უნდა ესწავლათ, ჩვენთვის გაეგოთ, ვინ რას გვიპირებს დღესვე თუ ხვალეს
შენ კი დაგტოვე როგორც უფროსი, რათა მემკვიდრე გვერდით მეყოლოდა
წასულს თუ რამე მოუვიდოდა ცოლ-შვილის ჯავრი არ გაუოლოდა.
ახლაც, უყურებ, შენთან ვთათბირობ, უნდა გავსაჯოთ სამეფოს ბედი
ჩემ შემდეგ შენ ხარ მამულში მეფე, ძმების პატრონი და შემოქმედი.
რასაც ჩვენ ვიტყვით და შევთანხმდებით, იმას მივუზღავთ თვითეულს მერე
არა ვყოფილვარ ფუჭად მოსაქმე, ენა ტარტალი და მოსიმღერე.

ჰა-(ოსი)
თუ ნებას მომცემ, სიტყვას შეგაწევ, აუგად ღმერთთან რად გავირჯები
მრუდედ ვინდომებ, ვის მოვატყუებ, ღმერთებს ვარისხებ და დავისჯები
ჩემი აზრია, ღმერთთა სადარო, ჩემ ძმებს სურვილი შენვე აუწყო
მოსაგებია,-შენ მიუზომო. წასაგებია?-ცალკე დაუწყო.
რომ არ იფიქრონ ძმამ გვიღალატა, მამას აუწყა აზრები მრუდე
ძმების მეფობას, ვისი სადა გსურს, სათავე შენი ნებით დაუდე.

თარგამ-(ოსი)
ნათქვამი მომწონს, არა ხარ ხარბი, ჩანს დაგშვენდება ძმებში მეფობა
და თუ ბოლომდე ასე დარჩები, გაგიმყარდებათ ერთ-ურთში ძმობა.
აქა ხართ ხვავე და გადავწყვიტოთ, ის რაც ღმერთების არი სურვილი
მისანმა ჩუმად რაც გამიმჟღავნა, რისი გაგების გტანჯავთ წყურვილი.

ქართ-(ოსი)
ჰაიო შენი უმცროსი არი, ჩვენ ჰა-ოსი ვართ უფრო უმცროსი
შენ ზევით მხოლოდ ღმერთები არი, შემოქმედია ვინც სამყაროსი.
ჩვენთვის შენა ხარ მამაც და ღმერთიც, შენი მონები შვილი თუ ცოლი
სადაც გაგვიშვებ და ბუნაგს მოგვცემ, იქვე იქნება ჩვენი საწოლი
მაგრამ გვირჩევნის, რომ ვიყოთ ერთად, შენ ნათქვამს მუდამ ერთად ვიგებდეთ
წასაგებია-წავაგოთ ერთად და მოსაგებსაც ერთად ვიგებდეთ.
შენი სამეფო ისე დიდია, ვერ გაგვიზომავს კიდიდან-კიდე
თუ გაგემნელა იმისი მოვლა. გამოგვიყენე და შეგვიხიდე.
მაგათ ნუ იზავ ძმებს დამაშორო სადღა მოვძებნო მაგათი სწორი
მაგრამ თუ მოვწყდი, ვინ გადაწონოს. ერთგულების და ძმობის სასწორი?
ჰაიკის აზრი მეც მომეწონა, როგორც უმცროსი დავეთანხმები
განსაჯე როგორც ღმერთებმა გითხრეს, მაგრამ უცილოდ დაგვტოვე ძმები.

თარგამ-(ოსი)
ვაი მას, ვისაც ახალგაზრდობა, უჭკო-უაზროდ გაულეწია
მტრისთვის რა უთქვამს თავმოსაწონი, ცხოვრება თვისი დაულეწია
როცა ბოგანო, ან მონადირე ფუჭი ტარტარით ფრთებს გამოისხავს
მატყუარობა დაფრთიანდება, ქაცვის ხესავით უხვად დაისხავს.
ამიტომ მინდა თქვენგან სიმართლე, ორივეს გეტყვით ჰაოს და ქართოს
უნდა ვიცოდე საით რა გავცე, ვისგან რას ველი, ვის რა ემართოს
ჩემ ასაკს შვენის გრძელი თათბირი, მეუოფა მალი და მოთმინება

სანამ ვიტყოდე ჩემ მეფურ სიტყვას და აღსრულდება ღმერთების ნება.

ეგრ-(ოსი)
მამავ უფალო, შენ ყოველ ნათქვამს, უმცროსნი შიშით და კრძალვით ვხვდებით
მოგვწონს შექება და მცირე წყრომაც გვაკრთობს, თუმც ზოგჯერ მიზეზს ვერ
ვხვდებით.
როდესაც ძმები დიდიხნის წინად უცხო მხარეში ლხენით გაუშვი
ჩვენ არ ვიცოდით რა მოგვეგონა, ვიფიქრეთ ქაჯთა თოკი აუშვი
ახლა კი ვხედავთ, ქვეყნის გულისთვის, რომ კვლავ ძლავრობდნენ ქალდეველები
უნდა ვიცოდეთ, უცხო მხარეში, როგორი არი მთა და ველები
და ახლა, ძმებმა იციან უკვე, სოფელი მოვლეს, ახლოდან ნახეს
ბევრი გვიამბეს, ბევრსაც გვეტყვიან, სათქმელი თუ რამ შემოინახეს.

თარგამ-(ოსი)
შენ ენა გისწრებს, მამის თვალის წინ დახტიხარ, როგორც უხედნი კვიცი
შენი საქმისთვის ვერ მოგივლია, სხვას რას ასწავლი, თავად რა იცი.
ისმინეთ ყველამ, მეც ხომ ვიყავი თქვენებრ ჯეელი, ჯანით მაგარი
თარშისი ერქვა უფალ მამაჩემს, მიწებიც ეპყრა თავზე საყარი,
რადგან ერთ ჟამად ასე ინებეს დიდი პერპერა ნოეს ვაჟებმა,
სამნი ყოფილან, სამად გაიყვეს ვრცელი სოფელი თანახმობით ძმებმა.
სემი, უმცროსი, ძმებში რჩეული, მზის აღმოსასვლელს დაეპატრონა
მასისის მთიდან სოფირის მთამდე ყველა ინდომა, რაც გაეგონა.
სემის მეებმა, ალიმ და ასურ, ლუდ და არფაქსად, კაინან, არამ,
თავის მხრივ გაჰყვეს მამის სამყოფი, არ მისცემიან კაეშან-ვარამს.
მათმა შვილებმა კუთვნილი წილი შვილთა თავისთა გაუნაწილეს
და მომავალში კიდევ რამდენჯერ კვლავ გაიყოფენ სხვათა საწილეს.
საშუალო ძმა ყოფილა ქამი. ქამმა სომხრითის მხარე ინება.
იდიგნა-ფურათ მოინადირა, არ დაუწყია ძმათა გინება
ქამის უფროს ვაჟს უწოდეს ხუს-ი. ხუს შვა თავის მხრივ გმირის ნებროთი
ვინც დასაბამი ბაბილინს მისცა და ქვეყანაზე ამრავლა შფოთი.
სენარის მხარეს, ნებროთის ნებით, იშვნენ ქალაქნი ორექ, აქადი
დიდი ხალანი, მრავალი მცირე, მომრავლდა როგორც რამე სახადი
ნოეს პირველ ძეს ერქვა იაფეთ და შვილმრავლობით დიდხანს ხარობდა
არიარატი მას ეკუთვნოდა, გარშემო მისი გვარი გვარობდა.
ღამერ და მაგოგ, მადაიმ ,ავან, ელიოს, მოსოქ, თირას, თობელი
ძენი მრავალი, ტომნი მრავალი, და უფრო მეტის კიდევ მშობელი
ღამერის ვაჟი იყო თარშისი, მრავალთა შორის ჩემი უფალი

მისგან სიცოცხლის სული ჩამედგა, მისგან შევიქმენ ხელის უფალი.
ჭაბუკი ვიყავ, მიბრძანა მამამ ბაბილის ქვეყნის მჰყრობელს ვხლებოდი
თუ ვისწავლიდი როგორ აგებენ გოდოლს, მერე ხომ არ შევცდებოდი?
როცა დაინგრა გოდოლი ბოლოს, როცა გაცხადდა-ეს ღვთის ნებაა
მე ავაშენე თუშჰა ქალაქი. ეს ჩემი ნიჭის გაბრწყინებაა.
ასეა მუდამ, თუ რამ არ იცი, ჯობს აზრი კითხო ძმას და მეზობელს
უნდა ისწავლო, რომ შენებისას სიმრუდით არა გააყოლო ხელს.
მას შემდეგ დიდი გავიდა ხანი, დრონმა შემჭამა, მომიკლა ჯანი
ღონე არ მომდევს, ვეღარას მშველის ენის ტარტალი და მიმოტანი.
ამიტომ იყო, ასე ვიფიქრე, დრონი მეფობენ, მას მონებს ყველა
მე თუ დავბერდი, შვილნი მძლავრობენ, ჩემი სამეფოს მათ მალუმთ შველა.

ქართ-(ოსი)
მამავ უფალო, ჩვენ ბევრი ვნახეთ, და ბევრსაც ვიტყვით, თუ დაგვრთავთ ნებას
მაგრამ როდესაც განვსჯით აწმყოზე და მოვინდომებთ წარსულის ხლებას
უნდა ვიცოდეთ, უჰირველესად გასული დრონის სადა მევს ძირი
არ აგვერიოს მტერი-მოყვარე, ქების სანაცვლოდ არა ვთქვა მვირი
მე დასავლეთში ვნახე ტომები, თვალუწვდენელი სოფლის მფლობელი,
იმათ მიამბეს, რომ მათზე იქით არი ქვეყანა, ყველას მშობელი
ვნახე მოსოხნი მრავლად არიან, ფურათუს წყალთან უდგათ აკვანი
ნებროთიანებს, მედგარ მებრძოლებს, ექიშჰებიან დიდია ხანი.
თობელებია იმათთან ახლო, ტიბარენებსაც ზოგჯერ ეტყვიან
იქით მუშქები, ჰალიმონები, მომძე ტომები სულ ყველას ქვიან
ყოფილან ჩვენგან განაყარები, ერთი გვქონია კერის კარები
ნებროთიანებს ტოლს არ უდებენ, ჰქონიათ ომი შესაზარები.

თარგამ-(ოსი)
შენ გამახსენე შორი წარსული, მოგონებების გახსენი წყლული
ათასი რამე, ათასი ვინმე, გაგონილი და თავს გადასული.
უკვე გითხარით, რომ ნოე იყო ჰირველი მეფე ჩვენი მხარისა
ჩვენი მიწების ჰირველ მფლობელი, ჰირველ დამკვრელი აქვე ბარისა
დასავლეთიდან მან მოიყვანა, მან დაასახლა ადამის მოდგმა
როცა იხილეს არი არატი, შეწუდა ქალების ვიში და მოთქმა.
ამ სილამაზეს, უკაცოდ შთენილს, ნოეს სახლობა დაეჰატრონა
რომელი არი განძს მიაკვლიოს და არ მოუნდეს იმისი ქონა?
ნოეს შვილებმა გაიდგეს ფესვი, ათასი ტომი იმათ მონებდა
ყველგან იმისი მოდგმა მეფობდა, სადაც ხმას ვინმე გაიგონებდა.

ამი, ქამი და იაფეთ ჰყავდა, ასე გითხარით მათი სახელი.
ამიგონია მამა ჩემისგან, თორე არა ვარ მათი მნახველი.
ოე ექვსას ერთს ჩაათავებდა არიარატი როცა იხილა
ას შემდეგ მისი შთამომავლობა მთიდან ოთხ მხარეს ხიდად გაშლილა
ვენ, იაფეთის ვართ მემკვიდრენი, მას შემდეგ მუდმივ ამ ზღვასთან ვსახლობთ,
ამის და სემის ნაშიერებთან მტერ-ვმოყვარეობთ, ვსიძობთ და ვმძახლობთ
ემი უფალი ღამერი იყო, იმას ემმოდნენ მოსოქ, თობელი
ათ დასავლეთი გაურისას ერგოთ, გახდნენ იმ მხარეს მანათობელი.
ენ ვინც გინახავს, ჩვენი გვარია და ვიცი მათი ბედი მწარია.
ბრმვის ნებროთის შთამომავალი, არც მათ ახარებს, არც უხარია.

ართ-(ოსი)
ქაც ის მითხრეს, რასაც უფალო, ჩვენ გასაგონად ბაგე ღაღადებს
მდენი ვინმე ჩამომითვალეს, მსგავსებს ამ დროში ვიღა დაბადებს
სიც ამიხსნეს, იბერთა მოდგმას, რატომ ეწოდა ჰელაზგიელი
ხღვის გადაღმიდან აქეთ ნაპირზე როგორ სდევნიდა სიკვდილის ხელი.
იქით ჰელაზგი, აქეთ რად ლაზგობს, როგორ დაერქვა ლაზი-იბერი
მველ ღმერთებიდან აქ ვინ გამოჰყვა, რომელს ეტყობა ქცევა სიბერის
ტომები ვნახე, რომელთა რიცხვით ფართე სოფელი გადაჰენტილა
და უფრო მეტის სურვილის მქონი სომხრეთს არბევენ თავაწყვეტილად.

თარგამ-(ოსი)
ორი ათასი წელი იქნება, ცოტა ნაკლები ან უფრო მეტი
რაც ქალდეველებს გვეკუთვნის ეს ზღვა, არარატია ჩვენი საჭვრეტი
ნოემ დაგვიდო ჩვენ მყარად ბინა, დასავლეთიდან ბევრი მოზიდა
იქით ვინც დარჩა და ახლაც სახლობს, მოძმე-მეგობრად ყველასა თვლიდა
გასაგებია, მათი ღმერთები იყვნენ ჩვენებიც, იმ დრონის კვალად
აქეთკენ სვლის დროს გზას გვიკვალავდნენ, მტრებთან აროდეს გვტოვებდნენ
ცალად
გეომ გვშობა და დაგვტოვა მალე, ღრუბლით აივსო ზეცა უღრანი,
ორმოცი ღამე აწვიმდა ნოეს, არ გამიგია სხვა წარღვნა მგვანი
არარატის მთა მოჩანდა მხოლოდ, მასისს წყლის ჭავლი ყელში წვდებოდა
რომ არა ნოეს სიბრძნით კაცობა, ცოცხალი ვერვინ გადარჩებოდა.
მან კიდობანი მთას მიაყენა, დადგა კარავი, გათბო კერა
აქ გაამრავლა შთამომავალი, აქვე ასწავლა შრომის სიმღერა.
დღეს ვიღას ახსოვს ის მძიმე განცდა, ჩვენთვის წარსული არი ზღაპარი
ასე გვგონია, ადამის მოდგმა, თუ მე ვერა ვცნობ, უცხო რამ არი.

არა და უნდა ვიცოდეთ რაც ვთქვი თუ სემს ეკუთვნის აღმოსავლეთი.
ქამმა სომხრეთი დაისაკუთრა და აფართოებს წვეთი და წვეთი.
დასავლეთისკენ რაც ტომებია აქედან ზღვამდე და იმას იქეთ
ვინც შენ ვერ ნახე, მაგრამ გიამბეს, რომლებიც ნახე და ახლა მიქე
ყველა ჩვენია იაფეთები, გამოსხმული გვაქვს არწივის ფრთები
თუ გააგრძელებ უსასრულოდ გზას, ყველგან ნათესავს შეეფეთები
ერთია მხოლოდ, იცვალნენ დრონი, ვინც გვმფარველობდნენ ურანი, კრონი
აღარ ამკობენ ჰერას სამკვიდროს და გვახსოვს როგორც გამონაგონი.
ჩვენ ახალ ღმერთებს ვეცით თაყვანი, აქ დავურწიეთ სიყრმის აკვანი
ზოგმა იმათაც ზურგი აქცია, ჩამოუქცია სამეფო ბანი.
სემის შვილების შვილთა შვილებმა, სოფირის იქით მხრებგაშლილებმა
ცეცხლის თაყვანი მოიწადინეს, პრომეთე დათმეს ჭკვაშეშლილებმა
იმის მოდგმიდან ვიცნობდი სალას, ვით მოუსვენარს, ჭკვიანს, პატარას
და-ძმებს შორისაც გამორჩეული, უსაგნოდ ღმერთსაც უზღავდა არას.
რათა არ ეცა სხვისთვის პატივი, ერთ ღმერთს ევედრა, შეუკრა პირი
იმას მისდევს და ეთაყვანება, ვერ უწილადა სხვას შესაწირი.
ქანაანამდე იარა ალბად, აღქმულ მიწაზე სურდა ცხოვრება
რაც უნდა იყოს აქაურია, აქ ყოფნა მუდამ ემახსოვრება.

ჰერ-(ოსი)
ქარდუხებიდან მოვხვდი ბაბილონს, ვნახე ქვეყანა და საოცრება
სასახლეები წალკოტში მდგარი, თავად წალკოტნი ხელუკარება
ბაბილინს იქით ქანაანია, უცხო ტომების მირმველი კერა
სემის მემკვიდრეთ უნდათ ხელთ იგდონ, იქით უპყრიათ სმენა და მზერა.
ქანაანს თურმე სამშობლოდ თვლიან მამის ჯიშია თუ ქამიტები
ქალდეველბის შთამომავლობას არ მიიღებენ კეთილი ნებით.

თარგამ-(ოსი)
ქამის შვილები სადა სახლობენ, სიტყვა რად მინდა, თავადაც ვიცი
სალის უნდოდა იქითკენ წასვლა, თქვა, მიწა მელის გულის საფიცი
დიდხანს ცხოვრობდა ჩვენ შორის იგი, სახნავ, სამოვრებს ტკბილად ვიყოფდით
იმის საქონელს ჩემს არ ვურევდი, ცხვრების ფარებსაც შორიდან ვცნობდით.
აქ შვა შვილები, გმირთა გმირები სამივ ძმა იყო გამრჯე, ბეჯითი
აქ იზრდებოდნენ, ერთ-ურთის შველოდნენ, მმიმეს უწევდნენ მხრით და ბეჭითი
სალის არ ეყო დღეთა სიმრავლე, ღმერთთან ამაღლდა, შვილნი დატოვა
ევერს დააწვა მთელი სიმძიმე, გატყდა, გათეთრდა, თითქო დათოვა.
ჩემზე უმცროსი ხომ იყო ევერ, მაგრამ ცხოვრებამ მეტად გატეხა

მშობლების ბედმა გაანადგურა, მისი სიკვდილი დაეცა მეხად.
ამიტომ იყო, ბოლოს აჩქარდა, სასწრაფოდ ყველა გზას გაუყენა
რამდენიც იყო, იყო კეთილად, არ დაგვჩნევია იმისგან წყენა.

ჰერ-(ოსი)
უფალო, უნდა გითხრო საწყენი, ერთ დროს მმა იყო ევერ საჩენი
მისი შვილები მეც კარგად ვიცი დიდი, პატარა, ასულნი, ძენი.
მათ არ დასცალდათ ქანაანს მისვლა, ბაღები სხვისგან ნახარებია
ევერ ურ-ამდე ძლივს მიაწია და შედგა, თუმც არ გახარებია.
მრავალი წელი ურ-ში ცხოვრობდა, იქ გაამრავლა სიმდიდრე თვისი
იქვე მიიღო იგი უფალმა, ზვარაკიც წირეს შესაბამისი.

თარგამ-(ოსი)
ევერ ვადაზე ადრე წასულა, მისი სიკვდილი ჩამესმის წულულად
როგორიც იყო ერმა უჩუმარი, ამაღლებულა ისე ფარულად.
მისი შვილები რასა იქნიან, ეგებ ნანობენ ჩვენ გაყრას გვიან
თუ შემობრუნდნენ-შევეგებებით, ნათესაობა ამასა ქვიან.

ჰერ-(ოსი)
ევერის შვილებს მე შევხვდი ურ-ში ჯერ არ გასვლიათ გლოვის ვადები
და არც იციან რა გზას დაადგნენ, მე პასუხს როგორ დავექადები.
ერთი კი ვიცი ფალექი მტკიცედ მისდევს თავის ღმერთს, სხვას არას დასდევს.
ნაფიც მიწამდე ეცდება მისვლას, თუმცა იქით გზა უკავია დევს.

ქართ-(ოსი)
უმთავრესის თქმას თავს რად არიდებ, სიმართლეს თვალში შეხედე ჰეროს
თორე თუ ასე მუნწად მოუყევი, ამბავი ამბავს ვით მიეკეროს?
შენი მიზანი, როდესაც ურ-ში ჩახველი, თავი-თავი ის იყო
ფალექის დები წამოგეყვანა ცოლებად, მაგრამ ფიქრი გაიყო
შენ იქ მისვლამდე, ცოტა ხნით ადრე, თავს კარგად გრძნობდა მაშინ ევერი
ქალები სხვისთვის დაულოცაიათ, ბედს შეურიგდი, არ იყავ მტერი
ნაქოს დღეს ცოლად უზია მელქა, მვირადაც უღირს მმის შვილის თავი
მელქა ჩემ კარსაც დაამშვენებდა, მათრახივით აქვს თურმე ნაწნავი
მელქა ზიმა მისს კერიას უთმობს, ლამაზ ქალებშიც გამორჩეული
ვინაც იხილა, მისმა ყურებამ, ჩაუქრო მზერა, მოუკლა გული
იმის სიტურფეს შენატრის ყველა, თურმე ვინც შეხვდა, ყველას სულს უთმობს
მაგრამ ის რასაც ჰქვია ქალობა, ნაქორს ეკუთვნის და იმას უთმობს.

ჰა-(ოსი)
მაშინ ისაც თქვი ლამაზი კია, მაგრამ ბერწია ნაქორის ცოლი
შვილს ვერ გააჩენს, ვის ნაჩენს არჩენს, ცარიელია ბალღის საწოლი
ღმერთმა არ მისცა მელქას შვილები, ცოლი თუ ქმარი ასე დასაჯა
თუმცა შეწირეს ხშირად საკლავი, უფალმა მაინც სხვაგვარ განსაჯა.
ნაქორი ხშირად ნახულობს მის ღმერთს, რჩევას კითხავს და პასუხს ღებულობს
და თუ რამე აქვს გადასაწყვეტი, როგორ მოიქცეს, მისგან გებულობს.
ევერზე გლოვას რომ მოათავებს, ქონებას გაყოფს და გააზავებს
ნაწილი რჩება ურში მუდმივად, მათი ნაწილი აკრეფავს კარვებს
განზრახული აქვთ ქანაანს მისვლა, ღმერთმა აღუთქვა ნანატრი მხარე
მათი იქნება რას მოიხვეჭენ ლხენა და ტანჯვა, ტკბილი და მწარე.
გაიყრებიან ძმები სულ მალე და არასოდეს არ შეხვდებიან
ვინ თქვა ლხენისთვის იშვება კაცი და იმ ცხოვრებას სიამე ჰქვიან?

თარგამ-(ოსი)
ევერის ბედმა მომგვარა მწუხრი, ნათესავია სისხლისმიერი
ვით ქალდეველებს გვქონდა ერთობა და ერთნაირი გვქონდა იერი.
ვაგლახ, იცვლება ცხოვრება ისე, ხშირად ერთი გსურს, აღწევს მეორეს.
თუ ვერ მოზომე საკეთებელი, შეცდომას ბევრჯერ გაიმეორებ.
პირველად ნოემ შესცოდა უფალს, სამად გაუყო სამ ვაჟს ქონება
შემდეგ შვილებმა შვიდჯერ აზომეს, სხვას ვერას შეწვდა მათი გონება
მას შემდეგ მოდის, როგორც სახადი, ყოველ თაობას თავისი უნდა
ერთად ყოფნას და საჭმლის კეთებას, ურჩევნით ზილონ ტალახის გუნდა.
ფალექს თუ უნდა სულ ცალკე გასვლა, რომ ხეტიალში ჩაკლას ცხოვრება
ვინ იცის ეგებ ასეც ჯობია, მამის გზა-კვალის გამეორებას?

ჰა-(ოსი)
მამავ უფალო, ამ მგზავრობაში, ძმებმა ცალ-ცალკე რა არა ნახეს
ზოგჯერ უჯობდათ მათ ერთად ყოფნა, ზოგი სიძნელე ძლივს გადალახეს.
ბოლოს მოვიდნენ ასეთ აზრამდე, თუმც ერთად ყოფნა ბევრად კარგია
მაგრამ ისა სჯობს ზუსტად იცოდნენ ვისი, რაში, რა დანაკარგია.
რვანი გეყვხართ და ერთ-ურთის მჯობი, რვავეს საჭმელად გვაქვს ერთი გობი
რომ შემეკითხო მეც ცალკე მინდა ჩემი ნაცხობი და დანაწყობი.

ქართ-(ოსი)
მე ვეთანხმები უფროს ძმის ნათქვამს, ფალექის აზრიც ასევე მესმის

ჩემი თუ ზოგჯერ თავს მომაბეზრებს, სხვისი ნაფიქრი ლახვარად მესმის
ეგებ ძნელია შენთვის გაგება, ყველა შვილნი ვართ და ერთად გვზარდე
შენ თუ გიყვარვართ ყველა თანაბრად, არ ნიშნავს სხვებსაც ასე გვიყვარდე
თვითეულს მრავლად გვყავს ცოლნი, შვილნი, სახელებიც კი ყველას არ ვიცი
მე იმათ ზრუნვას ვერ ავუდივარ, სხვებს ერთგულების ვით მივცე ფიცი?
და ამას გარდა ისე გავმრავლდით ვეღარ ვეტევით თუშპა ქალაქში
ჩვენი ცოლებიც ეჭვიანობით დღეს აღამებენ ფუჭად ლაქლაქში
ჩვენ რომ ვიცოდეთ ვისი და რაა, ტომები, მხარე, მცირე და დიდი
დავაჯამებდით ვის რა ეკუთვნის ღვთის შესაწირი, ზურგს მოსაკიდი.

თარგამ-(ოსი)
რაც მეტსა სწავლობ, მით მეტი იცი, მაგრამ სიკეთეს თან სდევს ზიანი
რამდენი წელი იყავით ერთად, რამდენი დილა გქონდათ მზიანი
ერთობის ფასი ქვეყნად რა არი, ერთობით ვაღწევთ თუ რამ გვაქვს კარგი
სხვათა სოფელში რას იყურები თუ ვერ გაიგებ, თუ ვერ ივარგი.
თქვენ როგორ ფიქრობთ ცალკ-ცალკე ბრძოლით, მიაღწევთ ქვეყნის ერთიანობას?
დაცილებულნი მთებით და ზღვებით შეინარჩუნებთ კვლავ მტკიცე ძმობას?
მაგრამ რა გითხრათ. ეტყობა ზეცით ადამის მოდგმას ასე ეწერა
რასაც დავკარგავთ-იმას ვაფასებთ, ესაა ბედი და ბედისწერა

ბარდ-(ოსო)
შენ გვითხარ მამავ და მბრძანებელო, ყველა რაც ვიცი შენგან ვისწავლე,
სანამ ქალდეველთს გამეფდებოდი სოფელი ვრცელი ყოველ მხრივ დავლე.
ბაბილინს ერთად აგებდით გოდოლს ნოეს ძეების შვილთა შვილები
როცა ერთობით სწევდით სიმაღლეს ქვევით იყავით მხარგაშლილები
მაგრამ როგორც კი შეწყდა ერთობა, ვეღარ გაუგეთ ძმას და მოკვეთეს
გოდოლს ნიმროდი სახლობით შეჯდა, კარიც ურდულით შიგ ნით მოკეტეს
ნიმროდი იყო თქვენში უფროსი, უმცროსთა ხარჯზე დიდხანს ხარობდა
შენ და ევერი ედექით გვერდით და მისი გვარი მართლა გვარობდა.
შენ და ევერმა იქ რა მოიგეთ, უმადურების ფასი გაიგეთ
ვიდრე ცალკ-ცალკე არ დაეფუძნეთ ცხოვრების სიტკბო ვერც კი შაირგეთ.
შენ მაშინ აქეთ გამოეშურე, ევერი ურში დარჩა სახლობით
ნიმროდს არც ერთი ძმად არ უნდოდით, არც გირიგებდათ შვილებს ძმახლობით
ხომ აღიარებ, ცალკე გერჩია, ცუდისგან კარგი რომ გაგერჩია
როდის რა გინდა, ვისგან რას ითხოვ, შენი სურვილით ამოგერჩია.
როცა მარტო ხარ შენ თავს ეკუთვნი, როცა ბევრნი ხართ გჭირდებათ თავი
უნდა იარო იმის ქეიფზე, ძებნო აღვირი და მოსართავი.

მე ჩემსას გეტყვით. მე და მოვაკან აღმოსავლეთით ერთად ვიდოდით
ზაგროსის მთები გადავიარეთ, ელამს მივედით, ასეც ვიცოდით
მდიდარი მხარე არი ელამის, მთებს გამოუდის ბევრი მდინარე
ტომები ვნახეთ მზით გარუჯული, შრომით გამწუდარი, გაუცინარე
იქიდან ზევით შემოვუხვიეთ, ლულუბელების გავხდით სტუმარი
ჰირკანის დაბლობს ეჭიდებიან, ომი აქვთ მუდმივ გაუხუნარი.
გუთიებია მათი მეტოქე, დაბლობს ავსებენ მათი ფარები
იქითკენ ნაყიდს აქეთ უიდიან დოვლათს ვერ იტევს მათი კარვები.
ზღვის ნაპირებთან კასპთა ტომია, რიცხვით მრავალი, ომში ძლიერი
ქალდეველთ თითქო ჰგვანან იერით, გვბაძავენ როგორც ღმერთს მიწიერი
აღმოსავლეთით მშრალი მინდვრები სიგარტიების ტომის არჩივი
იქიდან აქეთ არბევენ მრავალთ, დაეცემიან როგორც არწივი.
ჩვენიც უნდოდათ მძევლად აუვანა, მაგრამ ვერ მიხვდნენ ვისგან რა ელით
ამიტომ შევძელ მე ძმის გამოხსნა, ვინც დაგვატყვევა მათივე ხელით.
მერე ვიფიქრეთ ორივეს ერთად ხიფათი გველის ორმაგი ძალით
თუ გავიყოფით, გაიოლდება გზების გაკვლევა ცხადად თუ მალვით.
სიგარტიების სამფლობელოდან მარტომ გავწიე აღმოსავლეთით
ასე მეგონა ქვეყნის დასასრულს შემომხვდებოდნენ აღმდგარნი მკვდრეთით.
თუ სამ ვეშაპზე დგას დედამიწა, უნდა მივიდე იმის კიდემდე
ვცნა ჰელიოსის ამოსავალი, რაც არ უნახავს კაცთაგანს დღემდე
სიგარტიების აღმოსავლეთით მომთაბარობენ ფასარგადები
მაღალ მწვერვალებს მუდმივი თოვლი საფარივით აქვთ თავს დანადები
იმათგან იქით მარათიები, მასპიებია და პარსებია
დუმიან ცხვართა ფარა დაუდით ბრინჯაოს დანით ნაპარსებია.
ნაჯახები აქვთ ბრტყელ თავიანი, დანები მცირე-გრძელ ტარიანი
სატევრები კი წელში მოხრილი, საბრძოლოდ მარჯვე და გვარიანი.
პარსების იქით დრანგთა მხარეა, არეიაა, არა ხოსია
იმათგან იქით სინჰთა ქვეყანა ძალზე შორსაა, არ ახლოსია.
პენჯაბი ჰქვია, რაც ჩვენებურად ნიშნავს ადგილი ხუთი მდინარის
საოცარია დიდი სოფელი, მოგკლავს წადილი მოუთმინარის.
ჩვენებრ ცხენებით როდი დადიან, სპილოები ყავთ, როგორც ვირები
ზედ შესხდებიან, შუბებს აქნევენ, შორიდან ჩანან ვით დევგმირები
ისე კი ტანად მორჩილებია და ბატონების მორჩილებია
ის თუ ვეფხვებზე სპილოთი წავა, ესენი ფეხით თანახმლებია.
ასე მიამბეს, გადმონაცემის, გადმონაცემი თუ რამედ ფასობს,
იქ მზის ტომებმა გაიდგეს ფეხი, მზე თავს ევლება და ისრებს ასობს.
ბჰარატა ერქვა მათ პირველ მეფეს, ბჰარატა როგორც ნოეა ჩვენთვის

და შემდეგ ყველა მზის შვილი მეფობს ვინც ტახტს მოიგებს და ღმერთებს ერთვის.
გამოჩენილი მეფე ყავთ რამა. რა ხომ მზის ღმერთი სადღაცა არი
ჰოდა ამბობენ რომ მისი ერი, ყოფილა მათგან გამომდინარი.
ზოგ ნიც ამბობენ, ამის მთხრობელი ღრმად განსწავლული ბრაჰმანებია,
კავკონთა მხრიდან დაძრულან იქით, ვისაც წასვლა არ დაზარებია.
იერით ბევრი ქალდეველს მოგავს, კაცის ბუნებას ხატავს იერი.
ლაპარაკით კი ვერას გაუგებ, აქვთ მეტყველება მრავალხმიერი.
ოქრო აქვთ ბევრი, ასე უვებოდნენ, მაღალ მთებიდან მოაქვს მდინარეს
თუ უერთგულებ, თავად მოგიტანს, ფეხთით დაგიწყობს ნაპირს მძინარეს.
დიდ სპილოებსაც ოქროთი რთავენ, უცხო, მვირფასი შიგ უზით ქვანი,
გუთანს აბამენ, მეწინავე ხარს ოქროულით აქვს მორთული რქანი.
კაჟიანი აქვთ გუთნის სახნისი, ხის კავები აქვთ და ხისვე თოხი.
გველების ქონით პოხავენ სახნისს, ვეფხის ქონია ურმის საპოხი.
მოჰყავთ ხორბალი თავზე საყარი და ამას გარდა თეთრი ხორბალი
იციან ქსოვა, შენება, ჭედვა. მათ ნახელავზე დაგრჩება თვალი.
ელამელებთან ვაჭრობენ ხშირად. ამბობენ ზღვითაც მიდიან ახლო
აწყობილი აქვთ აღებ-მიცემა, უცვლიათ ქალნი და სამოსახლო.
არეულია მრავალი ტომი ზოგი ძველია, ზოგი ახალი
ედავებიან ურთი-ერთს მიწებს, აქვთ საზრუნავი თავში სახალი.
ჩვენგან შორს ცხოვრობს კურუ და სრინჯა, ახლოს პურუა და ბჰარატები
ძველ ტომებისთვის წაურთმევიათ მიწები ღმერთთა დანახატები.
ახლებს არიებს არქმევენ ძველნი, არია მათთან ნიშნავს ერთგული
ერთგულად ძველებს ექიშპებიან, იმათ ცხოვრებას გააძრეს სული.
ცეცხლს თაყვანს სცემენ, ცეცხლია ღმერთი სიცოცხლისა და სიმდიდრის წყარო
არიელთათვის ცეცხლის გარეშე არ არსებულა თურმე სამყარო.
შორს გამიტაცეს მოგონებებმა, მინდოდა მეთქვა, რაც მარტომ ვნახე
როცა დავბრუნდი ყველა გითხარით, საცდელად არა შემოვინახე.
თქვენც იმდენივე იცით ყოველი, რამდენისაც ვარ მხილველ-მქსოველი
თქვენიც ხომ ვიცი, თქვენც გიამბნიათ, მეტის თქმას აღარც თქვენგან მოველი.
ვთქვათ, რომ მოგვევლო სოფელი ერთად, ცოდნით ვერაფერს შევიმატებდით
მაგრამ ხიფათს და მტერთა სიმრავლეს რვანი ვართ, რვაჯერ გავამრავლებდით.
მე ასე ვფიქრობ, რომ ვიყოთ ერთად, სამეფოს ბედი ერთად გავჭედოთ
მაგრამ მამული გვქონდეს ცალკ-ცალკე ყოველ დღის საქმეს ცალკე დავხედოთ.
ერთობა განა იმასა ნიშნავს ერთად ვდგებოდეთ, ერთად ვწვებოდეთ
ყველამ თავისი აკეთოს საქმე, ერთმანეთს ჭირში ვეხიდებოდეთ.

თარგამ-(ოსი)
ისე გამოდის ამ ხეტიალში ქვეყნის კიდემდე მიგიღწევია
ნოეს მოდგმიდან რამდენიც ვიცი ასეთი ბედი არვის წვევია.
ჩვენ სემის მოდგმა ვიცოდით მხოლოდ და იმათ იქით თურმე სოფელი
აქედან იქით, იქიდან აქეთ ყოფილა ერთი განუყოფელი.

ბარდ-(ოსი)
მე არ მითქვია, რომ ყველა ვნახე, მზის ამოწვერის კარი დავლახე
ბაქიაობას არ ვარ ჩვეული, არც მატა-ყურთა მიგია მახე.
ხომ არ მითქვია სუზა ქალაქი, როგორი არი, როგორა ბრწყინავს,
არც ის მითქვია ამხელა გზაზე დღისით რად ცხელა, ღამით რად ყინავს.
განა ვიქადნე, რომ საპტასინდჰუ-შვიდმდინარეთი ყველა გავცურე
იმის იქით რომ ცამდე მთებია აუდებულნი ქუდად ვეხურე
იმის იქით კი ჩინის სამეფო საოცრებებშიც კი უცნაური.
არა ვთქვი მასზე რაც არ მინახავს და არც ავტეხე აურ-ზაური.
ისე გაგონით გამიგონია, მათში გამეფდა ვინმე ჩენ ტანი
თვალმოჭუტული, ყვითელი სახე, მაღალი შუბლი, დაბალი ტანი.
მან დაამკვიდრა ერში ერთობა. ყველა რაც ჰქონდათ გახდა საერთო
წინამძღოლებად ირჩევდნენ ბრძენებს. ნურც გამოულევ ერს სიბრძნეს ღმერთო.
მოხუცებს თურმე ერთად კვებავენ და უკეთებენ საერთო კერას
მათი შრომაა ბავშვების აღზრდა, ერთად სწავლობენ ბავშვურ სიმღერას.
უმლურებს, ქვრივებს, ობლებს თუ ოხრებს, ვინც ცრემლნარევი ამოიოხრებს
უვლიან ერთად, აძლევენ ნუგეშს, სანამ წუხილით გულს მოიოხებს.
ვინ რა აკეთოს-წინასწარ იცის, მჭედელია თუ მთოხნელი მიწის
მუშაობს გულით, არა მცონარობს, არავინაა გამტეხი ფიცის.
შრომის შედეგი გროვდება ერთად და ნაწილდება ვისაც რა უჭირს
კაცი იმედით შეჰყურებს ხვალეს, სხვათა იმედით უმკლავდება ჭირს.
სირცხვილი არი ქონების ქონა, რად უნდათ მეტი ვიდრე აქვთ წონა
ამიტომ არი ტყუილ-ქურდობა იქ მეოფს არავის არ გაეგონა.
იმის იქით კი თუ არი რამე, სადაც იურება დილა და ღამე
არ გამიგია, ვერც მივაღწიე, ბევრი ვეცადე, ბევრი ვეწამე.

მოვაკ-(ანი)
ჩვენი ღმერთების გამკვირვებია, ვინც ბევრს ლოცულობს, მათი მხლებია,
ბევრჯერ ნაკლებად უღიმის ბედი. ბედი გულადის თანამხლებია.
საყვედურს როგორ გავბედავ, მაგრამ გულის ნადები როდემდე ვმარხო
რატომ არა ვთქვა რაზე რას ვფიქრობ, მუდმივად რისთვის შემოვინახო

რაც მე ზვარაკად მიმირთმევია, ღმერთთან სიმუნწე არა მჩვევია
ჯაგლაგი ჩემთვის გადამინახავს, კარგი იმათთვის შემირჩევია.
და რა მოვიგე ამ ერთგულებით, ბარდოსთან ერთად შორეთს ჭენებით
რაც ერთად ვნახეთ მანვე გიამბოთ, თავგამოდებით, არ მოჩვენებით.
მე კი რა, როცა ძმას გავეყარე, მოვინახულე მარდების მხარე
მომთაბარობენ ფარასთან ერთად, აკლიათ ყველა, ბედი აქვთ მწარე.
კასპიებიდან და მარდიებიდან ზღვის იქით ნაპირს თუ აუყვები
ქვიშიანია ყოველი მხარე, ქვიშისა არი დაბალი მთები.
ვინც ჩაათავებს უდაბურ მხარეს და მოუფონებს ცხენის სადავეს
გადაეყრება კარჩაკეტილ ზღვას, ჩამდინარ ხევებს და მათ სათავეს.
გაშლილ ველებზე ქარი რომ დაქრის, ქვიშას მოხვეტავს, სახეში გაყრის
სადაც გახარებს დანახვა კაცის, გამწუხრებს წუთი ცოცხალთან გაყრის
მომთაბარობენ მასაგეტები, შემდეგ სკვითები ანუ საკები
მიდიან იქით, სადაც საქონელს დაეგულვება იმ დღის საკვები.
ასე ვიარე ზღვა-მდინარემდე და ვერ გავიგე თუმც ვფიქრობ დღემდე
საითკენ არი მისი დინება, ნიჩაბს ცურვისას საითკენ სცემდე.
ზღვა-მდინარესთან ჭაობებს იქით, საკების ტომი-ალანებია
და თუმცა დიდხანს ვსტუმრობდი მათთან, წამოსვლა სულ არ დამნანებია.
მათ გამაფრთხილეს, რომ იმათ ქვევით, დახაზეს ჯოხით, მანიშნეს ხელით
უკაცრიელი ადგილებია სავსე კოღოთი, მკბენარით, გველით.
იმ გაშლილ ველებს თუ შეუყვები, ათას ფათერაკს გადაეყრები
თუ გადაურჩი შხამს და ავაზაკს, რაც თავს გადაგხდა, შვებით მოყვები.
სხვა გზა არ იყო უკან გზის გავლას, ვითომც ცეკვის დროს დავლურის დავლას
მივენდე ღმერთთა მე კეთილ ნებას, ზეცის სახურავს, ჩალების თავლას.
ასეთ წამებით დიდხანს ვიარე, ჭაობ-უდაბნო გადმოვიარე
და როცა თითქმის მთებს მოვაწიე და ვიშუშებდი მსუბუქ იარებს.
შემოვხვდი ლეკ-ოსს, გულს გადვიყარე, გავმხნევდი, აღვსდექ, გამოვიდარე
უცხო მხარეში ასმაგად ფასობს ძმა, მეგობარი, სამშობლო-მხარე
და თუ დღეს ასე საუბარია, ყველას ცალკ-ცალკე მიუხარია
გვასწავლეს მაინც, რომ მარტოობა ყველაზე დიდი საწუხარია
გაყრას ჩემ ძმებთან მე არ ვაპირებ, ტყუპის ცალს ბარდოსს და ყველას, გმირებს
თუ გავცილდები, დამწუხრებულზე ნუგეშით გრძნობებს ვინ გამიგრილებს?

ლეკ-(ოსი)
ყველას თავისი აქვს ქვეყნად ხვედრი დიდი, პატარა, მამრი თუ მდედრი
და თუ ღმერთებმა ისე განსაჯეს, ასე რად მსჯელობ, შემოქმედს ყვედრი?
შენ და ბარდ-(ოსმა) მოვლეთ სოფელი, ყველა გაიგეთ ახალი, ძველი,

აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის ადგილნი, ტომნი და მისასვლელი.
ვერ მიაღწია თუ ბარდ-ომ კიდეს, სადაც ღმერთებმა მთვარე დაკიდეს
შენ ჩრდილოს ვარსკვლავს თუ გაეკიდე და ათას ხიფათს გადაეკიდე
ნიშნავს ასეთი იყო ნიშანი, თქვენი მიმოსვლის დიდი მიზანი
შენ კი უსაგნო გეგონა ყველა, რადგან აზრი ვერ ამოიცანი
რაც გონებაში თქვენ ჩაიხატეთ, რაც გაიგონეთ და ის რაც ნახეთ
დაბრუნდით, უფალ მამას გაანდეთ, წარმოგვიდგინეთ საქმედ და სახეთ
განა არ ღირდა შრომად და გარჯად? რად მიგაჩნია შენ ცოდნა ხარჯად
ის, რაც ჭკვიანის სულს აამაღლებს, მოეჩვენება ტვინნაღრმობს დასჯად.
ორივეს მშურს, ნახეთ სოფელი, ვინ, სად, რას საქმობს სცანით ყოველი
არ დარჩენილხართ კერას მცონარე, ნაცრის მქექელი, ბეჭის მქსოველი.
მაშ მე რაღა ვთქვა, თავი რით ვიქო, კავკონთა მთებსაც მლივს გავაღწიე
ვერ ავაფრინე ცოდნის მიმინო, ცოდნის ისარი ვერ დავაწიე.
კასპების ნაწილს მეც შევხვდი გზაში, სანამ არაქსზე გადავიდოდი
არაქსის იქით ლიკიელები, კარიელები ასეც ვიცოდი
შემდეგ ლაკები კავკასიონთან, სად ზღვასთან დაბლა ეშვება მთები
ხეობებია შემდეგ იმდენი ვერ გაუკვალავს ვერავის გზები.
ყველა ვინც ცხოვრობს დიდ მთების აქეთ, არაქსთან ახლო, სანაპირომდე
ალბანთა მოდგმას განეკუთვნება, მაგრამ არ სდევენ ამას ბოლომდე.
ასე ამბობენ არაქსის აქეთ უხსოვარ დროში მათ უცხოვრიათ
მაგრამ მომმეთა მომალებისას, გაღმა გასულან, წაურთმევიათ.
არაქსს ფაზისსაც ეტყვიან ხშირად სადაც თავს იწევს, იმართვის წელში
ის არე-მარე უმველეს დროში თურმე ალბანელთ ეკავათ ხელში.
ლიკიელები მძლავრობდნენ ადრე, ახლა მძლავრობენ უფრო ლაკები
ხის მუზარადებს ირგებენ კოხტად, სატევრები აქვთ დასატაკები.
მაგრამ რად გინდა, იმათზე იქით, ბევრიც იარო ტომს ვეღარ ნახავ
მოხეტიალე თუ შეგხვდა ვინმე დიდხანს მის ხსოვნას შემოინახავ,
მათ შორის ბევრზე ბევრი გავიგე, უფალი როგორც შარა გავიგე
შემოვიარე სადამდე მივწვდი, გასასვლელების გეგმა ავიგე.
ამ ხეტიალში მოვაკს შემოვხვდი, გულმა თუ იგრძნო ან მივხვდი გონით,
იქიდან აქეთ ერთად ვიარეთ, თავს არ შეგაწყენთ მე განაგონით.
ერთი კი არი, თუ ერთი კაცობს, ორი და მეტი, მეტია მალა
ჩვენი ერთობა თუ დაიშალა, სამეფოს ღონე გამოეცალა

კავკ-(ასოსი)
როცა უფროსი მმები მსჯელობენ, ქებას იტუვიან თუ ჯავრით გმობენ
უმცროსი ელის იმ სანუკვარ დროს, როცა მის ნათქვამს გაიგონებენ.

მაგრამ თუ უმცროსს კითხვა აწუხებს და საერთოა მისი წუხილი
ჩუმად იყოს და გულში ჩაიკლას თუ სჭქოს, როგორც ჭექა-ქუხილი?
მეც ხომ ვიყავი ჩრდილო მხარეში, ხომ არ ჩამიკლავს დრო წოლით ზვრებიში
შემოვიარე დიდი მიდამო ბარიდან ბევრჯერ ავედი მთებში.
ვანის გარშემო ხათ-ქართებია, იმათ სამხრეთით ურმიის ზევით
ჰერთა თემია გადაფენილი, თავადაც ნახავთ, ვინაც ეწვევით.
ეს ყველამ იცის, ახალს რას ვამბობ, იტყვით რა არი მასში ახალი
მე კი აზრები გადამერია, გამიხდა დარდი თავში სახალი.
სევანს რომ მიხვალ უტის ქვეყანას მცხოვრებნიც უტინ-უდინებია.
იმათგან ზევით ჰერნი ცხოვრობენ, ვისაც მტრის დედა უტირებია.
აქ თუ ჰერების არი ქვეყანა, იქაც ჰერები მძლავრად ხარობენ
ერთნი არიან თუ სხვადასხვანი, ვერავინ მითხრა როგორ გვარობენ.
კიდევ ერთს ვიტყვი, აქეს კასპები, ზღვის ახლო მდგარი, რიცხვით მრავალი
იქაც არმაზის ღვთაების ხატთან კასპებში არი გზა გასავალი.
აქ კასპებია, იქაც კასპები, აქ ჰერებია, იქაც ჰერები.
რომელი რომლის განაყარია, ვისგან ვინაა მოსაფერები?
ეს აზრი მტანჯავს, თორე სხვა რა ვთქვა, არარატს იქით იბერებია
მთელ იმ მიდამოს კავკონთა მთამდე ამ ჯიშის ტომნი მიჰფერებია.
მთის იბერები, ბარის იბერნი, გაფანტულები, ტომია ბევრი
ყველას უჭირავს თავის ხეობა, მაგრამ მთლიანის კი არი წევრი.
საიბერიო რომ ჩავათავე, კავკონთა მთების იქით გავწიე
თითქო ჭილობი ეფერა კარებს და იმ ჭილობის კალთა ავწიე.
მაღალ მთებს შორის, თვალი ვერ წვდება, გასავალია ვიწრო კარები
ლომეკის წყალი მიქუხს ღრიალით, კლდენი უდგანან შესაზარები.
ვიწროს რომ გახვალ და გაივაკებ, ტყე-ველი არი თვალუწვდენელი
ადრე ჯიქები ცხოვრობდნენ თურმე, ახლა სპერის ზღვას უწვდინეს ხელი.
იმათ ნასახლარს არვინ პატრონობს, მოდებულია ჭინჭარ-შამბნარი
სიჩუმეს არღვევს ტურის ჩხავილი, შემოგიბერავს ყოველ მხრით ქარი.
დასავლეთისკენ ვიარე დიდ ხანს, მსურდა მაგეგო მთა სადა წუდება
არ შემხვედრია ამბის მთხრობელი, იქ მარტოობას კაცი მიხვდება.
შორით ვიხილე მთა უცნაური, ცად ატყორცნილი, როგორც გოდოლი
არაფერია უფრო ლამაზი და ან სიმაღლით იმისი ტოლი.
ყინულის მთიდან დიდ მდინარემდე სანიგთა ტომი დასახლებულა
იმათ უპყრიათ ყოველი ხევი, ყველგან კოშკები ამაღლებულა.
იმათზე ზევით მაღალ მთებს შორის ყოფილან მათი ნათესავები
სუანებს რქმევენ, ემოყვრებიან, ვით გამოცანას-გამოცანები.

იმათი გზები ზღვამდე გადადის, მაგრამ მე იქით აღარ მილია
არც ჩრდილოეთით აღარ წავსულვარ, ფუჭად არე არ შემომილია.
ამიტომ არც მაქვს ბევრი სათქმელი, მე უფრო სხვათა თხრობა მიტაცებს
თან გულში ვფიქრობ, თუ რამ ხარ კაცი, უნდა ბაძავდე ამდაგვარ კაცებს.
თუ ვინმე გმირობს, რამდენიც ვიცი, გმირებში გმირნი ჩემი ძმებია
მათი მიბაძვა არც შემრცხვენია და არც მოსმენა დამზარებია
მათთან თუ გამყრით, ვიღას მივენდო, ჩემი იმედი ძმებია ჩემი
ამათთან მინდა დღეს ვაღამებდე, ამათთვის გავცე მე გასაცემი.

ეგრ-(ოსი)
შენ თუ მთას მიწვდი მუდმივ თოვლიანს და იმას აქეთ, რომელს აქვს ბუზი
იალ-იალოს მიგიღწევია, რომლის სიმაღლეს ვერ ადის ბუზი
სანიგ-სუანნი თუ ინახულე, მათი კოშკების თუ სცანი უადრი
დაინახავდი ურიცხვ მეომარს, მცირე ქებასაც რომ ვერ შეჰკადრი.
მათი სამკვიდრო მალზე ვრცელია და წუდება სადაც მთა წარსწუთების
იქაა წვერი კავკასიონის, ორი ზღვა იმ წვერს იქ ეკვეთების.
იქვე ქალაქი არი წემესი, გრძელი გემების ნავთსაყუდელი
ორივ ფაზისის შესართავამდე იმ მეზღვაურებს უწვდებათ ხელი
წემესის იქით, მდინარის გაღმა კერკეტთა ტომი მომთაბარეობს
სანიგებთან და ზიგებ-ჯიქებთან ვაჭრობს და მოყვრობს, მტერობს და ღრეობს.
სანიგთა აქთ, სჰერის ზღვის ახლო ჰელიოსების არი სამკვიდრო
წვრილ-წვრილ ტომებად მიმოფანტულან, მთის ფერდობებზე ცხოვრობენ მჭიდროდ.
უფრო სომხრეთით მთა იხევს უკან და დაცემული დაბლობებია
კავკონებამდე ფლობენ იმ სოფელს, კავკონნი მათი მეზობლებია.
ისე ამბობენ, იმათზე ადრე სუანნი ფლობდნენ იმავ მიდამოს
მაგრამ პრომეთემ შერეკა მთებში, რომ მისი მსხვერპლი ყველამ იწამოს.
ჰელიოხები ბევრი ტომია, ზოგნი იტყვიან ჰენიოხები
ჰერიოხებიც გამიგონია, როგორც აწყობთ და უწყვიათ ხმები.
პელაზგისიდან მოსულა ყველა, დედა სამშობლო არავის ახსოვს
მაგრამ დედათგან დარიგებული ლაზგურ სიმღერებს ზღაპრებში აქსოვს.
კავკ-ი ამბობდა ჰერთა შესახებ ზოგნი ვანის ზღვის სომხეთში არი
ზოგნი კავკონთა აღმოსავლეთით, მეტს დასავლეთით ექციათ მხარი
მამა უფალი გვეტყვის ჭეშმარიტს, მაგრამ მე ვფიქრობ არიან ერთნი
პელაზგისიდან მიმოიფანტნენ, როცა ურთი ერთს დაცილდნენ ღმერთნი
როდესაც დრონმა უღრანს უუელა, დრომ გაიყოლა წარსული ვრცელი
გზააბნეულებს ერეკებოდა აღმოსავლეთით სიკვდილის ცელი.
აკი ამიტომ ჰელიოხები საპელაზგიოს დელფოს ფიცავენ

მათი ნაწილი კორინთოს დარჩა, კორინთოს კედლებს მკერდით იცავენ.
ზღვას გადაკვეთენ იმ ადგილამდე, სადაც მცურავი კლდეები დგანან
ვინაც არ იცის მათი ბუნება გადაულახავ ზღუდედა ჩანან
ჰელიოხები გრძელი გემებით, ჩქარი ნიჩბებით, ავარდნილ აფრით
აფროდიტესგან გზა დალოცვილნი ზღვას მიაპობენ დაფით და ზაფრით.
როცა დელფოსში, ტომთა მეფენი, საწმისიან ვერძს, ღმერთს შესწირავენ
ჰელიოხები ჰელიოსის ეტლს ცისატრყელების გვირგვინით რთავენ
კორინთოს მეფე მათი მეფეა, მათ მამულშია დელფოს სამისნო
ერთი აქვთ კერა, ერთი მიზანი, ერთი უავთ მტერი ისრის სამიზნო.
წესი ყოფილა უძველეს დროდან, როცა ტომები კერას იცვლიან
ნაწილი მიდის, ნაწილი რჩება და მერე ამბებს ვით ზღაპრებს ცვლიან.
ჰელიოხები და კავკონები, ეს ორი ტომი იბერიული
პირველნი იყვნენ აქეთ მავალნი, როგორც ბრძოლისას ხელს უსწრებს ცული.
ასეც ამბობენ, თქვენ ყველამ იცით, ახალს რას ვიტყვი მამის წინაშე
ჰირკანთა მოდგმა მაგათ განდევნეს, როგორც მწყურვალეს აჯობებს მლაშე.
ჰირკანთა ადრე აქ ვინ ცხოვრობდა არავის ახსოვს, არც გამიგია
რამდენიც ვიცი კირიბთა კითხვით, ოცნების ხატი არ ამიგია.
ამ მგზავრობისას ვიყავ წემესში, იქიდან ზღვის პირს ჩამოვუყევი
სად და ვინ ცხოვრობს მამას ვუამბე, განა ზღაპარი რამ მოვუყევი.

ჰერ-(ოსი)
ვინც ჩრდილოეთის გზებით იარა, კავკონთა მთები გადაიარა
მე კი სომხეთში ვიყავი მარტო, ვერ გავიმთელე გულის იარა
ქალდეველები-ვარსკვლავთ მრიცხველნი, ვარსკვლავთ მისნები ძველი ხანიდან
მძიმე მგზავრობას მიმანიშნებდნენ და გამიჭირდა მართლა თავიდან.
ფურათუსა და იდიგნას ახლო, ქარდუხთა ტომის სამოვრებია
მათგან გავიგე სად, როგორ მევლო, მივყევი და არ გამჭირვებია
მაგრამ როგორც კი ბაბილის მეფემ ქალაქში ჩემი ჩასვლა გაიგო
დამაპატიმრა, ხაროს ჩამაგდო, ზევიდან ჩალის ტახტი დაიგო
ვეგონე ქალაქ ასურის მკვიდრი, პურიტი ვინმე მსტოვრად მისული
მაწამეს ხშირად, ვეღარ გავუძელ, სიკვდილს ებრძოდა ტანჯული სული.
მაგრამ ღმერთებმა არ მიმატოვეს, მათგან არ ვგრძნობდი მე სიმარტოვეს
მათავისუფლეს, გზა გამიკვლიეს, ქანაანამდე ჯორი მათხოვეს.
ბაბილთა ქვეყნად რა არა ვნახე, ვიდრე საზღვრები მათი დავლახე
ზოგგან სიკეთით მხვდებოდნენ მგზავრნი, ზოგგან გავლახე და გავილახე.
ბაბილის გარდა ბევრი ქალაქი ძველი დროიდან აღმართულია
ურ-ი, აქადი, ლაგაში, ქიში ყველას ჩამოთვლა ძალზე რთულია.
აქადში ერთ დროს მეფობდა სარგონ, დიდი დატოვა ქვეყნად სახელი

თურმე დაიპყრო გარშემო ყველა ვისაც კი მიწვდა, იყო მნახველი.
მისი ცხოვრება სასიქადულო დიდ ფირფიტებზე ჩაწერილია
ყველა ქურუმმა იცის ზეპირად, მეტყოდნენ ყველგან, სადაც მილია.
სარგონ დაობლდა მცირე ასაკში, და ვეღარ ზარდა ღატაკმა დედამ
მოწნულ კალათში ჩასვა პატარა, მცირე საგზალი დაურთო ზედა
ფურათუს ტალღებს მიანდო შვილი, მდინარემ ბავშვი ერთ ხანს ატარა
შემდეგ წყლის მზიდმა აქი-მ შენიშნა და მიიყვანა ცოლთან პატარა.
იქ იზრდებოდა როგორც მებაღე, ქალღმერთ იშთარის ხელის დებული
როცა დაკაცდა, გონით და ძალით შეიქმნა ყველგნით განუქინი
არ იკარგება უკვალოდ კაცი თუ კი აქვს გული, მკლავი და ტვინი.
სარგონმა შეძლო შეუძლებელი, ქალღმერთი ნანა-ს ითხოვა ხელი
კაცს თუ ბედი აქვს, ქება რად უნდა, ალაღებს მუნწი წუთისოფელი.
იქიდან ზღვისკენ ავიღე გეზი, დაცემულ სიცხეს ვერ გავუძელი
იქ ჭიდან წყალი ამომიღია, სანამ შევსვავდი, ხდებოდა ცხელი.
იმ მხარეს შველის ორი მდინარე და არხები აქვთ ბევრზე მრავალი
რომ არა რწყავდნენ ყოველ დღე ბაღებს, არ ექნებოდა ერს მოსავალი.
ბაბილის ერი შრომისმოყვარე სიცხისგან ასე დატანჯულია
სიცხე წყლულია, მაგრამ მდინარე როცა დატბორავს უფრო წყლულია.
შვებით გავცილდი არე-მიდამოს, უგარითისკენ გეზი ავიღე
ბევრი შევიძელ, ბევრი ვისწავლე, სხვადასხვა ცოდნის კარი გავიღე.
ვინ შეედრება ჩვენ ვარსკვლავთ მისნებს, იქ სხვანაირი არი ბუნება
ანგარიშობენ როდის რა ელით, რად ხდება ზეცის შემობრუნება.
წინასწარ ჭვრეტენ მზის დაბნელებას, მთვარის გაქრობას, წყლის შემოტევას
ძველი თაობა, ახალ თაობას უხსნის და ამლევს ცოდნას და ჩვევას.
მე უგარითში გემის აგების და მოხმარების წესი ვისწავლე
ამიტომ იყო კემეტთა მხარეს ზღვის გრძელი გზები გემებით გავლე.
ხეკა-პტახ-ს მიველ მეფის სატახტოს, იმის იქით კი ვერ გავაწიე
თუ რამ მიამბეს-დავიმახსოვრე, მაგრამ მათ ცოდნას ვერ დავაწიე
მეფე ხორ-ს ნიშნავს იმათ ენაზე, ხორი რა-ღმერთის შვილად ითვლება
რა-მზის ღმერთია და უმაღლესი, მისი ტამრები არ დაითვლება
ასე ფიქრობენ, იყო ქაოსი, იმათ ენაზე ეს ნიშნავს ნუნი
მან გააჩინა წყალი, ჰაერი, ღმერთებმა რომელთ არა აქვთ წუნი
შუ-მ და ტეფნუტ-მა, ჰაერმა-წყალმა მიწა დაბადეს, დაარქვეს-გები
დარაჯად ზეცა-ნუტი უჩინეს, ეს იყო მათი ამონაგები.
მიწამ დაბადა ნეფტიდა, სეტხი, ოსირისი და შემდეგ ისიდა
მოაწესრიგეს წუთისოფელი, რომელიც ბნელში დიდხანს იცდიდა.
როცა ყვებოდნენ, კიდეც მენიშნა ნათქვამი სემის შთამომავლების

მათმა ღმერთებმაც იგივ გზა განვლეს შრომის, შენების და გამრავლების
კემეტის ქვევით სხვა ერი ცხოვრობს, ქალდეველების დასდევთ მსგავსება
ყველას ვერ მივწვდი, ან სად შემემლო დარდიან გულის ცოდნით ავსება.
ხეკა-ჰტახ-ში კი ყველას შეხვდები, ყველას გაიცნობ თუ გაქვს სურვილი
კაცს თუ ცოდნისკენ უჭირავს თვალი, იქ შეუმლია მოკლას წყურვილი.
გამიგონია სორის ბრმანებით აღმოსავლეთით გაცურეს გემით
ჩინის სამეფოს უწიეს ბოლოს, უკან მობრუნდნენ ვაები,თ გვემით
მეორე რაზმმა გაცურა ქვევით, დიდხანს არ ჩანდნენ, წლობით ვიდოდნენ
ხორს აღარ ჰქონდა იმის იმედი, რომ ქვესკნელიდან ამოვიდოდნენ
უნდა ენახათ სად წყდება მიწა, უღრანი ზეცა რას ებჯინება
სიკვდილმისჯილნი წავიდნენ ცრემლით, ასეთი იყო მეუფის ნება
ბოლოს მოვიდნენ დასავლეთიდან, ღმერთებმა ასე გზა გაუკვალეს
ჰყვებოდნენ ათას საოცრებაზე, იმდენზე, თვალეს და ვერ დათვალეს.
იქიდან ფეხით ქანაანამდე ქარავანს მოვყევ უდაბნოს ზღვამდე
გაკვალული აქვთ ვაჭრებს გრძელი გზა და მიმოდიან წლებიდან წლამდე
ჩემი მიმოსვლა ხიფათით სავსე მოსაგონებლად საზარელია
მერჩია ძმებთან ერთად გამევლო, რაც ცხოვრებაში გასავლელია.
ამიტომ იყო, როცა ხეთებთან ქალდურ კილოზე ხმა გავიგონე
უკვე სამშობლოს ვიგულე თავი და ამ ტკბილ ამბავს ხშირად ვიგონებ
აიას ვფიცავ და ბებერ ზადენს, არ მოვყვებოდი აქ, თქვენთან, ამდენს
მე არ ვემხრობი გაურის მოსურნეს, არც მომწოდებელს, არც საქმით ჩამდენს.

ქართ-(ოსი)
ვფიცავარ ქალდეს, ღმერთების რისხვას, რომლის უმაღლეს არავინ არი
ხეთა ქვეყანა მეც ვინახულე ორეთის ზღვასთან ახლო მდებარი
ხატუსას ვიყავ, სატახტო ქალაქს შვენის კოშკები და გალავანი
სიმდიდრით ბრწყინავს, სასახლეები მე არ მინახავს იმისი მგვანი.
მაგრამ მანამდე იმით გავკვირდი, რა დიდი არი ჩვენი სოფელი
ჰირკანის ზღვიდან მეოტის ზღვამდე ერთიანი და განუყოფელი
სად ნახავ სხვაგან სამი ფაზისი, დიდი მდინარე ქვეყნად დიოდეს
მათ შორის კორ-ოს სიგრძე-სიგანის, როგორც მაყარის გადადიოდეს.
ქალდეველები ცხოვრობენ ყველგან სპერის ზღვის პირას თუ ვანის ზღვასთან
სახელწოდებით ათასი ტომი არ აგერევა იერით სხვასთან.
კავკ-ასოსმა თქვა, მეც მიფიქრია, ღმერთებმა როგორ დაყვეს ტომები.
ნაწილს ტოვებდნენ, ნაწილს უშვებდნენ, მიღებული აქვთ ყველა ზომები
იქ დასავლეთში, პელაზგისოსში, უფრო მეტია ჩვენებურ სახის
ერთნი ყოფილან პაპათა დროში, თუმცა სხვაგვარად ახლა იძახის.

იბერები და ალბანელები აქაც ცხოვრობენ, იქახ არიან
ამიტომ არი იქ ვინც მოხვდება იმათი ნახვა გაუხარიან.
აქ კავკონები მთის იბერთ ჰქვია, იქაც მთებშია მათი კერია.
ამათი გაურა, მმობა, ერთობა კორიბიშებში ჩანაწერია
კავკონ-იბერნი ჰელაზგურ ღმერთებს თაყვანს სცემენ და ხატებს უგებენ
თუ შეხვდებიან სიტყვას ეტყვიან, დაილოციან, აზრებს უგებენ.
მრავალი ტომი იბერიული ჩვენ სამეფოში მობნეულია
ქალდეველები დღეს უველას ვარქვით, ასე თქმას ენა დაჩვეულია
ქალდეველია დღეს მაკრისელი და მაკრონებსაც ეტყვიან ხშირად
ნიმფა მაკრისის ხელდებულები ძველ სამშობლოზე მსჯელობენ მვირად.
კუნმულ ევბეას ერქვა მაკრისი მიტომ შეერქვათ მაკრისელები
შემდეგ იბერნი და ქალდეველნი. დავიწყებულნი არი ძველები
მაკრისელთ ქვემოთ მოსოქებია, ჰურიტებია, თობალებია
დასავლეთისკენ ხალიბებია მოწყალე ბედი თანა ხლებია
ბრინჯაოს ჭედენ მოთეთრო ფერის, სხივი დახედავს ელვარებს, მღერის
მუზარადებიც აქვთ ბრინჯაოსი, არა აქვთ შიში ამიტომ მტერის
ხეთას ცხოვრობენ მისიელები, ფრიგიელები-მუშქთა ტომები
კემეტის სოფელს უწევენ მალით, გადახდილი აქვთ ხშირი ომები
ლიკიელები, კარიელები იქაც არიან, აქაც არიან
ჰელაზგისოსში დარჩათ ნაწილი აქეთკენ იწევს უველა მალიან.
მარიანდინებს როცა ვესტუმრე, მითხრეს ზღვას მიღმა მირმინდონელნი
საჰელაზგიოს შემოსევიან შრომის დროს დინჯნი, ომის დროს ხელნი.
ცეცხლით, მახვილით იპყრობენ უველას, მეომარს, მოხუცს თუ თითის ხელას
განამტკიცებენ საომარ ჩვევას, ვერავინ შემლებს დასხნას და შველას
აქაველები უწოდეს მომხდურთ, რადგან ნაწილი იქაურია
მეფეთა კოშკებს ანგრევენ ერთად ვინც იქ მივიდა, იქ აურია.
მათგან ნატანჯნი გამორბის აქეთ, მოფენილია გზები ნახირით
დღეს თუ არა ხვალ აქ მოაღწევენ გზებით, ბილიკით და ზღვის ნაპირით
ჩვენ ალბათ გვმართებს იმაზე ფიქრი, მოგვადგებიანკარს დევნილები
ნაშიმშილარი, ნატანჯ, ნაგვემი, კაცი თუ ქალი, მათი შვილები
როგორ შევხვდებით, როგორი ზომით, ტკბილად, მოუვრულად თუ ფიცხელ ომით
შეგვებმებიან თუ მოვლენ თხოვნით, ბევრის სურვილით თუ მცირეს ნდომით.

თარგამ-(ოსი)
მე მოვისმინე თქვენი ფიქრები და თუ ამ აზრზე კვლავაც იქნებით
მოვა დრო ცალკე მოგიწევთ უოფა, იმ მხარის მეფედ გარდაიქმნებით,
ჩემი ღმერთები, ხალდის მსახურნი სინ და ინანა, არმაზ, არესი

თან მსდევდნენ გზაში და მიფარავდნენ, ვიყავ სტუმარი ყველა მხარესი.
ბევრი მდინარე სარუს, პირამუს, სანგარიუსი, ლიკუს, ჰალისი
იქით და აქეთ გადამიცურავს, ვიყავ ჯეელი, მქონდა ხალისი.
რაც მე შევიძელ, გაიმეორეთ და თუ მიაღწევთ ნაპირებს ორეთს
მაშინ თამამად იტყვით საქებარს, თუ ვინ ყოფილა, ყოფილხართ შორეთს
მე ბევრი ვიცი, ჩემი გზავნილნი, ბევრგან ნამყოფნი და გამოვლილნი
ჩემგან ნაშობნი თუ ჩემით სვლილნი, უჩინ-მაჩინი ჩემია შვილნი.
მე თქვენ ერთს გეტყვით და მომისმინეთ, რაც არი ახლა და იყო წინეთ
ერთად დააწყეთ, სანამ მეტყოდეთ, აზრი აზრებთან დააქორწინეთ,
ერთი უწყოდეთ, რასაც აწყობდეთ თუ გსურთ ტომებში ღმერთივით ჰქროდეთ
ერთობა არი ყველაფრის ფუძე, უნდა ერთობით სოფელში ჩნდოდეთ
თვითონ ღმერთები, დასაბამისად რამდენიც მახსოვს, რომელიც გვყავდა.
სანამ ერთობით თავს იწონებდნენ, სადაც ვიდოდა მრევლს თან დაყავდა.
მაგრამ როდესაც ჩნდებოდა შური, ღმერთს ღმერთის სურდა ზვარაკი პური
როცა ანგრევდა სხვის საბრძანებელს, თითქო არ ჰქონდა სხვა რამ საშური,
მის საბრძანებელს უჩნდოდა წულული, თუ კი რამ იყო თვალთ დაფარული
და მომავალში მეორდებოდა, არავინ იყო მისგან დაცული.
დღეს ჩვენ ძლიერნი ერთობით ვჩანვართ, ვინც დიდი ხალდის არი მსახური
კაკამარამდე და იმას იქით ძლიერი, სუსტი თუ უსახური.
კაკამარს ზოგნი ფაზისს არქმევენ, არაქსიც ასე წოდებულია
მათ სათავედან შესართავამდე ჩვენი ტომები მოდებულია
არაქსის აქეთ არიან ქართი, იმათ სომხრეთით ქართუხებია
ჩრიდლოეთისკენ კავკონთა მოდგმა, კავკონთა მთები ხელუხებია
დასავლეთისკენ ბევრი ბინადრობს ყველას სახელი აღარც კი მახსოვს
ყველა ხალდს ფიცავს და ემონება, იმედებს ომის ძალასთან აქსოვს.
სანამ ხალდს ვმონებთ და ვიფიცებით ქალდაველები ყველასა გვქვია
დავიყოფით და ღმერთებსაც შევცვლით ჩვენ უმადურნი და თვით მარქვია.
ჩვენ ხომ ისედაც ბევრი ვიწვნიეთ ურან-უღრანი, კრონი თუ დრონი
ახლა ზევსი ყავთ ჩვენ განაყარებს, იმას უპყრია ბედის საწონი.
ხალდი ჩვენებში იგივეს ნიშნავს, ის არი ჩვენი ღვთიური მამა
ბევრჯერ ვეცადე მასთან შეხვედრას, იმედის გრძნობამ ბევრჯერ მაწამა
მაგრამ მრისხანე არ მიტოლებდა, ამ ჩემ სურვილსაც არაფრით სდევდა
ბევრი შევწირე და არ მიიღო, მით გამიჩინა მე გულის სევდა,
ახლა თუ ჯერი თქვენზე მოვიდა, საითაც წახვალთ გულით ატარეთ
იმედი, შუბად თუ ვერ ივარგებს, გამოგადგებათ შუბის სატარეთ.
არ დაივიწყოთ რაც პაპათაგან მოგვდევს და ხსოვნით გადმოგვეცემა
ყოველ ტომს ცალკე კიდევ ბევრი ყავს, ყველას ჭირდება პატივის ცემა

რამდენსაც გავცემთ - იმდენად ვფასობთ, სიბრძნით მოცულნი როცა ვბაასობთ
რამდენსაც ვმუნწობთ და ენავბილწობთ საკუთარ ხსოვნას გულს მახვილს ვასობთ.
ჩვენ გავიურებით, ჩემი სამეფო თქვენით გახდება განახარები
ვინძლო სიტკბოთი მართოთ ქვეყანა, არ ჩაურაზოთ ერთ-ურთს კარები

ჰა-(ოსი)
უფალო მამავ, ღმერთთა სადარო, მოყვრისთვის ტკბილო, მტრისთვის ავდარო
შენი ნათქვამით აქ ყველა ხარობს, მომეც უფლება მზეს შეგადარო
მზეც კი, როდესაც ღრუბელთ მარეკი აფრას აუშვებს, სინათლეს კარგავს
აისს მოსული იმედიანად, დაისს სიმორცხვით თავს მხრებში ჩარგავს.
შენ კი გვინათებ დღისით და ღამით, დიდს თუ ჰატარას გვავსებ სიამით
ყველას მაგიერ ფიქრობ და იღწვი, მამულზე ზრუნვა არ გტოვებს წამით.
სიმართლეს ამბობ, მალზე ვიმრავლეთ და ყველას უნდა სათემო კარი
მაგრამ თუ მოვწყდით და დავიყოფით, მაშინ დროება მოგველის მწარი.
ამიტომ ეგებ ისე მოვიქცეთ, ვიყოთ ცალკ-ცალკე და ვიყოთ ერთად
რათა გვფარავდეს შენი იმედი და შენი სახე მივიღოთ ღმერთად.
სიმრავლის გამო ჩემ ძმებთან გაყრა ყველასთან ერთად მისაღებია.
გაჭირვებისას ერთად დადგომა მოსაგებია, გასაგებია.
მე მომეც ჩემი, ამათ თავისი, მოგვემატება სიმხნე, ხალისი
თავად თუშჰიდან მოგვაწვდი რჩევას, შეგვკრავს იმედი შენი ძალისი.

ქართ-(ოსი)
მამავ ბატონო, ჰაიკის ნათქვამს მე მხოლოდ ერთ აზრს დავუმატებდი
სანამ გვეტყოდე შენ მეფურ სიტყვას, სანამ სასწორზე სათქმელს დადებდი
ჰელაზგი სოსში, როგორც გავიგე, თუ განაყარებს მტერი ერევა
შებეზრებულნი აქეთ მოდიან, არა ჭირდებათ სასტუმრო წვევა.
მაშინ ხომ უნდა ჩვენ ერთად დავხვდეთ, თუ ძალით მოვლენ-ძალა ვაჩვენოთ
მაგრამ ხელს ვერ ვკრავთ თუ მოვლენ მოყვრად, მოიქცევიან ისევ საჩვენოთ.
თუ იქნა მტრობა, გვიღირს ერთობა, თუ მოყვრობაა გავუღოთ კარი
მაგრამ ადგილიც უნდა ვუჩვენოთ, რომ გახდეს მათი გულს საფიცარი.
სად გვაქვს ადგილი, სად დავასახლებთ, რა ვუყოთ ძველებს, რა ვუყოთ ახლებს
კერის აწეწა ძნელი საქმეა, აქ ვინ დამტოვებს ან ვის მაახლებს
გადასაწყვეტი ძალზე ბევრია, ამას დრო უნდა და მოფიქრება
ერთზე ერთს ვიტყვით, მეორე ჩნდება, მესამეს ვფიქრობთ, მეორე ქრება
შენ საფიქრალი იმდენი შეგხვდა, როგორ რა არგო და მოარიგო
რომელს რა მისცე და უწილადო, რომ არ დაგზრახონ - იყო ურიგო
მე რას მომაგებ როცა არ ვიცი, არც მინდა გავხდე ძმების საცილო

ნებროთიანებს იქით დავცინით, აქეთ რად გავხდეთ ჩვენ სასაცილო
მალზე ბევრია განსჯას რომ ითხოვს, უფრო მეტია გადასაწყვეტი
ბრმენის ცხოვრება მუდმივ ფიქრია, იოლად ცხოვრობს გიჟი და ცეტი
ჩემი აზრია, რომ შევიცადოთ, ერთად თავდაცვას მოწყივ ვეცადოთ
ბოზალოუისგან ფაფა არ ვჭამოთ, კვრინჩხის არაყი არ გამოვხადოთ.

თარგამ-(ოსი)
მე მომწონს სიტყვა ჰაოსის თქმული, ჩანს რომ მამულზე შეტკივა გული
ქალდეველების სიუმის აკვანი, არ არის მისთვის ვადა გასული
ის, რაც მამისგან გადმოგვეცემა, უნდა დავიცვათ, არ უნდა გვემა
ჰა-ოსს ეკუთვნის თქვენზე მეფობა და არ ინდომა, არ დაიჩემა.
ამიტომ ვფიქრობ უპრიანია, ძმებში უფროსი მეტს რომ იღებდეს
რას მივცემ, როგორ, ან რა პირობით თქვენი დასწრებით რომ გაიგებდეს
პირველ იცოდეთ, მე მაქვს მეფობა და მანამ დავალ, ასე დარჩება
აქედან ყველას მოგაწვდით რჩევას, ვინც მეურჩება, არ გადარჩება
მაგრამ როდესაც მაღლა ღმერთები უღრან ზეცაში თან წამიყვანენ
ამიწონიან ქვეყნად ნაკეთებს, დამიფარცხავენ და დამიხნავენ
ჰაო დარჩება ყველას მეუფედ, ყველა უფროს ძმას დაეკითხება
გასარიგებელს ის გაარიგებს არ დაგჭირდებათ ხმის ამოღება.
თქვენ ის დაგიცავთ მტერთა რქენისგან, ნებროთიანებს შეერკინება
თუ თქვენ მხარს მისცემთ, მტერს დაამარცხებთ, მას თქვენი მალა ეცოდინება.
რადგან ასეა მე მას ვაკუთვნი ჩემი სამეფოს უმჯობეს მხარეს
არი არატის ქვევით მდებარეს ზღვებს და მდინარეს, მათ მიმდებარეს
მთა და ველები, რომლებზეც წყალი სომხრეთის მხარეს მიედინება
ჰაოს ეკუთვნის, სხვამ ვერ შებედოს, მოთოკოს თავი, დაიცხროს ვნება.

ქართ-(ოსი)
ნება შენია, სიტყვას ვინ გეტყვის, მაგრამ დანარჩენს როცა გასცემდე
ვის რა შეგვხვდება კარგად აზომე, ერთს თუ უფერებ-მეორეს სცემდე?
არაქსის აქეთ ყველა მიწები თუ მხოლოდ ერთის წილით ხვედრია
დანარჩენებმა რა დავაშავეთ, ვფიქრობ და ძნელი მისახვედრია.
არიან ქართი ჰა-ოს მიეცი, თუმც ჩემი იყვნენ მუდამ ქართები
უნდა დავტოვო ჩემი მოყვრები როცა სხვა მხარეს გავემართები?
მე თუ მომეცი ასევე უხვად რა ვუთხრა ლეკოს, ბარდოს თუ ჰეროს
რით გავაზავო ამათი ხვედრი რომ გული იყოს კვლავ სასიმღეროს?

თარგამ-(ოსი)

რატომ მერჩები, როგორ, რა გავცე, ეს მხოლოდ ჩემი საკითხავია
მე ვიტყვი მერე ძმებმა განსაჯეთ ვისთვის ტკბილია, ვისთვის ავია.
იბერთა მხარე შენ მოგეცემა მთის იბერების ქვევით რაც არი
თუ ვერ მორიგდით, ხარბს და უგვანოს შემოეყრება თვალში ნაცარი.
აღმოსავლეთით ჰერებს უწიე, დასავლეთისკენ სპერის ზღვის ნაპირს
მთა და ველები რომელთა წყალი ჩრდილოეთისკენ მიიბრუნებს პირს.
ასე გერგება ღადოს წვერამდე, სადაც მცირე მთა მოჰკიდავს წყერს
იმის იქით კი რა გესაქმება, იქ დავასახლებ მე სხვა სულიერს.
ქართთა ნაწილი, ვინც შენთან მოყვრობს, შენ გამოგყვება და დასახლდება
გაითავისებ იმ უცხო მხარეს, ქართთა მამული მალე გახდება.
ბარდოს მე ვამლევ ბურდუჯის აქეთ, სად შეკრბებიან რახსი და კორი
ამ ორ მდინარის შორის მიწები მისია ამბობს ბედის სასწორი
კორს ჩრდილოეთით ჰერო-მოვაკან ჰირკანის ზღვამდე დაიკავებენ
ტყეტბა იქნება მათი საზღვარი, თუ მიხვდებიან და გაიგებენ
ეგროს ვაკუთვნებ სპერის ზღვის ყურეს ვიდრე შეხვდება ქართის მიწები
აღმოსავლეთის, სომხრეთის მხარეს ძმა ეყოლება დასაფიცები
ჩრდილოეთისკენ სად კავკონთ მთები ზღვაში იჭრება წარწყთებული
სადაც მთავრდება ჩემი სამეფო იყოს ეგროსის დაბედებული
რაც შეეხება ლეკან, კავკასოს, როგორც უმცროსებს, გმირებში გმირებს
ნებას ვრთავ მებნონ მთებს იქით კერა, იახლონ ვინ სურთ და დააპირებს.
ჩვენ უკვე ვიცით კავკონთ მთებს იქით ვრცელი მიწები ცარიელია
მივეხმაროთ და შემოვიერთოთ, ჩვენ საზრუნავი არ დაგველია.
მხოლოდ ერთი მაქვს მათთან პირობა, რადგანაც მჯერა მათი გმირობა
ახლა აქ წუწუნს ნუ მოუყვებიან, დაიცვან წესი და აღზრდილობა.

კავკას-(ოსი)
ჩემთვის ყოველი გასაგებია, ძმებს შორის როგორც მალზე პატარას
ხელ წასაკრავად დამატარებდნენ და არ ფიქრობდნენ ჩემთვის არც არას
აღარას ველი მე სასიკეთოს, ვისაც სადა სურს დახნას და თესოს
რაკი მამულის გარეშე ვრჩები თავად შევღობავ ბოსტანს და ეზოს.
მამის ზურგს უკან ბევრჯერ მსმენია, რატომ არა ვთქვა რაც საწყენია,
ძმები ვართ, ძმურად ვიცხოვროთ ერთად, ერთხმად ეს ჩვენგან დანადგენია.
ეხლა რა მოხდა, რატომ ხართ ჩუმად, თითქო არაყში ჩაგისხეს ჩუმა
თქვენ საკუთარი გინდათ სახარში, სხვისი დააჭრათ გინდათ ცხვრის დუმა
მე არ ვწუწუნებ, კაცურად გეტყვით, თან მამის ნებას ვემორჩილები,
იბერთ მხარეში ქართების მისვლას გადავავადებ მრავალი წელი.
არაგო სადაც მიერთვის კორის, სად მეარად დგანან არმაზ-ზადენი

იმ ველებს იქით ფეხს არ მოვიცვლი, ვარ ამის მთქმელი და თან ჩამდენი
უფალმა მამამ ასე განსაჯა: არაქსის ქვევით მთა და ველები,
მდინარეები თუ ღელეები, რომელთ უწვდიათ ქვევით ხელები
უფროს ძმას ერგოს, იგი მეფობდეს, იყოს იმისი ხვედრი მიწები.
დე ასე იყოს, არავინ დაობს, ძმებისგან არი დანაფიცები.
ზუსტად ასევე, არაქსის ზევით, რომელიც მიდის ჩრდილოს მხარეზე,
ახლა იბერებს რომ უკავიათ, მეტი უფლებაც რომა აქვთ სხვებზე,
კორს მიერთვიან და ერთიანად ჰირკანის ზღვისკენ ედინებიან
ქართოს მიეცა, დე დაეუფლოს როგორაც შეძლებს ადრე თუ გვიან.
კორს ჩრდილოეთი ქართს რატომ მივცე, იქ ხომ კავკონთა საბუდარია
ღრმა ხეობებში, მეინვართა ახლო მხოლოდ კავკონებს გაუხარია.
ჩვენ ხომ ისედაც ერთი გვაქვს ჯიში, ქართი-იბერი რას გაუყია
ადგილებს მივცემთ, ჩვენ ნუ აგვერიან, ნათესაობა ამასა ქვია.
რაც შეეხება დიდ მთების იქით ველ-მინდვრებია უკაცრიელი
რამდენსაც შევძლებ მე დავიკავებ ვიდრე მატარებს წუთისოფელი.

ქართ-(ოსი)
შენ ვის აცალე აზრების დაცლა, ფიქრობ ჩვენ ჩვენი არ გვაქვს სათქმელი?
სხვის მაგიერ ჭრი, აქსოვ და კერავ, მრუდე მოგსვლია კარვის სარკმელი.
რაც მამამ ბრძანა არ ნიშნავს იმას გავიყრებით და დავიკარგებით
მე ასე მესმის თუშპიდან წასვლა ცოლ-შვილით, კარით, მსახურ, კარგებით
ძმებს არ მაშორებს, არ წამაჩხუბებს და არ ავლესავთ საბრძოლო შუბებს
როგორც ვიყავით, ისე დავრჩებით, რად გავუჩეხავთ ერთმანეთს შუბლებს.
შენ თითონ ამბობ ქართი-იბერი დასაბამიდა ერთია ჯიში
მაშ რაღად ბრაზობ, რად იქადნები, რად უნდა გვქონდეს სიფრთხილე, შიში?
მე გავუძღვები ქართებს იქითკენ უფალ მამისგან რაც მომეცემა
ვინც იქ დამხვდება ისიც ჩემია, უმიზნოდ მოყვრის რად მინდა ცემა.
ღადოს მთის ზევით, როგორაც ითქვა, სადაც კავკონთა სანახებია
შენი იქნება, მეც ხელს შეგიწყობ აიღებ ის რაც ასაღებია.
მაღალ მთებს იქით გადაშლილ ველებს ერთად დავხნავთ და ჩვენი იქნება
მაგრამ მოსავალს შენ დაგიტოვებ, რადგან ასეა უფალის ნება.

ლეკ-(ან)
მეც მომისმინეთ, ხედავთ ჩუმად ვარ, ჩემთვის საწყენიც ბევრი ვითმინე
ეხლა კი უნდა დავფქვა ყოველი რაც თქვენგან ითქვა და რაც ვისმინე
ლაკებ-კარები, ლიკიელები, ნათესაობა ჩემი ვის ჰქვია
ჰირკანის ზღვასთან მიველით ომით, ფიცხელი ომის რასაც მიქვია.

მას შემდეგ რახსის ზევით მიწები ჩვენია, ჩვენგან დანაფიცები
მეუბნებიან, დათმე ყოველი, მესმის და სიმწრის ცეცხლში ვიწვები.
ჩემი რომ დავთმო, ვის შევეხიდო, რამდენი ვინმეს ცოდვა დავიდო
გამომყვებიან? თუ მიგანებენ, მეტყვიან ფუი შენ კაცო ფლიდო.
კავკონთა მთების იქით მიწები გადაშლილია ერთიან ველად
ჭაობიანი, მიუსაფარი, ქვაბულს ვერ ნახავ თავის საშველად
იქ საქონელი ამოვე მხოლოდ, ლაღად გაუშვი ცხვართა ფარები
არა გჭირდება მწყემსი-პატრონი, ზღვა-შამბნარია ღობე-კარები
მოვაკ-ანმა თქვა ზღვა-მდინარემდე უკაცრიელი ადგილებია
სადაც ვერა ძლებს მე სულიერი, ჩემთვის როგორი გასაძლებია?
თქვენ გინდა მარტო გამიშვათ ზევით, მარტომ მოვმკა და შევკონო ძნები
ჩემგან დაცლილი ბარდოს-მოვაკანს დარჩეთ და დავრჩეთ ისევე ძმები?

მოვაკ-(ან)
თუ სიმართლეა სიმართლე იყოს და სამართალმა გვაჭამოს პური
ვინაც მოიგო იგივე ჩივის და მე ვუწოდო გაყოფა ძმური?
აბა დაფიქრდით ლეკ-ან-კავკ-ასოს და გაიაზრეთ ასე შედეგი
მამამ გაკუთვნათ უსაზღვრო მხარე, რომელს არა აქვს იქით შემდეგი
ბარდოს რა ერგო, გინდა მოვაკანს, ხელის დადება შეხვდება ჩვენგანს
და თუ ვისურვებთ უფრო შორს წასვლას, რომელი ძმაა დაგვიტოვებს განს?
ლეკან ამბობდა, რომ ის მიწები, რომელსაც იგი დაეუფლება
უკაცრიელი ადგილებია. მეც ვიცი. მე ხომ მოვლე უკლებად.
მაგრამ იგივეს არა ფლობს ახლა? ჰირკანის ზღვასთან ყველა მიწები
ერთნაირია ზემოთ თუ ქვემოთ, ვიცი, მინახავს და ვიფიცები.
უფალი მამის ნათქვამი მესმის, მან გადაწყვიტა გაყოფის წესი
როგორაც იყო წინაპართა დროს და ვის როგორი აქვს დანათესი.
მხოლოდ ამიტომ მე ხმას არ ვიღებ, როგორც რა არი ვიღებდი ვიგებ
და ამის შემდგომ ჩემი გმირობით ნახავთ რას შევძლებ და რას მოვიგებ.

ჰერ-(ოსი)
დავეთანხმები ჩემი ძმის ნათქვამს, რატომ გავხდები შლეგი და ცეტი
მან გადაწყვიტა ჩემი საბედო, რომლისაც იყო გადასაწყვეტი
სათქმელი ალბათ ბევრი დაგროვდა, რადგან წინასწარ ყოველი გრძნობდა
რა მოელოდა, რას მოელოდა, მეტი უნდოდა, თავს დიდად ცნობდა.
რაც უნდა მცირე იყოს ჰერეთი, ვეცდები დიდად წარმოვაჩინო
თუ არი სუსტი გავაძლიერო, თუ რამ აკლია მე გავუჩინო
მარტო სიდიდე რა ბედენაა თუ შრომის მადლი არ ჩააქციე

დიდი ქვეყანაც მცირე გახდება თუ თვითონ უმტრე და დააქციე.
მე მხოლოდ ერთი მაქვს სათხოვარი. მამას და ძმებს ვთხოვ ამიბით მხარი
ჰერთა ტომები ვინც ვანთან ცხოვრობს არ დარჩნენ ობლად მიუსაფარი.
ვინც მოისურვებს ჩემთან სიარულს, გზას მხიარულად გავაყოლებთ გულს
სად დავსახლდებით, იქ გავმრავლდებით და გავიხსენებთ დარჩენილს, დაგულს.

ჰა-(ოსი)
მეც მათქმევინეთ ჩემი სათქმელი, უნდა გავაღო გულის სარკმელი
რაც მამამ გვითხრა და მოვისმნეთ გადასაწყვეტი რამ იყო ძნელი
წავიდა ის დრო როცა ქალდეველთ უცილოდ ეპყროთ ყოველი მხარე
მომრავლდა ერი მრავალი ჯიშის ვინაც ცხოვრების დღე ნახა მწარე
აქ ჩემი ძმები უვებოდნენ ამბავს ვინაც სად იყო შორეთს თუ ახლოს
საით ვინ ცხოვრობს, ვის ემოყვრება, ვის ედავება ის სამოსახლოს.
დღეს ჩვენი ბედი ასე ტრიალებს, ღმერთებმა ასე გვარგუნეს ბედი
ერთად ვიქნებით გავიტანთ ლელოს, არა და აქეთ დაგვაზიანებს.
ძმებში რომელიც სამხრეთით რჩება მეტი სჭირდება ფიქრი და ძალა.
თუ დავიყოფით, ხომ დავსუსტდებით, თუ საფუძველი გამოგვეცალა
მე თუ წამლეკენ ნებროთიანნი, თუ არ შემრჩება ჯანი და ტანი
თქვენ მოგდგებიან, ცუდად შეგრჩებათ ფიქრი, მცდელობა და მიმოტანი,
უფალმა მამამ, რომლის უმაღლეს სიბრძნით ჩვენთაგან არავინ არი
სწორად განსაჯა ქალდეველთ შორის რომ ამლიერა სამხრეთის მხარი
სადაც საფრთხეა, იქ გვინდა ძალა, სადაც მტერია, იქ გვინდა ჯარი
მრავალი ტომის ქალი თუ ბალღი არ დაგვრჩეს ობლად, მიუსაფარი.
ამიტომ იყო რომ ნახევარი მე მომაკუთვნა მამამ უფალმა
ასე თქვა ენამ ღმერთთა სადარის, ასე გაუჭრა გონმა და თვალმა
თქვენ არ იფიქროთ სიამით ვტკბები, წინ რა მომელის ვიცი ან ვხვდები
მე თქვენ დაგიცავთ სამხრეთის მხრიდან მტერს დავამარცხებ ან შევაკვდები.
ბევრად მერჩია რაც ერგო ლეკანს, კავკასოს ბედი უფრო ტკბილია
შემდავებელი არ გეყოლებათ მაღალ მთებს იქით რაც ნაწილია.
არ არი წესი სხვას გავუცვალო, რაც მომეკუთვნა ჩემი ბედია
როგორც ზეცაში იჭრება საქმე, მიწაზე ისე მონაქმედია.
აქ კარგად ითქვა რაც შვილებს ერგოთ არმანგებისი არი მათისა
უნდა დავჯერდეთ და მივითვალოთ, არ გავხდეთ ძმებნი სხვისი ათისა.
და ამას გარდა თუ გამიჭირდა თუ გაგიჭირდათ უნდა გიშველოთ
გული გავშალო ძმის სადიდებლად და ხელის გული გავშალო მდელოთ.
ჰეროსს და ქართ-ოსს სურდათ გაეგოთ აქეთ მცხოვრები მათი ტომები
აქ დარჩებიან რათა მიშველონ, გადაიტანონ მძიმე ომები

თუ მათთან ერთად შეკრავენ გუდას და გაუვებიან ბოძებულ მხარეს
მე ასე მესმის, თუ რომელიმეს სურს შეაბერდეს ამ არე-მარეს
ჩვენ ნუ დავუშლით, დე აქვე დარჩნენ, ჰაოსის გვერდით ამრავლონ კერა
მაგრამ რომელნიც გამოგუვებიანთ, ნიშნავს ასეთი აქვთ ბედისწერა
ჰერთა ტომები არ არი  ბევრი, ქართ-ქარდუხები ყველგან მძლავრობენ
იქაც და აქაც დაე იცხოვრონ სადაც მამულად მიწას იგრძნობენ.
ჩვენ კი, რა არი აქ დასამალი, სადაც გაწვდება ქალდეველთ თვალი
ვიცხოვროთ ერთად, ვიშრომოთ ერთად, ეს იყოს ძმობის ამოსავალი.

თარგამ-(ოსი)
ჩემმა ღმერთებმა ასე განსაჯეს, არც ვინ დაინდეს, არც ვინ დასაჯეს
თითეულს მოგცეს კუთვნილი მხარე და საზრუნავი მით მიგისაჯეს.
ღმერთების მეფე ხალდემ მიბრძანა, ვიდრე ზეცაში წამიყვანს თანა
გაგიყოთ შვილებს საქალდეველო, გასწავლოთ ჭირში ძმობის გატანა
თქვენ არ გეგონოთ ჭირვეულობა, რაც დავისახე იმისი წყობა
ბევრი ვიფიქრე ვიდრე დავსახე საჭიროება და უცილობა
აქ სათითაოდ რასაც ყვებოდით მოგცემთ თითეულს საფიქრალს წლობით
ამიტომ გიჯობთ იჩქაროთ დინჯად, მოასწროთ ეგებ, თუ აეწყობით
გონების ძალით მე ასე ვხედავ, ღმერთებიც ამას მიკარნახებენ
ვარსკალვთ მკითხავნი მეუბნებოდნენ და ახლაც ახალ ნიშანს ეძებენ.
ჩვენთვის ჟამ მძიმე მოგველის დრონი, ვის მფარველობენ ზევსი და კრონი
მწარე გამოცდის დროს მოგიტანენ და არ გ ეგონოთ გამონაგონი.
ქართი ყვებოდა, მართალს ამბობდა, ადასტურებენ ჩვენი მისნები
ჩვენ რა მოგველის, ჩვენგან რა უნდათ უცნობი არი მათი მიზნები
ქართი დაგიცავთ ამ საფრთხისაგან, სხვა ვერვინ ვნახე დამცველი სხვაგან
ამიტომ იყო დიდი ნაწილი ერგო სამკვიდროდ მას მამისაგან.
ზემო ფაზისის ქვემო მიწები საქალდეველოს ის ნაწილია
დასავლეთიდან მომხვდურთ დახვდება თუ ჩვენი ძალა არ დაილია.
არავინ იცის რამდენი ხანი უნდა დავიცვათ იმათგან თავი
სანამ ღმერთებში იმათი, ჩვენი, ჩამოვარდება მუდმივი ზავი.
თუ ქართს არ ექნა საკმაო ძალა, ჯანს სიძლიერე გამოეცალა
დასავლეთიდან გვიყელებს მტერი, ეგრი დარჩება მებრძოლი ცალად
სამხრეთია თუ აღმოსავლეთი, როგორც ტოლია წვეთი და წვეთი
მტერთა ძალები ჰგვანან ურთი ერთს ბრძოლებში სიმხნით და სილაღეთი.
ჰაო დაგიცავთ ამ ორი მხრიდან, მტერს აგაცილებთ და აღგვის გზიდან
მაგრამ ეულად ამას ვერ იზავს, არ არი ღმერთი მოსული ციდან.
თქვენ უნდა მუდმივ მარქაფად უავდეთ, გზაში არ დასცდეთ და არ დავარდეთ

ერთობით უნდა იყოთ ძლიერნი, არ დაიქსაქსოთ და გადაგვარდეთ.
მოვაკ-ან, ბარდ-ოს, თქვენთან ჰერ-ოსი დაცულები ხართ, გიფარვენ ძმები
ამიტომ რომელს გაუჭირდება უნდა ეახლოთ, იბრძოლოთ გზნებით.
თქვენი ნაწილი თითქო მცირეა, არც დაგჭირდებათ ზედმეტი ზრუნვა.
მე მიმაჩნია უსაფუძვლოა გაყრის დროს თქვენი დარდი და ჭმუნვა.
ჰა-ოსისა და ქართ-ოსის გარდა მე ორი გმირი გამოვყავ თქვენში
მივეც მამული უკიდეგანო. უკაცრიელო სამყაროს სხვენში.
იქ მტერს რა უნდა, კაცი არ ცხოვრობს, იარო ვერსად ნახო სოფელი
მათი ვალია ნახონ სამკვიდრო და დიდ გმირობას მათგან მოველი.
ამავ დროს, ვინ თქვა კერიას ვუნგრევ, ვტოვებ კარის და ბაღის გარეშე
იმას მიიღებ მაღლის ლეკვისგან, როგორც ზარდე და როგორც დაგეშე.
ლეკ-ოს, კავკ-ასოს ვუტოვებ მამულს, სადაც მაღლდება კავკონთა მთები
იმის იქით კი მათ განადიდონ, დამილოცია სავალი გზები.
მოთავებულად მიჩანს ეს საქმე, არ მსურს ვისმინო ფუჭი კამათი
მიხედეთ საქმეს რაც დეგეკისრათ, მიჩვენეთ ჭკუა, სიმხნე, ლაზათი
და რომ არ იყოს შემდეგ ჩივილი, ურთიერთ შური, ბეზღობა, წუენა
იმან ისა თქვა, იმან ისა ქნა, არ მომიტანოთ ცალკ-ცალკე ენა.
მე თვითონ თქვენთან ერთად წამოვალ, მე მოგიზომავთ საუფლო მიწებს
ვინც შეეცდება გზა ამირიოს ღმერთი მას დასჯის და დაამიწებს.
ჩამოერთმევა იმას მამული, და როგორც სხვები ჩემი შვილები
სხვა ცოლებისგან ჩემთვის ნაშობნი, ჩემ კარვის კართან გამოზრდილები
საუფლო მიწას გამოეთხოვოს, ეახლოს სხვა ძმას და ემსახუროს
როგორც შეშვენის უმცროსს და მსახურს, მიწის მხვნელ-მთესველს, მებრძოლს
და ხუროს
ახლ აკი დროა ლაჰარაკს მოვრჩეთ, უნდა აკეცოთ დროზე კარვები
გამოარჩიოთ თქვენი ერთგულნი, მე ამ საქმეს არ მივეკარები
მაგრამ როგორც კი ახალი მთვარე, გვაუწყებს მოსვლას ქალდეველთ მხარეს
ზვარაკს შევწირავთ მწყალობელ ღმერთებს, ბოლოს დავლოცავთ ამ არე-მარეს
თქვენ გაუდგებით თქვენი ტომებით, მოვებ-მოვებით ფარებს გარეკავთ
სადაც ნიში და ხატი შეგხვდებათ, სამადლობელო ზარებს დარეკავთ.
რახს  გადასულნი დამელოდებით, აქეთ ჰა-ოსის მამულებია
იქ თქვენთვის მფარველ ღმერთებს დალოცავთ ვინც გიფარავთ და თანა მხლებია.
მოვაკანს, ბარდოსს კერას გავუჩენთ, მიეხმარებით ერთგულად ძმები
შემდეგ ლეკოსის ჯერი დადგება, გავუნაწილოთ სასაზღვრო გზები
იქიდან ჰეროს მივუტრიალდეთ, შემდეგ კავკასოს, შემდეგ ქართოსი
ყველამ შეხედოს სიდან-სადამდე არი საზღვრები ძმის სამშობლოსი.
მე თქვენთან ერთად ვიმოგზაურებ, რამდენსაც შევძლებ, დაბერდა ჯანი

ფუჭად ამბობენ, თითქო უღელში, ახალგაზრდა ხარს ჯობს ბებრის რქანი.
ჰაოსს დავტოვებ აქ ჩემ მაგივრად, ახლო აიგოს სამეფო კარი
და თუ მე მოკვკვდი, ჩემი ტახტისენ ვერ მოვაბრუნე თავი და მხარი.
ჰაო იქნება თქვენი უფალი, მოუსმენთ როგორც უსმენდით მამას
მე იქ დამტოვეთ სადაც მოვკვდები, როგორც ღმერთები გეტყვიან ამას.
არიან ქართნი ჰაოს დარჩება, ვისაც ვემახით არიანები
იბერიისკენ მიმავალ ქართებს ვერ გაუბედონ საქმე სავნები.
ჰერთა მამული ვანის სამხრეთით იქნება ვიდრე იქნება ჰერი
ყოველი ტომი გაიყოს ორად რომ ჰერებს ჰქონდეთ გზაში სამღერი.
ლეკოს-კავკასოც ასე გაყოფენ, წამსვლელ-დამრჩომის სადიდებელად
სურვილმა უნდა გააადვილოს, ყოველი საქმე რაც წუდება მნელად.
რომ მომავალში შვილთა შვილებმა ოთხივე მხარეს მხარგაშლილებმა
სამარადჟამოდ იცხოვრონ ერთად, ერთობის ხმაზე აწყობილებმა.

თარგამ-(ოსის) ცხოვრებისა და შვილებისათვის ტერიტორიების (სამეფოების) გამოყოფის სამდენიმე ვარიანტი ფიქსირდება. ასევეა ცხოვრებისა და გაყრის ვადები.

საკითხის ბიბლიურ-ისტორიული კვლევა-შეჯერება გვერდს ვერ აუვლის ასეთ დაშვებას:

თუ სარწმუნოა რომ ჰამურაბი მეფობდა მვ.წ. 1792-1950 წ. (რაც დადგენილად ითვლება), მაშინ უნდა ვივაურაუდოთ, რომ კანონთა კრებული მან მეფობის დასაწყისში გამოსცა და არა სიკვდილის წინ.

ჰამურაბის კანონებით შეწუხებული თარა (სემის შთამომავალი და ებრაელთა მამამთავრის აბრამის მამა), ქალაქ ურ-იდან ხარანში გადადის შთამომავლობასთან ერთად. ამ დროს (დაახლოებით 1790წ. მვ.წ.) იგი 93 წლის იქნებოდა. აქედან ათვლა იოლდება. ბიბლიის მიხედვით ნოეს ჰყავდა სამი ვაჟი: სემი, ქამი, იაფეტი. მათი შთამომავლობა თარგამდე (თარგამოსამდე) ასეა:

სემი-არფაქსად-სალი-ევერი-ფალექი-რაგავა-სერუხა-ნაქორი-თარა-აბრამი
ქამი-ხუს-ნიმროდი...
იაფეტი-ღამერი-თარშისი-თარგამოსი...

რამდენადაც ბიბლია ზუსტად ანგარიშობს სემიდან-თარამდე და თარადან სემამდე თაობათა რაოდენობას და ასაკობრივ სხვაობას, პარალელის გავლებით (დაახლოებით) შეიძლება გამოანგარიშებული იქნეს თარგამ-(ოსის) ასაკი და მის მიერ შვილებისათვის სამეფოების დანაწილების პერიოდი.

ანგარიში ასეთია: თარას აბრამი ეყოლა 70 წლისას, აბრამი ქ. ურში დაიბადა 1813 წ. (აქ იშვნენ მისი ძმებიც). გამოდის რომ ძ.ვ. 1790 წლისათვის თარა 93 წლისაა.

თარა ნაქორს ეყოლა 29 წლისას. სერუხას-ნაქორი 30 წლისას. რაგავას-სერუხა 32 წლისას. ფალექს რაგავა 30 წლისას, ევერს-ფალექი 34 წლისას. სალის-ევერი 30 წლისას. ე.ი. 1813+255=2068 რამდენადაც სალი არის ნოედან მეოთხე თაობა და მისი პარალელი იაფეტის ხაზით თარშისი (თარგამოსის მამა), უნდა

ვივარაუდოთ, რომ ისინი დაახლოებით ერთ პერიოდში ცხოვრობდნენ.

ბიბლია ისეთი სიზუსტით გადმოცემს სემის შთამომავლობას, რომელი რამდენი წლისას ეყოლა, რომ ნდობის ფაქტორს ბადებს. თუ გავიანგარიშებთ ადამიანთა რეალურ ფიზიკო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს-ნდობა უფრო მყარდება.

მეორე მხრივ, დიდ კრიტიკულ მიდგომას საჭიროებს ნოეს (650წ.), თარგამოსის (600წ.) და სხვათა ასაკობრივი მონაცემები. ხომ არ არის ეს დინასტიათა (და არა თაობათა) არსებობის ხანგრძლივობა?

რა კავშირშია ამასთან მტკიცება, რომ ადამიანი ძვ.წ. 4004წ. არის დაბადებული?

დასაშვებია ვერსია თუ არა, რომ ნოე ძვ.წ. 4004წ. დაეფუძნა არიარატის (არარატის) მიდამოებში, დააარსა სამეფო. აქედან სათავეს იღებენ რა პურიტები(პურიები)-ებრაელები მათ მახსოვრობაში დარჩა ნოე, ქალდეველებისაან გამოყოფის ისტორია და ა.შ. ის, რაც ბიბლიაში ასახეს?

სამსჯელო ბევრია.

დასაშვებია ისიც, რომ თარგამოსმა თავისი სამეფო შვილებს დაუნაწილა (დაახლოებით 2068-38 წლებში ძვ.წ) და ამან ასახვა ჰპოვა ქართულთა ისტორიულ მეხსიერებაში?



დაახლოებით 1575 წ. ძვ.წ

აქტე (ათენი) გერგეტოზე, აგორას შეკრება

**კეკროპი —**

ა, მეუფენო, აგორა ჩვენი, სადაც ბრძენები და არხონტები
კენჭების გროვას აგორებენ, რომ დავითვალოთ დასასრულ ხმები.
რას გადაწყვეტენ არავინ იცის, დასკვნა იქნება როგორ სიმტკიცის,
მაგრამ ერთია ახლავ ნათელი, ყველა დარჩება ერთგული ფიცის.
დასაწყისისთვის მე შეგახსენებთ, რომ ყველასათვის იყოს ნათელი,
დავიმახსოვროთ, ვიწინამძღვაროთ, ვით სიბნელეში მფეთქავ სანთელით.
არვის ეგონოს თავს ვიწონებდე, თუმც მოსაწონი თვალსაცემია,
ღმერთებისაგან ნაკარნახევი ყველა სიახლე ახლა ჩემია.
პირველ ყოვლისა, მე აქტე ქალაქს, როს ავაყვავე, ვარქვი ათენი,
თორმეტკარიან გალავანს ჭყურობთ, ესაა ღამის მშვიდად გამთენი.
თორმეტ სათემოდ დავყავ სამეფო, ყველას ვუჩინე თემის თავები,
მოსავალს ველარ იტევს საჭურჭლე, სავსენი, თავებმოსაკრავები.

**ტმოლოსი-**

კეკროპ, ვუყურებ, შენი სამეფო, ასმაგად არის აყვავებული,
მიტომ არ მიკვირს, გეამაყება და სიხარულით გიფეთქავს გული,
რასაც ჩვენ ვხედავთ, არ უნდა ქება, შენ აღასრულე ღმერთების ნება,
გაკეთებული წარსული ხდება, უმთავრესია — ხვალ რა იქნება.
ხმა მომწვდა, მინდა, გკითხო, ვიცოდე, აქტეს ათენა რატომ უწოდე —
ღმერთების იყო რამე სურვილი, თუ თვითონ სჯიდი და თვითონ სცოდე?

**კეკროპი —**

შენ ხარ სტუმარი მეონიელი, მდიდარი, უხვი, სახელოვანი,
ერთი გვაქვს ძირი, შთამომავლობა, მაინც არა ხარ აქ მეოფთა მგვანი,
ამიტომ გეტყვი, რაც ყველამ იცის, შენთვის უცხოა, არის ახალი.
არ დაგიმალავ, მეც მსურს, ვიცოდე, როგორ გვიყურებ, როგორი თვალით,
გეოს შვილი ვარ, ვინც ამ სამყაროს მისცა სიცოცხლე და დასაბამი,
იმისი ნებით თორმეტ ქალაქში ვამყნე სიმტკიცის მრავალი ჟამი.

აქტე ვიპყარი ღმერთების ნებით, ახლად ვაშენე ქინით და გზნებით,
ვსხედვართ გერგეტოს, ხედავთ კოლონოს, კვლავ გვეამაყოს ახლის შენებით,
მაგრამ მთავარი, როს ავაშენე, თურმე, უწმინდეს მთაზე ღმერთებმა
ვერ გადაწყვიტეს, ვის რა ეკუთვნის და მოუვიდათ ურთიერთშებმა
ზევსმა მიბრძანა, ვეახელ მეისვე და სამართალის გარჩევის ვალი
მე დამეკისრა, მაქცია ისრად, ვერ გავუსწორე მეხთამტეორცნს თვალი.
პოსეიდონმა, ზღვათა მეუფემ, იმ კლდეს დაარჭო მძლავრი სამთითი.
წყლის სამი ჭავლი გადმოსკდა მეისვე — ის სილამაზე აღვნიშნო რითი?
თან დაამატა: კეკროპ, ამ ქალაქს შენ თუ უწოდე ჩემი სახელი,
წყაროს გავაჩენ, სადაც ისურვებ, გახდი ურიცხვი წყაროს მნახველი.
ქალს ჩაეცინა, მაგრამ ეს ქალი ღრუბელთ ღმერთქალი ათენა იყო.
ვიცი, მცდელობით კაცთა წარსული ავად თუ კარგად შუა გაიყო.
ის არის ჩვენი შრომის დამცველი, მისგან ვისწავლეთ ხვნა–თესვა, ქსოვა.
გემის აგება, ეტლის კეთება, სიკეთით მასთან ახლო ვინ მოვა?
ღმერთქალმა ჯოხი დაასო მიწას და ზეთისხილის ხე აღმოცენდა,
შევხედე ნაყოფს, დავემხე დაბლა და შევღაღადე, დიდება შენდა!
ზევსს შევეხვეწე: ამ ხის დოვლათი ქალაქს მოუტანს კეთილდღეობას,
ათენას ვირჩევ, ათენას ვარქმევ და გადავიხდი მისთვის დღეობას
და იმის ნიშნად, რომ სიტყვას ვიცავ, ბუ ვაღიარე წმინდა ფრინველად,
ხმას ვინ გაიღებს, ხელს ვინ მოიღებს, ქალღმერთის ფრინველს ვინ იპყრობს ველად?

**ტმოლოსი —**

მოხარული ვარ, საპელაზგიოს ეტყობა ბევრგან ქალაქთ შენება:
კორინთო, თებე, თუ ორქომენი… ათენი მათშიც არის მშვენება.
თორმეტ ქალაქის აღმშენებელი, ღმერთთა მორჩილი, მათი მხლებელი,
ღმერთად იქცევი პელაზგებისთვის, ვარ ამ სიახლის მაუწყებელი.
მაგრამ მანამდე, ამქვეყნიური რამდენი რამ გვაქვს გადასაწყვეტი?
სიბრძნე გვჭირდება მოზღვავებული, არა ვით ხევი ბელტით ნაწრეტი.
მე აქ მოვსულვარ როგორაც მოწმე, მიცნობენ როგორც ავ–კარგის მცოდნეს,
რათა სიმართლე გავჭედოთ ერთად, არაკაცობა მოტყდეს და მოდნეს.
ტმოლოსი მარქვეს, რადგან ტმოლოსის მთა არის ჩვენშიც სხვებზე მაღალი,
ის მთა დამეცეს თუ რამ ვიცრუო, გავხდე ღმერთების დასადაღალი.

სასახლე დავთმე მე ამ საქმისთვის, ცოლი — ომფალე, შვილი — ტანტალი,
რად გავისარჯე, ყველა იციან, აქეთ უჭირავთ სმენა და თვალი.

**კეკროპი —**

შენი სურვილი გასაგებია, გერგეტოს მიტომ ფიცით შეკრული
ყველა არხონტი კენჭებს იზომავს, რომ თუ ვინმეა ჩვენგნით ბედკრული,
ვათავისუფლოთ, მივცეთ გზა ფართე, რასაც შევიძლებთ საქმეს საამოს,
რომ დაჩაგრულმა შვება მიიღოს და სამართალმა სხვა ჰური ჭამოს.
არხონტთა გარდა, აქ იმყოფება მირმიდონელთა მეფე აქტორი,
ბრძენთა შორისაც გამორჩეული, გმირთა შორისაც არა ჰყავს სწორი.
რაც მაგან შეძლო სხვა ვერ იზამდა, მიტომ პატივი ერგება დიდი,
რჩევა მოგვცეს და თუ ვერ შევთანხმდით, მოქიშპეებში მან გადოს ხიდი.
მას გვერდს უმშვენებს ბრძენი ამიკოს, კენტავრთა ტომის გამორჩეული,
გმირთა აღმზრდელი, მრჩეველი, მჭვრთნელი, სიმართლით ხედვას
არის ჩვეული.
აგერ, კრეთევსი — დიდი ელინი, მეფე და გმირი, ღმერთთა სადარი,
მოპასუხეა ამ დიდ დავაში, არ მოექცევა სიცრუით მხარი.

**ტმოლოსი —**

მომიყვანია ჩემი მხრივ ილი, არავინ შეცდეს, უცხო ეგონოს,
სათქმელს რომ იტყვის, არვინ იფიქროს, თავისით რამე გამოეგონოს,
თუ სხვაგვარად თქვა, აქა ვარ მოწმე, შორი ქვეყნიდან მიტომ მოველი,
სიავეს უნდა სიკეთემ სძლიოს, თქვენგანაც ასეთ პასუხს მოველი.

**ილი —**

თქვენთან მოვსულვარ შორეულ მხრიდან, სადაც კავკონთა ცივი მთებია,
სადაც პრომეთე ჯაჭვით დაბმული, კლდეს თვალუწვდენელს დასჭიდებია.
იმ მთის მირიდან წმინდა ფაზისი ზღვისკენ უთვალავ განძს მიაგორებს,
არავინაა მისი შემკრები, დიდ ლოდებს შორის ვინ შეაგროვებს?
იაპეთის მის, ატლანტის მოდგმა, ვისთვის პრომეთეს ცეცხლი უძღვნია,
უხსოვარ დროდან იმ მხარეს სახლობს, დამეთანხმება, ვისაც უცვნია.
კუნძულ ლემნოსზე, მოსხოს მთის წვერზე, ღვთიურ ჰეფესტოს სამჭედლო
არის,
ცეცხლი ანთია მუდმივ გრძნეული, საბერველს ბერავს ზღვის ცივი ქარი,
იქვე მოსხები სახლობენ მჭიდროდ, ლაღად შეფენილ ფარას მწყემსავენ,

ბრინჯაოს ჭედენ მათი კაცები, მათი ქალები შალის მაფს რთავენ.
ყოფილან ერთი მოდგმის თემები, თუმცა სახლობენ იქით და აქეთ,
პრომეთე არის ყველას ქომაგი, მიტომ ვეახელ, ვლოცე და ვაქე.
პრომეთეს ვაჟი დევკალიონი, რომლისაც იტყვით პირველ კაცობას,
მამას სტუმრობდა ყოველწლიურად, არ დაიწყებდა გზაში ანცობას.
ეს მან წაასხა ბევრი იმ მხარეს და დაასახლა მამის მლოცველად,
რაც წასულია, გვეამაყება, თუმც საამაყო იქმნება მნელად.
ჰელიოხები ასულან მთებში და კავკონები მთებს გადასულან,
თესალიელნი, კორინთელები ნათესავნია, არავის სძულან.
იქიდან მოვალ, მომიხარია, მაგრამ როგორი მალგიმგთ დახვედრა?
როგორ მიმიღებთ, რას მიპასუხებთ? — გულში არ დარჩეს რამე საყვედრად.

**კრეთევსი —**

გამკვირვებია სტუმრის და უცხოს, არავინ იცის, საიდან მოდის,
გვიყვება ისეთ საოცარ ამბავს, ვერვინ მიმხვდარა, როგორ გამოდის,
როდესაც ზევსმა, მეხთამტყორცნელმა, პრომეთეს სთხოვა მის გვერდით დგომა,
კრონთან ჭიდილში საოცარ ტიტანს ბევრი გადახდა ბრძოლა და შრომა.
ხომ იყო კარგი ღმერთების ზავი, ჩვენთვის დროება დასრულდა ავი,
ახალ ღმერთებმა ოლიმპოს მთიდან გადმოგვაყარეს სიკეთის ხვავი,
მაგრამ როდესაც მოსხოდან ცეცხლი მოკვდავთ თანაბრად გაუნაწილა,
ბუნებრივია, ელოდა დასჯა და მან ხიფათი ვერ აიცილა.
აქ სხვა რამეა გასაკვირელი, კაცთათვის მძიმე ფიქრის აღმძვრელი,
დევკალიონი, ელინის მამა, როგორ გამხდარა უცხოთ მშობელი?

**ამიკო–სი —**

უკვდავ ღმერთების მალით და ნებით, კეთილ სურვილით, წყენით თუ გზნებით
იცვლება ქვეყნად, რასაც ვუყურებთ და მოგვეცემა მარტივი ცნებით.
თუ ისურვებენ ჩვენგანის დასჯას, ჩვენ არ მოგვთხოვენ რჩევას და განსჯას.
ამიტომ ზედმეტს თავს ნუ ავიღებთ და ნუ მოვყვებით სიტყვების ხარჯვას.
ვის შევახსენო გეა–ურანმა შვეს ტიტანები ყველას მპყრობელი.
მათგან მოდიან ყველა ღმერთები: ცის თუ ქვესკნელის მანათობელი,
იმათმა შვილმა, დროის მეუფე კრონმა უთავა ახალ თაობას.

ვინ რის ღმერთია, ვინ ვის მფარველობს, აღარ მოვყვები ყველას რაობას:
შვილების მყლაპავ კრონს დრონის მეფეს მეხთამტყორცნელმა მოუღო ბოლო,
ეს ბალღმაც იცის და მე თქვენ ცოდნას ზედმეტი სიტყვა რად მივაყოლო? —
მხოლოდ ერთია აქ საფიქრალი, უკვდავთა მოდგმა თუკი იცვლება,
კაცთა თაობის ცვალებადობა რად არის თქვენთვის საკვირველება?
რაც სტუმარმა თქვა, თუ სტუმარს ვარქმევთ, ყოველი აზრი არის მართალი,
საპყლაზგიოს უამრავ ტომებს მუდამ ეჭირათ ზღვის გაღმა თვალი.
თუ მრავლდებოდნენ, გაიყოფოდნენ, ზოგი რჩებოდა, ზოგი ვიდოდა,
ვინ რა იცოდა, ასე მცდელობით, ავი თუ კარგი გამოვიდოდა?
ამიტომ, თუ დღეს კავკონთა მთებში ჰელიოსები ჩასახლებულან,
ეგებებიან ეოსს პირველნი, პრომეთეს ცეცხლით გალაღებულან,
განა, არ გვმართებს, ჩვენც დავიჯეროთ, ახალ ამბებით გული ვიჯეროთ? —
განვსაჯოთ ის, რაც განსასჯელია, რაც ტყუილია, არ დავიჩემოთ.

**კრეთეული —**

ხომ იოლია სიტყვით ჭიდილი, მაგრამ თუ ტყუი, ისიც მნელდება,
მატყუარობის ქალღმერთს შევთხოვდი, არა გვჭირდება მისგან ხელდება,
დევკალიონი თესალიაში ქალაქ-ქვეყანა ფთიას მეფობდა,
როდესაც წარღვნამ გაწყვიტა ბევრი, ვინ დაუმლიდა, ბევრ მხარეს ფლობდა.
მეც მისწავლია კენტავრებისგან, მამას პრომეთეს ხშირად სწვევია,
არწივისაგან ამოკორტნილი გულმკერდიც, თურმე, შეუხვევია.
მე სხვა ვიკითხე, ვინ გამამტყუნოს, კითხვა დავსვი და პასუხს მოველი:
უნდა ამიხსნათ, გერგეტოს მთაზე ფიცით შეკრული მიტომ მოველი.
ამიკოს, შენ ხარ ჩემი გამწვრთნელი, რაც ვიცი, შენგან გამიგონია:
ქალღმერთი ატა ჩაგაგონებდა და მატყუებდი? — არა მგონია.
როდესაც ქვეყნად მომრავლდა ცოდვა და დაივიწყეს ღმერთების ნება,
ზევსმა განსაჯა, ასე გაგრძელდეს, კაცთა ცხოვრება რას ემგვანება?
ლიკოსურიას, მეფე ლიკაონს, ვინც დაივიწყა ღმერთთა პატივი,
ეწვია, როგორც მოხუცი ვინმე, ვისაც გაუწყდა გონების მძივი.
მეფემ დასცინა, ღმერთად არა სცნო, მძევალი დაკლა, მიუგდო ხორცი,
ეს აიღეო და იმყოფინე, შეჭამე მალე და წადი, მორჩი!
განრისხდა ზევსი, ესროლა მეხი, დასცა სასახლე და გალავანი,
მგელად აქცია ლიკაონი, წვიმაც დაურთო რამ წარღვნის მგვანი.
გადარჩა მხოლოდ დევკალიონი, ზევსმა დაინდო მისი მოყვარე,

იმისგან მოდის ქალი თუ კაცი, ვისაც ჩვენ ვარქვით მისი მოგვარე.
ჰელენი იყო მისი მემკვიდრე, მის გამო ყველას ელინი გვერქვა —
თუკი რამე გვაქვს გადასაწყვეტი, უპრიანია, ეს უნდა გვეთქვა.
მისი ძმა იყო ამფიქტიონი, მან დაივადა აქტეს მეფობა,
სიმამრს წაართვა ძალით ქალაქი, არ ეკუთვნოდა იმისი ფლობა.
ღმერთებმა მიტომ განსაჯეს ასე, მკაცრად დასაჯეს მოყვარის მტერი,
ერითხონს მისცეს მისი სამეფო, როცა სიბერის დაუდგა ჯერი.
ეოლოსი კი ელინის ძეა, მან დაიმკვიდრა თებეს მეფობა,
კადმოსელები განდევნა როცა და აძლიერა შთამომავლობა.
ეოლოს მეფის უფროსი მე ვარ, მყავს ძმები, დები, მომწონს სიმრავლე,
დევკალიონის შთამომავლობა სცადე, დათვალე, თვალი მიავლე.
ჩემი ძმა იყო დიდი სიზიფე, კორინთოს ფლობდა, ჰქონდა სიმდიდრე,
მაღალ ღმერთებსაც ექიშპებოდა, ცოდვილ მიწაზე ცხოვრობდა ვიდრე.

**აქტორი —**

სიზიფეს ამბავს ათასს ჰყვებიან, სხარტი გონების, მოხერხებული...
მან დააგროვა დიდი სიმდიდრე, იყო ამაყი, გალაღებული.
ეფირი იპყრო სხვათა მცდელობით, ეხერხებოდა ცბიერს ხელობით,
სჯობდა გარეშეთ და შინაურებს გონით, სიმდიდრით და გამძლეობით.
მოკვდავთა შორის გამორჩეული, სიკვდილის ღმერთიც ჰყავდა ძლეული,
ტანატი იპყრა, დაება ჯაჭვით, მოტყუებული, დამბლად ქცეული
და მოხდა ისე, ელინთა შორის უკვე არავინ იხოცებოდა,
აიდის წილად მიწისქვეშეთში, დრო მიდიოდა, არვინ ხვდებოდა.
კაცთა რა იგრძნეს თავისუფლება, ღმერთები დაგმეს, აიშვეს თავი,
წრეს გადავიდნენ, წესრიგი მოსპეს, აღარ მოჰქონდათ შესაწირავი.
განრისხდა ზევსი მეხთამტყორცნელი, იხმო არესი, ღმერთი ომისა,
გაგზავნა ღმერთის გამოსახსნელად და დასაძლევად ძლევის მდომისა.
ტანატმა შეძლო შურისძიება, არ დაუწყია ბევრი მიება,
სიზიფეს სული აიდს მიუძღვნა, არ დააცალა ტანს გაციება
და კვლავ მოტყუვდა ღმერთი ტანატი, სირბილს ზოგჯერ სჯობს
წინსვლა ტაატით —
რამდენი არის გაცუდებული, დაფიცებული სანთლით და ხატით.
სიზიფე მიტომ იყო სიზიფე, მოხერხებული და გონით მწიფე,
იცოდა კარგად, რას აკეთებდა, იყო ძლიერი და არა მყიფე.
თურმე, უთხრა ცოლს, ერთგულ მეუღლეს: ზევსის სურვილი მას ასე უთხრეს,

რომ მისი ტანი არ დაწვან ცეცხლზე, რომ ცოდვილს ძვლები არ გამოუხრეს.
იმქვეყნის ღმერთებს არ უძღვნას ძღვენი არცა საკლავით და არცა წვენით,
არცა იტიროს, ცრემლები ღვაროს, არც საყვედური გამოთქვას ენით.
ერთგულმა ცოლმა დადო პირობა, არ ეტყობოდა თუმცა ძვირობა,
არ გამოიღო შესაწირავი, გამოიჩინა ქცევით ვირობა.
აიდი მაინც ელოდა დიდხანს, აიდი მძლავრი და პერსეფონა,
აღარ იცოდნენ, სიზიფეს სული ეწამებინათ თუ მოეფონათ.
ბოლოს სიზიფემ მიუგო აიდს: ხედავ, რას შვრება რეგვენი ცოლი,
სულს არ პატივობს, ტანს არ პატრონობს, რატომ გაუყავ, ნეტავ, საწოლი?
გამიშვი გარეთ, მივხედო საქმეს და მსწრაფლად უკან დავბრუნდები.
შესაწირავი მოგართვა დიდი, ქვესკნელის ურჩი როგორ გავხდები?
აიდმა მისცა მძიმე თანხმობა, ქვესკნელმა სიზიფს გაუღო კარი,
მდიდრულ ცხოვრებას, ერთგულ მეუღლეს ეწვია ერთ დროს მიუსაფარი.
აიდი დიდხანს ელოდა სიზიფს, ის დროსტარებას ვერ ელეოდა,
ყოველდღიური მოლხენა სურდა, თვრებოდა, ხიფათს აღარ ელოდა.
კვლავ გამოგზავნეს სიკვდილის ღმერთი, მან მატყუარა თან წაიყვანა,
ღმერთთან პირობის დამცდუნებელი საიქიოში მოილხენს განა?
ამიტომ არის, აიდმა სიზიფს, რომ არ ეცადა კიდევ გაძრომა,
წესად დაუდო შეუსვენებლივ თავდადებული და ფუჭი შრომა.

**ამიკოსი —**

თქვენ დაუკვირდით, ღმერთებმა სიზიფს ის არ აკმარეს, ქვას რომ აგორებს.
აიტანს მთაზე, დაუგორდება. ქვა მის სულს სტანჯავს, მიწყივ აღორებს.
მის მომავალსაც გადასწვდა ცოდვა, გლავკი, საწყალი, მამას ეწია,
მისი ვაჟი კი, ბელეროფონტი, მისდევს სიკეთეს, ვერ დაეწია.
დღეს კორინთოა მეფის გარეშე, უმეფობა კი როგორ იქნება? —
წესი და რიგი თუ დაირღვევა, სამეფო სათხედ გარდაიქმნება.

ტმოლოსი —
ღმერთთა და კაცთა ურთიერთობა, თაყვანისცემა, მათგან დანდობა
განსაზღვრულია ძველი დროიდან. არ უნდა განსჯა, სჭირდება ნდობა,
თუ დაარღვია სიზიფემ იგი, თუ ვერ იგუა ძველი წესრიგი,
მაშ, ღირსეულად მოსვლია რიგი, რომ დაივიწყოს ტყუილ-ცივლიგი.
მე ამიკოსი სიტყვა მეწიშნა, რომ უმეფობა ქვეყანას დასცემს

და თუ წახდება წუთისოფელი, მშრომელს და გამრჯეს პასუხს ვინ გასცემს?
ჩემ სამეფოში მთაა სიპილის, მთის ძირს ქალაქი იმავ სახელის,
სასახლეები და გალავანი, რომ აღტაცებას იწვევს მნახველის.
მე იქ დავტოვე ცოლი და შვილი, თქვენთან მეფური სიტყვით მოველი.
მომიყვანია დარდანიონი, მისთვის სამართალს თქვენგან მოველი.
სხვაფრივ, რა გითხრათ, ღმერთების პატივს, თაყვანისცემას ვინაც გადავა,
ღირსია, იყოს მათგან დასჯილი, კამათს არ ვიწყებ, არ უნდა დავა.
ჩემ სამეფოშიც იყო ქალწული, ხელმოსაქმობით ამაღლებული,
არ ჰყავდა ტოლი, იცოდა კარგად, ომფალეც ჰყავდა დამდაბლებული.
არაქნე ერქვა, მან ვერ გაიგო, რაა არაქნა, არ შეიძლება
ქალღმერთ ათენას დაუწყო ჯიბრი, შეჰკადრა სიტყვა და ხელის ხლება.
არაქნე მიტომ ობობად იქცა, ბნელ კუთხეებში იჯდეს და ქსოვოს,
აღარ აქვს გონი, აღარცა ენა, რომ შეწყალება ქალღმერთს შესთხოვოს.

**კეკროპი —**

დავეთანხმები, რაც ითქვა, ყველას. განა, ოქროა, რაც მზეზე ელავს?
მეფე არის თუ ხელით მოსაქმე, როგორ შებედავს ზღვას, როცა ღელავს?
კაცის ბუნება ისე სუსტია, ისე მცირეა, ისე მწირია,
ვინც აღუდგება ღმერთების ნებას, ყველა წინასწარ განაწირია.

**ამიკო-სი —**

ღმერთთა დიდება კაცთა ვალია, სიამე მათგან მომავალია,
მაგრამ თუ ერთი შესცოდავს რამეს, განა, ყველასი ერთად ბრალია?
შეგახსენებდით მე ასეთ ამბავს, სანამ მას ვინმე სხვა კუდს მიაბამს,
კარგად დავფიქრდეთ და გადავწყვიტოთ, არ ჩავეჭიდოთ უჭკუო საბაბს.
როცა პრომეთე დასაჯა ზევსმა, ძალა იყო და ძალაუფლება,
განა, რა სცოდა ჩვენთვის ტანჯულმა, მაგრამ თუ რისხვა დაგეუფლება,
ვეღარ მოზომავ სად და რა არის: ვინ არის ურჩი, ვინ არის წყნარი,
რისხვის საზომი სიკეთე არის, რაც უნდა შეცდე, მოგექცეს მხარი.
ჩვენთვის პრომეთეს უსწავლებია თითებს გარეთ თვლა და აზრის წერა,
ბრინჯაოს ჭედვა, ხარების შებმა, გემის გამართვა, ბრძოლის სიმღერა.
სიკეთის წილად ერგო წამება, განა, არ ეყო სასტიკი დასჯა?
შემდეგ რა მოხდა, მე შეგახსენებთ, არ დაგვჭირდება ბჭობა და განსჯა.
ეს არ იკმარა ზევსმა ძლიერმა, ოლიმპოს მჯდარმა, სვებედნიერმა,
ცეცხლით გამთბარი კაციც დასაჯა, რა შეაშინა მისმა იერმა?

ზევსის ბრძანებით ჰეფესტომ შექმნა ქალწული ტურფა და მშვენიერი
ათენას ნაქსოვ კაბაში ჩასვეს, არც ცისა იყო, არც მიწიერი.
ჰერმესმა უმღვნა ქალს ეშმაკობა, ჭკვა დაანათლა, არქვა პანდორა,
შემდეგ ეპიმეთს ტიტანს მიჰგვარა, უთვალთვალებდა თან შორი-შორა.
თუმც ეპიმეთმა იცოდა ძმისგან, რომ არ მიეღო ეს საჩუქარი,
რადგან ზევსისგან ელოდა ხიფათს, მაგრამ, რადგანაც უქროდა ქარი,
ვეღარ მოზომა ვნებამოსილმა, მყისვე მეუღლედ დაისვა ქალი.
საქმე გაკეთდა. რა მოხდებოდა, არ სჭირდებოდა ამას თვალთვალი.
ეპიმეთს ერთი ყუთი რამ ჰქონდა, სადაც ესვენა უბედურება.
ცნობისმოყვარე პანდორამ გახსნა და ვერ მოასწრო მან მოაზრება,
რომ ამოფრინდნენ ყუთიდან სწრაფად ჭირი, შიმშილი, ავადმყოფობა,
სიძულვილი და მოყვასის მტრობა, უიმედობა, სიავის ფლობა...
მხოლოდ იმედმა ვერ ამოასწრო და უიმედოდ დავიარებით.
ერთიმეორეს ვმურობთ და ვძარცვავთ, და ყველა ხდება ღმერთების ნებით.
ბრძენთა წინაშე მე დავსვამ კითხვას: სიკეთისთვის თუ დაისჯებიან,
ათას ბოროტის ასჯერ ჩამდენნი შემდეგ ვიღასგან განისჯებიან?

**კეკროპი —**

მედიდურობამ ბევრი დაღუპა. მედიდურობა დიდი ჭირია.
თავმდაბლობაა დიდი სიმდიდრე, რაც უფრო მეტი გასაჭირია.
აისას ვფიცავ, დიდებულ ქალღმერთს, ვინც ბედისწერის ძაფს ურთავს კაცებს,
დაიღუპება ქვეყნად ყოველი, ცრუ სიამაყე თუ გაიტაცებს.
მეფე კეიქსი და ალკიონე, კრეთევსის უფროს დაზე გიყვებით,
საჩვენებელი იყვნენ ცოლ-ქმარი, მოყვარულები მეფობდნენ შვებით,
მაგრამ, რად გინდა? — მედიდურობით ქმარი ეტყოდა მეუღლეს — ჰერა,
ხო, ჩემო ზევსო, — უპასუხებდა. ზევსი და ჰერა — ჰქონდათ სიმღერა.
ამიტომ იყო, ზევსმა ძლიერმა ზღვის ფრინველების მისცა იერი,
მეწყვილეს მძებნელ თოლიის კივილს ამიტომ ახლავს რამ მიწიერი.
დღეს ყველას გვმართებს სიმშვიდის ჩენა, ჭკვას არ უსწრებდნენ გული და ენა,
თუ აზრიანად საქმეს გადაწყვეტთ, დაგვიდასტურებს სიამით ზენა.
უნდა მივმართო არხონტთ და ვთხოვო, რაკი ვართ მტკიცე ფიცით შეკრული,
ცრუ თუ გავკიცხეთ, მართალი ვაქეთ, შვებას მიიღებს მაშინ ბედკრული.
ჩვენ საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი, რომ გავიხსენებ, სუნთქვა მეკვრება,
მაგრამ გამიხმეს მაშინ მარჯვენა, თუ ტყუილისკენ გადამეხრება.
რადგან სიმართლე არის მთავარი, თვით სიყვარულსაც სჭარბობს და მეტობს,

ის, ვინც აჰყვება გულისთქმა-გრძნობას, თვით მიგახვედრებს — გონებით ცეტობს.

კრეთევსმა გვითხრა, დევკალიონი პრომეთეს მეა და წინაპარი,
ნუ დაიჩემებს მას სხვა წინაპრად, ნუ მოექცევა სიცრუით მხარი,
მაგრამ აქვეა შორით მოსული ილი, შორეთის მეფე და გმირი,
მეფე ტმოლოსი თან ახლავს მოწმედ, საუბარიც გვაქვს წარსულზე ხშირი,
ილი ამტკიცებს, რომ კორინთელთა არის მემკვიდრე, ჩამომავალი
და თუ ცხოვრობდა უცხო მხარეში, არ არის მისი ცოდვა და ბრალი.
უნდა განვსაჯოთ, რაა სიმართლე, სიცრუის მთქმელი აქვე დავწყევლოთ,
თავის სათქმელი გვითხრას ორივემ, სალაპარაკო რატომ გავწელოთ?

**კრეთევსი —**

რაც თავი მახსოვს, არავის უთქვამს, რომ ეოლოსის არა ვარ შვილი,
დათა სიმრავლით, ძმათა სიმძლავრით მუდამ ვიყავი მე მხრებგაშლილი.
სიზიფზე ითქვა, ალკიონეზე, აბა, იკითხეთ თქვენ იკასტოსი!
კანაკე ნახეთ და მელანიპე, დედოფლებია უცხო საწმოსი.
ყველა ეოლოსს დაიფიცებდა, ეოლოსია ყველას შემქმნელი.
რაც მან შეიძლო, სხვა ვერ იზამდა, მოსათხრობადაც კი არის ძნელი.
ეს მან განდევნა კადმოსელები, ძლავრი შეტევით აიღო თებე,
გმირობა იყო განუყოფელი, აბა, ეცადე და მიეწებე.
მისი ძმებია დოროს, ქსუთოსი, ორნივ ძლიერი, ორივე გმირი,
ძლევამოსილი ჰელენის ძენი, ვის ბრწყინვალებას არ აქვს ნაპირი.
ჰელენ-ელინი, ელინთა თავი, დევკალიონის ღვიძლია შვილი.
პირა-სგან არის იგი ნაშობი, ორივესია ამაში წვლილი.
დევკალიონი პრომეთეს მეა, კლიმენე ჰყავდა მშობელი დედა,
ამას ეს უცხოც არ უარყოფდა, სურდა თუ არა, გამიხდა მწედა.
ახლა განსაზღვრეთ მე რა ვიცრუე, რაში არაა ჩემი სიმართლე,
თუ გადავედი სადმე სიმართლეს, გამომეცალოს თვალში სინათლე.

**ქოროსი —**

ნათქვამი ყველა გასაგებია, გაიმეორე, რაც ყველამ იცის,
ეჭვი არ არის, მეფე კრეთევსი ერთგული არის გერგეტოს ფიცის.
ახლა კი ვნახოთ, რას გვეტყვის ილი, იგი ხომ შორი გზებით ვიდოდა,
თუ მართალია — გაიმარჯვებდა, მტყუანს დავსჯიდით, კარგად იცოდა.

ჩემი ამბავი მალზე რთულია, ვისაც არა სურს, ვერც კი გაიგებს,
ჩაეჭიდება ცალკეულ სიტყვას, ვარაუდების კოშკებს აიგებს.
რომ არ დაეჭვდეთ დავიწყებ ასე და თქვენ მისდიეთ აზრის მსვლელობას:
რაც სხვისი იყოს, ჩათვალედ სხვისად, მეც არ დავიწყებ სხვისის ჩემობას.
ჯერ ერთი, როცა ხაზი გაქვს სწორი, რატომ არ მიგყავს იგი ბოლომდე?
რატომ არ გინდა, დღევანდელიდან დასაწყისამდე სწორადა ზომდე?
პრომეთე, ითქვა, განა, პრომეთე არ იყო შვილი იაპეთისა?
აზიასაგან ეყოლა იგი, დიდი სიკეთის, ყველგან მთესისა.
იაპეთის და თეტისის ქალწულს — აზიას ჰყავდა კიდევ შვილები:
ეპიმეთე და მენეტიოსი, ატლანტი — ფართოდ მხრებგაშლილები.
ატლანტის ასულ ელექტრას ვაქებ, რამდენს ჩემამდე კიდეც უქია,
გაბრწყინებაა მისი შეხედვა, მისი თვალები ელვა-შუქია.
მასთან ეყოლა ზევსს სამი შვილი, მათ შორის იყო დიდი დარდანი,
იასონი და ჰარმონია, თუმცა გავიდა საკმაო ხანი.
მათი ამბავი თაობებს ახსოვთ, გეტყვით და თქვენაც გაგახსენდებათ:
ის, რაც ცუდია არ გვავიწყდება, ის, რაც კარგია არ დაძველდება.
და, ჰარმონია, ძმებმა გაზარდეს და მიათხოვეს თებეს მეფესა,
გმირები იყვნენ: გათხოვებამდე ბევრი სასიძო დააფეთესა.
თებეს მეფობდა მაშინ კადმოსი, თქვენ უკეთ უწყით მისი ამბავი,
ფინიკიიდან გადმოხვეწილ გმირს, თურმე, გადახდა ბევრი რამ ავი.
რაც შეეხება ელინს თუ ჰელეს და მასთან ერთად ამფიქტიონი,
პირას ნაშობნი, მაგრამ ვისაგან? — რა შუაშია დევკალიონი?
დევკალიონმა მეორე ცოლი, პირა როდესაც დაიკავშირა,
მას ორი ვაჟი გერებად მოჰყვა, მაგრამ საყვედურს არ მოუხშირა.
აღზარდა ორნივ არ ვიტყვი აუგს, ისევე, როგორც საკუთარს ზრდიდა,
სისხლი და აღზრდა, განა, ერთია? — სასმელი წყალი გამოდის ზღვიდან?
სხვა, რაც არ ითქვა კრეთევსისაგან, ეოლოსის და ელინის გამო,
სიმართლე არის, ამიტომ ფესვი ნუ გაიდება აქ გარდიგარდმო!
ისიც არ მიკვირს, აღზრდილი აღმზრდელს პატივს სცემდეს და სახელს ჰფიცავდეს,
სამართლისათვის მოწოდებული ვალდებულია, მართალს იცავდეს.
და თუ ასეა, მაშინ ვიცოდეთ, დევკალიონი დიდი გმირია,
იმდენი ჰქონდა, იმდენსა ფლობდა, ტყუილ-მართალიც კი აირია.
პირველ ცოლისგან ჰყავდა ვაჟები: დარდანი, შემდეგ იასონია,

ჰარმონია კი ბოლოს ეყოლა, სიტურფით სწორი არ ჰყავდა, მგონი.
ჰირა შეირთო მან ამის შემდეგ, ჰირას თან მოჰყვნენ დიდი გერები,
გერი საკუთრად ვერ გადიქცევა, თუნდ სიყვარულით თუ ეფერები.
დევკალიონის სიკვდილის შემდეგ გერებმა ძმებთან ატეხეს ომი,
იასონი კი მათ შეიწირეს, სხვისი ქონების ვინც იყვნენ მნდომი.
დარდანმა შეძლო თავის დაღწევა, თუმცა მოუხდა შორეთს გაქცევა,
ახლა განსაზღვრეთ, ვინ მართალია, ვისი არ მოგწონთ სიტყვა და ქცევა,
ეოლელების ღვიძლი შვილები, დევკალიონის გამოზრდილები,
სხვის სამეფოებს დაეპატრონენ, ავში გამოჩნდა მათი წვლილები.
აქ დავამატებ, იასიონი, მემკვიდრეობით ორქომენს ფლობდა,
დარდანს კორინთო ერგო მამისგან, მიტომ მეტოქედ ვერავის ცნობდა.
ელინი იყო მაგ ნესიაში, თერმოპილს ფლობდა ამფიქტიონი,
ძმებმა, სიმდიდრეს მოკლებულებმა, შემოიკრიბეს გარს მხედრიონი.
ჯერ იასიონს უყელეს შურით, მოკლეს მხეცივით დაასამარეს,
აქტეს მიადგნენ, ამფიქტიონი დაესაკუთრა ამ ტურფა არეს,
შემდეგ კორინთო აიღეს მიზნად, დარდანი დახვდათ მომხვდურებს ფრთხილად,
მაგრამ დამარცხდა და განერიდა, რადგანაც მტრები მისდევდნენ წყვილად,
დარჩენილიყო — ძმები მოკლავდნენ, გაქცევა იყო მაშინ საშველი.
სადაც არა ღირს, იქ შებრძოლებას მოიწადინებს მხოლოდ სულელი,
გაქცევით მოგვცა საშუალება, რომ მემკვიდრეებს გვქმია შური,
დატაცებული მიგვეღო უკან, ქალაქი, მიწა, წყალი და პური,
დღეს სხვა დრო არის, ასე იოლად არვის შერჩება ტაციაობა.
ამიტომ შეგთხოვთ, თქვენ გაარჩიოთ, მტყუან–მართალის ჩვენში რაობა.

**ამიკო–სი —**

კადმოსის ამბავს მე მოგიყვებით, სხვამ რად გვიამბოს ის, რაც ჩვენია?
თან გამუდმებით ერთის მოსმენა, დამეთანხმებით, მოსაწყენია.
ფინიკიაში მეფე აგენორს ევროპა ჰყავდა ტელეფასისგან,
ეს ქალიშვილი უყვარდა მალზე, გამორჩეულად მისი ძმებისგან.
მშვენიერ ქალწულს, ერთხელ, შემთხვევით, უფალმა ზევსმა დაადგა თვალი,
გამოეცხადა, როგორც ზღვის ხარი და გააცურა კრეტისკენ ქალი,
კუნძულ კრეტაზე, სადაც ის იშვა, თხა ამალთეამ მუძუ აწოვა,
დაისაკუთრა ღმერთმა მოკვდავი და უკვდავებას შიგ ჩააქსოვა.
აგენორს სამი ვაჟკაცი ჰყავდა, გამწარებულმა სამივე იხმო,

უთხრა: მომძებნეთ და მომიყვანეთ, ვინაც სიცოცხლის სიმი გამიხმო.
არ დაგინახოთ სამეფო კარზე, ვიდრე ევროპას არ მომგვრით უკან!
წავიდნენ ძმები, ძებნეს, ვერ ჰპოვეს, მათი სულები დღესაცა სწუხან.
სხვა ძალა ჰქონდა მშობლის ნებას — ვინ შებედავდა ურჩობას, ვნებას?
დარჩნენ იქ, სადაც ეძებოდათ, არც იქ აკლებდნენ ცდასა და გზნებას,
მოხდა ისე, რომ ფინიკიაში ფენიქსმა ჰპოვა თავშესაფარი,
კილიქსი დარჩა კილიკიაში, იქ იყო მისი შეძლების ზღვარი.
კადმოსმა მოვლო აღმოსავლეთი, ბოლოს კი წმინდა დელფოსში მოხვდა,
მისანმა უთხრა: შეწყვიტე ძებნა, რატომ? რა გითხრათ, ასე რად მოხდა.
აქედან გახვალ– ამბობს მისანი, რაკი, რაც გითხარ ამოიცანი,
ახლა რომ გეტყვი დაიმახსოვრე და ეს გახდება შენი მიზანი:
აქედან გასულს შეგვხვდება ძროხა, ძროხაა ჩვენი წმინდა ცხოველი,
გაჰყევ, სად დაწვეს, ქალაქი აგე, დე, შემართება გქონდეს ცხოველი.
სად ძროხა დაწვა, ღმერთებს შესწირა, თებე აშენა — ქალაქი დიდი,
შექმნა კერია, მრავალნატანჯმა, მრავალ სიხარულს გაუდო ხიდი,
ჰარმონიასთან კადმოსს ეყოლა მრავალი შვილი გმირთა მშობელი,
ღმერთების დედა, მათი მლოცველი და სილამაზით დამათრობელი.
ინო, სემელე, და ავტონოე, ილირიოსი და პოლიდორე,
აგავე იყო პენთევსის დედა, მგონი, რომ ყველა დავიმახსოვრე.
მაგრამ მთავარი, ჩვენ დამწერლობას, მან ახლებური ფუძე დაუდო,
ბგერებს ასონი დაუკავშირა, მე როგორ ვუთხრა, შენ, კაცო, ცუდო?
სწორედ ეს მეფე, სიკეთის მთესი, ცუდად განდევნა ამფიქტიონმა,
მეფობა სურდა? სხვაგან ეძებნა და ვერ გაუჭრა უბედურს გონმა.

**კრეუსი**——
ჩემს წინაპარზე აუგს ვინც იტყვის, იცოდეს, ცუდად დაუბრუნდება,
კაცი ერთ სიტყვას გადაეგება, თუ ვერ მოზომავს, ასედაც ხდება.

**ტმოლოსი**——
სიმართლის გარდა, აქ სხვა რა ითქვა და ნუ მოყვები ასე მსჯელობას,
მე ასე ვიცი, ვართ თანაბარი, ნურავინ იგრძნობს დაუსჯელობას,
აზრს გადაუხვევ, მე უფრო მეტად მაინტერესებს, ხარ კაცი ბრძენი,
კენტავრს გარქმევენ, რატომ, რისთვისა, რა შუაშია მითხარი ცხენი?

**ამყოსი**

სასაცილოა, მაგრამ მართალი, კაცმა ისწავლა ეტლის გამართვა,
შიგ ცხენის შებმა, ორის და ოთხის, რაც მეტი არის, ძნელია მართვა.
ცხენზე ჯდომა კი ჯერ არ იცოდა, პირველნი იყვნენ ჩვენი მამანი,
ამხედრებულნი დანავარდობდნენ, სხვებს არ ენახათ არსება მგვანი.
ხო და, ეგონათ ერთი არსება, ცალ-ცალკე ვერც კი წარმოედგინათ,
დღესაც კენტავრებს ჩემ ტომს არქმევენ, დარჩა სახელად, რაც იყო წინათ.

**ქურომი**

ყველას შევთხოვდი, ილს მოუსმინოთ და ნუ ვიქნებით ძალზე სულსწრაფი,
კაცი რომ ჭყვება და ვერ ამთავრებს, მსმენელს გაგების უწყდება ძაფი.

**ილო**

თუ იაპეთის შვილთა შვილია დევკალიონი, დიდი დარდანი,
ყოფილან ახლო ნათესავები, რამდენიც უნდა გავიდეს ხანი.
დევკალიონმა კავკონთა მთებთან თუ დააბუდა აქაურები,
ნათესავებად ჩავთვალო ყველა, განა, სად ვცდები, როცა მიწყრები?
და, ამას გარდა, აბა, დაფიქრდით, როცა პრომეთე მეხთამტყორცნელმა
დასაჯა მწარედ, იმისი ვაჟი არ ადიადა იმავე ხალხმა?
შვილი განდევნა და სხვისი შვილი უბედურებას გადაარჩინა,
თუ მტრების შვილი საკუთარს უჯობს, ასეთი შვილი რად გააჩინა?
დარდანი, ვინაც კორინთოს ფლობდა და იმის ძმა იასიონი,
ჰელენისაგან იყვნენ დევნილნი, ზღვას გადავიდნენ, ასეა, მგონი.

**ამყოსი**

შესწორება მაქვს: იასიონი დევკალიონის შვილებმა მოკლეს,
გრძელს თუ ვერ შესწვდნენ ბოროტ განზრახვას, მოღალატურად ხომ შესწვდნენ მოკლეს?
კაცი, რომელსაც ხორბლის მოყვანა დემეტრასაგან ჰქონდა ნასწავლი
და ასწავლიდა ყველას სიკეთით, გასწირეს, თითქოს გასვლოდა ყავლი.
მას ვაჟი დარჩა კიბელასაგან, კორიბანტების მამამთავარი,
აბანტთა მოდგმა იმისგან მოდის, ევბეას ბუდობს დღეს მისი გვარი.

**ილო**

ჩემთვის მთავარი ეგ კი არ არის, თქვენ გაიხსენეთ ზევსი კრეტელი,

ოლიმპოს მთაზე ღრუბლებს რომ შეკრავს, ღრუბლებს ზევიდან ყველას მჭვრეტელი,
გამეფდა როგორ, მის გამეფებას შედეგად მოჰყვა მრავალთა დასჯა,
დასჯილთა შორის მისი შვილები, პირველებია, არ უნდა განსჯა.
ისმება კითხვა, ზევსის შვილებმა, რა დააშავეს იმისი ფასი,
ამოეკვეთათ ფესვი მამულში და ტანჯვა შეხვდათ მრავალ ათასი.
როგორ ვიფიქროთ, პრომეთეს შვილი ზევსის მხარეზე იბრძოდა მაშინ,
ზევსის შვილები მტერს იფარავდნენ, ასეთი დასკვნა მოგივა ჭკვაში?
ეგებ დარდანი პრომეთესია, დევკალიონი არის ზევსისა,
ვინ განიდევნა, ვინ გაძლიერდა, მისი შედეგი ასე მესმისა.

**კრეთევსი —**

მეხთამტეხრეცნელი, ღმერთების მეფე, ყველა მოკვდავის არის მშობელი
რომელი არის, თაყვანი არ სცეს, რომელი არის მისი მგმობელი.
დევკალიონი პრომეთეს ძეა, მაგრამ მეუფედ ზევსსა ჰფიცავდა,
ერთგული იყო ოლიმპოს მკვიდრთა, მათთვის მიცემულ სიტყვას იცავდა.
არ დიდიგულობდა ზოგიერთივით, უხვი იცოდა შესაწირავი,
მამათა ომში წილი არ ედო, პირად მტერთანაც ეწადა ზავი.
ყველამ არ უწყის, როდის რა იყო, პრომეთეს მისა, ან რა იციან
იასიონთან რა ჰქონდა სამტრო, ზოგჯერ გეტყვიან: შური იძია.
ვიცი, პირიქით, როცა დარდანმა ძმას მიაყენა დიდი ჭრილობა,
დევკალიონმა იამო–ს უხმო, გამოიჩინა ქვეყნად ზრდილობა.
აპოლინის და ევადნეს შვილი, მკურნალი, რომლის ყველა წამალი
მომაკვდავსაც კი გამოაბრუნებს, უცებ მოქმედებს, როგორც ფრთამალი.
იამო–სი კი მივიდა მეისვე, მალამოც ჰქონდა კვრას ნაზელი,
მაგრამ გვიანი გამოდგა შველა, ვერ განადიდა მიტომ სახელი.
იასიონი დევკალიონმა აიღს გაგზავნა პატივმოსილი,
ახლა დაბრალდეს, რაც არ უქნია, უნდა მიადგეს მის სახელს ჩრდილი.

**ილი —**

უცნაურია კაცის ბუნება, როგორიცა აქვს იმ დღეს გუნება,
საქმეც იმგვარად მოეჩვენება, არ დასჭირდება შემობრუნება.
როცა გუნება ცვალებადია, რომ დაეკარგოს რაც აბადია,
ველარ უშველის მოთქმა და ვიში, მუშტების ქნევა, ესეც ცხადია.
უბოძებია ჭკვა მიტომ გამჩენს, რას იმოქმედებს, ის გამოაჩენს,

დადინჯებული მოიმკის სახელს, ცეტი სჯერდება სხვისაგან ნარჩენს.
მე მხოლოდ ის ვთქვი, ღმერთების ომის, კაცებმა რადგან წილი დაიდეს,
დამარცხებულის მხარეზე მყოფთა, დიდების ხიდი როგორ გაიდეს?
თორემ სხვაგვარად სიტყვა არ მეთქმის, პრომეთეს ახლოს ახლა ვინც მძლავრობს.
ერთნაირია სიტყვა, იერი, ერთნაირად წუხს, შრომობს და ხარობს
უკვდავ ღმერთებიც ერთნაირია, მათში თქვენებიც გადაირია —
იქიდან აქეთ, აქედან იქით, ერთი ყოფილა შესაწირია.
აქ ითქვა სიტყვა დევკალიონზე, წარღვნას გადურჩა ნავში მჯდომარე,
იქაც წარღვნაზე ჰყვებიან სათქმელს, არც ნოე იყო კაცი მცონარე.
მე იმ ტომებში მომისმენია, წარღვნას ყოველი თავისას არქმევს,
გადარჩენილიც ყველგან ერთია, უნთებენ სანთელს, უკმევენ საკმევს.
მე ასე ვფიქრობ: ღმერთი– ღმერთია, უკვდავებასთან შენაერთია,
მოკვდავთა მხრიდან, მათთან მოქიშპე, ამ ქვეყნად კაცი ერთადერთია.
აქ ვისზეც ითქვა, ჩვენც მოვისმინეთ, იქით ნათქვამი კიდევ სხვა არის,
გამიგონია ღმერთის ურჩობამ წარღვნა მოჰგვარა იქაც საზარი.
გადარჩა ნოე თავის ჯალაბით და ყველა მირი იმისგან მოდის,
დევკალიონი მათთვის ნოეა, მაგრამ არ ვიცი, როგორ გამოდის.

**კრეუსი**
შენ, უცხოელო! გვიყვები ზღაპრებს, გინდა ბრძენკაცი რომ დააჯერო,
ჩემთა წინაპართ უგინებ სულებს და ამითა გსურს გული იჯერო.
აქ საკამათო არაფერია, თუ თეთრი შავში არ აგერია,
არ შეგეშლება, რაც უწინ იყო, კირბებში ყველა ჩანაწერია.

**ილო**
მე თუ გითხარით, რაც იქით ვნახე, გავიგე, გულში შემოვინახე,
სულ არა ნიშნავს ატაყურობას, რომ ცბიერების დაგიდეთ მახე.
აქ რაც ვახსენე, თუ ზღაპარია, მაშ, მახსოვრობას რაც აბარია,
ყველა რომ მოვყვე, ვინ რას ლოცულობს, რა ჯიშისაა და რა გვარია,
იტყვით, შეშლია ღმერთის სახელი, აღარა სწყალობს მისი ნათელი,
მისი გონება დაბინდულია და გული არის ბოღმით ნათელი.
ტიტან კოიოს ასული ლეტოს, როცა ზევსისგან იქმნა ფეხმძიმე,
ჰერას, მეუღლეს მეხთამტყორცნელის, შემოეხვია ეჭვები მძიმე
და გადაწყვიტა, მშობიარე ქალს თან დაადევნა დიდი პითონი,
მისი განდევნა უბრძანა ხმელეთს, ჰქონდა განზრახვა მისხლივ ნაწონი.

ზევსის სურვილით ზღვაში კლდე გაჩნდა, კუნძულს ეწოდა შემდეგ დელოსი,
არ იყო წყარო, არცა რამ ჩრდილი, არცა ნაჭერი მწვანე მდელოსი.
ქალღმერთ ლეტოსმა იქ შვა ტყუპები, აპოლონს დაჰყვა თან ოქროს თმები,
არტემიდეს კი, ლამაზ გოგონას, გამორჩეულად თეთრი მკლავები,
და–ძმა იზარდა. ქალღმერთ აისამ, ვინც ბედისწერის ძაფს ურთავს ყველას,
თვითონ ზევსმაც კი არ იცის მისი, ვის დანახვაზე პრომეთეც ღელავს,
და–ძმა ატარა მრავალი წელი. მრავალი მხარე შემოატარა,
ბოლოს, ოლიმპოს დაუდო კერა, მამა–შვილები გულით ახარა.
ეს ასე ვიცით, საპელაზგოში ვინც პელაზგესის შვილთაშვილია,
კრეტიდან აქეთ ულუმბოს მთამდე ვისი მამულიც გადაშლილია,
მაგრამ თქვენ ნახეთ ორივ ფრიგია და იმის იქით ხეთთა სოფელი,
უფრო ძლიერი არ არის მეფე, ვინც გაგიგიათ ქვეყნად მეოფელი.
იქით აპოლონს არქვეს აპულან, თაყვანსა სცემენ, ტაძრებს უგებენ,
თავს შესწირავენ დაუფიქრებლივ, ოღონდ იცოდნენ — გულს მოუგებენ.
თქვენ ახლა იტყვით: არის ზღაპარი. არ გედავებით, თუ ასე გიჩანთ,
ახლა მე მკითხეთ, ასე მსჯელობით აზრების ძაფის სიწვრილე გიჩანთ.
უფრო მეტს გეტყვით: უძველეს დროში, სადაც წყალუხვობს ორი მდინარე,
იქით იდიგნა, აქეთ ფურათუ მაღალ მთებიდან გადმომდინარე,
სულ სხვა ტომების შვიდი ქალაქი, როგორც ზეცაში შვიდი მნათობი,
სიმდიდრით ერთურთს ეცილებოდნენ და სიამაყის ჭია გამრთობი
უკვდავებისკენ ეზიდებოდა, უკვდავ ღმერთებსაც ექიშპებოდა,
დიდება მიწყივ წარმავალია, მოკვდავთა შორის ვერვინ ხვდებოდა.
გილგამეშ იყო ღმერთების შვილი, აქადუს ტომის გმირების გმირი,
ყველგან ეძებდა უკვდავებასა, მიტომ გადახდა ხიფათი ხშირი.
უკვდავებასთან ნაზიარები უთნაფიშთიმი გზაში შემოხვდა,
ერთიმეორეს მოუყვნენ წვრილად თავზე რა სჭირდათ, ძველად რა მოხდა.
უთნაფიშთიმი, როგორაც ნოე, როგორაც ჩვენი დევკალიონი,
გადარჩა წარღვნას ენლილის ნებით, დარჩა კაცთათვის ვით ალიონი.
თვითონ ამბავი ცისა და მიწის, ზეცისა — ანის, ხმელეთის — გისა,
ისეთი არის, არ გამნელდება ჩვენთან მოძებნა შესატყვისისა.
მათაც შვეს ქვეყნად ღმერთი მრავალი, რაც გახდა კაცთა ამოსავალი,
ჩვენი თუ ვიცით, მათიც ვიცოდეთ, მუდმივი არის მოკვდავთა ვალი.

**ამიკოსი —**

შენ გინახია აღმოსავლეთი, მაგრამ სოფელი უფრო ვრცელია,
დასავლეთისკენ ვინაც იარა, გზა თუმცა მნელი გასავლელია,

მიადგებოდა ეტრუსკთა მხარეს, მათაც ღმერთები ჰყავთ საკუთარი,
სახელს არქმევენ სხვადასხვა გვარად, თუმც შინაარსით იგივე არის.
აპოლონს იმათ არქვეს აპულუ, განა, სახელით რამე იცვლება?
როგორაც გწამს და ეთაყვანები, შენი ცხოვრებაც ისე იქმნება.
ახლა სამხრეთით ნახე ლიბია, ამონ რას როგორ ეთაყვანება,
ის ჰელიოსის შესატყვისია — ერთნაირია ორივეს ნება.
ტაძარიცა აქვს ნილოსის პირას, კლდეში ნაკვეთი, სადღაც სიღმეში,
ამონის სხივი ორჯერ ჩახედავს, სიბნელე სუფევს სხვაფრივ მის დღეში.
რატომ გვიკვირდეს, რაც სხვაგან ხდება, ყველა ხომ ჩვენგან ნასესხებია?
ზევსი მფარველობს სხვა ტომთა ღმერთებს, გაიცნობ, იოლშესახებია.

**ილი —**

ზევსი დიადი გამეფდა გვიან, მესამე არის მისი თაობა,
უნდა ვიცოდეთ, ვინ იყო ადრე, როგორი იყო მათი რაობა.
ზოგს თუ არ უნდა იცოდეს ყველა, რა იყო სხვაგან, რა იყო ძველად,
რა არის კარგი, რა არის ავი, მისი გონება ჩაწვდება ძნელად.
მე ხომ არ მითქვამს, კავკონთა მხარეს, სადაც მაღალი მწვერვალებია,
სად მყინვარები მეფობენ მუდმივ, ჩანჩქერნი კლდეებს დასჭიდებია,
გამოქვაბულში ტყის დედოფალმა მონადირეთა ქალღმერთმა დალმა
შვა ამირანი — ნახევრად ღმერთი, დიდი დევგმირი შვა, როგორც ქალმა.
იზარდა ბიჭი, ერის ქომაგი, ტიტანების და ავსულთა მტერი,
ვის რა უჭირდა, რითი ეშველა — იყო მარადჟამს მისი სამზერი.
ცეცხლი მოსტაცა ცათა მეუფეს, დაბლა მოკვდავებს გაუნაწილა,
როგორც პრომეთემ სიკეთისათვის, მანაც სასჯელი ვერ აიცილა.
კლდეზეა ისიც ჯაჭვით დაბმული, სურს რომ დაწყვიტოს, ერთი აქვს სული,
მუდმივ ცდაშია, მიზანს ვერ აღწევს, ასეთი არის მისი წარსული.
კრეთევსი იტყვის, ეგ ზღაპარია, პრომეთეს ამბავს მე სხვაზე ვყვები,
დავეთანხმები თუ ფიცით იტყვის ის მართალია და მე კი ვცდები.
პრომეთე მაგის პაპის პაპაა, ახლაც იქაა, სადაც მიაბეს,
დევკალიონი იქ აკითხავდა და მერე აქეთ ჰყვებოდა ამბებს.
სხვას ვის უნახავს და ან რა იცის, არ არის მთქმელი, არ არის მოწმე.
მხოლოდ მე ერთი ვიქეც მეგზურად, რომ დამემებნა მტერი და მოძმე.
და გეუბნებით, იქით ტომები ჰელიოხები და კავკონები
აქედან იქით წასულებია ღმერთების რჩევით, მეფეთა ნებით.
იბერიული მოდგმის ტომები, ვის გადუხდია ხშირი ომები,

ატლანტთა მხრიდან მოსულებია, ბევრის მქონები, მეტის მდომები.
ასე ყვებიან: დიდ წარღვნის მერე გადარჩა ნოე–მამამთავარი,
იმისგან მოდის ყოველი კაცი, სახელიცა აქვს ამიტომ მყარი.
თავის მამული, უკიდეგანო, სამ ვაჟს სამ მხარედ გაუნაწილა,
შემდეგ შვილებმა შვილებს გაუყვეს, ქიშპი ვერც ერთმა ვერ აიცილა.
უფროსი ვაჟი იაფეტის მის, თარშისის მეა დიდი თარგამო,
ხეთთა სამეფოს აღმოსავლეთით, მისი სამეფოს იყო მიდამო.
რვა ვაჟი ჰყავდა, რვავე დევგმირი, ხალდთა სოფელი იმათში გაყო,
ეგროსის იყო ის კლდე მაღალი, სადაც პრომეთე გინდა რომ ნახო.
მეც იქ ვიყავი, ბევრი ვეცადე, ვერ მოვიკალი ნახვის წყურვილი,
მიზნის მიღწევას სჭირდება ძალა, ვერ დაგიფარავს მხოლოდ სურვილი.
იქიდან მოველ გრძელი ხომალდით, მცურავ კლდეების შიში დავლახე,
ერთი გვაქვს ჯიში, წარმომავლობა და არ დავმალავ რაც იქით ვნახე.

**კრეთეუსი** —

აღმოსავლეთი თუ მოიარე, სად ამორძალთა სული ტრიალებს,
ბევრჯერ იქნები ხიფათს ნამყოფი, რა დაგიამებს იმ ძველ იარებს,
მაგრამ ერთია გასაოცარი, თუ მთის იბერთა დალახე კარი,
როგორ დაკარგე პრომეთეს კვალი, რად გაუჩინე ჩვენ რწმენას ბზარი.
თუ ამირანის იცი ამბავი, არ დაგიზოგავს მის ქებით თავი,
პრომეთეს როგორ ვერ მიაკვლიე, ჩამოგვიტანე ზმანება ავი.
ეგება, განგებ მალავ სიმართლეს, გინდა, დაამცრო ჩემი წარსული,
ეგება, სულაც არ გიძებნია, დაგუფლებია, ეგებ, ავსული?
საეჭვოდ მიჩანს შენი მსჯელობა, რაა მიზანი, სიტყვით მცდელობა?
ზოგის ტყუილი მართალი ხდება, ბევრჯერ ცრუვდება მართლის ხელობა,
შორეულ მხრიდან მოსულხარ რისთვის, გულდასმით გისმენ, მინდა, გავიგო,
ტყუილად ცდილობ, ელიოსის მეთ ტკბილი სიტყვებით მახე დაგვიგო.

**კეკროპი** —

ალოასობას, დიდ დღესასწაულს, როცა კალოზე ღერძი ტრიალებს,
ხორბალს იმკიან, კალოზე ფენენ, თავთავზე კევრი მიმოსრიალებს,
ალოასობას, ტყუილუბრალოდ, გერგეტოს გორას ფიცით შეკრული
ვერ შევხვდებოდით, არა გვქონდა ასეთ შეკრების მიზეზი სრული.
ჩემი რჩევაა, თავს ვცეთ პატივი და ნუ გავხდებით ერისხთონი,
როგორც უჭირდა ქალიშვილ მესტრას, მევალეებზე ჰყიდიდა, მგონი.

ასული სხვასთან სახეს იცვლიდა და ისევ მამას უბრუნდებოდა,
ხანგამოშვებით ბედის ბორბალი მესტრას თავს ასე ტრიალდებოდა,
აქ ილი ამბობს, სად და რა ხდება, რა ვიცით იქით, ვით მეორდება,
კრეთევსს, თუ არ სურს, ნუ გაიგონებს, სხვათა ამბავზე რატომ ბრაზდება?

**ამიკოსი —**

მეც დავამატებ კეკროპის ნათქვამს, არაა წესი სხვათა გინება,
სუსტთა ჩვევაა, სხვათა გაკილვით საკუთარი მეს წარმოჩინება.
მეფე კრეთევსი დიდია გმირი, არ შვენის მიტომ ილი-ზე მძვირი,
იმდენად ხდები ბუნებით მწირი, სხვების დაცინვა, რაც იცი ხშირი.
ილი-ზე ითქვა: ეგ უცხოელი. არ ესმის გონით, ვერ წვდება ხელით,
რამდენადაა იგი მართალი, ამ განმარტებას აქ ყველა ველით.
ის, რაც მე ვიცი, არაა სრული, ვისია შვილი, ვისი ძმის წული,
ტმოლოსმა იცის, წვრილად მოგვიყვეს, ეგება, არის რამ სასწაული.
შემდეგ შევხედოთ, თვითონ რას იტყვის, რა კაცი არის, როგორი სიტყვის,
რა აზრები აქვს, როგორ სიმაღლის, რა ფიქრები აქვს, როგორი სიბრტყის..
ეგებ, მოსულა ჩვენს სასიკეთოდ — მომავლის ბედი ერთადა ვჭედოთ,
ჯერ მოვისმინოთ, მერე ვიაზროთ, მოსულთა ნათქვამს როგორ შევხედოთ.

**ტმოლოსი —**

ახლა ვისმინე ბრძენთა სიტყვები, დავეთანხმები, მკაცრი ვიქნები,
რაც კარგად ვიცი, ყველას გიამბობთ, მერე კი სმენად გარდავიქმნები.
როგორც დელფოსში ომფალოსის ქვა ქვეყნიერების შუაგულია,
დასასრულამდე ერთი სიგრძეა სხვადასხვა მხარეს, ვისაც უვლია,
ამ ქვასთან შეხვდა ორი არწივი, როდესაც ზევსმა, როცა ინება,
ჰელიოსის გზა გამოეკვლია და ცაში აჭრის ანიშნა ნება.
ასე ჩვენც ვსხედვართ სამყაროს ჭიპში, კენჭების გროვა გვიჭირავს ხელში,
კენჭის ყრის მერე გამოიკვლევა, ვინ კვდება ტყეში, ვინ სარეცელში.
მივმართავ აქტორს, გაეგონება, აქაველების მოსვლის ამბავი,
ფიცხელი ომი ჰელაზგელებთან, შემდეგ შეკრული ურყევი ზავი.
მრავალი ტომი გაიყო მაშინ, აღმოსავლეთით ბევრი ვიდოდა,
ბევრი დარჩა და შეერწყა მოსულთ, სხვა გზით სხვა არა გამოვიდოდა.
ამ დროს დაემთხვა ღმერთების ომი, რომელს არ ჰქონდა ზღვართა საზომი,
ზევსი გამეფდა, ღმერთებზე ღმერთი, თუმცა სხვაც იყო მეფობის მდომი.
უკვდავთა ბრძოლას ბევრი მოკვდავი, როგორც შეეძლო, ეხმარებოდა,

ბევრი გარბოდა დამარცხებული, ბევრი გაქცეულს უნდა ხლებოდა,
ევბეა დათმო მძლავრმა ნიქტევსმა, თან გაიყოლა ძმა ლიკოსი,
თებეს მივიდნენ, ეს ასე იყო, დამემოწმება კვლავ ამიკოსი.
შემდეგ ლიკოს-მა შექმნა ლიკია და დაასახლა ლიკიელები,
თან გაიყოლეს მოგონებები და წინაპართა დამწვარი ძვლები.
ყველას არ ვიტყვი, გავარდეს ჯანი, მაგრამ უკვდავი დიდი დარდანი
თესალიაში ცნობილი ბრძენი კორინთოს ფლობდა საკმაო ხანი.

**ამიკო-სი —**

უმშვენიერეს აზია-საგან იაპეთს ჰყავდა მრავალი შვილი.
პრომეთეს შემდეგ იყო ატლანტი, მძლავრი, ამაყი და მხრებგაშლილი,
მისი მოდგმაა ატლანტიდები, საპყლაზგოში რომელიც ხარობს,
ქალიშვილებიც ჰყავდა ლამაზი და მათი ჯიში ქმრის გვარზე გვარობს.
ელექტრა გახდა ზევსის ტრფიალი, არ დაიმალა თვალთა ბრიალი,
ერთად ეყოლათ მძლავრი დარდანი, თესალიელთა გონი და ძალი.

**ტმოლოსი —**

როცა ღმერთების დაიწყო ომი, არ არის ჩემგან გამონაგონი,
პრომეთეს მოდგმამ ძმის მოდგმას უმტრო, სიკვდილის თესლი
მიუზღო წონით.
იასიონი ემსხვერპლა ამ ომს, ძლეული იქნა დიდი დარდანი,
იძულებული ილტვოდა გმირი, პრომეთეს მოდგმას დაუგდო განი.
თან წაიყვანა შვილი იდეო, გადაიარა სამოთრაკია,
ძნელია ბედი დამარცხებულის, სხვა მხოლოდ ფუჭი ლაპარაკია.
სრუტეს გადვიდა, ფრიგიას მოხვდა, აქ დააწყნარა დარდანთა მოდგმა,
ნახეს სოფელი აყვავებული, შეწყდა დევნილთა ვიში და მოთქმა.
მეფე თევკროსი, ბრძენი მსაჯული, მოსულებს დახვდა, ვით მასპინძელი,
გული გაუხსნა, ნუგეში მისცა, ვინც გამოსცადა ცხოვრება ძნელი.
დარდანი მალე ესიძა თევკროსს, ახლად ახალი შექმნა კერია,
ერთს თუ დაკარგავ, მეორეს ჰპოვებ, ისიც კაცისგან მისაფერია.
სიმამრის რჩევით იდის მთის ძირას, სად წყაროები უხვადა დიან,
შექმნა ქალაქი დარდანთა მეფემ, მას დარდანოსი დღესაცა ჰქვიან.
ბატეიასგან დარდანს ეყოლა სამი ვაჟი და გოგო სიბილა,
თუ ენდობოდა თევკროსი სიძეს, სიძემ სიმამრი არ გააწბილა —
ლიკიელები, ფრიგიელები, დარდანელები ერთნია ძირით,

კაცთა ერთობა-სიძლიერეა, არ დაიშლება ნათქვამი მძირით.
როცა დარდანის ტანჯული სული ღმერთებმა იხმეს, თან წაიყვანეს,
მისი მემკვიდრე დარდანელებმა მეფედ დაისვეს, არ დაახანეს.
ერიხთონ იყო მეფე კეთილი, სწყალობდა ყველას, თქმა უნდა ამას,
ამიტომ იყო, დარდანელები მას უწოდებდნენ მეფეს და მამას.
სამი ათასი ფაშატის პატრონს, ვისაც ულევი ჰქონდა ქონება,
მძლავრი მახვილი ჰქონდა მტრისათვის და მოყვრისათვის მძლავრი გონება.

**კეკროპი —**

შენ ამბობ იმას, რაც იყო წინათ, რაზე ცნობები მოგვსვლია მწირად,
რაზე აზრის თქმა გვეადვილება, რისი დაკარგვა გვიღირდა ძვირად.
მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის, რად შემოვკარით განგაშის ზარი?
რად შევიკრიფეთ? — ენა ვაქციეთ, სიმართლის დაცვას ხმალი და ფარი.
რა შუაშია საქმესთან ილი, ვისია მოძმე, ვისია შვილი?
დარდანელების გადახვეწაში რა აქვს სადაო და რა აქვს წვლილი,
გამოვარკვიოთ მიუოლით ყველა, რას ვერჩით ახლა, ვერჩოდით ძველად,
სხვათა ამბები საინტერესო მოვიხმოთ მხოლოდ აზრების მცველად.

**კრეთევსი —**

ვეღარ გავიგე, ბრძენი ამიკოს, ისე არაა, ასეც არ იყოს,
იყოს, არ იყოს, ვინ რა გაიგოს, ერთი სიმართლე მრავლად გაიყოს?
სხვამ თუ რამ იცის, ცოტა მეც ვიცი, სხვა თუ ცხენია, აღარ ვარ კვიცი?
დარდანელების ორპირობაზე ბევრი მსმენია, არ უნდა ფიცი.
მხოლოდ ის რად ღირს, რაც ქნა იდეამ, როცა შეიქმნა ფინევსის ცოლი,
გერებს დასწამა უცილოდ ცილი, თითქოს შებილწეს მისი საწოლი.
პატივის ახდა უნდოდათ თითქოს, მარტო მოიგდეს, მალა იხმარეს,
თითქოს დასდევდნენ, დროს იხელთებდნენ და უმწარებდნენ ყოველ ცისმარეს.
მეფე ფინევმა ეს დაიჯერა, არ გაიკითხა და არ განსაჯა,
ვაჟებს დასთხარეს მყისვე თვალები, ცილნაწამებნი ასე დასაჯა.
კალაისისა და მეტეს ცოდვა დარდანიდებმა ხომ უნდა ზიდონ,
ცოდვილიანი გვარის არიან, რამდენიც თავი არ გამოიდონ.

**ილი —**

მე დავიმოწმებ მეუფე კეკროპს, ერთგულთა მამას და მტრების შემპყრობს,
ახალი პური სიამით გვავსებს, მოძველებული გადაიკრავს ობს.

ასეა კაციც, ღმერთების ნებით, თუ დასდევს მარცხი, ჯადო და ნავსი,
გადაშენდება იმისი მოდგმა, გადაეყრება დუმილის ხავსი.
დარდანებს დასდევს ღმერთების რისხვა, ეტყობა, ძველმა ცოდვამ უწია,
თუ არ გაიღეს ღირსი ზვარაკი, ან მშობელს თავი არ აუწია,
დარდანის ასულ იდეას ლანძღავს, კრეთევსის სიტყვას ღვარძლი თან ახლავს,
ბევრი სხვაც ვიცი ცოლის მწამები, ბოლოს ნანობს და ქვაზე თავს ახლავს.
რასაც შენ ამბობ, არავინ იცის, არის მცდარი თუ არის მართალი,
არავინ არის ამ საქმის მომსწრე, აქ მყოფს არავის მოუკრავს თვალი.
შორს წასვლა ან კი რა საჭიროა, ახლო შევხედოთ ისეთი დროა,
ამის მიხედვით კაცსაც შევხედოთ ვინ საამოა, ვინ საავდროა.
მე არ ვამტკიცებ, შენზე ამბობენ, ობლობით ზარდე ძმისშვილი ტირო.
თავს ევლებოდი, გიყვარდა ძლიერ, ახლა გეტყვი და უნდა გატირო,
ჯერ კიდევ მცირეს მიუწექ გვერდით, ძმისშვილს ნამუსი ასე ახადე,
თუ გენდობოდა, რად ჰქმენ სიავე, ქვეყნის სალაყბოდ ტირო გახადე.
კაცი ძმისშვილთან თუ ასე გმირობს, რად არ შეეძლოთ იგივე გერებს?
შენი სიავე სხვისით მორეცხო, ასეთ გმირს სიტყვას ვინ დაუჯერებს?!

**კრეთევსი —**

გაზღვევინებდი სიბილწით ნათქვამს, ვინმეს ეგ სიტყვა მართლა ეჯეროს,
ტირო ღვთის მადლით ჩემი ცოლია, არ ვეფარები შენსავით ჩეროს.
შენ რომ გქონოდა ქვეყნად კაცობა, დაგვჭირდებოდა ცნობა — არ ცნობა?
სიტყვას მისდევ და საქმეს გაურბი, ასეთი მოგდგამთ გვარში ანცობა.

**ილი —**

ეს მართალია, ტირო შეირთე, როცა ეყოლა ნაბუშარები,
მაგრამ მანამდე ხომ შეაცდინე, ნახე, საიდან მოდის შარები.
რაც შეეხება ცნობას, არ ცნობას, არ ავყოლილვარ უგვანო გრძნობას,
რა არის ცუდი? განაყარ ძმებთან მსურდეს ერთობა, ვეძებდე ძმობას?
ძალზე სულ გრძელი გასულა ხანი, როცა კორინთოს ფლობდა დარდანი,
იქვე დავბრუნდე, ეს რომ მინდოდეს, ღირს თუ არა ღირს? — გამოიცანი.
რაც შეეხება გვარსა და მოდგმას, თუმცა არ მსურდა გვარს შევხებოდი,
მაგრამ არ იშლი, ამიტომ გეტყვი, და–ძმებს ხომ მაინც ხშირად ხვდებოდი.
კანაკე გყავდათ ულამაზესი, ნაზი გოგონა ძმამ შეიყვარა,
ხშირად უყოფდა ღამით სარეცელს, მიტომ არც ერთმა არ გაიხარა.
მამამ გაუგო შვილებს მრუშობა, შენმა ძმამ როს სცნა, მოიკლა თავი,

შენი და მამის ხელით მოიკლა, ასეთი მოხდა ზმანება ავი.
ამას რომ ვამბობ, კი არ მიხარის, ჩემი თუ სხვისი ცუდი-ცუდია,
სანამ იტყოდე ცხრაჯერ აზომე სხვას საპასუხოდ გულს რა უდია.

**კეკროპი —**

ვით მონადირე, სმენას რომ მაბავს, თვალს ამახვილებს, მზეს მოუჩრდილებს,
სიფრთხილეს იჩენს, ნადირს არ აფრთხობს, ისარს შეურჩევს მხოლოდ მოზრდილებს.
გმართებთ ასევე სიტყვის მოზომვა, გერგეტო, იცით, რა ადგილია?
სიკეთის ნაცვლად წყევლას მოიმკით, ის თუ მნელია, ეს ადვილია.
მე შეგახსენებთ ერთ სამწუხაროს, დაუდევრობა როგორ შობს წყაროს,
როგორ გაჩნდება სიკვდილის ლანდი, სად სიყვარულმა უნდა იხაროს.
კეფალოს იყო ლამაზი ვაჟი, უფრო განთქმული, ვიდრეა ვაზი,
მონადირე და გმირი უებრო, სიკეთის მთესი, ბედის ნახაზი,
პერსას ვაჟს ჰყავდა ცოლად პროკრიდე, არ შეულახავს კერიის რიდე,
მაგრამ ღმერთებმა განსაჯეს სხვაგვარ, მათ ნებას, გსურდეს, ვით გადახვიდე?
ჰელიოსის და ტურფა ეოსმა, ვისი თვალები ადრე ენთება,
მზერამ მოჰკიდა ერთხელ კეფალოს, თან წაიყვანა, ასე ენება,
ცოლის ერთგული დაღონდა გმირი, აღმოხდებოდა მას ოხვრა ხშირი,
პროკრიდეს იქით ცხოვრებაც ჩაკვდა და არც სიცოცხლე უღირდა ძვირი.
ეოსმა იგრძნო ვაჟის ბუნება და არც უგრძვნია შემობრუნება,
გაუშვა: გცადე, შენც ცოლი სცადე, რაა ქალი და ქალური ნება?
შინ გადაცმული მივიდა ვაჟი, უცხო, ლამაზი, ქცევით გიჟმაჟი.
ქალთან სიყვარულს ცისმარე თესდა, სიმხურვალეზე დნებოდა კაჟი,
ქალიც დადნა და ვაჟს გაუღიმა, გულში ჩაუდო იმედის თესლი.
ასედაც ხდება, რისხვა ალერსობს, ალერსის ჟამს კი იღვრება გესლი.
უპირობო ცოლს დაშორდა ვაჟი, თან დაიტოვა გულის იარა,
ელანდებოდა პროკრიდეს სახე, სადაც იყო და სადაც იარა,
გულმა ვერ გაძლო და გული ტოლი ცრემლდადენილმა შემოირიგა,
ესე ამბავი რომ არა ეოს, დამთავრდებოდა ასე, ამრიგად.
პროკრიდეს უთხრეს თან საიდუმლოდ: ქმარი სხვას ეტრფის, ვიცით უცილოდ,
დღისით რომ უმღერს სასიყვარულოდ, ღამეს ატარებს მასთან უძილოდ.
სანადიროდ რომ წავიდა ქმარი, დაეჭვებული აუძღვა ცოლი,
სურდა, ეხილა ქალი უსირცხვო, ვინაც გაიყო მისი საწოლი.

ტყეში ამღერდა კეფალოს გრძნობით, ბუჩქს უკან მჯდომი მზერდა პროკრიდა,
ცნობისწადილმა დასძალა ქალი, ბუჩქის შერხევას არ მოერიდა,
ბუჩქის შერხევა იგრძნო კეფალომ, იფიქრა, ნადირს გადაეყარა,
იძრო მახვილი, ბუჩქს მოუქნია და ცოლს მუცელში კი გაუყარა.
შეწუხდა კაცი, მოუკვდა გული, დაობლდა კერა, დარჩა დაგული,
ვით ცოლის მკვლელი, თუნდ უნებლიეთ, ქვეყნიდან იქნა გამევებული.
ათენში მოხდა, რაც მე გიამბეთ, თქვენც ათენში ხართ, ესეც იცოდეთ,
მკაცრად მოზომეთ თქვენი სათქმელი, რომ გეპატიოთ, რაც ახლა სცოდეთ,

**კრეთევსი —**

მე სალმონევსის სულს დავიფიცავ, ნელ ცეცხლზე დამწვან, ჩამულაპოს მიწამ,
აგორას წესებს რაც შეეხება, ღმერთთა კარნახით მივდევ და ვიცავ.
მაგრამ ვიღაცა გადამთიელი, არც თუ ჭკვიანი და არც სულელი,
ელინის მოდგმას მამულს რომ გვართმევს, მე სამეგობროდ ვით მივცე ხელი?
დარდანი, თუკი კორინთოს ფლობდა, სადღა გარბოდა? — ნუთუ, ვერ გრძნობდა?
რაც დაგიკარგავს დაკარგულია, გაქცევის გეგმას რატომ აწყობდა?
ახლა ამას სურს, სიზიფეს მერე სამეფო ძღვენად მივცეთ კორინთო,
სადაურია, სიდან მოსული, სიხარბის გრძნობა რატომ აინთო?

**ამიკო-სი —**

კარგია, როცა დიდი წარსულით კაცი ლაღდება, ცოტას ამაყობს,
მაგრამ გონება თუ დაგებინდა, ასე ტრაბახი მერე ვის აწყობს?
კრეთევსი აქებს ეოლოსის მეს, რომელს ეგონა, რომ იყო ზევსი,
უკვდავებსაც კი ტოლს არ უდებდა, თუმცა რჩებოდა კვლავ სალმონევსი,
ძღვენს ღებულობდა ღმერთებზე მეტად, მოოქრვილ ეტლით იარებოდა,
ცაში ჩირაღდნებს ისროდა ეშხით, ზევსს, მეხისმტყორცნელს, ეჯიბრებოდა.
განრისხდა ზევსი ღრუბელთმარეკი, ელვა და მეხი უდიერს სტყორცნა,
ენარეტესთან ერთად ჩაფერფლა, არ დააცალა ალერსი, კოცნა.
ამპარტავნობა დასასჯელია, მან ჩვენ, მოკვდავებს გვაუწყა ამით,
კრეთევსს ვურჩევდით, ნუ ბაძავს მამას და გაიხსენოს ჟამითი ჟამით.

**ილი —**

მადლობელი ვარ ამ შეგონების, მართალი სიტყვის უკვდავი მცნების,
თავმდაბლობაა კაცის სიმდიდრე, გამოსახვაა ღვთიური ნების.

მე თუ რამ დამცდა გულის სატკენი, გონების ცოდვა გრძნობის საწყენი.
მოვინანიებ და დავამტკიცებ, რაც ჩავიდინე, განზრახ არ ვქენი.
მადლობელი ვარ მოთმინებისთვის, მეფე კენტავრის და არხონტების,
მოძმე ვარ მუდამ ბრძნული თათბირის, გულიდან შურის, ღვარძლის ოტების,
მეფეთ მივმართავ, ქებას არ ვიტყვი, სად შეკრებილა გმირი ამდენი,
მრვალ ქალაქთა აღმშენებელი, მრავალ ზღაპრული საქმის ჩამდენი?
დღეს აქ მოსულთა უნდა განსაჯოთ, თუ ტყუილს ვამბობ, მზადა ვარ მტანჯოთ,
თუ მართალი ვარ, მომეცით ჩემი, რომ საიქიოს არ დაისაჯოთ.
ადრე ვამბობდი მოგონებებში მეხმარებოდა მეფე ტმოლოსი,
სადაც მეფობდა დიდი დარდანი, რა შვილი იყო ის სამშობლოსი.
ვინ აიმულა, რად აიმულა, სხვისთვის დაეთმო კორინთო სრულად,
ბევრი ემია ბევრი მიეღო და წასულიყო იქ გულნაკლულად.
დარდანის შვილი იყო ერიხთონ, მე მისი ვიყავ შვილი უფროსი,
მრავალი ჰყავდა ერიხთონს ვაჟი, ჩემი მომდევნო კი იყო ტროსი.
მამის მეფობა მე მერგო წესით და თუმც ვიყავი სიკეთის მთესი,
ცოლს არ ეყოლა ჩემგან მემკვიდრე, რა იქნებოდა სხვა უარესი?
დავღონდი ძლიერ, მიყვარდა ცოლი, მეტად მიყვარდა ჩემი ქვეყანა,
იდის გრეხილზე ხშირი ტყეები, ხშირი მდინარე, გაშლილი ყანა,
ვიფიქრე ჩემთვის: რას ემგვანება, მე თუ უშვილოდ გადავეგები?
რა პირით ჩავალ აიდთან უძღვნოდ, მშობლებს რა პირით შევეგებები?
მე ერიხთონის უფროსი შვილი მეფედ შთენილი, მეფის უფლებით,
თუ ვერ შევუქმნი მამულს მომავალს, რატომ ვმბრძანებლობ, რა ვუუფლები?
არადა, მამას, ასტიოქესგან სიმოენტისა იყო ასული,
ჰყავდა სხვა ვაჟი, გითხარით, ტროსი, შვილთა მოყვარე წრეგადასული,
როცა ვიხილე, კილიროესგან ეყოლა ვაჟი ერთი, მეორე,
შემდეგ გოგონა და შემდეგ ბიჭი მათ შემართებით გაიმეორეს,
ჩემს თავს ვუბრძანე: რაა მეფობა, თუ არ მიეცი ქვეყანას შვება,
თუ არ შეუქმნი ნათელ მომავალს, თუ ისმის მხოლოდ კვნესა-ვაება?
განა, რამდენი უნდა ჩაიცვა, რამდენი უნდა ჭამო, დალიო,
თანამოძმეთგან მოძულებულმა ოქროში მჯდომმა სული დალიო?
რამდენად მიჯობს თავისუფლება, არც ვბატონობდე, არცა ვმონებდე,
სხვა უკეთესი რა არის ქვეყნად, ვიფიქრებ, თუ რას მოვიგონებდე?
არადა, ძმას ჰყავს უფროსი ვაჟი, ჩემი დაარქვა ჩემ ძმამ სახელი,
იზრდება ბიჭი ღმერთთა საკადრი და უკეთესის არ ვარ მნახველი.

ჩემს შემდეგ უნდა ერგოს მეფობა, ჩემი ქვეყანა ამ ბიჭმა მართოს,
ვიჯდე კუთხეში მოხუცებული, რამ გამამხნევოს და რამ გამართოს.
მოვუხმე ჩემს ძმას, ვუთხარი ასე: მშობლებმა მოგვცეს ქვეყნად ერთობა,
ერთადა ვცოცხლობთ, სიკვდილის შემდეგ ერში დარჩება ჩვენი ღმერთობა.
თუ სიბრძნით განვსჯით დიდს და პატარას, მოვუფერებთ და გამოვადგებით,
რაა სიცოცხლე დაბადებულის, გარდუვალ სიკვდილს შეხვდეს გაგებით.
მე ვარ უშვილო, ასე ყოფილა იდის მთის წვერზე ღმერთების ნება,
ასე მოვკვდები, გადავეგები და დაიწყება ჩემი გინება.
მაგრამ თუ ახლა დავთმე მეფობა, სანამ ჭრის მალა და მაქვს გონება,
თუ ერს ვუთხარი, რა საჭიროა ჩემი მეფობა, თქვენი მონება?
წავალ, სხვა მხარეს გადვიკარგები, აქ დარჩებიან ჩემი კარგები,
მახსოვრობაში დავრჩები თქვენი და წარსულებთან პასუხნაგები,
იქნებ, სადღაცა ბედსაც ვეწიო, იქნებ, სადღაცა შევქმნა კერია.
თორემ დავდივარ თქვენში ეული, რაც ვიცი, ისიც კი ამერია.
ტროსი დარჩაება დარდანთა მეფედ და მამის მერე მმისწული ილი.
ილი წავა და დარჩება ილი, ეს არის ჩემი სამეფო წვლილი.
არ მთანხმდებოდა ძმა და მოყვარე, სევდას ტიროდნენ, მე რომ მოვგვარე,
მეფე ვიყავ და ჩემი გავიდა, ძმა ძმამ შემცვალა, გვარი–მოგვგარემ
დავაგდე კერა, თავაშვებულმა ბევრი ვიარე აღმოსავლეთით,
არ ვიტყვი, გული მიიმღეროდა — დამსველებია თვალები სევდით.
სამი ფაზისი გადავიარე, ქართის იბერი, მთის იბერები,
ბოლოს ეგროსის მხარეში მოვხვდი, არის საფერი და სამღერები.
იბერიული ჯიშის ტომები, ვისაც შეერქვა ქალდეველები,
პონტოს ზღვის იქით მიმოფანტულან, ურმიის ზღვამდე უწვდინეს ხელი.
ბევრნი არიან, ბევრის შემძლებნი, კავკონთა მთებიც გადაუვლიათ,
რომ შორი მხრიდან მოსულებია, ბევრ ტომს აღარც კი ახსოვს სრულიად.
ჰელიოხებში გავიდგი ფესვი, სადაც ეგროსი მეფობდა ადრე,
მიმიღეს შვილად, ვარქვი მშობელი, ასე შემხვდნენ და ასე შევკადრე.
იქ მოხუც მეფეს ეგროსის მოდგმის გრძნეული ჰყავდა კოხტა ასული,
პერიმედეო — ასე ეძახდნენ — ბრძენი მკურნალი წრეგადასული.
მეფეს ვუამბე ჩემი ცხოვრება, მოდგმა, მეფობა, გზაში წვალება,
ქალიც ისმენდა ლტოლვილის განცდებს, ცრემლმორეული, საცრისთვალება,
რად გავაგრძელო, ცოლად შევირთე, თუმცა იცოდა, ვიყავ უშვილო.
მიმკურნალა და გვეყოლა ვაჟი, ჩემი ნაჭედი არის უწილო,
იქ ღმერთები ჰყავთ, უმეტეს კაცთა პელაზგიური და ქალდეური,

აქედან იქით გაუოლილების და დამხვდურების ზავია მმური.
მკითხავმა მითხრა, იმქვეყნის მხრიდან რისხვას მიგზავნის დარდანის სული,
ვერ უპოვია მყუდრო ადგილი, თუმცა დიდია ჟამი გასული.
მითხრა: ვალი მაქვს, წარსულთა სულებს უნდა მივუზღა საღმრთო დელფოში,
კორინთო იყო დარდანის წილი, კორინთო შევა ჩემს სამეფოში.
სხვა გზა არ მქონდა, მაღლა ღმერთებმა თუ ითათბირეს, ასე განსაჯეს,
ზევსის მოდგმის ვარ, მას ვეწირები, როგორც ისურვეს, ის მომისაჯეს.
ფეხი ვითრიე, მაგრამ მისჭირდა, პელაზგიოსში ჩამოველ გემით,
ნურავინ იტყვის, არა მწამს ღმერთი, და ულმერთობას ნუ მივეცემით.
დღეს აქაც ითქვა, ვინც იამაყა, ვინც მოინდომა ღმერთის ტოლობა,
კაცი იყო და ვერ ივაჟკაცა, ქალმა ვერ შეძლო სხვისი ცოლობა,
გზად მეონიის მეფე ვიახელ, კაცი ბრძენი და გამოსაჩენი,
პატივი დამდო, კეკროპთან მიმყვა, ერთად ჯაფაში ვატარეთ დღენი,
დღეს, აგორას ვართ გერგეტოს მთაზე დღეს აქ ბრძენები და არხონტები,
კენჭების გორას ააგორებენ, რომ უკეთესად დავთვალოთ ხმები.
მე ვითხოვ მამულს მამაპაპეულს, სად წინაპრები სწევდნენ აპეურს,
სად არის ჩემი სისხლის ყივილი, რაც გრძნობას უნდა და გონებას სურს?
პონტოს გადაღმა ჩემი სამეფო, პონტოს გაღმოღმას თუ შევუერთე,
როგორც მკითხავმა მითხრა წინასწარ, დელფოში ზვარაკს შევწირავ ღმერთებს.
აქედან იქით, იქიდან აქეთ, მე გავამრავლო კორინთელები,
ძლიერები ვართ ზევსის შვილები — შორს გავიწვდია მიტომ ხელები.

**ქორო —**

შენი აზრები გასაგებია, კლდის სამირკველზე ანაგებია,
შენი რაც იყო, დაერქვას შენი — სხვისი არავის არ შერგებია.
მე თუ მკითხავენ, აქ ბევრმა იცის, არ ავჩქარდები — გავხდები ცეტი,
არხონტები რომ მოგვიყვანია, იმათი არის გადასაწყვეტი.
ბრძენო-მამანო — მე თქვენ მოგმართავთ! ქვეყნის იმედად იმიტომ ყავხართ,
არც ოქრო გატკბობთ და არც წოდება, ქალს აყოლილიც არავინ ჩანხართ,
უნდა აწონოთ, როგორც თემიდა აწონის ხოლმე კაცთა ბედიღბალს,
სადაც არ არის, არ ეძებს კატას, ტყემალზე მჯდომი არ მიირთმევს ბალს.
ჩვენ მოვისმინეთ ამბავი გრძელი, ვერ მიხვდებოდა მხოლოდ სულელი,
უნდა განსაჯოთ, ვინ რაში ცრუობს და აღსარება ვისია წრფელი.

**აქტორი** —

ის, რაც აქ ითქვა არის მართალი, რატომ დავხუჭო მზის შუქზე თვალი?
საჰელაზგოში აქაველებმა რომ აამღვრიეს დამხვდურთა წყალი,
მგრამ ისიც ვთქვათ, აქაველები არ იყვნენ უცხო ჯურის შვილები,
მიწევ-მოწევა როცა დამთავრდა, არ დარჩნენ სხვებზე გულმოკლულები.
თანაც ისიც ვთქვათ, ყველა მიწები არ დარჩა ჩვენი დასაფიცები,
ჰე-ლაზ-გებისა ჰე-ლაზგებს დარჩათ, ვფიცავ, ტყუილში არ გავიცვლები.
რაც შეეხება დარდანის ამბავს, ჰელინთა ბრძოლას თუ ვინ მიაბამს,
იგი მიხვდება ილის სიმართლეს, რაც ითქვა ტყუილს რომ არ მიაგავს.
ამიტომ, ვფიქრობ, ჩემი ნაფიქრი აქაველების ყველას აზრია,
ვინაც იმალა, აგოს პასუხი, რად მოატარეს ილის აზია?
და დღეს თუ მისი მველი მამული უმეფოდ არის მაინც შთენილი,
მას დაუბრუნდეს, ვისაც ეკუთვნის და გმირი არის გამოჩენილი.

**ამიკო-სი** —

მეც დავამატებ აქტორის აზრებს, თუმცა არ არის იგი მისანი,
მაინც ღმერთების გვითხრა სათქმელი, სიმართლე არის მისი მიზანი.
ჩვენ, კენტავრები, მთა-ტყის შვილები, გამოქვაბულში გამოზრდილები
არ ვეტრფით ოქროს, არცა მეფობას, ვსწავლობთ, ვასწავლით და ვართ ზრდილები,
ამიტომ ჩემთვის უცნაურია, დარდანს ჰელინმა რად აურია,
ყაჩაღს ყაჩაღი თუ მიუჩინე, ყაჩაღის ცოდვის საზღაურია?
ღმერთთა სამართალს სად გადაუხვალ? — მოგეკითხება დღეს თუ არა, ხვალ.
ვერ დაგიფარავს მარჯვე ტყუილი, დამალვა გსურდეს — საითკენ წახვალ?
თუკი დარდანი კორინთოს ფლობდა, იმის მოდგმაზე უპრიანია,
რომ დაიბრუნონ იქვე მეფობა ადრე იქნება, თუ გვიანია,
მით უფრო, როცა კორინთოს მხარე მეფის გარეშე არის მწუხარე,
უპატრონობა ეტყობა ყველას, გადასხმული აქვთ თავზე მდუღარე.
ილი კი, ვინაც მოვლო სოფელი, ჰელიოხებში არის მეოფელი,
კავკონთა მთებსა და ფაზისს შორის სამეფო უძევს განუყოფელი.
შესძლებს, ბედკრული წამოახედოს, უმეფო მხარე ახლად გახედნოს,
კორინთოს მხარე შორეულ მხარეს, რომ ჩაეხუტოს და გადაედნოს.

**კორიფეი** —

რა იოლია სიტყვით□ჭიდილი, როდესაც საქმე სხვას შეეხება,
მაგრამ, მითხარით, რომელი არის, თავისი დათმოს რომ დათანხმდება?
პელინმა, განა, მიტომ იომა, განა, იმიტომ შექმნა სამეფო,
მაღლი არ გვავდეთ — კატა მიუშვათ, თანაც მოსთხოვო, მაღლებრ
დაუეფოს?
დღეს ძალა არის მუდამ მართალი, მან გადაწყვიტოს დღეს სამართალი,
ვინც ძლიერია, იგი გამეფდეს, ვინაც სუსტია, დაევსოს თვალი,
მე ილის ვიწვევ ორთაბრძოლაში: შუბის ქნევაში, ისრის სროლაში,
თუ ძლიერია, მიაღწევს მიზანს, სიამე ნახოს მეტოქის კვლაში.
რადგანაც მე ვარ ეოლოსის ძე, სიზიფოსის ძმა — ერთი სისხლისა,
კორინთელებზე მე ვაგებ პასუხს, მიმყოლიცა ვარ მისხალ–მისხლისა.
მე თუ მომკლავენ, სამაგიეროდ, ერთის მაგიერ ცხრა გამეზრდება,
ილი იქნება თუ იმისი ძე, ეს ჩვენი მტრობა ხომ გაგრძელდება?
რატომ გავწელოთ დროში სათქმელი, რად არ დავხუროთ კოკას სარქველი?
რად ვუპატრონოთ ვინც მოსულია, რად ვაწყენინოთ, ვინცაა ქველი?
ჩემი აზრია, ილის მოთხოვნას უარი ვუთხრათ და დავივიწყოთ,
წარსულში რატომ ვეძებოთ ხვალე, შენების ნაცვლად დანგრევა ვიწყოთ.

**ილო** —

მე არავისი არ მაწრჩობს ბოღმა და არავისი არა მაქვს შური,
ღმერთების ნებით მოვსულვარ საძმოდ, სხვა მელოდება საქმე საშური,
მე არ მოვითხოვ სხვის წილხვედრ ლუკმას და იქით მივცემ, ვისაც აკლია,
მაგრამ არა ვთქვა, რაც ეკლად მესმის და რაც კრეთევსის დიდი ნაკლია?
არ იქნებოდა ეს გულწრფელობა — არ ვიქნებოდი ქვეყნად საჩენი,
არც ის კაცი ვარ, მშვიდად ვითმინო, ვიღაცამ ლანძღოს ჩემი გამჩენი.
ჯერ კი ვიფიქრე: ახალგაზრდაა და დაღვინება სჭირდება დიდი,
მაგრამ, როდესაც წრეს გადავიდა, მენიშნა: განა, ამისთვის ვვლიდი?
ამიტომ მოვჭრი: თემის თავებო, მეფენო, ღმერთებს დანადარებო,
განსაჯეთ თქვენ და უყარეთ კენჭი, იყოს შედეგი რამ სადარებო!
კრეთევსს კი, რაკი ძალუმად უნდა, დავთქვათ ბრძოლის დრო, მისი ადგილი,
ვისაც დიდი ზღვა გადაუცურავს, წყაროს გადავლა არის ადვილი.
სხვას არას ვიტყვი, ბევრის მთქმელობას, კუდაბზუობას, კაცთან მელობას,
სჯობს, თავთან იყოს მიწყივ მართალი და არ აკლებდეს საქმეს მცდელობას.

**კეკროპი**

მორჩა მსჯელობა და არხონტთ ვეტყვი, ვინაც ნათქვამის იციან ფასი,
ვის აუწონავს მრავალი საქმე, მოუსმენიათ მრავალ ათასი.
აქ ისეც ითქვა და ითქვა ასეც, ჩვენი ვალია, განვსაზღვროთ ყველა.
ნუ დაგვაფიქრებს მოყვასის ვალი, ნაცნობის ვალი, მეგობრის შველა,
ჩვენ გვევალება, ვუსმინოთ ღმერთებს, იმათი გვმართებს თავს სამსახური.
მიწიერ ამბებს ნუ გადავყვებით! არცა გვჭირდება ფუჭი ხმაური,
კარგად დაფიქრდით და შემდეგ კენჭი თამამად დადეთ იქით ან აქეთ.
ცდუნების კარი უკან დასწიეთ, ჭეშმარიტება ადიდეთ, აქეთ!

(არხონტები ყრიან კენჭს. დათვლის მერე კეკროპი აცხადებს):

კენჭისყრა შედგა. მისი შედეგი ზოგს ეამება, სხვათ გაამწარებს,
გამარჯვებული ნუ გალაღდება და ნუ შემოჰკრავს მეტოქე ზარებს.
დღეს აქ გაცხადდა: კორინთოს მხარე დაუბრუნდება დარდანის მოდგმას,
კრეთევსს შევთხოვდი, გამწარებული აქ ნუ მოჰყვება მუქარას, მოთქმას.
თუ სურვილი აქვს, კორინთოს მეფეს, ილის შეხვდება ის ბრძოლის ველზე,
იქ გაარკვიოს თავის სიმართლე, თუ სატევარი არტყია წელზე,
თან დავამატებ: ილის რომ ვუცქერ, მაგარი ჯანი, მაღალი ტანი,
მას ხელეწიფის, ფლობდეს კორინთოს, სადაც მეფობდა ერთ დროს დარდანი.


ხაები

(კოლხთა მეფის აიეტის სასახლე)
(1460 წ. ძველი წელთაღრიცხვით)

**არგო —**

საჰელაზღვიოს ეღება ბოლო, იდარდე ძმაო, შვილო და ცოლო
ჩვენი მამული იონელთ რჩებათ, ჩვენ მოგონება შეგვრჩება მხოლოდ.
სახსენებელი თუ წაიშალა, ნატვრისაც აღარ გვექნება ძალა.
რაც გაღმითაა, დაერქმის მისი, კოლხიც ვერ გაძლებს მტრებს შორის ცალად.
ჰელაზღვთა, ლაზღვთა, ლაზთა მიწები, შემოვიარეთ, დავხარჯეთ შრომა,
ყველგან დაცემა, უსასოობა, კაცთა რისხვაა თუ ღმერთთა წყრომა,
ვინღა გადარჩით? აქაველთ გარდა, ლელეგ-დარდანნი არიან ძველნი,
თესალიაში ალბან-იბერნი, ბეოტიაში — მირმიდონელნი,
ევბეას სახლობს აბანტთა მოდგმა და ფრიგიელებს ეკუთვნით ტროა.
მხოლოდ მინოსი მძლავრობს კრეტაზე. განგაშის ზარებს ჟრეკავდეთ, დროა.
შენ გახსოვს, დედა, როდესაც ძმებმა ორქომენისკენ ავიღეთ გეზი,
ჰაფლაგონიას ვნახეთ ოდიოს — აქეთკენ მტრების კარის ჩამრეზი.
ტროადან იქით, გრძელი ხომალდით, გავცურეთ, დაგვხვდა მამის ქვეყანა,
ათამანტს ვუთხარ, ვართ ფრიქსეს ვაჟნი, დედამ ნიშანი გამოგვატანა.

**ქალკიოპე —**

მერე რა გითხრა მოხუცმა ბადიშს?

**არგო —**

ბრძანა, ნუ ელი სინანულს, ბოდიშს,
თუმც ვარ მოხუცი, უმემკვიდრეო, არ მივცემივარ მრწოლასა და შიშს.
თქვა: მამაშენი, მამიდაშენი, ჩემი შვილები ფრიქსე და ჰელე
არიან ლაზღვთა მოღალატენი, სულწარწყმედილნი, ასე სწამთ ძველებს.

**კიტი სორე —**

მე ასე ვიცი, დედავ — უფალო, ჩემ ძმებსაც, ვფიქრობ, ემახსოვრებათ:
ბადიშებს რას ვდევ, გვითხრა მოხუცმა, როცა უშვილოდ განვვლე ცხოვრება.
ინო მყავს გვერდით, როგორც იმედი, ჩემი შვილების დედის ნაცვალი,
ერთგული ქალი, გულით საწყალი, მან ამიხილა შვილებზე თვალი.

ფრიქსეს ღალატი მისით გავიგე, მისთვისვე ეთქვა სულ ადრე მისანს:
თუ ყელებს დაჭრით ფრიქსეს და ჰელეს, თქვენი სამეფო მიაღწევს მიზანს.

**ქალკიოპე —**

ჯერ მამათქვენის არ ვიყავ ცოლი, როცა მწუხარი ცრემლით ყვებოდა,
ინოს მზაკვრობით ობოლმა და-ძმამ, როგორ დატოვა მშობლების ოდა.
ჩუმად ნახარში ხორბლის მარცვალი მთელ სამეფოში დაათესინა
და რომ ვერ მომკეს სხვა მოსავალი, შიმშილით მკვდრები დააწყეს ზვინად.
რა გვიშველისო? — ამბის გამგებად დელფოს გაუშვეს ინოს მსახური,
შვილთა დახოცვა, — უთხრეს ათამანტს, — ღმერთებს არ უნდათ
სხვა საწყაური.
და, რადგან ინო, უცხოტომელი, გერებთან ერთად სალოცავს მტრობდა,
არ იქნებოდა სიკეთე მისგან, მომმე თუ მონა გარშემო გრძნობდა.
ინოსგან ვერძი ოქროთმოსილი, უმაღლეს ღმერთთა შესაწირავი,
საჰელაზგიოს მომავლის მაცნე დაიკვლებოდა, როგორაც კრავი.
მაშინ გადაწყდა: ფრიქსე და ჰელე, მამის სახლიდან გაქცეულები
თან წაიყვანდნენ ღმერთების ზვარაკს, რომ ღმერთთა ნებით გაეგნოთ
გზები.
ჰელაზგთა, ლაზგთა, ლაზთა ტომელებს იმ დროს სამეფო ჰქონდათ
მრავალი,
დარდანელები, ჰალიმონები, იქიდან აქეთ გზაგასავალი.
იქვე ენეტებს ფარები ჰყავდათ, ბრინჯაოს სჭედდნენ მაკრისელები,
მოსინიკები, მოსხნი თუ მუშქნი, კოლხეთის იქეთ დები და ძმები,
მაგრამ კოლხეთზე მძლავრი სამეფო, არც სადმე იყო, არც სადმე არის,
რაც აიეტი მეფობს და ზეობს, ღმერთებთან ტკბილი და მტრებთან მწარი.

**არგო —**

აღარ დამცალდა, ათამანტს ვუთხარ, მამის მამულში გვინდა მეფობა.

**ქალკიოპე —**

მერე?

**არგო —**

მერე, რა მერე? — ჯიუტად მოხუცს ჩვენი უფლების არ სურდა ცნობა
და რომ მოესპო დიდი სიძნელე და თან დაეცხრო მეუღლის ნდომა,

ინომ აწვია ჰელისთან მონა, რომ არ დაეშვა ვითომ შეცდომა.
რა ითათბირეს, აწონეს, ზომეს, ბოლოს პასუხად ეს მოიგონეს:
,,რაც ადრე მოხდა, ამის გადაშლა, აღემატება მეფეთა ღონეს.
რადგან ის ვერძი ოქროთმოსილი ყველასი იყო შესაწირავი,
ფრიქსემ მოგვტაცა ბედის ნიშანი და დაგვიტოვა ზმანება ავი,
კოლხეთში ვერძის ოქროს საწმისი ცოდვად აწვება ჰელაზგთა სულებს.
უნდა დავიხსნათ, ჩამოვიტანოთ, იმ ქვეყნად გეზი მივცეთ წასულებს.
ფრიქსეც იტანჯვის იმ სამეფოში და თუ იმისი ხართ მემკვიდრენი,
ოქროს საწმისი შეწირეთ დელფოს, მამა ტანჯვიდან გამოიხსენით.“
და ეს პირობა მოგვცა ბადიშებს: ,,ოთხნი ხართ, ოთხნივ გმირების დარი.
რომელიც ფრიქსეს სულს გამოიხსნის, იმას გავუხსნა სამეფო კარი.“

**კიტი სორე —**

ახლა ხომ მიხვდი, დედავ, მვირფასო, რატომ დავბრუნდი ორქომენიდან?
პასუხი ვაგეთ, გემი ავაგეთ და შემოვცურეთ ფაზისის მხრიდან.
ჩვენ თან გვახლავან ჩვენი ორივ მმა, შენი ფრონტისი, შენი მელასი,
გმირთა გმირები ვინც იყო იქით, თუმცა ჩამოთვლა მიჭირს ყველასი.
ჩვენ წინამძღოლად გვყავს იაზონი, იოლკის ყოფილ მეფეთა შვილი,
გმირი თეზეი — ათენის მეფე, ადმენტი, ანქე და მოპსი ზრდილი,
სიმღერის ღმერთი ტკბილი ორფეი და მელეაგრი კალიდონიდან,
აქაველები, იონელები; ნაკრები ქვეყნის მრავალი მხრიდან —
პოლიდევკი და კასტორი — მმები, იდასი, ლინკე და ტელამონი;
ოილეი თუ კლიტეა ვაქო? — ტოლს არ უდებენ ურთიერთს, მგონი.
ღმერთთა რჩეული ამდენი გმირი და ყველას ერთი აქვს საფიქრალი:
ოქროს საწმისი დაბრუნდეს უკან თუ არა ნებით, დე იყოს ძალით.

**ქალკიოპე —**

მამას რომ ვიცნობ, ამ მზის ქვეშეთში მეფეს ვერ ნახავთ უფრო მრისხანეს.
თუ ვინ შეჰკადრა, ან ვინ შეჰბედა, საბრძოლო ველზე ყველამ ინანეს.
თქვენ ამბობთ: გმირნი საპელაზგოდან ერთად შეყრილა მრავალი ტომის,
აიეტთან სურს ზოგს ტკბილად ბჭობა, ზოგიერთია მოსურნე ომის.
უწყოდეთ მაინც — ბრძოლის ველზეა, წმინდა მუხაზე ოქროს საწმისი,
მოდარაჯეა ისეთი ძალა შიში არა აქვს სხვისი და სხვისი.
გადაჭრით ვამბობ, მისი წამღები არავინაა ომით და ძალით.
მაგრამ რაც ხანჯლით ვერ გაიჭრება, გარდაიქმნება გრძნეული თვალით.

აქ თქვენი შველა არავის ძალუძს გრძნეულ-მკურნალი მედეას გარდა,
ჯადოა? მოხსნის! ბრმენს დაამუნჯებს — კირკე მამიდამ ასე აღზარდა.

არგო–
თუმც დედის დაა ჩვენი მედეა, ამ ძნელ საქმეში რატომ გვიშველის?

ქალკიოპე—
გონება უნდა გიჭრიდეს იქით, სადაც ცუდდება განძრევა ხელის.
აბა, იაზრეთ, აიეტი ხომ კორინთოს ფლობდა, ზეიმ-მეფობდა,
როგორც კოლხეთი, ისე კორინთო სამემკვიდრეოდ მას ეკუთვნოდა,
მაგრამ შემდეგ, რაც იონელებმა ბეოტიაში გაიდეს ფეხი,
საჰელაზგ იოს ვარსკვლავი ჩაქრა, მოვიდა თქეში, დაეცა მეხი
და აიეტმა უმალ იღონა — კორინთო დათმო კოლხეთის ფასად.
განა, წაგება არის წაგება, თუ მას მოგება მოჰყვება ასად?
მაგრამ ყივილი სისხლისა სხვაა და მედეაში ღრმადაა ფესვი,
თუ სიზმრადაა, კორინთოს ხედავს და სიმონიდე მღვიმარეს ესმის,
თუ ვინმე ეტყვის, რომ კორინთოში მას დედოფლობა დაუბრუნდება,
ამ დაპირების დიდ საზღაურად, მისი მოთხოვნა უმალ ახდება.

კიტისორე—
თუმცა შორსაა საჰელაზგ იო და არც ამინდი არის სადარო,
მაინც იციან მედეას ფასი, ისიც იციან, რას შეადარონ.
კორინთოს ახლა კრეონტი მეფობს, მასაც ჰყავს ტურფა ქალი გლავკოსი,
იაზონს სურდა მასზე დაწინდვა, მაგრამ ჯიში აქვს უცხო საწმისი.
ამიტომ იყო, რომ იაზონმა გემის წარმართვა აქეთ ისურვა
და ჩვენც მივემხრეთ, რადგან, ჩვენს გარდა, არვის შეეძლო აქეთკენ ცურვა.
თუ იაზონი მედეას ნახავს და გული ექმნა მასაც შეცვლილი,
მაშინ საწმისი იქნება ჩვენი და აღსრულდება ყველა სურვილი.

ქალკიოპე—
ჩანს, იაზონი მედეას ეტრფის, მონაა მზერის, აჩრდილი ტერფის
და თუ მედეა ხელს მისცემს მოყმეს, გახდება მძლევი კოლხეთის მეფის.
დროს ნუ დაკარგავთ, უხმეთ იაზონს, გადაუშალეთ საკითხის გული,

მომავალს იგი გასჭედავს მყარად, ვინც კარგად იცის მისი წარსული.

**კიტისორე —**

მაგრამ მედეა?

**ქალკიოპე —**

არ გქონდეთ დარდი, თუ მოიქცევით, როგორც მე მჯერა.
მედეას გულის ამბავი ვიცი, მისი ფიქრების მესმის სიმღერა.
მე უფრო მეტად ეჭვები მტანჯავს, მეფიქრის მამა-აიეტისა,
თუ რამე ცუდი ელანდა თქვენგან, გახდებით მსხვერპლი ხაროს კეტისა.
მიტომ გჭირდება მოქცევა სწრაფად, დადინჯებულად და გაბედულად,
შვილნი ხართ, მიტომ ვიქნები ჩუმად, თუმც მამა ჩემის გსახავთ ორგულად.

**არგო —**

დედავ — უფალო, განა, რას ვითხოვთ, რომ ორგულობა დაგვწამე მარდად?
აიეტი ხომ აღმზრდელი არის, განა, ბადიშებს ის არ გვიყვარდა?
ოქროს ვერძიც ხომ მამამ მიჰგვარა, არ იყო მისი ტახტის არჩივი,
თუ მამის სულის გვინდა სიმშვიდე, შენ რისთვის სწუხარ, ვისთვის რას ჩივი?

**ქალკიოპე —**

შვილები ხართ და ვარ თქვენი მონა, მაგრამ გონებას არ მოეწონა —
ვერძი პელაზგთა იყო ნიშანი, მხოლოდ ათამანტს ვინ მოუწონა?
აიეტი კი კორინთოს ფლობდა და პელაზგებშიც ამაყად ჩნდოდა.
თუ ვერძი იმან მიჰგვარა ღმერთებს, ან რა დაშავდა, ან რა შეცსოდა?

**კიტი სორე —**

ამდენი განსჯის ვისა აქვს თავი, თუ დელფოსში თქვეს – ზმანება ავი
საპელაზგიოს ჩამოსცილდება, თუ დაბრუნდება იმ ვერძის ტყავი?
ჩვენ გვინდა, იყოს სიმშვიდე სახლში, იქ შორს მშობლიურ ორქომენაში.
არც ერთი ტომი არ იყოს მტრულად და არ გაგვცვლიდეს დღეს თუ ხვალ სხვაში.
იაზონსაც ხომ იგ ივე უთხრეს, პელიმ ეს ბრძანა ამ მოყმის წილად,
თუ იოლკოსში გსურს მეფის ტახტი, ჯერ მოხუც ბიძას მოექეც ფრთხილად.
შენ დაამშვიდე წარსულთა სული, ჩამოგვიტანე ოქროს საწმისი,

მინდა, იმ ქვეყნად წავიდე ისე, ვალი არ დამრჩეს მისა და მმისი.
ამიტომ იყო, რომ ყველა ერთად აფრააშლილი გემით ვიდოდით,
დედის იმედი ოთხივეს გვქონდა, არ გვიმტყუნებდი კარგად ვიცოდით.
თუ ჩვენი შველა მედეას მალუძს, აქვს ჯადოქრული მალა გრძნეული,
იაზონს ვურჩევთ, ისედაც ეტრფის, ეჩვენოს გრძნობაგადარეული.
შენ კი ეცადე, სანამ ჩვენ მოვალთ, როგორაც სტუმარ-ნათესავები,
მედეას სთხოვე, იღონოს რამე, დისშვილებს შერჩეთ მხრებზე თავები.

**(ემშვიდობებიან დედას და გადიან. ქალკიოპე მონა-მოსამსახურეს მოიხმობს.)**

**ქალკიოპე —**

თუმცა აქ წვევა სითავხედეა, სხვა გზა არ არის, ნახე მედეა!
ჩუმად აუწყე: აქ ზის მისი და, ტირის და მისი მოიმედეა.
მოვიდეს სწრაფად! (მსახური გადის)
თუ მოვა მალე, უნდა ვაუწყო, რაც დიდხანს ვმალე —
რამდენი ოხვრა აღმოხდა ჩემს გულს, რამდენი ცრემლი ზღვას მივათვალე.
განა, როდესაც ხეთთა ხელმწიფე დიდი თუთხალის ვაჟი თუთხალი
ცდილობდა ჩემი გულის მოგებას, მვირფასი მიძღვნა რამდენი ხალი.
ოქროს მძივები, ვერცხლი, ბრინჯაო, ცხენების რემა, ჯორების წყება,
მონა-ქალები... რამდენი რამე — დროს და გონებას, რომ ავიწყდება.
და ჩემი გული რამდენს მოსთქვამდა, თუმც სიამაყით სალ კლდესა ჰგავდა,
როდესაც ფრიქსეს დამთქვეს საცოლედ, თუთხალიაზე ფიქრი გათავდა.
მამა გოროზი და მოყვარული, უმაღლეს მალად ანგარიშს სთვლიდა,
ფიქრობდა, ფრიქსე კორინთოს მხარეს დაუბრუნებდა ასულის მხრიდან.
დღეს აქ რა არის ჩემი ცხოვრება, გრძნობა არ კრთება და გული კვდება,
აღარ მყავს ფრიქსე იმედად, ფარად, ოცნება ჩემი სადღა ახდება?
ჩემი ვაჟებიც მიუსაფარნი, ორქომენს ვლიან შარაგზის მგზავრნი,
მამის სამეფოს უვლიან გვერდით, ათამანტს სთხოვენ ვით მათხოვარნი.
აქ ჩემი მმები დაგეშილები, ცხოვრების ნირი გაიგეს რაკი,
დისშვილებს სთვლიან ტახტის მოცილედ და შუა ვდგავარ, როგორც
ზვარაკი.
თუ არ წაიღეს ოქროს საწმისი, მამის სამეფო გახდება სხვისი.
აქაც მოცილედ ჩათვლიან ტახტის და ბედი ელით შესაბამისი.
მედეას უნდა შევთხოვო შველა, მას შეუძლია, მომგვაროს შვება,
ახლა არის დრო, შესაძლებლობა, არ შეიძლება მისი გაშვება.

**მედეა —**

ჩემო დაიკო, შენ გსურდა ხილვა, მაგრამ მე უფრო მინდოდა მეტად,
თუ ჩვენი დობა დობაა მართლა, რატომ არ ვწყვილობთ, დავდივართ კენტად?

**ქალკიოპე —**

ჩემო პატარავ, შენზე მვირფასი, მამა ხომ მიყვარს, ისიც არ არის.
ის ჩვენზე მეტად სამეფოს უვლის, ამაყობს, ფიცხობს, ვით საღმრთო ხარი.
აფსირტი იცი, მეომარია, მონადირეა და ქალთა მონა,
აიგიალე კორიბებს ხატავს, თუ რამე იცის, იმათი წონა,
მასაიდუმლე, ფიქრის ზიარი შესჩივლო, იგრძნო, არავინ არის.
თუ გაგიჭირდა, ვარ შენი დედა, თუ გამიჭირდა — მომეცი მხარი.

**მადეა —**

სიტყვაზე გიჭერ, თვალებში გიცქერ და გულში ვხედავ ცეცხლი ბრიალებს,
თითქოს ცოდვებით სავსე გაქვს ჯამი და შენს გარშემო ცოდვა ტრიალებს.
სანამ შენ იტყვი, წამით მისმინე, მე უფრო მეტი მაქვს საწუხარი:
დედა აღარ გვყავს — გავანდო დარდი, ცრემლებს გავუხსნა თვალთ სადინარი.
თვითონ არ ვიცი, როგორ აგიხსნა, გუშინ გავიგე აფსირტის პირით,
განუზრახიათ ოდიოს მიმცენ, პალიმონებში გამგზავნონ ვირით.
ოდიოს იცნობ, ჯორთა ქვეყნიდან და მხედვნელებიც არიან ცხენის,
რკინას ჭედავენ, გუთნითა ხნავენ, მჭრელი მახვილი თვითეულს შვენის.
აფსირტი ამბობს: პალიმონები მრავალი წლის წინ ევბეას ფლობდნენ,
ხალიბეაში ჰქონდათ სამჭედლო, ბრინჯაოს როგორც პურს და ყველს სცნობდნენ.
შემდეგ კი, თურმე, აქაველებმა კუნძულებიდან აუკრეს გუდა,
ახლა ჩემ ხელს სთხოვს და მამის მალით ისევ ევბეას დაპყრობა უნდა.
პალიმონების ჭაბუკი მეფე ოდიო მამას და აფსირტს სტუმრობს,
უჩუმრად დადისს, შორიდან მიმზერს, თავის ზრახვებზე არას ხმაურობს.
სხვა დროს არც არას ვიტყოდი, ალბათ, მაგრამ დღეს სხვაა, სხვა მაქვს წუხილი.
ეს რომ გავიგე, თავს გეფიცები, არ მიძინია წამით წუხელი.

დღეს დილით ადრე გავედი ველად, რომ სამკურნალო ყვავილნი რამე
მზის ამოსვლამდე გამომერჩია, გადამეყარა ფიქრების ღამე.
დარდით მოცული მივადექ ფაზისს და უნებლიეთ წავადექ თავზე —
ყმაწვილი ვინმე აბჯარასხმული და მოკლე შუბი გაედო მხარზე.
შემომანათა, სხვას ვერას ვიტყვი, მზერით დამკოდა, ვით ისრით შველი,
როგ ორ ჩავიდო გული საგულეს, მე აღარ ვიცი, შენ თუ მიშველი.

**ქალკიოპე** —

ამბობ, ყმაწვილი ფაზისის ახლოს, უცხოა ვინმე, თუ ჩვენებური?
იქნებ, სიჩუმე ჯობია ამ დროს, უპრიანია, ეგებ, ხმაური?

**მედეა** —

კოლხი არ იყო, იერით ვიცან, თუმც სიტყვას სჭრიდა მამათა ხმაზე,
იაზონი ვარ, — ასე მომმართა, ხელით შემეხო შუბლზე და თმაზე.
გზა მასწავლეო სასახლისაკენ, შორით მოვსულვარ უცხო სტუმარი.
შემდეგ კი უკან გაბრუნდა წყლისკენ, ვგონებ, შეგნებით იცვალა მხარი.

**ქალკიოპე** —

იაზონიო, შენ ამბობ ასე, ეს ის გმირია, იოლკოსიდან,
არგოს ხომალდით, ზღვა რომ დასერა, ჰელაზგთა საღვთო ხმა ესმის
ციდან.
არგომ ისე თქვა მათ წინამძღოლზე, შეცდომა იყოს — მე არა მგონი,
იოლკოსელი ეზონის ვაჟი, ვინღა იქნება სხვა იაზონი.

**მედეა** —

არგო ახსენე, რათა ხანია, ორქომენისკენ რომ შედგა გზაზე,
რომ შეცვლილიყო დის წულს ვიცნობდი, გინდა, იერზე და, თუნდაც, ხმაზე.

**ქალკიოპე** —

არ მომისმინე, მე სხვას ვამბობდი, იმაზე, რისთვის შენ ასე კრთოდი,
არგოს ნახავდი, თუ სორე კიტის, ამისთვის მინდვრად **არ** მიდიოდი?
ახლა იყუჩე, დამიგდე ყური, უნდა მოგიყვე უცხო ამბავი,
შენ იცი, ჩემი ვაჟების დარდით უნდა მომეკლა საცოდავს თავი,
მძინა — სიზმრის კარებთან ისხდნენ, მღვიძა — თვალში მელანდებოდნენ,
და რა ვიცოდი, თუ ახლოს იყვნენ, აქაც მალულად მესტუმრებოდნენ?
დღეს დილით ჩემი არგო და კიტი აქ იყვნენ ერთი ამბავის გამო,

დარდი აქვთ გულის გადასაყრელი. მე მოგიყვები, არც თუ საამოს:
ათამანტს ასე უბრძანებია, თქვენთვის თუ გინდათ სამეფო ღერძი,
ჯერ მამის სული გამოიხსენით, ჩამომიტანეთ საწმისი ვერძის.
და როცა აქეთ ემზადებოდნენ, იაზონს უთქვამს ვაჟკაცთა წილად:
ვინც ჭეშმარიტი გმირია ჩვენში, არ ნაწილდება ჭამად და ძილად,
მოგვიდგნენ მხარში, გრძელი ხომალდით გავცუროთ იქით, კოლხთა მხარეში
და ჩამოვიდნენ არგოს ხომალდით, თავი ჩაიგდეს საშინელ დღეში.
აიეტი რომ გაიგებს ამბავს, საით იაზრებს, რა კუდს მიაბამს,
დახოცს ჩემს შვილებს, მაგ იაზონსაც, შენს დანახვაზე თვალებს რომ ნაბავს.
ჩუმად გამანდეს იოლკოსშივე, შენი სურვილით თურმე დნებოდა,
ან რა იცოდა, ან რა იცოდი, ნატვრა თუ ამ დღეს აუხდებოდა.
მე ასე მითხრეს: აიეტს ეძებს შენზე მლოცველი თვალანთებული,
რომ სთხოვოს ხელი, დაგსვას დედოფლად და სიჩაუქით გაგილღოს გული.
თუ შენი თავი ოდიოს მისცეს, მაშინ ხომ ნატვრა მეისვე გათავდა.
მაშინ უნდა ვთქვათ, იყო სიზმარი, ნანახ-ნასმენიც ელდასა ჰგავდა.

**მედეა —**

ელდას ისა ჰგავს, რაც ახლა მითხარ, მომიკალ გული, გესლით დამკოდე,
ტკბილი სამხილი თუ დღეს მეწვია, დღესვე რომ ჩავკლა, განა, რა ვცოდე?
შენ ჩემზე მეტი იცი ცხოვრების, რამე მირჩიე, მიშველე რამე!
მე დღე მექნება დღეიდან მწარე, ღამე ნატეხი მექნება ღამე.
კირკე მამიდა რომ მყავდეს გვერდით, გულს მიფონებდა, გზას მიჩვენებდა,
აიეტის და აფსირტის ნებას არ დაჰყვებოდა, შორს გადასდებდა.
შენ კი სუსტი ხარ, შიშით მთრთოლვარე, ღრმად ვერ შეაღებ აზრების კარებს.
სხვას რას უშველის იგი მკურნალი, ავადმყოფობას თან რომ ატარებს?

**ქალკიოპე —**

ნუ აჩქარდები, სანამ რას იტყვი, იცოდე, სუსტიც ზოგჯერ ლომია.
შენ სად გინახავს ისეთი დედა, რომ შვილებისთვის არ უომია?
ახლა მოგითხრობ, რა ვუყოთ საქმეს, რომელიც გრძნეულს ასე გეძნელა? —
მე ჩემ ვაჟკაცებს, შენ კი იაზონს უნდა დაუდგე ფარად და მცველად.
მხოლოდ შენ ძალგიძს, ოქროს საწმისი ბრძოლის ველიდან გამოიტანო,
სჭა მიამინო, არა საჩინოდ მუხასთან მოხვდე, არ დაახანო
და თუ საწმისი ხელში ჩაიგდეს, გმირნი უკან გზას გაუყვებიან,

კოლხეთის იქით ფეხს გადაადგამენ და მამის რისხვას გადურჩებიან.
თუ იაზონი ცოცხალი დარჩა, ეს ხომ იმედის არის საწყისი,
ამიტომ გირჩევ, თუ გრძნობა გტანჯავს, ჩააგდებინე ხელში საწმისი.

მედეა —

უცნაურია შენი მსჯელობა, ჩემი ბუნების არ გინდა ცნობა,
ვუშველი? — წავა და მიმატოვებს, თუ ვეღარ ვნახე, რად მინდა გრძნობა?

ქალკიოპე —

თუ არ უშველი?..

მედეა —

მე, როგორც შველი, ტრფობის მოისარს შევეწირები,
თან ცოდვა შენი შვილების მომკლავს, იმქვეყნად ვერც ერთს ვერ შევეყრები.

ქალკიოპე —

ჯერ ხომ ამქვეყნად უნდა ვიაროთ, დარდი გაგვთანგავს ჩვენ საზიარო,
რატომ გავწირო, არ დავეხმარო, ცხოვრების დღენი რად გავიმწარო?
შენი არ ვიცი, თუ დის შვილები არ გტკივა, არ გწამს, არ გედარდება,
იაზონი ხომ გულის გულს მოხვდა, ცხოვრება, განა, განშეორდება?
თუ განშორება ასე გაგტანჯავს, უმისოდ როგორ გაიმაგრებ თავს?
ხელის გამომღებს ბედი თან დასდევს, ხელჩამოშვებულს ცხოვრება დაწვავს..
თუ თანახმა ხარ, თვითონ ვაცნობებ, რომ გასაჭირში დაეხმარები.
წინასწარ შეხვდი, მოეთათბირე, სიყვარულისთვის გახსენ კარები.

მედეა —

რაც აქ მიამბე, თუ მართალია, ყოველი ცალკე შესაბრალია,
თუ იაზონი მოვიდა ჩემთვის, მისი დაფარვა ჩემი ვალია,
შევხვდები ცალკე, თუ იცის ზომა, თუ სიტყვა მისი გულს მოეწონა,
ისეთი ჯადო–წამალი მივცე, ღმერთებს შეშურდეთ იმისი ქონა.
მეც თან გავყვები, კორინთოს მივალ, მსურს დავიბრუნო მამის სახლობა,
ნათესაობა იქიდან მოგვდევს, ვინძლო, მოვირთოთ იქვე მძახლობა.
არგო მომძებნე, უთხრას იაზონს, დროს ნუ დაკარგავს, გვესტუმროს ღამით,
თუ გადავწყვიტე, ვარ მამის შვილი, უქმად ვერ გავძლებ ვერც ერთი წამით.
წავალ, წამლები რომ შევაზავო, ჩავუთქვა ლოცვა, შევმატო ძალა,
ამ ტკბილმა გრძნობამ წამიღო ღონე, გონების მაფი გამომაცალა.

რაც არის — არის, უკან გზა მოჭრილ, წინ კი სავალი ეკლიანია
და თუ ვთქვი, სიტყვა სიტყვად არ დარჩეს, საქმეც დავურთო, უპრიანია.

**(შემოდიან არგო და იაზონი)**

ოხ, ჩვენო არგო!..

**არგო** —

ტკბილო დეიდა!..
(იაზონს) ეს არის ჩვენი მხსნელი, იმედი.

**იაზონი** —

ვარ ბედნიერი შენი დანახვით, რა უცნაური მქონია ბედი,
დილას ვიხილე დილის ვარსკვლავი — მზის სხივთან ერთად გაუჩინარდა.
მზეს თაყვანი ვეც, თან დავემდურე, ის მოიტაცა, ვინც შემიყვარდა.
შევნატრე ეოსს, არს ბედნიერი, ვინც მასთან ერთად ყვავილს აღვიძებს,
ვინც ერთი მზერით კენტავრს დაკოდავს, ვინც ღონემიხდილს წყლულს დაავიწყებს.
ყვავილს ვუფერე ფეხით გათელილს, ვუთხარი: შენი აღმძრა შური,
ნეტავ, ის ფეხი ჩემ გულს ებჯინოს, ის დღე დამიდგეს მე შესაშური!
შუბს ვეამბორე ბრძოლის მეგობარს, ვუთხარ ლახვარის გავიგე ძალა,
ეროსს ვეაჯე: თუ მკარ ისარი, რატომ დამტოვე გრძნობასთან ცალად?
ერთ ხანს ვიფიქრე, მოლანდებაა, ან ჯადო არის აქ ჩარეული,
იქნება, მზერა ბინდმა წაშალა, გონების ძალას დაედო რული.
კვნესოდა გული. ვაჰ, თუ დავკარგე, მუდმივი გავხდი ვისიც ერთგული,
დამძიმებული ფიქრებისაგან აქ მოვდიოდი გაწამებული.
სულ არ მეგონა, შუადღის პირას თუ მზეს დასწრიდა დილის ვარსკვლავი,
რასაც ღმერთისგან მოიტანს ბედი, არ არის კაცის დასაკარგავი.
ბედნიერი ვარ, რომ შენს მებნაში შორით მავალმა დავლახე ზღვები,
რაც სურს, გამოცდა მომიწყოს ბედმა, რაც ვპოვე, იმას არ შევეშვები.

**ქალკიოპე** —

ახლა პასუხის არ არის ჟამი. ხმაური ისმის, დრო აღარ ითმენს,
ჩუმად თათბირი გადადეთ გვერდით, დაფიქრდით ერთად — ვინ რას შეიძენს.

**არგო** —

ნუ გედარდებათ, ეს სტუმრებია მეფის ბრძანებით მოწვეულები,
გზადაგზა ღვინით შენახურები და მათთან ერთად კოლხთა შვილები.

როგორც კი ზღვიდან ფაზისში მოვხვდით, ხომალდის მარჯვნივ, ვით საოცრება,
ვიხილეთ ქვისგან ნათქალი მეგლი, მხატვრის ნაფიქრი და ამღერება.
ლომები იდგნენ შემართულები, მათ უკან, ტახტზე, წინწილით ხელში
იჯდა ქალღმერთი ფასიანე და გვჩუქნიდა ღიმილს მოხრილებს წელში.
იქიდან აქეთ, ყოველ ნაბიჯზე, ვგრძნობდით, გვიმზერდა ათასი თვალი,
არას გვერჩოდნენ და არც გვემმოდნენ, ჩვენაც ვფრთხილობდით, რაც გვქონდა მალი.
ამიტომ, როცა აიეტისგან, მოვიდა მაცნე და მოგვიწვია,
მივიღეთ, როგორც კეთილი რჩევა და საძმო ხიდი არ დაგვიწვია.
მაცნესთან ერთად მონა-მსახურნი და მათთან ერთად დიდებულები,
ქალნი და კაცნი გარშემო ვლიან, ხაფი იცლება და ჭინჭილები.
აქეთ მოდიან, მხოლოდ ჩვენ ორნი ავჩქარდით, რათა, ცალკე გვეხილეთ.
მერიქიფეებს გამოვერიდეთ, სასახლის კართან ავცდით მეხილეთ.

**(შემოდის მაცნე. მოსდევენ არგონავტები, აიგიალევსი, კოლხი დიდებულები.)**

**მაცნე —**
მზის შვილი ჩვენი, დიდი მეუფე, ბრძანებს და უნდა აღსრულდეს ასე:
კორიბიშების დიდი შემქმნელი, ბრძენი მსაჯული და მობაასე.
აიგიალე მეფის მოსვლამდე, ღირსებით შეხვდეს ღირსეულ სტუმრებს,
საჰელაზგოდან მოსულ ვაჟკაცებს თვითონ სიკეთეს შორით უსურვებს.
ბრძანება არის: აწვიონ დარბაზს — დახვედრა იყოს შესაბამისი,
სანამ მიუსწრებთ, გზაშიგამ მეოფი აიეტი და თანმხლებნი მისი.

**აიგიალევსი —**
მშვიდობას ვუძღვნი შორეულ სტუმრებს და სიჩაუქეს შევუქებ მეტად.
თან მსურს, გავიგო, ვინ რად მოვიდა, იტანჯა, თავი გამოიმეტა.
ვიმუსაიფოთ, თან დრო ვატაროთ და, ალბათ, მალე მამა მოგვისწრებს,
თუ საიდუმლო გაქვთ სასაუბრო, თვითონ გადაწყვეტს, იქვის დაგვისწრებს.
ახლა კი დროა, რომ მვირფას სტუმრებს ღვინო მოართვან და დააპურონ,
ჩამოკრან ჩანგი, მველი სიმღერით გულის ზარები აახმაურონ.
მე კი დისშვილებს ჩავიკრავ მკერდში — რათა ხანია, აღარ მინახავს,
როგორ დაზრდილან! — გუთანსშეუბი და თითოეულ დღიურს გადახნავს.

(ღვინოს სვამენ, არის ლხინი, მხიარულება. მედეა და იაზონი ცალკე საუბრობენ)

**თეზეი** —

მეფის მეს სურდა ჩვენი გაცნობა, მისი სურვილი გასაგებია.
მეც მსურს, კოლხეთზე გავიგო ბევრი, მივიღო ის, რაც მისაღებია.
სანამ სხვა იტყვის, მე ვამბობ ჩემზე, უცნაური მაქვს ბედის ნიშანი,
ჰელაზვ იაო, ჩემზე ამბობენ, მართალი უთქვამთ, ახლა ვიცანი.
კოლხთა სიმღერა ისე გულს ხვდება, თითქოს ნანინა მესმა დედისა,
პოსეიდონი თუ მყავდა მამა, მადლი მსურს ჩემი შემოქმედისა.
ეგეი — ჩემი მამა მოხუცი, ათენის მეფე, ღმერთთა სადარი,
იონიური წესებით მწვრთნიდა, იონიელი დამარქვა ხარი.
როცა კრეტაზე დიად მბრძანებელს ხარკად მიართვეს ახალგაზრდები,
იმათში ვიყავ, მინოსს მივუგე: ნუ გვკლავ, მიზეზი შენ ნუ გახდები.
დამცინა მწარედ, თქვა: თუ არ გინდა, რომ კრეტელების თან წაგყვეს ჯავრი,
შედი ლაბირინთს, გეზი აიღე, მოკალ, ან შეგჭამს იქ მინოტავრი
და, მაშინ იყო, რომ არიადნა ჩემთან შეხვედრის სურვილით დადნა,
მითხრა: გიშველი, რომ არ აღსრულდეს, რაც მამაჩემმა აქ დაიქადნა.
მაგ არი ძაფის მომცა გორგალი, მასზე გეჭიროს, მირჩია, თვალი.
ძაფს გამოჰყევი, გზას გამოაგნებ, სხვა ლაბირინთში არ გინდა კვალი.
მე არიადნას ვალში ვარ დღემდე, მაგრამ ვისწავლე — თუ ქალს მიენდე,
უნდა ბოლომდე მეგზურად სდევდე, ჭირს ეზიარო, სიამეს თმენდე.
სხვა რაღა გითხრათ, ათენის მეფე ვარ და ჩემია გარშემო ზვრები.
თუ ძმობა გინდათ, მომეცით ხელი და ცუდად არსად გადაგეყრები,
თორემ, კი მქონდა შემთხვევა ბევრი, სინიდი მოვკალ და კერკიონი,
პერიფეტი და მასთან სკირონი, ყაჩაღნი შევკარ ვით მაურიონი.
ერთსაც დავმენდი: დამასტი ვინმე, პროკრუსტე ერქვა ზედმეტსახელად,
თავის საწოლზე მოკლეს, სჭიმავდა, გრძელ ზედმეტ ნაწილს აჭრიდა ხელად,
დავიჭირე და მისსავ საწოლზე, საზომის მსგავსად გადავაწვინე,
ასეთი არის ჩემი ბუნება, ვინც გზა გადმიჭრა, მას ვაწვნევინე.
ათენის მეფეს ან რა მიჭირდა, აქეთ წამოსვლას ვინ მომისჯიდა,
მაგრამ როდესაც უხმეს ვაჟკაცებს, იმას მივენდე, ვინაც მიცდიდა.

**აიაგიალევსი** —

იერზე გატყობ, საუბრით გიცან, შენ ხარ თეზეი გმირებში გმირი.

კოლხებში ბევრი გვყავს მოთაყვანე, თუმცა კი მოგვდის ცნობები მწირი.
არიადნა ხომ უცხო არ იყო, ახლობელია — მამის დის შვილი,
კოლხეთი თუმცა შორი მხარეა, კრეტამდე ხელი გვაქვს ჩვენ გაშლილი.
ჩვენთვის ათენიც არ არის უცხო, პელაზგთა მიერ არის ნაშენი.
დღეს ბატონობა იონელთ არის და შენც გმირობით იონელთ შვენი,
მინდა, შეგწირო დიდი მადლობა, შორით შორეთში მობრძანებისთვის.
როგორც მოსულხარ, ისე დაგხვდებით, მტრები ვართ მტრისთვის და
ძმები ძმისთვის.

**ორფეი —**

ახლა მე მინდა, მომაპყრა სმენა, ვინც უნდა ვაქო, ვერ იტყვის ენა.
ოლიმპოს მკვიდრნიც ზოგჯერ შურობენ, ქალღმერთებს გულში აქვთ
მისი წყენა.
ჰერაკლეს ვაქებ, ზევსის ვაჟიშვილს, გმირობით იგი გმირთა ხატია,
მან ჩვენთან ერთად იცურა აქეთ, ამიტომ ჩვენებრ არგონავტია.
ღმერთებმა თხოვნით დატოვეს გზაში, საქმე გაუჩნდა ღმერთთა სადარი,
ნეტავი, ერთხელ მანახა კიდევ, ნეტავ, ვიცოდე ახლა სად არის!
ის იყო, ვინაც დალაშქრა ტროა, მიჭრით აიღო ციხე მაგარი,
ლაომედონი — მეფე სვიანი ჰოროლით მოკლა, მოსტაცა ფარი.
თორმეტი ვაჟი ჰყავდა იმ მეფეს და მეთორმეტე დაინდო მხოლოდ,
პოდარკა ერქვა, ტყვედ აიყვანა, მონობა იყო საწყალის ბოლო.
მაგრამ ბედი თუ კაცს გაუღიმებს, ლხენით ჩამოკრავს კიფარის სიმებს,
ტანჯვას აიცდენს, გულს დაიმშვიდებს, განწყობას დარდით არ დაიმძიმებს.
პოდარკას ჰყავდა ერთი და ტურფა, სახელი ერქვა მას ჰესიონა,
სილამაზით და კეთილი ჩვევით, არავინ იყო იმისი წონა.
გოგონა მისცა ტელამონს ცოლად და თან აღუთქვა ვით საჩუქარი,
რომ მის ერთ თხოვნას შეასრულებდა, რომ ყოფილიყო ყველაზე მწარი.
და ჰესიონამ სთხოვა ჰერაკლეს პოდარკასათვის თავისუფლება.
თუმცა ემძიმა ჰერაკლეს თხოვნა, სიტყვას ღალატის არ მისცა ნება,
პოდარკას მისცა მეფობა ტროას, ჰესიონასი მოიგო გული.
ყმაწვილს დაერქვა შემდეგ პრიამე, რაც ნიშნავს არის გამოსყიდული.
ახალს რას გეტყვი, ჰერაკლეს ირგვლივ უფრო მეტია კიდევ სათქმელი,
არავინაა მასთან საჩენი, ვერ მიუწვდება იმასთან ხელი.
ჩემზე კი რა ვთქვა? — ჩემი დიდება ჩემი ენაა და ეს კიფარა,
სიმღერამ ზღვები გამომატარა, ათას ტანჯვისგან მან დამიფარა.

ჩემზე მეტია აქ ორივე ძმა, გინდ, პოლიდევკი და გინდ, კასტორი,
ტინდარე–სპარტის მეფის შვილები, ხოლო მათ დედას არა ჰყავს სწორი.
სილამაზით და ღმერთთა თაყვანით, ლედას შვილები ჰყავს ზევსისაგან,
უფრო მამაცებს ვერსად მოძებნი, უფრო ლამაზებს ვერ ნახავ სხვაგან.
აქვეა მათი ბიძის შვილები: ლინკე მჭვრეტელი, მძლავრი იდასი,
პირველი ხედავს მიწისქვეშეთსაც, მეორეს ძალას არა აქვს ფასი.
ყველას ჩამოთვლას მე არ დავიწყებ, ანკე თვით იტყვის და ტელამონი,
სხვაგან ვინ ნახოს ამდენი გმირი, ან მათი ამბის ერთად გამგონი?

### აიგიალეუსი

კარგია, როცა ვაქებთ ახლობლებს, უფრო მეტია სიმართლის წონა,
განა, მელკარტე ფინიკიელმა გმირობით ყველა არ გადაწონა?
ჰერაკლემ რა ჰქმნა ქვეყნად ისეთი, რომ ფინიკიელს არ ექმნა დიდად,
კაცსა აღელვებს თავისი მცირეც და სხვების დიდსაც უყურებს მშვიდად.
ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ტროელ მეფეებს, ნათესავნია სისხლისმიერი,
ერთი გვაქვს ჯიში, წარმომავლობა, ერთნაირად ვართ ქვეყნად ხნიერი,
სამასი წლის წინ, როცა პელაზგებს შემოესივნენ ბარბაროსები,
იონელები, სისხლის მსმელები, შეუბრალები ეოლელები,
თესალიის მხრის ჭარმაგი მეფე და მისი შვილი ნორჩი დარდანი,
მტრისგან დევნილნი ტყეებით, გემით, შორეთს ილტვოდნენ საკმაო ხანი.
დარდანი მოხვდა თევკრების მხარეს, მეფე თევკროსის გახდა სტუმარი,
შემდეგ ესიძა, კუთვნილ მიწაზე ქალაქი შექმნა, ტურფა სიზმარი.
იმ კუთხის მცხოვრებთ, მეფის სახელით, ეწოდა შემდეგ დარდანელები,
ერიქტონ ერქვა იმის მემკვიდრეს და მისიც იქვე დაფლულა ძვლები.
შემდეგი მეფე იქ იყო ტროსი და მის სამ ვაჟში ბრწყინავდა ილი,
მოჭიდავე და ცხენთა მხედნავი, ბუნებით იყო კეთილი, ზრდილი.
მან იდის მთასთან, ფრიგიის მხარეს, სადაც ზღვას ერთვის ორი მდინარე,
მაღლა აღმართა ქალაქი ილი, დღეს ჰქვია ტროა და ტროას მხარე.
მისი შვილია ლაომედონი ვისაც აჰგლიჯა ჰერაკლემ ფარი,
ტროას დაცემით, მეფეთა მოკვლით, ჩვენ გაგვითენა დღეები მწარი.
ვისაც შენ აქებ, კოლხი აგინებს, მან დაანგრია სიმაგრე ჩვენი,
მითხრას, სიკეთე რა გააკეთა, რითაა ამ გზით გამოსაჩენი?
შენი ხმა უფრო მეტია ჩვენთვის, აქამდე აღწევს ორფეის ქება,
ვინც მომავლისთვის იცხოვრა ქვეყნად, მომავალს იგი ემახსოვრება.

**(შემოდის მაცნე)**

მზის შვილი, კოლხთა დიდი მეუფე, წარმოვლენილი ამ ქვეყნად ღმერთად,
აღმატებული ყველა მეფეზე, მობრძანდა თანმხლებ პირებთან ერთად.

**(შემოდის აიეტი, აფსირტი, ოდიო თანმხლებებთან ერთად)**

**აიეტი —**
ჩემს სმენს ჩასწვდა უცხო ხმა შორით, მსტოვრებმა მითხრეს ამბავი სწორი,
საპელაზგოდან მოსულა ბევრი, რომ გადაწონონ ბედის სასწორი.
მე მათ ვუსურვებ ბედნიერ ცურვას, მათი მიზანი თუ კეთილია.
მოვისმენ მშვიდად, თქვას წინამძღოლმა, რისთვის მოსულა, რა გზით უვლია?

**იაზონი —**
ჰელიოსის მის შორს ისმის ქება, წყალობა, რისხვა მისია ნება,
შევთხოვდი ღმერთებს მის დღეგრძელობას, მოწყალე იყოს მისთვის ბუნება!
მოვდივარ შორით და ჩემი სწორი თან ბევრი მახლავს გმირებში გმირი,
ერთიც არ არის დასაწუნარი, ვცადე, ხიფათი შგვემთხვა ხშირი.
თავიდან ვიტყვი, შენ სიძეს ფრიქსეს, მამის მმა ჰყავდა კაცი საჩინო,
კარგს თუ კარგს ვარქმევ, ცუდი ვით ვაქო, არ მინდა სიტყვა დამცდეს საწყინო.
ათამანტის მმამ თესალიაში, იოლქი შექმნა ქალაქი დიდი,
დიდხანს იმეფა, მემკვიდრე ჰყავდა, მაგრამ ცხოვრება არ ჰქონდა მშვიდი.
პოსეიდონმა მის მეუღლესთან ისურვა ვაჟი, დაარქვა პელი
და იყო შუღლი ამ ორ ვაჟს შორის, მისი სამეფოც არ იყო ვრცელი.
უფროს ვაჟს ესონს დარჩა მეფობა, როდესაც იგი მიწას ჩავიდა,
უმცროსმა, პელიმ, ნახევარი მმის ტახტს შემოხედა მეორე მხრიდან,
წაჰგვარა ტახტი, შორს გაამევა, დაისაკუთრა თვითონ მეფობა.
მტერს რა ვუწოდო თუ მმა დამჩაგრავს, ორგულთ ასეთი იციან მმობა
და, ამის შემდეგ, მეფე ესონი ცხოვრობდა, როგორც ნახევრად მონა,
ესონს ეყოლა ვაჟი იაზონ, ტანჯვაში გავხდი მე ამოდენა.
მე დიდხანს მწვრთნიდა ბრძენი ქირონი, კენტავრს ეტყვიან ბუნების გამო,
ბევრი თვეები წამების მახსოვს, ცოტა წამები სიამის ამო.
ქირონის ცოლი მანებივრებდა, ხარიკლოს ვყავდი მე, როგორც შვილი,
მაგრამ ქირონი არ მასვენებდა, ხშირად მეგონა მიტომ შემლილი.

რომ ვუკვირდები მიუო სიკეთე, როგ ორც ბრინჯაო, ხანგ რძლივად მჭედა,
ქირონი იყო მომთმენი მამა, ხარიკლო იყო გ ულსუსტი დედა.
რომ გავიზარდე, მოვირთე მალი, გვერდით დამიდგ ნენ ეზონის ძმები,
მათი ვაჟები, მონა-მსახურნი და იოლქისკენ ჩავკეტეთ გ ზები.
ფერიის მეფე, ბიძა ფერეტა და მისი ვაჟი ადმეტე მძლავრი,
მეორე ბიძაც ამფაონი და შვილი მელამპო გამიხდნენ მგ ზავრნი.
მოვთხოვეთ პელის სიმართლის ჭედვა, სიმართლის კერვა, სიმართლით ხედვა,
მალა რომ იგ რძნო, გადიქცა დედლად, საერთოდ გვითხრა რა ცოდვა ედვა.
მხოლოდ ეს იყო, მთხოვა პირობა და მეც წინასწარ მივეც თანხმობა,
სთქვა, რომ არ უნდა მას ჩვენთან მტრობა, დედის ერთობით სურს მტკიცე ძმობა.
მეფობას მომცემს, საპელაზგ იოს, თუ დავუბრუნე ოქროს საწმისი,
მეფობის სურვილს, მეფური გარჯა და შემდეგ ჯილდო შესაბამისი.
და მაშინ იყო, დავლახე გ ზები, შევყივლე ვაჟკაცთ, შევკრიბე გ უნდი,
შემოვიპირე, დავუთქვი ვადა და როცა უკვე უკან გავბრუნდი,
მე ათამანტმა მირჩია ასე, ათამანტი ხომ ბიძაა მამის,
მითხრა, თუ გ ინდა, მიზანს ეწიო და მომსწრე გახდე საამო ჟამის,
ჩემთან არიან ფრიქსეს ვაჟები, ბედმა ისინი კოლხეთში ზარდა,
მეგ ზურს ვის ნახავ უფრო უკეთესს, თვით აიეტის ბადიშთა გარდა.
ამასთან ერთად, მცურავ კლდეთ შორის ჩვენი ხომალდი ვერ გაცურდება,
მაგ რამ კრეტული, ანდა კოლხური გ რძელია, სწრაფი, უმალ გაძვრება.
ვევედრე ვაჟკაცთ, ოქროს ვერძი ხომ იმათმა მამამ წარიღო თანა
და ბოლოს არგ ომ ითავა საქმე, გ არანდა გ ემი, არ დაახანა.
აქეთ ცურვის დროს ბევრი გ ადაგ ვხდა, ბევრი ვიშრომეთ, მეტი ვეწამეთ,
არ გ ავათენეთ ჩვენ ტკბილი ძილით და მოსვენებით არ დავაღამეთ.
კუნძულ ლემნოსზე შეჩერდით ერთ ხანს და რაც ვიხილეთ არს საოცარი,
მამაკაცები მოესპოთ ქალებს, ვაჟი არ სურდათ, მხოლოდ – ასული.
ქალთა იუნოსეს კაცთა იქ ყოფნა, დაგ ვარტყეს ალყა, უნდოდათ ომი,
ჩვენ გ ავწყდებოდით, რადგ ან ქალებთან ჩვენში არ იყო სისხლის ღვრის მდომი.
გ ადაგ ვარჩინა პოლუსკოს რჩევამ, იმათი არის დიდი მკითხავი,
უთხრა: ,,ნებაა ღმერთების ასე, თუ არა გ ველის ცხოვრება ავი.
უკაცოდ შვილებს როგ ორ დავაჩენთ და უმომავლო რაა ცხოვრება —
ვინცა ვართ, როცა დავიხოცებით, ჩვენი ვის ან რა ემახსოვრება?“
თვითონ ვსტუმრობდი ჰიპსიპილესთან, დედოფალია ლამაზი მათი,

ჩვენმა იქ ყოფნამ კუნძულს შემატა, კაცთ სიმლიერე, ქალთა ლაზათი.
და დიდხანს ასე გაგრძელდებოდა, მაგრამ ჰერაკლემ აუშვა აფრა,
მივაწყდით ხომალდს, შევცურეთ ზღვაში, დაეცათ ქალებს ელდა და ზაფრა.
ჰროჰონტიდაში დოლიონებთან მეფე კიზიკის გავხდით სტუმრები,
ჯერ გვიმასპინძლეს, მერე გვეომნენ, ბოლოს დვცილდით ვით მეგობრები.
ჰერაკლე იყო ყველგან იმედი, სანამ მიზიას მიადგა გემი,
ღმერთთა ბრძანებით იქ ჩამოგვშორდნენ, დიადი გმირი და ჰოლიფემი.
მცურავ კლდეებთან გავუშვით მტრედი, მას არგონავტთა ჩავუთქვი ბედი,
როცა დინებას ჭიდილში ვძლიეთ, ვლოცეთ უფალი და შემოქმედი.
ვიფინიასთა შევხვდი ჰალიბებს, მაგრამ გავიგეთ, რომ მბრძანებელი,
მეფე ოდიოს კოლხეთში სტუმრობს, რომ აღადგინოს მოყვრობა ძველი.
რომ არა არგო, შენი ბადიში, ასე დიდ ხომალდს ვერ ავაგებდით,
ვერც ზღვას და ვერც კუნძულებს, კოლხეთის გზასაც ვერ გავაგნებდით.
ახლა აქა ვართ კოლხთა სტუმრები, სიტყვით და საქმით მოხიბლულები,
იონელები, აქაველები, ბევრსაც ჰელაზგთა გვიცემს გულები.

აეტი—

ამბობ, მოხველი რათა საწმისი, მუხას კიდული, არალეს ველზე,
შენი ხომალდის ანძას მიაკრა, ვით მძივი ეკვრის ლამაზ ქალს ყელზე.
გინდა წაიღო ოქროს საწმისი, საჰელაზგოს ბედის ნიშანი,
ბევრი განძია იქ დაგროვილი, მიდი, მოძებნე, გამოიცანი.
ვერძი, რომელიც ფრიქსემ მომგვარა, რატომ გგონია შენი ქონება?
საჩუქარს უკან არავინ ითხოვს — კაცობის წესი გაგეგონება.
და, ამის გარდა, რომ გეჩვენება საჰელაზგოს შენ ხარ რჩეული,
ჰელაზგთა, ლაზგთა, ლაზთა სატკივარს მოუძებნია ობოლი გული.
მაშ, ჩემი ჯიში საიდან მოდის, რომელს რომელმა დავდეთ სამანი,
როცა კორინთოს მედავებოდნენ, იონელთ რატომ დაუგდეთ განი?
იმდენი არის სიტყვით სადავო, იმდენი არის ფიქრი საზარი,
დღეს ვერ მოვრჩებით, ამიტომ გიჯობს,. განსჯას დავურთათ საქმე სხვაგვარი.

იაზონი—

როცა აქეთკენ ავიღეთ გეზი, არ მიფიქრია ომში მივდივარ,

თუ ჩემს სისხლს და ჯიშს ვავნებ და ვუმტრობ, მაშინ, ვით კაცი, არაფრად ვღირვარ.

ფრიქსე ხომ მამის ბიძის შვილია, მისი შვილები ძმებია ჩემი,
შენი ბადიშნი არიან ამ დროს, აქ მოყვრობაა თვალში საცემი.
მეც მოვდიოდი და თან ვფიქრობდი, მომცენ საწმისი, მეტი რა ვარგო,
თუ იოლქოსში მე გავმეფდები, ორქომენაში იმეფებს არგო.
ერთად ვიქნებით, თუ მოინდომებ, იქნებ, ჰელაზგ თა ძალა მოირთო,
ერთიან ნებით, ერთად ჭიდილით, დაგიბრუნდება შენი კორინთო.

**აფსირტი**

ვხედავ, სტუმარი ტკბილად საუბრობს, ალესილი აქვს ჭკუა და ენა,
იქნება, მამავ, გვემსჯელა ასე, ამის კი ცოტა ჩამოესვენა.
ჩემი დისშვილნი, მეფის შვილები, სულ ამაყები, ნაწრთობი შენგან,
ორქომენისკენ გემით ნავალნი, ბევრის მნახველნი, ნამყოფნი ბევრგან.
ვერ მოურიგდნენ ტახტზე ათამანტს, ვერ აუსრულეს სურვილი ძველი,
უცხოტომელთა მოირთეს ძალა, შენი ტახტისკენ იწვდინეს ხელი.

**არგო**

მეც მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა, ვამხილო ბიძამ რაც განიზრახა,
ჩვენ ვიზრდებოდით მის მუხლზე მჯდომნი, სიცუდე როდის, სად დაინახა.
თუ ჩვენი დედის ძმებს არ დავინდობთ, თუ დედის მამის ღალატი გვინდა,
ეს იმას ნიშნავს, შემოგვწყრა ღმერთი და სული ჩვენი არაა წმინდა.
მე, რომ შენ გიმტრო, ვიღას მივენდო, რისთვის მაწოვა მუძუ დედამა,
რად მოგიტანათ ის სიხარული, ამ ქვეყნად ჩემმა დაბადებამა?
იაზონ ამბობს და მართალს ამბობს, ათამანტივით ითხოვდა ჰელი,
ოქროს საწმისი დაბრუნდეს უკან, რომ ჩამოგვეხსნას ზმანება მწველი.
თუ ეს საწმისი ჩვენ გზას გაგვიხსნის და თან მამის სულს იქ დაამშვიდებს,
შენ რასა კარგავ, თუ გვთვლი მოცილედ, ამით მოგვიჭრი უკუსვლის ხიდებს

**იაზონი**

თუმც გვირევია ბევრი სხვა ჯიშის, მაინც მოვნახეთ საერთო ენა,
ძმობა დავთესეთ, სისხლი ავლესეთ, ღმერთებმაც მოგვცა ჩვენ ერთი რწმენა.
თქვენ კი რა მოგდით, კოლხი თუ ლაზგი ერთი წინაპრის თუ ვართ შვილები,
რაღატომ ვქიშპობთ, რად ვიღრინებით, რატომ დავდივართ ჭკვაამლილები.
ოქროს საწმისი, ვერძის საფარი, საჰელაზგ იოს ყველას ხატია,
იმ ჩვენ წინაპარს, ღმერთთა კარნახით, ყველასთვის ერთად დაუხატია.

თუ ის წილობით ათამანტს ერგო, ის ამზადებდა შესაწირავად,
რატომ არ მივცეთ აღმზრდელს და მომვლელს, რატომ დავსახოთ ურთიერთი მტრად?
საწმისი ჩემთვის იყო საბაბი, თორემ იციან ფრიქსეს ბიჭებმა,
მე სხვა გრძნობისთვის და სხვა მიზნისთვის, იქიდან აქეთ მატარეს გზებმა.
კარგა ხანია, შენი ასულის ჩემს სმენას მისწვდა ქებათა-ქება
და ჩემი გული მოიცვა დარდმა, დიდხანს ვაგროვე ფიქრების წყება.
მე მოველ, რათა მედეას ხელი გთხოვო და ტანჯვას მოვუღო ბოლო,
მით განვამტკიცო ნათესაობა, საფლავში ჯავრი არ ჩავიყოლო.
მედეას ვუჭვრეტ, კრძალვით თრთის გოლი, გრძნობით, ვით ღვინით ვარ გათანგული,
მომეც თანხმობა, სიამე სრული, არ გამიჩინო სულსა შინ წყლული.

**ოდიო** —
ვიდრე მეუფე ბრძანებდეს სათქმელს, აზრთა სასახლის გახსნიდეს სარკმელს,
მანამდე, ვფიცავ, მიწას ჩემს მშობელს, იმ მიწის ნაყოფს და იმის მჭამელს.
არ გავახარებ გულის მეტოქეს და იმის მშობელს, რომლებმაც სცოდეს,
მე კოლხიდაში მოვსულვარ რისთვის თუ ზოგმა იცის, ყველამ იცოდეს.
ნათესაობა სისხლისმიერი ჩვენ შორის არის, დიდი ხანია,
სად დარწეულა ჩვენი აკვანი, მერე სადამდე მოგვიტანია.
როცა შენები კორინთოს ფლობდნენ და დიდებული გქონდათ მეფობა,
ჩემი მამანი ევბეას ფლობდნენ და მუდამ იყო ჩვენ შორის ძმობა.
ხალიბეაში გვქონდა სამჭედლო, მჭედელთა ღმერთსაც მადლსა ვწირავდით,
ოქროს ვადნობდით, ვერცხლს და ბრინჯაოს, საომარ ეტლებს ლამაზად ვრთავდით.
ნიმფა მაკრისი ჩვენ გვიფარავდა, ევბეას ხშირად მაკრის ეძახდნენ,
მაკრისელებიც იყვნენ ამაყნი, ჯერ გაუხედნავ ცხენებსა ჰგავდნენ.
მაგრამ, როდესაც აქაველებმა იონელები მოიხმეს ძალად,
საპელაზგიოს უტირეს დედა, იმათი რისხვა იწვნიეს თავად.
აგვიკრეს გუდა ხალიბეადან და ახლა, იცით, ჰალისთან ვსახლობთ,
გარშემო ჩვენებრ ლტოლვილ ტომებთან ერთადა ვშრომობთ, ვმოყვრობთ და ვმძახლობთ.
დღეს ევბეაზე მხოლოდ აბანტი, ტყავის ოსტატნი ძლივს ბოგინობენ,
კორიბანტობენ, მეფეებს სცნობენ, მაგრამ აღსასრულს მაინცა გრძნობენ.
მე აქ მოვსულვარ, რათა მოყვრობით ერთი მეორეს მხარში დავუდგეთ,

ერთად გავთალოთ ძელი ოდისა, ცალ-ცალკე კჭნით რაც გავამრუდეთ.
ჩემი სამეფო ძალზეა ვრცელი და ჩემი ჯიში ასეა ძველი,
შენ ხარ მზის შვილი და მე კი მთვარის, როგორც ზეცაში ჩავკიდოთ ხელი.
მომეც მედეა, ჰალიბეაში მას დედოფლობა დამშვენდებოდა,
პირობა მიტომ მოგთხოვე ადრე, ვგრძნობდი, ცუდი რამ წინ დამხვდებოდა.

**აიგიალევსი —**

სხვათა დავაში სხვა რომ ბრძენია, არ ახალია, აზრი ძველია,
ეს თუ ხარია, ის ხომ მგელია, მსგავსნი ვაჟკაცნი სანატრელია.
სანათესაოდ ორივე ფასობთ, ორივეს გიჭრით ენა და მკლავი,
სწორედ ამიტომ ჩემი ნათქვამით, მინდა, ჩავაბათ თქვენ შორის ზავი.
მინახავს კრეტას კორიბიშები, კოლხ კორიბანტთა ნახაზი ტკბილი,
ამომიკითხავს ჩვენთა წინაპართ, სადამდე ჰქონდათ მხრები გაშლილი.
ასე სწერია ღმერთთა სურვილით, ხმელეთს ეფინა სქელი ყინული,
სულ ცოტა იყო თბილი მიწები, კაცთ რომ შეემლოთ გაეთბოთ გული.
მაშინ მდინარე ცოტა ყოფილა, ზღვაც იყო, თურმე, ისე მეჩხერი,
აქეთ ნაპირზე კაცი ტკბებოდა, იქით ნაპირზე ქალების მზერით
ჩვენთა წინაპართ სამშობლოდ ჰქონდათ დიდი სამეფო დასალიერში,
ტარტეს ეტყვიან, ტანტლეს ამბობენ, ატლანტად იცნობს მრავალი ერში
და იქნებოდნენ ბედნიერები, რომ არა ღმერთთა რისხვა უგვანო.
გადარჩენილნი ელტვოდნენ აისს და განთიადის ღმერთი კეთილი
აღმოსავლეთის გზებს ასწავლიდა, სად გეოს მიერ გამოკვეთილი
თბილი მიწები იბადებოდნენ, სიუხვით ახალ შვილებს ხვდებოდნენ
და ატლანტებიც მოედვნენ მთა-ველს, სადაც მოსწონდათ, იქვე რჩებოდნენ.
საპელაზგიოს ვარქმევთ, დღეს ყველას, თუმცა ერთობა ბევრმა დაკარგა,
იბერთა მოდგმა დარჩა იქ მთებში და, აღარ ვიცით, მათი რა ვარგა.
ჩრდილოეთისკენ წავიდა ზოგი, ზოგმა ლიბიის გზები დალახა,
უდაბნო მოვლო, ეგვიპტე მოვლო, ნავთსაყუდელი ვერსადა ნახა.
ნაწილი დარჩა ეტრურიაში, თუმც ესმით ჩვენი, ვარქმევთ ეტრურებს,
მათი დღეის დღის გადასახედი, ხვალე გონებას ბევრს გაუხურებს.
დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ერთობს, თუმცა სახელებს უცვლიან ღმერთებს
და ჩვენი ხვალე ვის სად წაიყვანს, ვისგან გამოყოფს, ვის შეუერთებს?
აბა იაზრეთ, რამდენი ტომი ათასი წლის წინ შუა გაიყო
და ეს სიმუხთლე ჩვენმავე მომძემ, აქაველებმა სიბეცით გვიყო.
თვითონ კოლხები ამ ადგილებში შორით დევნილნი ვაებით მოხვდნენ,

ჰენიოხები მთებში შერეკეს, მთას მიმწყვდეულნი სიცივით მრწოდნენ,
უფრო შორს მოხვდა ჯიქთა ნაწილი, ლიკიელები, კარიელები.
ბევრმაც არჩია მტერთან მშვიდობა, ოღონდ მამათა სცოდნოდა ძვლები,
მერე მოვიდა დიდი მიწისძვრა, რომ იონელთა ჩაეკლა მადა,
ძველი ღმერთები ახლებმა მოკლეს, უფრო ახლები ვინც მოამზადა.
ღმერთთა ცვალება ცვლის კაცთა მოდგმას, ტომებს გამოჰყოფს, შეუცვლის რწმენას
და დღეს თუ ვამბობთ საჰელაზგიოს, ვემსახურებით სხვადასხვა ენას.
თესალიასი ნარჩენ ალბანელს ვერ ჰგუობს მტკიცედ აქეთ მავალი,
იქით ჯიქები აქეთებს მტრობენ, სადაა აზრი ამომავალი?
ევბეას მკვიდრი ხალიბად იქცა, რა დაერქმევა ვინ იცის, ხვალე,
კორინთელები დღეს კოლხები ვართ და ვუბრიალებთ ერთმანეთს თვალებს.
თუ იაზონი იოლქოსიდან ვერ გრძნობს, რომ ძმაა მისი ხალიბი,
იონიური ვინც რა ჩაიცვა, სულ შეიცვალა მისი ყალიბი.
ჩვენ თუ ლაზნი ვართ, ოდიოლაზგობს, იაზონი ხომ ჰელაზგი არის,
რატომ ვმტრობთ ერთურთს, ძმას რატომ ვკარგავთ,რატომ ვიცვალეთ მტრისაკენ მხარი?
იონიელი თუ ეოლელი სულ სხვა ჯიშია, სულ სხვა ჯილაგი.
ვიცოდეთ მაინც, ჩვენი ვინ არის, კაცი, ღმერთი და მიწა-ალაგი.

აიეტი—

შენ რაც სთქვი, აზრი გასაგებია, მაგრამ წარსულზე ანაგებია,
სიცოცხალე მუდამ მომავალს ელტვის, წარსულის დევნა წასაგებია.
ჩვენ რომ გუშინდელ დღეს დავყლოდოთ, ლოდინში უნდა დავიდოთ ლოდი,
რაც არის, იმას უნდა ფერება, მართალს ამბობდა ჭაბუკი ოდი.
მე მომწონს მისი სიტყვა-პასუხი, თვალი მჭვრეტელი და მტკიცე მკლავი,
რაც ჩვენთან სტუმრობს, ერთი გვაქვს აზრი, ერთად შევწიროთ ღმერთებს საკლავი.
მისი სამეფოც ახლოა ჩვენთან, კოლხებთან ერთად ჯოგებს მწყემსავენ,
აქეთ მოდიან, ბრინჯაო მოაქვთ, იქით ჩვენეულ ვაზებსა რგავენ.
პროპონტიდიდან კოლხთა საზღვრამდე გადაჭიმულა პაფლაგონია,
ზღვიდან ჩვენამდე უფრო ძლიერი სხვა სახელმწიფო, არა მგონია.
მასთან მოყვრობა ბევრს ენატრება, მან ჩვენსკენ აპყრო სიკეთის მზერა,
ღმერთთა თანხმობით მედეას ვაძლევ, ამ სამოყვარო კავშირის მჯერა.
მიბრძანებია დიდი მზადება, წესით და ჩვევით, როგორაც ხდება,
რომ მოკლე ხანში იყოს ყველა მზად, ქორწილი აღარ გადაიდება.

ახლა მივმართავ მე უცხო მოყმეს, თუ ხედავს ჩვენში მოკეთეს, მოძმეს,
საჰელაზე იოს მოუთხროს ყველა, როგ ორც შეშვენის გულმართალ მოწმეს.
უთხრას: მოყვრობით გაერთიანდნენ აქეთ ხალიბნი, იქით კოლხები,
ისტრის პირამდე მივყვებით მოძხვდურთ, წინ გავირეკოთ ვით მხდალი თხები.

**აფსირტი**

მეფის ვალია, ერს უპატრონოს და მეზობელსაც მოავლოს თვალი,
უნდა გტკიოდეს შენი ქვეყანა, თუ გინდა, ქვეყნად დატოვო კვალი.
მე მამას ვეტყვი, დიდია იგი, როცა ერის ბედს ამგვარად ჭედავს,
ხალიბ–კოლხები თუ ერთად იქნენ, ომს იმათ მერე ვინ გაუბედავს.
ჩვენ დავიბრუნოთ მამათა მიწა, გადავუთიბოთ საფლავს ბალახი,
იზილებოდეს მოძხვდურთა სისხლი ცხენის ფლოქვებით, როგ ორც ტალახი.
მოხარული ვარ მე ამ კავშირის, მან მოგვცეს ძალა და სითამამე,
რისხვად დავეცე კორინთოს მეფეს, მეყო ბედისგან როგ ორც ვეწამე.
საჰელაზე იოს შევუივლო, მინდა, ყველა ჰელაზე ის მოვირთო ძალი,
საიდან ვლიდით იქით კენ წავალ, შორს წინაპართა დავლანდო კვალი.
ბრძოლის მძლავრ ღმერთს, არალეს ვფიცავ, საჰელაზე ომი ამბობთ — არესი,
ჩვენ არესს ვერვის დავუთმობთ ცოცხლად, ცოცხალს იმედი დამაქვს ხვალესი.
როცა მედეას ქორწილს გადვიხდით, არალეს უნდა დავუკლა ხარი,
ვამრავლო ბრძოლის სურვილით მთვრალი, დავრაზმო მისი მისადევარი.

**თეზე**

თუმც ვარ ჰელაზ ი, იონელს მრქმევენ და თავი ასე მეამაყება,
მიტომ არ მომწონს, წინასწარ ვიცი, ამ ქორწინებას იქ რა მოჰყვება,
შენ თუ მეფე ხარ, მეც ხომ ვარ მეფე და მინდა, გითხრა სიტყვა ღვთიური,
თუ აწყობ კავშირს ჰალიძონებთან, თუ გინდა, გასცე ქალი მზიური,
ჩვენ ხომ გთავაზობთ, თან ოდიოსი იაზონს როგ ორ გაუტოლდება?
მედეას ჰკითხე, ვისკენ აქვს გული, თუ მისცემ ნებას, რომელს გაჰყვება?
ჩვენ იაზონი ბრძოლებში ვცადეთ, ზღვას არ დაუდო მღელვარეს ტოლი
და თუ ინდომა, გულით ინდომა, კოლხეთის მხარის ჰყოლოდა ცოლი.
ჩვენთან კავშირი უფრო მტკიცეა და ჩვენი აზრი უფრო ახსნილი,
ჩვენ დაგიბრუნოთ ბრძოლით კორინთო, ჩვენ გავამეფოთ იქ შენი შვილი.
და თუ კორინთო შენი გახდება, სხვას რაღას ეძებ, სხვა რაღა გინდა?
შენ შვილთან ერთად ოქროს საწმისი დაბრუნდებოდა ღმერთებთან წმინდა.

**აფსირტი —**

თეზეი, ამბობთ, დიდი გმირია და პელაზგებში არ ჰყავს ბადალი,
თუ სიტყვას იტყვის, ზედ საქმე იცის, სად ჭკვა უძლურობს, იქ გაჭრის მალით.
რატომ პელაზგებს არ უპატრონა, ამაყობს, ამბობს, იონელია,
მშობლიურ ენას ვინც არად აგდებს, მისი გონება მუდმივ ბნელია.
თვით იაზონიც რისთვის გარჯილა? — ვერ გავარკვიე, ვის მხარეს დგება,
კაცი, რომელიც ფრენს, ვით პეპელა, ცრუობს და ტყუილს გადაეგება.
იქითაც მიდგა, აქეთაც მოდგა, სიტყვა აწონა ჩემი და სხვისი,
მას თუ მედეას ხელი უნდოდა, რა შუაშია ოქროს საწმისი?
აქ სხვა აზრია ამოქარგული, ჭრის, როგორც მათი ორპირი ცული,
უცხო რამეა ფიქრად ჩართული, თან მეგზურად ჰყავთ ჩემი დის წული.
სხვაა ოდოი, ამათ მამათგან ჩვენ ერთნაირად ვართ დევნილები,
მისი ვალია, ჩემი ვალია, მათგან დავიხსნა წარსულთ სულები.

**იაზონი —**

იქ, სადაც სიტყვა ასე იოლობს, ვერას გაუგებ თავსა და ბოლოს,
სადაც ერთი ძმა ყვავილთან ტოლობს, მეორე ეძებს ეკალს და ღოლოს,
აიგილევსი ხედავს ნათესავს, ძმობას, ერთობას უსინჯავს გემოს,
აფსირტი ეძებს მტერს და მოძულეს და სიბრძნე ამით, სურს, დაიჩემოს.
ჩვენ თუ მოვდივართ ერთი ხაზიდან, ბედი უბედო ერთი გვქონია,
დღეს რად ვერ ვიგებთ სხვის გულისტკივილს, მუქარაც მისთვის მონაგონია.
ჩვენ ღმერთები გვყავს ერთი სახების, იმათი ძალა ერთგვარად გვწყალობს,
განა, არ გვწყალობს ერთგვარად ჰანგი, როდესაც ნიმფა ეოსს უგალობს.
როცა კოლხები მყარად ცხოვრობდნენ ბეოტიაში, არგოლიდაში,
ვინ იფიქრებდა, ჩვენი ერთობა ჩაიხვრჩებოდა მღელვარე ზღვაში?
განა, ოლომპოს დიდი ღმერთები ჩვენ ერთნაირად არ გვიფარავდნენ?
ახლა რომელმა უმტრო შენს მხარეს ან ჩემდა სამტროდ რომელნი აღდგნენ?
პირველმა გთხოვე მედეას ხელი და, მე მგონია, მაქვს ეს უფლება.
სატევარს ვანდო მე განაჩენი, დავიცვა ქალის თავისუფლება,
ოდიოს ვიწვევ შერკინებაში და, რასაც ვფიქრობ, როცა მოხდება,
როცა მეტოქის მზე დაემხობა, მაშინვე ჩემი გზა გამოჩნდება.

**ოდიო —**

მომწონს ნათქვამი, დაე, მახვილმა გადაჭრას ჩვენი სურვილის დავა,
დე, ბრძოლის ღმერთმა ჩააშხოს ქვესკნელს ამ ნათქვამს იქით ვინაც გადავა.

**აფსირტი —**

ქალის გულისთვის ბრძოლა, ჭიდილი, არ მიმაჩნია გონების მალად,
ვისაც უნახავს მათი სიმრავლე, ამ რჩევის სიბრძნეს მიხვდება თავად,
რაც შეეხება ღმერთთა ერთობას, რაც უწინ იყო, განა, ის არის?
განა, რა ვცოდეთ ქვეყნად ისეთი, რომ მოგვიტანეს დროება მწარი?

**აიგიალევსი —**

არ მიყვარს, როცა ღმერთივით ზეობს, მოკვდავი უკვდავთ საქმეზე მსჯელობს,
არც არა იცის, არცა არა უნდა, ახალი მუდამ მის თვალში ძველობს.
აქ იაზონი ამბობდა მართალს, იყო დრო, გვყავდა ერთად ღმერთები,
მაგრამ როდესაც გიმტრობს ვიღაცა, იმას მეგობრად ვერ დაერთვები.
ჩვენი გათიშვა დაიწყო ძველად, ახლა თუ ვინმე იაზრებს მნელად,
რომ დედა ღმერთად მიგვაჩნდა მიწა, თქვენ იტყვით, გეო გვყოლია მცველად
და, განა, მიწა არ შობს სიცოცხლეს, ცის ღმერთთან შვილებს —
ვარსკვლავებს, მთვარეს,
დღესა და რამეს, მზეს მოკაშკაშეს, რომ ანათებდეს ის არემარეს?
წინაპართ სწამდათ საღვთო კავშირი უღრანი ცისა, დეო მიწისა,
ურანისა და გეოს მადლია, იტყვით, საწუთროს თუ რამ იშვისა.
შემდეგ მოვიდა ახალი დრონი, დრონი, ჩვენ ვიტყვით — ღმერთი ჟამისა,
კრონი ყოფილა, თქვენ იტყვით ასე, დამთვლელი ყველას ყველა წამისა.
დრონმა დაამხო ცის ბატონობა, ერიდე შობა და სულ-ტატანა,
სიკვდილზე იტყვით ღმერთი ტანატა და შუღლის ღმერთზე ერიდა თანა.
ჩვენ თუ განთიადს აისს ვეძახით, იგი ყველასი ხომ არის ერთი?
თქვენთან ეოსი ხომ იგივეა, მართლაც, გვყოლია საერთო ღმერთი.
როცა ატლანტთა მოდგმა ძლიერი აქეთ ვიდოდა სვებედნიერი,
დეო მიწა და უღრანი ზეცა — ღმერთები იყვნენ მაშინ ძლიერი,
საჭელაზგიოს როცა დაფუძნდნენ, როცა სამშობლო ნახეს ახალი,
ძველი ღმერთები დრომ გაიყოლა, დრონმა წასულებს უჩვენა ძალი.
დიდხანს მეფობდნენ გეა და კრონი, სახელს ყოველი ვამბობთ სხვაგვარად.
მრავალი ასი გავიდა წელი, მაგრამ დროება მიგვაჩნდა არად,
შემდეგ მოვიდნენ აქაველები, იქაველებზე დაიწყო დავა.
ზოგი გარეკეს, მეტი შეირთეს, იდგნენ ღმერთები კარგად თუ ავად,
მაშინ მრავალი ტომი გაიყო, აღმოსავლეთით ვიდოდა ბევრი.
ფარა მიჰყავდათ, ქურო მიჰქონდათ, აივსებოდა ცრემლებით ქვევრი
და მაშინ იყო, დამპყრობთა ძალას, ახალი მოჰყვა ღმერთი დამპყრობი.

ძველი კერპები დაიმსხვრნენ სწრაფად, ახალნი დადგნენ ოლიმპოს წყობით,
აბა, იაზრეთ, კრეტაზე ჩვენებს მთავარი ღმერთი კუბელე ჰყავდათ.
თაყვანსა სცემდნენ, ზვარაკს სწირავდნენ, ეშინოდათ და თანაც უყვარდათ.
შემდეგ, როდესაც აღმოსავლეთით ზღვის ხალხმა იწყო სწრაფი დინება,
ტყეთა ქვეყანას, ხეთა სამეფო შექმნეს და იწყეს მტერთა გინება.
ბევრი ახალი ახლად ისწავლეს და ძველი მისცეს დავიწყებასა,
მასთან კუბელე კუპალად იქცა, ის არიდებდა დევთა რისხვასა.
ჩვენთან კუპალას კოპალეს ვარქმევთ, ასე გვემარჯვა მისი სახელი,
კოლხებმა ასე, იქიდან აქეთ, შემოვინახეთ ღმერთები ძველი.
ვინაც რა იცის, დამემოწმება, მინოსის ქვეყნად კუნძულ კრეტაზე
ღმერთებს კოლხები წესს უყენებდნენ, ლოცვები ისმის მხოლოდ მათ ხმაზე.

**ორფეი —**

აიგიალე, ასე მგონია, რაც თქვი, ზღაპარში განაგონია,
ასე გამოდის, ვის რა ჰქონია, ყველა კოლხების მონაქონია,
ჩვენთვის უცნობი ზღვიდან აქამდე, თუკი კოლხები მიწებსა ხნავდნენ,
ახლა სადღა აქვთ, ან სად წავიდნენ, როგორ შემცირდნენ, როგორ გათავდნენ?
აქ რაღაცაა ისე ნათქვამი, ბევრი რამ რჩება გაუგებარი:
უმაღლეს ღმერთის ზევსის სადარი ოლიმპოს მთაზე არავინ არის.
მეხთამტყორცნელი თუ შეკრავს წარბებს, მოხდება ის, რაც მისი ნებაა.
აქ რაც ვისმინეთ, ნაღდად ასეა, ჭეშმარიტების გამრუდებაა.
ისეთს ნუ იტყვი, თითქოს, იონელთ არა გვყოლია ჩვენი ღმერთები.
მაშ, ვინ ააგო ათინა, სპარტა,  დელფოს, მიკენი, ტირინფი, თები?

**აიგიალევსი —**

არავინ ამბობს, მხოლოდ კოილხები ამქვეყნად ღმერთმა რომ გააჩინა,
ვინაც აჩინა, გამოაჩინა, შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა.
ატლანტთა გარდა და იმათ იქით, ქვეყნად მრავალი ჯიში ზეობდა,
ზოგი დნებოდა, ზოგი კვდებოდა, ზოგი ჩნდებოდა, ზოგი მხნეობდა.
მე მოკლედ მოვჭერ და ვერ მიმიხვდი, საწუთრო ჩვენი ძალზე გრძელია,
კორიბანტები აღწერენ რასაც, კორიბიშებში საძებნელია.
შიგ რა წერია, შიგ რა ხატია, განა, ყველასთვის გასაგებია? —
რაც პელაზგებმა დალახეს გზები, ხიდებიც მათი ანაგებია,
პელაზგებია, ატლანტთა მოდგმის შემორჩენილი მცირე ნაწილი,
კოლხთა ტომი კი, ასე გამოდის, თავის მხრივ, არის პელაზგთა შვილი.

ამიტომაა შემორჩენილი ჩვენში ოქროთი მორთული ტყავი,
რომლის მიხედვით ყველაფერს ახსნი, თუ გიმუშავებს ოდნავად თავი.
ზედ ყველა ზღვაა გამოხატული მდინარეები, გზები, ტომები,
ვინ სადა სახლობს, რა უკავია, დაცული არის ზუსტი ზომები.
საჰელაზგიოს ყველა სამეფო, იქიდან აქეთ გზები სავალი,
არ იწვალებდით არგონავტები, ერთხელ რომ მაინც შეგევლოთ თვალი.
თქვენ კი რა ჰქენით? — ვინც რადა ღირდა, გადააშენეთ მუდმივი რქენით,
ზოგი სატევრის გახადეთ მსხვერპლი, ზოგი მოწამლეთ შხამიან ენით.
როცა აბანტთა ღვთიურმა შვილმა კორიბანტები აღზარდა მრავლად,
ჰელაზგიური გაჩარხა ახლად, ძველ კორიბიშებს მოერგო წამლად.
ყველა სამეფოს კრეტიდან აქეთ უმრავლა კოლხი კორიბანტები,
იონელებმა რა უქნეს ღვთის კაცს, მისმინე, ნუღარ დაიფანტები:
სამასი წლის წინ საჰელაზგოდან ბევრი ილტვოდა აღმოსავლეთით.
ერთმა ნაწილმა ზღვები დალახა, ეგვიპტეს მისწვდა ბევრი ხმელეთით.
ჰელაზგიური წერის უნარი ბევრმა წაიღო, შვილივით ზარდა,
ზოგმა დაკარგა, ზოგმა შეცვალა, ზოგმა იბარტყა და განვითარდა.
ეგვიპტის ზემოთ მოხვდნენ დანუნნი, ზაქარები და ფინიკიელნი,
მათ მარცვალ-ბგერებს მოარგეს ასო ახალი სახის, სუსტნი და გრძელნი,
ლინოსი იყო იონიელი, ამგვარი ხაზვის გახდა ტრფიალი,
მან გადახატა ბარბაროსულად, სცადა, ახალი გაევლო კვალი.
თანაც იცოდა, ძველს ვერ დაძლევდა, სანამ ცოცხალი იყო კადმოსი,
ჰელაზგიური ხაზვის ქომაგი მოკლა, ვით მწყემსი უცხო სამწყსოსი.
ბევრი მას შემდეგ სხვაგვარად ხაზავს, ძველ კორიბიშებს ვერას გაუგებს,
ბრიყვი მცოდნესაც გიჟად მიიჩნევს, თუ ვერა ავნო, წერას აუგებს.
შენ რატომ გიკვირს, რაც ვთქვი კოლხებზე, უვლიათ მათაც სისხლიან გზებზე,
თუ რამ შემორჩათ, თუ რამ იციან, იმას აწყობენ წინაპართ ხმებზე.
ჩემი დიდი მმა მართალი იყო, როცა იონელთ უწოდა მტრები,
იმათ წარსტაცეს კოლხებს მიწები, გაუნადგურეს ნათესი, ზვრები.
თეზეიმ კარგად შენიშნა ერთი, მას ახსოვს, თუმცა იონიელობს,
თუკი კორინთო სულ იყო ჩვენი, დღეს რაღა მოხდა, კრეონტი რად ფლობს?
მე მოვიხიბლე შენი სიმღერით, გეთაყვანები, თუმც ხარ მტრის შვილი,
ერთია მტერი სამტროდ მოსული და მეორე — მე მისი ხმატკბილი.
შენ აქ ამბობდი იმ ქალაქებზე, საჰელაზგიოს ახლაც რომ შვენის,
ისე ყვებოდი, ვინც არ იცოდა, ეგონებოდა ნათქვამად ბრძენის.

თუ დაუფიქრდი, როდის აშენდა, ხურო ვინ იყო, ქვისმთლელი, მონა?
ახლა აგიხსნი, ფაზისს რომ მოხვდი, ქალღმერთის მკვლი რომ მოგეწონა,
თეზეი იტყვის: ზუსტად ასეთი დღესაც ათენში აგებულია,
მიდი, გაიგე, იქიდან აქეთ, აქედან იქით წარებულია?
და, რომ იცოდე, ეს ქალაქები პელაზგთა შრომის არის ქმნილება,
კოლხიც იქ იყო, როდის, რამდენი — კიდეც რომ გითხრან, ვერ დაითვლება.

**ორფეი —**
რაც აქ გვიამბე, გასაგებია, ქვეყანა როგორ ანაგებია,
ოლიმპოს ღმერთნი ხომ ჩვენებია, ჩვენგან ნამღერი და ნაქებია.
რაც თქვი, სულ ყველა დამითმენია, მაგრამ, იცოდე, ზევსი ჩვენია.
იონელები, ეოლელები ჰერას მისგანვე გაუჩენია.

**აიგიალევსი —**
იონელები, ეოლელები, ახალი ჯიშის ბარბაროსები,
შემოესივნენ საპელაზგიოს, როგორც ცხვრის ფარას მშიერი მგლები.
ბევრი გაწყვიტეს, ბევრი გარეკეს, ბოლოს თვითონაც იცვალეს ნირი,
მასპინძელი რომ დაიმორჩილა, პირსავსე ქოთანს მიუჯდა მწირი.
ბევრი იშრომეს, ბევრი იწვალეს, მტრებისგან მტრებმა ბევრი ისწავლეს,
კუნძულებიდან სხვა კუნძულები და ქალაქიდან ქალაქი დავლეს.
შენ ხარ მართალი, დღეს შენი არის სპარტა, ათინა, ტირინფ, მიკენი,
პილოს, კორინთო, მასთან დელფოსი, მიტომ სხვა ერად გარდაიქმენი.
ისწავლე ბევრი, როცა ისწავლი, ის სხვისი ცოდნა გახდება შენი,
ხანი რომ გავა, მოგეჩვენება, არა გქონია სხვაგვარი დღენი.
აბა, ეს მითხარ, შენთა წინაპართ თუ ჰყავდათ ღმერთი მეხთამტყორცნელი,
ახლა მე გეტყვი, საპელაზგიოს სულ მფარველობდა ამინდის მხსნელი.
ის არის ქვეყნის მადლის მომცემი, მრისხანე მეფე ცის სამყაროსი,
ლაზგნი და კოლხნი დღეს ასე ვიტყვით, მოწყალე გვქმნეს დიდი ტაროსი,
ალბათ, იფიქრე, ეს ხომ ზევსია, ამაყად მჯდომი ოლიმპოს მთაზე.
ტროას იტყვიან იდის მთას მწყემსავს, ღრუბლებს მოკრებილთ შორს
გაშლილ ზღვაზე,
დღეს თქვენში ზევსი ღმერთთა მეფეა, მზეს გზას გაუხსნის, ცას დააბნელებს,
მაგრამ ოლიმპოს როგორ მოვიდა, აბა, თუ ახსოვთ იონელთ, ძველებს?
პელაზგთ იციან, კუნძულ კრეტაზე, სადაც კოლხები კორიბანტობენ,
მაღალ მღვიმეში აღზარდეს ზევსი ნიმფებმა, კრონის შიშს ვინც ვერ გრძნობენ.

რატომ იზარდა ზევსი კრეტაზე? რატომ იტყვიან არის კრეტელი?
და თუ ვინმეა არაპელაზგი იმ ადგილების ადრე მჭვრეტელი,
ეოლელებმა, იონელებმა ბევრი კუნძული მოინადირეს,
კრეტას ვერ მისწვდნენ, ზევსის სამშობლოს, ზევსი სასხვისოდ რატომ გაწირეს?
მე კი მეტს გეტყვი, როდესაც ზევსმა, ფინიკიელებს სიდონიაში
ტურფა ევროპა მოსტაცა მალვით და შეაბიჯა მღელვარე ზღვაში,
რატომ გასცურა ისევ კრეტისკენ, რატომ არ ნახა სხვა სავუდელი?
ყველა ის უყვარს, სად აღიზრდება, სხვაგან მამულიც რომ მისცე ფრცელი.
დღეს შენი ჯიში ზევსს რომ ითვისებს, ამბობთ მრისხანე ჩვენი ღმერთია,
რაც გაგიგიათ, რასაც ლოცულობთ, პელაზგთა აზრთან შენაერთია,
ზევსი იზარდა პელაზგთა შორის, დღეს პელაზგია მისი მსახური,
ტროას მეფის შვილს ჯანიმედს მიაქვს ღმერთთან მშობლიურ მიწის ნაყური.
იცი, დღეს ზევსი ღმერთთა მეფეა, როდის გამეფდა ეგეც თუ იცი?
ვისთან იბრძოდა, ვინ უმეგობრა, ვინ უღალატა, ვინ მისცა ფიცი?
მოვა დრო, ალბათ, შენთა მომავალთ, რაც იყო, ყველა დაავიწყდებათ,
ჩვენთა ამბავთა დიად საწუხარს, თავის საქმეთა ჩათვლიან ქებად?

**ორფეი —**

ზევსი რომ კრეტას იზარდა, ვიცი, ან რა აზრი აქვს ვინ სად იზარდა,
მთავარი არის, ვინ მიყვარს ახლა და არა, ადრე თუ ვინ მიყვარდა.
ზევსმა თუ მოვლო ხმელეთის ზურგი, ზეციდან აქეთ ყველას ზვერავდა,
რატომ კოლხეთში არ დადგა ტახტი, ქარებს ოლიმპოს ირგვლივ ბერავდა?

**აფსირტი —**

ამ სტუმრის მიკვირს მე საქციელი, გიჟობს თუ მართლა არის სულელი,
რაც მოვისმინე ამბავი ძველი, ჩემთვის ყოველი გახდა ნათელი.
აქ არვის უთქვამს კოლხების მოდგმა, რომ ქვეყნის ზურგზე ერთადერთია,
ან ზევსი ჩვენთვის დაბადებულა, მხოლოდ კოლხების დიდი ღმერთია.
გარკვევით ითქვა, თვითონ კოლხები ერთი ტომია პელაზგებისა,
პელაზგები კი თავისი მხრიდან შვილებში შვილი გეო დედისა.
თუმცა ძმა არის აიგიალე, ვკიცხავდი მუდმივ, თავს ვიდე ცოდვა,
როდის ვინ იყო? ასე ვფიქრობდი, რაში მჭირდება ამისი ცოდნა.
ახლა ვუყურებ, მეფეს სჭირდება, ალესოს ენა და სატევარი,
რათა ქვეყანას მარჯვედ არიდოს ათასი რქენა და სატკივარი.

მნელი არ არის იმის გაგება, როცა გეომ შვა თბილი მიწები,
ყველა იტყოდა, იქნება კარგი, თუ ახალ კუთხეს დავეუფლები.
ახსენეს ღმერთი მეფეთა ნებით, ათასი კუთხით ბევრი დაიძრა,
აქედან იქით, იქიდან აქეთ, ვით ჭიანველნი, თუ მიწა იძრა,
ადგილის შეცვლამ დროც ხომ შეცვალა, ძველები ახალს ხომ ანაცვალა?
ვინ ვის შეერწყა, ვინ ვის დასცილდა, ვინ ვინ შეირთო, როგორ გაცვალა,
ატლანტთა მოდგმამ ბევრი რამ ხანი დიდ ზღვიდან აქეთ მარჯვედ იარა.
ახლა ვინ რა თქვას, სად ვინ დაკარგა? ვის გაუჩინა იქით იარა? —
ასე მოვსულვართ ჩვენ ამ მიწაზე, რათა ხანია, ამ მთებთან ვსახლობთ,
იქით ჯიქები, ჰენიოხები, მოსხნი და მუშკნი გვარტყია ახლოდ,
ჩვენი ნაწილი საჰელაზგოში დარჩა და დღემდე იქა აქვთ ბინა,
ლელეგ-კავკონებს, ლაკებს და კარებს თქვენთან ახლოს რამ გაამლებინა?
დღეს ჩვენთან სტუმრობ, ტკბილად საუბრობ, თან, იქნებ, გულში
ლესავ სატევარს.
ღმერთებს იფიცებ, გულს ქებით მივსებ და თან მიზომავ უღლის საყევარს,
მე ასე ვეტყვი მამას და მეფეს, ჩვენ ხელი მივცეთ ჩემი დის ნეფეს,
ერთად ავზომოთ, ერთად გადავჭრათ, რაც ამათ გვითხრეს, იმღერეს, ყეფეს.

**იაზონი —**

მე შევთხოვ ღმერთებს, მოგვცეს გონება, არ ავყვეთ, რასაც ავს იტყვის ენა,
შმაგი თუ შლეგობს, თუნდ უმიზეზოდ, ბრძენის ვალია მისი დათმენა,
განა, რა ითქვა სხვათა საწყენი, ვინმეს უხსენეს, განა, გამჩენი?
თუ საერთო ღმერთს შევხარით მზერით, ვყოფილვართ ქვეყნად გამოსაჩენი.
მე ვეთანხმები აიგიალეს, იგივეს იტყვის თეზეი დიდი,
განა, იმიტომ დავლახეთ ზღვები უკვალავ გზებით აქეთკენ ვლიდით,
რომ კინკლაობით დღე დავაღამოთ? სჯობს, ვისაუბროთ ტკბილად და ამოდ
და თან განვსაზღვროთ, როგორ სჯობია გინდ სამომავლოთ, გინდ
საამქამოდ.
ღმერთთა ამბავი ქირონისაგან მე გამიგია, რათა ხანია,
რომელი რომელს სცვლიდა ზეცაში, რომელს ვისგან რა აუტანია,
მისაგან ვიცი პირველად მეოფნი — გეა და მასთან, მძლავრი ურანი
ბადებდნენ ღმერთებს, ბუნების ძალებს, რომ გაეფანტათ კაცთა ბურანი.
მეორედ მეოფნი: გეა და კრონი, აქ ასე ითქვა: დე-ა და დრონი
ბადებდნენ კაცთა ცხოვრების ღმერთებს, რათა სიცოცხლეს ჰქონოდა გონი.
მესმედ მეოფნი ზევსის მეფობით ცხოვრების ავ-კარგს აწესრიგებენ,

კაცთ ამრავლებენ, არაკაცთ სდევენ, ხან თუ დაგვსჯიან, ბევრს გვარიგებენ
კოლხთა მეფე თუ მზისა შვილია და ჰელიოსის თან დააქვს მალა,
პოლიდევკი ხომ ზევსმა დასჭედა, სიამის თასი როცა დასცალა,
შორს სად წავიდეთ, ფრიქსეს და ჰელეს დედა ხომ ჰყავდათ, ღმერთი ნეფელა,
თეზეის მამა პოსეიდონი და თუ ჩამოვთვლით ყველას ნელნელა,
გამოვა ბოლოს, რომ ყველა მეფე მაღალი ღმერთის ღვიძლია შვილი,
თუ ერთი ღმერთი შუღლს თესავს ქვეყნად, სიყვარულია მეორის წვლილი.
ზევსი რომ კრეტას დაბადებულა და რომ არ არის იონიელი,
არ ახალია ესე ამბავი, მე დავამატებ, რომ უფრო ძველი
არის პრომეთეს თავგადადება, დღეს სიკეთისთვის თუ ვინმე კვდება,
თუ ვინმეს გულის მარღვი უწყდება, კლდის წვერზე როცა არწივი ჩნდება
და დიად ტანჯულს უკორტნის ის გულს და ეს ყოველ წელს რომ მეორდება,
და თუ იციან, რომ ყოველივე ყველა ჩვენგანის გულისთვის ხდება?

**აიგიალევსი —**

კოლხეთს ეტყვიან, აიას მხარეს, სამოყვრო არეს, მტრებისთვის მწარეს,
ჩვენთა წინაპართ აქ სისხლი ღვარეს, ყლორტი იყარეს, გულით იხარეს,
ამ ადგილებში, სადაც ვართ ახლა, ადრე სახლობდნენ ჰენიოხები,
ჩვენი ჯიშია, მაგრამ უფრორე, მათ ეწოდებათ კავკონთა ძმები,
ამიტომ ხშირად კავკონებს ვარქმევთ, მთებსაც ვეძახით — კავკასიონი.
საჰელაზგოში რაც კი გვქონია, უმაღლესია, მე ვიცი, დონით.
ამიტომ, როცა პრომეთეს დასჯა ზევსმა ინდომა ოლიმპოს მთაზე,
კავკასიონზე მიაბა ჯაჭვით, არც უფიქრია, დაება სხვაზე,
აქ უფრო სხვაა საინტერესო, ეს ღმერთიც ჩვენი არის მფარველი,
უნდა იცოდეს მათ, ვინაც სცოდავს, აქაველი თუ იონიელი,
იაპეტს ეტყვით პრომეთეს მამას, ოკეანის ძმას, სიკეთის მფარველს,
შვილს დაუწყეს კაცთპატრონობა, რომ მფარველობდნენ მშობლიურ მთა-ველს.
პრომეთე იყო, ვინაც გვასწავლა, სად ბოროტია, სად სიკარგეა,
ზევსს მიეხმარა და დაახმარა დედა თემიდა და დედა გეა
და როცა ზევსმა იგდო მეფობა, სამყარო გაყო დებს და ძმებს შორის,
მხოლოდ პრომეთე დატოვა მშრალზე, არ სურდა, გვერდით ჰყოლოდა სწორი.
ის დაისაჯა სიკეთისათვის, ზეცას მოსტაცა კაცისთვის ცეცხლი,
ასწავლა, როგორ ეხაზა ასო, აეგო გემი, გაედნო ვერცხლი,
როგორ მოეხნა და დაეთესა, როგორი იყო ცხოვრების წესი.
ერთგულებისთვის გულსა ჰკორტნიან, ღმერთზე რა გითხრა სხვა უარესი?

**ორფეი** —

ბრძენის მოსმენა გულს მოუფონებს, სმენას დაატკბობს, გონს მისცემს ღონეს,
ბოლოს ირაევა და ვეღარ ვარჩევ, რაა სიმართლე, რა მოიგონეს.
თქვენი ნათქვამით, ისე გამოდის, პრომეთემ ქვეყნად თქვენთვის იშრომა,
რა დაემართათ იონიელებს, რატომ დაატყდათ ღმერთების წყრომა?
ზევსი შენია, ჰერა შენია, ჰეფესტო, გეა, თუ აპოლონი.
ჩემი ვინღაა? ზვარაკს ვის ვწირავ? სხვისი რატომ მჭირს გამოსაწონი?
მაშინ, ვიკითხავ, ამდენი ხანი ზღვა და ხმელეთზე რატომ ვიწვალე?
გუშინ შექმნილი დღეს ვერ მივიღე, დღეის ნაშრომი შემხვდება ხვალე?

**აიგიალევსი** —

სტუმრის წუხილი და გაოცება არ ნიშნავს, მრუდედ რამე ითქმება,
განა, არ ხდება? — სხვა იტყვის აზრებს და იგი შენად გარდაიქმნება.
ზუსტად ასეა, ჩვენი ღმერთები დღეს თქვენი გახდა რიგით და წყებით,
გამარჯვებული ითვისებს ნადავლს, დამარცხებული ბედს ვურიგდებით.
ხომ ვთქვი, პრომეთემ ცეცხლი გვასწავლა, იცი, საიდან გამოიტანა?
კუნძულ ლემნოსზე, სადაც მოსხები ბრინჯაოს სჭედდნენ და რკინას თანა.
მოსხეს მწვერვალზე სამჭედლო იყო, ჰეფესტო ღმერთი იყო მჭედელი,
მუდმივი ცეცხლი ენთო ქურაში, ღვთიური ჰქონდა ზედ საბერვე;ლი.
ამ სამჭედლოდან მოტაცებული ცეცხლი დღეს ყველა კერას ამშვენებს,
მხოლოდ პრომეთე ვერ თბება მისით და მის წამებას ვერვინ აჩერებს.

**ორფეი** —

მაშ, აპოლონიც თქვენი ყოფილა, მითხარ, ვინ დარჩა იონელთ წილად,
ვიცოდე, რომელს მივუზღო წვლილი? — არ გავიხადო თავი საცინლად.

**აიგიალევსი** —

მე რაც გითხარი, არა იმიტომ, ვინმეს საწყენად აუგი მეთქვა,
დღესმე კოლხი ვარ და ვკოლხობ კიდეც, თუმცა გუშინწინ პელაზგი მერქვა.
შემოგვრჩა ბევრი ნაჭერ–ნახაზი, ჩვენი წარსული რომელშიც ჩნდება,
დღეს კიდევ ვიცით მამათ ამბავი, ის, რაც ბადიშებს დაავიწყდებათ.
შენც ასე გახსოვს, გუშინ სხვა იყავ, დღეს შეიძინე ჩვენი მიწები,
ხვალ ჩემი ხსოვნა აღარ გექნება და ჩემზე დარდით არ დაიწვები.
ჩემი ღმერთებიც გახდება შენი, კი არ გახდება, უკვე შენია.

მხოლოდ საიდან? — უნდა იცოდე, შენ კი ჯერ ეს ვერ დაგიდგენია.
ზევსი თუ იყო კრეტის მღვიმიდან, დიონისეა ლიდიის მხრიდან,
ფრიგიის გავლით მოვიდა თქვენში, ფრიგიულ დაფდაფს არ იხსნის მხრიდან.
აფროდიტე ხომ კვიპროსელია? — ცის ქალღმერთია, ურანის შვილი,
ფინიკიელებს ეპყრათ კვიპროსი, ვაჭრობა ჰქონდათ ქვეყნად გაშლილი,
ფინიკიელთა მეფის მემკვიდრე აქ შეიყვარა მან ადონისი
და სიყვარულის გახდა ქალღმერთი, აღარ ათრობდა შეხედვა სხვისი,
შემდეგ, როდესაც აქაველებმა ყველა კუნძული მოინადირეს,
ოლიმპოს დასვეს ქალღმერთი ღმერთად, სატრფო მოუკლეს, ცრემლი ადინეს.
შენ ზევსის შემდეგ აპოლონს აქებ. ლამაზი არის ეს მოისარი.
არტემიდაა მისი ღმერთი და და–ძმას ტახტი აქვთ ოლიმპზე მყარი,
მაგრამ მივიდნენ იქ ჩვენი მხრიდან, ბევრი გადახდათ საპელაზგოში,
ღმერთი თუ მონა იქნება წლობით, ვის გაუგია ახლანდელ დროში?
თესალიაში მეფე ადმეტე იყო ჭაბუკი აღმატებული
და აპოლონი მონობდა ყმაწვილს, რვა წელი დაჰყო იმასთან სრული.
მან უერთგულა ადმეტეს, როცა გრძნობამ გათანგა ჭაბუკის გული,
მათ მოიტაცეს ალკესტე ერთად, იოლკის მეფის ტურფა ასული,
საპელაზგოს, მის გაშლილ ველორტებს, გვწამს, ეს ამბავი ნამდვილად მოხდა,
თუმც დავიფანტეთ, სახე ვიცვალეთ, მას შემდეგ ჟამი დიდი გამოხდა.
ვინც აქ ვახსენეთ: ღმერთქალი, ღმერთი, მეფე თუ მეფის ძე და ასული,
რომელი არის, რომ იომელმა თქვას, რომ ყოფილა მისი წარსული,
დღეს იონელი პელაზგთა ამბებს იგებ და გონის კუნჭულებს ივსებ,
მოვა დრო, ყველას დაარქმევ შენსას, სხვისას, როგორც შენს, გაითავისებ.

**თეზე—**

წარმომავლობით მეც პელაზგი ვარ, პოსეიდონის ვარ ნაშიერი,
მაგრამ ახლა ხომ ვარ იონელი, ამით რა, დავალ ქვეყნად მშიერი?
მთავარი კაცში ის კი არ არის, რომელი ტომის შვილია მყარი,
ან რა ენაზე აღზრდის მომავალს, რა კაცი არის — აი, მთავარი.

**აფსირტი—**

კაცი საწუთროს ნაბიჯით ზომავს, ნაბიჯებია სხვადასხვა ზომის,
სხვაობა არის ქიშპობის ძირი, შურის დამწყები — მოსურნე ომის.
ამიტომ, თითქოს, ცუდია იგი, მაგრამ იქნება უფრო კარგი,
შენ ჩემი თუ გშურს, ჩემი არ მოგწონს, არც მე მაქვს აზრი შენი სავარგი.
ამბობ რომ ქვეყნად პელაზგად გაჩნდი, ბედმა გარგუნა იონელობა

რა შეიძინე მით რა დაკარგე, ძველს რით სჯობია ახლის მცველობა?
ძმამ რაც გვიამბოთ, სულ მართალია, ჩვენი ღმერთები გამხდარან თქვენი,
სად გაგიგია, უვიცმა მცოდნეს, აუხსნას აზრი, მიუძღვნას ძღვენი.

ოდიო—

ხშირად ენა ჭრის რკინაზე ძლიერ, ხშირად სატევარს გაუხარია,
თუ შეგეშალა, სად რა სჯობია, მაშინ შედეგი მუდამ მწარია.
ამიტომ, სანამ თავს მოვიწონებთ, კარგად ავწონოთ საკეთებელი,
იქნებ, ახალი მართლა კარგია, ან, იქნებ, ახალს ჯობია ძველი?
ბევრმა არ იცის, მაგრამ აღმზრდელი მე მალზე ხშირად მეუბნებოდა,
ახალი ღმერთი რატომ მძლავრობდა, ძველიც რჩებოდა, არა კვდებოდა.
რატომ ეტყვიან ზევსს მეხთამტყორცნელს — შენ ჰელაზე ცის დიდო-უფალო,
აქაველები და დოდონები მლოცველთა რიგებს რად მივათვალო?
კოლხეთში რატომ დგას მისი ძეგლი? კოლხურად რატომ ჰქვია ტაროსი
და რატომ არის ამაღლებული ყველა ღმერთებზე ამ სამყაროსი?
მეცინებოდა, როცა ყვებოდნენ, ქალღმერთი ატა როგორ დასაჯა,
ტყუილის ღმერთმა ტყუილი ჰკადრა, გულში სხვა ჰქონდა და სხვა ეაჯა.
განრისხდა ზევსი, ყურით ასწია და ოლიმპოდან ქვევით ისროლა,
ატაურა მას შემდეგ შეერქვა, ნიშნავს, ვერ ნახო შენ შენი ტოლა.
მცდარად მოამხეს ატაურს ვეტყვით, ასე ითქმება, შე მატყუარა.
ზევსმა ცბიერებს ზღუდე დაუდო, სიკეთის კარი გამოუხურა.
იქნებ, ჩვენც მივყვეთ ამ დიად რჩევას და ყველა, ვინაც ცუდად ირჯება,
შევწიროთ ატას, ვისროლოთ ყურით, სანამ სხვაგვარად არ დაისჯება.

აიეტი—

ვფიცავ ჰელიოსს, რომელმაც შემქმნა, მიწას, რომელიც ტკბილ დედად მექმნა,
არ მომესმინა, რაც უნდა გეთქვათ, მოგონებებად არ გადამექმნა,
არ ვიქნებოდი მართალი თავთან, სტუმრად მოსულნი სამეფოს კართან
უკან გამეშვა და არ მიმეშვა, არალეს ველზე მორქენალ ხართან.
გასაგებია, ავიც და კარგიც ჭაბუკთა შორის რატომ იოლობს,
ჟამთა სიავე სიჭაბუკეში მოხუცთა ჟამთა სიკეთეს ტოლობს.
რა დამავიწყებს, ჩემს კორინთოში ჰელიოსის შვილს მეძახდნენ მარად
და მეც მეგონა თავი უკვდავი, სამეფო ტახტზე მჯდომარე მარად.
რა უცნაურად იცვალნენ დრონი, თუ აღარ მომდევს ძალი და გონი,
არეულია ფიქრის საფიხვნოს ის, რაც იყო და გამონაგონი.

უწინ, სიმღერით მზეს რომ ვხვდებოდით, იყო გუგუნი „ჰელიოს, ჰელი!“
ახლა ჰეროოს ცალცალკე ვმღერით, ღამეს გაგვიტეხს ერთი სანთელი?
ჩვენი ბრალია, ატლანტთა მოდგმა, სანამ აქეთკენ მეარად ვიდოდა,
არესია თუ არალეს ველზე მტერი, რომელი გამოვიდოდა,
დაცალკევებულს მარდად გვიტევენ ეოლელნი და იონიელნი,
ურთიერთშუღლი და არგატანა სატკივარია ჩვენი რამ ძველი.
სხვისად ყოფნა რომ გვეამაყება, გადატანილი დუხჭირი ამბობს,
დიდ შემართებას და თავდადებას ხშირად პატარა ღალატი სჯაბნობს.
სანამ ვიტყოდე, რაა ღვთის ნება, საით გავწიო ბედის სასწორი,
სტუმრების უნდა ვიცნა მიზანი, კაცურად ვიყო სინდისთან სწორი.
ის, ვინც გრძელ ხომალდს ვერ გამორანდავს, ვით გადურჩება სრუტეთა ავდარს?
თუკი სინათლით ვერ აგ ნებ გზა–კვალს, რა იცი, ღამით სად დუღს და სად ყარს.
ჩვენ, კორინთელებს, კორხებს გვემახით, ჩვენს გარდა, აქეთ არვის უვლია,
თქვენი ჩამოსვლა ჩვენ ხომ გვაოცებს? — თქვენთვის ღვთიური სასწაულია.
იქ ჩვენს შესახებ ვინ ან რა იცის? ჩვენ ყველა ვიცით, ვის და რა აწუხებს,
ვინ სადა სახლობს, ვინ ვისზე ფიქრობს, აქეთ საომრად მახვილს ვინ აწრთობს.

**იაზონი —**

ჰელიოსის შვილს, მართალს, მოწყალეს, უცხო სტუმარის რად უნდა ქება?
როგორც მნათობი გვიცინის, გვათბობს, კეთილი არის იმისი ნება,
ჩვენ, მოსულები საპელაზგოდან, ვართ არა ერთი ტომის შვილები:
აქაველები, იონელები, მეტნი პელაზგად გამოზრდილები.
განა, აქაველთ ჩვენი არ სცხიათ სისხლი, აღზრდა თუ წარმომავლობა?
ათასი წელი ვაშენებთ ერთად, ერთ მამულს ვიცავთ, ერთი გვაქვს ძმობა.
ჩვენ ისიც ვიცით, აქაველთ მოსვლით, პელაზგ ნი სიდან საით ვიდოდნენ,
როცა მშობლიურს სტოვებდნენ კერას, ახლის მებნაში სიმწარეს გრძნობდნენ.
იმას ვერ გეტყვით, ტარტედან აქეთ, როდის რამდენი საით წავიდა,
ვის შეუერთდა, ვის უბატონა, სად რას ანგრევდა, ან სად რას ჰქმნიდა.
მაგ რამ ხომ ვიცი, მეფე პალეხტო დღეს არგოლიდის მზეა სვიანი,
პელაზგი არის, მზეს სწირავს ზვარაკს, აზრი აქვს სავსე, სიტყვა — ფხიანი.
ქალაქ იოხალს მეფობს ევრიტი, ისიც პელაზგი, ისიც დიადი,
ტროას მზრძანებლობს ბრძენი პრიამე, სამეფოს ფარი და განთიადი.

მე ისიც ვიცი, ოლიმპოს ირგვლივ ადრე კავკონთა ისმოდა ხმები.
ახლა სახლობენ ტროელთა ახლოს და, თურმე, აქაც ჰყოლიათ ძმები.
უფრო შორს ჩვენი მზერა ვერ სწვდება, ტროას გზაც ჩვენში არავინ იცის,
ხომალდს ვერ ვაგებთ სწრაფად შორს მცურავს, არ ვარ ჩამდენი ტყუილი ფიცის.
ამიტომ იყო, აქეთ წამოსვლა პირველად მხოლოდ მაშინ შევძელით,
როცა მივიღეთ გრძელი ხომალდი, ნაგები არგოს ძლიერი ხელით.

**აფსირტი** —
ასეც მეგონა, რათა ხანია, ცნობილი არის საპელაზგოში,
კოლხნი, ფინიკნი და კრეტელები ამ საქმეს ფლობდნენ უხსოვარ დროში.
გრძელი ხომალდის კარგად აგება, მღელვარე ზღვას რომ მედგრად დახვდება,
ყველამ არ იცის, დღევანდელ დღემდე რა როგორ უნდა, ბევრი ვერ ხვდება.
განა, არ გვახსოვს, რომ ამას წინათ მინოსმა დასცხო მწარედ მეკობრეებს,
გადაუმსხვრია ყველა ხომალდი ზღვის ავაზაკებს და მათ მეგობრებს.
აქაველებმა ზღვა ვერ იგუეს, მათ რას მისცემდნენ იონელები?
არგოს შეეძლო, თუ გვერდით ჰყავდა ყველა, ვინც იყო მისი თანმხლები.
ერთი პირობა ასეც ვიფიქრე: იქნებ, მინოსმა აჩუქა გემი.
თვითონ თქვეს, არგოს აგებულია. აი, ნიშანი თვალშისაცემი.
ჩემი დისშვილი თუ მტერს ჰპატრონობს, გვერდით უდგას და სავალს უნათებს.
განა, არ არის ჩვენი ღალატი, თუ ჩვენ დაგვაკლებს და სხვას შემატებს?
თუნდაც ამიტომ, მამავ — ბატონო, ოთხივე დისშვილს ჩავურიდი ხაროს.
სანამ ფეხზე ვარ, ჩემია თუ სხვა, ქვეყნის ღალატმა ვერ გაიხაროს.

**არგო** —
მაოცებს ბიძის ასეთი სიტყვა, ასეთი აზრი ასეთი ქცევა,
საპელაზგოდან აქ მოსასვლელად რად მჭირდებოდა პატიჟი, წვევა?
როცა აქედან იქით ვიდოდი, რატომ დამლოცე — იყავ მშვიდობით?
გაგიკვირდება? — აქ გაქვს ოდა, გულში ჩამიკარ, ჩამკოცნე გრძნობით,
მაშინ, გამოდის, ცუდი გდომნია, თუ ასე გვითვლი დაბრუნებასა.
ჩვენ რაღა გვქნა? მისანმა გვითხრა, არ დავყოლოდით ღმერთის ნებასა?
და ან რას ვითხოვ? — ოქროს საწმისი მამამ რომ დადო არესის ველზე,
დაბრუნდეს უკან რომ ათამანტმა არ დაიხვიოს მიზეზად ხელზე.
ამის უარიც ხომ ღალატია? — გაწირვა არის დედის ძმის მხრიდან
და ამის მერე ხაროს მუქარა მოცილებაა სიცოცხლის გზიდან.

ამას ხომ სჯობდა მშვიდად ზაასი, რითი გვიშველო, დაგვიდგე მხარში?
ნათესაობას ნებით არ სცვლიან, ვით ბედაურებს არ სცვლიან გზაში.
რაც შეეხება გემის აგებას, განსაჯა უნდა და ბრძნული გაგება,
როცა გზას ირჩევ, უნდა განსაზღვრო, სად მოგებაა და სად წაგება.
აქეთ წამოსვლა გემით რომ სჯობდა, ამას ყოველი ჩვენგანი გრძნობდა.
მაგრამ სრუტეთა დინების გამო, ამათ უჩემოდ ეს არ აწყობდათ,
ახლა აქა ვარ და თუ ჩამითვლით, რომ მე მივლია მხოლოდ მცდარი გზით,
სიცოცხლით გიზღავთ, ოღონდ, ნუ იტყვით, რომ ჩამოვედი ღალატის
მიზნით.

**აფსირტი**___

დავეთანხმები აფსირტის ნათქვამს, თუ არა ჩვენგან გამოზრდილები,
უნდა ეხილათ ამდენი გმირი მცურავ კლდეებზე შელეწილები.
იონელებმა ჯერ არ იციან, ევბეას აქეთ ვინ და სად სახლობს:
იმბროს, ლემნოსი, ლესბოს, ქიოსი, მამულებს სთვლიან ათენთან ახლოს.
ისტრამდე მათგან არვინ ყოფილა. აია, კოლხა არის ზღაპარი,
ამიტომ არის, მტერი ვერ გვწვდება, ლაღად ვართ, როგორც საავდრო-ქარი.
არგომ მოშურნეთ გზები ასწავლა, გაუადვილა ბრძოლით სავალი,
მოღალატეა, ჩემს სისუსტეზე ვინც აუხილა მეტოქეთ თვალი.
ახლა განვსაჯოთ, მეორე მხრიდან, თუნდაც, დავიწყოთ ისევ თავიდან,
ჩვენი შვილები, ფრიქსეს შვილები, მოცილებულნი მეფის ტახტიდან.
ეძებენ მამის სამფლობელოში მას, რაც დაკარგეს უკუღმართ დროში
და თუ იქნება ჩვენი თანხმობა, დაიბრუნებენ დაფით და დროშით.
ჩვენ კი მიმავალთ მივეცით სიტყვა, დავეხმარებით ყოველგვარ ძალით,
მე თუ წავიღებ უკან ჩემს ნათქვამს, სხვას შევედავო? ___ რა სამართალით?
ამდენად, არგო მოღალატეა, მაგრამ, ამავდროს, არის მართალი,
ელამი არ ვარ ერთს ვუყურებდე და მეორისკენ მეჭიროს თვალი.
და ასე ვიტყვი, თუ არგოს დავსჯით, დასასჯელნი ვართ მაშინ ყველანი
და თუ არ დავსჯით, გამოდის, რომ მტრებს გავუადვილეთ აქეთკენ გზანი.

**თუხე**___

სიკვდილმისჯილსაც აქვს თქმის უფლება, ჩვენ კი ვართ მხოლოდ უცხო სტუმრები,
მამათა წესი რომელმაც იცის, იცის ცუდად რომ ვერ შეგვეხები.

აიეტს ვეტყვი, შენ თუ ხარ მეფე, არანაკლები მე მაქვს უფლება,
ათენის მეფეს არა მჭირდება სხვისი მიწების მისაკუთრება,
მაგრამ, როდესაც მიკიჟინებენ: — მშობლიურ ენას ზურგი აქციე!
მეც მაქვს უფლება, ვუთხრა მეორეს, მე თუ დავცილდი, შენ დააქციე.
არგოს იგივე ეთქმის თქვენს მიმართ, ჩემი წახდენა თქვენი ბრალია,
დამარცხებული კაცი თუ ტყუის, გამარჯვებული კი მართალია?
რაც არგომ გითხრათ, ნუთუ ვერა გრძნობთ? — არის ნათქვამი წმინდა გულისა,
თუ მიწერია მსხვერპლად შეწირვა, დე, იყოს ქვეყნის სიყვარულისა.
არგო ამ გრძნობას ემსახურება, უნდა მიიღოს მამის მამული,
თუ მიეხმარა ძმა და მოკეთე, ამაში არის კაცთ სიყვარული.
აქ კი რა მესმის? — ბიძა-დისწული რა აზრს ადგანან, რაზე მსჯელობენ,
სხვადასხვა ხერხით ერთი სურთ ბოლო, თუ არ ამბობენ, ნუთუ ვერ გრძნობენ?
ყველას ვალია ამაზე ფიქრი, სანამ მეუფე იტყვის განაჩენს.
ღმერთის ნაშობნი ვართ თვითეული, განსასჯელია — თითოს რა არჩენს?
მე ჩემდა თავად ასე ვიტყოდი: ასეთ მიღებას უწინ ვერ ვგრძნობდი,
დისშვილს თუ ბიძა ასე უმტრობდა, თორემ რა მრჯიდა, რას მოვდიოდი?
აიეტს ვეტყვი და მიპასუხოს, რომელი უფრო დიდი ქურდია? —
ის, ვინც ნაქურდალს ჯორებით ზიდავს, თუ ნაპარავი მხარზე უდია?
მე მიკიჟინებს, რომ ვარ პელაზგი და იერი მაქვს იონიელის,
ეტყობა, ახალს იფიცავს მიწას და აღარ უნდა ხსენება ძველის.
შევახსენებდი, როცა კორინთოს მამათა მამულს მეფობ-ზეობდა,
სიმონიდეს და ევმელოს ფლობდა, მის სწორ მეფეებს ტოლად არ სცნობდა.
ათენში მაშინ მამა არ იყო, მეტიონ იყო სვებედნიერი,
მეტიმეტობით სჩაგრავდა ყველას და გაიჩინა ათასი მტერი.
მაგრამ ხომ იყო ჯიშით პელაზგი, როგორც პალესტო, როგორც ევრითი,
მეფე ადმეტე თესალიაში გამორჩეული სხვებზე ბევრითი.
ორქომენაში თუ ათამანტი და იოლქოსში კრეთევსი იყო,
რატომ არ შედგა თქვენი კავშირი, პელაზგთა რიგი რატომ დაიყო?
სხვებს აღარ მოვთვლი, შენ გეკითხები, პელაზგი იყო თუ აქაველი,
რატომ არ შეჰკარ მათი რიგები, არ გაამჟღავნე ბუნება ქველი?
ბრძოლის მაგიერ აქეთ ილტვოდი, ნუთუ ვერ გრძნობდი, რას სჩადიოდი,
მამულის დაცვის წმინდა საქმეში რომ მოღალატე გამოდიოდი?
შენმა ღალატმა წაგვართვა ძალა და იონელნი ჩვენზე მძლავრობენ,
ეოლელების აქვთ მათ იმედი, ლაზგთა უფლებებს აღარ იცნობენ,

ახლა ვკითხულობ, რომ არა ასე, ფრიქსეს გაქცევა მოუხდებოდა?
შენი ბადიშნიც იქ იქნებოდნენ, აქეთ ცურვა არ დაგჭირდებოდა.
ოქროს საწმისი დელფოს საუფლოს, როგ ორც წესია, მიემღვნებოდა,
იონელობა, ეოლელობა, უცხოდ გ არდაქმნა აგვცილდებოდა.

**აიგიალევსი**—

ერთი შეხედვით, რასაც შენ ამბობ, მსმენელი გეტყვის რომ ხარ მართალი,
მაგ რამ სიტყვას თუ რამე აქვს წონა, მაშინ გ ავსინჯოთ ამონათვალი,
იქნებ, იცოდე, იმ ფართე მიწებს, დღეს რომ ეძახი პელოპონესი,
საპელაზგ იო ერქვა უადრეს და გ ვქონდა სტუმრის დახვედრის წესი.
საპელაზგ იო ჩვენი სისხლია და ერთნაირი გ ვქონდა იერი.
ერთად ვიცოდით მტერთა ოტება, სტუმარს ვხვდებოდით სვებედნიერი,
პელოპიც იყო ჩვენი ჯიშისა, ჩვენსავით სცემდა მეგ ობრებს თაყვანს,
სანამ მეფობას დაიმკვიდრებდა, ლიდიელების ეძახდნენ წამყვანს.
ტანტალი ერქვა პელოპის მამას, მეფე მდიდარი, იერ–სვიანი,
ვერ ეტეოდა ერთ გ არემოში, ქვეყანა ჰქონდა მთა–ველიანი.
საპელაზგ იოს აწვია შვილი, სიმდიდრით იპყრო დიდი ქვეყანა,
მათი ნაწილი კოლხეთს ვიდოდა და დარჩა ჩვენთან ვით გ ამოცანა.
ამიტომ არის, მოუსვენარზე ასე იტყვიან, რად დატანტალობს,
ჭკუას თუ მალა გ ამოეცალა, ენას რა უჭირს, ფეხები წვალობს.
ტანტალოსიო, თქვენ ასე იტყვით, მაგ რამ აზრი ხომ მაინც ერთია:
სტუმრის დახვედრის ყოველი წესი, ჩვენთა ნაფიქრთა შენაერთია.
ამიტომ ამბობ შენ ყოველ მართალს, აქ არვინაა სტუმრის შემხები,
მაგ რამ თუ სტუმრობ და არას გ ვიმტრობ, თუ არ ხარ გ ულით უმღები.
აქ კი რას ვხედავ? — სტუმრად მოსული, ცდილობ, აშკარად რამე მოძპარო,
გ აგ იმარჯოსო, მე როგ ორ გ ითხრა ვითომ სტუმარო და მეგ ობარო?
თან გ ინდა, მამა გ ამომილანძღო, მაგ რამ იცოდე, ცუდად ირჯები,
თვალით აზომე, ჭკუით აწონე, სანამდე ენით დაიხარჯები.
აქ უკვე ითქვა, ჭკვიან მოამბეს მსმენელი უნდა მისებრ ჭკვიანი,
გ ანა, კაცია, ვინც ითქმის კაცად, ადამიანად — ადამიანი?
საპელაზგ იოს, როცა აქაველთ მთა და ველებში იპყრეს მიწები,
ლაზგ ნი ილტვოდნენ აღმოსავლეთით მლეულნი, არას დავეფიცები.
მაშინ იყო, რომ კორინთელები, კორინხელები, კორხი, კოლხები,
მიწებს ესტუმრნენ სამმო მხარისას, შეავიწროვეს ჰენიოხები
და იმის შემდეგ , თანდათანობით, მძლავრი ქვეყანა მოინადირეს,

შექმნეს სამეფო უდიადესი, ყველა მომხვდურის დედა ატირეს.
კორინთოსთან კი ჰქონდათ კავშირი, აქაც სახლობდნენ, იქაც სახლობდნენ,
მახვილს სჭედავდნენ, ცხენებს ხედნიდნენ, ქვეყნად პირველნი რკინას
ადნობდნენ.
აბა, იაზრეთ, ლაზებს და კოლხებს, რომ შეძლებოდათ აქაველთ ძლევა,
დაგვჭირდებოდა აქეთ წამოსვლა? — ეს სასაუბრო არ დაილევა.
ახლაც ასე ვთქვათ, საპელაზგიო ათას სამეფოს ველად ქცეული,
ურთიერთშუღლის მიზეზშედეგი გამხმარ ხესავით წამოქცეული
როგორ შეძლებდა მტერთა ოტებას, გონის აწევას, ძალის მატებას?
მცოდნე უვიცს რომ საქმეს მიანდობს, ნუ ელი შემდეგ დიდ წარმატებას.
მხოლოდ კრეტაზე ორმოცდაათი ქალაქ–სამეფო ცალცალკე იყო
და როგორ გინდა, ნებით შეკრიბო, ყველა იმმო და არვინ გარიყო?
აქ კი თქვენ ხედავთ მდიდარ კოლხიდას, ალიბეამდე საზღვარი უძევს,
მარჯვნივ გაუხვევ თუ მარცხნივ წახვალ, ნაპირს ვერ ნახავ, დარჩები ფუძეს.
უსაზღვრო მხარეს ერთი ჰყავს მეფე — ჰერიო, ღმერთის ნაკურთხი შვილი,
კავკასიონის მწვერვალებამდე არის ქვეყანა მისი გაშლილი.
რა სჯობდა, მითხარ, იმ სახლში ყოფნას, სადაც შენივე ძილს არ განებებს,
თუ იმ სახლისკენ გადანაცვლება, სადაც არავინ გითოკავს ვნებებს?

**აიეტი —**

ვფიცავ ჰელიოსს, თვით ღვთიურ მამას, შემდეგ მერმეროსს მიწიერ მამას,
ილის, რომელმაც შექმნა მერმერო, რაც ითქვა, განსჯა სჭირდება ამას.
ის საყვედური, რაც მოვისმინე, არ არის აზრი ქვიშას ნაწერი,
რომ განასხვავო ტყუილ–მართალი, დიდი გონების გინდა საცერი.
მე არ უარვყოფ თეზეის სიტყვებს და რაც არ ითქვა, ისიც არ მაკრთობს,
სიტყვით ჭიდილი ბრძენს ეამება, სულელს ბეზრდება, თუ ვერ გაართობს.
როცა რაიმეს სხვას ედავები, ჯერ ის განსაჯე, თვით რა გიქნია,
როდესაც მახვილს მიმართავ იქით, ელოდე, აქეთ თუ მოგიქნია.
თეზეი იტყვის, ჩემმა ღალატმა საპელაზგიო დასცა მიწაზე,
უნდა მახვილი გეჭიროს ხელში, როცა შეჰყივლებ საომარ ხმაზე.
მართალი არის რომ მე კორინთო, მივატოვე და აქეთ ვიდოდი,
მაგრამ ვინ გითხრა, ვერას ვიგებდი, ღალატია თუ რას ჩავდიოდი.
თვითონ წარმოსთქვა, მე არ ვახსენებ, მეფობდა ათენს მაშინ მეტიო.
რა დიდი გინდა გონიერება, რაც გაქვს, დასჯერდე და დაეტიო,
მეტიო დედამ უწოდა მიტომ, მეტი სურდა და მეტის წყუროდა

ათენი რაა, ტირინფი რაა, მისი აზრები სპარტისკენ ჰქროდა,
მეტის მდომელი ყველას მოსმულდა, სიხარბე მისი არ დაილია,
ამიტომ იყო, შინა ომისას ეგეომ ეგრე ადვილად სძლია.
მაგრამ მანამდე ხომ ჩვენ გაგვიდგა, არ იყო ძმებთან ძმობის მსურველი,
იონიელებს გზები გაუხსნა, ვერ დაიმკვიდრა სასუფევბელი.
მიკენში იმ დროს აქაველები ტახტზე დაობდნენ არ ჰქონდათ ძმობა,
აქეთ ათრეი, იქეთ ფიესტი, შეიძლებოდა მათთა ერთობა?
მუხანათობით, არაკაცობით, მეტიოს ბევრად გადააჭარბეს,
ძმა რომ ალალ ძმას შვილის ხორცს აჭმევს, მე რა მოვკითხო რად არ ივარგეს?
მაგრამ მანამდე ჯერ მამას უმტრეს, პელოპი მათი დარდით გათავდა,
მუხანათობით, გაუტანლობით, ორივე ერთურთს ტყუპივით ჰგავდა.
ბოლოს მლეულნი მიკენს გაიქცნენ, სადაც მეფობდა მაშინ სფენელა,
მათი დის ქმარი, გმირი რჩეული, წამებით მოკლეს ძმებმა ნელ-ნელა.
როცა სფენელა პერსეის ვაჟი, მამის პერსეის გზას გაუყენეს,
ნიკიპეს, ღვიძლ დას, აქციეს ზურგი, დღე დაუმოკლეს, ბნელი უჩვენეს.
ათრეი დაჯდა სფენელას ტახტზე და ატყდა ძმებში შური და ბრძოლა,
სხვა მტერი იმათ მტრად არ მიაჩნდათ, ერთ-ურთის ჰქონდათ შიში და ძრწოლა.
თეზეის ვკითხავ, ძმა თუ ძმას შურობს, სხვისი იქნება ის მეგობარი?
ვისთან შემეკრა მაშინ კავშირი, ვისთვის მიმეცა ერთგულად მხარი?
მე ავირიდე მათთან ერთობა, თუმც მომდიოდა ცნობები ხშირი,
მოღალატესთან თუ შეჰკარ პირი, ერთგულმა გითხრას რად გიკვირს ძვირი.
მე აქ მიხსენეს ბადიშთა მამა, ფრიქსე მე ვზარდე და დავიფარე,
სიძედ დავისვი, მამული მივეც და მაინც ჰქონდა ცხოვრება მწარე.
რადგანაც მამამ გამოიმეტა, შვილის სიკვდილის იყო მონატრე,
თუ კერიისთვის არ ვარგა კაცი, შენც გიღალატებს გვიან თუ ადრე.
არგომ თქვა, მჯერა, სიმართლე გვითხრა, რომ ათამანტმა უთხრა უარი,
თანაც მოსთხოვა, ოქროს საწმისი, ვით სიკვდილის გზა და სატყუარი,
იცის მოხუცმა, ვინც მოდის აქეთ, ვეღარ ბრუნდება, დღე უმოკლდება
და თუ ბადიშნი აქეთ მომართა, იცის, რაც უნდა, იგი მოხდება,
ათანამტს ვიცნობ, ასაკის სწორთან, მქონდა მეფური ნათესაობა.
სიმხდალე დასდევს და ეშმაკობა, ზეპირად ვიცი მისი რაობა.
საერთო მტერზე ის გამყვებოდა? რომელი იყო ჩემი ერთგული?
კრეონტს თუ ვიტყვი, სხვას რით სჯობია, რით გაუკეთა მოკეთეს გული?
თავის მართლება მწარე საქმეა, მაგრამ შენ თავთან თუ ხარ მართალი,
ღმერთს თუ შეჰფიცავ, რომ სიტყვას იცავ, ძმათა ღალატში არა გაქვს ბრალი,

მაშინ სხვამ შენზე ბევრიც იდავოს, იყვირ–იბღავლოს, ცოფები ყაროს,
შენს წმინდა სახელს ვერა დააკლოს, თვითონ კი ბრაზით ჯავრს შეჟყაროს.
მე ასე ვიცი, ყველაზე ცუდი იყო მეფეთა დიდი სიხშირე,
ყოველ ქალაქში ვიღაც მეფობდა, ყველას აუხსენ, ეხვეწე, სწირე.
აზრთა ერთობა აროდეს იყო, მაგრამ ყოველი იყო მტრიანი,
ბევრი ვეცადე, ვერა შევიძელ, დავტოვე, როცა იყო გვიანი.
საჰელაზგოში ასე გვეგონა, ცხოვრება ვიცით და სიბრძნე მოგვდევს,
ვინ უნდა იყოს ჩვენი მოძრევი, გზას ვინ გადგვიჭრის ან შარს ვინ მოგვდებს?
ჩვენი მონები მიწებსა ხნავდნენ, სახლის მსახურნი ლეწდნენ და ფქვავდნენ,
მეჯინიბენი ცხენებს ხედნიდნენ, რკინას ვინც ჭედდნენ დევებსა გავდნენ.
ჩვენზე უკეთეს გემს ვინ მართავდა, სიტყვას იტყოდა, იცოდა წერა,
ღმერთებს ვფიცავართ, იმავ ღმერთებმა გადაგვიწურეს ჩვენ ბედისწერა.
ბარბაროსების მოგვადგა მალა, რადგან ვიყავდით ომებში ცალად,
ვეღარ ვიმარჯვეთ, მათ გაიმარჯვეს, ჩვენ კი იმედი გამოგვეცალა.
კორინთო დავთმე, მაგრამ კორინთო, გულში იმედის სხივივით ელავს,
ჩემი შვილები, ჩემი მსახურნი, მის ხსენებაზე სუყველა ღელავს.
ისე არ მოვკვდე, რომ მშობელ ქალაქს, არ მოვეფერო ნაკოდ ხელებით,
არ ვარაკრაკო იმედის წყარო, გარჯით, შენებით და მოფერებით.

**იაზონი —**

ზევსმა გისმინოს და აგისრულოს, შენი სურვილი ჩვენი იქნება,
მე მოვამრავლო გმირთა რიგები, შენს ჯარს შევმატო ვაჟკაცთა წყება.
მე თუ იოლქოსს დავეუფლები, არგო იმეფებს ორქომენაში,
ჩვენი რაზმებით შენთან გვიგულე, არ ჩამოგრჩებით საომარ გზაში.
მაგრემ მანამდე მიიღე ფიცი, მეხთამტყორცნელი იყოს მხილველი,
მოგვეც საწმისი, ბედის ნიშანი და ქალიშვილის მომეცი ხელი.

**ოდიო —**

ვფიცავარ ტაროს, ღმერთების მეფეს, ვინც გვიქმნის ამინდს, ვინც ბედს განაგებს,
ერიდე ღმერთის ნახელავს, ვხედავ, სიცრუის ბადეს მარჯვედ ანაგებს.
მე გადავფანტო ეჭვის ღრუბელი, საქმეს დავატყო სიმართლის ხელი,
ჰერიოს სხივთა ამობრწყინებას საომარ ეტლზე შევხვდე, ვით მცველი.
ვაჟი ვინც ჰელის ვერ გაუმკლავდა, მეფობა დათმო, აქეთ ილტვოდა.
იმას ხომ გრძნობდა, სამშობლოს სჰობდა, რად არ იბრძოდა, რას მოდიოდა?

ვისი იმედით, რისი იმედით, რა მოუცია, რას ითხოვს იქით?
გემს თუ ვერ აგებს, ვის ნაგებს აქებს, მცურავ კლდეებთან გასცურავს ტიკით?
მე დავუბნელო მზერა იაზონს, არგონავტების ვატირო დედა,
შევფიცავ აფსირტს, ძმას და მეომარს, დიდ ლაშქრობაში მიგულოს მწედა.

**აეტი**

უვიცი ჩქარობს, ათას ხრიკს ხმარობს, გრძელი სოფელი ბრძენმა გალია.
მონამ, თუ უნდა, მომართოს ცხენი, შუბის აღმართვა მეფის ვალია.
ღმერთთა მემკვიდრე ყველა როდია, რჩეულს რჩეული მართებს კაცობა,
ჭკვიანს შეშვენის სიდარბაისლე, ცუდმა ქალური იცის ანცობა,
არგონავტები ელიან პასუხს, აბა, იაზრეთ, მხოლოდ ისინი?
და თუ არ ითქვა გამოზომილად, ატუდება მოთქმა, ჭორი, სისინი,
რა იოლია აზრის გამოთქმა, როცა ნათქვამზე პასუხს არ აგებ
და რა ძნელია, ყოველი სიტყვა, როცა სამეფოს იღბალს განაგებ.
ბევრ რამეს უნდა ასჯერ აზომვა, ასჯერ აწონვა და ერთხელ გაჭრა,
რათა არ იქცეს კოლხთა სამეფო ას ათ ქალაქად და ათას ნაწრად.
ერთის მხრივ, უნდა განვსაჯო ასე, ვინა გვყავს სტუმრად, სადაურები,
ოთხი ბადიში ჩემი სისხლია, მათ ტარებაში დამღლია მხრები.
ვინც პელაზგია, განა, უცხოა, ერთი გვაქვს ჯიში, ფერი და სახე,
მე თუ ახალი მაქვს საფიქრალი, გული ხომ ძველი შემოვინახე.
აქ აქაველთა ვაჟკაცებს ვხედავ, ვინ თქვა სიშორე აქასველების?
ათასი წელი ვიყავით მცველნი საპელაზგოს მთა და ველების,
ღმერთთა ისურვეს ჩემი მეფობა, რაც ქვეყნად ხდება მათი ნებაა,
ამიტომ მეფის ყოველი სიტყვა ზეციურ აზრის გამჟღავნებაა.
მე რომ დავსჯო აქაველები, ეს პელაზგების დასჯაც ხომ არის?
თუ მოვიმდურე საპელაზგიო, თუ ჩამოვკარი სიკვდილის ზარი,
როგორ შევხვდე ძმას და მოყვარეს, როგორღა გავხსნა თვალის სამზერი?
როგორ მოვთხოვო გვერდში დაჯდომა, როგორ დავჭექო: „პერიო, პერი!“

ახლა, ასე ვთქვათ, ახლობლებს ვენდე, ვთქვი, რომ მოსულან სიკეთის მცველად.

დავტოვე სტუმრად და მათი მგზავრნი იონელები გავრეკე ველად,
ეს იმას ნიშნავს, ჩემს თავს ვეცრუე, ხომ კარგად ვიცი, ერთად ვიდოდნენ.
ერთი აქვთ აზრი, ერთი მიზანი, ერთობდნენ, სანამ ჩამოვიდოდნენ,
თუ ერთი ტყუის, ცრუობს მეორეც, თუ ერთი კაცობს, ისიც გმირია.
სიმართლით მაშინ ფასობს სისწორე, თუ სიმრუდეში არ აირია.

ამიტომ ჩვენთვის ყველა ერთია, შვილი მოკეთე, გადამთიელი,
თუ საქმე წახდა, რა ბედენაა მტერი იყო, თუ მოკეთის ხელი?
მეფეც კაცია, მაგრამ უადრეს მართებს საკითხის განსჯა მეფური,
რათა ევალოს მჭედლობა მჭედელს და პურის ცხობა იყოს მეპურის.
მე შორს ვუყურებ, რაც დღეს აქ ხდება, რაა შედეგი? ხვალ რა მოხდება?
არგონავტების სიმცირის უკან უცხო გმირების ლაშქარი დგება,
ოქროს საწმისი აქ საბაბია მიზეზი სხვაა შორს მიმავალი.
ვისაც უყურებთ, მათი ვალია, მოსინჯონ გზები, გაავლონ კვალი,
თუ ამათ დავსჯი, სხვას ვაგრძნობინებ, ცუდია მათი ბედის ნიშანი.
თუ საწმისს მივცემ, ყველა მიხვდება, ახლოა მათი შორი მიზანი.
იონელები, ეოლელები, საპელაზგოს ასე იპყრობენ —
სადაც მახვილით სჯაბნიან — გავლენ, სადაც არა და დამხვდურს იმმობენ.
ახლა მომართეს აქეთკენ მზერა, ალბათ, იზიდავთ კოლხთა მიწები,
ვინც ერთხელ გიმტრო, კიდევაც გიმტრობს, ცრუა დამპყრობის დანაფიცები.
არგონავტებზე ამიტომ ვიტყვი, თუმც ჩვენებია, მაინც მტრებია,
თუმცა მეამა ბადიშთა ხილვა, შეხვედრა სულ არ გამხარებია.
საწმისს მივცემდი, მაგრამ არ მივცემ, ვინც ვაჟკაცია, წაიღოს მალით,
ქვეყნად სიკეთეს ის მოიპოვებს, ვინც ძლიერია ჭკუით და თვალით.
ოქროს საწმისი მას მიეცემა, ვინც დილით გავა არესის ველზე,
იპყრობს ჩემს ხარებს ქედმოუხრელებს და აპეურებს მოარგებს ყელზე.
გუთანს გააბამს, წინ გაუძღვება, იქნება მეხრე და გუთნისდედა,
ბრძოლის ველს დახნავს, დათესს, დაფარცხავს, არ ეყოლება არავინ მწედა,
გუთნით ამოყრილ ქვებს დაალაგებს ძლიერ-სუსტებად, როგორც მეომრებს.
წმინდა მუხასთან მცველებს შეიპყრობს და სათითაოდ ჩამოათლის მხრებს
და ამის შემდეგ იმ ურჩხულს მოკლავს, მუხის ფესვებში რომ უდევს ბინა,
რომლის შხამ-გესლი, რქენა და კბენა ჰკლავს, ქვეყნად ვინმემ თუ აწყენინა.
იაზონს ვეტყვი, არგონავტებმა თუ აგირჩიეს, როგორც ბელადი,
გადი ბრძოლის ველს და მომიტანე ურჩხულის სისხლი ოქროს ხელადით
და გამლევ საწმისს, სხვისა რა გითხრა, შენია იგი ბედის ნიშანი,
როგორ მოიქცე, სად ან რით გაჭრა, თუ გსურს სიცოცხლე, ამოიცანი,
ვინძლო, იმარჯვო, თანაგუნდელნი არ გაისტუმრო აიდთან წყებად.
ხვალ საღამომდე არის ეს ვადა, საღამოს ყველას მოგეკითხებათ,
ჩემი სიტყვები ისე მტკიცეა, როგორც ძნელია შესასრულებლად.
მართალს ჰფარავდეს ღმერთი ზეციდან, სიკეთის მთესველს თან ახლდეს
მცველად.



1430წ ძვ.წ.ა.

აქილევსის კარავი. ტალთიბიოსს და ევრიბატს მოჰყავთ ბრისეისი, მხევლები, ძღვენი გადააქვთ. ხვდებათ ავტომედონტი

**ტალთიბიოსი –**

ღმერთების ნებით იცვლება ყველა, ვისაც სჭირდება მათ მალუმთ შველა
და თუ აქ მოსვლა მე კვლავ მემნელა, იმათი ნება დამყვება მცველად.
ავტომედონტო შენ გახსოვს კარგად, როგორ აეწყო ცხოვრების ქარგა
ქალი რომელიც მომყავს უკანვე, შენმა მეუფემ როგორ დაკარგა.
დიახ, როდესაც აგამემნონ და აქილევსი ავად შეიბნენ
ქალის გულისთვის მოხდა ყოველი, ძმები ქალისთვის მტრებად გარდიქმნენ.

**ავტომედონტი –**

მოციქული ხარ, მაცნე უებრო, დანაელთ შორის სიტყვა გეთქმება
მაგრამ არ გშვენის მრუდედ გამართვა, რაც ცხოვრებაში პირწმინდად ხდება
შენი ბატონი, ჩემსა ბატონსა არა ქალისთვის შეება მწარეთ
ნადავლის გამო, სიმდიდრის გამო, მისი სიხარბით ვერ გავიხარეთ.
ვერცხლის მოისარ აპოლონს ვფიცავ, როცა აქ იყო მისი ქურუმი
ქრისეს სამსხვერპლოს მცველი, მწირავი, მაშინ ჩავარდა ქიშპი მალუმი.
ქურუმის ქალი შენს მეფეს ჰყავდა, ცოლსაც ერჩია ნორჩი მხევალი,
მამამ ითხოვა შვილი–მძევალი, და ძღვნად მოგვართვა მრავალი თვალი.
აგამემნონმა ბრძანა ეს სიტყვა–ქალს გავცემ, ამით გავიმარცვები
მეფე ვარ, მეფეს ერგება მეტი ქალი და ცხენი, ძვირფასი ქვები,
და აქილევსმა მიუგო მაშინ: — გაეც, სანამ ვარ მშვიდი და ჩუმი
ძღვენი აიღე ოქრო და თვალი, რომ კმაყოფილი იყოს ქურუმი
შენ იმარცვები? შენ ხომ ყოველთვის როცა ჯანს ვიღლი, როცა ომს ვიგებ
ნადავლის დიდი ნაწილი მიგაქვს, მაგრამ სიკეთეს მაინც ვერ იგებ.
მოხუცს მიეცი მისი ასული, სანაცვლოდ სამმაგს მიიღებ მერე.
როცა დავანგრევთ ტროის გალავანს, მარცვე, გამდიდრდი, ჭამე, იმღერე.
მე რა მინდოდა ტროას საომრად, ან რას მერჩოდნენ, ან რაც ვერჩოდი
შენ გეხმარები გაუმაძღარო, თუ ხარბი იყავ განა ვიცოდი
მენელაოსიც არარაობა, თქვენ სანაქებო გქონიათ ძმობა
ლხინში არ ვარგ ხართ, ომში არ ჩანხართ, ადრე ვერ შევძელ ამის შეცნობა.

**ევრიბატი –**

რასაც შენ ამბობ, ადრევეც ითქვა, აღარ გვჭირდება ძველის ხსენება

ორივემ ვიცით მტყუან-მართალი, მასზე მსჯელობაც კი მეძნელება
ტალთიბიოსი მეუბნებოდა, მე ვაღიარებ და ჩვენში დარჩეს
მონამ თუ იგდო დიდი ნადავლი, ბატონს მიართმევს იმაში ნარჩევს.
ამიტომ იყო აგამემნონმა, მეფეთა-მეფე ხომ არი ჩვენი,
იუკადრისა ქალის გაცემა, რომ არ მიეღო სხვისი ნარჩენი

**ავტომედონტი –**
სიხარბის გამო ყველას მოსძულდა, სიხარბე იყო ყველას სათავე
შენ რომ ერთს იტყვი, მეორეს ვამბობ, მაგრამ სათქმელი ვერ გავათავე
ჩემმა უფალმა როცა აგინა, განა არ იყო შენის ბრძანება?
ქალს დავუბრუნებ მამამისს მაშინ, და არც შედეგი დამენანება
თუკი სანაცვლოდ აქილევსის ქალს, ბრისეს ქურუმის ლამაზ ქალიშვილს
დავეუფლები როგორც ბატონი, როგორც მხევალი გულმკერდს გადმიშლის
ღვთიურ კარნახით ჩემმა ბატონმა თავი მოდრიკა და გასცა ქალი
სანაცვლოდ ომებს სულ ჩამოსცილდა, ახარა მტერი, დაგივსოთ თვალი
ტროელთ იხილეს რომ აქილევსი ომებს კარვიდან მშვიდად უმზერდა
და მაშინ იყო დანაელთ თავზე შურდული ფრენდა, სიკვდილი მღერდა
შეჭირდა საქმე და ტროელები უკვე შავმკერდა გემებს გვიწვავდნენ
დაპატარავდნენ დანაელები და ტროელები ტიტანებს ჰგავდნენ.
აქილევსის ძმა შენაფიცარი, პატროკლე, ჩადგა თქვენთან რიგებში
ზურჩი-აბჯარი ძმისა მოირგო, აქილევსს ჰგავდა შორიდან მხრებში
იმედი ჰქონდა თავისი ბრძოლით ომის სასწორი გადმოეხარა
მაგრამ ჰექტორმა პრიამოსის ძემ ჩაკლა, დიდებით არ გაახარა.

**ტალთიბიოსი –**
ხო და ხომ მოხდა მოსახდენელი, შენი ბატონი გაუხედნელი
მეგობრის სიკვდილს რომ შეეყარა, საფიქრებელი შეექმნა ძნელი
და გადაწყვიტა ეძია შური, არა სვა წყალი, არ ჭამა პური
იბრძოდა დღისით, იბრძოდა ღამით, სიმხნე მიეცა მას შესაშური
ბოლოს მიაგნო ბრძოლისას ჰექტორს, სატევარს ენდო, დღე დაუმოკლა
გადიგდო გულის სადარდებელი პატროკლეს მკვლელი როდესაც მოკლა.
შემოირიგა ორივე ერთად აგამემნონი, მენელაოსი
დღეს უთენია როდესაც ჰაერს კრძალვით შეეხო ტურფა ეოსი
ვაჟკაცებს უხმო სკაიას ველზე, მალე მომებნა ბორცვი მაღალი
პატროკლეს გვამი დააწვევინა, მოახლედ მისცა კაცი და ქალი

შემდეგ თორმეტი ტყვე ზედ წააკლა, ეტლი შიგ ჩაწვა თავის ცხენებით
ჰექტორს მოაბა თოკი უწყვეტი და გარს უარა შმაგი ჭენებით.
შემდეგ გამართა დიდი შეჯიბრი ყველა იქ იყო ვინაც კაცობდა
ეჯიბრებოდნენ, ერკინებოდნენ, დიდს და პატარას არავინ სცნობდა.

**ევრიბატი –**

ჯერ გაიმართა ეტლით ჯირითი, საომარ ეტლის მართვა ძნელია.
გამარჯვებულის დასაჩუქრებაც ასეთ დროს დიდი საფიქრელია.
და აქილევსმა მიმართა ასე: მეფენო, დიდი თემის თავებო,
აბჯარ ასხმულნო, მალზე მამაცნო, მოხუცნო გულით შესაბრალებო
მომიტანია გემიდან განძი რკინეული და ბრინჯაო მრავლად
მიიღეთ ჯილდო გამარჯვებულთა, ეგებ პატროკლეს ეს ექცეს წამლად.
მარჯვე მეეტლეთ მე მივცე ჯილდოდ ქალი ხელსაქმეს დაუფლებული,
რვალის სამფეხა, ექვსი წლის ცხენი, ოქროს ფიალა და ოქროს ფული.
შეჯიბრში ბევრი ჩაერთო გმირი, პირველ ევმელო მე ადმეტესი
არავინ იყო ქვეყნად მეეტლე სხვა უკეთესი და უმეტესი.
მენალაოსი დაუდგა გვერდით და ნესტორის მე ანტილოქოსი,
შემდეგი იყვნენ იქ მერიონე და დიომედე მაცნე ეოსი.
შეჯიბრი იყო თვალისწარმტაცი, შემახილები, ქება, ყიჟინა
გამარჯვებული იყო ხუთივე, ღმერთებმა ასე შეამლებინა.
შემდეგ დაწესდა ჯილდო ახალი, ექვსი წლის ჯორი მუხლებმაგარი
მას მიიღებდა მოყმე ძლიერი, ვის ჰქონდა მუშტი და დარტყმა მყარი.
დამარცხებულს კი ორფსკერიან თასს შეჰპირდა გმირი ღმერთთა სადარი
ეპეიოსი გავიდა წრეში პანოპევსის მე ვით მთა მომსკდარი
და გაიმარჯვა. შემდეგ კი წრეში ფიცხლად გავიდნენ მოჭიდავენი
მათი ჭიდილი იყო ლამაზი, ტოლობაც იყო თვალში საცემი
ერთ მხარეს იდგა ბრძენი ოდისევს, ღონით და ჭკუით ყველგან ქებული
და აიანტი ტელამონის მე პირველობისთვის გამგელებული
სპილენძის სამფეხს, თორმეტი ძროხა რომ ღირდა ისეთს ის მიიღებდა
ორთაბრძოლაში ვინც იმარჯვებდა და შერკინებას ვინც მოიგებდა
დამარცხებულს კი შეჰპირდნენ ქალწულს და ოთხი ძროხა დაადეს ფასი
და იყო ბრძოლა შეუპოვარი, არც ვის უნახავს ამ ქვეყნად მსგავსი.
ვერც აიანტმა, ვერც ოდისევსმა ვერ დაიწურეს მოგების ვნება
თანაბარ ძალის აღმოჩნდნენ გმირნი, ასე მოუქცა იმათ განგება
შემდეგ მორბენლებს მიეცათ გეზი, იყო ჭიდილი, სროლა და რქენა

სიმძიმის ტყორცნა, ვაჟკაცთ გამოცდა, ისეთი ქებას ვერ იტყვის ენა.
გმირმა ფეხმარდმა, მძლე აქილევსმა შეჯიბრის შემდეგ ლხინი გამართა
ყველას მიუზღო, ყველამ მიუზღო, ვის რა ეწადა, ვის რა ემართა.

**ტალთიბიოსი –**

ჩვენ დავაბრუნეთ ქალი ლამაზი, ასე გვიბრძანა აგამემნონმა,
სხვისი რად უნდა, და არც ისურვა, ურიცხვ საჭურჭლის უცილედ მქონმა
ქალი აქაა ხელით უხლები, უნდა მიიღოთ მეფის უფლებით
ხამს მადლის წირვა ღვთიური ნებით, როცა საუნჯეს დაეუფლებით.

/ევრიბატი და ტალთიბიოსი სტოვებენ მხევლებს, მღვენს და მიდიან.
შემოდიან აქილევსი და ალკიმოსი/

**აქილევსი –**

დღევანდელი დღის ვარ კმაყოფილი, მოვიკალ ჟინი, არ მეთქმის მვირი
აგამემნონმა მოდრიკა ქედი, ლომს სიამაყე ჰქონია მწირი.
სანამ განცხრომით დავისვენებდე, სთხოვე მოხუცებს გარეთ რომ დგანან
დანაელები არ უნდა იყვნენ და არც მდაბიოთ ვგონებ არ გვანან.
იქნებ რა უჭირთ, ალკიმოს ჰკითხე ეცი პატივი და მოიყვანე
სტუმარ-მასპინძლის დავიცვათ წესი, ფეხზე ჩამოხმნენ ნუ დაახანებ

**/ალკიმოს შემოჰყავს პრიამე, იდაიოსი და ოდოიოსი/**

**პრიამე –**

ჰე აქილევსო, უკვდავთ სადარო, მოხუცს სულის დგმა არ გამიმწარო
მოწმედ მეყოლონ ოლიმპოს მკვიდრნი, რომელთაც შექმნეს მთელი სამყარო
შენც გეყოლება მამა უღონო, სიბერის ზღუდეს მიტანებული
ვინ იცის მოყვრის ალერსით მთვრალი, იქნებ მტრისაგან შეწუხებული
რაც უნდა იყოს, ის შენით ხარობს, იმედის სხივად შენ ეგულები.
ყოველ ცისმარე შეხვედრას ნატრობს, ფიქრობს მამულში შეენაცვლები
ტროადან როცა სამშობლო მხარეს გამარჯვებული დაუბრუნდები.
მე კი, მე რა მაქვს სასიხარულო ჩემი სიცოცხლით ყოველ დღე ვკვდები.
შვილები მყავდა სამოცდაორი, მათგან ცხრამეტი ერთ დედამ ზარდა
კარგი ვაჟკაცი, აბჯარასხმული, ორმოცდაცხრაა ჰექტორის გარდა
უმეტესობას ტროისთვის ომში შუა გაუპო არესმა მკერდი

მე კი უმწეო გალავნის თავზე ვიდექ და შვილთა დაღუპვას ვმზერდი.
ათი წელია უწყალო ომი ცოცხლებს ამცირებს ჰადესის წილად
მხდალებს და მამაცთ, დიდთ და პატარათ საზღვარს არ უდებს, მიითვლის
წყვილად
ჰექტორი გვყავდა დიდი იმედი, შენ ისიც მოჰკალ სამშობლოს გმირი
ჩემი ჰექტორი, მომხდურთა რისხვა და მისი ცხედრის გამხადე გზირი.
უწყალო მტერთა ბანაკს ვეწვიე, განძით დავიხსნა მისი სხეული
მის მკვლელს გიკოცნი სისხლიან ხელებს, ვინ ვარ თუ არა გადარეული.
გახსოვდეს მამა, გებრალებოდეს, მაგრამ მე უფრო ვარ შესაბრალი
რას მოვესწარი ზევსო დიადო გამიპე მკერდი, დამივსე თვალი.
აქილევსი –
ბედშავო კაცო, ქვის გულიანო, ვით გადიტანე სიკვდილის წვიმა.
შვილთა სიმრავლე რა ბედენაა გლოვამ სიცოცხლე თუ დაამძიმა
მაგრამ დამშვიდდი, დამიჯექ გვერდით, იუხე ერთჯამს მეფევ სვიანო
ხამს მწუხარება ჩავიკლათ გულში, ნუგეში არ მსურს დაგიგვიანო
ჩვენ უკვდავებმა მოკვდავთ გვარგუნეს ჭიდილით შრომა, სიცილით □ ცრემლი
მთლად უშფოთველი ზევსიც არ არი, კარის ზღრუბლთან აქვს ორი გრდემლი
ერთი კაცთათვის სიამეს ჭედავს, უბედობაა მეორის ბედი
ისეთი არი ჩვენი ცხოვრება, როგორც შეურევს მათ შემოქმედი.
ვის ბედშაობას მიუზღავს ღმერთი, ის კაცთაგანაც განწირულია.
რაც ერთისათვის სიხარულია, ბევრჯერ ბევრისთვის იგივ წყლულია.
ღმერთთა წყალობა მამა პელევსმა, ჭაბუკობის დროს მიიღო დიდი
მოკვდავს უკვდავი მისცეს მეუღლე, თეტისი ნორჩი, ლამაზი, მშვიდი.
თვითონ ზევსს სურდა იგი საცოლედ, მაგრამ იცოდნენ ბედი ჭრის ისე
მამაზე ძლიერს დაბადებს ქვეყნად ქალი ნარნარი და მოკისკისე.
ამიტომ იყო ზევსმა ლამაზი მოკვდავს დაუთმო სიკეთის წილად
ქალღმერთმა მშობა უკვდავის ძალით და მოკვდავივით დავდივარ ფრთხილად,
ვინ რას მიზავდა, დედამ ქალღმერთმა, თოთო გამბანა უკდავთა წყალში
მაგრამ ვეჭირე მე ფეხის ქუსლით, ქუსლი არ მტოვებს სიკვდილთან ვალში
ღმერთებმა ძალზე მოკლე დღე მომცეს, ომიდან სახლში ვერ დავბრუნდები.
ჩემ მოხუც მამას შვებას ვერ მოვგვრი, აბა შენ რაში დაგედარდები.
როცა ტროაში შენ შვილებს ვებრძვი, ასეთი არის ბედის ნიშანი
ხომ უბედო ხარ და უბედური, მაინც არა ხარ შენ ჩემი მგვანი
ვიცი, მსმენია, იყავ მორჭმული, გქონდა სახელი და დიდი გული
გეპყრა ტომები ლესბოსის მხარეს, ფრიგიას გქონდა მეფობა სრული.

ვხედავ ღმერთებმა შენც არ დაგინდეს, ბევრი გარგუნეს უბედურება
გული იჯერე, მკვდარს ვერ აღადგენ. ნუგეშის გვმართებს ჩვენ გამრავლება

**პრიამე –**

ღმერთთა რჩეული, შენ უჩვეული სიტყვა მითხარ და აღმიძარ ფიქრი
რა დამაყენებს მტერთა ბანაკში ჩემი აზრებით ტროასკენ მივქრი
თან მიმყავს შვილი დაუკრძალავი, შენგან მოკლული გმირი ჰექტორი,
პელაზგებია თუ დარდანები, ჩვენ არ გვყოლია იმისი სწორი
მიიღე საზღო, მომეცი ნება, შევხედო, ვნახო რაში აქვს ვნება
ღვთის დანაწესი, ავუგო წესი სანამ მუდმივად დამემინება.

**აქილევსი –**

ნუ განმარისხებ, საღმრთო კარნახით მე ისეც ვიცი რა მადევს ვალი.
ჰექტორის ცხედარს მიიღებ მალე, როცა შესუდრავს მხევალი ქალი
შენც ხომ საღმრთო ხმამ აქ მოგიწვია, მათი ბრძანებით გაგეხსნა გზები
თუ ღმერთი გფარავს, კაცი რას გიზავს, თუ გინდ უდროოდ გადაეყრები
ნუთუ შენ ფიქრობ, მწუხარე მოხუცს, შვილის მამებარს და მავედრებელს
ცივად გიბიძგებ, არ დაგრთავ ნებას, გადავუდგები ზეცის მბრძანებელს.
აბა ალკიმოს, პატროკლეს შემდეგ გმართებს გაგება და მეგობრობა
უბრძანე მონებს რაც არის წესი, რაც ყველამ იცის, არ უნდა თხრობა.
მე კი პატროკლეს სულს შევღაღადებ. ძმაო პატროკლევ თუ ხმა მოგწვდება
ნუ დამიმძიმებ სულის გასატანს, რაც ხდება ღმერთთა კარნახით ხდება
შენი მომკვლელი გმირი ჰექტორი, ომით ნაჯაფი, ომის მამებარს,
ტროას გალავანს ზე მივალეწე, როცა კარიბჭეს ეხვეოდა გარს.
შენ ვინც გაგწირა □ იგი გავწირე, ვინც დაგამიწა, ის დავამიწე
წესი აგიგე, ზვარაკი გწირე, რათა ჰადესში გულმშვიდად იწვე
ახლა მოსულა მოხუცი მამა, მოაქვს სასყიდლად განძი დიადი
ჰექტორის გვამს მთხოვს ღმერთთა რჩეულის, რომ გაუფანტოს სუ-
ლის წყვდიადი
მე ამ განძიდან შენ წილს მოგიძღვნი რაც ადრე იყო მას არ გადავალ
თან გევედრები მე ნუ დამრისხავ თუ მამას შვილი გავატანე ხვალ.

**პრიამე–**

დიდი ხანია ჩემთვის ცხოვრება ტანჯვად და დარდად გადაქცეულა

ქვეყანას ვფლობდი, ერს განვაგებდი და დავდიოდი მაინც ქულად
მე ვეწამები იმ მძიმე დღიდან, როცა მეუღლემ ნახა სიზმარი
გვეყოლებოდა ვაჟი ლამაზი და თან მამაცი ღმერთთა სადარი
მაგრამ უბედო, რადგანაც ტროა, ერთ დროს მის გამო დაინგრეოდა
მას შემდეგ აზრი ჩემი არ თვლემდა, მაგრამ გულს იგი ვერ ერეოდა
ერთი კი იყო ახლად ნაშობი იდის მთებს მივეც მსახურის ხელით
ვიფიქრე ტყეში ნადირი შეჭამს, გული კვდებოდა სიკვდილით ნელით.
თურმე ჰარისი დათვმა გაზარდა და მერე მწყემსმა გაუყო კერა.
და გაიზარდა ძლიერი ვაჟი, რადგან სიკვდილი მას არ ეწერა
ერთხელაც იყო, მის მოსაგონად გვქონდა ჯირითი და შეჯიბრება
ბევრი მოვიდა უცხო ვაჟკაცი, ჭიდილი იყო და შეხუმრება
იქ ალექსანდრემ აჯობა ყველას, ცალ მკლავით სძლია თვითონ ჰექტორი
ძმები განხირსხდნენ, რომ მწყემსი ვინმე მოქცევით არის იმათი სწორი.
სურდათ მოეკლათ უცხო ყმაწვილი, მაგრამ კასანდრამ, ჩემმა ასულმა
გათქვა რაც თურმე იცოდა დიდხანს და უკარნახა დის ჩვილმა გულმა
თქვა ალექსადნრე არის ჰარისი, ჩემია შვილი და არა სხვისი
გადაგდებული, მოძულებული, ღმერთთა სადარი და საკადრისი.
რა მექნა, შენ თქვი ო, აქილევსო, ხელი მეკრა და გამეგდო გარეთ?
მე და ჰეკაბემ, ჩემმა მეუღლემ, მის გამო ისეც ცრემლით ვიარეთ.
მას შემდეგ მოხდა, სამმა ქალღმერთმა, ასეთი იყო მეხმტყორცნის ნება,
ვაშლი ოქროსი მიართვეს ჰარისს, თან სამი უთხრეს მვირფასი მცნება.
ვაშლი მიეცი იყო პირობა ვინც ჩვენში უფრო ლამაზი არი.
სამივ  ლამაზი იყო ქალღმერთი, შეკრთა ჭაბუკი, დაეცა აზრი
ჰერამ მიუგო მაშინვე ჰარისს, თუ მომიწონებ ყველაზე მეტად
მოგცემ მეფობას მთელ აზიაში, იყო ღმერთივით და მტერთა რეტად.
ათინამ უთხრა, ჰერას ასულმა, თუ ვაშლი მომცე ნახე რა გარგო
ყველა ბრძოლების გახდე სარდალი, ომები იყოს შენი სავარგო.
და აფროდიტე ბოლოს ეაჯა, თუ ვაშლი მომცე, მოგგვარო ქალი
რომლის სიტურფით ყოველი თვრება, რომელს შენატრის ყოველი თვალი
ახალგაზრდამ და ჯანღონით სავსემ ქალი, ირჩია ომს და დიდებას
ის ვერ იაზრა, რა მოჰყვებოდა ორი ქალღმერთის გადაკიდებას.
მან მოიტაცა ტურფა ელენე სპარტელთა მეფის ლამაზი ცოლი
და არი ბრძოლა ჩვენში მას შემდეგ ვერ გაგვიყვია ერთი საწოლი.
იმას მოვესწარ შვილებს მიხოცენ, ვერ დამიხსნია მათი ცხედარი
განა იქნება ჩემებრ უბედო, სიკვდილს მონატრე, სიცოცხლით მკვდარი?

მომიყვანია ზარის ზიარნი იდაიოსი, ყრმობით შეზრდილი,
ყველაფრის მცოდნე, მაცნე, მხლებელი, ბრძენი, ერთგული, მამაცი, ზრდილი.
და ოდიოსი ჰალიბთა მეფე, მოსული შემწედ ჰალიმონიდან.
სამი მოხუცი მავედრებელი, მოცილებული საომარ გზიდან.

**აქილევსი –**

მე ოდიოსი მეფის შესახებ მამა პელისგან გამიგონია
არგონავტებთან მისი შეხვედრა იცის ეს ბედი ვისაც ჰქონია
იდაიოსიც ცნობილი არი, ვინც ტროა იცის მისიც სმენია.
ორივეს მოსვლა იყოს კეთილი, მათგან საწყენიც დასათმენია.
ჩვენ ახლა გვმართებს ვახშმის გამართვა, ამ დილის მტრები თუ ხართ სტუმრები
მცირეს, მიღება მეომრებს შვენით და მცირედისთვის ნუ შემომწყრებით.
თან ვისაუბროთ, აზრი გავმართოთ, სიბრძნე განძია ყველაზე დიდი
მე მეზარება კაცი უპირო, ფიცის გამტეხი, მოენე, ფლიდი.

**პრიამე –**

აქ ვინც მოვსულვართ, ვართ მთხოვნელები, შენ თვითონ ხედავ ზევსის რჩეულო.
რაც დამეღუპა ჩემი ჰექტორი, ასე დამჩემდა მე უჩვეულოდ
საჭმელს ვერა ვჭამ, ცხოველმყოფელი ძილით რომ დავტკბე არ შემიძლია
ცალკერძ სახლობა, ცალკერძ სამშობლო, თავი არ მახსოვს, ვერ მომიცლია

**აქილევსი –**

მეს დაგიბრუნებ, როგორც გნებავ, თვითონ იხილავ როცა ეოსი
იდის მწვერვალებს შეავლებს მზერას. მანამდე გეტყვი, ერთხელ ლეტოსი
დიდი ქალღმერთი, და მაინც ქალი, ნიობეს სიტყვამ გაკილა მწარედ
შენ აპოლონი და არტემიდე გყავს ორი შვილი კაცთა დამხმარედ.
მე კი თორმეტი გამიჩენია, ექვსი ვაჟია და ექვსი ქალი
შენ ჩემთან ახლოს როგორ დადგები, რომ არ დაგევსოს თან შურით თვალი.
მაშინ ნიობეს მაღლა ღმერთებმა მკრეხელობისთვის მოუკლეს ყველა
დარჩა უშვილოდ ბევრის მშობელი, დარდის ამარა და ცრემლის ხელა.
და მაინც დედამ ინება საზრდო და სიპულოსის უდაბურ მთებში
გაქვავებული ებრძვის სატანჯველს, მუდმივი ცრემლი მოსდის თვალებში.
თუ ნიობემაც ინება საზრდო, კაცი ხარ შენზე უპრიანია

რამდენჯერ ბოღმით მისკდება გული, და მოთმინებით ამიტანია.
რამდენჯერ მსჭვალავს სასტიკი რისხვა, ღონე შემკვრის და მემატება
როცა შევხედავ გამარცვას ცდილობს ის ვინც უფლებით აღმემატება.

**ოდიოსი –**

მადლობას გწირავ, მწუხარე მოხუცს, როგორაც მამას ისე ეპყრობი
სახელი გაქვს და კაცი ყოფილხარ, სუსტი ხარ სუსტს თუ არ მიემხრობი.
ტროაში გვესმა აგამენონმა, როგორ აღგიძრა ქიშპის ნიშანი
წაგგვარა ქალი, სურდა ნადავლიც, ალბათ ეგონე თავისი მგვანი.
თუმცა მტერი ხარ დაუნდობელი, მე მირჩევიხარ ორპირ მოყვარეს
დღეს რომ ერთს იტყვის, ხვალე მეორეს, ლაჩარს გმირს არქმევს, უცხოს მოგვარეს

**იდაიოსი –**

კარგი დრო იყო როცა აქილეს აგამენონთან მტრობდა, დაობდა
ტროის მხედრობა სძლევდა მომხდურებს, სწვავდა მათ გემებს, ბრძოლით ხარობდა.
ვაგლახ ჩაება ღვთის სწორი ომში, ქალაქს მოუკლა კვლავ ხსნის იმედი
რას გრგებს სიმართლე თუ ცოცხლად იწვი, სიკვდილშიც თურმე გჭირდება ბედი.

**აქილევსი –**

აგამენონთან ჩემი ქიშპობა ვიცი ტროელებს დიდად ეამათ
მორმიდონელნი დავაკლდით ბრძოლებს, ულხინდათ იქით, უჭირდათ ამათ.
თემიდას შევთხოვ წვრილად განსაჯოს ის ჩემი რისხვა ვისი ბრალია
განა იმიტომ შევწყვიტე ომი, მტერმა დამჯაბნა, სისუსტემ მძლია.
ბევრმა არ იცის, ათრევსის ძესთან, ჩვენი კამათი მალზე ძველია
ბედი ასე ჭრის, ვისთვისაც ვიღწვი, მისგან საწყენი არ დამელია.
რაზე დავმალო, რაც ყველამ იცის, მე და ოდისევს არ გვსურდა ომი
ათრევსის ძენი როცა გვიწვევდნენ, ჩვენ არ ვიყავით აქეთ სვლის მდომი.
ოდისევსი თუ თავისას იტყვის, მე ასე მესმის ჩემი სათქმელი
თუ შენი სცადე და ვერ იღონე, მაშინ გჭირდება დამხმარე ხელი.
აქ კი რა იყო, როცა პარისი მენელაესთან სტუმრობ-ზეობდა
ლამაზი სტუმრის და ცოლის ოხვრას ჭკვიანი იყო, რატომ ვერ გრძნობდა?
როცა დატოვა სტუმარი ცოლთან, თვითონ კრეტისკენ დინჯად ვიდოდა

ელენე მას რომ უღალატებდა, გუმანი არ აქვს, ეს არ იცოდა?
და როცა მოხდა თქვენმა პარისმა ტურფა ელენე წამოიყვანა
ქმარმა ხმაურით, დაფით და ზარით არ გაიცუდა სახელი განა?
და ამას გარდა ქალის გულისთვის სხვის შვილთა ხოცვა, ათი წლის ომი
არ მიმაჩნია გამართლებულად, ასეთი არი ჩემი საზომი.
აგამემნონი ამბობდა ასე, სამშობლოს ვიცავთ, ქვეყნისთვის ვიბრძვით
ჩემი და მისი გონების მალი საქმეს ხედავდა მუდამ პირიქით.
ჯერ არ მეამა, რა არ იღონა მეფეთა-მეფე რომ გამხდარიყო
იქით იშოვა, აქეთ დახარჯა როდესაც ჩვენში აზრი გაიყო.
თუ მართლა მხოლოდ ქვეყნისთვის იბრძვი, იბრძვი რაც მოგდევს და შეგი-
მლია
თუ თავიდანვე სახელზე ფიქრობ, ნიშნავს საქმისთვის ვერ მოგიცლია.
და როცა გახდა მეფეთა-მეფე, როცა ავლიდში შევკრიბეთ ჯარი.
არვინ იცოდა ტროის სავალი და ვერ ბერავდა იალქნებს ქარი.
მაშინ იყო, რომ მკითხავის რჩევით, ღმერთთა საამოდ და შესაწირად.
იფიგენია გამოჰყვეს თურმე და მეც მახსენეს ზურგს უკან მვირად.
მაშინ გამოჩნდა მეფეთა შორის ვინ რის ღირსია, ვინ როგორ ფასობს
გულში ვის რა აქვს, ენით რას ამბობს, რას ეწონება და მოკისკასობს,
მენელაოსმა ყველას მოთხოვდა პატარა გოგოს მსხვერპლად გაღება
ძმის შვილის მოკვლას ნუთუ არ სჯობდა გაქცეულ ცოლზე ხელის აღება?

**იდაიოსი –**

გმირო ფეხმარდო, ნუ გაიკვირვებ, თუ ჩაგეჭრი, სიტყვა გითხარი
რაც ჯიშია და ჯილაგი არი, ისაა ცხენი, ჯორი თუ ხარი
შენ რატომ გიკვირს, თუმცა პელის ვაჟს არაკაცობა უნდა გიკვირდეს.
რაც მშობლებს უთქვამთ, უკეთებიათ, კარგი ხარ შვილი, უნდა გიღირდეს.
აგამემნონის მამას თუ ბიძას რა უთესიათ ქვეყნად კეთილი.
ბოროტნი იყვნენ, ბოროტს ჭედავდნენ, შვილნიც ასეა გამოკვეთილი
ერთი შეხედვით მე არ უნდა ვთქვა, რაც ცუდია და, რაც ჩვენგან მოდის
მაგ რამ ცუდს ცუდი თუ არ უწოდე, კარგს რას გაიგებ როგორ გამოდის.
დიდი ხნის წინათ ლიდიის მხარეს ქალაქ სიპილას ფლობდა ტანტალი
მოუსვენარი, ურჩი, მდიდარი, ღმერთებს ეჯიბრა, იწყო ტანტალი.
მან განარისხა ღრუბელთ მარეკი და მისი მოდგმა გახდა წყეული
არაკაცობით, შურით და ბოღმით, ბოროტთა შორის გამორჩეული
მაშინ ტროაში მეფობდა ილი, და ილიონი ქალაქს დაერქვა
მან გაამევა ტანტალის ვაჟი, აუკრა გუდა, გააყოლა ქვა.

ტანტალოს ვაჟმა, დიდმა პელოპმა, გემებს აჰკიდა მამის სიმდიდრე
სწრაფად იცურა, ზღვა გადიარა საპელაზგიოს ნახავდა ვიდრე.
იქ დაინავა, ერს დაეზავა და ეშმაკობით იგდო ქვეყანა
ჰიპოდამია შეირთო ცოლად, გამეფდა ირგვლივ, არ დაახანა
მირტილის ხელით მოკლა სიმამრი, მირტილი მოკლა შემდეგ მუხთლობით
ქალაქი პისი შემოიერთა, სვებედნიერი მეფობდა წლობით.
პელოპი იყო კაცი ჭკვიანი, ცბიერი იყო და უმდიდრესი
მის გამო შემდეგ საპელაზგიოს ეწოდა კიდეც პელოპონესი.
პელოპის ვაჟნი ათრე და ფიესტ, მას შემდეგ როცა მამა დალუპეს,
მიკენში მისდგნენ დის ქმარს სფენელას, აზრი მოუკლეს, გული გაუპეს,
ზედ მიაყოლეს სუსტი დის შვილი, ათრეის დარჩა ბოლოს მეფობა.
ტახტი ერთს ერგო, მეორე დარჩა და ჩამოვარდა ძმებს შორის მტრობა.
ყველამ იცოდა, მეფედ ისა ღირს, ვისაც ცხვარი ჰყავს საწმისიანი.
ფიესტი მიტომ ძმის ცოლს შეუჩნდა, ცოლი რომ ჰყავდა ნამუსიანი.
ოქროს საწმისი წაჰგვარეს ერთად, მაგრამ ვერ იგდო მაინც მეფობა
და ამის შემდგომ რაც ერთურთს უქნეს, ჰქვია ზიზღი და გაუტანლობა
ჯერ ხომ ფიესტომ მოაწყო ისე, ათრეიმ თვითონ მიაღრჩო შვილი
შემდეგ ძმის შვილნი დაკლა ათრეიმ და ძმას მიართვა მათგან სადილი.
ათრეის მენი რა იქნებიან მენელაე თუ აგამემნონი
ყოველი კვიცი მის გვარზე დახტის, ასე უთქვიათ ბრძენ კაცებს, მგონი.
გაგვეგონებათ, რაც მამათ დარჩათ, შვილებმა იმას მოუღეს ბოლო
ფიესტეს ვაჟმა ათრეი მოკლა და ბიძის შვილნი გადარჩნენ მხოლოდ
მით, რომ სპარტისკენ ილტვოდნენ მგლურად და შეეფარნენ მეფე ტინდარეს
მოინადირეს მოხუცის გული, მისი ქალები და მისი მხარე.
უფროს ქალიშვილს მოუკლა ქმარი, გაუგდო ბავშვი აგამემნონმა
მერე შეირთო მეტოქის ცოლი, ასე გაუჭრა უბედურს გონმა.
სიმამრის ჯარით ბიძას მიადგა, მოკლა მოხუცი, იპყრო მიკენი
სიკეთე ქვეყნად საღ რა აკეთა, რით დაიმშვენა სიცოცხლის დღენი?
მენელაემ კი ელენეს ხელით ტინდარეს ტახტი გაითავისა
და იმას შემდეგ მეფობს სპარტაში, მეპატრონეა ცოლის სახლისა.
ახლა თუ ცოლი პარისთან ილხენს, ნიშნავს სხვის სახლში არ ედგომება
აი ამიტომ არი ეს ომი, ამიტომ კვდება ვაჟკაცთა წყება.

**ავტომედონტი –**

ვინ რისთვის იბრძვის, ვინ ვისთვის იღწვის არ არის მტერთა გადასაწყვეტი
ყველას თავისი აქვს აზრი ქვეყნად და თან ჰგონია, რომ იცის მეტი.

მაგრამ დაფიქრდი ბრძენო მოხუცო, რომ არ ელაშქრა აქ ჩვენ მხედრობას
ხომ მიაწერდი შიშს და სისუსტეს, ხომ დაგვწამებდი ვაჟკაცთ დედლობას.
და ამას გარდა ტურფა ელენე მეფის ცოლია, მეფის ასული
ჩვენ მეფეს როგორ უნდა ბედავდეს, უცხოტომელი, თავზე გასული.
ან დაუმატე, ცნობილი არი, როცა ელენე წამოიზარდა
ვინ არ მივიდა ხელის სათხოვრად, ვინ არ შეჰფიცა რომ ის უყვარდა.
და რომ საქმროებს ერთი–მეორე არ დაეხოცათ, არ ქნნათ ომი,
შეჰფიცეს ერთხმად, რომ იქნებოდნენ ელენეს შემწე, მის გვერდით მდგომი.
მენელაემ თუ მოუხმო ყველას და შეახსენა სიტყვა ნათქვამი
ვინ დაიხევდა ვაჟკაცი უკან, თავის საჩენი თუ დადგა ჟამი.
ყოველთან ერთად ჩვენი შემრცხვენი, პარისი არი უცხოტომელი
არ იმიებდა შურს შემრცხვენელზე, თქვენ შორის არი მითხარ რომელი?

**იდაიოსი –**

როცა კაცებში ერთი ამაყობს, სიჩუმით სიბრძნე სხვების ვალია
ვინაც აზომა ცხოვრების კიბე, ცხოვრება სიგრძით იმან გალია.
მაგრამ თუ მხოლოდ სიჩუმე იცი, თუ სხვას დაუთმე შენი სათქმელი
ნიშნავს ამ ქვეყნად არ გიცხოვრია, არა გქონია თვალში ნათელი.
ავტომედონტი ამბობს რაც იცის ან რაც სხვებისგან გაუგონია
მიტომ ვერ აწყა მისმა ნათქვამმა რაც სხვათა აზრით ანაწონია
ჯერ ერთი ვინ თქვა, თუ მტერს არ მისდევ ხარ მასზე სუსტი ან და მშიშარა
ძლიერი მტერი არ გაიქცევა, გაუვალ ჭალებს არ აქცევს შარად.
და ამას გარდა, გასარკვევია, ვინ გაუმწარა მეორეს ყოფა,
ქალი თუ მისდევს სხვას თავის ნებით, ვისგან ვისია შეურაცხყოფა?
განა ელენე ძალით ატყვევნეს, განა არ ეტრფა ის ღმერთთა ნებით?
სურდა? შეეძლო ჩუმად გაპარვა და თქვენთან მოსვლა ათა□სგვარ გზებით
ესეც არ იყოს თუ შურს იმიებთ, ჩვენ უფრო გვმართებს შურისძიება
გეტყვი, იაზრე, აქვე მყავს მოწმე, არა მჭირდება გამოძიება.
როცა თეზეიმ, ათენის მეფემ, თეზევსს ეტყვოდნენ იონელები
კრეტაზე მინოსს შვილი მოსტაცა, დაგვინდო ძმები და ახლობლები?
მინოსმა, კრეტის დიდმა მეუფემ, ათენისაგან ხარკს რომ იღებდა
არ მოინდომა მძევლების დასჯა, თორემ მათ სიკვდილს ვინ გაიგებდა.
უთხრა თეზეის, გმირო ჭაბუკო, თუ გსურს მოძმეთა თავისუფლება
შედი ლაბირინთს, მოკალ ვინც შეგხვდეს, მაგრამ შიში თუ დაგეუფლება,
თუ გზას დაკარგავ, თავსაც წააგებ, შენ რას გაუგებ ამ უცხოდ ნაგებს.

და მაშინ იყო რომ არიადნა, რომელიც სჯობდა ყველასგან ნაქებს
ღმერთების ნებით ეტრფო თეზეის, იდუმლად მისცა მაფის გორგალი,
უთხრა, გაშალე აქედან იქით, იქიდან აქეთ გექნება კვალი.
მეფის ქალწულმა, მეფისთვის ურჩი, ამგვარად სიკვდილს გადაარჩინა,
სასიცოცხლოა განა ყოველი, ქვეყნად ბუნებამ ვინც გააჩინა?
მადლობის წილად თეზეიმ ქალი გაიტაცა და დატოვა გზაში
ამ სიმუხთლის წილ შურისძიება ნათესავს არვის მოგვსვლია ჭკვაში.
ან და ავიღოთ, არგონავტები, როცა უნდოდათ ოქროს საწმისი
საბერძნეთში ზღვაზე იოს ჩამოეტანათ, ისევ იმედად დარჩნენ ქალისი.
ოდიოსი მყავს ამბის მოწამე, თორემ ბევრია ისე მთხრობელი
ჰელიდიც იყო არგონავტთ შორის ღმერთთა სადარის მამა მშობელი.

**აქილევსი –**

არგონავტების გმირობის საქმე მე მამისაგან გამიგონია
ხირონი მზრდიდა, ისიც ყვებოდა საწმისი ვისი მონაქონია.
მაგრამ თუ იყო ამ ამბის მოწმე, რა როგორ იყო, სად და რა ნახა
თუ ჩვენში არი ცოცხლად მხილველი და ზღაპრად ჩვენთვის შემოინახა
აღარ მეგონა, საბერძნეთიდან კოლხეთისაკენ კაცი მავალი
თუ მოხვდებოდა არესის ველზე, სატევრისაკენ ეჭირა თვალი.

**ოდიოსი –**

დიდი აქვს ძალა ბოროტს და კეთილს, სიმართლის ძალა უფრო მეტია,
მხოლოდ მას ვიტყვი, რაც კარგად მახსოვს, გონების სკივრში რაც ჩაეტია.
ახლა მოხუცი, თუმც მეომარი, მაშინ ყმაწვილი ვიყავი ჯერაც
ყველა მოისარს და მოჯირითეს არ დავუგდებდი ტოლს, ასე მჯერა.
გემით გავცურე ჰალიმონიდან, ხალიბებიდან, ჩვენ ასე ვიტყვით
არ მშორდებოდნენ თან შეზრდილები ვით არ სცილდება კარგ ფაშატს კვიცი.
აღმოსავლეთით ვიდოდი დიდხანს მსურდა გამევლო პრომეთეს კალზე
კავკასიონი მენახა სრულად, მცოდნოდა მთვარის ამოსავალზე.
ბორეა ქარმა მაბორიალა და ბოლოს მაინც კოლხეთს მივედი
ზღვა და ხმელეთი ვინც გადალახა, ასე მეგონა ვიყავ პირველი.
მაგრამ როდესაც ვცანი აიეტ, მეფე ამაყი, ჰელიოს შვილი
და მოვსმინე მათი ამბავი, ჩვენი ხსოვნიდან უკვე წაშლილი
მივხვდი, რომ მწარედ დიდხანს ვცდებოდი, ვინ ან სად იყო როცა არ ვცნობდი
კოლხები სათქმელს როცა ყვებოდნენ სულ სხვა ვხვდებოდი, თავს სხვაგან
ვგრძნობდი.

**ალკიმოსი –**

ეს აიეტი ვისი მეფეა?

**იდაიოსი –**

მე ვიტყვი მოკლედ თორემ ოდიო მთელ იმათ წარსულს თუ შეუდგება
ომი მორჩება ტროის კედლებთან და ის ამბავი არ დასრულდება,
მველებმა ვიცით, მათაც იციან ვისაც ოდესმე წროთვნიდა ხირონი
რამდენი იყო დიდი ვაჟკაცი, რა ჩაიდინეს მათ საგმირონი.
და ამას გარდა ვისაც უკითხავს მველპელაზგური კორიბიშები
ის გაიგებდა ჩვენთა წინაპართ როგორ დალახეს ზღვები და მთები.
მაგრამ მე სულ სხვა უნდა მომეთხრო, ჩვენ აქ ვდაობდით ელენეს გამო
უნდა გვძიათ შური თუ არა, ან დაგვეცლიათ ცხოვრება ამო.
ავტომენდონტი იმას იმახდა, რომ ჩვენთან ომი თქვენი ვალია
რაკი მოგტაცეთ ქალი მვირფასი, სისხლიანი გზა გასავალია.
მე მოგიყევით თეზევსმა როგორ ურცხვად შებღალა მინოსის კარი
მოჰპარა ქალი და მიატოვა, ღმერთქალთა მსგავსი და დასადარი.
მინოსს შეეძლო ათენის ნგრევა ათენის მეფე მისი ყმა იყო
და არ ინდომა შურისძიება თუმც დარდით გული შუა გაიყო.
იონელებმა უნდა იცოდნენ ბარბაროსობა რა სასმენია,
კაცს თუ შენი გმულს არაკაცობა, სხვისა როგორი მოსათმენია?
ჩვენ მოვითმინეთ არა მარტო ეს. ოდიოს ვთხოვე და არ ვაცალე
ეამბნა მოკლედ არგონავტებმა კოლხი ლამაზი როგორ აწვალეს.

**ოდიო –**

მივხვდი რაც გსურდა, ჩემებრ მოხუცო, მაგრამ სიბერის ენატარტლობა
წამძალავს ხოლმე, უნდა შემინდოთ ჟამთა სიავის გაუტანლობა,
იქ ვიყავ როცა არგონავტები აიეტის წინ კისერს იდრეკდნენ
თეზეი იყო თუ იაზონი მოთაფლულ ხმაზე, სათხოვარს რეკდნენ.
ოქროს საწმისი უნდოდათ ვაჟკაცთ საპელაზგოდან გატაცებული
არალეს ველზე მუხას კიდული, ყველა მეფისგან პატივდებული.
მე ვიყავ მაშინ მედეას საქმრო, ლამაზი იყო მეფის ასული,
მზევსის საკადრი ბრძენი, გრძნეული, მე მაგონდება მთელი წარსული,
არგონავტები ითხოვდნენ საწმისს და უმეტესად ფრიქსეს შვილები
ორქომენელი მეფის ბადიშნი, კოლხების კარზე გამოზრდილები.

და იაზონმა, აიეტს სთხოვა სწორუპოვარი მედეას ხელი
საქმრო იქ ვიყავ, ეს ვერ გაიგო, თავხედი იყო და ან სულელი.
გამოვიწვიე ორთაბრძოლაში და მეორე დღეს ნაღდად მოვკლავდი
მაგრამ რაც მოხდა იმავე ღამეს ისე გავმწარდი, რომ გიჟსა ვგავდი
არგონავტებმა თურმე იმ ღამით ღალატით იგდეს ხელში საწმისი
ზედ მიაყოლეს მეფის ასული, გათელეს გული და გრძნობა მისი.
აიეტის მე გმირი აფსირტი მამაცთა რაზმით გამოედევნა
ისტრის[1] კარებთან წამოეწია, შეეძლო მათი უსისხლოდ ტყვევნა
მაგრამ ღალატით მოკლეს მამაცი, ღალატი იყო საწმისის ფასი
ღალატი სდევდა მედეას კვალად და სატანჯველი ერგო ათასი.
მაგრამ მთავარი, ხომ მთავარია, რომ არ იძიეს შური კოლხებმა
შურისძიება მეც ამიკრძალეს, მეფემ, ასულმა და მისმა ძმებმა.
ქალის გულისთვის მეტოქის მოკვლა, ორთაბრძოლაში ჟინით ჭიდილი
გასაგებია, მაგრამ არა ეს, წლობით მრავალთა უშნო სიკვდილი.
თანაც ასე ვთქ□ვათ, ჩვენთა ნათესავთ თვისი ასულნი სულ არ უყვარდათ?
შურისძიება გულს არ გაივლეს თუმც გლოვა დიდხანს არ გაუქარდათ.
არც მიბრუნება ითხოვეს ქალის, იციან ფასი სიძის და რძალის
ამათთან ბრძოლას სხვა აქვს მიზანი, ელენე არი ახვევა თვალის.
ჯერ კიდევ მაშინ თქვა აიეტმა, ესაა ბრძოლა ვერაგ მძარცველთა
ქალი კი არა სიმდიდრე უნდათ, სიტურფე ხიბლავთ ახალ მთა-ველთა.

**ალკიმოსი –**

მოხუცი ხარ და ენა წინ გისწრებს, იცი რომ ბევრი გეპატიება
ელენეს გარდა ჩვენ სხვა რა გვინდა, დღეს თუ არ იცი ხვალ გაიგება.
ხომ დავთქვით კიდეც მოგვეცით ქალი და დაგვიბრუნეთ განძი მვირფასი
და მენელაე ერკინა პარისს რომ მისი სისხლით შეევსო თასი.
მაგრამ ღმერთებმა ინებეს ისე, რომ მათი რქენის თავი და ბოლო
შეუცნობელი დარჩა ყველასთვის. და თუ არ იცი რისთვის იბრძოლო
ასეთ გრძელ ომებს არა აქვს აზრი. უნდა იცოდე ქმედების ფადრი
უნდა გესმოდეს სიკეთის მადლი, როცა ბევრს და ერთს ურთიერთს ადრი.

**იდაიოსი –**

განგებამ შექმნა ყოველი ისე, ყველაზე სუსტიც მუდამ თავს იცავს
როცა ძლიერი სუსტს არად აგდებს, რა იცი სუსტი ამ დროს რას იზავს.

1.ისტრა — მდინარე დუნაი

შენ ძლიერი ხარ და ასე ფიქრობ ვიტყვი ასე მწამს და ასე არი
ჩვენ მხოლოდ ქალის გულისთვის ვიბრძვით და არ გვქონია აზრი სხვაგვარი.
მაშინ მე გეტყვი, აგამემნონი და აქილევსი როცა დაობდნენ
ქრისეს გაშვება არ სურდა მეფეს, ერთ–ურთის ნადავლს სხვისად არ სცნობდნენ
აქილევსი ხომ შეჰპირდა მეფეს თუ ქალს გასცემ და განმსაც გაიღებ
სანაცვლოდ სამმაგს წილობით მოგცემთ, როდესაც ტროას ბრძოლით აიღებ.
თუ მხოლოდ ქალი სურს მენელაეს, რატომ დაობენ ნადავლის გამო?
ქალს ასს გაგატანთ შეეშვით ქალაქს, დე ჩვენი ყოფა იყოს საამო.
სად გაგიგია ერთი ქალისთვის ათი ათასი ათ წელს ომობდეს
წლები გადის და ქალი ბერდება, ვერც ერთი მხარე ამას ვერ გრძნობდეს.
თქვენი მიზანი სულ სხვა რამეა, შენ თუ არ იცი, გეტყვი იცოდეთ
გინდათ ქალაქი ხელში ჩაიგდოთ სისხლს ამიტომ ღვრით, ამიტომ სცოდეთ

**პრიამე –**

შვილმკვდარი მამის გულს რა გაართობს, მაგრამ სიცოცხლე რაკი გრძელდება
გონება იბრძვის, გასაქანს ეძებს და რაც არ ითქმის იმასაც ხვდება.
განა არ ვიცი ამდენი გმირი იქიდან აქეთ რატომ ვიდოდა
სიზმრის ახდენა ღმერთთა ნებაა, ღმერთებთან ჩემმა დიდ მამამ სცოდა
ეხლა რაღა ვთქვა, ვინ სადღა არი, გამქრალა ძველთა ღვაწლი–დიდება
ასეა როცა წარსულ–მომავალს აწმყო მყარად ვერ შეეხიდება.
დღეს ვიღას ახსოვს თევკრების მხარეს რატომ ილტვოდა დიდი დარდანი
საჰელაზგოდან როგორ გარბოდა და ეოლელებს დაუგდო განი
ეს მაშინ მოხდა საჰელაზგიოს როცა დაესხნენ ბარბაროსები
გაჟუჟეს ვინაც სატევარს ფლობდა და დანარჩენთა გახდნენ მწყემსები
დარდანი ემმო თევკრების მეფეს, გვერდში დაუდგა, სიძედ გაუხდა
შექმნა სამეფო, დიდი ქალაქი, დარდანელების სახელიც ქუხდა
იმ მიწებს სადაც ტროა აღმართეს ფლობდნენ დარდანი და ერიქტონი
მემკვიდრეობა შემდეგ ტროსს ერგო, ყველაზე მაღლა ვინც იდგა გონით.
ტროსს ჰყავდა სამი დიდი ვაჟკაცი და თვითეული მზევსს იფიცავდა.
მაგრამ სიმკვირცხლით და სილამაზით ერთი მათგანი აპოლონს ჰგავდა
ჰანიმედ ერქვა და ჰანიმედი ოლიმპოს მოხვდა მზევსის მხლებლად
უკვდავ ღმერთების სასმელი დააქვს, კრეტას აგროვებს ცვარ–ნამს მთა–ველად
მამის სამეფო ორ ძმას ღა დარჩა ილი უფროსი და ასქარაქი.
აქ ილიონი ილმა ააგო და დააარსა დიდი ქალაქი
მისი მემკვიდრე ლაომედონტი სვედავსებული მამაა ჩემი

მან განარისხა დიდი ღმერთები საქმე გამიხდა თავში საცემი.
როცა გალავანს ავლებდა ქალაქს ერთს ვეღარ მიხვდა, არ ეყო გონი
ხუროდ ქცეულნი რატომ შრომობდნენ პოსეიდონი და აპოლონი.
იქვე ეაქე ქვას ქვაზე დებდა, დუღაბს აკლებდა, ნაპრალს არჩენდა
ღმერთთა ბრძანებით იცოდა ყველა, თვალს არიდებდა, იტანდა, სთმენდა
მისი მემკვიდრე აქილევსია, იქ კედლის მოშლა მისი ხვედრია.
ვიცი წინასწარ და გული მიგრძნობს, არ მიწყევლია, არ მიყვედრია.
განგების ნებას ვინ გადაუვა, ისე ახდება, როგორც წერია
მდიდარი არი თუ მათხოვარი ბედის წინაშე მაინც მწერია.
ლაომედონტი ხომ იყო დიდი, ლესბოსთან ერთად ლიდიას ფლობდა
ფრიგია მისი სამკვიდრო იყო, ქვეყნის დაცემას მიტომ ვერ გრძნობდა.
და მოხდა ისე, გმირმა ჰერაკლემ, რომელს ფიცულობს ვაჟკაცი ყველა
თვრამეტი გემით მოზიდა ჯარი, ტროას დაეცა, მამას უყელა.
თორმეტი ძმიდან მხოლოდ მე დავრჩი, ყველა დაეცა არესის ველზე
მე შემივდრომა, გამოსყიდული, გამოსყიდულის დავალ სახელზე.
თუმცა მეფე ვარ, რაა ცხოვრება, მხოლოდ ბრძოლით და ტანჯვით ვიდოდი
ჩემი ნაგები დაინგრეოდა რომ ვაშენებდი, მაშინ ვიცოდი
ელენე მხოლოდ არი საბაბი, მიზეზი სხვაა, იგი არ ჩნდება
გარედან ციხეს როდი ანგრევენ, ყოველი ციხე შიგნიდან ტყდება
ჩვენც ასე გვიწევს, რას დაგვაკლებედნენ ეოლელები, იონელები
მათ მხარს უბავენ ჩვენივე ძმენი პელაზგები და აქაველები

**აქილევსი –**

მე ბრძენთა ნათქვამს პატივს მივაგებ, მაგრამ ტყუილად ნუ იხარჯები
ნუ გსურს ჰაერში ყვავილი დარგო და ან ქვიშაში გათხარო ჭები
თავიდან გეტყვი, შენ თუ ხარ ბრძენი, რატომ გგონია სხვები უგონო
იცოდეთ თქვენი, იცოდნენ მათი, ახალი რატომ გამოვუგონო.
საპელაზგოდან აქ ვინც მოვსულვართ აქაველები, არგიველები
ერთი გვაქვს ზეცა, ერთი სამშობლო, ვერც ერთს შენ იქ ვერ ჩაენაცვლები.
ნახე გემები ჩვენი შავმკერდა, ტყუპისცალივით ტოლია ყველა
რომელი არი შენად ითვლიდე, რომელი გხიბლავს ან გინდა შველა?

**ალკიმოსი –**

თუმც ჩვენი ბრძოლა გრძელდება წლობით, დანაელები მაინც ვართ წყობით
ათი წელია ათჯერ ვართ მეტნი, მტკიცედ ვართ გრძნობით, გონით და ძმობით

მოსულები ვართ სხვადსხვა მხრიდან, ვცხოვრობთ კრეტიდან ისტრის პირამდე
ვინ ნათესავნი, ენით უცხონი, სულ ყველა ვიცით მირით მირამდე
ფოკეელებს ყავთ ორმოცი გემი, ამდენივეა ლოკრების წილად
აბანტებია ევბეას მხრიდან, უფრო გულადებს თუ ნახავ მვირად
ათენიდან ვართ იონელები და არგოსიდან აქაველები,
არკადიელნი, თრაკიელები, კეფალენები და კრეტელები.
ყველა ვინც გითხარ იონიელობს და პელაზგებიც მრავლად არიან
თვითეულია ვაჟკაცის ჯიშის და ყველას თქვენზე მოუხარიან

**იდაიოსი –**

შენ ვინც მოთვალე სულ ყველა ვიცით, მათგან ხომ ბევრი ნათესავია
უმეტესობა არი პელაზგი, თუმც დანაელნი მთელ ჯარსა ჰქვია.
კრეტაზე აღარ მეფობს მინოსი მიტომ პელაზგი აქაველია?
იდომენევსი და მერიონე მათში ახლა ხანს გამოერია.
ასევე არი კორინთოს მხარეს აგამემნონი ბატონობს ახლა
მაგრამ ხომ იყო ლაზგთა მიწები და აიეტი იქ იდგა სახლად,
სანამ კოლხეთში გადავიდოდა პოსეიდონის შესაწირავის
წმინდა ადგილი ხომ ეკუთვნოდა? ახლა რად გახდა საგანი დავის?
ცალკერძ ახსენე შენ აბანტები, ევბეას მხარის გმირი შვილები.
პელაზგებია წარმოშობიდან და აბანტებად გამოზრდილები
აბანტობა ხომ ხელობა არი, ტყავის ოსტატნი, კორაბანტები
ლინოსის მენი, ასოთ მხაზველნი, ლაზგნია, შენ ნუ დაიფანტები

**ოდიოსი –**

მეც მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა, აბა რას გვარგებს ჩვენ ფუჭად მოთქმა
სად და რა იყო ან როგორ იყო, როგორი იყო იმათი მოდგმა
ჩემი ჯიში ხომ არი ხალიბი, ქვეყანას ჰქვია პაფლაგონია
ჰალიმონებსაც გვეტყვიან ხშირად და ალიბეაც გამიგონია
ვართ ევბეადან წარმომავლობით, ხალიბეადან გავიდგით მირი
სიდან ვიდოდით, საითკენ წავალთ გამოცანაა დიდად საკვირი.
მაგრამ არა ვართ გამონაკლისი, სხვებმა სხვაგვარი გზები დალახეს
დღეს ვერ გეტყვიან გუშინ სად იყვნენ, როგორ იარეს, გზაში რა ნახეს.
მე მოგიყვებით, კოლხეთში ვნახე, არ ჩამეთვალოს ენის ტარტალში
კორიბიშები ნაწერით სავსე. საწმისი მომხვდა ერთი რამ თვალში
გამოხატული იყო ყოველი, რაც დეა–მიწას სად რა უშვია

სად ზღვა მძვინვარებს, ტბას და მდინარეს მძლავრი ჩანჩქერი გადაუშვია,
ჭკვიანი იყო, აიეტის მე, კორიბიშების მცოდნე-ტრფიალი
ამბობდა კოლხი კორიბანტები ერთ დროს კრეტიდან გარეკეს ძალით
ჰელაზგიური მათ შექმნეს ასო, ზევსი აღზარდეს, ასწავლეს მღერა
შემდეგ ილტვოდნენ აღმოსავლეთით, ასეთი შეხვდათ მათ ბედისწერა.

**აქილევსი –**

ხირონი მზრდიდა, ხირონი მწრთვნიდა, თუ ვჯიუტობდი კიდევაც მსჯიდა
ყველა იცოდა, ყველაფერს გრძნობდა, ითმენდა, თმენით ცოდნაში მცდიდა
ამბობდა ამბავს, რაც არა ერთხელ სახლში მამისგან გამიგონია,
არგოს ხომალდით როგორ გაცურეს, ყველა გონებით ანაწონია.
და უფრო დიდი გმირობა ქვეყნად არც სად ყოფილა, არც გამიგია
ხირონისაგან ჩემს გონებაში რაც გადმოსულა ან ამიგია.
ჩვენ რომ ჰელაზგნი ვართ ყველამ ვიცით და აქაველნიც იქავე ვსახლობთ
თესალიელნი თუ არგიველნი ვშრომობთ და ვცხოვრობთ, ვმოყვრობთ და ვმძახლობთ
მეც გამიგია აქედან იქით ერთია ჯიში და ნათესავი
მაგრამ რომელი რომელს უსწრებდა არ მტკიება ამ ფიქრით თავი

**ოდიოსი –**

ღმერთების დარო, განა იქნება წყალი არ გქონდეს ისე დაღვარო?
ხირონს რა ეთქვა თუ არ იცოდა, როგორ შეიქმნა მთელი სამყარო.
ჩვენ სამწუხაროდ კორიბიშების კითხვა ვინ იცის აბანტთა გარდა?
საჰელაზგოში კოლხ კორიბანტებს დღეს სადღა ნახავ, ვინ გამოზარდა.
არა და იყო მველად ტკბილი დრო კრეტას კოლხები კორიბანტობდნენ
ლინოსი იყო მწრთვნელი და მამა, ტოლად და სწორად არავის გრძნობდნენ.
მაგრამ როდეაც ბრძენმა კადმოსმა, რომელიც მოხვდა ფინიკთა მხარეს
ფინიკიური ისწავლა ასო, მიადგა როგორც მოხუცი მზვარეს.
გადმოიხატა ყოველი ასო, ზოგის შეცვალა ხაზი–ნიშანი
იონიური შექმნა მწერლობა და აისრულა გულის მიზანი.
არ ვრცელდებოდა მისი ნაწერი, სანამ ცოცხალი იყო ლინოსი
მაშინ კადმოსმა მოწამლა ბრძენი, შეასვა როგორც წვენი ღვინოსი.
ჰელაზგიური ჩაკვდა მას შემდეგ, ბატონობს ყველგან იონიური
კორიბიშების ვინ რაღა იცის, და იქ ნაწერი აზრი ღვთიური.
მიტომ არ იცი, ამ დიდ სიამეს მოკლებულია თვითონ ხირონი

მე კი კოლხეთში ვნახე ყოველი როგ ორ იცვალნენ წარსული დრონი

**ავტომედონტი –**

კოლხი არ ვიცი ვისი ტომია, ან სადა სახლობს ან რის მდომია
ბევრი მინახავს, გამიგონია, არა მქონია მათთან ომია.

**ოდიოსი –**

წარსულის ცოდნა დიდი განძია. ხვალეს გუშინის ძალით გაიგებ
სად რა ყოფილა, სად როგორ არი, მომავლის ნახაზს ისე აიგებ
ფეხმარდი გმირი აქვე ამბობდა, არ მისწავლია წარსულის ავი
მარტო ფეხები რას გიშველიან თუ სრბოლას მცდარად წარმართავს თავი
კოლხეთში მითხრეს, ასე წერია, ყვებიან კოლხი კორიბანტები
ერთ დროს ყოფილა გეო პატარა, ყინულებს ეპყრათ ზღვები თუ მთები.
კოლხნი ამბობენ დედაო მიწა, გეო კი არა დეო ან დეა
და თუ რამ კარგი არი იმ ქვეყნად, მისდამი ტრფობის სიდიადეა.
დეო იზარდა, მიწები შობა, გაჩნდა მრავალი თბილი მხარენი.
თითქო იწვევდა ვიწროთ შეუუქულთ, მოდით, მომხედეთ, გაიხარენით
ტარტე, ყოფილა ქვეყანა რაღაც, ტომიც ყოფილა ატარტიელი
წყალს ჩაუყლაპავს მათი მიწები და მიატოვეს სამშობლო ვრცელი.
ატლანტიელნი ეწოდათ მერე, ხო და ამ ტომის დიდი შვილები
პოსეიდონის რისხვით დამრულნი, გაჭირვებისგან გამოცდილები
აღმოსავლეთით დაიძრნენ თურმე, ბევრი რამ ნახეს, ბევრი იარეს
ნაწილმა თავი სამხრეთს უჩვენა, ლიბია[2] მთელი გადაიარეს.
მცირე ნაწილმა ჩრდილოს მიმართა, ბევრი ვიდოდა აღმოსავლეთით
ბრძოლით იპოვეს რაც მოიპოვეს, ათასჯერ მოკვდნენ და აღსდგნენ მკვდრეთით.
სამი ათასი წლის უკან იყო გეომ აჩუქა ჩვენი მიწები
საპელაზგიო შეიქმნა ვრცელი ოლიმპოს მკვიდრთა დასაფიცები.
აქ იყო ჩვენთა წინაპართ ლხინი, ახლის შენება, ნგრევა და ჭირი
კორიბიშებში ყველა წერია, კორიბიშების ცვენაა ხშირი.
ათასი წლის წინ ან ცოტა ადრე, ბედის სიმუხთლის გაჩნდა ღრუბელი
აქაველები მოგვადგნენ მიჯრით გადაიარეს ქვეყანა ვრცელი.
მათი დაწოლით, რქენით და ომით ბევრი დაიძრა აღმოსავლეთით
ბევრი რამ არის კორიბიშებში და მოგიყვება აღმდგარი მკვდრეთით
ტარტედან ვინაც ვიდოდა თავში ის აქ მოსახლე იყო მთავარი
აქაველებმაც იმათ მიმართეს, რომ წაეგლიჯათ ბუნების კარი

მზის კარიბჭისკენ სულ სწრაფვის გამო ადრე დაერქვათ ჰელიოსები
ჰენიოხებსაც იტყვიან მათზე, ჰერიოხებიც–მსმენია ხმები.
იმის მიხედვით მზეს ვინ რას არქმევს, ვის როგორი აქვს სიტყვის ბუნება.
მთავარი არი ვის სად რა მალუმს და არა ასოს გადაბრუნება,
ჰელიოხები ბევრი ტომია, ასე დაერქვათ სვლის გეზის გამო
კავკონ, კორინხნი, ლაკნი, ლელეგნი, ალბანთა წილი სამარადჟამო.
ამას დაერთო ხუთასი წლის წინ ახალი მტერი ისტრის მხარიდან
ეოლელები, იონელები მხარაქცეულნი სავალი გზიდან
და მაშინ იყო კორინთელებმა, რომელთ ეწოდათ კორინხთა ტომი
კავკასიონის მიმართეს მთა–ველს, გადაიხადეს იქ საღვთო ომი
იმათ დღეს მეფობს დიდი ბატონი აიეტის ძე, კაცი სწავლული
აიეტი კი კორინთოს ფლობდა, მას გაუჩინეს იონელთ წყლული
ჰელიოსის ძე იყო აიეტ, ჰერიოს კოლხნი უხმობდნენ მზესაც.
მზეს უწოდებდენ, მზევსს თაყვანს სცემენ, ჰელაზგური აქვთ წესები დღესაც.
კორინთელების კვალს მიჰყვნენ სხვები, მათ შორის ჩვენ ვართ ჰალიმონები
ვებრძვით ურთი–ერთს ლაზგთა ტომები, რისთვის თუ მეტყვი მომეწონები

**ალკიმოსი –**

შენი ნათქვამით გამოდის ისე, მე ასე ვიგრძენ და შევითვისე
რომ ჰელაზგები ვყოფილვართ ყველა, ვყოფილვართ ბევრნი და მეთავისე.
მაშ რატომაა დანაელთ ვირქმევთ, იონელთ ვირქმევთ და ასე ვმსჯელობთ
ვინც გვერდით სახლობს არი ჩემი ძმა, ზღვის გაღმელს ყველას ვშურობთ
და მვტერობთ
ან რატომ არი შენ არქმევ ჰელაზგს, თვითონ თავს იკლავს იონიელობს
ისე გამოდის თუ ჭარბობს ძველი, ვინც ახალია ისიცა ძველობს.
მე ვინც მოვთვალე იონელია, მათ ემატებათ როდოსელები,
ორქომენელნი, ბრისეიელნი, ეტოლიელნი, მესეელები.
არვინ უარყოფს იონელობას, და ჩვენ ჰელაზგნი ვუდგევართ გვერდით
ერთი გვყავს მტერი, ერთი მოყვარე, ჩვენ ერთ სამშობლოს აქ ვიცავთ მკერდით
ჰელაზგები ვართ იოლკოსელნი, ბოიბელები, მირმიდონელნი
აქაველები და ჰელენები, ჰერაიბელნი, ენიენელნი.
ყველას ჩამოთვლა არაფრად მიღირს, წინ მიგვიძღვიან გმირთა–გმირები
მარტო აქილევს რად ღირს თქვენ იცით, აზიდული აქვს ზეცამდე მხრები
ჰოდალეირო და მახაონი ორი ძმა, ორივ ყველას მკურნალი
მეფე ადმეტეს ძე ევმელოსი, და აიანტი როგორც კლდე სალი.
ბევრი ვართ, ბევრის მორევნა ვიცით, ჩვენ შევანგრიოთ სკაიას კარი

რაც გინდა აქეთ დაგრჩეს უვნებლად, უნდა გაავლო მის იქეთ ზღვარი

**იდაიოსი –**

განა ჩვენ რა ვთქვით იმაზე მეტი რასაც ამტკიცებთ თქვენივე ენით
როგორც აკეთებთ თქვენ საკეთებელს, საკეთებელიც ისე შეგშვენით
განა არა თქვით, რომ ჰელაზგები თქვენში მრავალზე მრავლად არიან
ეს რომ არ იყოს იონელები კუდს მოიწვავდნენ ჩვენთან გვარიან
აქ ვისაც გვხედავთ, ვარ ჰელაზგები, ასევე ჩვენი მოკავშირენი
დარდანელები, ეს პირველ რიგში, უძლვით ენეი გმირობის მჩენი.
მელეის მხარის მეომრებს იცნობთ, იდის ფერდობებს შეჩვეულები
ლიკაონისძე პუავთ წინამძღოლად, წვერწამახული დააქვთ შუბები
სესტოს, აბიდოს და არისბეის მეომრებს უძღვით პირტაკ, ასიო
რამდენი გინდათ იონიელი, მათ მოსათოკად რომ მიასიო.
ლარისელ ჰელაზგთ ყველა გაარჩევს ლამაზებს, როგორც თვითონ ლარისა
თქვენ თუ გინახავთ სხვა ვაჟკაცები, უფრო ლაზათნი უცხო მხარისა
ჰელესპონტიდან ნაპირის გავლით ბევრნი მოვიდნენ თრაკიელები
პეიროოსი და აკამანტი წინ მოუძღოდნენ უძლები მგლები
ტროიძენოსის ძე ევფემოსმა თან მოიყვანა კიკონთა წყება
ამიდონედან პეონნი იყვნენ, ვის უხაროდა მტერთან შეხება.
პაფლაგონიდან, ენეტეს მხრიდან, კიტოროსის და სესამოს ახლოს
რომელიც იყო კარგი ვაჟკაცი და პართენოსთან ახლო ვინც სახლობს
ჰალიძონებთან ერთად მოვიდნენ ოდიო მეფის მეთაურობით
ეპისტროფოსი ალიბეს მხრიდან ერეკებოდა ცხენოსნებს წყობით.
მისიელები, ფრიგიელები, მეონიელნი, კარიელები
ლიკიელები ქსანთოსის მხრიდან ლაზგ ნი თუ ლაზნი ერთ–ურთის ძმები.
და რა გამოდის, აქეთ ლაზგები იქით ჰელაზგებს ათი წელია
ვებრძვით და მიკვირს ერთი გვაქვს ჯიში და ერთი შური არ დაგველია.

**ავტომედონტი –**

შენ ვინც მოთვალე, სხარტად მოთალე, ტროის მცველია და ჩვენი მტერი
რა გვაქვს საერთო, ჩვენ დანაელებს, რა გვჭირს იმათთან ერთად სამღერი
თან ეს იცოდე არ არი წესი მდაბიომ მეფეს უთხრას საწყენი
ჩვენ თერისტესაც ვერ ვაპატიეთ და დავუმოკლეთ სავალი დღენი.
როცა გაპკილა უდიერ სიტყვით ჩვენი უფალი აგამემნონი
ჯერ ოდისევსმა შემოჰკრა კვერთხი, მერე მიუზღეს ზომით და წონით.
არც შენ შეგშვენის, თუმც ხარ მოხუცი, მეფეთ წინაშე ზედმეტის თხრობა

**აქილევსი –**

კარგად გავიგე, გულით მივიღე, რასაც ჰყვებოდა იდაიოსი
რას უმატებდა ოდიო მეფე, რისი იმედით, რა სამსჯავროსი.
ის კი არ არი ამ მხრივ მთავარი მოხუცებს მართლა მოექცათ მხარი
თუ განზრახ იყო ყოველი თქმული, რომ დასჩენოდა ჩვენ რწმენას ბზარი.
მთავარი არი რაც მოვისმინეთ იყო მართლა თუ არი ზღაპარი
სიტყვა აზრს ამბობს, აზრის სისწორეს ცხოვრება განსჯის, აი მთავარი.
მე გასაგებად მეამა ყველა, რაც არი ახლა, რაც იყო ძველად
ღმერთებმა საით ატარეს კაცი, კაცობის რწმენის გამოსაცდელად.
გეო, რომ არი ყველას მშობელი, ვისაც აზრი აქვს გასაგებია
ხირონი ასე მეტყოდა ხოლმე, – ყველა გეოსგან ანაგებია.
გეო დედაა ყველა არსების, ყოველი მთის და ყოველი ზღვისა
სიცოცხლის წყარო გეო თუ დეო, მესმის ნათქვამი იმ კოლხებისა.
მართლაც ძნელია ყოველი სიტყვა ყველას ერთგვარად, ერთად ესმოდეს
აბა მონახეთ ორი ნაყოფი ორ სხვადასხვა ხეს ერთგვარად სხმოდეს.
ტარტედან აქეთ, აქედან იქით კავკონიონის მაღალ მთებამდე
რამდენი ტომი ერთ ჯიშის სახლობს და გაებმება კიდევ სადამდე
გასაგებია სიტყვებსაც შეცვლის, აზრიც სცილდება, რწმენაც სხვა არის
როდესაც გეოს კაცთა ნაყოფი მოუბნევია და ეს უხარის.
დღეს ყველა სხვაგვარ შესძახებს გეას, მაგრამ ნათქვამი დეა მშობელი
არ გამიგია უცხო ტომებში თუმც მომივლია მიწები ვრცელი.

**ოდიოსი –**

ვის შუბთან ერთად გონება უჭრის, სხვისი გაგება ეადვილება
იდაიოსი რასაც მოგიყვათ, ის კორიბიშებს შეენაცვლება
და აქილევსიც არი მართალი, როდესაც გეოს აქებს და ფიცავს
მხოლოდ პელაზგი ამ ქვეყანაზე მშობლიურ დედას ემახის მიწას
გეომ დაბადა უკიდეგანო ზეცა, დიადი რაღაც უღრანი
თვალი ვერ სწვდება სიგრძე–სიგანეს, სხვა ვერა ნახო იმისი მგვანი.
უღრანი ზეცა კოლხი ემახის, უღრანს ურანი თქვენშიაც ჰქვია
თუ წვიმა მოდის მისი ცრემლია, თუ თოვლი არი მას დაუფქვია.
გეო დაბლაა, უღრანი მაღლა, პირველად მათი იყო ყოველი
ის რაც ყოფილა, ის რაც ახლაა და ისიც, რასაც ხვალე მოელი

დიდხანს მეფობდნენ ქალღმერთი გეა და მასთან ერთად ღმერთი ურანი
მათ ტიტანები შვეს ექვსი წყვილი, მოსპეს ქაოსი, ქვეყნის ბურანი
მდინარეები შვა ოკეანემ, თეტიდამ მისცა მოხაზულობა
ჰიპერიონმა თეიას ნებით შვილებს ატვირთა სხვაგვარი გრძნობა
მათ შვეს ჰელიოს მანათობელი, ჰერიოს ეტყვის კოლხი სხვაგვარად
ჰერიო მზეა, ცეცხლის ზის ეტლზე და გაკვალულ გზას მიჰყვება მყარად.
ჰერიოს გარდა მთვარე დაბადეს და განთიადის ღმერთი ეოსი
აისი არი იტყოდა კოლხი, ღმერთი სინათლის სანავარდოსი.
ტურფა ეოსი, სინაზით სავსე, თავის მხრივ არი ქართა მშობელი
როგორიც არის აისის ფერი, ქარსაც ისეთი ატყვია ხელი.
საპელაზგოში ყველაზე მეტად ჩრდილოეთის ქარს ბორეას ვიცნობთ
რას ბორიალობს, კავკონის მხრიდან, სიცივე მოაქვს მაშინვე ვიგრძნობთ.
კოლხეთში ასეთ ნათქვამს გაიგებ, კოლხებმა ქარის ყადრი იციან.
თქვენც უნდა მათგან ისწავლოთ ბევრი, რათა არ იყოს შემდეგში გვიან.
გავიდა წელი მრავალათასი და დეამ შვილებს ზემძლავრ ტიტანებს
ურანი ციდან დედამიწამდე იქით და აქეთ ამბის მიმტანებს
ურჩია მძლავრი მამის ურჩობა რათა ჰქონოდათ შვება და მალა
მაშინ ითავა ჟამთამრიცხველმა დრომ ურანს ტახტი გამოაცალა.
ეს ის დრო იყო, როცა ურანმა ქვეყნის აგებას დასვა წერტილი
ბუნების ძალებს მისცა საუფლო, არავინ დარჩა თავაწყვეტილი.
როცა დამყარდა მტკიცე წესრიგი, დეამ შეწყვიტა შვილების ყოლა,
მაშინ დაისვა საკითხი ასე, ვინ იყო დიდი, მცირე თუ ტოლა?
დრონის მეფობა იყო დროული. დრონი — ასეა კოლხის კილოზე
კრონი — იტყვიან საპელაზგოში, ღმერთზე, რომელიც ბატონობს დროზე.

**აქილევსი —**

მე გამიგია ჰელიოხები კავკასიის მთებს ჰყვარობენ, ფლობენ
პრომეთეს კლდესთან სახლობენ ახლოს, კაცთა სიყვარულს იქიდან გრძნობენ.
მაშინ გამოდის ჰელიოხები პელაზგებია, აქაველები
ჰელიოსისგან გეოს ნაშობნი, რომელთ უნახავთ აქა ველები.
თუ ეს ასეა, ჩვენი ღმერთები თუ მათი გულით საფიცარია
რატომ ვებრძოლო, დღე დავუმოკლო, კაცთა ცხოვრება ისეც მწარია

**ოდიოსი –**

გმირო ფეხმარდო, შენი ბაგებით ხირონზე მეტი სიბრძნე ღაღადებს

ბედნიერია ყოველი დედა გონიერ ყმაწვილს ვინაც დაბადებს.
ჰენიოხები, ჰელიოხები, ჰერიოხები ერთ ჯიშზე ითქმის
აქედან იქით კავკასიამდე მათ პირველებმა იარეს თითქმის.
ორი ათასი წლის წინათ იყო, ვარაუდით კი მეტიც იქნება
მოინადირეს მათ ზღვიდან ზღვამდე და ბარბაროსებს უჩვენეს ნება
შემდეგ როდესაც საპელაზგიოს შემოესიენ აქაველები
ესენიც ჯიშით პელაზგებია შუა სავალზე დარჩენილები.
მათი დაწოლით საპელაზგოდან ვინაც დაიძრა, აქეთ ვიდოდა
ის ჰელიოხებს ართმევდა მიწებს, ავიწროებდა, ეხიზნებოდა
ასე შერეკეს ჰენიოხები ღრუბლიან მთებში, მზის ეტლთან ახლოს
კორინხელები, ალბანნი, მუშქნი, იმათ მიწაზე ვინც ახლა სახლობს
ბევრი იცვალა მას შემდეგ ჟამი, ბევრი იყო და ბევრი წავიდა
მშობლის ცხოვრება სამირკველია, შვილი შენებას იწყებს თავიდან.
ჟამთა სიავემ სიტყვაც შეცვალა, ახალი მისცა ძველს ღქერადობა
ღმერთის ნებაა, ვის გაუმჟღავნებს, მას შეუძლია წარსულის ცნობა
იდაიოსი ბრძანებდა ბრძენი, როგორ გამეფდა ოლიმპზე კრონი
კრონი ჟამს ნიშნავს მუდმივ ცვალებადს, კოლხნი ეტყვიან იგივეს დრონი,
ახლა განსაზღვრე არი დამთხვევა თუ მართლა ჰქვიათ ერთი სახელი
საპელაზგოდან კავკასიამდე თუ არ ყოფილა კაცი მნახველი.

**აქილევსი –**

იქნებ ეს იყო უხსოვარ დროში, შემდეგ კავშირის გაწყდა მაფები?
თუ ამით მორჩა, ნათესაობა არა ყოფილა, დამეთანხმები.

**ოდიოსი –**

ღმერთთა სადარო, ბრძნულად საუბრობ, ჭკვიანურია შენი ნათქვამი
ერთი და ორი სიტყვა, სახელი სულაც არაა მეტყველი რამის
მაგრამ თუ წყება ღმერთთა სახელთა, ერთნაირია ჟღერით და არსით
უცხოს უცხოსგან არჩევენ ფერით, და ერთნაირებს არჩევენ მსგავსით.
გეაზე ითქვა, ურანზე, კრონზე, დეა, უღრანზე და მუხთალ დრონზე.
ახლა ასე ვთქვათ კრონის სამტეროდ, დრონის სამტეროდ იმ დროის ფონზე
ღამის ქალღმერთმა ღმერთნი დაბადა, არ დაუხურავს მათთვის ლაბადა
არ უფიქრია, არ უზრუნია, არ ჰღირებია შვილნი ამადა
პირველი იყო ღმერთი ტანატა, სიკვდილის ღმერთი, სწორუპოვარი
სული ტატანამ გააფრთხობინა___ კოლხნი იტყვიან თუ ნახეს მკვდარი.

მეორე იყო ერიდა ღმერთი, იგი თესავდა შუღლს და სიძულვილვს
ერიდე— კოლხი ეტყვის მეგობარს, ვინც სახიფათოს შეუპყრავს სურვილს,
მესამე იყო ქალთმერთი ატა. ატა ვინც ყურით ზევსმა ათრია
მიტომ რომ იყო სიცრუის მთხრობი, რომლის ნათქვამში სიბრძნე არ ერია.
სიცრუის მთხრობელს კოლხი მიუგებს, არა გრცხვენია შემატა–ყურა?
მ–ატ–ყუარაა იქ ნიშნავს ცრუობს, სიმრუდით სიტყვა ვინც გაახურა.
და ბოლოს იყო კერ–ღმერთი მძლავრი, იყო მომსპობი, აღმგველი მიწით.
კოლხნი მომსპობზე იტყვიან მ–ტერ–ი, არ დაჰყვებიან მას მტკიცე ფიცით.
ახლა განსაზღვრე ბრძენო ჭაბუკო, ამდენი ღმერთის ყველა სახელი
იქიდან აქეთ თუ დამთხვევია, იქნებ ყოფილა მათი მნახველი?

**ალკიმოსი –**

მეც მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა თუმცა ნათქვამმა წამიღო ღონე
გონების მალით რომ გავიბრძოლე, ამგვარი რამე გამოვიგონე
ვთქვათ და ის,რასაც აქ გვიყვებიან პელაზგი, ლაზგი, კოლხი თუ ლაზი
ერთად თუ იყვნენ და გაიყარნენ, კვლავ ერთად ვაქოთ არი ლამაზი?
სად პელაზგია, სად ლაზი სახლობს, რომელთან რომელს რა აქვს საერთო
მე თუ ვტყუოდე ატას შევთხოვდი, ამ ტყუილისთვის დამსაჯე ღმერთო.
თქვენი უფალი ახლა სხვა არი, ასევე არი ჩვენი უფალი
გეო და კრონი მეფობდნენ როდის, დღეს ვის დაუვსეს ყური თუ თვალი.
რაც ჩვენი გონი სწვდება გარდასულს, რაც ჩვენი ჯიში იონიელობს
ზევსი ყოფილა მუდამ უფალი, მეფე თუ მონა ამას ყველა გრძნობს.

**ოდიოსი —**

ზევსი ღმერთებში ახალგაზრდაა, გვიან აღზევდა მეხთამტყორცნელი
ურანი იყო თუ იყო დრონი, იყვნენ იმისი გზის გამკვლეველი.
დრონს აშინებდა ურანის ბედი, ამიტომ იყო რომ შვილებს ნთქავდა
შვილთა მოძულე, წინსვლის მოძულე, ქვეყნად სიცოცხლის მოძულეს ჰგავდა.
ამიტომ იყო, რომ გეას რჩევით მზევსი ამ ქვეყნად იშვა კრეტაზე
გამოქვაბულში აიდგა ფეხი, იქვე ამღერდა ღმერთების ხმაზე.
კრეტელებს ადრე მთავარი ღმერთი, მეხთამტყორცნელი ჰყავდათ კუბელე
იქიდან აქეთ ცვალეს სახელი, გზები მოუჭრეს, თითქოს უქელეს.
ხეთა სამეფომ არქვა კუპალა, ლაზთა, კორხებმა უთხრეს კოპალე
სხვაგან რა იყო, ან როგორ იყო მიდი გაიგე, მოდი მოთვალე.
კუბელეს ნაცვლად გამოჩნდა მზევსი, მზესი თუ ზევსი, ასედაც იყო

აქაველთაგან პელაზგთა წყობა როცა ზღვის გაღმა შუა გაიყო.
მეხი მზევს ბამავს, მისებრ ანათებს, კოლხმაც ამიტომ უწოდა მზესი
ან და პირიქით, მზევ ბადებს მეხებს თუ არი ქიშპი სიკეთის მთესი.
კუბელეს თურმე კოლხნი უვლიდნენ, ყოფილან მისი მონა და მცველნი
კუბელეს შემდეგ ჰპოვეს ახალი და გახდნენ მისი მსახურ-აღმზრდელნი.
როდესაც მზევსმა, მეხთამტყორცნელმა, დაამხო მალით დრონის მეფობა
მისი ტანიდან იხსნა და-ძმანი, იქიდან მოდის მათი ერთობა.

**ალკიმოსი –**

ისე გამოდის გეა თქვენია, ურანი, კრონი და ახლა ზევსი
მენიშნა, კაცი ერთს თუ მოგპარავს, მერე ეჩვევა, ასეა წესი.
გეაზე, რომ თქვა ურცხვად მოხუცმა და არ მივუგე არა და არა
ჩვენი დუმილი თანხმობად იგრძნო, და რაც იცოდა ჩვენ მოგვაყარა.
მაგას რომ ვუსმენ იონიელებს თურმე უღმერთოდ დღემდე გვილია
სიმართლის მთქმელი ეკლებზე დადის, მატყუარას გზა გატკეპნილია.
თუ დავაცადე ისე გამოვა მაგათი არი მუხლთეთრი ჰერა
აფროდიტეა თუ აპოლონი ამათ ასწავლეს ტრფობა, სიმღერა.

**ოდიოსი –**

თუმც მოხუცი ვარ, მადლობა უფალს, არ მომკლებია გონების მალა
მასპინძელს სტუმრის თუ არ ეამა, სიამეს აზრი გამოეცალა.
მე დავდუმდები, მაგრამ იცოდე, რაც ვთქვი ასეა და არა ვცოდე
მინდა სიმართლეს ჭაბუკი გრძნობდე, შვილსაც ასეთი ცოდნით ხვდებოდე,
აღარას ვიტყვი შენ მოიძიე რომელი ღმრთი სად დაიბადა
როგორ შეერქვა სახელი დიდი, რამდენი ომი გადაიხადა.
გამოირკვიე თუ რამეს ნიშნავს ღმერთთა სახელი იონიურად
მაგრამ შეხედე როგორ ემთხვევა გინდა ლაზგურად, გინდ პელაზგურად.
აფროდიტეო შენ აქ ახსენე, თაყვანი ვცეთ და მივუზღოთ წვლილი
ზღვის ქალღმერთია ის თავი-თავი, თმები აქვს როგორც აფრა გაშლილი.
ერთს კიდევ ვიტყვი და დავდუმდები, მხოლოდ ჭაბუკნი ფიცხობენ გზნებით.
შენ დაუკვირდი ხარისხთვალება ჰერა გამეფდა რა გზით და ნებით.
ან რისი იყო ის დედაღმერთი, რას ნიშნავს მისი სახელის არსი
ან თუ იქნება იონელებში სიტყვა, ქალღმერთის სახელის მსგავსი.
ჩვენ რასაც ვსუნთქავთ არი ჰაერი და ჩვენ გარშემო იგივე ბრუნავს
რა ჩაისუნთქო, ამოვისუნთქო დიდი ქალღმერთი ამაზე ზრუნავს.

კოლხურად ამას ჰქვია ჰაერა, ჰაერა, ჰერა, ჰერი, ჰაერი
დიდი ქალღმერთის სადიდებელი კოლხებში ისმის ვით მისამღერი.
თანაც იკითხე მისი სამსხვერპლო, მისთვის ზვარაკის შესაწირავი
კორინთოს ახლოს იყო არგოსში, საიდან ახსოვთ კორინხებს თავი.
ვფიცავ ეოლას ქართა მბრძანებელს, კოლხები ასე ეტყვიან — ეულს
არ შევხვედრივარ სხვაგან დამთხვევას ღმერთს მივაწერდეთ და გინდა გრძნეულს
და თუ ამდენი ღმერთის სახელი ან და ის რასაც იგი მფარველობს
არაფერია იონიურად, იონიელი მას როგორ ჩემობს?
ჩვენ კი ერთნი ვართ, ერთი გვაქვს მირი, ერთი სამსხვერპლო და შესაწირი
ოღონდ ესაა მომხდურთა გამო, წავსულვართ სადაც ვნახეთ სამზირი.

**აქილევსი –**

მე გულისყურით ვისმინე ყველა, მისაღებია თუმცაღა ძნელად
რაც მოკლედ ითქმის გასაგებია, გასარკვევია რაც ითქმის გრძელად.
აქაველი რომ პელაზგი არი, საპელაზგიოს გვიან მოსული
ერთი აქვთ ბედი, გზა გამოვლილი, ერთი აქვთ ჯიში და ერთი სული
ადრეც გამეგო და ამას გარდა ხირონისაგან ისიც ვიცოდი
წინ დამხვდებოდნენ ჩვენი მოძმენი რაკი იქიდან აქეთ ვიდოდი.
მაგრამ თუ ტროა პელაზგთა იყო, პაფლაგონია, ხეთა ქვეყანა,
იქით კოლხეთი, აქეთკენ კრეტა სულ არ მეგონა, მალზე მეგანა.
და რადგანადაც მართლა ასეა, გამოდის ძმებთან მქონია ომი.
ადრეც გითხარით, გული თუ გრძნობდა, მე არ ვიყავი ამ ბროლის მდომი.
ძმებს შორისაც კი ხდება კამათი, თუ ვერ გაიყვეს ერთი კალათი,
ათი წლის ომი არი სიგიჟე, არ სდევს ამ ხოცვას რამე ლაზათი.
ამიტომ ვიტყვი, ზევსს დავიფიცავ, რაც იყო თუკი მეპატიება.
აღარ ავიღო შუბი ჩრდილგრძელი, აღარ ვიმსხვერპლო ვაჟკაცთა წყება.
მეფევ სვიანო, შვილმკვდარო მამავ, სკაიას ველზე თუ კვლავ მიხილო
ტროელებს ვხოცდე, მე არა კაცო □ უფლებას გამლევ ასე მიყივლო.
საომარ ველზე თუ გავალ ისე, მირმიდონელთა დავაწყო რიგი
რომ მსხვერპლი იყო ჩვენსკენ ნაკლები, ომსაც სჭირდება თავის წესრიგი
ახლა კი მითხარ სანამ დავწვებით და დაღალულებს დაგვეძინება
შვილს რომ მიიღებ, კიდევ რა გინდა, როგორი არი მეფური ნება.
მე შენ ჭაღარას მივაგებ პატივს, გიყურებ როგორც ჟამგასულ არწივს
იდის კლდე-ღრეზე რომ ვეღარ დაფრენს, უმწეოს სცივა, ათოვს და აწვიმს.
იქნება მამა, ჩემი მოხუცი, ასევე სვის შვილს შეჰყურებს კრძალვით

იქნება დადის მეფურ იერით, იქნება პურსაც მოიტეხს მალვით.
მე შენ გცემ პატივს, იქნებ ვიღაცა ღმერთების ნებით მამას მიხედავს
ვიცოდე მასთან დავბრუნდებოდე, მოხუცს ურჩობას ვინ გაუბედავს.

**პრიამე –**

გმირო ფეხმარდო, წლებს მოაქვს სიბრძნე, მოხუცი გეტყვი, მინდა იცოდე
იმდენჯერ მეტი ხარ ქვეყანაზე, რამდენიც იმმე და შეიცოდე.
მზევსი მრისხანეც, წარბებშემუხვნილი, ხშირად დათმობს და გულს მოიბრუნებს
კაცს მუდმივ მართებს ღმერთის მიბაძვა და რასაც გასცემს მეტს დაიბრუნებს.
მადლობას გწირავ ტკბილი სიტყვისთვის, გულმოკლულ მამას რომ ეამება
ღვთის შვილები ვართ, ცოცხალზე, მკვდარზე, დაე აღსრულდეს ღვთიური ნება.
ცხრა დღე მომეცი შვილის საგლოვად, გამოვიტირო ჩემი ჰექტორი
მოვიდეს ყველა შორ ნათესავი, მოხუცი, ბავშვი და მისი სწორი.
შემდეგ სამი დღე მჭირდება რათა იდის მთებიდან მოვზიდოთ შეშა,
ავაწყოთ ზვინი ხმელი ფიჩხისგან და დავუფინოთ მიმავალს ქვეშა.
მეთორმეტე დღეს, როდესაც ჰექტორს, ალმაღალ ცეცხლზე შემობრძანებულს
ჰადესი შთანთქავს, წამოვკრეფავთ მვლებს, აღვმართავთ ყორღანს, დავიწყნარებთ გულს
შენ შეგემლება ბრძოლად გამოსვლა, თუმცა არ მინდა ბრძოლად გიხილო
გეტყვი კაცებში ხარ უმაღლესი, შენ ჩემო მტერო და ჩემო შვილო.
გფარავდეს ღმერთი ღრუბელთმარეკი, ამას რომ ვამბობ, ვწირავ ტროელებს
ღმერთი განაგებს ბედსა კაცისა, ახალს ახლით ცვლის და არ აძველებს.
შენ რომ გიყურებ ღმერთთა სადარო, ვგრძნობ ჩვენი დღენი დალეულია.
ფუჭი ყოფილა ყოველი ბიჯი, რაც დარდანელებს აქეთ ულია.
ღმერთებმა ერთად გვაქციეს ზურგი, მტერი დააქცევს ტროის გალავანს
უნდა ვიზრუნოთ ხმელეთით თუ ზღვით, საით მოვნახავთ სულის გასატანს,
ჩვენ უნდა უცხოს მივმართოთ მხარეს, სხვაგან დაუდოთ ქალაქს სამანი
ვინ შეგვიფარებს, ვინ დაგვიფარავს, მტერიც რომ იყოს გავხდებით ძმანი.
ბოლოს ერთს შეგთხოვ, ნუ მეტყვი უარს, მომეცი შვილი, გამიშვი გარეთ
არა ძილისთვის, ტკბილსიტყვებისთვის სამმა მოხუცმა აქეთ ვიარეთ.
სანამ ეოსი შეარხევს ჰაერს, ვინძლო ჰექტორი ვანახო დედას
ზარით და ზაფით გათავებული გულით ვერა გრძნობს, თვალით ვერ ხედავს.
ჰექტორს ელიან ცოლი და შვილი, სარეცელი აქვს ფართედ გაშლილი
ვეტყვი არ მოკვდა, არი დაღლილი, ცოცხალს არ ერგო, აცალეთ ძილი.
და მკლელს დაგლოცავ იმავე სიტყვით, რაც უნდა გმირი შვილისთვის მეთქვა

ღმერთო უმარჯვე კაცურად იმას, ვისაც კაცური აქვს გულის ფეთქვა.

**აქილევსი –**

დაე, აღსრულდეს რაც გინდა გულით, იქნებ ღმერთებმა მოგილხონ წყლული
თუ არ დაბინდავს შენ მზერას რული, რადგან დრო კარგი არი გასული.
ალკიმოს შენ ხარ ამ საქმის მცოდნე, მოჰხედე მონებს, დააწყე ყველა
ქეიფში მმობა სულ ადვილია, კაცს როცა უჭირს ხამს მმისგან შველა
თუმცა მოხველი მწარე საქმისთვის, მე შენი მოსვლით ვარ კმაყოფილი
რასაც გაგატან-ჩემგან მიიღე, ომმა წაგართვა მამაცი შვილი.
პირობას გამლევ, ეს თორმეტი დღე, ჩვენ ტროელებთან გვექნება ზავი.
ფრთხილად იარეთ, დინჯათ ისაქმეთ, დაზოგეთ თავი, გასარჯეთ მკლავი.

**/პრიამე, იდაიოსი, ოდიოსი გადიან, მიაცილებს ალკიმოსი/**

**აქილევსი –**

ოლიმპოს მკვიდრთა ფიქრს ვინ ჩახვდება, ბედი მოკვდავის ასე რად წყდება
ამიტომ არის, ასედაც ხდება, ყოველ ნაბიჯზე რომ კაცი ცდება
მაგრამ თუ ზევსმა მისცა უფლება და იცნო კაცმა ღმერთების ნება
მლიერი ალბად მოიკრებს მალას, სუსტი ასევე მალე წახდება.
ამ დილას იყო, როცა იდის წვერს ჰელიომ სტყორცნა სხივები ზანტი
გვერდით გამიხმო ავტომედონტმა, მითხრა კარავთან მელის კალქანტი.
საჰელაზგიოს ბედის მისანი და მარჩიელი ჩიტებზე დიდი
რომ მოვიკითხე, არც მიპასუხა, ღელავდა მალზე, არ იყო მშვიდი.
მითხრა, რომ ჩემზე იმარჩიელა და ზევსს შეწირა დიდი ზვარაკი
იქითკენ მიდგა, აქეთკენ მოდგა და მიმანიშნა როგორც არაკი.
იცნა პრიამეს მოსვლის ამბავი, ის როგორც მოხდა, ის როგორც იყო
და გამოვიდა დღეიდან იქით ცხოვრება ჩემი ორად გაიყო.
ჯერ თორმეტი დღე მივეცემი ლხინს, შუბს არ ავიღებ და სატევარსა
მეცამეტე დღე იქნება ბოლო, ნახავენ დედას ჩემსას მწუხარსა.
ჯერ მელოდება დიდი პატივი, თემთა მეფენი კისერს მოდრეკენ
მერე მნახავენ ისრისგან წამხდარს, მწუხარნი გლოვის ზარებს დარეკენ.
ბრისეის ქალი იქნება ჩემთან თორმეტი დღე და თორმეტი ღამე
მეცამეტე დღეს, სკაიას ველზე, მმლავრი ჰადესი დამითვლის წამებს
კალქანტმა მითხრა რომ მომეზღვება საქმეთა ჩემთა ტოლ-საკადრისი
პრიამეს ვაჟი, მარცხენა ქუსლში როს ისარს მტყორცნის, მმლავრი პარისი.

ეს რომ ვიცოდი კიდეც შემეძლო ჰექტორის გვამი სულ არ მიმეცა
მართალი ვიყავ მაშინ ასკეცად, და ვერ ვიქეცი უგულო მხეცად.
დე მოხუც მამას გულს მოეფონოს, იტირებს დედა, ცოლი და დები
ჩემგან მოკლული ბედნიერია. მე კი, მე ვიღას შევეცოდები.
ჩემს მოხუც მამას ამბავს ვინ ეტყვის, ვინ დამიტირებს, ვის ვენაღვლები
სად დავიბადე, საით ვიარე, რაზედ ვიომე, სად დავიფლები.
ღმერთო დიადო, მადლობა შენდა, თუ ჩემი ფიქრი ჩიტივით ფრენდა
ჩემი გონება თუ მუდამ სთმენდა, რად დამიღამდა, რად გამითენდა.
ბედზე ჩივილი ვაჟკაცს არ შვენის მოხდეს ის როგორც მოსახდენია
არ მეწყინება ჩემი სიკვდილი. როგორც სიცოცხლე არა მწყენია



# ამრი

## საჯილდაო — აშრი

(ძვ. წ.ა. 722წ.)

ტაბალების (იბერების) ერთ–ერთი სამეფოს (ასურულად ბიტ–ბურუტას) დედაქალაქი ტულგარიმი. მეფე ჰვლის სასახლე. თათბირობენ ჰვლი, ურარტუს მეფე ურსა და ფრიგიის მეფე მითა

**ჰვლი –**

დიდება ღმერთებს, ვინც შეგვაერთეს, ვისი წყალობით დავალთ შვილები
ხალდეს ხელდებით სამეფოს ვმართავთ, ხალდეს ღმერთივით ვყავთ ნაშვილები
თითოს არაფრად გვეჰიტნავება, მამული ჩვენი მცირე გვგონია
რომელი იყო უფრო მეტს ფლობდა, სიდიდე ვისი გაგვიგონია
ურსა შენ გეტყვი, ჩვენში მოთავე ყოველთვის იყავ, როგორც მლიერი
თარგამოსიდან რაც მოგვეკუთვნა, შთამომავლობით ხარ ბედნიერი
და მაინც იბრძვი, არ დაოკდები, ყველას ეჰოტნი რაც სოფლად ხდება
წამიერია კაცის სიცოცხლე, არ იცი როდის განშეორდება
გინდა ასურეთს დაადგა ფეხი, შიშავდე ყველას, როგორაც მეხი
ამისთვის ხმალი გაქვს ალესილი, ამიტომ ხდები ჰირის გამტეხი
მაგრამ არ უწყი მითა რას იტყვის, როგორი არი ჰასუხი მისი
არა ნაკლები აქვს მამულები და ქონებაც აქვს შესაბამისი
მითა, რომელიც სამ სამეფოს ფლობს, ტაბალთ ნაწილი, ორივ ფრიგია
რატომ აჰყვება მცირეს ცთუნებას, რისთვის იბრძოლებს, ვერ გამიგია
განვსაზღვროთ ასე, შენ გსურს კავშირი, მიმოსვლა იყოს ჩვენ შორის ხშირი
არა იმიტომ გეზი არ ვიცით, სტუმრის მოსვლისას ღობეს ვკრათ ჩხირი
დღეს შენ უფროსობ იბერთა შორის, ტაბალებს გვეტყვის მეფე ასურის
თობელს გვემახის ხურიტთა მოდგმა, ვინც კარგად უწყის გემო წარსულის
მათთვის ჩვენ ყველა ვართ ერთი სახე, ყველა ტომები, რომლებიც ვნახეთ
დარდანის მხრიდან სადაც კი მოვხვდით, ურმიის ზღვამდე ვინაც დავლახეთ
იქით თევკრები, ფრიგიელები, მუსკებს და მუშქებს ეტყვიან სხვები
შემდეგ მოდიან ლიკიელები, მისიელები, ჰალიმონები
ლელეგები და მიგებ–ჯიქები, ჰელიოხები თუ კავკონები
სასჰერიები, მაგრისელები, მოსინიკები, თავად კოლხები
დარდანის იქით რომელიც დაგვრჩა, ჰელაზგოსს არქვა ჰელოჰონესი
იბერთა მენი გახდნენ ბერ–მენი მოსაგონარი დაგვრჩა საკვნესი
ჰალიმონები ხალიბად იქცნენ, ხალიბეადან წამოსულები
ურარტელები ნაწილს დაერქვა, აქ ამოსვლიათ მამებს სულები
ჰელაზგოსიდან ვინც წამოვიდა ულუმბოს მთიდან კავკონთ ქედამდე

მათი მადლია მყარად რომ ვსახლობთ, იმათ სიკეთეს უდნა ხედავდე
ტომთა სიხშირით ბევრი არ გვჭარბობს, მამულით ვერვინ გაგვიტოლდება
ხალდე გვიფარავს ზეცის გამჩენი, აია-ს შვენის მისი ხელდება

**ურსა –**

თუშპიდან აქეთ მიტომ ვიარე, გრძელი გზის ტანჯვა გავიზიარე
მინდოდა ძმებთან მუდმივი ზავი, ჩემი მამული ავაწრიალე
მე აქ მოველი არა იმიტომ, თქვენგან დიდებულ ქეიფს მოველი
სამნი ვართ, სამნივ ერთი ჯიშისა, ჩვენია ირგვლივ დიდი სოფელი
არა მჭირდება თავის შექება, ხაინი-ა ჩემი საყრდენი
ასირიელნი ურარტუს ქმევენ, მათთვის გულიდან სისხლის დამდენი
არიარატის მთა არი ჩემი, თარგამოსიდან ასე მეკუთვნა
ჩემთა წინაპრებს, სახელიანებს, არა ჭირდებათ მცდარად შეფუთვნა

**მითა –**

მეფეს ვინ მისცა იმის უფლება გრძნობებს გადაჰყვეს, სურვილით მართოს
მისი ცხოვრება მიწყივ ბრძოლაა, ვალი ერისა მიწყივ ემართოს
ორივემ იცით ჩემი მამული ზღვიდან ზღვებამდე განფენილია
მემკვიდრეობით რაც მიმიღია, მე განვადიდე, ჩემგან ქმნილია
ჩემ სიმდიდრეზე ზღაპრები დადის, ათას ვიღაცას აღუძრავს წადილს
მცირე არ არის, გულახდით გეტყვით, ტყუილადაც არ დავიწყებ ქადილს
რაც გაბარია, მას მოვლა უნდა, განძს მხოლოდ გიჟი დააგდებს ცუდად
მხოლოდ სულელი ჩათვლის არარად, მიწას ქალამნად და ზეცას ქუდად
ამას რად ვამბობ, გამიგებთ მალე რაც გარს გვარტყია თუ ჩამოვთვალე
და ამის შემდეგ განვსაზღვროთ ერთად დღეს რა ვაკეთოთ და რა ვქნათ ხვალე
ჩემ სამეფოში ბევრი ვინ ცხოვრობს ტომთა სიმრავლით ეტყვიან სახელს
რასაც მათ თხოვენ, ჩემგან ითხოვენ, მიმამგვანებელ ცუდად შემნახველს
დასავლეთიდან ბერძენი მიტევს, ნახევრად მაინც იბერთა მენი
თუ კი ოდესმე გვქონდა ერთობა, ნათესაობა ვერ შევიგრძენი
დიდ მეფე ურსას, ჩემ სიმამრს ვეტყვი, არა მჩვევია სიტყვა მრავლობა
როდესაც სიმა ცოლად მარგუნეს, ვისთან ვამრავლე შთამომავლობა
აღმოსავლიდან დავიცავ თავი, ჰვლი შენთან შევკარ მუდმივი ზავი
ასურეთს ერთად ბევრჯერ ვანანეთ, გავხადეთ ხელის წამოსაკრავი
სიმამრს მეახლაც გვერდით ვუდგევარ, სამხრეთით ჩვენ გვაქვს ერთი მიზანი

ასურთა შარუ[1] სალმანასარი რადგან ტაბალთა მოსისხლედ ვცანი
მაგრამ ასეთი მაქვს მე პირობა, უაზროდ არ მწამს ხელგარჯილობა
მე რომ ხელს დაგბან, ხელი დამბანე, ყველას გვშვენოდს დიდი ზრდილობა
ბერძენთა მთავრის ტურფა ასული, ჰერმოდიკეა მისი სახელი
ჩემ გულს დღე და ღამ ესალბუნება, სხვა სილამაზის არ ვარ მნახველი
დედოფლად მინდა რომ მოვიყვანო, დრო არ გავწელო, არ დავახანო
სიმამრს საწყენად არ დარჩეს გულში, მოყვრობა მტრობას არ დავამგვანო
და ამას გარდა, ჩემგან სამრეთით ჰილაკუს ეტყვის ტვითონ ასური
ჩვენ კილიკიას ვემახით ოდით, ცხოვრობენ ტომნი ჩვენგან წასული
როცა ასურეთს მოვუღებთ ბოლოს, ეს მიწა-წყალი ჩემადვე მინდა
თუ თანახმა ხართ მომეცით ხელი, ჩვენი კავშირი გახდება წმინდა

**ურსა –**

რაც მოვისმინე გასაგებია, აზრი აზრებზე ანაგებია
სულელის სიბრძნე რაში გვერგება, ვის რა ერგება, შესარგებია
მე კარგად ვიცი რაც იყო ადრე, არგიშთი პაპის დიდი გმირობა
მამა სარდური მამას ბაძავდა, მამა-შვილს შორის იყო პირობა
მათ გადალახეს არაქსის ზღუდე, ირფუნის[2] ციხე საზღვრად ააგეს
შემდეგ სევანი, ზაბახას[3] მხარე, როგორც ჭილობი ფეხქვეშ დააგეს
მე რატომ უნდა მექნა ნაკლები, სევანის იქით ვიპყარ მიწები
კოლხებთან მხარე გავინაწილე, გავხადე ჩემი დასაფიცები
შვიდ მთავარს შორის დავყავ სამეფო, ხალდის შეწევნით შვიდივეს ვმართავ
როცა ასურეთს მოვუღებ ბოლოს, შვიდივე მხარეს ზეიმს გავმართავ
სალმანასარის სისხლი მწყურია, ახლა დადგა დრო, უნდა ვუყელო
თუ მომემხრობით, ადვილად დავძლევთ, ჩვენ გავიტანოთ ერთობით ლელო
აბა მისმინეთ, მის წინააღმდეგ აჯანყებულა მძლავრი ტვიროსი
ციხე-ქალაქი შეუვალია, არა აქვს შიში მთელ სამყაროსი
მას ზურგს უმაგრებს მეფე ოსია, ისრაელს ვინაც მყარად განაგებს
დედაქალაქი სამარია კი მიჰგავს ციხე-ბურჯს, დევთა ანაგებს
სალმანასარი მათ ვერ ერევა, მათ მიუმატე ახლა ელამი
ბაბილონელებს გვერდ-გვერდით უვლის, ვერ დაინახავ თუ ხარ ელამი

---

[1] **შარუ – მეფე, შარუ რაბუ – დიდი მეფე**

[2] **ირფუნი – ერებუნი - ერევანი**

[3] **ზაბახა – ჯავახეთი**

ქარხემიში ხომ ორჭოფობს მუდამ, თავის დაღწევა ყოველთვის უნდა
მზად არის ხანჯლით თუ ვერ განგმირავს, ზურგში ესროლოს ტალახის გუნდა
სირიელები ბოლო ხანამდე ქედს არ იდრეკდნენ, კიდეც სჯობნიდნენ
სანამდე მეფეს არ მოუკლავდნენ, გადაულახავ კლდის ზღუდედ იდგნენ
ახლა სამსიე, მისი მეუღლე, შურ სამიებლად ჯარებს აგროვებს
ჩვენ თუ მხარს მივცემთ ტურფა დედოფალს, საერთო მიზანს დაგვაახლოვებს
და ამას გარდა, რაც მთავარია, სალმანასარის ირგვლივ ყოველი
შიშით ჩუმდება, ჩუმად ხმალს ლესავს, არის სიკვდილის ბადის მქსოველი
თქვენ კარგად იცით სარგონ კეთილი, სალმანასარის უმცროსი ძმაა
ძმა ჭქვია თორე დიდი ძმის შიშით საკუთარ ჩრდილის ერთგული ყმაა
სარგონის ვაჟი სინაქერიბი, მუსასირს[4] იყო ურზანთან სტუმრად
ურზანი ჩემი ერთული მონა, მოეთათბირა მოსულს უჩუმრად
იქიდან ვიცი, ძმა ძმას ღალატობს და თუ ღმერთებმა შეაძლებინეს
სალმანასარი გაიწირება, ვინც პირში აქეს, ზურგში აგინეს
ამიტომ ვამბობ დაგვიდგა ჟამი, დავაგდებინოთ ასურეთს ჯანი
ნადავლი შემდეგ გავინაწილოთ ოქრო და ვერცხლი, ბროლი, მარჯანი.

**ჭვლი –**
ოცნებით ომსაც იოლად იგებ, საქმის კეთება უფრო ძნელია
სამეფოს დარდით ძილი არ ვიცი და საფიქრალიც არ დამელია
რაც ურარტუსთვის ეგრე იოლობს, წინაპართაა დამსახურება
მე ნაწერებში ამომიკითხავს და მინატია იმის ყურება
ოთხას ორმოცი წლის წინანდელი, ჩვენთა ლაშქრობა კუმუხის მხარეს
როგორ აოტეს ასურთა მეფე, როგორ იმარჯვეს, როგორ იხარეს
თავად ასური პილესერი წერს, რომ ხუთი მეფის მეთაურობით
ოცი ათასი მუსკი დაესხა, გალაღებულნი ვიდოდნენ წყობით
მანამდე მუსკებს ტოლი არ ყავდათ, არავინ იყო მათი მომრევი
ფურათ–იდიგნას[5] სათავეებში მათია მთები, ველები, ხევი
მუსკებს ასური ემახის მოსხებს. მოსხი ტაბალთა ერთი ტომია
ტაბალ–იბერებს ბევრი უნახავთ, გადუტანიათ ბევრი ომია
მრავალმა ტომმა მრავალი შემლო, ბევრ დიდ სამეფოს მისცა სამანი

[4] მუსასირი – ურარტუს რელიგიური ცენტრი

[5] ფურათი – ევფრატი, იდიგნა – ტიგრი: ძველი სახელწოდებით

აღზვავდებოდნენ, დაკნინდებოდნენ, რაც მიუცია ღმერთს მათთვის ხანი
ასურთა მეფის დიდი სეხნია, დიდი მებრძოლი სალმანასარი
ასი წლის წინათ დაიკვეხნიდა: ტაბალს დავეცი როგორც ისარი
ოცდაოთხ მეფეს ტაბალებისას ზავი დავუდე საჩუქრის წილად
ტაბალთა მხარე უდიდესია, მიტომ მიდგომა სჭირდება ფრთხილად.
მითა მირობით არი ტაბალი, მუსკი-მოსხები ტაბალებია
მეც ტაბალი ვარ, ურსაც ტაბალი, ერთ-ურთის ნახვა გაგვხარებია
ერთი გვაქვს ჯიში, მაგრამ სამეფო ყველას ცალკ-ცალკე უსაზღვრო გვინდა
ასე მცდელობა არ დაგვიკლია, დავბერდით, ვნება კი არ დაღვინდა
ახლა ამბობდა ურსა ამაყი, სევანის მხარე გაატიალა
უტინ-უდინებს უტირა დედა, კერა გადუწვა, ააბრიალა
მე ვეკითხები ჩემ კეთილ მოძმეს, უტიებს როცა მალით ხარკავდა
თუ გაიკითხა ვისი ტომია, თუ დაუფიქრდა ქცევით რას გავდა
ეს მხარე იცით თარგამოსიდან ყოველთვის იყო ქართოსის წილი
არაქსზე დადეს ძმებმა საზღვარი, არცა ჰქონიათ შუღლი და ცილი
ახლა რა ხდება ურსა ყვებოდა არგიშთ-სარდურის ვითომ გმირობას
როცა არაქსი გადაიარეს, ხომ გადავიდნენ ძმობის პირობას?
არაქსის ზევით ყველა მიწები იყო ქართოსის დანაფიცები
როცა გალახეს ქართ-იბერები, გადაიკიდეს ხომ სამტროდ ძმები?
ჩვენ თუ ერთ-ურთის მტრობას ვუმატებთ, ასპარეზს ჩვენ მტრებს ამით ვუმზადებთ
თითზე კბენანი მერე გვიშველის, თუნდაც ბრძოლაში თავსაც თუ დავდებთ?
სანამ ჩვენ ვდაობთ, მამულებს ვიყოფთ, მტრებს რა აკლდებათ ვიყოთ-არ ვიყოთ
მიტაცებულებს ვინ დაგვიბრუნებს, რამდენიც უნდა მსხვერპლი გავიღოთ
ურსა ამბობდა, კოლხეთის მეფეს, გაუნაწილა იბერთ მიწები
სანამ იყოფდით, ჩრდილოეთისკენ გადააშიშვლეთ სავალი გზები
დღეს კოლხეთს უტევს კიმერიელი, ეტყვიან ჰუნებს, ეტყვიან ხონებს
გადაქელავენ, ჩვენც მოგვდგებიან, გადაჯიშებულთ ვინ მოგვიგონებს?
ეგებ სჯობია უაზრო მტრობას, შემოვირიგოთ სალმანასარი
საერთო მალით ჰუნებს და სკვითებს კავკასიონთან დავდოთ საზღვარი?

**მითა –**

მწერიც კი დევად გადაიქცევა, როცა შიშს აქვს დიდი თვალები
ვერ გაექცევი უცილო სიკვდილს, საკუთარ თავს ვერ დაემალები

კიმერიელებს მიიჩნევ მალად, სალმანასარი გსურს გყავდეს ფარად
წართმეულს ლოცვით ვერ დაიბრუნებ, კამარა შეჰკარ არწივის დარად
ყოველ საქმეში სიფრთხილე გვმართებს, ზედმეტ სიფრთხილეს
მოაქვს ზიანი
სანამ სულელი ასჯერ აზომავს, უცებ გადაჭრის იმას ჭკვიანი
ურარტუს თავი ურსა ბატონი, თავადაც დასჭრის ასურებს თავებს
მაგრამ სად ერთი სამად ირჯება, სამი მას სწრაფად ჩამოათავებს
ამიტომ არი მას ვეთანხმები, ასურეთს დროით მოვუღოთ ბოლო
შემდეგ ჩრდილოეთს შემოვუბრუნდეთ, დანარჩენებიც მათ მივაყოლოთ
ისე არ მოხდეს ჩვენ მოვითმინოთ, სალმანასარმა არ დაგვაცადოს
როცა კიმრები მოგვესევიან, ზურგში ხანჯალის ჩაცემა სცადოს
ეს რომ არ მოხდეს სანამ გვაქვს მალი, სანამ ხელს გვიწყობს ეს დრო და ჟამი
ცალკ-ცალკე მტრები დავცეთ მიწაზე, ესა მაქვს ბოლო ამოსათქვამი.

**ურსა –**

ჭკვიანი არი უფალი მითა, ნათქვამის არსი უცებ გაიგო
სად რა ერგება გადაუდებლად ვით სამოქმედო შარად გაიგო
სხვამ თუ რამ იცის, მეც კარგად ვიცი ვინ და რას ცდილობს ჩრდილოს მხარეში
სხვას თუ არ სმინავს, არც მე ვემსგავსი წამოგორებულს თასით მზვარეში
კოლხებს ვინ ერჩის ან უსახლდება, რად მოგვემალნენ, ასე რად ხდება
მატყობნებენ ჩემი მსტოვრები, ვისი შენახვაც ძვირი მიჯდება
კოლხებს ჰუნები არ ასვენებენ, ქართს ჩამოდიან ჯგუფად ტრერები
ამიტომ ვცდილობ სევანის მხარე გავხადო ჩემგან მოსაფერები
მთებს გადმოვიდნენ ბოლოს სკვითები, ზღვას მოუვებიან კოროს[6] ჰირამდე
მოსახლეობას შიშის ზარს ცემენ, სარჩოს ართმევენ მირით-მირამდე
იქ რომ დავიცვა, აქეთ რა ვუყო, ზურგს უკან მტერი მიდგა ძლიერი
ის არ დამინდობს, მე როგორ ვენდო და მეგობრული მქონდეს იერი
ორ მხარეს ბრძოლა ძალზე ძნელია და საფიქრალიც არ დამელია
ტაბალთ ერთობას ამიტომ ველტვი, ეს გზა სამივეს გასავლელია.

**ჰვლი –**

მითა მომმეა და ნათესავი საბერძნეთამდე უწვდება ხელი
იმათი მთავრის ქალიშვილს ჰყვარობს, რატომ? ვერ მივხვდე, არ ვარ სულელი

---

[6] კორო – მდ. მტკვრის ძველი სახელწოდება

ნათესაობით ზურგს გაიმაგრებს, დაცული არი ყოველი მხრიდან
სანამ კოლხები ხონებს ებრძვიან, მოცილებული არი ამ გზიდან
მითას რა უჭირს, კიდეც მოიგებს თუ კილიკიას შემოიერთებს
ასურეთისგან ხომ მე დავიცავ, გალაღებული დალოცავს ღმერთებს
ურსაც არ არის ჩემებრს შავ დღეში, არ ათოვს თავზე, არ ესხმის თქეში
ამიტომ აწყობს იბერთ ერთობა, ამიტომ გვიწვევს საომარ წრეში
სკვითები ჯერ მთებს არ გადმოსულან, ორიოდ ჯოგი არ არი ძალა
ჩქარობს ასურეთს მოუღოს ბოლო, ხალდემ დრო მისცა და დააცალა
მე ვარ შავ დღეში, ქართუხთა ნაწილს ვისაც ქართოსმა ბინა უჩინა
ჩრდილოს მხარიდან მტერი აწვება. ვერ ვშველი, როგორც იყო უწინა
დასავლეთიდან ხონების საფრთხე, აღმოსავლეთით არსა იქადის
მე სხვა რა გზა მაქვს, ასურეთს ზავს ვთხოვ, სანამ მენდობა, ვენდო იქამდის
რომ დაგიჯეროთ და თქვენთან ერთად სალმანასართან ავტეხო ომი
წლები გავა და შედეგს ვერ ვნახავ, წაგება არი ამ ცდის საზომი.

**ურსა –**

ჩვენი ერთობა თუ არ შედგება, მარცხი იქნება მისი შედეგი
მოქცეული ვართ მტრების ალყაში, ერთი მორჩება, დაგვცხებს შემდეგი
ასურეთს უჭირს არა ნაკლებად, გითხარით რა ჭირს გადაეკიდა
აჯანყებები, შემოტევები და შეთქმულება ყოველი მხრიდან
ვიცი, თუ ძალებს vაერთიანებთ, ასურეთს დავცხებთ, გავატიალებთ
შემოვბრუნდებით სკვითებს ვაოტებთ, დანარჩენთან არ დავაგვიანებთ
თუ ვერ შევთანხმდით და ვერ ვივარგებთ, ყოველი მხრიდან დაგვცხებენ აქეთ
გაბატონდება უცხო ტომელი, მერე ემონეთ, უმღერეთ, აქეთ
მე მზად მყავს ჯარი, თქვენი მხედრობაც არა ყოფილა სადმე ჯაბანი
მოდი სასწრაფოდ გავერთიანდეთ, გავსარჯოთ მკლავი, დავხარჯოთ ჯანი
მითას პირობა გასაგებია, მე თანახმა ვარ და ასე ვიტყვი
რასაც მოითხოვს, მიიღებს უმალ, თუ გვარგო საქმით და არა სიტყვით
ჩვენ შორის არი ძველი დიდი შუღლი, ამიტომ მინდა მოგცე პირობა
რაც მიმიღია არაქსის იქით და რასაც მოჰყვა ეს აშლილობა
უკან მიიღებ, მხოლოდ ერთს ვითხოვ, სანამ ასურეთს გავუსწორდებით
ირფუნის ციხე ჩემ ხელში დარჩეს. გამარჯვებულნი როცა შევხვდებით
ციხეს გადმოგცემ ნადავლთან ერთად, რომ აისრულო გულის წადილი
საქმემ აჩვენოს ჩვენი კაცობა, საქმეს ვერ შეცვლის სიტყვით ქადილი.

ჰველი–

სიტყვით იწყება ყოველი საქმე, სიტყვა და საქმე როდესაც ერთობს
მათი მოქმედი და შემოქმედი ღმერთებთან კაცობს, კაცებთან ღმერთობს
როდესაც სიტყვა საქმეს სცილდება, ერთია საქმე, მეორე სიტყვა
ცუდდება ნდობა, სუსტდება რწმენა, ირევა მწარედ იქმნა და ითქვა
ჩვენ ასე გარჯით დავკარგეთ ბევრი, რწმენის აღდგენა ძალზეა ძნელი
ამიტომ მიჭირს დაგიკრათ კვერი, მინდა, ვერ შევძელ ხელს დავკრა ხელი
მაგრამ თუ გვინდა აღდგეს ერთობა, მხარი მხარს მივცეთ, განმტკიცდეს ძმობა
არაქსის ზევით მიტაცებულის დაბრუნებაზე მომივა ცნობა
ამასობაში მზადებას ვიწყებ, ჯარს ბევრი უნდა შინა თუ გარეთ
ერთობის ძალით დაგვიბრუნდება, დაქსაქსულობით რაც ვერ ვივარგეთ
ჩვენი ერთობა ჩვენვე დავყავით, ტკბილი ვამწარეთ, ვიხარეთ ავით
ძმებმა იდავეს და ძმებად დარჩნენ, დაკარგეს ჩხუბით, აშენეს ზავით
ჰურიტი მესხებს მეშეხს უწოდებს, ასური მუსკებს, მოსხებს-ბერძენი
თობელი ტაბალ, ტიბარებია. ყველა ერთი ვართ იბერთა-მენი
სახელი ტომთა კვლავ შეიცვლება. არი სახელი, ზედმეტ სახელი
მთავარი არი რასაც ჩვენა ვგრძნობთ, რის ვართ გამგები და დამნახველი
მე ერთსა ვხედავ, ბევრი გვყავს მტერი, მათი რიგები ათასმაგდება
ჩვენ თუ მიძგილი არ დავასრულეთ, ქალდეველთ მხარე ვერ გამაგრდება
მიტომ ვივიწყებ ყოველგვარ წყენას, რისი ამოთქმა სწყურია ენას
თუ დააბრუნებს ურსა წართმეულს, თქვენთან დავდგები, ვფიცავარ ზენას
ის, რაც თითოსთვს ძალზე ძნელია, ვეომოთ ასურს, სკვითებს თუ ხონებს
შეერთებულად ისე შევიძლებთ, შთამომავლობა რომ მოგვიგონებს
ჩრდილოეთიდან ურიცხვი მტერი დაძრულა ჩვენთა გადასაქელად
კავკასიონი თუ არ ჩავკეტეთ, მერე მშვიდობას ვიპოვით ძნელად
ტრერებზე ითქვა, იმათ შემდეგი მამაცი სკვითი-ალანებია
კავკასოს მოდგმას შუაზე ყოფენ, მათ შორის სოლად ანაგებია
კიმერი კაკამარს[7] ეპოტინება. თეთრი ჰუნები, შავი ჰუნები
ჩვენთვის ერთია. მტერი-მტერია. გამფუჭებელი ჩვენი გუნების
ასეულ წლობით ასურეთს ვებრძვით. ჩვენ კარგათ ვიცით ასურთა ძალა
თქვენ ახლა გინდათ მოვუღოთ ბოლო, მტერმა მტრის ცემა თუ დაგვაცალა
მითას პირობა ჩვენ უკვე ვიცით. კარგად გავიგეთ ურსას პირობა
ჩემიც თვითონ თქვა. უსიტყვოდ ვიღებ, თუმც არ მჩვევია სიტყვაძვირობა

---

[7] კაკამარი – მდ. ჭოროხის ძველი სახელწოდება

ხელი ხელს დავკრათ და თან ვიჩქაროთ. დინჯათ სიჩქარე საქებარია
შემდეგ ჯამებით დავლოცოთ იგი, რაც წარსულისგან დღეს გვაბარია
ხალდეს შევფიცოთ, ღმერთების ღმერთმა ჩვენი ერთობა თუ კი ინება
არმაზ–ზადენის შეწევნით დავკრათ, წინაპართ სულებს გაეცინებათ

**მითა –**

ჩვენი ერთობა დიდ სანატრელი, ჩვენი შეწევნით მიღწეულია
შემურდებოდათ ჩვენთა წინაპრებს, შუღლის შარაგზით ვისაც ულია
მე მიხარია, მაგრამ ამავ დროს ერთი ამბავი გულზე მაწვება
შეგთხოვ პირნათლად რომ მიპასუხო და დაფიქრებულს მომგვარო შვება
გამიგონია, არა მხოლოდ მე, ის რაც ყოფილა ყოველმა იცით
როდესაც ამრი დაბადებულა, სარგონს შეკვრიხარ კაცური ფიცით
თუ ქალიშვილი ეყოლებოდა, მათ დაწინდავდით ერთ–ურთის წილად
სარგონს უჭირდა, მშველელს ეძებდა და იქცეოდა ძმის შიშით ფრთხილად
შენც გჭირდებოდა მტრებში ერთგული, გულს გული იცნობს, სულს
იცნობს სული.
დაწინდეთ შვილნი, შეერთდით ფიცით, ასეთი შეხვდათ შვილებს წარსული
ახლა. როდესაც დავთქვით ერთობა, საომარ გზაზე გვჭირდება ძმობა
სარგონი ძმაა სალმანასარის, რა გამოგივა, სიტყვით ანცობა?
შენ მაშინ ან ჩვენ უნდა დაგვცილდე და ან გაწირო ფიცით შეკრული
მოღალატე კი მოღალატეა, ჩემი თუ სხვისი, რწმენა მაქვს სრული
ჩვენთან ერთად ხარ, ეს მიხარია, მაგრამ თუ ხდება ღალატის ფასად
ურ–ნინას შევთხოვ ღალატის ფასი მოღალატეებს გადახდეს ასად
აფროდიტას ვთხოვ, ფრიგიულ ქალღმერთს, ვინც ზღვაოსნობის არი
მფარველი
აფრა აშლილი გემით წამიღოს თუ ამ ფიცილში არ ვიყო წრფელი.

**ჰვლი –**

მე ჩემი კალო გამილეწია, ვერავინ იტყვის რომ მრუდედ ვლიდი
კარგიც მინახავს, ავიც მინახავს, მეთქმის, მტერთანაც არ ვიყავ ფლიდი
ტიგლატფილესარს, ასურთა მეფეს ბევრჯერ შევბმივარ მამულის გამო
მაგრამ თუ სიტყვა წამომცდენია, არ განმისაჯავს ის გრდი–გამო
თხუთმეტი წლის წინ, არა ვტყუივარ, ურსას ეს კარგად ემახსოვრება
სარდურ ურარტელს აწვნია მარცხი, მეც გამიმწარა ამით ცხოვრება
იძულებულმა შევკარი ზავი, ტიგლაგ ფილესარს ძმობა ვუთხარი

სარგონმა მაშინ გული გამიხსნა, გათქვა რატომ აქვს ცხოვრება მწარი
მაშინ დავწინდეთ ჩვენი შვილები და სამუდამო შევკარით ძმობა
არცა გვქონია ჩვენ ორს ღალატი, თუმც ასურეთთან სულ მქონდა მტრობა
ახლა მე რატომ ვუყელო მომმეს, არა კაცურად რატომ გავწირო
შივინას[8] წყრომა დაატყდეს მზერას თუ წაღმა საქმე უკუღმა ვწირო
მე ასე ვფიქრობ, ერთია საქმე, რომლის შესახებ აქა ვმსჯელობდით
რით დავიფაროთ და ვარგოთ მამულს, და თავსაფარად თავსაფარს
ვქსოვდით
მეორე არი ამრის დაწინდვა, სარგონისათვის ნათქვამი ფიცი
მეფე ვარ, მაგრამ პირველ ვარ კაცი, კაცური სიტყვის ლაზათი ვიცი
ამიტომ ვფიქრობ, სანამ ჯარს შევკრებ და საბრძოლველად მოვემზადები
რომ არ გაცუდდეს ჩვენი პირობა და ერთობლივად დანაქადები
ამრის მოვუხმობ, ვუბრძანებ წასვლას, ნორჩი საცოლის ჩამოსაყვანად
თან დავაბარებ სარგონთან სათქმელს, როგორ მოიქცეს იმ ომის ხანად
ამით მე სიტყვას არ ვუღალატებ, ხელიც მექნება ხმლისკენ გაშლილი
ქვეყნად კაცობას ვინც გადავიდეს, იგი კაცთაგან იყოს წაშლილი
ამავ დროს გარდა ქორწინებისა, ქარხემიშს უნდა გზად გაიაროს
მისი მმართველი, ურსას ნაფიცი, რაც გადავწყვიტეთ, მას აზიაროს
იქიდან ნახავს არაბთ დედოფალს, სამსიე ჩვენი მოკავშირეა
დიდი საქმისთვის ბევრი ეცადო, ეს სამზადისი მაინც მცირეა
ამასობაში ჩვენც მზად ვიქნებით და მერე ერთად კარს მივუხტებით
მე ასე მესმის საკითხის ძირი ერთი მეორეს თუ მივუხვდებით.

**ურსა –**

ერთი შეხედვით შენი ნათქვამი ჩვენ შეთანხმებას არ ეთანხმება
ნაყოფს ნუ ელი იმ ნარგავიდან გაზაფხულიდან რომელიც ხმება
მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, დადინჯებულად და მკაცრად განვსჯით
ბევრს სასარგებლო აზრებს ვიპოვით, პირველ შეხედვის გაწყობას დავსჯით
ეს ხომ ყველასთვის თვალნათელია, ქვეყნად მსტოვრები არ დამელია
მე იქით ვგზავნი, ისინი აქეთ, რამე დამალო ძალზე ძნელია
ომის სამზადისს როგორც დავიწყებთ, წამსვე მიხვდება სალმანასარი
ვისთვის ვამზადებთ საომარ ეტლებს, რისთვის დავრეკეთ განგაშის ზარი
ის ჩვენზე უმალ რომ მოემზადოს, მოუმზადებლებს აქეთ გვიყელოს
რომელი არი დაგვიდგეს გვერდით, რომელი არი რომ ჩვენ გვიშველოს

[8] შივინა – ქალდეველთა მზის ღმერთი

ამიტომ გვიჯობს ვემზადოთ ისე, სალმანასარი ვერაფერს მიხვდეს
ტყუილი ვუთხრათ? ისე როგორი, იმისი აზრი ჩვენსას ვერ მიწვდეს
ამ მხრივ ეს აზრი მისაღებია, მართალია და გასაგებია
ამრის ქალი ჰყავს დაწინდებული, ქორწილი მისი მონაგებია
ასურეთთან გვსურს რომ გვქონდეს ზავი, სამოყვროდ მიტომ გადავდეთ თავი
საჩუქარს ვგზავნით, რძალს წამოვიყვანთ, აი მიზეზი თავდასაცავი
საომრად ჩვენი დიდი მზადება, მოყვრობის სურვილს რომ არ ემთხვევა
ეს ხომ ადვილად გასაგებია. არ დასჭირდებათ მკითხავთ მოწვევა
რადგან ჩვენ ვიტყვით, ხმას გავავრცელებთ, ჩრდილოეთიდან მოსული მტერი
გვსურს მთების იქით რომ გადავრეკოთ და ჩავუკეტოთ აქეთ სამზერი
ვიტყვით, ის ძალა ჩვენ თუ წაგვლეკავს, ასურეთსაც ხომ მოუღებს ბოლოს
სადაც მარდუკის ტაძრები ბრწყინავს იქ გაამრავლებს ნარსა და ღოლოს
ის სამზადისი რომელსაც ვიწყებთ, ამიტომ მათი დაცვაც ხომ არი
განმტკიცდეს ჩვენი ურთიერთ ნდობა, გაჭირვების ჟამს მხარს მივცეთ მხარი
რომ არ ეგონოთ მათ ხაფანგს ვუგებთ, რომ გავუფანტოთ ბოლო ეჭვები
ამრის ჩემ ერთგულ ურზანს ვაახლებ, თან დავაბარებ ამას რად ვშვები
ეს აზრი მომწონს, რაც უფრო ადრე ამრი ასურეთს გაემგზავრება
მით მეტი არი ჩვენი მოგება, თუმცა ვინც წავა გზაში დაშვრება.

**მითა –**

არ ვიცი ადრე გქონდათ ნაფიქრი თუ ახლა ნახეთ გამოსავალი
მაგრამ ერთია, ასე მოქცევა ჩვენი განზრახვის არი წამალი
თუ საქორწილო სამზადისია, სასიძო სარძლოს ნახვასა ჩქარობს
ნიშნავს ჩვენ შორის მტკიცე მშვიდობით ორივე მხარეს სულ ყველა ხარობს
მაერიონს უნდა კარგი შერჩევა, მასთან მცველების ნაცადი რაზმი
რად ვარგა თუნდაც დიდგვაროვანი, ხმალს ვერ მოიქნევს, ცხენს ვერ შეკაზმი
და საჩუქრებიც საფიქრალია რა სურს მათ მეფეს, მამას თუ სარძლოს
აქეთა მხრიდან ვინ რას აიტანს, იმ სიცხეებში გზაში რომ გაძლოს
საფიქრალია ძალზე ბევრი რამ, ეს თქვენ განსაზღვრეთ, მე თქვენ გენდობით
ამრის დიდებულ საჩუქარს ვუძღვნი და როგორც ძმის შვილს დავლოცავ გრძნობით
თან ერთი თხოვნა მექნება დიდი, თქვენ კარგად იცით, ჩემ სამეფოდან
სხვადასხვა რამე ქანაანისკენ ქარავნებს გააქვთ უხსოვარ დროდან
ბიბლოს, ტვიროსში გემებს ტვირთავენ, შემოვლილი აქვთ შორი ქვეყნები

მაურიონი თუ გზაში შეხვდება და დაიფარავს ჰვლი შენი ნებით
მე მადლობელი დაგრჩები დიდათ, ჩავთვლი ამ ნაბიჯს კიდევ ერთ ხიდათ
ერთი-მეორის მეგობრობა მწამს გაჭირვებისას თუ შეეხიდათ
თქვენთან ან რაა დასამალავი ჩვენთან ბრინჯაოს სხვაგვარ ჭედავენ
ხალიბთა შორის ფოლადს ადნობენ, შიგ რას აქსოვენ ან რას ხედავენ
არავინ იცის, მაგრამ ხმალ-ხანჯალს უფრო უკეთესს ვერსადა ნახავ
დაჰკრავ და ისე გააჭრევინებ, მის მადლს მარად ჟამს შემოინახავ
ქარხემიშს მიდის საქარავნო გზა, მისი მმართველი ჩვენ ყველას გვიცნობს
თუ მაურიონი იქ შეჩერდება, რასაც შევუთვლით, ისევე გვიძმობს.
სავალი სანამ არი საერთო, ერთი-მეორის იყვნენ მფარველი
ვფიქრობ ამით არც რა დაშავდება, ერთნი გამკვლევნი, მეორე მცველი
თუ ურსა ამრის მთავარს აახლებს, მე დიდვაჭარი მინდა ვაახლო
გზაში ერთმანეთს რჩევით არგებენ და გახდებიან ჩვენსავით ახლო
რას გადაწყვეტენ, რას მიაღწევენ ჩვენ ჩვენებისგან გვეცოდინება
ერთ ჭკვას სამის სჯობს სამივემ ვიცით, ასეთი მოგვდევს აზრთა დინება

**(ქ. ასური. სასახლე. მეფე სალმანასარი, ქურუმი ბეროს-ი, წინასწარმეტყველი ნაუმი ბაბილონიდან)**

**ქურუმი ბეროს-ი –**

კაცი ფიქრობს და ღმერთი იცინის, ძნელად ჩაწვდება ღმერთების ნებას
გაუტოლდება ოცნებით ზეცას, ისევ თავის თავს მოუტანს ვნებას
ვინც კი ყოფილა სოფლად ძლიერი, ნიმროდი მათშიც კი იყო დიდი
იწყო უსაზღვრო გოდოლის შექმნა, სურდა ზეცასთან გაედო ხიდი
ზეცის ქალღმერთი ნანა უმზერდა და მოთმინებით ელოდა ბოლოს
მამი ქალღმერთი კაცთა მშობელი, ვის ბევრი კიდევ უნდა ეყოლოს
როდის ეტყოდა თავის ნაშიერთ: შამაშ-მზის ღმერთი და სინ-მთვარისა
არ დაუშვებენ ამაუ კაცთაგან, გახდნენ შემლები მათი კარისა
როცა გოდოლი ბაბილონისა ისე ამაღლდა, ზეცას წვდებოდა
კაცმა ვერ იგრძნო, მხოლოდ ღმერთებმა კარგად იცოდნენ რა მოხდებოდა
მშენებელთ შორის მრავალი ენა ისე არიეს, არვის ესმოდა
სხვისი ნათქვამი, და გმირებს შორის ერთი-მეორეს არვინ ემმოდა
მათი ქმედებით, მეტოქეობით უკან დაბრუნდა, რაც ზეცას ზიდეს
ერთობით ქმნილი, ცალობით დასცეს და ცოდვილობის ტვირთი თავს იდეს
არ არი წესი კაცმა განსაჯოს ის რაც ღმერთისგან ხელდებულია
მოთმინებით და კრძალვით უსმენდეს შვილი მშობელთან ვალდებულია.

**სალმანასარი –**

შენ ბაბილონურ ზღაპარს მიყვები, მეზღაპრის ენას რა შეაჩერებს
მხოლოდ თქვენ მმართველ მარუქ აფალ დინს თუ შეაშინებს და შეაჩვენებს
ასურში ჩვენ გვყავს ჩვენი ღმერთები იშტარ, ენლილი, ასურ, მარდუქი
შიშის ზარს სცემენ ყველა ურწმუნოს, ყველა მორწმუნეს მათგან აქვს შუქი
ქალაქის კარებს ფხიზლად იცავენ მათგან ნაკურთხი ფრთოსან ლომები
მათი შეწევნით და მითითებით მოგებული გვაქვს ირგვლივ ომები
ხოლო ხარები კაცთა იერით, ნაყოფს გვამლევენ, მიწებსა ხნავენ
ჩვენ მამაცობას მალას მატებენ და ჩვენ კერიებს წმინდად იცავენ
ღმერთების რიდი მე კარგად ვიცი, ზვარაკიც ბევრი მიმირთმევია
მაგრამ მოკვდავთა ენის ტარტალის ფუჭად მოსმენა არა მჩვევია
მე მოგიწვიე არა იმიტომ შენი ღმერთების ქება ვისმინო
მინდა გავიგო ვარსკვლავთ კარნახით ვის მოვუფრთხო, ვის ვაზღვევინო
მარუქ აფალ დინ ურჩობას ბედავს, ელამელები ზურგით უდგანან
სამარიელნი, ტვიროსელები ალყაში მყავნან, მიტომ არ ჩანან
ჩრდილოეთიდან მუქარა ისმის შეკრებილია მუსკი-ტაბალი
უნდათ ასურეთს ბოლო მოუღონ. ალბათ ჰგონიათ ღობე დაბალი
მე ყველა ვიცი, ჩემი მსტოვრები, ყველა სამეფოს მეფეს სტუმრობენ
იქით აქებენ, აქეთ მლანძღავენ, თავს აჩვენებენ, განა ხუმრობენ
მაგრამ ამბავი, სად და რა ხდება, ვინ იბადება, ვინ რადა კვდება
საჭირო დროით მოდის ჩემამდე, როგორ? მე ვიცი სხვა რას მიხვდება
არ ვიცი მხოლოდ ზეცის გამრიგე, რას დაუპირებს ასურთა რიგებს
ვარსკვლავთმრიცხველი ვიწვიე მიტომ, ვარსკვლავთა ნებას თუკი გამიგებს

**ნაუმი –**

როცა სუქალუ[9] შენგან გზავნილი ქურუმთა მოძღვარ ბეროს სტუმრობდა
უკვე ვიცოდი მოსვლის მიზეზი, გვემუქრებოდა, არა ხუმრობდა
ფეხი ვითრიე, თან დროს ვიგებდი, მსურდა მეხილა ახალი მთვარე
ვარსკვლავთა წყება გარს მოარული, არ მეორდება ის არე-მარე
აქაც შემძლეო მათი თვალ-თვალი, ბაბილონიდან მაინც სხვა არი
იქ ადგილია გამორჩეული, ღამეებია მშვიდი და წყნარი
შეჩვეული ვარ იქაურ ამინდს, ვიცი ცაზე რომ აენთებიან
რიგით რომელი რომელს მიჰყვება, ციმციმით რაღას გვეუბნებიან
ხელსაწყოცა მაქვს მათი საზომი, მცირე ცვლილებას იმითი ვიგებ

[9] სუქალუ – ელჩი ასირიულად

ზოგჯერ ვენდობი ბრძად მის მონაცემს, თვალს შევასვენებ და დროს მოვიგებ
რად ვამბობ ამას, უნდა გამიგო, აქაც გვყავს ბევრი ვარსვკალვთმრიცხველი
ქალდეველების ცოდნის დონემდე ვერ მიუწვდებათ ჯერ იმათ ხელი
ელჩმა გამანდო, რომ შარურაბუ[10] სალმანასარი ეჭვს შეუპყრია
ყველა ქვეყანა მოინადირა, მეფენი იმის ფეხთა ქვეშ ყრია
თითქოს მივიდა მიზნის ბოლომდე, მაგრამ საბრძოლი მაინც ბევრია
კაცის გონება უსაზღვრო არი, სწრაფვა უვსები ღვინის ქვევრია
ეს რომ ვიცოდი, ბაბილონშივე, ვარსკვლავებს ვკითხე შენ ბედზე რჩევა
შენ რა მოგელის, შენი სამეფო რას გადაიტანს, რას მიეწევა
აქაც იგივე, როდესაც მთვარე, ცის კაბადონზე ჩამოეკიდა
ვკითხე, ხმამაღლა ფიქრი გავანდე, არ დამიკლია მცდელობა ციდა.

სალმანასარი –

არ მენაღვლება სად და რას ითვლი, ღამეს ვის დარდში მიერეკები
ჩამოგიყვანე რათა ვიცოდე როგორი არი მომავლის გზები
რაც ადრე იყო მე შენზე უკეთ საკუთარ ტყავზე გამომითვლია
ზღვამდე ჩაველი, ელამი ვიპყარ, ზევით სამივე ზღვამდე მილია
შენ უნდა მითხრა ხვალ რა მომელის და ჩემი მტრები რასა ცდილობენ
ვისი დარჩება სამეფოები, რომლებსაც დღემდე მყარადა ფლობენ

ნაუმი –

დიდო მეფეო, მე რაც გითხარი, არა იმიტომ მოგგვარო წყენა
რას ხედავს თვალი, რას ფიქრობს თავი, ყოველივეს ვერ გადმოსცემს ენა
რაც მე ვიხილე ცის კაბადონზე, რაც მიკარნახა ვარსკვლავთა ფერმა
ისე როგორ ვთქვა არა ვიცრუო და ვერც გაიგოს მოშურნე მტერმა.

**სალმანასარი –**

აქ ჩვენ ვართ სამნი. თუ ასე არი, ბეროს ვუბრძანებ გავიდეს გარეთ
დარბაზის კართან სხვებიც იცდიან, ზოგი ინანებს აქ მოსვლას მწარეთ
შენ კი შეეშვი, მიკიბ-მოკიბვას, ავიც და კარგიც მითხარი მალე
რაც მნათობებმა განიშნეს ნათლად, ბაბილონიდან აქამდე მალე

**ნაუმი –**

ჯერ პირობას გთხოვ, რომ მე არ დამსჯი, რადგან გაგიმხელ ვარსკვლავთ კარნახით

[10] შარურაბუ – მეფეთა მეფე

ცისკრის ვარსკვლავი გამომეცხადა, სისხლიან ფერით, მეომრის სახით
შავი ღრუბელი ჩრდილოეთიდან მისკენ მიჰქროდა, შთანთქმას ლამობდა
ხუთი მნათობი წამოეშველა, ოთხი ბჟუტავდა, თითქო ნანობდა
მეხუთემ სძლია, შავი ვეშაპი, შავი სისხლისგან ჩამოიცალა
მთვარემ გაასწრო შესინებულმა, დასახმარებლად ვერ მოიცალა
ეს იმას ამბობს მალიან მალე, ისევ საომრად აიკაზმები
შენ გარემემო იქნება სისხლი, დიდი ზარალის მოგვივა ხმები
ისარგებლებენ შენი მომმენი, შენ სამეფოსაც ხიფათი ელის
არვინ იქნება ზურგის მფარველი და გამომწვდენი მეგობრულ ხელის
ყველას მცდელობა წყალს ჩაიყრება, ურთიერთ შური, ურთიერთ ბრძოლა
ჩრდილოეთიდან მოსული მტერი, ურიცხვი, მალით ვეშაპის ტოლა
ყველას ჩაყლაპავს და დაიმონებს, მხოლოდ ერთი ვინ გადაურჩება
შეებრძოლება და დაამარცხებს, იმარჯვებს ვინაც ბედს ეურჩება

**სალმანასარი –**

მერე ვინ არი გამარჯვებული, ეს ვარსკვლავებმა თუ გიკარნახეს
ასურეთს მათგან რა უწერია, ზეციდან ჩვენთვის რა დაისახეს?

**ნაუმი –**

ზეცა გვანიშნებს და აღსრულდება, როგორიც არი ღმერთთა ხელდება
ის რაც მარდუკმა ბაბილონს მამცნო, ასურის ნებით იგივ მოხდება
ენლილ, იშთარი ეთანხმებიან, ვარსკლავთ ისურვეს აზრის გამხელა
ხიფათი მალე რომ დაგვატყდება, ვერც წარმოიდგენ არი რამხელა
რომ შეაჩერო უცნობი მტერი, სამეფოს ტანჯვა რომ აარიდო
დღევანდელ მტრებთან გმართებს ერთობა, ერთობის ტვირთი თავს უნდა იდო.

**სალმანასარი –**

მეგონა იყავ ვარსკვლავთ მისანი, თურმე გქონია სულ სხვა მიზანი
გინდა ბაბილონს ვანებო თავი, შენი სურვილი ამოვიცანი
დაცვას მოვუხმობ. ეს ცრუ მკითხავი, ვინც ვითომ იცის ვარსკვლავთა ნება
ჩაავდეთ ხაროს, მოსჭერით ენა, ვეღარ გაბედოს სიცრუით ვნება

**ნაუმი –**

მეფეთა მეფევ მე რაც გითხარი, იცოდე არი ზეცით კარნახი
უმეცარს სიბრძნე თუ გაუმხილე, ბრძენს ავი შეხვდეს, ხომ არი ახი.

მალე მიხვდები, გითხარ მართალი, არ გიჭრის გონი, ვერ ხედავს თვალი
მე რომ დამსჯიან, შენც დაისჯები, იცოცხლებ სანამ მე ვარ ცოცხალი

**სალმანასარი –**
**(ანიშნებს დაცვას)**
ესმოძაშორეთ, სარგონს მოუხმეთ (სარგონი შემოდის) ძმა ხარ და ბედის თანაზიარი
ჩვენ უნდა ერთად განვსაზღვროთ ყველა, რომ ავიცილოთ ხვალე ზიანი
სანამ მე ვიყავ ელამის მხარეს, შენ სამარიას მედგრად უტევდი
ამ დროს ურარტუ თავს რომ დაგვესხმოდა, შენ დახმარებას ვის გაუწევდი?

**სარგონი –**
თუმც მამას ყავდა ცოლთა სიმრავლე, ჩვენ რი ძმა ვართ ერთი დედიდან
ერთი გვაქვს ორსავ ნაწოვი ძუძუ, რძე შევვიხვრეპავს ერთი მკერდიდან
შენ უფროსი ხარ, გერგო მეფობა, მეფედ გცანი და წელი მოვხარე
თუ რამე მქონდა დანატოვარი, როგორც ღმერთის წინ, შენთან მოვყარე
შენ თითონ ამბობ, რომ მედგრად ვიბრძვი, ნიშნავს ვყოფილვარ მართლა ერთგული
ეჭვები რატომ შემოგეპარა, უნდობლობა გჭირს წრეგადასული

**სალმანასარი –**
მალზე მნელია იყო პირველი, თუ ღმერთადა გცნეს, უნდა ღმერთობდე
ბევრი იცოდე, ბევრსა ეჭვობდე, გვერდში ერთგულად ვერავის ცნობდე
მამა ჩვენი ხომ იყო დიადი და გამჭრიახი, როგორც მზის სხივი
გარშემო მყოფებს შეუნთო ცეცხლი, ხელებს ითბობდა და იყო ცივი
ჯერ ქვევით ზღვამდე ჩაჰყვა მტრის რაზმებს, დიდს და პატარას ერთად კაფავდა
ასურის ნებით მიადგა ზაგროსს, დაუნდობლობით ასურსა ჰგავდა
დაიმორჩილა ყველა ტომები, გადაიხადა მათთან ომები
ელამს, ბაბილონს გზები შეუკრა, გახადა მონათ დასაზომები
ურარტუს მეფე სარდურს შეება, ვანის ზღვას მიწვდა იმის დევნაში
ასი ათასი ტყვე წამოასხა, არ დაუკარგავს დრო მათ დევნაში
ტაბალს მოაჭრა ქვედა ნაწილი, რომელიც შემდეგ პვლიმ დაიბრუნა
ქუე ჰულაკუ[11] შემოიმტკიცა, სამეფოს ბედზე ასე იზრუნა

**სარგონი–**
შენ ჩემზე კარგად იცი ყოველი, მეფე ხარ, კიდეც უნდა იცოდე

[11] ქუე ჰულაკუ – კილიკია ასურულად

მე, როგორც მონა ჩემი მეუფის, ერთგულის ცეცხლით უნდა ვიწოდე
და ასეც არი, მე სამარია ალყაში მყავს და მიწაზე დავცემ
მეფეს მეფის წილს მოგიძღვნი ნადავლს, ყველა მებრძოლზე საჩუქარს გავცემ
თუ ვინმემ რამე იცის ხელობა, მონებად მოვრეკ, ასურთა წილად
მე მხოლოდ შენი რისხვა მაშინებს და საქმეებშიც ვიქცევი ფრთხილად
შენი ბრძანების გარეშე არსად ფეხს არ გავადგავ, არაფერს ვიზავ
ღმერთი ასურის ხარ მოვლენილი, ღმერთების ნებას ყოველთვის ვიცავ

**სალმანასარი –**

შენი პასუხი მხოლოდ სიტყვაა, სიტყვა ჩანაფიქრს ხშირადა მალავს
ენა გონსა და გულს შორის ბრუნავს, მისდევს იმ ჟამად რაც გადასმალავს
კაცის ბუნება ცვალებადია, ყველა სიკეთე ეცოტავება
რა უნდა მისცე თვალი გაუძღო, გული აუვსო, მოჰგვარო შვება
ძმა ხარ და მაინც შორიდან მიცქერ, მეორეს გინდა გახდე პირველი
განა ამას არ გეუბნებოდნენ ვარსკვლავთმრიცხველი, ნათელმხილველი?

**სარგონი –**

ბაბილონიდან შენ მოავლინე ქურუმთ ქურუმი, ვარსკვლავთ მისანი
შენი კარნახით კარზე მომადგნენ, დანაბარები მითხრეს მიზანი
მე რაღა მეთქვა, დაგყევი ნებას, მეფე ხარ, ხომ არ გეურჩებოდი
იმათი ქება ადრეც მსმენოდა, სწავლულებს სხვა რას გამოვრჩებოდი
არ დამიმალავს რაც მიმკითხავეს, არც მნიშვნელობა რამე მივეცი
მეწყინებოდა, მეტკინებოდა, არა ვარ მხეცი, ყელში არ ვეცი
შენ რა გირჩიეს, ეს მე არ ვიცი, მე მესაუბრნენ ათას რამეზე
ვარსკვლავთა ფერზე, განლაგებაზე, მათგან მოვლენილ დღე და ღამეზე
ჩრდილოეთიდან ხიფათი გველის და გამოღება გვჭირდება ხელის
იქ ჩვენი მტერი მტერს იგერიებს, მასთან ჭიდილში ჩვენ შველას ელის
საჭირო არი მათთან ერთობა, რომ უცხო მხარის ურიცხვი მტერი
საერთო ძალით მოვიგერიოთ, ზეცას შევცვალოთ ვარსკვლავთა ფერი
და ამას გარდა ასურს და ხარანს[12], მამამ წაართვა ვისაც უფლება
ხარკის აღების. შენ კარგად უწყი, ვინც ამ უფლებას დაეუფლება
მეფის წინაშე ვალმოხდილია, სახელს მოიხვეჭს და თან ქონებას

[12] ასური, ხარანი – დიდი ქალაქები, რომლებიც გადასახადების აკრეფის უფლებით სარგებლობდნენ

ადრე ქალაქებს ეს ჰქონდათ ვალად და არც ატანდნენ მალას გონებას
ქონების ნაწილს ისაკუთრებდნენ, ვისაც უნდოდათ ხარკს არ ადებდნენ
ზოგჯერ ორმაგად ახდევინებდნენ, წესს არ იცავდნენ, ზომას არ დევდნენ
მარჩიელთ მითხრეს, დიდ ქალაქებში დიდი დრტვინვაა ამ ამბის გამო
და თუ შენ გინდა საამო ყოფა, სხვასაც მიხედე, უნდა აამო
თუ ქალაქები დაიბრუნებენ ხარკის აკრეფის წმინდა უფლებას
უფრო ერთგულებს ვერ ნახავს მეფე, არ მოაკლებენ პატივით ხლებას.

**სალმანასარი –**

ხარკის აკრეფის უფლება მამამ მიტომ წაართვა დიდ-დიდ ქალაქებს
იცოდა კარგად, ძალაუფლება იმას ეკუთვნის ვინც მას განაგებს
თავის მოხელეთ მიანდო საქმე, ჯარის შეკრებაც მათ დაავალა
ამით სამეფო გააძლიერა, ქალაქებს ძალა გამოაცალა
განა არ ვიცი თუ კი ბაბილონს ძველი უფლება დაუბრუნდება
ჩაწყნარდება და თან მიერთგულებს ელამს ზურგს აქცევს და განუდგება
თითქოს კარგია ასე მოქცევა და ქალაქების შემომტკიცება
მაგრამ მოხდება ასე დროებით არა მჭირდება ხატს დაფიცება
მამას უნდოდა და ვეთანხმები, ურჩობა უნდა მოვსპოთ ბოლომდე
მიზნისკენ გზები სისხლიანია, უნდა გავმხეცდე, უნდა გავლომდე
არ შეიძლება სხვა ქვეყნებს ფლობდე, შინ მონა გყავდეს თავისუფალი
ვინც გამოიღებს ხელს დასაცავად, ზევიდან იმას წყალობს უფალი
შენ ეს არ გესმის, ამიტომ არი ქედმოხრილს თავი ლომი გგონია
ზურგს უკან ჩემ მტრებს ეთათბირები, არ ვცდები, მართლად გამიგონია.

**სარგონი –**

მეფე ხარ, არ მსურს ვიყო უკმეხი, ძმა ხარ, არ მინდა გაეჭვიანო
ვადაზე ადრე გითხრა რაც არ მწამს, არ გითხრა ვაჰ თუ დავაგვიანო
შენ შეუპყრიხარ ავ წინათგრძნობას, არ თვლი საჭიროდ სიმართლის ცნობას
რასაც გირჩევენ შენი მსტოვრები, ისე აპირებ ძმობის მოწყობას.
ის მაინც მითხარ რა მიძევს ბრალი, შურით აღსავსე გამქცა თვალი
შენ გიღალატე, სხვას შევეკარი, დაგიგე მახე, ვიწყე თვალთვალი?

**სალმანასარი –**

უნდა იცოდე, თუ რამე იცი, მე ისიც ვიცი და ვიცი მეტი
მიამბე შენით უმჯობესია, გამიტეხია ბევრი კერკეტი
სამარიადან აქ ჩამოხველი, მეფის თათბირი ვითომ გინდოდა

სად გაგიგია მოალუე ჯარის მთავარსარდალი შენსავით ხტოდა
აქ შეეკარი მაშინვე ბეროს, ბაბილონელთა სურვილი სცანი
რაზე შეთანხმდით უნდა ვიცოდე, რას გპირდებოდა მონა უგვანი
ამას დაერთო ბიტ ბურუტიდან ტახტის მემკვიდრის ამრის სტუმრობა
თან ახლავს ურზან მუსასირელი, ვის არ სჩვევია ჩვენთან ხუმრობა
მე კარგად ვიცი როგორ რა იყო, მაგრამ სჯობია მიამბო წვრილად
ძმა ვარ არ მინდა ცუდად გამწირო, ხედავ ჩემი მხრივ გექცევი ფრთხილად

**სარგონი –**

შენ მართალი ხარ ამრი მესტუმრა, თან საჩუქრები მომართვა დიდი
ბევრი ვიმსჯელეთ შენთან მოსვლამდე, როგორ გაედო ჩვენ შორის ხიდი
ურზანიც ახლავს დიდი მთავარი, მუსასირს ვინაც იცავს და მართავს
ერთი რომ სათქმელს წეწავს და პენტავს, მეორე ნამავს, თითის ტარს ართავს
შენთან შეხვედრის მოწყობას მთხოვენ, არცა ცოხნიან და არცა მოვენ
სათქმელს ამბობენ კაცურ კაცურად, თითიდან სპილოს არ გამოწოვენ
მოსულებია დარბაზის კართან, მიბრძანე მივალ შემოვუძღვები
შენ თუ მენდობი და დამავალებ, რატომ გავხდები მე ძმა უძღები?

**სალმანასარი –**

ამრის მივიღებ, თავად გადავწყვეტ დავასაჩუქრებ თუ თავს წავაცლი
მანამდე მინდა მითხრა პასუხი, შენ რაღას იზავ, მე თუ დაგაცლი
შენ ეთათბირე ჩემ მტრებს გარშემო, ყველა შენ გვერდით გაერთიანდა
დღეს მოღალატედ ისიც კი მიჩანს, მუდამ ერ□თგულებს რომელიც გავდა
ზოგს თუ ჰგონია არ მიჭრის ჭკუა, ვერც რას მივხვდები, არც მომდევს ღონე
ტაბალთა მოდგმას რატომ შეეკარ, ეგება ვცდები ან მოვიგონე?

**სარგონი –**

ამას რად ამბობ ჩემო მეუფე, რად ეჭვიანობ, რატომ რისხდები
გეტყვი რატომაც მეწვია ამრი, ბრძენი ხარ მიზეზს უცებ მიხვდები
შენ კარგად გახსოვს, როდესაც მამა ტაბალებს საღვთო ზავით დაზავდა
ჩვენ შორის შეწყდა მიხდომ–მოხდომა, მისვლა და მოსვლა ერთობას ჰგავდა
მისანთა რჩევით, მამის ბრძანებით ჩემი ასული ამრის დავწინდე
განა ვიცოდი რა მოგველოდა, შვილი გავწირე და არ დავინდე
ჩვენმა ღმერთებმა ტაბალთ ღმერთებთან თუ ზეციური შეკრეს კავშირი
იმათ ნებას ვინ გადავიდოდა ეთქვა უარი ან სიტყვა მვირი

ხო და გაზრდილა, ამრი ჭაბუკობს, მტერიც რომ იყოს მოგეწონება
მოსულა ჩემი სიმას სათხოვრად, რომ აასრულოს ღმერთების ნება
რომ არ მიმეღო ვიყავ მართალი? ჭაბუკი ჩვენთან არი ალალი
პირობა უნდა რომ აღასრულოს, სიტყვის შენახვა ჩემია ვალი.

**სალმანასარი –**

ჩემთვის ყოველი გასაგებია. მსტოვრებმა მითხრე,ს არ ვიჯერებდი
ურსა ურარტუს ცბიერი მეფე, ვის მტრობის გამო ვერ ვისვენებდი
ტულგარიმს შეხვდა თავის მოძმეებს ჰვლის და მუსკების უმაღლეს მეფეს
დანამდვილებით ვერავინ მითხრა რა ისაუბრეს, იდავეს, ჰყეფეს
ერთი ეს ვიცი, რომ სამივენი საომარ გზაზე დგომას ცდილობენ
ჩემს მეტი ვინ ჰყავთ მოცილე მტერი, ჩემზე საშიშრად არც ვისმე ცნობენ
ამრის სტუმრობა მათი ხრიკია ან შენც იქნები მათთან შეკრული
ერთს რომ ფიქრობენ, მეორე ვიცი, არ ვარ უნდილი, ბეცი, ბედკრული
ამიტომ იყო ამრისთან ერთად, აქეთ მალულად ურზანს უვლია
გზაში ქარხემიშს შეჩერებულან, არაბთ ტომები შემოუვლიათ
სამხიე იცი, დაქვრივებული, ჩემ წინააღმდეგ ჯარს რომ აგროვებს
მაგ შენ სასიძოს თავს ევლებოდა, უზიარებდა მართალს და ჭორებს
რაზე შეთანხმდნენ არავინ იცის, ეგებ შენ გითხრეს და მე მიმალავ
თუ ჩემ სამტროდ ხარ მათთან შეკრული, მაინც გავიგებ და გამოგმალავ.

**სარგონი –**

მე რაც ვიცოდი, გულღიად გითხარ, შენ თუ სხვა იცი, აქეთ მითხარი
სულ მემუქრები, თითქო ვარ მტერი და გაუჩინე ჩვენ ძმობას ზღვარი
ახლა გადაწვდი ტაბალთა მეფეს, გგონია შენთვის ხანჯალსა ლესავს
ვისაც შეხვდება, სადაც შეხვდება, შენზე იქადნის, მტრობასა თესავს
მე ასე ვიცი, ამრიმ და ურზან ასე მომითხრეს მათი ამბავი
ჩრდილოეთიდან დაძრულა მტერი უცხო აქვთ ჯიში და მოსართავი
ერთნი უტევენ ჰენიოხიას და ფრიგიამდე გზები გაკვალეს
მეორენი კი ურარტუს ვნებენ, გაუთენებენ საშინელ ხვალეს
ტაბალთ მეფენი და მათთან ამრი საერთო ძალით თავს ვერ იცავენ
სადა აქვთ ძალა შენზე თავდასხმის, მოინდომებენ და რას გიზავენ
პირიქით, უნდათ შენთან კავშირი, შენგან ითხოვენ დახმარებასა
ფიქრობენ მხოლოდ საერთო ძალით ჩვენ დავიმკვიდრებთ ქვეყნად შვებასა
ამიტომ ამრი პირობას ითხოვს, სამოყვროდ ხელი გამოგვიწოდა

**სალმანასარი –**

ამრის მივიღებ, მაგრამ არ მინდა ყმაწვილის გვერდით ურჩანი ვნახო
მოსისხლე მტერი დავიახლოვო, იმედის სხივი გულს ჩავუსახო
დაე იცოდნენ ურარტელებმა, სანამ ფეხზე ვარ, არ გავახარებ
მათგან ასურეთს ბევრი რამ ახსოვს, შურისძიების გრძნობას ვატარებ
შენ კი გიბრძანებ დაბრუნდე უკან და სამარიას ცეცხლი შეუნთო
ქალაქი დასცე, შეუბრალებლად დიდი–პატარა არვინ დაინდო

**სარგონი –**

მე შენ ბრძანებას როგორ გადავალ, გავალ, ბრძოლის ველს გავემართები
მანამდე მსურდა პასუხი მეთქვა ამრისთვის, ჭაბუკს რას ვემართლები
შენი ნებართვის გარეშე იცი მე ვერც ხოს ვეტყვი და ვერცა არას
ასურის ნება მწყალობლად გვექმნეს გაგვაძლებინებს და დაგვიფარავს
ვიცი შენ შენი გაქვს მოსაზრება, მაგრამ რაც მითხრა ვარსკვლავთმისანმა
ვფიქრობ თანხმობა უპრიანია, რომ მიაღწიოს ჩვენმა მიზანმა.

**სალმანასარი –**

შენ შეასრულე რაც მე გიბრძანე, დაუყოვნებლივ გზას დაადექი
მალე გავიგო გამარჯვების ხმა, მკლავი გაქვს მტკიცე და ხმა დამჭექი
სიმა დატოვე აქ სასახლეში, როგორც ძმის წული, არა მძევალი
თვითონ ვიზრუნებ, მე მივუჩინო მონა–მსახურნი, მხლებელ–მხევალი.
/სარგონი გადის/
მე კარგად ვიცი შენი ფიქრები, იქცევი როგორც ძმა და ერთგული
დრო თუ მინახე, მოძილებ ბოლოს, როდის რას შეძლებ ერთი გაქვს სული
ჯერ კიდევ გითმენ, მაგრამ სულ მალე აშურ–მარდუკის კერძი გახდები
ავის მდომელი ავ გზაზე დადის, რითაც ამაყობ, იმით წახდები
და შენთან ერთად სინაქერიბი, შენი მემკვიდრე, მზე და იმედი
უნდა შევწირო ასურთა ღმერთებს, რომ საქაოს გამეხსნას ბედი
შენს ასულ სიმას შევირთავ ცოლად, სხვას რად დავუთმო ტურფა ძმის წული
მეტოქეს მოვკლავ, მტრებს მოვიცილებ და ბატონობა მექნება სრული

**/სარგონი ბრუნდება/**

**სარგონი–**

ჩემო მფარველო და მბრძანებელო. მოვბრუნდი რათა შველა შეგ თხოვო
მზად ვარ სიმწარით ხორცი ვიჯიჯგ ნო, მიწა შევჭამო, ბალახი ვძოვო
სხვას ვერას ვეტყვი, არცა აქვს აზრი, ჩემი მშველელი არავინ არი
ღმერთებო რატომ მომგვარეთ დილა თუ მექნებოდა დღე ასე მწარი.

**სალმანასარი –**

მე შენ მეგონე უკვე წასული, რომ დაგებორკა ყველა ავსული
იმ საუბრიდან ამ საუბრამდე საკმაო დროა უკვე გასული
შენ კი ისევ აქ დაბორიალობ, მეფეს აყოვნებ ნუთუ ვერა გრძნობ
მოდიხარ თითქო მონა არ იყო, შენ გვერდით ტოლად არავისა ცნობ
მითხარი მაინც რა სიმწარეზე მოთქვამ და გინდა დარდი გამიყო
აქ რომ ვმსჯელობდით იყავი მშვიდი, იქ რა შეგემთხვა, მითხარ რა იყო.

**სარგონი –**

ჩვენ აქ ვიმსჯელეთ, შენ გადაწყვიტე, დაგემორჩილე, დავიწყე ზრუნვა
იცი, არ ვიცი უაზრო საქმე, კედელს ცერცვს შეყრა და ფუჭად ბრუნვა
შორეულ მხარეს გასამგზავრებლად, მომზადებაა საჭირო მეტად
ყოველ ნაბიჯის გაზომვა მინდა, რომ იყოს სარგო და მტერთა რეტად
მე სამარიას თუ კი ავიღებ, სინაქერიბი აიღებს ტვიროსს
გავძლიერდებით, კემეტის მხარემ იკანკალოს და შურით გვიცქიროს
როცა მივეცი ბრძანება ყველას, როცა ვიფიქრე საქმე აეწყო
რა საჭიროა ან რას მივაღწევ, ერთიც, მეორეც თვალის წინ მეწყო
გულდამშვიდებით ვიკითხე სიმა, შენი ბრძანებით ის აქ რჩებოდა
ის უნდა მეთქვა, თუმც განშორება მასთან სულაც არ მეჩქარებოდა
მომიგეს, სიმა დილით გავიდა და უკან აღარ მობრუნებულა
შეგვიანება არა სჩვეოდა, ვიფიქრე ნეტა რამ აიძულა
ცოტა ავღელდი, ვინერვიულე, გამოვიკითხე ყოველი წვრილად
თამამი არ ჩემი გოგონა და არასოდეს იქცევა ფრთხილად
მეუცნაურა ამრი ტაბალი, ყოველ დღე თურმე მასთან სტუმრობდა
გავიტაცებო, უთქვია ზოგჯერ, საქმრო იყო და მიტომ ხუმრობდა
ამრიც ვიკითხე, მისი მხლებლები ქალაქის გარეთ ბანაკად იდგნენ
ხშირად საომრად აღჭურვილები, მდინარის გასვლას ცხენებით ცდიდნენ
გალავანს მიველ, მონა გავგზავნე, მითხრა სტუმრები მშვიდად არიან
მხიარულობენ, ისარს ისვრიან, ემალებიან სასმელს გვარიან

სიმა იმათთან არა ყოფილა, ამრისაც არა იციან რამე
ჩვენ სარდლებს თურმე სტუმრობდა გუშინ, მათთან ქეიფში ათენა ღამე
თუ ტაბალები არიან მშვიდად, თუ სიმა მათგან არვის უნახავს
სხვაგან სად ვეძებნო ჩემი ასული, სხვაგან ვის ვნახავ მე მზეთუნახავს
მე აღარ ვიცი როგორ მოვიქცე, ბრძანება შენგან მიღებულია
უნდა გავწიო სამარიისკენ, მზადებას მოვრჩი, დროც გასულია
გავემგზავრო და შვილი ვერ ვნახო, არცა ვიცოდე მისი ამბავი
გონება ჩემი არეულია, მაფორიაქებს ზმანება ავი.

**სალმანასარი –**

ამ დილას მთხოვე მიმეღო ამრი, მითხარ დარბაზის კარებთან მიცდის
სიყვარულით აქვს გული აღსავსე და მეგობრულად ხელს ჩემკენ იწვდის
თუ ასე არი რა გაქვს სანაღვლო, თუ სხვა რამეა. მითხარი მალე
რაზე რას ფიქრობ გამიზიარე, ვცადე და ჩემით ვერ გამოვთვალე
იქნებ ასული მეგობრებს სტუმრობს, დღე გააყოლეს ჭორებს და ენას
თვითონ დავგზავნი მსტოვრებს და მონებს, გამოვარკვიოთ რა მოგეჩვენა
ვბრძანებ ტაბალებს დაარტყან ალყა, მათ ქვეყნებისკენ გზები ჩაკეტონ
ამრი მომგვარონ ხელდაბორკილი, გუნება შენი გამოაკეთონ
მანამდე უნდა ჩემ გვერდით დარჩე, მარტოს არ გმართებს იყო მწუხარე
უბრძანე ჩვენთვის გააწყონ ტაბლა, შორიდან ჩაგწვდეს ჰანგი მქუხარე
/სარგონი გადის/
მმას რაღაცა აქვს ჩაფიქრებული, ვითომ მწუხარი, ვითომ ერთგული
თვალიდან მისი მოწყვეტა არ ღირს, რომ გამეპაროს ერთი აქვს სული
სინაქერიბი ისეც შორსაა მას ვერ მივწვდებ დღესვე ან ხვალე
სარგონს კი უფრო შორს ვაგზავნიდი, წასულს ვნახავდი მე ისევ მალე?
სიმა მინდოდა მყოლოდა მძევლად, მისი გულისთვის მმა და მშობელი
ღალატის გზას ვერ დაადგებოდნენ, ვერ გახდებოდნენ მისი მგმობელი
ახლა მძევალი გაპარულია, თვალს მიფარული და დაცულია
მმაც თუ დამისხლტა და მიიმალა, ნიშნავს დათმობის დრო წასულია
მეუბნებოდნენ, არ ვიჯერებდი, ტაბალს შეეკრა მტკიცედ სარგონი
გაინაწილეს წაგებ-მოგება, ერთი მეორის გახდნენ სარგონი
სიმას დაწინდვა საბაბი არი, ჩემი სამეფო მათი მიზანი
სამსიეს ამრი მიტომ სტუმრობდა, კიდეც ჰყვარობდა მე როგორც ვცანი
მაგათ ჰგონიათ მე ვერას ვხვდები, აბნეული მაქვს სავალი გზები
დრო მოსულია შურისძიების, სარგონს ტაბალებს წავაკლავ წყებით

უნდა შევიძლო თავის მოთოკვა და მოწყალება გავიღო ძმური
მიპარვით დარტყმა სასურველია, არაფერს მარგებს ფუჭი ხმაური
ვარსკვლავთმრიცხველის სიტყვა სრულდება, ვინც გზას გადუხვევს, – დაუ-
ძლურდება
ღმერთები რასაც გვიწილადებენ, ზვარაკად მათვე დაუბრუნდება.

/ქალაქ-სახელმწიფო ტვიროსის გალავანთან, მოალყე ასურელების ბანაკი. სარდალ სინაქერიბის კარავი. კარავში არიან სარგონის ასული სიმა და ვაჟი სინაქერიბი/

**სიმა –**

რად ვარგა ქალი თუნდა ლამაზი, თუ არ გათხოვდა, შვილებს არა ზრდის
ღამეს არ უთევს, თავს არ ევლება, ტანს უფრთხილდება, მუმუს არ აწვდის
ნახე მცენარე ნებისმიერი, ამშვენებს სიმსხო ყლორტის ნაზარდის
აპურებს ნაყოფს მრავალ სახიერს, უდროო ჭკნობას ფოთოლს არ აცდის
რად გინდა ცოლი, თუნდაც ოცნებით, უცხოს ირჩევს და მიეფერება
სხვაგან გახსნილი და მხიარული, შინ ჭირვეული და უკარება
შენ ერთგულება პატარა ჩიტის ნახე და სცადე გამეორება
ხანმოკლე ყოფა სიამტკბილობით, პეპლისთვის არი მთელი ცხოვრება
კაცი მხურვალედ როცა ეაჯა, უფალმა იტკბო, ასე განსაჯა
ქალს დაუდგინა კერიის მოვლა, კაცის მონობის ვალით დასაჯა
რად გინდა შვილი, კოცნით ნაზარდი თუ ჩაუკალი სურვილის ვარდი
წამოიზარდა, არ გაათხოვე, შინაბერობის აკუთვნე დარდი
განა როდესაც დამწინდეთ ამრის ან მას ან და მე რამე გვესმოდა?
რა მოხდებოდა არვინ იცოდა, მის გამო ძმა თავს თუ დამესხმოდა
გავიდა ხანი ამრიმ მომნახა, ვაჟკაცი სიტყვის დარჩა ერთგული
მისმა ქცევამ და სიტყვა-პასუხმა ამავსო გრძნობით, გამითბო გული
მამა მიუხვდა, გაანდო ფიქრი, მამა ბრძენია, არ შეცდებოდა
მე დავეტოვე სალმანასართან კარგად იცოდა რაც მოხდებოდა
ამიტომ იყო ურჩია ამრის და მე მიბრძანა მას დავყოლოდი
ორივეს აქეთ გზა მიგვითითა, წლობით ნაკიდი გულს მომხსნა ლოდი
სალმანასარი შენც მტრად მიგიჩნევს, მამას აწვალებს, მე არ მზოგავდა
რომელი იყო მოიგდო კლანჭში კრავი და მგელი ანგელოზს ჰგავდა
ახლა, როდესაც ვიპოვე ბედი, ვლოცე მშობელი და შემოქმედი
გინდა ეჭვების მსხვერპლად მაქციო, მომისპო გრძნობის გადასახედი

**სინაქერიბი –**

შენ სჯი, როგორაც შეყვარებული, ოღონდ ჭკვას მალა არ დაატანოს
მღვრიე მორევში გადაეშვება, სატრფოს ეახლოს, არ დაახანოს
ამბობ, რომ ამრი არი ერთგული, შენზე ლოცვაში ამოსდის სული
არ მინდა გითხრა მწარე სიმართლე და გაგიჩინო უკურნი წყლული
მაგრამ არა ვთქვა, ესეც ძნელია, ბრმაც კი სიკეთის დამნახველია
შენ კი არ გინდა სიმართლის ცოდნა და მეც სათქმელი არდამელია
და ხარ და გული შემტკივა შენზე, მიგანიშნებ და მიხვდები თავად
ყველა ტაბალი ჩვენი მტერია, რად მოიქცევა ამრი სხვაგვარად
და ამას გარდა, შენც გაგიგია გზაში ქარხემის შეჩერდა დიდ ხანს
ქალებთან ყოფნამ გადიყოლია, ეს რასაც ნიშნავს, მე ადრეც მითქვამს
შემდეგ სამსიეს გაუმიჯნურდა, არაბთ დედოფალს დაქვრივებულსა
იცოდა იყო ჩემი არჩივი, ამ საქციელით მატკენდა გულსა
როგორ ვიფიცო რომ მომავალში მიტოვებულის არ გერგოს ბედი
მაშინ მე მოვკლავ ან შევაკვდები, ასეთი არი საქმის იმედი.

**სიმა –**

შენ გაიხსენე, მე არ მითქვია, სამსიეს გამო როგორ წვალობდი
და ვარ, მიყვარხარ, მიმხვდარი ვიყავ მძიმე დღეებში მაშინ რას გრძნობდი
მაგრამ ეს იყო და აღარ არი, მუდმივად ვსდიოთ წარსულის დარდებს
ნიშნავს მომავალს ზურგი ვაქციოთ, ვერ მივხვდეთ ჩვენთვის ხვალ რა ივარგებს
არ ვიტყვი ამრი არ მედარდება, გულს არა ხვდება მასზე ფიქრები
ვერ გამიგია ცუდი და კარგი, მის დანახვაზე ვკვდები და ვქრები
ბავშვი აღარ ვარ ვერა ვხვდებოდე სამსიეს გამო მას ემტერები
სხვისი რომ გიკვირს, რად არ იხსენებ რამდენი გყავდა მხევალ-ოხრები
ახლაც გისხედან ცალკე კარავში, აქ ყველამ იცის ვის როდის სტუმრობ
საკუთარ დირეს გვერდს ნუ აუვლი, სხვის თვალის ბეწვზე როცა ხმაურობ
მით უფრო როცა ტაბალთა რაზმით, როგორც იმედი შემოგიერთდა
დამაქციესო არ უნდა წაგცდეს, როცა პირიქით საქმე გაკეთდა

**სინაქერიბი –**

მე ის არ მითქვამს ვით მეომარი უნდილი არი ამრი, და მხდალი
ორთაბრძოლაში ბევრჯერ იმარჯვა, ტვიროსელ გმირებს დაუვსო თვალი
მე მეჯიბრება, მხედართმთავრობით, ვაჟკაცობითაც უნდა დამჩრდილოს
ამ დამცირებას მე ვერ ავიტან, ასურთა ღმერთი რად ვიდგე ჩრდილოს

არაფერს მკითხავს, ბოლო დღეები განმარტოებით დაიარება
მომიგრეხია წნელივით ბევრი მასავით ბღენძი და უკარება.

**სიმა –**

სიავემ იცის თვალის დავსება, შურით მზესაც კი შუქს დაუწუნებ
საქმის მაგიერ სახელისათვის ბრძოლით შენ სახელს ფერს გაუხუნებ
ამრი მოგენდო, როგორც მეგობარს, მე თუ ვუყვარვარ, შენ ძმა გიწოდა
ტაბალთა რაზმით შეგმატა ძალა, სიკეთის ხელი გამოგიწოდა
შენ თუ არ იცი, მე გამიმხილა ქალაქს შევიდა დასაზვერადა
ფრიგიელ ვაჭრებს ჩუმად გაენდო, შენ ეს ღალატად ჩათვალე რადა
რათა ხანია ალყა აქვს ტვიროსს, რათა ხანია ცდილობ აღებას
შენ ვერ შეძელი, ამრიმ თუ შეძლო, უნდა გერჩიოს ცუდად გაგებას.

**სინაქერიბი –**

ათას ხუთასზე მეტი წელია, რაც ასურეთი აზიას მართავს
სარგონ დიდიდან მოყოლებული, ვის ნახავს იპყრობს, კლანჭებში ხლართავს
ოთხასი წლის წინ მუსკებსაც მივწვდით და ვანის ზღვამდე ბრძოლით ვიარეთ
ბაბილონს ძალა გამოვაცალეთ, სირცხვილი არსად გავიზიარეთ
ჯერ დიდმა პაპამ, მერე კი პაპამ ტაბალთა ყველა მეფეს უყელეს
ზოგს შეურიგდნენ, ხარკი აიღეს, ასურეთის გზას გამოუყენეს

**/შემოდიან ამრი, ურზანი და ფრიგიელი ვაჭარი/**

**ამრი –**

მე მოვდიოდი გალაღებული, სიყვარულით მაქვს აღსავსე გული
ვისთვისაც ვიბრძვი აქ მყავს საუნჯე, მწყურვალი წყაროს დაწაფებული
ასე მეგონა გავხდები სიძე, ცოლისძმა უნდა ძმასავით მყავდეს
არ შეიძლება ვინც გიყვარს გულით, გულით მოყვარულს აქეთა გავდეს?
შემოსასვლელთან მომესმა სიტყვა, ვის როგორ ესმის რაც ესმა, ითქვა
მოვსულვარ როგორც ერთგული მოყმე, ერთგულების წილ უსვრიათ მით ქვა
სინაქერიბის ნათქვამი მაკრთობს, ვერ გარკვეულა რა ვნებს და რა სჯობს
მამის არ სჯერა, დას არ ენდობა, სალმანასარის ავ ზნეს დარაჯობს

**სინაქერიბი –**

ტვიროსთან მე ვარ მხედართმთავარი, მათი შეპყრობა ჩემია ვალი
აქ იმიტომ ვარ ალყის მოთავედ, მტერ-მოყვარეზე მეჭიროს თვალი

შენ ჩამოხვედი მამის ბრძანებით, ათასი აზრით, ფიქრების წყებით
გგონია ყველას გადააჭარბებ, რისთვის ვიბრძოდით ასურნი წლებით
შენ სხვა აზრი გაქვს და სხვა მიზანი, ასე გგონია ვარ შენი მგვანი
სხვა მეომარი არავის ახსოვს და ვერც ნახავს საკმაო ხანი
ის სხვა დრო იყო როცა ჩემ დაზე დაგწინდეს ჩვენში მშვიდობის წილად
ეს არ ნიშნავდა იმ სიტყვის გამო ქცეულიყავი ჩვენ შორის გზირად
მე კარგად ვიცი შენი სვლა აქეთ ურსამ და მითამ მამაშენს უქეს
ყველას თავისი განზრახვა ჰქონდა, რაც დაადგინეს და გააშუქეს
ახლა შენ ფიქრობ ჩემი შეწევნით უკან დატოვო სალმანასარი
და მოიტაცო, საქმე გაჩარხო და ჩაიდინო საქმე საზარი
ერთი არ იცი, ჩემი ბუნებით მე სულ სხვა მიზნებს ვეტრფიალები
მამა ბატონი თუ მიმიხვდება, უფრო შორს ჭვრეტენ ჩემი თვალები
ჩემი და მიტომ არ მემეტება, სიყვარულს ღრჯო სდევს, ასედაც ხდება
გამოიცვლება მთელი სოფელი, ჩემი ფიქრები როცა ახდება

**ამრი –**

შენ აჰყოლიხარ ეჭვნარევ ფიქრებს და უფსკრულისკენ მიერეკები
თავი ასურის ტოლი გგონია, ჯავრიანი ხარ და უკარები
მე მინდა შენთან მმური კავშირი, მსურს მამაშენის აზრი გაიგო
სალმანასარის ჩანაფიქრისგან თავი დაიცვა, კოშკი აიგო
არ გეხვეწები, მხოლოდ გთავაზობ, მირს ერთად დავცეთ საერთო მტერი
რომ სათითაოდ არ დაგვამარცხოს, და დაგვიბნელდეს თვალის სამზერი
აქ ვისაც გვხედავ სხვადასხვა კუთხის, ზოგჯერ მომტერე ერთა შვილები
ერთად შევყრილვართ საერთო მიზნით, არვის ვეგონოთ ვართ მოცლილები
ურზანი ეგებ გაგიგონია მუსასირს მართავს ღმერთების სადგომს
სალოცავების დიდი მცველია, მათი კარნახით არ გაურბის ომს
არიარატის მრისხანე მეფე ურსაა მისი მფარველ–ბატონი
არა სჭირდება სხვისი მამული, არცა სიმდიდრე სხვისი ნაქონი
ფრიგიელ ვაჭარს იერზე იცნობ, ისიც მე მახლავს, როგორც მრჩეველი
შენ ტვიროსთან ხარ ფუჭად მოალყე, მას ტვიროსშიაც უწვდება ხელი
მოვსულვართ ერთად რომ ვითათბიროთ საერთო საქმეს რა ეშველება
შენ წინ გყავს მტერი, უკანაც მტერი, ასეთი ყოფა არ გემნელება?

**სინაქერიბი –**

მეც კარგად ვიცი ვინ საიდან მტრობს, მაგრამ ტაბალებს რატომ ვენდობი

ჩემ გულს ატყვია შენით იარა და ზურგს ურზანის ხმლით დანაჭდობი
თუ დღევანდლამდე მტრები იყავით, ახლა მოყვრებად როგორ იქეცით
იქნებ კერას არ გედგომებოდათ, ჩემი სურვილით გამოიქეცით?

**ურზანი –**

ამრი ბატონო, დრო აღარ ითმენს, ვატყობ ტყუილად აქეთ ვიარეთ
ყმაწვილს არ ესმის ხიფათის ძალა, ამ ხიფათს ჩვენ ვერ გავიზიარებთ
შევცდით, ეტ-ბაალს რაღას ვერჩოდით, რაზე გაწირეთ ნორჩი ელისა
ბრძენიც გიჟია სხვათა რჩევებით გიჟისგან სიბრძნეს თუ მოელისა
ჩვენ გავალთ, ეგებ ვუშველოთ რამე, ეგებ არ იყოს კიდევ გვიანი
ავცდებით მტრებს და გავიყვანთ მოყვრებს, შემოტევამდე კიდევ გვაქვს ხანი

**სინაქერიბი –**

აქ რომ მოხვედით ვინ დაგპატიჟათ, წასვლა კი მართლაც ჩემია ნება
თუ სულსწრაფობა საქმეს არ შვენის, ისე არ ვარგა დაგვიანება
სანამ გაგიშვებთ, უნდა გავერკვე რა შუაშია აქ ეტ-ბაალი
წინ მტრები ვიცი, უკან ვინაა, ვისი მიყურებს ელამი თვალი?

**ურზანი –**

გამიგონია, ზოგჯერ ძაღლები ერთი მეორეს შურობენ, კბენენ
მაგრამ თუ მგელი გამოჩნდა სადმე, ერთსულოვნებას მყისვე იჩენენ
ასეა საქმე ასურ-ტაბალთა, ურთიერთს ვერჩით ასეულ წლობით
ვერ გავარკვიეთ მიზეზ-შედეგი, ვერ გავიხარეთ ჩვენ მეზობლობით
ტაბალებს გვარქმევთ, სასპერიებსაც, კოლხებს და მუსკებს, ვინც ვართ იბერი
ურმიის ზღვიდან საბერძნეთამდე, ვერ გაწვდენია თვალის სამზერი
მაგრამ ვართ მიწყივ დაქსასულები, ერთი მეორეს ვებრძვით და ვტერობთ
საკუთარისთვის ვერ მოგვივლია, ძმას ვეტენებით, ვართმევთ და ვჩემობთ
ასურელებმა ამიტომ შემლეს ჩვენი ქიშპობა, ზოგჯერ ზეობა
ამ კინკლაობით ყველა დავსუსტდით, დაგვჩემებია დღე მოკლეობა
დღეს ყველას ერთი გაგვიჩნდა მტერი, ჩრდილოეთიდან მოდის მოანგრევს
თუ ჭკვას არ მოვალთ გაგვთელავს ყველას ასურს და ტაბალს მუსკებში არევს
ჩვენ ეს შევიგნეთ, ამიტომ ვცდილობთ მტრებმა სამოყვრო საქმე გავმართოთ
ხონებს და კიმრებს რა ცუდიც უნდათ საერთო ძალით იქით დავმართოთ
სალმანასარმა, ამათმა მეფემ, ეს ვერ გაიგო, დარჩა უგრძნობი
ნაცნობ მეტოქეს და მოკინკლავეს, მას ურჩევია მტერი უცნობი

ფიქრობს კიმრები ჩვენ დაგვიპყრობენ, მას დაინდობენ, გაჩერდებიან
ჩვენთან ხანმარზე ხელსაც მოითხობს, მტრები ჩვენ ხარჯზე დაზავდებიან
იმდენს ვერ ხვდება, ჩვენ თუ დაგვღუპავს, მას მისდგებიან, დაიღუპება
ფარეხში მგელი ერთ კრავს სჯერდება? ისიც საფლავში ჩვენთან ჩალპება

**ამრი –**

სინაქერიბმა ყოველი იცის, ჩვენ არა ერთხელ გვისაუბრია
მიხვედრილია ავსაც და კარგსაც, გამგები არი, განა უბრია
მხოლოდ არ იცის ბოლო ამბები, ტვიროსში მეოფმა ვერ მოვასწარი
ამეხსნა ყველა რაც ბოლოს მოხდა, არც გრძნობა ჰქონდა რამ წინასწარი
განა არ იცის ვის რა მოელის, როგორი არი ბედის ნიშანი
ის ჩემზე არი მხოლოდ ნაწყენი, სიტყვა მითხრა და გუმანით ვცანი
მეც არ შემეძლო ვადაზე ადრე გამემხილა და მომელბო გული
დინჯათ სიჩქარე სანაქებოა, წინასწარ ხტუნავს სულით წასული.

**სინაქერიბი –**

ტვიროსი ზღვისგან არი დაცული და გალავანი შვენის მაღალი
ბევჯერ უცდიათ, ვერ აუღიათ, ჩემი მცდელობა არი ახალი
ელულაი კი მეფე სვიანი, ყველა კარიბჭეს გულ და გულ იცავს
სამხიე, მასთან შეკედლებული, ზურგს უმაგრებს და ერთობას ფიცავს
მიტომ ვერ შევძელ ქალაქის მლევა, ვერ შევუნგრიე ქვის გალავანი
მე თუ ვერ შევძელ, ტაბალი შეძლებს? გულს გაგივლიათ საქმე უგვანი
ეგებ ღალატი რამ ჩაიფიქრეთ, გინდათ და  და ძმა ღალატით გვიგდოთ
რად მიხაროდეს თქვენი აქ მოსვლა, ბრიყვი არა ვარ ყური დაგიგდოთ

**ამრი –**

ფიქრობ მტრებს შორის ხარ მოქცეული, მომართული ხარ, როგორც მიმინო
სანამ გადაწყვეტ საით დაარტყა, მინდა გულდინჯათ რომ მომისმინო
სამხიეს გამო ვიცი მემდური, გაწვალებს ეჭვი, და გბოღმავს შური
მაგრამ მას შემდეგ რაც სიმა ვნახე, აღარ მეკუთვნის მე საყვედური
შენ დას ვუყვარვარ, იცის მეც მიყვარს, ჩვენ ერთად აქეთ მიტომ ვიარეთ
მამის თანხმობა მიღებული გვაქვს და მისი რჩევა გავიზიარეთ
მე ჩემი რაზმით გვერდით გიდგევარ, ვცდილობ შეგმატო ძალა, იერი
შენი დის გვერდით ბედნიერი ვარ, მინდა შენც იყო სვე ბედნიერი
ჩემი მცდელობით ბევრი გავიგე, ბევრს მივაღწიე, უნდა იცოდე

შენი თანხმობა საქმეს სჭირდება, ხელს გაძლევ, ხელი გამომიწოდე
რომ ელულაიმ არსად გიყელოს, სალმანასართან შეთანხმებულად
აქეთ მოდავეს, იქით ვანანოთ შეერთებულად, აზვირთებულად
ამიტომ ტვიროსს ვიყავი ჩუმად, მტრების გავიგე აზრი ფარული
თუ არ მომისმენ და ვერ გამიგებ, დავმარცხდებით და დავრჩებით კრული.

**სინაქერიბი –**
შენ მეუბნები რაღაც ქარაგმებს, მინდა გავიგო სრული სიმართლე
თუ ბნელში ხარ და სანთელს არ ანთებ, როგორ მოგივა თვალში სინათლე
მე ვიცი მხოლოდ, რომ ელულაი ტვიროსის კედლებს ფხიზლად დარაჯობს
შენ თუ შეხვედი და გზას მასწავლი, ამ გარიგებას ქვეყნად რაღა სჯობს
მაგრამ მგონია შენი სიტყვები, ჩემი დაჯაბნის ფანდია მხოლოდ
თქვი და მოგისმენ, რომ გავარკვიო, საით უმიზნებ შენ საბოლოოდ

**ამრი –**
ასურს, სარგონთან დიდი დრო დავყავ რათა გამეგო მისი სიმართლე
აზრი მტანჯავდა თან გაყოლილი, გამოვიცვალე, გადავინათლე
ბევრზე შევთანხმდით, აქ არ მოვყვები, მაგრამ შევაჭდეთ სავალი გზები
შენ დას ვუყვარვარ, მამა მენდობა, შენ რატომ მშურობ და გეზარები
ტაბალ-იბერი თუ ადრე გმტრობდათ, დრო შეიცვალა ბევრი რამ მოხდა
სად სალანძღავი ისმოდა ხმები, გულს სამეგობრო სიტყვა აღმოხდა
სარგონი მენდო, გზა დაგვილოცა, თვითონ მეფესთან დარჩა მძევალი
სალმანასარი თქვენ არ გენდობათ, მიმინოს მსხვერლზე უჭირავს თვალი
მამამ მირჩია აქეთკენ მევლო, შეგშველებოდი და დამეფარე
მეც არ მეძინა, ყველას ვსწავლობდი, უნდა მცოდნოდა ეს არე-მარე
ქალაქს შევგზავნე ჩუმად ურზანი, შვებით მიიღეს, იყო ტაბალი
ფრიგიელ ვაჭარს დაუკავშირდა, დააკავშირა მან ეტ-ბაალი
მისგან გავიგე, სალმანსარი ტვიროსის მეფეს სიტყვას აძლევდა
ქალაქის რბევას შეეშვებოდა, თუ ელულაი მოალყეთ სძლევდა
ბოლოს შეთანხმდნენ, რომ ელულაი თავს დაგვესხმება ერთ უკუნ ღამეს
სარგონთან ერთად ჩვენ ორის მოკვლით, ორივე მეფე იგრძნობს სიამეს
სალმანასარი მეორე მხრიდან უკან დასახევ გზებს ჩაგვიკეტავს
ვინ რას გაიგებს როგორ მოგვკლავენ ღამე-ღამეა, თვალი ვერ ხედავს
ამის სანაცვლოდ ტვიროსის მეფე ასულს იზებელს მას მიათხოვებს
სამსიეს მხევლად გამოაყოლებს, სალმანასარი სიამეს ჰპოვებს

მოიცილებენ ყველა მეტოქეს და ძველი მტრები დაზავდებიან
საერთო ძალით სიდონს იპყრობენ, ხმელეთზე, ზღვაზე გალაღდებიან.

**სინაქერიბი –**

რატომ ვირწმუნო შენი ნათქვამი, შენი გულისთვის გადავდო თავი
აქეთ ბიძაა, იქით ტაბალი, განზრახულობა ვისია ავი?

**ურზანი –**

შენ ჩვენი სიტყვის რომ არა გჯერა, ნათქვამი მოწმობს და ცუდი მზერა
ღმერთი არა ვარ, ქურუმი ბრძენი, შევცვალო ბედი და ბედისწერა
ამიტომ გტოვებ და ერთსაც გირჩევ, სანამ ტაბალნი დაგცილდებიან
ტვიროსელ სტუმარს უსმინო გულით, რომ სანანებლად არ დაგრჩეს გვიან
მომიყვანია აქ ეტ–ბაალი, ვისაც ეკუთვნის ქალაქს მეფობა
ვის ელულაიმ წაართვა ტახტი და მიუსაჯა ავად ყოფობა

/მის ნიშანზე შემოდიან ეტ–ბაალი და მისი ასული ელისა/

თავად გეწვია რომ გაგიმხილოს სალმანასართან რა აქვთ პირობა
როგორ ფიქრობენ შენზე თავ დასხმას, ვის როგორ ესმის მონადირობა
და რომ გაფანტოს შენში ეჭვები, შენი გახადოს თავის მიზანი
ასული ტურფა მოუყვანია მშვიდობისა და ძმობის ნიშანი.

**ეტ–ბაალი –**

კარვის კარებთან ვისმენდი ყველას, ვინ რას იტყოდა ვკრთოდი, ვღელავდი
მსურდა თავიდან კამათში ჩართვა, მაგრამ ვითმენდი, აზრებს ვწელავდი
სალამს მივუძღვნი სარგონის შვილებს და გამარჯვებას ვუსურვებ მტრებზე
მოხარული ვარ საერთო საფრთხე თუ კი თანაბრად მოვირგეთ მხრებზე
სინაქერიბმა უნდა იცოდეს, სალმანასართან გვაქვს შეთანხმება
ჩვენთან ზავს შეკრავს და გვიმეგობრებს თუ შესრულდება მისი ეს ნება
თუ ელულაი თავს დაგესხმება როცა დრო არი მამლის ყივილის
შენ და შენ სტუმარ ამრის დაგხოცავთ, ვეღარ შეიძლოთ ბედზე ჩივილი
თუ მოინდომებთ უკან დახევას, სალმანასარი წინ დაგიხვდებათ
სარგონთან ერთად ყელებს დაგჭრიან და დაგიწყობენ ერთგულებს წყებათ
მამაშენთან გვაქვს მტკიცე კავშირი, ფარულად შევხვდით, აზრი გავცვალეთ
ჩვენი მცდელობა და მოფიქრება, მტრების სურვილებს არ ვანაცვალეთ

დადგენილი გვაქვს თუ ელულაი და მასთან ერთად სალმანასარი
შენზე წამოვლენ, მათი ხაფანგ ი ისევ მათთვისვე გახდეს საზარი
როგ ორ? იციან მამამ და ამრიმ და თვითეულმა, რაც გვეკითხება
ჩვენ მხოლოდ შენი თანხმობა გვინდა, რომ არ დაგვჭირდეს ჯართან შეხება.

**სინაქერიბი –**

რასაც შენ ამბობ, რაღაც ამდაგვარს მამის შიკრიკი მეუბნებოდა
მეცინებოდა რადგან საცდელად, უგვანად საქმე მეჩვენებოდა
მე ხომ აქ სარდლად ბიძამ დამნიშნა, მამის მმაა და მაქვს სიყვარული
ტვიროსს დავანგრევ, მის გულს მოვიგებ და მისი ნდობა მექნება სრული
რასაც მიყვები არ ახალია, თან ახალია და გულში მზარავს
თქვენ რომ მოგენდოთ რა მოგებაა, მეფის რისხვისგან ვინ დამიფარავს
არ მოგენდოთ და იყოს სიმართლე, ამ ერთგულებით დავიღუპები
რით დამიმტკიცებთ რომ არ მღალატობთ, რატომ შევაჭდოთ სავალი გზები?

**ეტ–ბაალი –**

შენი პასუხი შინ გამოვთვალე, გავიგე დღეის, გავუგე ხვალეს
საქმე მოიგ ო, ვინაც აკეთა და არა ვინც თქვა და ვინაც თვალეს
მე უფრო მეტი ერთგულებისთვის, სხვა როგ ორ გითხრა ან რა ვაკეთო
რაც მე მეკუთვნის აქვს ელულაის, რა ვქნა ან როგ ორ გამოვაკეთო
გარდა იმის რომ შეგეკრათ მომხდურთ, ბოროტებშიაც ნაკლები ვნახო
მალა შემწევდეს, ვიცი ყოველი ვინ მოვსპო და ვინ შემოვინახო
სხვა რა გზა არი, რომ დაგიმტკიცო ვარ გვერდში მდგომი და პირნათელი
ასული მმევლად მომიყვანია ჩემი ცხოვრების წმინდა სანთელი
ელისას ვტოვებ, სანაცვლოდ შენ დას მე არ მოვითხოვ, ისეც გენდობი
აზრი მაქვს მყარი, მკლავი მაქვს მტკიცე, შეხედვა სწორი, გული შენმდობი
დრო აღარ ითმენს თუ ხო იქნება, უნდა მოვასწრო საკეთებელი
თუ არა არი ნუ დამაყოვნებ უკან გზა მიდევს, ღამეა ბნელი.

**ამრი –**

კაცი გონების სიმკვირცხლით ფასობს, აზრი მიიბრძვის და მიკისკასობს
თუ ვერ აუღო ალღო ცხოვრებას, მისი სიმძიმე ლახვარს დაასობს
სინაქერიბი განა ტლუ არი, თავის აზრს უნდა დაადოს ფასი
ის რაც ღირს ასი, გაჭირვებისას ხშირად გახდება მრავალ ათასი
თანხმობას მოგვცემს, სხვა შემთხვევაში მეც გავეცლები, დავტოვებ მარტოს

შორიდან ვნახავ ბედის სასწორი ალყაში მყოფმა ვით უნდა მართოს
ეტ–ბაალს ვთხოვდი ჩემი საცოლე ქალაქს მიიღოს და დაიფაროს
სანამ მე სარგონს მივეხმარები მმის ბანაკიდან გამოიპაროს
ურზანი შენთან წამოვა ახლავ, ჩემ არყოფნაში ხიმას თანმხლები
შეშვენის გარჯა აუჩქარებლად, შეიფერებენ გავნლილი წლები
სხვა დანარჩენი სამივემ იცით, შეკრულები ვართ აზრით და ფიცით
ჩაფიქრებულის აღსრულებისას გამორჩეული ვიყოთ სიმტკიცით

**სინაქერიბი –**

მე არც ხოს ვამბობ და არცა არას, რადგან არ ვიცი ჩანაფიქრები
ამიტომ ასეთ პასუხს მიიღებ:მე განზე მყოფი თქვენთან ვიქნები
თუ გაიმარჯვებთ, მივიღებ ჩემ წილს, თუ დამარცხდებით, ბიმას ვემხრობი
არ გაწყობთ? — ყველამ დამტოვოს ახლავ, აღარ გავხდები თქვენი
შემპყრობი.
კიდევ ასეთი: მოვითხოვ ამრი ბანაკში დარჩეს, ჩემთან შრომობდეს
ხიმა ეტ–ბაალს თან გავაყოლოთ, რათა ერთგულად საქმრო ომობდეს
თუ გავიმარჯვებთ, თანხმობას გამლევთ, ტვიროსს მეფობა ეტ–ბაალს ერგოს
მის ასულს, მმევალს შევირთავ ცოლად, ჩემთან ნამყოფი, მევე შემერგოს
სხვა რამ პირობას არ დავთანხმდები, არა ვარ ფუჭად ყურის დამგდები
ბიმას ტყუილად არ ვუღალატებ, სიმართლეს ვამბობ თუ მიმიხვდები

**ამრი –**

შენი ნათქვამი საოცარია, გამარჯვებული შენი მხარეა
რაც უფრო მეტად გიღირს სიცოცხლე, სიკვდილი უფრო მეტად მწარეა
მაშ მე რაღა ვთქვა, ყმაწვილ კაცობა, როგორც მეომარს მიტარებია
სხვის გამო ფიქრი არ მასვენებდა, სიკვდილის ლანდი თანა მხლებია
დღეს ჩვენ სხვა დღე გაქვს, სხვა გვაქვს სათქმელი, ახალს მივსდიოთ შევაქოთ ძველი
არ გავხდეთ სხვების ცოდვის მტვირთველი, არც უპოვართა ცრემლის მხილველი
ამიტომ გეტყვი, ფიქრობ ხარ ბრძენი, ენა გაქვს ტკბილი, მიმოხვრა ჭრელი
ბოლოს არ მოხდეს გაება მახეს, ხელმოცარული და ჭკუა თხელი
უმჯობესია ასე განვსაზღვროთ, მტერი ვაოტოთ, მოყვარეს ვარგოთ
სადაც წარსულში ხარობდა მტრობა, ჩვენ სიყვარულის ყვავილი დავრგოთ
დროა ეტ–ბაალს გზა დავულოცოთ, რაზეც შევთანხმდით, იმას მიხედოს
ნიშანი იცის, დაველოდებით, სხვამ სხვანაირად ვერა გაბედოს
მისი ასული დარჩება ჩვენთან, როგორც შენ გინდა, ისე მოხდება

მე ვარ თავდები, ცუდის მსურველი ჩემი მახვილით უმალ მოკვდება
სანაცვლოდ სიმა წამოვა ტვიროსს, ურზანი არი მისი მხლებელი
გმირი გმირებშიც გამორჩეული, ბევრის მნახველი და შემძლებელი
ამ ღამეს უნდა გადაწყდეს საქმე, ვინ რადა ფასობს იქ გაირკვევა
მომავალს უყვარს გზად მიმავალი, ფუჭად ლაყბობა ცუდია ჩვევა.

**/ ქალაქ–სახელმწიფო ტვიროსი. მეფის სასახლე. დარბაზში მეფე ეტ–ბაალი, ურზანი, სინაქერიბი, სიმა, ელისა და სხვ. /**

**ეტ–ბაალი –**

როცა ელი და ელათის თხოვნით ასტარტ, დაგონა, მათთან ვაალი
მსჯელობდნენ კაცთა ავსა და კარგზე აშერა[13]–საკენ ეჭირათ თვალი
მას უნდა ეთქვა კაცთაგ ან რომელს რამდენი ჰქონდა მადლი და ცოდვა
არ სჭირდებოდათ ჩვენი მიხმობა, ტყუილ–მართალი, ლაყბობა–ბოდვა
აშერას ქურუმს ხახმატის კართან მუხლმოდრეკილი დიდხანს ველოდი
როცა ღმერთების გამანდო ნდომა, მომეცა სიმხნე, გულს მოწყდა ლოდი
იმავ დღეს იყო შინ მიმავალი ფრიგიელ ვაჭარს გადავეყარე
ნაცნობობა გვაქვს წლების მანძილზე, გამოვიკითხე, გულით ვიხარე
რკინა ჩამოაქვს ხალიბებიდან, უცნაურ წესით, მტკიცედ ნაწრთობი
მელიდუსა და ხარანის[14] გავლით ბიბლოს, ტვიროსის გზაა ნაცნობი
მოვიწვიე და მომიყვა ყველა ტულგარიმიდან ვისთან ვიდოდა
ამრი და ურზან ასურს რად მოხვდნენ, აქედან ან რა გამოვიდოდა
დრო რომ გავიდა მეწვია ამრი, ყველა სავალი გზები დავსახეთ
საერთო ძალით და შეთანხმებით რას მივაღწიეთ ვცანით და ვნახეთ
ტვიროსში ახლა მე მაქვს მეფობა, დავიმსახურე ღმერთების ნებით
ასურეთს სარგონს გაუმარჯვია და სტუმრად მოდის ცხენის ჭენებით.

**სინაქერიბი –**

ასურეთს ბევრი ჰყოლია მეფე, მაგრამ მამაზე უფრო ჭკვიანი
ღმერთთა მოშიში, კაცთა მოყვარე, ავის და კარგის გამგებიანი
არვის უნახავს ან გაუგია, ამიტომ არი ღმერთი ასური

---

[13] ფინიკიელთა ღმერთები. აშერა ზნეობის, ოჯახის მფარველი. სალოცავი ჰქონდათ ხახმატში. ითვლებოდა ადონისის მეუღლედ

[14] ქალაქებია

მუდმივ მფარველობს, შემოუმტკიცა ხალებ, ხარაწი, წიპური, ური[15]
როგ ორც გამეფდა, მან დიდ ქალაქებს კვლავ აღუდგინა ძველი უფლება
ხარკის აკრეფის. და ქურუმებსაც, ვინც უნდა გვაცნონ ღმერთების ნება
ძველი დიდება კვლავ დაუბრუნა, შეჭირვებულთა ბედზე იზრუნა
მისი მცდელობა მშვიდობით მართვის ენლილ, იშთარმა[16] არ დაიწუნა

**ურზანი –**

სარგონი მართლაც ბრძენი მეფეა, ღმერთთა ინებონ მისი დიდება
ტვიროსს ჩამოვა, აზრებს გაგვანდობს, ჩვენ თავზე ზეცა გადიწმინდება
თორე, აქ ვსხედვართ, ვართ მოლოდინში, სისხლი ფიქრებით ჩამექცა ტვინში
თუ სატკივარი ჩამოვიცილეთ, ვიყავით ჭირში, რად არ ვართ ლხინში?
და ამას გარდა ხომ მაქვს სამშობლო, იქ ახლობლები მელოდებიან
მეფე მრისხანე საყვედურს მეტყვის თუ დაბრუნება მოხდება გვიან
მე ამრის ველი, ტულგარიმიდან თუ კი აქამდე ერთად ვიარეთ
ვეხმარებოდით გაჭირვების ჟამს და გამარჯვებაც გავიზიარეთ
ჰვლის როგორ შევხვდე შვილს მომლოდინეს, რა ვთქვა ასურელთ ვერ მოიხდინეს?
ძმების ჩხუბისას შუაში მოვყევთ, გამშველებლების სისხლი ადინეს?
ვფიქრობ, როდესაც მოვა სარგონი, ასურთ იმედი, მზერა და გონი
აქ გაირკვევა ყველას სავალი, შინ მისასვლელი, გამონაგონი

**სინაქერიბი –**

რასაც შენ ამბობ, შენი ფიქრია, ჩვენთვის ცხადი და ისეც ნათელი
მე სხვა მაწუხებს, ბიძის ღალატში ტყუილ უბრალოდ ჩავყავი ხელი
პირობა იყო თუ დაგყვებოდით და ეტ–ბაალი გამეფდებოდა
ელისას ცოლად მე შევირთავდი, ჩვენში მოყვრობა დამყარდებოდა
ახლა მეუფე არც არას ამბობს და არც ხო ჯერ არ გამიგონია
ქალაქში ჯარით არ შემომიშვეს, ეს მოყვრობით ქნეს, არა მგონია
ელულაი როს დაგვესხა თავზე, რომ დაგვესხმოდა ეს ხომ ვიცოდი
ამრი დავტოვე ბანაკს უფროსად და როგორც დავთქვით, აქეთ ვიდოდი
მაშინ ვფიქრობდი ქალაქის კარებს ტვიროსელები ფართოდ გახსნიდნენ
შემოვიდოდი მშვიდობის მცველად, ამ მოტყუებას ვერაფრით ხსნიდნენ

---

15 ასურეთის სამეფოში შემავალი ქალაქები

16 ასურული ღმერთები

მას შემდეგ ვდგ ავართ გ ალავანს გ არეთ, ასურელები როგ ორც ვიდექით
ამიტომ არი ტვიროსელები ჩვენ გ ვიყურებენ კვეხნით და ბრექით
ეს მაშინ, როცა ტაბალთ ნაწილი, ვინც აქეთ მახლდა, ქალაქს შეუშვეს
დაცინვით მიტომ მეჭურობა ურზან, მისმა მხლებლებმაც თავი აუშვეს
გ არკვევით ვითხოვ, დაუყოვნებლივ, უნდა აღსრულდეს ჩვენი პირობა
მაშ ელულაი რატომ მოვკალი, გ ამოვიჩინე ვისთვის გ მირობა?

**ეტ-ბაალი –**

სასყვედურო თითქო გ აქვს მართლაც, ჩემი მეტოქე შენ მომაშორე
სამეფო ტახტი ათავისუფლე, ჩემი აღმართი შენ გ აასწორე
ამავ დროს, როცა გ ავხსენ კარები, მხოლოდ ტაბალებს მივეც უფლება
ტვიროსელებმაც არ დაუშალეს სასახლეს მისვლა და დაუფლება
ესა ასე მოხდა და არა მიტომ არ გ ენდობოდი და არა მწამდი
ასული მმევლად როცა დავტოვე, მაშინ ამაღლდი ჩემთვის ზეცამდი
შენ ჩემთვის სხვა ხარ, სხვაა ის ჯარი, რომელიც წლობით გ ვემუქრებოდა
დაბოღმილები ქალაქს შემეშვა ვინ იცის მერე რა მოხდებოდა
რაც შეეხება ტაბალ მეომრებს, ხომ არ არიან ისინი მტრები
თანაც იმდენი, რომ სასახლისთვის შემოელეწათ მძიმე კარები
მათ სათავეში ურზანი იყო, ვინაც იცოდა ჩვენი მიზანი
ქალაქს არ ვავნე, ტახტი მივიღე, რატომ გ გ ონია საქმე უგ ვანი?
შენც ხომ ტაბალებს მოუმღვებოდი, ენდობოდი და ერთგ ული ჩნდოდი
ნუთუ იმიტომ, შედეგ ს ნახავდი, მერე საყვედურს აქ მოუყვებოდი?
რაც შეეხება ქორწილის საქმეს, სარგ ონი მწერს და მეც ვეთანხმები
მას სურს წინასწარ ნახოს ელისი, შეთანხმებული რომ გ ვქონდეს ხმები
დილიდან ველი სასურველ სტუმრებს, სარგ ონისაა ასე სურვილი
ამრისთან ერთად მოვიდეს დარბაზს, აქვე მოვიკლათ ნახვის წყურვილი
აქ გ ადაწყდება სარგ ონის პირით, ვის შესვავს რაშზე, ვინ ივლის ვირით
ვინ გ ანადიდა მისი სახელი, უდნა ემიოს ვინ სხვა ნაპირი

**ხინაქერიბი –**

გ ასაგ ებია, ამდენ ხანს თურმე მენდობოდი და არც მენდობოდი
მე კი მეგ ონა იყავ ერთგ ული, ამ ორპირობას ვერა ვხვდებოდი
აბა დაფიქრდი, მეც ხომ შემეძლო თქვენი ღალატი და დამიწება
ელულაისთან მტკიცე კავშირი, გ ინდა მტკცება ან დაფიცება?
შენ კი რა ჰქენი, სანამ ვომობდი, სამსიე საზღვრებს გ ადააცილე

სამარია-სკენ უჩვენე გეზი, ჩემთან შეხვედრას კი ააცილე
რა გამოვიდა? შენ ჩემით მეფობ, მე დაპირებულს მედავებიან
ერთობით უნდა გვემართა საქმე, შედეგს რომ ვხედავ ერთობა ჰქვიან?

**/შემოდიან სარგონი, ამრი და ბერო-სი/**

**სარგონი –**

კაცის ბუნება ცვალებადია, ყველა უნდება, რასაც უყურებს
თუ თვალს მიენდე, არა გონებას, გულს აუჩქარებს, ტვინს გაუხურებს
ცოტა ხნის წინათ ვიყავ ხიფათში, სიკვდილი ჩანდა მისი შედეგი
სალმანასარი არ მაცოცხლებდა, სინაქერიბი იყო შემდეგი
ღმერთთა კარნახით, საერთო ძალით, ბედის ურემი წაღმა წავიდა
სიკვდილის ნაცვლად მერგო მეფობა, რატომ დავიწყო ომი თავიდან?
შენ ჩემო შვილო, გახდი მემკვიდრე, როცა მოვკვდები, ტახტი შენია
ასე იოლად და უდარდელად, ქვეყნად მეფობა ვის დარჩენია
ტვიროსთან იყავ ალყის მოთავე, ასე დღეები რამდენი თვალე
ღმერთებმა ამრი გამოგვიგზავნეს ძმად და დის ქმარი გახდება მალე
შენ კი ეტ-ბაალს დაემოყვრები, ასურეთს ზღვიდან მისცე სავალი
ასეთი ბედის კრულვა არა ღირს, მოთმინებაა ამოსავალი.

**სინაქერიბი –**

ამრის არ ვკიცხავ და არც ვემდური, თუ ვინმე იყო სიტყვის ერთგული
ეს მასზე ითქმის, მისი სახელი, საყვედურისგან არი დაცული
არც იმას ვიტყვი, რომ არ ვეჭვობდი, თვალდახუჭულად მაქვს მისი ნდობა
და ჩანაფიქრიც არ მაეჭვებდა, მტერმა სად იცის მტრების დანდობა
ყველა ტაბალი ჩვენი მტერია, მაგრამ მოკეთეც გამოერია
ახალგაზრდაა, შეზძლო იმდენი, საკუთარ თავსაც კი მოერია
როდესაც თავის გეგმა გამანდო, მოგზავნილი ან გიჟი მეგონა
ბევრი ვიფიქრე, მეთქვა უარი, აღარ ვიცოდი რა მომეგონა
ბოლოს დავყევი და გავიმარჯვეთ, მაგრამ ეტ-ბაალს მაინც ვემდური
სიტყვა მომცა და არ შეასრულა, გატეხა ცუდად საერთო ჭური

**სარგონი –**

აქ ჩამოვედი არა იმიტომ შენი ჩივილი რომ მოვისმინო
უნდა შეგეძლოს შეჰკრა კამარა, მწყერს დაედევნო, როგორც მიმინო

ელისა შენი ბედის მწყერია, ჩემი თანხმობა მამის პირობა
ქორწილს გადვიხდით, ქალს ჩაიბარებ, არ დაგჭირდება დიდი გმირობა
მე უფრო ამრის ბედი მადარდებს, მამამისს როცა სიტყვა მივეცი
შესრულებაზე მეთქვა უარი, კაცი ვიყავი და არა მხეცი
ამრიმაც თავი გამოიჩინა, გზა დასახევი არ დამირჩინა
ყველა პირობა დამიწყო წინა, არც დამამინა, არც დაიმინა
სალმანასარს რომ მოუღო ბოლო, უეჭველ სიკვდილს გადამარჩინა
მომეპყრო როგორც მამას და მომმეს, პატივი მცა და არ მაწყენინა
ახლა ჩემზეა სიტყვა პასუხი ასულს გავატან თუ ვეტყვი არა
არა მჩვევია სიტყვის მიცემა, მერე გატეხა, თან წარა-მარა
გუშინ შევიტყვე ჰვლი გარდაცვლილა, სამეფო დარჩა მეფის გარეშე
რა მოხდა ზუსტად მინდა ვიცოდე, მოენეები მიტომ დავგეშე
ამრი ვიახლე, მაგრამ დიდი ხნით იქ არ გამოჩნდეს, არ შეიძლება
მეფის ატანა თუ გვემძიმება, უმისოდ გვიჭირს ერთ დღეს გაძლება
ტულგარიმს ვიცი ჰვლის რომ გლოვობენ, ამრის ელიან თვალის ცეცებით
დრო თუ გავიდა, ამრი არ მივა, გაუჭირდებათ გაასკეცებით
მის ტახტს რომელი არ მოინდომებს, რას იფიქრებენ მითა და ურსა
მოღალატენიც აიშლებიან, იმედის სიტყვა თუ მოხვდათ ყურსა
ამრი სასწრაფოდ უნდა გაბრუნდეს, თან გაიყოლოს ჩემი ასული
არ დაუცადოს საჩუქრებს, მზითებს, დიდი დრო არი ისეც გასული
ჩვენ ბევრი რამ ვთქ□ვით, ბევრზე შევთანხმდით, ჩვენი აზრები გარკვეულია
რომ მომავალში ერთობით ვანვლოთ, რაც დღევანდლამდე გაკვლეულია
ჩემი ასული თუ შეიფერა, ჩრდილოეთიდან თუ მომცა მხარი
ერთად დავლახავთ ყველა სიძნელეს, რაც გვაქვს საფიქრი და საწუხარი
სანაცვლოდ ასულს მზითევში მივცე ღვთით კურთხეული ჰულაკუს[17] მხარე
რაც არ ჰქონიათ ტაბალებს წილად საამაყო და გულ გასახარე
ჰულაკუს ფლობა საამაყოა, მას ავი მზერა ვერ შეეხება
სიძემ იხაროს მისი სიმდიდრით, როგორც მე სიძე მეამაყება

**ქურუმი ბერო-სი –**

ღმერთთა სურვილი, რასაც ციმციმით ქურუმებს ამცნობს ზეცით ვარსკვლავი
კაცთა ბედ-იღბალს წინასწარ საზღვრავს, როდის ტკბილია და როდის ავი
სალმანასარმა ვერ გაიგონა წინასწარმეტყველ ნაუმის თქმული
ბრძენი დაღუპა, თავიც დაღუპა, ცოდნის ტაძარში გაავლო ღრმული

[17] ჰულაკუ – კილიკიის ასურული სახელწოდება

ის, რაც მე მითხრა, რაც შენ გაგანდო და მიგვანიშნა ჩვენ ამრის წილად
თავადაც ხედავ უკვე სრულდება, რაც დღეს აქ მოხდა და მოხდა წინათ
სარგონ, ხარ ბრძენი, ამ დიდ ცვლილებებს ხვალ რა მოჰყვებ თავად მიხვდები
არი ნიშანი, რაც სხვამ ვერ შეძლო, ამრისთან ერთად მალე მიწვდები
მაგრამ რაც ითქვა ოთხ სამეფოზე, არვის ეგონოს აზრის გართობა
ზეცას წერია და აღსრულდება, თუ არ იქნება თქვენში ერთობა.

* * *

იმ პერიოდში, როდესაც ამრი სარგონის მოკავშირე და სიძე გახდა კავკასიის სამეფოებისათვის დაიწყო მძიმე პერიოდი. იბერიული ტომები (ტაბალები- ასირიულად, თობალ-თუბალები ბიბლიის მიხედვით), რომლებიც ურარტუსა და ბიტ ბურუტას სამეფოებს ქმნიან კოლხები და კასკები (მესხები რომელთაც დიდი და მცირე ფრიგია ეკუთვნოდათ) ჩრდილოეთიდან შემოჭრილი კიმერიელების მიერ იქნენ განადგურებული. 715 წ. ძვ.წ. კიმერიელებმა ურარტელები დაამარცხეს მდ. მტკვრის (მდ. კორის) სათავეებში. დასავლეთით მათ ქ. სინუპეს (ლაზურად სინ-წყალი, უპეშეჭრილი ადილი) უწიეს. სამხრეთით ასურეთის მძლავრი სამეფო მოსპე და ეგვიპტემდე მიაღწიეს.

კიმერიელთა ნაწილმა იბერიულ-ტაბალ მოსახლეობასთან შერევის გზით საფუძველი დაუდო სომეხი ერის ჩამოყალიბებას. სომეხ ისტორიკოსთა შეფასებით პროცესი ძვ.წ. VI ს. ოთხმოციან წლებში უნდა დამთავრებულიყო. ეს იყო ტრაგედია ერისა, რომელიც თავს მითოლოგიური მამამთავრის თარგამოსის (თარგომ-ის) უფროსი ვაჟის ჰაოსის (ჰაიკის) შთამომავალს უწოდებს. ისინი იბერიული ტომების საცხოვრისის სამხრეთს ფლობდნენ და შეიძლება აქედანაც მოდიოდეს სომხების (სომხეთელების) ქართული სახელწოდება.

კიმერიელთა მიერ ტაბალთა ცალკეული ტომების ასიმილაციამ განაპირობა სომხური ტიპის ერის ჩამოყალიბება. რათა მართებულად იქნეს გაგებული ეს რთული საკითხი, უმჯობესია არა ქართველი ისტორიკოსების მტკიცებულებას მივმართოთ. ცნობილი მეცნიერი დ. ანუჩინი / Анучинь Д.Н. Армяне в антропологническом и георафичеком отношении М., 1898 / მივიდა ასეთ დასკვნამდე: «Таким образомь, по крайней мере в восточной части Малой Азии,

брахицефалический армянский тип следует считать позднейшим, пришлим, вторгнувшимся в область типа долихоцефалического» с.9. ამ მტკიცებულების თანახმად სომხური მოსახლეობა იბერიელების საცხოვრებელ არეალში გვიან ჩნდება, იმკვიდრებს ადგილს და იწყებს მეზობელი ტერიტორიების დაპყრობას. იგივე დ. ანუჩინი ამ პროცესს ასე ასახავს: «... из Фригии армяне перешли в центр Малой Азии и заселили Каппадокию и Киликию... Отсюда они распространились в равнины по течению Тигра... пошли затем на север и северо-восток, вытесняя туземное население понтийских халдов и овладели, наконец, столицей последних, Тушла-Ваном. Халдийские (ванские) цари страны Урарту Вынуждены были перенести свою резиденцию в долину Аракса... Таким образом, армянам удалос утвердиться в так называемой Армении только после долгой, упорной борьбы с племенем Урарту или понтийскими халдами, - племенем, язык которого еще не выяснень, но в котором есть некоторыя основания предпологать прародычей картвельского или грузинского племени» с. 11.

დ.ანუჩინი, ცდილობს ობიექტურად გააანალიზოს სომხური მოსახლეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მოძრაობის პროცესიდა მიდის ასეთ შედეგამდე: «Движение армянь на северо-востокь, изь Малой Азии в Закавказье, продолжалось, как известно, и в историческую эпоху, и особенно выразилось в нынешнем столетии, - именно: в эпоху турецкой войны 1829г., затем последней русско-турецкой войны 1829г., затем последней русско-турецкой войны 1877-1878гг. и наконец последних турецких зверствь в. 1896г.» с. 11-12.

დ.ანუჩინს არ შეეძლო, ხოლო თანამედროვე არა ქართველ ისტორიკოსებს არა სურთ ხაზგასმით აღნიშნონ ის ისტორიული რეალობა, რაც იბერიული და სომხური მოდგმის ურთიერთობაში არსებობდა. კერძოდ ის, რომ თარგამოსიდან მოყოლებული საზღვარი ქართველებისა და სომხების წინაპრებს შორის გადიოდა მდ. არაქსზე. სომხებმა მხოლოდ ალესანდრე მაკედონელის დროს სცადეს არაქსის აქეთა მიწების მიტაცება, მაგრამ ფარნავაზმა მალევე აღადგინა ძველი საზღვარი. მდ. არაქსზე გადიოდა საზღვარი ვახტანგ გორგასლის დროსაც. სპარსელებ-

ის, არაბების, თურქების, მონღოლების შემოსევებმა შეუწყო ხელი, სომხური მოსახლეობის სწრაფ განფენას, იბერიულ-ქართველურ ტომთა ტერიტორიებზე. ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციის, პროცესი ხელოვნურად იქნა დაჩქარებული რუსეთის მიერ. 1829წ-დან მოყოლებული სომხები კომპაქტურად სახლდებიან ახალციხე-ახალქალაქის ტერიტორიებზე. 19ს ბოლოს მათი რაოდენობა 197 ათასამდე იზრდება, რაც საქართველოს მოსახლეობის 10,3% შეადგენს, ხოლო 1917 წლისათვის 280 ათასს აღწევს. ამრიგად, თუ 1801წ ქართველები ქვეყნის მოსახლეობის 79,4% შეადგენდნენ, 1917 წლისათვის მათი ხვედრითი წილი 67,2%-ე შემცირდა.

მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა ქართველ-სომეხთა 1918 წ. ნოემბერ-დეკემბრის კონფლიქტის შემდეგ. სომეხმა მოსახლეობამ საქართველოდან წასვლა დაიწყო.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს განმეორებითი ანექსიის შემდეგ კვლავ ჩქარდება და 414,1 ათასამდე (11,7%) ადის სომხების რაოდენობა საქართველოში. ვ.ლენინის მიერ შექმნილმა კომისიამ მიასნიკოვის მოთხოვნით და ბელადის მითითებით, ლორე-ალავერდი სანოინოს ტერიტორიები (20 კმ სიგანით, საზღვრის გასწვრივ), რომელიც 1920 წ. ანტანტამ საქართველოს შემადგენლობაში აღიარა, გადაეცა სომხეთს. ამას დაემატა ის, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი - ამიერკავკასიის ბანკად გადაკეთდა და შესაბამსიად იქ არსებული მარაგი გადანაწილდა. ყოველივე დაგვირგვინდა იმით, რომ რუსეთიდან გამორეკილი, მოშიმშილე სომხები (250 ათასი), რომელთა მიღებაზე აზერბაიჯანმა და სომხეთმა უარი თქვეს (ეს იყო სომხური პატრიოტიზმი?) საქართველოში ჩაასახლეს. საქართველოს ხელმძღვანელობა კი, რომელთაც ასევე არ შეეძლოთ ამდენი სომეხი ლტოლვილების მიღება, ნაციონალ-უკლონისტებად დანათლეს და მათ წინააღმდეგ რეპრესიებსაც არ მო ერიდნენ.

სურათი ასეთია: სომეხი მოსახლეობის (და არა მხოლოდ მათი) რაოდენობა იბერიული ტომების არეალზე იზრდებოდა ქვეყნის დამაქცეველ მტერთა წარმატების შესაბამისად და მათივე დახმარებით, შემდეგ კი აღწევდნენ დაკავებული ტერიტორიების მიტაცებას.

როგ ორია მდგ ომარეობა დღეს? რა მოხდება ხვალ?

# აჩძაბი



308წ. ჩ.წ.ა.

/მთაზე აღმართულია არმაზის, გა-ს, გაცი-ს კერპები. არიან მლოცველები. ისმის ჰიმნი/

ჰერიოს...
ჰერი... ჰერი... ჰერი...
ჰ ე რ ი ო ს
ჰერი... ჰერი... ჰერიო...
ჰ ე რ ი ო ს
ჰერიო... ჰერი... ჰერიოს...
ჰერიოს... ჰერი... ჰერიო...
ცეცხლოვან ეტლს ზე აჯენებ
შენ დიდებას ვმღერიო...
მოსავალი გამიმრავლე
გამიწყვიტე მტერიო...
ჰერიო... ჰერი... ჰერიოს...
ჰერიოს... ჰერი... ჰერიო...
შენ არაგყავს მტერიო
უღრან ზეცას შუაზე ყოფ
გამითბე სამზერიო...
ჰერიოს... ჰერი... ჰერიო...
ჩემი მოსაფერიო
სხივთ ისარი უკუნს ტყორცნე
შენი შესაფერიო...
ჰერი... ჰერი... ჰერიოს...
ჰერიოს... ჰერი... ჰერიოს...
ცეცხლოვან ეტლს ზე აჯენებ
შენ დიდებას ვმღერიო...
ჰ ე რ ი ო ს!

**ჟამთამროველი**___

დრონის ტრიალით ასე დასრულდა, აქ ბატონობა ძველი ღმერთების
რისხვა-წყალობის, წირვის და მარხვის, მათი გათიშვის და შეერთების,
ჰაუ, რამხელა გზა გაიარეს საჰელაზგოდან ურმიის ტბამდე:

იბერიიდან იბერიამდე და ევფრატიდან ლაკთა საზღვრამდე,
როგორ იცვალნენ. დღეს ვისღა ახსოვს დეომიწა და უღრანი ზეცა,
დრონმა წაიღო მათი ხსენება, კრონი შვილებსაც კი ექცა მხეცად.
დღეს ვისღა ახსოვს მოსხოს მთის წვერზე პრომეთემ ცეცხლი ვით მოიტაცა,
მოკვდავნი ამით ვით განადიდა, ვით განარისხა მიწაც და ცაცა.
მეხთამტეორცნელი როგორ გამეფდა და ჩვენ როგორი გზებით გვატარა,
მალზე დიდია ნაფიქრ-ნატანჯი და სიხარული არი პატარა.
აქაველებმა რა დღე გვაწიეს, აღმოსავლეთით როგორ წაგვწიეს,
საპელაზგოში ჩაგვიქრეს კერა, ბანი დაგვამხეს და დაგვაქციეს.
რამდენჯერ იყო ეოლელები, იონელები, გვიტევდნენ წლობით,
ყველას აჯობეს დორიელებმა იბერთა სისხლი შეხვრიპეს გობით.
მათ გამოიყო ღმერთების წყრომა, ზღვის გარდი-გარდმო მიხდომა-ბრძოლა,
ხეთა სამეფოს დაქუცმაცება, მუხანათობა, შური და მრწოლა.
ძველი ღმერთების ახლებით შეცვლა, ძველის მაგება, ახლების ქება
იმდენი ვინმეს წასვლა-წამოსვლა, წესი და რიგი არ გაიგება.
კრეტას კუბელე, ხეთას კუპალა, ჩვენთან კოპალედ გადიქცა ბოლოს.
ჩვენი ტაროსი, ხეთას ტაროსი, ორივე ცდილობს ზევსს მიეტოლოს
და თუ ღმერთებმა იცვალეს სახე, თან თაობათა ჰქონდათ ცვლილება,
რად გაგვიკვირდეს კაცთა ფერის ცვლა, მცირეა მათი გამოცდილება.
დრომ მოიტანა, კიმერ-ხაზარნი, გიმრებს ეტყვიან ასირიელნი,
შემოესიენ იბერ-კოლხებსა გაუმაძღარნი, მშიერნი, ხელნი,
მათ იავარყვეს ყველა ქალაქი, მოსპეს თუ სადმე რამე გვებადა,
ის, რაც ტაძართა იყო ჩუქურთმა, აღარ ივარგებს აღარც ქვებადა.
ბოლოს აზონ ქნა საკეთებელი, ძველი ღმერთების ნაცვლად ახალი,
გაცი-გა-ემი არმაზს წამოსხა, დაგვმართა საქმე თავში სახალი.
არიან ქართით მოასხა ბევრნი, მცხეთა აავსო არიანებით,
მტკვრის და არაგვის გაღმა-გამოღმა იმძლავრა ათას ნათესავებით.
სისხლი დაღვარა, არ გაგვახარა, სჯიდა სასტიკად და წარა-მარა,
სანამ ჰადესმა ცოდვილი სული სამუდამოდ არ დაასამარა.
დღეს სულ სხვა დღეა სასიხარულო, იხარე გულით ყველა ბედკრულო
მე ღმერთებს შევთხოვ, ფარავდნენ ფარნას, რომ დაწყებული მან გაასრულოს.
დღეს მისი სახე — კერპი არმაზის, როგორც ვაშლია ვაშლის ნახაზის,
აქ აღმართულა ოქროში სხმული, ტანზე ძვირფასი ქვები თან აზის.
ჩვენც შევუერთდეთ ამ დიდ სიხარულს, არმაზს წყალობა ქვეყნად ვეაჯოთ,

ქინი მოვიკლათ თავისუფლების, როგორ რა იყო, მერე განვსაჯოთ.

**ჰურიათა მოძღვარი** —

ჰატივს მივაგებთ სხვა ერთა ღმერთებს, ზოგ ისთვის ბევრებს, ზოგ ისთვის ერთებს,
იმათი ნებით დავდივართ ქვეყნად, მათი ბრძანება ყველას გვაერთებს
და მაინც მიკვირს იბერთა მოდგმას, მრავალზე ბევრი რომ გყავთ ღმერთები:
ჰელაზგ იური, ხეთურ-ბერძნული — შერეული და შენაერთები.
ჩვენ ჰურიებმა, აბრამის მოდგმამ, ერთი ვიწამეთ, მივეცით ფიცი
და იმას მერე მის კვალზე დავალთ, არა გვჭირდება ბევრის ლაციცი.
სამასი წელი გასრულდა უკვე, რაც ჰურიტები მცხეთაში ვსახლობთ.
ნათქვამი ფიცის ვართ ერთგულები, სხვას არ ვღებულობთ, ვმოყვრობთ და ვმმახლობთ,
თქვენ რა გაგიხდათ, რომ ღმერთებს იცვლით, როგორც იცვლება ქვეყნის მმართველი?
ყოველ ღმერთს უნდა თავის ტაძარი, ოქროთი მერწვა, იმათი მცველი,

**ქამთა მროველი** —

მოძღვარი ხარ და კიდევაც გმართებს, ვისაც ლოცულობ, იმას იცავდე,
სად გაგონილა, ხიდთან მისული, სანამ გადახვალ, მანამდე წვავდე?
შენ ნუ შეადრი შენს ღმერთს სხვის ღმერთებს, ვინ როგორ ფიქრობს ისე ირჯება
ვინც მკრეხელობას იოლად სჩადის, თავს გაიწამებს და დაისჯება.
ჰურიათ მოდგმა სხვაგვარად მსჯელობს, ღმერთმა სხვაგვარი გზებით ატარა,
დიდი გაქვთ ცოდვა, მცირე სიკეთე, თქვენი სასჯელი არი ჰატარა.
აბრამის მოდგმამ, აღქმული მიწა, სიკვდილის ცელით მოინადირა,
მოხუცი, ქალი, ბავშვი ყოველი, ორასი წელი ხოცა, ატირა.
ფილისტიმნელებს ეტყვით იმ ტომებს — დანუნებია თუ ზაქარები,
ნათესავნია იბერთა მოდგმის, თქვენ დაულეწეთ იმათ კარები.
თქვენ არ დაინდეთ თქვენივე ჯიში, რადგან არ გქონდათ ღმერთების შიში,
ამიტომ არის, ყველა თქვენ გმტერობთ, ყველგან თქვენია მოთქმა და ვიში.

**ჰურიათა მოძღვარი** —

მე ერთი გკითხე, შენ თქვი მეორე, ვინ გაარჩიოს მრუდე და სწორე?
ერთ ერს ეყოფა ერთი უფალი, თქვენ რად ააგეთ ღმერთების ყორე?

**ქამთა მროველი** —

მიგანიშნე და შენ ვერ მიმიხვდი, არ მსურდა მეთქვა სიტყვა საწყენი,

ეტყობა, უნდა გამოიდინო, თუ რამ სისხლია გამოსადენი.
ჩვენ გავჩნდით ქვეყნად, როდესაც გეომ ახალ-ახალი შობა მიწები,
ატლანტიდიდან იბერიამდე ათასი წლებით გავკვალეთ გზები,
დიდხანს ვიცხოვრეთ საპელაზგოში, დაიკარგება ეს ზომა დროში
ახალ თაობის მრავალი ღმერთი იქ მოგვევლინა ჭერას საშოში.
იქიდან მერე ვიარეთ აქეთ, სად მოგვეწონა, დავსახლდით, ვაქეთ,
მაღალ მთებს როცა დავადგით ბიჯი, მიმოვიხედეთ, სხვა ვერვინ ვნახეთ.
ახლა იფიქრე: ამ ათას წლობით რამდენი იყო და აღარ არის,
შუა გაიყო მრავალი ტომი და შეეცვალა ბევრს გზაში მხარი.
ამიტომ არის ტომთა საფიხვნო ღმერთთა სიმრავლემ არ გააცია,
ხმაური მუდამ სიმრავლემ იცის, მდუმარე მუდამ მარტო კაცია.

**ჭურიათ მომღვარი —**

გასაგებია, მრავალი ტომი თუ ერთი ურთში გადაირევა,
მათი ღმერთებიც კერას შექმნიან, სხვისი შენისგან ვერ გაირჩევა,
მაგრამ თუ მოხდა, ტომთა სიწმინდე ბელადებისგან იქნა დაცული,
მაშინ ხომ აღარ გეყოლებოდათ ამდენი ღმერთი ყავლაგასული?

**მითრიდატე სინუპელი —**

მეც მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა, ავი და კარგი ჩვენც გაგვეგება.
ძლიერი მუდამ თავისას აღწევს, სუსტს არც უნდოდეს ქვეშ გაეგება
ჭურიტთა მოდგმა, მე ასე მესმის, ერთ ღმერთის ირგვლივ არის შეკრული,
სისუსტე არის ამის მიზეზი, ცხოვრებაცა აქვთ მიტომ ბედკრული.
მწირი ცხოვრება სამირკველია, ზედ დაშენდება აზრები მწირე,
გონიერს უნდა დიადი სივრცე, უგონოს სივრცე ეყოფა მცირე.
ჩვენ ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები თუ მაკრონები
იბერიული ჯიშის ტომები, გამრავლებულნი ღმერთების ნებით,
ერთად მოვდივართ საპელაზგოდან, ჩვენი მახილი ზღვიდან ზღვას წვდება.
მანძილმა იცის გულით სიშორე, ასედაც ხდება თუ ვინმე ხვდება.
კუნძულ ევბეას სოფელ ხალიბეს იყო ხალიბთა პირველი კერა.
იქიდან აქეთ ისე ვიარეთ კუნძულს ვერ წვდება დღეს ჩვენი მზერა.
ასეთ დროს, რაღა საკვირველია, გასავლელი გზა რაც რომ გრძელია,
სახელისა თუ საქმის ერთობა კვლავ ერთი იყოს, მალზე ძნელია.
თქვენ ერთი კერის განაყარები, ვის ერთი გქონდათ სახლის კარები
მამის და პაპის ერთ ღმერთს ლოცულობთ, ერთისთვის რეკავს თქვენი ზარები.

თან უბედობამ ისე გაგტანჯათ. ვრცელი ეგვიპტე შემოგატარათ
შემდეგ ბაბილონს მოხვდით მონებად, ათასწლეულმა არ გაგახარათ.
თქვენ თქვენი ღმერთი დაგდევდათ ყველგან, იქ გიფარავდათ სადაც იარეთ.
არც ერთს სამკვიდრო არა გქონიათ, ერთ ურთის ბედი გაიზიარეთ,
ამიტომ ვერსად უგებდით ტაძრებს, აღმართეთ კერპი, დაუდგით ხატი,
არავინ იცის, იმისი სახე, არავისა გაქვთ გულს დანახატი.
ჩვენმა წარსულმა სხვაგვარ ინება, ჩვენი საუფლოს გამობრწყინება:
ღმერთთა სიმრავლე და სიძლიერე, ვერვინ გაბედოს მათი გინება.
საპელაზგოდან მოგვდევს ნაწილი, ნაწილი ჩვენგან იქით ვიდოდა,
ოლიმპოს სახლობს ყოველი ერთად, ზევსის გვერდით აქვთ საერთო ოდა.
განა, აპოლონ კატაონელი კაპადოკიას არ დაიბადა
და დიონისემ დიდი ფრიგია არ გაიარა ოლიმპოს გზადა?
ღმერთების მეფე, მეხთა მტყორცნელი, დაბადებიდან არის კრეტელი,
არტემიდეა თუ აფროდიტე, აღზრდას ატყვია ხალიბთა ხელი.
ახლა, ასე ვთქვათ, ზევსი თუ მზესი, ისე იტყვიან, როგორც აქვთ წესი,
ჭექა-ქუხილის საქმეს განაგებს, დასჯა-წყალობის აქვს განაწესი.
დარდანელს აქვთ ზევსს ვარქვით ტაროს, თუ წარბებს შეჰყრის ჭექავს და ელავს
მის ნებაზეა ამინდის შეცვლა, მის დამახილზე სპერის ზღვა ღელავს.
მცხეთაში მეოფსაც მომისმენია, – როგორ იქნება ხვალე ტაროსი.
ჩვენ სახელს ვუცვლით და არა საქმეს, შემოქმედია ვინც სამყაროსი.
ზევსს ქალიშვილი თუ ჰყავს ათენა, ათენგენობას სწირავენ ზვარაკს.
ვინც მოისურვებს ხშირად მოისმენს, ტაროსის ასულ ყამარის არაკს.
რომელი ერთი კიდევ მოვთვალო, რომ სიტყვით პირი არ ავიმერალო?
სინუპედან ვარ მე ჩამოსული, იქ მაქვს აკვანი, კერა და კალო,
ხედავ, ვსაუბრობთ ჩვენ ერთ ენაზე, თუ რამე ითქვა სულ ყველა გვესმის
ცალკეულ სიტყვას თუ შევაბრუნებთ, უცხო ლახვარად გულზე დაგვესმის,
ჩვენში ზადენი დიდი ღმერთია, აქაც მინახავს კერპი ზადენის.
კოპალე ჩვენთან კუპალე არი, ასეა ენის გამონადენი.
მთვარის ღმერთია იქით არმაზი, აქაც არმაზის გორაზე ვდგავართ.
ბევრი ვართ ტომნი, ბევრნი გვყავს კერპნი, სიტყვით და საქმით ერთმანეთს ვგავართ.

**ჰურიათა მოძღვარი**

ღმერთთა სიმრავლე, მრევლის სიჭრელე დაბლა სწევს ერის ერთიანობას,
თქვენში ყოველი საკუთარს იცავს, არად მიიჩნევს მოძმეთა გრძნობას.

მრევლის სიჭრელე საზღაურს ითხოვს, თქვენ მაგალითზე ნათლად ვიგრძენი,
ცხოვრების ხაზი შვილებს უჩვენებს მამათა შორის ვინაა ბრძენი.
სადაც არ უნდა იყოს პურიტი უფლის ერთობით ერთობას იცავს
კერპთა სიმრავლით აბნეულებმა თქვენ კი არ იცით ვინ, სად, ვის ფიცავს.
დღეის სიმრავლე რა ბედენაა, თუ ვერ შემატებ მომავალს ძალას
თუ არ შეცვალეთ ცხოვრები გეზი დაემგვანებით შეკონილ ჩალას
ასე დაკარგეთ საპელაზგიო, ორივ ფრიგია, პაფლაგონია,
ვანის მიდამო, არიარატი, რომელსაც ფლობდით,-გამიგონია
ვანი დაკარგეთ, მერე სე-ვანი, მერე რიგშია თაფარა-ვანი
ერთობა გინდათ ყოველი ხანი, ესაა წინსვლის ანი და ბანი.
იმის თქვა მინდა, არ გსაყვედურობთ, რომ განამტკიცოთ დღეის ერთობა
ოთხი თაობის ღმერთნი დაამხეთ, ბევრ ახალს უნდა, ვხედავ, ღმერთობა.
გაცი, გა-ემი, ხომ ახლებია, აზონმა დასხა არიანთ წილად
ზადენს, კოპალეს, ტაროს, ლომისას არ ერგებიან ესენი შვილად.
არიანების დიდი კერპები თქვენში მძლავრობენ ფესვგადგმულები
არიანებიც მრავლად ჩასახლდნენ კერპთაგან სიმხნე მოცემულები
ერთად დატოვეს მამათა კერა, ერთად მომართეს მცხეთისკენ მზერა
ძალა შესწევდეთ იქ დარჩებოდნენ, რად გაიმწარეს მით ბედისწერა?

**ჟამთამროველი**

შენ მართალი ხარ როდესაც ამბობ აზრის ერთობა ერთობას ბადებს
მაგრამ ყოველი, განა, ისე იქს, როგორაც იტყვის და გააცხადებს?
ხშირად ერთია გონების ძაფი, ფიქრი ფიქრს შეცვლის მძაფრი და სწრაფი
შემდეგ, როდესაც იწყებ კეთებას ვაკის ადგილას გხვდება ქარაფი.
თქვენ, პურიტებმა, სწორედ განსაზღვრეთ, ერთ ღმერთს მიენდეთ, მეარად მიჰყვებით
მაგრამ თუ მოგცათ ისეთი შვება, როგორც დააწყეთ გულში ფიქრებით?
თქვენ ისე მოკლე გიჩანთ წარსული, გონებას ახსოვს დრო გადასული
ზეპირად იცით აბრამის შემდგომ ვინ ვისი მეა და ვინ ასული.
იბერთა მოდგმა ისე ძველია, ისე ვრცელია, ისე ჭრელია
ერთობის გრძნობა რომ კიდევ ფეთქავს სასწაულია, საკვირველია.
ძირძველ იბერებს ჩვენ ვეღარცა ვცნობთ რა ქნეს, რა დარდი გაიზიარეს
აღარც ის ვიცით ვინც დაიფანტნენ, რომლებმა რომელ გზებით იარეს.
ჩვენ მხოლოდ სხვისგან გაგვიგონია იბერიელნი, ალბანელები

თესალიაში მკვიდრობდნენ დიდხანს, იქ დაუმარხავთ წინაპართ ძვლები.
მითრიდატემ თქვა სინუჰიელმა რომ ევბეადან არი მირობით
ახალ მიწებზე როგორღა მოხვდნენ, ვისი წყალობით, რისი ჰირობით?
მათი ნაწილი რვაასი წლის წინ ასირიელთა დიდმა ბატონმა
ვანის ტბის იქით გადაასახლა, ასე გაუჭრა დამპყრობელს გონმა.
ნაწილი მოხვდა მწვერვალთა იქით, ბევრი განსახლდა კილიკიამდე
და თუ არ ვიცი ხარ განაყარი, როგორღა მომთხოვ მიყვარდე, მწამდე?
ჩვენ დამწერლობაც ძველი, კოლხური, კრეტას ნაძერწი, ჩამონაწური
კირბიშებში ჩამოხატული, კორიბანტების ფიქრთა ნაჟური
დაკარგული გვაქვს და აღარ ვიცით აიეტს ჩვენთვის რა უწერია
რა გზით უვლია იბერთა მოდგმას, რა უდარდია, რა უმღერია
ამიტომ არი, რომ ფარნ-არმაზმა ახლად ააწყო ძველი მძივები
ასომთავრული ააწყო ა-ზე, მიხვდები თუ ღრმად ჩაემიები.

**ჰურიტთა მომღვარი —**

შენი აზრები ჩემსას ემთხვევა, ერთს ვამბობთ მხოლოდ სხვადასხვა ხმაზე
ყველა როდია მზად მისაღები, რამდენი ვინმეც შემოგხვდეს გზაზე.
როცა ქართოსმა ქართთა ტომები ამერ-იმერში ჩამოასახლა
იბერიული ჯიშის ტომების მალა ასწია და განაახლა
მაშინ არიან ქართში ხომ დარჩნენ ძველი დროიდან ვინც იქ სახლობდა
არი არატის ირგვლივ ველ-მინდვრებს თავის მამულად რომელიც გრძნობდა
მათი ნაწილი ხონების მალით ხომ შეიცვალნენ და გადაჯიშდნენ
თქვენებმა იმათ არქვეს სომხები, ფერისცვალებას როდესაც მიხვდნენ.
ბოლოს, როდესაც მაკედონელმა სომხეთს მმართველად დასვა მიფრენი
არიან ქართებს აწიოკებდა, როგორც წიწილებს ძერა მიმფრენი.
ჩამოჭრა ქართის დიდი ნაწილი და დაიმკვიდრა სომხების წილად
აზონმა აქეთ იბრუნა პირი, შენც იცი რატომ მოვყვები წვრილად.
მამული დათმო, კი არ დაიცვა, სამეფო დასცა, დაასამარა
არიანები ჩამოგისახლათ, არც გაგახარათ, ვერც გაიხარა.
დღეს, როცა დასვით ახალი ღმერთი, არმაზი დათქვით ხატად და კერპად
გაცი, გაემი რაღად დატოვეთ, რომ გმფარველობდნენ არმაზთან ერთად?

**ქამთამროველი —**

სიტყვით იოლად საქმეს დახატავ, საქმის კეთება ბევრად ძნელია
ამიტომ არი ბევრი ვიტანჯეთ და ბევრი ტანჯვა არ დაგვძლია

იბერთა მოდგმა დეო მიწაზე რაც ხსოვნა არი ყოველთვის ხარობს
დედის უბეში ჩახუტებული შრომობს და იბრძვის, არაფერს ზარობს,
ჰერიოხები და კავკონები, ლაკებ, კარები, ზიგებ, ჯიქები
უხსოვარ დროდან აქ ბინადრობენ, აქ უძერწიათ თიხის ჭიქები.
კავკანიონის იქით და აქეთ ყველა მოსახლეს იბერს არქმევენ
ხაზარეთამდე წვდება მათი ხმა, ხარკს ხაზარებსაც ხშირად ართმევენ.
მუდამ აქ იყვნენ, მუდამ მძლავრობდნენ, ტოლად და ცალად არავის ცნობდნენ
და თუ დროება შეიცვლებოდა ვერცა ხედავდნენ და ვერცა გრძნობდნენ.
ოთხასი წლის წინ როცა გიმრები, ჰუნებს ეტყვიან, ეტყვიან ხონებს
თავზე დაგვესხნენ ისეთი ზარით, უარესს ვერვინ გამოიგონებს.
მათ გადათელეს კოლხთა მიწები, მოსპეს სიცოცხლის ყველა ნიშანი
გადაიარეს კილიკიამდე, ვანთან შეჩერდნენ საკმაო ხანი
კასპის კარიდან მეორე ტალღამ მცხეთას უწია, უტირა დედა
სოფელ-ქალაქი, დიდი-პატარა მოსპო და ვერვინ გაუხდა მწედა.
სამასი წელი, როგორც სამი დღე გაუველურდა იბერთა მხარე
ჩაკვდა სიცოცხლე, შრომა და ლხენა, არ განგვიცდია ასე სიმწარე.
მხოლოდ აქა იქ ცალკე ტომებმა მცირე მეფობა შეინარჩუნეს
ტიბარენებმა, არიანებმა სამშობლოს დროშა არ გაახუნეს.
ხონების შემდეგ მაკედონელმა, ათას გმირობის შემძლემ და მქმნელმა
გადაუარა სამხრეთის საზღვრებს, როგორც ფარეხში შესულმა მგელმა.
ქართუს სანაცვლოდ მცხეთის გალავანს თავისად თვლიდა ჰუნი, ხაზარი
არავინ ხნავდა, არვინ თესავდა, რა უნდა იყოს უფრო საზარი.
სამეფო იყო დაჭრილი წვრილად, თვითეულს ჰყავდა მამასახლისი
ჭაპანს არ სწევდნენ გუთნეულივით, კვალს ვერ ავლებდა ერთი სახნისი.
აზონის ამ დროს მცხეთას ჩამოსვლა, სამეფო კარის აღორძინება
ერთიანობის იყო ნიშანი, ერის გამოცდა, ღმერთების ნება.
კაცს თუ აგინებ სიავისათვის, იქვე სიკეთე არ დაუკარგო
ეცადე, როცა ხილის ხეს მოჭრი, სანაცვლოდ ორი ახალი დარგო.
აზონს ვაგინებთ, რაც ქნა ბოროტი, არა ყველასგან საგინებელი
მაგრამ ქვეყანა აერთიანა და გარს უვლიდა, როგორც მშობელი
ამერ-იმერი ერთად მოზღუდა, კავკონს გადვიდა ხაზარეთამდე
მოყვრისთვის მწარე, მტერს დაატკბობდა? მამულს იცავდა კასპიის ზღვამდე
და ამას გარდა მცხეთის მიდამოს, სადაც ხაზარი, ხონი ხარობდა
არიანები ჩამოასახლა და ახლა მითხარ ჩვენთვის რა ჯობდა?
დღეს ფარნავაზის დიდი მცდელობით იბერთ სამეფო აღდგენილია

ქართუს გარეშე სიტყვა არ ისმის, მაგრამ ამაში სხვისიც წვლილია.
აზონი იყო ვინც ეს დაიწყო, ქვეყანას მისცა სამეფო სახე
ხაზარებს ფეხი ამოუკვეთა, ხარჯი დაადო, დაუგო მახე
სასტიკი იყო მაგრამ ხომ სჯიდა სად და რა იყო ქვეყნისთვის სარგო
ამიტომ ვამბობ, კაცს თუ აგინებ, იქვე სიკეთე არ დაუკარგო.
რაც შეეხება გაც–სა და გაემს, ქართთა ღმერთები ხომ იყვნენ მუდამ
არიან ქართი თუ შიდა ქართი, ქართთა საუფლოდ მივიღოთ უნდა
ეს ფარნავაზმა კარგად განსაზღვრა, ამიტომ იყო არიანები
მცხეთის მიდამოს ისევ სახლობენ იბერთა ტომი, ქართების მმები.
არიან ქართი თუ ჩვენად გვიღირს, თუ გვერდში გვიდგას როდესაც გვიჭირს
იმათი ლხინი მივიღოთ ლხინად, იმათი ჭირი გავუტოლოთ ჭირს.
მათი ღმერთებიც, როცა ასეა, უნდა შევიტკბოთ როგორც ღმერთები
ამიტომ არი დგანან ამაყად არმაზთან მმობით შენაერთები.
თქვენ ყველა მოსპეთ ერთ ღმერთის გარდა, თქვენ მოიქეცით სხარტად და მარდად
ჩვენ პატივსა ვცემთ სულ ყველას რწმენას, არ ვსდევთ რა გვსურდა
და რა გვიყვარდა
დღეს რომ მველები ყველა უარვყოთ მთასა და ბარში არი რამდენი
მაშინ წარსულიც უნდა წავშალოთ, ბოროტი საქმის გავხდეთ ჩამდენი.
დრომ მოიტანა ზევსი შევცვალეთ, ღრუბელთა მარეკს ვარქვით ტაროსი
არსი ერთია მხოლოდ სახელი შენაფარდია ახალი დროსი.
ამასთან ერთად ყველა ღმერთები იცვალნენ, როგორც იცვალნენ დრონი
დღეს არმაზია მათი მეუფე ფარნას სახე და გამონაგონი.

**სპასპეტი —**

არმაზს დიდება, მისია მადლი ჩვენი სამეფოს გამობრწყინება
მან დაალაგა ქვეყნად ყოველი. მეფის ხელდასმაც მანვე ინება
არიან ქართით გადმოსულები, გაცი და გაემ საღვთო სულები
მან განადიდა მათ შორის დგომით. არ დარჩნენ ჩვენზე გულმოსულები
როცა ქართოსმა პაოსს გაუყო თარგამოსიანთ დანატოვარი
ვანი, სევანი, თაფარა ვანი მისი შეიქმნა ეს ნახევარი.
შემდეგ ეგრისში ახალი ვანი და ციხე ჩადგეს გზად შორა ვანი
ლეკოს, კავკასოს გადვიდნენ ქედზე, სხვა არვინ იყო იმათი მგვანი,
დღეს დიდი ვანი სომხებს ეკუთვნით, არიან ქართსაც გვედავებიან
თუ არიანებს ჩვენ არ ვუშველეთ გასომხდებიან, ვერ მიხვდებიან
გაცი, გა–ემი აზონმა იხსნა, არმაზის გვერდით ამაყად დგანან

მათ დაიფარონ არიანები, რომელნიც ერთგულ ყმებად გვიჩანან.
არიანებმაც არმაზს მოუმღვნან დასაფიცარი, შესაწირავი
რათა დაიხსნან რისხვისგან თავი, და ღმერთებს შორის სუფევდეს ზავი.

**მითრიდატე სინუპელი**___

ღმერთთა სიმრავლე არ არღვევს წესრიგს, რაღაცის გამგე არი ყოველი
თუ დღე გათენდა და არვინ მფარავს, იმ დღეს სიავეს მუდამ მოველი.
ჩვენთან კერასაც ყავს თავის ღმერთი, ტომს თუ სამეფოს სხვადასხვა იცავს
მაგრამ ერთია შუქის მომყვანი, მითრას ამიტომ სულ ყველა ფიცავს.
ტრაპიზონს იქით, სინუპეს იქით, ზღვის ნაპირიდან კილიკიამდე
ვერვინ გაბედოს მითრას ქილიკი, არც შეიძლება გაუთამამდე
ქალაქ კომანას მისი ტაძარი ისე დიდია, წვერით ცას წვდება
დანარჩენები მასვე ბაძავენ, ყველას აქვს ფუძე, გული არ წუდება.
მითრიდატები მოვდივართ მისგან, ჩვენ მას ვადიდებთ, ის ჩვენ გვიფარავს
სხვებს სხვა ჰყავთ სხვებში გამორჩეული, ერთმანეთისგან არ მოგვიპარავს.
თუ დღეს არმაზში გაცსა და გაემს შორის არმაზის კერპი ჩამოდგა
მითრა ამითი არ დამცირდება, იმრავლებს უფრო ღმერთების მოდგმა.
არმაზის ძალით თუ გაბრწყინდება იბერთ სამეფო გამორჩეული
ჩვენც მოგვეცემა მეტი სიმხნევე, ვინც მტერთან ბრძოლას ვართ დაჩვეული.

**ჰურიათა მოძღვარი**___

შენი ქვეყანა მალზე შორია, არც სამეფოა და არს სწორია
რომ იბერიას გაუთანაბრო. ჩიტი ჩიტია, ქორი ქორია.
რა გაქვს საერთო შენ გადმოხვეწილს, ფარნავაზს როგორ ჰკადრებ ტოლობას
თუ ლაპარაკი ერთ–ურთის გესმით არ ნიშნავს ერთ ჯიშს, ჯილაგს და ძმობას.
ჩვენ ჰურიტები თუ ჰურიები არ მივსდევთ ასე მისხალ–მისხლობით
დრონი მიდიან და სისხლთან ერთად გრძნობა ბერდება ნაფერი წლობით
ჩვენი უფალი გვაერთებს, სხვა დანარჩენი არ გვიღირს ღოლოდ
რწმენა დაგვიცავს და თავს მოგვიყრის ვინც გადავრჩებით ჩვენ საბოლოოდ.
თქვენ კი ღმერთების სიმრავლის გამო უფრო და უფრო დაცალკევდებით
დასუსტებულნი ურთიერთ ქიშპით სხვათა სიმძლავრის მსხვერპლი გახდებით.
სულაც არ მინდა ეს ასე მოხდეს, ამიტომ გირჩევთ ერთს სცეთ თაყვანი
ერთ ღმერთს მოჰყვება ტომთა ერთობა, ერად იქცევით რომ გავა ხანი.

მითრიდატე სინუჭელი

აქ უკვე ითქვა და ვიმეორებ, რომ არ არიან უცხო ქართები
უძველეს დროდან ვცხოვრობდით ერთად, შემდეგ დალახეს კავკონთა მთები.
ერთი დრო იყო ჭელაზგებს, ლაზებს, ხალიბთ თუ მუშქებს გვერქვა იბერი
სიმრავლემ იცის ადგილის მოცვლა, არ არი ბრალი ერის სიბერის
დღეს ერთ ენაზე მიტომ ვსაუბრობთ დიდ ფრიგიიდან კავკონის მთამდე
ყველა ტომს გვესმის კარგად ნათქვამი, უცხოსთან ღრეჯით რატომ გავწამდე.
შენი ნათქვამით ისე გამოდის, მე თუ მოვზომე საზღვრები ოდის
მეზობელს ვუთხრა შენ ვეღარა გცნობ, ერთად ვიყავით სად, ვისთან, როდის.
ასეთი წესით თუ მოვიქეცით კაპადოკიაც იყოფა ორად
ზღვის სანაპირო მთას თუ მოვწყვიტე მე მოვიქცევი მართლად და სწორად?
მერე რა მოხდა ტიბარენები, მოსინიკები და ხალიბები
ძმები ვიყავით, ერთ კერას ვფლობდით, ახლა ხომ ცალკე გვიდგია ძნები?
არა ამგვარი საქმის გულისთვის გზები დავლახე იქიდან აქეთ
მე ჩემსას გეტყვით თქვენ მოისმინეთ, მერე მაგინეთ და გინდა მაქეთ
მოგეხსენებათ როცა ბაბილონს გარდა იცვალა მაკედონელი
მისმა სარდლებმა დაჰყვეს სამეფო, დაიწყო ქიშპი გრძელი და ძნელი.
იმ დროს ჯერ კიდევ იყო სიმშვიდე და მაკედონელს ყველა მონებდა
არავის ჰქონდა ურჩობის მალა, სხვა ღონეს როგორ მოიგონებდა?
მხოლოდ ტიბარეთს არიარატი, კაპადოკიის მეფე სვიანი
დამარცხებულად თავს არა თვლიდა, იბრძოდა თუმცა იყო გვიანი.
როცა ბაბილონს დაჰყვეს სამეფო თათბირზე მდივნად იჯდა ევმენი
მას მიუზომეს კაპადოკია, უთხრეს დაიპყრობ   რაც გსურს შექმენი.
მან დაამარცხა არიარატი, სამეფო იგდო, როგორც წიწილა
არიარატის ნათესაობა გაგვდევნა, გზიდან ჩამოგვიცილა
მას შემდეგ მოვლე ბევრი ქვეყანა, ტკბილად ერთხელაც არ მიძინია
ფრიგიას ვიყავ, პაფლაგონიას, გალატიაა თუ ბითინია.
მიფრენთან ჩაველ სომხეთში ერთ ხანს, ვფიქრობდი მისგან მომერთო მალა
დამაპატიმრა, ევმენს გადამცა, კაცობის რწმენა გამომაცალა.
ნაღალატარი ღმერთმა დამინდო და მგლების ხროვა გამომატარა
ჩემს  ჭირთმენასთან თქვენი წუხილი, დამერწმუნებით, არის პატარა,
როცა ევმენი ბრძოლაში მოკლეს და ანტიგონე დაჯდა მმართველად
თავი დავიხსენ, აქეთ წამოველ, იოლად ვიტყვი რაც მოხდა ძნელად
დღეს ანტიგონე ჩემ საუფლოს ფლობს, მე აქეთა ვარ, თავს ბატონად გრძნობს
დაე ვეგონო სასო წამხდარი, არ მომელოდეს, მე ასე მაწყობს.

ახლა როდესაც თქვენი სამეფო, ერთ დროს წამხდარი, აღდგენილია
დამეხმარებით, იმ გზებით წავალ, რომლითაც აქეთ გამოძილია.
ერთიან ძალით ვათავისუფლოთ და ვაძლიეროთ ძველი ერთობა
აქეთ იბერი, იქით ხალიბი, არ დაგვჭირდება სხვასთან გართობა.

**სასპეტი**—

ჩვენი სამეფო ისე ვრცელია, რომ საზრუნავი არ დაგველია
ერისთავები იმიტომ დავსხით, რომ იმათ მართონ რაც რომ მნელია
ქუჯის ხომ ისეც ეპყრა ეგრისი, მეფემ მამული შემოუმტკიცა
ზედ სუანეთის მთები დაურთო და ყველა თემის თავი აფიცა
რომ იქნებოდნენ ერთგულნი ქუჯის, გაამრავლებდნენ ერთგულთა რიგებს
მახშვებმა მისცეს მეფეს დასტური, იმათზე კარგად ვინ გაარიგებს
თუ რამე იქნა საჭოჭმანები. ამრიგად მეფემ ზღვიდან მთებამდე
აერთიანა იმერთა მხარე და დათქვა რომ მის მობრუნებამდე
ქუჯი იქება მათი პატრონი და არც შემცდარა მეუფე მგონი
რადგან მეუფის ერთგულებაში ქუჯის ინდომო, ვერ გადაწონი.
ის ადრეც იყო გამორჩეული, როცა აზონი, ბოროტი სული
იმერს მახვილით შემოესია, ქუჯიმ აღმართა საომრად ცული.
როცა ფარნავაზ ემზადებოდა, არვინ იცოდა იქ რა ხდებოდა,
გაგზავნა მონა ქუჯისთან კაცად, იმედი ჰქონდა, არა ცდებოდა.
აუწყა, მოდი გავერთიანდეთ, იმერ–ამერთა მოვისხათ ძალა
ერთად ვიომოთ, ერთად ვიმეფოთ, ვერავინ გვნახოს ობლად და ცალად.
პასუხად მაშინ მიუგო ქუჯიმ: ვისაც მეტი აქვს მცხეთას უფლება
ხამს იყოს მეფე და პირველობდეს, როდესაც ქალაქს დაეუფლება.
გვედით დაუდგა ფარნავაზს იცით, შეეკრა ვით ყმა ერთგულის ფიცით
არც უჯობნია არავის შემდეგ ერთგულებით და სულის სიმტკიცით.

**დედა დედოფალი**—

შენ ჩემო ძმაო და მეგობარო, ქუჯის ამბავი ახსენე კარგა
არ იკარგება ქვეყნად სიკეთე, სიკეთისათვის თუ კაცი ვარგა.
ჩემი შვილისგან და მეუფისგან ქუჯი ძმასავით მიღებულია
არ იშორებდა დღისით და ღამით, ერთად ვიდოდნენ სადაც ულია.
და მისცა ცოლად, სიძედ მიიღო, მით განამტკიცა ნათესაობა
ერისთაობა ქუჯს ისეც ჰქონდა, აქ მთავარია ამათი ძმობა.

**სპასპეტი** —

ქუჯი ხომ არი სამაგალითო. სხვაც ერთგული ყავს ერისთავები
ეგრისის აქეთ ლიხის მთებამდე, ტყე და მდინარე, ველი და მთები
არგვეთს ერისთავს უერთიანა, მოძმე შეიქმნა არგვეთის თავი
მან განარიგოს დიდი, პატარა, მამასახლისებს დაუდოს ზავი.

**კახეთის ერისთავი** —

არაგვის წყლიდან ლაკთა საზღვრამდე მე ისეც ვფლობდი, მე რა მოვიგე
ალბანეთისგან ვიცავ ქვეყანას, საზღვრებს ვპატრონობ, როგორც მორიგე.
კახეთ-კუხეთი, ჩემი მამული, ჩემთა წინაპართ სისხლით ნამული
მევე მეკუთვნის კანონიერად ბევრი გვყავს რძალი, სიძე და მული
მე ვიყავ, ვინაც ხაზართა სადგომს, არაგვს გამოღმა აწიოკებდა
აზონს არ ცნობდა საკუთარ მეფედ, მოძხდურთა სურვილს არასდროს სდევდა.
ეს მე ვედექ ფარნავაზს გვერდით, როცა მთებიდან დაეშვა მალვით
ავი სულისგან მალავდა სახეს, მცხეთის შუკებში ვიდოდა კრძალვით.
ჩემი ღმერთების ვარ მადლობელი, წუთისოფელი მატარეს გრძელი
ბევრჯერ ბრძოლებში დამიგეს მახე, ბევრჯერ დამდევდა სიკვდილის ცელი.
მე ერთი მსურდა, ჩემი გარჯისთვის, როგორც ქუჯისთვის მოგეცათ ქალი
თქვენ კი ოსები წაათამამეთ, დამკოდეთ გულში, დამივსეთ თვალი.

**დედა დედოფალი** —

ცოდვას ნუ იდებ. შენ კარგად იცი მეფე არაა თავისუფალი
არ შეუძლია აჰყვეს გულის თქმას, არ გადიხადოს მადლი და ვალი.
შენ თუ შენ კახეთს პატრონობ მხოლოდ, მას უნდა ყველა კუთხე სტკიოდეს
ყველა სოფელში ედგას საწყორი და მზეც იქიდან ამოდიოდეს.
კახეთს მიხედოს, ხუნანს რა უთხრას თფილისის იქით ბურდუჯის წყლამდე
გაჩიანია თუ გარდაბანი უნდა მიხედოს, რომ წლიდან წლამდე
მონას არ ეკლდეს გამოსაკვები და ერისთავი პატრონად ყავდეს
მამასახლისი, მსახურეული წესით და რიგით მოხელეს გავდეს.
აქეთ სამშვილდის საერისთაო სკუირეთიდან აბოცის მთამდე
იქით კლარჯეთი არსიანიდან გადაჭიმული მრისხანე ზღვამდე
წუნდის ერისთავს რაღას უჩადი, ჯავახეთი აქვს, კოლა, არტანი
ოძრხის ერისთავს რას ემართლები ფარნაკეამდე მალის გამტანი.
ეგებ სპასპეტი არ მოგდის თვალში ყველა ერისთავთ ერისთავია
ყველას განაგებს, სულ ყველა იცის სად რა კარგია, სად რა ავია.

**კახეთისერისთავი**—

ეგ მე არ მითქვამს, თავს არ ვაკადრი ავი ვთქვა სადაც ხარობს სიკეთე
სიტყვა მომიჭრეს და დედოფალო აზრი სრულიად გადამიკეთე.
მაგრამ ხომ გახსოვს იბერთა კერას როგორ ჯიჯგნიდა ჰუნი, ხაზარი
განა არ ვიყავ პირველთაგანი მტერს ვინც შეუნთო ცეცხლი საზარი?
მძელი დრო იყო. მნელ ბედობისას. შენსას თუ ამჩნევ შეხედე სხვისას
თუ დაისია ბინდ-ბუნდის ღმერთი, აისი ხვდება ამოსვლას მზისას.
თქვენ მე აისი ჩამომიბნელეთ, ქალი რომელიც სულსაც მერჩია
ტყვედ რომ ჩავიგდე, მაშინ დავტყვევდი, ტყვე და მტყვეველი ვერ გამერჩია.
თქვენ კი მომტაცეთ და ოსთა მეფეს ვით საჩუქარი გადაულოცეთ
ამით ერთგული გამანაწყენეთ, ორგული აქეთ, ადიდეთ, ლოცეთ.

**სპასპეტი** —

მეფეთა შორის ანგარიშია ქალის თხოვება და გათხოვება
მონაა ამ მხრივ თავისუფალი ბევრის ცოდნა არ მოეთხოვება.
ოსნი ალანთა ჯიშის არიან, ალანნი ჯიშის ჰუნ-სკვითებისა
მაგრამ მმახლობა ჩვენთან ურჩევნით, მადლი რამ სცხიათ ამ სიკეთისა.
ამიტომ იყო რომ მეფე ენდო, აზონთან ომი გაუნაწილა
და მიათხოვა, სიძედ მიიღო, მოყვარე მტრულად არ მოიცილა

**კახეთის ერისთავი** —

ეს ახლა იყო, მაგრამ როდესაც არაგვს გამოღმა დავთარეშობდი
ზურგს უკან აზოს მეციხოვნენი, იმათი მხრიდან ხიფათსა ვგრძნობდი
ჟინვალისა და ბოდორნას შორის, როცა სამტეროდ გადაგეყარეთ
ვიფიქრეთ ვიგდებთ ამ იოლ ნადავლს, მაგრამ სიცხადით ვერ გავიხარეთ.
და ბოლოს როცა გაირკვა ყველა, მივხვდით ჩვენ მალგვიძს მცხეთელთა შველა
და იმას შემდეგ ფარნასთან ვდგევართ, თუმც დასაწყისში საქმე მემნელა.

**სპასპეტი** —

შენ ჩემო შვილო ხარ სანაქებო, ერთგულთა შორის მუდამ იყავი
ვაჟკაცი პირველ დაემებს სახელს, ამიტომ არვის არ გაუყავი.
კი, დასაწყისში მოგვიხდა შეხლა, როცა ქალები თქვენ ტყვედა ვნახეთ,
მახსოვს, იშიშვლა ფარნამ მახვილი, არ გხოცათ, მაგრამ ხომ გაილახეთ.
როცა გაიგე ვისთან გაქვს საქმე, მეისვე დაიდე თავს სინანული
შეჰფიცე ფარნას და იმას მერე არვინ ჰყოლია შენზე ერთგული.

**დედა დედოფალი —**

ჩვენც შიში ვჭამეთ. ჯერ იყო ქალებს თან არ მოგვდევდა მცველთა ამალა
მეორეც იყო ჩემი ვედრებით ფარნამ ღვთიური სახე დამალა
როგორც ტლუ ვინმე მიუსაფარნი, ჭაკ ცხენზე მჯდომნი, მცხეთას ვიდოდით
ტყვედ ვინ ჩაგვიგდო, რა მოგველოდა, თქვენ ვინ იყავით, ჩვენ რა ვიცოდით.
თან ფარნას ჯავრი სულს მიხუთავდა, რას იაზრებდა, ან რას იზავდა
როცა შეგრიგდათ და გაპატიათ გული დამშვიდდა, სუნთქვა დაზავდა.
შემდეგ, როდესაც მცხეთას ჩავედით, თქვენი ფარული ვიგრძენ თანხლება
საქმე სიკეთის საზომით ფასობს, ამ სიტყვის მიყვარს მე განახლება.
მცხეთას სასახლეს ვინ მიგვიშებდა, ქოხში გავჩერდით, როგორც ბოგანო
ისეთ ადგილას, რომ ორ ნაბიჯზე ტყე იწყებოდა უკიდე-განო.
ხმა დავარხიეთ, რომ უკურნელი შვილი მყავს ავი სულით ნავნები
აქიმს დავემებ, აზონს ვემადლი, არა ვარ მისი მონა თავნები.
როცა სასახლეს ხმამ მიაღწია, აზონმა ერთხელ კიდეც დაგვხედა
ზიზღით შეხედა მმიმედ ავადმყოფს, იმის ორთავ დას და იმის დედას.
მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა, ამიტომ იყო მისი მსტოვრები
ზოგჯერ სახლშიაც ცხვირს შემოყოფდნენ, რომ დავეთვალეთ როგორაც ცხვრები.
თან იკითხავდნენ უკურნელ სნეულს, სახედამალულს, მახინჯს და ეულს
და რა იცოდნენ თალხი სიბნელე რას იფარავდა, რა სახეს, სხეულს.

**ახალგაზრდა დედოფალი —**

სულაც არ მიკვირს. საკმაო ხანი მეც დავდიოდი მოტყუებული
სახეშეცვლილი, ტანით მახინჯი როცა ვიხილე დაწინდებული.
ერთი მხრივ ვიყავ მისი რჩეული და ვალდებული, მომევლო მისთვის
მეცოდებოდა და თან ვფიქრობდი, – ემაწვილ ქალობა გავწირო რისთვის.
მეორე მხრივ კი მოგონებები პატარაობის არ მცილდებოდა
ორივე გრძნობას ისე ვმალავდი სასახლის კარზე ვინ მიხვდებოდა.
ისე ვირწმუნე ეს ბედკრულობა, რომ ხშირად მტირალს ჩამძინებია
რა დავუშავე, ვფიქრობდი უფალს, რომ ჩემთვის ასე უნებებია.
ამას დაერთო დღესასწაულზე დიდი ზადენის პატივსაცემად
წიწამურის ველს იყო შეკიბრი და თუმცა ამ კერპს არ ვთვლიდი ჩემად
დედოფლის ნებით მეც იქ ვიყავი, აზონი იყო დიდი მსაჯული
ყველას უმზერდა და ამოწმებდა, უფლება ჰქონდა მეუფის სრული.

გულმოცემულმა არიანებმა ჭიდაობაში ყველა დაჯაბნეს
ვინ არ ეცადა, იმათ გოლიათს რა არ უღონეს და ვერა ავნეს.
შემდეგ მოისართ მოუხმეს ახლო, აზონმა ბრძანა მსაჯულის წილად
ვინც უკეთ ისვრის და გაიმარჯვებს, სამეფო ყანწებს მიიღებს წყვილად.
ატყდა ყიჟინა, დადგეს სამიზნი და მოისარნი ამხედრებულნი
მფრინავ ცხენიდან ისრებს ტყორცნიდნენ ხელმოუცარნი, თვალანთებულნი.
ყველას აჯობა დურმუკმა მოყმემ, აზონის ქება დაიმსახურა
შემდეგ შეაგდო არაგვში ცხენი, გაქრა მზერიდან, წყალი გაცურა.
დურმუკი იყო ჩაცმით ვიცანი, მაგრამ ვინ იყო სახით ვერ ვცანი
გული აენთო. მისი დანახვა გახდა ბედკრული ქალის მიზანი.
აზონს მოსწონდა ეს მონადირე, შემდეგში ბევრჯერ გამიგონია
რაც დანარჩენებს უხოცავთ  ერთად, ხშირად მარტოკას მონაქონია.
მის გამო ხშირად ვიყავი მარტო, საკუთარ ფიქრებს ვეომებოდი
ფარნა და უცხო ამიწონია, რაში ვცდებოდი, კი ვერ ვხვდებოდი.
ერთხელაც იყო გზად შევეყარე, ცოდნის წადილი ვეღარ დავფარე
ჩვენ კილო–კავზე ვუთხარი სიტყვა, რომ მიპასუხა გულით ვიხარე,
როგორღაც ვიცან მე მისი მზერა, მაგრამ ანდეზე კი ვერ მოვედი
ის საპყარია, ეს ღმერთის დარი, როგორ ექნებათ საერთო ბედი?
რაკი ვიეჭვე წამოველ სწრაფად და ვნახე ფარნა იწვა, ოხრავდა
ავადმყოფობა განუკურნელი ერთ დროს ლამაზის სიცოცხლეს ხრავდა.
ვუმატე ფარნას კარზე სიარულს, რომ გამეფანტა ჭმუნვა და სევდა
ვუკვირდებოდი უკან მომავალს ზოგჯერ უცნობის მზერა მომდევდა
როდესაც გაქრა ფარნა მცხეთიდან, უცნობის ლანდი თან გაიყოლა
მივხვდი შეცდომას, ვიხარ–ვიდარდე, ძნელია ყველა განცდის მოყოლა.

**სპასპეტი —**

ის, რასაც ამბობ, ჩვენც განვიცადეთ, მრავალი ტანჯვა გადავიტანეთ
ვიცოდით შენი ქცევის ამბავი და ვერც გითხარით, ვერც წაგიყვანეთ.
ცალკე შენ იყავ და ცალკე ფარნა შორიდან ჭვრეტით იტანჯებოდა.
უნდოდა კიდეც ეთქვა სიმართლე, მაგრამ ვინ იცის, რა მოხდებოდა
ბევრჯერ მარტოხელს ტყეში და ღრეში მძიმე ფიქრები უტარებია
ვინც მასთან იყო, შენი გამოხსნა, მერწმუნე, არვის დაზარებია.
იქით სასწორზე მამული იყო, აქეთ სასწორზე შენ ბრძანდებოდი
რა მოხდებოდა, რომ გვეთქვა ყველა, ბედთან როგორღა გასწორდებოდი.
ამიტომ ფარნა მალავდა სახეს როგორც მცხეთელთა უფალ მემკვიდრე

საერთო საქმეს ასე უნდოდა, საქვეყნო საქმეს ვრანდავდით ვიდრე.
ამავ დროს როგ ორც დურმუკი მწყემსი, როგ ორც მთაშია მთიელთა წესი
თავის ნებაზე მიმოდიოდა, რა უნდა ექნა სხვა უკეთესი.
აზონთან ერთად, იმის მხარდამხარ, მთელი დღეები უნადირია
სინჯავდა ძალებს და უსინჯავდა სად ძლიერია და სად მწირია.
აზონი დურმუკს არას ერჩოდა, მაგ რამ სიმართლე რომ ვისმე ეთქვა
არავინ იცის სად შეწუდებოდა საერთო საქმე და გ ულის ხეთქვა.
მიტომ ვარჩიეთ არ გ ვეთქვა შენთვის, ფარნაც შორიდან გ ეფერებოდა
იცავდა მცხეთას, ბრძოლაში კლავდა ვინაც მცხეთელებს ემტერებოდა.
ერისთავს ახსოვს, თბილისის ციხე, მდინარის პირას, კლდეზე ნაგ ები,
საერისთაოს თვალ–მარგ ალიტი, მტრებისთვის რისხვა, მოყვრის საქები
ფარნას საყუდელს წარმოადგ ენდა, ფარულ შეხვედრებს იქვე მართავდა
ძალებს იკრებდა, სიტყვას იტყოდა, საქმიან საქმეს ზედ დაურთავდა.

**დედა დედოფალი**—

მნელი დრო იყო. როგ ორ ვიტანჯეთ, შავბნელი ჟამი გ ამოვიარეთ
აზონის მსტოვრებს ვემალებოდით, ერთ–ურთის ჭირი გ ავიზიარეთ.
როცა შინ იყო ფარნა ვიცოდით, როცა არა და დარდით ვიწოდით
მოაკითხავდნენ, არ დახვდებოდა, ხიფათს ამიტომ მუდამ ველოდით

**ახალგ აზრდა დედოფალი**—

მახოსვბს რამდენჯერ მინდოდა ნახვა, მეშველა რამე, მეთქვა ნუგ ეში
და არ მიშვებდით კერიის სიღრმეს, მალავდით როგ ორც მძივებს უბეში
წლობით უნახავს დაწინდებულის სახე თანდათან მავიწყდებოდა
იმის სანაცვლოდ დურმუკი მწყემსის ხატი ჩემ გ ულში იკვეთებოდა
ხოლო როდესაც დამიხსნა ძალით არიანელი ვაჭრის ხელიდან
დღისით და ღამით მისი სახება არა ქრებოდა ჩემ სამზერიდან.
აღარ ვიცოდი რა მომეგ ონა, სასახლის კარზე უტყვი მძევალი
გ რძნობებს ვმალავდი, ჩემ გ ულს ვპარავდი, ჩემი ოცნების გ ავხდი მხევალი
და შევუთვალე დურმუკეთს მამას რომ გ ამოეხსნა ჩემი სხეული
შემომითვალეს იყურე ერთ ხანს, ხარ უმიზეზოდ გ ულჩახვეული.
გ ულდარდიანი მოველი თქვენთან და გ ანმარცული დამიხვდა კერა
გ ამოვიკითხე, თქვეს წავიდნენო, მწარეა მათი ხვედრი და წერა.

**დედა დედოფალი**—

შენ გ აიხსენე რაც მილს მიფრთხობდა, გ ული ტიროდა, სიმძიმეს გ რძნობდა

თუმც ჩემი თხოვნით მალავდა სახეს, მის ხელოვნებას ვერავინ სცნობდა.
მაგრამ ვით მწყემსი და მონადირე, დურმუკი ვინმე, გადმოხვეწილი
აზონს ხვდებოდა, დროს ატარებდა, ავში და კარგში ჰქონია წილი
ბოლოს სიზმრებმა რომ შემაწუხეს, ცხადშიც ხიფათი მელანდებოდა
მისი ყოველი გასვლა ქალაქში სიკვდილ–სიცოცხლის საქმე ხდებოდა.
ბევრჯერ მოსულა სასახლის ახლოს, აზონს დარბაზშიც ზოგჯერ სწვევია
ვერ მოუზომავს ბევრჯერ ვინ იყო და ყურადღება მიუქცევია.
თითქმის გამჟღავნდა არსება მისი, საფრთხე რა სჭირდა მყისვე ვიგრძენი
აზონ დიდგულა და უკარები, იყო ბოროტი ხელით მიმწვდენი.
ვეაჯე ფარნას, დავთმოთ სოფელი, ასპანს წავიდეთ და დავიმალოთ
იქ დაველოდოთ უკეთეს ხვალეს, ხამს წიწილები ბოლოს დავთვალოთ.
შვილი დამთანხმდა, სხვა გზა არ ჰქონდა, ხიფათს ეტყობა თავადაც გრძნობდა
უნდა გვეცადა ჩუმად გაპარვა. ხილულ გაქცევას, გაპარვა სჯობდა.
იმავე ღამით ნახა სიზმარი: სასახლე იყო რამ უკაცური
იყო მარტოკა, მიუსაფარი, არ ჩაესმოდა არსით ხმაური.
კარი არ ჰქონდა სასახლეს არსით, უნდოდა გასვლა, ვერა იღონა
კედელს მიაწყდა, ვერა დააკლო, ვერც ხერხი რამე გამოიგონა
ამ დროს სარმკლიდან შეიჭრა სხივი, წელს შემოერტყა, ზე აიტაცა
შემოატარა მთელი ქვეყანა, ერთად ანახა მიწაც და ცაცა.
მზე ისე დაბლა ჩამოსულიყო, გვირგვინად ედგა, დასთამაშებდა
მზის ცვარმა სახე ჩამოუბანა, უჩუმრად ისე, ვერც გაიგებდა.
მეორე დილას მოყვა სიზმარი, წასვლის თანხმობა სიზმარში ვცანი
ვბრძანე მზადება, რომ ასპანისკენ გზას დავდგომოდით საღამო ხანი.
მეაჯა ფარნა, დედავ ძვირფასო, მშობელ ველ–მინდვრებს რაკი ვშორდები
როდის ღა ვნახავ მათ სილამაზეს, ამ სოფლად როდის განვმეორდები
უკანასკნელად წავინადირებ, მივეფერები კლდეს და ხევებსა
საღამოს მწუხრზე აქვე გავჩნდები, როდესაც თალხი დაფარავს გზებსა
რა ჯანი იყო მივეც თანხმობა. ჩუგლუგი ჰქონდა, შვილდი–ისარი
გაინადირა თურმე დილმისკენ ფეხმარდი იყო და მოისარი
გადაეკიდა ირმების რემას, სტყორცნა, დაკოდა ხარი ირემი
ღრანტეს ეხეთქნენ დაჭრილ–მდევარი, ვერ გავიდოდა ცხენის ურემი
კლდის ძირს დაეცა მკერდში ნაკოდი, მდევნელი ცოდვის ცრემლით ატირა
კაცმა თუ იცის ცოდვა და მადლი, დღე რად უმოკლა, რატომ გაწირა?
ზეცამ ისმინა ყოფის ვაება, წვიმა მოვიდა, დრო დაიტირა
ნისლი ჩამოწვა, შავ საქმის მქმნელი; სიბნელემ კლდის ძირს გაინაპირა.

ქვაბულის პირი ამოგმანული, ნახა, ჩუგლუგით გამოანგრია
შევიდა, იცნა, თვალ-მარგალიტი კუთხე-კუნჭულში გორებად ჰყრია
ღამე იქ დაჰყო. მეორე დილას, ყორე რაც იყო, ამოაშენა
ნანადირევი წამოიმძღვანა, აზონს მიართვა საამო ძღვენად.
მერე ხუთ ღამეს, ხუთი სახედრით, სხვა სამალავში ვეზიდებოდით
დღისით გვეძინა, ღამე ვშრომობდით, ისე გენახეთ, ვერც მიხვდებოდით.
კახთა ერისთავს მოუხმო შემდეგ, გულის ნადები ცალკე გაანდო
მძიმე საქმისთვის, ერთგულთა შორის, ბევრის შემძლები ის იყო სანდო.

**კახეთის ერისთავი —**

მე როგორც მონა ენა ნაკოდი ეგრისის წყლამდე ჩუმად ვიდოდი
თუ მეციხოვნეთ დავინახავდი გზას ავცდებოდი, ტყით გავიდოდი
მხოლოდ ქუჯისთან გავხსენი ბაგე, რამდენზე რა ვთქვი, პასუხი ვაგე
შესაქებელი ცად ავიყვანე, მაგრამ ბოროტიც იქვე ვამაგე.
ვუთხარ ფარნავაზ ქართლოსიანი ნათესავია მცხეთოსის მისა
პირველ კაცობით, გვარიშვილობით მფლობელი არი დიდი განძისა
ამას დაურთე მცხეთელთ განწყობა, იბერიული ტომების გრძნობა
არიანებსაც, ვინც იცის საქმე, არავისა სურს სხვა მეფის ცნობა.
დურძუკთ ბელადი ფარნას ერთგულობს, არხონტელები, თავად დვალები
კავკასიონის გაღმა-გამოღმა მისკენ უპყრია ყველას თვალები.
ოსების მეფე აზონს ხარკს უხდის და თუ ხარკს მოხსნი ან შეუმცირებ
უფრო ერთგული არვინ გახდება, გეწადოს გულით, ვერ მოიცილებ
ბოლოს მივუგე, ყველასთან ერთად ფარნაა დიდი განძის მფლობელი
ოქროს ზოდები, თვალ-მარგალიტი, მაგრამ არა ყავს სხვა ახლობელი
ვინაც შეიძლებს მძიმე ბრძოლაში თუ საჭიროა იგი შეცვალოს
ვინაც ააწყობს სამეფო საქმეს, ვინაც გალეწავს მამულის კალოს
შენს მეტი ქუჯი. ამიტომ არი შენ შესახვედრად, მონად მაახლა
ჟამი მოსულა ბრძოლის ყიჟინის, ხვალეს ნუ ვანდობთ, რაც მალგვიძს ახლა.
მომიგო ქუჯიმ. ქუჯი ბრძენია, მისი ნათქვამი სიამით მავსებს,
ღმერთებო, ისე ნუ შემოგვწყრებით, რომ ვერ ბადებდნენ დედები მსგავსებს!
მან ასე ბრძანა: კოლხთა სამეფო დღეს მტრებისაგან დაქცეულია
მამულიშვილთა დიდი ნაწილი მოკლულია ან გაქცეულია
კოლხეთს არ მალუძს იყოს მოთავე, მე ვაღიარებ, თუმცაა მწარე
ამიტომ იყო ჩემი მცდელობით ვერც დაგიხსენით, ვერც გავიხარე.
აზონს არა ვცნობ ჩემთა მეუფედ, მაგრამ ვერც იქით შევებრძოლები.

რასაც ვერ შეძლებ და ვერ შეწვდები ტყუილად ნუღარ მიეტოლები.
ფარნას თუ მალუმს, რაც აქ მითხარი, თუ არ მოგვექცა ენა და მხარი
მოვიდეს ეგრისს, როგორც მეუფე, ვით ნათესავი და განაყარი.
შემოვიკრიბოთ ერთად მხედრობა, არა ჩვევია ვისაც დედლობა
დავარტყათ აზონს, ერთად ვაჩვენოთ სიმხნე, სიქველე, შესაძლებლობა.
გაიხარებენ ჩვენით ყოველნი, ვინც გვერდით გვყვანან, ვისაც მოველი
ჩვენ აღვადგინოთ იბერთ სამეფო, ჩვენი მომავლის მბეჭდავ-მქსოველი.
სიტყვა ითქვა და ხელი დავკარით, სისხლი შევაჭდეთ, დავქუხეთ ზარით
შემდეგ მცხეთაში ვეახელ ფარნას, ვუთხარ როგორი ზავი შევკარით.

**სპასპეტი —**

ეგ კარგად მახსოვს, როცა ქუჯისგან მოხველ, მოგვიყევ პასუხი ვრცელი
საფიქრებელი იყო აღარა, ვით დღე ღამესთან, იყო ნათელი
მცირე საბჭოზე გადაწყდა მიტომ ფარნამ იახლა დედა და დები
ეგრისისაკენ გზას გაუყენა და მითხრა შენ ნუ დაგედარები
მე იქ მივხედავ საომარ საქმეს, ჯარს ვიქირავებ, მოვირთავ მალებს
ყივჩაღეთიდან თემისკირამდე ოსებს, ალბანელთ და ამორძალებს.
შენ კი აქ დარჩი, ბრძოლას ერიდე, მაგრამ შეკრიბე ყველა ერთგული
ვინძლო დავარტყათ ერთიან ძალით, გავტეხოთ წელში, გავუპოთ გული
შენ ერისთავო დაგტოვა ჩემთან, რადგან ეგრისის გზა შენ იცოდი
საქმის გაჩარხვა გევალებოდა, ჩვენ შორის მაცნედ მიმოდიოდი.

**დედა დედოფალი —**

ახლა მემდურის კახთა მოთავე, მაგრამ რამდენიც საქმე მოვთვალე
მას არ უკითხავს ჩემთვის არას დროს ვის მივათხოვებ პატარა ქალებს.
სწორედ ეგრისში, სად ციხე-გოჯში, დიდი ქალაქის მშენებლობაზე
ყველა შრომობდა, როგორც შეეძლო, არ მიუშვიათ თავის ნებაზე.
ქუჯიმ იხილა ჩემი ასული იცნა არ ჰქონდა ყავლი გასული,
გვთხოვა, მივეცით მტკიცე პირობა, რა არი მითხარ წრეგადასული?
იმავ ეგრისში ჯარს რომ ვკრეფავდით, ოსების რაზმი მეფის თანხლებით
მივიწვიეთ და მყისვე გვეახლნენ, შეჭურვილები შუბ, აბჯარ, ხმლებით
ფარნამ აძლია დიდი სიმდიდრე, მაგრამ ოსებმა ეს არ ინდომეს
ქალი ითხოვეს, დედოფლის ხათრით, სადაც დაგვჭირდა, ყველგან იომეს
შენ ეგებ მითხრა, არ უნდა გვექნა, სჯობდა მამული აზონს შთენოდა
მცხეთას უფლოსის ნათესავთაგან, იბერთ მეფობა, მას შეშვენოდა?

**კახეთის ერისთავი —**

კაცის ბუნება ათასგვარია, ზოგი არც დარდობს რა აბარია,
ზოგს ურჩევია სხვისი ნაოფლი, ზოგს საკუთარი დანაბარია.
ერთნი უზომოდ სიტყვამრავლობენ, სხვანი სიკეთეს სხვისას ვერ გრძნობენ,
ზოგნი საქმისთვის მტერსაც იმმობენ, ზოგნი ნათესავს ძმად არა ცნობენ
იმდენი არის აზრი და საქმე, რამდენი კაციც დაიარება
ზოგი საქმისთვის თითს არ გაანძრევს, ზოგი უსაგნოდ მთას შეასკდება.
მე ჩემი ვიცი გეზი, მიზანი, ქვეყნის გულისთვის დავღალე ჯანი
მე თუ ვიომე და ვერ მივიღე, სხვამ უბრძოლველად ჰპოვა მარჯანი.
ვის დავემდურო, ვის ვუთხრა ცუდი, უბედობით პირი რად გავიხურო
ხელს თუ გაანძრევ, მაშინ გახდები ბედის მჭედელი, თერძი და ხურო.
მე ჩემი ბედი თუ უბედობა, გალიას მეავდა, ჩიტივით ფრთხოდა
ტყვევნის მაგიერ ვათავისუფლე. მე მოვიქეცი მაშინ უფხოდა.
ახლა სამდურავს რაღა აქვს აზრი, რომც დავიჩივლო ვინ მომეშხრობა
არავინ იცის საუზმის მერე, რით გვიმასპინძლებს ბედის სამხრობა

**სპასპეტი —**

აზონმა დროით იგრძნო ხიფათი, არ წახდენია ვაჟკაცს ლაზათი
ჯარებს კრებავდა, ემზადებოდა, იცოდა საქმე და მასლაათი.
არავინ იცის რა მოხდებოდა და გამარჯვება ვის დარჩებოდა
კახთა ერისთავს რომ არ ემარჯვა ადვილიც ძნელად მოგვარდებოდა.
მისი მცდელობით როცა ასხლიტეს აზოს რჩეული ათასეული
მოპირდაპირე ბრძოლის ველს დარჩა თავმოკვეთილი, გზა არეული.
შემდეგ ქართებმა იხუვლეს ერთხმად და მიატოვეს აზოს ბანაკი
არიანებმაც იბრუნეს პირი. მოსაყოლია, როგორც არაკი.
რა ექნა აზონს, დაფრთხა ვაჟკაცი, სადაც არა ღირს გაცლაა ღონე.
ასე ყოფილა ოდითგან დღემდე, მე არაფერი გამოვიგონე.

**კახეთის ერისთავი —**

კვალ და კვალ ვსდიე, ვერ დავიჭირე, იმას უჭირდა, მეც გავიჭირე
კლარჯეთს გამაგრდა, დავარტყი ალყა, ქაჯეთის ციხეს გამოვიჭრე.

**დიდი დედოფალი—**

აქ იმ დროს ფარნამ მცხეთას მიხედა, ერს დაუყვავა, ვინაც მიბედა

ყველა აზომა, გაუხდა მწედა, ერის მამობა მით დაიბედა.

**სპასპეტი —**

შემდეგ მოალყეთ შემოგვიერთდა და როცა ლხენით გული ვიჯერეთ
მივუხტით აზონს, ციხის კარები არც შევუნგრიეთ, არც ავუმტვერეთ.
მაგრამ ვაჩვენეთ სიმრავლე ჩვენი, ვინც ვართ კაცები ქვეყნად საჩენი
ჯარად ვიდექით ქალაქის ირგვლივ. მუმლად გვეხვია სხვა დანარჩენი.
მეციხოვნეთაც დაეცათ ზარი, მივასკდებოდით ვით ნიაღვარი
ამიტომ დათქვეს და აისრულეს, მეფის მკვლელობის საქმე საზარი
აზონის მოკვლით დამთავრდა ომი, გამარჯვებაა მისი საზომი
შვება მიიღო მთელმა ქვეყანამ, თუმცა მკვლელობის არ ვიყავ მდომი.
ანმიამორთან დავდეთ საზღვარი, სხვას არ დავუთმეთ არც მთა, არც ბარი
ევფრატში ტანი დამიბანია რბევაში დაღლილს, – ვარ მოუბარი.

**ახალგაზრდა დედოფალი —**

ჩემი მეუფე ვიდრე ომობდა, სახელს იხვეჭდა, არაფერს თმობდა
ტახტის მემკვიდრე გვეყოლა მცხეთას, მის დაბადებას შორეთს თუ გრძნობდა?

**სპასპეტი —**

საურმაგ ჩვენი ტახტის მემკვიდრე, მის დაკაცებას ვიხილავთ ვიდრე
რამდენჯერ უნდა განვაცდევინო, – სიღარიბეა კაცის სიმდიდრე
ფარნა ხომ ასე ევნო, ეწამა, არ მიმიცია შვება ერთ წამად
შრომის ნაყოფი მუდამ ტკბილია საამურია ცხოვრება ამად.
შენ ჩემო დაო და დედოფალო, განა ცხოვრება ლხინში გალიე?
აქეთ სიამე, იქით სიმწარე, რომელის წვენი მეტი დალიე?
ამ ბედნიერ დღეს არ მსურდა მეთქვა და ამეშალა წარსულის სევდა
სიკეთის წილად დუხჭირი ყოფა სადაც ვიდოდი, თან არა გსდევდა?
რატომ ვიფიქროთ, ამიერიდან, სხვა გაევლება ცხოვრების კვალი
რაც უფრო მაღლა მიდის ცხოვრება, დაბლა გვჭირდება იმდენი თვალი.
საურმაგს აღვზრდი ისე, ვით ფარნას, რომ არა ჰყავდეს ამქვეყნად ტოლი
ყველამ იცოდეს თავის ადგილი, მონა, მსახური, შვილი და ცოლი.

**დედადედოფალი—**

ფარნას საყვედურს ენა ვერ იტყვის, არა იმიტომ, მიყვარს, შვილია
მცხეთას ბედკრული რაც მიმიყვანეს, მას შემდეგ ჭირი არ დაილია.

სამასი წელი კიდევ მანამდე მტერმა ანგრია, გაატიალა.
კაცი თუ ქალი ერთად გაწყვიტა, თოთოს წამოზრდა არ დააცალა
ერისთავები, მამასახლისნი მცხეთას ხშირ-ხშირად იკრიბებოდნენ
მომხდურებისგან დაშინებულნი მამულის ბედზე ჩუმად მსჯელობდნენ
სამარა, მცხეთის მამასახლისი, გამორჩეული ჭკუა-გონებით
ცდილობდა იმათ გარს შემოკრებას ქცევით, მსჯელობით და შთაგონებით.
მაზლი იყო და ვიცოდი კარგად ძმები შეთქმულნი ემზადებოდნენ
ფრთხილობდნენ რადგან ელოდათ დასჯა ხონები აუგს თუ მიხვდებოდნენ.
ვაგლახ, გამოხდა ისეთი ხანი, ჩავარდა ჯამი, დაემსხვრა ტანი
უცებ გაცუდდა ყველას მცდელობა, ყველას ნაფიქრი და მიმოსვლანი.
მაკედონელმა დიდ ფრიგიაში ხმლით გადაკვეთა გორდიას კვანძი
ორჯერ აწვნია დარიოსს მარცხი, ხელში ჩაიგდო სამეფო განძი.
მაშინ იყო, რომ მიფრენი დასვა ყველა სომხეთის მიწის მმართველად
მანაც ბევრისგან მალმიცემულმა არიან ქართზე ილაქრა ხელად.
იარედოსი აზონის მამა ქართთა ტომების მეფე მპყრობელი
მოაკვლევინა ღალატის მალით, ქმნა საქმე მიწყივ დასაგმობელი.
აზონ ილტვოდა ქართებთან ერთად, უფრო შიშისგან გადიქცა მხეცად
აღარ ინდობდა მტერს და მოყვარეს, მუხანათურად მცხეთას დაგვეცა.
ძმები გავიდნენ მშვიდობის გზირად, შეხვდნენ მტკვარს გაღმა ბანაკის ჰირად
უთხრეს მოჯრიგდეთ, ვართ ნათესავნი, მოძმის სიკვდილი ნუ გვიჩანს ჩირად.
უამბეს ქართთა მოსვლის ამბავი მცხეთოს, უფლოსის ნამოქმედარი
არ შეისმინა, გულღრმოდ მიიღო, ჯიუტი დარჩა ვით სახედარი.
ძმები ღალატით დაახოცინა, ღალატის ლახტი არ აალდინა
მერე ქალაქი დაანგრევინა, უცოდველთ სისხლმა დიდხანს იდინა.
მე რაღაა მექნა. ფარნა უფროსი და მასთან ერთად ორი გოგონა
მსახურთა მალით მთას შევაფარე. მთის ერთგულება კი გამეგონა.
ერთ ხანს სამალავს ვიცვლიდით ხშირად, კავკონ-იბერებს გავუჩნდი ჭირად
ალთა და ბალთას მიმოვდიოდით, ამ სიარულში ვიქეცით გზირად.
ტანჯვით და შიშით ვზარდე შვილები, ჩვენ სავალ გზებზე შიში ვიდოდა
ვგრძნობდი, ცოტაც და სავსე ფიალა მოთმინებისა, გადმოვიდოდა.
მე მადლობელი შენი ვარ ძმაო, შენ აღმიზარდე ფარნა ძლიერი
თან სდევი მცველად, აღმზრდელად, მწვრად, ერთული, მარჯვე და გონიერი.
შენი მადლია ფარნა რომ ზეობს, შენ გაუკაჟე ჯანი, გონება
დღეს დაგიფასდა ნაამაგარი, წყალობა მცირე ნუ გეგონება.

რა დამავიწყებს ცხოვრების მიჯნებს, სამარას გვერდით მეც ხომ ვიდექი
ის მაღლა იყო და მე კი დაბლა, შუა გამყოფად ჩვენ გვქონდა ბექი.
ის ქართლოსსა და უფლოსს ფიცავდა, მე წარსულს კიროსს ვუკავშირებდი
ასეა წესი და ჩემ წინაპრებს მეც დიად მეფეს შევადარებდი
თორე ქართი ვარ, იბერთა ჯიშის, არიანებიც კი უცხოდ მიჩანს
ცხოვრება მოგთხოვს, მოდექ-მიდექი, არ უღალატო ოღონდაც მიზანს.
როცა დისწული მეუღლა ფარნა, სასახლის კარზე ყველა ვხარობდით
რა მოხდებოდა სამი წლის მერე, არც რა ვიცოდით, ვერც არას ვგრძნობდით.
სამარა, მახსოვს, მაღლივ იტყოდა, აი ჩემ შემდეგ მამასახლისი
ფარნას მხარზე სმულს დაატარებდა, ემატებოდა ჭარმაგს ხალისი.
აზონი მაშინ არიან ქართში იარედოსი მეფის მემკვიდრე
გვემოყვრებოდა, არას გვერჩოდა, სომხრეთით მტერი დაჰკრავდა ვიდრე.
კაპადოკია, პონტოში მუდმივ მეფენი ისხდნენ ჩვენი ჯიშისა
არიან ქართში იბერთ მეფენი და არ ვიცოდით როდი შიშისა.
ერისთავები ჯარებს კრებავდნენ, მამასახლისნი მუდმივ ბეგარას
ვის გუთნეული, ვის საბერველი, ყველამ იცოდა ვის რა ებარა.
მაგრამ როდესაც ჰონებმა მოსპეს მამა-პაპური შნო და ილეთი
კირიბთ დამწერნიც არავინ დარჩა, კირიბთ დაედო ხავსი მილეთის
რომელი ერთი მოვთვალო ოხვრით, რომელი ერთი გამოვიტირო,
ქურუმი არ ვარ მიწყივ ვიფიქრო, როდის მივიღო და როდის ვწირო.
მე კალო ჩემი გამილეწია შუბის კვეთებით, მახვილის ქნევით
სასახლის ახლო თუ გავჩნდებოდი მამასახლისთა თხოვნით და წვევით.
ჩემი და იჯდა თუმცა დედოფლად, ფარნა, დის წული მემკვიდრე იყო
არ მივიდოდი ტყუილად ახლო. მკმაობდა ზეცამ რაც გამომიყო.
მაგრამ როდესაც დახოცეს მმები, დისწულნი დარჩნენ მიუსაფარნი
მთას გავუყენე, არხონტთ ვეახლეთ გზას გადაყრილნი, ლტოვილნი მგზავრნი.
იმათ გვიჩვენეს თავშესაფარი, აზონთან ჩვენგან აღმართეს ფარი
ათენგენობას ხატზე შევფიცეთ, რომ ვიქნებოდით თანაზიარი.
მას შემდეგ ფარნას აღზრდა მეკისრა, დიდი ბედენა – იტყვის ზოგია,
მე სხვაგვარ ვფიქრობ, ამიტომ იყო თავი აროდეს დამიზოგია.
ბავშვს ღვთის ბოძებულ ჯანს ვუკაჟებდი, მყინვარ წვერს ასვლა რომ შეძლებოდა
კლდეებზე ცოცვა, კლდიდან ნახტომში ხშირად ჯიხვებსაც ეჯიბრებოდა.
უბელო ცხენით მთიდან დაშვება, ისრის აცდენა და შუბის ტყორცნა
სიამოვნებდა, როგორც წაწალში დაუწინდავთან უბიწო კოცნა.

ირმებს სირბილში გასჯიბრებია, კალმახს იჭერდა შიშველი ხელით
ღმერთივით რომ დგას, ჩემიც წვლილია, წლებთან ჭიდილში ერთად შევძელით.
ქვეყნად მლივს ვნახეთ ასოთა მცნობი, ძველ კირიბებს კი ვერ მივაგენით
როცა ვისწავლეთ წერა და კითხვა, საშური საქმე დავაწყეთ ლხენით.
დღეს ყველაფერი მიღწეულია, მაგრამ რამდენი დაგვჭირდა შრომა
დიდმა მიზანმა არ იცის დაღლა, მიზნის მიღწევამ არ იცის ზომა.

**ახალგაზრდა დედოფალი —**

ეგ დრო მეც მახსოვს, როცა დურძუკეთს ნადირობისას შემოაღამდა
მამას ესტუმრა, ღმერთი მოვიდა, პატარას ასე კაი ხანს მწამდა.
უცხოს ფეხები დავბანე შიშით, გული საგულეს არ მეტეოდა,
მზერით ვერ მივწვდი, თუმცა პატარას კრძალვა და რიდი არა მჩვეოდა.
მეორედ უკვე ბევრნი მოვიდნენ და მერე მე და ფარნა დაგვწინდეს
იმ დღიდან თითქო სიზმარში ვცხოვრობ და მეშინია არ გამიფრინდეს.
როცა აზონმა კავკას-იბერნი დაიმორჩილა და დაიმონა
ალან-ხაზარებს დაადო ხარკი ვერავინ შეძლო მისი აწონა.
დურძუკეთიდან ბელადის ქალი მცხეთაში მძევლად წამომიყვანა
და იმას მერე აქ ვიზრდებოდი, მსახურად ვახლდი დედოფალს თანა.

**დედა დედოფალი —**

ჩვენ დასაწყისში მცხეთას წამოსვლა, შენმა აქ ყოფნამ გვაფიქრებინა
ფარნას არ სურდა შენგან სიშორე, ნატრობდა ერთად გქონოდათ ბინა.
აზონთან ბრძოლას ჯერ არ ფიქრობდა, გარს ვერ ხედავდა საკმაო ძალებს
ამავ დროს გრძნობდა აზონის კაცი მუდმივ გარს უვლის და უთვალთვალებს.
მია უშლიდა აქეთ წამოსვლას და არ უშვებდა მშობელის გული
რამდენჯერ მწარედ მომცა პასუხი, როცა ვუწოდე მე სულწასული.
მაგრამ როდესაც არ დაიშალა, რა მექნა დედას, ვერ მივატოვე
მხოლოდ ეგ იყო აზონისაგან თავის დამალვა ცრემლებით ვთხოვე.

**სპასპეტი —**

ამიტომ იყო მე ხერხს მივმართე, ავადმყოფობა მე დავაბრალე
ურემში ჩავსვი ვით ჭკვა შეშლილი, მიყვარდა მიტომ არ შევიბრალე.
კოფოზე შევჯექ, როგორც მეურმე, ასე მთებიდან აქეთ ვიდოდით
ციხე-კოშკებთან აზონის მსტოვრებს ვერიდებოდით, შორითვე ვგრძნობდით.
რამდენჯერ სურდათ მისი შეხვდა და ვერ ბედავდნენ ავსულის შიშით

ბოლოს მცხეთამდე ჩამოვაღწიეთ, გზა გავიარეთ გინებით, ვიშით.

**ჟამთა მროველი —**

წავიდა ის დრო, ტომთა სიმრავლით, რომ დიდგულობდნენ კოლხი, იბერი
დღეს სხვა ერების მოსულა ჯერი, ძველებს აწუხებთ სევდა სიბერის
იბერთა მოდგმამ თესალიიდან ხაზარეთამდე ომით იარა
ანგრევდა, ჰქმნიდა, მატებდა, სჯიდა ვიდრე სიბერის შეხვდა იარა.
ჰუნებ-სკვითებმა სძლიეს იოლად, სამასი წელი წაუღეს სასო.
მოუსპეს კერა, ბაღი, ვენახი, წაბილწეს ენა, გაუქრეს ასო.
ღმერთების მადლით, ძველი სამეფო, ფარნავაზისგან აღდგენილია
აქ რომელიც ხართ ქალი თუ კაცი, ამ სიკეთეში, თქვენიც წვლილია.
თქვენით შეიქმნა ახალი ასო და განდიდდება ენა ქართული
თქვენ უნდა მისცეთ ერს შთაგონება, რომ შეხვდეს ხვალეს წელგამართული.

**სპასპეტი —**

ჩვენთა წინაპართ, დევთა მკვლელ გმირებს, მტერი, დუშმანი ვინაც განგმირეს
უშენებიათ, უკეთებიათ, წუნსაც ვერ დასდებ ნახელავს მცირეს.
რაც ქვეყანაზე არსებობს კაცი, დეო მშობელის სხვადასხვა მხარეს
ბევრ საოცრებას გადააწყდები იმათი ნახვა რომ გაგახარებს.
მათში ასოთა გამოგონება, პატარა საქმე ნუ გეგონება
ასო-ბგერების შეთანახმებას მართლა ღვთიური უნდა გონება.
ძველნი იტყვიან კრეტაზე ასოს მერწავდნენ კოლხი კორიბანტები
დაკარგულია დღეს მისი სახე, მოხაზულობა და ნახატები.
იქიდან მოდის ყველა ნაწერი ფინიკიელთა, ფილისტიმნელთა
იქიდან ვიცით როდის რა იყო, იქ ვკითხულობდით ჟამთა სვლას ძველთა.
სამეფო აღსდგა. ასოთ აღდგენას არა ნაკლები ჯაფა დაჭირდა
ზოგს შეეცვალა მოხაზულობა. ზოგიც დავტოვეთ, რომელიც ღირდა.

**დედა დედოფალი —**

იბერიული წერის ნიშნები, საპელაზგოში გამოკვეთილი
აქეთ მომავალთ თან მოჰყვებოდა, რომ შეენახა საქმე კეთილი.
მაგრამ, როდესაც წახდა ყოველი, იმერ-ამერში უცხო ჰყიოდა
ძველი ნაწერი, ნაგოგმანები ხელიდან ხელში გადადიოდა.
ბევრი დამალეს სამალავებში, თან ჩაიტანეს ბნელ საფლავებში
არავინ დარჩა ვისთვის მიენდოთ, მისი მსწავლელიც არ დარჩა სხვებში.

სამარა ამას მალზე დარდობდა, წუხდა ასოებს ყველას ვერ ცნობდა
ერის საგანძურს იცავდა მკერდით, ეძებდა ვინაც რა ცოდნას ფლობდა.
რომ არა მისი მონაპოვარი, ანი და ბანი სწორუპოვარი
იკარგებოდა. ჩვენთა მომავალთ არ დარჩებოდა ეს სახსოვარი.
სამარამ ბრძანა, დაიწყეს მებნა, წლობით აგროვეს მისხალ-მისხალი
ძმებმა მოკრიფეს მოსაკრეფელი და შეაზავეს გონების მხალი.
შემდეგ, როდესაც ფარნა მოჩიტდა მამათა ნაზავს გაუგო გემო
ჩაჰკირკიტებდა, ეფერებოდა, ამბობდა საქმე არი საჩემო.
ბოლოს მძივივით ააწყო ყველა, არვის შეეძლო აქ მისი შველა
ასო მთავრული უწოდა ნაწერს. ადვილად ითქმის, რაც მოხდა მნელა.

**ჰურიათა მოძღვარი —**

თქვენი ნაქვამით ისე გამოდის, აღმოსავლეთით მზე რომ ამოდის
ქარი უბერავს, ცივა თუ ცხელა, უღრუბლო ცაა თუ წვიმა მოდის
იბერთა მოდგმის დანაწესია, მათი ღმერთების დანაკვესია
რაც შექმნილია თქვენ შეგიქმნიათ და არც დაღლილხართ, არც გიკვნესიათ.

**მითრიდატე სინუჰელი —**

ყოველი ერი თავისას აქებს, ოღონდ რამ ჰქონდეს მართლა საქები
სანამ იტყოდე, იანგარიშე, ნათქვამის აზრის ამონაგები.
შენ გული გწყდება და ასე ფიქრობ, სხვა ჩემ ერზე მეტს როგორ იჩემეს
სხვა თუ სხვას იტყვის, სიტყვით გამკენწლავს, უნდა ვაქებდე მე მაინც ჩემებს.
განა რა ითქვა შენი საწყენი, თავადაც იცი რა გზით იარეთ
რამდენი შიში გადაგხედიათ, რამდენი ტანჯვა გაიზიარეთ.
სანამ დამკვიდრდით აღქმულ მიწაზე, ის მიწა სხვების ხომ იყო სარგო
მაშინ ხარ კაცად გამოსაჩენი, თუ შეეცდები კაცად ივარგო.
შენთა წინაპართ ჯერ არ შეეძლოთ ასოს მოხაზვა და რკინის ჭედვა
არ ჰქონდათ ცოდნა, გამოცდილება, მომავლის ჭვრეტა, წარსული ხედვა.
დრო გადიოდა. ვისაც დევნიდნენ, იმათგან ბევრი რამე ისწავლეს
იმათი ცოდნის გაზიარებით გრძელი სავალი გზამოკლედ გავლეს.
მაგრამ ვისგანაც მიიღეს ცოდნა, ისინიც ჩვენი განაყარია
ერთ ურთს დავცილდით, დაშორებულთა ერთობის გრძნობა არამყარია.
ივ ივ სჭირს სხვათაც. ხალიბთ ნაწილი აღმოსავლეთში გადაასახლეს
ტანჯეს, აწამეს, მაგრამ მათ ცოდნას გონით ვერ ჩაწვდნენ, ხელი ვერ ახლეს.
იმათი მოდგმა არიან ქართნი, გასომხებულნი, გასასომხები

არ დაუკარგავთ რაც ერთად გვქონდა, არავინაა მისი შემხები.
იბერიელნი, ხომ ითქვა ადრე, შემადგენელნი მათი ტომები
ერთნი ვართ შორი წარმომავლობით. გადაგვიურია ხშირი ომები
რატომღა გვიკვირს, რომ დამწერლობა, რომელიც ერთად ჰქონდათ წინაპრებს
შემოგვინახავს, თუმცა ვცვლით ნაწილს, ვტოვებთ რომელიც კიდევ ივარგებს.
დღეს ფარნავაზმა, მმამ და მოყვარემ ჰქმნა ორი დიდი საკვირველება
ზოგჯერ ერთი იქმს იმ საკეთებელს, რაც მრავალს ბევრჯერ გაემნელება.
კოლხებისა და იბერთ სამეფო, რომელსაც მტრები დიდმალ ხანს ფლობდნენ
როგორც თქვენ ქლიტეთ ფილისტიმელნი, ამათაც ქლეტდნენ, ცოდვას
ვერ გრძნობდნენ.
აერთიანა ერთ სახელმწიფოდ, ერი შეკრიბა, შემატა მალა
მომხდური იქით დაიმორჩილა, ბატონს საყრდენი გამოაცალა.
ხაზარეთიდან, იბერთ სამეფო, ევფრატ-ტიგრამდე გაჭიმულია
ანტიოქოსი რიდით ეპყრობა, ანტიგონესთვის დიდი წყლულია.
თუ მოინდომა, მოიღო ხელი, კაპადოკია ათავისუფლა
ტიბარენები, მოსინიკები, მას მიიღებენ საკუთარ უფლად.
ჩემი ქვეყანა მომართულია, თუ შეგვეწევა ფარნავაზ დიდი
ერთიან მალით დავკრავდით მომხდურთ, საომარ გზებსაც ლხენით გავლიდი.
მეორე დიდი საკვირველება ასოთ წყობასთან არი კავშირში
როგორაც ერი, ისევე ასო სამასი წელი იხარშა ჭირში.
მველი ნაწერის კვალს ვეღარ ნახავ და წამკითხავიც დაკარგულია.
ქვეყნის სამზერზე ერთი თუ ფასობს, მეორე მისი კაკლის გულია.
ერთს რომ უშველა ფარნავაზ მეფემ, მეორეს ახლად სული შთაბერა
როგორც ერისთვის, ისე ასოსთვის ახლა იწყება ახალი ერა
ბრძოლის ხელობით, სიმარდით, ქინით, მალით, შემლებით, მხედრობის ტვინით
ის მაკედონელს გაუტოლდება. ეს აზრი დამდევს და მავსებს ლხინით.
თუ მოინდომა, მისი მხედრობა, მარცხის არ იცის რომელმაც გრძნობა
დაიმორჩილებს ყველა სამეფოს, ვის შესახებაც მოგვსვლია ცნობა.
ასომჭედლობით, რომ სჭრიდა წლობით, მის სიყვარულით, ულევი გრძნობით
მაკედონელსაც სჯობია ბევრად, სხვა არ მინახავს, არც ვიცი ცნობით.

**სპასპეტი**—

ჩვენ ალექსანდრეს რად დავედრებით. არც ვიტყვი მწარედ და არც ვედრებით
ფარნას მიზანი სხვა სახის არი, ნურც მიმართავენ კვეხნა-ყვედრებით.
ჩვენზე მცირეა მაკედონია, ბევრად მცირეა, გამიგონია

იმისი გაზრდა დიდ ალექსანდრეს, თუმც იყო მეფე, არა ჰქონია.
ოცი წლის  იყო როცა გამეფდა, ოცდა ორისამ თესალიაში,
კორინთოს კრებას მტკიცედ შეფიცა, რომ ჩაყვებოდა თუნდა მიწაში,
მაგრამ დარიოსს დაამარცხებდა, სპარსელებს ქვეყნის კიდემდე სდევდა
და აასრულა დანაპირები, იმგვარად, მზის ქვეშ ვერვინ აწევდა.
სულ ყველა შეძლო, მაგრამ რად გინდა, მაკედონიას რით შეეხიდა
ან რა შემატა, ან რით ახარა, როგ ორიც იყო დატოვა ციდა.

ქამთამროველი—

ასე ნუ ვიტყვით, მაკედონელი, როგ ორც სამყარო ერთია მთელი
ღმერთივით ფრენდა, ღმერთების დარად მოჭამა მოკლე წუთი სოფელი.
მაკედონია კიდეც სტკიოდა, მისი მზეც იქვე ამოდიოდა
თუ შორდებოდა, შორს მიდიოდა, ქვეყანას მისგან მადლი სცვიოდა.
არე–მიდამო, ის  რაც არ იყო, გეო არ იყო რომ იმას ეშვა
მაგრამ ხომ მოხდა, რომ გარე ყველა, მასთან ქიშპობის სურვილს შეეშვა.
ჯერ კიდევ მისმა მამამ ფილიპემ, რომელიც შვილსაც ტოლს დაუდებდა,
შექმნა ფალანგა  ჯარების წყობა, რისთვის, ვინც ნახა, ხომ გაუგებდა.
თანდათანობით იპყრა თრაკია, გვიან ევბეა და თესალია
ბევრი მიწები შემოიერთა, დაპყრობის გრძნობა არ დაილია.
შვილს, ალექსანდრეს აღარ დაჭირდა, თვითონ დაეწყო ყველა თავიდან
მამის მცდელობამ და შემართებამ ბევრი ხიფათი აღგავა გზიდან.

მითრიდატე სინუპელი—

მეც მაგას ვამბობ როცა ფარნავაზს არმაზს უწოდებ, ღმერთს შეადარებ
უნდა იცოდე რად ეთაყვანო, იმის სიყვარულს რატომ ატარებ
მაკედონია თავად მცირეა, მაგრამ ფილიპემ შეძლო მრავალი
დაიმორჩილა გარშემო ყველა, შექმნა საყრდენი ამოსავალი.
ეს მოახერხა რადგან მეზობლად არავინ იყო მასზე ძლიერი
ვისაც იპყრობდა, მისგან სწავლობდა ჭკვიანი იყო სვებედნიერი.
მაკედონელებს თუმცა ბერძნული სულ არ ესმოდათ, მაინც ბერძნობდნენ
ურთიერთ ქიშპით დასუსტებულნი როგ ორ დაეპყროთ მათგანვე სცნობდნენ.
ფილიპემ ყველა აერთიანა, მათთან  კავშირი არ დაახანა
ერთიან ძალით დასხმოდნენ სპარსეთს, ეს იყო მათი ანა და ბანა.

სპასპეტი—

ჩვენც ერთი აზრი გვაერთიანებს იმასვე ამბობ, რასაც ვამბობდი

თუმცა არ ვიცი ნამდვილად ყველა, ფარნა სულ სხვაა ამას კი ვგრძნობდი.
თუ ალექსანდრეს დახვდა სამეფო ძლიერი, სხვებზე აღმატებული
უნდა ებრწყინა, როგორც იბრწყინა. ჩვენ კი ვინ გვყავდა ქვეყნად ერთგული?
იქ თუ ფილიპემ იპყრა ყოველი, დიდი სამეფოს გახდა მქსოველი
აქ ჩვენ მცხეთაც კი არ შეგვარჩინეს ქვეყნის და მშობლის გავხდით მგლოველი.
ფილიპეს მამას და იმის მამას არ ჰყავდათ მტერი სპარსელთა გარდა
იოლი იყო მათი ცხოვრება, თუმცა ხარკის ხდა კი არ უყვარდათ.
ამ მხრივაც სხვაა ბედი არმაზის, იმისი ქვეყნის, წარსულის ხაზის
სამასი წელი მტრის სათარეშო, სხვისი მონობის დაღი ზედ აზის.

**მითრიდატე სინუპელი**___

აღარ დამცალდა მეთქვა მთავარი, ფილიპემ უკვე შეკრიბა ჯარი
ნაწილი კიდეც გზას გაუყენა და თან ერთობის შემოჰკრა ზარი.
ბერძენთა მთავრებს აუწყა ყველა, რაში სჭირდება იმათი შველა
რათა სპარსეთი წამოაჩოქოს, აღარ დატოვოს იოტის ხელა.
ფილიპე ნათქვამს აასრულებდა, სპარსელს სპარსეთის ბუდემდე სდევდა
იყო ძლიერი. ძლიერის ნათქვამს ძლიერი საქმე მაღლა აწევდა.
აღარ დაცალდა, უჩინეს მკვლელი, დაატრიალეს ღალატის ცელი
იფიქრეს თუ კი მოკვდა ფილიპე, აღარ დარჩება ქვეყანას მცველი.

**დედა დედოფალი**___

აქ თქვენ რაცა თქვით სულ მართალია. ფილიპემ ჟამი დიდი გალია
ყველა იცოდა, ყველას უყელა, მწარე და ტკბილი ბევრი დალია.
უმთავრესი კი რაც ქვეყნად შეძლო იყო მემკვიდრის საგმიროდ ჭედვა
მისცა მგლის მუხლი, სახედრის სიბრძნე, ლომის ფაფარი, არწივის ხედვა.
მეფურ საქმეებს ანდობდა ღიად, არას უშლიდა, არსით ზღუდავდა
ამიტომ იყო, ყოველ ასაკში, მემკვიდრე ქვეყნის მპყრობელსა გავდა.
შენ ვერ დაგიტევს მცირე ქვეყანა, შვილისთვის მამის იყო ნათქვამი
ჩაუნერგავდა დიდ მპყრობლის აზრებს და აქეზებდა ჟამი და ჟამი.
მან გაუმზადა შვილს და მემკვიდრეს დიდძალი ჯარი, დიდი მიზანი
მისი ოცნების ხორცად შესხმაში შვილმა ბრძოლებით გალია ჯანი.
ჩემ შვილს კი ამ მხრივ არ ჰქონდა ბედი, სახეც კი მამის ბუნდოვნად ახსოვს
რა როგორ უნდა, რის შემდეგ შექმნას თავად იგონებს და წარსულს აქსოვს.

**ჟამთამროველი**___

ერთი მთავარი ნუ გავიწყდებათ. გეტყვით და ზოგებს ნუ გეწყინებათ

ბრძენებშიც ბრძენი არისტოტელე წვრთნიდა მემკვიდრეს ნუ გამოგრჩებათ.
ცოდნა ყოველი რაც არი ქვეყნად ყველა მხარეში, ყველა საქმეში
მან შემოკრიბა, შემოაჯამა, ჩაიგდო თავი საგონებელში.
შემდეგ მოწაფეს გადაულოცა და ცოდნა მისი იხილა როცა
აღზრდილს გონიერ შუბლზე აკოცა, ღმერთკაცს ღმერთ კაცმა გზა დაულოცა.

**სპასპეტი —**

მიგიხვდი ნათქვამს. სიმართლეს ამბობ. აბა სიმართლე რად მეწყინება
ვინ სად იშვება, ვის ვინ გამოზრდის, კაცთა ვინ მოგვცა განსაზღვრის ნება.
არისტოტელეს სიბრძნის მარაგით ერთი ქვეყანაც ვერ შეედრება
ის რომ ასწავლის მე ვასწავლიდი? გაფიქრებაც კი არი ყვედრება.
დიახაც კარგად განსასჯელია მაკედონელის მწრთვნელის ამაგი
მე რა ვიცოდი, სხვას რას მივცემდი ვიყავი მხოლოდ შემწე, ქომაგი.
ამიტომ უფრო საოცარია, რომ ავი კარგში მან არ არია
ფარნას ცოდნა და გამოცდილება ჩემი კაცობის მტკიცე ფარია.

**ჰურიათა მოძღვარი —**

მაკედონელის ყველა საქმენი, არ გამოითქმის უბრალო ენით
მეხოტბეები, ჟამთა ამწერნი დასდევდნენ ხროვად, ცხოვრობდნენ ლხენით
მაინც ვერ შეძლეს მოეთხროთ ჩვენთვის რა ჰქონდა კარგი, რა იყო ავი
მათი ნათქვამი ზედაპირული ბრჭყივალებს როგორც თმის მოსართავი.
თუმცა დიდია გმირობა მისი, სიდიდით ქვეყნად ვინ შეედრება
ხან ელინობდა, ხან სპარსელობდა, გულს არ ხვდებოდა მწირთა ვედრება.

**სპასპეტი —**

ნათქვამს  მიგიხვდი, არი სიმართლე და რაც არ გითქვამს მასაც ვემხრობი
სოფელი კიდით კიდემდე განვლო და ყველგან იყო მხოლოდ დამპყრობი
ფარნას მიზანი არი სხვაგვარი, არ სურს სიმდიდრე შორეულ მხარის,
ღვიძლი შვილია ლაზებ-იბერთა და ჩამომკვრელი ამათი ზარის.
მან განადიდა ჩვენი მამული ხაზარეთიდან ევფრატის წყლამდე
ანძიამორი, აკილისენა, სინუპეს მხრიდან დიდ არაქსამდე.
ჩვენთან სტუმრობდა სომხრელთა თავი, მიფრენი, რომელს მაკედონელმა
მისცა მეფობა და იმას შემდეგ წელში გატეხა დროებამ მნელმა.
ზეცაა მოწმე, მისი ქვეყანა, ოდნავაც არსით დაგვირბევია
არაქსზე დავდეთ მტკიცე საზღვარი, კეთილი ნებაც ამასა ჰქვია.

სელევკიდებმა მოგვიძღვნეს ძღვენი, სურთ მეგობრული ერთობა ჩვენი
პონტოს სამეფო, კაპადოკია ნათესავნია თვალში საცემი.
რომელი ერთი უნდა დაგვეპყრო, რომელის გვქონდა უზომო მტრობა
ერთი ჯიში გვაქვს სისხლისმიერი, გვმართებს მშვიდობა და მეგობრობა.
აქეთ ალბანნი სახლობენ ჩვენი და იმათ იქით ძმები ლაკები
თუ კი ერთი გვაქვს ჩამომავლობა, გიჟივით რატომ დავეტაკებით.
მაღალ მთას სახლობს კავკონთა ტომი, ხევსურ, დურძუკნი, მერე დვალები
რომელი ერთი უნდა გვერბია, არ დაგვსებოდა სევდით თვალები.
შემდეგ მოდიან ჰერიოხები, აქაველები, მიგებ-ჯიქები
ყველა ერთნი ვართ წარმომავლობით. ერთად გვიმერწავს თიხის ჭიქები.
ჰერიოხების ნაწილი სახლობს კახეთ-ლაკებს და ალბანელთ შორის
ყველგან ხმა ისმის იბერთა ჯიშის ძმათა კერაზე, ვით თანასწორის,
ჩვენ მხოლოდ ოვსნი გვხვდებიან უცხო, ხარაზ-სკვითები იმათზე ზევით:
ისინი აზონ დაიმორჩილა და ჩვენთან ყმობენ ნებით და წვევით.
კიდეც გვინდოდეს ჩვენ ვის ვეომოთ, ან ძმათა სისხლი რატომ დავღვარო
იმისთვის რათა ვით ალექსანდრემ ქვეყანას ვუთხრათ □ ნახეთ ვინ ვარო?
უმჯობესია რომ ერს მივხედოთ, ვამრავლოთ, ვზარდოთ და ვაძლიეროთ
გადათელილი მტრებისგან მიწა გახდეს საშრომი და სასიმღერო.
ფარნას რად უნდა უცხო ტომობა, სპარსულად წიროს იბერიელმა?
რომ მერე ზიზღით მოიგონიოს აქეთ ბარიელმა, იქით მთიელმა.

**მითრიდატე სინუპელი**—

გასაგებია მაკედონელი მცირე მამულმა ვერ დაიტია
შემდეგ ჭამაში მოვიდა მადა, ინდოეთსაც კი შემოუტია
ფარნას არ უნდა ისეთი გარჯა, დიდების ნაცვლად რომ ერგოს ტანჯვა
უნდა იცოდე შენი საზომი, მისი მიზანი და შემლო ხარჯვა.
ალექსანდრე თუ დამპყრობად დარჩა, მის სამეფოდან სხვა რა გადარჩა
მას ერგო წყევლა-კრულვა-გინება, მის მოხელეებს ოქრო და ფარჩა.
მისი სამეფო უკიდეგანო მისმა სარდლებმა გაინაწილეს
თითქო შეთანხმდნენ, მაგრამ სიხარბით ურთი ერთ ომი ვერ აიცილეს
დღეს ჩემ სამეფოს ფლობს ანტიგონე და ფარნას მალუმს მისი განდევნა
ხამს მოვიშოროთ თავიდან ჭირი, მერე გავმართოთ ლხინი და ხვევნა.

**სპასპეტი**—

სწორი აზრია. თუმც ადიდებენ დამპყრობი იყო მაკედონელი

სურდა ღმერთობა, არ გააღმერთეს, ზეცის დალაშქვრა შეიქმნა მნელი.
და ეს როდესაც ძველი ღმერთები, უკვდავებასთან შენაერთები
კაცური მოდგმის ღმერთებმა ცვალეს და დღეს არმაზი ზედ დაერთვები.
თუ ალექსანდრემ, ქვეყნის მპყრობელმა, როცა შეიპყრეს ფიქრებმა მწველმა
ამონის შვილად ისურვა ყოფნა, მოხიბლა ღმერთთა შესამოსელმა.
ეს იყო მაშინ, როცა აზონმა მცხეთა □ არმაზი მოინადირა
მაკედონელის გამოქცეულმა, მასზე სუსტების დედა ატირა.
ფარნავაზ მაშინ პატარა იყო, მაგრამ დედოფალს ემახსოვრება
გამოდევნილმა, როგორ განდევნა და აურია წუნარი ცხოვრება.
ახლა ფარნავაზ ღმერთს ეტოლება, ღმერთად იზრახვის, კერპი დაიდგა
იქ სადაც ადრე მალვით ვიდოდა, იმძლავრ–იხარა, ფესვი გაიდგა.
ასეა მუდამ, ასეც იქნება, ვინც ერის მამად გარდაიქმნება
თვითონ იღმერთებს, გააღმერთებენ და შენივთდება მრავალთა ნება.
არმაზი ვცანით უმაღლეს ღმერთად, არა იმიტომ აქვს ფარნას სახე
დრონმა მოგვისპო პაპათა კერპნი და სხვა სადარი ვერ დავინახეთ.
აბა ვიანდოთ, რაც უწინ ჰქონდათ ჩვენთა წინაპართ თესალიაში
აქეთკენ სვლის დროს შემოხარჯათ და ბევრი რამეც დაკარგეს გზაში.
თვითონ ღმერთები იქით და აქეთ გულით ატარეს, კიდეც გაცვალეს
როგორაც სწამდათ კიდევაც სწირეს, მაგრამ თავი კი არ ანაცვალეს.
ძველის ერთგული დღეს ვინღა დარჩა, ძველ ღმერთებიდან ვინღა გადარჩა
სამასი წელი მარცვავენ სკვითნი, შემოაცალეს აბჯარი, ფარჩა.
მხოლოდ ათენას კავკონთა შორის, ჩვენ მათ ვემახით კავკასიელნი
ათენგენობას სწირავენ საკლავს, არხონტთა ხევში, ათენას მცველნი.
ჩვენ ძველ ნაწერთაც ვეღარ ვკითხულობთ, თუ რამ შემოგვრჩა, ისიც უქმია
ხაზარ–ჰუნებმა მოგვისპეს ყველა, ასე ზარალი არვის უქნია.
ამიტომ იყო იბერიიდან ამოვუკვეთეთ სახსენებელი
ქართული სიტყვა ვამძლავრეთ ყველგან, არვინ დავტოვეთ სხვის გამგებელი.
მიტომ ხელახლა შევქმენით ასო, ასომთავრული, სიტყვა მეფური
წერა და კითხვა იყოს მთავრების და პურის ცხობა იყოს მეპურის.
ახალ დროს უნდა ახალი ღმერთი, ღმერთების მეფე, უცვლელი, ერთი
და ჩვენ არმაზი ვცანით ღვთაებად, ფარნას სადარი, მასთან ნაერთი.
აქ გასაკვირი არაფერია, თუ კი ვინც მეფობს, დროს მოერია
ღმერთების შვილად ითვლება ისეც, უბრალო არვინ გამოერია.
თუ ალექსანდრე ქვეყნის მპყრობელი, ამონს ეახლა, გაუხდა მცველი
ეგვიპტის ღმერთი იწამა მშობლად, სხვა არ ინდომა მისი შემცვლელი.

შემდეგ კი დედაც შერაცხა ღმერთად და ოლიმპია ოლიმპოს მთაზე
უკვდავთა შორის გამოაბრწყინა, ყველამ დასტური მისცა ერთ ხმაზე,
თუ დარიოსი, ეს მეფე სუსტი, რომელიც დაკლეს როგორც მოკვდავი
ცეცხლის ღმერთს ცნობდა თავის წინაპრად, მიტომ ამაყად ეჭირა თავი.
ძველად ტანტალი, ლიდიის მეფე, თვითონ ღმერთებსაც ტოლად არ ცნობდა
და თუ კი მეფე ყოველი მხარის თავის წინაპრად მხოლოდ ღმერთს გრძნობდა
იბერთა მეფე როგორ იქნება, რომ მას მონებდეს ქვეყნების წყება
და თავის თავში არ გრძნობდეს ღმერთკაცს, არ მოისურვოს თვით გაღმერთება?


მითრიდატე

ბოსფორის სამეფო. პანტიკაპე. სასახლის დარბაზი
63 წელი ჩვ.წ.ა

მენოთანი-
მეფის ასულო

ნისა-
ვცოფავ კიბელას ღმერთების დედას, შევთხოვ თან მსდევდეს ფიქრების მწედა,
ფიცი მოგეცი, შენც შემომფიცე, კაცური სიტყვა დაურთე ზედა

მენოთანი-
ჭკვიანნი მზრდიდნენ, ჭკვიანად მთვლიდნენ, ამიტომ გავხდი მეფის მრჩეველი
თუმცა ვკვდებოდი, შენს დანახვაზე, გონებით ვმლიე გრძნობები მწველი
შენს აჩრდილს ვსდევდი, რას ვიაზრებდი, თუ შემამჩნევდი, თან მიახლებდი
სიტყვას მეტყოდი, იმედს მომცემდი, სატკივარს გულში განმიახლებდი.

ნისა-
ხომ შემომფიცე

მენოთანი-
ფიცი რად გინდა, ფიცია სიტყვა, ჩემი სიცოცხლით ვარ მონა შენი
როგორც ათისი გუნების ღმერთი იყო კიბელას სატრფო და მღვენი.
მიბრძანე, ვიცი, მითრიდატის მე, ახლა ბორკილით დამძიმებული
ფარნაკი რომლის უაზრო ქცევამ ღმერთკაცს და მეფეს მოუკლა გული
შვილი ამდგარი მამასთან სამტროდ, ტახტის მოცილე შეთქმულთა თავი,
უნდა დავიხსნა მამის რისხვისგან, გავრანდო ხიდი, ვაშენო ზავი.

ნისა-
შენ არ იფიქრო მეფეს და მამას ამ ჩემი გარჯით რომ ვღალატობდე
აქეთკენ ძმაა და იქით მამა, მინდა ჩემ განცდებს უცილოდ გრძნობდე.
რამდენნი მყავდა მამისგან და-ძმა, მაგრამ დედისგან ფარნაა მხოლოდ
თუ დასჯის მამა, მისი სიკვდილი, მიმიჩნევია სიცოცხლის ბოლოდ.
და ამას გარდა მახარეს შემდეგ ტახტის მემკვიდრე სხვა ვინღა არი
მამაც მოხუცი. მაშ მომავალში ვინაა ჩვენი იმედი მყარი?

მენოთანი-
და თუ შევძელი ფარნაკის შველა, მეფის რისხვისგან თუკი ვიხსენი
მე მელოდება ღვთიური ჯილდო, ტკბილი შეხედვა, მადლობა შენი.

ნისა-
ფარნას გამოხსნა შენი ვალია, თუნდაც მიტომ რომ ხარ ნათესავი
მამის დის შვილის არიათრეს მე, რომაელებთან ვის სურდა ზავი.
მერე შეზრდილი პატარობიდან, ორნივ პელოპის მიერ გაწვრთნილი
ის მეომარი, შენ მწიგნობარი, ის მუდმივ ფიცხი და შენ კი ფრთხილი.

მენოთანი-
და თუ შევიმელ ფარნაკის შველა. მეფემ ინება დიდი წყალობა.
მით დავაჩქარებ შენ გათხოვებას, დამიობლდება ულევი გრძნობა.
ეგვიპტის მეფის მის დაწინდებულს, ეგვიპტის გზაზე გაგიყენებენ
ვერც მიხვდებიან როგორ მომკლავენ, რით მაცოცხლებენ იმით მავნებენ.
მაგრამ ფარნაკი თუ არ ვიხსენი, თუ მეფე დასჯის, განუტევებს სულს
შენ შემიძულებ, არ გამიკარებ, მივეფარები მე შენთვის წარსულს.
ერთიც ავია, მეორეც ავი, რომელს მივენდო, გადავდო თავი
ზოგჯერ გონება სჯობს მალოვნებას, ზოგჯერ გონებას სჯობია მკლავი.
შენ თუ დაგკარგე მამის სამეფო რომც დამიბრუნონ რას ვაქნევ ნეტა,
რომ შემძლებოდა ეგვიპტის მხარეს შენი სავალი გადამკეტა.

ნისა-
მოდი ნუ განვსჯით მამის უფლებას, ის არ დაჰყვება შვილების ნებას.
ახლა მვირად ღირს ყოველი წუთი, რაც ააცილებს ფარნას წამებას.
შენ კარგად იცი მე ჩემი საქმრო აროდეს თვალით არ დამინახავს
აროდეს მასზე არ მიფიქრია, მეუღლედ ჩუმად არ დამისახავს.
როცა ეგვიპტელს თურმე დამწინდეს, არც მან იცოდა, არც მე ვიყავი
ეგებ იმასაც სხვის სჭირს სახმილი, რაზე მოვიკლათ წინასწარ თავი.
მე მხოლოდ ვიცი, როგორც ამიხსნეს, როდესაც მამა ქვეყნად მძლავრობდა
საპელაზგიო შემოიერთა, ღმერთად დასახეს, კიდეც ღმერთობდა.
პონტოს სამეფო გახდა უსაზღვრო კავკასიიდან პირეიამდე
კოლხეთ, ბოსფორი და საბერძნეთი, მთიდან მთებამდე, ზღვიდან ზღვებამდე.
შემოიერთა კაპადოკია, ბითინია და პაფლაგონია
პელოპონესი, დიდი ფრიგია, დიდი ათენი გამიგონია
როდოსელები გაუხდნენ მოყმედ, დიდნი ალბანნი და იბერია
საპელაზგიოს ტომთა სიმრავლეს ასე ერთობით არ უმღერია.
მაშინ ყოფილა კუნძულ კოოსზე, ეგვიპტის მეფის მემკვიდრე შვილი
დატოვებული განძის დარაჯად, გალაღებული და მხრებგაშლილი
ატყვევნა მამამ, ხელთ იგდო განძიც, ეგვიპტელების შეეძლო დასჯა.
მითრიდატეს აზრს ვინ მიუხვდება, მეფემ ინება სხვაგვარად განსჯა.
მოსთხოვა სიტყვა ერთგულებისა, პირობა მისცეს და დაიფიცეს
ვინც უღალატოს კაცურად ნათქვამს, მისი სიცოცხლე სირცხვილად იქცეს.

კუნძულ როდოსზე ერთად ღმერთობდნენ აქეთ ზევსი და იქით იზიდა
შეჰფიცეს ორთავ, მოყვრობის სიტყვაც მაშინ მათ შორის ამოიზიდა
თუ გვეყოლება დავწინდოთ შვილნი. დამწინდეს. მერგო ასეთი ხვედრი
დღეს ამის გამო ვერ ვუშველო ძმას, ნუ იზავ ამას უფალო გვედრი.
კვლავ შეგახსენებ, სიტყვა მომეცი, სიტყვის შენახვა კაცის ვალია
მოუთმენლობა გვანანებს ბევრჯერ, მომთმენმა გრძელი დღენი გალია
*/შემოდიან მითრიდატე, მეტროდორი, ნისა გადის/.*

მითრიდატე-
დრონი მეფობენ-არა მეფენი, ასეთი არი ცხოვრება ჩვენი,
უსიხარულო გავლიე დღენი, ბედი უბედო ვერ გარდავქმენი.
ღმერთებში მითრა, ქალაქ კომანას ვადიდე, ვლოცე, ავუგე ხატი
მეფეთა ხვედრი ყოფილა ასე, დიდება, შური, მწარე ღალატი
ვერ დამიფარეს ღმერთებმა კაცი, ვერ შემიცვალეს ბედის ნიშანი
დრომ დამიხურა გულის საკანი, მწარე განცდების დამიდგა ხანი
მიმტრეს რომლებსაც ვფიქრობ ვუყვარდი, თურმე ყოფილან მწარე ნაზარდი
თუ ვიყავ ტკბილი, როგორ გავმწარდი, ზეციდან მიწას რად ჩამოვვარდი
ღალატის გზებით დადიან მენი, ვინღა შემომრჩა ერთგული ბრძენი
რითი ვარ ქვეყნად გამოსაჩენი, უნდა ვახსენო კრულვით გამჩენი
რატომ ვერ ვნახე გრძნობათა ფარდი, იქნებ ბოროტი ვიცი ნავარდი?
უდროოდ სჭკნება სიცოცხლის ვარდი, მრჩება ღალატი, ჭმუნვა და დარდი.
ცუდი მცდელობით გავტანჯე ჯანი, ვერ ვპოვე სულის ამოსატანი
ვერსად მოვნახე გონებით მგვანი, იქნებ ცხოვრება ვერ შევიცანი?
ღმერთ დიონისედ მთვლიდნენ, შემთხოვდნენ, ახლა რითი ვარ გამოსაჩენი
სამეფო არ მაქვს, შვილი მაძევებს, გავხდე მუდმივად სხვისი სარჩენი?

მენოთანი-
ღმერთებს თავისი აქვთ საწუხარი, ერთგვარად ცისქვეშ არავინ არი
და თუ დღეები დაგიდგა მწარი, არა ხამს გლოვის ჩამოჰკრა ზარი.

მითრიდატე-
ასე ამბობენ ოდისევსისგან გრძნეულმა კირკემ შობა ვაჟები
მგელმა აწოვა ჰატარებს ძუძუ და გაიზარდნენ ბუნებით მგლები
ეტრურიაში მათზე უმაღლეს, მათზე უმაგრეს, არავინ იყო
მათი მეფობით, მათი მცდელობით კაცთ სამყოფელი შუა გაიყო.
რომი მათ შექმნეს ციხე-ქალაქი, მათგან დაერქვა ასე სახელი
დასავლეთი და აღმოსავლეთი მას შემდეგ არი მათგან ნაქელი.
პონტოს სამეფოც იმათ წამგვარეს, ლტოლვილად ვიქეც ქვეყნის მპყრობელი
შურისძიებას მკარნახობს გული, არ არის მკლავი შურისმგებელი.

მეტროდორი-
ჭმუნვას მოუცავს ღმერთთა სადარი, სევდამ ვერ ნახა სხვა შესაფარი,
თუ გაუჩინა საფიქრალს ბზარი, ნავარდობს როგორც მინდორში ქარი.

მითრიდატე-
მონის საზრუნავს ქვეყნად რა დალევს, მეფის საღვაწი უფრო მეტია
გულს ის აღელვებს, განსჯის სასწორზე, გონების მალით რაც დაეტია.
მენოთანს ვეტყვი, თუ ჭკუა გიჭრის, რჩევის მიცემაც მალზე ძნელია
სიტყვას დაურთო საქმე ფხიანი ათასჯერ მეტი საფიქრელია.
როგორც ლხენისთვის არა მქონდა დრო, ისე გლოვისთვის არა მცალია
გზა ურიცხვ მტერზე გამარჯვებამდე მახვილით ხელში გასავალია.
რას ვიფიქრებდი ჩემი მახარე, ტახტის მემკვიდრე, ქვეყნის მმართველი
მე მღალატობდა, რომაელთ სძმობდა, ყველა ორგულის ის იყო მცველი.
ჯერ კიდევ როცა ლუკულუსს ვცემდი, მისი ლაშქრობის განვსაზღვრე ბოლო
მახარე თურმე ზურგს უმაგრებდა და სასიკვდილოდ მწირავდა, ხოლო
ფარნაკი ჩემი შუბი და ფარი, რომელს გავუხსენ სიცოცხლის კარი
შეთქმული იყო, მამას მწირავდა, რა უნდა იყოს უფრო საზარი?

მეტროდორი-
ღმერთთა რჩეულო, ღვთიურ გონებას რომელი ერთი გამოეპარა?
როგორც კოლხეთი გამოიარე და პომპეუსი შორს დარჩა მუარად
მახარემ იგრძნო მუხთლობის ფასი, სცნა სევდის ძირი მრავალათასი
არვინ მინახავს მწუხარე მსგავსი, მისი მხნეობის გაქრა კისკასი.
თუმცა შვილია შენი მახარე, ბოსფორის მხარეს მეფედ დასმული
ხომ მიხვდი როდის იყო ერთგული, სამუხთლოდ როდის უძგერდა გული.
როგორც დიაცი გაგექცა მამას, მგლურად დატოვა სამეფო მხარე
არავინ გკიცხავს, არა ვით შვილი, შენ მოღალატე სდევნე მახარე.

მითრიდატე-
თუ აზრი რამე გტანჯავს და გთრგუნავს, ახდენა უფრო მეტად მძიმეა
თუ შვილი მამას მახეს დაუგებს, ასე სიცოცხლე რა სიამეა.
ჩემი ცხოვრება ჩემი სამშობლოს სამსხვერპლოდ მქონდა დაწინდებული
მსურდა მენახა პონტოს სამეფო რომზე ძლიერი, აღმატებული
საბერძნეთს ვფლობდი, საპელაზგიოს ღმერთებს დელფოსში მსხვერპლსა ვწირავდი
ათენში მესხნა მეციხოვნენი, წინაპართ საფლავს იქ ვიფარავდი
და რა ვიცოდი საკუთარ სახლში ამ დროს ღალატი გაიზრდებოდა
ომში მიმავალს ზურგში კერია შვილთა მცდელობით დამექცეოდა.
განა არ ვიყავ მეც ახალგაზრდა, ტკბობა და ლხენა მეც ხომ ვიცოდი

საწამლავსა და სატევარს შორის ღმერთთა წყალობით მიმოვიდოდი.
ორივემ იცით შენ კი მეტროდორ, ჟამთა აღმწერი, ხარ მეგობარი
ჯერ ოცდაოთხის არც კი ვიყავი, როცა ამბავი მოხდა ამ გვარი.
სკვითები, რომელთ ბოსფორის ზემოთ ხელში უპყრიათ ვრცელი მიწები
ხერსონელების ცდილობდნენ ტყვევნას, ვისთანაც მქონდა დანაფიცები,
რომ დავიცავდი უცხოთ რქენისგან, მე ვიქნებოდი იმათი ფარი
და შევასრულე დანაპირები, სკვითებს ვაჩვენე დროება მწარი.
ხერსონელებმა მე მცნეს მეუფედ, მათ აღიარეს ჩემი დიდება
შემდეგ ტავრებმა და სარმატებმა, რომელთა იქით სამყარო წყდება.
იმავ დროს იყო მეფე პერისადს, ბოსფორის მეფეს ჭარმაგს და ჭკვიანს
ვის მორჩილებდა მრავალი ტომი და უწოდებდნენ ზვიადს და ფხიანს
მონათა ჯარი რომ აუჯანყდა, მისი სიბერე იხილეს რაკი
დასცეს პერისად, ტახტზე ავიდა მონათა მეფე სკვითი სავმაკი.
და პერისადმა მე მიანდერძა მთელი სამეფო ზღვიდან მთებამდე.
სავმაკი მოვსპე, ქვეყანა ვიპყარ, მართალი ვიყავ ყველგ ნით ზეცამდე
ბოსფორისათვის ვიბრძოლე სამკვდროდ, რამდენი ომი ღმერთებს შევწირე
დიდ მიზანს უყვარს დიადი მსხვერპლი და დაფასება მცდელობის მცირე.
მახარე იყო ჩემზე უხნესი, როცა ბოსფორში  დავსვი მმართველად
არც უფიქრია, არც უზრუნია, რომის მსტოვრები მოისხა მცველად.
დღეს პომპოეუსმა მისით იმძლავრა, მისით მოირთო ყველა ძალები.
თუ სხვას ამგერებ ზურგში სატევარს, სხვათა სხვას საით დაემალები?
ახლა პელოპი, ვისთან ბავშვობას, მრავალი წელი ერთად ვიყავი
ვადევნე უკან მოღალატე შვილს, მტერთა მეგობრის მოვთხოვე თავი.
დაბრუნებოდა. ბიტოიტს ვუხმობ. */შემოდის კელტი მეომარი მითრიდატე მას/*.
ერთგულო, პელო როგორც კი მოვა
გაუხსენი გზა, მოგვითხრას ყველა, სად რა დაკარგა ან რა იპოვა
*/მენოთანი ჩუმად ანიშნებს მეტროდორს/*.
მანამდისინ კი შეთქმულთა თავი, ფარნაკი ჩემი შვილად ყოფილი
ოქროს ბორკილით დამძიმებული, ახლა უღონო ვით აკვნის ჩვილი
მომგვარონ. წადი ერთგულო ჩემო და რაც გიბრძანე ის შეასრულე
*/ბიტოიტი გადის/*
შენ კი მენოთან გახსენი ბაგე, მითხარ მეტროდორს რაც უჩურჩულე.

მენოთანი-
ღმერთთა სადარო, არწივის მზერას, ცის სამეფოდან რომ ტყორცნის ქვენას
მხდალი კურდღელი სად გაექცევა, ცუდად მოჰყვება ბექობზე რბენას.
მეც კურდღელივით დრო მოვიხელთე, მეგონა სძინავთ ოლიმპზე ღმერთებს
და ვთქვი მახარეს მოღალატეს გზას, ფარნაკის მცდართან რატომ აერთებს.
შვილი, შენია სისხლი და ხორცი, უფლებას ვის სთხოვ, ნებას ვინ დაგრთავს

და თუ დასაჯე უკანასკნელიც, სხვას რას დაემებ, გაუჭირვებ თავს.
ამიტომ შეგთხოვ, სანამ განაჩენს გამოუტანდე, მკაცრად დასჯიდე
იფიქრე ხვალეს ვის უანდერძებ, სიკეთის ზღვარს რომ არ გადახვიდე.

მეტროდორი-
სამეფო ტვირთის ზიდვა და ჩენა, ჭმუნვა და ტანჯვა, ბრძოლა და გვემა
რჩეულთა ხვედრი ყოფილა მუდამ, მამიდან შვილს არ გადაეცემა.
ის რაც შენ შესძელ მეფევ და გმირო, რასაც გაუძელ, რაც გაიარე
რათა სამეფო გქონოდა მძლავრი, აყვავებული სამოთხის მხარე.
შენ გმორჩილებდა ყველა ქვეყანა დიდ პართიიდან თვითონ რომამდე
პონტოს ზღვას ფლობდი ყოველი მხრიდან, ხმა გიწვდებოდა ოლიმპოს მთამდე.
ასეთ დიდებას სხვა ვინ მიწვდება, ღმერთი იყავ და კიდეც ღმერთობდი
მტერთა ნააზრევს უმალ ხვდებოდი და მოყვარეთა ნაფიქრალს გრძნობდი.
რატომ გგონია, რომ შენთა შვილთა, შენდენი უნდა შეეძლოთ ყველა
ერთი ერთს ფიქრობს და სხვა მეორეს, მხოლოდ ღმერთს მალუმს ამ ქვეყნის შველა
*/შემოჰყავთ დაბორკილი ფარნაკი და ატილიუსი/*.

მითრიდატე-
უმადურებას ზღვარს ვინ დაუდებს, უმღები შვილი მაინც შვილია
ამის აღზრდაში, კაცად ქცევაში რამდენი მწარე გამომილია.
თან მიხაროდა, აფერუმ ფარნაკ, ცხენის მხედვნელო, მხარბეჭიანო
ფარნა ომებში წინ მაყივარო, თვალ ისრიანო, გონით ჭკვიანო.
მეგონა სხვებმა თუ მიღალატეს, კლდესავით მყარად მიდგას ფარნაკი
ბედაურს ვზრდიდი ასე ვფიქრობდი,თურმე ყოფილა ჭკვანაკლი ჭაკი.
მენოთან შენ ხარ მაგის ქომაგი, თანა შეზრდილი, ახლა მფარველი
ჰკითხე და გვითხრას ჭარმაგ მამაზე, რატომ აღმართა ღალატის ხელი.

ფარნაკი-
მამავ და მეფევ, მე ასე ვამბობ, მაინც გიწოდებ საყვარელ მამას
თუმცა ვინც იგრძნობს ბორკილით ჯაფას, თუ შერჩა აზრი, არ იტყვის ამას.
მე შეგახსენებ, რაც თავი მახსოვს, მუდამ შენ გვერდით ვიყავ მებრძოლი
ჩემზე დიდისთვის და ძლიერისთვის არ დამიდია ჭიდილში ტოლი.
შენ თუ ომობდი, მეც ხომ ვომობდი, შენ თავს იცავდი, მე შენ გიცავდი
ჩემი კაცობით და ვაჟკაცობით განა ოდესმე მოენეს ვგავდი?
არ გავქცევივარ ბრძოლის წამებას და სხვა ცხოვრება არა მდომია
დაბადებიდან სიკვდილის დღემდე ვაჟკაცისათვის მუდმივ ომია.
გარშემო მყოფნი ღმერთად გსახავდნენ, სამშობლოს ცაზე კიდეც ღმერთობდი
მაგრამ შვილების ლხინს და სატკივარს, თუმც მამა იყავ, მაინც ვერ გრძნობდი
აბა შემხედე ეს ბორკილები ხომ ჩემზე ადრე შენ ძმას ეკეთა

მაშ მიპასუხე, რა დააშავა, რატომ გაუხდი მომსპობი დღეთა.
კოლხებს მიეცი ის უფლისწულად, რომ იქ გყოლოდა თვალად და გულად
რა დააშავა, რისთვის მოჰკალი, არ მსახურობდა განა ერთგულად?

მეტროდორი-
შენ სჯი, როგორაც განსჯის მოკვდავი, არ უწყის საქმის ბოლო და თავი
მხოლოდ ისა სწამს რაც თვითონ სჯერა, სხვათა აზრებთან არ უნდა ზავი.
ჯერ არ იყავი დაბადებული, როდესაც იმ ძმის უმღები გული
ჩვენდა სამტეროდ წამოიმართა, სამეფო ტახტზე დამიზნებული.
მამის სახელი ერქვა, ფიქრობდა, მით მას სხვაშიაც ეტოლებოდა
მაგრამ სინოპეს რომ ვერ იგდებდა, ჭკვიანი იყო ეს კი იცოდა.
ჭკუით აზომა თემისთავები, სინუპის ირგვლივ სულ ხალიბები
დასავლეთისკენ ბითინიამდე გადაჭიმულა მათი მიწები.
აღმოსავლეთით ტიბარენები, მოსინიკები და მაკრონები,
იქვე დრილები და ტაოხები სისხლით და სიტყვით სულყველა ძმები.
და ქალაქები ვით მარგალიტნი დაბნეულები მკერდს სამშობლოსი
გამიურაა თუ კოტიორა, ცელა, ამასი და ამისოსი.
თემის კარია თუ ფარნაკია, კერას უნთია დიდების სანთლად
ყველა სინუპეს ჰმონებს და ჰბამავს პონტოს მისული იხილავს ნათლად.
ეს მითრიდატემ იცოდა კარგად ამიტომ ფიქრი მათ არ გაანდო
პელაზგებს, ლაზგებს თუ ლაზებს შორის კოლხები ნახა საქმისთვის სანდო
და შეიპირა, რომ მათ ეთხოვათ მითრიდატესთვის მისი მეფობა
შემდეგ კი პონტოს მოაცილებდა კოლხეთს, ეს იყო იმათი გრძნობა.
დიდ მითრიდატეს როგორ ეგონა, რომ უმცროსი ძმა თან მითრიდატე
სამშობლოს მიზნებს შორს გადასდებდა, იორგულებდა ვით მოღალატე.
როცა გამჟღავნდა მისი ქმედება, გამოჩნდა რაშიც ბრალი ედება
მეფეს დიდებულს რა ექნა მითხარ ქვეყანას ხიდად რა გაედება
ოქროს ბორკილით დასაჯა იგი ვისიც დამტკიცდა ღალატში წვლილი
სამშობლოს საქმეშ არ იცის წილი, ჩემი და შენი, ცოლი და შვილი.

ფარნაკი-
ამბობ უმცროსი ძმა ღალატობდა, ვთქვათ მითრიდატე იყო მტყუანი
ქსითარა მაინც არა ცდებოდა, სხვა ვინ გინახავს წმინდანი მგვანი?

მეტროდორი-
ქსითარა ამბობ, თვითონ ქსითარა იყო საკენკი მტრის და მოყვრისა
სახელით რაც გსურს ისე უწოდე, კაცი თუ საქმით ნაღველს მოგგვრისა.
აბა იფიქრე, ისე განსაჯე ქსითარამ მუდმივ რა გზით იარა
არა ქმედებით, არამედ ყოფით როგორ დაატყო საქმეს იარა







როცა არც ჭკუით, ძალით და ცოდნით, ჩვენთა ახლობელთ ღალატით, ცოდვით
პომპეუსს საქმე გამოუკეთდა, წაიღო სმენა ტრაბახით, ბოდვით.
იქით ტიგრანმა სომეხთა მეფემ, ვინც პართიიდან აქეთ მეფობდა
თავის შვილებზე იეჭვა ავი, და რომ სტყუოდა თავადაც გრძნობდა.
მაგრამ რად გინდა, ორი მათგანი ერთი ბრძანებით მოაკლევინა
მესამე ძმამ კი გაასწრო სიკვდილს და პართიაში დაიდო ბინა.
რადგან სამივე,-ფიქრობდა ტიგრან, შვილთა შვილნია მითრიდატესი
შეთქმულთა შორის ის იქნებოდა როგორც მოთავე და უმეტესი.
ასეთ მიზეზით მან ჩვენ გვიგანა, მოგვტეხა მხარი, ამძლავრა რომი
მოუვრის ღალატი ათასმაგდება მიმდინარეობს როდესაც ომი.
ვერ მიხვდა ტიგრან, რომ პომპეუსი პართიის მეფეს შეუკავშირდა
ორივე ერთად იყო მიზეზი მის დიდ ქვეყანას რაც ავი სჭირდა.
ვერც ის იანდა, უმცროსი ვაჟი, ისიც ტიგრანი, მისგან ლტოლვილი
პართიის მეფეს რად ჩაესიძა, რატომ მიიღეს იქ როგორც შვილი.
როცა სომხეთი განუდგა პონტოს, როცა ტიგრანმა მეფეს უგანა
მისჭირდა საქმე, მოვხვდით ალყაში, საით გვებრძოლა წინ თუ უკანა.
მხოლოდ ღვთის დარის დიდმა გმირობამ სამეფო სიკვდილს გადაარჩინა
ღმერთი მას სწყალობს, ვინც მას მიჰყვება, ვინც საღვთო საქმემ გამოარჩინა.
ჰიპსიკრატია და დრიპეტინე, მხევალი ქალი და ქალიშვილი
ამ დროს  თან ახლდნენ, მასთან იბრძოდნენ, მტერთან ბრძოლაში მიიღეს წვლილი.
სანორეგია ციხე-სიმაგრე, იქ განძი იყო გადამალული
სამმა ათასმა მიიღო ჯილდო, მეფის მადლობა და სახლის ფული.
და მაშინ იყო რომ კოლხეთისკენ მეფე ილტვოდა ევფრატის მხრიდან
პომპეუსი კი ტიგრანს მიადგა, ჩამოცილებულს საომარ გზიდან
დიდი ტიგრანი რომაელს ეუმო, გააგდებინა სამეფოს ჯანი
მრავალთა მეფემ და მბრძანებელმა იკისრა მონის მძიმე კურტანი.
რომ ყოფილიყო ჩვენი ერთგული, არ დაემჩნია პონტოსთვის წულული.
ხომ დარჩებოდა ისევ დიადი, ისევ ბრწყინვალე, გალაღებული.
დამარცხებულის რიდი ვისა აქვს, ტიგრანის საქმეც ისე წავიდა
პართიელებმა უყელეს სომხეთს ბრძოლა დაუწყეს მველი, თავიდან.
პომპეუსმა კი დრო მოიხელთა, ჯერ ალბანელებს აწვნია ავი
შემდეგ აოტნა იბერთა მეფე, ორივეს ძმობის დაუდო ზავი.
შემდეგ კოლხეთში ოლთაკეს ნაცვლად არისტარხ დახვდა ერთგულ მმართველად
 ნიკოფსიასთან შეწყვიტა ომი, უფრო შორს წასვლა ეჩვენა ძნელად.
და მაშინ მოხდა, რომ სტრატონიკემ, რომელიც იყო ქსითარას დედა
ღალატის ზურგი გვიჩვენა ერთგულთ, და პომპეუსი მოირთო გწედა.
ქმარს განერიდა, რომაელს შეხვდა, თუ რა იცოდა სამეფოს მხრიდან
უთხრა, ასწავლა, მოატანინა ურიცხვი განძი ახალ-ციხიდან.
ახალი-ციხე აღმოსავლეთით მითრიდატესგან ნაფერ-ნაგები

განძს იფარავდა ქვეყნის იმედად, არ იყოს მტრისგან ამოსაღები.
სტრატონიკამ კი უთხრო პომპეუსს: არ ვსდევ აქამდე ვინ რა მიტარა
უარვყოფ მეფეს, იმის სამშობლოს, ოღონდ ცოცხალი მეავდეს ქსითარა.
ახლა იფიქრე მითრიდატეზე, ეს არის ჩ ვენი ღმერთი, იმედი
პონტოელებმა, მოკავშირენმა, მას ჩააბარეს თავ-თავის ბედი.
რომაელთაგან ყველა ჩაგრული აზიელი თუ ევროპიელი
მასში იმედის ვარსკვლავსა ხედავს, მისკენ უპყრია იმედის ხელი.
ის კი ითვლიდა, რომ საგანძური, ახალ-ციხეში მყარად დებული
იყო ის ძალა, რომ შეეკრიბა ჯარი ზედ რომზე გამზადებული
ჩრდილოს მხარიდან სკვითნი თუ კელტნი, როქსოლანები თუ სარმატები
ერთად შეკრულნი, ერთიან ძალით, რომს დაესხმოდნენ თავს წარმატებით.
რომს დაანგრევდნენ ვით რომაელებს სხვათა ქალაქნი დაუნგრევიათ.
სამშობლოს წილხვედრს მტერს რომ მიუზღავს, ახლა მითხარი ასეთთ რა ჰქვიათ?
მეფის წინაშე დადგა საკითხი აქეთ სამშობლო და იქით შვილი
ერთიც გულია, მეორეც გული, ვინ ვისზე უნდა იყოს გაცვლილი?
რაღა მეფეა, ისეთი მეფე სამშობლოს გასცემს შვილს კი დაინდობს
სხვათა ათას შვილს ომში ჩახოცავს, თვისას დამალავს, ითბობს და ირთობს.
ქსითარას გამო ბევრმა დაკარგა პონტოს სამეფოს დახსნის იმედი
მეფეს ის მსხვერპლად რომ არ გაეღო, ჭპატიებდა მას შემოქმედი?

ფარნაკი-
როცა ქსითარას გამოსჭრეს ყელი, დედას შორით მეყოფს უთრთოდა ხელი
ემებდა ხანჯალს, არ დაინდობდა ოღონდ მოეკლა პირმშოს მომკვლელი.

მენოთანი-
მოღალატე რა შესაბრალია, სამშობლოს დაცვა მეფის ვალია
და თუ მოჰყვება ბადეში ვინმე, ნიშნავს ასეთი მოსავალია.
შენ გეცოდება როცა იგონებ, რომ სტრატონიკა უმზერდა დასჯას
დედამ უყუროს შვილის წამებას, მალზე ძნელია, არ ვიწყებ განსჯას.
მაგრამ იფიქრე განა უადრეს თვითონ არ მოსჭრა ჩვენ მეფეს თავი?
ცოლი რომ ქმარზე ავს გაიფიქრებს, განა ქალია!-სულთამხუთავი!
მან განა მხოლოდ ქმარს უღალატა? ყველა გაგვწირა დიდი-პატარა
ვინც მას დაინდობს ბოროტ სულს იმმობს, ასეთი ღმერთმა არ გააჩარა.

ატილიუსი-
შენ თქვი ალბანნი. მე მსურს გავიგო აქ როგორ მოხვდნენ ალბანელები
ან სადაურნი არიან ჯიშით, სად ეგულებათ მამათა მვლები.
მე გამიგია ალბანთა ტომი ცხოვრობდა შორეთს, თესალიაში
პომპეუსი კი კვალში მოგვდევდა, ჩვენც არ შევყრივართ ამდაგვარს გზაში.

მეტროდორი-
ალბან, იბერნი, კოლხნი თუ ლაზნი ერთნი ვართ, ერთი გვქონდა სავანე
დღეს ოკეანე ჰფარავს იმ ადგილს და იბერიის მთებია მწვანე
ეს ის მხარეა სადაც სერტორმა, რომელიც იყო რომის სარდალი,
იბერიელნი მიიმხრო მრავლად, ილაშქრა რომზე, დაუნთო ალი.
უხსოვარ დროში, ძნელია დათვლა, იქნება წელი ხუთი ათასი
იბერიული მოდგმის ტომებმა გზათა გაყოფის რომ შესვეს თასი.
ნაწილმა ჩრდილოს მხარეს მიმართა, ნაწილი დარჩა და დღესაც ხარობს
ის ვინც ვიდოდა აღმოსავლეთით, სხვაგვარად ჰქვია, სხვაგვარად გვარობს
საპელაზგიოს დასახლდა ბევრი, შემდეგ ეწოდათ მათ პელაზგები
მოინადირეს ყველა კუნძული, ყველა დაბლობი და ყველა მთები
იქ შექმნეს მალზე დიდი ცხოვრება, იმრავლ-ივარდეს, ულორტები უარეს
ბევრმა მიმართა კვლავ აღმოსავლეთს, მირი გაიდგეს, გულით იხარეს
და მაშინ იყო საპელაზგოდან გადმოსულებმა ხეთა ქვეყანა
მეარად ააგეს, ბრინჯაო სჭედეს, შედეგმაც შემდეგ არ დაახანა.
ხეთა სამეფო ქუხდა, ბრწყინავდა, საჭმელი ჰქონდა, ღმერთები ჰყავდა
მხოლოდ ესაა, რაც ადრე იყო, ახალი იმ ძველს აღარ მიჰგავდა.
გავიდა ხანი, დაბერდა ჯანი, პელაზგთა მხარეს მტერი ახალი
შემოესია ისეთი რისხვით, რომ ყველა მომხდურს დაუვსო თვალი
ეოლელები, იონელები, ჩრდილოეთის მხრის ბარბაროსები
ოლიმპოს მისწვდნენ, დელფოსი წარყვნეს და პელოპონესს შეუკრეს გზები.
იბერიელთა მოდგმის ნაწილი საპელაზგოდან ჯგუფად დაიძრა
ზღვის მხრიდან იყო მათი შესევა, ისეთი მძლავრი რომ მიწა იძრა
ეგვიპტეს მისწვდნენ, კავკასიამდე რკინით გაკვალულ გზებით ვიდოდნენ
სადაც რა ნახეს მოსაწონარი ყველა შეიტკბეს, თავისად გრძნობდნენ.
პირველ კოლხებმა მონახეს მიწა მიტომ ეწოდათ კორინხელები
თუმცა უადრეს კორინთოს ფლობდნენ, იყვნენ პელაზგი კორინთელები.
შენ თვითონ ამბობ თესალიაში რომ ალბანელთა აკვანი ირწა
შემდეგ გაიყვნენ წავიდ-წავიდნენ, საფიცრად ექცათ სხვადასხვა მიწა
კავკასიაში ალბანთა მოდგმამ ჩრდილოს წასწია ძმები ლაკები
თუ გაჭირვებამ გიბიძგა ვაჟკაცს, დევგმირსაც ჯიქურ დაეტაკები.
ოროისეა დღეს მათი მეფე, კაცი მებრძოლი, მხნე და სვიანი
რომაელებს რომ შეება ფიცხლად ის გაბრძოლება იყო გვიანი.
მითრიდატე რომ მოუწოდებდა, მაშინ ზოზინით იკაზმებოდა
როცა ტიგრანიც მუხლებზე დადგა, მის ბრძოლას აზრი ეკარგებოდა.
ამიტომ იყო ომს გაერიდა, ზავი ითხოვა მეფე არდოკმა

იბერთა თავი უმალვე მიხვდა დევის ხახასთან დარჩა მარტოკა.
ერთი ბუდიდან აფრენილები ლაკებ, კარები, იბერ, კოლხები
ალბანელები, აქაველები, ტიბარენები, ჰენიოხები
მოსინიკები და ტაოხები, მოსხნი, ხალიბნი და მაკრონები
ყველა დაძრული საჰელაზგოდან, დღეს დაფანტულნი ღვთიური ნებით.
ჩვენ მეფეს სურდა შემოეკრიბა, გადაექცია ერთიან მალად
მოსხოს მწვერვალზე აენთო ცეცხლი ყველა ტომს, რომ გვაქვს დღეს სალოცავად.
განა რა ვცოდეთ, გვაქვს ერთი ჯიში, გვაქვს ერთი ენა და ერთი რწმენა
და მაინც ერთ-ურთს ვკილავთ და ვწიხლავთ, ასეთი მოგვდგამს ჩვენ თავის ჩენა.
კუნძულ ევბეა, საჰელაზგოში, იბერთა ტომის იყო ნაფერი
შემდეგ რამდენიც მოსწყდა სამშობლოს, დარჩენილების შეიქმნა მტერი.
სოფელ ხალიბეს ვინცა სახლობდა, აქეთ ეწოდათ ჰალიმონები
როცა იმრავლეს ორად გაიყვნენ აქ იბერები, იქ ხალიბები.
მაგრამ ვინც დარჩა მშობელ ევბეას, ეწოდათ შემდეგ კორაბანტები
ტყავის ოსტატნი, წერის ოსტატნი, რკინის ოსტატნი, არა ზანტები.
დღეს აბანტები მტრობენ ხალიბებს, ხალიბებს არ სწამთ იბერებისა
ასე ვიქეცით იქიდან აქეთ დამკარგავები ჩვენი ძმობისა.
და მითრიდატეს, ხალიბთა მეფეს, სურდა შეეკრა აბანტ-იბერი
ჰელესპონტიდან იქით და აქეთ არა გვრქმეოდა ამერ-იმერი.
ამ დიდ საქმეში ვინც მეფეს უმტრო, დიდ მითრიდატეს ვინაც უგანა
არა სცოდნია მტერი-მოყვარე, ჩემი და შენი, წინა-უკანა.

ფარნაკი-
მე არ უარვყოფ, როცა ვიბრძოდი, ვიყავ ერთგული მამაჩემისა
მწამდა სიდიდე მისი ფიქრების და სიდიადე იმისი გზისა.
მაგრამ ხომ არის მაინც სხვაობა როგორი სვლებით მიაღწევ მიზანს
ვის უერთგულებ, ვის დაიფარავ, მტერს თუ მოყვარეს, სულელს თუ მისანს
კაცი რომელიც შვილებს გაწირავ და საჭურისებს გადაეგები
არ იცი კაცი, არ იცი ქალი, დიდი-პატარა, ძმები და დები
ვიღათვის იბრძვი, რაღათვის იბრძვი, თუ ზურგს შეაქცევ გულით საფიცარს
თუ არ დაგინდობს, თუ არ დაინდობ, ვისაც უყვარხარ და ვინაც გიყვარს.
განა არ იყო, ტომთა ბელადებს ჩამოურიგა ქალიშვილები
არცა რა ჰკითხა საკუთარ შვილებს, როცა ასეთი არგუნა ბედი.
ამიტომ მოხდა, მხლებელმა რაზმმა, ფარნაგორიას მიწეულები
შემოაბრუნა სამხრეთისაკენ, კოლხეთისაკენ გაკვალა გზები
და ჩააბარა დიად პომპეუსს მეფის შვილები ტყვედ აყვანილი.
მან კი მიიღო ისეთი გრძნობით, თითქოს აღზრდაში დაედო წვლილი.
აბა იფიქრეთ, მამამ გაწირა, მტერმა შეიტკბო ის ჩემი დები

ვის რატომ უკვირს, მტერიც რომ იყო, თუ მმად მიმიღებ, შემიყვარდები.

მითრიდატე-
მე არ მაოცებს ფარნაკის სიტყვა, მან იცის მხოლოდ რაც ადრე ითქვა.
ცბიერ რომაელს არ შეეშალა და ასეთი გზით მესროლა მით ქვა.
მაგრამ ეს იყო როცა ტყვეები პირველად ნახა და მოუფერა,
გავიდა ხანი. იცვალა ნირი სხვა ხასიათზე იწყო სიმღერა
ის შენი დები და მათთან მმები, აგრეთვე იბერთ სამი ბელადი
ტიგრანის ვაჟი, კოლხი ოლთაკე, რამდენი მუ და რამდენი ხვადი
რომში ტრიუმფზე წინ წარიმძღვანა, დაბორკილები, როგორც მონები
შენ თუ ეს მოგწონს, წადი ეახელ, ბორკილში შენც კი მოეწონები
მტერს მინდობილი, გალაღებული არცა ყოფილა და არც იქნება.
კარგს რად ინდომებს, თუ მოგიფონებს, ისევ მტარვალად მოგევლინება.

მენოთანი-
სიმართლეს ამბობს მეფე დიადი, აზრმა გაჰკვეთა გონის წყვდიადი
მტრის ჩანაფიქრის უცილოდ ცოდნა ყოველთვის არი მალა ფრიადი.
პომპეუსი რომ გაიმვერაა, არ ახალია-აზრი მველია
ერთ-ურთს აჯახებს აზიელ გმირებს, მიზეზ-მიზეზი არ დაელია.
პართიის მეფე ფრაატს აღუთქვა, ერთად მოესპოთ მეფე ტიგრანი
და სასომხეთის მიცემდა მიწებს. და აისრულა გულის მიზანი.
ტიგრანს ღალატის გაუბა ქსელი და თან ანიშნა მითრიდატეზე
სიმე-სიმამრი გათიშა ამ გზით, ატარა ორნივ საავდრო გზებზე.
პონტოს ნაწილი ჩვენ მტერს აჩუქა, გაამლიერა დეიოთარი
და გალატიამ გვიგანა გზაში. რამდენი გითხრა კიდევ ამგვარი?
ცხადია ერთი, ხიბრძნე თქვა მეფემ: მუდამ ცუდდება მტერს მინდობილი.
ამიტომ გვედრებ გახდი რაც იყავ: მეფისთვის შემწე, მამისთვის შვილი.
ღმერთთა ხადარი მოიბრუნებს გულს როდესაც შვილის იგრმნობს სინანულს
ცალ-ცალკე ბრძოლით ორთავ წააგებთ, მხოლოდ ერთობით უშველით მამულს.

ფარნაკი-
მენოთან იცი დიდად გაფასებ, ჭკვიანი ხარ და კარგად ირჯები
მაგრამ პასუხი ბანზე ამიგდე, მე თუ გავიგე, თავადაც ხვდები.

მენოთანი-
ლომის ნაშიერს, თუნდაც დაბორკილს, კატა რას ერჩის, მაინც ლომია
მე როგორც გითხარ, ისე გამიგე, უვიცთან სიტყვით არ მიომია.
შენც კარგად იცი ღმერთთა სადარი რომთან ჭიდილში მხოლოდ ისვენებს
დასუსტებული ეჩვენება მას, ვინც აჰყოლია მომხდურთა ენებს.

ორმოცი წელი რომს ერქინება, ორმოცი წელი ცოტაა განა?
რამდენჯერ ძლია, რამდენი მოსპო, რამდენჯერ ისევ მოძმემ უგანა.
სხვა გზა ირჩია, დიადმა მეფემ ღმერთთა თანხმობით ასე განსაჯა:
ვინაც ზღვის გზებით იომა რომთან, რომმა ყველანი მწარედ დასაჯა.
მაგრამ რომელმაც მთები დალახა ის მოევლინა მტარვალს ვაგლახად
ამიტომ არი ახალ ომისთვის მოკავშირენი ახალი ნახა.
ურიცხვ სარმატებს, სკვითებს და კელტებს თუკი მათ თავი გამოიმეტეს
მეფის სარდლობით ნამდვილად მალუმთ ახსნან ურდულნი რომის საკეტებს.
ახლა ასე ვთქვათ, შენ თუ ენდობი, გინდა ის მხარეც ისე მოგენდოს
შენი მიზანი გახდეს იმისი, იმისი ცეცხლი გულზე მოგედოს.
ამ დიდ საქმეში უკეთესი გზა ვიდრე სიმობა და დამოუვრება
არცა ყოფილა და არც იქნება ღმერთთა ნებაა და დამოძღვრება.
ამიტომ იყო ღმერთთა სადარმა სკვითთა ბელადნი რომ დაისმა
და ამის შემდეგ დაგვიდგნენ გვერდში, ჩვენს დიად მიზანს გაუხდნენ მიმად.
ქალთ გათხოვება რატომ გგონია, შვილთა ღალატი, მოყვრის გაყიდვა
ქალთა ვალია ოჯახის შექმნა, შვილთა გაჩენა და მათი ზიდვა.

ატილიუსი-
ჩანს ჩემი ბედი გადაწყვეტილა, რადგან საუბრობთ თავაწყვეტილად
და არ მიმალავთ მომავლის გეგმებს, თუმც მეპყრობოდით ყოველთვის ფრთხილად.
მეც ღიად გეტყვით, რომი შორსაა, თქვენი მახვილი იქ ვერ მიწვდება
მაღალი მთები იცავს ქვეყანას. თქვენ თუ არ იცით, ფარნაკი ხვდება.
მთებამდე ბევრი ტომი ბინადრობს, ხომ ვერ გაიხდი ყველას მეგობრად
ვერ ესიმები, არ გესიმება, არც ძმად უნდიხარ და აღარც მშობლად.
შორი გზა არი ბრძოლით სავალი, ამ გზამ იმსხვერპლა ქვეყნად მრავალი
აქეთკენ ფიქრი, ასეთი ზრუნვა, არ არის საქმის გამოსავალი.
და ამას გარდა, რად გიფიქრიათ რომი ხმელეთზე სუსტად გრძნობდეს თავს
ბარბაროსების შემოსევისგან რომის სამეფოს მაშ სხვა ვინ იცავს.
მე შეგახსენებთ, ორმოცი წლის წინ კიმვერთ დალახეს მაღალი მთები.
თოვლმა და ყინვამ იმსხვერპლა ბევრი, მათი მძორებით აივსო გზები.
რომს მიატანეს მგლური ჭენებით, იფიქრეს რომი ტკბილი ხილია
და მარიუსმა მოსპო ყოველი, მათი სიმრავლე გამოილია.
თქვენ რატომ ფიქრობთ სხვაგვარად შემლებთ, ფიქრობთ დაგხვდებათ კარღია რომი
თუ ვაჟკაცი ხარ სხვაგან რად გარბი, ჯერ შენს მამულში მოიგე ომი.
მეფეს ვგონივარ მე მოღალატე, ამ შეთქმულების დიდი მოთავე
ალბათ იმიტომ, პირში ვიცი თქმა, არ დამიმალავს განცდები მწვავე.
ნუ აღშფოთდებით ეს მე ვურჩიე მამულისათვის მამულში ომი
თუ სატევარმა ვერ გალია გზა, უნდა მონახო სულ სხვა საზომი.
ეს ხელაღებით როდი მითქვია, რომის სენატორს რომისა მესმის

თუ გონიერის გონება არ ჭრის, მრუდედ ნაქნარი გულზე დაესმის.

ფარნაკი-
მამავ მშობელო, მინდა გამიგო, და ვამბობ არა სიკვდილის შიშით
ვაჟკაცი უნდა სატევარს ენდოს, არ აურუებდეს ქვეყანას ვიშით
ჩემი სამშობლო პომპეუსს ეპყრას, მას განვერიდო, ვის შევეყარო
დედლურ სიცოცხლეს, ლტოლვილად ყოფნას, მიჯობს შინ მტერი არ გავახარო
დავბრუნებოდი ხალიბეაში, მე აღვადგინო პონტოს სამეფო
მტერთან ბრძოლაში დავეცე მიჯობს, ვიდრე სხვა მტრებთან სიმღერა ვყეფო.
თუ პომპეუსი ვერ დავამარცხე, სხვაზე, სხვაგვარად მოვურიგდები
ჩავალ სინუპეს, თუ სიკვდილია კელტებთან რა მჯის, სახლში მოვკვდები.

ატილიუსი-
რომაელთ ბევრი ბევრგან ებრძოდა, ვინაც დამარცხდა-ქედი მოხარეს
გუშინდელ მტერს და ერის დამღუპველს, დღეს ემახიან ძმას და მოყვარეს.
ეტყობა კაცთა არი ბუნება, იცვალონ აზრი თუ მოერგება
ვინც ეგუება იბრძვის და რჩება, ვინც არა-ბრძოლის ველზე მოკვდება.
დიდი ხნის წინათ როდესაც მგელმა ორნი გაზარდა რომი-რომული
მგლური დაუდო გულის საფერი და გაუჩინა სხვა ტომებს წულული.
რომთან ბრძოლაში ვინ არ დამარცხდა, ვინ აისრულა გულის წადილი
და თქვენი ფიქრიც, რომზე ლაშქრობის, დამარცხებულის არი ქადილი
შეხედეთ მეფეს ღმერთად ავლენილს, ბერიკაცს თუმცა ღმერთკაცი ჰქვიან
დაჩაჩანაკდა. მისი მზადება ლაშქრობისათვის დაიწყო გვიან
როცა დაიპყრო ბევრი ქვეყანა, პონტოს საკუთარ ზღვად რომ მითვლიდა
ათენი ეპყრა და კუნძულები მას მორჩილებდა დიდი თუ ციდა
მაშინ შეეძლო რომზე ლაშქრობა მაგრამ ვერ შეძლო დროის შეცნობა
და მტერზე იქით შეტევის ნაცვლად სულას დაიწყო ფერება, ძმობა.
გავიდა ჟამი, დასუსტდა ჯანი, ლომიც, არწივიც მაინც ბერდება
სიბერემ იცის გრძნობას აყოლა, ბედზე ჩივილი-,,ასე რად ხდება''.
დღეს თქვენი აზრი დამღუპველია, რომზე სავალი მალზე გრძელია
და როგორ გინდა იქ გაიბრწყინო თუ ჯანი აქვე გამოგელია.
შენ აჰყოლიხარ მონათა სიტყვას, როგორც ცდებოდი-ისევე ცდები
როცა ცხელ გულზე ცბიერ საჭურისს დაახოცინე ცოლები, დები.

მითრიდატე-
მომავლის მიზანს თუ აწმყო ჩრდილავს, აწმყოს ოცნება და მოგონება
წასულა ჟამი ჩართული ომის, და სდევს მოხუცის ჯანი, გონება.
თითქმის სამოცი წელია ვმეფობ, მე ავაყვავე ხალიბთ ქვეყანა
მივეც მეომართ სადიდებელი, მონათ უფლება და გლეხებს ყანა.

ტიბარენებს ხომ კატაონთ ვეტყვით, ვლოცე აპოლონ კატაონელი
ზევსი კრეტელი, ძლავრი არალე არესს ეძახის ვის იონელი
სამოცდა ცხრის ვარ, ცხა დღე არ ვიცი მათგან სიამე და მოსვენება
საპელაზგოდან კავკასიამდე მე მაბრძოლებდა ღმერთების ნება.
თორმეტის ვიყავ, როდესაც მამა დიადი, ბრძენი, კეთილშობილი
მოგვიკლეს შვილებს. ლაზგებს და ლაზებს მისთვის მებრძოლი მოუკლეს შვილი.
ტახტი მე მერგო, მაგრამ პატარას დედამ წამგვარა ყველა უფლება,
რამდენჯერ ცადა ჩემი მოწამვლა, თუმც ერქვა დედა, ასედაც ხდება.
ერთხელაც მახსოვს გიჟ ცხენზე შემსვეს, უბელო ჭაკზე, გაუხედნელზე,
მშვილდი მომცეს და სამიზნედ ქორი ამომიფრინეს არალეს ველზე.
ვაჯობე ბედს და მტრებსაც ვაჯობე, ზურგს უკან მედგა დორილაოსი
იმისი რჩევით მთებს მივეც თავი, გავხდი მეუფე მხეცთა საწმყოსი.
დედა შვილს მტრობდა, მიწყივ მდევნიდა, სხვა სიყვარული არ გამიგია
სამეფოს ჰყიდდა, ასე დაკარგა კაპადოკია, დიდი ფრიგია.
მე შვიდი წელი ტყეში და ღრეში მხეცებს და სიკვდილს ვეჭიდებოდი
მუდმივი საფრთხე და საზრუნავი სულს მიკაჟებდნენ, ვვაჟკაცდებოდი.
ცხრამეტის ვიყავ როცა სინუპეს, ვით თვალის უპეს და ქვეყნის უბეს
სატახტო ქალაქს ვეუფლე ძალით, არ მოვერიდე მტრის სისხლის გუბეს.
დედა დავინდე, ჩავკეტე ციხეს, იმას ვუწამლე-ვინაც მწამლიდა
ვინც აყოლილი რომაელთ აზრებს, შვილს და მემკვიდრეს მოცილედ მთვლიდა.
სასტიკიაო იტყვიან ჩემზე. მაშ არ მეზრუნა მე ქვეყნის ბედზე?
არ მეპატრონა ვისი უღელიც თვითონ განგებამ დამადგა ქედზე?
ოცი წლის ვიყავ და ოცდაორი ენა ვიცოდი სულ ყველა ტომის
მე თარჯიმანი არ მჭირდებოდა, სრულად მესმოდა ჩემს გზაზე მდგომის.
ჯეელი ვიყავ, ჯანი მერჩოდა, თექვსმეტ ცხენიან ეტლებს ვმართავდი
ჯირითი იყო თუ დიდი ბრძოლა, წინ მივდიოდი, არალეს ვგავდი.
ფილოსოფოსთა მიყვარდა ბჭობა, ზოგი ეტრატი მეც მიწერია,
სიტყვაც მიჭრიდა, მკლავიც მიჭრიდა და სიყვარულზეც დამიმღერია.
მახსოვს ვიყავი მე ოცდაორის როცა სკვითების ვიპყარ ქვეყანა,
მეოტიის ტბის იქით ტომები და ტანაისის მცხოვრებნი თანა.
ვინც დაამარცხა დარიოს დიდი და მაკედონელს მოუსპო ჯარი
უმებად ვაქციე, როს წავაქციე, დიდი გმირების ვიყარე ჯავრი.
გმირნი კელტები, თრაკიელები, იბერ-ალბანნი გამიხდნენ ძმები,
რომს დავუმიზნე მტარვალთა ბუდეს, იქით დავზვერე საომრად გზები.
მახარე მყავდა ლაოდიკესგან, მვირფას მეუღლეს მივეცი ნება
ემართა ჩემი დიდი სამეფო, როგორც ესმოდა, როგორც ენება.
მე გადაცმული წაველი სხვაგან, ბევრი სამეფო შემოვიარე
კაპადოკია, პაფლაგონია, ბითინია და ფრიგიის მხარე
გალატიაში დავყავი ერთ ხანს, ვცანი ლიკია სამხრეთით როა,

ვნახე ეფესო და პერგამონი, კიზიკ, დარდანი და დიდი ტროა.
კრეტასკენ გზასაც გავაგრძელებდი, მსურდა მენახა დელფოს, კორინთო
სად ვინა ცხოვრობს, რაზე რას ფიქრობს, რომ სამომავლო მიზნად ავინთო.
თურმე სინუპეს ხმა დაარხიეს ჩემ დაღუპვაზე, სადღაც მოკვლაზე
და ლაოდიკე, ჩემი მეუღლე დადგა მეუღლის ღალატის გზაზე.
მე რაღა მექნა, დავბრუნდი უკან, სანამ სამეფოს ვინმე წამგლეჯდა
მიველ სინუპეს, ჩემს სასახლეში, სადაც ორგული ერთგულად მეჯდა.
ცოლმა ფიალით ღვინო მომართვა, შიგ საწამლავი ელუპით ვიცანი,
შევასვი ცოლს და იმის კუროებს, სულმა დატოვა იმათი ჯანი.
მეტყვით სასტიკი ვყოფილვარ კაცი, გაუტანელი, დაუნდობელი.
მე გიპასუხებთ, სიკვდილის ცოდვით რომელმა მხარემ აღმართა ხელი?
როცა კოლხეთი შემოვიერთე ეს ნათესავნი სისხლით და ენით
მმართველად დავსვი ძმა მითრიდატე, ვფიქრობდი ჩემი, მამით და რწმენით.
რით უპასუხა ნდობას და ძმობას, რა მსჯის დავწამო გარდაცვლილს ცილი,
აქ უკვე ითქვა რა კაცობისთვის, ფეხზე დავადე ოქროს ბორკილი.
უფრო მეტს გეტყვით, თქვენ არ გითქვიათ, თუმცა თვითეულს ეცოდინება
მე მენოთანის მოვკალი მამა და ავასრულე ღმერთების ნება.
მაშინ ვიყავი მე ოცდა ხუთის, როცა ნიკომედს, მეუფეს ძლიერს
ბითინიაში ღმერთთა ხელდასმულს, ნადავლის მებრძოლს, ვით ნადირს მშიერს
შევუკავშირდი, მივეცი მხარი, ძმურად გავყავით პაფლაგონია,
შემდეგ გალატებს ვეუფლე მარტო, ესეც საამო მოსაგონია
კაპადოკია მრჩებოდა ცალკე სადაც ჩემი და იყო დედოფლად
ვემზადებოდი როცა მეფისგან და და დის წულნი დამირჩნენ ობლად.
მე ვუპატრონე. არ მეპატრონა? ღმერთებსაც ხომ ჰყავთ თავის მფარველი
სხვას ვის შეეძლო რომ გამხდარიყო ჩემი დის შვილთა შემწე და მცველი.
სანამ მე ვსჯიდი რით ვარგო ობლებს, ამ დაყოვნებით ქვეყანას ვჯიდი
ის ნიკომედე მიეჭრა ჯარით, თან სიტყვა უთხრა ორპირი, ფლიდი.
უთხრა მოველი არა მიწისთვის, მინდა გაგიყო მეფის საწოლი
გავერთიანდეთ, მოვირგოთ ძალა, მე ვიყო მეფე, შენ მეფის ცოლი,
ახლა განვსაჯოთ პონტოს სამეფო, კაპადოკია, პაფლაგონია
სულ ხალიბების სამოსახლოა რაც კი წარსული გამიგონია.
თუ ტაოხები სადმე სახლობენ, მოსინიკები და მაკრონები
ერთია ენა, სისხლი და ჯიში, ერთი ჰყოლიათ წინათ განმგები.
ჩემი გვარიც ხომ იქიდან მოდის, იქ დამიმარხავს მე წინაპარი
ბითინიელმა იმეფოს რატომ? რად მინდა ფარი და სატევარი.
მე ნიკომედე განვდევნე ძალით და ტახტზე დავსვი არიარატი
ჩემი დის წული, ჩემი გაზრდილი, ჩემი იმედი და ჩემი ხატი.
ამ ჩვენ დავაში და საზრუნავში, რომმა თქვა სიტყვა ვით სამართალში
არიარატი გადაიბირა, ყველა მცდელობა ჩამიგდო წყალში.

ყეაჯე დისწულს, ავი რად გინდა, რომ გატყუებს, არი მტარვალი
შენ რომ შეგსანსლავს, მე მომადგება, გახსენი სმენა, ახილე თვალი.
მუქარა მკადრა, ბიძასთან სიტკბოს მიჯობს რომაელთ ლეგიონები
კაპადოკიას გადავცემ იმათ, ვემსახურები რწმენით და გზნებით.
მივხვდი ამაო არი მუდარა, გულის დატბობა და სმენის ხედვნა
ჩემ ხელში იყო მიჯრით გაზრდილი, უკადრი მაინც არგაებედვნა.
და მოხდა ისე დავას გადაჰყვა, თუმცაღა გულით მეწადა ზავი
სამეფოს ბედი ცუდად წყდებოდა, მას შეეწირა დისწული ავი.
მისი ვაჟია და დის ბადიში, მენოთანს ყველა მოეხსენება
იმიტომ მიყვარს, სიტყვას ვუჯერებ, იცის ჩვენ გვმართავს ღმერთების ნება.
მე თავს არ ვინდობ, სხვას ვით დავინდობ თუ კი მოითხოვს ქვეყნის მიზანი
ყველა ნაბიჯი მოსაწონია გზა გასასვლელი თუ შეიცანი.
არიარატი მწარედ ცდებოდა, დრომ დაგვანახა ყოველი ბოლოს
შენ თუ გაწირავ და მტერს შეიტკბობ, ემსახურები იმ მტრის სამშობლოს.
დღეს ხომ გამოჩნდა რომაელთათვის არაა მტერი და მეგობარი
დღეს გვფარველობენ, ხვალ შეგსანსლავენ თუ სისუსტისკენ მოგექცა მხარი.
კაპადოკია დღეს ვის ხელთაა, ბითინიაა თუ გალატია
მათმა მეფენმა თუ რამ იზრუნეს, თუმც ამაყობენ, სულ ღალატია.
პონტოს სამეფოც ღალატმა დასცა, მათმა ქმედებამ წამართვა მალა
ვინც რა დაკარგა, რომმა იპოვა მყარად მიიღო და მიითვალა.
მე გრძლად მოვყევი, ატილიუსი მიგანიშნებდათ ცოლებზე, დებზე
კი იყო მართლაც, ევფრატის მხარეს როდესაც მარცხი დამაწვა მხრებზე.
ვიანდე მყისვე ფარნაკეაში როქსანა მყავდა და, და სტატირა,
ბერენიკე და მონიმე ცოლნი და ფიქრით მათზე დარდმა მატირა.
მათი გამოხსნის არ იყო მალა, ტყვეები იყვნენ ტურფა ქალები
რა მოელოდათ, მონად გაყიდვა, რომში მხევლობა, ყოფა წვალებით.
ბევრი განვსაჯე, გადასაწყვეტად არა მქონია სხვა საქმე მძიმე.
უწყის კიბელამ ღმერთების დედამ ყველა მიყვარდა, მაგრამ მონიმე
სულზე უტკბესი რომ იყო ჩემთვის, რომ ეგრე რიგად ვერ გავწირავდი
ამიტომ იყო თვითონ დაჭრილი, მკერდში დაკოდილ არწივსა ვგავდი.
მეფის სიცოცხლე მაშინ მთავრდება, როცა მთავრდება მისი მეფობა.
ვის გაუგია მეფის მონობა, აზრი ვერ იტევს, ვერ იტანს გრძნობას
შედეგი იყო, ბაკხი შევგზავნე, გავანდე სიტყვა და საწამლავი
ჩემი დებიდან და ცოლებიდან ვინც გადაწყვეტდა-მოეკლა თავი.
და თუ ქალები ღირსებით მოკვდნენ, ასე არჩიეს უღირს მონობას
რომაელს რატომ შეტკივა სიტყვა, რატომ აწვალებს უღირსად გრძნობას?
მე თუ ვარ მხეცი, არა მაქვს გული, არა მცოდნია მადლი და ცოდვა
მაშინ მე გეტყვით და თუ ვიცრუე ვინაც კაცია უწოდოს ბოდვა.
ორმოცი წლის წინ პელიანაქსმა კუნძულ დელოსზე ძეგლი დამიდგა

როგორც ბერძენთა კეთილისმსურველს, მათ დასაცავად შუბით რომ იდგა.
იმავე ბერძნებს ქალებს თუ ბავშვებს სულამ ათენში გააძრო სული
გაქლიტა უველა, დაიცხო ბრაზი. ვინაა მხეცი წრეგადასული?
ანდა ფიმბრიამ ლეგიონები როცა ილიონს შემოუსია
ათენას ტამარს შეფარებულნი ცოცხლად გდაწვა. ეს ნამუსია?
და ლუკულუსმა ქალაქ ამისოს შემდეგ სინუპეს როცა იღებდა
რამდენი ნორჩი მოაკვლევინა თუ იყო კაცი რად არ იგებდა?
ახლა ჩემს გეტყვი, კაბეირასთან რომ დავამარცხე დიდი ლუკული
პომპონიუსი ტყვედ ავიყვანე, შემეძლო ხანჯლით გამეპო გული.
მე შევიწყალე და მასთან ტყვეებს საგზაოდ ფული ჩამოვურიგე.
ვინ ბოროტია და ვინ კეთილი ახლა განსაჯე, მოდი გაიგე.
დღეს როგორც ხედავთ თქვენი ჯერია, თუ სამართალი არ ამერია
შეთქმულთა თავნი დასახოცია, მათი დამქაშნი-დასაჭერია.
ვიყო ბოროტი-ვიზავდი ასე, რომაელებმა ასეც იციან
არ დაგინდობენ, არც შეგინდობენ, სახლს დაგიწვავენ ადრე თუ გვიან.
ერთს შეგახსენებთ ტარკვინიუსი მეფედყოფილი, შეთქმულთა თავი
კონსულ ბრუტუსის ვაჟებს გაენდო, მაგრამ გამჟღავნდა განზრახვა ავი.
და მოსამართლედ დაჯდა ბრუტუსი და ორივ შვილი მოაკვლევინა
შენ ამის მერე როგორღა იტყვი კარგი ვინ არის, ცუდია ვინა?
ასე ვფიქრობდი ბოროტთ საბუდარს, რომს ავიღებდი და დავანგრევდი
თუ პომპეუსი ქვეყანას მიქცევს, მისას დავსჯიდი, მის აზრებს ვდევდი.
ფარნა ვფიქრობდი ჩემი მემკვიდრე, თან გამყვებოდა, გზას გამიკვლევდა
თურმე სტანჯავდა სხვა რამ ნაფიქრი, სხვა მიზნებისკენ აღმვრია სევდა.
თუ კი მას უნდა სამშობლოსათვის სისხლი გაიღოს, აქვე იომოს
დაე წავიდეს. ვათავისუფლებ. თავისი საქმე თავად აზომოს.
მე კი დავრჩები მოვიკრებ ძალას და ვინც ილაშქრებს ხვალ ჩემთან ერთად
გზაზე ნატანჯი, მძებნელი განძის, მოევლინება რომს ბრძოლის ღმერთად.
*/მცველებს ბორკილაყრილი ფარნაკი გაყავთ/.*

მეტროდორი-
მეფევ დიადო რაც ახლა ბრძანე ჭკვიანს აღუძრავს საფიქრალს მრავალს
მაგრამ სად ნახავ დიდს თუ პატარას ერთი მიზნისკენ ერთგვარად მავალს.
ვფიქრობ ამიტომ ხომ არ აჩქარდი როცა სასჯელი გამოიტანე
შვილთან-მეტოქე ათავისუფლე და გზის დალოცვა თან გაატანე.
მეორე მხრივ კი სხვა რა ძალაა უმეკვიდრეოდ რჩებოდა ტახტი.
ვრჩებით ჩვენ წრეში მოქცეულები, საიდან გვხვდება არ ვიცით ლახტი.

მენოთანი-
ღმერთად სახავდნენ ვინაც ოდესმე კაცთ სამყოფელში გმირად იბრწყინა

და მითრიდატეს ღმერთად აღვლენა ღმერთს გაეხარდა, კაცმა იწყინა.
მაგრამ სხვა კაცის თვალით შევხედოთ ისე დავასკვნათ ეს რა წესია
თავთავს იმკიდე იმ მამულებში სადაც არ გიხნავს და გითესია.
ატილიუსი ამბობდა რწმენით, უვიცს ათრობდა დათაფლულ ენით
როგორი გვქონდა ახალგაზრდობა, მოხუცად როგორ გარდავიქმენით.
მას შევახსენებ, ჩვენზე უადრეს რომ ჰანიბალმა რომთან იომა
ფინიკიელთა შთამომავალმა შორს გაიტანა ვაჟკაცთა ნდომა.
იბერიაში მოირთო მალა, მგლურად გადავლო მაღალი მთები
ასი ათასი მეომარისთვის რომში იშოვა მსუყე საკვები
მაშ რად ვიფიქროთ რაც ერთმა შეძლო სხვა ვეღარ იზავს, ერთის ბედია.
სუსტიც ძირს დაცემს ძლიერის ფუძეს თუ ძლიერს ვერა გაუბედია.
ჩვენ კი რა გვიჩანს სისუსტის მსგავსი, ვინაც გმირობდა, კვლავაც გმირია
ტომთა მრავალთა რომზე წაუყვანა, მისი სამღერი და სამზირია.
მწამს ჩემი მეფის მალა და ჭკუა, რომელს მართავენ მაღლა ღმერთები
ტომთა სიმრავლეს წინ წაუძღვება, რომ გადალახოს რომისკენ მთები.

ატილიუსი-
კართაგენელის ვიცი ლაშქრობა, თუმც ასზე მეტი გავიდა წელი
ძლიერი ქვეყნის იყო მოთავე, ტომთა მრავალთა ის იყო მცველი
ბევრიც იომა. მართალი არი რომს გაუჭირდა მასთან ჭიდილი
მაგრამ ხომ დასცეს ძირს კართაგენი, კაცთან ქვეყანას ერგო სიკვდილი.
ახლა რა გინდათ, პონტოს სამეფო ავად თუ კარგად წაქცეულია
მას მივაყოლოთ ზედ მითრიდატე გზებზე რომლითაც მას არ ულია?
სად არი მალა, ბარბაროსები ერთიან მალად გადააქციოს
რომის გალავანს მოხსნას ქონგური, მტერი გარეკოს და გააქციოს
ეგ თქვენი აზრი თუმცა დიადი, განწირულია დასაღუპავად
და თუ დაიწყებთ ასეთ ლაშქრობას, სანამ მიაღწევთ, მიხვდებით თავად.
წავიდა ჟამი თქვენი დიდების, დღეს რომი მძლავრობს, დღეს მისი დღეა.
ძლიერი იხვეჭს, სუსტი ვიშვიშებს და სასწაულის მოიმედეა.
როდესაც რომში მეფობა მოსპეს და ერს წაუძღვა ორი კონსული
იმძლავრა რომმა ახალი წესით, იპყრა ყოველი, გაამრო სული.
თითქმის ხუთასი გავიდა წელი, რომმა არ იცის სირცხვილის ზავი
ბედია, ჭკუა თუ ეშმაკობა ამკობს სახელი და მოსართავი.
ერთი დრო იყო, მაკედონელი ჩვენზე საომრად რომ დამრულიყო,
იქნება კიდეც დაგვამარცხებდა, ჩვენი ვარსკვლავიც გადასულიყო,
მაგრამ ღმერთებმა ინებეს ისე, ღმერთკაცის მალა და სიხალისე
აღმოსავლეთით წამოიმართა, მე გეტყვი, ცოდნა გაითავისე:
წარსულ დროებში ვინ არ მძლავრობდა, რომელი ტომი, რომელი ერი,
მაგრამ რომელი შემორჩა სოფელს, რომელს ჰქონია მუდმივ სამღერი?

ალექსანდრე ხომ იყო დიადი, სად რა გაიგო ყველა ინდომა
ეგვიპტეს მისწვდა მისი მახვილი, და გამოსცადა სიმხნე ინდომა.
სხვაგან ვინ ნახა უფრო მამაცი და საქმეები შესაბამისი
და მაინც ბოლოს დაემხო თვითონ, და დაიშალა სამეფო მისი.
დღეს რომის დღეა, რომი ბობოქრობს, სიდან-სადამდე ბრძოლით იმონებს
მოვა დრო ქვესკნელს ჩაესვენება, ვერას მიაღწევს რასაც ინდომებს.
სჯობს დაუცადეთ იმ ჟამის მოსვლას თუ საჭიროა კიდეც უფერეთ
ფარულად ომის ხანჯალი ლესეთ, აშკარად ძმობის ჰიმნი უმღერეთ.

მითრიდატე-
ატილიუსი ისე ირჯება, ჭკვიანიც იყო ვერ მიუხვდები
აქეთ იაზრებ სწორეა თითქო, იქით იაზრებ, არც იქით ცდები.
გამოცდილია, სენატორ ყოფილს, ესმის ორმაგი აზრის სიგანე
უცნობი უცნობს ადვილად ეტყვის, რასაც მსგავსებში ვერ იზავს მგვანე.
კარგი რჩევაა, იყუჩეთ ერთხანს, დაუტკბით მტერს და დაჰგმეთ მოყვარე
დღეს შენ დაკარგავ, ხვალ სხვა იპოვის, ვერვინ წაიღოს იმქვეყნად არე.
დარჩება მიწა, ზღვა, ზღვის ნაპირი, მწვანე დაბლობი, მაღალი მთები
კაცის ნაქონი, კაცმა შეირგო, ორივ კაცია, რაც ემართლები.
მაგრამ ვინც იცის კაცთა წარსული, რაც იბერთ მოდგმას უდგია სული
მრავალჯერ ითქვა ასეთი აზრი და მისი ქება წრეგადასული.
საპელაზგოში, იტყვის მეტროდორ და მენოთანიც დაემოწმება
ასეთი აზრით ვინაც იარა, მან შეასრულა მომხდურთა ნება.
აქაველებმა საპელაზგოდან ასე გარეკეს ჩვენი მამანი
თუმც ერთნი იყვნენ ჯიშით და წესით მაინც ვერ დარჩნენ ბოლომდე ძმანი
შემდეგ მოვიდნენ იონელები მუქარა ახლდათ თან და ალერსი
ბევრი აიღეს, ბევრი შეირგეს და დაიმკვიდრეს ახალი წესი.
მოჰყვნენ მათ შემდეგ დორიელები, ვით ცხვრის ფარაში მშიერი მგლები
ისევ მოთმენა ირჩიეს მამათ, დარჩათ შეჭმული გათლილი ძვლები.
ვინც თავს უშველა, აქეთ ვიდოდა, სხვა რა გზა ჰქონდა ან რა იცოდა
ვინც მოთმინებით ბედს დაელოდა, სუყველა შეცდა, სუყველამ სცოდა.
ზოგის ბედია ბრძოლით სიკვდილი, ზოგის ბედია ბრძოლიდან გაცლა
ზოგი სიამის ვერ იგებს ჭაშნიკს, ზოგის ბედია ბოლომდე დაცლა.
თუ ერთხელ დათმობ, დათმობ მეორედ, და შემდეგ ხშირად გაიმეორებ
თუ ერთხელ წახდი, წახდები კიდევ, თუ არ იბრძოლებ, სულს აიმძორებ.
ლაზებმა ვიცით, ვისაც დავუთმეთ, ყველა მუქარით შემოგვიბრუნდა
ვისაც ვუფერეთ ის დაგვემუქრა, ვის ვეალერსეთ-გვესროლა გუნდა.
ჯერ კიდევ როდის თქვა აიეტმა, მომხდურს თუ ენდე და მიეფერე
ასედაც ხდება, თავს დაგაჯდება, გვიან იქნება ჩივილი მერე,
ამიტომ იყო რომ არუნდოდა ჰყოლოდა სტუმრად არგონავტები

სურდა მოეჭრა გზა მისავალი, უკან სავალიც მოეჭრა გზები.
შეგეკითხებით, შილეთელები სინუპეს გემით ვინ მოიყვანა?
ტკბილად მოსულნი-მმურად მივიღეთ და არ დაგვაჯდნენ ჩვენ თავზე განა?
თვით დარიოსმა ბერძენთა მტერმა ვერ შეძლო მათი მოესპო კვალი
ჩვენგან აღებულს ჩვენზე ჰყიდიან, ვერ მორჩა ჩვენი მათდამი ვალი.
ახლა სხვა ვნახოთ, თვითონ ჰერაკლემ ლამაქეს მისცა ცამეტი გემი
ოღონდ სინუპე ჩაეგდო ხელში, სხვა არ უნდოდა პატივისაცემი.
და ბოლოს იყო რომ ალექსანდრემ ყველგან ბერძნული გააბატონა
ჩაკვდა ლაზური და პელაზგური, მეფე-მსახური გაუხდათ მონა.
დღეს სადღა ნახავ პელაზგურ ასოს, ბერძნულად ვწერთ და ბერძნულად ვმღერით
ხვალ უფრო მეტი მოგველის ტანჯვა თუ არ დავმახეთ ჰელიოს ჰერი
თუ არ მოვირთეთ ტანზე აბჯარი, თუ არ ავლესეთ შუბი გრძელტარა
რატომღა გვშობეს ღმერთებმა ქვეყნად, მიწამ ცოდვილნი რატომ გვატარა.
მე გაგახსენებთ, სამასი წლის წინ ჩვენ გვყავდა მეფე სახელიანი,
მაკედონელის კაცს მეგობრობდა ასე გავიდა საკმაო ხანი.
მითრიდატ ერქვა ჩემებრ სახელი, მოდგამდა ძალა და სითამამე
მაკედონელის ძნელ სამსახურში არ ისვენებდა ის დღე და ღამე.
და რით მიუზღეს სამაგიერო? ყელი გამოჭრეს ტკბილად მძინარეს.
მოძალადესთან ძმებად შეფიცვას, ჯობს თავი მისცეთ მშფოთვარ მდინარეს.
მითრიდატეს მე ილტვოდა მათგან, მტერთა სიავით გაფრთხილებული
მან უკუაგდო ბერძენთა ნება, დაუწყო ომი გააფთრებული.
მითრიდატეს მე ეს მითრიდატე მამაზე მეტად იყო მართალი
მტერი თუ გლოცავს, თავზე ხელს გისვავს, არ შეიძლება მოხუჭო თვალი.
არ თქვა დღეს დავთმობ, ხვალ ის დამითმობს, ასე ურთიერთს დავეხავებით,
ბრძოლაა-მტერთან სათქმელი სიტყვა, თუ გინდა სახლში ისუნთქო შვებით.
არა ტკბილ სიტყვით, ძმობით, დათმობით პონტოს სამეფო ძლიერდებოდა
არალეს ველზე, მახვილით ხელში მისი დიდება იჭედებოდა.
იმ დროისათვის რომაელებმა სელევკიდების იპყრეს მიწები
შეშინებული ჩვენი მოძმენი ახალ მტარვალებს გაუხდნენ ძმები.
და მხოლოდ პონტოს დარჩა სამეფო, დიდი ფარნაკის შუქით მოსილი
მეფე ძლიერი, შემმართებელი, მისგან ვერავინ მიიღო წილი.
მან დაარბია კაპადოკია, პაფლაგონია და გალატია
შემოიერთა ბითინიელნი, მოსპო თუ სადმე რა ღალატია

ატილიუსი-
მტერს ეთქვა ეგებ გავჩუმდებოდი, მაგრამ მეგობარს როგორ ვეცრუო
სად ფუღუროა რად ვარქვა სავსე, სადაც სავსეა, რად ვუთხრა ღრუო
მეფე ბრძანებდა, მეფე ფარნაკმა როგორ დალაშქრა სხვისი მიწები
მაგრამ აღარ თქვა დიდ გამარჯვებას, რომ დამარცხების თან მოჰყვა წლები.

დაპყრობილებმა რომში იჩივლეს, შემწედ და მცველად მოიხმეს რომი
ერთიან ძალით მიადგნენ ფარნაკს, ასე უომრად მოუგეს ომი.
ახლა სხვას გეტყვით, თქვას მიტრიდატემ, ხომ ჰყავდა მამა კეთილშობილი
მეფე დიადი, შემმართებელი, ბრძენი მოსაქმე, მოსიტყვე ზრდილი.
იცოდა ის რომს ვერ მოერევა და მეგობრობა არჩია ბრძოლას
ქედის მოდრეკა სჯობია მუდამ, გამარჯვებულის ფეხქვეთ გაწოლას.
ის დაეხმარა პერგამოსელებს და ბითინიას ომი მოუგო
რომს მიეხმარა, მტერს და მოქიშპეს ვით მეგობარმა გული მოუგო
ქველმოქმედება იცოდა დიდი, მტრებისგან წყენას გულში მალავდა
სამეფოს ზრდიდა, მიწებს მატებდა, თუმცა მშვიდობის მაცნესა ჰგავდა.

მითრიდატე-
ისმენ, კაცია განათლებული, რასაც იგონებს თითქო არ ცდება
ასე ერთგული, თან პირში მთქმელი, იტყვი სხვა ველარ დაიბადება.
მას კარგად ესმის ჩვენი წარსული, როდის ვიმარჯვეთ, ვიყავით კრული
ჩვენი ღმერთები როდისა გვსჯიდნენ, როდის მოგვაგეს სიამე სრული.
მზევსს დავიფიცავ, ღრუბელთა მარეკს, მათთვის ეს არი იუპიტერი
რაკი არა ვართ ჩვენ რომაელნი, ამ რომაელ კაცს ვგონივართ მტერი.
ის თუ გაიგო რომ მამაჩემი, რომლის მოგვიყვა გადასახედი
ცდილობდა საქმის უსისხლოდ მორთვას, მიტომ უწოდეს მას ქველმოქმედი.
რატომ ეს არ თქვა, მშვიდად მომარს ისარ სტყორცნეს, მოწამლეს ჰყეფეს,
მისი შვილები არვინ დაინდო, ვინ დაინდობდა მიმდობარ მეფეს?
მამა მოგვიკლეს მოღალატურად და აისრულეს მიზანი სრულად
სამტროდ მოსული მეგობრის სიტყვა მის შემდეგ მესმის მე ორლესულად.
დორილაოსი, ჩემი აღმზრდელი, მას შემდეგ მთებში მწრთვნიდა და მზრდიდა
ყოველ დღე ჭიქა საწამლავს ვსვავდი და არ მომსვლია ზიანი ციდა.
მე ერთი სიბრძნე გავიგე მაშინ: თუ მტრებთან ერთად მოხვდები ჭაში,
მათი ფიცილი და მეგობრობა ჭკვიანს არ უნდა დაუჯდეს ჭკვაში.
ჩემ თავზე ვცადე, ვისაც მივენდე, ჯერ მაქო, მერე მაეჭვიანა
მოცემის ნაცვლად უნდოდათ იქით, მხევალი, ცოლი, მთელი ქვეყანა.
აქაველები გამიხდნენ მმები, ალბანელები და იბერები
მაგრამ როგორც კი შორს დამიგულეს მალმოცემულმა მესროლეს ქვები.
ბითინიელებს მე რას ვერჩოდი, მმურად გავუყავ პაფლაგონია
შემდეგ ჭამაში მადა მიეცათ, და შემსანსლავდნენ ასე მგონია,
მაგრამ ვანანე, მალით ვაჯობე, თან მივხვდი: მომმემ თუ არ გსურს გიმტროს
სადაც, როდესაც კლანჭს გამოაჩენს, ორჯერ უჩვენე კლანჭები იმ დროს.
ერთს კიდევ ვიტყვი, მმად შევიფიცე დიდი სომხეთის მეფე ტიგრანი
მივეცი ქალი, ვით შვენის სწორებს, ვსტუმრობდით ერთ-ურთს საკმაო ხანი
კაპადოკიის მოსახლეობით შევუვსე სრულად ტიგრანოკერტი

და მაინც მიმტრო, მრავალთ წინაშე, ვითომ მოყვარემ დამტოვა კენტი.
კვლავ ერთი სიბრძნის ვიგემე ძალა: თუ არ გსურს ბოლოს რომ დარჩე ცალად,
ნუ ჩათვლი ტოლად შენი სიკეთე ვისაც თან დასდევს ტვირთად და ვალად.

მენოთანი-
დავუმატებდი მეუფის ნათქვამს, თუმცა ისედაც არი ნათელი
ბრძენი უკუნშიც გონებით ხედავს, უვიცს სჭირდება მზისით სანთელი.
როცა ღმერთკაცი, ჩვენი მეუფე, მეფეთა შორის უდიადესი
იყო შემტევი, შემმართებელი, მტრის ზურგზე შუბის წვერის ამლესი
შეძლო სამეფო მის ყოველ მხარეს გადაექცია უკიდეგანო
მტერი მოესპო, ნაალაფარით გაემდო მონა, ტყვე და ბოგანო.
მე არ ვიყავი დაბადებული, პელოპისაგან გამიგონია,
მეტროდორისგან ლაზგურ ნაწერში, მისხალ და მისხალ ანაწონია
რამდენჯერ მეფე მტერზე ლაშქრობდა, იმდენჯერ იყო გამარჯვებული
მშვიდობისათვის რამდენიც დათმო იმდენ ღალატით მოუკლეს გული.

მეტროდორი-
დავეთანხმები. როგორ არა ვთქვა, არიობარზანს და ნიკომედეს
რამდენჯერ მეფემ შეუნდო წყენა, რომის მოენეთ და მოიმედეს.
ოცდახუთი წლის წინანადელს ვიტყვი, ეს ორი მეფე და მათხოვარი
რომმა დაგვეშა ჩვენ წინააღმდეგ და მოგვისია ვით მაძებარი.
მათ მოაოხრეს პონტოს საზღვრები და არც იფიქრეს რას ვემართლებით
გადაგვიკეტეს ზღვაში სრუტენი, შემოგვიტიეს ხმელეთის გზებით.
მეფემ იუჩა, ადროვა მომხდურთ, რომაელ სარდლებს ელჩი აახლა
ვინ მართალია, ვინ მტყუანია მოდით განსაჯეთ ჩვენ შორის ახლა.
რომის სენატის კომისიაში მთავარი იყო აქვილიუსი
ორი სარდალი მხარს უმშვენებდა მალტინიუსი და მანლიუსი.
მათ გააქეზეს არიობარზან თავქარიანი და ნიკომედე
გადირეოდა კაცი სიცილით ორი სულელის ერთად შემხედე.
პელოს ვინ არ ცნობს, რომაელთ შორის ცნობილი არი ვით პელოპიდი..
რაც ელჩობის დროს ამ ორზე უთხრა, შეცდა? ეს ცოდვა არაა დიდი.
თან დაამატა, ამ ჩვენ დავაში რომაელნი თუ ჩაერევიან
მართალს მიუდგნენ ჯობია მხარეს თუ მეგობრები სიმართლის ჰქვიანთ.
რომაელებმა პელო განდევნეს, გულს არ ეხატათ სიმართლით მთქმელი
მით მითრიდატეს აქციეს ზურგი, გაუნაწყენეს მას ელჩი ქველი.
შეეკითხები და მიპასუხე, რა ექნა მეფეს, კიდევ ეცადა?
როცა ხედავდა მომხდურთა უკან რომაელთ ჯარი რომ იდგა მზადა.
და გადაწყვიტა მან მოქმედება. უმოქმედობით უკვე წააგო,
ყველამ ინანა ცხოვრების ნაცვლად ოცნების კოშკი ვინაც ააგო.







ჩვენმა მეუფემ იღონა ასე, არიარატე დიდებით სავსე
შვილი, შვილებში გამორჩეული, რომ ვერ ბადებენ დედები მსგავსებს
კაპადოკიას გაგზავნა ჯარით და დაუმკვიდრა მას იქ მეფობა
მით აამაღლა ჰელაზგებს შორის იქით და აქეთ ერთობის გრძნობა
რომაელებმა შეჰყარეს ჯარი, მათ ჩვენმა მტრებმა აუბეს მხარი
დაგვიწყეს ბრძოლა გააფთრებული, არავის ახსოვს ქვეყნად ამგვარი,
აქვილიუსმა, ვინც დიდგულობდა, ბითინიასთან დასცა ბანაკი
ქვინტუს ოპიუს კაპადოკიას მოსდგა ძალები მოირთო რაკი.
კასიუსი კი ორ ნაწილს შორის, შუაში ჩადგა როგორც დუღაბი
მათში შიკრიკად მიმოდიოდა პონტოს დაპყრობის სურვილი ხარბი.
ჰალისს რომ ერთვის ამნეიონი, ფართო ველებთან, მარცხენა მხრიდან
პირველი ბრძოლა იქ მოხდა დიდი და ნიკომედე მოგვცილდა გზიდან
ტყვედ ჩავარდნილებს გზის ფული მისცეს, ისე გაუშვეს სახლებში ყველა
და მეფეს ჩვენსას დაუწყეს ლოცვა, მისგან ელოდა ქვეყანას შველა,
შემდეგ ბრძოლაში ვძლიეთ აქვილუსს, და მასთან ერთად ოპიუსს მგონი
ტყვედ ავიყვანეთ ორივ სარდალი მათგან ვიხსენით ჩვენ პერგამონი.
აქვილუსს პირში ჩაასხეს ოქრო, ასე გაამღეს კაცი უძღები
რად გინდა ჭკუა, თუნდ სანაქებო, ავხორც ვნებებს თუ ვერ აუძღვები.
რომის სარდლები დამარცხდნენ მალე და რომაელთა მოისპო კვალი
მომხდურებს გაჰყვა ყველა ორგული, ყველა გამყიდველს დაევსო თვალი.
აქედან შემდეგ არისტიონი, კაცი ბრძენი და მეფის ერთგული
ათენს გაგზავნეს დიდი ნადავლით, თან დაუსახეს მიზანი რთული.
თანმხლები ჯარით ეპყრა ათენი. იპყრა და პონტოს შემოუერთა.
ღმერთად ცნეს მეფე უდიადესი ბევრის დამხსნელი, დამპყრობი ბევრთა.
არიარატი მითრიდატეს მე ცხენოსან ჯარით გაიჭრა შორეთს
მაკედონია დაიმორჩილა, ტახტი დაუდგა მამას ვით კაც-ღმერთს.
რა გამოვიდა? სანამ ვითმინეთ, მტერმა აოხრა ჩვენი მიწები
როდესაც იქით დავკარით ძალით, გავუხდით გულზე დასაფიცები.
ასეა მუდამ, ძლიერი უყვართ, სუსტის არა ქვთ შიში და კრძალვა
სუსტს გაქელავენ, ძლიერს ეუმიან, ვის შეუძლია ამის დამალვა.
განა თვით რომში ასე არ მოხდა როდესაც სარდლად დანიშნეს სულა
კონსულყოფილი, ჩვენთან საომრად? ტრიბუნი რუფუს წრეგადასულად
მოიქცა, როცა სულას მაგიერ მარიუსს მისცა ჯართა სარდლობა.
ამით დამცირდა სულას კაცობა, გულს დაეუფლა მრისხანე გრძნობა.
ლეგიონები ჩვენსკენ კი არა, სულამ რომისკენ შემოაბრუნა
იპყრა ქალაქი, გადიქტატორდა, ძლიერისათვის ძალამ იზრუნა.
ანდა ავიღოთ დარდანის ზავი, ორივე მხარის თავდასაცავი
მითრიდატეს და სულას ნათქვამი, ორი ძლიერის აზრთა ნაზავი.

რომ ყოფილიყო ერთ-ერთი სუსტი, არ ყოფილიყო მათში ტოლობა
შეიძლებოდა ზავის დადება? დამარცხებულთან ვინ უნდა ძმობა?

ატილიუსი-
ის რაც თქვენ ბრძანეთ, სამივემ ერთად, რაც მე ვთქვი იმას ედასტურება
რაც ახალაგზრდას ხელეწიფება, მოხუცს სმენითაც არ ეყურება.
აბა იაზრეთ, თქვენი სამეფო როდის შეიქმნა აღმატებული,
როცა მეუფეს ჯანი უჭრიდა, კოცონს მოჰგავდა თვალანთებული.
შემდეგ, როდესაც მლია სიბერემ, რამდენი მწარე იწვნია მარცხი
უბედურებამ ააწრიალა, როგორც ნახნავში ტრიალებს ფარცხი.
ოთხი წელია პონტოს სამეფოს დამარცხებები თან დასდევს წილად
სადღაა მალა თქვენი ქებული, სულ უკან იხევთ, იქცევით ფრთხილად.
დიდი ევფრატის ზემო წელიდან, ყველა მამული მტერს თუ მიეცი
რა დაგრჩენია, ვით ბალღობაში მიეცე ტყეს და შეიქმნა მხეცი.

მენოთანი-
თავშეკავება მნელი არ არის, თავშეკავება მალზე მნელია
როცა მეგობრულ გრძნობებით გკბენენ და ხედავ გესლი არ დაელიათ.
გაფიცებ ღმერთებს, სახელშეცვლილნი ხომ ჰელაზგური გვყავან ღმერთები
ეტრურებისგან შეთვისებულნი, ბერძნულ-ლათინურს შენაერთები.
არალეს ვფიცავ, არესსაც ვეტყვით, თქვენში იციან მრისხანე მარსი
ომის კანონებს და წესებს იცავს, ბრძოლაა ფორმა, სიკვდილი-არსი.
რაც აქ ახსენე სულ მართალია, მაგრამ სიცრუე ბოლომდე არი
თუ მითრიდატე დაბერებულა მაშ ვინ დარეკა განგაშის ზარი?
როცა მურენამ თქვენმა სარდალმა, ჩვენი სარდალი გადაიბირა
არქელაოსის წაქეზებულმა ჩვენსავ მამულში მოგვთხოვა ქირა.
რა ბავშვი იყო ჩვენი მეუფე? თუ ჭაბუკური ჰქონდა ხალისი?
როცა მურენას ლეგიონებმა სისხლით შეღებეს წმინდა ჰალისი.
მეფემ მისდია დიდ ფრიგიამდე, მხდალ კურდღელივით გარბოდა მტერი.
სერტორიუსთან შეჰკრა კავშირი, მეფეს გაუხდა საქმე სამღერი.
ამ ოთხი წლის წინ, ქაბეირასთან მარკუს ფაბიუსს მოუღო ბოლო.
ფიცხლად გარბოდნენ რომაელები, მეფემ დატოვა ეტლი საბრძოლო,
ამხედრებული, თუმცა დაჭრილი, მეტოქეს სდევდა, ქარივით ჰქროდა,
თვალში ისარი ჰქონდა დაკრული, და არ იმჩნევდა. მტერს მიჰყიოდა.
ცოტა ხნის შემდეგ, სკოტას მთის ფერდზე, მდინარე ირისს, რომ ეკვრის მუარად
ტრიარიუსი გაანადგურა, მტერს მოევლინა გლოვად და ზარად.
თითქმის ორასი ცენტურიონი და ტრიბუნები მტერმა დაკარგა
თუ დაგვიბერდა მეუფე დიდი, როგორ მოხაზა ბრძოლების ქარგა?

იმას ვერ იტყვი სხვას აბრმოლებდეს იყოს შორიდან მაყურებელი
წინა რიგებში იბრძვის ყოველთვის გონით და მკლავით უბერებელი.
ასეთი მარცხი რომის მხედრობას, რომლის ვერავინ იტყვის დედლობას,
რაც თავი ახსოვთ, ჯერ არ მოსვლიათ. რას მივაწეროთ მეფის ბებრობას?
დღეს მითრიდატე ისევ მხნედ არი, მალუმს შეკრიბოს ულევი ჯარი
მაღალი მთები გადაიაროს, რომს გაუთენოს დროება მწარი.

ატილიუსი-
მე მენოთანის აზრი მაკვირვებს, როგორც აშენებს, ისე ამკვიდრებს,
სიმართლეს ურევს სასურველ ფიქრებს, არმქონესართმევს, მდიდარს ამდიდრებს.
ისე გამოდის თქვენი ღმერთები, დღეს სალოცავნი გამხდარან ჩვენი
მათი მცდელობით რაც კი წააგეთ, თურმე მოგება არი საჩენი.
თუ ყველა ბრძოლას რაიც გადაგხდათ, თქვენთვის ბრწყინვალე შედეგი ახლდა
რად ეფარებით პანტიკაპეას, სამეფო თქვენი როგორღა წახდა.
ჩვენი ღმერთებიც მარსი, დიანა, მერკური, ვაკხი, ნეპტუნ, ბელონა
მრავალი სხვა მე, მრავალთა მნახველს, არ ვცდები, მუდმივ ჩვენი მეგონა.
თქვენი ღმერთები ამასიაში, ირიდეს პირას რომ გადაშლილა
ლუკულმა დასცა ხუთიოდ წლის წინ, მათი ხსენებაც ქვეყნად წაშლილა.
დღეს ვინღა აქოს თქვენი კიბილა, უშვილოდ დარჩა ღმერთების დედა,
კუპალა ველარ დაიცავს მშობელს, ვერ ეყოლება მას მითრა მწედა.
თქვენი სახელიც გაქრება მზის ქვეშ, სახსოვრად პონტოს დარჩება მთები
რაც არის, არის და არ იქნება, იუავ? ხომ ველარ განმეორდები.

მეტროდორი-
რასაც შეხედავ ცვალებადია, მხოლოდ ღმერთები დგანან უცვლელნი
ბერდება კაცი, ხე და ქვეყანა, როცა განვლიან მრავალი წელნი
შენ რატომ გიკვირს, კაცზე უსწრაფეს ბედი კაცისა შემოტრიალდეს
ეოსმა უმღვნას სითბო, სიკეთე და ჰელიოსის მზერით აალდეს.
დღეს ერთი მძლავრობს, ხვალე მეორე, რატომ არ ხდება ხშირად ვერც ვიგებთ
არავინ უწყის ღმერთების გარდა როდის წავაგებთ, როდი მოვიგებთ,
თვითონ ღმერთებიც, თუმცა უკვდავნი, ასაკის დარად იერს იცვლიან
იბადებიან, ვაჟკაცდებია და ბერდებიან ადრე თუ გვიან.
ბრძენნი იტყვიან, ვისაც აქვს ცოდნა, კორიბიშებში ჩაწერილია
როგორ ჩნდებოდნენ ქვეყნად ღმერთები, როგორ საცმელით შემოსილია.
და მენოთანმა ამ მხრივ რაც გითხრა, შენი პასუხი რასაც ნიშნავდა
ასე მენიშნა, ასეთიც ხდება, თოვლის და წვიმის ნაზავსა ჰგავდა.
მართალი არი, თავდაპირველად ღმერთებს მეფობდნენ გეო-ურანი
დეოს კოლხები ამბობენ დღესაც და ხალიბებს გვაქვს გამოთქვა მგვანი
დედაო მიწა ვამბობთ ცისმარე, დეო-ვამოკლებთ ალერსით ხშირად

გეო და დეო იგივეს ნიშნავს, სად ერთს მეორე დაჰყვება გზირად.
რაც დეოს არ აქვს ურანს ეკუთვნის, ხალიბი ურანს ეტყვის უღრანი
თვალს ვერ აუწვდენ, კაცთაგან არვის გაუკვალია ზეცაში გზანი.
დეო-უღრანმა, გეო-ურანმა შობეს ღმერთებად სამყაროს შვილნი
მანათობელნი, უნათობელნი, დღისით მალულნი და ღამით შლილნი.
დღეს რომაელებს იმათ შესახებ ბერძნებისაგან გაუგონიათ
ჩვენ ეს არ გვიკვირს რადგან ბერძნებსაც ყველა მათგანი თვისი ჰგონიათ.
ეს, ჰელაზგების ძველი ღმერთები ბერძნებს შემორჩად, რომაელთ არა
ის რაც ეტრურებს კიდევ ახსოვდათ, ლათინმა სხვაგვარ გაიზიარა.
ღმერთები, ვინაც სამყაროს ქმნიდნენ, შემდეგ მიეცნენ დავიწყებასა
მათი მემკვიდრე ღმერთების მეფე, არ დასდგომია წინაჰართ გზასა
კრონი მართავდა ახალ თაობას, დროის მეუფეს, ჩვენ ვარქვით დრონი
დარჩათ ჰელაზგებს მისი სახელი, საქმე, ნათქვამი, გამონაგონი.
დრომ გადიყოლა იმ ღმერთთა საქმე, რომელს სამყაროს ჰქვია შენება.
ყველა წუხილის და სიხარულის დროა მკურნალი და დამშვენება.
კრონმა შვილებიც კი არ დაინდო, დრო ულმობელი რამა ყოფილა
მან გაასწორა დიდი-პატარა, კაცთ გაუთენა ახალი დილა.
დრონმა განსაზღვრა ცხოვრების ხაზი, მოკვდავ-უკვდავის ბედის ნიშანი
რომაელები არ იყვნენ მაშინ, ღმერთთა ცხოვრებაც ვერ შეიცანით.
თქვენ ეტრურებმა ბევრი გასწვალეს, მათგან რაც იყო, იმ დროის კვალად
მიტომ არ იცით გეო თუ კრონი, იმათი ღვაწლიც არ გაწევთ ვალად.
ოლიმპოს მთაზე ზევსი მეფობდა, როცა ქვეყანას დორიელები,
ბარბაროსები, შემოსეიენ და წაგვიბილწეს მამათა ძვლები.
შემდეგ ისწვალეს ჰელაზგებისგან ვინ არი ზევსი, პრომეთე, ჰერა.
ჩვენი ღმერთები გაითავისეს. იმათი გახდა სხვისი სიმღერა
რომში ლათინთაც ეტრურებისგან შეიტკბეს ღმერთნი ბერძენთა დარად
ზოგს შეუცვალეს სახელი მხოლოდ და დაეუფლნენ სხვისსა განძს მყარად.
არესზე ითქვა თქვენთან მარსია, ბელონად იქცა ჩვენი ათენა
თუ იცით მაინც მებრძოლ ქალ-ღმერთმა ომებში რატომ აღამ-ათენა?
აპოლონის დას, ღმერთ არტემიდას, თქვენ დაუძახეთ ტურფა დიანა
ჰერმესს-მერკური და დიონისეს ვაკხი შეარქვით და მოგწონთ თანა.
დემეტრას ჩვენსას ცერერას ეტყვით, ნეპტუნად იქცა პოსეიდონი
და ასე მრავლად გაინაწილეთ სხვათა სიკეთე სხვადასხვა დონით.
არა იმათი ნებით იმარჯვეთ, არა იმათგან მოგეცათ ძალა
ღალატმა შვილთა და ნათესავთა, მეფეს საყრდენი გამოაცალა.
ჩვენი სამეფო ისე დიდია და მეფის ნება ისე ძლიერი
პონტოს ზღვის იქით ნაპირებიდან აქეთ გადმოსვლას ვერ ბედავს მტერი.
ჩვენ შინაურმა თუ არ გვიმუხთლა გარეშე ვერას დაგვაკლებს ძალით
მისსავ ბუნაგში ვიპყრათ ნადირი, გამოვ ჭრათ ყელი, დავუვსოთ თვალი.
*/შემოდის ჰელოსი, თაყვანისცემის შემდეგ მიმართავს მითრიდატეს/.*

პელოსი-
დიადო მეფევ, მე შენსა მონას, თუ ვერ დავიცავ ნათქვამში ზომას,
ნუ მომთხოვ ნათელ აზრების ქონას, არც მიაწერო ღალატის ნდომას
იმას რაც ვნახე, რაც განვიცადე, აქედან იქით, იქიდან აქეთ
მოკლედ მოგითხრობ, შენ მომისმინე, იმის მიხედვით მაგინე, შაქე.
აქედან გემით ვსდიე მახარეს, მე თუ ვჩქარობდი, უფრო ჩქარობდა
მე თუ განწყობა მქონდა ტანჯულის, ალბად მახარე უარესს გრძნობდა.
ხერსონესს მისდგა იმისი გემი, მიჯრით მიველი, ვთხოვე შეხვედრა
შორიდან მამცნო, არ მაქვს სურვილი, წადი-გამშორდი, მეხვეწ-მევედრა.
ვურჩიე მოსვლა მონანიებით, ვუთხარ გპატიობს მეფე და მამა
ატირდა კაცი შეუბრალები, გულს ცეცხლი მეცა, ჩამწვა, მეამა.
ვუთხარ არაა დრო ანგარიშის, ხამს ერთად ყოფნა, ძალთა შეკრება
როს გავიმარჯვებთ, მაშინ განვსაჯოთ ვის რა ერგება და ეკადრება.
თითქო დამთანხმდა, მაგრამ როდესაც უთხრეს წილხვდება ქსითარას ბედი
ჯიუტად დადგა უარის გზაზე, შემოსწყრა გონი და შემოქმედი.
როცა იანდა, არა ჰქონდა გზა, დარჩა რომისგან მიტოვებული
თავის მეგობართ და მსახურთა წინ, ბასრი მახვილით გაიპო გული.
იქვე დავკრძალე მეფის პატივით, თუმც მოღალატე შენი შვილია.
და გულით დამაქვს ორმაგი გრძნობა-და მასზე ფიქრი არ დაილია.

მითრიდატე-
ვაიმე შვილო, შვილო მახარე, პირმშოვ, ცთუნებას გადაყოლილო
მხარი მომტეხე, იმედი მოჰკალ, შვილმკვლელის სახელს მიტოვებ შვილო
იმედი მქონდა გონს მოხვიდოდი, ძალას ძალასთან შევაერთებდით
აქეთკენ ფარნა, იქით მახარე, ერთობის გრძნობით გავიხარებდით.
ასე ვფიქრობდი, ფიქრი ყოფილა სიკეთისა და სიავის თავი
წახველი უბრად და მოხუც მამას დამრჩა სიკვდილის შეგრძნება ავი.
როცა ჩრდილოეთს მმართველად დაგსვი, იმედი მქონდა და თან მეგონა
შვილი და მამა ქვეყნის სამსახურს აღვასრულებდით ვით ერთი კონა.
დღეს ჩვენს სამეფოს რომი ბატონობს, ხალიბთა კერა დაქცეულია
შენ რას გაიგებ, მიხვდება იგი, ეკლიან გზებით ვისაც ულია.
მე შენ გარეშე ვით შემოვკრიბო როქსოლანები და სარმატები
როგორ ვუწამლო პონტოს სამეფოს, რომში ვიომო თან წარმატებით.
პელო შენ უწყი, სხვა რას გაიგებს აბლაბუდას მსგავს ჭორს ჭორს მიაბავს
და თაობიდან ახალ თაობას გადასცემს როგორც ჭეშმარიტ ამბავს.
იმედი მქონდა ჩემი მხნეობით საპელაზგიოს დავიბრუნებდი
ქვეყნის სამსახურს, ღმერთთა შეწევნით, აღვასრულებდი, ყველას შევმლენდი.

დღეს ვინ მოგვიმხროს სკვითთა ბელადნი, იაზიგები და ბასტარნები
კერა დაქცეულს იმედად მრჩება, რომ რაც მომხდარა ღმერთების ნებით.

ჰელოსი-
დამშვიდდი მეფევ, ვაჟკაცის ცრემლი, რაც რომ მუნწია, მით მეტად ფასობს
ღმერთთა ნებაა, ვინ სად წაუვა, სიკვდილის ისარს ყველას დაგვასობს.
მახარეს ხვედრი მძიმეა თუმცა, შენი ასმაგად უმძიმესია
მკვდრის საკეთუბელს ცოცხალი მართავს, ამით უკვდავყოფს, კაცთა წესია.
ამიტომ იყო ხერსონესიდან, ისტრის წელისკენ მივმართე გემი
კელტებ, ბასტარნთა ბელადებს შევხვდი და გავუმხილე აზრები ჩემი.
იმათაც ის თქვეს, ისტრის თავიდან რომისკენ მთაა გადასავალი
მეგზურებიც ყავთ, მეომართ წყებას ვერ გადაწვდება მიმინოს თვალი.
იქიდან აქეთ ოლბიის ახლოს შემხვდა სკვითების დიდი ბელადი
ტანაისამდე გაშლილ ველებში ტომთა ღმერთივით ამაყად დადის.
ბევრი ვიაზრეთ, ასე შევთანხმდით, რომ ყველა ტომის, ყველა მებრძოლი
იწყებს მზადებას, ფიცხელ ბრძოლაში, რომ არ დაუდოს რომაელს ტოლი.
ახლა იანდე, თუ ყველა ტომი სალაშქროდ შენთან ერთად მზად არი
წინ რაღა გიდგას, მოიხმე განძი, რომზე საომრად სწრაფად დასძარი.

მითრიდატე-
შენ ჩემო ბედო დასაწყევარო, სიდუხჭირის და სიავის წყარო
რაც მაცოცხლებდა აღმოჩნდა ფუჭი, შვილის სიკვდილით როგორ ვიხარო.
ის რაც მახარეს ეკისრა ჩემგან, რაიც შეეძლო, რასაც ვითხოვდი
ერთობის ჯაჭვით შემეკრა ყველა, ერთობის ბადეს ამიტომ ვქსოვდი.
მის სიცოცხლეში არ ამისრულდა, ასე უნდოდა, ასე ეწერა
ახლა რას ვაქნევ მე ამ ერთობას, დამბინდებია გონების მზერა.
სადაა განძი რაც ჯარს შემოკრებს, ამ განძს გადაჰყვა ჩემი ქსითარა
ზეიმობს მტერი და სტრატონიკე ვინაც ქსითარა მუცლით მიტარა.
ახლა ვით შევძლო ჯარის შეკრება. ჰელო რაც შენ თქვი სიტყვაა მხოლოდ
სიტყვა თავია, მისი ახდენა იყო ყოველთვის მიზნების ბოლოდ.
დღეს სამწუხაროდ ბოლო არა ჩანს, ამიტომ სიტყვა-სიტყვად დარჩება
მეტროდორს ვეტყვი. ან თქმა რად უნდა. აღწერს-ვერ შეძლო, არ გამორჩება.
ან ეგებ ვინმეს სხვა რამ აქვს აზრი, ეგებ მირჩიოს რა გზას მივმართო
როგორ ვიშოვო განძი ულევი, ჯარი შევკრიბო, მტრისაკენ ვმართო
*/შემოდიან ნისა და მითრიდატისი/.*

ნისა-
მამავ მპირფასო მე ვიცი წესი, თათბირზე ყოფნის არ გვაქვს უფლება
მაგრამ რაც ხდება, რაც უნდა გითხრათ, და უფრო იტყვის, მე მემნელება.

მითრიდატისი არის მოწამე, ჩვენ ერთად ვნახეთ საქმე უგვანი
ქალაქს გასულნი, ნავთსადგურს მოვხვდით, გემებს ვუცქერდით საკმაო ხანი
როცა მოვბრუნდით, სასახლის კართან, გადავეყარეთ მეომართ წყებას
იმათ გარშემო მოქალაქენი ერთხმად ყვიროდნენ ფარნაკის ქებას.

მითრიდატისი-
ფარნაც იქ იყო მახვილით ხელში, გარშემო ედგნენ რომაელები
შენგან სიცოცხლე შეწყალებულნი, უბრიალებდათ რისხვით თვალები.
ხალიბნიც იყვნენ, შენი მხლებელნიც, ყველას მახვილი წელზე ეკიდა
იყო გინება, მიწევ-მოწევა, ურცხვი გნიასი ყოველი მხრიდან
ამბობდნენ თითქოს შენ დაგვიბერდი და საჭურისთა დაჰყევი ნებას
ვეღარ აზროვნებ, არ იცი ზომა, იჯერებ ორპირთ სიყვას და ქებას.
შენ უმლურებით წაავგე ომი, პონტოს სამეფოს შეჰყარე ჭირი
სადაც არა სჯობს გაცლა არ გინდა, მარცხიდან მარცხის გამხდარხარ გზირი.
ბოლოს გვირგვინით შეამკეს ფარნა, ფიცი მისცეს და მეფე უწოდეს
ვეღარ გავუძელთ, აქეთ წამოველთ, მცველების მზერას ავუსხლით ოდეს.
შენ თავს ითხოვენ, მამავ ძვირფასო, ფარნას მოთხოვეს სიცოცხლე შენი
უშველე თავს და ჩვენაც გვიშველე, ტყვედ ჩავარდნისგან ყველა გვიხსენი.

მეტროდორი-
ეტყობა ქალებს რაღაც ეშლება...

მენოთანი-
ფარნა მამაზე ხელს არ აღმართავს,
გამიშვი მეფევ, ვნახო რა ხდება, აქვე მოვიტან მე ამბავს მართალს.

მითრიდატე-
არა შვილები არა ცდებიან, ამას ველოდი ადრე ან გვიან
კაცი ფიქრობს და ღმერთი იცინის ბედისტრიალი ამასა ქვიან.
ვინაც დავინდე, მან არ დმაინდო, ვის ვუპატრონე-არ მიპატრონა
შვილი თუ მამის სიკვდილს დაეძებს, რად მინდა ფუჭი სიცოცხლის ქონა.
რომაელებმა ტახტი წამგვარეს, შვილმა მომპარა მეფის გვირგვინი
ამას რა ჰქვია თუ ვერ მივხვდები, აღარ მქონია ოდნავი ტვინი.
შვილი იყო და ვერ გავიმეტე, შვილმა გამწირა შეუბრალებლად
ღმერთი ვიყავ და კაცად ვიქეცი, მეფედ არ ვღირვარ და აღარც მხლებლად.
თუ ფარნა მეფედ აკურთხეს ნებით, თუ ისე მოხდა, როგორაც ყვებით
იქნებ სამეფოს ის გამოადგეს, ერს ემსახუროს რწმენით და გზნებით.
მე ასე ვფიქრობ. ასე აჯობებს, პელო ასაკით ხარ უხუცესი
ელჩად ნამყოფი, დიდის, პატარის, სიტყვის, პასუხის შენ იცი წესი.

გადი ციხიდან, მონახე ფარნა და ეს მსახურნიც თან იახელი
უთხარ, მამა გთხოვს უკანასკნელად, უკანასკნელად მოიღე ხელი.
გზას ნუ გადმოჭრი, წავალ სკვითებში, სად დედოფლობენ ჩემი შვილები
წაღმა მავალი, უკუღმა ბრუნავს და სამუდამოდ იყრება გზები.
მეტროდორ იცი რა დაუმატო, მამის და შვილის იცი აზრები
და მენოთანიც მხარს მოგცემს სიტყვით, სამსახურს ნუღარ დამეზარები.
ახლა დამტოვეთ, ჩემი ასულნი, აქ არ დატოვოთ, თან წაიყვანეთ,
მე აქ მოგიცდით, მოველი პასუხს, დრო აღარ ითმენს, ნუ დაახანებთ
ბიტოიტს ვუხმობ, ჩემო ერთგულო, ხედავ ბორკილით რომ ზის ორგული
გაიყვანე და შეხსენი სწრაფად, ზენაა მასზე დღეს გადმოსული.
დამტოვეთ ყველამ, ფიქრები მტანჯავს, გამოსავალი ვერ მიპოვია
თუ ვარ ცოცხალი, და არ ვარ მეფე, ასეთ სიცოცხლეს ნეტა რა ჰქვია.
გავიბრძოლებდი, ვისთან ვიბრძოლო, თუმც მტრად აღმსდგადა მაინცა შვილი
სიკეთეა თუ სიავე არი, გარეშე რაა, ჩემია წვლილი.
*/ატილიუსი გაჰყავთ, პელოსი, მეტროდორი და მენოთანი გადიან/.*

ნისა-
მამავ ძვირფასო ნუ შემოგვწყრები, ჩვენ კარგად ვიცით შენი ბუნება
შენ თავს შვილთანაც არ დაიმცირებ, არც გჩვევია გადაბრუნება.
მსახურნი ფარნას მიტომ აწვიე, რომ აცილო ჩვენთან წამება
ჩვენც რომ დაგტოვოთ ასეთ მძიმე ჟამს, შვილნი ვართ, მითხარ რას ეგვანება.

მითრიდატე-
მშობელი შვილს შობს, შვილის ვალია ახალ სიცოცხლეს მისცეს სათავე,
თქვენ ჯერ ამ ქვეყნად არ გიცხოვრიათ, ათასი შეგხვდათ ხიფათი მწვავე.
დამტოვეთ, წადით, ფარნასთან მიდით, ძმაა მიგიღებთ, ვით გეკადრებათ
მე კმაყოფილი იმითაცა ვარ, გიყვარვართ, მამა გაგახსენდებათ.
*/მითრიდატე თასში შხამის გაზავებას იწყებს/.*

მითრიდატისი-
ჩვენ გადავწყვიტეთ, ტყვედ არ ჩავვარდეთ, შენ რასაც იზავ, ჩვენი ბედია
დიდი ხანია ეს აზრი გვტანჯავს, შენთვის თქმა კი ვერ გაგვიბედია.
რასაც შენ იზავ, ჩვენც იმას ვიზავთ, შენ თუ მოკვდები, ჩვენაც მოვკვდებით
მაგრამ შენს მტრებთან, თუნდ იყოს ფარნა, საპატიო ტყვედ ვერ გავჩერდებით.
*/მითრიდატე შესვავს თასს და მიესვენება/.*
მოიკლა თავი, აღარ გვყავს მამა, ვისი სახელიც ჩვენ გვიფარავდა
ვისაც ვუყვარდით, გვანებივრებდა, ვინაც გვიყვარდა, ვინც ღმერთად გვყავდა.
ახლა ტყვეობა მოგველის დაო, ალბათ რომის გზას გაგვიყენებენ





მე იქ სიცოცხლეს სიკვდილი მიჯობს, ცოცხლებს თუ გვდევენ, მკვდრებს დაგვტოვებენ.
*/ მითრიდატესვან მიტოვებულ თასს ნისა და მითრიდატისი წყალს მოავლებენ და მოსვავენ. საწამლავი მათზე იმოქმედებს. მითრიდატე გამოერკვევა მდგომარეობიდან, რომ ნახავს, მკვდარ ქალიშვილებს ჩაეხუტება/.*

მითრიდატე-
რა უბედური ბედის ვყოფილვარ, ჩემი შვილები, ჩემი მერცხლები
აღარ სუნთქავენ. მე კი რა მომდის, ვწვალობ და ვეღარ ჩავეცეცხლები
ანგელოზები აღარ სუნთქავენ. მე კი ვერ ვკვდები ბებერი მგელი
რათა სიცოცხლე გადამერჩინა, საწამლავს ვსვავდი სიცოცხლე მთელი
აღარ მოქმედებს, სული მიიღოს, ხორცი დატოვოს ტურათა წილად
ღმერთი ვიყავი, ასე მეგონა, თურმე ვზეობდი ღმერთთა საცინლად.
მახვილი სად მაქვს. ხელი კანკალებს და მახვილისთვის ვერ მიმიგნია.
ფუჭი ყოფილა წუთისოფელი, ცუდი და კარგი თუ რამ მიქნია.
*/იძრობს მახვილს და ირტყავს მკერდში. ცოტა ხნის შემდეგ გონზე მოდის/.*
ღმერთთა წყრომაა. მახვილი არ ჭრის. მინდა და თავი ვერ მომიკლია
სიცოცხლით ტანჯულს, სიკვდილი მინდა, ტანჯვა ამ გზაზეც არ დაილია.
ბიტიოტს ვუხმობ
*/შემოდის კელტი მცველი/.*
შენ ჩემო მცველო. ჩენ ჩემო ჩრდილო და მეზობელო
დღისით და ღამით ომში თუ ლხინში გაგვიტანია ჩვენ ერთად ლელო.
ეჭვი არ მქონდა არც ერთი წამი, ჩემი სახიდან თუნდაც წამწამი
ჩამოვარდეს და მისი მიზეზი არ გახდეს შენი სატევრის გვამი.
მაგრამ ახლა კი დრო შეიცვალა, შენი ბატონი, ქვეყნის მპყრობელი
უნდათ რომისკენ გზა გაუყენონ, რათა მტრის ზეიმს შეუწყოს ხელი.
კი არ გიბრძანებ, მე გევედრები, არ მომიგონო მერე ყვედრებით
იძრე მახვილი, მომიღე ბოლო, საიქიოს გზას დავადგე შვებით.
ჰე რა ვიყავი, რისთვის ვიბრძოდი, ან რა სიმდიდრე წამყვება თანა
ფუჭი ყოფილა წუთი სოფელი, კაცთა ფუსფუსი და მიმოტანა.
რაც არი,არი დამკარი მაგრა, ხედავ ხელი არ მემორჩილება
მზად ვარ ტანატამ, სიკვდილის ღმერთმა მოიღოს ჩემზე თავის უფლება.
*/ბიტოირი მახვილს ურტყავს და კლავს/.*





52წ. ქრ.შ. შემდეგ
(მცხეთის სამხრეთ კარიბჭესთან მოქალაქეთა სიმრავლეა. ისმის მხიარუ
შეძახილები, ცეკვა, სიმღერა)

რადამისტი-
ქვემევრდომი რომ იყოს ერთგული, არ უნდა მოხვდეს მეფისთვალს რული
ჩვენში ვინაა ამ მხრივ დაცული, თუ მეფეს დასდევს სიბერის წულული.
მამა არი და გული შემტკივა, ფარსმანი დიდი, ველარ დიადობს
მისი სახელი და შემართება იბერთა მტრებში ვერავის აკრთობს
ჰაი დედასა, იყოს მველი დრო, ორგულს და ვერაგს გაამროს სული
სიჭაბუკიდან სიჭარმაგემდე ცხოვრება არი ვადა გასული.
ფარსმანი სხვა დროს შვილებს და მსახურთ სხვის დასახვედრად რა მოგვრეკავდა
როცა სომხეთში ძმა დასვა მეფედ, იბერთა მეფე გრგვინვით ლომს ჰგავდა.
დღეს ეს ძმა სტუმრობს ვით თანასწორი, თან რომაელთა ძალით დიდგულობს
თხილის გულს ათი მაშინ გაიყოფს თუ კაცი კაცობს და გული გულობს.
მითრდატე კი არას დაგიდევს, თავისთვის უნდა მთლიანი თხილი
ფარსმანს მეგობრობს, რომსაც მეგობრობს, მგელია ხარბი, მელაა ფრთხილი.
მე კი რა გზაა აქ უნდა შევხვდე, ტკბილად მივმართო მეფეს და ბიძას
იბერს, ტახტისთვის გასომხებულსა, ვის რომი წყალობს და რომი იცავს
რა უცნაური მქონია ბედი, ალბათ ვარისხე მე შემოქმედი.
რაიც მეკუთვნის და არ მითმობენ არა ვარ მისი ძალით გამჭედი.
ქალი მიყვარს და ჩემ დას არქმევენ, მამა არ ვიცი და გვარი მისი.
ძმა ჰყავს, ჩემი ძმაც ისა ყოფილა და თან მეტოქე შესაბამისი
რა გზას დავადგე, რჩევა ვის ვთხოვო, ვინ არის ჩემი ხათრის გამწევი,
დედინაცვალი მამას მიმხდრებს, მამა უძლურობს, მძლეველთა მძლევი.
მამა ბატონი აღარ მენდობა, ფიქრობს ვარ ტახტის შემცილებელი,
დედინაცვალმა თავის მოენედ მიტომ აქცია ჩემი მხლებელი.
მე კი რა მომდის, იბერთ სამეფოს დედინაცვალის შვილს ვანაცვლებდი.
ლივია მომცენ, ტახტი წაიღონ, რას მაწვალებენ, არ ვაწვალებდი.
დე მითრიდატე მამის მამით ძმა, მთელ სასომხეთში მეფობდეს მეარად,
და მითრადატე მამით ჩემი ძმა იბერიაში მათ გასახარად.
მე კი სანაცვლოდ, სულზე უტკბესი, თვალების მკვესი, სიამის მთესი,
მომცენ და მამის ტახტი არ მინდა, სიტყვა რა ვუთხრა. სხვა უკეთესი.
*/შემოდის მითრიდატე, უმცროსი ძმა რადამისტისა/.*

მითრიდატე-
მე სად გეძებდი, შენ სად ყოფილხარ, მოვლე ზანავი და ბაგინეთი

ასე ვიფიქრე, ჰურიათ შორის სიბრძნეს აგროვებს წვეთი და წვეთი
რომ მერე, როცა მეფე იქნება, ჩვენ ქვეშევრდომთა გაგვინაწილოს
შენ კი მხიარულ ღრეობას ჰყურობ, ცალკე მიმდგარი კარიბჭის გრილოს.

რადამისტი-
გული მეკუმშვის, ავს მითხრობს გრძნობა, შავი ფიქრები შემომერია.
დარდს გადავიყრი, ასე ვიფიქრე და შევუერთდი, ჭრელი ერია.
მხიარულობენ. სტუმართ ლოდინში, მინდოდა ჯავრი ჩამეკლა გულში
ღვინოც ვიგემე, სიტყვაც ვუთხარი, მოცეკვავეთა ჩავდექ ფერხულში
ვერამ მიშველა და ნაღვლიანად ვდგავარ და ჩემ ღმერთს ვესაუბრები
შენ დაგინახე, სული განათლდა, სასიამოვნო ჩამესმა ხმები.
შენ ჩემი ძმა ხარ, ბევრად უმცროსი, თუმც დედინაცვლის ჩემის შვილი ხარ,
ტკბილი იყავი ყოველთვის ჩემთვის და ხშირად მხრებით მიტარებიხარ.
ამასთან ვიცი,  არ გტანჯავს შური, ძმურად გიყვარვარ, არ მიცქერ მტრულად.
ჩემი ერთგულის მეც ვარ ერთგული და შენთან ყოფნა  არ მიჩანს კრულვად.
დედით და არი შენი ლივია, ვინაც ამივსო სიამით გული.
უფრო მიყვარხართ, ვიდრე გიყვარვართ, მეც არავინ მყავს თქვენზე ერთგული.

მითრიდატე-
ათასჯერ გითქვამს, არას შეგვმატებს ათას მეერთედ განმეორება.
ათასჯერ მითქვამს ტახტის მემკვიდრეს გულის აყოლა არ ეკადრება.
შენ რომ სხვა იყო, ხმას ვინ გაგცემდა, და სიხარულით დაჰკრავდნენ ხელსა.
შენნაირ ვაჟკაცს ხელი აუკრას, ქვეყნად ვის ნახავ ასეთ სულელსა.
ქება რად გინდა, ჩემი მამის შვილს თავმოწონება არას შემატებს,
თორთომის ციხეს შეგადარებდი ჰიტალო კლდეზე კლდის ქვებით ნაგებს.

რადამისტი-
არ მინდა ქება გადამეტებით, ისედაც ვიცი ცხოვრების ფასი
თუმცა ასაკით მეთქმის ჭაბუკი, დარდი ვიხადე მრავალათასი.
ჰატარა ვიყავ როდესაც მამამ თან წამიყვანა ჩემ ჰირველ ომში
იმპერატორმა ტიბერიუსმა როცა საქმისთვის იწვია რომში.
გზაში მე დედა გარდამეცვალა და იქ მიმიღეს როგორც ობოლი
ვეღარ მართობდა შეხვდრის სითბო და სათამაშოდ მოგვრილი ტოლი.
მაშინ დაგეგმეს, რომ მითრიდატე, შენი სეხნია და ბიძა ჩვენი
რომში ნამყოფი მძევლად კარგა ხანს და თან ვაჟკაცი გამოსაჩენი
დაესვათ ტახტზე სასომხეთისა, სომხებს მიეღოთ მეფედ იბერი
ტიგრანოკერტში და არტაშატში, სად დიდგულობდა მოსისხლე მტერი.
სადაც არტაბანს, ჰართიის მეფეს, მეფედ დაესვა შვილი არშაკი

პონტოს მეფის ძე, სომეხთა მეფე, ზენონ-არტაქსი მოგუდეს რაკი.
მაშინვე იყო, რომ დედა შენი, ტიბერიუსის მესამე ცოლი
ფეხმძიმე ქალი უნდა მოეკლათ, რადგან შებილწა მეფის საწოლი.
და იყო წესი, გარეშე ვინმე სიკვდილმისჯილ ქალს თუ იცოლებდა
იმპერატორი, თავის ცოლეყოფილს, უცხო მეფის ცოლს შეიწყალებდა.
ტიბერიუსმა სთხოვა მამაჩემს და შეიცოდა ფარსმანმა ქალი
თუმც მოღალატე, მაგრამ ფეხმძიმე და სილამაზით ღმერთთა ბადალი.
ასე მაჩუქეს დედინაცვალი, ჩემი ყოველი ტანჯვის სათავე
მისგან გავიგე ენის მიტანა, შური, ღალატი, ყველა სიავე.
აქეთკენ გზაში გაჩნდა ლივია, მას შემდეგ მისით ვცოცხლობ და ვხარობ,
ჩემდამი მისი სითბოს მადლია თუ სიკეთეს ვთეს და კაცად ვგვარობ.
შენ კარგად იცი არა ვარ ხარბი და დიდმეფობის არ მტანჯავს დარდი
არც ვარ ჭიანი, რომ ტკბილი სიტყვა ვისმინო ჯავრის გულ გასაქარდი.
შენ ჩემი ძმა ხარ და ფარსმანის ძე, თუ უარს ვიტყვი, ტახტის მემკვიდრე,
ასე შევთანხმდეთ, მომეც შენი და და შენ იმეფე-იცოცხლებ ვიდრე.

მითრიდატე-
ვხედავ ლივიას ჩაბმულს ფერხულში, შორით ხელს გვიქნევს და გვტყორცნის მზერას
სმენა არ წვდება, თვალის სინათლე გებულობს მისი ტანის სიმღერას.
მე მესმის შენი, და რომ არ იყოს ალბათ შენსავით შევიყვარებდი
კაცის ცხოვრება გაფრენილ ჩიტს გავს, ვიჭიკჭიკებდი, გავიხარებდი.
მე შენი მშურს და თან მიხარია ვაჟკაცს კაცური გქონია გული
დასაც გაგატან, ტახტიც შენია, ძმა ვარ იცოდე შენი ერთგული.
*/საყვირების ხმა. მხლებლებთან ერთად შემოდის სომხეთის მეფე მითრიდატე. რადამისტი და მითრიდატე ბიძას და მეფეს თაყვანს სცემენ/*

რადამისტი-
მეფეს და ბიძას, დიდ მითრიდატეს, ვისი ხსენება დაგვიტკბობს სმენას
ვისი საქმენი გმირთა საშური, ჩამოთვლა რისიც არ მალუმს ენას,
ვინც გაგვამდიდრა თავის სტუმრობით, ნათესაური აგვავსო გრძნობით
მხარი მოგვცა და მტერი მოგვისპო, იბერთა მეფე ახარა ძმობით,
ვინც რომაელთა ზეობით ზეობს და რომაელნი ვის ახლავს წყობით
ვისაც იბერთა სცხია კაცობა, ვეთაყვანებით ჩვენი კაცობით.

მითრიდატე უმცროსი-
ვჩქარობ რადამისტს უფროსს, გონიერს, თანხმობის მივცე სიტყვა-ნიშანი
მამის დიად ძმას და იმის მხლებელთ, გზა დავულოცო და გზის მიზანი
იბერთ მამული, იყოს მოწამე სიკეთით თქვენი მობრძანებისა

როგორც გვესტუმრეთ, ისე დაგხვდებით, ასეა ნება მეფის და ღვთისა.

მითრიდატე მეფე სომხეთისა-
ძმის მეთა ვხედავ დაღვინებულან, იციან სიტყვის მადლი და ძალა
შორს გადასწვდება მათი სახელი, განგებამ ფრენა თუ დააცალა,
აქ ვისაც ხედავთ ჩემი მხლებლები ზოგი სომეხი დიდებულია
ყოველ რომაელს ჩაცმაზე ატყობთ და სიამაყით ავსებულია.
მოვსულვართ რათა ვილაღოთ ერთად, მოკავშირეთა ლხენით ვიხაროთ
სამეფო დარი და საფიქრალი ერთ-ურთის ნახვით გადავიყაროთ.
მე რადამისტის სიტყვა მეამა, კადნიერებით გამორჩეული,
ფიცხი, შემტევი და არ დამხევი, საუბრობს როგორც მზე მოწეული.
შენ მითრიდატე, ჩემო სეხნიავ, შენი სიტყვებით დამიტკბე სმენა
სად უძლურია შუბი ტარგრძელი, ღრმა კვალს გაავლებს ჭკვიანის ენა,
ჩვენ შესახვედრად ბევრი მოსულა, ჩანს სასურველი რომ ვართ სტუმრები
მაგრამ ვერ ვხედავ მათში ლივიას, ვერც ვცნობ თუნდ გზაში გადავეყრები.
*/ლივია გამოეყოფა ჯგუფს და მიეახლება მითრიდატეს/*

ლივია-
ჩვენ დარდი გვქონდა. მამამ თუ ბრძანა, სტუმრებს აქ დავხვდეთ პატივით დიდით.
ვინ გაბედავდა ჩვენში ურჩობას და გელოდებით სამივე რიდით.
სტუმართა მოსვლის ვართ მოხარული, მამის ძმის მოსვლა ასმაგად ფასობს
უცხოს ხილვა თუ სასურველია, მოძმის არ ხილვა ლახვარს დაგვასობს.

მითრიდატე მეფე სასომხეთისა-
მოხიბლული ვარ და კმაყოფილი, შენს სილამაზეს მიქებდნენ მუდამ
გარეგნობასთან გონიერება მეფის ქალიშვილს შვენოდეს უნდა.
კვლავაც შევხვდებით, ახლა კი ვჩქარობ, მასპინძლად დიდი ძმა გველოდება
ზოგჯერ ერთს ფიქრობ და სხვა გამოდის, თუ აგვიანებ ასედაც ხდება
*/სომეხთა მეფე მხლებლებითურთ გადის. მითრიდატე წინ მიუძღვის/*.

რადამისტი-
წავიდნენ. დავრჩით განმარტოებით. მომეცი ხელი და შემომფიცე
თუ მოგინდომეს სხვისთვის მიცემა, შენი უარი იქნება მტკიცე,
მეც შემოგვფიცავ, რომ შენის გარდა, ვერვინ იღირსოს ჩემი ცოლობა
ვერვინ გაუსდეს მეწყვილედ გრძნობას, ვერ გამიწიოს უღლის ტოლობა.
დედაშენისგან მუხთლობას ველი, გული აქვს შავი და კანი ჭრელი
ენა მგესლავი, ჩემზე ლესილი, როგორც სათიბში ნაწკეპი ცელი.





ლივია-
რადამეს, იცი ჩემი სიცოცხლე განგებას შენთვის უბოძებია
შენი ვარ ბოლო ამოსუნთქვამდე, მაგრამ თუ მეფის ნაბრძანებია
და ძმას არ გაჭყვეს, არ შეიბილწოს იბერიელთა სისხლი და ჯიში
ვერც შენ გადახვალ მამის აკრძალვას, არც ვინ დაგვლოცავს, ექნებათ შიში.

რადამისტი-
ნუ ფრთხი სულისდგმავ, მეფის აკრძალვა და-ძმას ეხება დედით და მამით
ჩვენ სხვადასხვა გვყავს დედაც და მამაც და ამას გარდა, იფიქრე წამით
რომაელებში ამ წესებს ვინ სდევს ან ვინ უყურებს ბიძას და დედას,
წმინდანს, უწმინდურს, მეზობელს, უცხოს, ცვედანს და ბერბიჭს, ზედას თუ ქვედას.
შენ მამა გყავდა იმპერატორი, ტიბერიუსი მამაა შენი
დედამ თუ სცოდა, შენ ხომ არ სცოდე, ტანჯვის ღირსია შენი გამჩენი.

ლივია-
ხო მაგრამ რაკი უკვე მიშვილა, ხომ მამაშენის მით გავხდი შვილი
კეთილად ზრდაში, სწავლაში, წრთვნაში, მასაც მიუძღვის ჩემდამი წვლილი.

რადამისტი-
სამეფო კარზე ვინც ჯეელია და მოწიფულიც მათში მრავალი
მამის ნაწრთობი, აღზრდილი არი, ყველა მათგანზე ეჭირა თვალი.
ზოგს შეაქებდა, სხვას დატუქსავდა, მეფეს კი არა აღმზრდელსა ჰგავდა,
ასე ეგონა გზას თუ მისცემდა პატარას გულში სიცოცხლეს რგავდა.
მაშ ყველა მისი შვილი ყოფილა და მეფის შვილი ვერავის ითხოვს.
მე ჩემსას ვჩივი, გონება ჩემი სხვას არას ფიქრობს და არას ითხოვს.
ან რაღა ჩემზე გაწყრება ღმერთი, როცა ქვეყანა სიბილწეს ჩადის
არ ეკითხებათ განა ცოდვები როდესაც სული ქვესკნელში ჩადის?
შენ შეადარე: პართიის მეფე, უჭკვიანესი, ფრაატი ფრთხილი
ვინც რომში მძევლად გაუშვა ყველა, რომ არ დაეფრთხოთ მეფისთვის ძილი,
რადგან იცოდა შვილი მოკლავდა ან დაასწრებდა ვინმე ბადიში
მძევლად გზავნიდა ყველა მოჩიტულს, თან შეთქმულების დასდევდა შიში.
მაინც აუხდა, შვილმა ფრატაკმა, ბერძენ მხევლისგან შობილმა შვილმა,
მოჰკლა მამა და ისე გამეფდა, ცოდვა ვერ იგრძნო ვნება აშლილმა.
შემდეგ კი დედა შეირთო ცოლად, დედამ ისურვა დედოფლად ჯდომა.
ბილწმა არ იცის ჩემი და შენი თუ მოემალა უღირსი ნდომა.
ანდა ავიღოთ, ტიბერიუსმა გერმანიკი ხომ მოაკვლევინა
მისი შვილები იშვილა შემდეგ და სასახლეში დაუდო ბინა.
ბავშვებს არ ეცხოთ მშობელთა მადლი, იყვნენ ავხორცნი, ავნი, დიდგულა,

დებთან ცხოვრობდა ცოლ-ქმრის ცხოვრებით, როცა მოაჯდა ტახტს კალიგულა.
როცა ის მოკლეს და კლავდიუსი გახდა რომაელთ იმპერატორი,
ძმის შვილი ცოლად დაისვა მეისვე, ვით გრძნობის მეფე და სისხლით სწორი
მოდი გავნსაჯოთ, თუ იბერია რომის მომხრეა და მოკავშირე
რაც იმათ მოსწონთ, უნდა მივიღოთ. დიდს ბევრზე უარს ვერ ეტყვის მცირე.

ლივია-
რომი სადაა, ჩვენ კი სადა ვართ, ქცევით და სიტყვით იმათ არ ვგავართ
მათი სიბილწე ჩვენ ვერ მოგვწვდება, სიწმინდით როგორც მწვერვალი ვდგავართ.
თუ მეფე იტყვის თავის თანხმობას, მე არ შევხედავ ცრუნარევ ძმობას
იცი მიყვარხარ, ვიცი გიყვარვარ, გადავეგები უკურნელ გრძნობას.

რადამისტი-
როცა მორჩება სტუმრიანობა, მე მამას შევთხოვ მოგვცეს უფლება,
მაგრამ დედაშენს სიტყვას ვინ ეტყვის, რა ვქნა აზრი თუ არ შეეცვლება?
ასე ჰგონია ჩვენ თუ შევუღლდით, რაკი მემკვიდრე მეფობის მე ვარ
ჩვენ ძმას ერთმევა ყველა უფლება. ნუთუ ამგვარად უგულოს ვგევარ?
ნუთუ ვერა გრძნობს, ერთია ძმობა, სხვა არის გრძნობა დედინაცვალის
მე მითრიდატეს მკლავით დავიცავ, რადგან ღირსია კეთილი ხვალის.
მეტსაც ვიტყოდი, მე მაგონდება, ანტონიუსმა, დიდმა სარდალმა
როგორ დატოვა საბრძოლო ველი, როდესაც იგი დატოვა ქალმა.
ქვეყნის დიდებას და ტრიუმფს რომში, რაიც შეეძლო მოეგო ომში
მან ამჯობინა ქალთან დარჩენა და გაეშურა იმის სადგომში.
თუ კლეოპატრა და ანტონიო იყვნენ ასეთი ვნების შვილები,
რატომ ვიქნებით, ხანით უმცროსნი ცეცხლოვან გრძნობას მოკლებულები?
სამეფო ტახტს მე ძმას დავულოცავ, ოღონდ შენ მყავდე მუდმისად გვერდით
მეფის ცხოვრებას ჯობია მწყემსის, თუ კმაყოფილი კაცია ხვედრით.
*/შემოდის დალმაციო. აწვდის მეფისკან ხლებულ გრაგნილს (კირბს)/.*

დალმაციო-
უფლისწულები, ასეც ვიცოდი, აქ იქნებოდით, მიტომ ვიდოდი
მეჩქარებოდა და არ ვჩქარობდი, თქვენი გათიშვის ცოდვით ვიწოდი
ჩემო ბატონო, ფარსმან უფალმა კირიბთან ერთად ეს დამაბარა
სასომხეთს მესხნი შემოსევიან, მარცვავენ და შენ იღონე, ჩქარა
ჩადი, უბრძანე შეწყვიტონ რბევა, ჩაიკლან ძმათა დალაშქრის ჩვევა
თან გადაეცი მეფის სურვილი, მამასახლისთა მცხეთაში წვევა.
აუხსენ გვსტუმრობს სომეხთა მეფე და რომაელი დიდებულები,
ამ დროს მანდ მტრობა ღალატსა ნიშნავს, უჯობთ ქარქაშში ჩააგონ ხმლები.

თანმხლები რაზმი მზად გელოდება, და დაყოვნება აღარ იქნება
მვილთა, მსახურთა, მონათ ვალია მყის აღასრულონ მეფის ბრძანება.
*/რადამისტი ისმენს, წაიკითხავს კირიბს/.*

რადამისტი-
ორ ცეცხლ შუა ვარ. ორივე მხარე აღმიძრავს შიშს და მირევს გონებას
ჩავაქრო ერთი, მეორე დამწვავს, სიბრძნე ვერაფერს კარნახობს ვნებას.
მეფე მიბრძანებს მესხეთს წავიდე, მოვთოკო მესხი დიდებულები
რომ მითრიდატე სომეხთა მეფე და დიდებულნი იმისი მხლები
მშვიდად სტუმრობდნენ, დროს ატარებდნენ, იყოს ერთობა და მეგობრობა,
და არ უწყიან მეორე მხრიდან როგორ ცეცხლს მინთებს ულევი გრძნობა.
გული მკარნახობს ნუ დაშორდები, ნუ მიხვალ, ნურსად გადაეგები
კაცის გრძნობას და გონებას შორის ღმერთია მხოლოდ მართლის გამგები.
*/რადამისტი ემშვიდობება ლივიას და მიდის/.*

დალმაციო-
წავიდა. ვიცი ჩემი ბატონი, ფიცხი, ამაყი, შემმართებელი,
მესხეთს ჭენებით რომ მიეჭრება და საომარი რაზმი მხლებელი
შიშის ზარს დასცემს მამასახლისებს, მოუსპობს მეფის ურჩობის წყურვილს
ამასობაში სომეხთა მეფე აქ აისრულებს სანატრელ სურვილს.
მეფის ასულო, დედამ გიბრძანა დარბაზობაზე რომ თან ეახლო
სტუმართ დახვედრის დაიცვა წესი, საით გასწევენ იქ იყო ახლო.
ავჩქარდეთ ჩვენაც, დედოფალს თუ სურს, ფეხის ათრევა აღარ ეგება
დასასჯელია, დასაქმებული ენის ტარტარს თუ გადაეგება.
*/ვადიან. მხიარულება გრძელდება/.*
*/სამეფო დარბაზი. დედოფალი ლივილა და დალმაციო/.*

დალმაციო-
როგორც მიბრძანე, მე შევასრულე, მივეც კირიბი, სიტყვა ვუთხარი
სულ არ უნდოდა მესხეთში წასვლა, ითრია ფეხი, დაეცა ზარი.
გულიც უგრძნობდა, მაგრამ უარი, ვერ შემობედა მეფეს და მამას.
როცა მიხვდება ტყუილს და ღალატს, მომკლავს არ უნდა ფიცილი ამას.
შენ დედოფალო მაცთუნე მწარედ. უნდა დამიცვა და დამიფარო
თუ მომაკლდება შენი წყალობა, ბინად მექცევა დილეგის ხარო.

დედოფალი ლივილა-
ბარბაროსივით ლაჩარი ნუ ხარ, რომიდან აქეთ მიტომ გატარე,
ამდენი წელი არ მოგიშორე, ფიცით აღგითქვი იბერთა მხარე

მინდა მეფობდეს ამ მიდამოში ოქტავიანეს ჩამომავალი
მიტომ გიწოდე მხლებელი ვინმე, მიტომ მეჭირა მე შენზე თვალი.
ბევრმა არ იცის, რომ ჩემი შვილი ხარ სულ პირველი ქორწინებიდან
რომ შენზე ვზრუნავ და რადამისტი ამიტომ მინდა მოცილდეს გზიდან.
მე თუ რადამის მოვიცილებდი, ფარსმანი დარდით მას გადაჰყვება,
ტახტზე დაჯდება შემდეგ ის წუვილი, ლივია ცოლად ვისაც გაჰყვება.
მითრიდატე კი პატარა არი, არავინ იცის წინ რა გზა ელის.
ვის გადეურება, იქნება სადმე მსხვერპლი გახდება მსახვრელი ხელის.
შენ მე მომენდე, ისე აღზევდე, ვერაფერს მიხვდნენ ბარბაროსები
როგორც გითხარი ეტყოდე ფარსმანს ეგებ რადამისტს მოვუჭრათ გზები.

დალმაციო-
მართალია მე დედას ვერ გეტყვი, ვერ მოვიპოვე ამის უფლება
რაც თავი მახსოვს რადამისტს დავდევ, ბედად დამჩემდა მისი თანხლება
მახსოვს როდესაც რომში პატარა, დაობლებული ჩამოიყვანეს
მის გასართობად მე მიმიჩინეს, შვილი ვარ? მსახურს რად დამამგვანეს
და ამას გარდა ჩემი და არის, ლივიამ თუმცა ესეც არ იცის
ორივ მათგანთან ასე გამოდის ერთდროულად ვარ გამტეხი ფიცის.
ჩანს მახეს ვუგებ კეთილისმყოფელს, როცა რადამისტს ვაშორებ სოფელს,
ცოლად დას ვირთავ, ტახტს ვეუფლები, მის ზიზღს მოვიმკი მე განუყოფელს .
ახ როგორ უყვარს ლივიას იგი, მეც რომ ასევე შემიყვარებდეს
სად არი ჩემი ბედის ვარსკვლავი სიცოცხლით ერთხელ გამახარებდეს.

დედოფალი-
ნუ წუხარ შვილო, ძალაუფლება ბრძოლას მოითხოვს და სისხლის გუბეს
ტახტი მოგელის და მასთან ერთად დაეუფლები ლამაზის უბეს.
მე მირჩევნია არ მუავდეს შვილი, ვიდრე ბარბაროსს დავუთმო იგი
მეფობის გამო დაც ცოლად მოუავთ, ასეთი არი წესი და რიგი.
კალიგულა ხომ დებთან ცოხვრობდა, ასეთი იყო მრავალი რომში
ზოგი საწოლში მოიგებს ბრძოლას, ზოგს კი მოკლავენ უომრად ომში.
აგრიპინა რომ ძმასთან ცხოვრობდა, მისი ქმარი კი ცხოვრობდა დასთან.
ძმის მეშვეობით ქმარი დაღუპა, იწყო სეირი სხვასთან და სხვასთან
როცა გამეფდა შემდეგ მამის ძმა, მოაკვლევინა იმისი ცოლი
ეცადა ბევრი, დაჯდა დედოფლად, ბიძას გაუყო მეფის საწოლი.
ბიძის შვილი კი თავის ვაჟს შერთო, არი ნერონი მისი სახელი,
ახლა კი ვაჟსაც ეკეკლუცება არ მოიშალა ხელობა ძველი.
მე ხომ არ ვამბობ შენც ჰქმენ იგივე. ბილწი საქმენი არა გჭირდება
შენ სხვა მამისგან მეავხარ ნაშობი. ლივია მამით დად არ მოგხვდება.

მამაშენივით ნუ იწუწუნებ, კაცურად უნდა გეჭიროს თავი
უნდა იცოდნენ ბარბაროსებმა რომ გიჭრის ჭკუა და მოგდევს მკლავი.
ახლა ჩუ. მგონი ვიღაცა მოდის, არ არის კარგი რომ ერთად გვნახონ
არა იეჭვოს ფარსმანმა თორე, მოვკვდები ჩემ წინ კვლავ რომ გაგლახონ.
*/შემოდის ფარსმან მეფე/.*
აგერა მეფეც, ჩემო ბატონო, ნუთუ იმიტომ მითხოვე ცოლად
ვუოფილიყავი დამცირებული, მსახურსაც აღარ მივაჩნდე ტოლად.
როდემდე უნდა მეფევ ვითმინო, როდემდე ვიყო დამდაბლებული,
შენი შვილისგან წიხლჩაცემული, ის შენი ლანძღვით გალაღებული?

ფარსმანი-
დადექ, დამშვიდდი და მოისმინე, დედოფალს მართებს თავშეკავება,
ქცევა, რაც მოდგამს მონას და მსახურს, მეფის მეცხედრეს არ ეკადრება
რადამეს ვიცი, ენა აქვს მწარე, მაგრამ აქვს გული მალზე კეთილი
ჯანით და ღონით, სხარტი გონებით მამაა კლდისგან გამოკვეთილი.
სიტყვაც არ მინდა მასზე ვისმინო და არც შენ მინდა რომ გაწუენინო
ძმას ველოდები, მაქვს დარბაზობა, მინდა ქალებში იყო საჩინო.

დედოფალი-
მეცხედრეს ამბობ და თან მიყურებ როგორც გვირგვინის ბრჭყვიალა საგანს,
მეცხედრე დღისით გვერდში მდგომია და ღამე უნდა უყოფდე საბანს.
ჩემი მართალიც მუდამ გაეჭვებს, სხვისი ტყუილი თავს გირჩევია
ერთგულ-ორგული ერთგვარად ფასობს, ცრუ მართლისგან ვერ გაგირჩევია.
მუდამ გეგონა შვილზე გამხედრებ და ჩემი გერის ვარ დიდი მტერი
ყველა რომაელს ორგულად თვლიდი და მოყვარეა ყველა იბერი.
აჰა კირიბი და წაიკითხე, რას წერენ მესხი დიდებულები
რადამისტს მეფედ  აღიარებენ, მამასახლისნი, მათი ნაცვლები.
ერისთავები დიდნი და მცირე, მას მიელიან მესხეთის მხარეს
ყველა ორგული შენ შვილს ერთგულობს, შენთან სარქენად ამზადებს ჯარებს.
ერთი ხანია მსტოვრებისაგან მესმის, ფარულად ემზადებიან,
ასეც ვიცოდი, მათი განზრახვა გამჟღავნდებოდა ადრე თუ გვიან.
ახლა იკითხე სიყრმის შვილს იტყვი, სად არი შენი ამშენებელი
მოწმე მყავს ჰკითხე, თავად გიამბოს, მისი ერთგული, მისი მხლებელი.
ამიტომ იყო აქ გავაჩერე, ვიცი ჩემგან არ დაიჯერებდი
მოჰყევი მოკლედ რაც დღეს იქ მოხდა და რა ცნობებსაც ჩუმ-ჩუმად ჰკრეფდი.

დალმაციო-
მეფევ შემინდე, სულ მართალია რასაც ლაღადებს დედოფლის ბაგე

ვიცი ჩემ სიტყვებს რისხვა მოჰყვება და სხვის მაგიერ პასუხსაც ვაგებ.
ერთი ხანია ჩემი ბატონი, აზირებულ აზრს   ეტოლვის გონით
თავად იტანჯვის, სხვასაც აწვალებს მართალ-ტყუილით, გამონაგონით.
მიწერ-მოწერაც არი ფარული და უკურნელი იზრდება წყლული.
დამნაშავეა თითქმის ყოველი, მეფის მეცხედრე, მისი ასული.
დღესაც, როდესაც შენი ბრძანებით სტუმრებს ხვდებოდნენ სამხრეთის კართან
ყველა მიგვრეკა გალავნის გარედ და რადამისტი მიიჭრა ზართან
დააგუგუნა, მიიპყრო სმენა და რაც მოროშა ვერ იტყვის ენა
მე მირჩევნია დამსაჯო აქვე, ვიდრე წარმოვთქვა სიტყვები ქვენა.

ფარსმანი-
მაუწყე ღიად, მწარედ ნათქვამი, რაც მოისმინე არ დამიმალო
მიფრთხილდით ყველა, უმღები შვილის, გვედით მდგომებო კაცო და ქალო.
შენ დალმაციო წაგაჭრი ენას, თუ კვლავ ორპირად მოჰყვები რქენას
ვინც მე არ მინდობს, ტახტს მეცილება, არც მე დავინდობ, ვფიცავარ ზენას.

დალმაციო-
მბრძანებელი ხარ, ვარ შენი მონა, მუქარა თუმცა არ მომეწონა
ვიცი ნათქვამის მალა და ზომა, არც მინდა ჯილდოდ ბორკილის ქონა
მე რაც გითხარი არი მართალი, არ გამეხილოს დილაზე თვალი
თუ არ ვთქვი რაიც მე მოვისმინე, არ ვიყო მეფევ მე შესაბრალი.
გალავნის გარეთ სტუმრებს ხვდებოდნენ, მღერდენ, ცეკვავდენ, მხიარულობდენ
შენი შვილებიც მათში ერივენ, იერით, ქცევით მათ ყველა ცნობდენ
ღვინო იგემა რა რადამესმა, ალბათ სიმთვრალით დაგიწყო კილვა,
დამაბუნდაო დიდი ფარსმანი, შეგეცოდება იმისი ხილვა.
ვეღარ მართავსო იბერთ სამეფოს, მტრის სისხლს ვეღარ ცნობს, ვერ უგებს გემოს
ვეღარ ასხვავებს ტყუილს და მართალს, ჩემსას სხვას აძლევს, სხვას ხდის საჩემოს.
მერე დედოფლის დაიწყო ლანძღვა, ბოლოს ლივიას თხოვა ცოლობა
პატარა ძმასაც გადაწვდა მცირედ, თქვა სამეტოქო გვექნება ძმობა.
ამ დროს მოვიდა ვინმე სწრაფმრბოლი, მთხოვა მიმეცა მისთვის გრაგნილი
გახსნა, იკითხა, უბეს ჩაიდო, თითქო დამალა რაღაც სამხილი.
მხოლოდ ესა თქვა მესხეთში  ჩქარა! თან გაიყოლა დამცველი გუნდი.
მას შემდეგ, მძიმე ფიქრშეპყრობილი, ავის და კარგის განსჯას მოვუნდი
ბოლოს დედოფალს შევკადრე სიტყვა, კი არ მომესმა, მაგრამ თუ ვცდები?
მეფევ გამსაჯე, თუ ბრალი მიძღვის შენი გულისთვის ახლავ მოვკვდები!

ფარსმანი-
ამბობ მიიღო კირიბი რაღაც და მესხეთისკენ გაჰყვა  ჭენებით

ეს ხომ ღალატის არი ტოლფასი, ამას მანიშნებ თავდაჯერებით.
მესხნი რადამეს თუ კირობს წერენ და ის გამირბის გამეტებული
მამას და მეფეს არც არას მკითხავს, ნიშნავს ღალატით უცემდა გული.
მაბუნ მოხუცად მნათლავს როდესაც გონება მიჭრის და ღონე მომდევს
ასეთ ქცევაში, ასეთ სიტყვაში ისეც ცხადია ღალატი რომ დევს.
ასეთი შვილის შვილობა არ მსურს, თუმცა ეჭვებით მევსება გული
ღალატია თუ თავხედობაა, ორივე არი წრეგადასული.
ახლა ვიფიქრებ და ბოლო სიტყვას ვიტყვი როდესაც დადგება ჟერი
ასჟერ გაზომე, ერთხელ გასჭერი, რომ დარჩეს მომმე და მოკვდეს მტერი.
მანამდისინ კი მზადებას ვბრმანებ, დახვედრა გვმართებს სტუმართა დარი
შენ დედოფალო გმართებს მოლხენა, არავინ იგრძნოს ჩვენი ავდარი.
შენ დალმაციო, არ დაიკარგო ალბათ გიბრძანებ მესხეთში წასვლას
რამდენიც მეტი ამოვა ულორტი, ხე საჭიროებს უფრო მეტ გასხვლას.
/*ფარსმანი გადის*/.

დალმაციო-
მგონი გადაერჩი. ვერაფერს მიხვდა და არც უკითხავს ეს როგორ მოხდა.
ღმერთკაცი მფრინავ რაშზე მჯდომარე, ეკალ-ბარდებში რატომ ჩამოხდა.
ო, რა დიდია ნათქვამის მალა, როცა პირველად სიახლეს იგებ
შთაბეჭდილებას თუ ვერ გაექეც სიტკბოს მაგიერ მწარეს მოიგებ.
მე რადამისტი კიდეც მებრალვის, გული აქვს თაფლის და ტანი ალვის.
მაგრამ მესხეთში თუ გავიტყუე, ჩანს გადავლახე საზღვარი კრმალვის.

დედოფალი ლივილა-
გზა დასახევი ჩამზღვლეულია, წინ ეკლიანი გზა სავალია
მესხეთში წასვლა, მეტოქის მოკვლა, იცოდე კარგად, შენი ვალია.
მაშ გაემზადე, იუპიტერი მფარველობს მხოლოდ სულით მლიერებს
ვინაც დაასწრებს მეტოქეს დარტყმას, მეტოქის სიკვდილს იგი იგემებს.
შენ გევალება მოკლა რადამისტ, მასთან თავნება დიდებულები
უმეთაუროდ მესხთა ჯალაბნი ვერ იქნებიან კარდაცულები.

დალმაციო-
როდესაც ენა შორით ნავარდობს, გგონია საქმეც გაჩარხულია
როცა გგონია იპოვე რაღაც, ამით რაღაცა დაკარგულია.
მაგრამ საქმისთვის თუ არ იღონებ, არც იტყვი და არც გამოიგონებ
ცოცხალი წასულს დაემგვანები, გულის მახილსაც ვერ გაიგონებ.
მე წავალ მესხეთის მეფის სახელით, დიდებულების მეფესთან წვევით
და საითითოად წავაცლი თავებს, მე ვისარგებლებ დედოფლის რჩევით.

რადამისტი კი უნდა დავბორკო და ვათქმევინო ტახტზე უარი
დიდების გზაზე შემდგარ კაცისთვის, ტყუილი არი ვით საფუარი.

დედოფალი-
დამთავრდა ჟამი სიტყვით თამაშის, ახლა საქმეა უფრო საშური
დროა მოვიმკათ ადრე ნათესი ჭორი და ცილი, წყენა და შური.
გარეთ დაგხვდება ჩემი მსახური, უთხარ ალესოს თვალი და ყური
ისე მომგვაროს სომეხთა თავნი, რომ არ ატეხოს აურ-ზაური.
*/დალმაციო გადის/.*
ახლა მთავარი მოფიქრებაა, გზა თუ არ იცი შორსაც ვერ წახვალ
ან როგორ ვენდო, ან მენდობიან? არ გამამხილონ დღესვე ანდა ხვალ.
არ შეიძლება რომ იყვნენ ბრიყვნი, მათი მიზანი ხომ ნათელია
მესხებისაგან მათი მამული ბევრჯერ უწყალოდ განათელია.
და თუ ექნებათ ჩემი იმედი, და არ ექნებათ ფარსმანის შიში
უნდა დაიხსნან თავის მამული, ცოლი და შვილი, ერი და ჯიში.
თუ მივაღწიე მოჰკლან რადამისტ და მითრიდატე ზედ დაამატონ
თან მწუხარება ფარსმანის ფეხთით, გულმოკლულებმა ცრემლებით ხატონ
ფარსმანს ხომ დარდი გადაიყოლებს და უპატრონო დარჩება ერი
გაუჭირდებათ, რომს მიმართავენ, მოუგერიოს ორთავეს მტერი.
სენეკას ვნახავ, ხვაშიადს ვეტყვი, ორივ სამეფო თუ მივუმღვენი
რომში ღალატი მეპატიება და იმპერია გახდება ჩვენი.
თუ კი მე მახსოვს, ჩემზე მხურვალედ მას უფრო კარგად ემახსოვრება
რომის დედოფალს, სრულიად ნორჩმა, როგორ მომიძღვნა მთელი ცხოვრება.
რა ვქნათ შეხვედრა გვქონდა ხანმოკლე, ლივია მაინც მისგან მეყოლა
მისი მიზეზით ვეწამე ბევრი, გადავიტანე ცხოვრების რბოლა.
ახლა რომში, რომ აგრიპინასთან, როგორც მრჩეველი და მეგობარი,
შვილის აღმზრდელი, აღზევებულა, ამაში წვლილი ჩემიც ხომ არი?
კეთილ ინებოს, რომს დამაბრუნოს იმპერატორის ქვრივს რომ შეშვენის
ისეთ პატივით, და არ ვიქნები გამხსენებელი ქალური წყენის.
*/შემოდიან სომეხი დიდებულები: არტაქსი, ტიგრანი, ადუა, სამივე თაყვანს სცემს დედოფალს/.*

არტაქსი-
მოგდომებიათ დიდებულთ წვევა, არ შეგიცვლიათ კეთილი ჩვევა
დედოფლის ხილვა, სიტყვა და აზრი, გონებას ვით მთას ნისლი ეხვევა.
შენი მსახურნი, ერთგულნი აქ ვართ, მიგვიღე როგორც უტყვი მონები
არა სალხენად მეფესთან ერთად, შენ მოსასმენად დავლახეთ გზები.
რაც ადრე ითქვა განვსაჯეთ წვრილად, სამთავეს გვახსოვს ვიქცევით ფრთხილად

დედოფალი-
აქა ვთქვათ ჩვენში რაც სათქმელია, იცით ბევრი რამ განსასჯელია
ზოგი მოკეთე მისახედია, ზოგი მეტოქე დასასჯელია.
თავად იაზრეთ, როდის ყოფილა, რომში სომეხთა მეფე გაზრდილა
უცხოტომელმა, რომელი იყო თქვენ მოგიტანათ მშვიდობის დილა.
თუ მითრიდატემ, ხალიბთა მეფემ, პონტოს სამეფოს როდესაც ქმნიდა
დიდი ტიგრანი მწარედ გაწირა, სიძის მოსპობა უნდოდა გზიდან.
მისი მემკვიდრე, შმაგი ფარნაკი, როცა სინოპში გამეფდა ძალით
არიან ქართს არ გედავებოდათ? ვიდრე ღალატით თქვენ არ მოკალით?
ახლა ხანს იყო პონტოს მეფის ძე არტაქსი რომელც ერქვა ზენონი
სომეხთა ტახტზე დიდხანს რომ იჯდა, რომსაც ერჩოდა იდუმლად მგონი
რას გპატრონობდათ, რა მოგცათ მეტი, იყო უხამსი, გიჟი, ცერცეტი
რომაელებმა როცა მოგგვარეს, ბედისწერისგან დაესხა რეტი.
ან პართიელი უღვთო არშაკი, არშაკთა თავი და დასაბამი
რას შეგმატებდათ, მხოლოდ სისხლს გწოვდათ, რაკი სამეფო დაუდგა ჟამი.
თუნდ მითრიდატე, როცა ფარსმანმა თექვსმეტი წლის წინ მეფედ მოგგვარათ
განა მოგექცათ როგორც ნათესავთ? მტერი იქცევა მუდამ ამ გვარათ.
თექვსმეტი წელი გუავთ მითრიდატე. ითმენთ იბერთა თქვენზე ზეობას.
როდესაც დარდი შემოაწვება მზესაც უწუნებს კაცი მზეობას.
თქვენ კი ყოფილხართ მთლად უთაურნი, რამდენი გინდათ უცხოთ ემონოთ
რამდენჯერ უნდა მოხაროთ ქედი უცხო მბრძანებელს რომ მოეწონოთ?

არტაქსი-
გიპასუხებდი არ იყო ქალი, იბერთა მტერი სომეხთა თვალი
ჩემი მტრის მტერი მტერს მირჩევნია, თუკი ორივეს წაიღებს წყალი.
შენ მართალი თქვი, სომეხი ერი არ უნდა იყოს შემყურე სხვისი
ჩვენ გვეკუთვნოდა ქვეყნები ზღვამდე და გვქონდა ძალა შესაბამისი.
წარსულს თუ ვიტყვით ვინ გაიხსენებს, როდის რა ეპყრათ წარსულში ჩვენებს
და მომავალშიც დაუდეგარი, სული სომხური არ მოისვენებს.
დღესაც ჩვენია არიარატი მთა უმაღლესი, უხვ თოვლიანი
ვანის ტბის მხარე, პონტოს ნაპირი, კაპადუკია ბარაქიანი.
განა როდესაც მაკედონელმა მრავალ მეფეთა კარი დალახა
არიან ქართი ჩვენ არ გვარგუნა? ნიჭის სიდიდე ჩვენი რომ ნახა.
და ტიგრანის დროს. ასი წელია რაც აღარა გვყავს დიდი ტიგრანი
ასი წელია რომს ვეკედლებით. ვემეგობრებით ამდენი ხანი.
და როდის იყო არასომეხი სომეხის გულში რომ კოკორს შლიდა

ვის ვუერთულეთ, რომ მითრიდატეს ჩვენ ვარსკვლავები ვუკრიფოთ ციდან?

ტიგრანი-
არა სომხისთვის სომეხის ცოდნა, გულის გადახსნა და სულში ხედვა
მიყოლ-მოყოლა და ერთგულება, ისეა როგორც უსულოს ხედვნა.
ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს, ჩვენი ღმერთები გვიძღვიან ჩვენი სავალი გზებით
ერთი საქმისთვის დავდგებით ერთად, ერთმანეთისთვის მოვკვდებით გზნებით.
თუ ბედისწერამ ზურგი გვაქცია და მეფედ მოგვცა უცხოტომელი
ერთი წავა და მეორე მოვა, მათი ერთგული გვნახე რომელი?

ადუა-
სანამ მახვილი მარტუია წელზე, გონება მიჭრის და მკლავი მძლავრობს
ნუ გეგონებათ ჰართი, იბერი ნამდვილად მეფობს, ღმერთობს და ხარობს.
ჩვენ ჩვენი ვიცით, ქვასაც არ დავთმობთ, რა გინდ დროება დაგვიდგეს მწარი
რადგან რომია ჩვენი მფარველი, იმპერატორი ძმა-მეგობარი.

დედოფალი ლივილა-
სიტყვით თამაში გონებას ლესავს, კარგია როცა აზრები კვესავს
სიტყვა ადიდებს, სიტყვა აცოცხლებს, სიტყვა დასცემს და მწარედ დაგესლავს
მაგრამ როდესაც საქმეა საქმე, სიტყვის ვალია უკან დახევა
არა სიტყვისთვის, საქმისთვის მსურდა სასომხეთიდან დღეს თქვენი წვევა
უნდა იცოდეთ, სანამ თქვენ მსჯელობთ, მესხეთში მეფის მე რადამისტი
ჯარებს აგროვებს სომხეთს სალაშქროდ, მალგულოვანი, შემტევი, ხისტი,
სანამ თქვენ მზეობთ, ფარსმანთან სტუმრობთ, ილხენთ, იცინით, საუბრობთ, ხუმრობთ.
გულზვიად ფარსმანს თავს მოაწონებთ და შექებულნი ლაღად ხმაურობთ
თქვენს ჯალაბებზე წავა რადამისტ, აგიწიოკებთ მამულს და კერას
მითრიდატე კი ძმასთან შეკრული გეტყვით ცდებოდა,-ხვდებოდა ვერას.
უნდა დაიცვათ თქვენი მამული, მტერთან საომრად აინთოთ გული
გადაარჩინოთ მე და ასული, მახვილი მით გაქვთ წელს შემოკრული.
მე ჩემი გავთქვი, რაც საიდუმლოდ, ერთ-ურთში თქვეს და ჩუმად გავიგე
წავალ, რომ მეფეს დროით ვეახლო, თქვენ კი განსაჯეთ და გაარიგეთ.
/გადის/.

ტიგრანი-
არტაქსი შენ ხარ ჩვენში მოთავე, მეფის მაგიერ, შემწე, იმედი
მე და ადუა გვიგულე შენთან, სამმა გავჭედოთ სამშობლოს ბედი.
ვინძლო დავასწროთ ცბიერ იბერებს, ჩავკეტოთ გორნი და არტაშატი
სომხური ყველის მსურველ მომხვდურებს, დავალევინოთ იმ ყველის შრატი.

მაგრამ როგორ ვქნათ რომ მითრიდატემ, უფრო ფარსმანმა ვერა გაიგოს
მახე რომელსაც სომხებს უგებენ, ჩვენგან მესხების მახედ დაიგოს?

არტაქსი-
ფიქრის და სიტყვის დრო წასულია, იმედი დაგვრჩა ფეხმარდი ცხენის
სომხების შეყრა სასწრაფო არი, არ გვაქვს უფლება ფარსმანთან ლხენის.
მე მითრიდატის მეჯერა მუდამ, გულწრფელი იყო ასე მეგონა
ამიტომ იყო მივიღე მეფედ, ვუძღვენი ოქრო თავისი წონა
რას ვიანდებდი გვიღალატებდა და ძმასთან ერთად მახეს გვიგებდა
რა უდარდელად თავს გვაჩვენებდა, მოიმღეროდა, ქცევას გვიქებდა.
უნდა გავსწიოთ სასწრაფოდ სახლში, მტერს შევეგებოთ მახვილით ხელში
გადარჩენილი გახდება მეფე, მკვდარი დარჩება სახელით ერში.

ადუა-
მეც მათქმევინეთ ჩემი სათქმელი, თუ ვარ სარდალი სამშობლოს მცველი
ფიცხ ღვინოს ზოგჯერ სჯობია მველი, აჩქარებულ კაცს - დინჯი და ნელი.
მე ასე ვიტყვი, საომარ ყივილს, სჯობს ჩვენებურად ასე განვსაჯოთ
სანდოს მივენდოთ, მტერს განვერიდოთ, რომ აჩქარებით არ დავისაჯოთ
თუ მითრიდატე მივიღეთ მეფედ და მაინც ჩვენი მოსპობა უნდა
რად ვაგრძნობინოთ ჩვენი განზრახვა, მაშინ როდესაც შეკრულან გუნდად?
სჯობს თქვენ ორივე დარჩეთ სტუმრებად, აჩვენოთ თავი ერთგულ მხლებლებად
თან გაარკვიოთ ვისი სურვილით აღმსდგარან მესხნი სომხებზე წყებად.
იქნებ ფარსმანი ძმასაც ატყუებს და მითრიდატემ არც არა იცის
იქნებ არ არის სამტროდ აღმსდგარი და ერთგულია სამეფო ფიცის?
რომაელები რაღას უცდიან, დაწყობილ საქმეს სათუოდ ხდიან?
მოკავშირეს და ერთგულ ყმას შორის ბოროტების და მტრობის ყლორტს ზრდიან?
სენეკას ცალკე შეხვდით და თხოვეთ, ყმებს დაცვა უნდა თუა პატრონი
თუ აშლილობას სიგიჟე მართავს, მის დაწყნარებას სჭირდება გონი.
მე კი, ვფიცავარ ოჯახის ღმერთებს, ჭენებით ჩავალ არტაშატამდე
დავრაზმავ ერს და წინ წარვუძღვები, გავავლებ საზღვარს პონტოს მთებამდე.

არტაქსი-
შენი აზრი სჯობს, თუ ვიერთგულებთ, საერთო ძალით მივაღწევთ მიზანს
ჩვენზე მოსული მესხთა ლაშქარი, ჩვენ დავამსგავსოთ ლტოლვილს და ხიზანს.
რადამის უნდა ჩავუკლათ მადა, რომში ტრიუმფზე მონად ვატაროთ
რომაელ სარდლებს ჩვენ აქ დავგეშავთ, მათი მომხრობით მტერზე ვიხაროთ.
ახლა შევფიცოთ... ვციფავართ ყველა დე მოღალატემ იცნას სიკვდილი.
გვეყო, დავშორდეთ, გზას დავილოცავ, არვინ შეგნიშნოს, იყავი ფრთხილი

*/სომეხი დიდებულები ეთხოვებიან და სტოვებენ დარბაზს. სატახტო დარბაზი. ტახტზე ფარსმანი, შორიახლოს იბერი დიდებულები/.*

კარის გამრიგე-
დიდო მეფეო, ღმერთთა სადარო, ერის სულისდგმავ, სიკეთის წყარო
შენსა წინაშე მობრძანებულა მრავალი გმირი თვალ გასახარო.
პირველ შენი ძმა, სომეხთა მეფე, მხნე და მამაცი, ბრძენი და ქველი
ჩქარობს წარმოსდგეს შენსა წინაშე, რომ გაგიქარვოს გულის ნაღველი
მას თან ახლავენ დიდებულები არტაქს, ადუა, მათთან ტიგრანი
თან მოაქვთ ძღვენი უძვირფასესი, წიგნში წერია რაა და რანი.
მათთან არიან უმი კვადრატი, რომის ლეგატი სირიის მხარეს
პრისკი, კასპერი და პოლიონი პართიის მეფე ვინც გაამწარეს.
მოსულან სტუმრად, მოილაღობენ, მოჰყავთ ნერონის აღმზრდელი ბრძენი
რომაელია, ჩაცმით ასე ჩანს, მაგრამ საუბრით არი ბერძენი.
სენეკააო, ანეის რქმევენ, ცნობილი არი რომის მხარეში
ლეგატებიც კი თაყვანსა სცემენ, გამოირჩევა დიდებულთ წრეში.

ფარსმანი-
თუ ძმა მესტუმრა, რად უნდა წვევა, პატივმა იცის თავბრუს დახვევა
სთხოვე მობრძანდეს, და მასთან მეოფთაც დავხვდეთ როგორიც გვქონია ჩვევა
*/მითრიდატე სომეხთა მეფე და მისი თანმხლები შემოდიან/.*

მითრიდატე-
მადლობა არმაზს, ღმერთების მეფეს, გაცსა და გაემს, მის გვერდით მდგომებს
ძველსა და ახალ ყველა ღვთაებას, ზადენს, რომელიც მე შემივრდომებს.
ბედნიერი ვარ ვემთხვიო კედლებს, რომელთა შორის ავიდგი ფეხი
სად ძმაა ჩემი ღმერთთა სადარი, უნთია ცეცხლი, უპერია მეხი.
ბედნიერი ვარ, კეთილად ვხედავ, ჯანი მოგდგავს და მარჯვენა გიჭრის
ვაქნი მიჰგვანან ბოკვრებს მალმოსულს და ქალები გუავს მარჯნის და გიშრის.
სამეფო შენი ყოვლგნით დაცული, დგას როგორც ციხე შეუღწეველი
და ჩვენც მოვსულვართ რომ გავახაროთ იბერიონთა თავი და მცველი.
*/ფარსმანი ევებება ძმას. სხვა დიდებულები მას თაყვანს სცემენ/.*

ფარსმანი-
თქვენი სტუმრობის ვარ მოხარული, ვინაც მეახლა მომიძღვნა გული
ერთად გავტეხოთ სამეფო პური, ბედნიერება რომ იყოს სრული.
ჩემი სახლობა მოილხენს თქვენით, თქვენთვის ღიაა სასახლის კარი
თუ გონებაა გრძნობათა ფარი, სიტყვა ზომილი-ქცევის აბჯარი.

მამასახლისნი ქალაქთა თავნი, ერისთავები ნაქებნი ბრძოლით.
მონატრულენი საქმიან საქმის, გელოდნენ სტუმრებს რიდით და მრწოლით.
ბევრი რამ არი მოსაგვარები, ნაფიქრ, ნაკეთი, დანაბარები
დღეს მოვილხინოთ, ხვალე დავსახოთ, როგორ გავრანდოთ ძმობის კარები.

მითრიდატე-
უნდა გაუწყო, ჩვენ შორის არი, იმპერატორის დიდი მრჩეველი
მემკვიდრის მრწთვნელი, ბრძენი საჩენი, აზრთა მეუფე და საკმეველი.

ფარსმანი-
კარის გამრიგემ როცა ახსენა, უცებ ვერ მივხვდი, ვიანდე ვერა
შევხედე, ვიცან, ოდესღაც, სადღაც, ახლო მინახავს მე ასე მჯერა

სენეკა ანეი-
სახელოვანი მეფე ფარსმანი, მახსოვრობითაც დიდი ყოფილა
გავიდა ჟამი, ის სიჭაბუკე დრონის სიავით უარეყოფილა.
ჩვიდმეტი წელი ცოტა არაა, ვიცვალე აზრი, ყოფა, იერი
მას შემდეგ მეფევ ჩვენ რომ დავცილდით, ხშირად არ ვიუავ სვებედნიერი.
თუ გამიხსენე, გემახსოვრება ტიბერიუსი იმპერატორი.
გამხდარი, გრძელი, მუწუკიანი, თან ჭირვეული, ცოცხალი მძორი.
თუმცა კი იყო ის თავის დროზე მძლავრი, ლამაზი, ომში ცაცია
ბევრად სჭარბობდა იმპერიაში, კაცებში ვინმეს თუ უკაცია.
მოხუცი იყო როცა შენ ნახე. როცა მე გნახე და გაგიცანი.
დრო გასულა და შენ არ შეცვლილხარ, ხმით, შემართებით, უმალ გიცანი.
რაც შენ პატივი მოგაგეს რომში, სულ მახსოვს, როგორ დამავიწყდება
მცირე დიდს ბამავს და იმახსოვრებს, სჯერა, სიდიდის ნატვრა ახდება.
შენ მე გახსოვარ, ჩემ სიამაყეს, ეს აზრი ათრობს, ესალბუნება
სიდიადისკენ მიილტვის უველა, ასეთი არი კაცის ბუნება.

ფარსმანი-
გულს გაეხარდა შენთან შეხვედრა, თუმცა იმ ჟამად მეტოქედ გთვლიდი
მერე ლა მივხვდი არ ხარ ორგული, ქვეშა გამხედვი, უაზრო, ფლიდი.
მიტომ მეამა, იმპერატორის რისხვას გადურჩი, გზას მიაგენი
თუმცა იწვნია მრავალმა ავი, დაწუევლა თავი, მშობელ-გამჩენი.
ჯერ სეიანას სხვა აკვლევინა, მკვლელებს მკვლელები დაუწყო ჯარად
უნდა იცოდე თურმე ეს საქმე, იმპერიაში რომ იჯდე მუარად.

სენეკა-
მხოლოდ მე არა, შენი წყალობით, ბევრი გადარჩა, მე ესეც ვიცი
ტიბერიუსის ვაჟს ტიბერიუსს ამიტომ ჰუავხარ გულის საფიცი.

ფარსმანი-
ჩვენ დალმაციოს ვემახით იმ ვაჟს, შვილივით გვიყვარს და ასე არი
თუ დედამისი ცოლია ჩემი, სხვა რაღა უნდა საბუთი მყარი?
შენ მოგეცემა იმისი ნება, დაჯდე და მასთან აზრი გაცვალო
ამის სურვილი გექნება ვიცი, რად აგიკრძალო, რატომ გაწვალო.

სენეკა-
მიმიხვდა ფიქრებს მეფე დიადი, რა მისწრაფება მქონდა ფრიადი
კაცს გარეგნულად ის აწერია, რაც ფარული აქვს გულს ხვაშიადი.
იმის მომხრე ვარ და მონატრული, რომ იყოს კაცი ბუნებით სრული
სრულყოფილებას მიესწრაფოდეს, აღივსოს მალით, რაც აქვს ფარული.
ხორცი გატანჯოს, გაავარჯიშოს, სიხარბე ჩაკლას, სული დაინდოს
ნების საუფლოს თვით დაეუფლოს, რაიც იციან ჩინეთს და ინდოს.
მე თორმეტ წიგნად დამიწერია ბრძენის სიბრძნეზე, კაცის რისხვაზე
წინასწარხედვის გამოცნობაზე, სიმშვიდით წვაზე, სხვაზე და სხვაზე.
კორსიკის კუნძულს გასახლებული, რომ დამეძლია ბოღმა და შური,
ვწერდი და ვწერდი მოწყალებაზე, ან სხვა რა მქონდა საქმე საშური,
ქველმოქმედება ავხსენი ფართედ, ბუნებისა და კაცის წარსული
რა კავშირია სულს და ხორცს შორის, რად ვტანჯო ხორცი, რად გავქნა სული
შემდეგ დავიწყე ლექსად მოთხრობა რაც ბერძენთ ახსოვთ, რაც იყო წინათ
როგორი იყვნენ ძველად გმირები, რამ გაახარათ, რამ აწყენინათ
ცალკე დავწერე არგონავტებზე, მედეას ფიქრზე და მუხთალ ბედზე
იმის სიბრძნეზე, სილამაზეზე, ღმერთზე, მამულზე და შემოქმედზე.
იმიტომ ვამბობ ჯერ ერთი ვიცი, რომ ხართ მედეას ნათესავები
მეორე. მინდა სწორედ გამიგო და არ იფიქრო ტყუილად ვშვრები.
მე ეხლაც ხშირად ლექსად ვიღვრები, როცა მოცლით ვარ და მუზა მტანჯავს
აგამემნონის ვნებებზე წერას, მე ვერ ვუწოდებ შრომას და გარჯას.

ფარსმანი-
შენ რომ ბერძნული სიბრძნე გატყვევებს, ყველა ბრძენისთვის გასაგებია,
მაგრამ რა იყო ბერძნებზე ადრე, სიბრძნის კოშკი რით ანაგებია
რა კავშირი გვაქვს მათ წინაპრებთან, რას წერდენ კოლხი კორაბანტები
როგორ იცვალა ბედის ნიშანი, რას ნიშნავს კოლხნი და აბანტები
ქამთა მროველი მოგითხრობს ყველას, არ დაასველებს უსაგნოდ ენას
იცის ყოველი ზღვის და ხმელეთის, რა ხდება ქვესკნელს, რა ხდება ზენას.







ქამთა მროველი-
შენ თუ მიბრძანებ მეფევ მაღალო, წარსულის თხრობით ვინმე დავღალო
შეჭამანდივით წამოვუდუღებ,შვინდის კერკია, ღოლო თუ ღალო.
მე მოვუყვები იბერთა მამებს რატომ დაერქვათ გეოს შვილები
ან მიწას დედას რად ემახიან დეო-მიწისგან გამოზრდილები
უღრანი ზეცა რადაა მამა, ურანს რომ ეტყვის დღეის ბერმენი,
კრონი რად არი დრონის მეუფე, ავის და კარგის თანაბრად მჩენი
რა კავშირი აქვთ მა-კრონ-ებს მასთან, რატომ არიან ჩვენი ტომელი
ზევსის თუ მზევსის აკვნის დამრწევი ბერმენთაგანი არი რომელი?
ჰერა რად არი ჰაერის ღმერთი, ჰაერა მზევსის დაა და ცოლი
ჰელიოს რატომ ვეტყვით ჰერიოს, რატომ დავუდეთ ამ სახელს ტოლი.
ბრძოლის ღმერთებში რომს ჰყავს კვირინე, ჩვენი მთიელი იტყვის კვირია
როგორი გვქონდა წყობა ღმერთების, ბერმენმა როგორ გადაგვირია,
ათენგენონა რატომ სწამთ მთაში, ათენა რაა ქალღმერთთა შორის
ან რა ვიწამოთ, ან რა უარვყოთ ჰელაზგურ-ლაზგურ ბედის სასწორის.
იბერ-ალბანთა დღეის ერთობა, თესალიაში რად იყო ძმობა
იქიდან აქეთ როგორ იარეს, რად არ იციან წარსულის ცნობა
ლაკებ, კარები, ჰენიოხები და კავკონები ერთია ჯიში
როგორ მოვიდნენ საჰელაზგოდან ან რატომ ჰქონდათ ბერმენთა შიში
იქ რა დაკარგეს, აქ რა იპოვეს, სულ მოვუყვები მისხალ-მისხალი
ტომთა და იმათ ღმერთთა სახელში რა არი ძველი, რაა ახალი.
პონტოს მხარეში, ჰალისის პირას ხალიბთა ტომი როგორ ბოგინობს
კაპადოკიელს ვეტყვით ტიბარენს, ვისაც იბერი თავისად იცნობს
მოსხის მთის ძირას მჭედელთა ტომი მოსოხი, მუსქი, ახლა მესხია
კოლხი კორინთოს კედლებს აგებდა აზრი არვისგან არ უსესხია
და თუ მოვყევი ამ მთებს რა ჰქვია ანდა რა  ერქვა ტბებს თუ მდინარეს
იმდენი რამ ვთქვა ჩვენი სტუმარი ტიკს დაემსგავსოს გაუცინარეს.
ჩვენთან ასაკით ყველა ბავშვია, ჩვენი ტოლები ბევრი დავკარგეთ
ყველა მეზობელს მივეცით მიწა, მოძმე დავჩაგრეთ, მეტოქეს ვარგეთ.
რომაელს ვეტყვი თვით რომაელნი ჩვენთა მამათგან წარმოსდგებიან
ენეა იყო ტროაში გმირი, როგორსაც ახლა ველარა ზრდიან.
ჰექტორის გვერდით იომა ბევრი, როცა მუხთლობით ტროა დაეცა
ენეამ გემზე შეკრიბა ბევრი, უკანასკნელად დალოცა ზეცა
და გაემურა ბედის საძებლად. ბევრი გადახდა შური და ჯიბრი
სანამ სკანდროსის წყაროს მაგიერ არ დაივადა წყალუხვი ტიბრი.
და ალბა-ლონგის მეფეთა წყება, იულიები, თვითონ რომული
მისი სისხლია ჩამომავლობით, იმისი ჯიში, სმენა და გული.

ჩვენში ჯერ კიდევ შერჩენილია ძველთა ამბავთა კორიბთა წუება
ჩვენ თუ არა ვთქვით, ეხლა ვინ იცის, მომავალს სულაც მიავიწყდება.

სენეკა-
მოყვარული ვარ ამბის მოყოლის, სხვათა ნათქვამიც მომწონს და მხიბლავს
რიტორიკობა შეჯიბრი არი, სიტყვაში ხშირად ჩავდივარ ნიმლავს.
სქოლასტიკოსი მიწოდეს ერთ ხანს, ბრძენი ბერძნების მართვე და ბღარტი
მიყვარს სენატში გაჰაექრება და აზიური აზრები სხარტი.
წიანსწარ ვტკბები იმ ცოდნის წონით, რასაც მოვისმენ ნაშენებს გონით
ხვალ თუ ვერ შევძლებთ, შემდეგ გავცვალოთ ნაფიქრ, ნაღვაწი, გამონაგონი
დღეს კი მინდოდა იმის დასტური ენეა თქვენი, რად გახდა ჩვენი
სად არი მოწმე, ან სად წერია თუნდ მტკიცებების იყოს ნარჩენი.

ქამთა მროველი-
სტუმრის ჰატივი და დაფასება, მტერიც რომ იყოს მაინც ვალია
ცოდნა თუ რამე საგანძურია, აზრის თავთავი-მოსავალია.
რაც მე ვთქვი, შენში რაც ეჭვებს იწვევს, დასტურის მერე მალას შეიძენს
ჰომეროსს უთქვამს ,,ილიადაში‘‘, იმისი სული ნურაფერს მიწყენს.
როცა ჩამოთვლის მეომართ წყებას, გემების რიგს და მეფეთა ნებას
აქეთ და იქით მიუზღავს წონით, უქებს სიმარჯვეს, მალას და გზნებას
თვალნათლივ აჩენს ვინ არს ჰელაზგი, ეოლელი თუ იონიელი
იმაზე ადრეც რაცა ყოფილა ნათესაობის ამბავი გრძელი.
მე მხოლოდ ვიტყვი ჰალიმონებზე. ჰალიმონები ხალიბებია
ლაკებ, კარებზეც იქვე მოგვითხრობს. ერთად ისმოდა მათი ხმებია.
არგონავტების ამბავიც იცი. ტროას ომობდნენ მათი შვილები
ერთი საქმიდან მეორეს ქმნამდე ერთი თაობის გავიდა წლები.
ჩვენ აიეტის ჯიშის ერი ვართ, და ჰალიმონთა ჩამომავალი
სხვადასხვა ტომის, სხვადასხვა კუთხის, ერთად გვინახავს ჭირი მრავალი.
ტროასთან ომში იცი რაც მოხდა. ტროას შემდეგ წერს ასირიელი
როგორ შეიკრნენ მესხთა მეფენი კუმუხს დარიეს მსახვრელი ხელი
მოსოხს თუშს ვეტყვით, თუმცა უმეტეს მოსოხი, მუსკი დღესაა მესხი
დღესაც იბრძვიან იმავ მიწისთვის ათასი წლის წინ რომ ჰქონდათ სესხი.
მეორე მეფე ასირიელი ცხრა ასი წლის წინ თავს იწონებდა
ევფრატის მხარეს ტიბარენთ ვიყავ, არც ერთი მეფე მე არ დამნებდა.
როგორც მეგობარს მომიძღვნეს ოქრო, როგორც მეგობრებს ოქრო ვუძღვენი
ერთად ავაგეთ სასაზღვრო ციხე, ერთად ვიგემეთ ღვთიური წვენი.
ათას სამასი გავიდა წელი სამეფო კარდუ, ხალდე რაც არი
კარდუ თუ ქართუ ჩვენია ტომი, მკვიდრი მოსახლე სამხრეთი მხარის







განა არ ამბობს სარგონი დიდი, ტიბარენებთან ვინც გადო ხიდი,
როდესაც ტახტზე ავიდა ამრი, მივეცი ქალი და მხარე შვიდი.
მზითევში მივეც ქალს ულამაზესს მთელი სამხრეთი კილიკიისა
ვინც მუავდა მტერი, ის დავიმოუყრე, რაც იყო ჩემი-გავხადე სხვისა.
ტიბარენები თუ კუმუხს ფლობდნენ, ეპყრათ ევფრატი და კილიკია
კაპადოკია ყოფილა ჩვენი, უწოდე რაც გსურს, ლამაზი კია,
დასავლეთისკენ ფრიგია იყო იქაც ცხოვრობდნენ ლაზგთა ტომები
აღმოსავლეთით მოსინიკები, შემდეგ კოლხები, ორივე ძმები.
მათგან სამხრეთით იყვნენ დრილები, შემდეგ კარდუხნი მხარგაშლილები
იმათ სომხისგან კინტრიში გაჰყოფს მაღალი მთებით დანაჩრდილები,
აღმოსავლეთით მაკრონებია, ტყიანი მთები ვისაც რგებია
მთებიდან ბარის იცოდნენ რბევა, ნადავლი მათი მონაგებია.
ხუთასი წლის წინ, ეგებ ექვსასი, იწყება ჩვენთა დევნა, წამება
ქართთა მიწაზე ჩნდება სომეხი, გიმმირთა შვილი უძლებ-თავნება.
ბედმა ინება, ჩრდილოეთის გზით, მხარმოჭრილებმა დიდხანს ვიარეთ
ბოლო საზღვრები თვითონაც იცით, ერთ-ურთის ჭირი გავიზიარეთ.
ბევრჯერ გვინდოდა მველის აღდგენა, კაციც ვაფრინეთ ეტრურიაში
ენეას მოდგმას იქ მივაკვლიეთ, მოგონებების შევცურეთ ზღვაში.
ბოლოს დადგინდა, დრო გასულია, ერთ-ურთის მებნა დავიწყეთ გვიან
წარსულს აწმყოში ვეღარ აღადგენ, წასულს წარსული ამიტომ ჰქვიან.
დღეს აღარ გვიკვირს ენეას მოდგმა, ყველაფერს ფლობს და ყველგან ბატონობს
იცვალა აზრი, ენა, მიზანი, მველ ნათესავებს ამიტომ ვერ გრძნობს.

სენეკა-
კაცთა წარსულის ჩხრეკა და კვლევა, ბრძენთა წესია, სურვილი, ჩვევა
ამიტომ არი სხვადასხვა ერში განსხვავებულად რომ დაიძლევა.
ჩვენ რომაელებს ჩვენებურ გვესმის, ყველა საკითხზე ჩვენი გვაქვს მზერა
იუპიტერი მამობას გვიწევს, გამრავლებაზე ზრუნავს ცერერა.
სხვაგვარ ესმოდათ ეს ბაბილონში, ეგვიპტესა თუ ფინიკიაში
შუმერს და ინდოს სხვათა ნათქვამი არ უჯდებოდათ იოლად ჭკვაში.
იუდეაში ახლაც სწამთ მუარად, რომ კაცის მსგავსად და კაცის გვარად
ღმერთმა გამოქნა თიხის თოჯინა, და არ ედინა მას ოფლი ღვარად.
დაარქვა ადამ. ადამიანი თქვენშიც ეთქმება თუა ჭკვიანი
შემდეგ უჩინა მეგობრად ქალი სიბრძნის უკუღმა გამგებიანი.
ასე ფიქრობენ ყოველი კაცი არი ადამის შთამომავალი
ადამისა და ევას თაყვანი ამიტომ თითქო ჩვენია ვალი.
მაშინ გამოდის ყველა ძმები ვართ, და ერთი დედის გამოზრდილები
და რაღას ვიყოფთ ქვეყნის სიმდიდრეს, ერთად გავზარდოთ ყველამ შვილები.

იუდეველთა ასეთი აზრით რომს მოევლინენ ქრისტიანები
პირჯვარს იწერენ და ლოცულობენ, კისერზეც ჩუმად ჰკიდიათ ჯვრები.
ასე ამბობენ, ვინმე იესო, არი ღმერთი და მათი მისანი
ადამიანთა ცოდვები ზიდა, ასეთი იყო მისი მიზანი
ადამიანად იცხოვრა ერთ ხანს, მერე წამებით ზეცას ავიდა
და სამოთხეში წავიდა ყველა, ვინაც იესოს დიდ ღმერთად თვლიდა.

ქამთა მროველი-
როცა დავსხდებით ტკბილ სასაუბროდ და მალას მოგვცემს კირიბთა წყება
ნახავ უძველეს ღმერთთა საქმენი, ახლების სახელს საქმედ გაუვება.
გეა-დან აქეთ, დეა-დან აქეთ, გეტყვის კოლხი თუ იბერიელი
მრავალი ღმერთი გამოვიცვალეთ, ზოგი სუსტი და ზოგი ძლიერი.
ბევრს შევუცვალეთ სახე, სახელი საჰელაზგოდან აქეთ მავალთა
იცვლება კაცი, მისი ფიქრები, ღმერთებს შევიცვლით კიდე მრავალთა.
დღეს არმაზი გვყავს ღმერთების მეფე, მხარს უმშვენებენ გაცი, გაემი
ზადენი მფარავს თუ ტელეპია, რამდენი ვინმე მგონია ჩემი.
თუ ბევრი ღმერთი შეცვალა ერთმა, გაიოლდება ჩვენი ცხოვრება
ათასის ნაცვლად ერთ მსხვერპლს გავიღებ, ათასჯერ სისხლი არ დაიღვრება.

სენეკა-
რასაც შენ ამბობ, თითქო კარგია, სიტყვის მძივებით მონაქარგია
მაგრამ ძველსაც ხომ აქვს სილაზათე, ძველის დაკარგვაც-დანაკარგია.
რომმა იმიტომ შეძლო ამდენი, სადაც ვინ სახლობს ყველას იმონებს
ყველა ახალი ძველს შეუთავსა, ძველს ახლად რატომ გამოიგონებს.

მითრიდატე-
მეც ჩავერევი თქვენს საუბარში, როგორაც ნავი დაცურავს ზღვაში,
მხოლოდ ერთს ვიტყვი, რათა ორთავეს ნიშანი მოგცეთ აზრთა შერწყმაში.
განა არ იყო, როცა ცეზარმა რომაელების შელახა ნება
რომაელებად გახადა ყველა, ძველ რომაელებს აგემა ვნება.
დამცირებული რომაელები შემდეგ იოლად დაიმორჩილა
ალბად ამიტომ ღალატის ხელი ბედისწერისგან ვერ აიცილა.
მამობილისგან განსხვავებულად ოქტავიანე ჩქარობდა ნელა
ცეზარმა ვინც ქმნა დამდაბლებულად, მან წამოსწია ძველები ყველა.
ეს იმიტომ ვთქვი, სიტყვა და ქცევა იყოს საქმეში შეთანხმებული
ჩემი შენ გითხარ, მიტომ ჯობია, ასე არ იყოს რამ გაგებული.

სენეკა-
შენც იზრდებოდი რომაელთ კარზე, ბევრი გსმენია კარგზე და ავზე
ღალატ-მუხთლობა, გაუტანლობა, გამოგიცდია საკუთარ თავზე.
ხშირად ვხვდებოდით, ხშირად გვსმენია, რომ მამაც სარდალს სჯობია ფრთხილი
თუ მოისმინე და ვერ გაიგე, რაც მოხდეს შენი ყოფილა წვლილი.

მითრიდატე-
დაგეთანხმები შენ იყავ ფრთხილი, მტერს არ შებმიხარ დროშა გაშლილი
სანაცვლოდ შუღლის მოწყვიტე ხილი, შენსავე სახელს მიადგა ჩრდილი.
მე მახსოვს შენი დასჯის მიზეზი. ვის არ ჰქონია ქალთან კავშირი,
დიდ გერმანიკის ცუღლუტ გოგოსთან, ვის, რატომ ჰქონდა შეხვედრა ხშირი.

სენეკა-
მე იულიას მივუძღვენ გრძნობა. ცეზარის ოჯახს ესაც ეწყინა
შვიდ  წელს ვიყავი გასახლებული. კორსიკას მქონდა შვიდი წლით ბინა
მაგრამ სიმართლემ ხომ იზეიმა, ჯერ კალიგულა მოკლეს წამებით
შემდეგ მე მთოვეს რომში ჩამოსვლა, როცა აავსეს ტიბრი გვამებით.
დღეს დომიციას მე ვარ აღმზრდელი და იმპერიის დიდი მრჩეველი
მისი ერთობის და სიძლიერის, მისი დიდების მებრძოლი-მცველი.

მითრიდატე-
მოხარული ვარ შენი ზეობის, ფერისცვალების, ლხინის, დღეობის
კაპიტოლიუმს გვირგვინად ადგას სხივთა ნათელი შენი მზეობის.
მე მაგონდება ის მწარე ჟამი როცა დილეგში ჯაჭვით დაბმული
ვიყავით ერთად. ბედს ვაგინებდით და ბოღმით გვქონდა აღსავსე გული.
შენ დაგიჭირეს სიყვარულისთვის. ჩემი კი ცეზარს ახრჩობდა შური
თითქოს არ ჰქონდა სხვა საზრუნავი, გადასაწყვეტი საქმე საშური.
ასეთი რამე მაშინ მიკვირდა, თუმცა რა არი აქ გასაკვირი
ზნეობით წამხდარს როგორ დაიჭერ, თუ არ ამოსდე მძიმე აღვირი,
მე რომისათვის სიკეთის მეტი, როდის, რა ზომით მიკეთებია
პართიის მეფეს ვებრძოდი მუდმივ, სხვა სიმულვილი არა მხლებია.
იქნებ უნდოდა, ვით არხელაეს დაათმობინეს ქვეყნის მეფობა
მეც სომხეთისთვის შემეშვა ხელი, მეთქვა რომ მტანჯავს ავადმყოფობა.
მაშ რისთვის მოვსპე პართიელები, რად დავიბანე სისხლით ხელები
ფარსმანმა ოროდს გაუპო თავი, ვერ დაუკერეს ღმერთებმა ძვლები.
მაგრამ როდესაც სენატორებმა თეატრის გზაზე მოკლეს ცეზარი
ვიგრძენი ჩემი თავისუფლების მალე დარეკავს ნეტარი ზარი.
აგრიპა იროდ, მოგეხსენებათ იყო მეუფე ებარელების

ჩვენ მეგობრობა მოგვდევდა ძველი, და იყო მაშინ წესი ძველების
არ მიტოვება ჭირში მოყვასის და მე იროდმა არ მიმატოვა
ბნელ დილეგიდან გამომიყვანა, ქალწული ჰყავდა ის მომათხოვა
სასომხეთისკენ გამიშვეს ისევ, და იქა ვმეფობ მე იმის მერე
ვუყვარვარ ყველას, მეც პატივს ვაგებ მეომარია თუ მოსიმღერე.
მხოლოდ კოტისა, მცირე სომხეთის, მმართველი ვინმე მეურჩებოდა
ვიდრე ადუა, ჩემი სარდალი, მოჯანყეს კარზე მიუხდებოდა,
ახლა ვერ ვხედავ, ჩემი ერთგული, ადუას ვამბობ, ნეტა სად არი?
მხლებელთა შორის იყო, მე მახსოვს, არ მომწონს ქცევა მისი ამგვარი
არტაქსი მითხარ სად არი იგი, შენ აგებ პასუხს ყველას ქცევაზე
არ გამიბედო თავის მართლება, რატომ გაგვცვალა აშკარად სხვაზე.

არტაქსი-
ჩემო მეფეო, ვკადნიერდები და იბერიის მეფის წინაშე
გამოვთქვამ ნაფიქრს, რაც გრძნობას მირევს და მაპატიე თუ იყოს მლაშე
იცი ჩვენ ყველა შენი ერთგულნი, ჭირშიც და ლხინშიც არა გშორდებით
შენ თუ დაგჭირდა თავსაც გადავდებთ, შენი გულისთვის კიდეც მოვკვდებით
აქეთ მოსვლისთვის ვემზადებოდით, გვსურდა ეხილათ კაცნი ვართ რანი
ერთად ვიყავით მე და ადუა და ჩვენთან ერთად იყო ტიგრანი
როცა მოვიდნენ და საიდუმლოდ, იდუმალ ნიღაბს მოფარებულთა
გვითხრეს გვიკლავენ ჯალაბს, სახლობას, ცოცხლად მფეთქავთა აცლიან გულთა
გვითხრეს თუ ახლავ არ მივეშველეთ, არ დავიფარეთ სომეხი ერი
არტაშატიდან კილიკიამდე მთები დარჩება სხვათა საცქერი.

მითრიდატე-
მაშინ მითხარი ვინ გითხრათ ასე, ასე მომხდური ვინაა მტერი
ჩვენი წამოსვლით იქ რა გაფუჭდა, ვინაა ჩვენი სახლის დამჯერი?

ტიგრანი-
მეფევ. არტაქსი სიმართლეს ამბობს, და მე ვარ მოწმე ყოველივესი.
ერთია მხოლოდ შენ არ გითხარით, თუმც უთქმელობა არაა წესი
ასე ვიფიქრეთ, ჩვენი მეუფე, ვინაც გვიცავს და ვინაც გვპატრონობს
ერთხელ მოვიდა ფარსმანთან სტუმრად, ძმასთან შეხვედრით ლაღობს და ლხინობს
ნუ ჩაუმწარებთ ამ, დიდ სიხარულს, ნუ დავუკოდავთ ცუდი ამბით გულს
რაც გვითხრეს ჩუმად, გადავამოწმოთ, ამბის გაგება მივანდეთ ერთგულს.
ადუა ახლა სასომხეთისკენ მიეშურება გამალებული
ხვალ თუ არა ზეგ ამბავს მოგვიტანს სამეფო როგორ არი ვნებული.
ამასობაში წესით და რიგით აქ ჩამთავრდება სტუმრიანობა
რად დავაღონოთ ვადაზე ადრე, რატომ ვთქვათ რისიც არა გვაქვს ცნობა?

მითრიდატე-
კმაყოფილი ვარ თუ ასე დათქვით, მაგრამ სამეფო მე მაბარია
სახლში თუ ჭერი ჩამომექცევა, ამ სიამეში რა აზრი ურია.
მაინც რა ითქვა ნუ დამიმალავთ აქ ყველა ძმაა და მეგობარი
სტუმრად მოსულმა ჩემმა სარდალმა ჩემდა უჩუმრად იცვალა მხარი.

არტაქსი-
ჩვენ ასე გვქონდა ერთხმად დათქმული, არ წავუხდინოთ ჩვენ მეფეს გული
ადუა მიტომ გავუშვით ჩუმად საქმის გამგები, მხნე და ერთგული.
შენ რახან ითხოვ, თუმც მასპინძლებთან აუგის სიტყვა პირს არ დაცდება
გონების ნაცვლად ვნების აყოლით, გონი ჩლუნგდება და გრძნობა ცდება.
ჩვენ გვსურდა საქმე ისე მოგვეწყო გონიერებით გვემართა გრძნობა
სანამ გეტყოდით ჩვენი გვცოდნოდა მტრის და მოყვარის გარჩევა-ცნობა.

მითრიდატე-
არ იტყვი მაინც? ამ ქარაგმებით რისი თქმა გინდა ან რასა მალავ?
სად საჭიროა თქმა პირდაპირი, იქ ორპირობით ვერ გადამალავ.

არტაქსი-
ძალზე ძნელია ჭირის დამალვა, ჭირის გამხელა უფრო ძნელია
რამდენიც უნდა ვიმართლო თავი, მისი მიზეზი არ დამელია.
მხოლოდ ერთსა გთხოვ-ნუ შემომწყრები და რასაც ვიტყვი იმაზე მეტი
ახლა არ მკითხო, ვერც არას ვიტყვი, არა მაქვს სხვათა გულში საჭვრეტი.
უკვე გაუწყე, რომ ნიღბიანი მოვიდა ფარსმან მეფის მსახური
ვერ გავარკვიე ქალი თუ კაცი, იერით იყო რამ უსახური.
ჩუმად გაგვანდო, დათქმული არი და მიცემიხართ ვიდრე ღრეობას
მესხთა ლაშქარი და რადამისტი არტაშატამდე გაკვალავს გზობას.
ჯერ კი ვიეჭვე, როგორ იქნება, რადამისტი ხომ მცხეთას ვიხილეთ,
თაყვანი ვეცით, ღიმილით შეგვხვდა, როგორც წესია ის განვიხილეთ.
ეჭვ გასაქრობად ვკითხე დიდებულთ და ასე მითხრეს მესხეთს მიბრძანდა
დასტური ვცანი მე ამ პასუხში, გული საგულეს გადამიქანდა.
ახლა ვუყურებ დარბაზობაზე ტახტის მემკვიდრე, არა ბრძანდება
ვდგავარ და ვფიქრობ ცეცხლში ჩავვარდი, ამ დროს იქ, ჩვენში ნეტა რა ხდება?

ტიგრანი-
მე დავუმატებ არტაქსის ნათქვამს, სიავის მოწმე რატომ გავხდები
ერთიც მეფეა, მეორეც მეფე, თუმცა დაშორდნენ არიან ძმები.

ძმა თუ ძმას სტუმრობს, როგორ იქნება, ძმისწულმა ბიძას მოუწყოს რბევა.
ის ვინც ახლახანს მოსცილდა ძიძას ვერ დაივიწყა ბავშვური ჩვევა
ასე მგონია, ამხელა საქმეს, ვერ გაბედავდა მამის გარეშე
მიმინო მიწყივ მასზე ნადირობს, ბარტყობიდანვე რაზეც დაგეშე.

მითრიდატე-
მე ჩავვარდნილვარ უბედურ დღეში ველარ გამრეცხავს ღვარი და თქეში
თუ ძმა მწირავს და ძმისწული მძარცვავს, კაცი კი არა ვყოფილვარ ლეში.
მე თუ სამეფოს ვერ ვუპატრონე, ღმერთმა რად მომცა ჭკუა და ღონე
თავი გარეთ არ გამომეყოფა, თუ მართალია რაც გავიგონე.
ძმას ვეუბნები ასაკით უფროსს, გონით უფროსიც მუდამ იყავი
თუ სასომხეთი შენთვის გინდოდა, ჩემთვის რატომღა გადადე თავი.
როცა აოტე პართიელები, გადაუმსხვრიე მათ მეფეს ძვლები
რომაელები მარქაფად გყავდა, იყავი მაშინ ყველას შემძლები.
რატომ სომხეთი არ დაიჩემე, სომხეთს მეფობა რატომ მომეცი
პართიას სძლიე, მე მარტო კაცი იმათზე მეტი ვიყავი მხეცი?
ან თუ არ ხდება რასაც ამბობენ, ან არ იციან, ან ვერა გრძნობენ
მაშინ გამოდის გაგიჟებულან, თავისი არ სურთ, სხვისას ვერ ცნობენ.
მე ვის მივმართო სიმართლისათვის, აქ ორი არი რომის ლეგატი
უმცროსი პრისკი, მისი უფროსი, ომში ნაცადი უმი კვადრატი.
გამაგებინეთ რა ხდება ჩემ თავს, მე ხომ აქ თქვენთან ერთად მოვედი
ლხინად გასული ჭირში ჩავვარდი, ასეთი რატომ მქონია ბედი?

უმი კვადრატი-
სადაც მეფენი საქვეყნოს ბჭობენ, ამბობენ რაცა ტკივათ და გრძნობენ
იქ მეომრები არიან წყნარად, იტყვიან როცა ახლოს უხმობენ.
რაც მოვისმინე და რასაც ვფიქრობ, მათ შორის მალზე დიდია ზღვარი
იბერი რომის მოკავშირეა, მაგრამ სომხეთიც არ არი ცხვარი.
რაც თავი მახსოვს იბერთა მეფეს, რომი პატივს სცემს და ეფერება
ვინც კავკასიის კარებს დარაჯობს, პატივს მოითხოვს ვით ეკადრება.
ჩვენს პატივისთვის დავლახეთ გზები, მიგვიღეს როგორ უცხო სტუმრები
ერთ-ურთის ვიცით მალა და ფასი, ცუდად არავის გავეხუმრები.
მათაც იციან რა არი რომი, ოქროა ჯილდო, გზა მისკენ-ომი
ვერ ვნახე მიტომ ვერც ერთ მხარეში ჩვენთან უცილოდ ჭიდილის მდომი.
სომხეთი ჩვენი კუთვნილებაა, ეს ყველამ იცის მტერმა-მოყვარემ
თუ უცხომ იცის და მერიდება, რად ამიტეხოს ჩხუბი მოგვარემ?
მე ასე ვფიქრობ, რაც სომხებმა თქვეს არ უნდა იყოს მაინც მართალი
ჩვენ იქ დავტოვეთ ლეგიონები, იციან რაზე ეჭიროთ თვალი.

მაგრამ თუ ითქვა დაბეჯითებით, უბე სავსე აქვს მეზობელს ქვებით,
დაფიქრება ხომ არი საჭირო, რას გვემართლება, რას ვედავებით?
ასე განვსაჯოთ, სამოცდა ათი წელი იქნება უკვე გასული
ოქტავიანემ პართიის მხარეს შეუნთო ცეცხლი, გააძრო სული.
სომხებმა მაშინ მეფე არტაქსი შეთქმულთა ხელით ლამის მოგუდეს
ფიქრობდნენ ამით პართიისაგან რომ აღმართავდნენ გაუვალ ზღუდეს?
ტიგრანი დასვა ნაცვლად მეუფედ ტიბერიუსმა,-რომის სარდალმა,
მაგრამ ვერაფრით ვერ ისახელა თავი ტიგრანმა ბეცმა და მხდალმა.
სომხებმა ისიც ძმას მიაყოლეს შუღლის და შფოთის დიდი ოსტატი
რადგან ტყვედ მყოფი ტიგრანისათვის კვლავ რომი იყო სამშობლოს ხატი.
ამ მკვლელობაში აშკარად ჩანდა პართიის ხელი და ინტერესი
რომმაც მოსისხლეს არ აპატია ეს თავხედობა, როგორც გვაქვს წესი.
შედეგად მოხდა, რომ ართავაზი გამეფდა სომხეთს და შეიფერა
მას შემდეგ იყო არიობარზან ვინაც იცოდა რომისკენ ცქერა.
შემდეგ მოვიდა ახალი ტიგრან, მანაც იმეფა მცირე რამ ხანი
შესუსტდა ჩვენი პოზიციები, უთვალავ ბრძოლით დასუსტდა ჯანი.
მაშინ ერატომ, მებრძოლმა ქალმა ტიგრანს ბრძოლაში შემოჰკრა ლახტი
რომს გამოგლიჯა დიდი სომხეთი, თავისუფლების დაიდგა ტახტი
ათი წლის მერე ერატოც მოკლეს და პართიიდან გამოქცეული
მეფე ვონონი მიიღეს მეფედ, უცხოტომელი, კაცი ეული.
ცოტა ხნის მერე რომაელებმა შეცვალეს ძალთა თანაფარდობა
აზიის ქვეყნებს შეუნთეს ცეცხლი, აღარ ინდომეს მობა და დობა.
პროვინციებად გადააქციეს კილიკია და კაპადოკია
არხელაე რომ იჯდა იქ მეფედ ყელს მოუჭირეს თურმე თოკია,
პართიის მხარეს ამ დროს მეფობდა ვონონის მძლევი, არტაბან დიდი
ევფრატის იქით იპყრა მიწები და არ ისურვა ევფრატზე ხიდი.
ამ დროს სომხეთში მეფობდა ზენონ, პონტოს მეფის ძე კეთილად ზრდილი
ის იყო რომის თვალი და გული, რომის იმედი და მისი ჩრდილი.
სომეთში არტაქსს ეძახდა ყველა, ასეთი იყო ადათი, ჩვევა
რომმა დაარქვა, ჩვენ ინტერესებს აწყობდა როგორც თვალის ახვევა.
როცა არტაქსი სომხეთის მეფე, პონტოს მეფის ძე, იგივ ზენონი
პართიის მეფემ მოაკვლევინა და მასთან ერთად რომის გამგონი
ყველა სომეხი, ყველა სუდგმული ვისაც რომისკენ ეჭირა თვალი:
ტიბერიუსმა, იმპერატორმა, საქმის ახალი აიღო კვალი.
სწორედ იანდა, ბარბაროსებში თუ ბარბაროსი არ გყავს ერთგული
მაშინ პირწმინდად უნდა გაწყვიტო, რომ გამარჯვება იგემო სრული.
და გადაწყვიტა. იბერთა მეფე ჩვენი მოძმეა და მოკავშირე
უცხოც მოუვარედ გადაიქცევა მის მოფერებას თუ მოუხშირე.

და მოუფერა იბერთა მეფეს, მისი მცირე ძმა რომის მძევალი
ერთად გაუშვეს სასომხეთისკენ, რომ მას დაეპყრო ქვეყნის მწვერვალი.
მითრიდატეს ჩვენ პატივს მივაგებთ, მის სამეფოზე პასუხსაც ვაგებთ
ვინც სასომხეთში შემოიჭრება, იმას რომაულ მახვილს ავაგებთ.
მე არა მჯერა იბერთ ღალატი, სიტყვის კაცია მეფე ფარსმანი
დაფიქრებაა მეტად საჭირო, საიდან დადეს საქმეს სამანი.
ამიტომ ვფიქრობ. თუ კი სომხებმა კაცი აფრინეს ამბის გამგებად
ჩვენც გავაგზავნოთ პრისკი სომხეთში და მერე მივუყვეთ ჩამდგარი წყებად.

სენეკა-
ის რაც აქ ითქვა გასაგებია, ზოგი აზრებიც მისაღებია
მაგრამ რაც ჭორზე ანაგებია, მოგების ნაცვლად წასაგებია,
ჩვენ დავმდგარვართ და ცხარედ ვკამათობთ, საქმეს ვერ ვშველით, ერთმანეთს ვა
კაცს თუ გონება არ გაუნათდა, რით დაემსგავსოს ზეციურ მნათობთ?
ფარსმანი დიდი, იბერთა მეფე, ვისაც მორჩილობს მესხთა ტომები
ჩვენზე მეტია ცოდნით საქმეში, მანვე მიიღოს, ვთხოვოთ, ზომები.
არა მგონია მის უკითხავად, სომხების მიწას მესხმა უმტეროს
არცა ისა მწამს იქ კარს გვილეწდეს, აქ მოთაფლულად რამე გვიმღეროს.

ფარსმანი-
მე ჩავარდნილვარ საგონებელში, სანთლის გარეშე დავდივარ ბნელში
ის რაც ვიცოდი, ის რაც გავიგე სიმძიმით ღმერთსაც გატეხავს წელში.
დარბაზობამდე ცოტა ხნით ადრე დალმაციოსგან მივიღე ცნობა
არ ჰგავდა თქვენგან ახლა აქ ნათქვამს, მან ამირია განწყობა, გრძნობა.
რაც დაუმატეთ უარესია, კაჟი ქვა ქვაზე დანაკვესია
და თუ აბედი გამომშრალია, ცეცხლსაც აანთებ, როგორც წესია.
მე კარგად მესმის სომხების აზრი, მასვე იტყვიან რომაელები
ძმა ძმაზე სამტროდ წამოწეულა, ან გვატყუებენ თანხმობით ძმები.
არც ერთი არი და არც მეორე, მე ამას კიდევ გავიმეორებ
ვფიცავარ ღმერთებს ერის მფარველებს, სიცრუით სულს ხომ არ ავიმძორებ.
მითხრეს რადამეს, ტახტის მემკვიდრე, მესხების წვევით სამხრეთს წასულა
მიზეზი წასვლის ჯერაც არ ვიცი, მას მერე ჟამი მცირე გასულა.
უნდა იუჩოთ, დრო გამოაჩენს რა არი მისი წასვლის მიზანი
ეგებ არცა ღირს შფოთვად და განსჯად, ეგებ ეჭვების ხლართი დავწანი
თუ მართალია რაც თქვეს სომხებმა, მესხებისაგან ომის გზის მებნა
მაშინ ორ მეფეს მოგვანდეთ ყველა, ურთიერთ ნდობით ვაშენოთ ძმებმა.
მაშინ რადამეს აღარ ვცნობ შვილად, თუმცა მამის გულს უჯდება მძიმად
ვინც მეტად გვიყვარს, მეტად გვატკენს გულს, თუ სიჭაბუკე აცთუნებს ხშირად.





მიბრმანებია დალმაციოსთვის მესხეთს წასვლა და საქმის გარკვევა
ხელდაბორკილი მომგვარე სწრაფად თუ ავზნეობის შეატყო ჩვევა.
რომაელებს ვთხოვ რომ მასთან ერთად კაცი აფრინონ ამბის გამგები
გული სხვას მიგრძნობს და სხვას ვაკეთებ, ვიცი ამ ღალატს გადავევგები.
რაზმი იახლეთ, რომ მათი შიშით მამასახლისებს დაეცეთ ზარი
თქვენ უნდა იყოთ მშვიდობის მცველი და მეგობრობის მტკიცე აბჯარი.
*/დალმაციო და ცენტურიონი კასპერი გადიან/.*
ჩვენ გამოვაჩენთ ავს და ავის მქმნელს, სატევრის ამღებს წავაკვეთავთ ხელს
მაგრამ მანამდე წიხლი არ გვიკრათ, ნუ ჩავამწარებთ სუფრას მოსალხენს.

მითრიდატე-
კმაყოფილი ვარ მეფის ნათქვამით, მაგრამ სიმართლე ჯერ ხომ არ ვიცი
რაც მოვისმინეთ, რაც ვუპასუხეთ, სიტყვიერია მხოლოდ საფიცი.
რათა მოისპოს ეჭვების ბუდე, რათა განმტკიცდეს ერთობა, ძმობა
საფუძვლიანი დავსახოთ გზები და აღვადგინოთ ჩვენში მშვიდობა
ისედაც მსურდა ფარსმანისათვის მისი ასულის მეთხოვა ხელი
მომეც ლივია რათა ვიცოდე შენი განზრახვა არი გულწრფელი.

უმი კვადრატი-
მე მხარს ავუბავ სომხების ნათქვამს, ეს აზრი მართლაც მისაღებია
ამ დამოუყრებით ყველა მოიგებს, სიკეთე ისეც გასაგებია.
თავის სიძობით სომეხთა მეფე ძმობის სიყვარულს განამტკიცებდა
იბერთა მეფე ძმის მფარველობას და ერთგულებას დაგვანახებდა.
მათი კავშირით რომიც მოიგებს და შესუსტდება პართიის მალა
ვის რა ერგება ვიფიქროთ მერე, გამარჯვება თუ ღმერთმა გვაცალა.

ფარსმანი-
სიმართლე გითხრათ ამ მოყვრობაზე, მე არასოდეს არ მიფიქრია
ძმაზე ახლობელს ვიღას ვიანდებ, სხვა კავშირებში რა აზრი ერია
ძმას თუ არ ვინდობ, სიძეს დავინდობ? ერთი მშობლების ხომ ვართ შვილები.
პართიელები მისთვის არ მოვსპე? რომ ვყოფილიყავთ მხარგაშლილები.
თან მე ავკრძალე მსგავსი კავშირი რათა დავიცვათ სისხლი და ჯიში
ჩემი შვილი რომ ძმას მივათხოვო, ვიღას ვიღასი ექნება შიში?
წლოვანებაც ხომ არ უწყობს ჯერ ხელს, წამოჩიტება უნდა ვაცალოთ,
რომ ათას ჭორებს სამეფო კარზე თავის მიზეზი გამოვაცალოთ.

სენეკა-
ყოველ საკითხს აქვს მრავალი მხარე, მთავარი არი ვის და რა აწყობს

წინა უკანად გადაიქცევა, უკანალებით გაავსებ საწყობს.
ჩვენ ამ სკაითხს თუ ისე შევხედავთ, მითრიდატე რომ კრძალვით ამბობდა
მე მეჩვენება ქალის სიყვარულს სომეხთა მეფე ადრევე გრძნობდა.
ახლა მიზეზიც არი სახეზე და სათხოვარი რატომ გადადოს
რაც იქნებ ხვალე დაეკარგება, მისი შემენა დღესვე არ სცადოს?
მაგრამ ფარსმანიც ხომ კარგად ბრძანებს, სათქმელს არ ემებს და არ ახანებს
ძმა თუ არ გვიყვარს და არ ვენდობით, ასე ცხოვრება რას დაგვამგვანებს.
მეორეც არი, თუ აქვს ბრძანება ახლო ნათესავთ ქორწინებაზე
ნათესავია თუ ახლობელი, ხომ ვერ მიუშვებს თავის ნებაზე?

მითრიდატე-
ის რაც აქ ითქვა, მე არ მეხება, ქალი რა ჩემი ახლობელია
ფარნავაზიანთ გვარის არ არის, კიდეც რომ არ ვთქვა, ხომ ნათელია.
თუ არას მეტყვით, ამით ფარული ღალატი ხდება მეის საცნაური
ტიგრანს და არტაქსს, ასე გამოდის არ შეუქმნიათ აურზაური.
მესხები მართლა გვირბევენ ჯალაბს. მეფე თუ არ უავთ იმათ ჯაბანი
უნდა იზრუნოს ქვეყნის დაცვაზე, ერს გადეფაროს როგორც საბანი.
ამიტომ ვითხოვ, თუ მართალია რომ არ არბევენ სომხეთს მესხები
მაშინ მომეცით რაც მოვითხოვე, სხვას არას არვის დავესესხები.
ნაშვილებიც კი არ გუავს ლივია, დედით და მამით უცხოტომელი
შენი რომ იყოს და მე მოგთხოვო, ქალიშვილი გუავს მითხარ რომელი?
თუ ქალს არ მაძლევ, ნიშნავს ერთს ამბობ და მეორეა გულში ნადები
წავალ მივხედავ მე ჩემ სამეფოს, რადგან ძმა ვარ და არ გედარდები.

უმი კვადრატი-
თუ მითრიდატე დატოვებს ზეიმს, ნიშნავს იშლება თქვენი კავშირი
ნიშნავს დავთესავთ მით უნდობლობას, შეჯახებებიც იქნება ხშირი.
იბერთა მეფეს უნდა ვაუწყო, ჩვენ ვერ დავუშვებთ სომხეთის ქელვას
და დღევანდელი ერთობის ნაცვლად, ყველა მოიმკის მეხსა და ელვას.
ქალი რა არი, მისი გულისთვის რად გადიწუროს ქვეყნის იმედი.
თუ მითრიდატე მოითხოვს მის თავს, ალბათ ასეთი ჰქონია ბედი.

ჟამთა მროველი-
ჩემო მეუფევ რაც ხდება ვხედავ. აზრის გამოთქმას მიტომ გიბედავ
ზოგჯერ სულ სხვაა რაზეც ოცნებობ და მეორეა რასაც გასჭედავ.
შენ დიდხანს სჭედე იბერთა ბედი, შენ იყავ კვერი და ერი ბრძმედი
რომ სასომხეთი გყოლოდა მყარად, ჰართთა სარბევად მიტომ წახვედი.
თავი გადადე, ბევრი იტანჯე, სხვათა გულისთვის ერი დასაჯე

ყველა იცოდი, ყველა იანდე, მაგრამ ერთი რამ მრუდედ განსაჯე.
სომეხთა ბედი და ხასიათი, ზურგში მახვილის ჩაკვრის ლაზათი
ვერ გაიაზრე და იბერიას მით განუმზადე დიდი ხიფათი.
არ გსაყვედურობ და არც ვწუწუნებ, არ ხარ პირველი და არ ხარ ბოლო
ნურც განრისხდები პირდაპირ ნათქვამს ერთი ამბავი რომ მოვაყოლო
ბევრმა არ იცის, არც გაუგია, გასული არი ასამდე წელი
დროთა ბრუნვაში უკვალოდ ქრება იყო ბრძენი თუ იყო სულელი.
მე მითრიდატეს შესახებ ვიტყვი, ხალიბთა მეფე სწორუპოვარი,
რომელმაც შექმნა დიდი სამეფო, რომს გაუთენა დროება მწარი.
დაიმორჩილა ბოსფორის მხარე, ბითინია და პაფლაგონია
საბერძნეთი და მაკედონია, ყველა კუნძული გამიგონია.
კაპადოკიას თავისად თვლიდა, კოლხეთს და იქით რაც არს მიწები
ალბანეთი და ჩვენი ქვეყანა მიაჩნდა მისი ღვიძლია ძმები.
სომხეთში მაშინ ტიგრანი იყო მეფე გოროზი, მძლავრი, ზვიადი
დიდ მითრიდატეს სიძედ გაუხდა, ფარული ჰქონდა რამ ხვიშიადი
და მითრიდატემ სიძეს აჩუქა ასი ათასი ტიბარენელი
სატახტო ქალაქ ტიგრანოკერტის გაშენებაში შეუწყო ხელი.
იბერებიც კი მის გამო ხშირად, სომხებს ომებში ეხმარებოდნენ
დიდ სირიამდე იწვდიდნენ მახვილს და ზურგში იმ დროს მახვილს ვერ გრძნობდნენ.
სიკეთისათვის ჩვენ რა მივიღეთ, არ მინდა ფუჭად სიტყვები ვყეფო
იმავ ტიგრანმა ჩვენც გვიღალატა და დააქცია პონტის სამეფო.
მითრიდატ დიდი ეაჯებოდა, სიძისგან ღალატს როცა ვერ გრძნობდა,
მე ხომ ვიომე შენი გულისთვის, როცა შენ გსურდა, როცა გაწყობდა
ახლა დამიდექ იმედად გვერდით, ხედავ ჩაყლაპვას გვიპირებს რომი
არ გიღალატებ, ნუ მიღალატებ, ერთად მოვუგოთ მომხდურებს ომი.
ტიგრანმა სიმამრს გამოსდო კვანტი, წყალში ჩაყარა დანაპირები
პონტოსთან ერთად გაწირა მწარედ კოლხნი, ალბანნი და იბერები.
რომმა სუყველა დაიმორჩილა და სხვასთან ერთად დიდი სომხეთი
დასცა მიწაზე. ღალატისათვის უფალმა უზღო წვეთი და წვეთი.
სომეხთა მეფე, შენი ღვიძლი ძმა, თუმც მითრიდატეს სახელით დადის
ვისიც მეფეა, იმათთვის იბრძვის, მათი სახელით დაიწყებს ქადილს.
ვისაც მიჰყავდე-იმას მიჰგავდე, ნათქვამი არი წინაპრებისა
სიმამრს დაგინდობს? თუ სიყვარული ვერ დააფასა უფროსი ძმისა?
რომაელების სიტყვაც მენიშნა. სომეხი მუდამ ძლიერს უძვრება
მათი კავშირი ჩვენ რას გვიქადის არ ღირს წინასწარ გახმაურება.
ამიტომ სანამ იტყოდე სიტყვას, რით გადაწყდება იბერთა ბედი
აქ უნდა ითქვას, რაც უნდა ითქვას, რომ არ შემოგვწყრეს ჩვენ შემოქმედი.

მითრიდატე-
სომხების აუგს აქ ნურვინ იტყვის, მტრებიც რომ ვიყოთ ხომ ვართ სტუმრები
წავალ, დაგტოვებ, მაგრამ რა იცი ხვალ ან ზეგ როგორ გადაგეყრები
და ამას გარდა ვართ ნათესავნი, წინაპრები ხომ გვყავდნენ ხათები
თუ ერთი იყო ჯიში და ფესვი, სხვაგვარად როგორ დავიხატები.
კიმერიელთა მათთან შერევით ზნეც და იერიც ბევრად ვიცვალეთ
რომლისამ რომელს როგორ აჯობა ჭკვიანები ხართ მოდით და თვალეთ.
ოთხასი წლის წინ მაკედონელმა არიან ქართი   შემოგვიერთა
ამ მიერთებით განივთდა მტკიცედ სისხლი და ჯიში ნათესავ ერთა.
ქამთა მროველი აქვე ამბობდა ასი ათასი ტიბარენელი
ტიგრანოკერტში ჩამოასახლეს სომხური ჯიშის შემწე და მცველი
თუ ამდენია ჩვენში საერთო, ამდენი სისხლი არი ზიარი
ერთნი ვყოფილვართ  და აღარ გვშვენის ნიშნის მოგება და სიტყვა მწარი
ამიტომ ვამბობ უკანასკნელად, სასიამოვნოც ითქმება მნელად
მომეცით ქალი, აღსდგება ნდობა, ორივე ვიყოთ ერთურთის მცველად.

ფარსმანი-
კარგ მთქმელს გამგონიც რომ კარგი უნდა, არ ახალია, სიტყვა მველია
აქ კი ყოველი თავისას ამბობს, სასაყვედურო არ დაელია
მეორეს აზრი მისთვის არ ფასობს, ფიქრობს რომ მოაქვს მხოლოდ ზიანი,
მე მირჩევნია კაცი მტრიანი, მაგრამ ნათქვამის გამგებიანი.
მივმართავ ბრმენს და დანარჩენთ ვურჩევ, ავის და კარგის თუ გსურთ გარჩევა
გარეთ გასული უსმენდე ყველას, სახლში დატოვე პირადი ჩვევა.
საქმეს შევხედოთ ორივე თვალით, თუ ვგრძნობთ რომ ზოგჯერ გვაცდუნებს ც
ისე განვსაჯოთ ვინ და რას დაობს, ვინაა ბრალი და შესაბრალი.
ახლა ვიანდოთ, სამი ქვეყანა დიდი, მცირე და უფრო პატარა
ერთად კავშირში ებრძვიან მრავალს, ვისაც ჯარი ყავთ ჯგუფად და ღვარად.
ბაქტრიის მეფე ვინც დაამარცხა, ნაცვლად სამეფო შექმნა კუშანის
იმან გაიგო დროების ფასი, ცუდად არ მცდელი ვერან ცრუ-ქამის.
ქეზელა-ქადფიზს ეტყვიან იმ კაცს მეფეთა-მეფეს ვის აქვს წოდება
თოხართა ყველა ტომის შეკრება ნიჭია მისი და მოწოდება.
ამ დიდ სამეფოს დიდი ჰყავს ჯარი, ქალი და კაცი, ცხენი და ცხვარი.
შიმშილი სდევნით უცხო მხარისკენ, მშივრებმა ომი იციან ცხარი.
მის გვერდით არი დიდი პართია, ცნობილი შურით და ჩვენი მტრობით
მისი მორევნა ამ ჩვენ სამეულს, თუ შეუძლია მხოლოდ ერთობით.
კუშანის მეფე პართიის მეფეს ერთობის ფიცით თუ შეეკვრება
ვერას გვიშველის მაღალი სიტყვა, საზღვრის ჩაკეტვა და გამაგრება.
ამიტომ უნდა მოვიქცეთ ფრთხილად, ვთქვათ და ვაკეთოთ ასჯერ ზომილად

მტრებში დავთესოთ ურთიერთ ქიშპი, მათი ნაბიჯნი მოვჩხრიკოთ წვრილად.
ჩვენ თუ ამდენის არ გვაქვს გაგება, თუ დავარღვიეთ ერთობის წყება
გიპასუხებდით, რომ შემიძლია კავკასიონის კარის გაღება.
მაგრამ ვიაზროთ თქვენ თუ წაგლეკენ, ჩვენ დაგვინდობენ ბარბაროსები?
ურთიერთ რქენის და კბენის ნაცვლად, სჯობს მეგობრულად შევაწყოთ ხმები.
ჯერ ხომ არ ვიცით რა მოხდა მესხეთს. შელახულია სომხეთის კარი?
ჭეშმარიტების გვმართებს დადგენა, ესაა ყოველ საქმის მთავარი.
რაც შეეხება ქალის თხოვებას, ძმა აჰყოლია გრძნობას და ვნებას
და თუ ესაა ჩხუბის მიზეზი, მივცემ ლივიას თხოვების ნებას.
ასედაც დავთქვათ სალხინო სუფრას სანამ ხალისით მივემალებით
მეგობარს შვენის სიკეთის ფრქვევა, არა ცეცება ვნების თვალებით.
კარის გამრიგეს ვუბრძანებ ასე, სუფრა წარვმართოთ როგორც წესია
როცა განიშნებ, მომგვრი ლივიას, ვისთან სიკეთე დამითესია
მე განვაცხადებ ნიშნობის ამბავს და როცა ქალი გახდება შენი
უნდა დალოცო მისი აღმზრდელი, დაასაჩუქრო უნდა გამჩენი.
ისეც ძმები ვართ, ჩვენი ერთობა თუ ამ მოყვრობით გაგვიმტკიცდება
სიტყვას გადავალ შვილს ძმას გაგატან და ჩემი ცოდვა ზეცას აწვდება.
ახლა სტუმრებს ვთხოვ ამ მცირე თათბირს კვერი დაჰკრან და დაარტყან ხელი
მაშინ ვართ ქვეუნად გამოსაჩენი, როცა დაგვლოცავს ჩვენი სოფელი.
იქ დიდ დარბაზში გველოდებიან ქალნი და კაცნი მოწვეულები
სუფრას სალხენად რომ მივუსხდებით, სასიყვარულოდ გავხსნათ გულები.
დღეს ამით მოვრჩეთ თათბირს და ბჭობას, რაც არაფრით სჯობს სმაში ქიშპობას
მოცეკვავეთა როკვას და წყობას, ძველის მოკითხვას, ახლის გაცნობას.
*/თათბირის მონაწილეები გადიან/.*
*/ახალციხე .ციხე-დარბაზი. თათბირობენ დალმაციო, ცენტურიონი კასპერი, მესხი ჯაყელი/.*

დალმაციო-
ჩვენ დრო დავკარგეთ, ფარსმან მეფისგან ნაბრძანებია არ დავაყოვნოთ
ვინც ეს არ იცის უნდა ვუხსნათ, ვინც არად აგდებს მას მოვაგონოთ.
მეფის ბრძანებას ვინც გადაუვა, იმას ცხოვრების ყავლი გაუვა
უსაზღვრო არი იბერთა ძალა, უნდოდეს კიდეც-ვერსად წაუვა.
ჩვენ დაგვეზარა ქალაქთ შემოვლა მამასახლისნი აქ დავიბარეთ
ოლთის, სპერიდან თანხმობის მერე სხვათა შეკრება აღარ ვიჩქარეთ.
დღეს როგორც იქნა თავს იყრის ყველა მამასახლისნი, ერისთავები
ბატონის ნებას ვინც გადაუვა, მათ არ შერჩებათ მხრებზე თავები.
მაშ მიგაჩნია შენ ერისთავო, რომელიცაა ჩვენგან წვეული
შუადღისპირას აქ გამოჩნდება, მხიარული თუ გულჩახვეული

ჯაუელი-
ყველა ვაწვიე მეფის სახელით, რომ მოსულიყვნენ კეთილი ნებით
რომც არ გვინდოდეს მეფის ბრძანებას რომელი ვართ რომ დავეზარებით.
ზოგი აქ არი უკვე დილიდან, ზოგსაც მოველი სამხრობის მერე
შევატყობინე, შემატყობინეს, გავაფრთხილე და კიდეც დავზვერე.
ერისთავთაგან ნდობით აღჭურვილს, მოუთმენლობის აღმიძრავ სურვილს
დაემგვანები ოქროში ცურვილს, როცა მწუურვალე მოიკლავ წყურვილს.

დალმაციო-
დრო აღარ ითმენს, აქ ვინც შენ გისმენს, რომ არ ვეგონო მოუთმინარე
უნდა გაუწყო, მეფის ბრძანებით, რომაელები მყავანან დამხმარე.
ნუ მაიძულებ იმათ მივმართო, როგორც წესია საქმე რომ ვმართო
ნუ მაიძულებ ხელდაბორკილმა, ხაროდან გკითხო მანდ როგორ ხართო.
მიდი, დასძარი ქვეუნად ყოველი, ერთგულ სამსახურს შენგან მოველი
ხამს რადამისტი სწრაფად მომებნო, იქიდან აქეთ მიტომ მოველი.
/ჯაუელი გადის/.
კასპერ შენ იცი, წლების მანძილზე, ბევრი წუხილი მომითმენია
გზაში გიამბე, რამდენი დარდი გულს მიღონებდა, სულს დამრჩენია.
განა არა ვარ მეც რომაელი, მისი სიქველის შემწე და მცველი?
იმპერატორი არ მყავდა მამა? ღალატით რატომ გამომჭრეს ყელი.
ტიბერიუსი დამარქვეს მიტომ, რომ მყავდა მამა ტიბერიუსი
ჩვილი ვიყავი, მე რა ვიცოდი ერთგულება და ქალის ნამუსი.
როცა დააგდეს რომში თურმე ხმა, რომ სეიანა მამაა ჩემი,
რომ იმას ვგავარ სახით, იერით, რომ მსგავსებაა თვალში საცემი.
ფეხით სიარულს თურმე ვცდილობდი, მიხაროდა და ვერაფერს ვგრძნობდი
ვინ იყო მამა და მამობილი სულ ერთი იყო ერთგვარად ვცნობდი,
ამიტომ იყო რომ მომიძულეს, მოზარდს მიჩენდნენ უკურნელ წულულებს
ცხოვრების სვლა-გეზს, ამბობდნენ ჩემზე, იმპერატორად ვერ დაასრულებს.
ამიტომ იყო ჯერ ამიკრძალეს სასახლის კარზე ცეკვა-ტრიალი
და დალმაციოდ მომნათლეს ახლად, როგორც ბოგანო, ოხერ-ტიალი.
შემდეგ დასწამეს საწყალ დედაჩემს კვლავ ქმრის ღალატი და კვლავ მრუშობა
მას მერე იყო ფარსმანს გამოვყევთ და დედამ გზაში ლივია შობა.
ამდენი წელი მწარედ ვითმინე, საწყენი იყო და არ ვიწყინე
იმპერატორის ძემ და მემკვიდრემ მეფურად ტახტზე ვერ დავიძინე.
რადამისტს ვსდევდი, როგორც მხლებელი, მის ფეხთით ღამის გამთენებელი
პირისფარეში, საღამოს მცველი და დილით ადრე გამღვიძებელი.
ახლა დამთავრდა, ხელთ მაქვს ბრძანება, ასახულია ფარსმანის ნება,

როცა რადამისტს დავადებ ბორკილს, ერთი მეფურად გამეცინება.
იმედი მაქვს რომ არ მიღალატებ, რაზეც შევთანხმდით, ისე იქნება
დაგუბებული სისხლის სიმძიმით აქ იატაკი დაიღუნება.
გადაამოწმე ყველა გუშაგი, გაამხნევე და უთხარ ნიშანი,
შენ ჩემთან ერთად მოიმკი ნადავლს თუ ავისრულე გულის მიზანი.

კასპერი-
კაცს ერთხელ აძლევს უფალი ნებას, დაიცხროს ვნება, მიეცეს შვებას
და თუ ამაოდ მაშინ დაშვრება, გადააწუდება სიავის წყებას.
ღმერთებმა მოგვცეს იმის ნიშანი, რომ გაბრწყინების დაგვიდგა ხანი
დიდების ჟამი თუ ვერა სცანი; მერე გინდ სთესე, გინდა მოხანი.
შენი აზრია იბერთ სამეფო უსისხლოდ მოვსპოთ, დავიმორჩილოთ
და მერე ერთად რომს მივაშუროთ, გამარჯვებისთვის იქაც ვიცდილოთ.
თუ იბერია დავიმორჩილეთ და შენი ნებით გავხდი ლეგატი
რატომ არ გითხრა, რომ გიერთგულებ, რატომ გავივლო გულში ღალატი?
/ჯაყელი შემოდის/.

ჯაყელი-
მეფის ბრძანებით მოწვეულები, მამასახლისნი, ერისთავები
გველოდებიან გალავნის ახლოს, როგორც ერთგული ყმები და ძმები.
შენ უკეთ იცი როდის ვიწვიოთ, სამეფო საქმე რომ წინ წავწიოთ
ვის მოვეფეროთ, ვის გავუჯავრდეთ, ვინ დაბლა დავდოთ და ვინ ავწიოთ
ერთი კი არა, მესხეთის მხარე, დიდი და მცირე ომში მავალი
ძირს არ დაუშვებს ერის ღირსებას, რაც არი თავზე გადასავალი.
დღეს შენ გიპყრია მეფის ბრძანება და სიტყვიერი დანაბარები
პასუხსაც აგებ შესრულებაზე, მიტომ გაგიღე ციხის კარები.
ეს ციხე იცი, სხვამაც იცოდეს როდის და რისთვის აგებულია
აქეთ რომ ხიდი გადმოიარე ღმერთკაცის ხელით გადებულია.
პონტოელს ეტყვით დიდ მითრიდატეს ორმოცი წელი რომს ვინც ებრძოდა
ყველა იცოდა, სუყველას გრძნობდა, ღმერთი იყო და კაცურად სცოდა.
თავის სამეფოს აღმოსავლეთით იბერიასთან დაუდო ზღვარი
ააგო ციხე მიუკარები, სამეფო განძის მეუდრო საფარი.
მას აქეთ მესხნი ციხეს ვპატრონობთ, იბერთა მეფეს ჩვენ მეუფედ ვცნობთ
ქართების მოდგმას აქედან ვიცავთ, მტერს და მოყვარეს ერთიანად ვგრძნობთ.

დალმაციო-
ახლა არ არი დრო დიდი განსჯის, მაგრამ ერთი კი საოცარია
ქართებს და მესხებს რა გაქვთ საერთო, ვითომ ძმობაში რა აზრი ერია.

თქვენ მესხნი-მუშქნი, ადრე მოსოხნი ტიგრზე აგებდით საომარ ნავებს
ასირიელებს ექიშპებოდით, ევფრატს ატანდით ჩამოჭრილ მკლავებს.
ქართები თქვენ  ზურგს ეფარებოდნენ, თქვენი ზეობით მუდამ მზეობდნენ
ომში არ იყვნენ წინ მიმავალნი, მხოლოდ მეფობას გემალებოდნენ.
თავის მიწები, რაც ეპყრათ წინათ, ღმერთების ნებით და ნაბოძარი
მტერს შეატოვეს და სწრაფ ლტოლვაში, ჩრდილოეთისკენ იბრუნეს მხარი.
ქართოსს ეტყვიან ქართების მეფეს, ვინც წინ უძღოდა გამოქცეულებს
უკან სტოვებდნენ მამულს და კერას, ტურფა ასულებს და იმათ წულებს.
ახლაც გრძელდება ძველი ამბები, ფარნავაზიანთ ჩამომავლები
თქვენ გაომებენ, თვითონ ლხინობენ და ასრე რიგად გადიან წლები
თვით ფარნავაზმა, აბა იანდე, ვინც აამაღლეს ქართებმა ცამდე
მეფის მაგიერ ერისთაობით ყველა დაგიშვათ ციდან მიწამდე.
ქართებმა მხოლოდ ღმერთნი შეცვალეს და ასო მოსპეს ძველი ღვთიური
ახალნი ღმერთნი და დამწერლობა, სადაა მადლი აქ ზეციური?
ეს ისე გითხარ, სხვა რა აზრი აქვს, თქვენ თქვენი საქმე უნდა იცოდეთ,
ვინ მტყუანია, ვინ მართალია, ვინ რა მოიგეთ, ან ვინ რა სცოდეთ.
ჯაუელებს მაინც გმართებთ იფიქროთ, ხართ შემართებით მეფისტოლები
რისთვის იბრძოლეთ, რა მოიპოვეთ, რითი ადიდეთ მამათა ძვლები.
დღეს მე მოვითხოვ შენს ერთგულებას, რათა ფარსმანის დანაბარები
აღსრულდეს ისე, როგორც წესია, რადგან ყველანი ვართ მისი ყმები.
დროს ნუ დავკარგავთ, გადაამოწმე თუ კარს არიან მოწვეულები.
შემოიყვანე, მეფის ბრძანებას, გავაცნობ ყველას რას ვემართლები
იარაღი კი დატოვეთ ქვევით, ასეა წესი სამეფო წვევით
როგორებიც ვართ ადათით, ჩვევით, ისე ვფიქრობთ და ისე ვიქცევით
ამასობაში მოვა რადამისტ, მისთვის ცალკე მაქვს მეფის ბრძანება
ვინც გადაუვა ფარსმანის ნებას, იმას ცხოვრება გაემწარება.
*/ჯაუელს შემოყავს მამასახლისნი და ერისთავები/.*

ჯაუელი-
აქა ვართ მესხნი, დიდებულები, ასაკით ბევრნი და სისხლით ძმები
ბრძოლაში, ლხინში შეჩვეულები, შეწყობილი გვაქვს აზრები, ხმები.
სპერის ციხიდან ბაგრატიონი, მათი მიხედვით ზღვაცაა სპერის
შორს გადასწვდება მათი სახელი, მათი ყიჟინა და ხმა სიმღერის.
მრავლად არიან, მძლავრად არიან, თვითეულს მტერზე მიუხარიან
უძველესია ჯიში-ჯილაგი, გაიგონებდი ადრე თუ გვიან.

დალმაციო-
როცა წამოველ მეფის ბრძანებით, დარბაზობაზე შევნიშნე, მგონი
დიდებულთ შორის იდგა ამაყად, ვინმე ჭაღარა ბაგრატიონი.

ბაგრატიონი-
მამაა ჩემი, ჩემო ბატონო, სამეფო კარზე იხილავ ხშირად,
ფარსმან მეფესთან თანაშეზრდილი, მის სამსახურში გადიქცა გზირად.

დალმაციო-
უცნაურია ზოგის სახელი, არი თმოგველი, არი ჯაყელი
ბაგრატიონი საიდან არი, იბერიული დასდევს ნათელი?

ბაგრატიონი-
რამდენიც ვიცი, იმდენს გიამბობ, და რაც სხვებისგან გამიგონია
უძველესია ჩვენი წარსული ოლიმპოს მთაზე ანაწონია.
ისეა ძველი, ვით საბერძნეთში არი ცნობილი დევ-კალი-ონი,
სხვა სიტყვებიც გვაქვს ხმა შეწყობილი, მაურიონია თუ მხედრიონი.
საუდრიონს ვიტყვით, მდედრიონს ვიტყვით არი სიტყვები მესხ-იბერული
ზოგჯერ საქმეში მთავრობს გონება, ზოგს გადაწონის ალალი გული
ციხე-კოშკნი გვაქვს დიდ ერისთავებს, ჩვენი ხმა წვდება თემის კარამდე
თუ გვესტუმრები, თავად იხილავ, მთავარი არი, რომ კაცად მწამდე.

ჯაყელი-
ეს ერისთავი არი კლმახის, დარბაზი უდგა კალმახის პირას
შიშველი ხელით თევზებს ამოყრის, გადადიოდნენ რიყეზე ყირას.
თავად კაცია შემმართებელი, სომხის საზღვრამდე უწვდება ხელი
ლხინში დინჯია, ომში ფიცხია, მომხდურთა რისხვა დაუნდობელი.
არტანუჯელი მამასახლისი, რატომ იქნება მესხებში სხვისი
აზრს დაალაგებს, საქმეს გაჩარხავს, კვალს გააყოლებს როგორც სახნისი.
ართვინის თავი, სიბრძნის ნაზავი, ლხინში ტკბილია, ბრძოლისას ავი
ხუმრობის დროსაც სიფრთხილე გმართებს, რომ არ ჩაშალო ამაყთან ზავი.
ესეც თმოგველი, დაუნდობელი, მეფის ერთგული, მარჯვენა ხელი
ციხე მაღალი, მამული ვრცელი, მარანი სავსე და ღვინო ძველი
გირჩევ როდესაც მორჩები საქმეს გზა გაიგრძელო თმოგვის ციხემდე
იმის იქითაც ქვაბულნი ნახო, აღტაცებული ყიყინას სცემდე
*/ხმაური. დარბაზში შემოდის აღელვებული რადამისტი/.*

რადამისტი-
თავხედობასაც ხომ აქვს საზღვარი, სხვას ვის უნახავს საქმე ამგვარი
ტახტის მემკვიდრეს, საქმის გამრიგეს, გადამირაზეს დარბაზის კარი.
შუბი მომთხოვეს და ხმალი გრძელი, ბოგანო ვიყო თითქოს ან ხელი

ჩემ სამეფოში სხვა მიდებს წესებს, რად მიღირს ასე წუთისოფელი.
გარშემო დგანან რომაელები, ფრთხილი ტურები და ხარბი მგლები
ბრძანებას თურმე შენგან იღებენ, ვინა ხარ, რა გსურს, რას მემართლები?

დალმაციო-
დრონი იცვალნენ ტახტის მემკვიდრევ, ყველას ბატონობს ფარსმანის ნება,
უნდა იყუჩო და მოისმინო, არ გეკადრება, ფუჭად აღგზნება.
ტყუილად ფიქრობ, გაქვს იმის ნება, მეფის მოციქულს სიტყვა საავდრო
საქვეყნოდ უთხრა, და მასთან ერთად, უხამსად მეფეს რაიმე ჰკადრო.

რადამისტი-
რაებს მიჰქარავ, მამას და მეფეს, ვინ გაუბედა აუგად რამე,
ან შენი დაცვა რაში სჭირდება, მე რას ვდარაჯობ დღისით და ღამე.
მაწვია მესხეთს რადგან ეგონა, მესხნი არბევენ სომხეთის მხარეს
მოველი ვნახე, არი სიმშვიდე, ალბად ცრუ ამბით თუ გაამწარეს.
შემოვიარე ყველა ქალაქი, ერისთავების კოშკები ვნახე,
არსად მიგრძვნია მწარე ღალატი, ან დაგებული საავდრო მახე.
არავინ ფიქრობს სომხების რბევას, აქ არი ყველა, ვინც ომში თაობს,
შორით ნათქვამი ისე ცუდდება, დაემგვანება ჭორების ჭაობს.
შენ თუ გაწვია ვით მოციქული, ჩანს დედაშენმა წაუღო სული
მოხვედი, ნახე, წადი, უამბე, მესხეთს მშვიდობა რომ არი სრული.

დალმაციო-
არავინ დაობს, ხარ ფარსმანის მე, ტახტის მემკვიდრე და მოზიარე
მაგრამ ბრძანება მეფისა მე მაქვს, დავალებები ტკბილი და მწარე.
ნაბრძანებია და ალბათ იცი, მეფის ბრძანებას ვერვინ გადავა
ღმერთების ნებით ნაკარნახევი უნდა გადავჭრა ყოველი დავა.
შთამომავლობით არ ვარ ნაკლები, იცი არ უნდა ამას კამათი
ხამს გამიგონო როდესაც ვამბობ, რომ დარჩე ისევ საღსალამათი.

რადამისტი-
ღორის ტილს თუკი ფეხზე დაისვამ, ის მერე თავზე აგაცოცდება
უგვანოს მომმე თუ დაუძახე, ყმა ეგონები, ასედაც ხდება.
ჩემ ღმერთებს შევთხოვ, მეუღლონ მოწმეთ, რამდენი ავი მე აქ ვითმინე
რამდენჯერ მითხრეს გულის საწყენი და იქით მაინც არ ვაწყენინე.
ისე გამოგდის შენ დალმაციო, ტიბერიუსი თუ გერქვა ადრე
უნდა ვითმინო შხამი და გესლი რომელსაც მეტყვი, რომელიც მკადრე
დედაშენი თუ მრუშობდა სადმე და სეიანას ხარ ნაშიერი

სულ არა ნიშნავს ფარნავაზიანთ ჩაგვიდგე როგორც მგელი მშიერი
ბრძანება თუ გაქვს მომეც და ვნახავ და მერე კიდევ ვილაპარაკოთ
თორემ მიგბეგვავ ისე, რომ გახდე კაცთ სასაცილოდ და საარაკოდ.
*/დალმაციო ამლებს კირობს, რადამისტი კითხულობს/.*

დალმაციო-
თუ რადამისტმა ღმერთნი ახსენა, ყველა უფალი მოიხმო მოწმედ
მე კაცთ მოგმართავთ, ვინც მიმაჩნია, მეფის ერთგულად და იმის მომმედ.
თან დავიფიცავ ყველა საფიცარს, ვერ გადავცილდე ამ დარბაზის კარს
ვეღარ ვიხილო მცხეთა, არმაზი, ვინაც მფარველობს და ვინაც მიყვარს
თუ ეს არ ეთქვას ფარსმანს საქვეყნოდ, ან თუ არ ჰქონდეს დანაფიცარი
რომ რადამისტმა აქეთ წამოსვლით მამა-შვილს შორის ჩააგდო ბზარი
რომ ღალატს ხედავს მის საქციელში, რომ სახელს უტეხს მამას სოფელში
რომ მავალია შეკრა ბორკილით და დაბორკილი გადავცე ხელში.
თუ მეურჩება, მისი ღალატი ცხადი გახდება ყველას წინაშე
ახლა მირჩიეთ როგორ მოვიქცე მე მისთვის ტკბილი ვით გავხდე მლაშე.
მამა თუ ამბობს აღარ ცნობს შვილად, მას ვინც იქცევა შმაგად, შეშლილად
თუ მე მავალებს დავსაჯო მეისვე, როგორ გადვიქცე მისივე ჩრდილად?
როცა ბრძანება მაუწყა მეფემ, და რასაც ბრძანებს მეფის კირიბი
ერთია აზრი სრულად ნათელი, პირდაპირია, არა ირიბი.
ვით მაგინებელს მეფის და მშობლის, იმის საქმეთა უთუო მგობლის,
უმიზნოდ ტახტის მიმტოვებელის, ერის საქმეთა ცხადად დამთობლის,
მე მევალება სასწრაფოდ ნახვა, ბორკილით შეკვრა და იქვე დასჯა
შემდეგ ვნებულის მეფისთვის მიგვრა, არა კამათი და ფუჭად განსჯა.
ამასთან მეფემ შემწედ და მცველად, რომ დამემებნა ქალაქად, ველად
რომაელთ რაზმი გამომატანა, ვით წესი იყო ასეთ დროს მველად.

რადამისტი-
თვალს ვერ ვუჯერებ რაც წავიკითხე, გონება ჩემი გადაირია
სული მიკვნესის და გრძნობა მოთქვამს რაც ცხოვრებაში არ მიტირია
მე მოღალატედ მაცხადებს მამა, მიბრძანებს მცხეთას დაბრუნებასა
მირჩევს არ ავყვე სიფიცხის გრძნობას, და დალმაციოს დავყვე ნებასა
გამოდის მართლაც მთვლის მოღალატედ, აშკარა არი, რომ მამა ცდება
თუ მართლა ფიქრობს, სამეფოს ბედი, რადამისტს სულაც არ ედარდება.
მაშ რისთვის ვიღწვი, და რისთვის ვიწვი, თუ სიკეთესაც მიგებენ ავად
თუ ორ სიტყვასაც არ მომისმენენ თავსამართლებლად და დასაცავად.
დიდებულთ ვეტყვი, ჩემ სიამაყეს, მოვთოკავ ძალით და დავნებდები
თქვენ ამიხსენით ჩემ საქციელში, რაა ღალატი, ეგება ვცდები.

მე ხომ არ მსურდა აქეთ წამოსვლა, მაგრამ გადმომცეს მეფის ბრძანება,
ურჩობა მსურდა, მაგრამ ვიფიქრე, ჩემი ურჩობა რას ემგვანება.
თან უცნაურად ტრიალებს კალო, ამან მაცნობა ფარსმანის ნება
იმავ საქმისთვის ახლა ესა მსჯის, მოდი, სიმწრით ნუ გაგეცინება.
დე ასე იყოს, მით გავაცუდო დედინაცვალის დიდი მზაკვრობა
მამას რომ ვნახავ, ყველას ვუამბობ რასაც მკარნახობს მე წინათგრძნობა.
მეფის ბრძანებას ვემორჩილები მალე დამადეთ ხელზე ბორკილი
მაგრამ იცოდეს, მოეკითხება, ამ მზაკვრობაში ვისაც აქვს წვლილი.
*/რადამისტს დალმაციოს ბრძანებით შებორკავენ/.*

დალმაციო-
მთავარი მოვრჩით, მადლობა ღმერთებს, ასე იოლად, სულ არ მეგონა,
ტვინს ვიჭყლეტავდი, ვიტანჯებოდი, იქნებ რა ფანდი გამომეგონა.
რადამისტი ხომ დაბორკილია, მეფის ორგულთა შემწე და თავი
რა ბედენაა ღეროს წაქცევა, თუ მოაცალე მწიფე თავთავი?
ახლა კი კასპერ სხვებსაც მივხედოთ, აქ დაგვემუქრნენ რომ მხედრიონი
მთებიდან ზღვამდე მალას გვიჩვენებს თუ მოთავე ჰყავთ ბაგრატიონი.
დავბორკოთ ისიც და მასთან ერთად არტანუჯელი და კალმახელი
ყველა, ვისაც კი ფარსმანის სამტროდ მახვილზე უდევს მუდმივად ხელი
მე ყოველ მათგანს წარვუდგენ მეფეს, ვის რას მიუზღავს, მისი ნებაა
ვთქვი, შეასრულე, გაფიქრებაც კი, იცოდე საქმის დაყოვნებაა.
*/კასპერის მეომრები მესხ დიდებულებს მორკავენ/.*

ჯაუელი-
ხართ დიდი მეფის მოციქულები, მისი საყვირი, მახვილი ნების
ვიცი, რომ მისი ბრძანების შეცვლა, არც შეიძლება და არც ეგების
ამიტომ იყო დაგყევი სიტყვას, მიტომ გავაღე დარბაზის კარი
ახალციხისკენ ყველა ბილიკი მიტომ ჩავრაზე, მიტომ შევკარი.
გეხმარებოდი ვით მეფის ერთგულს, ერთგულისაგან შეეფერება
მაგრამ არ გითქვამს, რომ ჩემ კაცობას სტუმრის ღალატად, დაეწერება.
აქ მე ვიწვიე დიდებულები, მოვიდნენ ჩემი რჩევით და ნდობით
თქვენ კი ჩემს სტუმრებს ჩემ თვალწინ ბორკავთ, ნიშნავს შევკრულვარ თქვენთან ერთო
თუმცა ფარსმანის ხარ მოციქული, მისი ბრძანებით ამაღლებული
მე ვერ დავუშვებ კერის შერცხვენას, ლამის სიბრაზით გამისკდეს გული.
გთხოვ რო უბრძანო შენ რომაელებს ჩემი სტუმრების ბორკილის ახსნა
შენ კი ნათქვამს რომ გადაუხვიე, მოგეთხოვება ამ ქცევის ახსნა.

დალმაციო-
შენ მოგენიჭა ფარნავაზისგან მესხ ერისთავთა ერისთავობა
ამიტომ კიდეც უნდა იცოდე, მეფე-მონაში რაა სხვაობა
შენ ამ ნათქვამით ამცირებ მეფეს და მოღალატეთ ექომაგები
ვერ გაგიზომავს ამ დიდ საქმეში რაა მოგება და წასაგები.
კასპერ ხომ გესმის ურცხვად და ჯიქურ ფარსმანს უბედავს შეურაცხყოფას
უწუნებს აზრებს, მასთან საქმეებს და მოღალატეთ შეუქებს ყოფას.
ნიშნავს ამათთან არი შეკრული, და თუმცა ფრთხილობს, მტერია ჩვენი
ეს თუ გადარჩა საქმეს წაახდენს, მტერია მტრებში გამოსაჩენი.
გიბრძანებ ახლავ, მესხების თავი, ჩუმი და ფლიდი შეჰკრა ჯაუელი
მეფის ღალატი და თავნებობა, ყოფილა მუდამ მისი სახელი.
*/რომაელები ჯაუელს მისცვივდნენ, რომაელებს დაბორკილები გაჰყავთ/.*

კასპერი-
ახლა, როდესაც მორჩა ეს საქმე, რომ არ გამოჩნდეს კვლავ, ვინმე, სადმე,
ამათ თავები დავაურევინოთ, თუ თავი ჩვენი ჩვენ გვიღირს რადმე.
მესხების მხარე, იბერთა მეფეს, ძალა გვაქვს ახლავ ჩამოვაცილოთ
რაც ჩვენი არი, ჩვენ გვეკუთვნოდეს, რატომ გავხადოთ საქმე საცილოთ.
სირიის ლეგატს მე მოვახსენებ, სომხეთში მდგომი ლეგიონები
აქ მოგვახმაროს, რომ ფარსმან მეფეს აქ მოსასვლელი შევუკრათ გზები.

დალმაციო-
ნუ აჩქარდები. ვართ მტრის მხარეში, ჩვენ ისევ მეფის სახელი გვფარავს
ეს რომ არ იყოს, რა მოხდებოდა, გაფიქრებაც კი მბურძგლავს და მზარავს.
ბრძანებას გავცემ, დაბორკილები. მცხეთას გავგზავნოთ მეფის ბრძანებით
გზაში ცალ-ცალკე დავაჭრევინოთ ჯალათებს მათი თავი დანებით.
აქ მათ კარსა ვართ, აქ მსახურ-მონა, ყველა ამათი არი ერთგული
რად დავანახოთ, რად ავაღელვოთ, რატომ აღვმართოთ ჩვენ თავზე ცული?

კასპერი-
დე ასე იყოს, მაგრამ იცოდე, თუ მათგან ერთიც კი შეიცოდე
მაშინ ჩათვალე ხარ ჩემი მტერი, სამტროდ მახვილი გამომიწოდე.
აქ გამარჯვებას სისწრაფე ჭედავს, ჩვენ თუ ვაკეთებთ, სხვაც ხომ შეხედავს
იტყვის მოსულა სტუმრად ჩემ სახლში და რასაც ბედავს, ეს მე მიბედავს.
რომ მივიყვანოთ საქმე ბოლომდე, სისწრაფე გვინდა და მოთმინება
ვიჩქაროთ დინჯად ასეთი არი ოქტავიანეს ანდერძი-მცნება.

დალმაციო-
უბრმანე დაცვას ჩვენი მძევლები, თოკით ერთ-ურთზე გადაბმულები
გზას გაუყენონ, ფრთხილად იარონ, რომ ვიყოთ მარჯვედ თავდაცულები.
*/კასპერი გადის/*
ახლა ხერხია მეტად საჭირო, ზედმეტი მოწმე რაში მჭირდება
ესაც თუ იმათ არ მივაყოლე თავის მართლება გამიჭირდება.
ან ეგებ სჯობდეს სომხეთს ვასტუმრო, ლეგატებს ვთხოვო მაშველი ჯარი
რომ დავუნგრიო ყველა ციხენი, დიდს და პატარას დაეცეს ზარი?
*/კასპერი ბრუნდება/*

კასპერი -
მზადება ვბრძანე, ნიშანს ელიან და გზას მაშინვე დაადგებიან
ჩვენაც ავჩქარდეთ, ცხენდაცხენ მივყვეთ სანამდე აწყურს მიადგებიან.

დალმაციო-
ასე გრძელი გზა რად მოვიაროთ, დრო რად დავკარგოთ, ოფლი რად ვღვაროთ
ფარავნის ტბამდე ერთად ვიაროთ, მერე შევთანხმდეთ და გავიყაროთ.
იქ სადაც ხვალ ღამ ბინას დავიდებთ, როცა სავახშმოდ სასმისს ავიღებთ
ნიშანი მივცეთ და სათითაოდ, ისე რომ ხმაურს ვერვინ გაიგებთ
დავახოცინოთ ჩვენი მძევლები და დავაპუროთ მშიერი მგლები,
მერე შევთანხმდეთ როგორ მოვიქცეთ, რას მემართლები, რას გემალები.
ეგებ ვიღონოთ ასეთი რამე, მე მცხეთისაკენ გავქუსლო ცხენი,
მივიდე ტანზე შემოხეული, ვუთხრა რომ შემხვდა ბევრი საწყენი
რადამისტმა და ერისთავებმა არად ჩააგდეს მეფის ბრძანება
რადამისტს უკვე მეფედ უხმობენ, დღეს მესხეთს მართავს იმისი ნება.
ვეტყვი გვატყვევნეს, დილეგს ჩაგვყარეს, ველოდით უკვე განაჩენს მწარეს
მაგრამ იმარჯვეს ჩვენმა მხლებლებმა, ღამით ციხიდან გამოგვაპარეს.
მე ხასიათი ვიცი ფარსმანის, სიფიცხე გონის, არ დაღლა ჯანის
მოსმენა ცოლის, სხვის აზრის წონის, ენის აყოლის და მიმოტანის
ბრძანებს საომარ სამზადისს ხელად, მეც ნაშვილები, მისი ერთგული
თავზე ავიღებ იმის უფლებას, ერს მოვაშორო მესხური წყლული
შენ კი გასწირ სასომხეთისკენ, ნახე სომეხი დიდებულები
უთხარ ფარსმანი საომრად მოდის და თუ გსურთ იყოთ კარდაცულები
უნდა შეკრიბოთ ჯარი ფრიადი, რომ დაუყენოთ მესხებს წყვდიადი.
იბერთა ჯიშის გადაგვარება,-სომხური აზრი არი დიადი.
როცა სომხები და იბერები საპირისპიროს ნახავენ ძალებს
შეჯახებებიც გაიმართება, თავდაცვის გრძნობა ასე ავალებს.
ჩვენ ხელს შევუწყობთ, ომს გავაჩაღებთ და როცა სომხებს გაუჭირდება

დამარცხებისგან გადასარჩენად რომაელები რომ დასჭირდება,
ლეგიონები გეეოლებათ მზად და მიასკდებით იბერთა რიგებს,
ომში ჩაბმამდე სიფრთხილე სჭარბობს, ჩაბმის მერე კი სისწრაფე იგებს.

კასპერი-
შენ ყველაფერი კარგად აწონე, მეც გეთანხმები და მოვიწონე
ზოგჯერ ჭიდილში სჯობია ხერხი, მაგრამ ეს ხერხიც ხომ არი ღონე.

დალმაციო-
მაშ გავემზადოთ, როგორც ვთქვით ვცადოთ და გზას დავადგეთ თავდაჯერებით
რასაც ვერ ასწევს ზოგჯერ გონება, ჰერაკლესავით ავზიდოთ მხრებით.
წინ გრძელი გზაა, მას გადაივლის არა მოლაყბე, მხოლოდ მავალი
უნდა გალიო ისე ცხოვრებ ,სიკვდილს არ დარჩეს სიცოცხლის ვალი.
თუ შეთანხმებით და შემართებით, შესასრულებელს მივემალებით
რომს მივუერთებთ იბერთ სამეფოს და გარჯით არც კი დავიმალებით
სანაცვლოს რომში მოვიმკით ტრიუმფს და ასრულდება გულში ნადები
ბევრიდან ცოტა მაინც გამოვა თუ შესრულებას შეეცადები.
*/ დალმაციო დაკასპერი გადიან/ .*
*/ მესხეთი. ქვაბულის წინ მსჯელობენ რადამისტი, ბაგრატიონი უფროსი და ჯაყელი/ .*

რადამისტი-
ბედნიერი ვარ იბერთა მოდგმას ამდენი კაცი რომ ჰყავს კაცური
უბედური ვარ, შიგა-შიგ ჩნდება ყალბად ნაჭედი, ოქროს ნაცური.
ბედი მქონია სიმწარით მზრდიდნენ და ფუფუნების არ ვიცი გემო
უბედოდ შობილს სად შემიძლია აისის მადლი რომ დავიჩემო
ვაჟკაცი ვიყავ ასე მეგონა, კაცებში კაცნი კაცურად მზრდიდნენ
რამდენი იყო თურმე სიყალბე, სადაც მაქებდნენ, იქავე მთხრიდნენ.
ჭაბუკს მეტყოდნენ როცა ვიგრძენი მაისის ეშხით შექანდა გული
განმარცულებში სხვა ვინ გინახავთ ჩემებრ წამხდარი და დაცემული.
დედა არ მახსოვს, დედის ალერსზე მხოლოდ ზღაპრებში გამიგონია
ასე ყოფილა: შენ საკივართან სხვისი ტკივილი მონაგონია.
მამა მეფეა და თუ მეფეა, მამას შვილისთვის არა სცალია
ერთიც ცოდოა, მეორეც ცოდო, ორივე ერთად შესაბრალია.
ამას დაერთო მამის ღალატი, რომ შვილს დასწამა მამის ღალატი
ბოროტებას და სიკეთეს შორის, რომლისა არი ეს შენამატი?
მასთან ლივია, ჩემი აისი, მე მომაშორეს, სხვას გაატანეს
მოტყუებული აქ გამომიშვეს, ბოროტი საქმე არ დაახანეს.
პატარა ძმა მყავს მხოლოდ იმედი, სიკეთის მთესი დაშემოქმედი

მითრიდატემაც თუ მიღალატა, რაში მქონია მითხარი ბედი?
ბაგრატიონს ვთხოვ, მამის სწორია, კაცთა ბჭობაში გამობრმმედილი
როცა დამიხსნა სიკვდილისაგან, ეგებ მერჩია მაშინ სიკვდილი,
ამიხსნას ერთი ჩემ დანაშაულს, რაში ხედავს და არ დამიმალოს
ეგება მართლაც ვარ მოღალატე, ასე მივლეწავ ცხოვრების კალოს?

ბაგრატიონი  უფროსი-
ასეა ხოლმე, ბრმენი ჰგონია, როცა ასაკით არი ჯეჯილი
იჯერებს, უყვარს, გადაეგება, საქმეს მიჰყვება თავმოგლეჯილი.
ის რაც შეგემთხვა და შენთან ერთად, ჩემსას, შენსას და სხვა დიდებულებს
აიცილებდა ჩვენგანი ყველა, ასაკით სიბრმნეს ვინც დაიგულებს,
შენ თუ იცოდი, რომ დალმაციო დედინაცვალის ღვიძლი შვილია
მმასავით გვერდით რატომღა გუავდა, ქვეყნად ერთგული გამოილია?
გამოგიტყუეს მესხების მხარეს, მაგრამ როდესაც ტყუილი სცანი
რად არ გაბრუნდი სასწრაფოდ უკან, რატომ დაყოვნდი ამდენი ხანი.
იქ ხომ მაშინვე დასცეს უიკინა ასე მოუთხრეს მტერს და მოყვარეს,
ტახტის წართმევას გიპირებს შვილი, მიტომ წავიდა მესხების მხარეს.
ახლა იფიქრე, რა ექნა ფარსმანს, რომ არ მიეღო სწრაფად ზომები
იქნება მართლაც არი ღალატი, რასაც მოჰყვება შინაომები.
რომაელებიც ხომ იყვნენ იქვე და გიჩიოდნენ ერთხმად სომხები
მითრიდატემაც მიტომ ირწმუნა, რომ სამეფოა ხელშენახები.
დრო გამოაჩენს ვინ მოიფიქრა, ვინ მოგატყუა, დაგიდო სარმა
სომხებს ვინ უთხრა რომ ურბევ მამულს, ვინ უჩურჩულა, რომელმა ქარმა.
ერთი ცხადია, შენ ხელს უშლიდი, ვინაც გაგწირა და იყო ფლიდი
და არც იცოდა, ბედის განგებით, მე შეგხვდებოდი, ხელს გაგიწვდიდი.

ჯაუელი-
ნუღარ გვახსენებ, ღმერთებს მადლს ვწირავ, რომ შენ გამოჩნდი ჩვენდა მშველელად
თორე ჩვენ მვლებსაც ვერ მიაგნებდი, დღე და ღამ გევლო სანთლით ტყე-ველად.
რომ მახსენდება შემზარავს ხოლმე, თვითონ რომ შევცდი, სხვებიც ვაცდუნე
ასაკით ხომ ვარ ამათზე მეტი, მოფიქრებისას ვყოფილვარ დუნე.
რას ვიაზრებდი მეფის სახელით, მეფის ბრმანებით, უდრეკი ნებით
დიდებულების შეკრება მთხოვა, მეც მოვიწვიე, წყებით და წყებით.
როგორ მეგონა კარს შემირცხვენდა, როცა პასუხსაც უკმეხსა სთმენდა
ჭრელი ყოფილა კაცის ბუნება, მივხვდი და მადლი უფალნო თქვენდა.
ღმერთებს მადლს ვწირავ და შევთხოვ რჩევას, არ გადავუხვევ მველების ჩვევას
არც შევუდგები მკითხავთა წვევას, მტყუან-მართალის ჩხრეკა-გარჩევას.
როცა რადამეს ხელდაბორკილი, ხელდაბორკილებს ჩამოგვაშორეს

გუმანით მივხვდი უბედურებას, განსჯით მოვედე ღობეს და ყორეს
ვუთხარ დანარჩენთ, ვიწყოთ ხმაური, გამოვიწვიოთ აურ-ზაური
დავიყვირე და ტანში შემზარა, ყელს ამოვიდა ხმა უცნაური.
ავტეხეთ ზარი, გადავანთხიეთ მცველებს, ჯალათებს გინების ღვარი
სიცოცხლისათვის ბოლო ბრძოლაში არჩევანისთვის არ არი ზღვარი.
სმენას როს მისწვდა საომარი ხმა, ცხენთა ჭიხვინი, ფლოქვების ცემა
ვიგრძენი შვება ტანში ისეთი, გულიდან გულს რომ გადაეცემა.
როცა შევხედე, შენ ხარ ბატონი და რადამესზე სიტყვა გითხარი
ვხედავ ჭალიდან ესაც გამოხტა, თვალსისხლიანი დაჭრილი ხარი
როცა მორჩება უბედურება, დიდი ფარსმანი ჩააგებს მახვილს
ახალციხეში ღმერთს ხარს დავუკლავ არ გამორჩებით ერთგულის მახილს.

რადამისტი-
ჯაუელი ამბობს მშვიდ მომავალზე, მაგრამ მშვიდობა საბრძოლველია
სომხებს ჯარი ჰყავთ გამზადებული და ბიმაჩემიც მათი მცველია
აქეთ მამა მყავს მომტერებული, და მისი რიდით ვიმალვი ტყეში
მეფის მოციქულს მოვუღე ბოლო, თავი ჩავიგდე სატანჯველ დღეში.
ვინ დაარწმუნებს მამას და მეფეს, რომ მუდამ ვიყავ მისი ერთგული
არც მეფობისთვის, არც დიდებისთვის არ ამიყრია მამაზე გული
ვინ დაარწმუნებს რომ დალმაციომ მხოლოდ მოიმკა ის რაც დათესა
რაც რომაელთან ერთად ჩაუთქვა, ის რაც ერთ-ურთში იტრაბახესა.
მითხრას რა მექნა, ხელდაბორკილი, როგორც კი ჭალას გადამიყვანეს
მეფის ბრძანებით სიკვილი გელის, მითხრეს და საქმე არ დაახანეს.
ამ დროს მომესმა შორი ყიჟინა, ცხენთა ფლოქვების მძლავრი თქარუნი
შეკრთნენ ჯალათნი, მაშინღა მივხვდი ცრუა იმათი სიტყვათ ქღარუნი
მოვიღე ხელი, თუმც დაბორკილი და მერე თქვენაც მიიღეთ წვლილი
დალმაციო კი ქვას დავაწყვიტე, როცა იხილეთ, იყო დაშლილი.
იმ რომაელსაც მოვკალვდი ალბად, ხელიდან რომ არ გამოგეგლიჯათ
გახელებული უგონოს მოგავს, დამშვიდებული იქცევა დინჯათ.

ბაგრატიონი უფროსი-
შენ ოთხი მცველი ისეც მოუკალ, რომაელს მწარედ გაახსენდება
ზოგჯერ იბრძვი და ვერაფერს აღწევს, ზოგჯერ არ ფიქრობ ისე ახდება.
სისხლის ღვრის შემდეგ, იმ ერთი კაცის სიკვდილი მითხარ რას შეგმატებდა
მხოლოდ ბოროტი ან უგუნური ასე უწყალოდ გაიმეტებდა
რა მოჰყვებოდა კასპერის დასჯას, მისთვის ყოველი რატომ გეაჯა
შენ რაღა გახსოვს, დაჰკარგე გონი, ჩამოგივარდა უღონოდ მაჯა.
როგორც უფროსმა ასე განვსაჯე, მისაღებს მისი მივაღებინე

მოციქული რომ იყო მეფისა, მისსავე მცველებს, წავაღებინე.
ალბად დაფლავდნენ მცხეთაში სადმე, ყველა მას იღებს, რას იმსახურებს
ერთხელ ეწადა ზეცას აფრენა, მაგრამ ქვესკნელში დაისადგურებს
რომაელი კი მაინც დავინდე, სასომხეთისკენ გზა გავუხსენი
რომაელებმა თვითონ განსაჯონ, როგორ აქვს თავი გამოსაჩენი.
მე გავაყოლე მცველად, მეგზურად, მათთან თმოგველი და კალმახელი
თან დავაბარე შერცხვენილისთვის, რომ სამარცხვინოთ არ ეხლოთ ხელი.
საცაა უკან მობრუნდებიან, თან დაზვერავენ გზადაგზა ყველას
თუ კი სომხები ომს გვიპირებენ, არ დაიწყებენ ღიად გამხელას.

რადამისტი-
თუ რომაელი სომხეთს გაუშვი, თან აახელი ერისთავები
იმათ ლეგატებს ინახულებენ და თუ შერჩებათ მხრებზე თავები
მობრუნდებიან, ამბავს გვეტყვიან, ჩვენაც გავიგებთ ვინა გვყავს მტერი
ახლო მხედვარეს, ახლო მაფიქრალს, შორით დევგმირიც ჰგონია მწერ.
ჩვენ კი მტრები გვყავს ახლოს თუ გარეთ და ტყეს ვეფარვით როგორც ნადირი
ვინ გვემუქრება, ვის ვებრძოლებით, მტერ-მოკეთეზე აზრია მწირი.
კარგი გიქნია, მითრიდატესაც ლივიას შერთვას მიულოცავენ
თუ დააბარე რამ საიდუმლოდ, რასაც ნახავენ, ზედ დაურთავენ.
მე კი ფარსმანი მაღმარდებს მეტად. და დალმაციოს დამარხავს რაკი
წიანსწარ ვიცი რას უკარნახებს დედინაცვალის ენის რაკ-რაკი.
თუ ის წამოვა ჩემ დასასჯელად, ვინ დამიდგება მოწმედ და მცველად
არა ღალატით, არამედ რიდით, მისგან დევნილი გავჭრილვარ ველად.
*/ხმაური. შემოდიან თმოგველი და კალამხელი, შემოყავთ ტყვეები/.*

კალმახელი-
მე ვიტყვი როგორც წარგზავნილებში ასაკით უფროსს შეეფერება
მშვიდობა თქვენდა და გამარჯვება, კაცური ხელი და მოფერება
დაჭრილი გმირი დამიკოცნია, ვხედავ ფეხზე დგას ბატონიშვილი
რომ სული გვიდგას და სიტყვას ვიტყვით, მაგისი არი მადლი და წვლილი.

რადამისტი-
დამშვიდების დრო ჯერ არ დამდგარა, ყაჩაღებივით ტყეს თავს ვაფარებთ
თუ სწრაფად რამე არ მოვიაზრეთ, ფარსმანს ვერაფერს გამოვაპარებთ,
დროს მოიხელთებს, თავს დაგვეცემა, შეგვხვდება ბევრი ცემა და გვემა
ჩვენი სიმწარე სამაგალითოდ, შვილიდან-შვილზე გადაეცემა.
ამიტომ გვიჯობს მოკლედ მოგვითხრა რა მოიარეთ, სად და ვინ ნახეთ
რა მოისმინეთ, როგორ აწონეთ, ჩვენთან სათქმელად შემოინახეთ.

ან ეს ტყვეები ვინღა არიან, ვისი ქალები ვისი ბალღები
ვისი სახლ-კარი დაგიქცევიათ, გაგითელიათ ვისი ბაღები?

კალმახელი-
ბატონი ხარ და როგორც მიბრძანებ, მოგითხრობ უმალ, არ დავახანებ
არა-მოკლეა და გასაგები, ხო-ს კუდი მოსდევს და თავსაც ავნებ.
აქედან იქით ვიარეთ სწრაფად, კასპერმა თვითონ გაგვიხსნა გზები
რომის ლეგატი პრისკი ვიხილეთ და პოლიონი ვიცი არ ვცდები.
მათ ჩავაბარეთ საპატიო ტყვე და მოვუყევით როგორაც მოხდა
დავემშვიდობეთ, აქეთ მოვმართეთ, დრო სტუმრობისა მცირე გამოხდა.
აქეთ გზობისას გადაგვეყარნენ ტყვეებით პართი მარბიელები
შემოგვიტიეს და რომ დავარტყით, ველარ გაგვიძლეს, გასხლტნენ წვალებით.
მათი ტყვეები წამოვიყვანეთ, ვერ მივატოვეთ მთის უღრან ტყეში
გამარჯვებული, ნაალაფარი, ქვეყნად იბერი იყოს მისდღეში.

ბაგრატიონი უფროსი-
ვხედავ ტყვეები შიშით შეგვცქერენ, გვმართებს ნუგეში და მოფერება
უბრძანე მსახურთ დააპურებდნენ, როგორც წესია და გვეკადრება.
*/ტყვეებს შეჰყავთ ქვაბულში/.*

რადამისტი-
ახლა, როდესაც უცხო არ გვისმენს, ვიდრე დავსხდებით პურის საჭმელად
ვითარებაში გავერკვეთ კარგად, რათა იმედი დაგვდევდეს მცველად.
პირველ ყოვლისა გვმართებს ვიცოდეთ, როგორ გვიყურებს დიდი ფარსმანი
აპირებს დასჯას თუ შერიგებას, რამდენი უნდა ველოდოთ ხანი
ასე მგონია სწორედ განვსაზღვრე, მთავარი საფრთხე ეს არი მგონი
ამბის სათქმელად და გასაგებად უნდა ვაელჩოთ ბაგრატიონი
ჯერ უფროსია და სიტყვა უჭრის, მერე ფარსმანის კბილის სწორია
როგორც მამები გაცვლიან აზრებს, რა მართალია და რა ჭორია.
ეგებ დავაცხროთ ფარსმანის რისხვა, ეგებ ერთობის ძალით ვიხაროთ
თუ ასე მოხდა ჩვენ შეგვეძლება გულზე ნაღველი გადავიყაროთ.
მაშინ სომხები ცუდად გარჯილან და მოგვდგომიან კარზე ჯარადა
ფუჭად უდგანან რომაელები ციხე-კოშკების დასაფარდა.
პართიელები, როგორც შენ ამბობ, თუ თავისუფლად დათარეშობენ
ჩანს ძალა რომის შესუსტებულა და თავისუფლად თავს ველარ გრძნობენ.
მაშ ძმა ჩემი ვიღას პატრონობს, მხოლოდ სახელად თუ სურს მეფობა
რომაელები ვიღას იცავენ, თუ ასეთია იმათი ძმობა?
მითრიდატე თუ ნახე პირადად, რას მემართლება, რა დაგაბარა

ან თუ უთხარი ლივიას ცალკე, მისმა ამბავმა როგორ შემზარა,
უნდა ვიცოდე ყოველი წვრილად, რომ გამოვთვალო სად ვიყო ფრთხილად
ასეა მუდამ, სხვა რად დაგინდობს, თუ თავს ექცევი თვითონ გულგრილად.
და ბოლოს მითხარ, ნუ დამიმალავ, რად არ გვეახლა მესამე გმირი
მამა არის და შვილს ელოდება, შვილი მამისთვის არი სამზირი.

თმოგველი-
ამ მხრივ, ბატონო, ნუ გაოცდები, დასაღონები არაფერია
სომხის საზღვართან კოშკში დავტოვეთ, სად სადარაჯო და სამზერია
ვიფიქრეთ ასე, ჰართიელები თუ ახალ ძალით თავს დაგვესხმიან
ტყვეებთან ერთად სწრაფად ვერ ვივლით, დაგვეწევიან ადრე თუ გვიან
ბაგრატიონი თანხმელი რაზმით ვით ზურგის დაცვა ჩამოვიტოვეთ
გაგვიადვილდა ამიტომ წინსვლა და არც ვიწვალე ვიდრე გიპოვეთ.
ის თვითონ დარჩა ჩასასაფრებლად და ვინც ისურვა, იახლა მხლებლად
ვფიქრობ საცაა წამოგვეწევა ჩვენდა სალხენად და სახარებლად.

კალმახელი-
სჰერის ჰატრონს ვთხოვ ყურად მიიღოს საყვარელ შვილის დანაბარები
იმ ტყვეებს შორის ერთმა ლამაზმა შვილს შეუმტვრია გული კარები
ერატო ჰქვია და თხოვნა არი მიიღო როგორც შვილის საცოლე
მას დედა ახლავს მსახურთან ერთად, ყველა სჰერისკენ გზას გააყოლე.
მათი მამაა თურმე ადუა, სომეხთა ჯარის მთავარსარდალი
ჰატივი გმართებს თუ ტყვეებს შორის არი სამმახლო და არი რმალი.

ბაგრატიონი უფროსი-
ადუას ვიცნობ სომეხთა შორის არი კაცობით ამაღლებული,
მითრიდატესგან ჰატივდებული, მისთვის მებრძოლი, მისი ერთგული.
მცხეთას თან ახლდა მეფეს და ჰატრონს, მერე უეცრად იცვალა მხარი
ასეც გვიამბეს, სახლს მიაშურა რადგან შეემთხვა საქმე საზარი.
მაგრამ იქ ითქვა რომ რადამესი არი სომეხთა კარის მნგრეველი
არავის უთქვამს და არც მეგონა თუ ჰართიელთა მოქმედებს ხელი
თუ მისი კერა დაურბევიათ, ნიშნავს ძლიერი ყოფილა ომი
ცოლი, შვილები ტყვედ წაუსხიათ ყველა ლამაზი, ნორჩი, სანდომი.
მაშინ ვუბრძანებ ჰატივით შეხვდნენ, თან გავიკითხავ იმათ ამბავსა
სიტყვაა სულის დიდი მკურნალი, თუ კაცის ხორცი გადურჩა ავსა.
*/შედის ქვაბულში/*

თმოგველი-
ხედავ მთის წვერზე ავარდა კვამლი, სასომხეთიდან მოგვადგა მტერი
ბაგრატიონიც იქ დარჩა რაზმით, მესხებს შეგვექმნა საქმე სამღერი
ხომ ვერ გვეტყვიან ჩვენ ვარბევთ სომხეთს, თვითონ მოდიან პირიქით არი
ახლა გვჭირდება ერისთავთ წვევა და საომარი მზადება ჩქარი.

რადამისტი-
ნუ აღტყინდები, ამგვარ საქმეში სიჩქარე ხშირად დამღუპველია
მცირე შეცდომაც დიდ მსხვერპლს მოიტანს და მერე ვფიქრობთ, საკვირველია
აზრით გავზომე ყველა ნაბიჯი, შეცდომა თითქო არა მქონია.
ალბათ ეს იყო ღმერთთა სასჯელი, ყველა კი კაცთა მონაგონია.
რატომ ვიჩქაროთ, თუ მტერი მოდის, აბოლდებიან კოშკთა თავები
რაზმებს შეკრებენ, მოგვაშურებენ დღეს თუ არა ხვალ, ერისთავები
ჩვენ კი ძალა გვაქვს და მკლავი გვერჩის, გზები ჩავხერგოთ, გავშალოთ მკლავი
ბაგრატიონის რაზმს მივეშველოთ, მტერთან რქენაში არ დარჩეს ცალი
*/ბაგრატიონი უფროსი მათ მიუერთდება/.*

ბაგრატიონი უფროსი-
მართლა ადუას ოჯახობაა, ერთ-ურთზე კარგნი ცოლი და შვილი
მიპარვით თურმე ციხე გატეხეს, სავარდეს ვარდი მოსწყვიტეს შლილი.
ქალიშვილიც ჰყავს მალზე ლამაზი, ეგებ კიდევაც მივცე თანხმობა
თუ კი მეფენი ძმები არიან, დიდებულებსაც გვჭირდება ძმობა.

რადამისტი-
ასეთ საქმეზე ვიმსჯელოთ მერე, ახლა კი უნდა მოვიქცეთ ესე
ქვაბულს ტყვეები დაცულებია, იმათ პატრონად შენ გაგამწესე.
მსახურთა ჯგუფი აქვე დარჩება, თვითეულს მიეც მჭრელი მახვილი
შესასვლელები ჩაგმანეთ მარჯვედ და ნუ იქნება გადამახილი
ჩვენ კი გავწიოთ მტრის შესახვედრად, რადგან ბრძოლაა ჭაბუკთა ხვედრი
თუ ვერ დავბრუნდი გამარჯვებული, მამას რომ ნახავ მე ამას გვედრი
უთხარ რაც მოხდა, არ მიძღვის ბრალი, ბედისწერისა ტრიალებს თვალი,
ერთგულებისა და სიყვარულის მე გამივლია ცხოვრების კვალი.
ახლა კი დროა. ერისთავებო, თქვენი რაზმებით მომყევით ჭენებით
ბორეა ქარის ძალით გავიჭრათ, მტერს დღე ვუმოკლოთ ღმერთების ნებით.
*/ჯაყელი გადის რაზმის დასაწყობად/.*

თმოგველი-
ბატონიშვილო ერთი გასედე, კვამლი აღარ ჩანს იმ კოშკის თავზე
სიკეთეს ნიშნავს მისი ჩაქრობა, თუ მიგვანიშნებს უფრო რამ ავზე?

სხვაგან კოშკები არსად ბოლავენ, წეღან მეჩვენა თუ ახლა ვცდები?
მოდი წინ ვივლი დასაზვერავად, სადაც მტერს ვნახავ იქვე დავხვდები.

რადამისტი-
უცნაურია, წეღან ვიხილე, მართლაც არ ადის სანიშნე ბოლი
ჭაბუკს თუ ვნება ხედვას დაუშვლის, მოხუცს აცდუნებს სამზერი ბროლი.
მე კი ერთს გავცდი და მეორემდე გასავლელი მაქვს წუთისოფელი
მიტომ ერთგული მსახურები მყავს შინაგანი ხმა და თვალის ცელი.
ბოლი ავარდა და უცებ ჩაქრა. აქ ორი არი გამოსავალი
ერთი. გაწყვიტეს მეციხოვნენი და ბაგრატიონს დაუვსეს თვალი
მეორე ის, რომ სამტროდ მოსული. შორიდან ჩანდა საშიში ძალა
სანიშნე ცეცხლი აინთო ისე მტრის შეფასება არ დააცალა.
თუ უკვე მოხდა რაც ბედისწერას კაცისთვის შუბლზე დაუწერია
თუ მეომრები აჩეხილები ტურა-მელათა საჯიჯგნად ერია
ჩვენი ვალია შურისძიება, ერთზე ათმაგი სისხლის აღება
ჯიქურად მისვლა, მიჯრით ასხეპა, დაუღლელ მაჯის წითლად შაღება.
ამიტომ უნდა მოვიქცეთ ასე, თმოგველო ახლავ დაწინაურდი
მტერს რომ იხილავ დაეც ყიყინა, შემდეგ გაიქეც ვით მფრთხალი ქურდი.
როცა ნახავ რომ უკან მოგდევენ იარე სწრაფად ხევისთავამდე
ხევის თავს შესდექ და შეუბრუნდი და იდექ მყარად დაბინდებამდე.
ჩვენ ჩავსაფრდებით იმ ხევის ბოლოს, შენთან შენ მდევრებს გამოვატარებთ
შემდეგ შევუკრავთ უკან დასახევს, ყველას ავჩეხავთ, არ გავახარებთ
ახლა კი დროა დინჯად ვიჩქაროთ, მოასტი ცხენს და გაქროლე სწრაფად
მერე მოგყვები, ჯაყელს კი ვტოვებ, შეჭირვებამდე იდგეს მარქაფად.
*/თმოგველი თავს დაუკრავს და წასასვლელად ემზადება. ჯაყელს შემოყავს ბაგრატიონი უმცროსი, ადუა, რომის პრეფექტი ცელი პოლიონი/.*

ჯაყელი-
ბატონიშვილო, გაცხადდა ყველა, ვის თავს რა ხდება, რაშია შველა
მობრუნებულა ბაგრატიონი, მარბეველ პართებს ვინაც უყელა
თან მოიყვანა უცხო სტუმრები, ვინც დასაწყისში გვეგონა მტრები
მიიღე როგორც მორჩილი ყმები, ერთგულნი, როგორც ახლო მოყვრები.

რადამისტი-
კეთილი იყოს მოსვლა იმათი, ვინც გადიტანა დიდი ხიფათი
სასარგებლოა მათთან ღვინის სმა, ამბის გაგება და მასლაათი.
გაგიმარჯოთო მე ასე ვეტყვი, სხვა უფრო მეტი რაა სურვილი
დაისვენებდნენ, დაპურდებოდნენ, ხორაგი მიეცთ და ღვინო გრილი.

ბაგრატიონი უმცროსი-
უნდა იცოდე ეს რომაელი პრეფექტი ცელი პოლიონია
მალგულოვანი შემმართებელი, ვინაც შებედა, ყოველმა სწვნია.
სომეხთა სარდალს, ადუას, ახლავს, მისი შემწეა და მფარველია
უმი კვადრატის სანდო კაცია, მიტომ ყველაფლრის შემძლებელია.
გაუგონია შენი სახელი, შენთან შეხვედრის ცეცხლით იწოდა
რომ გულმოწყალე დაუხვდებოდი, ასე ამბობდა, ასე იცოდა.
მეორე გახლავს თვითონ ადუა, სომეხთა ჯარის დიდი სარდაფი
დიდი ტიგრანის შვილთა შვილებში არავინ არი მისი ბადალი.
მისი სახლობა აქ არი შენთან, მე რომ გაახლე იმ ტყვეთა შორის
ორნივ მოსურნე არი მშვიდობის, სწამთ შენი სიბრძნის, სიტყვის სისწორის.
მომიყვანია ორივე შენთან, მოუსმინე და თვითონ განსაჯე
შესაქებია თვითონ შეაქე, დასასჯელია, თვითონ დასაჯე.

რადამისტი-
სტუმართა მიმართ გვმართებს პატივი, რითაც თავს იქებს მუდამ იბერი
სუფრის თავს დასვით ბაგრატიონი რომელს თან დასდევს სიბრძნე სიბერის
მერე კი უნდა განვსაჯოთ ბევრი. სომხობა ჩვენი თუ არი მტერი
საზღვართან ახლო თუ დგანან ჯარად, რა გვაქვს ამათთან გულით სამღერი.

ადუა-
თაყვანი გეცი იბერთ მემკვიდრეს, თან ჩემი მეფის, რომ ხარ ძმის წული
მოვსულვარ რათა გამოვისყიდო ტყვედ ჩავარდნილი ცოლი, ასული.
სხვა რა აზრი მაქვს, რას გედავები, ჩვენი მეფენი არიან ძმები,
აიღე ფული, ძვირფასეული, მხოლოდ დამითმე ჩემი ქალები.

რადამისტი-
შენ რომ გგონია, მხოლოდ შენია, რაც გიბრძოლია, მოგიქონია
ასე არ არი, ჯერ განვასხვავოთ ერბო ერბოა, ქონი ქონია.
შენი ქალები, მსახურეულნი ტყვედ წაიყვანეს პართიელებმა
იმათ მიმართე, მიეცი ოქრო, თუ არ მოგაწყობს ხმალ და ხმალ შებმა.
ჩემთან კი, ვინაც მომგვარეს ამათ, ჩემი ხელდებით საფარი პოვეს
თავის შერცხვენის, მონად გაყიდვის შიში და რიდი ჩამოიტოვეს.
ჩემთან სხვა რამე გაქვს განსასჯელი, მსაჯულიც აქ გყავს პრეფექტი ცელი
მე გეკითხები, შენ მიპასუხე, რად გაგვიმწარე წუთი სოფელი.
ამდენი დღეა მოდის ამბავი, გამოუდვია სომხის ჯარს თავი
მესხების მხარეს უპირებს რბევას, თავს დაგვტრიალებს ბრმანება ავი.

რა შეგიძლიათ, რას გვემართლებით, რომის იმედით გსურთ ჩვენი რბევა?
მოდიხარ სხვებსაც მოიყოლიებ, ვერ მოიშალეთ ბოროტი ჩვევა.

ადუა-
ასაკით უფროსს სიდინჯე მმართებს და არც ვაჰირებს ჩხუბს და გინებას
დაველოდები რისხვის დაცხრომას, როყიო სიტყვათ გადმოდინებას.
ამბობ სომხები  აღმდგარან ჯარად, საზღვრის ციხენი უჰყრიათ მყარად
დღეს თუ არა ხვალ დაიძვრებიან, მოედვებიან თქვენ სოფლებს ღვარად.
აბა დაფიქრდი თუ გვსურდა რბევა, თუ ასეთია სომხების ჩვევა
შევკრიბე ჯარი, დაგესხმებოდით, რად მჭირდებოდა სასტუმროდ წვევა?

რადამისტი-
მაშ ამიხსენი რატომ დგას ჯარი, ეჭვთა ჯაჭვისგან გამომიხსენი
ეგება ვტყუი და არ დგას ჯარი, ეჭვიანობის დამჩემდა სენი?

ადუა-
შენ მართალი ხარ, ჯარი მყავს მზადა, არა იმიტომ მოვიდე მტრადა
თავად უყურებ მოველ მოყვრადა, არა მესხების დასაზვერადა.
სხვა გზა რა მქონდა, მცხეთას მაუწყეს, კარიბჭის ახლო შენაც ხომ გვნახე,
მესხნი აღმდგარან თქვენზე საომრად, ეს რადამისტმა დაგიგოთ მახე.
დანდობით მითხრეს. სხვა რა მეღონა, შენგან მტერობა სწორი მეგონა
ჯარი შევკრიბე, საზღვარი შევკარ, სხვა უკეთესი რა მომეგონა.
მე კი არა შენ მიჰირებ რბევას. მე კი თავს ვიცავ როგორც მაქვს ღონე
ისე მოვიქეც, როგორც ვიცოდი, როგორაც მითხრეს, როგორც მეგონე.

რადამისტი-
ტყუილს ნახევრად მართალი სჯარბობს, ნახევარს სჯარბობს მთელი მართალი
ტყუილით მესხეთს ჩამომიყვანეს, შენ ამიხილე მარცხენა თვალი
ამბობ მცხეთაში დაგმომძღვრეს ასე, მამულს მე გირბევ და ეს მესხები.
ჩემი მხრივ გეტყვი მე მთლიან მართალს, სათქმელს არავის დავესესხები.
იმ კარიბჭესთან, სადაც მე გნახე, სად შეგეგებნენ ლხენით იბერნი
რომ გნახე, მახსოვს, თუმც არ გიცნობდი, უცხო სტუმრები იყავით ბევრნი
მე მომიტანეს მეფის კირიბი, მე მიბრძანებდა მეფე ფარსმანი
ჭენებით მევლო მესხეთისაკენ, არ დამეკარგა ტყუილად ხანი.
ეწერა სომხეთს შემოსევიან გუნდად შეკრული ერისთავები
მევალებოდა ომის შეწყვეტა, არ დამძლარიყვნენ მძორით სვავები.
ჩამოველ, ვნახე, სუფევს მშვიდობა, სარჩო აქვთ მადლით, არ უნდათ სხვისი.
ვიფიქრე მეფე არ შეცდებოდა, შევკრიბე ყველა მამასახლისი.

ერთად ვიმსჯელეთ და დავასკვენით, მეფეს სმენა აქვს ნაკოდი ენით.
ამასობაში გავიდა ხანი. ჩვენ დრო წავაგეთ, ესეც ვიგრძენით.
და დალმაციო როცა მოგვადგა, და წაგვიკითხა მეფის ბრძანება
ვიფიქრე ამან მომცა კირიბი, ზეპირად მითხრა ფარსმანის ნება.
მესხეთს წამოველ აჩქარებული, ახლა წამოსვლას ეს მედავება
თუ რამე ვცოდე, ამისგან ვცოდე, მისგან მომადგა მრავალი ვნება.
შემდეგ რადგანაც მალა იხმარა, ქვას დავანარცხე ცოდვილიანი
მერე საშველად ტყეს მივეც თავი, ვიფიქრე გავა ცოტა რამ ხანი
მიხვდება მამა, არ ვარ მტყუანი, არ დამიღლია მის სამტროდ ჯანი
დაექუჩება ცალკე ტყუილი, ცალკე სიმართლის წმინდა მარჯანი.

ადუა-
შენ დალმაციომ გაცთუნა ვხედავ, მე მომატყუა მისმა დედამა
ვერა მიშველა ჩემმა სიფრთხილემ და ველარც გვიან დაფიქრებამა.
მითხრა რადამისტ დარაზმავს მესხებს, წამოვა თქვენზე შმაგი ჭენებით
აგიწიოკებთ დედულს და მამულს მითრიდატეს და ფარსმანის ნებით.
მითრიდატეზე ცოტა ვიეჭვე, ამას არ იზავს, მეფეა ჩვენი
ფარსმანი ძმას ხომ არ გაიმეტებს, ტკბილი ძმობა აქვთ გამოსაჩენი.
შენზე ვიანდე, აქ იყო მცხეთას, მერე კი უცებ მესხეთს გავარდა
მიველ, მამული ვნახე დაცული, რომ მომატყუეს ეს გამიხარდა.
მაგრამ ვიფიქრე, ეგებ ზეგ მოხდეს, გუშინ, გუშინწინ რასაც ველოდი
ათასი ფიქრი შემომერია, დღემდე ვატარე ვით გულზე ლოდი.
არა საომრად და სარბეველად, მე გავამაგრე საზღვრის ციხენი
თუ დამესხმოდი, თავს დავიცავდი, შენი საწყენი მითხარ რა ვქენი?

რადამისტი-
თუ ისე არი როგორაც ამბობ, როგორაც ვაჟკაცს დაეჯერება
თუ ჩვენი მტრობა არ გიდევს გულში, გსურს მეგობრობა და მოფერება
მაშინ ვიტყვი რომ მაცთუნეს მწარედ, მამის სახელით და მეფის ნებით
შემდეგ შეცდომას მოყვა შეცდომა, რასაც ვერ წაშლი ახალ ბრძანებით
აქ ვხედავ ჩემი დედინაცვლის ხელს, მის ორპირობას და ორგულობას
მე დამინდობდა? როდესაც შვილი გადააყოლა უმაღლარ გრძნობას.
მე დალმაციო იმან წამკიდა, დალუპა ჩემთან თანაშეზრდილი.
შენც ჩაგაგონა და დაგარწმუნა, ვარ შენი მტერი ხმალამოწვდილი.
ღივიას ბედიც მან გადაწვიტა, სად რა ხდებოდა ყველა იცოდა
მე ხომ არ განვსჯი, ზეცას განსჯონ ვის რა შემატა, ვის რა შეცოდა.

ცელი ჰოლიონი-
მოგიყვებოდნენ, გეცოდინება, როგორ გადაწყდა ლივიას ბედი
თუმც მითრიდატე ითხოვდა გაზმით, დათმო სიცოცხლე და შემოქმედი
მაგრამ მე ვიცი რომ ცოტა ადრე იბერთ დედოფალს მოეთათბირა
ვინ ვის ურჩია, მე აღარ ვიცი, ვინ რა მოიგო, ვინ რა გაწირა.
ერთია მხოლოდ, თუმც გათხოვილი, ლივია დღემდე ცრემლად იღვრება
იმედი არი, ვით ნაწვიმარზე ღრუბელი ქარით გადაიყრება.
ადუა მაშინ არ იყო მცხეთას, რა როგორ მოხდა, მაგან არ იცის
თუ ვინმე კაცობს, ესეც კაცია, ერთგული საქმის, სიტყვის და ფიცის
მოსული არი შენთან სათხოვრად, მე რომაელი ვუდგები მოწმედ
მიეც ცოლ შვილი, შეეკარ ფიცით, გადაიქცევა შენ ერთგულ მომმედ.

რადამისტი-
რაც ჩვენში ითქვა, არ ითქვა გვიან, თუმცა კი სჯობდა ადრე თქმულიყო
ორი ძმისა და მეფის ქვეყნები ერთი ქალისგან როგორ გაიყო.
თქვენ რომაელნი საიდან საით მოსულხართ და ხართ დღეს მეგობრები
სომხობა აქვე, უურისმირშია და რატომ უნდა გვიწოდონ მტრები?
თუ მშვიდობა სურთ, ჩვენც ხომ ეს გვინდა, ორივეს ასე გვეცოდინება
წყაროს სასმელად დავეწაფები, რად ავამღვრიო მისი დინება.
საქმის მახარებს კეთილი ბოლო, უნდა დავურთა სიტყვა კაცური
ავუია ადვილ იტყვის სამრახველს, ბრძენის აზრია ასჯერ ნაწური.
მე ვფიცავ არმაზს ვისაც მორჩილებს იბერიონთა ბედის ტრიალი.
თუ გადაუველ ნათქვამს და ნაფიცს, არა კაცებშიც ვიყო ტიალი.

ადუა-
მეც დავიფიცავ, რომ რადამისტთან მეგობრობაა ჩემი სურვილი
შეგეკვრი ფიცით როგორც მწუურვალი, ერთად მოვიკლათ ძმობის წყურვილი.

ცელი ჰოლიონი-
მესიამოვნა ეს შეთანხმება და რაკი ძმობის ფიცი გავცვალეთ
ერთად დასხედით, იმუსაიფეთ ვინ რა გაიღეთ, რას ანაცვალეთ.
ჩემი მხრივ ვფიცავ, თუ დაგჭირდება, იცოდე რომ ვარ შენ გვერდით მდგომი
ხელი ხელს მივცეთ და შეწუობილად, ჰართიელებთან მოვიგოთ ომი.

რადამისტი-
თუ შეთანხმება მიღწეულია და ვართ სამივე ფიცით შეკრული
ვინც უღალატოს კაცურად ნათქვამს, კაცთა მოდგმაში ის იყოს კრული
მიბრძანებია ჯაუელისათვის გამოიყვანოს სომეხთა ტყვენი

უკლებლივ ყველას თავისუფლება ჩვენი კაცური იქნება მღვენი.
დე თვით დარწმუნდეს დიდი სარდალი, რომ უხლებია შვილი და ქალი
ნუგეშცემულნი როგორც შეგვემლო, არ მოგვიკლია პური და წყალი.
ერთია მხოლოდ, როგორაც ვიცი, ბაგრატიონნი, უხედნი კვიცი
ადუას ქალწულს ერატოს ეტრფის და სატრფიალო დაუდევთ ფიცი
აქ მოვისმინოთ თუ ასე არი, თუ გრძნობის ჰანგებს აჟღერებს ქარი,
ადუას ვურჩევ ნუ იტყვის უარს, გოგო იზრდება, სჭირდება ქმარი.

ბაგრატიონი უმცროსი-
ბატონიშვილო ვარ მადლობელი, შენ მოკლედ მოსჭერ ჩემი სათქმელი
რადგან მამაა მისი დამცველი, მას უნდა ვთხოვო ქალწულის ხელი.

ბაგრატიონი უფროსი-
ქვაბულს ვიყავი, ვნახე ასული, შვილის სურვილი დამიჯდა ჭკვაში
მამა მამაცი, შვილი ლამაზი, გამორჩეულნი ორივე სხვაში
და თუ ადუა იტყვის თანხმობას, არ დაუხვდება ჩემი უარი
შვილებს თუ უყვართ, მე რად დავუშლი, რად დავუყენო დროება მწარი.

ადუა-
სიკვდილს ვეძებდი გამწარებული, როცა გავიგე ცოლ-შვილის ტყვევნა
როგორც არასდროს, მომინდა მაშინ, მათთან შეხვედრა, კოცნა და ხვევნა.
მარბიელებს რაზმით გამოვეკიდე, დავლაშქრე გზები კიდიდან კიდე
არ მოვისვენე პართიელები სანამ არ ვნახე და წავეკიდე.
მაშინ გავიგე რომ ჩემზე ადრე თქვენ გადიყარეთ სასტიკი ბრძოლა
ჩემი ქალებიც გამოიხსენით და რაც იმარჯვეთ, არ ღირს მოყოლა.
მხოლოდ ესაა, მადროვეთ ცოტა, ჩემები ვნახო, აზრი გავშალო
და თუ ერატო არი თანახმა, თანხმობას მოგცემ, რაზე გაწვალო
მე კარგად ვიცი სპერის მიდამო, მისი პატრონი, სიმაღლე მისი
არც მე ვარ ცუდად გამორჩეული, მომდევს სიმაღლე შესაბამისი

ბაგრატიონი უფროსი-
თუ ასე არი დავკრათ ხელი ხელს, მამებმა შვილთა ბედი დავლოცოთ
ჯერ გავიაზროთ როგორ და რა ვქნათ, მერე მოვიხმოთ ერთად ვაკოცოთ.

ბაგრატიონი უმცროსი-
ერატოს თვითონ მოგგვრით უფროსებს, რომ კარგად ნახოთ თვალად და ტანად
თქვენ კი იმსჯელეთ წესით და რიგით, ქალს რა მივართვა მე მისატანად
/შედის ქვაბულში/.

რადამისტი-
მე მოვიწონე ეს შეთანხმება, მაგრამ ცოტაა ჩემი თანხმობა
ფარსმან მეფისგან დასტური გვინდა, რომ  განვატკიცოთ ჩვენ შორის ძმობა.
სხვა დრო რომ იყოს ვეტყოდი მამას, ახლა სულ სხვაა თვითონ ეაჯეთ.
გაგვიმტკიცდება დიდი მოყვრობა, თუ მოიქცევით სხარტად და მარჯვეთ.

ადუა-
მეც უნდა ვკითხო მითრიდატ მეფეს, საქმეს სჭირდება მისი დასტური
რომ ავიცილო მითქმა და მოთქმა, უაზრო ჭორი, აურზაური.
რაკიღა დავთქვამთ, ჩავალ არტაშატს, არ დასჭირდება დიდი დრო მგონი
მან გადაწყვიტოს გადასაწყვეტი, ვინც არი საქმის მეფე-პატრონი.

ცელი  პოლიონი-
კარგად განსაჯე, ახალი მთვარე, როგორც კი ზეცას გამოეკვრება
მე მევალება არტაშატს მისვლა, რომაელების არი შეკრება
ორივ ლეგატი აპირებს წასვლას, რომ შეამოწმონ ლეგიონები
დიდი დღეობა ექნება მეფეს, რომ გააცილოს ზეიმით ძმები
შენც გევალება ზეიმზე ყოფნა, სარდალი ხარ და მარჯვენა ხელი
ერთად ვეახლოთ, ვუამბოთ ყველა, აქ გაგონილი, ჩვენი სათქმელი.

ადუა-
მე როგორც ვიცი იმ დროისათვის მეფე იქნება გორნის ციხეში
იქ მისვლა მუდმივ სახიფათოა, რომ არ გავებათ რამე მახეში.

რადამისტი-
ამბობ რომ უნდა ეახლო მეფეს, გორნის ციხისკენ აიღო გეზი
თანხმობა თხოვო, გამოიკითხო, ხომ არ აწუხებს რამე მიზეზი.
ის თუ იქნება გორნის ციხეში, და იქ ექნება ზეიმი დიდი
დედოფალიც ხომ იქ ეყოლება, და მე როგორღა დავრჩე აქ მშვიდი.
თუ თქვენ იქ წახვალთ, ქალებს წაიყვანთ და სასიმოსაც იახლებთ თანა
მარტო გავუშვა ბაგრატიონი, ეს ჩემი მხრიდან ივარგებს განა?
მაგრამ თუ მაყარს მეც თან გავყვები და ჩემთან მესხი დიდებულები
საპატიოა ასეთი წვევა. უნდა ავევსოთ ლხენით გულები.
ბიძას რომ ვნახავ, ხომ მივულოცავ და დედოფალიც იქვე იქნება
გავარკვე მაინც რაც მოხდა ბოლოს, ვინ განიზრახა, ვისია ნება.

ცელი პოლიონი-
შენ თუ ბიძასთან წამოხვალ სტუმრად და არ დარჩები ამ ტყეში უბრად
მაშ დიდი ლხინი ექნება მეფეს, არც ჩვენ გვექნება საქმე სახუმრად.
სომხებთან ერთად თავს ვთვლი მასპინძლად, ნახავ როგორი ქეიფი ვიცით
მოხარული ვარ, კარს დამილოცავს, კაცი, რომელსაც შევეკარ ფიცით.

ბაგრატიონი უფროსი-
ბატონიშვილო, თუ გადაწყვიტე, ვბრძანებ მზადებას და გეახლები
სპერის მაგიერ სახომხეთს მივალ, დავიახლოვო გზაში მძახლები
*/ბაგრატიონი, ადუა, პრეფექტი პოლიონი გადიან/.*

რადამისტი-
თქვენ სამნი დარჩით ერისთავები, ვისაც ვენდობი დავეზრახები
უნდა განვსაზღვროთ და მოვიფიქროთ, რომ არ გავებათ როგორც ტახები
ჩვენ მართალია მივდივართ სტუმრად, გვყავს იქ მეგობარ-ნათესავები
მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა, თუ გვინდა შეგვრჩეს მხრებზე თავები.

კალმახელი-
ეგ აზრი მეც მკლავს, როგორ მივენდო, იმას, ვის გუშინ მოსისხლედ ვთვლიდი
კაცურად მსჯელობს, მაგრამ მის გვერდით, რამდენი არი ვინ იცის ფლიდი
მიტომ სჯობია ან არ წავიდეთ, ან ტანზე გვეცვას მუდმივ აბჯარი
ფხიზლად ვიქნებით, მარჯვედ ვიქნებით, ვერას დაგვაკლებს სომხების ჯარი.

რადამისტი-
მე ის მაფიქრებს რამაც ადუა ტყე-ღრეს ატარა. აქ მოიყვანა
წაქცეულია დღეს სახომხეთი, მოთარეშეთა გახდა ქვეყანა
იქით ალბანი კენწლავს ნაპირებს, აქეთ ერთობა მესხი-იბერი
რომაულები თავისად თვლიან, პართიელია პირველი მტერი.
შიგნით სომეხი სომეხს არ ინდობს, თუ გაიტანა, სხვისიც სურს წილი
დაფიქრებაა მეტად საჭირო როგორ მოვთოკოთ გრძელი მანძილი.
ამიტომ ვბრძანებ, ჯაყელს მივმართავ. დე, მასთან ერთად დარჩეს თმოგველი,
რაზმი გააწყეთ და ყოველ მხარეს მუდმივად გყავდეთ მზერი და მცველი.
როცა ჩვენ წავალთ, მივეფარებით, უკან მოგვყევით ერთ დღის სავალზე
არვინ იფიქროს სომეხთ რბევაზე, ტყვევნა, ხოცვაზე და სისხლის ვალზე.
გორნის ციხესთან დაიბანაკეთ ისე, რომ თვალით ვერვინ დაგლანდოთ
იქ მიწვეული იქნება ბევრი, არ მიმაჩნია იქ ბევრი სანდოთ.
თუ გაჭირდება კალმახელს ვეტყვი, მისგან მოგივათ შეტყობინება
დაუფიქრებელს თავი ანანებს, ჭკვიანს ატარებს ღმერთების ნება

მიეც ბრძანება საუვირს ჩაბერონ და გამგზავრების მისცენ ნიშანი
ცხოვრება არი შმაგი მდინარე, გადასასვლელი მოვძებნოთ ფშანი.
ადუას თხოვეთ, ცელი პოლიონს, წინ წამიღძვნენ და უკან მივუყვებით
გზაში ავაწყობთ ხმას სასიმღეროთ, ერთად ვიქნებით? ვიქნებით შვებით
მომაგონდება ჩემი ვარძია, სპერის კოშკები, კალმახის ციხე,
პალიმონამდე პონტოს გრეხილი, გაბმული როგორც ღობის ხარიხე
იქ, სინუპეში ჩემთა წინაპართ ჰქონიათ კერა, ედგათ აკვანი
რაც კი უშვია მიწას და მშობელს არა ყოფილა იმისი მგვანი.
თესალიიდან კავკასიამდე იბერმა ხანჯლის წვერზე იარა
მეინვარწვერს მოხვდა მოსხოს დამწვარი, არ დაუამდა ცხელი იარა
დღეს რაღანი ვართ, რაც იყო უწინ, ქვეყანა დარჩა მისი აჩრდილი
ცხვარად ქცეულა მგლის ნაშიერი, ნაცარქექიად გმირად გაზრდილი.
სადა სწვდებოდა მესხების ხმები, ტიბარენების სად იყო ზღვარი,
ხალიბები და მაკრისელები ყველა მომხდურთა რისხვა და ზარი
ჰენიოხები, ლაკებ, ჯიქები, კოლხნი, ალბანნი შეწყობილ ხმებით
თუ დავივიწყეთ დიდი წარსული, მომავალს ვერ ვშობთ, ისე გავხმებით.
მე არ მასვენებს სისხლის ყივილი, ფიქრები როგორც თოკი დავგრიხე
იბერთ მტრებისთვის ვიყო მახვილი, თავშესაფარი მოყვრისთვის ციხე.
წავალ იქ სადაც საომარია, სადაც მიმელის მტერი, მოყვარე
მისთვის ვეწამე, მისთვის ვიშრომე, მისთვის უხედნი ქედი მოვხარე.
*/ვადიან/.*
*/სასომხეთი, გორმის ციხე-დარბაზი. მეფე მითრიდატეს ზეიმი გაუმართავს რომ[ი]ლეგატებისათვის და სენეკასათვის/.*

სენეკა-
აზიის ხილვით ვარ კმაყოფილი, ამაში დიდი მიგიძღვის წვლილი
მადლობას გწირავ სომხეთის მეფეს, გულით ხარ უხვი და ხელგაშლილი
ეგვიპტეს ვიყავ, იუდეაში მუდმივი წიგნის სიკეთე ვცანი
სირია მოვლე, პროვინციებში საქმეს ვაწყობდი საკმაო ხანი
კაპადოკია შემოვიარე გალატია და სინოპის მხარე.
რომის სამეფოს საზღვრებსაც მივწვდი, მისი სიდიდით მეც გავიხარე.
იბერიაში ჩემი სტუმრობა, რამდენს ვიცოცხლებ,-მემახსოვრება
პრომეთეს კლდესთან დამიჩოქია, მარტო ამიტომ ღირდა ცხოვრება.
შენთან შეხვედრა მაინც სხვა არი, ჩვენ მწარე ბედით ვართ მეგობრები
ჩვენი სიცოცხლე მაშინ დაიწყო, როდესაც ცეზარს ვეგონეთ მკვდრები.

მითრიდატე-
კაცთ სადარდებელს დრონი კურნავენ, მწარეც კი ტკბილად მოსაგონია

მოგონებებით გახალისება სიბერეს ნიშნავს, ასე მგონია.
რაც უწინ იყო, იმას რას დავდევ, ხვალის საქმე მაქვს საგონებელი
თქვენ წახვალთ, მტერი გათამამდება, მე მარტო რის ვარ აქ შემძლებელი?

უმი კვადრატი-
შენი მეფობა არი დაცული, გთხოვ დაივიწყო მწარე წარსული
ჯარს დაგიტოვებ საკმარისზე მეტს, რომ მოსრას მტერი წრეგადასული.
ცელი პოლიონს დავტოვებ სარდლად, გამჭრიახია, სანდო, მამაცი
მტრისთვის მტერია დაუნდობელი და მოყვრისათვის კაცური კაცი.
მოკავშირედ გყავს იბერთა მეფე მძლავრი ფარსმანი, ძმა და სიმამრი
სასომხეთიდან ვინც ამოძირკვა პართიელების მდედრი და მამრი.
და ჩვენც ხომ აქვე საზღვრებთან ვდგევართ აღმოსავლეთის ლეგიონები
შემატყობინებ თუ არა ხიფათს, ჩემი ლოდინით არ ჩამოდნები.

სენეკა-
სენატს მოვუთხრობ სომხეთის ამბავს, დროა პართიას მალა ვუჩვენოთ
ზომებს მივიღებ გადაუდებელს, მაგრამ მანამდე გასძელ უჩვენოთ.
შეაკავშირე დიდებულები, ყველა ცალ-ცალკე რომ არ იწევდეს
დასაჯელია? უნდა დასაჯო, რომ მოღალატეს შიში თან სდევდეს.
*/შემოდის მაცნე. მითრიდატეს საიდუმლოდ მოახსენებს/.*

მითრიდატე-
აქ დასამალი არაფერია, ერთად საფიქრი და სამღერია
ერთად მივიღებთ, ერთად გადავწყვეტთ რაც ბედის წიგნში დანაწერია.
კარი გახსენით, დაე იხილონ, ერთობა სუფევს ჩვენში უცილოდ,
მტერი არი თუ მოკეთე არი, ვერ გადარჩება ჩვენგან უწილოდ.
სტუმარ-მასპინძლებს ყველას ვაცნობებ, ჩვენი ზეიმი ახლა ახლდება,
რაზეც ვეჭვობდით, რასაც ვდაობდით, სულ სასიკეთოთ ჩვენთვის ახდება.
ვბრძანებ დარბაზში შემოიყვანონ, ნამგზავრები და ალბათ მშივრები
დღეს მეგობრობა არი საამო, მათგან, ვინც გუშინ გვეგონა მტრები.
*/დარბაზში შემოდიან რადამისტი, მესხი დიდებულები, ადუა ცოლ-შვილით, ცელი პოლიონი/.*

რადამისტი-
თაყვანს გცემთ მეფეს სასომხეთისას, დიდი ყოფილა ქვეყანა შენი
მთიან-ტყიანი, ბარაქიანი, ხშირი სოფლები, კოხტად ნაშენი.
გამოვიარე გრძელი მანძილი, დალაგებული არი ქვეყანა,
ციხე-კოშკები თავაწეული და ერებუნთან შევდეგ ერთ ხანად,

ასირიელებს, მე ასე მითხრეს, არწივის მართვე დაურქმევიათ
როცა ბოლო ქვა ქონგურის თავზე დიდი წვალებით აუთრევიათ.
ამ ციხის აქეთ ველარ აღწევენ თავალებული მარბეველები
მან დაიფაროს არტაშატამდე ფართედ გაშლილი მინდორ-ველები.
სატახტო ქალაქს აღარ შევაქებ, აქ ყველა სიტყვა არი უძლური
დოვლათით სავსე, სიკეთით სავსე, არის ვაჭრობა, მისვლა, ხმაური.
გორნის ციხემდე დიდი გზა არი და გრძნობ სავალი ეკლიანია
ასე დაცული ციხე-სიმაგრე აღარ მინახავს კარგა ხანია.
შენ დიდებაზე მეტყველებს ბევრი, ქვეყანა, ერი, რომაელები
რომ არ გაცთუნოს უნებლივ მზერამ, მართლა არწივის გინდა თვალები

მითრიდატე-
როცა მაცნობეს მოდის რადამისტ, საკუთარ ყურებს ვერ დავუჯერე
აღმსდგარი სამტროდ, სტუმრად გვეწვია, როგორც მოყვარე და მოსიმღერე,
ამას რაღა სჯობს, თორე ბოლო ხანს, ყველგან შენ ირგვლივ ითქმება ავი
მამას ღალატობ, ბიძას ღალატობ, ყველა მოკეთის სულთამხუთავი.
ფარსმანი ვიცი, თუმცა ეჭვობდა, შენ დასასჯელად ემზადებოდა
მეც შენზე მწყრალმა დავტოვე მცხეთა და არ ვიცოდი რა მოხდებოდა
რომ არ მოეთხროთ, წუნარად არიან გოროზი მესხი ერისთავები
არა ფიქრობენ სომხეთის რბევას და თუ თვითეულს დავეზავები
ჩვენში აღდგენა ძველი ერთობა, და მეზობლურად კვლავაც ვიქნებით,
არა და ვიცი თუ ვსდიეთ ენებს მოსისხლე მტრებად გარდავიქმნებით.
მიტომ მახარებს შენი დანახვა, ძმის მემკვიდრე და, თან ცოლის ძმა ხარ
ჭაბუკი ყოლგნით გამორჩეული, ქცევით და სიტყვით მოხუცსა გავხარ.
მე მიხარია შენი სტუმრობა და შენთან მესხი დიდებულების
ბაგრატიონი შევნიშნე მათში, მეგობარია მრავალი წლების.

ბაგრატიონი უფროსი-
მადლობელი ვარ მეფური სიტყვის, მუდამ ვიყავი ტახტის ერთგული
ფარნავაზიანთ იბერიისთვის მუდამ მალუმად მიცემდა გული.
შენ იმათ გორის ხარ დიდი შვილი, ბედმა გარგუნა სომხეთს მეფობა
შენ შემართებას, სიტყვას, დახვედრას ფარნავაზიანთ ჰეწი ეტყობა.
სტუმრად მოვსულვართ დაუკითხავად, მოსვლას თავისი ახლავს მიზანი
სამოყვროდ ხელი გამოგვიწვდია, არვის ვეგონო ტლუ და სიზანი.
თან ვაჟი მახლავს, ჩემი მემკვიდრე, ჩემი იმედი, არა ჯაბანი
შენი სარდალის ქალის მთხოვნელი, მძიმეა მისი ფიქრის საგანი.
შენგან თანხმობა, შენი დალოცვა, მესხებთან ძმობას განამტკიცებდა
ასე ყოფილა, მტრობით დანგრეულს, მუდამ მოყვრობის ხელი აგებდა.

მითრიდატე-
სპერის პატრონის ნათქვამი მესმის, რაც არ თქვი ისიც გასაგებია
ჩაფიქრებული კარგა გქონიათ, მიზეზიც კარგა ანაგებია
ადუას ვკითხავ, ის ჩემი ყმაა და რადგან მისი მე ვარ ბატონი
რჩევა არ მთხოვა და უნებართვოთ აქ მომიგზავნა ბაგრატიონი.
ასე მოქცევას მე რა ვუწოდო, რას იმსახურებს ესე მსახური
არ მივაჩნივარ ეგება მეფედ, ფიქრობს ვიღაცა ვარ უსახური?
ჯერ ერთი, იყო, მცხეთას ვიახელ და უკითხავად გამომეპარა
რისხვა მოვთოკე და მოწყალება გადავაფრქვიე თავს წარა-მარა
თავბრუ ახვია დიდმა პატივმა, ჩემთან ტოლობა ალბათ ირწმუნა,
ამიტომ აღარც სხვა რამე მკითხა, აღარ ინაღვლა, აღარ იზრუნა.

ადუა-
დიდო მეფეო შენ ბრწყინვალებას, იმას რაც შენთან არი და ელავს
როგორ შევედრი. მე ვარ ნაფოტი და შენ გოგჩის ტბა, როდესაც ღელავს
არც მიფიქრია შენგან განდგომა, არცა მქონია ასეთი ნდომა
მეფის, მსახურის, დიდის ,პატარის, მტყუან, მართალის ვიცოდი ზომა.
ეს რომ არ იყოს აქ რაღა მინდა, ბაგრატიონებს დავთანხმდებოდი
გიმრის მაგიერ სპერის ციხეში, მივაშურებდი, გარდავხდებოდი
მამის თანხმობას ვეტყოდი იქვე, დიდ ერისთავებს დავიმოყვრებდი
მათ სიმღიერეს ჩემს დავურთავდი, ოცნების კოშკსაც იქ ავაგებდი.

ბაგრატიონი უფროსი-
მეფის ნათქვამი გასაგებია. მე ვერ გავიგე აზრის სისწორე
ეგებ ვერ ვხვდები ბევრს რაც არ ითქვა, ეგებ ხელს მიშლის ჟამის სიშორე.
ამიტომ მინდა კვლავ მოგახსენო, რჩევა გთხოვო და გთხოვო თანხმობა
ჩვენ შვილებს ვნება შემორევიათ და მამებს გვინდა ვაშენოთ მმობა.
ამიტომ ქალის მამა გევედრის და ჩემი თხოვნით ვედასტურები
მოგვეცი მათი ქორწილის ნება, რომ მათი გრძნობა განახურები
ჩვენ სასიკეთოდ წამოიმართოს და მომავალი ისე იმართოს
რომ პატარებმა მათგან მომღვნილმა ორი მოხუცის გული გაართოს.
სანაცვლოდ ბევრი გვიმსახურია და კიდევ ბევრი სიკეთე გელის
იმედი გქონდეს ორი მსახურის და იმედი გვაქვს შენი სიქველის.

მითრიდატე-
შეთქმულებივით ერთ ხმაზე მღერით, თან თავხედურად თვალში მიცქერით
მართალი იყვნენ როცა მიამბეს, რომ შეიღებეთ ერთნაირ ფერით.

როგორ მეგონა ერთგული მყავდა სომხეთის ჯარის მთავარსარდალი
როგორც მეომარს, ისე გვერდით მდგომს რომ არა ყავდა ქვეყნად ბადალი.
თურმე ვცდებოდი, ამდენი ხანი, რომ ვტყუვდებოდი, ვერა ვხვდებოდი
რას ვიანდებდი დრო გავიდოდა და ასე ჯიქურ მომეჭრებოდი.
არტაქსს და ტიგრანს ვწირავ მადლობას, მათ ამიხილეს ორგულზე თვალი
მითხრეს მცხეთიდან მიტომ წავიდა, რომ მოეთოკა ტახტთან სავალი.
კიდეც აცხადდა, მესხებს შეეკრა, დღეს მათით არი გულმიცემული
მოდის რათა მტერს გაათელინოს ჩემგან დაცული დედულ-მამული.

ადუა-
მეფევ მე შენი იმედი მქონდა და გულიც შენკენ მოისწრაფოდა
და თუ სითბოს და მადლობის ნაცვლად დღეს ეს ელოდა, ეულ არ იცოდა
ჩემზე ერთგული ვინა გყავს დღესაც, შენ აქ მიხსენე არტაქს, ტიგრანი
ჩვენ ხომ მცხეთაში ერთად განვსაზღვრეთ, და არ მსმენია სიტყვა იმგვანი
თითქო მეფობას გეცილებოდე, თითქო სომხეთის ტახტი მინდოდეს
რათა ქვეყნის მზე და სიდიადე პირველად ჩემთვის ამოდიოდეს.
მე მხოლოდ ერთი მტანჯავდა აზრი, როცა გაგვანდეს, მესხნი გვარბევენ
შევხიდებოდი ერს და კერიას, იქიდან სადაც მტარვალნი მცემენ.
ამიტომ იყო ვერ შევიცადე, მაშინ დრო იყო ამოსაგები
შენთვის ისევე, როგორც მაგათთვის, მეგონა იყო ეს გასაგები.

მითრიდატე-
აქვე არიან ტიგრან, არტაქსი, როცა მოვიცლი დავკითხავთ ყველას
მაგრამ მანამდე დილეგში ჩავსვამ, რომ ვერავისგან ელოდე შველას.
შენ ცოლსა და შვილს დავტოვებ ჩემთან და როცა ჩემთვის ცხადი გახდება
როგორ, რა იყო, ტყუილ, მართალი, ასულის ბედი იქ გადაწყდება.
ახლა კი ვბრძანებ ჩააგდეთ დილეგს, არ მოაშოროს დარაჯმა თვალი
ცუდად მიმნდობი ცუდდება მუდამ, ფრთხილმა გალია სოფლის სავალი.
*/მცველებს ადუა გაყავთ. გაყავთ შეწუხებული მისი ცოლ-შვილიც/.*
მხიარულება მსურს არ მოიკლოთ, არ მოაწყინოთ ჩვენი სტუმრები
მმისწული აქ მყავს ერისთავებით და რომაელი მვირფასი ძმები.

ბაგრატიონი უფროსი-
მართალია შენ მეფე ხარ ქვეყნის და უკეთ იცი შიგნით რაც ხდება
მაგრამ ადუას ასე მიღება არ გეკადრება და არ გიხდება.
შენ სანამ მცხეთას ძმასთან სტუმრობდი, სამეფოს საზღვრებს მან უპატრონა
რაც მტრის დევნაში დახარჯა შრომა, ოქრო არა გაქვს იმისი წონა.
მან გაამაგრა საზღვრები ყველგნით, მოსპო ყაჩაღი მარბეველები

და ამის შემდეგ მიხედა კერას, ბოლოს მოძებნა ცოლი, შვილები.
თუ ამას ვინმე ღალატად უთვლის, თუ ასე მოაქვთ შენთან ენები
მაშინ ჩვენ რაღას გვიპირებ, მითხარ, წავალ, მეც დილეგს შევეტენები.

რადამისტი-
მე არ მინდოდა კამათში ჩართვა, ვინმეს მართლება, საქმის გამართვა,
მაგრამ რა ვუყო, როგორ ვიყურო, თუ შეფიცული ბედმა წამართვა.
მე მესხეთს ვიყავ, არა იმიტომ, მუდმივ მეთესა სომხების მტრობა
მაგრამ რაღა ვქნა ვერ შეიშნოეს მშვიდობის ლტოლვა, ძმობა, მოყვრობა,
აქ დარბაზია დიდი შეკრული მესხნი, სომეხნი, რომაელები
ყველას სასმენად ამიტომ ვიტყვი, რომ აგვეხილოს ყველას თვალები
მე აქ მოვსულვარ არა იმისთვის, რომ ძმათა შუღლში დავიდო წილი
მშვიდად ვუცქირო, როგორ ნებივრობს ქიშპი და შური თავაწყვეტილი.
მარჯვენას ვფიცავ, რომ დაუსჯელი, ადუას მტერი ვერ გადარჩება
მაგრამ მოვიცდი, სანამ ვარ სტუმრად, მასპინძლის ვალი სანამ მორჩება.

მითრიდატე-
როგორ გავიგო მკვახედ ნათქვამი, ან ვინ გგონია ადუას მტერი
მონაა ჩემი, რასაც მსურს ვუზამ, დამიბერტყია კათლიდან მტვერი.
სულ არ მგონია რომ ჭორი იყოს, რაც მითხრეს ჩემმა კარისკაცებმა
იბერებს კი ვთხოვ, ნუ ჩაერევით, სხვისა უღელში ნუ იცით შებმა.
უმჯობესია განვაგრძოთ ლხინი, არ გავხდეთ მერე მტრის დასაცინი
ჩხუბს გავერიდოთ, მოჭარბებული, სმაში ჩავიკლათ კაცური ჟინი.
მესხთა მოსვლამდე დროს ვატარებდით, ძმებს და მფარველებს ვეფერებოდ
მიბრძანებია, სენეკას შემდეგ, ბაგრატიონთან თასი გადმოდით.
მალე გვტოვებენ დიდი სტუმრები და მერე როდის კიდევ შევხვდებით
უნდა გვახსოვდეს, გვენატრებოდეს ყოველი წამი თუ დავშორდებით.
*/ლხინი გრძელდება/*.

უმი კვადრატი-
მე ადრეც მითქვამს და ვიმეორებ, მოიგო ვინაც არ დაახანა
დღეს ჩვენ მოვიგეთ, ჩვენია მთელათ, სომეხი ერი, მისი ქვეყანა
და არც დავუშვებთ სხვების ჩარევას, ვერც დაგვიპირებს ვერვინ მორევნას
ვერც დაგვიშლიან მეფესთან ქეიფს, ღვინის დალევას, ქალების ხვევნას.
ჩვენ პატივსა ვცემთ იბერთა მეფეს და მეგობრობის შევკრულვართ ფიცით
რა ღვაწლი უძღვის რომის წინაშე, რა შეუძლია ჩვენ ესეც ვიცით
ამიტომ თხოვნა გვაქვს ამდაგვარი, რომ ავიცილოთ დროება მწარი
ნუ ჩავუშხამებთ სიამეს ერთ-ურთს, ნუ გადვიხრებით საით ქრის ქარი.

აქ რადამისტი ამბობდა მართალს, უნდა გვახსოვდეს, რომ ვართ სტუმრები
ვილხინოთ სანამ დრო დაგვრჩენია და შევაშველოთ გადამთვრალს მხრები

სენეკა-
მეგონა სომხეთს სიმშვიდე სუფევს, არიან მხნედ და კარდაცულები
ერთსულოვნებას შევატყვე ბზარი, და აღმართული თავზე ცულები.
ასეთ დროს ჩვენი დიდი ვალია პასუხი გავცეთ მტერს და მოყავრეს.
ვინც სიკეთით არ დაგვიკრა თავი, იმათ კისრები ძალით მოხარეს
ჩვენ მითრიდატეს დავიცავთ მკერდით, მზად გვყავს გაწრთვნილი ლეგიონები
მაგრამ რად გვინდა იქ ძალისხმევა, სად შეიძლება შესრულდეს ნებით.
პრეფექტ პოლიონს მიეც უფლება რომის სახელით და რომის ძალით
აღასრულებდეს აღსასრულებელს რასაც შეხედავს გამჭრიახ თვალით.
ჩვენ კი დავიძრათ უკვე არი დრო, სანამ ხელს დაგვრევს სიმთვრალის ძალა
ვინც იჭიდავა თავლია ქვევრთან კაცობა ყველას გამოეცალა.
*/აიშლებიან, რომაელებს აცილებენ, გარეთ ხმაურია. რადამისტი მარტოდ შთენილ ლივი. დალანდავს და მიეახლება/.*

რადამისტი-
უცხო მხარეში თავი მგონია და უცხო ძალამ წამგვარა ღონე
ტყეს ვეფარვოდი ნადირისავით, რა დავაშავე, რა მოვიგონე.
წამართვეს ყველა, ვინაც მიყვარდა და უმთავრესი, თვალის სინათლე
ვისაც მივმართე-ვერ გამამტყუნა, მაგრამ ვერც სადმე თავი ვიმართლე.
ახლა შენს წინ ვარ თავმოდრეკილი, ერთგვარად მშვიდი და შედრეკილი
მე ვერ გავიგე, გამაგებინე, იყავ მართალი და გულახდილი.
იცი უშენოდ მზე არ მზეობდა, შენც გქონდა განცდა შესაბამისი
მე მიმატოვე, სხვას მიეტოლე, იქ უკეთესი რა ნახე სხვისი?

ლივია-
ჩემი სიცოცხლე მაშინ დამთავრდა, როდესაც მითხრეს, გაჭრილხარ ველად
მესხეთს წასული გამეფებულხარ, ჯარი გყოლია მტერთა საშველად.
გონს ვერ მოვედი, დამეცა მეხი, ნადიმობისას ფარსმანმა ბრძანა
მე რადამისტი აღარ მყავს შვილი, მას ვერ მიიღებს ჩემი ქვეყანა.
რომელმაც უმმოს, მტრად ექცეს მეფეს, და ვინც დამაშვრალს მოუგდოს პური
სიკვდილი ნახოს სიკეთის ნაცვლად, სიბრმავე გახდეს მისი მეგზური.
შემდეგ მიმართა დამსწრეთ და მსმენელთ, ძმა მითრიდატე აქო, ადიდა
თითქოს ის იყო იბერთა ფარი და ვარსკვლავები უკრიფა ციდან.
მერე მიმიხმო, თან მომეფერა, თქვა ასეთია დღეს ბედისწერა
რომ სომხეთს უნდა დავჯდე დედოფლად, სომხებს მივაპყრო მეფური მზერა.

დავკარგე გონი და აღარ მახსოვს, ვუთხარ თუ არა პასუხად რამე
მხოლოდ ესაა იმ წამის შემდეგ ჩემთვის უკუნი ბატონობს ღამე.

რადამისტი-
მე თუ გამწირა, ცხადია მამამ, უწილოდ შენც არ დაგაყენებდა
ჩემი სახელი თუ დაივიწყა, შენი დანახვა ცხადია ვნებდა.
მე ისიც მითხრეს, დარბაზობამდე სომხეთის მეფე და დედაშენი
ფარულ თათბირზე შეთანხმებულან რომელს რომლისთვის მიემღვნა მღვენი

ლივია-
დედა კი არი, მაგრამ მე მისთვის არარად ვღირდი, მუდამ ვიცოდი
სიყვარულსა და სიძულვილს შორის მის დანახვაზე მიტომ ვიწოდი.
უფრო ფარსმანის მქონდა იმედი, თუმცა არ იყო ის შემოქმედი
მაინც ვუყვარდი და მფარველობდა ჩემი ცხოვრების გადასახედი.
დღესაც არ ვიცი ვწყევლო თუ ვლოცო, ვინც შვილობილის დაიდო ცოდვა
შენ თუ არ მეყვხარ მაინც ვარ მკვდარი, მეტყვი თუ გეტყვი ერთია ბოდვა.

რადამისტი-
ჩემი ბრალია. ვერა ვიანდე, კარიბჭესთან რომ მომცეს კირიბი
დედინაცვლის ხელს ვერ ვკიდე თვალი, ისეთი დარტყმა იყო ირიბი.
მე მომიცილეს და შენ გაგყიდეს, კაცი ვარ, უნდა მეგრძნო თავიდან
მტრებში მოქცეულს სიფხიზლე მართებს, დარტყმა მოელის ყოველი მხრიდან
ერთხანს ვიფიქრე ეგება ვცდები და შენ მიეცი ნებით თანხმობა
სანამ საქმეში არ გაერკვევი, ერთგვარად ფასობს ქება და გმობა.
ამიტომ არი როგორც დრო ვნახე აქეთ წამოველ ლახვარსობილი
მსურდა მენახე და მომესმინა ვისგან რა არი აქ აწყობილი

ლივია-
მე გამახარა შენმა დანახვამ, არ მოსულიყავ თუმცა კი ჯობდა
გული აფეთქდა, აფორიაქდა, და ლოცავს რასაც წყევლიდა, გმობდა.
მე მეშინია მეფემ თუ იგრძნო, აღარ გექნება მისგან დანდობა
ვერ დამიფარავს ტყუილი ძმობა, ვერ დაგიფარავს ჩემი ცრუ დობა.
ამიტომ შეგთხოვ სწრაფად გამშორდი, ნურაფერს ეტყვი, აეჭვიანებ
მე ვერ მიშველი, ვარ ცოცხალ მკვდარი, საკუთარ თავს კი უწილოდ ავნებ.

რადამისტი-
არ მენაღვლება რას იტყვის მეფე, ვერ ამაჩუყებს ბიძის წუხილი
შენ თუ დაგკარგე, მტყუანს და მართალს არ მოასვენებს ჩემი ქუხილი.

თუ ძველებური გრძნობით მიუურებ და ოცნებებში მესაუბრები
აქ ვერ დაგტოვებ, წაგიყვან ჩემთან სადაც ერთგული  მყავს მეგობრები.
იცი უმენოდ მაინც ვერ გაუძლებ, სიკვდილს მოვძებნი, გადავეგები
ბედის გამრიგემ შენი და ჩემი, ასე დასახა სავალი გზები.

ლივია-
ჩემ ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებენ და მეფემ ალბათ ეს უკვე იცის
მესაუბრები, რაზე-მიხვდება, მე კი არა ვარ გამტეხი ფიცის
ამიტომ შევთხოვ მომცილდი, წადი ღმერთები იყვნენ შენი მფარველი
მე კი დავრჩები და სანუგეშოდ მოგონებები გამყვება ძველი.

რადამისტი-
მე რომ წავიდე, შენ მიგატოვო, რაღა აზრი აქვს მაშინ ცხოვრებას
ჩემი სიცოცხლე შენია იცი, გადუწყვეტია ასე განგებას.
მე შენ ვერ დაგთმობ, ან ჩემთან ერთად ციხიდან ახლავ გაიპარები
ან მე დავრჩები და რაც მოხდება სათქმელად იყოს შესაზარები.
როგორ ვიცოცხლო, როს წარმოვიდგენ სხვა საალერსოდ შეგავლებს ხელსა
ვინც უნდა იყოს, მის მოსაკლავად ავალ ზეცაში, ჩავას ქვესკნელსა.
მე არად მიღირს იბერთ სამეფო, მეფობის არ ვარ დიდი ტრფიალი
ძალაუფლებას, ოქროს, დიდებას გადაწონს შენთა თვალთა ციალი
ან აქ მოვკვდები, შენ დამიტირებ, ან ჩემთან ერთად მესხეთს წამოხვალ
ჭკვიანი მუდმივ დღეს ციდლობს იმას, საკეთებელი რაც საქმეა ხვალ.

ლივია-
ჩემ ტანჯვას კიდევ სატანჯველს მატებ, დარდს ემატება ახალი დარდი
თუ შეიცვალა უცებ ტაროსი, ზაფხულშიც ჭკნება უშლელი ვარდი.
მე სიხარული ჯერ არ მიგრძვნია, შენ კი სატანჯველს მიმატებ ზედა
წადი, დავლოცავ და აინანას შევთხოვ ხიფათში გეყოლოს მწედა.
ჩემზე ნუ ფიქრობ, შენი ლივია იცოდე არვის არ შეეყრება
ერთხელ აყვავდა ობოლი ვარდი, ერთხელ იხარა, ერთხელ მოკვდება.
მითრიდატემაც ეს იცის კარგად, ხელის დიდებას მიტომ ვერ ბედავს
გული რას ამბობს და აგრძნობინებს, ენა ვერ იტყვის, თვალი ვერ ხედავს.
*/ხმაური. დარბაზში შემოდის გამძვინვარებული მითრიდატე. მოსდევენ არტაქსი, ტივრანი, კასპერი, ცელი პოლიონი და სხვა დიდებულები/.*

არტაქსი-
აი მეფეო, რაც მე გითხარი, სულ მართალია, აქ ყველა ხედავს
უცხოტომელი სომეხთ დედოფალს ხელსა კიდებს და სიტყვას უბედავს.

არაფრად უღირს ჩვენი ნამუსი, სტუმარს არა აქვს მასპინძლის რიდი
ბიძას ღალატობს ვნებააშლილი, ამ დროს ერთგული ვით იყოს მშვიდი?
ადუას მოჰყვა. შენი ღალატი ეტყობა ერთად განუზრახიათ
მამას უიდიან, მეფეს უიდიან, აბა, ასეთებს სხვა რაღა ჰქვიათ?

მითრიდატე-
მეტი აღარ თქვა, გულის ბოლმასთან ყოველი სიტყვა არი უმლური
ცოლის ძმა ცოლთან ღალატს მიპირებს, რა უნდა იყოს სხვა უცნაური.
კაცი რომ მამას არად ჩააგდებს ის ბიძას როგორ გადაეგება
ცოლი ქმარს ახლოს არ გაიკარებს, სხვებს თავად დასდევს, ასედაც ხდება.
ჯერ კიდევ მცხეთას ყოფნისას მითხრეს, აშკარა იყო მათი ტრფიალი
მაგრამ ვიფიქრე, ცვალებადია, ქალის გრძნობების ორომტრიალი
თან შევიცოდე, წამოიზრდება, ჭკვას მოეგება, ქმარს შეიყვარებს
სული არ ვახელ, რას ვიფიქრებდი, რომ ამ დროს სხვისთვის გახსნიდა კარებს.
ახლა დავრწმუნდი, ბოროტზე მეტად, რომ სიკეთისთვის კაცი ისჯება
რომელიც ფიქრობს სიკეთე თესოს ყველაზე ფუჭად იგი ირჯება.
მიბრძანებია, შეჰკარით ორნივ და რადამისტი ჩააგდეთ ბნელში
სასჯელს მოვძებნი მასზე უარესს, არ გაგეგონოთ წუთისოფელში.
მანამდე ბევრი უნდა ვილონოთ, პირველი არი დიდი ფარსმანი
შევატყობინოთ, ტყვედ მყავს რადამისტ, ცოცხლად ვამყოფებ მას ერთი ხანი.
მერე, როდესაც მივიღებ პასუხს, ან ეგებ ერთად დავთქვათ სასჯელი
რომ არ დაირღვეს ჩვენში ერთობა, განმტკიცებული მრავალი წელი.

ცენტურიონი კასპერი-
მეფე შენ ხარ და მეფურად ზომავ, ვერც შეგბედავენ ცუდად ურჩობას
მაგრამ მე სხვა ვარ, რომაელები არ გააბავენ ასეთ დროს ბჭობას.
თუ ხელთ მოიგდე მეტოქე-მოჰკალ, მერე დაიწყე განსჯა თავიდან
სხვა შემთხვევაში რას მიუსჯიდი, მოიცილებდი რა ხერხით გზიდან.
უკვე დავრწმუნდი, აზიელები საქმეზე მეტად მსჯელობით ხართბთ
მოკეთეზე და ერთგულზე მეტად, მოღალატეთ და ორგულთა სწყალობთ.
ბევრი დაღუპა ასე თამაშმა და კიდევ ბევრი დაიღუპება
მერე იტყვიან ბედი არ წყალობს, ზეცის ნებაა რაც ქვეყნად ხდება.
მორს რაღად გვინდა წასვლა და ფიცი, დალმაციომ თქვა ვიცი, მე ვიცი
როცა მოვითხოვე ორგულთა დასჯა, მაგრამ რა გინდა როდესაც კვიცი
ცხენს დაუწუნებს ფეხმარდ ცხენობას, გაუხედნელი აჰყვება ნდომას
მას მგელი შეჭამს ანდა მგლის შვილი, არ უნდა ფიქრი ამ აზრში წვდომას.
და დალმაციომ მოიმკა ჭარბად რა სისულელეც ადრე ეთესა,
მისი შეცდომა მაგალითია, ნუ გადიქცევა მეფეთა წესად.

მითრიდატე-
შესანიშნავი შეგონებაა, შენზე ერთგული არ მყავს მრჩეველი
ამიტომ შენ გთხოვ კი არ გიბრძანებ, როგორც თქვი სიტყვა, მოიღე ხელი
გასწიე სწრაფად იბერიისკენ, თან გაიყოლე რაზმი ამტანი
მცხეთას მიიჭერ შეუსვენებლივ, დაუყოვნებლად ნახე ფარსმანი
უთხარი ახდა რასაც ვეჭვობდით, გულს არ ეკერა, გუმანით ვგრძნობდით,
სომხეთს მოგვიხტა უძღები შვილი, რომელსაც ტახტის მემკვიდრედ ვცნობდით
მოიყოლია მესხთა თავები, შემოგვილეწა ციხეს კარები
აგვიტალახა და აგვინგრია დაგვმართა საქმე შესაზარები
აღარ დაინდო ცოლი და შვილი, არად ჩააგდო ამაგი, წვლილი
იძულებული გახდა მითრიდატ დილეგს ჩაესვა ჭკუადაცლილი.
შენ მოღალატეს, ტახტის მოცილეს, მესხთა ღალატში თავს და მოწილეს
უპირებს მეფე თავის მოკვეთას, სატკივარს სხვაფრივ ვერ მოაცილებს.
მასთან ლივიას უპირებს დასჯას, აღარ დაიწყებს მიებას, განსჯას
მძიმე სასჯელი მოელის კახპას, იმის ცოლობას და ქალურ გარჯას.

კასპერი-
ჩემთვის ყოველი გასაგებია, ჩათვალე უკვე ცხენს მივაჭენებ
სანამ არ ვნახავ რადამისტს დასჯილს ვერც დავიძინებ, ვერც დავისვენებ.
მალე გავჩნდები პასუხით აქვე და მეფეს შევთხოვ, რომ ყურად იღოს
ერთგულების და სამსახურის წილ ლეგატთან ქების ხარჯი გაიღოს.

მითრიდატე-
თუ შეასრულებ რაც დაგაბარე, კარგი პასუხით დამიბრუნდები
ბევრიც იფიქრო შენ ვერ მიხვდები, ადრე რა იყავ და რა გახდები
*/კასპერი თაყვანს სცემს და მიდის/.*
ახლა შინაურ საქმეს მივხედოთ, მჭირდება რჩევა რომელ აზრს ვენდოთ
თავი მოვკვეთოთ თუ დედოფლისთვის ბორკილად ოქროს ჯაჭვი გავჭედოთ.
მომისმენია, ჩემმა სეხნიამ, რომელს მონებდა ქვეყნად ყოველი
სინუპეს დედა ციხეს ჩაკეტა შვილის მკვლელობის ბადის მქსოველი.
მოღალატე რომ გაუხდა იმ ცოლს, ვინც საწამლავი დაალევინა
იმავე თასით, იმავე შხამით ქვესკნელში მისცა მუდმივი ბინა
ხოლო ძმას, მასაც ღალატისათვის, ფეხზე დაადო ოქროს ბორკილი
შემდეგ კი, ისევ ღალატისათვის, იმავე ჯაჭვით დაახრჩო შვილი.
მან ასე შექმნა პონტოს სამეფო, მტრისათვის იყო დაუნდობელი
ვინც მტერს დაინდობს, შედეგსაც იგრძნობს, გვიან გახდება თავის მგმობელი.

ტიგრანი-
მეფე ბრძანდები და შენი სიტყვა ღმერთების აზრის გამჟღავნებაა
ძალა შენია, ცოლი შენია, როგორაც დასჯი შენი ნებაა
მაგრამ თუ გვკითხავ შენ ერთგულ მონებს, ყველა რაღაცას გამოიგონებს
მოგვისმენ ყველას და ისე იზავ, მეფური გონი რას მოიწონებს
ამიტომ ვფიქრობ თუ ავჩქარდებით, სანანებელში გადავვარდებით
რაც კაცს შეშვენის, ქალს თუ მივუზღეთ, კაცთ სასაცილო უმალ გავხდებით.

მითრიდატე-
ტიგრანის აზრი მისაღებია, ერთგულებასთან სიბრძნეც გჩვევია
დედოფალს დავსჯი, მაგრამ რა გზებით მრავალთა შორის ასარჩევია.
ამიტომ ვბრძანებ კოშკში ჩაკეტონ, აღარ მიაგონ კვლავაც პატივი
რას იმსახურებს, იმას მიიღებს, ასეთი არი მისი არჩივი.
რაც შეეხება რადამისტს, ვბრძანებ, ფეხზე დაადონ მძიმე ბორკილი
ჭერს ჩამოკიდონ, ცეცხლით შეათბონ, ვით ავი სული და შერეკილი.
ეს დასაწყისში, მერე კი ვნახოთ, როცა პასუხი მეცოდინება
ამ დიდ საქმეში უნდა შეერთდეს იბერების და სომხების ნება.

ბაგრატიონი უფროსი-
მეფე ხარ და გაქვს სრული უფლება შენ სამეფოში იმოსამართლო
მაგრამ არ ნიშნავს როგორც გსურს სჭრიდე, იყო ბოროტი და უსამართლო
ჩვენ აქ მოველით კეთილი ნებით, გვსურდა მშვიდობა და თან მოყვრობა
სულ არ გვეგონა დაგვჭირდებოდა ავბედი სიტყვა და ხმლის მომხრობა.
ჩვენ ბატონიშვილს თითიც რომ ახლონ ჩვენ მაყურებლად შორს ვერ დავდგებით
ცოტანი არ ვართ, ერთი ათს ვჯობნით და სახელსთვის ყველა მოვკვდებით.

კალმახელი-
ბაგრატიონი ბრძენი კაცია, დროულად იცის თქმა და კეთება
ჩემ ძმებს ვუყურებ, დევის მკვლელებში ერთია ბრძოლის სულისკვეთება
შენ გვერდით ვდგევარ, ვიცი რას ვიზავ, არც ამიცდება მკლავის მიზანი
მაგრამ რადამეს თავს არ შევაკლავ, რადგან გულმართლად ვერ შევიცანი.
ამიტომ მიჯობს რომ გაგეცალოთ, მე მარტო ვივლი მესხეთის გზაზე
მითრიდატეს ვთხოვ ალყა გამიხსნან, რომ არ შევყივლო საომარ ხმაზე.
*/მითრიდატე მისცემს ნიშანს და კალმახელი უვნებლად გადის დარბაზიდან. სომხები მას მიაცილებენ/.*

რადამისტი-
თავს ვიკავებდი სანამ კლამახელს, უნდილად მკვნესარს მოვიცილებდი

არც კი მაწუხებდა მისი აქ ყოფნა, ვიცოდი წასვლით რას მოვიკლებდი.
ახლა როდესაც გაცხადდა ყველა, ვინ არი მტერი, ვის უნდა შველა
სომეხთა მეფეს ასე მივუგებ, რატომ ჰგონია მესხებს უყელა
ჩამოგვეცალოს და გზა გვიტიოს, ან ფეხს ნუ ითრევს შემოგვიტიოს
და დაინახავს მარტო მე მოვსპობ იმდენს, დარბაზმა ვერ დაიტიოს
ჩემ თავს არ ვდარდობ, მამამ გამწირა, ბიძა იქნება ჩემი დამდობი?
ათასის თავზე გადამხტარია, ათას სიმუხთლის უთუოდ მცნობი.
მესხებს რას ერჩის: მოსულან სტუმრად, სტუმრის პატივი კაცის ვალია
ეს არ ეხება მხოლოდ იმ მეფეს ვინც სხვის ლაქუცში ჟამი გალია.
თუ ვაჟკაცია შეეშვას მესხებს, ხმლით დაამტკიცოს თავის კაცობა
ადვილი არი სხვის უკან დგომა და ვისაც სწირავ, მისი არ ცნობა.
თუ მიაჩნია მე ვკადრე ავი, მე დავიფარავ ლივიას სახელს
თქვენი მეფე კი ცილისწამებით, მხოლოდ საკუთარ სილაჩრეს ამხელს.
*/ლივია მცველებს გაჰყავთ, რადამისტი ცდილობს მის დახსნას. იწყება ბრძოლა, დარბაზი ცარიელდება. რჩებიან არტაქსი და ტიგრანი/.*

ტიგრანი-
ამათ ბრძოლაში არ ჩავერევი, მაგრამ მოგება ჩვენი იქნება
იქით მოკლავენ თუ აქეთ მოკლავს, ორივ სიკეთედ გარდაიქმნება.
ამიტომ უნდა განვსაჯოთ ახლავ, რა რას სჯობია და ვიმოქმედოთ
ვინც მოლოდინში ჩამოაღამა, საქმეს დაშორდა ის უიმედოთ.

არტაქსი-
შენთვის იოლი არი მსჯელობა, კარგად არ გესმის საქმის მსვლელობა
მაგრამ იცოდე შენით და ჩემით, ხვალე იმატებს ორით მკვლელობა.
ამდენად ფიქრი გვჭირდება დიდი, ვის გამარჯვებას გაუდოთ ხიდი
სანამ იბერი მეფობს სომხეთში, სომეხი როგორ იქნება მშვიდი.
პართიელების გვიჯობს მეფობა, ერთი გვაქვს სახე, ჩაცმა და ქცევა
თან მზად არიან შემოსასვლელად არ დაგვჭირდება ხვეწნა და წვევა.
რომაელებმა თვითონაც იცი ხან ერთი დასვეს და ხან მეორე
პონტოელი და იბერიელი და მერე ისევ გაიმეორეს
ხვალ მეფობასაც გააუქმებენ, არხელაეს ხომ მოუწვევს ასე
სამეფოს ქმნიან და აუქმებენ, თან სულ მოგებით ადებენ ფასებს.

ტიგრანი-
მე მირჩევია სომეხი მეფედ, რად გვინდა მუდმივ უცხოტომელი
ოქროს მხვეჭელი და მამებარი, ჩვენი ქალების უბეს მმრომელი.
ღმერთს ვევედრები მოკლა რადამისტ და მითრიდატე ზედ მიაყოლო

უცხო ტომელთა ჩვენში მეფობას სამარადჟამოდ მოუღო ბოლო.
არტაქსი მუდმივ ჩვენში პირველობ, განა მეფობა არ შეგიძლია?
ზენონ, არშაკი თუ მითრიდატე ჭკუით და ხერხით რომელმა გძლია?

არტაქსი-
ერთია აზრი და მსიწრაფება, სხვა, რაც მოხდება რას ემგვანება
ჩვენი ვალია ფრთხილად მოქცევა, რომ არ აგვიხდეს ავი ზმანება.
ერთზე შევთანხმდეთ, რაც უნდა მოხდეს, დედოფალი გვყავს მოსაცილები
იბერი მეფე და დედოფალი, არ ეყოლებათ სომხის შვილები.
თან ქალის გამო ატეხეს ბრძოლა, ორივეს უნდა მახინჯი ცოლად
თუ ქალი მოკვდა და თუნდაც ერთი გახდა მის გვერდით წამოსაწოლად
უკვე მოგება არი საქმისა, ახლა ვიფიქროთ მეფის თუ ერმისა?
ერმას სიმულვილი დასდევს მამისა, მითრიდატეს კი იმედი ძმისა.
მაშ მითრიდატეს სიკვდილი გვიჯობს, რადამისტს არვინ მიეხმარება
კიდეც რომ შეძლოს დღეს გამარჯვება, არ ეღირსება მას ნეტარება.
ამიტომ ჩვენი დიდი ვალია, სამივეს სიკვდილს შევუწყოთ ხელი
თუ არ გამოვა, არი მთავარი ქალს დავუმოკლოთ წუთისოფელი.
ამ წუთში მისთვის არვის სცალია, ამ წუთს სჭირდება გამოყენება
შენ მეფეს სდიე, მე ქალს მივყვები დაე აღსრულდეს ღმერთების ნება.
*/ვორნის ციხის კართან. ეტყობა მსხვრევის და ომის კვალი. პრეფაქტი ცელი პოლიონი, ადუა და ჯაყელი. შორს არიან მეომრები, დიდებულები/.*

ცელი პოლიონი-
ეს გამარჯვება მომილოცია, თუმც დამარცხების არი ტოლფასი
ერთი ტკივილი თუ გავიყუჩეთ, გამოგვიჩნდება ნაცვლად ათასი.
მე ვერ ვიანდე ასე უეცრად საიდან გაჩნდა მესხების ჯარი
შემოუტიეს თავგადადებით, ციხის დამცველებს დაეცათ ზარი.
ამ დროს დილეგის კართან ვიყავი თან მახლდნენ მცველი რომაელები
სომეხ დარაჯებს მოვუღეთ ბოლო, საკანის გავხსენ მუხის კარები
ჩვენ გასაქცევად ვემზადებოდით, ვგეგმავდით რა გზით დავუსხლტებოდით
ციხე სიმაგრე დაცული არი, ვიცოდი ბრძოლას ვერ ავცდებოდით.
ამ დროს მომესმა ჰკა მაგასაო და რადამისტის გამოკრთა ლანდი
მდევრებს ჯიქურად იგერიებდა. მდევრებისათვის მე არა ვჩანდი
შევეხმიანე, გადმოხტა ჩემკენ და მერე ერთად ვკაფეთ მდევარი
შემოგვიერთდა მამა და შვილი ბაგრატიონი, ხარი ყევარი.
ერთხანს გალავანს რომ გადმოვხედე, მესხების ჯარი კართან დავლანდე
რომაელ მცველებს მივეც ბრძანება, კარიბჭის გახსნა იმათ მივანდე.
შემდეგ ბრძოლაში ისე გავერთე, ველარ გავიგე დილა-საღამო

შემდეგ, როდესაც გონებას მიწვდა გავიმარჯვეთო სიტყვა საამო
აქეთ წამოველ, მითხრეს გიცდიან მთავარსარდალი, მასთან ჯაუელი
მოხარული ვარ თქვენთან შეხვედრის, ამ სიხარულში მეც მიდევს ხელი.

ადუა-
თუმცა უცხო ხარ ჯიშით და სისხლით, სიტყვით და საქმით ხარ ნათესავი
ფიცი გავცვალეთ, სისხლი გავცვალეთ, საერთო გვქონდეს ტკბილი და ავი.
როდესაც მეფემ შარის მოდებით, ცილი დამწამა და ბრალი დამდო
გონების ძალით დარბაზში მყოფნი გადავითვალე მტერი და სანდო.
მეფის ბრძანებას დავემორჩილე, იმ დროს ასეთი ვირჩიე ხვედრი
თან ვლოცულობდი ერთგულში ორგულს ნუ დამანახებ უფალო გვედრი.
მესხთა კაცობის იმედი მქონდა, შენი პრეფექტო, თავადაც იცი
არც მიღალატა არავინ ჭირში, ვისაც შევეკარ კაცური ფიცით.
მე ის მადარდებს, ჩემი სასიძო მძიმედ დაჭრილა სასტიკ ბრძოლაში
ჩემ სასახლეში გადავიყვანე, თან აქიმები ვაახლე გზაში.
საცოლე ადგას თავს განუყრელად და როცა გმირი ფეხზე დადგება
დიდი ქორწილი მოგველის ყველას, გადავადება აღარ ეგება.
ახლა მთავარი მაინც სხვა არი, სომხებს გვჭირდება ფიქრი და განსჯა
გადასაწყვეტი არი სასწრაფო, მოღალატეთა დაჭერა, დასჯა.
მეფე-დედოფლის მკვლელთა მოძებნა, მეფის მაგიერ მეფის არჩევა
თუ ვერ მოვძებნეთ შინ ღირსეული უნდა ვიჩქაროთ გარედან წვევა.

ჯაუელი-
მესხები წუხან, იყო ბრძანება მითრიდატესთვის არ ეხლოთ ხელი
გამოვიკითხეთ ვინ მოკლა მეფე, ყველას უარი მეჩვენა წრფელი.
მე გამოვრიცხავ, რომ თქვენ მეფეზე ვინმე ჩვენგანმა ხელი აღმართა
უსამართლობა თუმცა ჩვეოდა მესხთაგან ზოგის შური ემართა.
ორმაგად უნდა გამოირიცხოს თქვენ დედოფალზე ხელის ამღები
ქალთან მეომარს გაუხმეს ხელი, აღარ ეღირსოს ფეხზე წაღები.

ადუა-
არავინ იცის ცხარე ბრძოლის დროს მეფე-დედოფალს ვინ დასცა ხელი
მხოლოდ ღმერთები საზღვრავენ ზეცას, ვის როგორი აქვს წუთისოფელი.
ცელი პოლიონს დავეთანხმები ათას სატკივარს მოგვიტანს ხვალე
ტახტი უმეფოდ დარჩენილია, მეფის არჩევდა გვჭირდება მალე.
დიდებულებმა შემომითვალეს, ასეთი არი მათი მტკიცება
დღესვე მოთავდეს მეფის არჩევა, გვირგვინის დადგმა და დაფიცება.

ჯაუელი-
თუ ასე არი აქა ხარ თავი, დღეს შენ ხელთაა ძალა, უფლება
სხვა ღირსეული ვინა გვყავთ სომხებს, სამეფო სახლს რომ დაეუფლება.
ჩვენ მხარს დაგიჭერთ, ზურგს გაგიმაგრებთ, უარის თქმასაც ვერვინ გაბედავს
შენ ხო გვითხარი, ჩვენ დაგსვავთ ტახტზე, ეს შეგვიძლია, უფალი ხედავს.

ცელი პოლიონი-
რაც ჯაუელმა თქვა, ჭკვასთან ახლოა, ერს და ქვეყანას სხვა რაღა უნდა,
არტაქს, ტიგრანი გაქცეულია და მათთან ყველა, ვინც გვტყორცნა გუნდა.
დღეს სასომხეთში არ არის კაცი, რომ მეფობისთვის ჯიში მოდგავდეს
ხომ ვერ დაჯდება ტახტზე უგვარო, რად გინდა მეფე, მონას მოგავდეს.

ადუა-
მადლობელი ვარ, რომ იბერებმა და შენ პოლიონ ღირსად მიცანი
მაგრამ მე უფრო შორს ვიყურები, უფრო დიდია ჩემი მიზანი.
ახლა როდესაც მეფე მოგვიკლეს და დედოფალი ზედ მიაყოლეს
ღვთით კურთხეულზე აღმართეს ხელი, სული გატანჯეს და აიყროლეს,
აქ დარჩენილებს გვჭირდება ფიქრი, ასე უჩუმრად რატომ მოქარგეს
რა გაუკეთეს ამით ქვეყანას, ვის რა დააკლეს და ვის რა არგეს.
თუმც მეფე იყო სასომხეთისა, ხომ მაინც იყო ჯიშით იბერი
მისი ძმა იყო იმათი მეფე, როგორ შეგვხედავს მეფე და ერი?
დღეს თუ სომეხი დაჯდება ტახტზე, ნიშნავს მაშინვე ომის დაწყებას
ვინ დაუდგება ფარსმანს საჯიჯგნად, ზედ მიაყოლებს სომეხთა წყებას.
არც რომაელებს მოეწონებათ, დღეს ქვეყანაა მათი არჩივი
ქვეყნის მეფობას ვინ გეკითხება, მეტყვიან რას სდევ, რას იბრძვი, ჩივი
ვინაც დაჯდება სამეფო ტახტზე, მეფის მკვლელობა მას დაბრალდება
რომაელია თუ იბერია, ასე არ მინდა მათგან ხელდება.
დღეს ისე არი აქ ვითარება, თუ ჭკვა აქვს სომეხს, არ გამეფდება
საქმის ასეთი შემობრუნება მხოლოდ პართიას გაეხარდება.
ახლა თუ იმას ვიანგარიშებთ, იქ გადიხვეწენ არტაქს, ტიგრანი
გააქეზებენ პართიის მეფეს, ატუდება ომი, არ გავა ხანი.
ამიტომ გვიჯობს მოვიქცეთ ასე. მეფობა მივცეთ მეფის ჯიშისას
მეფის ძმის შვილი ვცნათ მის მემკვიდრედ, რატომ ვეძებოთ უცნობი სხვისას?
ჯერ ერთი არი შემმართებელი, კაცი ჭკვიანი, ძლიერი, ქველი
არი იბერი, მათი მემკვიდრე და რომაელთა მარჯვენა ხელი.
მეორეც, მებნა შორს აღარ გვინდა, მეფის დარბაზში ბიძა-დას გლოვობს
დამწუხრებული, ცრემლშეუმშრალი, მკვდრებში ჩამჯდარი, სიკვდილთან ტოლობს.
მისი მეფობით თუ რამ იცვლება, უფრო მტკიცდება ჩვენი კავშირი

ფარსმანი ხომ შვილს ტახტს არ წაართმევს და მისვლა-მოსვლა იქნება ხშირი.

ცელი პოლიონი-
მაგრამ ხომ იცი მამა-შვილს შორის სიძულვილი და გამოკრთა მტრობა
იქ უპირებდა დაჭერას, დასჯას, აქ რად ექნება ვითომ მოუვრობა?

ადუა-
შენ რასაც ამბობ მართალი არი, მაგრამ თუ იცი საკითხის ძირი
ერთია როცა ახლა ხარ ავად, და მეორეა მოხდილი ჭირი.
ფარსმანს ეჯერა შვილის ღალატი, სანამ ის მესხეთს თავს აფარებდა
დალმაციოს და ლივილას შური სადაც ვიდოდა ფეხდაფეხ სდევდა.
დალმაციო ხომ იმსხვერპლა ენამ და რადამისტიც შორს განერიდა
თუ კი მეტოქედ მიაჩნდა შვილი, ის დაწუნარდება ამიერიდან.
მე სხვა მადარდებს, დიდი სენეკა, როგორ შეხედავს მეგობრის სიკვდილს
მთავარი არი როგორ ეტყვიან, როგორ მიიღებს ამბავს იქ მიწვდილს.
ამიტომ როგორც საქმეს გავჩარხავთ, ამბის მიმტანად შენ გამოდგები
უმი კვადრატი შენ მხარს დაგიჭერს, სხვა აღარც გინდა საქმის გამგები.
ეტყვი რადამისტ ზის უკვე ტახტზე და მისი შეცვლა თუ მოინდომეთ
პართიას მისცემთ ომის მიზეზებს, სანამ გადაწყვეტთ, კარგად გაზომეთ.

ცელი პოლიონი-
შენ მართალი ხარ, მიტომ მიყვარხარ დიდი გაქვს ძალა და სიტყვის წონა
დაგეთანხმები და მხარს დაგიჭერ თუმცაღა ერთი არ მომეწონა.
საიდან გაჩნდა მესხების ჯარი, როდის რა მოხდა, როგორ იანდეს
მათი აქ ყოფნა არვინ ვიცოდით და ჩვენი ბედი როგორ მიანდეს.

ჯაყელი-
რაც შენ არ მოგწონს სწორედ ის არი ფრთხილი, გათვლილი და მოსაწონი
არ მიაქციე შენ ყურადღება, მესხეთს ადუამ ასე თქვა მგონი
გორნის ციხეში რომელიც მივა, ის გაებმება რამე მახეში.
ეს რომ რადამეს არ გაეგონა ჩაცვივდებოდით საშინელ დღეში.
აქ წამოსვლის წინ მიბრძანა ცალკე მე დამეფარა უკან სავალი
რათა იოლად გადაგველახა რაც იყო თავზე გადასავალი.
ამიტომ იყო რომ ციხის ახლოს ტყეში დილიდან რაზმი დავმალე
როგორ მოხველით, რამდენი იყავთ, მტერი, მოყვარე ყველა დავთვალე.
და როცა უკვე საჭირო გახდა, სწრაფად წამოველ შესამუსრავად.
რა აჯობებდა ამ ძნელ საქმეში და რა არ მოგწონს განსაზღვრე თავად.

ცელი ჰოლიონი-
ახლა ბევრი რამ გასაგებია. წინასწარ თურმე ემზადებოდით
მაგრამ როდის, სად უნდოდა დარტყმა გარეთ მეოფები როგორა გრძნობდით?

ჯაეელი-
მე რადამესის მოქცევა ვიცი, თუმცა უცხოსთვის საოცარია
მასთან მტრობაც კი საამაეოა, ტკბილდება ის რაც სხვასთან მწარია.
ის რაც ადუამ წინასწარ იგრძნო, ბატონიშვილმა საქმედ შეიცნო
როგორ, სად ანდა რა მოსდებოდა ჭკვიანის გულმა წინასწარ იგრძნო.
მესხეთს ეოფნისას უთხრა კალმახელს, გვითხრა რა არი ჩვენი ნიშანი
ამიტომ შორით როგორც დავლანდე, ხიფათი იეო გამოვიცანი.
და არც მოვტეუვდი, არც დავაეოვნე, მე ასე მჯერა, დროით მოველი
დაუდევარი ბედს ელოდება, მცდელია მუდამ ბედის მქსოველი.

ცელი ჰოლიონი-
ახლა ბოლომდე გასაგებია. ვერ მივხვდი თუმცა ვიფიქრე ბევრი
რად გამოაკლდა მესხთა შეკრულ გუნდს, მძიმე წუთისას მოთავე წევრი.
ერთხანს მეგონა შეშინდა იგი, მერე ვიფიქრე დაზოგა თავი
ალეაში მეოფმა სისუსტე იგრძნო გულმა აცნობა ზმანება ავი.
რადგან ეოველი კეთილად მორჩა, ნიშნავს კეთილად იეო ჩათქმული
ბრძენი ეოფილა ბატონიშვილი, მსახვრელი ხელი, კეთილი გული.

ადუა-
ჩვენ მირითადი კარგად განვსაზღვრეთ, კარგად ვიომეთ, ოფლი დავღვარეთ
ღირსეულ მეფეს ტახტზე ავიევანთ, საქმეს გავჩარხავთ შინა თუ გარეთ

ჯაეელი-
ჩვენი თათბირი სიტევაა მხოლოდ, მოქმედებაა მუდამ მთავარი
თან რადამისტის არ ვიცით აზრი, მისგან თანხმობა და ან უარი.
სამეფო ტახტი მას ისეც ელის, იბერთ სამეფო მისი ხვედრია
დიდის მქონებელს რად უნდა მცირე, ისიც საბრძოლო და საეჳედრია?

ადუა-
შენ კარგად მოსჭერ, ეს ვერ ვიანდე, მაგრამ სხვა არ გვაქვს გამოსავალი
ან რადამისტი გახდება მეფე, ან წაგვეშლება სიცოცხლის კვალი.
ვინც უნდა იეოს, სხვა თუ მოვიდა გინდ მონა გახდი, გინდა იშვილე
ის არ გახდება თანამოაზრე, თანამზრახველი და მონაწილე
რადამისტი კი ჩვენია ვიცით და თუ ჩვენია ამავ დროს მალა

რად დავიშალოთ, რატომ დავსუსტდეთ, რად ჩავიკეტოთ კოშკებში ცალად.
მე ასე ვფიქრობ არტაქს, ტიგრანი თუ ჰართიელებს მოუმღვებიან
ჩვენი მამული გახდება მათი, ჩვენი სისხლის სმით ვერ გამღებიან.
ამიტომ გვიჯობს მომეცით ნება და თუ თანხმობა მეცოდინება.
დიდებულების ნაწილს ვიახლებ, ზოგს აქ დავტოვებ არ მინდა ხლება.
რადამისტს თვითონ ავუხსნი სათქმელს, ვეტყვი რა არი მოსალოდნელი
თან შევეცდები აქ მოვიყვანო, სადაც მოელის ჰრეფექტი ცელი
და თუ დამთანხმდა ერთად ვეაჯოთ, რათა შეაშროს ცრემლები თვალებს
იმედი ბედის მონახევრეა, უიმედოებს ბედი აწვალებს
*/ადუა გადის. შემოდიან სომეხი დიდებულები/.*

ცელი ჰოლიონი-
თუ გამოვიდა რაც ჩავიფიქრეთ, თუ რადამსიტი ტახტზე ავიდა
გვინდა ფარსმანის დაშოშმინება, შვილს არ დაუწყოს შარი თავიდან.
სამძიმარია თანაც სათქმელი, ერთად დაკარგა მმა და ასული
რას იმოქმედებს უნდა ვიცოდეთ მწუხარებისგან წრეგადასული.

ჯაუელი-
დაველოდები მეფის არჩევას და როცა ყველა ჩამოთავდება
დავუბრუნდებით მესხეთის მხარეს, დარჩენა კიდევ არ ევარგება.
მაშინ გადავწყვეტთ, ბაგრატიონი და მე მცხეთისკენ გავეშურებით
იქ გამოჩნდება ფარსმანს რას ვეტყვით. ვერაფერს ვარგებთ ასე ყურებით.
ბაგრატიონმა იცის მისი ზნე, რომ რადამესის კლავს სიყვარული
ბოროტმა ენამ გააგულისა, კეთილმა ენამ მოწმინდოს წყლული.

ცელი ჰოლიონი-
შორს ვიყურები. თუ იბერია რომის მხარეზე მტკიცედ დადგება
არ ვისარგებლოთ ამ სიძლიერით და არ დავცხოთ მტრებს, არ ევარგება.
სინამდვილეში ხომ ასე არი, ჩვენ სასარგებლოდ დაჰბერავს ქარი
კარგი იქნება თუ ჰართიელებს დავუგუგუნეთ სიკვდილის ზარი.
და თუ ჰართია მოვინადირეთ, ინდოეთამდე გასწვდება ხელი
რომის დიდება ყველგნით მიაღწევს, ჩვენი გახდება წუთისოფელი.

ჯაუელი-
ჩვენ კი ვსაუბრობთ და აზრებს ვაწყობთ, მაგრამ რა არი ერის სურვილი?
უნდათ იბერი მეფედ თუ არა, ვისი აქვთ ხიბლი და კლავთ წყურვილი
კარგი იქნება გაირკვეს თქვენში, ჩვენ კი მესხები განზე გავდგებით
თუმც სხვა სხვის ომში მუდამ ბრძენია, ამ არჩევანში ვერ ჩავერევით.

ცელი პოლიონი-
ხომ მოისმინე ადუას სიტყვა, ეგ არი ერის ძალა და თავი
როგორაც იტყვის ის უნდა ერსაც, არა ჭირდება ზედ მოსართავი.
რომაელებს რომ ამ გზებით ევლოთ, სად, ვის, ვინ სურდა ხელისუფალი
აქამდე როგორ ჩამოვაღწევდით, დაგვევსებოდა რომშივე თვალი.

ჯაუელი-
თქვენი თქვენ იცით, ჩვენ კი მაშინვე, როგორც მორჩება მეფის არჩევა
მესხეთში წავალთ, ხანგრძლივ სტუმრობის არც სურვილი გვაქვს და თან არც ჩვევა
*/შემოდიან ადუა, დამწუხრებული რადამისტი, ბაგრატიონი, თმოგველი, კალმახელი, სომეხი დიდებულები/.*

ადუა-
კარგად მისმინეთ. აქა ვართ ყველა, გვაკლია მხოლოდ მოღალატენი
კაცი თვით საზღვავს ვის მიენდობა, ვისი გულისთვის დალიოს დღენი
ყველა ერთგული და მოყვარული აქ არი რათა ერს ემსახუროს
ზოგის ვალია საკითხის ცოდნა, ზოგმა გაიგოს, ზოგმა უყუროს.
ჩვენი სამეფო დაობლდა უცებ, მოგვიკლეს ღმერთთა მირონცხებული
ერის სამზეოს და საკეთებელს გადაეფარა საღამოს რული
დავრჩით უმეფოდ და უპატრონოდ და რა მოგველის არავინ იცის
ერს თავი უნდა ღვთით კურთხეული, პატრონი მიწის ჩვენი საფიცის
წყალობა არი დიდი, მძიმე ჟამს, ამით მჟღავნდება ღმერთების ნება
რომ მითრიდატეს ჯიში და სისხლი, ამ გამოცდის ჟამს, აქ იმყოფება
მას უნდა ვთხოვოთ და დავუჩქაროთ, რომ აგვაცილოს ეს განსაცდელი
სომეხთა ნება ურყეველია და სურვილია ნათელი, წრფელი
რომ ჩვენ სამშობლოს შენ უპატრონო, შენ გახდე ჩვენი შემწე და მცველი
გამოგვიწვდია ხელები შენკენ, გამოგვიწოდე სანაცვლოდ ხელი
მოგვეც თანხმობა, რათა სამეფო არ წაგვექცეს და დაგვემხოს თავზე
უღელტეხილზე ვართ ასულები, ერთად ვიზრუნოთ გადასავალზე.

ცელი პოლიონი-
ბატონიშვილო, ასე მოგმართავ, ფიქრით, კამათით ვიღრმენით ტვინი
რომ უღირს ვინმეს არ დარჩენოდა დიდი სომხეთის მეფის გვირგვინი.
სომეხთა აზრი ერთიანია, ამას დაერთვის რომის თანხმობა
უნდა ავიდეს ტახტზე ისეთი რომ არ დაგვჭირდეს შორიდან ხმობა
ვინც ჩაითვლება მეფის მემკვიდრედ, რომის მეგობრად, იბერთა მომმეთ,
ერს გაუძღვება, მტრისგან დაიცავს და არ იქნება უსიტყვო მოწმეთ.

ვის ჯანი მოსდევს და შემართება, მეფური აღზრდა და განათლება
სომეხთა თავებს და მათ მეგობრებს ვისთან ყოფნა არ ეთაკილება.

ადუა-
დავუმატებდი კიდევ ერთ სათქმელს, ყველას მოსმენა თუმცა ძნელია
დიდებულების მაუწყეს აზრი, ყველასთვის ვფიქრობ სანატრელია
რომ რადამისტი ავიდეს ტახტზე ვით ერის მამა და წინმავალი
რათა განივთდეს ქვეყნის მიზანი და მოღალატეთ დაევსოთ თვალი.
სოფლებს გახედე, ციხე, ქალაქებს წინ მიმავალი ყველას სჭირდება
და თუ ქვეყანა ერთიანია, წინსვლა აროდეს გაუჭირდება.
თუმცა დაგვასვეს მძიმე ლახვარი, მეფე-დედოფალს უმოკლეს დღენი
უნდა შევიშროთ გლოვის ცრემლები, დავსახოთ საქმე გამოსაჩენი.
ერის ნებაა წინ შენ გაგვიძღვე იყო სომეხთა ღმერთთა რჩეული
ვინც გიღალატოს დიად საქმეში ჩვენგან ჩვენ შორის იყოს წყეული.
მე დავიფიცავ ერთგულებაზე, ასევე ქვეყნის დიდებულები
ვფიცავართ ვიყოთ შენი მსახურნი შენგან მხსნელობით კარდაცულები
*/ადუასთან ერთად სომეხი დიდებულები იჩოქებენ/.*

რადამისტი-
ზოგჯერ ხოს თქმა სჯობს კაცურ საქმისთვის და ზოგჯერ არა მეტადა ფასობს
არას მაგიერ თუ ხო წამოგცდა ბევრჯერ ცოხვრება ეკალს დაგასობს
ასეა ახლაც. მე კარგად მესმის წისქვილის თვალი საით ტრიალებს
ხვალეს წამართმევს ხოს დამახილი, არა კი დღესვე გამატიალებს
რა ბედენაა წუთისოფელი თითებზე ვთვალო დღესვე ან ხვალე
ზეგ სხვა დადგება ამ სამსხვერპლოზე როგორც კი ბოლოს დავხუჭავ თვალებს
ერთი რას ნიშნავს, თუნდ იყოს მეფე, როცა იცვლება მრავალთა ბედი
აქ მთავარია არა შინათქმა, არამედ ერი და შემოქმედი.
ქვეყანა დარჩა დაობლებული, აქ ჩემი ბედი არცა ღირს ჩირად
თუმცა საერთოს მოფარებული, ხშირად საკუთარს ვაფასებთ მვირად.
მე დღეს დავკარგე სიცოცხლის არსი და მოთქვამს გული გაორებული
ერთ კერძ საერთო, მეორე კერძო, საფიქრესატანჯი, უპირო წულული.
არ დაგიმალავთ ამ დანაკლისმა ჩამიქრო სხივი, წამიღო ღონე
ნუგეში მინდა, არსაიდან ჩანს, ვცდილობ და ვერც მე გამოვიგონე.
თან ვუკვირდები ვინც იყო მეტი ცხოვრებამ ისიც არ გაახარა
მძიმეს თუ გასრესს ბედის სიმძიმე, მსუბუქს ხომ გასრესს ორმაგად ჩქარა
ამდენი მესმის და ამის მერე თუ მაინც ხო ვთქვი ღირსი ვყოფილვარ
როგორ ფასს დავდებ ჩემ ნამოქმედარს, სხვათა თვალშიაც იმგვარად ვღირვარ.
ამავ დროს ვიცი, სხვა ხელმწიფენი ამ გამეფებით რას მოიგებენ

ადრე თუ გვიან ნახავენ დრო-ჟამს, ამ ნამოქმედარს გადამაგებენ.
წარსული გვითხრობს, ჩვენთა წინაპართ სანამ ხელთ ეპყრათ ხეთა ქვეყანა
შინ თუ გარედან იმდენი უმტრეს მისმა დაცემამ არ დაახანა.
ბევრი სამეფო შექმნეს სანაცვლოდ, ბევრი სცადეს და ბევრი იომეს
მაგრამ დუშმანი არ ისვენებდა არ წაართმევდა სანამდე ღონეს.
კოლხთა სამეფო ბრწყინავდა ერთ დროს, იმდენჯერ სცადეს, რომ მიწას დასცეს,
პონტონს სამეფო ძალით ვერ სძლიეს, ჭიად შეუჩნდნენ, შიგ ნიდან გასცეს
იბერიაა გადარჩენილი და მისი შური შფოთავს და ბორგავს
ზოგი აშკარად ილესავს კბილებს, ზოგი შორიდან მეგობარს მოგავს.
ის თუ დაეცა ალბანთა მოდგმაც უკვე თავისით განადგურდება
ხეს თუ შეარხევ მწიფეს მაგიერ, მკვახე ნაყოფი ხშირად ვარდება.
ძმას ვერ იტანდნენ იბერა მეფის, შვილს აიტანენ პართიელები?
დღეს რომაელებს ტკბილ სიტყვით ვბორკავთ, თუ გავუხსენით ხვალე ხელები?
თვითონ სომხეთიც გაყოფილია, ვინ თვლის ვის არ სურს ჩემი მეფობა
რად დამინდობენ გაქცეულები, ვინც არ ინდომა აქ მყოფთა ძმობა?
დღეს თუ სომხეთის გვირგვინი ვიპყარ, ხვალ იბერიას შემოვიერთებ
დიდი გახდება ჩემი ქვეყანა, გონებაც მომდევს დიდხანს ვიმეფებ
ახლა მითხარით განა ბევრს აწყობს საქმის ასეთი შემობრუნება?
გავმეფდები და ყველა გამწირავს, ასეთი არი კაცთა ბუნება.
მე თქვენიც მესმის, ქვეყნის საწუხარს ხვალე კი არა, დღეს უნდა შველა
ერთ მხარესაა ჩემი მიზანი და მეორესე იტანჯვით ყველა
თუ არა გითხარ დღეს ილუპებით, თუ ხო გითხარი, მე მკლავენ ხვალე
ერთი ერთია, მაინც ერთია, რად ღირს თუ ყველას ვერ ვენაცვალე?
*/ართმევს ადუას გვირგვინს და იდგავს თავს. რადამისტს გამეფებას ულოცავენ/.*



სერაფიტი

**138წ.**

*/მცხეთა. იბერიის სამეფო კარი/*

**სერაფიტი–**

ეზოს მომღვარი, კარის მსახური, უშნო, უჯიშო და უსახური
ქმრად განმიწესეს, რომ სასახლეში არ ამტყდარიყო აურ–ზაური
ფარსმანის ძეა თუმც მითრიდატე, ტახტის მემკვიდრე, ბრძენი და გმირი,
თუ არ ინებეს ღმერთებმა შველა, მისი ნადავლი იქნება მწირი.
მეფე არ ტყდება და ტახტს არა თმობს, შვილს გზა უტიოს ამდენს ვერა გრძნობს
თავისი, სხვისი საკუთრად უნდა, შვილებს არ ინდობს, ნათესავს, ნაცნობს.
ჰართიის ლომმა, ვოლოგეშ მეფემ, როცა უფლისწულს შველას შეჰირდა
მოიმკა მხოლოდ ომი და ნგრევა, დათმო რაც სურდა, ძვირად უღირდა.
სომხეთის მეფე იძულებული, მის ფერებაში ათენ–აღამებს
ტახტის მოცილედ მიიჩნევს ყველას, უგემოდ ფლანგავს სიცოცხლის წამებს.
მგელია ხარბი,–ქველს უმახიან. ო, ფარსმან დიდი, ო, ფარსმან ქველი,
უძღები და გაუტანელი, ქველი კი არა, მგელია, მგელი.
მე კი დამინდო? როცა გაიგო ჩემდამი შვილის მძაფრი ტრფიალი
თითქო ალანნი შემოესიენ, გარს დააყენა ორომ–ტრიალი.
სულის ამოთქმა აღარ მაცალა, სატრფოს მომწყვიტა და გამაწვალა,
ბებერს მიმიგდო მალა გამოცლილს და ბედს მაწია, ასე ჩათვალა.
იოდმანგანს კი შეჰყრია ჭირი, სული აქვს წვრილი, სამოსი ძვირი,
სარეცელია ბინძური, ცივი, როგორ მოვძებნო მისი ნაჰირი?
მითრიდატე რომ ავიდეს ტახტზე, ჩემ დედოფლობას მისცეს სამანი
უნდა დაეცეს ღმერთების რისხვა, თან წაიყვანონ მეფე ფარსმანი.
ჰართიის მეფემ მისი მოწამვლა ერთხელ კი სცადა და ვერას გახდა.
რასაც ვუყურებ, ვისაც შევნატრი, ყველა ფარსმანის მცდელობით წახდა.
მაგას რომ ვინმე მომაშორებდეს. უნდა მოვსინჯო ქმარი თუ მტერი
ეგ თუ დაეხსნა ამ წუთისოფელს, საქმე მექნება გულით სამღერი.

*/შემოდის ხსეფარნაკი/*

**ხსეფარნაკი –**

გული საგულეს როგორ ჩავტიო, ენას სიჩუმე ვით ვაჰატიო,
როცა დარბაზში ნარნარებს მთვარე, ღმერთქალის ცალი და ნახატიო.
შენი დანახვა სიამით მავსებს, მზერა ვერ ამჩნევს სხვას ტოლს და მსგავსებს,

შენი მოხვევნა სიცოცხლედ მიღირს, შენი დაკარგვა მომკლავს, დამავსებს.

**სერაფიტი—**

რა მოვისმინე, რა ჩასწვდა სმენას, განმეორება არ მალუმს ენას,
დიდი სარდალი, ქვეყნის იმედი, კარის მომღვრის ცოლს უპირებს ხვევნას.

**ხსეფარნაკი –**

კარის მომღვარი შენი ფარია და მეფის ნება ხელუკარები
შენ სადედოფლოდ დაბადებულხარ. მისმინე, გახსენ გონის კარები.
იოდმანგანი მოგვგვარეს მიტომ, რომ მითრიდატეს გზა გადულობეს,
ერთი დაკარგე, სხვა ვერ იპოვე, ეგებ ასეთ დროს სხვა ხერხი ჯობდეს?
მე კარგად ვიცი, თვითონ ფარსმანი შენ დანახვაზე ღელავს და დნება
შვილს მოგაშორა, თვით ვერ შეგირთო და ნახავ, მალე ხომ გამოჩნდება
დედოფალს დათმობს, შენ მოგიფერებს, შენ ლამაზ უბეს დაეუფლება,
როგორ მოიქცე, რა გაარიგო, შენ ერთგულს მომეც რჩევის უფლება.
იცი მომწონხარ დიდი ხანია, შენ მითრიდატე ჩემ თავს არჩიე.
ხან მიმიზიდე, ხან განმერიდე, შორით თვალთვალსაც კი შემაჩვიე.
ახლა, როდესაც სატრფო დაკარგე, გადედოფლება არ გეღირსება,
თუ არ იხმარე რაიმე ფანდი, თუ არ შებღალე ქალის ღირსება.
მე ხელს გთავაზობ სამოკავშიროთ, ერთად ვიფიქროთ, ერთად განვსაჯოთ.
ვინც გიერთგულებს,–შევუკავშირდეთ, ვინც გიღალატებს,–ერთად დავსაჯოთ.

**სერაფიტი –**

შენ ეშმაკობა მეტი გჩვევია, მეომარს ვიდრე ეს ეკადრება
წინასწარ იცი მეფის განწყობა, დათმობა, წყრომა და გაავდრება.
სარდალი კი ხარ, მაგრამ ბრძოლის ველს დარბაზის კარი რომ გირჩევია,
მტრების მაგიერ ქალებთან ომობ, ასეთ საქციელს მითხარ რა ჰქვია?

**ხსეფარნაკი –**

ერთნაირი გვაქვს ჩვენ ხასიათი, ამიტომ მიყვარს შენთან კამათი
ლამაზი ხარ და თან ჭკუა მოგდგავს, ტოლს ვერ დაგიდებს ვაჟკაცი ათი
მე კარგად მესმის შენი ფიქრები, და არა ვცდები, თავად მიხვდები
როცა მოგითხრობ რა გაქვს საერთო, რატომ დაგეძებ, შეგნატრი, ვკვდები.
ახლა მცირე დრო გვაქვს სასაუბროდ, მინდა იცოდე, გვქონდეს თანხმობა
გაგიჭირდება, გამიჭირდება, მტრობის სანაცვლოდ რომ იყო ძმობა.

**სერაფიტი –**

შენ მე მთავზობ საქმის ერთობას, მაგრამ რა ვიცი რა შეგიძლია,
ვინაც ფარსმანთან იხმარა ფანდი, ფარსმანმა იცი სულ ყველას სძლია.
რატომ გგონია შენ ხარ ჭკვიანი, საქმე გაქვს დიდი და აზრიანი,
ეგება ჯობდეს თავი ანებო, რომ აღარ იყოს მერე გვიანი?

**ხსეფარნაკი –**

ფარსმანი ახლო ნათესავია, ერთი გვაქვს ჯიში, ჩამომავლობა
ფარნავაზიანთ სიდინჯე მოგვდგევს, მიტომ არმაზის გვფარავს წყალობა.
შენ როგორ ფიქრობ, რომ არა ფარსმან, მეფობა მე არ დამშვენდებოდა?
იოდმანგანის ცოლობის ნაცვლად შენც დედოფლობა მოგიხდებოდა.
ახლა იაზრე. ფარსმანის მერე უნდა გამეფდეს მითრიდატ ბეცი,
ვინაც შენ დაგთმო, გაგცა, გაგყიდა, ვითომც იყაცი მეძავი მხეცი.
როგორ გგონია, თუ გამეფდება, შენ მიგიყვანს თუ სხვა ლამაზს ვისმე
მე კი სულ სხვა ვარ, არ ვუცდი ხვალეს, შენს ცოლობაზე ვთანხმდები მყისვე.
ვიცი რომ გულზე არ გახატივარ, მაგრამ მე ვარ გზა შენი დიდების,
გირჩევ მაგ ბავშურ გაბუტვა-ქირდვას, საქმე დავიწყოთ ღირსი დიდების.
მე ბევრს  არ მოგთხოვ, იყავ როგორც გსურს, იცხოვრე შენი ვნების ნებაზე,
როგორც დედოფალს ვინ გაგიბედავს აუგს თუნდ ავის წამოწყებაზე.

**სერაფიტი –**

ისე საუბრობ, თითქო ფარსმანი, ხვალვე დაგითმობს ტახტს და მეფობას
და მითრიდატეც აღარ არსებობს, მისდევს იმ ქვეყნის გაუვალ გზობას.
ესეც რომ იყოს, ამაზასპია უფროს ძმის მერე ტახტის მემკვიდრე
შენ გაუბედავ აუგად რასმე? უმალ თავს მოგჭრის, იანდებ ვიდრე.

**ხსეფარნაკი –**

ამაზასპი დღეს მალზე შორსაა, ვერც დაბრუნდება, კიდეც უნდოდეს,
პართიას ებრძვის კასპიის ბჭესთან, რა აბრძოლებდა ტვინი რომ ჰქონდეს.
პართიის მეფე უჩივის ფარსმანს, შუაში დგება იმპერატორი
რომში განხილვა შედგება საქმის, ფარსმანს მანძილი წინ უდევს შორი.
არიანეა ელჩად მოსული კაპადოკიის მხარის მმართველი
საჩუქრები აქვს ჩამოტანილი და სატევარზე უდვია ხელი.
როგორ იქნება, რა გადაწყდება დღეს გაირკვევა ამავ დარბაზში,
ფარსმანი თუ კი რომს გაემგზავრა. მე გეზს შევიცვლი აზრის ნახაზში
მარტო არ წავა, თან ვინ გაჰყვება. ამაზასპი კი შორსაა მალზე

ბრძოლიდან ყველა ვერ დაბრუნდება. კოკა იმსხვრევა მავალი წყალზე.
მაშინ მჭირდება შენი ქალობა, რომ მითრიდატეს მოვუღო ბოლო,
დიდი ფარსმანის ვარ შვილთა შვილი, ფარსმანი ქველი უნდა ჩავქოლო.

**სერაფიტი –**

შენ რატომ ფიქრობ ამ აზრს ავყვები, სატრფოს გავწირავ მოხუცის წილად,
სიკვდილი არი ღალატის ფასი, როგორაც უნდა მოიქცე ფრთხილად.

**ხსეფარნაკი –**

მე ხომ არ ვამბობ შენ მითრიდატე სიკვდილს მიეცი, დააღალატე
ასეთი სიტყვით მე გამყიდველად და არა კაცად რატომ დამხატე?
ჩემი აზრია სრულიად ცხადი, თუ რომში წავა ფარსმან დიადი,
მითრიდატე რომ დარჩეს შემცვლელად და მარტოობის მოსპოს წყვდიადი.
უნდა მის გვერდით იყო მუდმივად, ნაპრალთან მდგომის იქცე ბოგირად,
შევქმნათ ერთად მცველად და გზირად, მაშინ შეხვედრაც გვექნება ხშირად.
მე სხვა რა მინდა, დავტკბები მზერით, შენს დედოფლობას შევხედავ ლხენით
სიყვარულის  და სიამის ვალი, ვის გადუხდია შურით და წყენით?

**სერაფიტი –**

თუ რამ მესმოდა, გამიწყდა მაფი, ენა გქონია კარგად ნაჯაფი,
ისე გამოდის მე ვარ შეთქმული და შენ სიმართლის დასცხე დაფ-დაფი.
დამალობანას მეთამაშები, კაცურად მითხარ, რას მემალები
მე თუ დედოფლად დავჯდები ტახტზე, რომ დავუყენო ყველას თვალები
არ დავიხევდი არაფრით უკან, ქაჯიც რომ იყოს, მასაც გავუგებ
მაგრამ ფარსმანის რქენა მნელია, ჭკვით ვერ აჯობებ, ომს ვერ მოუგებ.

**ხსეფარნაკი –**

კაცს გააჩნია ათასი ხერხი, ერთი ცუდდება, ხმარობს მეორეს,
აბა შეხედე პართიელებმა უკვე რამდენი გაიმეორეს.
მე რაც ვიზრახე, კაცი ვერ შემლებს, ლამაზი ქალის უნდა გონება,
შენ თუ მომყვები, საქმეც გამოვა, მე თუ რამ ქვეყნად გამეგონება.
მთავარი არი შენი თანხმობა, რომ არ დამჭირდეს სხვა ვინმეს ხმობა
ჩვენ ერთად შევმლოთ იმედის მყნობა, ჯერ აშენება და მერე თხრობა.

**სერაფიტი –**

შენ ამბობ რომში წავა ფარსმანი, გზას დაჭირდება საკმაო ხანი,
იმპერატორთან დავა, სტუმრობა, რთულია მისი ფიქრის საგანი.

უნდა ვაცალოთ საქმის გარჩევა, სხვა ვინ იტვირთებს გასაკეთებელს,
მერე კი ძნელი გადასაწყვეტი უნდა შეეძლოს მის ახლო მხლებელს.

**ხსეფარნაკი –**

კარგ ად ირჯები. მხოლოდ ერთია. სჭირდება საქმეს მხლებელი ქალი
ფარსმანი ახლო არ გაიკარებს თუ არ მიუვა გული და თვალი.
ახლა კი მოვრჩეთ, მთავარი არი, რომ შეთანხმება მიღწეულია
რაც საამოა შეთქმულისათვის, მისი მსხვერპლისთვის ივ ივ წყლულია.
ერთად არ გვნახონ, არა იანდონ, მერე მოგ მებნი, აგიხსნი წვრილად,
არსად რა დაგცდეს, არა შეგ ატყონ, მოყვარესთანაც იყავი ფრთხილად.

***/სერაფიტი გადის/***

წავიდა. ქალი მაინც ქალია. ნაწნავზე გრძელი მიტომ აქვს ენა
ადვილიც არი საქმის დაჭერა, მთავარია არ შეგ ატყოს წყენა.
თან სილამაზეს თუ უქებ ხშირად, მიართმევ რაიც უჩანის მვირად,
თავგ ანწირვაში მამაკაცს ჭარბობს, შენთვის სიკვდილი არ უღირს ჩირად.
ეს უბედური მითრიდატესთვის თავს გადადებს და გადაეგება,
სულელს ვერაფერს შემატებს ცოდნა, ჭკვიანს ამდიდრებს საგ ნის გაგება.
იოდმანგ ანი მჭირდება ახლა, რაც მე დავზოგ ე, უთხრას □ ქმარია.
ფარსმანს სიფრთხილით უნდა მოქცევა, რაა ზედმეტი, რა საკმარია.
თუ გამოვიდა რაც ჩავიფიქრე, ქალი თუ ფარსმანს ჩამოაშორებს
მისი ბოკვრებიც განწირულია, რომელი არი მკლავს გამისწორებს?

***/შემოდის იოდმანგანი/***

დაგ აგვიანდა, სად ხარ აქამდე,სად გ აგ ექცევა კერპი და ხატი,
მოსულიყავი, თავად გეხილა, მეფის მრუშობა, ცოლის ღალატი.

**იოდმანგ ანი –**

ნუ გ ამახსენებ შენი ჭირიმე, სისხლი ისეც დუღს და ჯავრი მახრჩობს,
ხან ვიტყვი მოვკლავ, ხან თავს მოვიკლავ, ხან ერთი ფასობს, ხან მეორე სჯობს.
ან რად მინდოდა ლამაზი ცოლი. ცოლი დავრდომილს რად მჭირდებოდა.
ფარსმანის ნებას ვერ წაუველი, თუმცა ვგრძნობდი ეს მოხდებოდა.

**ხსეფარნაკი –**

ბედზე ჩივილი ცუდი ჩვევაა, მებრძოლი არი ბედის რჩეული
კარგ თამადობას ვერ დაიჩემებს, სხვის ნასუფრალის ლოცვას ჩვეული.
შენი ვალია დაიცვა თავი, როცა კაცობას ურცხვად გ ითელენ

არ შეგიძლია? მიმართე მოძმეთ, როგორც სათიბში, ნახავ, მოცელენ.

**იოდმანგანი –**

გარკვევით მითხარ, როგორც მე ვიცი, ჩემი საწუთრო გარკვეულია,
ქარაგმულ ნათქვამს ის ეგუება, ვისაც ქარაგმულ გზებით უვლია.
მე გასარკვევი არაფერი მჭირს, ვიცი შემყრია სიბერის ჭირი
სარეცლის ფარდის დასამაგრებლად. კედელს შემტენეს გამხმარი ჩხირი.
მაგრამ გული ხომ მალუმად ფეთქავს, გონს არ ატყვია ბზარი ოდენი
ყველასი ყველა მახსოვს ზეპირად, სასახლის კარზე ვისაც მოდენი.
მითრიდატესი არა მაქვს წყენა, ჩემზე უადრეს შემოწყრა ზენა
მე არ მინდოდა, მასაც არ სურდა ამ სამარცხვინო ამბის ჩადენა.
მაგრამ ფარსმანი მაინც სხვა არი, ვერ დაიჭირა კაცობის ზღვარი
რძლად არ უნდოდა, მე რას მერჩოდა, უხმო, აზრითაც ვეგონე მკვდარი?
შენ მეუბნები სარეცელს მირცხვენს, ჩემ ცოლს საწოლში ეთამაშება?
მოვკლავდი, მალა აღმართს არ ხნავდეს, არ შემიძლია ამის დაშვება.

**ხსეფარნაკი –**

განა სხვა რამეს გეკამათები, დათვს შენს საწოლზე უდევს თათები
თუ ღონე არ გაქვს უთხრა სიმართლე, ნუღარ დაგცდება სიტყვა საქები.
უკვე გითხარი რა გზას დავადგეთ, შორიდან ცქერით არ ჩავხმეთ, ჩავჭკნეთ
უნდა მოვწყვიტოთ იმ ხის ნაყოფი რომელიც ერთად დავრგეთ და ვამყნეთ.
დღეს გადაწყდება დარბაზობაზე, რომელი წავალთ და რომელ გზაზე
იყავი მყარად, დამიდასტურე, ცალკ–ცალკ ვიმღეროთ ერთიან ხმაზე.
და როცა უკვე გვეცოდინება ფარსმანის პირით გულში დებული
არ დავაყოვნებთ, წლები გავიდა, ვართ საპასუხოთ გამზადებული.

*⁄სამეფო დარბაზი. ფარსმანი, ხსეფარნაკი, იოდმანგანი, მითრიდატე, არიანე ფლავიუსი, სვეტონი ტრანკვილი, სხვა დიდებულები⁄*

**არიანე–**

დიადო მეფევ იბერიისა, ვისაც მრავალი ყმის და მონებს
იმპერატორი გიგზავნის წვევას, დესპანი ვერას გამოიგონებს.
თან საჩუქრების გორა გაწვია, ფიცით შეკრული ხარ მეგობარი
მეგლი დაგიდგა მარსის ტაძართან ამხედრებული და მეომარი.
ელჩად მოვსულვარ უკვე მეორედ. ფეხბედნიერი ვიცი ელჩობა
საჩუქრად მომყავს სპილო ძლიერი, უძლიერესი რომ გვქონდეს ძმობა

თან ხუთას მხედარს, ბრძოლებში ნაწრთობს გიგზავნის დიდი იმპერატორი.
წერილი მომაქვს, სიტყვით მაბარებს, რომ რომს ჩახვიდე ვით სწორთან სწორი
ჩემ გვერდით მდგომი დამიდასტურებს გაი სვეტონი ბრძენი ტრანკვილი
საბჭოს მდივანი იმპერიისა, ქვეყნის მართვაში დიდი აქვს წვლილი.

**სვეტონი ტრანკვილი –**

მოხარული ვარ, ბედმა მარგუნა, მეორედ ვიყო შენი სტუმარი
დიდი ხნის მერე ვეახლო არმაზს, ზადენს ჩამოვკრა დიდების ზარი.
შენ სალოცავებს ვევედრო ისე, როგორაც წირე რომში ცერერას
ღმერთთა ნებაა ჩვენი კავშირი, ვერ გავექცევით ამ ბედის წერას
ადრიანეა შეხვედრის მომხრე. იმპერატორი სვებედნიერი
გაფიცებს ძმობას, არ თქვა უარი, არ მიაყენო წყენა მლიერი.

**მითრიდატე –**

ვიდრე მამა და მეფე იტყოდეს და გადაწყდება საკითხის ბედი
მინდა დავლოცო თქვენი სტუმრობა, მისი მიზანი და შემოქმედი.
ჩვენში ფლავიუს არიანეზე ბევრი საქები ჭორადაც თქმულა
კაპადოკიას განაგებს ბრძნულად, არც ერთ ბრძოლაში არ დამალულა.
მკლავი რომ უჭრის, გონებაც უჭრის, ერთგვარად ხმარობს ხმალს და კალამსა
თუ მეგობრობის აშენებს ციხეს, შიგ არ გაურევს ქვიშას და ლამსა.
მე ის მიცდია აფსარის იქით, სპერიდან პონტოს გადასასვლელზე,
კოტიორასთან. თემისკირასთან, ჩემგან ნაკრავიც ამჩნია ხელზე.
დღეს ჩვენში მხოლოდ მეგობრობაა, პირნათლად იცავს დათქმულ პირობას,
ნდობის სანაცვლოდ, რომში მიმავლებს, ეგვე გაუწევს საქებ გზირობას.

**არიანე –**

მადლობას გწირავ კეთილ სიტყვისთვის, მუდამ კეთილი გქონოდეს გზები
გქონდეს მგლის მუხლი, ვირის სიდინჯე, ლომის ფაფარი, მამლის ღეზები.
ნუ გავიხსენებთ რაც იყო უწინ, წყენა და ტკენა, მომეც, მოგეცი
ცხოვრება მიდის, მწარე მიჰყვება, ცუდს ვერ ივიწყებს შმაგი და ბეცი.
ტრაიანეს დროს, ზოგს აღარც ახსოვს, გვყავდა ასეთი იმპერატორი
ბევრჯერ ვიდავეთ, ვკენწლეთ და ვთალეთ და მერე დავთქვით – ვართ თანასწორი.

**მითრიდატე –**

ადრიანემაც სცადა მეტობა, გახსოვთ გვიბრძანა საომარ ხმაზე

როცა ფარსმანი იქ არ ჩავიდა უნდილად ხელი დაიდო ხმალზე.

**არიანე–**

პირველად მაშინ ვიყავი ელჩად, რა დამავიწყებს იმ დროს და ამბავს
სვეტონი იტყვის თავის წიგნებში და ადრიანეს ქებას მიაბავს.

**გაი სვეტონი ტრანკვილი –**

ჩემზე აუგი არავის დასცდეს, თორე დავწერ რაც არ მიწერია
თორმეტ ცეზარის ცხოვრებას მოვრჩი, ვთქვი რა ავია, რა სამღერია.
სალაღოდ ვამბობ ასე მსუბუქად, მაგრამ თუ სიღრმით დაუკვირდები
იტყვი საიდან იცის ყოველი, ბევრი რომ ვიცი ნუ გაკვირდები.
მე ადრიანეს არ შევეხები, არ მინდა ვჩხრიკო კარგი და ცუდი
სიტყვაც რომ დამცდეს, ქალს დაბრალდება, გამოებმება ჭორების კუდი.
საბინა, ცოლი ადრიანესი, მე მომაწებეს ვით საყავრელი,
მიტომ დავტოვე რომის საზღვრები, არ მსურდა ჭუჭყში ჩამეყო ხელი.
ჩემ გამო იყო, უთხრეს: ცეზარო, გაშორდი ცოლს და ნუ ასდევ ეჭვებს.
და უპასუხა: არ შემიძლია, საბინა მეისვე მიჩვენებს ეშვებს.
მზითებს მოითხოვს უკლებლივ უკან, მათ შორის არი ცეზარის ტახტი
იმპერატორი სიძობით გავხდი, არ მომხვედრია შუბი და ლახტი.
იმპერატორის ტახტი თუ დავთმე რაღაა მაშინ ჩემი ცხოვრება.
მე ადრიანეს ტკივილი მესმის და არც მჭირდება განმეორება
მისი ბრძანების. თავადაც ხედავთ მე მივატოვე რომის საზღვრები
იბერიაში თუ არ მიმიღეს, წავალ სხვასაც აქვს ჭერი და ზღვრები.

**ფარსმანი –**

კარგად ნათქვამი არ ნიშნავს სიბრძნეს, ბრძენის ნათქვამი უფრო მძიმეა
სალაღო სიტყვა ჩიტივით დაფრენს, ვარსკვლავის დარად მოციმციმეა.
სიღრმით ნათქვამი სხვაგვარ ანათებს, სხვაგვარ აღაგზნებს, სხვაგვარ განაწყობს
პირველი წავა დაიკარგება, დაემგვანება მეორე საწყობს.
მე მიკითხია შენი წიგნები, ბევრი სიბრძენა შინ ჩაქსოვილი
ზოგი გაქვს მაღლზე წვრილად ნაჩხრეკი და ზოგი როგორც ოქროქსოვილი.
ჟამი გავა და ბევრის გმირობა მომავალს მყარად დაავიწყდება
მაგრამ რაც გითქ□ვამს და გიწერია, დარჩება, არის დაიბინდება.
ამიტომ ჩვენში შენ ხარ უკვდავი, შენი საქმენი ჩვენც დაგვიფარავს
იყავ, იშრომე, აღწერე ყველა და ნუ გაურევ სიტყვას ნაპარავს.

**გაი სვეტონი ტრანკვილი –**

მეფევ დიადო, სალაღოდ ნათქვამს, ნურვინ ჩამითვლის ავგად, ცოდვად
ათასი რამე დამიწერია, ზოგი თვლის ქებად და ზოგი ბოდვად.
მხოლოდ ის მინდა, რაც ხდება ქვეყნად, დავიწყების არ დაედოს ხავსი
კარგთან ცუდიც ვთქვა, დიდთან პატარის, ქების და ლიქვნის გავტეხო ნავსი.
თუ ვინმეს ახსოვს დომიციანი, ორმოცი წლის წინ იქნა მოკლული
ღმერთი ვარ, თანაც იმპერატორი, ამბობდა, სანამ არ გასძვრა სული.
უკვდავებასთან მოკვდავთა შორის ვერ შეგაერთებს პინა სასწორის
ზოგს თან გაჰყვება სიმყრალე მძორის, ზოგს დაედება ხავსი სიშორის.
არა ვწერ რათა გავხდე უკვდავი, ხშირად ვახსენო მომავალს თავი
ნურც მომთხოვ ისე მოვყვე ამბავი არ გავარჩიო კარგი და ავი.

**ფარსმანი –**

ჟამთა მოამბე მუდამ ფასობდა, სადაც ვიდოდა, სიბრძნე დაჰქონდა
იმათგან ვიცით ჩვენთა წინაპართ, როდის რა ეპყრა, როდი რა ჰქონდა.
თუ აიეტი კორინთოს ფლობდა, კრეტას ზევსს ზრდიდნენ კორიბანტები
ჩვენ ხელთ შემოგვრჩა კავკონთა ქედი, კასპიის კარი და პონტოს მთები.
ხვალ ეგებ ესაც გვენატრებოდეს, ჩვენ მამულებში მტრის ჯარი ჰქროდეს
ეოსი ერის, აისსაც ვეტყვით, ჰეროოს ჰანგზე არ მოდიოდეს.
დღეს ბრძოლა უნდა უკეთ მომავალს, ბრძოლით დავიცვათ თემის კარები
თუ მძიმე ბედი დაგვაწვა მხრებზე, ჰერაკლესავით ავზიდოთ მხრები.
მძიმე ჟამის დროს, წარსულის მაცნე, ზოგჯერ ლაშქარზეც უფრო დიდია
ვინაც არ იცის წარსულის ფასი, მომავლის ხიდი არ გაუდია.
შენ საამო ხარ მიტომ სტუმარი, შენთვის ღიაა სამეფო კარი,
ამბავს მოგვითხრობ სხვისას და სხვისას, რაა საგმირო და საოცარი.

**არიანე ფლავიუსი –**

რთულზე რთულია ბუნება კაცის, ზოგის ნაფიქრალს ღმერთიც ვერ ხვდება
თუმცა თავს ვითვლი სიბრძნის მოყვარედ, რაც ითქვა ყველას გონი ვერ წვდება
დავეთანხმები ხშირად სხვის აზრებს, ყველა კარგია დროში რაც გამლებს
თუ გიწერია ქვეყნად ცხოვრება, სიცოცხლეს ღმერთი იმიტომ გამლევს
უნდა შეგეძლოს ნიჭის მოხმარა, არ ჩაეტენო სხვას წარა–მარა
საქმეა საქმე და არა სიტყვა, არ დარჩე ბოლოს ფიქრის ამარა.
მარკ ტრაიანეს ბედს ვინატრებდი, მთელი სიცოცხლე მის აზრებს ვსდევდი
მენატრებოდა მისებრი გარჯა, ჩემსავე თავში მისებრ ავღზევდი.
სხვას ვის უთქვია: იმპერატორი ისეთად ვცდილობ რომ ვიყო მინდა

ხელქვეითობის დროს რომ ვნატრობდი, ჩემ ზევით იჯდეს მეუფე წმინდა.

**გაი სვეტონი ტრანკვილი –**

ტრიანე მარკ ულპი მგონია იმპერატორთა შორისაც ბრწყინავს
ღვთიურ მეუფედ შერაცხეს მიტომ, იუპიტერის სადგომთან მინავს.
მე ბევრზე ბევრი შემისწავლია, დამიწერია ათასი რამე
განსვენებული ყველასა ჭარბობს გამოირჩევა ვით დღისგან ღამე.
ქარ–ცეცხლიანი ცხოვრება განვლო მეომარიდან დიად სარდლამდე
აღმოსავლეთი და დასავლეთი ბრძოლებით მოვლო მთებიდან ზღვამდე.
იყო ამტანი, მალზე ძლიერი, მეომარი და კლდემსვლელი დიდი
ჯარს მიუძღოდა პირველ მებრძოლად, ცხარედ უტევდა და იყო მშვიდი.
იმპერატორი რომის ქუჩებში ფეხით მავალი სხვა არ ყოფილა
ღატაკებისთვის და ობლებისთვის არავის გული არ გაყოფილა.
მიუსაფართა აღზრდა იკისრა, ცდილობდა, როგორც მამა ერისა
ობოლს და ღატაკს თავშესაფარი, ჩაცმა და ლუკმა მადით ელირსა,
დამბეზღებლები დასხა ერთ გემზე, ზღვას გაატანა როგორც ჭორები
მოშურნე კაცთა აღგავა ჯიში, ტალღებმა შთანთქეს მათი მძორები.
ბრძანებდა ხშირად, მე ბევრად მიჯობს, რომ დამნაშავე არ დაისაჯოს
ვიდრე შეცდომით მართალი ვიპყრა და გამოშვებას ცრემლით მეაჯოს.
რაც კაცი იყო, ის ჰყავდა ცოლი, ქალი ჭკვიანი, მოკრძალებული
თუმც დედოფლობდა რომში პომპეა, მაინც ქალური უცემდა გული,
ქრთამის ამღებნი, ხაზინის ქურდნი, ყველა ვინც ზედმეტს წაეპოტინა
ქალმა გააქრო იმპერიიდან, მაგრამ ეს ქალი იყო პლოტინა.
დაც ჰყავდა მეფეს კდემა მოსილი, ქვეყნის წინსვლაში მასაც აქვს წვლილი
უსამართლობას თრგუნავდა მუდმივ, მთხოვნელებისთვის ხელებგაშლილი.
მისი ბადიში არი საბინა, ადრიანესთან იყოფს სარეცელს
ქალი ითხოვა იმპერატორმა და იმპერია მოაყოლეს ხელს.
მე ტრაიანეს ამბავს ვყვებოდი. მან წამოიწყო რომში შენება
გორაკი მოჭრა კვირინალისა, ზედ დადგა ძეგლი ქვეყნის მშვენება.
ორმოცი მეტრის არი სიმაღლით, შიგ საფეხური და სარკმელები
ძეგლის გარშემო ომის ამბები, დაკების ტყვევნა, ტყვეთა ხელები,
დროშა, შუბები, ცხენთა ჭიდილი, ფარ, სატევრები, ბერვთა სიკვდილი
თავში დგას ძეგლი ტრაიანესი ყველას მისკენ აქვს მზერა მიწვდილი.
დაიმორჩილა მან არაბები, ოკეანემდე უწვდინა ხელი
პართია იპყრა, ბრძოლით აშენა, რომ დარჩენოდა ქვეყნად სახელი.

**ფარსმანი –**

წასულის ქება შენგან კარგია, თანაც თუ ენა მონაქარგია
მაგრამ ცალმხრივად თუ ითქვა ყველა, მოგების ნაცვლად დანაკარგია.
როცა ერთს აქებ, მეორეც აქე, პართიის ომში ალბან-იბერი
იმპერატორის მხარეზე იდგნენ, გაუნადგურეს მთავარი მტერი
ბალღი ვიყავი და მაინც მახსოვს არიან ქართი და სასომხეთი
მამამ დაიხსნა პართიელთაგან, არარატის მთის იქით-აქეთი.
რით დავიფასდა ჩვენ ეს მცდელობა, ვინ შემოგვწირა თუნდაც მადლობა
რით განამტკიცა რომის მეუფემ ძმობა, ერთობა და ახლობლობა?
ასი წლის უკან დიდმა ფარსმანმა, ისევ ალბანთა წვევა-ერთობით
პართიელების აიკლო ბუდე, მტერთა რიგები ჩაცელა წყობით.
ძმა დასვა მეფედ სასომხეთისა, შემოიმტკიცა ძმა-ნათესავი
ასე დაფასდა მაშინ კავშირი, ახლა კავშირი რით გახდა ავი?
ტრაიანეს დროს ჩვენი მცდელობა, ადრიანეს დროს ჩაყარეთ წყალში
სომხეთ-პართია ათავისუფლეთ და არ ჩაგვაგდეთ ჩვენ სათვალავში.
სომხეთს მიეცით მეფის უფლება, ადრე ლეგატი იცი მართავდა
ჩვენი საუფლო, ჩვენი ნაბრძოლი, სხვას რომ დაუთმეთ მითხარ რას ჰგავდა?
ამიტომ იყო, ადრიანესთან ვერ ვრიგდებოდი, არ მსურდა ძმობა
არ მივდიოდი, როცა მეძახდა და არც იმისი მსურდა სტუმრობა.
დრონი იცვალნენ, იმ ამბის შემდეგ მრავალტანჯულნი გავიდნენ დრონი
მაგრამ ხომ დარჩა გულში კაცისა ავად სათქმელი და მოსაგონი.

**გაი სვეტონი ტრანკვილი –**

ხშირად ნუ ვიტყვით რაც მოგვერის სევდას, რაც ურყევ ძმობას უკან დაწევდა
მე კარგად მახსოვს შენი გადგომა, ზმანებასავით უკანა გვსდევდა.
ამიტომ იყო, რომ ადრიანე, აღმოსავლეთში როცა მგზავრობდა
სადაც არ იყო, შენ გკითხულობდა, იბერიისგან საფრთხესაც გრძნობდა.
მაგრამ როდესაც გესტუმრა მცხეთას, როცა სტუმრობით იჯერა გული
რასაც შეგპირდა ხომ შეგისრულა, სხვა მეგობარი ვინ გყავს ერთგული?

**ფარსმანი –**

ეგ მართალია. მაშინ დამთავრდა ქიშპი, ჭიდილი, გაუტანლობა
ერთია ჩვენი სიტყვა და საქმე. ესაა ღმერთთა დიდი წყალობა.
არმაზში როცა ხარს მოჰკრა თავი, ზადენს მიუღვნა ხარკი ღვთიური
ვიგრძენი მასში სულის სირთულე და შეგონება იმქვეყნიური.

მეც ხომ ვესტუმრე და იუპიტერს, რომში მივართვი შესაწირავი
ვისურვე ქვეყნად ჩვენი ერთობა, ჩვენი ღმერთების ვისურვე ზავი.
მერე გავმართეთ დიდი მარულა, ლელო, ისინდი და ისრის ტყორცნა
იყო ღრეობა, მხიარულება, მრავალჟამიერ და მრავლად კოცნა.
შენ ამბობ მარსის ველზე დაუდგ ამთ მეგ ლი იბერთა დიდების მჩენი
ნურაფერს იტყვი, მე თვითონ ვნახავ, რა, როგ ორია სხვა დანარჩენი.

**გაი სვეტონი ტრანკვილი –**

ადრიანესთან შენი სტუმრობა, ვფიქრობ ყველასთვის სასურველია
მაგ რამ თუ მართლა გრძნობა მით ფასობს, ტრფობის ჟამთა სვლა რაც რომ მძლეია
მაშინ საბინა ყველაზე მეტად გელის და ალბათ იმედით კრთება
ქალს თუ ლოდინი გადეწურება, მოლბობას უნდა დიდი კირთება.
თუმცა საბინა მეც მომაწებეს, მაგ რამ ვფიცავარ არ მიძღვის ბრალი
არ შემივლია ქალისთვის ხელი, არ მომიკვრია საწოლში თვალი.
მე ადრიანეს ეჭვებს ვემსხვერპლე. იმეპარტორი ეჭვიანია
თუ გაბრაზდება აღარ დაეძებს რა ადრე არის, რა გვიანია.
ერთი მხრივ იტყვი რა კეთილია, რა სამართალის იცის გაჩენა
მან მაგ ალითი მოგ ვცა მრავალი, მრავალჯერ მალა ბოროტს აჩვენა.
ეს მან აკრძალა მონების მოკვლა. ბატონს აღარ აქვს ამის უფლება
თუ იმსახურებს სიკვდილით დასჯას, მონას თუ ქაჯი დაეუფლება
ეს მოსამართლემ უნდა განსაჯოს, დასასჯელია, მანვე დასაჯოს
პატრონს აღარ აქვს გადასაწყვეტი ასეთ დროს რა სჯობს, რა მიუსაჯოს.
კიდევ ერთს ვიტყვი, მრავალ რომაელს სახელმწიფოსგ ან დაედო ვალი
900 მილიონ სესტერცს აღწევდა ასე ხაზინის შემოსავალი.
იმპერატორმა ყველას შეუნდო, აპატია და მოეპგვარა შვება
რომის ქუჩებში აღარ ისმოდა ვახში, ვალი და ვიში, ვაება.
მან ბარბაროსებს მისცა უფლება ლეგ იონებში სამსახურისა
გაათანაბრა, მისცა გზა ფართე, აღარ იქნება შემყურე სხვისა.
თვითონაც დიდი მეომარია, იარაღს იქნევს მკლავი ძლიერი.
გლადიატორის ხერხები იცის და „გრეკულუსის“ შვენის იერი.
ნადირობისას ლომებსაც ხოცავს, ასიდან ერთსაც არ ააცილებს
ნადირს რომ დახოცს, ზეიმს გამართავს, ხორცს მეგ ობრებში გაანაწილებს.
ბავშვობიდანვე უყვარს ბერძნული, ერთ დროს ათენის იყო მმართველი,
ზევსს აუშენა დიდი ტაძარი, მსახიობობს და მათია მცველი.

სიტურფე უყვარს, ლამაზ ბიჭუნებს ხშირად უფერებს, ჰყვარობს და წყალობს
ანტონოსა კი ღმერთად შერაცხა, დღესაც მიტირის, ვერ ლაღობს, ხარობს.
იმოგზაურა ყველა კუთხეში, ყველა ქვეყანა ფეხით დალახა
მერე ააგო დიდი სასახლე, ყველას იერი იქვე ასახა
ტიბურეში აქვს ეს გამოფენა, თვით მიწისქვეშეთს კუთხე უჩინა
ჟამის მიხედვით ააწყო ყველა, ვინ ადრე იყო და ვინ უწინა.

**მითრიდატე –**

ეს სანახავი საინტერესო, ალბათ ბევრს მისცემს კაცის გონებას
აუშლის ფიქრებს წარსულ ამბებზე, გადაეგება მწველ მოგონებას.
მასზე მსჯელობა ჩემთვის ძნელია, როგორ შევაქო რაც არ მინახავს
მე უფრო ის მკლავს და მედარდება, ჩემი წარსული არ მივანდო ხავსს.
ანტინოაზე გამიგონია ლამაზი იყო ბერძენი ბიჭი
ადრიანესთან იყოფდა საწოლს, ამ სიყვარულის ჰქონია ნიჭი.
მერე როგორღაც იმპერატორმა ავი იფიქრა, იეჭვიანა
ნილოსს მიანდეს ლამაზი ტანი, შურისძიებამ არ დაახანა.
ეს ყველაფერი თქვენი საქმეა რა ხართ, რას ჩადით რომაელები
ჩვენ ზნე გვაქვს ბევრად განსხვავებული ბრძასა და ყრუსაც არ შევეშლებით.
აქ სხვა რამ უფრო მაინტერესებს, რატომ არ იცავთ თქვენსავე წესებს
ან როგორ ხდება ჩვევა–ადათი ერთისთვის რომ დუმს, სხვისთვის აკვესებს.
შენ აქ გვიქებდი მეფურ ბრძანებას, მონას ვერ დასჯის თვითონ ბატონი
იმპერატორმა დაღუპა ბევრი, არ გიჩივლიათ არავის მგონი.
სულ ბოლოს იყო ელია ვერა, რომის რჩეული, ტახტის მემკვიდრე
არ ისვენებდა იმპერატორი არ მოაღრჩობდა შვილობილს ვიდრე.
თქვენი მეუფე არი უშვილო, ვის თვალს დაადგავს, შვილობილს არქმევს
სასახლეს მისცემს და დიდ ქონებას, ხშირად ჰყავს გვერდით, ასმევს და აჭმევს.
შემდეგ კი როცა წამოუვლიან, ბოლოს მოუღებს ადრე თუ გვიან
ასეთ მეუფეს აქებ, ადიდებ, მართლის კეთება ამასა ჰქვიან?

**არიანე ფლავიუსი –**

იმპერატორის ავად ხსენება, არ არი ჩვენი ჩვევა და ნება
კავკონის მთიდან ტიბრის პირამდე. თქვენ შეგ იძლიათ მისი გინება.
ჩვენ აქ მოვსულვართ სხვისი სურვილით, არ დაგვიკარგავს დრო-ჭამა–ძილით
მიპატიჟება მოგვიტანია მისგან ვისაც სურს მოგიძღვნათ წილით.

**ფარსმანი –**

ადრიანესგან მივიღე წვევა, არ დაარღვია მან ძველი ჩვევა

თვალი თუ მოწყდა, გულიც მოწყდება, გრძნობა ერთობას გადაეჩვევა.
ჩვენ ადრეც გვქონდა შეხვედრა ხშირი, ამ მხრივ არ მეთქმის აუგი, ძვირი
დავთქვით, ვიქნებით მოკავშირენი, ერთად გავიყოთ ლხენა და ჭირი
ახლა მიწვევის საბაბი სხვაა, სულ სხვაა ვიცი მისი მიზეზი,
საით უმიზნებს, რა როგორ უნდა ვგრძნობ როგორია შეხვედრის გეზი.

**მითრიდატე –**
მამავ ბატონო, ჩვენ ყველა გვესმის, აქ ვინც ვართ შენი მონა, ერთგული
რასაც გადაწყვეტ, როგორც გვიბრძანებ, ჩვენ აღვასრულებთ სანამ ცემს გული.
გვეტყვი ჩავკეტოთ კარი ალანის, გვეტყვი გადავხსნათ ალბანთ მიწები
შენი შეხედვაც ბრძანება არი, ღმერთთან ვართ შენზე დანაფიცები.

**ფარსმანი –**
მადლობა გაის და არიანეს, რომიდან აქეთ ჩვენთვის იარეს
ჩვენში ემებენ. კიდეც ხედავენ თვის ბედის მოწმეს და მოზიარეს.
გრძელმა გზამ იცის ძალის გამოცლა, ელჩთა პატივიც ჩვენი ვალია
რამდენსაც გაცემ და გააჩუქებ, ყველა მომავლის მოსავალია.
მიბრძანებია, მოასვენებდეთ, სანამ ვახშმობის ჟამი დადგება
იქ გეტყვით პასუხს, რა გადაწყდება, როგორი არი ღმერთების ნება.

*/არიანე ფლავიუსი და გაი სვეტონი ტრანკვილი კარის გამგის თანხლებით გადიან/.*

ახლა, როდესაც ჩვენ დავრჩით მარტო, გასასჯელი გვაქვს ყოველი წვრილად
მიპატიჟება არ ნიშნავს ქეიფს, რომაელებთან ხამს ვიყოთ ფრთხილად.
ჩემთვის ნათელი არი ბევრი რამ, მაგრამ თქვენ რჩევას სხვა ხიბლი ახლავს
ზოგჯერ გგონია სახლეჩს მიაგენ, გადაეყრები ანდეზზე სახრავს.
ჩვენი ვალია ავწონ–დავწონოთ, მტერი ჩვენ ბედზე არ გავახაროთ
თუ დასავლეთით ჩადის ჩვენი მზე, ჩრდილოს რათ ვდიოთ, რაზე ვიაროთ?

**იოდმანგანი –**
დიადო მეფევ, შენი ბრძანებით ღმერთებს რამდენი ვწირე ზვარაკი
ვილოცე, ვთხოვე და ვიმკითხავე, მრავალი როგორც ზღაპარ–არაკი
არმაზს მუხლები ვუკოცნე ბევრჯერ, მუხლჩოქვით მოვლე არე ზადენის
ვარ ტელეპიას კართან მისული, ლომისს, კუპალეს, ათენაგენის.
ზოგჯერ ძველ ღმერთებს გავიხსენებდი შემოქმედია ვინც სამყაროსი

გეა და ჰერა, კრონი და ზევსი, კუბელა, მითრა, ეოს, ტაროსი
ჩვენთა წინაპართ რამდენი ჰყავდათ, რამდენს უცვალეს ზნე და სახელი
დღეს ვინღა დარჩა იმათი მცოდნე, მათი ამბების შემომნახველი
ღმერთებთან კაცმაც იცვალა სახე, სხვა გახდა მისი ყოფის საზომი
სხვაგვარად ჰქვია ძველის მაგ იერ ერთად და ცალკე, ერი და ტომი.
ლაკებ, კარები მთებს გადავიდნენ, უფრო დაგვცილდნენ ჯიქებ, მიგები
ჰენიოხები ორად გაიყვნენ და ერთ-ურთს გმობენ ნიშნის მიგებით.
ქართების მოსვლამ ჩვენაც შეგვცვალა, სამეფოს კვებავს იმათი ძალა
ტიბარენები, მოსინიკები, სამხრეთი რომმა გამოგვაცალა.
შენ ბევრი უკან შემოიბრუნე, მიტომ ხარ ქველი, ღმერთთა სადარი
კალმახი, სპერი და თემისკირა, ადრე ვინ ფლობდა, ახლა სად არი.
პონტოს მთებიდან ზღვამდე გახველი, კოლხეთის იქით შენი წყლებია
მალე სინუპეს შემოიერთებ. რაც ქენი სულ არ გაგძნელებია.
აქეთ პართიას უჩვენე ძალა, რომმაც ვერ მისცა ასე ზიანი
ახლაც იქ ომობს შენი უმცროსი, მალე ულოვანი, მაღალხმიანი.
უნდა ვიფიქროთ, ეს ყოველივე ადრიანესთვის არი ცნობილი
ძალა იგრძნეს და ვინც ადრე გვმტრობდა, ახლა გაგვიხდა ყველა მმობილი.
რომში თუ წახვალ სადაოდ გახდი იბერთა ხმლებით რაც მოიპოვე
იმპერატორი დაგისვამს საკითხს, რაც შენი არი მოგცემ და მთხოვე.
რატომ ჩავიგდოთ თავი საცინლად, რაც შენი არი იმას ეხვეწო?
რა მოუცია რომაელს აქეთ, რაც მისი არი, თუნდ ერთი ბეწო?
და ამას გარდა იქ რა მოგელის შარი თუ სიტკბო, მომმე თუ მტერი
იქ ვინ გაცხრილავს მტყუანს და მართალს, სადა აქვთ ცხრილი და ან საცერი

**ხნეფარნაკი –**

ჩვენ ბალღობიდან მოვდივართ ერთად, ჯერ ვთამაშობდით, მერე ვომობდით
როცა გამეფდი, მაინც მმად დარჩი, ერთ-ურთის დარდსაც უსიტყვოდ ვგრძნობდით
მე შენ მიყვარხარ როგორც მეუფე და ნათესავი სისხლისმიერი
რაც მეტს იბრწყინებ ღმერთების დარად, მეც მეტად ვხვდები ქვეყნად ძლიერი
ამიტომ არი მოშურნის ენებს ჩვენი ჯილაგის გათიშვა უნდათ
რომაელები, პართიელები სხვადა სხვა მხრიდან შეკრულან გუნდათ.
ჩრდილოს ალანნი ჟამს მოელიან, სომხების ცნობაც არც თუ ძნელია
რაც წინ მივდივართ და მივიმღერით, მტერი მომრავლდა, არ დაგველია.
ახლა პართები რომს გვიჩივიან, მტერი მტრის ნათქვამს ბანს აძლევს ხმიანს
შორით მუქარა რა ბედენაა, ვერ მოვლენ სანამ გვხედავენ ხმლიანს.

რომს შენი წასვლა ხმლის დაგდებაა, მტრის შემართება, მოყვრის ტირილი
ბაგირი მუდამ იქ გადაწყდება, ხახუნით სადაც გახდება წვრილი.
შენ იქ წახვიდე, აქ ვის გვიტოვებ. სასხვისო დარდი გახდეს საჩვენო?
მე უფლის წულის არ მინდა წყენა, მაგრამ როგორ ვთქვა, რომ არ ვახსენო
ვოლოგეშ მეფემ მისი საბაბით, ჭირს გადაგვყარა, და მამამ შვილი
ცოტა გაწყდა, რომ არ მოიმდურე. რომისაც იყო იქ დიდი წვლილი.
ახლა კი ერთად გვირჩევენ საქმეს. როგორც ძაღლები მგლის დანახვაზე
შეწყვეტენ ძიძგიგს და ერთი ძალით აყეფდებიან შეწყობი ხმაზე.
ჩვენი ვალია ყველა ავწონოთ. არ წახვალ? რომის იმპერატორი
გულში ჩაიხვევს, რას განიზრახავს, გადაიხრება საით სასწორი?
წახვიდე? ესეც სახიფათოა, რა უდევს გულში, სხვისა რა იცი
საიმედოა? ელჩთა ჩამოსვლა ან წერილებში ნათქვამი ფიცი?
და ამას გარდა იქ რომც არ იყოს საფიქრ, საეჭვო, სადარდებელი
აქ ვის დატოვებ, თან ვის წაიყვან, იქ ვინ იქნება შენი მხლებელი.
შენ თუ გადაწყვეტ, მეც თან გაგყვები, ერთად დავლახოთ სავალი გზები
ესაა ჩემი გულში ნადები არც გეფიცები, არც გენაზები.

**მითრიდატე –**

სიტყვა კაცისა სატევარს ჭარბობს, შორს წვდება, ბევრის მოხვეჭას ხარბობს
ერთი ათასს სჯობს. ზოგჯერ ათასი მოედინება და არას ამბობს.
კვალს არ დატოვებს, მაგრამ უთქმელად გამოებმება ათასი კუდი
ითქვა, გაფრინდა, შენ იმკითხავე, რა როგორ არი, კარგი და ცუდი.
ჩვენი სამეფოს მთავარსარდალი, სამეფოს ბურჯი, ყური და თვალი
ცოტას რომ იტყვის, ბევრს მიგვანიშნებს, უთქმელად თქმაში არ ყავს ბადალი.
სამართლიანად წუხს სამეფოზე, იმის მეფეზე, იმის საწმყსოზე
კარგს თუ ახსენებს მწარეს გაურევს, წასულ, აწმყოზე, ანიშნებს დროზე.
არც მე დამტოვა წკიპურტგარეშე, რა ვქნათ, ასეა მისი ბუნება
ჭკვამ თუ არ გაჭრა, აზრს როგორ შეცვლის თავში მუშტების ჩაბაგუნება.
თუმცა ერთი კი ბრძანა მართალი, თუ ფარას მოწყდა მცველი სარქალი
დათვის იქნება, მგელი თუ ტურა, ყველას საკბილოს წაუვა თვალი.
ისიც სწორეა პართიის ომში ვიყავ საბაბი და სატყუარა
მაგრამ არ ვჩივი. და არც დავეძებ, მტერს ვინ რა უძღვნა და დაეხმარა.
არც იმას ვიტყვი ორთაბრძოლებში ვინ იდევგმირა, ვინ იყო ჭაკი
ხსნფარნუგს რატომ ეტყვიან ახლა, ვინც გმირი იყო და მხნე ფარნაკი.
მე არას ვდაობ. როგორ მოვიქცეთ გადასაწყვეტი არი მთავარი

რომ ჩვენი მტრები არ შევაერთოთ, ტკბილად ვაქციოთ რაც არი მწარი.
ჩემი აზრია, მივიღოთ წვევა. მუდამ კეთილი იმპერატორი
არ გვაგრძნობინებს დიდ გულის ტკენას, რომში მიგვიღებს ვით სწორთან სწორი.

ნუ ვიქადილებთ რაც რომს წავართვით, შემოვიმტკიცოთ ის რაც ჩვენია
სასიამოვნოს ვყვებოდეთ ამბავს. ნუ გავიხსენებთ რაც სატკენია.
ჯობს პართიაზე ვიდავოთ მუდმივ და სასომხეთის ბედი გავსაჯოთ
რატომ დავხარჯოთ სიცრუით ენა, სად ვცდებით ფიცით რად დავისაჯოთ.
ამასთან ერთად ჩემია თხოვნა, მეც თან მიახლო როგ ორც მრჩეველი
წინა სტუმრობას აქ რომ დამტოვე, გამხადეს თითით საჩვენებელი
თითქო ვოლოგეშს მე შევუთანხმდი, თითქო მინდოდა ტახტის წართმევა
შენთან ვიქნები, ვინ რას დამწამებს, შენთვის ორგული არ დამერქმევა.

**ფარსმანი –**

მე მოვისმინე ერთგულთა აზრი, რას ფიქრობთ ყველა გასაგებია
ცალკე დავაწყოთ ამონაგები, ცალკე ყველა რაც წასაგებია
უნდა გავსაჯოთ მტერს თუ მოყვარეს ჩვენგ ან რა უნდა, რაა მიზანი
ბევრი მენიშნა აქ ნათქვამიდან და უფრო მეტი გუმანით ვცანი.
აქ არ მოვყვები ყველა საფიქრალს, რას გვიჩივიან სომეხ, პართები
როცა ვილაშქრე მათ წინააღმდეგ, რად დავარბიე, რას ვემართები.
რატომ სურთ ჩვენზე რომაელთ აშლა, რატომ მპატიჟობს იმპერატორი
როგ ორ სურთ ჩვენი ისე გახედვნა, რომ ბედაურის არ მოხვდეთ ტორი.
თავის მხრივ რომი რას მედავება, აფსარის იქით როგ ორ, რა ხდება
წავალ რას ვკარგ ავ, თუ არ წაველი, ათასჯერ მეტი რატომ წახდება.
ჩვენ დავიბრუნეთ მრავალი მხარე პონტოს მთებიდან კოტიორამდე
რა როგ ორ უნდა მოვუთხრო რომში, მტრებთან მართლები რომ ვიყოთ ცამდე.
თავის მართლებას რომ მიჯობს ბევრად აქეთ მოვთხოვო ხალიბთ მხარენი
მთანი ტყიანი ნადირით სავსე, წყლები სპერის ზღვას ჩამდინარენი
უპირველესი სინუპეს ციხე, ჩვენთა წინაპართ ნასახლარები
დიდი ჰალისის მწვანე ჭალები, ფერდას გაშლილი ვენახის ზვრები.
მიბრძანებია რომში სტუმრობა, ყველას ვაჩვენოთ ჩვენი სიდიდე
ამავ დროს მალთა ჩუმი მზადება, საომრად წვევა კიდიდან–კიდე.
ამაზასპს უნდა ვაცნობოთ მყისვე, მცხეთას დაბრუნდეს, შეწყვიტოს რბევა
ხსეფარნაგს ვტოვებ საქმის გამრიგ ედ, მას ევალება დიდებულთ წვევა.
ტახტის მემკვიდრეს თან გავიყოლებ, მასთან სავალ გზას გავიიოლებ

ოლთის, სპერს ჩავალ ტკბილი საუბრით, მონასთან ენას რად ავიყროლებ.
კოტიორასთან ჩავსხდებით გემში, თან მეზღვაურთა ძალას გამოვცდი
სამეფოს სამხრეთს მოვინახულებ, გული არ დამწყდეს, რომ ფუჭად მოვცდი.
რომაელები სტუმრად დატოვეთ, უკან ჩვენ აქეთ დაბრუნებამდე
ჩვენზე უთხარით, დროს დაეხარბა, ჩქარი ჭენებით გზას ადგა ზღვამდე.
მხლებლად მცირე რაზმს გავიყოლიებ, მემ შეარჩიოს თავის ამალა
დრო გამოაჩენს ვინ თქვა სიმართლე, ვინ იეშკამა და ვინ დამალა.

*/რომი. იმპერატორის დარბაზი*
*10 ივლისი 138წ/*

**მითრიდატე–**

ჰაუ რამხელა ყოფილა რომი, რა გზა სავალი, საოფლ, საომი
გზაში ყაჩაღი, მეკობრე, მტერი შენი ოქროს და სიცოცხლის მდომი
სპერის ზღვას მოვრჩით ვიწრო სრუტეში, ჰერაკლეს სვეტებს რომ უძახიან
სწრაფი დინება თვალს ჭრის და აბნევს, მცურავი კლდენი ამიტომ ჰქვიან
რამდენ კუნძულთან შევჩერდით გზაში, რამდენი ვნახეთ ტურფა ქალაქი
სიტყვა მუნწიც კი ვერ იტყვის ყველას, ვით დაფქვავს ვინაც იცის ლაქ–ლაქი.
მე ჩამრჩა სულში მოსხოს მთის ეშხი, სადაც პრომეთემ აანთო ცეცხლი
ასწავლა მოკვდავს კერის გათბობა, შექმნა სამჭედლო, გაუდნო ვერცხლი.
მე ვინატრებდი იქ ვიყო მწყემსი, იქ მეავდეს ფარა, იქ დავიმარხო
იქ ვიზეიმო დღენი სიცოცხლის, იქ ვიმარხულო დღენი სამარხო.
მე მიხარია, ვნახე კორინთო კოლხთა საუფლო, მათი აკვანი
და აიეტის სულისთქმას ჩავწვდი, მედეას სწრაფვის სათავე ვცანი.
პელოპის ბუდე პელოპენესი, კრეტას მინოსის სასახლის კარი
რომელი ერთი უნდა იდარდო, რათა წარსული შეიცნო მწარი.
ზღაპარივით ჩანს მთელი ქვეყანა, დღეს საბერძნეთი რომელსაც ჰქვია
პელაზგთა სახელს აღარავინ ცნობს, დრონს მათი სახე გადაუგვია.
ათენი მაინც სხვა ქალაქია, ათენას მცველი, ათენაგენი.
აქვს გალავანი თვალაუწვდენი, ირგვლივ ბაღები თვალითსარბენი.
იმპერატორი ფლობს ყოველივეს, მთებს ლაჟვარდოვანს, ზღვას მოლივლივეს
სადღა არიან ალბან–იბერნი ვინც უკვდავების წყალი დალიეს.
ადრიანეა ყოვლის მეუფე თან თვითონვეა იმათი მონა
,,გრეკულუსს‘‘ მიტომ უძახის ერი, იმათი იცის პატივი, წონა

*/შემოდის ვაჟურად ჩაცმული სერაფიტი/ სერაფიტი-*

მე სად გეძებდი, შენ სად ყოფილხარ, ეჭვით მოცული ხანჯალს ვლესავდი
მოვლე სასახლე, მისი გარემო, სადაც ვერ გნახე ნაღველს ვთესავდი.

**მითრიდატე-**

რამდენჯერ უნდა გითხრა სათქმელი, რაც შენ იტვირთე მალზეა მნელი
მამა თუ გიცნობს ვაჟად გადაცმულს, ვერ დაგიფარავს მთელი სოფელი.

**სერაფიტი –**

აბა უშენოდ იქ როგორ გავძლო, სადაც მსახურთა სადგომებია
თუ კი მცხეთიდან ისე ვიარე დამალვა სულ არ გამჭირვებია
აქ როგორ უნდა მიცნოს ფარსმანმა, თუ არვინ ეტყვის, ვერას მიხვდება
მე სხვა რამეზე უფრო მეტს ვფიქრობ და რაც მეტს ვფიქრობ გული მიკვდება.

**მითრიდატე –**

უგონომ იცის უმიზნო გარჯა, სადაც არა ღირს არად ღირს ხარჯვა.
მიუწვდომელის წვდომის სურვილით რად მივაყენო მალ-ღონეს ტანჯვა?
შენ ჩავარდნილხარ ცეცხლს და წყალს შუა, არც გწვავს და გბუგავს და
არც გასველებს
ჩვენი პირობა არი უცვლელი, რად ეჭვიანობ, რა არ გასვენებს?

**სერაფიტი –**

შენი ფიცი მწამს და სიტყვის მჯერა, მაგრამ სხვისკენაც გაგირბის მზერა
ანტონინეს ცოლს კარს უტალახებ, ხომ არ გაგიხდა ის ბედისწერა?

**მითრიდატე –**

ისევ თავიდან იწყება ყველა, ხომ არ გღალატობს მზერა და სმენა
მიუწვდომელის სურვილი თუ გკლავს, ხელს ვერ შეახებ, მიწვდება ენა.
ანტონინეს ცოლს, ნორჩ ფაუსტინას ბევრი სდევს უკან და ეფიცება
მას კი ორმიზდას იქით არვინ სურს, შენც გაგიგია რად გსურს ფიცება
პართიის მეფის ვოლოგეშის მეს, რომელიც რომში მძევლად იზრდება
აქვს მიჯნურობა ფაუსტინასთან, არა ფარულად ხშირ-ხშირად ხვდება.

**სერაფიტი –**

ეს იყო ადრე ჩვენ ჩამოსვლამდე, მეც გამიგია მათი ამბავი

მაგრამ ახლა კი სხვა დრო მოვიდა, ქალმა ააწყო სულ სხვა სართავი
არ მითხრა როცა მასთან მიდიხარ, მხოლოდ მეფეთა შორის ხიდი ხარ
ასეთი მძლავრი და მშვენიერი ფაუსტინასთვის არაფრად ღირხარ.
მე კარგად ვიცნობ ქალის გულის თქმას, არც შენი ცნობა გამიჭირდება
რომში ჩამოსვლით რომ შეიცვალე, ვინც შემოგხედავს ყველა მიხვდება
ჩემთა ჭირთა და ბოროტთ სათავე, სულს რომ მიშფოთებს განცდები მწვავე
ფარსმანი არი გულგაუმღები, ვნატრობ და ჭირი ვერ დავახვავე.
როგორც გავიგე იმპერატორი სიკვდილს უპირებს ვიღაც მოწვეულს
რა იქნებოდა მოკლან ფარსმანი, შეყარონ ჭირი ამ ბედის რჩეულს.

**მითრიდატე –**

არ იყო ქალი თქმას განანებდი, შენ ვინც მამაჩემს ვით ჯადო სდევდი
გსურდა მოგესვა ავგაროზები, დამინახავდი, უკან იხევდი.
ეგ რომ არ გვყავდეს, იბერთ სამეფო მიწევ-მოწევით დაკნინდებოდა
ყოველი კუთხე მამამ რომ იპყრო ბოროტის ნებით მოგვცილდებოდა.
სპერიდან აქეთ, დიდი მიწები რაც დიდ სეხნიას პონტოელს ჰქონდა
პაფლაგონია, გალატიამდე ვინ აზომავდა ან ვინ აწონდა.
რომმა ხელთ იპყრა, ჩამოგვაშორა, გადააჯიშა ჩვენი ჯილაგი
ცეცხლი შეუნთო, დაუნგრეველი არ დარჩენია ციდა ალაგი.
ამისო-სიდან ამასი-ამდე, თემის-კირიდან კოტიორამდე
ზღვიდან მთას მისწვდა, დედა უტირა, მთიდან დაეშვა, უტირა ზღვამდე.
ერთი პირობა ფარნაკმა შეძლო მამის სამეფოს აღორძინება
მაგრამ ცეზარმა იულიუსმა გადაუმსხვრია მხნე ფარნაკს ნება.
მას შემდეგ ვრცელი მამული ჩვენი, და მისი მცველი ხალიბი ერი
რომს ემონება, აცმევს და აჭმევს, თვით მათხოვარი, დადის მშიერი.
ასი წლის უკან დიდმა ფარსმანმა სცადა დაეხსნა ხალიბთ მიწები
იბრძოლა ბევრი, მაგრამ ბოლომდე ვერ აასრულა დანაფიცები
ახლა მამას აქვს იგივ მიზანი და გარკვეულად კიდეც იძალა
ნახე იბერთა ფართე სამეფო მის ხელში როგორც გამოიცვალა.
კარი ალანთა მუდამ ხელთ გვეპყრა, ციხე ალმართა, არქვა ჩემია
ალბანთა მეფე დაიახლოვა, დიდ-პატარობა თვალსაცემია.
პართიის მეფე ბევრჯერ გალახა, ქვეყანაც მისგან დანარბევია
ალბათ სომხეთსაც ხელში მოიგდებს, დროს უცდის როგორც სიბრძნით ჩვე-
ვია.
შენ ასეთ მეფეს და ასეთ მამას, ქალური შარით გზას ემალები

მწარეს მაგონებ და ვერ მიმტკიცებ, რა გინდა, რა გსურს, რას ემართლები?

**სერაფიტი –**

იცი მიყვარხარ და უშენობით წამიც რომ ვიყო, ისიც არ მინდა
შენთვის ვეწამე, შენ მოგიძღვენი, შენ შემოგწირე თუ რამ მაქვს წმინდა.
განა იოლი იყო ვაჟურად შენ მცველთა შორის ყოფა თვეობით
ან ვის რას ვუშლი თუ ჯავრს მოვიკლავ ჩემ მტერთა ბედის ქალური გმობით.
შენ ჩემი ყოფა ნაკლებ გაღელვებს ანტონინეს ცოლს ეკურკურები
დილით–დილამდე ლამაზთან იყო და ქალი დაგრჩეს მიუკარები?
ვერ დავიჯერებ კიდეც მეფიცო, არცა გაქვს გულით დასაფიცები
მაღლური  არი კაცის ბუნება, დასახოცი ხართ ყველა კაცები.

**მითრიდატე –**

ერთგულებისთვის მადლობას გწირავ, მაგრამ არ მინდა გზა გაგიმრუდო
ვინც მე მეკუთვნის გარეთ გავუშვა და ვინც სხვისია ულვთოდ შევზღუდო
შენ ჩემი ხარ და არცა ხარ ჩემი, თუმცა ჩემთან ხარ, ეკუთვნი სხვასაც
მიქცევ–მოქცევა, გაურკვევლობა, ლამაზს კი არა, აღელვებს ზღვასაც.
უკვე მით□ქვია და გიმეორებ, შენ გარდა ქალი არ მყვარებია
ბევრი მყოლია, მაგრამ ალერსი შენსავით არსად გამხარებია.
იბერიაში როს დავბრუნდებით ცოლად შეგირთავ, გაძლევ პირობას
თუნდაც დამჭირდეს ტახტზე უარი, და არ ვუწოდებ ამას გმირობას.
მაგრამ მანამდე ნუ მითვლი ნაბიჯს, ნუ დამდევს ეჭვის სმენა და თვალი
აქ ჩამოვსულვარ რათა მცდელობით გადავიხადო მამულის ვალი.
თუ  ფაუსტინას მოვწყვეტ ორმიზდას, მტერს რომისაკენ გზას ჩავუხერგავ
გამოვა სადაც პართი ხარობდა იმ ნერს გავახმობ და ჩემ ხეს დავრგავ.
შენ ნუ გგონია ჩვენი სტუმრობა მხოლოდ ლხინია და ნადიმობა
უნდა მოვიმკა მათი ნაფიქრი, რომ განვამტკიცო იბერთა წყობა.
ფარსმანს ნუ მტერობ, ერთ საქმეს ვებრძვით, ერთი გვაქვს ფიქრი და მონდომება
ჯერ მამულია მეფის საფიქრი, მერე ერი და პირადი ნება.

*/ხმაური. შემოდის ფარმანი. სერაფიტი იმალება/*

**ფარსმანი –**

სად დამეკარგე, ახლა მჭირდება შენი სიდინჯე და შემართება
დღეს გადაწყდება ვინ რას მოიგებს, რამდენს დათმობს და სხვის ემართება.
მე თუ ავღელდე და ვერ მოვზომო, შენ უნდა დროით ჩაერთო ხშირად

ჩემი შეტევა, შენი დახვევა სასურველისკენ გავიხდეს გზირად.
შენ როგორც ამბობ ქალისგან იცი, რომ ანტონინეს ელის ხიფათი
ჩვენ უნდა მასთან შევკრათ კავშირი, რომ რაც მტრებს უნდათ, გახდეს იმათი.
ადრიანეს დღეს ვეღარ ვცნობილობ, ბრაზობს და თითქო დარდიანია
ერთი პირობა მოვრჩით საუბარს, ვუთმინე რაც კი ასატანია.
ეგ თუ შეეკრა ვოლოგეშ მეფეს, ჩვენ ანტონინეს მხარი გვჭირდება
და მერე ვნახოთ აზრით თუ სიტყვით აქ რა ძალები დაიჭიდება.
ახლა იჩქარე და ფაუსტინას პირით აცნობე მის ქმარს ყოველი
დღეს ნადიმია ძლიერ ლომების და დიდ ნადავლსაც აქვე მოველი
/მითრიდატე თანხმობის ნიშნად თავს უხრის და გადის/
თუ ანტონინე მხარში დაგვიდგა, თუ მითრიდატემ დროით მიუსწრო
პართი ვერ შეძლებს საქმის გაჩარხვას, მისი სავალი იქნება ვიწრო.
თუ მართალია რაც თქვა საბინამ და ადრიანე ზღვარს გადავიდა
მოხდება ის რაც მოსახდენია, დანაკარგები იქნება ცოდა.
მაგრამ სანდოა ქალის ნათქვამი  ? ერთზე ამბობენ, უნდათ მეორე
ჭკვიანი ჩანჩქერს გაერიდება, ფონს იქ მოძებნის საცაა მდორე.
ანტონინეა თითქო მიზანი, ეგებ ცრუობენ, მმართებს სიფრთხილე
მაშ ერთხელ კიდევ უნდა ავწონო რაც მოვისმინე და რაც ვიხილე.

*/გადის. შემოდიან ადრიანე, ვიბია საბინა, პრეფექტი სეპტიცი კლარა თანხმლები პირები/*

**ადრიანე–**

ჩემი სურვილი □ იყოს მშვიდობა, სისუსტე ჩემი ზოგ–ზოგს ჰგონია
რაც მე დავუთმე პართიას, სომხეთს სხვის სიუხვესთან მონაგონია
ერთს თუ დავუთმე, მეორეს მიეც, მერე მესამეც ჩადგება რიგში
დაწყნარებული არი ქვეყანა და ყველა საქმე არი წესრიგში.
ახლაც რომ დავთმო, ხვალ რა მოხდება, ტრაიანეს დრო განმეორდება
ბარბაროსები აიშლებიან, მათი მოთოკვა ძვირი დაჯდება.
ამიტომ იყო პართიელები, ტრაიანესგან დარბეულები
ზავით შევიკარ, ვეამხანაგე, მოვინადირე მათი გულები.
სომხებს მეფობის მივეც უფლება, ტახტზე მე დავსვი არშაკიდები
ასე მეგონა ჩემი ხატება თან დააქვთ გულზე დანაკიდები.
ახლა გამოდის, ვით ღორის ტილი ფეხიდან თავზე აგაცოცდება
ცდილობენ კიდეც გადამიარონ, ნასროლი მათი მიზანს არ ცდება.
ფარსმანიც თითო განზრახ გამირბის, როგორც მის მტრებს სურთ, ისე იქცევა

ყოველი მხრიდან თუ ურტყავს ცული, დიდი ხეც მალე გადაიქცევა.
მე მათ ვანანებ ამ აშლილობას, წყალში ჩავუყრი გარჯას და შრომას
არ მოაქვს ხშირად კარგი ნაყოფი ლიქვნას, სიცრუეს და ქვეშ გამრომას.

**ვიბია საბინა –**

გეუბნებოდი ანტონინეა ვოლოგეშ მეფის ძალა საყრდენი
მისი მიზანიც არი ნათელი, ახალი ომის მოგიძღვნას მღვენი.
შენ კარგად იცი მისი მალაზი დედოფლობაზე ოცნებით დნება
ორივეს დღესვე დაგვანელებდა მისი რომ იყოს უფლება, ნება.
ორმიზდას მიტომ ხვდებოდა ჩუმად, სხვა არც რა არი მათში საერთო
და თუ ვტყუოდე იმ ბიჭის მსგავსად, მეც საჭურისი გამხადე ღმერთო.
გამოჩნდა კიდეც, ორივ უჩივის ქველი ფარსმანის თავხედობასა
სომხეთის მეფეც აიყოლიეს, გადააყოლეს ბინძურ გრძნობასა.
ელია ვერას სიკვდილის შემდეგ, ესაც მაგ ისი ნახელავია
თავი აიშვა, გამოაჩინა, გარეთ კეთილი, შიგ ნით ავია.
ანტინოაც ხომ ნილოსის წყალში შეუბრალებლად მოახრჩობინა
იმდენი სცადა და მოგიფერა შენ სასახლეში დაიდო ბინა.
ფაუსტინა კი დაუოკები, კაცთ მონადირის არი ნიმუში
ახლა ფარსმანის ვაჟს გადაჰყრია მრუშობას აჩვევს ბუნებით მრუში.

**ადრიანე –**

გეყოფა, მორჩა, არ მსურს ვისმინო ჩემი მემკვიდრის ავი და ცუდი
იმპერიაში თუ კი ვინმეა დიდი კაცობის ეხუროს ქუდი
ანტონინეა ამ მხრივ პირველი. მე ის ვიშვილე შენ იცი კარგად.
ცეზარად ყოფნა თუ ვინმეს მალუმს, ყველაზე მეტი ესმის და ვარგა.
ორმოცდა თორმეტს გადააბიჯა, წლოვანება აქვს დაღვინებული
გარეგნობა და გონიერება, მოწყალე, წყნარი, თავდადებული.
ამასთან იცი პირობა დადო შენი ძმის შვილი მარკუს ავრელი
იშვილოს, მისცეს ცეზარის ტახტი, მმართველობაში შეუწყოს ხელი.
სხვა ვინღა გინდა, ვეღარ გავიგე, ვინაც ვიშვილე, ყველა მოკალი
ვერ დაიოკე ბოროტი ჟინი, არვინ დაინდე კაცი თუ ქალი.
ფაუსტინას რომ უწუნებ ქცევას, შენ რა ნაკლები დრო გატარე?
ახლაც ფარსმანის ირგვლივ ტრიალებ და ვიცი მასაც არ გაახარებ.

**ვიბია საბინა –**

მე ჩემი გითხარ, გაგაგებინე, რომ მერე აღარ იყოს გვიანი

რამდენ ხანსაც ხარ იმპერატორი, ვარ დედოფალი იმდენი ხანი.
ამიტომ მინდა დიდხანს იცოცხლო, მინდა დაგიცვა მტერთა რქენისგან
ჭკვიანი თავის საწოლში კვდება, გიჟს ამოხდება სული რბენისგან.

**ადრიანე –**

პრეფექტს მოვუხმობ. სეპტიცი კლარა ჩემი ერთგული მეგობარია.
შენ დავალებებს ასრულებ მუდამ, რაც მითხოვია და გაბარია.
განსაკუთრებით დღეს დამჭირდება შენი გარჯა და სუფრის თვალყური.
ნუ აჩქარდები, გააწყე დინჯად და ნუ იქნება აურ–ზაური.
გვერდით დარბაზში მეუღლებიან იბერთა მეფე თავისი შვილით
ძველ რომაული დაუდგით ღვინო და სავსე ხონჩა მათი მხრის ხილით.
დანარჩენები როგორც წესია, გუშინ რომ იყო და იმის წინა
ყოველმა იცის თავის ადგილი, თავისი წონა, სასწორის პინა.
დიონისეს თასს მოვითხოვ ჩემთვის, ეტრურიული ჩამისხი ღვინო
სხვას თუ პატივს ვცემ და ვეფერები, ჩემთავს რად ვუმტრო და ვაწყენინო.
ყელი მიშრება როცა ვბრაზდები, ვბრაზობ და ჯიბრით უარესია
განა ყოველთვის ვღებულობთ იმას რაც გვაბარია და გვითესია?

**პრეფექტი სეპტიცი კლარა –**

ცეზარო, შენი ნათქვამი მესმის. ცეზარის ბედი ძალზე ძნელია
ერთი შეხედვით მსოფლიოს მართავ, ღმერთებად ყოფნა სასურველია.
მეორე მხრივ კი რამდენი რამე უნდა იფიქრო, უნდა განსაჯო
ცხრა დამნაშავეს უნდა შეუნდო, ერთი მართალი რომ არ დასაჯო.
თქმა არ მჭირდება, ზეპირად ვიცი შენგან მარცხნივ ზის შენი მემკვიდრე
იმისი ცოლი, მერე ვოლოგეზ და იმის ვაჟი აქ არი ვიდრე
შემდეგ დაჯდება სომხეთის მეფე, არშაკუნს როგორც წესით შეჰფერის
მეც მომწონს მისი სიტყვა–პასუხი, ღვინის გამოცლა და ხმა სიმღერის.
მითრიდატეა იმისგან მარცხნივ, ძალიან რთული არი ყმაწვილი
ფარსმანი, ქველი ამთავრებს ამ რიგს, ერთ–ურთს მიჰგავენ მამა და შვილი.
შენსა და ფარსმანს შორის საბინა, ძლევამოსილი ვით დედოფალი
წრე შეიკვრება, როგორც თამადას შემოგანათებს ყოველი თვალი.
მე ღმერთებს შევთხოვ შენს დღეგრძელობას, იყავი მუდამ სვე ბედნიერი
შენ ხელში როცა ეს იმპერია არა ყოფილა ასე ძლიერი.
შენ გზა უჩვენე დიდს და პატარას. შენ ააშენე ახალი რომი
მიეც მშვიდობა, სანახაობა, ბარბაროსებთან შეწყვიტე ომი.

**ადრიანე –**

დროით ახსენე, მოველი სტუმრებს და ნახე, როგორც გამოჩნდებიან
შემოუძეხი სათათბიროში, მათი იქ ხილვა მისაღებია
ანტონინე მყავს გაფრთხილებული და თუ არ არი დაკავებული
მოვა და ისიც იქ შემოვიდეს რომ მოვრჩეთ რაც გვაქვს გადადებული

*/ადრიანე გადის. მსახურები იწყებენ სუფრის გაშლას. პრეფექტი გამორჩეულ თასს, რომელსაც დიონისე ახატია ავსებს ღვინით და დგავს ადრიანეს კუთვნილ ადგილას/*

**ვიბია საბინა –**

მოხიბლული ვარ პრეფექტო შენით, რა მადლიანად ამკობ და საქმობ
შენ კონსულობის უთუო ღირსი საკუთარ ჭკუას და უნარს ახმობ.
ასე ნატიფი სამსახურისთვის თვითონ ცეზარის ქების ღირსი ხარ.
ერთია რასაც შენ იმსახურებ და მეორეა რადაც დღეს ღირხარ.

**პრეფექტი სეპტიცი კლარა –**

მე დედოფალო მოგითხრობ მართალს და არ გავხდი ამ პირს საგინად
იმპერიაში  კიდიდან-კიდე ულამაზესი შენ ხარ საბინა.
რას ვიფიქრებდი რომ შემამჩნევდი, თვალს მადევნებდი და შემაქებდი
მოვალეობას ვასრულებ ჩემსას. ცეზარმა მითხრა. ვუღალატებდი?
საფიქრალი აქვს ცეზარს მრავალი, არა ნაკლები საკეთებელი
რა კარგი არი შენ ყევხარ გვერდით, ვით დედოფალი და თან მხლებელი.
ბედნიერი ვარ გემსახურებით. ამით სამშობლოს ვემსახურები
მოვალეობამ არ იცის დაღლა, მაქვს ასი თვალი, მეტი ყურები.

**ვიბია საბინა –**

მადლობელი ვარ ერთგულებისთვის. მწამს სამსახური დაგიფასდება
ზოგჯერ ჩაიდენს კაცი გმირობას. ისე უბრალოდ თავად ვერ ხვდება.
დღეს შენმა ქცევამ მასიამოვნა. ხვალ რა მოგელის ჯერ ხომ არ იცი
განა ყველაა საქმის ერთგული, ერთგულებაზე ვინც დადო ფიცი?
ახლა ერთს გთხოვდი, გაგზავნე ვინმე ანტონინესთან და დააბარე
მსურს ფაუსტინა თან მოიყვანოს, რომ ეს ზეიმი არ იყოს მწარე.

*/პრეფექტი გადის/*

ბრიყვი. როგორი თვალით მიმზერდა, ალბად ვეგონე თავისი ტოლი
მიკვირს თავხედმა რომ არ მომთხოვა მისთვის გამეყო ჩემი საწოლი.
ახლა დრო არი ჩემთვის მთავარი, მიხურულია ვიდრემდე კარი
უნდა მოვასწრო, რაც ჩავიფიქრე და გავქრე როგორც მეუდროში ქარი.

*/დიონისეს თასში აწვეთებს სითხეს. თასს ანტონინეს მხარეს დგავს/*

ჩემი მეუღლის ამბავი მიკვირს, საიდან არჩევს მემკვიდრედ ბრიყვებს
სიბერის ჟირას დგას ანტონინე, და მცირე ხანში დრო დაიბრიყვებს
ის თუ გახდება იმპერატორი, მის ცოლს დარჩება ყველა სიკეთე
მე დედოფლობა ჩამომერთმევა და ვის შევჩივლო, რად გამიკეთე.
ამიტომ უნდა მოკვდეს მემკვიდრე, რომ ფაუსტინას გზა ჩავუკეტო
ის თუ მიაღწევს სასურველ მიზანს, მე არ მექნება დღე სასიკეთო.

*/შემოდიან ანტონინე და ფაუსტინა და თბილად მოეფერებიან საბინას/*

**ანტონინე–**

მოხარული ვარ გხედავ ჯანმრთელად, რაც ყვავილია გაშლილი ველად
შენ სილამაზეს ვერ შეედრება, ჩანს რომ ქალღმერთი დაგყვება მცველად,
ცეზარი მიხმობს, ვერ დავყოვნდები, სასაყვედურო რატომ გავხდები
წავალ დაგტოვებთ, იმუსაიფეთ, შეწყობილები ხართ როგორც დები.

/ ანტონინე გადის მეორე დარბაზში, სადაც უკვე არიან ადრიანე, ფარსმან ქველი
და მითრიდატე/

**ადრიანე–**

რა კარგ დროს მოხველ, მსურს მოისმინო ფარსმანის ვაჟის მონაყოლები
თუ სიმართლეა თუნდაც მცირედად, უხსოვარ დრონის ვყოფილვართ მმები.
მოგეხსენება რომ ტრაიანე იტალიკშია დაბადებული
ჩემი ოჯახიც იქვე ცხოვრობდა, და იბერიის დავრჩი ერთგული.
ბევრჯერ მიკითხავს იმ იბერიას, სადაც ვსწავლობდი და ვიზრდებოდი
აღმოსავლეთის იბერიასთან რა აქვს საერთო? და არ ვცდებოდი
როცა მინდოდა გავრკვეულიყავ. მაგრამ პასუხი დამაჯერები
ვერ მოვისმინე. გული მწყდებოდა, ვერ ამოვიცან იმათი გზები.
ამ ახალგაზრდამ ბევრი მიამბო, რომ ვუკვირდები მგონი არ ცდება

თუმცა სიმართლის გამოკვლევაში ბევრი კალამი კიდევ გაცვდება.
შემოვიერთდი. ერთად გავჩხრიკოთ ჩვენი წარსული და დასაბამი
იმან არ იცის ცხოვრების გემო, ვინც უგემურად გალია ჟამი.

**ანტონინე–**

მშვიდობიან დღეს გისურვებთ ყველას. ცეზარო ჩემი ხარ მამობილი
შენგან აღზრდილი, შენგან გაწრთვნილი და აყვანილი ვარ შვილობილი.
შენ გვერდით ყოფნა მეამაყება, მცირეც მოგისმენს–აზრით ივსება
თუ წარსულია საუბრის თემა, არ ვიცი ცოდნით ვინ გეჯიბრება.

**ადრიანე–**

ათი წლის ვიყავ, როცა დავობლდი და ტრაიანემ, ბიძამ აღმზარდა
მანებივრებდა, თან მასწავლიდა რაც მჭირდებოდა და რაც მიყავრდა.
ყველაზე მეტად ბერძენთა წარსულს, ნათქვამს, ნააზრევს ვუკვირდებოდი
უნდა მცოდნოდა ყოველი წვრილად იმპერატორი თუ გავხდებოდი.
ერთხანს ათენში ვიყავ პრეფექტად, ზევსს ავუშენე დიდი ტაძარი
ბერძენთა სიბრძნეს ვეწაფებოდი, მაგრამ ბოლომდე ველარ დავძარი.
ახლა მიამბეს, თვითონ ბერძნები, სხვა ერის სიბრძნეს ნაზიარები
საპელაზგიოს როგორ იპყრობდნენ, გაითავისეს მთები და ზვრები.

**ანტონინე–**

მე როგორც ვიცი ბერძნებზე ადრე ეგვიპტელებიც არა ყოფილან
ებრაელებიც ხშირად ჩემობენ ღმერთის საშოდან გამოყოფილან.
მაგრამ ვერც ერთის ვერ ნახავ ნაწერს გინდა მთლიანად და გინდა ნაჭერს
ბერძნებზე უკეთ რომ ასახავდეს მირს დედა მიწას და ზეცის საცერს.
მაკედონელმაც ბევრი იძია, ინდოეთამდეც კი მიაწია
მაგრამ ბერძნებზე უხნეს ამბებზე მან მოსავალი ვერ მოიწია.
არა მგონია იბერთ ახსოვდეთ კაცთ დასაწყისის გადასახედი
ბერძნების იქით რაცა ყოფილა ვერ იტყვის ბრძენი, ნუ იტყვის ყბედი.

**მითრიდატე–**

კაცის ჟამის სვლა, თუნდაც ცეზარის, ამ ქვეყნად ერთი გაელვებაა
უხსნესნი ხართ და თავად განსაჯეთ რა მოასწარით, რა ცხოვრებაა.
ამიტომ არი ვერ საზღვრავს კაცი, ვერ ასწრებს ქვეყნის სიბრძნის გაგებას
კარგი და ცუდი, დიდი და მცირე, მიეწერება მიტომ განგებას.
არავინ იცის როდის რა იშვა, იშვა თუ მუდმივ იყო ასეთი

მთის მწვერვალები, ბარი, მდინარე, როდის, რით იყო გამონაკვეთი.
რატომ არი რომ დაბლა სიცხეა, მთებში კი ამ დროს ლაღობს ყინული
თუ ჰელიოსის სხივებით ვთბებით, მთისა ახლოა მასთან ნიშნული.
რატომ არი, რომ დღე ხან მცირდება, ხან კი გახდება კიდე-უგანო
ცეზარი, მეფე, იმპერატორი, ვერავინ ხვდება, რჩება უგანო.
კაცი თავისი ცხოვრებით საზღვრავს და გადმოცემით რაც გაუგია
ყოველი ერი სხვაგვარად ამბობს ცის კაბადონი რას აუგია.
ინდოს თავისი ტანჯავს ნაფიქრი, შუმერს, ეგვიპტელს სხვაგვარად ესმის
ყველა თავისას მიერეკება, სხვისი ამბავი ლახვარად ესმის.
ნუ გაგაოცებთ ჩემი ნათქვამი, მე ვამბობ მაგრამ აზრი სხვისია
არ ვიტყვი ყველას ჩამოკაკლულად, მოკლედ რომ მოვჭრა □ საკმარისია.
დასაბამია თუ ყველას ბედი, მაშინ ღმერთებიც ხომ ვინმემ შობა
იბადებიან როგორც უკვდავნი, მაგრამ როგორი აქვთ წარმოშობა?
თუ ღმერთი მუდმივ იყო სადღაცა, მუდმივ რაღაცა უკვე ყოფილა
რომელმა რომელს მისცა საბამი, მათ შორის ზღვარი რით გაყოფილა?
ეგებ რაღაცამ დაბადა ღმერთი, თუ ღმერთმა შექმნა ირგვლივ რაღაცა
ეგებ ცა-მიწის ძალებმა შექმნეს, ეგებ ღვთის ძალამ შექმნა მიწა-ცა?
ჩვენთა წინაპართ ასე უთქვიათ, მათი ვარ შვილი, ასეც ვიწამე
კოლხეთში მზრდიდა ჩემი მშობელი, სიბრძნის მებნაში იქვე ვეწამე
ყოფილა მხოლოდ გეო მშობელი, ჩვენ დეო-მიწას ვეტყვით ალერსით
და რადგან მასზე გვიდგია ფეხი, ჩვენია ღმერთი ცოდნით და წესით.
მას გარს ეხვევა უღრანი ზეცა, ჩიტიც რომ ვიყო შორს ვერ გავწვდები
მამრივით დეოს ზევიდან აწევს, მეც დაბლა მაგდებს და ვერ ავხტები.
საპელაზგოში იტყოდნენ დე-ო, ბერძნებთან გახდა გე-ო მშობელი
უღრანი ზეცაც ურანად იქცა, სად ჰკრავს კამარას მანათობელი.
დე-ო უღრან-მა, გეო ურანმა შობეს რაც გვაფრთხობს და რასაც ვხედავთ
ვგრძნობთ, ვფიქრობთ, ვასკვნით, ბევრს ვერას ვრჩებით, სწავლით გონებას
ვწურთნით და ვხედნავთ.
ყველა ღმერთია კაცის გონისთვის მიუხვდომელი, ჩაუწვდენელი
კაცთა ცვალება მალზე სწრაფია, ღმერთების შეცვლა მალზეა ნელი
ეგებ ვიღაცა მიხვდა რაღაცას და ეს რაღაცაც თან წაიტანა
თუ არ ასწავლით-დაკარგულია, მაგრამ მოკვდავი მიხვდება განა?
არ ვიცით როდის და როგორ ჩნდება, ხან შემცირდება, ხან გაიზრდება
ყინვა შემოსავს-სიცოცხლე კვდება, დათბება,-გეო ლამაზი ხდება.
როდის იწყება, როდის მთავრდება, რა ხანი უნდა, რად მეორდება

ჩვენ ამ ცვლილებებს თითქმის ვერ ვამჩნევთ, დეო ღმერთია და არ ბერდება
უღრანი ზეცაც ჩვენი ღმერთია, და როგორც ღმერთი არი უკვდავი
ასე არი და ასე არ არი, ღმერთსაც სცოდნია დროება ავი.
როდსაც ღმერთნი მორჩნენ კეთებას □ მათი დროც მორჩა, თან გაიყოლა
დროც შეიცვალა და კაცის ცოდნაც, არაა საქმე წვრილად მოყოლა.
მოვიდა ზეცას ახალი ღმერთი, ღმერთების მეფე უკვდავი კრონი
დროთა ცვლილების ღმერთია იგი, პელაზგმა მიტომ უწოდა დრონი.
გეა–ურანი სამყაროს ქმნიდნეს, შექმნეს და მათი ვადა გავიდა,
შექმნილთა წესრიგს დრო აყალიბებს, ხომ არ დაიწყებს შექმნას თავიდან.
დრომ მიუჩინა ყველას ღმერთები, ბუნების მალთა დასვა ღმერთებად
მათი ვალია მოაწესრიგონ სამყაროს დაშლა და შეერთება.
დრონი გავიდნენ იცვალა კაცი, საპელაზგოში ახალი მალა
აქაველების სახით დამკვიდრდა. ნიშნავს ცხოვრებაც ხომ შეიცვალა.
ოლიმპოს მთაზე ამაყად დაჯდა ზევსი კრეტელი, მეხთა მტყორცნელი
ადვილი არი გასახსენებლად მაგრამ დროება ხომ იყო მნელი.
ათასი წელი მეფობდა ზევსი ქვეყნად ტომთა ბედს აწესრიგებდა
შემდეგ გამოჩდნენ, მხოლოდ, ბერძნები. ადრე მათ ყოფას ვინ გაიგებდა.
ეოლელები, იონელები, სულ საბოლოოდ დორიელები
შემოესიენ საპელაზგიოს როგორც ცხვრის ფარას მშიერი მგლები.
მათგან ისწავლეს ბრინჯაოს ჭედვა, მიწების მოხვნა, ღმერთების ხედვა
ასეთი იყო ღმერთების ნება, ამ საქმეს მირი ასეთი ედვა.
ჩვენ ახლაც ვიტყვით, ოლიმპოს თავზე, სადაც ღრუბლები იკრიბებიან
მეხთამტყორცნელი ზევსი ზის მეფედ, ვის შიშით ღმერთნიც კი შეკრთებიან.
კოლხნი, იბერი ეტყვიან მზევსი, მზესია მალთა გამოვბრწყინებით
ქალღმერთი ჰერა, ჰაერის ღმერთი, უზია ცოლად ღვთიური ნებით.
ჩვენ მათ ვერ ვხედავთ სანამ აისი, მალე თენების მაუწყებელი
ბერძენი იტყვის ღმერთი ეოსი, ჰელიოსის და, მისი მხლებელი
არ განათებს ოლიმპოს კალთებს და თვალში შუქი არ ჩაგვიდგება
სხვადასხვა არი ეს ორი ღმერთი თუ ერთი არი კაცი მიხვდება?
სიცრუეს ნერგავს ქალღმერთი ატა, რომელიც ზევსმა ყურით ისროლა
ატა–ყურაა, მ–ატ–ყუარაა, თანაც საკუთარ სიცრუის ტოლა
ჩვენ კაცზე ვიტყვით, მაგრამ სათავე ღმერთან მიდის თუ ღმერთიდან მოდის
დრონი მიდიან ყველა იცვლება, სიტყვაც ბედს იცვლის ასე გამოდის.
შურის ღმერთს ეტყვით ერიდა ღმერთი, ერიდე ვიტყვით ჩვენ შურიანზე
წინ დაგვიხვდება, გზა აუარე, საბაბს ნუ მისცემ, გადექი განზე.

რამდენი ღმერთი კიდევ მოვთვალო გინდ აფროდიტა, გინდა ათენა
აფრა ჩვენ ვიცით. ათენ–გენობას რამდენმა წელსაც ღამე ათენა.
აბა მითხარით ღმერთთა სახელი ბერძნულად რამეს თუ გამოხატავს
როგორ გავიგოთ ეს გაორება, რას მივაწეროთ ბრძანეთ კარგს თუ ავს.
ახლა ასე ვთქვათ ჩვენი ღმერთები, რომელთა აზრი მხოლოდ ჩვენ გვესმის
გამხდარან სხვისი, სხვა ემონება, თუმცა ლოცულობს, არსი არ ესმის.
მაგრამ თუ ვიცით, რომ პელაზგები ზღვის გაღმა გავხდით ლაზგებ, ლაზებათ
ჩვენმა მამებმა დახნეს ის მხარე, იქ ყოფნა მოსწონთ, ელამაზებათ
მაშინ გახდება უკვე ცნობილი ჩვენი ტომები პელაზგებია
კავკასიამდე ბრძოლით იარეს, ის მხარეც მათი ანაგებია.
ბერგან წერია ალბან–იბერი თესალიაში მკვიდრობდა ადრე
ახლა რომ უთხრა, აქეთ დაგცინებს, მსგავსი ტყუილი როგორა ჰკადრე
იმათზე ადრე ჯიქებ–ზიგები, კავკონები და ლაკებ–კარები
ტანჯვით დალახეს მაღალი მთები, გასასვლელებში ჩადგეს კარები.
ტომებში ბევრი ორად გაიყო, სადაც დაფუძნდა, დღესაც იქ ბუდობს
დრო დააშორებს, სხვადასხვად გახდის, დრონი მეფობენ, და ჟამი ცუდობს.
ცეზარი ბრძანებს ორ იბერიას თუ აქვს საერთო და რაში ვხედავთ
ერთი ძირია, ჩამომავლობა თუ ორი უცხო ერთ სიტყვას ვხედნავთ.
არ ვიცი ახსოვთ დასავლეთელებს თუ მისცემია დავიწყებასა
ბევრი ათასი გავიდა წელი, ბევრი ამბავი თან გაჰყვა ზღვასა
ჩვენში კი ახსოვთ საკმაოდ მყარად, სადღაცა ძმა ჰყავთ, სადღაც ძმის დარად
მათი სახელიც ერთნაირია მტრის სავალალოდ, მათ გასახარად

**ანტონინე –**

შენ თუ ამტკიცებ ბერძენთ ღმერთები, ყოფილა თქვნეთან შენაერთები
ბერძენმა როგო აშენა მაშინ სპარტა, მიკენი, კორინთო, თები?

**მითრიდატე –**

ის რაც ახლა ვთ□ქვი, არ ნიშნავს იმას, ბერძენთა ღვაწლი რომ დავამცირო
რად ავიმღერალო პირი ტყუილით, კაცური სიტყვა რატომ გავწირო.
მე ვამბობ მხოლოდ, წარმომავლობით ჩვენი ტომები პელაზგებია
რაც მაშინ იყო ქალაქ–სამეფო ისაც იმათი ანაგებია.
თვითონ ბერძნები ამბობენ ერთხმად, რომ აიეტი კორინთოს ფლობდა
კოლხეთის მეფე დელფოსის მხარეს საკუთარ მამულ–დედულად ცნობდა.
მე თუ ვიცრუებ, ბერძენთ მამანი სიცრუეს რატომ მიდასტურებენ

განა ცოტა ყავთ სახელოვანი? სხვისა მოგონილს ხელს რად ახლებენ.
მაგრამ თქვენ იცით არგონავტებზე, მათ გმირობაზე ხმელეთზე, ზღვაზე,
აიეტია თუ მედეაზე, წერენ ვით ღვთიურ საოცრებაზე
თვით ჰომეროსი ღმერთთა სადარი, როცა ტომებს თვლის ვინ და სად არის
როცა გემებს თვლის, როცა თვლის გმირებს სადაურია, რომელი მხარის
როგორ გამოყოფს ვინ პელაზგია, იყო და ახლა იონიელობს
იმას ვერ იტყვი ტყუილად შრომობს და მველს უწოდებს რაც არა მველობს.
თქვენ წინაპარსაც მიუმღვნის წონით, ვით დაუღლელ გმირს და მაღალს გონით
ეგებ გგონია ღმერთკაცი ცდება, მომავალს კვებავს გამონაგონით?
და თუ ასეა როგორც გვითხრობენ სახელოვანი ბერძენთ მამანი
მე როგორღა ვთქვა არ გამიგია, ვინ რას დაუდო ქვეყნად სამანი?

**ადრიანე –**

რაც უწინ იყო და გავიხსენებთ, გამოგვადგება ფიქრთ ზღვაში ნავად
მთავარი არი არ უნდა ითქვას სხვის დასაცინად და საჯიჯგნავად.
ჩვენ სხვა დროს კვლავაც დავუბრუნდებით, რათა სიმართლე ვპოვოთ უცილოთ
ვცდებით-შეცდომა გამოვასწოროთ, ტრაბახას დამღაც ჩამოვიცილოთ.
ახლა კი დროა მოვისაუბროთ რაც ტკივილი გვაქვს და რაც გვაწვალებს
ერთი-მეორის პატივისცემით მოვკვეთოთ რაც გვყოფს და დაგვაცალებს.
ჩვენ გვაქვს ასეთი სასაყვედურო, იბერიელნი პირს არ იცავენ
კარს ალანების,-მტრებს რომ უხსნიან, მათი ხელებით საფქვავსა ფქვავენ.
ოთხი წელია თითქმის  გასული რაც მოგვისიეთ კარს ალანები
გაათელინეთ ბევრი ქვეყანა, კაპადოკიაც დარჩა ნავნები.

**ფარსმანი –**

დაგეთანხმები რომ იყო ასე, მაგრამ ერთია დასამატები
ალანებს გვერდით ედგნენ ყივჩაღნი, და შორეული სავრომატები.
ჩვენ გადმოვუშვით მათი რაზმები და თან მივეცით ბევრის უფლება
მათი მიზანიც ასე განვსაზღვრე, პართიის ტყვევნა და დაუფლება.
ვინ იფიქრებდა იმათგან ღალატს, სომხეთის რბევას, ალბანთა ტყვევნას
როცა გავიგე დავსაჯე კიდეც, რად მოვყვებოდი ქებას და ხვევნას.
კაპადოკიას მოხვდნენ შემთხვევით, ზარალიც არსად დაუთესიათ
კაპადოკია ტიბარენია ერთად ვპატრონობთ, როგორც წესია.
ტიბარენები და იბერები ერთი მშობლის ვართ განაყარები
ძმა თუ დაჩაგრეს და მოაოხრეს, როგორ დავრჩები განახარები.

ამიტომ იყო ვუხმე ბელადებს, უკან იმავე გზაზე ვატარე
რომის ჯარს არვინ შებრძოლებია, მე დავიცავი საერთო მხარე.
მე შენი წყენა ხომ არ მინდოდა და არც მეგონა თუ ხინჯად გქონდა
ოთხი წელია უკვე გასული, მეგობარს ჯავრი გულით დაგქონდა.

**ადრიანე –**

შენ ისე ყვები, რომ დარბევისთვის უნდა ახლავე გითხრა მადლობა
მოვინანიო ამასთან ერთად, რომ შენზე წყენის დამქონდა გრძნობა
ასე ვინაც რომს სავნები უყოს იმპერატორმა რომ შეიწყალოს
მარსის მოედანს მალე დახნავენ, სენატის ნაცვლად ჩადგავენ კალოს.
მუდამ მიმაჩნდა ხარ პირნათელი, შემმართებელი და მოკავშირე
ამიტომ იყო დაგიდგი ძეგლი, ჩვენ შეხვედრებსაც ხომ მოვუხშირე.
ვერ დააფასე ჩემი სიკეთე, სადაც გწყალობდი, იქვე მტერობდი
ჩვენ შორის კავშირს რა აზრი ჰქონდა, ან რა მოჰქონდა ნუთუ ვერ გრძნობდი?

**ფარმანი –**

ნერონის ხიდით ტიბრს რომ გადმოველ და მარსის ველზე მოვავლე თვალი
ვთქვი თუ ამ ქალაქს დიდებულებით სად ეყოლება ქვეყნად ბადალი
მარცხნივ ავგუსტის დიდი აკლდამა და პომპეუსის ფართე ბაღები
მარჯვნივ არენა დომიციანის, გემთმისადგომი და გასაღები.
წინ გზა მდიდრული სასახლეებით, იუპიტერის დიდი ტაძარი
ვუცქირე, გულით ვისიამოვნე, მერე ის იყო ცხენი დავძარი
რომ შევამჩნიე ძეგლი მშვენება, ამხედრებულში თავი ვიცანი
თუ გსურდა ჩემთვის მოგეძღვნა ძღვენი, მიღწეულია კიდეც მიზანი.
მადლობას გწირავ. რაზე ვიცრუო. ვნახე, გავლაღდი, ვარ კმაყოფილი
შემახსოვრება ეს დაფასება ცოდვილ მიწაზე რამდენსაც ვილი.
მით უფრო მტკივა ეს საყვედური, რაც უფრო მეტი სითბო მაქვს ძმური
მე ხომ პართიას შევუნთე ცეცხლი, არ ამიტეხავს ფუჭად ხმაური.
ასე მეგონა საერთო მტერი, რამდენსაც შევძლებ, უნდა დავთრგუნო
მეგობრობის და ერთობის გრძნობა უაზრო სიტყვით არ გავახუნო.

**ადრიანე –**

შენ უცნაური გცოდნია ძმობა, ჭკუა გატყუებს ან გულის გრძნობა
სიკეთის წილად ბოროტსა თესავ და სიყვარული როგორ იგრძნობა?
თუ დაგიჯერე ასე გამოვა მართალია ვინც იცის ლაქ–ლაქი
აფსარის აქეთ შენ დაიჭირე ბევრი სოფელი, ბევრი ქალაქი.

დღეს შენ გიპყრია პონტოს სამეფოს მთიან-ტყიანი აღმოსავლეთი
კაპადოკიის ჩრდილო ნაწილი, გადასასვლელნი და მისავლეთი.
რაც მითრიდატე პონტოელს ჰქონდა და პომპეუსმა შეგვმატა ბრძოლით
ბითინიიდან იბერიამდე მთებით, ველებით, სპერის ზღვის ზოლით
თუ დრო იხელთე, დაისაკუთრებ და კიდევ აქეთ შეგვედავები
გაფრთხილებ, გეყო და დაინაყრე თუ გინდათ შეგრჩეთ მხრებზე თავები.

**ფარსმანი–**

ვფიცავარ ღმერთებს, რომლებმაც შექმნეს კაცთა საბრძოლი და საყუდელი
მეგობრობის წილ მუქარა მესმის და აღმართულა სამტეროდ ხელი.
განა ამიტომ ვეწვალე დიდხანს, მცხეთიდან აქეთ მუხლი დავღალე
რომ სიკეთის წილ მიმეღო წყენა, გაურკვეველი მქონოდა ხვალე.
შენ ამბობ აფსარს მიწები ვიპყარ, თემისკარიდან ამასიამდე
დიდი ხანია რაც რომი მძლავრობს, ჩვენი მიწები უპყრია ზღვამდე?
ორასი წელი არც კი იქნება, რაც მითრიდატე კეთილშობილი
ჩვენ შეგვითანხმდა და ჩვენი მიწა ლაზთა და მესხთა მხარედ ხმობილი
პონტოს სამეფოდ აერთიანა, შემდეგ მრავალი იპყრა ქვეყანა
სპერის ზღვა ჰქონდა ყოველი მხრიდან და იყო ლაზთა დიდების ხანა.
რომმა ეს კუთხე ფარნაკს წაართვა, თავად დაღუპა ფარნა ღალატით
და იმას მერე იბერიისკენ რომი მოიწევს რყევით, ტაატით.
დღეს სტუმარი ვარ, მოგაგებ პატივს, იგულისხმება არ მინდა ომი
მაგრამ განსაზღვრე, სად სპერის ზღვაა, სად აფსარია, სადაა რომი.
შენგან მსმენია მშვიდობა გიყვარს, მშვიდობას თესავ შინა და გარე
პართია მიტომ ათავისუფლე და ზედ დაურთე სომეხთა მხარე.
თითქო დაკარგე ბევრი მიწები, მაგრამ თუ გქონდა დანაფიცები
სიკეთით შრომა, რათა ის ყმები, დღეს გაგხდომოდნენ ერთგული ძმები.
მაშინ მიზანი მიღწეულია. ამის გაგება არც თუ რთულია
ორთავე ქვეყნის მოთავეები ჩემ გვარად შენგან მოწვეულები
მე მოკავშირე და მეგობარ, ამის ატანა თუმცაა მწარი
ვზივარ მტრებს შორის, ვესაუბრები, რა უნდა იყოს უფრო საზარი.
ახლა კი ისე მითხარი სიტყვა მე მოკავშირე გავმხდარვარ მტერი
ჩემი მტერი კი შენიც რომ იყო, მოძმე გამხდარა გულით სამღერი.

**ადრიანე–**

იუპიტერის რისხვას ვფიცავარ, იცი გმეგობრობ, კიდეც მიყვარხარ
ძეგლიც იმიტომ დაგიდგი რომში, გამორჩეულად სტუმრებში მყავხარ,

მაგრამ ამიტომ არ ვთქვა მართალი, არ ავახილო საქმეზე თვალი
მიგიტაცია პონტოს მიწები და გაგივლია ახალი კვალი.
ჩვენ ამ საკითხზე მსჯელობა გვმართებს, ის გამოაჩენს მტყუანს და მართლებს
და ამის მერე აქ გადაწყდება ვის მივცემთ ნაწილს, ვის დავტოვებთ მთლებს.

**ფარსმანი –**

ციხე ზღვისთან ფარნაკის მარცხი გახდა ხალიბთა ჭმუნვის სათავე
ას ოთხმოცდა ხუთ წელს ითვლის ერი, მოგონებები დაგროვდა მწვავე.
და როგორც იქნა ჩემი მცდელობით, მცირე ნაწილი წმინდა მიწისა
ვათავისუფლე და დავამშვიდე. რას ნიშნავს, მოწონს ვინაც იცისა.
რომს რა დააკლდა, რა ბედენაა, მაკრონთა ბუდე მთიან–ტყიანი
ეს ჩემთვისაა მალზე მვირფასი მიხვდები თუ ხარ გამგებიანი.
არც მინდა ამის გამო მოგმულდე, ისეც ბევრი გვყავს მტერი საერთო
პართიის მეფე აქვეა იცი, მისი სტუმრობა ჩემსას დაერთო.
დღეს თითქო ტკბილად გესაუბრება, ხვალ რა იქნება ან რა მოხდება
თუ მომიმულებ, იქ ვინ დახვდება, მოშურნეს ჩემებრ ვინ შეასკდება?

**ადრიანე –**

გაგეგონება, რომის ქუჩებში ფეხით სიარულს ვარ დაჩვეული
სად გაგიგია, რომელ კუთხეში ფეხით ვიდოდეს ღმერთთა რჩეული?
მახსოვს, რომ მოხდა ასეთი რამე, სეირნობისას მოხუცი ქალი
წინ გადამიდგა, გადამეკიდა, არ დამიტოვა გზა გასავალი/
მივუგე, ქალო, ხედავ არ მაქვს დრო, იქით მიდექი, გზა გამიხსენი
ცეტი მეგონა, რომ მიპასუხა, მივხვდი რომ იყო მოხუცი ბრძენი
ასე მომიგო: თუ დრო არა გაქვს, იმპერატორიც არ უნდა იყო.
რომ დავუკვირდი იყო მართალი და გულის დარდიც ტოლად გამიყო.
მას შემდეგ ვიცი რაც ხარ მაღალი, აუჩქარებლად უნდა საქმობდე
რათა საკითხის ყველა მისახედს დროში, სივრცეში თანაბრად გრძნობდე.
იბერთა საქმეც ასე განვსაჯოთ, დროს დავეკითხოთ და ღმერთს ვეაჯოთ
აჩქარებით და გაურკვევლობით არც გავისარჯოთ და არც დავსაჯოთ

**/შემოდის ვოლოგეშ პართიის მეფე, ორმ ი ზდთან ერთად/**

**ვოლოგეში –**

ამ დროს ველოდი დიდი ხანია, ცეცხლის ღმერთს მსხვერპლი ამიტომ ვწირე
ევფრატი, ტიგრი მიტომ დავლახე, დღეის იმედი რომ მქონდა მცირე.
იმპერატორი ხარ ღმერთის ტოლი, ყველა იპყარი სად თვალი წვდება

შენ შეგ იძლია მეფეთა განსჯა, შენ გეკითხება სად და რა ხდება.
მე ადრეც გწერდი და ახლაც ვამბობ შენი ვალია საქმის გარჩევა
აქ მეოფებიდან მხოლოდ ფარსმანმა არ მოიშალა სხვის რბევის ჩვევა.
როცა ჩვენ შორის იყო ქიშპობა, როცა რომს სურდა ჩვენი დაპყრობა
მაშინ შეეძლო იბერთა მეფეს ჩვენგან ნადავლით თქვენთან საძმობა
მაშინ მე ვერას შემოგ ჩივლებდი, არც ისურვებდი მეტოქის დაცვას
როგ ორც შევძლებდი აღვუდგებოდი ჩემი მამულის დაწვას და ძარცვას.
მაგრამ ახლა კი სულ სხვა საქმეა. ჩვენ სამეგობროდ დავდევით ზავი
შენი ვალია განსაჯო ჩვენში ვინ მართალია, ვინაა ავი.

**ადრიანე –**

მე კარგად მახსოვს მამობილს ჩემსას სურდა პართიის სრულად მოსპობა
გადაიარა ოკეანემდე და ვერ დაიცხრო სიხარბის გრძნობა.
თქვენ დედაქალაქ ქტესიფონს მოდგა, გალავნიანად დაანგრევინა
გამარჯვებული არი მართალი. და ტრაიანე გაკიცხა ვინა?
მე სხვაგვარ ვსჯიდი, ომის სანაცვლოდ მსურდა გამედო მშვიდობის ხიდი
ამიტომ ყველა ვათავისუფლე ტყვეა, მონა თუ შემონახიდი.
შენაც მოგეცი თავისუფლება, შენი შვილი კი მძევლად დავტოვე
რათა ახალი მეგობრისაგან სახლში არ მეგრძნო მე სიმარტოვე.
შენ კი რა ჰქენი იბერ–ალბანებს ომი დაუწყე მველებურადა
აგერ ფარსმანი. მმა–მოკავშირეს მითხარი რატომ გაუხდი მტრადა?

**ვოლოგეში –**

გასაგებია იცავ იბერებს, ამიტომ გქვიათ მოკავშირენი
მაგრამ ჩვენც ხომ ვთქვით ვიყოთ მშვიდობით და საამისოდ გული გავხსენი
არც დამიმალავს აღმოსავლეთით ჩემგან ვინც ცხოვრობს, ყველა მტერია
მიწიოკებენ სამეფოს საზღვრებს, თუმცა ვერც ერთი ვერ მომერია.
ასე ვფიქრობდი, რომს შევურიგდი, დაცული გახდა შენგან საზღვარი
და შენთან შენი მოკავშირენი გამიხდებოდნენ გულს საფიცარი

**/შემოდის სომხეთის მეფე არშაკუნი/**

**არშაკუნი –**

თავს ნებას მივცემ შემოგ იერთდეთ და თქვენი ლხინი გავიზიარო
თუმცა დარბაზში სუფრა რომ ვნახე, ვიფიქრე სხვაგან რაღად ვიარო.
ცეზარო შენი დიდების შუქზე შენი სტუმრებიც ლაღნი ხდებიან

ასე ერთობით ცხოვრებას რა ჯობს, კვერს დამიკრავენ თუ მიხვდებიან
გარეუბანში, ტიბურე ჰქვია შენი სასახლე როცა ვიხილე
გაოგენული ვიდოდი დიდხანს და მცირე შური ვერ ავიცილე.
ყველა ქვეყანას აქვს თავის კუთხე, მე სასომხეთი ჩემი ვიცანი
იქვე პართია და ალბანეთი, სახელმწიფონი სხვანი და სხვანი.
როცა იხილავ, იტყვი რაღა ჯობს, რატომ დავურთა შენებას ომი
მხოლოდ ღმერთების თანასწორთათვის მისაღებია მათი საზომი.
ახლა ვენერას ტაძარი ნახე, შენი ნახაზით აგებულია
ხუროთმოძღვარი უდიადესი, იტყვის ვინც საქმეს გაგებულია.
შენთან სტუმრობა ჩვენ სიბრძნით გვავსებს. სხვაგან სად ნახავ მასპინძლებს მსგავსებს
შეგ ირდები ვართ შენთაან პატარა, თავმოწონება დაგვცემს, დაგვავსებს.

**ადრიანე–**

კარგად მიმხვდარხარ სულ ყველა მიყვარს, არა ვუოუჩობ, არა ვარ მხეცი
ვათავისუფლე ყველა ქვეყანა, ჩემ გულშიც ყველას კუთხე მივეცი.
ამიტომ იყო რომ სასახლეში ყველა სამეფოს სახესა ნახავ
დატკბები მზერით, შეგ იყვარდება და გულში ხატად შემოინახავ.
შორს რად წავიდე ტიგრანის მერე სასომხეთს მუდამ სხვის მეფე ფლობდა
ხან იბერია და ხან პართია თუ ხელთ იგდებდა აღარა თმობდა.
შემდეგ როდესაც რადამისტ მოკლეს პართიას სურდა ხელში აღება
რომმა აჯობა, ათავისუფლა, ამ სიკეთესაც უნდა გაგება
რატომ არა ვთქვა, ოთხი წელია, ემუქრებოდა სომხეთს ფარსმანი
და რომ მეცლია გადაგულაპავდათ, მოგინელებდათ საკმაო ხანი,
ჩვენ შორის არი დიდი სხვაობა. მე მივეც სომხეთს თავისუფლება
მეფედ შენ დაგსვი. მართავ ქვეყანას. ხარ მათი მეფე და გაქვს უფლება
მე შენ გპატრონობ, რომ მეზობლებმა დარბაზები არ აგიტალახონ
ლეგიონებიც მოგეცი მცველად, რომ სიძლიერე იგრძნონ და ნახონ.

**ვოლოგეში–**

ეგ კარგი არი. დღეს სასომხეთი იბერებისგან არი დაცული
მესხი არ ჰკივის ჰკა მაგ ასაო. აღარ მძლავრობენ შუბი და ცული.
რა იქნებოდა ჩემი სამეფოც ასევე იყოს შენგან ნაფერი
თორე ფარსმანით ბალღებს აფრთხობენ არი შაირი თუ მისამღერი.
რა დრო გავიდა. შარშან მოგწერე და გთხოვე ჩვენში ჩააგდო ზავი
ამიტომ მოველ შენთან სათხოვრად, ამხელა გზაზე გადავდე თავი.
ცეცხლის ღმერთს ვფიცავ. თუ დამეხსნება. მტკიცე მშვიდობის მიცვე პირობა

თუ გავუხსენი ძველი წყენანი, თუ დავუწუნო ლანძღვით გმირობა.
თუ ვუღალატო სამუდამო ზავს, კრული ვიყო და ხანჯლით საკეპი
მივცე ზვარაკი მე მაგის ღმერთებს, მე განვადიდო მაგისი კერპი.
თორე ცეზარო, ეს რა გამოდის ჩვენ მეფეები აქ ვმუსაიფობთ
თან თითეული რომ ოცნებობდეს, სხვას როგორ ვუმტრობთ და როგორ ვიპყრობთ
ხომ არ იქნება მაშინ მშვიდობა, ხომ ჩაზვავდება ჩვენ შორის ხიდი
ამიტომ ვამბობ თუ გვინდა ძმობა, შენ უნდა დაგმო ფარსმანი ფლიდი.
აბა ეს რაა გვსურს მეგობრობა, ამ დროს კი მისი უმცროსი ვაჟი
ჩემ სახელმწიფოს შემოსდებია, როგორც აბედთან ნაკვესი კაჟი.
არ თქვას ფარსმანმა, რომ ამაზასპი კასპიის კართან ნადირსა დევნის
როცა ჩემ მსახურთ უნგრევს კერიას, სურვილი ტანჯავს სითბოს და ხვევნის.

**არშაკუნი –**

მე იმპერატორს ქედს ვუხრი დაბლა, არც მავიწყდება სიკეთე მისი
თან ვეთანხმები რაც ახლა ითქვა და მაქვს საბუთი შესაბამისი
ფარსმანმა როცა ჩემი თანხმობით სომხეთის გავლით პართიის მხარე
გადაირა და გადაქელა, ფერფლად აქცია ის არე-მარე
მერე ჩვიდმეტი მოკლა დევ-გმირი, დევ-გმირებშიაც გამორჩეული
მაშინ ვიფიქრე, ეს აღარ ხუმრობს, ძარცვა-დაპყრობას არი ჩვეული.
მას მერე მუდმივ შიშითა ვცხოვრობ, რა ვიცი ხვალ რა მოენებება
პართიის მეფეს თუ დავეხსენი, არც ფარსმანთან მსურს მე დანებება
მე გამიგია ასი წლით ადრე სულ სხვა ფარსმანი როგორ მძლავრობდა
დიდი სომხეთის ავლა-დიდებას საკუთრად ფლობდა სხვისად არ ცნობდა.
ჯერ ძმა დაგვისვა სამეფო ტახტზე, მერე იგ ივ ძმა შვილით შეცვალა
მაშინ გამოდის საკეთებელი, შესაბამისი თუ ახლავს ძალა.
დღეს ამ ფარსმანმა რომ მოისურვოს, სომხეთს დაეცეს წინაპრის დარად
მე როგორ შევძლო მისი აღკვეთა, სამეფო ტახტი ვით მეპყრას მყარად?
ამიტომ არი, რომ ვეთანხმები, თუ შევიპირეთ და დავთქ□ვით ზავი
ხვალე იქნება თუ იმის იქეთ ფარსმანმა აღარ წამოყოს თავი.
ამაზასპი რომ აგრძელებს რბევას, დაფ-დაფის ცემას, მახვილის ქნევას
უნდა შევთანხმდეთ, რომ სამუდამოდ ჩამოვეხსნებით დაპყრობის ჩვევას.

**ფარსმანი –**

ასე იტყვიან, აქეთ შეგრჩება, თუ გაღმა, იქით, შეედავები

მე მეშინია, ასე ფიქრისგან, რომ არ ატკივდეთ ამათ თავები
იბერიას რომ უკიჟინებენ, საქმით არ მალუმთ ენითა ვნებენ
ამით სიკეთეს ნუთუ ფიქრობენ და ან სიმშვიდეს მოიპოვებენ?
ხო. იყო შარშან ავტეხეთ ომი, მაგრამ ვინ იყო მოთავე, მდომი?
ვინ-ვის მიეჭრა თუ მიეპარა, რომ დაენგრია მისი სადგომი?
მოსაწამლავად თავის მსტოვრები რომელ მეფემან ვის მიუჩინა
რომელს რომლისა სურდა სიკვდილი და ბედისწერამ გადამარჩინა.
იმპერატორი სამართლიანი, კაცთმოყვარე და ცნობილი ბრძენი
ჩვენ რასაც ვიტყვით ისე განსაზღვრავს და არც იქნება ჩემთვის საწყენი
შენ გეხსომება, აქ რომ ვსტუმრობდი, იქ მითრიდატე დარჩა შემცვლელად
პართიის მეფემ ეს რომ გაიგო მზაკვრული გეგმა დააწყო ხელად.
აწვია ელჩი ჩემ მემკვიდრესთან, აგერ არი და სიმართლე მან თქვას,
რა უთხრა ელჩმა, მე არ მიკითხავს, ცოდვა არ არის შენთან რომ გათქვას.
ეს პართიელი მოუწოდებდა შვილს მამისათვის დაეგო მახე
მე ეს ეტრატი თან წამოვიღე, თუ დაეჭვდები მოგიტან, ნახე.
არ დამესაჯა მე ავის მდომი, რა კაცი ვიყავ ამის შემდგომი
შემოვიერთე სომხების მეფე და სასწაული ავტეხე ომი.
დამარცხებულმა სხვა რა იღონა, ასეთი ხერხი გამოიგონა
რომის სამართალს მიმართა მეისვე, დაუჯერებდნენ ალბათ ეგონა
მართალი არი დღეს ამაზასპი კასპიის კართან ციხეს აშენებს
მომმე ალბანეთს იცავს ის ამით, არავის ჩაგრავს, არვის აშინებს.
რომს მოვდიოდი ფიქრად არ მქონდა, ცოდვა ასეთი თუ თან დამქონდა
პართიის მეფე ცრუ ბრალდებებით ჩვენ მეგობრობას თუ გადაწონდა.

**ვოლოგეში –**

იუპიტერის ფეხთ დავიფიცავ, ისიც ელვის და ცეცხლის ღმერთია
რამდენიც აქ თქვა იბერთა მეფემ იმდენ ტყუილთან შენაერთია.
დამწამა თითქო მოწამლა მისი მსურდა მისივე მსახურთა ხელით
თითქო მის ვაჟსაც მივწერე ასე, წერილი ხელთ აქვს, წაკითხვას ველით
თითქო სომხეთი კი არ დაიპყრო, არ გადაქელა და არ გაწირა
არშაკუნიანს მმად მოევლინა, ჩემ წინააღმდეგ იმოკავშირა.
მაგრამ ყველამ ხომ ზეპირად უწყის, რაც აღარა ყავთ სომხებს ტიგრანი
იბერიელნი ცდილობენ ტყვევნას და თავს ესხმიან ხანი და ხანი.
ასედაც მოხდა. როცა ფარსმანმა სომეხთ მიწები მოინადირა
ჩემ მამულებსაც დაუწყო რბევა, და თავხედობა დაუჯდა მვირად

მე შენ მოგწერე. ცეზარო გახსოვს, გთხოვდი ფარსმანთან მორიგებასა
სანამ მალულად დავკრავდი იქით, დავუფანტავდი იმ მოგებასა.
ახლაც იმავე აზრს ვუტრიალებ, თუ არ დადგება, თუ კვლავ იმალებს
ავუტალახებ მცხეთის სასახლეს და მერე გვიან თავს მოისაწყლებს.
მე ვერიდები სიტყვის გატეხას, რადგან მტკიცეა ჩვენ შორის ზავი
იბერიისკენ როგორ ვილაშქრო რომ არ დავტეხო სასომხეთს ავი?

**ფარსმანი –**

ასედაც ხდება თუ ხარ მომთმენი, მაშინ აცვენილს სუსტი ჰგონიხარ
ვიდრე გნახავდი, კაცი მეგონე, ვხედავ ფაშვი და ფაშვზე ქონიხარ.
გული გერჩოდა, მკლავი გიჭრიდა, სად იყავ როცა ქვეყანა შენი
ჩემი ცხენებით იტორებოდა, იმალებოდა შენი ნაშენი
გოლიათების შეკრინების დროს ბევრი გემიე და არსად ჩანდი
ალბად წერილებს ეჭიდებოდი, დევგმირს ასეთი გქონია ფანდი.
მეცოდებიან ის ვაჟკაცები ასეთ მეფისთვის სისხლი რომ ღვარეს
ჩვიდმეტი მე ვკალ ერთ–ურთზე კარგი. შემხვდნენ, შემებნენ, ვერ გაიხარეს.

**ვოლოგეში –**

მეც მაგ ას ვამბობ, გაპატიებდი, მაგრამ შენ მოჰკალ ჩემი ჯუმბერი
გოლიათებშიც გამორჩეული. დღესაც მისტირის მას მთელი ერი.
როგორ არა ვთქვა, ცეზარო ყველას გვინახავს კაცი მთასავით მდგარი
ყველა ტომშია გამორჩეული, როგორაც ცხვრებში ირჩევა ხარი.
გარმოჩეულებს შორისაც, ვიტყვი, ჯუმბერი იყო გამორჩეული
ლომებს ებრძოდა ცალ ხელ აკრული და არ ყოფილა მათგან ძლეული.
თვითონ ჰერაკლეს დაამარცხებდა ისეთი ჰქონდა ძალი და ღონე
არსად მსმენია დევ–გმირი მსგავსი, მერწმუნე, არა გამოვიგონე,
მაგრამ ფარსმანმა ორთაბრძოლის დროს ვერაგულ ხერხით გამოასალმა
მის მკვლელს ზავს ვუდებ, ვესაუბრები, რამ მაიძულა, რომელმა ძალმა.
თავს ძლივს ვიოკებ, ჩემი თხოვნაა, დღესვე გადაწყდეს რაც ადრე გთხოვე
ან იყავ ჩვენში ვით მოსამართლე ან გვითხარ არა და მიგვატოვე.
და იმის მერე ჩემსა სამეფოს თითონ მივხედავ და ვუპატრონებ
თუ რომს აქამდე ვიგერიებდი, იბერიასაც ხერხს მოვუგონებ.

**ფარსმანი –**

თავდაცვის ხერხი არი შეტევა, თუ მოგდგავს მკლავი და თუ გაქვს ჩვევა,

მაგრამ თუ კურდღლის გაქვს სიმამაცე, გული საგულეს სად ჩაგეტევა
იმპერატორთან საჩივრის წერას, სხვათა მოლოდინს და სხვისკენ ცქერას
ერთგული მაღლის კუდივით ქიცინს, სჯობს დაჰყოლოდი შენ ბედისწერას
საომარ ველზე გამოსულიყავ, ხელში გჭეროდა შუბი ტანგრძელი
სხვათა გაწირვას, რომელთა გვამით, აივსებოდა დიდი საბძელი
შემბრძოლებოდი, ორთა ჭიდილში გარკვეულიყო ქვეყნების ბედი
მაგრამ ვინ მოგცა ამის გაგება, შემოგწყრა ღმერთი და შემოქმედი.
ხედავ? ცეზარო ასეთი მეფე, აქეთ მიწუნებს შნოს და კაცობას
იბერნი ამას მასხრობას ვეტყვით, თავის აგდებას, ბალღურ ანცობას/
ჯუმბერთან ბრძოლა იყო მალუმი, ვაჟკაციც იყო პატიოსანი
მიტევდა ქინით, ვუტევდი ჭკუით, არ დაგვიკარგავს ლანძღვაში ხანი.
როცა მესროლა შორიდან შუბი, ცხენს ფეხით შევდგი და ისე შევწვდი
შემდეგ უნაგირს ჩავქეჯ უკუღმა, მალუმად ვტყორცნე, აკი არც შევცდი.
ჯუმბერ უნაგირს ჩამოეკიდა, ცხენდაცხენ მივყევ, დაბლა დავუშვი
მირს დავასვენე, პატივი ვეცი და მხოლოდ შემდეგ ხელი გავუშვი.
გასულ სტუმრობას, ცხენზე ჯირითის ბევრი ილეთი, გახსოვს, განახე
ისინდს ეტყვიან ჩვენში ამ თამაშს, ისინდში ბევრჯერ, ბევრი გავლახე.
იმავე ხერხით მოვკალ ჯუმბერი, მე ვერაგობა ასეთი ვიცი
არ მომისყიდავს სხვისი მსახური, არა კაცისთვის არ მითქვამს ფიცი.
საწამლავს ბედი თვითონ მიანდო, ჩემ მსახურებში მომებნა სანდო
დათვებზე ვიყავ მთას სანადიროდ, გადმოვიარე ჭართალი, ხანდო
წყალი მომწყურდა მსახურმა თასით ღვინო მომართვა და თან ატირდა
მივხვდი ხიფათი იმალებოდა, ერთგულ მსახურსაც რაღაცა ჭირდა
ვკითხე და არც რა დაუმალია, მითხრა რომ თასში საწამლავია
ისიც მიამბო ვინ მოისყიდა, ვინ შუაშია და ვინ თავია.
არ დამესაჯა მოღალატენი, არ შემეკვეცა იმათი დღენი
არ მექნებოდა შენთან შეხვედრა, დრო სამეგობრო და მოსალხენი.

**მითრიდატე–**

ვკადნიერდები და სიტყვას ჩავრთავ, არა იმიტომ, მამაა ჩემი
აქ მოკლედ მოჭრა რაც იყო ჭირი, რაც სიმართლეა თვალში საცემი.
მეც მომიგზავნეს კაცი მსტოვარი, შემომთავაზეს საქმე საზარი
მამის მოკვლისთვის განძს მთავაზობდნენ, ალბათ გონებით ვეგონე მკვდარი.
თუ მამას მოვკლავ, რას ვდევ მეფობას. თუ დამერქმევა მე მამის მკვლელი
ვინღა იქნება ჩემი ერთგული, სახლში მსახური და ომში მცველი?

მე ხომ ფარსმანმა მომცა სიცოცხლე, რამდენჯერ დაღლილ მხრებით მატარა
ამ სიყვარულთან მსოფლიო განძიც, დამეთანხმებით, არი პატარა.
იმიტომ მზარდა ჩემმა მშობელმა, ამივსო გონი, გამითბო გული
ვიცოდე ქვეყნად დიდი-პატარა, მტყუან-მართალი, მტერი-ერთგული.

**ვოლოგეში –**

ბრიყვი ყოფილხარ და ვერ მიმხვდარხარ, საქმის ცოდნაში რომ გამოგცადე
საკუთარ ციხეს ვით ააშენებ, თუ ქვა არ თალე, ქვაზე არ დადე.
შენ რომ დაინდე, მამამ დაგინდო? სატრფოს გაგყარა, დაგინთო ცეცხლი.
გულმოკლულს რა გაქვს სანუგეშები, სიყვარულის წილ გაგათბობს ვერცხლი?
რას წარმოადგენ, ხარ უფლის წული, მაგრამ ტახტი ხომ არ გეღირსება
ეტყობა მონად დაბადებულხარ, შენთვის უცხოა მეფის ღირსება.
ორმიზდას ჰკითხე, ჩემია შვილი, მაგრამ რომშია ნასწავლ-გაზრდილი
ეს რომ მყოლოდა სასახლის კარზე, თან დამყვებოდა სიკვდილის ჩრდილი.
მეფობისათვის მეც გამწირავდა, და გვექნებოდა მუშტის კვრა ხშირი
პირველობისკენ მიიწევს ყველა, მალაუფლება დიდია ჭირი.

**ორმიზდა –**

ცხოვრება დიდი ასპარეზია, თითონ გკარნახობს ადგილს და სათქმელს
ბევრი იბრძოლო, იღვაწ, იწვალო, ვერ გადაცდები განკუთვნილ სარკმელს
ჭუჭრუტანიდან უყურებ ყველას და ჭუჭრუტანას მიეფარები
ერთეულების ბედია მხოლოდ მცირედ შეაღონ მისი კარები.
განა ცეზარმა დამტოვა მძევლად, ასე მამაჩემს უფრო უნდოდა
რომიდან სახლში ჩემი გაშვება მიტომ ითხოვა ყალბად, უნდოდა
მე აქ ვისწავლე მტერი, მოყვარე, ვინ დამიცავდა, მიტომ ვფრთხილობდი
დღისით და ღამით, შინა და გარეთ ჩემი ხელყოფის საფრთხესა ვგრძნობდი.
ჩემი სიცოცხლე, ჩემსა პასუხზე ხშირად ყოფილა ლურსმანს კიდული
რამდენჯერ მსურდა სამშობლოს წასვლა და მამის უარს მოუკლავს გული
მიტომ ვაფასებ ორგვარად ნათქვამს, ორმაგი აზრი უფრო მყარია
მიყვარს არ მიყვარს, მინდა არ მინდა, არცა მწყინს ის რაც არ მიხარია.
ერთხელ ფორუმზე ტრაიანესი, მამამ სხვებისგან განცალკევებით
მოგწონსო მეგლი? საეჭვოდ მკითხა და როს პასუხი მიიღო, შვებით
ამოისუნთქა. მაგრამ ვერ მიხვდა, რა იყო აზრი შიგ ჩაქსოვილი
ასეა როცა შენთვის ირჯები და აღარ გახსოვს ცოლი და შვილი.

მე ვუპასუხე, არ მომწონს მალზე, რომ მოკვდავებმა ააგეს იგი
უკვდავს უკვდავი უნდა ქმნილება, რომ მოკვდავთათვის იყოს წესრიგი.
იბერიელის გულისთქმა მესმის, ის არ გამხდარა ჩემებრ მძევალი
სიცრუეს ვერ გრძნობს და ვერც იგუებს, არ დაუპყრია მისი მწვერვალი.
მე გავალ რათა არა ვთქვა მეტი, ვატყობ ნათქვამი ჩემი მწარია
ჭკვიანისათვის ყოველი სიტყვა გულში ნადების მტკიცე ფარია.

*/ორმიზდა თავს უკრავს ცეზარს და გადის/*

**ფარსმანი –**

მე ეშმაკობა ბერძენთა ვიცი, შემოგივლიან როგორც დავლური
პართიელებთან ყოფილან ბავშვნი, ასეა სიბრძნე აღმოსავლური.
განა კაცურად გეტყვიან პირში რასა გრძნობენ და რასა ფიქრობენ
გაგიცინებენ, მოგიფერებენ, გულში კი მოკვლის გეგმას აწყობენ.
აქ ისე ითქვა, მე რომ არ ვიყო, ყველა ქვეყანა დაწყნარდებოდა
ფერებ-ფერებით გავლიდნენ გრძელ ჟამს, ომი არასდროს არ ატყდებოდა.
არა და განა იბერიელნი ვინმეს, რაიმეს ედავებიან?
ჩვენ ჩვენი გვინდა ღვთით მომებული და დაგვანებონ, თუ მიხვდებიან.
აღარას ვიტყვი უსხოვარ დროზე, როდის რა იყო, ვინ რა წაგვლალა
როგორ შეირგო სხვისი ნაშრომი და ბოროტება როგორ დამალა.
ორასი წლის წინ, მითრიდატეს დროს, პონტოელს ეტყვის მას რომაელი
კასპიის ზღვიდან ჰალისის იქით სულ ჩვენი იყო მამული ვრცელი.
დღეს რაღა დარჩა, ყველა მეზობელს ნებით თუ ძალით ჩამოვურიგეთ
მიცემას აქეთ მოცემაც უნდა, ჩვენ რა ვიპოვეთ და რა მოვიგეთ.
პართიელებმა მომძე ალბანელთ მთელი სამხრეთი ჩამოაცილეს
შემდეგ სომხეთიც წაეჯაჯგურა და სხვისი სხვებმა გაინაწილეს.
არიან ქართი, ჩემი სამეფოს, უმაღლაზესი სამხრეთი მხარე
დღეს სასომხეთი გამხდარა უკვე, სომხური ჰქვია მას არე-მარე
კაპადოკია და დასავლეთი კოტიორადან ჰალისის იქით
რომს უკავია. მე კი რა მრჩება, მოსაგონარი ავწიო ჭიქით?

**არშაკუნი –**

ასეც ვიცოდი, რომ მოსვენება სომხეთს ამათგან არ ექნებოდა
ყველა მეზობელს ჩვენი აქვს შური და მისი ბედიც დაევსებოდა
რომ არა რომი. ამიტომ არი აღმოსავლეთში ჩვენზე ერთგული
არავინა გყავს მტკიცე საყრდენად და თუ ამ საყრდენს გაუჩნდა წყლული

საერთო საქმე წავა უკუღმა. ამიტომ მინდა ცეზარო გთხოვო
არ დაანებო სომხეთის ჯიჯგნა, რომის საყრდენად კვლავ დაიტოვო.
ამათ რომ კითხო, ჩემი სამეფო ამათი დავის არი საგანი
ან ერთს ვეკუთვნი და ან მეორეს, ან გაიყოფა კიდე და განი.
მე კი ისეთი ბატონი მინდა, როგორც რომია, შორი, ძლიერი
რომ ჩემ მეზობლებს შიშის ზარს ცემდეს, მისით ვმეფობდე სვებედნიერი.

**ვოლოგეში –**

როცა ამგვარად სომეხი მსჯელობს, მოდი და მართლა ნუ გაოცდები
ღირსია უთხრა, ვერ შეიშნოე, შენი გულისთვის აღარ მოვცდები.
რატომ არ ფიქრობ ერთი გვაქვს მირი, ჩაცმა, იერი, ადათ, წესები
ჩემთა წინაპართ შენთა დაცვისთვის არ დაუკარგო დანათესები
რომ არა ასე, იბერთა მეფე, რამდენჯერ თავზე გადაგილიდათ
ვინ დაიცავდა სომეხთა ჯალაბს, ასე სათუთად ვინ მოგილიდათ.
უმადურება დიდი ცოდვაა, უნდა შეგეძლოს სიკეთის ხედვა
ღმერთების ნების უცილოდ ცნობა, სიკეთის გრდემთან სიმტკიცით ჭედვა.

**ფარსმანი –**

უცნაურია ბედი კაცისა, სამდურავს ვისმენ სიკეთის წილად
იბერთ რა რჯიდათ  სომეხთა  გამო, რად არ მოიქცნენ გულგრილად, ფრთხილად
პართიას ეპყრა მთელი სომხეთი, რაც რადამესმა იგი დატოვა
რაც ფარსმან დიდმა მისთვის იომა, ძალა და ღონე იქ ჩააქსოვა.
და ალბათ ასეც გაგრძელდებოდა, მაგრამ შენ წინა იმპერატორმა
მისი გამოხსნა შემოგვთავაზა. ასე აწონა მისმა სასწორმა
ოცდასამი წლის წინანდელს ვიტყვი, მაშინ ჯერ კიდევ ჭაბუკი მერქვა,
ტრაიანემ რომ შემომთავაზა პართიის ომში სათქმელი მეთქვა.
მძლავრად ვიომე, ჩემი მახვილით სომხებს ვუბომე თავისუფლება
სიმართლეს ვიტყვი, შენც კარგად გახსოვს, და ეს ტრაბახად არ ჩამეთვლება.
ვიბრძოლე რადგან გასომხებული ერს ბევრი ჰყავდა იქ ნათესავი
ტიბარენები, მესხნი და ქართნი. და სომხებთანაც გვინდოდა ზავი.
შენ შემდეგ სომხებს მიეც მეფობა, მხარი მიეცი, აშენ, ადიდე
დიდია რომი, შენი სახელი წვდება ქვეყანას კიდიდან კიდე.
შენი იმედით სომეხთა მეფე მეზობლებს კენწლავს და ემუქრება
მაშინ შევხედავ მაგის გმირობას, შენი იმედი თუ ჩაუქრება.

**არშაკუნი –**

ჩემი სათქმელი ვთქვი გასაგებად, არა სამასხროდ და წასაგებად
სომხეთი არვის ეგონოს სუსტი, იოლ საპყრობად და ასაღებად.
ჩვენ იმპერიის მზე გვათბობს მუდამ, ამას მტრებისგან დანახვა უნდა
რათა არ მოხვდეთ სახეში იქით, ჩვენკენ ნასროლი ტალახის გუნდა.
ცეზარს ვთხოვ გარეთ გასვლის უფლებას, რომ არ ვისმინო ამათი შარი
რომის ბოძებულს პპატრონობს რომი, ქარის ბოძებულს წაიღებს ქარი.

/არშაკუნი გადის/

**ვოლოგეში –**

სტუმრად ყოფნისას ვაქებ მასპინძელს, რაიც შემფერის ის ვარ სტუმარი
მაგრამ როდესაც მაღლებს მიქსევენ, არ მრჩება ჟამი გასახუმარი.
ცეცხლის ღმერთს ვფიცავ და იმის მალას, მის გაკვესებას და მიმოტანას
უმადურობას, შეურაცხყოფას, ვაზღვევინებდი სომეხთ ქვეყანას
იმპერატორის მაკავებს ხათრი, სიტყვის დათმენა სტუმრის ვალია
ამაყმა ამოდ ხარჯა სიცოცხლე, მომთმენმა გრძელი ჟამი გალია
მე ვუჩიოდი ფარმანის ქცევას, მიტომ შეგთხოვდი რომში მის წვევას
და არ მეგონა სომეხთა მეფე, გამიბედავდა აქ გამოწვევას.
ჩემი თხოვნაა იმპერატორო განსაჯო ჩვენში მტყუან–მართალი
ღირსად მიუზღო ორივე მხარეს რომის სამართლის ჩამონათალი.
შეწყვიტოს ჩემი მამულის რბევა, ქალაქთა მარცვა, ციხეთა ნგრევა
ხარკი აიღოს და საზომარი, იმდენი მცხეთას ვერ დაეტევა.
იყოს მშვიდობა ჩვენ სამთა შორის, მილს არ გვიფრთხობდეს ყიჟინა ომის
სადიდებელი ისმოდეს მხოლოდ ღმერთების, მეფის, გარჯის და შრომის.

**ფარსმანი –**

არც მე ვარ მომხრე უაზრო ნგრევის, უძლურთა ჟლეტის უზნეო ჩვევის
მტყუან–მართალის ერთად აღრევას. გვქონდეს უნარი მათი გარჩევის.
თუ პართიელი თავს დაიოკებს და არას ერჩის ალბანთა მეფეს
არც მე ვინაღვლო შორიდან რა თქვეს, როგორ ილანძღეს, როგორ შეპყეფეს.
ამასთან უნდა შეეშვან ბოლოს ჩემი მოწამვლის უშნო მცდელობას
ჩემ მემკვიდრეთა გადაბირებას, მათ დარიგებას და აღმზრდელობას.
განა მე ვდაობ ცეცხლს რად ცემს თაყვანს, რას ვჩივი ვინ რას ეთაყვანება
ჩემსა კერპებსაც ნუ შემიგინებს, ნუა ჯიუტი, ურჩი, თავნება.

**ვოლოგეში –**

ცეცხლის თაყვანი რით არი ცუდი, სხვა რა ძალაა უფრო ძლიერი?
როდესაც კაცმა აანთო ცეცხლი, მაშინ შეიქმნა სვებედნიერი.
სხვას რა ვასწავლო კავკასიონზე ზევსმა პრომეთე რად მიაჭედა?
ცეცხლის გულისთვის, კაცს რომ აჩუქა, გაუთბო გული, გაუხდა მწედა.
უხსოვარ დროში ეგვიპტელები რა-ს თაყვანს ცემდნენ მანათობელსა
ჰელიოს ეტყვის ძველი ბერძენი ვინაც მოგვიძღვნის სინათლის ძღვენსა.
ჭექა-ქუხილის ღმერთს ერქვა რა-ს მზე, მზე, როგორც ზევსი ოლიმპოს მთაზე
ღრუბელთ მარეკი, ცეცხლის მტყორცნელი, ვინც გვატრიალებს თავის ნებაზე.
ხალიბ-იბერნიც ცეცხლს სცემდნენ თაყვანს, მხოლოდ ღმერთს ერქვა მათთან ტაროსი
ჭექა-ქუხილით აწესრიგებდა თუ ნაკლს ხედავდა ამ სამყაროსი.
თქვენ ჩემი გიკვირთ, ცეცხლს რად ვცემ თაყვანს, განა თქვენ არ გყავთ იუპიტერი?
ტაძრები მისი წვერით ცას წვდება, და ვერ შებედავს უბრალოდ მტერი.
ან ეგებ ის ჯობს რომ ახალ ღმერთად მიუჩნევიათ ჯვარზე გაკრული
ჯადოქრობისთვის მსჯავრ დადებული, მე მისი ცოდნა არა მაქვს სრული.

**ფარსმანი –**

ერთი შეხედვით არი მართალი, ჭექა-ქუხილის ღმერთი მაღალი
მეხს გვტყორცნის რისხვით, რომ გაგვაფრთხილოს, ამას მოყვება წვიმის საგზალი.
ისიც სწორეა დღეს ტაროსს ვეტყვით, ადრე ეძახდნენ ზევსი თუ მზესი
მოკვდავთა საქმის განსჯა, განხილვა, ზეცაში მეოფთა ყოფილა წესი.
მაგრამ ერთია ქუხილის ღმერთი და მეორეა კერიის ცეცხლი
ერთია მროხა-კამეჩის ნეხვი და მეორეა ოქრო და ვერცხლი
ამან არია და შეგ ნებულად იქით მოგვთხოვა ცეცხლის თაყვანი
რად შემეშლება. მისი კერპების არ დარწეულა ჩვენში აკვანი.
იბერნი არმაზს ვეთაყვანებით, გაცსა და გაემს, ბებერ ზადენსა
ათენგენობას მსხვერპლსაც გავიღებთ და ტელეპიას მივართმევთ წვენსა.
მე ჩემი მიყვარს მამათა კერპნი, იმათ სახელზე ნაგები ხატი
მთების წვერებზე დაბუდებულან ღმერთთ შესაწირი, კაცთა ნახატი.
ისიც სწორე თქვა კარგა ხანია, ჩვენში მრავალი ქრისტეს თაყვანს სცემს
ღმერთი ღმერთია. ვის როგორ ესმის, ვის როგორა წამს, შესაწირს გაცემს.
გამიგონია, როდესაც ქრისტე საღვთო საქმისთვის ზეცას ავიდა

კვართი მცხეთაში ჩამოიტანეს, რომ იქ დაეწყოთ ბრძოლა თავიდან.
ცალკერძ კოლხეთში, იბერიაში ბევრი ლოცულობს, ჰყავს მიმდევარი
სამეფო საქმეს ხელს არ უშლიან, რატომ გავხდები მათი მდევარი?

**ადრიანე–**

დიდხანს ვისმინე თქვენი კამათი, ამევსო ბოლოს ცნობის კალათი
მაგრამ ახლა კი დროა შეწყვიტოთ, რომ არ წაგერთვათ სტუმრის ლაზათი.
თქვენ საჩხუბარი არ დაგელევათ, თუ გაახურეთ ძლევის სურვილი
ბევრიც და ცოტაც უაზრობაა, კაცს როცა გინდა მოკლა წყურვილი.
დიდი პართიის მეფე ვოლგეშ, სხვების რბევაში არი ნაგეში
ახლა თუ უჭირს და ჯავრს მოვუხსნი დიდი იქნება მისთვის ნუგეში.
პართიის დაცვა არ ნიშნავს ღალატს ყმადნაფიცის თუ მოკავშირისა
სასომხეთს ვიცავ და ძველ მეგობრად კვლავაც დავრჩები იბერიისა.
ოღონდ ფარსმანმა ვნება მოთოკოს და  მეზობლების შეეშვას რბევას
ეს მიმაჩნია მთავარ პირობად და არ მოვყვები წვრილმანთ გარჩევას
ეს არი ზავის წინა პირობა, არ გავაგრძელოთ სიტყვით ძვირობა
ბევრჯერ მოთმენა და სულგრძელობა ბრძოლაზე მეტი არი გმირობა.
თორე თუ მივყევთ საწყენად სათქმელს, გადავეგებით უაზრო საქმეს
მერე იტყვიან ნეტა რა რჯიდათ, რაზე იდავეს, ან რა ისაქმეს.
მეც შემიძლია გედაოთ იქით, სადაო იცით ბევრი დაგროვდა
რატომ გამხდარა სხვისი მამული, სად რომაელთა ნახირი მოვდა.
და თუ მოვყვებით რა იყო უწინ, არ ჩავთვლით შემდეგ რა დრო გასულა
მარიუსიდან დავიწყებ თხრობას და დავამატებ რას ფლობდა სულა.
აქეთ ლუკულუსს დავიმოწმებდი და პომპეუსის გმირობის შედეგს
არ დავივიწყებ. თქვენ კი მიხვდებით რა ანგარიში მოხდება შემდეგ
ტიბერიუსი ვინც იყო იცით, რას ეპატრონა აღმოსავლეთში
ტრაიანემდე როცა ჩამოვალ და ჩამოვკაკლავ წვეთი და წვეთში.
მერე გაიგებთ რა გირჩევიათ იყოთ დამთმობნი თუ კვლავ იდაოთ
ყოველი თქვენი თავის მართლება გახუნდებოდა ჩემთან უდაოთ.
ამიტომ გირჩევთ თავშეკავებას, სიდინჯე ხშირად მოგიტანთ შვებას.
თუ საჭიროა, მაშინ ღირს ომი და მოესწრებით მტერზე მიშვებას.
ამჟამად ის ჯობს ერთ–ურთს დავუთმოთ, იყოს მშვიდობა და შეთანხმება
ჭკვიანი ხშირად მშვიდობით იგებს, გიჟი უმიზნოდ მტერს შეასკდება.
თქვენ ერთმანეთთან რა გაქვთ სადაო, სად პართიაა, სად იბერია
ტირილში რა გრჯის იმ მეზობელთან, ვისთანაც ლხინში არ გიმღერია.

ჩემი სურვილი არი ასეთი, რომელიც უნდა გაიზიაროთ
ან შევთანხმდებით, რომ სამომავლოდ შეთანწყობილი გზებით ვიაროთ
ან გამძაფრდება ურთიერთობა, ატყდება ომი, შფოთი და რბევა
აქა ვართ ყველა და ვერ შევთანხმდეთ, ამ ჩვენ საქციელს რა დაერქმევა?
ვიდრე მექნება ბოლო პასუხი და საბოლოო შედეგებს ვბრძანებ
მინდა მივხედოთ შეწყვეტილ ქეიფს, მიდით და მოსვლას არ დავახანებ
სუფრასთან თქვენი იცით ადგილი, მათი მიგნება არი ადვილი,
სუფრაც იქნება ამოდ გაშლილი, სმაში დავიდოთ კაცური წვლილი

*/სანადიმო დარბაზი, სადაც სუფრა გაშლილია. პრეფექტი სეპტიცი კლარა შემოდის მსახურებთან ერთად და სუფრას ათვალიერებს/*

**პრეფექტი –**

ღმერთების მერე მეფეთა ბედი, ყველაზე მეტად შესაშურია
ნეტარების და სიამის სითხე იმათ თასებში ჩანაწურია
იმპერატორი მეფეთა შორის, ისეა როგორც ღმერთების სწორი
ყველა დავაში და არ დავაში მისკენ იხრება ბედის სასწორი
სუფრასთანაც კი მისი ადგილი ყველა სტუმრისგან გარჩეულია
უკვდავთა მიერ მოკვდათა შორის უკვდავთა დარად არჩეულია
მის მარჯვნივ იჭერს საზინა ადგილს როგორც ქალღმერთი და დედოფალი
როცა ცეზარი კარგად შეთვრება სტუმრებზე იმას უჭირავს თვალი
მარცხნივ კი ჯდება მათი მემკვიდრე, ვისაც ისინი თვალს დაადგამენ
ანტონინე და იმის იცოლი ცეზართან მიტომ კრავებსა ჰგავენ.
თუმც მაწყენია მე ადრიანემ საზინას გამო იეჭვიანა
სამაგიეროდ მივეც საბაბი, შურისძიებამ არ დაახანა.
დღეს ანტონინე მას მირჩევია, თვითონ ხომ წუნარი, ცოლი ლამაზი
ყველა ლამაზი უფლის წულის წინ ტახტზე გაწვება როგორც გავაზი.
ახლა ამბობენ რომ მითრიდატე აცხრობს ლამაზის ულვთო ვნებასა
რად გავამტყუნო მე ფაუსტინა, თუ მიუშვია მის ქმარს ნებასა.
ფაუსტინასგან მარცხნივ ორმიზდა და ვოლოგეში პართიელები
ჩამოსხდებიან, ჩასაფრდებიან ვითომ ობოლნი, როგორც საწყლები
მაგრამ თუ ერთხელ დრო მოიხელთეს, უწინდებურად შეგვებმებიან
დღეს კი ცეზართან ქედს მოიდრეკენ, სუფრასთან კრძალვით გაქვავდებიან.
სომეხთა მეფე არის შემდეგი, კაცი ჭკვიანი, ეშმაკი, ფრთხილი
რა ქმნას, სამ ვეშაპს შორის მოქცეულს, ზვავზე უდგია ქვეყნის მარხილი

მოლხენა მართლაც იცის საამო, მისი სიმღერით ფხიზელიც თვრება
იმპერატორიც ამიტომ წყალობს, არ მოილხენს და ხომ შემოწყრება.
მის შემდეგ მოდის იბერიელი, ჭაბუკი ფიცხი და შემძლებელი
იმდენს არა სვავს, როგ ორაც თვრება და თვალებს ლულავს ვით დათვის ბელი.
შემდეგ ფარსმანი დათვი და დევი, იმპერატორთან ბრძოლას ნაჩვევი.
მან კარგად იცის მალა და ხერხი, სად შესატევი, სად დასახევი.
ოპო. ეს თასი ადრიანესი, ცეზარს რომ უდგას, როგ ორც არს წესი
ფარსმანის მხარეს ვინ გადაწია, რომ უდგას, როგ ორც არს წესი
ფარსმანის მხარეს ვინ გადაიწია, რომ გახდეს ჩემზე რისხვის სალესი?

**/ თასს დიონისეს გამოსახულებით გადადგავს ადრიანეს წინ/**

რა კარგი ვქენი, მოვედი ადრე, სუფრის წესრიგის შესამოწმებლად
ცეზარს მოესწრო, ეს დაენახა, გამამწესებდა სიკვდილის მხლებლად.
ანტონინეც არ მაპატიებდა, ჩანს განწირული ჯერ არ ვყოფილვარ
რამდენიც მეტი დამდევს სიფრთხილე, ცეზარის კარზეც მეტადა ვღირვარ.
გავყევი ფიქრებს. ახლა კი დროა ცეზარს და სტუმრებს შემობრძანება
ვთხოვო და შემდეგ აღარ მოვეშვა, რომ აღვასრულო მათი ბრძანება.

**/ პრეფექტი გადის. ამ დროს სერაფიტი სამალავიდან გამოვა და სუფრასთან მიიპარება, მაგრამ მსახურები შეამჩნევენ და დაიჭერენ. ხმაურზე პრეფექტი ბრუნდება/**

**პრეფექტი –**

რა ხმაურია მითხარით სწრაფად, ნუ ფაცი–ფუცობთ, იყავით წყნარად
ჩვენი ვალია ცეზარს და სტუმრებს გავეგ ოთ ქვეშ და გავუხდეთ ფარად.

**მსახური –**

ჩემო ბატონო ნუ გარისხდები, უცხო ყმაწვილი შემოგ ვეპარა
სუფრიდან სურდა თასის მოპარვა და ვერ იმარჯვა, ვერ გაიხარა.

**პრეფექტი –**

შენ ამბობ თასი? მისი მიზანი ქურდობა ეგებ სულაც არ არი
მცველებს მიეცით, ჩასვან დილეგში, დანაშაული არი საზარი.
დრო აღარ ითმენს, შემდეგ მივხედავ და თუ დამტკიცდა დანაშაული
ლომებს მივუგდებ დასაჯიჯგ ნავად, ლომის ხახაში ამოხდეს სული

/სერაფიტიგაჭკვათ/

ხიფათიანი დღე გამითენდა, ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია
იმპერატორი თუ რამეს მიხვდა, დანაშაული ჩემი დიდია.

**/ დარბაზში შემოდიან ანტონინე, ორმიზდა, ვოლოგეში, არშაკუნი, მითრიდატე, ფარსმანი. იკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს. ბოლოს შემოდის ადრიანე. ყველა მიაგებს პატივს მის მობრძანებას/**

**ადრიანე –**

ჩვენი საუბრით ვარ კმაყოფილი, გადამივარდა გულიდან დარდი
თუმც  დასაწყისში ცოტა ვინანე, ვიფიქრე რა მრჯის, რატომ გავმწარდი.
თუ იბერია ვერ იცავს ზომებს და მეზობლებთან მიწყივ იომებს
გამოელევა ძალი და ღონე და მერე იქით სხვა დაიმონებს.
მივუშვა ნებას, შევყარო სნებას, რად უნდა ვიყო სხვის ომში ბრძენი
კიდეც მინდოდა ასე მოქცევა მაგრამ შეხედეთ ასე ვერ ვქენი.
პართიის მეფის გულისთქმა მესმის, აღმოსავლეთით ათასი ტომი
დამშეულები საბაბს ეძებენ შემოესიონ, ატეხონ ომი
ასეთ დროს უჯობს ფარსმანთან ზავი, დიდ ზარალს უჯობს პატარა ავი.
ამიტომ არი გადადო თავი, მიუძღვნა ფარსმანს შესაწირავი.
სომხეთიც დათმო, აღარას დაობს, მშვიდობის დაცვას ითხოვს და ჩქარობს,
უნდა მომწონდეს მე მისი მარცხი, მაგრამ რომ ვფიქრობ, გული არ ხარობს.
თუ ჩვენ ვინებეთ, ზავი არ დავდეთ, ხვალე პართია დაქცეულია
აღმოსავლეთით ჩვენი საზღვრები არეულია, წაქცეულია
შედეგი მსგავსი არავის აწყობს, რომი, სომხეთი თუ იბერია
ზოგჯერ მტრის ყოფნას სიკეთე მოსდევს, ვიდრე გადაწყვეტ–დასაზვერია.
ისედაც მთვლიან მშვიდობის მომხრედ, მე ჩავაჩუმე ომის ყიჟინა
ლეგიონები აღარ იბრძვიან, არა იმიტომ სხვამ შეგვაშინა.
რა საჭიროა ომით დაპყრობა, როცა მშვიდობით მეტი გამოდის
,თვარე ჩაქრება, ზღვაში ვარდება, ასის მალით მზე რომ ამოდის
მშვირდობის მზეა გამოსაყვანი, ჩვენ უნდა დავდგათ მისი აკვანი
დრო რომ გაივლის მაშინ მივხვდებით მოგვიყვანია საამო ხანი.
ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე არი ბრძანება და სათხოვარი
აქ მეოფებთაგან მშვიდობას ვითხოვ, რომ არ დაუდგეთ ჟამი საზარი
ვინაც უარყოფს, რაც დადგინდება, ვინაც დაარღვევს დათქმულ პირობას
დაეკარგება ისიც რაცა აქვს, მოიმკის შავ ჭირს და აშლილობას.

სანაცვლოდ ვამლევ ვის რა უპყრია, რაც მოიპოვა დაე იკმაროს
პირობას ფიცსაც ზედ დავაყოლებ, რომ მოღალატემ ვერ გაიხაროს.
ეს გაუმარჯოს ჩვენში მშვიდობას, ჩვენი კავშირი ზეცამ დალოცა
გაიხარებენ ჩვენი ღმერთები, ჩვენი გულისთქმა მიწვდებათ როცა.

**/ ადრიანე თასს დაეწაფება. შემოდიან საბინა და ფაუსტინა. დაინახავენ ადრიანე როგ ორ ცლის თასს. ორივე ერთდროულად იკივლებს – არა. გვიანია. ადრიანე მოცელილი ეცემა და კვდება/**

**ანტონინე–**

ღმერთკაცი მოკვდა. ასე უეცრად. რა მოუვიდა. მე არ ვიცოდი
არ მოხდებოდა ასე მგონია, სადაც ვიდოდა, თან რომ ვხლებოდი
ბედმა უმტყუნა? თუ საწამლავი თასში ჩამოსხმულ ღვინოს ერია
ახლავ შედეგებს მოგვახსენებენ. ღვთის რა წყრომაა. რა ჩაერია.
როგ ორც მემკვიდრე ვარ ვალდებული, ჩემ ტკბილ მამობილს ავუგო წესი
ბევრი რამეა მოსაგვარები, რადგან ბევრი აქვს ქვეყნად ნათესი.
ეს იმპერია თვალუწვდენელი, რომელს მოაკლდა მზრუნველი ხელი
შემართებას და შრომას მოითხოვს არი ცეზარი თუ კარის მცელი
მე ამ საკითხებს მივხედავ რიგით, მაგრამ მანამდე არი მთავარი
სენატს ვაუწყო, საქმე ავაწყო ელდისგან რომ არ დაეცეთ ზარი.
იმპერატორის მალა–უფლებას ვიღებ და პირველ ყოვლისა ვბრძანებ
წესრიგი იყოს და შესრულება, ურჩს და მოშურნეს მწარედ ვანანებ.
ლეგატი ლოლი ურბიკი მელის, უთხარით შეკრას სასახლის გზები
სანამ დავადგენ რაც საჭიროა, არვინ გაუშვას ამბის წამღები.
სტუმრებს კი ვთხოვდი. აქა ვართ ყველა და თუ არ მალგვიმს ცეზარის შველა
რა მოხდა ვიცით. აქვე გავარკვევთ, რისი ბრალია მისი მოცელა.
ამიტომ გთხოვდით ვინც და სად იდგა, წესით და რიგ ით კვლავ დავიკაოთ
შემდეგ განვსაჯოთ ვის რა შეეძლო, ვინ რა იღონა აქ სათითაოთ.
სუფრის თავს იჯდა იმპერატორი. მარჯვნივ მის გვერდით იჯდა ფარსმანი
თუ ვის შეეძლო, მაგ ას შეეძლო, თასში ჩაეგდო რამე ხიმანი.
ნუ გაბრაზდები. ვარაუდს ვამბობ, გვერდით სხვა ახლო არვინ ჰყოლია
თანაც კამათი გქონდათ განსჯის დროს, ეგება ჯავრი გულს ჩაგყოლია?

**ფარსმანი –**

თუნდ ვარაუდით ასეთი აზრი, არი იბერთა შეურაცხყოფა

ჩემზე ეჭვობდნენ და სისინებდნენ, მართალს მომაწყოფს ასეთი ყოფა?
იმპერატორთან თუ ვმეგობრობდი, კავშირი გვქონდა ზეცას ნაკურთხი
მეგობრებისგან ნაკოცნი პირი, რაზე გავხადო მტრების საფურთხი?
თუ რამე გვქონდა ჩვენ საკამათო, ყოველთვის მშვიდად დასრულებულა
ერთგული ვიყავ მისთვის ყოველთვის, რადგან ყოველთვის მან მიერთგულა
ჩვემ დღესაც ცხარე შეგვექმნა დავა, მაგრამ არ თქმულა მრუდედ და ავად
დასაწყისში თუ იქ არ იყავი, დასასრული ხომ ისმინე თავად?

**ვოლოგეში –**

შენ წუნარ საუბარს უწოდებ იმას, რაც სხვისთვის არი ზარი და მეხი
როცა მოვედი თითქმის ჩხუბობდით, სიტყვებიც ითქვა მწარე, უკმეხი.
ახლაც ისე თქვი, თითქო მმად გუავდა ქვეყნის მპყრობელი იმპერატორი
თითქო იყოფდით სამხარის საჭმელს და საუბრობდით ვით სწორთან სწორი
შენ ადრიანე ბევრჯერ გბორკავდა, ბევრჯერ აგიგდო სიტყვები ბანზე
საქმეშიც ზოგჯერ გახევვინებდა და არ გიშვებდა შენ შენ ნებაზე.
რაც მიიტაცე აფსარის ქვემოთ, რაც რომს წაართვი შენად არ ცნობდა
არ გენდობოდა, მოღალატური ბუნება რომ გაქვს კარგადა გრძნობდა.
პონტოს მთები და ზღვის სანაპირო, კაპადოკიის ჩრდილო ნაწილი
კოტიორადან ფარნაკეამდე რაც ველებია ფართოდ გაშლილი
შენად არა ცნო. ამიტომ კიდეც გაწყობდა ძალზე მისი სიკვდილი
თავხედობისთვის დასჯას შეგპირდა, მახვილიც ჰქონდა შენზე მიწვდილი.
შენი ოცნება ასრულდა უცებ, აქეთკენ გქონდა ფიქრი და გეზი
მისი სიკვდილის, მე ასე მჯერა, შენ ხარ მოთავე და თან მიზეზი.

**ფარსმანი –**

კარგად გამოგდის. ასე იარე. ეგებ დღის ბოლოს მოიგო რამე
შენი აზრები ისე მუქია, როგორც მუქისგან ირჩევა ღამე.
ასეთი გარჯაც გასაგებია. გეგმა ქვიშაზე ანაგებია
ცილისწამება მოსაგებია, თავის მართლება წასაგებია.
შენ ჩემზე ამბობ, მე ვარ მიზეზი და თან შეთქმულთა თავი და თავი
მე მოვკალ კაცი, ვის ვმეგობრობდი, ავიღე ოქრო და საურავი.
აქ სასაცილო ერთი რამეა. შენ, მტერი იცავ, ჩემგან მეგობარს
შენს ნაგავს არქმევ სხვების ნასუფრალს, სხვის ნახნავს არქმევ საკუთარ ნაბარს.

ბოლმა გკლავს, მაგრამ ვერ აღწევ მიზანს. ასე თქვეს. ისე ისაუბრესო

ჭორაობით და ენის მიტანით ნუ ცდილობ ჩვენში მტრობა დათესო
სომხეთის გამო გკლავს ჩემი მტრობა, შენ რომ წაგართვი და რომს მივეცი
ზედი ზედ მარცხმა ჭკუა წაგართვა, ჯუმბერის გამო გამიხდი მხეცი.

**არშაკუნი –**

მე ვთხოვდი ყველას შეეშვით სომხეთს, თქვენ არ გერგებათ რომის არჩივი
რაც არ გერგება, არ შეგერგება და რაც სხვისია თავად რას ჩივი.
ჩვენ ტრაიანემ გვათავისუფლა და ადრიანემ მოგვცა მეფობა
რათა ჰყოლოდა ჩემებრ ერთგული და მეზობლებთან მქონოდა ძმობა.
ორივეს გსურდათ მისი სიკვდილი რათა ჩემ სამტროდ გაგ ხსნოდათ ხელი
ფარსმანის ჯდომა ცეზარის გვედით, ბევრის მთქმელია და არა მთქმელია
ვერ დავიფიცავ მაგ რამ მაქვს ეჭვი, მისი საბაბიც არ დამელია.
იმპერატორის უცებ სიკვდილი მისი საქმისთვის არი მისწრება
თუ ვი შეეძლო ფარსმანს შეეძლო ამის ჩადენა, თუ ვინ მიხვდება.

**მითრიდატე –**

როცა პატრონი მიდიო ეტყვის, აუეფდებიან უცებ მაღლები.
იბერთა მტრებიც, შეწუხებილ ხმებით ფარსმანს უტევენ როგ ორც მძახლები
ცეზარო შენი ვარაუდები, ამათ მტკიცებად წარმოიდგ ინეს
ერთ–ურთს რომ მტრობდნენ გადაავიწყდათ, ახლა მესამე მხარეს იგ ინეს.
ის ვერ იანდეს ფარსმანი სხვაა, მიპარვით კბენა მათი ხერხია
არშაკუნების სახე და წესიც პართიის ტახტის მონახერხია.
თორე მე ვიტყვი და შენ განსაჯე, როცა გავედით სათათბიროში
იმპერატორმა გასცა ბრძანება, გაეწყოთ სუფრა უმოკლეს დროში.
მას შემდეგ იქ ვართ. მე და მამაჩემს იქიდან ფეხი არ მოგ ვიცვლია
ვინც დადიოდა დარბაზებს შორის, ბოროტმა სულმა იმასა სძლია.
ფარსმანი იჯდა სათათბიროში, შემდეგ მოვიდა იქ ადრიანე
შემდეგ ცეზარო შემოგ ვიერთდი, ჩვენთან შეხვედრა არ დაახანე.

**ანტონინე –**

მართალს ღაღადებს ეს უფლისწული, მე არ მინახავს გარეთ გასული
ფარსმანი იჯდა ადრიანესთან, თანხმობა ჰქონდათ საქმეზე სრული.
და ამას გარდა სიზუსტით მახსოვს, როდესაც ცოლთან ერთად მოველი
დარბაზში სუფრა იყო გაშლილი, თავის ადგ ილას იყო ყოველი
მხოლოდ ეს ჩამრჩა, მეუცნაურა, იმპერატორის ნაფერი თასი

ჩემთვის განკუთვნილ ადგილას იდგა, საჭვრთ მეცნა ამ საქმის ფასი.
მაგრამ არა ვთქვი სასყვედურო, რადგან იქ იყო ცეზარის ცოლი
საბინამ იცის სუფრის მიხედვა, დროს ტარებაში არა ყავს ტოლი.
ვიფიქრე ალბად მამობილს სურდა, ჩემთვის მოეგო დიდი პატივი
რადგან იცოდა მიყვარს ქეიფი, ზარით სიმღერა და ღვინო ცივი.
დედოფალს ახლა მწუხარებისგან წაუხდა ღონე, წაერთვა გონი
მე ამ საკითხსაც გამოვიკითხავ, როგორ, რა იყო, როცა ავწონი.

**ორმიზდა –**

უცნაურია. იგ ივე თასი. სადაც მე ვზივარ. ჩემ წინ ვიხილე
მერე ავდექ და გვედით გადავდგი. ამის მიზეზი არ განვიხილე
შემდეგ უჩუმრად განზე გავდექი. ვიფიქრე რატომ გამომარჩიეს
თუ დიონისეს თასის დაცლაა, მე რა მსმელი ვარ. რად ამარჩიეს.
ამ ფიქრში ვიყავ როცა დარბაზში სომეხთა მეფე შემოიპარა
თასი, რომელიც მისკენ გადავდგი, აიღო, სინჯა, არ დაიზარა
შემდეგ შიგ თითქო რაღაც ჩაყარა და მითრიდატეს დაუდგა წინა
მე რა ვიცოდი რა აზრით მოხდა, ვინ ვის აამა ან აწყენინა.
აქ კი ისე თქვა, თითქო ეს თასი აროდეს თვალით არ უნახია
რაც ცუდი მოხდა, სხვის ხელით მოხდა და რაც მოუვა, ისიც ახია.
გარეთ გავიდა. მეც უკან გავყევ და აქ რა მოხდა, აღარა ვიცი
მაგრამ რაც აქ ვთქ□ვი. სიმართლე არი, რად გავიხადო თავი საფიცი.

**არშაკუნი –**

ასეც ვიეჭვე, შენ იქნებოდი, სათათბირო ხომ ადრე დატოვე
მეც გამოგყევი რათა უშენოდ არ მეგრძნო წყენა და სიმარტოვე.
ხომ კარგად ვიცი თქვენად მიითვლით სასომხეთს ურცხვი პართიელები
მე თუ მომკლავდით და მომწამლავდით არ გქნებოდა გზა საწვალები
სომხეთის ტახტსაც დაუმიზნებდი, დიდი ხნის ნატვრა აგ იხდებოდა
გამეფდებოდი, პართიის მადა მთელ დიდ სასომხეთს გადასწვდებოდა
მაგრამ შენ ერთი რამე გამოგრჩა, რომ დაგასწრებდა იბერიელი
ფარსმანის მეა ხომ მითრიდატე, მგლის ნაშიერი ხომ არი მგელი ?
მე რა ვიღონე. საჭვრო თასი მითრიდატესკენ გადავაცოცე
ავს მოვერიდე. გუმანით მივხვდი. არც მოვეფერე და არც ვაკოცე

**მითრიდატე –**

ახლა კი ჩემთვის გასაგებია სომხეთის მეფის ჩანაფიქრევი

ხან იყო ჩემთან თაფლივით ტკბილი, ხან კი უხეში და გამომწვევი.
ეჭვი რამ ღრღნიდა. ალბად ფიქრობდა წარსული კიდევ განმეორდება
ასი წლის წინათ მომხდარი საქმე, ასი წლის მერე ისევ მოხდება.
მაშინ ფარსმანმა, იბერთა მეფემ, ტიბერიუსის თხოვნით და რჩევით
ალბანელთაგან მხარმიცემულმა, ვის ენდობოდა, თან გამორჩევით
პართიას დაჰკრა, გატეხა წელში და სასომხეთი მოიგდო ხელში
მეფედ დაუსვა ძმა მითრიდატე, ჩაავდო ერი საგონებელში.
ფარსმანი ქველი იბერიელი, იმ ფარსმანისგან შორს არ წასულა
არც ის ამბავი, რომ არ იცოდეს, ეს არ იქნება, დრო არ გასულა.
რა სხვაობაა მაშინ ძმა იყო, დღეს მითრიდატე მეფის შვილია
თანაც სომხეთში დღეს რომ მეფე ყავთ იბერიელთა დიდი წვლილია.
რად იჯდეს უცხო, არ იჯდეს შვილი, ასეთი შეცვლა სანატრელია
მამა თუ ფიქრობს, შენაც იფიქრე. შენთვის ეს მწარე საფიქრელია
გსურდა ამისგან თავის დაღწევა, დროც გამონახე, მიიღე წვევა
ჩემ წინააღმდეგ აღმართე ხელი და არ იფიქრე ასეთი ქცევა
იმპერატორის სიცოცხლედ დაჯდა, ამის დაფარვა არ შეიძლება
ზეცას მავალი, ხაროს ვარდები, როცა საყრდენი გამოგეცლება.
გამჟღავნდა, შენ ხარ ცეზარის მკვლელი, ჭუჭყში და სისხლში ჩაყავი ხელი
ბრძენი თუ ზოგჯერ წაისულელებს, სიბრძნეს ვერ იზავს მიწყივ სულელი.

**ანტონინე –**

ხო, მაგრამ შენ თუ სიმართლეს ამბობ, მაინც სიმართლის ნახევარია
თასი ცეზართან ვიღამ გადადგა, ვინ იცის ვისი ნახელარია?
პრეფექტს მოუსმეთ. ნუ ავჩქარდებით. სიმართლის გზაზე სიბრძნით ვიაროთ
ბევრი ბევრს იტყვის ყველა ვისმინოთ, მაგრამ ყველა არ გავიზიაროთ.
მამობილს უთქვამს, თან არა ერთხელ და მეც მივიღე, როგორც წესია:
ერთი მართალის უსაგნოდ დასჯას, ცხრა ქურდს შეუნდო–უმჯობესია.
ჩვენც უმჯობესი გამოვარჩიოთ, სინათლეს ბნელი რატომ ვარჩიოთ
ჩვენი სახელი შეუბღალავი, ჩვენი კაცობით უნდა ავწიოთ.

**/შემოდის პრეფექტი სეპტიცი კლარა/**

აგერ პრეფექტი. მსურს გაიხსენო, როცა მეფეთა სუფრას აწყობდი
თუ იყო რამე უცნაურობა, რომ ვერ ხედავდი, გულითა გრძნობდი
ან და ეს თასი დიონისესი, სხვა სასმისთაგან გამორჩეული
ვის წინ დაგიდგავს ახლა თუ უწინ, ვინცა ყოფილა აქ მოწვეული.

**პრეფექტი** –

მე შემაძრწუნა იმის გაგებამ რომ ადრიანე იმპერატორი
კაცი ბრძენი და გამორჩეული, სიკეთით სავსე, ღმერთების სწორი
ასე უეცრად გამოგვეცალა. ჩანს საწამლავი ერია ღვინოს
მას შემდეგ ვფიქრობ, ეგებ ვარ სიზმრად, სიზმრის ღმერთს უნდა რომ მაწყენინოს
არა. ცხადია და თუ ასეა დამნაშავე ვარ ყველაზე მეტად
ცეზარმა მითხრა სუფრა გამეწყო, აქვე დამტოვა მის მისახედად.
მე კი რა ვქენი, არ შევასრულე ღმერთთა რჩეულის დანაწესები
ქალმა მაცთუნა, თუმც დედოფალმა და დავარღვიე სუფრის წესები.

**ანტონინე** –

გარკვევით გვითხარ რაში იდებ ბრალს, იხოკავ ლოყას, იწყლიანებ თვალს
მტყუანს და მართალს მე თავად განვსჯი, მტყუანის ნაცვლად რად დავსჯი მართალს.

**პრეფექტი** –

როდესაც სუფრა გავაწყე წესით, ვის რა ეკუთვნის, ყველას მივაგე
ეს თასი ცეზარს შევუვსე ღვინით და როცა მოვრჩი, ვეღარ ვივარგე
საბინამ მაქო, წამათამამა, სამსახურისთვის შველას შემპირდა
მე ახლა მივხვდი მისი შექება, დანაპირები რადაცა ღირდა
ასე ტკბილ სიტყვით გამომისტუმრა, მიბრძანა სწრაფად სადმე მენახეთ
აქ მომეყვანეთ წვეულებაზე და ფაუსტინას ვეძებ მას აქეთ.
მე მომიცილა, აქ დარჩა მარტო და რაღა ვიცი რა მოაგვარა
ეტყობა მისი ნახელავია, სიცოცხლე ცეზარს მან ჩაუმწქარა.

**ანტონინე**–

შენი ნათქვამით ისე გამოდის ღამე რომ დგება, მთვარე ამოდის
დედოფალია ღალატის თავი, მომკვლელი კაცის დამდები ლოდის.
როცა მოვკლი, თან მახლდა ცოლი, საბინა შევხვდა როგ ორც ტოლს ტოლი
მომიფერა და დარდი გაფანტა და თან თვალებში მაბოლა ბოლი.
ამიტომ იყო თასი კი ვლანდე, ნამოქმედარის ხელი ვერ ვცანი
შენ ადრიანეს თუ გაუმწესე, ჩემკენ გადმოდგა როს ნახა ხანი

/შემოდისსაბინა/

**საბინა –**

საკმაო ჭკუა შენცა გქონია, ამ ბრიყვის ნათქვამს მოაბი თავი
და ახლა იტყვი ღვინო მოვწამლე და ბოროტების მე ვარ საცავი.
ჩემთვის დაკარგა ცხოვრებამ აზრი, მე დედოფლობა ჩამომერთმევა
იტყვი ამისთვის მოვწამლე ქმარი და მოწმედ მსურდა შენი მოწვევა.

**ანტონინე –**

არავინ ამბობს, რომ ადრიანეს მოწამვლა იყო შენი მიზანი
თასში საწამლავს რაზე ჩაყრიდი ამის მიზეზი მე ვარ და ვცანი
ცეზარმა ვინც ცნო ადრე მემკვიდრედ, უდროოდ ყველა შენ გაისტუმრე
იმავე მიზნით დამიდგი თასი, მით მომეფერე და გამეხუმრე.
ელია ვერა ხომ ჩემზე ადრე მემკვიდრედ იყო აქ მიჩნეული
იმავე წესით მოუღე ბოლო, ასე ხუმრობას ხარ მიჩვეული.
დღეს ჩემი ჯერი იყო იფიქრე, დღეს აქ მე უნდა მოვმკვდარიყავი
ამიტომ იყო თასი დამიდგი, სხვას რაც შიგ იყო არ გაუყავი.

**/შემოდისფაუსტინა/**

**ფაუსტინა –**

ეს მით უმეტეს იყო დროული, რომ ტიტ ავრელის კეთილი გული
საბინას ძმის შვილს მემკვიდრედ ცნობდა, მას ცეზარობა რჩებოდა სრული.
მარკუს ავრელი მისი ძმის შვილი, ჩვენი მემკვიდრე, სწავლული, ზრდილი
დაიკავებდა ჩვენ შემდეგ ალაგს და იმპერია ფართედ გაშლილი
მას მიიღებდა მემკვიდრის ძალით. ანტონინე კი უდროოდ მკვდარი
ცეზარის ნაცვლად სადმე დარბაზში ძირს ეგდებოდა მიუსაფარი.

**საბინა –**

ასე მსჯელობა თქვენი ნებაა, ნამოქმედარის გამართლებაა
უმადურების ამბოხებაა. ჩემი სიკეთის დავიწყებაა.
გინდაც რომ იყოს როგორაც ამბობთ და ანტონინეს სიკვდილი მსურდა
ხომ არ მომიკლავს. არი ცოცხალი. არ გავარდნია ჯიბიდან ხურდა
ვერავინ დამსჯის. არვინ მომიკლავს. აქეთ მომიკლეს ქმარი იმედი
ნუგეშის ნაცვლად შემხვდა მუქარა. მკვდარი პატრონი მყავს მისახედი

**/საბინაგადის/**

**ანტონინე–**

რომ მოუსმინო ასე მსჯელობით მართალი არი ისევ საბინა
უცხო გაიგებს და ასე იტყვის ცილი დასწამა ვინაც აგინა.
მას ადრიანეს არ სურდა მოკვლა ეს ყველასათვის ხომ არის ცხადი
მაგრამ ნადირის დევნისას ტყეში ისარი არჩევს მუა თუ ხვადი?
როცა უნდოდა ჩემი მოწამვლა მან რა იცოდა რა მოხდებოდა
თასი რომელიც ჩემ წინ ჩამოდგა ადრიანეს წინ ვით მოხვდებოდა.
ამიტომ არი ის დამნაშავე რომ საწამალვი თასში ჩაყარა
ვინ გამოცლიდა  არა აქვს აზრი. შედეგმა ყველა ხომ გაგვამწარა.
საბინას შემდეგ მივხედავ, მაგრამ ეხლა ესაა ჩემთვის მთავარი
თასი რომელიც ჩემ წინ ვიხილე, როგორ აღმოჩნდა სხვისა წინ მდგარი?
ორმიზდა ამბობს, რომ იდგა მის წინ, მაგრამ იქ ჩემგან საიდან მოხვდა
ეტყობა იყო კიდევ შეთქმული და აისრულა დრო რომ გამოხდა.
დარბაზს რომ შეველ მე აქ დავტოვე თასი, საბინა და ფაუსტინა
თასი აქვეა, საბინა ვიცი, და რჩება ცოლი ჩემი ცალტვინა.
აბა ახლავე გახსენი ბაგე, როგორც რა იყო შენით მოყევი
თასი რომელიც ჩემ წინ დავტოვე, საით წაიღე, ვის წინ დადევი.

**ფაუსტინა –**

ჩემო მეუფევ მართალი ბრძანე, აქ ორნი დავრჩით, მე და საბინა
შენაც ხომ უწყი მისი ზრახვები მოკეთემ დროით გაგვაგებინა
მეც არ მოვშორდი, დრო რომ ვიხელთე, თასი შენს იქით გადავაცოცე
ვერას მიმიხვდა და კმაყოფილმა კიდეც მაკოცა, კიდეც ვაკოცე.
ჩვენ გავდიოდით, როცა დარბაზში ვოლოგეშ მეფემ შემოიხედა
კიდეც ვიფიქრე, მისია თასი და თუ დალია, ეტირა დედა.

**ვოლოგეში–**

ჰა სად გამოჩნდა ბოროტის მქმნელი, ეს გამოცანა ამოვხსენ მნელი
თასი რომ ვნახე, მაშინვე მივხვდი ბრძენი ვგონივარ ან და სულელი
ბრძენი რომ ვიყო ხამს დამაფასონ, გამორჩეული დამიდგან თასი
რომაელები როდისა მმმობდნენ, წყენა მომიძღვნეს მრავალ ათასი
ეს იმას ნიშნავს შიგ  ხიფათია, ავიღე თასი გვერდით გადავდგი
თითქო ვხვდებოდი და ვერც ვხვდებოდი, ფეხი ჩემ შვილის ცოდვაში  ჩავდგი.
მადლობა ღმერთებს ორნივ გადავრჩით, ორივეს აგვცდა მსახვრალი ხელი
ბედი თუ გწყალობს მტერი რას გიზავს, ვერას დაგაკლებს წუთისოფელი

**ორმიზდა –**

სახლი თუ მყარად არი შეკრული, ვერას დაგაკლებს გარეშე მტერი
მამაჩემის წილ ვიტყოდი ამას, მაგრამ ჩემ ციხეს არ აქვს სამზერი.
ჩემი სიმაგრე გულში აღვმართე, და გალავანი დავარტყი ფართე
ვინაც მინდოდა შიგ ჩავასახლე, როგორც მინდოდა, ისევე ვმართე.
რადგან შემქმნელი საწამლავს მჩუქნის, მე ჩემი ფიქრი ვიღას გავანდო,
ვხედავ მტრებსა და მოყვარეთ შორის, ჩემთვის მეტოქე უფროა სანდო.
ალბად ამიტომ გულმა მაცნობა, მძევალს დაჰყვება მეშვიდე გრძნობა.
შენ თავს მიენდე, ყველა დანარჩენს, გაჭირვებაში უნდა გაცნობა.
და არც მიმტყუნა გულის მახილმა, თასი, როგორც ვთქვი გვერდზე გადავდგი
თავი ვიხსენი, ჩემ კუთვნილ ალაგს, სხვის მოსაგონად სამსხვერპლო დავდგი.

**არშაკუნი –**

ბოლოს გაცხადდა ვინაა მტერი, ჯერ ვის ურქინეს, ვისია ჯერი
ამიტომ არი სომეხი ერი, მტრებში უმთავრესს მისდევს, უჯერის.

**ანტონინე–**

თქვენ რომ გისმინოთ ყველა ხართ წმინდა, ყველა დანარჩენს გადასდებს ბრალსა
ბრალეულია თუ უბრალოა აღარ დაინდობს ბოლოს საწყალსა.
მაგრამ რაც ვიცით, არ არი სრული, და მე საგულეს ვით ჩავსვა გული
თუ თასი ბოლოს ხვდა მითრიდატეს, ჩვენ როგორ ვნახეთ სხვაგან დადგმული?

**პრეფექტი –**

ცეზარო, მომეც უფლება რომ ვთქვა, ნათქვამს შევმატო ეგებ სიცხადე
დამეჯერება მგონია სიტყვა, შიშის სახადი უკვე ვიხადე
თქვენ თათბირობდით გვერდით დარბაზში, როდესაც სუფრა გადავამოწმე
უცნაურობა შევნიშნე ერთი, მსახურები მყავს ამის მოწმე.
თასი რომელზეც არი მსჯელობა იდგა პირსავსე ფარსმანის წინა
კიდეც გავვოცდი ადრიანესგან, ფასმანთან რაღამ დამადგმევინა.
რას ვიაზრებდი თუ უფრო ადრე მითრიდატესგან მას გადმოუდგეს
ვინაც თვალით ჭამს და თვალით წონავს, თუ გაამრუდა, თვალი დაუდგეს
მე კი მეგონა ჩემი შეცდომა იყო და მეისვე გამოვასწორე
იმპერატორის წინ დავდგი თასი, არ შევცდი, თავი არ მოვიღორე.
რას ვიფიქრებდი შიგ რა სითხეა, მე ეტრიული ჩავასხი ღვინო

ასეთი იყო ცეზარის ნება, მე ვინ ვარ ცეზარს რომ ვაწყენინო.

**ანტონინე–**

შენ ამბობ თასი იდგა ფარსმანთან და ფარსმანისგან შენვე აიღე
გადაარჩინე იბერთა მეფე, იმპერატორის მსხვერპლი გაიღე.
თუმც არ იცოდი რა ესხა შიგნით, რა საწამლავი, ვისი ნათესი
გვევალებოდა დაგვეცვა სუფრა და აღასრულე დათქმული წესი.
ახლა ყოველი არი ნათელი, შენ ადრიანეს დაუდგი თასი
ჩაუსხი ღვინო ეტრურიული, რომლისაც კარგად იცოდა ფასი.
და რა იცოდი იმავე თასში ვინ და რა შხამი გადაურია
ერთი მეორეს გადაულოცეს, ვინ დაამატა, ვინ აურია.
მხოლოდ ერთია გაუგებარი, მითრიდატესთან თუ იყო მდგარი
ფარსმანთან როგორ აღმოჩნდა ბოლოს, ვინ ჩაიდინა საქმე საზარი.
მითრიდატეზე ვერ ვიტყვი ამას, მამასთან ერთად იქ თათბირობდა
აქ ვის შესტკივა მის გამო გული, მის გაჭირვებას რომელი გრძნობდა?

**პრეფექტი –**

სწორედ ამაზე მინდოდა მეთქვა, აგვცილებოდა გულების ხეთქვა
მაჯას ვისინჯავ, თავზე ხელს ვიჭერ და ტვინში მირტყავს საფეთქლის
ფეთქვა.
მიზეზი არი მალზე უბრალო, გეტყვი, გამიგე, ნუ გაოცდები
ყმაწვილი ქალი ვაჟად ჩაცმული, შეყვარებული, გზაში თანმხლები.

**ანტონინე –**

გარკვევით მითხარ ვინ ქალზე ამბობ, ვის ჰქონდა ჩვენთან ყოფნის უფლება
სუფრასთან მაინც როგორღა მოხვდა, ამიხსენ, ჭმუნვა ნუ გეუფლება.

**პრეფექტი–**

როდესაც მოვრჩი გადამოწმებას და ვაპირებდი ეს მეთქვა თქვენთვის
მომესმა კიდეც სუფრასთან ახლოს წივილ–გინება ერთმანეთს ერთვის.
მოვბრუნდი, ვნახე ლამაზი ბიჭი მაგრად ეჭირათ მონა–მსახურთა
მევედრა ცრემლით, როცა დავკითხე და მერე კრძალვით ასე დაურთა
ვარ იბერიის მეფის მსახური, მეფის წულის ვარ მხლებელი–მცველი
ვისაც ვახლავარ და ვისაც ვიცავ, მისდამი გრძნობა დამყვება მწველი
მითხრა ქალი ვარ ბიჭად ჩაცმული, რომ შემძლებოდა მეფის თანხლება
ამიტომ არი მსახურთა შორის ყოფნა, ტრიალი რომ მემნელება

**მითრიდატე–**

ასეა მუდამ კაცი ჭირს მალავს, სატკივარი კი თავს ვერ იმალავს
მე სატკივარი თავს ავუტეხე და გადავკიდე მხლებელ ამალას.
ცეზარო შენთვის რა ბედენაა, მე ერთი ქალი, ჩემი ტრფიალი
ბიჭად ჩაცმულ თან ვიახელი, არ ღირს ამისთვის ოროლ–ტრიალი
თან მახლდა მუდამ, ჩუმად მხვდებოდა, ისე, რომ მამა ვერ მიმხვდარიყო
მაგ რამ ახლა კი ყველა გამქლავნდა და ჩემი გულიც შუა გაიყო.
თუ ქალს დასჯიან, მე მირჩევია, იგ ივ სასჯელი ჯერ მე მომაგო
ჩემი ბრალია მისი აქ ყოფნა, მიტომ პასუხიც მე უნდა ვაგო.

**ანტონინე–**

ახალგაზრდობა დიდი განძია, და მოფრთხილებაც ასევე უნდა
მე შენი მესმის. ჯერ მოიყვანონ და დამნაშავეც რომ იყოს თუნდა
ვითვალისწინებ შენ გულის წუხილს, მკერდში რომ ელავს და იწყებს ქუხილს
გამიგონია, გამომიცდია, არა ვარ რკინის, წიფლის თუ მუხის

/შემოყავთ სერაფიტი/

მომიახლოვდი, ხედავ აქა ვართ, ვის შეუძლია დასჯა თუ შველა
აქ რა გინდოდა, რამ მოგიყვანა, რად დაგიჭირეს, მოუყევი ყველა

**სერაფიტი –**

მე დავიღუპე სიყვარულისთვის. ასე სიკვდილი ალბათ მეწერა
ისეთ ჯურღმულში მამყოფეს ერთხანს, გ სურდეს დაღწევა, მიშველი ვერას.
ჩემი ბრალია, მაგ რამ სხვაგვარად მე არ შემეძლო მოვქცეულიყავ
ამიტომ იყო, გულის ბატონთან, ვაჟად ჩაცმული ვსდევდი და ვიყავ
დღესაც, დილიდან, სად არ ვეძიე, ვის შევეკითხე და ჩავეძიე.
შემდეგ, როდესაც აქ მივაგენი, ეჭვი გავანდე და ცას ვეწიე.
და მოხდა ისე, იმპერატორი და დედოფალი რომ შემოვიდნენ
შემეშინდა და ტახტის ქვეშ შევძვერ, რომ დავენახე, ალბათ დამჯიდნენ.
ბოლოს როდესაც ვიფიქრე დროა, უნდა წავიდე და გავერიდო
რათა ფარსმანმა არ მიცნას მეისვე და სატანჯველი არ გადვიკიდო.
სამალავიდან როგ ორც გამოველ, მონა–მსაურთა დამტაცეს ხელი
მას შემდეგ ვგდივარ და ვიტანჯები და მძიმე სასჯელს მორჩილად ველი.

**ანტონინე–**

სასჯელის ზომას თავად განვსაზღვრავ და თუ გეკუთვნის მართლა სასჯელი
ჯერ მითრიდატეს დავსჯი ამისთვის, მან გაგიჩინა ეს სატანჯველი
შენ კი მოუყევი დაუფარავად რაც დაინახე, რაც გაიგონე
ნუ უღალატებ სიმართლის გრძნობას, ფუჭად ნურაფერს გამოიგონებ.

**სერაფიტი –**

ჩემო უფალო თუ მითრიდატეს არაფერს ავნებ, ტკბილად იგუებ
სიმართლეს აღარ შევუშინდები, ყველაფერს ვიტყვი, რატომ ვიცრუებ
იმპერატორმა, სუფრის გაწყობის, გასცა ბრძანება და თან გავიდა
დედოფალმა და აი ამ კაცმ /***პრეფექტზე მიუთითებს***/ საქმის გაჩარხვა
იწყეს თავიდან.
რომ მოათავეს აი ეს თასი იმპერატორის წილად შეავსეს
შემდეგ ერთ ურთში ილაპარაკეს ენასა და თვალს წყალი შეასვეს.
ეს რომ გავიდა მეის დედოფალმა თასი თავისკან მარცხნივ გაწია
მე რა ვიცოდი რა ედო გულში ვის რა უსურვა და დააწია
შემდეგ მოხვედით შენ და ეს ქალი, მე ასე ვიცი ცოლია შენი
შენ დარბაზს შეხველ, ეს კი აქ დარჩა და განმეორდა კვლავ დანარჩენი.
როცა დრო ნახა ამან ეს თასი ხელში აიღო და მიუფერა
შემდეგ სხვა ადგილს უნახა ბინა ასეთი ერგო მას ბედისწერა.
შემდეგ მოვიდა ვოლოგეზ მეფე, მანაც ადგილი ამ თასს უცვალა
შემდეგ ორმიზდამ გადადგა სხვაგან, არ დაახანა და არ იწვალა.
ბოლოს როდესაც სომეხთა მეფემ მითრიდატესკენ თასი გადადგა
მივხვდი რა ჭირი იმალებოდა, თითეულს თანჯვა როგორი ადგა.
მე რაღა მექნ მითრიდატესთან ვით დამეტოვა თასი უგვანო
რომ დამეტოვა ამასთან ერთად ტანჯვა მხვდებოდა კიდე–უგანო
ამიტომ როგორც დრო მოვიხელთე თასი ფარსმანის არჩივად დავდე
ეს მე ვიყავი, თუ მოვიტყუო, სული წამიწყდეს, ბოროტ სულს ვგავდე.
შემდეგ მოვიდა ისევ ეს კაცი, თასს პირვანდელი უჩინა ბინა
ყველამ რაღაცა ჩაუთქვა ამ თასს, რა იყო საქმე გამოაჩინა.

**ანტონინე–**

თუ დაინახე რაც აქ ხდებოდა, ვინ ვის საკლავად ემზადებოდა
რატომ არა თქვი, არ გაამხილე, იცადე ბოლოს რა მოხდებოდა.
და ამას გარდა თქმა რაღად უნდა, ფარსმანი არი შენი უფალი

**სერაფიტი –**

თუმცა მოკლე მაქვს წუთისოფელი, ამბავი შემი მალზე გრძელია
მითრიდატესგან ვარ დაწინდული და მასზე დარდი არ დამელია.
მეფემ არ მოგვცა იმის უფლება ტახტის მემკვიდრეს ცოლად ვყოლოდი
შვილს მომაშორა, მოხუცს მიმიგდო, სიცოცხლით სავსეს დამკიდა ლოდი.
ვით მომეთმინა ეს განშორება და მითრიდატეს ჩუმ ჩუმად ვდევდი
რომ შემძლებოდა ფარსმანის მოკვლა უკან ნაბიჯსაც არ დავიხევდი.
მან მომაშორა გულით საყვარელს, მან გამიქელა გრძნობა და გული
მითხარ მეუფევ მე ამის მერე ვით ვიქნებოდი მისი ერთგული?
განვსაჯე ასე, ღმერთების ნებით, ფარსმანი სოფელს თუ გაშორდება
უშიშრად შევძლებ სატრფოსთან ყოფნას, ცხოვრება ხომ არ გამეორდება.
და როგორც ვნახე დრო შესაბამი, ამ ჩემ ჩანაფიქრს მოვაბი თავი
თასი ფარსმანის მხარეს გადავდგი, ვერ დავიოკე განზრახვა ავი.
შემდეგ ვინანე, მეფეა ჩემი, სატრფოს მამაა, ქვეყნის პატრონი
ვარ ბედნიერი, იგი გადარჩა, ვერ აღვასრულე გამონაგონი.

**ფარსმანი –**

თვალნათელია ქალი წრფელია. საგინებელიც არ დაელია
მეფე ხარ? უნდა ისმინო ყველა. მეფობა მიტომ სამძულველია.
მაგრამ თუ ვინმე უნდა მეფობდეს. მეფობა თუ კი გარდუვალია
რაღა სხვა სჯიდეს, სჯობს მე განვსაჯო. მეფე ვარ განსჯა ჩემი ვალია.
ეს ქალი ამბობს სრულია სწორედ. ეს მე ავკრძალე მათი შეხვედრა
მე რძლად სხვა ვინმე წარმომედგინა, თუმც შვილმაც მთხოვა ბევრი მევედრა.
განა არ ვიცი ხვდებოდნენ ჩუმად, მე თვალს მიხვევდნენ, მე თვალს ვიხვევდი
მეცოდებოდნენ, გული მტკიოდა, განზრახულისგან კი არ ვიხევდი
რადგან მეფობა არ ნიშნავს ლხენას, მეფობა ქვეყნად დიდი ბარგია
ყოველი სიტყვა, ყოველი საქმე უნდა აწონო ვის, რად არგია.
მეფე როდია თავისუფალი, ისე აკეთოს, როგორც, რა სურდეს
ღვთისა და ქვეყნის ვალდებულებით თავი მუდმივად უნდა უხურდეს.
ამიტომ იყო შვილს არ დავყევი, ვერ მოვუწონე გულში ნადები
ჯერ ქვეყანაა, იმისი ბედი და ბოლოს ქალი გრძნობის ნაქები.
დღეს კი ამ საქმეს სხვაგვარად ვუმზერ, დღეს ამეხილა ბევრი მხრივ თვალი
ერთგულებაა და თავგანირვა, არა უბრალოდ ლამაზი ქალი.

მე შემძრა ქალის თავგადადებამ და სიძლიერე გრძნობის ვიწამე
ღმერთთა კარნახით ვიცვალე აზრი, კმარა რაც ვტანჯე და რაც ვაწამე.
ცეზარო მე მსურს ამ ქალს შეუნდო და მსურს შვილს მივცე იმისი ნება
დედოფლად ჰყავდეს ისეთი ქალი, ვის სიყვარულიც თავად ექნება.

**ანტონინე –**

შენ მართალი თქვი, მეფის ვალია განსაჯოს დინჯად, აკეთოს სწრაფად.
ერთს რომ გაიღებს, გასაღებელი ათასი ჰქონდეს კიდევ მარქაფად
ჩვენ აქ განვსაჯეთ ყოველი წვრილად, აუჩ□არებლად ვიკვლიეთ ფრთხილად
რაც მწარე იყო ყველა დადგინდა, არ მიგვიღია ნაღველი ხილად.
აქ ყველა ვხედავ დამნაშავეა, აშკარად მოჩანს ერთ–ურთის მტრობა
ყველას ვიღაცის სურდა სიკვდილი, არ დაუწყია მოწმის მოხმობა
პირველი ამ მხრივ იყო საბინა, მან გამიზავა ღვინოში შხამი
მომკლავდა კიდეც, რომ ბედის წერას არ დაესახა სხვა დასაბამი.
დამნაშავეა ჩემი მეუღლეც, თასი პართიელს გადაულოცა
ვოლოგეშმა კი შვილს უწილადა, შესაბამისი დრო ნახა როცა
ბოლოს პრეფექტმა განსაზღვრა ყველა და გამორიცხა ცეზარის შველა
თუმც უნებლიეთ, მან მოგვიწამლა ღმერთთა რჩეული, ღმერთების ხელა.
ერთი შეხედვით ისე გამოდის, ყველამ დაიდო სიკვდილში წილი
მეორე მხრივ კი ცეზარის მხარეს არავის ჰქონდა ხელი გაწვდილი.
პრეფექტს არ ჰქონდა სხვა არჩევანი, სუფრას აქვს წესი, დიდია ხანი
და არ დაედგა თასი უკანვე, ეს იქნებოდა საქმე უგვანი
იმპერატორი ხომ შეამჩნევდა და რადგან წესებს თავად მისდევდა
დასჯიდა პრეფექტს. არაფრისათვის საკუთარ სასჯელს ის მიაღწევდა.
ამიტომ მისი ქცევაა სწორე, სისწორეს მოჰყვა საქმე საზარი
ჩემი ვალია ვითმინო ყველა და თან განგაშის შემოვკრა ზარი.
მე გადავწყვიტე პართიის მეფე სომხების რქენას ჩამოეშვება
სომხეთი მიწყივ რომს ეკუთვნოდა, აქედან ჰქონდათ მუდმივი შვება.
სანაცვლოდ მივცემ იმის პირობას, ფარსმანი, ვისაც ვუქებ გმირობას
პართიის რბევას თავს დაანებებს, აღარ მოჰყვება მირით მირობას
ფარსმანს თავის მხრივ ვუმტკიცებ ყველას აფსარის ქვემოთ რაც უკავია
თუ ერთს არ კარგავ, მეორეს იძენ, ამ შეთანხმებას მოგება ჰქვია.
მე ვაღიარებ ჰალისის გასწვრივ იქით და აქეთ ვრცელი მიწები
იბერთა მოდგმის არჩივი იყო, სამშობლოდ ჰქონდა დანაფიცები.
მაგრამ უადრე სხვა მხარეს ფლობდნენ, საპელაზგიოს მამულად ცნობდნენ

ასე რომ მივყვეთ სად წაგვიყვანენ, თავისად რამდენ რამეს უხმობდნენ.
თუ ხართ თანახმა ასე დავზავდეთ და ყველა წყენა ქარს გავატანოთ
არა და ჩვენში ატყდება ომი, სიკვდილის თესლი დიდხანს ვატაროთ.
მომეცით ხელი დავრჩეთ მეგობრად, ტკბილი ცხოვრება ერთად ვაშენოთ
ვინც უღალატოს ჩვენ შორის ნათქვამს, ერთად დავსაჯოთ და შევაჩვენოთ.
მე მითრიდატეს ვარ კმაყოფილი, ამ დილას მნახა და გამაფრთხილა
მისი შედეგი არი რაც მოხდა, ვინც ჩვენთან იყო, ყველამ იხილა.
მის ქორწილს აქვე, რომში გადვიხდი, რატომ გადავდო საამო წუთი
თუ თანახმაა, რადგან ამ ლამაზს გული ჰქონია მეტად სათუთი.
პრეფექტს ვპირდები არჩევნების დროს, მის კონსულობას ავუბა მხარი
მან მოამზადა, მანვე დამიცვა, მან ამარიდა ხიფათი მწარი.
ღვინო, რომელიც თასში ჩაასხა ჩემი ბრძანებით გაზავებული
გახდა საწყისი ჩემი დიდების, არავინა მყავს მასზე ერთგული.
კეთილგონიერს მემახდა ყველა, ყველასთვის მინდა ვიყო კეთილი
წარსულს დავუსვათ ამით წერტილი, ვაქოთ ახალი, გამოკვეთილი


ნინო

337 წელი 27 ივლისი

მცხეთის შემოგარენი. მინდორი. მოჭრილ ხეზე ჩამომსხდარი ისვენებენ: აგათი–არმაზის მცველი–მოძღვარი, აბიათარი–ჰურიათა მოძღვარი, თავ–ხევისბერი–მთიულთა მოძღვარი.

**აგათი –**

თვალისა ჩინი წაერთვა მეფეს, ვერც მონას ხედავს და ვეღარც სეფეს,
ულოცა გზირმა და გზირიშვილმა, შველი შესწირეს, მაღლი აუეფეს.
მოგვი არ იყო მახშვი, მოძღვარი თვალისჩინისთვის გაეხსნა კარი.
სწრაფმრბოლს უბრძანეს აქეთ წარმოსვლა, სიტყვა უბოძეს და ცხენი ჩქარი.
უფალი მეფე ამას ითხოვდა, ასე გვეტყოდა დანაბარებსა
კარის გამრიგე მსტოვართ მზერისგან გადაგმანავდეს სასახლის გზებსა.
მკურნალს მოითხოვს და ბრძანებაა არმაზს ვეახლო მცველი–მოძღვარი
გა–ს შევევედრო, დავუკლა ცხვარი, გაცის სახელზე შევუთქვა ხარი.
დარბაზი კვნესდა, ცხელ ცრემლებს სთესდა და დედოფალი იხოკდა ღაწვებს
სთხოვდა არალეს და აინანას მიიღეთ სული, ცოდვა მე მაწევს.
ეს მე უარვყავ მამათა კერპნი, მე განვარისხე არმაზ–ზადენი
ჰურიათ უფალს ჯვარცმულს მივენდე, მას დავუმონე სიცოცხლის დღენი.
ეკლესიათა მსურდა შენება, ლოცვას ვიტყოდი, სანთელს ვანთებდი.
კაპადოკიელს ვთვლიდი წმინდანად, ხორციელს ვსდევდი, სულიერს ვნებდი.
მე მაპატიე მოძღვართ–მოძღვარო, მომმართა მე და მოდრიკა თავი
არმაზს ავედრე მეფე, სამეფო, იქნებ დაგვეხსნას ზმანება ავი.
ცხენი შეკაზმეს, მკურნალი ადგა, მეც გავემზადე წამოსასვლელად
ამ დროს დარბაზის გახსნეს კარები და რაც ვიხილე ითქმება ძნელად
დიაცი ვინმე შავში ჩამჯდარი, თავზეც დაედო შავი მანდილი
პირმშვენიერი, ტანით სუროი, კეთილი მზერით, ნაბიჯით ზრდილით
როგორც სწორი–სწორს დედოფალ ნანას წინ წარუდგა და ასე ეაჯა.
იესო ქრისტემ შეუნდო მეფეს, მოძღვარს და მკურნალს არ უნდა გარჯა
თქვა: შორით ვიგრძენ ხიფათი მეფის, ხმა შველის დედის და მაღლის უეფის
ცხოველი ხესთან მეცნო წყალობა შენი, მეუფის, ერის და სეფის
ახლა მოველ რომ მოგწმინდო ცრემლი, განგაწყო ლოცვად, შეგმატო რწმენა
ქრისტემ ინება წყალობა დიდი, აუგს ნუ იტყვი, არ გმართებს წყენა.
მეფის ბრძანება მყისვე შესრულდა, მაგრამ დედოფალს ეცვალა ნირი
ვისი ერწმუნა აღარ იცოდა, გზის გასაყარზე როგორც დგას გზირი.
მაშინ მივუგე, შენ დედოფალო გულახსნით გეტყვი, ნუ გაიოცებ

თუ არ გწამს ღმერთნი მამა–პაპათა არმაზს რად წავალ ვისთვის ვილოცებ
აცრემლებულმა მიბრძანა ლოცვა, და თან შავოსანს მოჰკიდა მზერა
მაშინ ავენთე, ჯიქურად მოვჭერ შენ დედოფალო ვიცი, არ გჯერა,
მაგრამ როდესაც არმაზის ფეხთით პირქვე დამხობილს გნახავ იცოდე
მოგეკითხება თავშეკონილად რაშიაც შეცდი და რაშიც სცოდე
უფალის ნაცვლად მე გავიგონე დიაცის მიერ ურცხვად ნათქვამი:
ბრძანება იცი, დროს რაზე კარგავ, სანამ იქ ახვალ ხომ გავა ჟამი
წადი ილოცე, თუმცა არ ვიცი რა შეუძლია შენს კერპს და ხატსა
ერთხელ მეც ვნახე გაცი და გა–ემ, ოქრომჭედელის ჰგავდნენ ნახატსა
თვითონ არმაზიც კაცია ოქროს, თვალმარგალიტით ირგვლივ მორთული
არა აქვს თვალი ელვას აფრქვევდეს, არა აქვს ენა, სმენა და გული
რა უნდა გითხრან ოქროს კერპებმა, ვით მოგაწვდინონ საჭირო რჩევა
ან თუნდაც შენთვის დანაბარები გზაში მეოფ მეფეს სად მიეწევა.
ან რა აზრი აქვს გითხარით უკვე, მეფე ბრუნდება არა აქვს ხინჯი.
კაცი დავბერდი, ორივე მიცნობთ, სულით ვარ წუნარი, ქცევით ვარ დინჯი
მაგრამ როდესაც მკრეხელობს ვიღაც, თანაც ვიღაცა არის დიაცი
ვგიჟდები მგონი, მერთმევა გონი, აზრით ვარ მგელი, ქცევით ვარ ვაცი
თავხედ დედაკაცს მივუზღე წონით, გამოვიხურე დარბაზის კარი
ვაგინე ქრისტე, მისი მშობელი, შევრისხე მეოფი. დაეცათ ზარი.
ახლა მივდივარ რომ აღვასრულო არმაზის ფეხქვეშ ლოცვა–კურთხევა
შევთხოვო რჩევა, ვკითხო მიზეზი, როგორც სჭირდება მეფეს მოქცევა
მეახლებოდეთ საღამოს პირად, განსასჯელია ბევრი რამ წვრილად.
როგორ მოვიქცეთ, რატომ მოვიქცეთ, რომ ვიყოთ მეარად და ვიყოთ ფრთხილად.

**აბიათარი –**

მე როგორც ვიცი შუადღის შემდეგ თავს იყრის ქრისტეს მონა ყოველი
და ამ ადგილას სადაც ჩვენ ვსხედვართ, სად ეს ხე იდგა სურნელ ცხოველი
ამ ხის ტანისგან გამონათალი მაღალი სვეტი, ვით კერპი, ხატი
აღიმართება. ვიცოდი–გითხარ, მე არ დამწამო მერე ღალატი.

**აგათი –**

ქრისტეს სალოცავს მე არ დავუშვებ, მეფემაც ბრძანა დედოფლის წილად:
ეკლესიების აგებას ნუ მთხოვ, დაავდე ქრისტე, იყავი ფრთხილად.
კაპადოკიელს თავს გაუვიდა, განვდევნი მცხეთით, მოუწევს დასჯა

დროს ნუ დაკარგავთ შეკრიბეთ ერი, წინ ხიფათის ველი, გვჭირდება განსჯა.
თავ-ხევისბერო მთიულთ მოძღვარნი რომელიც ნახო აქ მოიყვანე
წილკნელთ ღვთეების ხატის მსახურნი თან იახელი ნუ დაახანებ
აბიათარო შენ კარგად უწყი ჭურიათ სახლი, მთელი ზანავი
მე დავიცავი სომეხთ რქენისგან, მეფეს ვეაჯე, გადავდე თავი.
ახლა მეც ვითხოვ შენს ერთგულებას, ჭურიათ მართებთ ჩვენი მსახური
შეახსენებდე ათასი წლის წინ შორით ლტოლვილებს ვინ მისცა პური
ვინ მოუზომა სახნავი მიწა, ვინ აღავლინა თქვენზე ლოცვანი.

**აბიათარი –**

მოძღვართ-მოძღვარო შენ კარგად იცი არ დაგვიგდია არასდროს განი
ზანავის უბანს მე აქ მოვიყვან როცა შუბის წვერს მზე გადაუვლის
წიწამურაში და ბაგინეთში ელიოზს ვაფრენ ყველას დაუვლის
ქრისტეს სახელი, სული და რჯული ყველას გვიპირებს გადაშენებას
რისთვისაც იბრძვი, მისთვისვე ვიღწვი, უცილპირობოდ დაგუყვები ნებას

**თავ-ხევისბერი –**

სამზეოს ვფიცავ, ლომისის მადლმა, კოპალეს ხელკეტს ავიღებ ხელში
პირიმზე ფუძის ანგელოზის წილ ჯვარზე გაკრული ვერ მოვა მთებში
მაგრამ აქ ბარში სიფრთხილე უნდა, აქ ბევრი არის სულწაწყმედილი
აქ ერთადაა გადარეული სომეხ-ხაზარი-ბერძენი ფრთხილი.
ისიც გავიგე დედოფლის ძიძა, ირანის მეფის მომძე ხუარა
კერპებს განუდგა, ცეცხლს არ სცემს თაყვანს, ჯვრით ხელში ნინოს კვალზე უარა.

**აგათი –**

გვეყო ბაასი, დროს ნუღარ ვკარგავთ, მე მეტიც მესმა სხვებზე და სხვებზე
ჭურიათ ბევრმა ჭკლა იეღოვა, ლოცვას აღავლენს ახლა სხვა ხმებზე.
აბიათარის ქალიც იქ არის ნინოს ტრფიალის რომ ჭკლავს სახმილი.

**აბიათარი –**

ადმეტე

**აგათი –**

ადმეტე არის რომ გაგიგიჟა სიმწრით ნაზარდი ობოლი შვილი
ნინოს თანმხლები ვინმე ადმეტე კაპადოკიით გადმოხვეწილი
ქალთ მადევარი, უვიც-უსაქმო, ცუდად მოამბე, მუდამ მოცლილი

შენს სიდონიას წაუღებს პატივს, წაუწმედს სულს და მოსწყვეტავს მამას
რაც ახლა გითხარ ჭორი არ არის, დინჯად საქმობა სჭირდება ამას.
წაველი.

**თავ-ხევისბერი –**

წავალ ახლავე მეც ქალაქს, ბაზრობის შემდეგ მთიულთ მოძღვარნი
გულით ბეჩავნი, მუხლით მგლის დარნი, მიუსაფარნი ცხოვრების მგზავრნი
სანამ ნატახტრის გზას გაჰყვებიან და მთას აცნობენ ბაზრობის შედეგს
აქ წამოვასხა, აზრი ავუხსნა, ერთად დავაწყობთ საფიქრალს შემდეგს.

**აგათი –**

აბა ვიჩქაროთ, დრო აღარ ითმენს, აზრიც არა აქვს ზედმეტად განსჯას
თუ მომენდობით, არ მიღალატებთ ქრისტიანების ვიხილავთ დასჯას
თუ მოვიშორეთ ახალი ჭირი, ჩვენი ქიშპობა არცა ღირს ჩირად
სამწყმოს მიხედეთ, შიში და რიდი ერს ეჭირვება ლოცვაზე ხშირად.

**/ აგათი და თავ-ხევისბერი გადიან. აგათი შემობრუნდება/ .**

**აგათი –**

აბიათარო, ჯერ არ წასულხარ? კარგია მცირედ რომ შეიცადე
აქეთკენ მოდის შენი ასული, გონს მოიყვანე, მამა ხარ სცადე.

**/გადის/**

**აბიათარი–**

ჩემს ბედში ყოფნას მტერს არ ვუსურვებ, თუ ჩემი შვილის გავხდები მტერი
სხვამ რად მასწავლოს თვითონაც ვიცი გულის სატკენი, გულით სამღერი
ჯერ ერთი ჩვენი ყოფა რა არის ლტოლვილი ური, ლტოლვილი სული
ყველას უტევე, ყველას უფერე, ვინც უვიცია და თავგასული
ჰურიათ ბედი, ჰური, ჰურიტი, გენი მაღალი, ხორცი მონის, ტყვის
სად ნაბრძოლები, სად ნატარები, ქვეყნად ვინ აღწერს და ან ვინ იტყვის
ყველგან საჭირო და არ საჩინო დამღა რამ დაგვაქვს კრული ბედისა
როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდეს-სიბრძნეა ჩვენი შემოქმედისა
ჩვენ ყოფა რწმენამ შემოგვინახა, ახლა ამ რწმენას გაუჩნდა ბზარი
ჯვარცმულის ბედზე ილოცებს ვინაც, მისთვის დარეკავს ჯვარცმული ზარი

დედოფალი მთხოვს აქ მხარდაჭერას და სიდონია ასული ჩემი
საწუმსოც გაიყო იქით და აქეთ საქმე გამიჩნდა თავში საცემი.
არმაზის მცველიც თავს დამდგომია მეტყვის ხომ იცი, ვიცი კი ვიცი
ყველა დიდგულობს და მებუტება, ვის ვუერთგულო, ვის მივცე ფიცი
მამა–პაპათა ღმერთების ძალა ჩემს დებში–ძმებში კრძალვას არ იწვევს
რომ ვაიძულო, რა გამოძივა, სახელი მხოლოდ აიწ–დაიწევს
ახალი რწმენის ყველგან მთესავიც ხომ ჩვენი ჯიში, ჩვენი ერია
ზოგ ს ერთი მოსწონს და ზოგ ს მეორე, ზოგ იც ურწმუნო გამოერია
მაგრამ სისხლი და ხორცი ხომ მაინც ერთი გვაქვს ერთი ჯიშის შვილები
შვილებს როგ ორც სწამთ აკეთონ ისე, რად კარნახობენ გარდაცვლილები.
ვიცი ჩემს შვილსაც ჯვარი ჰკიდია, ზოგჯერ ლოცულობს ჩემგან ფარულად
რომ დავუშალო დავკარგავ სრულად, დავრჩები ობლად და ბედისკრულად
სჯობს შევიცადო, თვითონ განსაჯოს, რატომ დავთესო დარდი და წყენა
სხვა ჯიშის ერმა იფიქროს თორემ ჰურიათია ორივე რწმენა.
ახლა წავიდე, თორე აგათი როცა შეხვდავს ჰურიათ რიგებს
ბოლმას ჩაიხვევს, რქენას დაგვიწყებს, ჩვენი რა იცის ან რას გაგვიგებს.

*/გადის, შემოდიან სიდონი და შროშანა/.*

**შროშანა –**

სიდონი ნახე მამაშენია ზანავის ბილიკს რომ მისდევს ნელა.

**სიდონი –**

ჩემი მოხუცი. უფრო საყვარელს და უფრო ბრძენკაცს იხილავ ძნელად

**შროშანა –**

და უფრო გიყვარს ვიდრე ადმეტე?

**სიდონი –**

შროშან შენ იცი გულის ტკივილი. ასე იოლად ნუ გამიმეტებ.
ყველას თავისი აქვს წილი ჩემში. ერთი ხორცია, მეორე სული.
ერთი გონია და თავდადება. მეორე გრძნობა წრეგადასული.
ჩემში ორივე კერპთა დარია, ერთი მეორეს აწრთობს და ავსებს
მოწიწების მხრივ, მორიდების მხრივ ჩემთვის ვერ ნახავ ამგვარად მსგავსებს.

**შროშანა –**

ნუ გაცხარდები, ხუმრობით გკითხე, ისედაც ვიცი შენი სათქმელი
დედოფალ ნანას მე მოვუყევი შენი ტრფიალის ამბავი გრძელი

**სიდონი –**

ვის რა ხელი აქვს ჩემს სატკივართან, ვის ეკითხება ვისში რა ხდება?

**შროშანა –**

ნუ მირისხდები შენ დაგენაცვლე, ყველა რაც ვიცი ჩემში მოკვდება.
მაგრამ შენს ტანჯვას, ოხვრა–ვაებას ერთხელ ხომ უნდა მოეღოს ბოლო
დედოფალს ვთხოვე მე შენზე რჩევა და დახმარებას შემპირდა ხოლო,
თუ არ მიიღებ მეფის წყალობას ადმეტეს როცა ეტყვის განზრახულს
ვით ხმება ეს ხე მარღვეგადაჭრილი, ჩამომიჭკნები დარდით ამ ზაფხულს.

**სიდონი –**

ვაი, სირცხვილო!

**შროშანა –**

სირცხვილზე მეტად, საკურნებელი გულია შენი
და დედოფალმაც უფრორე იცის, როდის, ვის, როგორ მიუძღვნას ძღვენი
განა მე თვითონ სახე ნაჩეხი, ცალხელ ათლილი მინდოდა ქმარი?
მეფემ მიბრძანა, დედოფლის მხევალს გადამიწყვიტა ცხოვრება მწარი.
შენ უფრო სხვა სთქვი, აზიათარი როცა გაიგებს გულზე გასკდება
მირიან მეფეს ვერარას ჰკადრებს, ამიტომ ვფიქრობ თუ ევარგება
წინასწარ ვუთხრათ. მოხუცი მამა შვილის ცრემლებით მალე მოლბება
ბედისწერაა იტყვის რაც არის, ის რაც იყო და ის რაც მოხდება.

**სიდონი –**

თუმც მამას ვიტყვი. მამაა ჩემი, მაგრამ უფრორიგ იგია დედა
სხვა არ მყოლია აზრის ზიარი. ჩვენ ერთად ყოფნა ღვთით დაგვებედა
რაც შეეხება ადმეტეს. იცი. რწმენისა არის დიდი მოძღვარი
ნინოს თანმხლები, თანაზიარი, მცველი, მრჩეველი, ერთგული მგზავრი.
მე თუ რამ ვიცი ქრისტეს ამბავი, ცხოვრება, ბრძოლა, წამება, კვდომა
ადმეტეს სიტყვამ ჩანერგა ისე, ნინოს აზრებმა რაც მოინდომა.
ვის რატომ გიკვირთ, რომ ამის შემდეგ მიყვარდეს ჩემი სულის მოძღვარი

ვინც დამილაგა ფიქრები მღვრიე, ჩემში დარგა სიცოცხლის ზარი.
ვერავინ იტყვის მას სიტყვა ეთქვას ქრისტეს იქით ან ხორცით ცთომაზე
მისი ცხოვრება ქრისტეს რჯულია და საკუთარი გადუდევს განზე.
ნინოს კვალს მისდევს, მისი შეგირდი, მისი საყრდენი, მისი მცველია
მეც რომ მომწონდეს ასეთი ყოფა საშურია ან საკვირველია?

**შროშანა –**

არც არას ვამბობ, არც არვის ვკიცხავ, მწამს ათი მცნება, ჯვარს თან ვატარებ
შენ დობილი ხარ სულით სპეტაკი, შენზე მოცინარს არ გავახარებ.
ჩუ, რაღაც ხმაა, ხმებია ბევრი, ყაყანი ისმის არაგვის მხრიდან.
კაცები ჩანან, არ გვნახონ მარტოდ, სავალი მივცეთ გადვიდეთ გზიდან.

/შემოდისასფაგური/

**ასფაგური –**

თუ სიმართლეა და სამართალი ჩემს სამეფოში ასე მალულად.
არ მეკადრება მე სიარული. დავბადებულვარ მე ბედის კრულად.
სად პაპაჩემი, დიდი სეხნია, ასფაგურ ქართთა მეფე ლაღობდა
ვინ იაზრებდა რომ ქალთა გამო, კაცი ცხოვრებას თვისას დაგმობდა.
ოდეს ქართები სომხებთან ერთად სპარსეთის გულში ზეიმ-მძლავრობდნენ.
ფარნავაზიანთ მოდგმის გაქრობას არც იფიქრებდნენ და ვერცა გრძნობდნენ.
როცა ასფაგურ მოკვდა ოვსეთში სპარსეთის მეფე ქასრემ იხარა
დასცა სომხეთი, ქართებს უწია, სასწორი მისკენ გადაიხარა.
და მაშინ იყო პიტიახშებმა ტახტის მემკვიდრედ იხმეს მირიან
ჩემი მშობელი ხაზარეთს იყო, მამის სიკვდილი შეიტყო გვიან.
მირიან სპარსთა მეფის ნაზარდი და აბეშურა ჩემი მამიდა
ავიდნენ ტახტზე, იმძლავრეს ხატზე და მე ობოლი მიტევეს გზიდან.
მას შემდეგ ბრძოლა დამყვება ბედად, თავზე გადამხდა ავი რამდენი
ახლა მოვიდა დრო გადამწყვეტი, ტახტს დამიბრუნებს დიდი ზადენი.
აბეშურა ხომ არმაზმა შთანთქა, ახლა დედოფლობს უცხოტომელი
ფარნავაზიანთ ჩამომავალი ჩემს გარდა დარჩა კიდევ რომელი?
ქართთა მეფობა ჩემი ხვედრია, მცხეთის გვირგვინი ჩემი არჩივი
ოვსთა კარიდან კოლასტრის მთამდე მხრებს გავშლი როგორც მთე-
ბის არწივი.
მაგრამ აგათი რაზედ ყოვნდება. აგათი ჩემი სულის მოძღვარი

მამა-პაპათი კერპნი ვისაც სწამს იმან დარეკოს დღეს ჩემთვის ზარი
პელოს მტკვრის მხარეს გაჰხედე ბილიკს, თითქო ვიღაცა ჩუმად იმალის
არაგვის მხარეს კაცნი ქიშპობენ, იქით დარაჯად დადგეს იდაი.

**პელოსი –**

დიდო ბატონო, ცხენებს მივხედავ, თქვენსკენ მომღვარი აჩქარებული
მოდის და ზვერავს მიდამოს თვალით, თითქო განძი აქვს აკიდებული

**ასფაგური –**

შენ ბაგინეთის გზას უდარაჯე, აგათთან ერთად არავინ მნახოს
თუ მტერი ლანდო, გუგულის ხმაზე მონას უთხარი სამჯერ იმახოს

/პელოსი გადის, შემოდის აგათი/

**ასფაგური –**

მამავ უფალო, შენ მოლოდინში ათასი ფიქრი ამეკვიატა

**აგათი –**

ერთგულს ნამუსი, ორგულს მუხთლობა, სადაც არიან თან დააქვთ ხატად.
გლოცავ და ამბავს სასიხარულოს, დაუჯერებელს და თან სარწმუნოს
რომ მტერი მოსრას, მომმეს უფონოს, ჩვენი ორგული წელში გაღუნოს
გეტყვი, იაზრე, რომ მოქმედება აზვირთებულად, მიჯრით და სწრაფად
საჭირო არის და თან იცოდე კერპთა მლოცველნი გუავდეს მარქაფად.

**ასფაგური –**

რაც უნდა მითხრა, მითხარი მალე, გზად ვარ, მივდივარ ადარბადაგანს
სპარსელთა ჯარი ჩემ მოლოდინში იქ არ მოიცდის ზედმეტად დიდხანს.
რაც ბარტამ მოკვდა, მირიანის მმა, ტახტზე ავიდა მესამის წული
ახლა ჯარს კრებავს რათა დასაჯოს მირიან ურჩი და თავგასული.
მეც იქ ვიქნები, სპარსელთა ხელით სამეფო ტახტი დამიბრუნდება
ჩემო აღმზრდელო რაც გვიფიქრია, მარჯვეთ ვიქნებით, მალე ახდება.

**აგათი –**

აღარ მაცალე, ამბავი ერთი სასიხაულო თან გაგაყოლო
მირიან დილას დაბრმავებულა, ჩანს რომ მეფობის მოსვლია ბოლო

დედოფალი მთხოვს არმაზს ვახლო, ფიქრობს შენდობას გამოვთხოვ მისთვის
დაგვიდგა ჟამი მოქმედებისა, გვქონდეს უნარი სწორი განსჯისთვის.

**ასფაგური–**
დაუჯერებელს ნუ მეტყვი ზღაპარს იმედის სხივი აკიაფდება
თუ მირიანი დაბრმავდა მართლა, რაც განმიზრახავს უმალ ახდება.
ბაქარი მძევლად ჰყავს კონსტანტინეს, შორს არის რომის იმპერატორი
სანამ რაიმეს იღონებს ახალს, გვირგვინს დავიდგავ, გავხდებით სწორი.
დედოფალ ნანას შევწირავ გაქმს, გაცს დაამშვიდებს რევი მართალი
სალომეს მხევლად დავისვავ კარზე, მას ხიმალაზით არ ყავს ბადალი
სულის მომღვარო გზა დამილოცე, იმედი მომეც, მალხინე სულით
ხვალის ვარსკვლავი თუ ამობრწყინდა რა ბედენაა ბნელი წარსული.

**აგათი –**
ნუ აგიტაცებს ზემეტად განცდა, როცა ტახტს ახვალ, მაშინ ღირს ლხინი
თავქვე მიმავლის გზა იოლია, აღმართს მიმავალს რად უნდა ზვინი.
მირიან შენი აღმართი არი და მგლის ლეკვები ბაქარ და რევი
თრდატ სომეხთ მეფე არის რძლის მამა, სიმე ფეროზი ფიქრის ამრევი.
როს ქასრე მოკვდა სპარსელთა მეფე, სოფელი გაჰყვეს მოქიშპე ძმებმა
ბარტამს სპარსეთი ერგო სრულიად, იქით ატარეს სიკეთის გზებმა.
მირიანს ერგო ხუნან–ბარდავი, შამი, დარუბანდ და ჯაზირუთი
ადარბადაგანს ეუფლა მალით, სპარსულად ლოცა წარმართთა ღმერთი.
სანამ მირიან იყოფდა სპარსეთს, ქართს მიესივნენ ოვსთა ტურები
წინ მოუძღოდნენ ფეროშ, კავტია, ძლიერნი იყვნენ ვედასტურები.
უფრო ძლიერი იყო მირიან, ოვსნი აოტნა ხაზარეთამდე
დურძუკს ფეხი ჰკრა, დიდო, ლეკები წინ გაირეკა მრისხანე ზღვამდე.
დარუბანდიდან მობრუნდა უკან, არ დაისვენა, არ გაიხარა
დვალეთს ეწვია, თოვლიან გზებით მაღალი მთები გადაიარა.
ეგრისს უწია ჯიქეთის მხრიდან, შემოიმტკიცა იმერ–ამერი
დღეს თუ დაბრმავდა, ცოდვამ უწია, საქმე გქონია გულით სამღერი.
მხოლოდ იჩქარე, ძლიერი მტერი, საწეწად მამულს არ დაგიტოვებს
თუნდა ბრმა იყოს მეფე მირიან, ხელად იაზრებს, მიიღებს ზომებს.

**ასფაგური –**
შენ ისე უბნობ, თითქო ნანობდე, ჩვენთან ასე თქმას ღალატი ჰქვია.

**აგათი –**

ასე რად ბრძანებ, განა იქა ვარ დედოფლის ნებამ სადაც მაწვია?
მე მინდა მხოლოდ იცოდე კარგად, რომ გამარჯვება მეტად ძნელია
მეფის ტახტიდან შორს დგეხარ ახლაც, დიდი მანძილი გასავლელია.
ჩემგან დალოცვა და მხარდაჭერა აროდეს იცი არ მოგაკლდება
აგათი ვიდრე იანდებს ღალატს, აგათის გული უმალ მოკვდება.
შენს ერთგულებას აქ ემატება ნანა დედოფლის რწმენის ღალატი
ქრისტეს ლოცულობს, ჰურიტთა რჯულზე მოწყობილი აქვს ნიში და ხატი.
არც მირიანის ნდობა იქნება ცეცხლსაც თაყვამს სცემს, კერპსაც თაყვანს სცემს
თუ ახალ ქვეყნებს შეჰპირდა ვინმე ახალს იწამებს, ორივეს გასცემს.
როცა სჭირდება სპარსელობს კიდეც, როცა არა და ჩვენია,-ქართი
როცა დაღმართი არის დაღმართი, იტყვის დაღმართი არის აღმართი.
ახლა იჩქარე, მეფის სიბრმავეს უმალ შეიტყობს მტერი-მოყვარე
ვინძლო იმარჯვო, გზას დაგილოცავ, შენთვის შემოვკრავ არმაზის ზარებს.

**/ ემშვიდობებიან ერთ-ურთს. გადიან. გამოჩნდებიან სიდონი და შროშანა/**

**სიდონი –**

ეს მოლანდებას უფრო მოჰგავდა, რაც მოვისმინეთ ბოდვა მგონია
სიბრმავის ელდა, ღალატის ელდა მხოლოდ ზღაპრებში გამიგონია.

**შროშანა –**

მე ყოველივეს დედოფალს ვეტყვი, ვინ რისთვის იღწვის ყველა იცოდეს
ღმერთი მაღალი დაჯიდეს ყველას ვინც იორპირა და ვინცა სცოდეს.
ახლა ვიჩქაროთ აგათის ვიცნობ გზა-კვალს დააბნევს, ფრთხილია მელა.
და ასფაგურის მონებიც ვიცი თუ ჩაგვისაფრდნენ ძნელია შველა.
ისევ კაცების ხმა მელანდება, აქ არ მოგვისწრონ წავიდეთ ჩქარა
მე წინ გამიშვი, თუ ხიფათს ვიგრძნობ, შენ გზას გადუხვევ, მე დაგიფარავ

**/ გადის/**
**/ ხმაური მატულობს/**

*ხო, აქეთ ფრთხილად, ნუ ექაჩები, თავი აუწი, რა ვქონათ აღვმართოთ?*
*არა, სჯობს მოცდა, მოვ ვივა ერი, ნინო რომ გვეტყვის ისე გავმართოთ.*

*აქ დავასვენოთ. თან დავისვენოთ. კარგ ად გ ავთალეთ. უჰ რა ცულია.*
*ვინ გ ამოსჭ ედა? რაღას ველოდოთ? საკმარისნი ვართ. დროს გ ასულია.*

**(ჯგ უფი შემოდის და დასასვენებლად ლაგ დება)**

**I ხურო –**

ეს დღეს დაგ ვიდგ ა. ჯვარი შევკარით. ახლა ხატებად ზე აბრწყინდება.
ლოცვას აღავლენს ნინო წმინდა. თაყვანი ღვთისა არ მომწყინდება.

**II ხურო –**

რა ადგ ილია თან შერჩეული. ეს ხეც ეტყობა განგ ებამ ზარდა
ცხოველი სუნი მისი რომ ვუნოსე კერპების შიში გ ადამივარდა
ადმეტემ იცის ბრძენი კაცია, რატომ შეირჩა ეს ხე-ადგ ილი
მტკვარის-არაგ ვის გ ზაშესაყართან ჯაგ ნართა შორის ოლე გ აშლილი.

**ადმეტე –**

ადგ ილი ესე ღვთით კურთხეული, მთათა კალათში სამოთხე მწვანე
მრავალთა სულთა იყო საყრდენი, მრავალთა ხორცთა იყო სავანე
ზოგ ს ეგებ ახსოვს წელთა მრავალთა ნინომ ამ ხის ქვეშ აქ იმარხულა
აქ დედოფალმა მიიღო შვება, მეფემაც წმინდა აქ ინახულა
პირველად მახსოვს ეს მოხდა როცა ქრისტემ დაამხო გ აცი-გ აემი
წარღვნის მაგ ვარი მოვარდა თქეში და ნიაღვარმა წალეკა თხემი
გ აცი დაეცა, თვითონ არმაზიც წამოსაწოლად გ ადაიხარა
მრევლი შეშინდა და გ აიფანტა. ნინო დარჩა და რწმენით იხარა.
შემდეგ აქ დადგ ა ცხოველი ხის ქვეშ, ჩოქვით უარა, ექვს დღეს ილოცა
წარმართნი შედრკნენ და გ ანი მისცეს, ეს თავდადება იხილეს როცა.
თვით დედოფალმა რაკი გ აიგ ო, მხევალის პირით შინ დაიბარა
და ყველა შეცბა ქრისტეს ძალისგ ან როდესაც ნინომ აახლა არა
ამის შემდგ ომად, სამი დღის ბოლოს ქალაქს შევიდა ქალი წმინდანი
ანასტოს, იცნობთ მცველის მეუღლეს, დააბანინა ფეხი და ტანი.
შემდეგ მოიღო ლოცვა-კურთხევა, უშვილო ქალის ესმა ვედრება
ანასტოს გ ვიან ეყოლა შვილი, თუმც მის ასაკში ასე არ ხდება.
ბევრმა ირწმუნა ნინოს ღვთის ძალა, ემოწაფა და იტვირთა ჯვარი
ბევრის კურნება ახსოვთ მორწმუნეთ და ურწმუნოთა ცრემლები მწარი.
სამჯერ ზედიზედ იხილა ნინომ, სამჯერ სიზმარი უამბო ყველას

წყალში ცვივოდა ფრინველი ბევრი და მერე აქეთ ცდილობდა შველას.
ცხოველი ხის წვერს გუნდი და გუნდი გარე უვლიდა სტვენა–გალობით
მორწმუნეთ იგრძნეს მოქცევის ჟამი, ნინო ამაღლდა ღვთიური გრძნობით
როგორც ექვსი დღე, მან ექვსი წელი აქ ილოცა და განკურნა ერი
ურწმუნო შედრკა, ქრისტეს მოწაფეთ საქმე გაგვიხდა სალოც–სამღერი.

**I ხურო –**

ხო, მაგონდება, ზევახ ჰიტიახშს შვილი წაუხდა გადაგდო თავი
ვინ არ ეცადა, თვითონ აგათიძ ვერ მოაშორა ზმანება ავი
სანიგეთიდან მახშვი მოვიდა და ტელეპიას დანაბარები
საღვთო მუხასთან ამოკითხული დასახა როგორც მორჩენის გზები.

**II ხურო –**

ეს ტელეპია ვისი ღმერთია?

**I ხურო –**

სანიგნი ჩვენი მოძმე ტომია, სადღაც ზღვის ახლოს მთებში მცხოვრები
და ტელეპია მელიის ხატი ვის ლოცულობენ ისინი გზნებით

**II ხურო –**

მერე უშველა ყრმას იმ მელიამ?

**I ხურო –**

ბევრნი ეცადნენ, მაგრამ გავიგე, ვერავის მისთვის ვერ უშველია
მაშინ ზევახი ევედრა ნინოს სიტყვა დააგდო და ცრემლი მწველი
თუ მოურჩენდა შვილს სულთა ვნებულს, ის გახდებოდა ქრისტეს მლოცველი

**II ხურო –**

მერე?

**I ხურო –**

მერე რა მერე, ნინომ განკურმა, მცხეთაში ბალღმაც ეს კარგად იცის
ზევახ უფალიც ჯვრის მტვირთველია, ნინოს შეგირდი, დამჭერი ფიცის.

/შემოდიან ჟამთა–მროველი, აგაფანგელი და სხვანი/

**II ხურო –**

როგორ განკურნა?

**ადმეტე –**

ეგ საიდუმლო ნინოს ძალაა, ქრისტესმიერი ტანთ ჩაფენილი
მე თვით ვიხილე, ავადმქმნილ ყმაწვილს ნინო მიუწვა, მოჰგვარა ძილი
მერე ხელების გულით ულოცა, ტანით ეკვროდა, სიტყვას ეტყოდა
ღვთისმშობელს თხოვდა მას მისცემოდა ავი რომელიც ყმაწვილში ჰქროდა
ასე თანდათან ძალას იკრებდა, და ავად ქმნილი გონზე მოვიდა
ქრისტეს ძალაა, პირჯვარს ვიწერდით, რწმენა თუ ერში გარდამოვიდა.

**ქამთა-მროველი –**

კაცის განკურვნა ჭინკამაც იცის, ქაჯის შელოცვა მეტია ძალა
კარგი და ცუდი, კეთილ-ბოროტი ერთი მეორეს ვინ გააცალა
ერთის განკურვნა სხვის ზიანია, ერთის სიცოცხლე მეორის კვდომა
რას მიესწრაფვის აწმყოში მქნელი, რა მიზნისაა იმისი ნდომა
ღმერთის ძალაა აქ ჩაქსოვილი, თუ ბოროტია მოქმედი სული
ეს რომ გაიგო უნდა იცოდე ხვალე, აწმყო და მათი წარსული.

**ადმეტე –**

ხვალეს ამბავი იესომ იცის, მამა ღმერთმა და თან წმინდა სულმა
თუ ჭკვიანი ხარ აწმყოში საზღვრავ, თუ მოგცა ხელი ცოდნა-წარსულმა
ნინოს მიზანი უფალის ნების განფენა არის და ერის შვება
ღვთისმშობლის ლოცვით იღწვის ამ ქვეყნად და სანამ არის ის არ დაშვრება
მკურნალობა კი ღმერთის ძალაა ნინოს თვალებში დადუღებული
სიტყვაც ძალაა, ქცევაც ძალაა, ძალაა ლოცვა და ხელისგული
ნინოს რომ ჭინკის ტალახი ეცხოს, ან ქაჯის იყოს ქვეყნად შობილი
ოქროს ითხოვდა, პატივს ითხოვდა არ იქნებოდა ღმერთის ხმობილი.
თავად განსაზღვრე ჭინკა თუ ქაჯი თუკი დედოფალს შვილს გადაურჩენს
იმდენს მოითხოვს ერთი ჭირის წილ ათას სატკივარს უმალ გაუჩენს
ნინომ რა სთხოვა როცა დედოფალს უკუნრებელი გაუჩდა სენი?
,,შენთან ნუ მიწვევ, მოდი გიშველი, მონად ნუ მიცქერ სული იხსენი“.
და დედოფალმა როცა მიართვა ოქრო და ვერცხლი, სამკაულები
უკან მიურწყო და ასე უთხრა: ,,ასეთ პატივით ნუ დაიღლები
მე საჩუქარი ერთი მსურს მხოლოდ ჭეშმარიტ ღმერთის ისწავლო ლოცვა

შეცვალო რწმენა, სასახლის ხატი, ქრისტესა ცნობდეს ეს გარემოცვა
ეკლესიები აშენო მხოლოდ, აღარ გაკრთობდეს არმაზ-ზადენი
დაფიქრდე აზრით, ერთი გაქვს სული, ერთ სულს ღმერთები უნდა რამდენი?“
დედოფალ ნანას ნინოს სიტყვები-იმედის სხივი ეჭვივით სდევდა
მირიან მეფე ეჭვებით სავსე ახალს არ სცნობდა, ძველს ხელებს ხვევდა
და მაშინ იყო დედოფლის ძმა, სპარსეთის მეფის სწორი ხუარა
ბოროტ სულისგან იქმნა ვნებული და დარჩებოდა ქვეყნად თუ არა
არვინ იცოდა, ვერც რა უფონეს, მაზდეანობამ ვერა უშველა
და როცა მისი უბედურებით სასახლის კარზე დამწუხრდა ყველა
მირიან მეფემ ბრძანა ამგვარად „ვინაც უშველის მეფეს და მოძმეს
პატივს მივაგებ ღმერთებს იმ სულის, იმის დამხმარეს და იმის მოწმეს“.
ახლახანს იყო, გაგეგონებათ, ნინომ განკურნა განუკურნები
წინასწარ უთხრა მეფეს და მონას, რომ ეს მოხდება იესოს ნებით
ჯვარცმულის კვართი, იტყოდა ნინო, როცა აწამეს უწყალობელად
ქურდში გაცვალეს, მკვლელში გაცვალეს, ჯვარზე გააკრეს ლურსმნებით ხელად
და როცა შემდეგ ამაღლდა ზეცით, და როცა იგრძნეს მალა ღვთიური
ქრისტეს ნივთები დაინაწილეს, იესომ გაჰყო როგორაც პური.
კვართი ქრისტესი მორწმუნეებმა გამოიტაცეს, გზნებით იარეს
სირია ნახეს, კაპადოკია, ვაგლახით ასცდნენ სომხეთის კარებს
ჩამოიტანეს და მცხეთის გულში კრძალვით მიიღეს დიადი განძი
მისი მალაა, მისი შეწევნა თუ გაიხსნება სიავის კვანძი“.
ამის შემდგომად კურნების მალამ ხუარას იცით როგორ უშველა
დამსწრეთ იწამეს, ნინოს მიუსხდნენ და პირჯვარს იწერს მას შემდეგ ყველა.
მხოლოდ მირიანს არც არა უთქვამს, სიჩუმით სიტყვას უტეხა პირი
მაგრამ ვინა თქვა ჭირის დამალვით ტანში ჩაკვდება ჩამჯდარი ჭირი“.

**სასახლის მცველი –**

ყველამ ისმინა რომ მეფის ჭირზე ლხენით ყვებოდა თავნება მონა.

**ადმეტე –**

მონა კი არა თავისუფალი, სხვადასხვა არის ამათი წონა.

**მცველი –**

ხო თავისუფლად ამბობდა მონა თან ზადენს ჰგმობდა, ჯვარცმულს უხმობდა
ქაჯია კაცად გარდასახული, თორემ მეფის ავს როგორ იგრძნობდა.

აქეთ მოვუხმობ ერთმორწმუნეებს, ვისაც პაპათა სისხლი აქვს გულში.
ნუ მოუსმენენ უცხოტომელებს, ნუ ჩადგებიან იმათ ფერხულში.

**აგაფანგელი –**

ჩემი სათქმელი ამ კაცმა ბრძანა. მუდამ მიკვირდა მცხეთელებისა
რატომ თავისი არა გყავთ მღვდელი, დარჩით იმედად უცხო მოყმისა
ქრისტიანობა ჩვენც კი მივიღეთ, მაგრამ სომხებს გვყავს სომეხი მღვდელი
ისტორიაშიც ასე ჩავწერე. თქვენც ამას გირჩევთ მიიღეთ ელი.

**ადმეტე –**

მე ქართებს შორის უცხო რადა ვარ. ერთი გვაქვს ჯიში, სახლი და ენა
კაპადოკია ქვეყანას ქვია, რაც შეეხება სომხების რწმენას
თავად ვარ მოწმე ამათმა მეფე თრდატმა ქალები როგორ აწამა.
მხოლოდ იმისთვის რომ სწამდათ ქრისტე, სული წმინდა და თან ღმერთი მამა.

**აგაფანგელი –**

რაც წარღვნის მერე არსებობს ქვეყნად, ვიცი ვინ რაა, სად რა ერია
ბევრი მინახავს, ბევრი მივლია, ეტრატიც ბევრი დამიწერია
არ გამიგია მე იმდაგვარი მეფე თრდატზე რომ აუგი ბრძანა
უძველესია სომეხი ერი, სიკეთით სავსე არის ქვეყანა
შენ კი ცილს სწამებ, პამაც მატყუებ, სად მცხეთაა სად კაპადუკია.
შენ სად ყოფილხარ, ან და რა იცი, სომხეთის მიწა გინახავს კია?

**ადმეტე–**

თუ ძველი დროის ხარ აღმწერელი, მე ზუსტად გეტყვი მხოლოდ მისმინე
ნინო როდესაც აქეთ ვიდოდა ქალაქ ეფესოს იცნა რიფსიმე
და გაიანე მისი აღმრდელი. ნინომ იცხოვრა იქ ორი წელი
ჭეშმარიტ ღმერთის ასწავლა ლოცვა, რწმენას შემატა ორი დამცველი.
შემდეგ სამივე სასომხეთისკენ გამოემართნენ დალახეს გზები
ყოველ სომეხთან ნინოს შეგირდნი ქრისტეს მცნებებზე მსჯელობდნენ გზნებით
და მაშინ იყო, რომ მეფე თრდატმა ეშმის რომ სწამდა, ცეცხლზე ილოცდა
გაიანესი გაიგო ვერ რა, რიფსიმეს ჯვარზე მხოლოდ გაოცდა
აწამა ორნივ. აწამა ორნივ. კერპებს შესწირა მონა ქრისტესი
ნინო გადარჩა ვიდოდა აქეთ, კეთილთან იქმნა სიკეთის მთესი.

**აგაფანგელი –**

ნუნე სომხეთში როდი ყოფილა და ან რა იცის სომხის ბუნება
ჭეშმარიტ ღმერთზე ვლოცულობთ ყველა, ჩვენი მრწამსია ის ათი მცნება
რომელიც ქრისტემ ანდერძით მოგვცა, რომელიც ჩვენში მყარად იბუდებს
სინათლით ავსებს, იმედით ავსებს ქრისტეზე მლოცველ ჩემს შვილებს და დებს.

**ქამთა მროველი –**

სტუმრის პატივი ჩვენ კარგად ვუწყით, სტუმარი ხარ და ამით ვჩუმდებით
მაგრამ თუ სიტყვამ ქამთამწერელი ატარა მხოლოდ ცდომილი გზებით
ჩემი ვალია კეთილად ვლოცო, სიმართლის თქმაზე ვუთხრა სათქმელი
ადმეტეს ვიცნობ ზოგს როდი ბამავს შიგნიდან ბნელი, გარედან ჭრელი
მომისმენია მისი ცხოვრება ნინოს კვალდაკვალ როგორ იარა
სული გაწაფა, ხორცი გატანჯა, თავს გაუჩინა დარდის იარა
სომხებს შენ ამბობ ერთი წელია ქრისტიანობა რაც მიუღია
მაგრამ მანამდე ხომ სხვა, რამ სწამდათ, გონების პქონდათ სხვა კარი ღია
ხოდა აწამეს ქალები მაშინ ცოდვა დაიდეს ცოდვის შვილებმა
სიმართლე თუა, სიმართლე იყოს, სიცრუეს უყვარს სიტყვებით შებმა
რაც შეეხება ერის სიბერეს, ბალღი მოხუცთან უნდა გაჩუმდეს
ხუროთმოძღვარი აგერ გვყავს ჩვენი, ყოველ მოსახლეს უზომავს ბუდეს.
ბერძენი არის, აქოლისს ვეტყვით, ზეპირად იცის წარსული თვისი
დამერწმუნება, რაც მაგათ შემლეს სომეხს არა აქვს ის შესატყვისი
როცა სოლონი კანონებს ქმნიდა ჯერად არ იყო თქვენი ხსენება
როცა ტროასთან ერთურთს ვებრძოდით, როცა დავამხეთ ქვეყნის მშვენება
როცა აიეტს ქალი მოსტაცეს, როცა კირკემ შვა შემქმნელი რომის
როცა ხალიბნი კუნმულს სტოვებდნენ, იყო შედეგი უწყალო ომის.
ვინ იფიქრებდა რომ მომავალში ხალიბის, ხალდის, ქართის მეზობლად
გამოჩნდებოდა ახალი ერი, სხვისგან გადამხდარს იცნობდა მშობლად?
კაპადოკიაც ადმეტე იტყვის, სიმართლეს იტყვის, იბერთ მხარეა
სომეხთ წაგვართვეს მისი ნაწილი, კეთილად გეტყვი ის რაც მწარეა
კაპადოკიას სულ მუდამ ფლობდნენ მუშქნი, მოსხნი თუ ტიბარენები
ქართთა ნაწილიც იქიდან არის ერთად გვივლია უვალი გზებით
არიან ქართლი გაგვეგონება სანამ სომეხი წარგვტაცდა მიწას
ასე გვეგონა სამხრეთის მხრიდან მთელ იბერიას მარტო დაიცავს

**აგაფანგელი –**

შენ პყვები იმას რაც ადრე იყო, ჩვენამდე იყო, ჩვენს გაჩენამდე

ასე რომ სდიო რომიც შენია, და სახლი გქონდა ბერძნების ზღვამდე
მე გეუბნები რაც გუშინ იყო, რაც დღეს არის და რაც ხვალ იქნება.
ჩვენ უფროსნი ვართ ქრისტესმიერი ეს აზრი ერშიც ჩამოიქმნება.
ქრისტე ეწამა, ბუნებრივია, ქრისტეს აზრებიც წამებით ჩნდება
მთავარი არის, როგორც შედეგი ჭეშმარიტება სად გაბრწყინდება
დღეს სასომხეთში ქრისტიანობას ყველა ირწმუნებს მეფეც და მონაც
რომაელებიც ამას ითხოვდნენ დახმარების წილ, ამას აქვს წონა.
მე სულ სხვას ვამბობ რატომ უცხოა თქვენში იესოს მქადაგებელი
სომეხს სომეხი თუკი ჰყავს მღვდელი, თქვენ ქართი გყავდეთ, გირჩიეთ, ელი.

**ჟამთა მროველი –**

სომეხნი გაჩდნენ რვაას წლის წინათ, როცა ვიცოდით სად რა ერია
ეს მოხდა როცა იბერთ მეზობლებს კიმერიელი შემოერია
შერწყმის შედეგი, ახალი ერი შეკრული არის, ჯერ არ დაშლილა
არც დაშლილიყოს, გრძელ ცხოვრებაში ყოველთვის ჰქონდეს მშვიდობის დილა
მაგრამ მნელია ამიტომ შენთვის მველი ერების გაიგო ბედი
როდის რა იყო ან და რად იყო, როგორ შემოწყრა მას შემოქმედი
ზოგი რომ იყო და აღარ არის, სანაცვლოდ ზოგი ჩნდება ახალი
სუსტი იჩოქებს და იღუპება, მლიერი რჩება, ხდება მართალი
ქართთა და კოლხთა მოდგმის ამბავი ისე გრძელია ვერ სწვდება მზერა
ევროპას ირწა მათი აკვანი და კავკასიას ესმოდა მღერა
დღეს რომაელთა იმპერიაა იმავ მიწებზე გარდაფენილი
სად შუმერია და სად იბერი, რომელმა რომელს მიუზღო წვლილი?
ორი ათასზე მეტი წელია რაც მველთა მამათ აქაელებთა
მიუღობიათ სხვათა წილხვედრი სახნავ-სათესი, კალთები მთებთა.
შემდეგ ელინთა ყველა კუნმული, ყურე, მდინარე მოინადირეს
პელაზგიური თუ ნახეს მოდგომა დასწვეს, განდევნეს, დედა უტირეს

**პატრიარქი ევსტათი–**

ხან ელინთ იტყვით, ბიზანტიელთაც, ხან რომაელთაც, თუმც ვარ ბერძენი
ჩვენთან ტრაბახი, ვის რა უნახავს გაგიხუნდებათ ჩამოეხსენი
ის რაც აქ ითქვა კი მართალია, სხვასაც ბევრს იტყვის ჟამთა მროველი
მეც შემიძლია მხარი ავუბა მე და აქოლის გვახსოვს ყოველი
თუნდაც ის რად ღირს კრეტაზე მინოსს ცოლად და ჰყავდა აიეტისა
და ხალიბები ევბეას ფლობდნენ ჰქონდათ უნარი რკინის ჭედვისა

მენობიოსი ამბობს კადმოსმა, რომელმაც შექმნა ასო ბერძნული
ფინიკიელთა ისესხა აზრი, ხაზებს შთაბერა ახალი სული
მაგრამ მანამდე მოკლა ლინოსი ვინც ავრცელებდა პელაზგურ ასოს
ასევე წერდნენ სტრურიები, მე და ტაციტუსს ეს კარგად გვახსოვს.
სტრაბონიც იტყვის კორიბანტები ვინც დამწერლობა შექმნა კრეტაზე
კოლხნი არიან წარმომავლობით და ბატონობენ პროპონტიდაზე

**აგაფანგელი –**

ეს ისტორიის უკუ კითხვაა და სიმართლესაც ხომ უნდა მცველი
სომეხთ ასწავლეს ქართებს დაწერა, ასოც შეუქმნეს მე ვამბობ ელი.

**ჟამთა მროველი –**

ასეა მუდამ, კაცს თუ არ უნდა რიყეზე ქვასაც ვერ დაინახავს
ისედაც იტყვის, ასედაც იტყვის, გუთნეულივით გააბავს ამბავს
ან რას ვირჯებით თუ ჰეროდოტე და უფრო მეტად იტყვის ტრაბონი
სკილაქსი ამბობს მოსინიკებზე და მაკრონებსაც მიუზღავს წონით.
ეს ჩვენი დავა რა სათქმელია, არც ვაპირებდი, ისე გაუწყეთ
ვინც როგორ ხედავს, როგორ მიუზღავს, ისე მიეზღვის თქვენ არ გაუწყრეთ.
რაც შეეხება სომხების ტრაბახს, ასო გაჩუქეთ, გასწავლეთ წერა
მაშ ფარნავაზმა შვიდასი წლის წინ რას მიანიჭა ახალი ჟღერა?
მამა ევსტათი ბრძენი კაცია, ბრძნული საქმისთვის გარჯილა დღესაც
და რომ არა სთქვან სომეხ–ხაზართა ისიც ჩვენია, ისიც და ესაც
შენ რომ უხმობდი წმინდა მამაო, იმავ ტაციტუსს დავემოწმები
თესალიელი პელაზგებისგან ამბობს რომ მოდის ალბანთა ხმები,
იქვე მეზობლად იბერნი იყვნენ, მიგებ–ჯიქები, ჰენიოხები
და თუ ასეა კლიოს სამზერზე, ჭუჭყიან ენით ნუ შეეხებით.
უფრორე მიტომ, რომ თქმის საგანი სხვა აზრისაა და სხვა მიზნისა
ნუ შევეცდებით თუ ერთზე ვამბობთ, სამზე გავავლოთ ზღვარი მიჯნისა
აქ ცხადი გახდა, აგაფანელი, ცუღლუტობს როცა თხებს არქმევს ზაქებს
გაიანეს და რიფსიმეს არ ცნობს, მათ მკვლელს ამართლებს, ამკობს და აქებს.
ამავ დროს ქრისტეს მცნებებს იმოწმებს, ნათქვამს არ სცხია მადლი ქრისტესი
არ მესმის? ახალს მე მირჩევია, სისხლში გამჯდარი ძველების წესი.
მეტსაც ვიტყოდი, ყოველ დროის კერპს მე მირჩევია აზრი მაღალი
და თუ ვიკითხავ, არა საწყენად, ფიქრი მაქვს წმინდა, გული ალალი.
მამა ევსტათი ბერძენთ მოძღვარი ქრისტეს გამოა მოვლინებული

ამავეს ცდილობს ქალწული ნინო ტანჯული სულით ამაღლებული
ბევრჯერ მინდოდა მასთან ბაასი, მაგრამ ველტვოდი მსტოვართა თქმათა
ერთიანია  ჩემთვის იმედი შვილი-შვილთა და მამა-პაპათა
თანაც ინტერესს ზღვარს ვინ დაუდებს, ვინ გაანელებს გაგების სურვილს
ცოდნა წყალია მაძიებელის, მუდმივ გინდება თუნდ მოჰკლავ წყურვილს
და რომ არ იყოს მოთქმა და მითქმა, რომ დავამოკლოთ ენები ავი
ადმეტეს ვთხოვდი, აეხსნა მოკლედ გადმოხვეწილი ნინოს ამბავი

**ადმეტე –**

კაპადოკია მხარეა კოხტა, ერიც მშრომელი, არ უნდა ფიცი
ნათესავნი ვართ იბერ-კოლხების, არ მინდა მოწმე, ვამბობ რაც ვიცი
ადრე აქ იყო ხეთა ქვეყანა და ის ქვეყანა ერთად ვაშენეთ
შემდეგ შევქმენით პონტოს სამეფო, რომსაც ვებრძოლეთ, ძალა ვაჩვენეთ
მაგრამ უმთავრეს, რაც მოხდა ჩვენში, იყო გიორგის აღმაბრწყინება
კაცი ვით ღმერთი ამარცხებს ურჩხულს, ამით სრულდება იესოს ნება
ვინც ნიმფა მაკრისს ღმერთქალად თვლიდა, მერე დაერქვა მარკისელები,
ვისაც ენეტებს ემახდნენ ერთ დროს და ის ვინც იყვნენ პალიმონები
შემდეგ დაიყვნენ სხვადასხვა ტომად, ღმერთი შეცვალეს და თან სახელი.
მაგრამ ატარეს ერთობის აზრი, ურყევი ნება და გული ცხელი
ღმერთმა ინება და იმათ მოდგმას, დღეს ქვია ქართუ, ლაზი თუ ჭანი
გიორგი წმინდა აღმოეცენათ და აღარ არის კერპთა ჭაჭანი
პირველწოდებულს ანდრიას ვეტყვი, სიმონ კანანელს იმასთან ერთად
მათ გადანათლეს კოლხეთში ბევრი, ჯიქეთს არწმუნეს იესო ღმერთად
ახლა უყურებთ ქართთა ჯერია, ქართთა მოქცევა ღვთისმშობლის ნებით
ურწმუნოთ ვურჩევ მომაპყრან სმენა, მორწმუნეებმა ვილოცოთ გზნებით.
დიახ, როდესაც გიორგი წმინდა ნათელმხილველი ევნო, ეწამა
უწვერ-ულვაშო, ჭაბუკი ვინმე ზაბილონ ჰყვანდა თან მას იმ ჟამად
ვინც ემოწაფა წმინდა გიორგის, წამების შემდგომ წავიდ-წავიდა
იერუსალიმს მიმართა ზოგმა, საღმრთო დაიწყო საქმე თავიდან
ზაბილონი კი მოწყდა მეგობრებს, რომში ვიდოდა ჯარის მსახურად
და რაც ფრანკებთან იმან საქმე ჰქმნა არსად მსმენია, არსად ნახულა
მან უმოწაფა ფრანკები ქრისტეს, რწმენა მისცა და თავისუფლება.
სხვამ რომ სხვაგვარად თქვას ეს ამბავი ამით შედეგი არ შეიცვლება:
რომში მიაგეს მხედარს პატივი, გახდა ცნობილი და სასახელო
იმპერატორმა იწვია გვერდით, სასახლე მისცა, უძღვნა სახელო

ცხოვრება ასე გაგრძელდებოდა, მაგრამ ზაბილოს სიზმრად ეხილა
ანგელოზი და ურჩია მორჩილს წმინდა ადგილნი მიმოეხილა
ყოველ მორწმუნეს ოცნებად დააქვს ნახოს ის სადაც ქრისტე ეწამა
ჯვარი, ბეთლემი, წმინდა მდინარე, აღდგომის კართან შედგეს ერთ წამა
ზაბილო მოვლო წმინდა ადგილნი, ლოცვას იტყოდა, პირჯვარს იწერდა
მლოცველთა მრევლი პატივსა სცემდა, შორი-შორს სდევდა, კრძალვითა მზერდა
სწვდა პატრიარქის სმენას ამბავი, მღვდელი აწვია, თან მოიწვია
და როცა შეხვდნენ იცვნეს ერთ-ურთი, თქვენს ვინ რა სწვნია, მის ბედს რა ჰქვია
როცა ზაბილო წმინდა გიორგის თაყვანს სცემდა და ლოცვას უთვლიდა
გმირს და წამებულს ზეცით აღვლენილს, მლოცველი ჰყავდა ყოველი მხრიდან.
ხოლო როდესაც დაუწყეს დევნა, ზაბილომ რომი იპოვა ფარად
პატრიარქმა კი თვის დასთან ერთად ქრისტეს ადგილნი მოსალოცავად
ახლა როდესაც ჰპოვეს ერთ-ურთი, პატრიარქმა ცნა ფრანჯთა ამბავი
ძმად შეიფიცნენ, თქვეს მეგობრობა, ერთად შესწირეს უფალს საკლავი.
მაშინ სოსანა, და პატრიარქის, ზაბილოს გულის გახდა მპყრობელი
ხელი ხელს მისცეს, გული იჯერეს და გაიხსენეს ქვეყანა ძველი
კაპადოკიამ დაღლილი შვილნი, ტკბილად მიიღო და დააპურა
გავიდა ხანი ეყოლათ ქალი, ნინომ ოჯახი აახმაურა.
მე ვიზრდებოდი იქვე სოფელში, მახსოვს მეზობლის მწარე და ტკბილი
ერთად ვმწუხემსავდით, ერთად ვცეკვავდით და გვქონდა სუფრა ერთად გაშლილი
და ალბათ სულ სხვა გველოდა ბედი, მაგრამ განგებამ დაგვრია ხელი
მეც მივატოვე მშობლების კერა, დავდივარ ქვეყნად, ღვთის მოსვლას ველი.
ყველა დაიწყო როცა ზაბილომ იგრძნო ახალი რამ მოწოდება
იერუსალიმს მიმართა კვალად უდაბნოს იწყო ღვთისმსახურება
სოსანამ იხმო დავრდომილები, იმათ კურნავდა, იმათ უვლიდა
შვილი კი სარა ბეთლემელს მისცეს, ნინოს ის ზრდიდა და ასწავლიდა
თოთხმეტი წლისა იქ მოინათლა, იქვე თავს იდგა ღვთისმსახურება
იქვე შეიცნო კაცთა ბუნება, მიხვდა ღვთის მალით მასში რა ხდება.
ღვთისმეტყველება, შელოცვა, შეთქმა და მერე ხიბლი ხელით კურნების
თუ არ ხარ უფლის ხელდადებული მშობლიდან შვილის არ გადაედების
ნინომ ისწავლა ყოველი საქმე და მერე ღვთის წინ ეს ფიცი დადო

ჭეშმარიტება ეთესა ქვეყნად, კაცთა მოეხსნა ფიქრების ჯადო.
მერე ერთხანად სიონში იყო. იქ აღავლენდა ღვთისმშობლის ლოცვას
უკანა ვსდევდი, მის ბედზე ზრუნვა არც მე მაძლევდა წუთიერ მოცლას.
როდესაც დათქვეს დიდი მსვლელობა ყველა წარმართთა მოსაქცევლად
აღჭურვილები ჯვრითა და სიტყვით ქრისტეს შეგირდნი გავიდნენ ველად
მაშინ გადაწყდა ქართთა მოქცევა ღვთისმშობლის მადლით, ლოცვით
და მალით.
ამ დიდი მიზნის მიღწევის ნებას ნინო ითხოვდა რიდით და კრძალვით
ზოგმა საეჭვოდ იღო ეს სიტყვა, პატარა გოგო, სუსტი არსება
ოვსთა და პართთა შორის ქვეყანას ვერც კი მიაღწევს გზა დაევსება.
ღვთისმშობლის სულმა უბრძანა ნინოს, ,,ჩემ წილხვედრ ტომებს დედად ექეცი
შენთან ვარ, შენი თანაზიარი, სად გაგიჭირდეს თაყვანი მეცი
ფაზისთან ჯვარი გავთალე შენთვის, ამ ჯვარს მიიღებს ვაზის ქვეყანა
ვიდოდე დღისით, ვიდოდე ღამით შენ გიფარავდეს ბაღი და ყანა".
და პატრიარქმა დისწული ლოცა, კოცნა და ასე ეაჯა ბოლოს
,,მიზანს მიაღწევ, ღვთის საქმეს იზავ, ემსახურები ჩვენს დიდ სამშობლოს".
და მაშინ იყო გაიანესთან ორ წელს შეეყოვნდა ის ეფესოში
ლოცვა ასწავლა, ღმერთს აზიარა, თვითონ წარუძღვა უცხო საწმეოში
უკვე გითხარით რიფსიმე წმინდა და გაიანე როგორ აწამეს
ღვთისმშობლის მალამ იფარა ნინო, გამოატარა იმ ტანჯვის ღამეს.
მეორე ზაფხულს ფარავნის ტბასთან ორი დღე იყო მწყემსთა სტუმარი
დათოვლილ მთების ალყაში ის ტბა ნიშანი იყო რამ უჩუმარი.
ტბის ნაპირს თევზი ეხეთქებოდა, მწყემსებმა ხელით იპურეს და უმღვნეს
თბილად ჩააცვეს, ტკბილად აპურეს, გული გაუთბეს, გზა უთხრეს, უმმეს
მგზავრები ნახეს, თან გაატანეს, გადაიარეს ბილიკნი მწარე
მტკვარს ჩამოუყვნენ, ვაკეს გავიდნენ, ნინომ იხილა სამოთხის მხარე
მერე ერთხანად ურბნისში დაჰყო, ბევრი იტირა, ბევრი ილოცა
მელის თაყვანი, ქვების თაყვანი, ცეცხლის თაყვანი იხილა როცა.
დრო რამ გავიდა და ურბნისელებს არმაზს წამოჰყვა სალოცავადა
იმ გზებს სწავლობდა, იმ ერს სწავლობდა, ვის მოსაქცევად სულ იყო მზადა.
მცხეთამ იხილა დიდი დღეობა, ერი ურიცხვი, და დედოფალი
მეფე იქ იყო, მონა სპა იყო, და მასხარებმა წარსტაცეს თვალი.
შემდეგ გაიგო ცეკვა და ლხინი იყო მზადება კერპთა თაყვანის
არმაზის ფეხქვეშ ცვიოდა ყველა, ვინც არ იცოდა ღირსება ხანის
მარჯვნიდან ედგა კერპი გაჟმის, ხოლო მარცხნიდან ოქროს გაცისა

ნინომ ილოცა, იყო მონატრე ყველა ცრუღმერთის ქვეყნად მარცხისა
და არც ეგონა თუ ქართთა მოდგმას ოქრო–სპილენძის ჰყავდა ღმერთები
ვინაც არ იცის ფასი სიმართლის, იმას მეგზურად ნუ დაერთვები.
ევედრა უფალს. ღმერთო მაღალო, მამავ ძლიერო და წინამძღოლო
უჩვენე ძალა ამ ურწმუნო სიერცეს, კერპთ ბატონობას მოუღე ბოლო
და მაშინ იყო მოსკდა ღრუბელი, იყო ქუხილი, სეტყვა და თქეში
გაცრი წაიქცა, თვითონ არმაზი არ ჩავარდნილა უკეთეს დღეში.
ნინო უმზერდა ჭეშმარიტ ძალას, ჯვარს იწერდა, ლოცვას იტყოდა
რაც მოხდებოდა შემდგომ სოფელში გითხარით უკვე, რომ ნინო გრძნობდა.
დღეს ჩვენ ძლიერნი ვართ ჩვენი რწმენით, ნინო წინ გვიძღვის იმედის ფარად
ვილოცოთ ერთად, ვილოცოთ გზნებით, ღმერთი მაღალი გვიცავდეს მარად.

*/მორწმუნენი ჯვარს იწერენ და გალობენ:*
*უფალო შეგვიწყალე, უფალო დაგვიფარე,*
*უფალო დაგვპატრე, გვარიდე დღენი მწარე.*
*კალთა გადაგვაფარე, დაიცავი ეს მხარე*
*უფალო შეგვიწყალე, უფალო დაგვიფარე.*
*შემოდიან მეფე მირიანი, დედოფალი ნანა, ავათი, აბიათარი, თანმხლები პირნი.*
*დამხდურნი მეფეს პატივს მიაგებენ/.*

**მირიანი –**

შორით ვისმენდი, როცა იმღერდით და მოწყალებას შესთხოვდით ღმერთებს
ღმერთთა თაყვანი, მეფის პატივი სეფეს თუ მონას ერად აერთებს
კვლავაც გვჭირდება ჩვენ შეჭირვება, ვბრძანებ რომ იცნან პატიახშებმა
ერად მაშინ ვართ დასაფასები თუ შეგვაერთა სავალმა გზებმა
მძიმე დღე იყო, ერთხანად დაცხა, მეც დავიღალე შრომით და ჯაფით
ჩამოვისვენოთ. კარის გამრიგემ წყურვილსაკლავად მომართვას ხაფით.
მიბრძანებია. რიტორიკობა განაგრძეთ როგორ უბნობდით ახლა
ჟამთა მროველიოაღნუსხე ყველა, ჟამმა არ იცის ამ გარჯით დაღლა

**ეზოს მოძღვარი –**

უფალო მეფევ, ვკადნიერდები და როგორც ამბავს სასწრაფოდ საცნობს
გეტყვი მოსულა რომით დესპანი, გელის, წუხდება, დარდით დღეს ადნობს

**მირიანი –**

დესპანი ვისი წარმოგზავნილი?

**ეზოს მოძღვარი –**

ახალ რომიდან მოაქვს გრაგნილი
თან სიტყვიერად დანაბარები, რომელთა გამო დაფარა გზები
შენ თუ ინებებ ახლავე მოგგვრი, მარტოა არ ჰყავს მგზავრი თანმხლები.

**მირიანი –**

მიბრძანებია...

**ეზოს მოძღვარი –**

ჩვენს უფალ მეფეს უბრძანებია, ახალ რომიდან მოსულ სტუმარი
წარმოსდგებოდეს ფეხთა წინაშე, ამბავი გვითხრას თუნდ იყოს მწარი
მოკლედ გადმოსცეს მოსულა რისთვის და ან რომელი დალახა გზები
ეტრატს მივიღებთ, სიტყვიერად თქვას იმპერატორის დანაბარები

**/პატრიარქი ევსტათი თაყვანს სცემს მეფეს და მოახსენებს/**

**პატრიარქი ევსტათი–**

დღეგრძელი იყო დიადი მეფე და მასთან ერთად სახლობა მისი
დედოფალ ნანას ვლოცავ ვით წმინდანს სიტყვა ვერ ვნახე სხვა შესატყვისი.
თუმც ჭაბუკია ტახტის მემკვიდრე, ჩვენშიც იციან რევი მართალი
ვლოცავ ვინც მისმენს, ვინც ვერა მხედავს, ვისიც მიყურებს სიკეთის თვალი.
გრაგნილს, რომელიც გიჭირავს მეფევ, მე დავუმატებ სიტყვებით ამას
ქრისტიანობა რომის მხარეში, უკვე მიითვლის წელიწადს სამასს
სულ დასაწყისში სდევნიდნენ, სწვავდნენ, მტრობდა მრავალი იმპერატორი
პეტრე მოციქულს წამება წილხვდა, ყველას ვერ იტევს ცოდვის სასწორი
მე კონსტანტინეს ლოცვასაც ვიტყვი იმპერატორში ღრმადაა რწმენა
სამას ათ წელში ნათლობა იღო, მას შემდეგ მოსდევს სიკეთის ცვენა.
შენს ქვეყანაში სხვაგვარად იტყვით, რომში სხვა არის თვეთა სახელი
დღეს ოცდაშვიდი ივლისი არის სამასოცი და ჩვიდმეტი წელი
იმიტომ ვამბობ კარგად გაიგონ სამას თორმეტ წელს იმპერატორმა
ქრისტიანობას მისცა უფლება სხვას სიტყვა უთხრას ვითარცა სწორმა
წარმართებს ვეტყვით, მას შემდეგ ერთად მზეს შევხარით და მთვარეს ვადიდებთ
მილანის ედიქტს კონსტანტინესი, როგორც უფალის ბრძანებას ვიღებთ.
თორმეტი წლის წინ მან მოიწვია საეკლესიო მსოფლიო კრება

ყველა ხიფათი იმპერიისა, თქვა, რაც ყოფილა ან გვემუქრება
არის მიზეზი მცდარად გაგების, ღმერთთა დაყოფა, ხატების მტრობა.
ღმერთი ერთია, მას ვცეთ თაყვანი და მიიღწევა კაცთ მეგობრობა.
თუ გსურთ ქვეყანა არ დანაწილდეს, იყოს ერთობა და მთლიანობა
ერთ ღმერთს მივენდოთ, ჭეშმარიტს, მაღალს და გაიმარჯვებს ერთო-
ბის გრძნობა.
ახლა ვაცხადებ, ეს ღვთის ნებაა და კონსტანტინეს დანაბარები:
მირიან მეფე თუ იცნობს ქრისტეს სპარსთან ჭიდილში დავეხმარებით.
შენაც უყურებ ქვეყნის დესპანად მღვდელი მაწვია არა მხედარი
თუ ხო იქნება რაც ვიცი გეტყვი, ერთად დავრეკოთ ჩვენ რწმენის ზარი.

**მირიანი –**
შენ კარგად ამბობს მას, რასაც ამბობ, მაგრამ სათქმელი უფრო ბევრია
მიმოიხედე ქართი, ხაზარი, სომეხ, ჰურია ჭრელი ერია
ყველას თავისი ჰყავს ღმერთი, ხატი, თავისი აზრი, ფიქრი და სიტყვა
იმპერატორის ვნახავ მე ეტრატს და დავუამტებ იმას რაც ითქვა
პასუხს მიიღებ დარბაზობისას, მანამდე კი მსურს ვისმინო ერის
ვის რა აწუხებს, ან რა აზრი აქვს, ვინ რაზე ტირის ან რაზე მღერის
აქ ჩემს მოსვლამდე დავა რამ იყო, მსურს მოვისმინო მიზეზი მისი
მერე გიბრძანებთ როგორ სჯობია, რომ გარჯა იყოს აზრის სატყვისი.

**ქამთა მროველი –**
დიდო მეფეო, შენი იმედი ნურც მოეშალოს დიდს და პატარას
აქ ჩვენი დავა ბევრსა ნიშნავდა და არ ნიშნავდა თითქმის არც არას
შენ კარგად იცი, კარზეც გაწვიე სტუმარი კაცი სასომხეთიდან
თუმც ცნობილია ქამთ აღმწერელი, მაინც ვერ უხვევს ტკეპნილი გზიდან
აქ ამტკიცებდა სომეხი ერი ჩვენზე უხნესი რომ არის ქამით
ქრისტიანობაც  მეფე თრდატისგან ერს მოსდებია როგორც ლერწამი
და ჩვენი დავაც, თუ დავა ჰქვია, არის დანახვა სინამდვილისა
აგაფანგელის ჯიუტი აზრი, არის წინხტომა ურჩი შვილისა
ის ჭეშმარიტი რაც აქ მან გვითხრა ქრისტიანობის არის მიღება
მცირე ხანია რაც მათ გაიგეს ლოცვა, პირჯვარი და ნათლისღება.
ეს სასახლეში უცვნიათ ქრისტე, მაგრამ ერი ხომ ჯერაც ბნელია
ხიდი გზამოკლე ერთის გულამდე, ბევრ გულებამდე ბევრად გრძელია.
მაგრამ მთავარი მაინც ისაა, თითქმის უარყვეს ძველი კერპები

იესო იცნეს, რომ მოიმხრეს და მათი ძალით აოტეს მტრები.

**აგაფანგელი –**

ბრძენი მეფეა მირიან დიდი, თვით სასომხეთშიც აქვთ მისი რიდი
ბრძოლაში სწრაფი, დაუნდობელი, სიტყვის მომთმენი, განსჯისას მშვიდი
ამიტომ მინდა მეც მოვისმინო, ვიტყვი რაც მამით გადმოგვეცემა
ხომ იყო წარღვნა ამ ქვეყანაზე, როცა კაცთ მოდგმას დასჭირდა გვემა
ნოე გადარჩა მაშინ ღვთის ძალით, არარატს მისდგა ზღვის კიდობანი
არარატი კი სომხეთის არის, არც დაუგდიათ არასდროს განი
არარატის მთას ნოე სახლობა, თავს აფარებდა, გარს ევლებოდა
ხიფათი იყო თუ სიხარული, მთის თანადგომას მუდამ ხვდებოდა
აქ დაიზარდნენ ნოეს ვაჟები და იაფეთი მათ შორის გმირი
იაფეთის ძე იყო თარშირი და ცვენა იყო შვილების ხშირი
თარშისის შვილთა შორის თარგამოს იყო ამ ქვეყნად გამორჩეული
გმირებში გმირი, კეთილად ზრდილი, ბედით ღვთის დარი, ქცევით ეული
მან მიატოვა მშობლების კერა და დაემკვიდრა დიდ მთათა შორის
რვა ვაჟი ჰყავდა, რვავე დევგმირი, მაგრამ იმედი სულ ჰქონდა ორის
ერთი უფროსი იყო ჰაოსი, ქართოსი ერქვა იმის მომდევნოს
მომძე ერები ამრავლეს ორთავ დე იმათ მოდგმას არარა ევნოს
ჰაოსის მენი ჩვენ ვართ სომხები, არარატს ვიცავთ, იქავე ვსახლობთ
ქართოსის მენი თქვენ ხართ ქართები მიტომ ქოხი გაქვთ მაღალ მთის ახლო.
ახლა განსაჯე თუ კაცთა მამა ნოე არარატს სადმე სახლობდა
იმისი შვილი და შვილთა შვილი თავის სამკვიდროდ სხვას არას სცნობდა.
თუ ამ მოდგომაში ჰაოსი არის უფროსი ყველა დანარჩენთ შორის
გამოიცანი ჟამით პირველი, ძმა ძმათა შუა, სწორებში–სწორი

**აგათი –**

მე გული მიგრძნობს დიდო მეფეო, თვალთმაქცობაა ეს ყველაფერი.
ჟამთ აღმწერელი სანამ რას იტყვის, მე მათქმევინე ფიქრით ნაწერი
აგაფანგელი იმგვარად უბნობს, სომეხი იყო ნოე თავიდან,
სომეხი შვა და ქვეყნად ამრავლა და შორს გაუშვა მერე საზღვრიდან
მაშინ გამოდის სომხები იყვნენ ინდოელები, ეგვიპტელები
სომხებით იყვნენ ყოველი კუთხით სადაც კი კაცთა დაფლულა ძვლები
მე გამიგია რაც მოისმინე ქრისტიანების მონაჩმახია
ვის ჭკუა უჭრის მიხვდება თავად, ვისაც არა და მასზე ახია

**აბიათარი –**

ვეთაყვანები მეფევ შენს სიბრძნეს და კვერს დამიკრავს მთელი ზანავი
დღეს შაბათია და სეფერთორას ვკითხულობთ, რათა ზმანება ავი
თავს რომ დაგესხა, თვალთ დაგიბინდა, მოგვტაცა შენი მზერის სიამე
გადაგეფეროს და ამის შემდეგ ხედვით გატეხო უკუნი ღამე.
ჰურიათ მოდგმა გლოცავს მეფეო და აგაფანგელს მიუგებს ასე
იცოდე მუდამ სტუმრის ადგილი. თუ მასპინძელი ვერ დააფასე
დაგეკარგება პატივმიგება, სულს გაიტანჯავ, შეგხვდება გვემა
შენ თუ ხარ მოდგმა აბრაამისა, მაშინ ჰურიათ რა დაერქმევა?

**აგაფანგელი –**

მეფევ მისმინე რომ ავიცილო ტყუილის მთქმელის სახელი ავი
ვიტყვი, მოვრჩები, ჩხუბი რად მინდა, სულიერ ძმებთან გულით მსურს ზავი
აბრაამს იტყვის აბიათარი ჰურიათ მოდგ იმს არის მოთავე
ახლა მე ვეტყვი, სოფელი მისმენს, ტყუილ–მართალი შენ გააზავე
ჰურიათ ნაწერს რაც კი არსებობს, ბიბლიას ეუტვის მცოდნე ბერძენი
პატრიარქ ევსტათს აქ დავიმოწმებ თან მცოდნეა და თან კაცი ბრძენი.
ბიბლია ამბობს რომ წარღვნის შემდეგ ნოეს სახლობა გადარჩა მხოლოდ
არ ყოფილიყო ასე, კაცთათვის ხომ იქნებოდა ცხოვრების ბოლო.
ნოე სახლობდა არარატს ახლოს, ასირიელი ეტყვის ურარტუს
ნოე სახლობდა ვაჟებთან ერთად, ქალებიც ჰყავდათ, არ იყო მარტო
იაფეთიდან მოვდივართ ყველა ბაბილონს ზემოთ ვინაც ვართ ერი
სემის შვილები ქანაანს სახლობს, მათგან მრავლდება მღვდელი და ბერი
ქამის შვილები აფრიკას მოხვდნენ და ინდოეთსაც უწვდინეს ხელი
რაც ეს დაიწყო, ქრისტეს შობამდე ოთხი ათასი გავიდა წელი.
თუ ნოეს ჰყავდა სამი ვაჟკაცი და აბრაამი მოდის სემიდან
ჩვენ იაფეთის შთამომავალნი მათი ძმები ვართ პაპების მხრიდან.
თუ აბრაამი ურ–ში ცხოვრობდა, ეს ქალდაველთა იყო ქვეყანა,
შემდეგ დასტოვა, აქეთ ვიდოდა, გადმოიარა მთები და ყანა.
მერე ერთხანად ხარანში იყო, აქვე აღმართა მამის საფლავი
ხარანი სომეხთ წინაპრებს ჰქონდათ, აქვე ამრავლეს მათ სათვალავი
თუ აბრაამი ცხოვრობდა ჩვენში, აქედან დასძრა ჰურიტთა ძირი
ვისი ვინ არის მხარის მიმცემი, აი ამბავი ჩემთვის საკვირი.

**პატრიარქი ევსტათი –**

ერთი შეხედვით სხვათა დავაში არ ერეოდეს უნდა დესპანი

მაგრამ რადგანაც მომიხმეს მოწმედ და თან ხელს მიწყობს ცოდნა და ხანი
ასე ვიტყოდი, ბიბლიის შიგნით, არ ჩაწერილა ყოველი ჟამი.
აქ არ ითქმება ყველაზე ყველა, ტყუილ-მართალი, ამოსაბამი,
ბიბლია ამბობს ჭეშმარიტ ღმერთზე, ვინ როგორ იყო მისი გამგები
ზოგი ზღვის ძირში ეძებდა მის სახლს, ზოგმა დალახა მაღალი მთები.
თვითონ ბერძნებსაც პელაზგებისგან გაგონილი აქვთ ღმერთთა ამბავი
ოლიმპოს მთაზე ცხოვრობდნენ ძველნი სანამ ახლებმა აგემეს ავი.
ძველმა ბერძნებმა ასე იცოდნენ, ოლიმპოს სახლობს ზევსი და ჰერა
ათინას იქვე აქვს საკუჭნაო, და აპოლონის ისმის სიმღერა
აფროდიტე სჭრის სიტურფის საკითხს, ჰეფესტი სჭედავს მჭედელის ამბავს
და თუ პრომეთე აუშვებს ჯაჭვებს, მიდის და ორმაგ სიმაგრით აბავს.
მაგრამ ღმერთები ძველი ბერძნების, იყვნენ მემკვიდრე უფრო ძველისა.
ახალ ღმერთებმა დალახეს ძველნი, სათავე ახლის შემოქმედისა
ჩვენ ბევრი ვიცით მათზე ნათქვამი, სხვასაც მრავალი გაეგონება,
ღმერთთა სიმრავლე, ტომთა სიმრავლე, ნიშნავს გაიყოს აზრი და ნება
ბერძენთ ბევრი რამ შევქმენით ქვეყნად, და უფრო მეტი აზრი დავსახეთ
ოლიმპოს აველთ ვერ ვლანდეთ ზევსი, პოსეიდონი ზღვაში ვერ ვნახეთ
და მაშინ იყო ერის გენიამ უკუ მიაგდო ღმერთები ძველი
თალეს მილეთელს მიუგდო ყური, ოლიმპთათელზე აიღო ხელი.
ჩვენ მიწა ვცანით ღმერთად ამ ქვეყნად, წყალი ვირწმუნეთ და ცეცხლი ძალად
ბევრი ვიდავეთ, ბევრი დავლახეთ, ჩვენ რა გავიგეთ-გაიგეთ თავად
მერე მენონმა გვითხრა სიმართლე, დემოკრიტემ სთქვა და სხვა ათასმა
ახლა ჩვენ ვიცით ცდებოდა ყველა, მაშინ უნდოდათ მელებზე გასმა
ბერძენმა ერმა იარა ტანჯვით, წამებით განვლო ქრისტეს ცნებამდე
მე მეცინება ამათ დავაზე და გსურთ გაგრძელდეს კიდევ სადამდე?
რაც შეეხება აბრამის მოდგმას, ეს ჰურიათა იყო სათავე
ბევრს გაიგონებ ბიბლიის კვალად, გარეთ დარჩება ბევრი რამ მწვავე
რაა მთავარი რასაც ჩვენ ვიგებთ, და ბიბლიაში გვეტყვის ჰურია
არ ქუცმაცდება ჭეშმარიტება ერთ ნაბდით ყველა დამიხურია
მიწა ერთია ჩემიც და შენიც, ერთია წყალი, მზის კარი, მთვარე.
უფალმა მოგცა კავკასიონი, სხვას არარატი, და მე სხვა მხარე
დღეს დაყოფილი არის სოფელი შენ შენი მთები, მე ჩემი ზღვები
ყველას თავისი აქვს სალოცავი, და მეც ძველით ვერ მოვისაზღვრები.
ახლა ვკითხულობ მიწა მიწაა, ზღვებსაც მიერთვის ბევრი მდინარე
თან იმდენია ღმერთი და ხატი, რამდენიც არის პატარა მხარე.

როგორ, ღმერთები შეთანხმდნენ ერთად, თუ ყველას ჰყავდა ბატონი ერთი?
ყველა დაობდა, ბიბლია ამბობს შემოქმედია იესო ღმერთი.
დღეს ჩვენ ვიწამეთ ღმერთი ერთია, თუმცა ვუყურებთ სხვადასხვა თვალით
მისი მადლია ჩვენში ჩამჯდარი, ცოდვილიანი დავდივართ ვალით.
რაც შეეხება უმიზნო დავას, ქვეყნად რომელი იყო პირველი
ადამ და ევა იცოდეს ყველამ, ჟამიც გავიდა მას შემდეგ გრძელი.

**აზიათარი –**

მე მოთმინებით ვისმინე ყველა, მაგრამ თმენასაც ხომა აქვს ბოლო
როცა ჰკილავენ წინაპართა კვალს გული ვერ ითმენს, უფრორე ხოლო,
თუ კილვა მოდის შვილიდან ზევით, გაორმაგდება სიფიცხის კალო
და უფალს შევთხოვ, რომ მოთმინების ფიალა შევძლო და არ დავცალო
აგაფანგელი ამბობს რომ სომხებს ჰურიებთან ჰყავთ ერთი მშობელი
ბიბლიას იხმობს, ზოგ რამეს იცნობს, ახლებური აქვს სიმღერა ძველი
ბიბლია ამბობს ჰურიტთა მოდგმას სად რა უნახავს, რა გზით უვლია
ეგვიპტეს იყო, ბაბილონს იყო, უდაბნოც ბევრი შემოუვლია
იქ უომია, აქ უშრომია და ქანაანში მოსულა გვიან
ის რაც იესო ნავინმა შექმნა, ფილისტიმელთა დაპყრობა ჰქვიან.
დიახ, ჰურტთა აღქმის ქვეყანა ომით წაართვეს ფილისტიმელთა
რაც ახლა გითხართ მოკლე თქმა არის ჩემი მშობლების ამბავთა გრძელთა.

**აგათი –**

ფილისტომელნი რაღა ერია?

**ჟამთა მროველი –**

მე ვიტყვი მხოლოდ რაც ვიცი იმას და რაც სხვისაგან გამიგონია
ბერძენთ მიწაზე, ბერძნებზე ადრე სხვები ცხოვრობდნენ ასე მგონია
ყველა კუნძული იმათი იყო კრეტა, ევბეა, ხიოს, ლესბოსი
მიწასა ფლობდნენ, ზღვას ბატონობდნენ, შიში არ ჰქონდათ უცხო საწ-
ყმოსი
ორი ათას და ხუთასი წლის წინ მათ თავს დაესხნენ აქაველები
ბარბაროსებმა იგრძნეს ნადავლი, ფარეხში მოხვდნენ მშიერი მგლები
და მოხდა ისე, რომ გარეულმა, შინაურს შინით აუკრა ფეხი
იმძლავრა ტალღამ გამოქცეულთა, უწია წარღვნამ, დაეცათ მეხი
ეს მაშინ იყო, როცა ხალიბთა ჰალისთან ნახეს ახალი ბინა

თაბალ, მეშეხნი ფრიგიას მოხვდნენ ტალღამ ეგვიპტეს ხმა მიაწვდინა
ქანაანს ქმნიან დანაელები და ზაქარები გვერდით სახლობენ
ფინიკიელთა ძმები და დები, ხეთურს როგორაც მშობლიურს ფლობენ
მათგან ისწავლეს ბერძნებმა ასო, ეტრატის წერა, ხმამაღლა მღერა
გემის აგება, ბედის გაგება, რკინის დაფერვა, ამაყი მზერა.
ეგვიპტელები რქმევენ დანუნებს, ბიბლია იტყვის ფილისტიმნელი
პურიტთა მოდგმამ, სანამ გაწყვეტდა მათთან იბრძოლა ორასი წელი.
ფილისტიმნელი რკინას ჭედავდა, ეს არ იცოდა ჰურიამ მაშინ
და იფარავდა ამ საიდუმლოს, როგორაც თევზი იმალვის ზღვაში.
დღეს ფილისტიმნელს იგივ დანუნებს, სად ნახავ დარჩა მხოლოდ სახელი
ეს სამწუხარო და სავალალო მე მოკლედ მოვჭერ ამბავი გრელი.
ერთს კიდევ ვიტყვი, ქართების პაპა, იბერთა მამა თუა ხალიბი
დანუნებია თუ ზაქარები ერთი წინაპრის არის ყალიბი.
ცოტაღა დარჩით იმათ მოდგმიდან ქართნი, სანიგნი, კოლხნი, ზანები
იბერიელნი დასალიერში, დროა დავრეკოთ გლოვის ზარები
დღეს ქრისტეს ლოცავს ბევრი მათგანი, ქრისტეს აჩრდილი ჩვენს შორის დგება.
ჩამოვშორდეთ თუ კვალში მივდიოთ, რომელი, როგორ გამოგვადგება?

**ადმეტე –**

ვკადნიერდები მეფევ უფალო, მე უნდა ვლოცო ჟამთა მროველი
ეს კი მენიშნა, წარსულს და აწმყოს სიმუხთლე მოსდევს ერთი რამ ძველი
გამიგონია ერთ დროს ჩვენ მოდგმას ღმერთებად ჰყავდათ მძლავრი დევები
ბერძენი ციკლოპს ეტყვის სახელად, ადრე დაერქვათ მათ ტიტანები.
დევები შემდეგ ჰკლა ამირანმა, გვერდით ეყენა ერთგულად ძმები
ბერძენი იტყვის ზევსი ყოფილა, მან ტიტანების შეჰკონა ძნები.
ქართთა წინაპართ, ხათებს ვეუბნით, კატტები ერქვათ ბერძენთა ენით
უმაღლეს ღმერთად ჰყავდათ კუპალა, მას ლოცულობდნენ ურყევი რწმენით
დღესაც სანიგნი თაყვანსა სცემენ ჰქვია მელია თუ ტელეპია
ვერძის ტყავი აქვთ კოლხებს საფიცრად, ტყავზე ნახატსაც წმინდა რამ ჰქვია
ქართოსმა სცადა ძველთა დალაშქვრა, გამოაბრწყინა კერპი არალე
შემდეგ მოვიდა გაცი და გაემ, იმდენი ბევრი ველარ დავთვალე.
შემდეგ ზადენი და აინანა, არმაზი გახდა ბოლოს მთავარი
ერი დაიბნა ღმერთთა სიმრავლით, ვისი რომელი გახდეს მდევარი?
ჟამთა მროველი ამბობდა მართალს ქრისტეს ლოცულობს იმათგან ბევრი

კაპადოკია და იბერია, ლაზებ-კოლხები, ტრიალებს კევრი.
ერთია ღმერთი, ერთია ლოცვა კაპადოკიდან ნიკოფსიამდე
რწმენის ერთობა, ერთობას ბადებს ზღვიდან ზღვებამდე მთიდან მთებამდე.

**აგათი –**

დიდი ხანია შენს საბრძანებელს ჭიასავით ღრღნის რამ სატკივარი
დღისით და ღამით, არ წყდება წამით, მათი ფუთფუთი გულის მზარავი
როდემდე სთმენდე, წინ გზას არ წმენდდე, რამდენი მეფევ ვითმინოთ უნდა.
რიტორიკობა მოენეს შვენის, ცუდად მიმდობი ცუდდება მუდამ.
რათა ხანია ქრისტეს მიენდენ, დააქვთ ენები ამო ლექსილი
არცა უწყიან რას ქირქილებენ, გადაგირიეს ცოლი და შვილი.
მეფევ არმაზის რისხვას გაფიცებ, შენ შემოგყურებს იბერი ყველა
იქით სპარსელი, აქეთ ბერძენი ხორცი წაიღეს, სულს უნდა შველა
ერთი მოითხოვს ცეცხლს ვცეთ თაყვანი, მეორეს ქრისტეს უჭირავს ჯვარი
ერთს მიუდგები, მეორე ფიცხობს, უარს მოჰყვება ურიცხვი ჯარი.
ჯარის გამართვა შენი ხვედრია, მე სულზე ვდარდობ, მამათა რწმენა
თუ შვილს ზვარაკად გადაეცემა, თუ არ მონუსხა იმათი სმენა.
მაშინ ღმერთები მამა-პაპათა, ხომ აღსდგებიან რისხვით და ზარით
მაშინ რად გვინდა ვიცოდეთ ჩვენი, ოვსების კარი რისთვის შეჰკარი?
მომმე ალბანელთ მიეცი მხარი, შემოიმტკიცე სანიგ-ჯიქეთი
სომხებს აუწყე წყრომა ფრიადი, ქართი ალალე აქეთ-იქეთი
რისთვის ვილოცე არმაზის ფეხთით, გაეძს შევუთხვ შენ ბედად ხარი
დღეს ვინ გიფონა მუხრანის ველზე, როცა შეგემთხვა რამ საწუხარი?
მეფევ ერს ღმერთი უნდა თავისი, როგორიც ენა, ისეთი რწმენა
იტყოდე ჩვენდა საბრძანებელად მტრის და მოყვარის დე იყოს სმენა.

**დედოფალი ნანა –**

მე არ ვერევი კაცთა დავაში, დიაცს არ შვენის თავის აღება
მაგრამ როდესაც ცრუობს აშკარად, სული მიშფოთავს და მედარდება.
როცა სწრაფმრბოლმა ამბავი მეფის მითხრა, ატირდა დიდი, პატარა
ასე მეგონა სიამის წუთი არ მექნებოდა აწი აღარა.
აგათი მაშინ ჩემთანვე იყო, მე იქ ვუბრძანე ლოცვად მზადება
ვაწვიე არმაზს, მივეც საკლავი, უნდა გაეგო შენ თავს რა ხდება
ჯერაც არ იყო ის ფეხგადადგმული, როცა დარბაზში გამოჩნდა ნინო
მითხრა ნუ დარდობ, მოველი რათა კეთილი საქმე შეგატყობინო

თქვა: შორით ვიგრძენ ხიფათი მეფის, ხმა შველის დედის და მაღლის ყეფის
ცხოველი ხესთან მეცნო წყალობა შენი, მეუფის, ერის და სეფის
მოველი რათა მოგწმინდო ცრემლი, განგაწყო ლოცვად, შეგმატო რწმენა
ქრისტემ ინება წყალობა დიდი, აუგს ნუ იტყვი, არ გმართებს წყენა.
აგათი ამ დროს დარბაზში იყო, ან რა ილოცა, ან ვის უშველა
ახლა რაც გითხრა ხარის შეთქმაზე განა გვიანი არ არის ყველა?
თუ ნინომ იგრძნო ხიფათი შენი, იქვე ილოცა, მოგგვარა შვება
აგათიმ რატომ ვერარა იგრძნო, თუ მოხდა მერე რა ეშველება?

**ზევახ ჰიტიახში –**

მე დავუმატებ უფალო მეფევ, რათა სიცხადე აზრებს შევმატო
კაცსა რა მალუმს, თუნდ იყოს გმირი, მტერთა რემასთან თუ დარჩა მარტო
დღეს ქართთა მოდგმა მარტო კაცს მოჰგავს, ყველას თავისი აქვს საწუხარი
შენც აღარ იცი, თუ მოსკდა მტერი, საიდან ვისგან მოგეცეს მხარი.
არშუშა თავის მამულში მძლავრობს, საურმაგს მტრების არ ახრჩობს ჯავრი,
ასფაგური კი თავადაც უწყი, შენ გიდარაჯებს როგორც კენტავრი.
ვაჩე ბაკურს მტრობს დიად ერისთავს, ხოლო სვე გრძელი ჩვენი მირდატი
ბერსავიას თვალს მოსტაცებს მაშინ, დასალოცია როდესაც ხატი.
აღარ ვაგრძელებ, თავადაც უწყი ვინ ვისი მოძმე ან არის მტერი
ვის დასჯა უნდა, ვის მოფერება, სად სატირალი და სად სამღერი
და თუ დაფანტულ ერს რამე შეკრავს, საფიქრალია რომელი ერთი
ყველა სატკივარს მოგვირჩენს ქრისტე, ჩვენ ჭეშმარიტი ვიწამოთ ღმერთი.

**აგათი –**

ჰიტიახშს ზევახს მამულის მტრობა არმაზის მალით გაუცუდდება
ტაროსი მოვა ჭექა-ქუხილით, მეხი დაეცის, წყევლა ახდება.

**ჰიტიახში ზევახი –**

მოძღვართ მოძღვარო შენსა მცდელობას როგორაც უბნობ ისე გაგიგებ
მე ქრისტეს ჯვარი ყოველგ ნით მიცავს, ნუ ფიქრობ ცუდად მახეს დამიგებ.

**თავ-ხევისბერი –**

მეც მათქმევინე მეფევ უფალო, ფიქრი რამ მწეწავს კიდე-უგანო
განა რა წახდა ღმერთების მხრიდან ახალს მივენდო ძველებს ვუგანო
მორიგე ღმერთის კალთას ვენაცვლე, კვირია დაჰყავს ამბის მთხრობელად

მინდვრის ჯვარს თვალი თუ სადმე ჰკიდა, ის დამებედის მთიელთ მშობლად.
ჩვენ ერთი გვინდა, ლომისის მადლმა ხევსურს, მოხევეს, გუდამაყრელებს
ბარი დაწუნარდეს სამზეოს ქვეშეთს, კაცი ჰბაძვიდეს მუდმივ ბარელებს.
მთამ ასე იცის, ადვილ არ იტყვის, არცა ბევრი აქვს რამე სათქმელი
ბარის ხმალი ვართ, ფარი და ჯაჭვი, მალამო, საცხი და საფანელი
სად ბარი მიდის, მთას რა ჯანი აქვს, მიჰყვება როგორც კვიცი დედასა
მაგრამ გვირჩევნის მამების ხატი, მუდმივ ახალის დაბადებასა
ბარი რას მძლავრობს, რად არ წუნარდება, თუ სურთ მთიელთა კვლავ ერთგულება
ბარს თუ აქვს თავის წესი–ადათი, მთასაც მიეცით მისი უფლება
გვეყოთ მიება ახალ ღმერთების, მიჰყევთ რაც მამა–პაპათ წესია
იმას იმკობდეს ქვეყნად ყოველი რაც მოუხნავს და რაც უთესია.

**ადმეტე –**

სულაც არ მინდა გული დაგწყვიტოთ, მაგრამ არა თქმაც მალზე მნელია
როცა არა გაქვს, როცა ბევრი გაქვს გულის საწყაო ცარიელია.
ჩვენ ღმერთები გვყავს უმეტეს ბევრზე მათი ჩამოთვლით მოიტეხ ენას
ზოგი ქვესკნელს ფლობს, ზღვას, მთას და მდელოს დაეჭიდება ზოგ–ზოგი ზენას.
მველ ქართებს, ხალდებს ასე ეტყოდნენ ჰყავდათ ურ–ბაუ, ჰაყვდათ ურ–ნინა
ტარო–ქუხილის ღმერთი დიადი, არალე ღმერთი და ტელეპინა
აზომ მოგვარა გაცი და გაემ, და ფარნავაზმა დასვა არმაზი
საურმაგ მისმა ვაჟმა დანანა იქვე აუგო დიდი დარბაზი
ანინა იყო მის გვერდით მეოფი და ფარნაოზმა დასვა ზადენი
მაჯლაჯუნები, ჭინკა–ქაჯები, კუდიანები გვყავდა რამდენი.
მაზდეანები ცეცხლს აღმერთებენ, მოგვებიც გვყავს და მათი მოგპეტი
მცხეთას უბანიც არის მოგვთაი, იმდენი ვინმე დაგეხსმის რუტი.
ყოველი მუხა და ზედ საწმისი სალოცავია და დასალოცი
მორიგე ღმერთი მთის მთავარია და მზე–ქალი ჰყავს მსახურად ოცი
კვირია მისი არის სწრაფმრბოლი და მინდვრის ჯვარი ხევსურებს აკრთობს
მზის წვერის ტურფა ანგელოზი კი გუდამაყრელთა ცივ გულებსართობს
პირიმზე ფუძის ანგელოზს ვეტყვით – ჩოხელთა არის დიდი ქალღმერთი
დედა ნანა თუ ღვთის შვილებს გვიზრდის ბატონები ჰყავს თან არაერთი.
მონადირეთა დიდი მფარველი, ნასროლ ისარის მლოცველი დალი
რამდენი კაცი თემთა მფარველი, და მოსავალის მომყვანი ქალი.

ყველას ჩამოთვლას ენა ვერ შეძლებს, ყველას დანახვას მორწმუნის თვალი.
აგერ არიან მოგვნი, მოძღვარნი თვალონ თუ რომელს ეყოფა ძალი
ასე დაყოფა თითქოს კარგია, თითო სახლობას ღმერთი ჰყავს ათი
და რომელს, როდის წირონ საკლავი, არის შეჯიბრი, ბრძოლა, კამათი.
ჩვენ გარშემოა ღმერთთა სხვაობა კაცნი ვართ მხოლოდ ერთნაირები
ერთი ენა გვაქვს, ერთი მამული, ერთ ღმერთს რატომ არ შევეწირებით?

**აგათი –**

ბიბლია უბნობს ქრისტე კაცია, განა არმაზიც არ არის კაცი?
თუ თხა ვიყიდე და თხა გავყიდე, ცხენი კი არა-მყოლია ვაცი.
არმაზი ვიცი ჩვენი ღმერთია ის უარვყო და მივიღო ვისი?
ჰურია ქართებს რითი სჯობია, რაა სხვაობა და შესატყვისი?

**ადმეტე –**

ბიბლია ამბობს

**აგათი –**

ბევრი ზღაპარი მაგ ბიბლიაში ჩადებულია
ბუდა რითა სჯობს ქრისტეს მითხარი, ისიც ღვთიური კაცის სულია

**ადმეტე –**

ბუდა არ ვიცი

**აგათი –**

ჰოდა ისწავლე ინდოეთს წახვალ გამოგადგება
სანამ იტყოდე ჩემი სჯობია, მიმოიხედე იქნებ რა ხდება.

**ქამთა მროველი –**

მოძღვართ-მოძღვარო სიტყვის მოგება, აზრების სიბრძნეს არ ნიშნავს თანა
მაღალ სიწმინდეს ნაზი არები – ბუდა, მეფის ძე სიდხ გაუტამა
კაცი იყო და ამაღლდა ჭკუით ის გააღმერთეს გონების გამო.
ამბობდა ასე: არის მიზეზი, მიზეზის განცდა, გზა განცდის ამო,
თავისუფლება ამ განცდებისგან, თავისუფლების მიღწევის გზები
ყოფა ტანჯვაა, არის წამება, სულის წრთობა და მისი მიჯნები-
ამ ქვეყნად ვინაც სხეულს გატანჯავს, იმ ქვეყნად სულით მოილხინება

ვინც სხეულს იტკბობს, სულს გაიმწარებს, როცა საწუთრო გამოიცვლება
სხვაობა არის. არმაზი ცოცხალს შიშის ზარს სცემს და უდედლებს ყოფას
ბუდა თუ ქრისტე ხორცს არ ერჩიან, სულს ფლობენ როცა გამოეყოფა
არმაზი ბრმანებს იცოცხლე ისე, როგორც მე მნებავს, ჩემი აზრია
ბუდა და ქრისტე გვეუბნებიან, ასეთ ყოფაში რა ეშხი ერია
იცხოვრე ისე რაც ჭკვამ გაგიჭრას, რისიც გაქვს ნება, გული, გონება
მხოლოდ იცოდე, რომ ხარ სტუმარი, წახვალ და ყველა აგეწონება.
სხვაობა ხედავ დიდი ყოფილა, არმაზი ამბობს იცხოვრე ასე
მეორე ამბობს შენი ნებაა, შენი ქცევები თვით შეაფასე.
მე თუ სტუმარი ვარ ამა ქვეყნის და სამუდამოდ მართმევენ ნებას
არ მიცხოვრია მაშინ ამ ქვეყნად, აყოლილი ვარ  სხვის სიტყვა–ვნებას.

**აგათი –**

მაშ ბუდა იგივ ქრისტე ყოფილა

**ადმეტე –**

ვინც მოისმინა გაიგო უმალ ქრისტე და ბუდა რით გაყოფილა
ბუდა კაცია გაღმერთებული, ჩვენშიც ჭკვით სავსე ღმერთივით ფასობს
მაგრამ რომელსაც არ ყოფნის გონი, ის გონიერად ჭკვიანს თამაშობს
ქრისტე ღმერთია, ღმერთის სახება, ღმერთი კაცშია გარდამოსული
კაცთა გამოცდა, ხორცის გამოწრთვნა, ჩვენთვის ნატანჯი უკვდავი სული.

**აგათი –**

არვის ეგონოს თუ არმაზს ვეუმი, მე არ ვიცოდე ბიბლიის გემო
ბევრი ამბავი სხვისი ხვედრია, ბიბლიას უნდა რომ დაიჩემოს.
იახვე ვიცით ჰურიათ ღმერთი, იახვე იგივ არს იეღოვა
ქრისტე მას ეტყვის მამაო ჩემო, შვილი ხომ თავის მამად ვერ მოვა
თქვენ კი ამტკიცებთ ღმერთი ერთია,  ამ ერთს სახელად იესო ჰქვია
იახვე იგივ იესო არის? სხვადასხვა არის? ვის რა მოჰქვია?

**პატრიარქი ევსტათი –**

მეც ჩავერევი ამათ დავაში, ვატყობ ხურდება სიტყვათ ისარი
რიყეზე კაცი ქვებს ვერ ხედავდეს, ამაზე ითქმის, სწორედ ის არი
ბიბლია ამბობს ღმერთმა ინება კაცში გადვიდა ცოდვილის სულად
ღმერთიც ღმერთია, სულიც ღმერთია, კაციც ღმერთია. იკითხავ სრულად?

მე გიპასუხებ თუ ღმერთი კაცში, გადვიდა როგორც წმინდანი სული
კაცი ხომ დარჩა ხორციელ არსად, არც უჭკუოა, არც თავგასული
ეს ხორცი ამბობს იმ სულზე მამა, რომლის ნაწილი დაიარება
სული უკვდავი დროებით სახლობს, ხორცი ეტანჯვის მალე მოკვდება.
სული რომ იყოს მოკვდავი სული, ან ხორცი იყოს ხორცი უკვდავი
მაშინ აგათიც კი მიხვდებოდა, არ ასტკიოდა განცდებით თავი.

**აგათი –**

ჩემი განცდების რა გეკითხება, შენ კი ყოფილხარ სოფისტიკოსი
მიდი გაიგე ხორცი და ხორცი, სული და სული უცხო საწმყოსი.
ამბობ, რომ სული არის უკვდავი, მაინც ვინაა კაცი თუ ქალი?
ერთია, ათი, ორი, თუ ხუთი, თან ერთი არის, თან სამი ცალი?

**პატრიარქი ევსტათი –**

სიტყვათ თამაში სწორედ ეს არის, ის რაც არ გინდა სიტყვით იცილებ
ისედაც იტყვი, ასედაც იტყვი, შენსავ ნათქვამზე ხითხით–იცინებ
გარკვევით ითქვა ღმერთი ერთია, ის ყველგან არის და ყველგან სახლობს
უმალ მიხვდები, შენშიდაც ნახავ თუ სულს გამოწრთვნი და მიხვალ ახლოს.
შენ ეს აზრი გაქვს ღმერთი კაცია, ერთად დასხდებით პურის საჭმელად
ერთად იმღერებთ, ერთად იომებთ და გუთნეულით იშრომებთ ველად.
ჩვენაც გვეგონა ღმერთი კაცია, ჩვენსავით უყვარს, დახტის და ანცობს
ქალს დაინახავს, თუ მოეწონა, მოიტაცებს და კაცურად კაცობს.
ბერძნებზე ადრე სხვებსაც ეგონათ ღმერთი კაცია ტახტზე მჯდომარი
ცოლიც გვერდით ყავს უცხოდ მორთული, რომ დაუმშვენოს მბრძანებელს მხარი.
ძველ ეგვიპტეში იყო ოსირის, მეუღლედ ჰყავდა ტურფა იზიდა
სფინქსი იცავდა ღმერთქალის სადგომს და მოთმინებით კართან იცდიდა.
ძველ ბაბილონში მრისხანე კაცი, ღმერთი ძლიერი, ჰყავდათ მარდუკი
გოდოლი შექმნეს მის სადიდებლად, ბევრის შენება რად გინდა თუ კი
თავს დაგემხობა შენი ნატანჯი და თან წაიღებს შენსავე სახელს
ასეთი ღმერთი ღმერთია განა? ის ხომ საკუთარ სისუსტეს ამხელს.
და უფრო ადრე ჰყავდათ ღმერთები ნახევრად კაცი, ნახევრად ლომი
ნახევრად კაცი, ნახევრად ხარი და იმათ შორის სულ იყო ომი.
ზოგს მგელი ჰყავდა გაღმერთებული, მამალს, მაიმუნს, თევზს აღმერთებდა
ზოგსაც თოჯინა ხისგან ნათალი, ზოგი კი ძროხასვით ქალღმერთს სდევდა
ახლა ჩვენ ვიცით ცეცხლში თუ წყალში ღმერთების ძებნას აზრი არა აქვს

კაცი ასახავს ღმერთის ხელდებას, ღმერთი მასშია და სული დააქვს.
მხოლოდ დღიური შრომით ნაჯაფი, ანდა უაზროდ დრო ნატარები
მიხვდება ვერას, ისე როგორც შენ, როცა არ გინდა ვერაფერს ხვდები.

**აგათი –**

ნაადრევია შენი ზეიმი, თუ ცუდად ნათქვამს სიბრძნეს უწოდებ
თვითონ არა გწამს შენი სიკეთე, სხვას სიკეთის ხელს ვით გაუწოდებ.
აბა დაფიქრდით: ქრიტეს მონები, ბიბლია როგორ ამბობს თავიდან
დაჰქროდა ბნელში ეგ თქვენი ღმერთი და ვერც უხვევდა გატკეპნილ გზიდან.
მაშინ ჯერ იყო, ჯერ იყო სიტყვა, სული თუ სიტყვა ქროდა ქაოსში
და მერე სიტყვამ, თქვა სიტყვა შუქი, და გადანათდა მთელ სმაყაროში.
სიტყვა სტკბებოდა ამ სიტყვის ეშხით და მერე ზეცა მოსწყვიტა მიწას,
შემდეგ გამოჰყო დღისაგან ღამე და რიგითობას მათს დღემდე იცავს.
შუქი კი იყო და იყო ღამე, მაგრამ არ იყო ჯერ მზე და მთვარე
იქნებ ამიხსნათ რა ანათებდა, რომელი იტყვის, მოდი მახარე.
მხოლოდ მეოთხე დღეს მიხვდა სული, რომ საჭიროა მანათობელი
ბრძანა და გაჩნდა მზე, ვარსკვლავები, ცისარტყელა და მისი მშობელი
მე აქვე დავძენ, იმ კვირის ბოლოს, მეექვსე იყო დღე აზრიანი
ის სული მიხვდა და თავის მსგავსი შექმნა ამ ქვეყნად ადამიანი.
მე გეკითხებით, თუ ღმერთის დარი, რად არის კაცი ასე უძლური?
ან იქნებ ღმერთი იყო რამ სუსტი, რომ მეშვიდე დღეს ვერ ჭამა პური?
დავუმატებ მე კიდევ ერთ ამბავს, ძველ ერთა ნათქვამს რომელიც იცნობს
განმეორება არის სხვებისა, თქვენი ბიბლია, მაშინვე იგრძნობს.

**ადმეტე –**

თუ ნებას დამრთავთ მე ვუპასუხებ, თუმცა პასუხი კითხვაში არი
განმეორება არის სხვებისა, თქვენი ბიბლია,–ამბობს მოძღვარი.
დავეთანხმები მართლაც ასეა, ძველი ერების ვინც იცნობს ამბავს
იქ დაწერილს და ბიბლიის ნათქვამს აზრით და არსით უმალ მიაბავს.
ქალდეველები, ჩვენი პაპანი და შუმერები, პაპანი მათი
ასევე ხსნიდნენ სიცოცხლის წყაროს, წელი გავიდა ათასჯერ ათი.
მამა ევსტათიმ ბერძნებზე გვითხრა, სულ მართალია ეს იყო ასე
უნდა ირწმუნო, თუ არა გჯერა, წადი, მოძებნე, გაებაასე.
ის რასაც ვიგებთ ჩვენ ბიბლიიდან და რასაც იტყვის აბიათარი
ჰურიტთა მოდგმას გადუტანია, ბედი ჰქონია ცხოვრების მწარი

წელან სჯა იყო ბუდას შესახებ, აბა ინდოელთ იცან ცხოვრება
ინდოეთს იქით, ინდოეთს აქეთ იგივ ამბები გაიგონება.
აგათი იტყვის სულ ტყუილია, ვინ შეამოწმოს რა იყო ძველად.
წმინდა გიორგი ხომ ახლა იყო, კაპადოკიას რომ ჰყავდა მცველად
ზოგი რომ მართლა ვერც კი მიხვდება, რაც ქვეყნად იყო და ჰქვია ძველი
წმინდა გიორგის შეგირდი იყო ზაბილონ წმინდა ნინოს მშობელი.
იქნებ ამაზეც ვთქვათ ზღაპარია, ზაბილოს კარგად ვიცნობდი თავად
ბალღი ვიყავი რომ წამიყვანა წამების ადგილს მისალოცავად.
მაგრამ მთავარი მაინც ის არი, აგათი ბრმანებს, ძველი ერები
სულ ერთნაირად ახსნიან წარსულს, ერთნაირია ჩანაწერები.
ერთგვარად ესმით ქვეყნის გაჩენა, წარღვნა და სიკვდილ–სიცოცხლის არსი
თუ ტყუილია, მაშინ ყველა ერს რატომ აქვს რწმენა ბიბლიის მსგავსი?
ყველა ერთგვარად როგორ დაბრმავდა, როგორ გაუჩნდა ეს მოლანდება
თუ ჭკუა ჭკუობს, აზრი არ ხუმრობს, დამეთანხმებით ასე არ ხდება.

**აგათი –**

მარჯვედ ნათქვამი სიტყვა ბევრს ნიშნავს, ჭეშმარიტება უფრო დიდია
რაც მე ვიკითხე რაც აქ მითხარი მათ შორის ხიდი ვერ გამიდია.
ისე გამოდის, რამე ზღაპარი თუ გამეორდა სხვადასხვა ენით
ვირწმუნოთ როგორც ჭეშმარიტება, გადატანილი წარსული ჩვენი.
ჩვენში იტყვიან ამირანის მთა, კლდეს მიჯაჭვული ზედ ამირანი
იყო არ იყო არავინ იცის, მას შემდეგ დიდი გავიდა ხანი
ზღაპრად უთქვიათ მეხთა ღმერთ ტაროს ცეცხლი წაჰგლიჯა და ქალიშვილი
აბა ხეთების ნახეთ ზღაპარი, ტაროსის ირგვლივ გადატანილი
გსურთ ბერძნებს ჰკითხეთ მათი პრომეთე რითი სჯობია ჩვენებურ ზღაპარს.
აქედან იქით, იქიდან აქეთ ყველა ჩამოჰგავს ამბავს მონაპარს:
ეგრევე არის ბიბლიის შიგნით დაზვინდა ბოლოს ვინ რა იცოდა
ვინ გაიხარა, ვინ რა იმრუშა, ვის რა მუხლი აქვს, ან ვინ რა სცოდა.
თავად განსაჯეთ თვითონ იახვემ, მუხთლობა ქვეყნად რამდენჯერ სცადა
მისგან რამდენმა თავი მოიკლა, რამდენმა ქალმა შვილი დაბადა.
ან და ავიღოთ ღმერთმა მოწყალემ როგორ გასწირა სოდომ–გომორი?
ღმერთია მამა სიკეთის მთესი, თუ სისხლის მსმელი, სიკვდილის მდომი?
გნებავს ავიღოთ თქვენი აბრამი რას დაწანწალებს ან რა კაცია
სარას თავის ცოლს სხვას ცოლად აძლევს, თვითონ ნახირი მიუტაცია.
როცა ფარაონს თვალი მოსტაცა ოთხმოცის იყო იმჟამად სარა
ან ფარაონმა ანდა სხვა მეფემ არ ვიცი გემო რად გაიმწარა.

როცა კაენი მოკლავს ძმას აბელს მითხარ რა არის აქ სანიმუშო?
ვინ რას ამიხსნი, ვინ რაც მასწავლი, თუკი არ გინდა პირით იმრუშო.

**ჟამთა მროველი –**

ერთი შეხედვით არის მართალი, რასაც ღაღადებს მოძღვართ-მოძღვარი
იკითხავ იმას, იკითხავ ამას და გაუჩნდება კაცთ რწმენას ბზარი.
მაგრამ თუ კარგად შევხედავ საგანს, ღრმად ჩაწვებიან ჩემი აზრები
თავად მივხვდები რად არის ასე და სხვებს აღარას დავებაზრები
გამოვითვალოთ, ადამ და ევა ქვეყნად თუ მართლა იყვნენ პირველი
წერა და კითხვა არ სჭირდებოდათ, გონება იყო ამისთვის ბნელი
არა მხოლოდ მათ, წელანაც ითქვა ვინ იყვნენ კოლხი კორიბანტები
როგორ ასწავლეს ზღვის ტომებს წერა, ოქროს საწმისით დალახეს ზღვები
კადმოსმა როგორ მოკლა ლინოსი, მწერლობა მოკლა პელაზგიური
ჩანს წერა-კითხვა ვისწავლეთ მაშინ, როცა გაგვიჩნდა აზრი ღვთიური.
დიდმა ფარნავაზ, ქართთა ნაწერებს, ახალი მისცა მოხაზულობა
ადრე რა იყო ახლა არ ვიცით, ამიტომ ძველის იქნება გმობა?
თვით პურიტებმა ასო მოხაზეს როცა გაეცნენ ფილისტიმნელებს
შემდეგ ჩაწერეს ეტრატზე ყველა, რაც გადმოცემით ახსოვდათ ძველებს.
ესე მოქცევა სანაქებოა, ამით არიან გამორჩეული
ჩვენ ვერ ვიმარჯვეთ, ეტრატი მითხარ, აბა სადა გვაქვს ასე გრძნეული?
და მე ვსვავ კითხვას ქართმა ვერ შეძლო, პურიტმა შეძლო ნეტავ საიდან?
იმით ხომ არა ერთ ღმერთს მისდევდა, ერთი ესმოდა გალობა ციდან.
იახვე იყო მათი მშობელი და მუდმივ ღმერთად იგი იქნება
მისი სახელით რაც დაწერილა, სხვაგვარად აღარ გარდაიქმნება.
ჩვენ კი იმდენი ვილოცეთ ღმერთი, რამდენიც იყო მეფე-მთავარი
ახლაც იმდენი არის უფალი, რამდენიცაა თემი თუ გვარი.
მაგრამ მთავარი. აგათი იტყვის ბიბლია რაღაც მოსჩანს ზღაპრულად
აზრებსაც მტერი შეხვდება მტრულად და მეგობარი კი მეგობრულად.
თუ პურიტებმა გვიან ჩაწერეს შორს წინაპართა ნამოქმედარი
უცილო არი, მოყოლილ ამბავს, ჭეშმარიტების გაუჩნდეს ბზარი.
აქ გასაკვირი ის კი არ არი, ჩამწერს ეშლოდეს რიცხვი თუ წელი
გასაკვირია, მამიდან შვილზე, ვით შეინახეს წარსული გრძელი.
რა სიყვარული სცოდნიათ შვილებს, როგორ ყოფილა ერი შეკრული
ბაბილონს იყვნენ, ეგვიპტეს იყვნენ, გამოიარეს ცხოვრება კრული.
აქ ბევრი ერი დაიბნეოდა, ვერ აზიდავდა ტანჯვის სიმძიმეს

როგორც აბრამი სიკვდილის შემდეგ, შთაინთქმებოდა სიცოცხლით მღვიმეს.
და ამას გარდა ბიბლია ქვეყნად არვის ამალებს მაქე-მიწამე
რწმენისა არის საღვთო ეტრატი, საღვთო საქმეს ყავს თავის მოწამე.

**აბიათარი –**

ჩემი ცხოვრება სულ იყო შიში, კრთომა დიდის და მცირეს წინაშე
ჩემი საჭმელი სულ იყო უმი, ჩემი სასმელი ყოველთვის მლაშე.
სულ ფიქრი მქონდა მე რომ ასე ვთქვა, დამიწიოკონ მთელი ზანავი
ვახ თუ ასე ვთქვა ბაგინეთს მისწვდნენ, შვილებს დაატყდეს ზნამება ავი.
ყველაზე მეტად აგათის შიში მკლავდა და ხშირად სიზმარში ვკრთოდი
ახლა თვით მიკვირს მთელი ცხოვრება ლანდად ქცეული როგორ ვიდოდი.
ხშირად ვფიქრობდი, ვართ სხვის სოფელში, ეს ციხე-ბურჯი ქართებმა მართეს
თუ შეგვიფარეს, თუ დაგვიფარეს, სანაცვლოდ მათი პატივი გვმართებს.
მაგრამ ახლა კი თუ ჩვენი რწმენა ქართების რწმენას შეეკონება
აღარ მექნება შიში აგათის, თავისუფლდება ჭურიტთა ნება
თამამად ვიტყვი მე ქრისტეს რჯული გულზე სრულიად არ მეხატება
იქნებ იმიტომ, არ ვიცი კარგად, ახალ აღქმაზე რაა, რა ხდება
მაგრამ თუ ქართნი ილოცვენ ქრისტეს, დალოცავს ჩვენი ყველა ჭურია
ის რაც თქვენ სულთა რწმენის წყაროა, ჩვენი არსობის მტკიცე პურია.
თუ ქართთა მოდგმა ერთ ღმერთს იწამებს, თუ სალოცავი იქნება ერთი
თუ ჩვენი ქრისტე იქნება თქვენი, ჩვენი გახდება ის თქვენი ღმერთი.

**აგაფანგელი –**

სომეხთ ღვთის ლოცვა სულს ჩაფენიათ, ქრისტე იწამეს ქართებზე უწინ
შეეშვა ბოლოს სომეხი ერი ღმერთების დათვლას კენტი თუ ლუწი
ჩვენ ქრისტე ვცანით სულის მეუფედ, ქრისტეს ლოცულობს ყველა სომეხი
ვინც არ იწამებს, ის ეწამება, მოელის ტანჯვა, დაეცის მეხი.
მე ადრეც გითხარ მეფევ ბატონო, თრდატმა შენ წილად რაც დამაბარა
თუ ქრისტეს იცნობ, შევერთდეთ რწმენით, ერთიან ძალით შევკრათ კამარა.
სომხეთს შენ ფლობდი, სანამ ჯვრის მადლით, ქვეყანა ძალით არ გაგეცალა
ახლა გთავაზობ, იწამე ქრისტე, შევერთდეთ კვლავაც, მოვირთოთ ძალა.

**აგათი –**

ვუწყი ყოველი, თქმული თუ ქმნილი, ავი სიზმარი და მწარე ძილი
სამზადისია რათა არმაზი და აინანა ცით მოვლენილი

შეცვალონ ახლით, თან ესქნან ძალით, მფარველი ჰყავდეთ მათ მეფის სახით
და არ უწყიან ჰურიათ ღმერთი, ზე აწეული რიხით და ზახით
არ არის ღმერთი, თან ერთად-ერთი, ის უფრო უგვან ყმაწვილ კაცს მოგავს
აქეთ ეგლება, იქით ეგლება, მთვარეულივით დახტის, ცეკვავს და ბორგავს.
ჯერ ერთი ნახეთ, ცოტა დალაგდით, მე მოგიწოდებთ მწურთნელს და მლოცველს
წარღვნის დროს ცოდვამ უწია ყველას, ქალს არ ინდობდა და მუძუს მწოველს.
გადარჩა მხოლოდ ნოეს სახლობა და უცოდველებს მისცა სათავე.
მერე და წარღვნით რა შეიცვალა, ცოდვას უპყრია ისევ სადავე.
ან და მოსემ, რომ ორმოცი წელი წაღმა-უკუღმა ერი ატარა.
კლდეში და ღრეში, ცხელ უდაბნოში, ან რა ასწავლა, ან რით ახარა
როგორაც იყო წარღვნამდე ქვეყნად, ისე ცოდვაა გამეფებული
ღმერთმა ვერ შეძლო კაცთა გამოცვლა, მაშ დიდხანს რაზე იხეთქა გული?
და ან ასე ვთქვათ როს იაკობმა უწესო ხერხით იგდო ქონება
ღმერთი ჩაკეტა, კურთხება სთხოვა, და გამოსძალა, გაგეგონებათ.
აბა ის ღმერთი რაღა ღმერთია იაკობი, რომ დაიჭერს ძალით
ახვეწნინებს და ცუდს აქნევინებს და ცრემლმორეულს გაუშვებს საგზლით.
მასთან არმაზი გმირთა-გმირია, სცადე ცრუ აზრით ეახლე სადმე
და მერე მიხვდე სად ის, სად ჩვენი, არმაზმაც გითხრას: სად ის და სად მე.

**პატრიარქი ევსტათი –**

დიდო მეფეო ვკადნიერდები და კიდევ ერთხელ ნაფიქრალს ვიტყვი
ჭეშმარიტება ხშირად ითქმება და უფრო ხშირად იმალვის სიტყვით.
ის რასაც ამბობს მოძღვართ-მოძღვარი, რომ გაიგონებ მართალი არი
მაგრამ ჩაწვდები, ხელში დაგრჩება აზრი სუსტი და მიუსაფარი.
აქ ითქვა უკვე, რაც კაცი იშვა, ბიბლიას ყველა ჩაწერილია
ზოგი გრძელია მოკლედ ნათქვამი, ზოგი მოკლე კი გაწელილია
ყველა ამბავის ერთგვარად ქება არ მიმაჩნია მე მართებულად
თუ ცუდი ვნახეთ კარგით შევცვალოთ, რატომ ვაგინოთ ქვეყანა სრულად
სწორეა მეტად, რომ წარღვნა ქვეყნად მოხდა ცოდვისგან განსაწმენდელად
და ისევ ცოდვა ტრიალებს ქვეყნად და უცოდველი ინახვის ძნელად
მართალი არი, მაგრამ ცოდვები ხომ არის დიდი და არის მცირე.
მაგრამ თუ ბეწვიც მოსჩანს სხვის თვალში და საკუთარში არა ჩანს დირე
მაშინ ძნელია რაიმე აქო ანდა რაიმე აგინო დიდად
ამიტომ არის აგათის ნათქვამს მას რომ ჰგონია ნაშენი მკვიდრად

მე დავურთავდი უბრალოდ ნაფიქრს, ყველამ განსაჯოს მერე მტყუანი
როდესაც ცოდვამ უწია ზეცას, როცა მომრავლდა ქვეყნად უგვანი
ღმერთმა დასაჯა, წარღვნა მოჰგვარა, და როცა ისევ იმატა ცოდვამ
როცა წალეკა კაცთა გონება ათასგვარ ღმერთზე წარმართთა ბოდვამ
ღმერთმა მაღალმა, ყოვლისმხილავმა, ყველგან მყოფმა და ყოვლის მოწმემ
კაცად ინება ჩვენ გვერდით ყოფნა, ჩვენში ვიდოდა ვით ბრძენი მოძმე
იცნა კაცური ცხოვრების ხიბლი, კაცთა მოძღვარი, მათთვის ეწამა
წინასწარ გვამცნო–ასე იქნება, არც უნანია გვემა ერთ წამად
გამოისყიდა კაცთა ცოდვანი, ცოდვილიანებს მოგვგვარა შვება
მისი ცხოვრება, მისი წამება, ვისაც არ უნდა, არც გაეგება.
აგათი იტყვის ის რა ღმერთია თუ თავის მლოცველს არ დასცა ზარი
თუ არ ამაღლდა ვარსკვლავთა ზევით, თუ არ გამოჩნდა მზისა სადარი.
მე ვიმეორებ ღმერთი არს ყველგან, ჩემში და შენში, წყალში, ზეცაში
იერუსალიმს აქვს დიდი ბინა, ჯვარი გარანდეს მისთვის მცხეთაში
ღმერთი ისეა, როგორც მე ვხედავ, როგორც გული გრძნობს, აზრი ადიდებს
ზოგს მოუფონებს, სხვათ მოაგონებს, სულით ალხინებს მცირეთ და დიდებს.
თუ იაკობმა ისე დალანდა და სხვამ იხილა ღმერთი სხვაგვარად
მაშინ ბიბლია სწორედ ყოფილა ყველა ხილვათა თავშესაყარად.
რატომ გავკილო მე სხვისი აზრი, ან სხვისი ქცევა რატომ ვაგინო
მე ასე მწამს და მე ასე მინდა, ჩემთვის ასეა ღმერთი საჩინო.

**აგათი –**

თქვენი ღმერთი თუ ყველგან მყოფია, ნეტავ რამდენად დანაყოფია?
ვისი ნაკეთი, რისი ნაკვეთი, რომელი ხილის რა ნაყოფია?
ამბობ რომ ღმერთი გადვიდა კაცში, ქალში ჩასახლდა და ქალმა შობა
ვის გაუგია კაცის გარეშე ქალში ნაყოფი წარმოიშობა?
აქ ხომ არ არის რამე თილისმა, ან რა სანდოა იმ ქალის ქცევა
იქნებ მარია შეცდა ისევე, როგორც აცდუნა ვაშლის ხემ ევა?
ვატყობ არ გიჩანთ თქვენ ის საეჭვოდ რა დროს შვა შვილი ელისაბედმა
რა იყო მისი თქვენი მარიამ, რა დროს ასტუმრა მუხთალმა ბედმა.
ან იოანე ნათლის მცემელი რა ნათესავი იყო ქრისტესი
რომელმა რომელს აუბა მხარი, ლოცა, ნათლობის აუგო წესი?

**ადმეტე –**

ვისაც არა სწამს, მისთვის ძნელია გაიგოს რამე ქრისტეს მცნებაში

ავს ტკბილი სიტყვა, შეშლილს შენიშვნა, ურწმუნოს რწმენა მოუვა ჭკვაში?
აგათი იტყვის ნათლის მცემელი არ ურანდია მამას თავიდან
ასე თუ არის, ასეც განვსაჯოთ, მერე მივუდგეთ მეორე მხრიდან.
ზაქარია და ელისაბედი ცოლ-ქმარი იყვნენ საკმაო ხანი
არა ჰქონიათ რამე საეჭვო, ეს ამბავია აქ მოსატანი.
და მოხდა ისე, რომ ზაქარია, თვეობით იყო შორს ოჯახიდან
ელისაბედში უკვდავი სული მაშინ ჩასახლდა, მასში გადვიდა.
იმ ხანად სტუმრად დეიდაშვილი მარიამ იყო ელისაბედთან
და თუ ირჩია ქალწული ღმერთმა, რატომ გგონია თამაში ბედთან?
სხვა რატომ ეჭვობს იმას რაიც ქმარს არც უეჭვია და არც უთქვია
აგათი იცავს ვის ქმართა სახელს, ამ მონდომებას ნეტავ რა ჰქვია?

**პატრიარქი ევსტათი –**

დავუმატებდი ადმეტეს ნათქვამს, თუმც საჭოჭმანოდ ეს საქმე მიჩანს
ნუთუ არა აქვს  თავისი აზრი, კაცი რა გზებით მიაღწევს მიზანს?
ღმერთის აუგი მკრეხელობაა, თუნდაც არ გწამდეს მაინც ღმერთია
როცა არ გინდა, როცა არა გწამს, მაშინ ვინ რაა ხომ სულერთია
ქალწული იყო წმინდა მარიამ, ქალწულმა შვა და დარჩა ქალწულად
შობა არ არის განსჯის საგანი და ნუ ვიდავებთ წრეგადასულად
ნურც იმას ვიტყვით ქრისტე რად იყო კაცთა შორის და კაცად მავალი
ღმერთმა ინება კაცთ შორის ყოფნა, ესაა აზრი ამოსავალი.
კაცად იცხოვრა, კაცად ეწამა, თუმც ღმერთი იყო ყოველთვის ჩნდოდა
ქარს აჩერებდა, ზღვას ამშვიდებდა, წყალზე ვით ხმელზე  მიმოდიოდა.
მთავარი არი, რომ ქრისტე ღმერთი ჩვენში ბოროტის საწყისებს თრგუნავს.
თქვენი კერპი კი არაფერს ამბობს, არას გვასწავლის, ტყუილად ბრუნავს.
ვინაც ისწავლა ჩვენი ბიბლია, იტყვის სიბრძნეა შიგ ჩაქსოვილი
სიკეთის მთესი, სიმართლის წესით, სიწმინდის წესით არის ცნობილი.

**აგათი –**

ევსტათის აზრით მრუში მარიამ, შობის შემდეგ აც დარჩა წმინდანი
მაშ რად დასჭირდა შემდეგ განწმენდა, რატომ გატანჯა ზედმეტად ტანი.
იმას ვერ იტყვი ასე არ იყო, ამას ამბობენ მათე და ლუკა
სახარებაში ჩაუწერიათ, ხანი გავიდა დიდი მას უკან
სხვა რამეს ვამბობ, ქალს არ ვეხები, უწმინდურისგან შორსა მაქვს ენა
ქრისტეზე ვამბობ, კარგად მისმინე, ნუ იცი ხტომა, წინასწარ წყენა

თუ ქრისტე იყო ღმერთის ნაკეთი, ღმერთი იყო და თან სული წმინდა
რატომ დასჭირდა წინა დაცვეთა, ეს ამიხსენი გინდა არ გინდა.

**აბიათარი –**

მეც ჩავერევი ამათ დავაში, თუმცა არ მინდა სული წავწყმიდო
უფალ ღმერთს შევთხოვ ნუ გამიწყრება, ვინაც დამინდო, იმან შემინდო
ასეთი კითხვა ბალღობა არი, ქრისტე რად იქნა წინდაცვეთილი
მერვე დღე იყო დაბადებიდან იერუსალიმს განათლეს ჩვილი.
ღმერთი კი იყო, მაგრამ თუ ღმერთმა თავიდან იდვა კაცად ცხოვრება
რვა დღისა მშობლებს არას ეტყოდა ამას რად უნდა გამეორება.
თავის მხრივ რადგან ჭურია იყო იესო ქრისტეს მამად ხმობილი
ვერ იქნებოდა იმისი შვილი ფარაონივით გამოწყობილი
ჭურიამ თუკი ჭურიათ წესზე შვილი განათლა, რაა ურიგო
გასაკვირია თუკი ჭურიამ ხაზართა წესით უნდა ურიგო.
მამობილმა რომ არა იცოდა სპარსელების თუ ქართების წესი
ამიტომ მოხდა წინადაცვეთა, ჩვილის ნათლობა სიკეთის მთესი.

**მეფე მირიანი –**

თუმცა გაგრძელდა თქვენს შორის დავა, მაგრამ ნასმენი არ მიჩანს ავად
მე ვისურვებდი ყველას გაეგო ჩვენ რას გვასწავლის ის თავის-თავად
ქრისტე რომ კაცი არა ყოფილა, თან კაცი იყო გასაგებია
მაგრამ რას ამბობს ის სასიკეთოს, ან წესი როგორ ანაგებია
რითა სჯობია მაზდეანობას, არმაზის დარი რატომ, რით არი.
ნინო რატომ სდევს იესოს სიტყვას, რატომ ვიწამო ესეც მითხარი.

**ადმეტე –**

უფალო მეფევ, მეუფევ ქვეყნის, ზეცის უფალის ამბავი გრძელი
აქ მოკლედ ითქვა, და უფრო მოკლედ მოვჭრი რაცაა გზა გასავლელი
ნათლის მცემელი ასე იტყოდა: მოინანიე ცოდვანი შენი
სული განწმინდე, ხორცი გატანჯე, უფლის ლოცვაში გალიე დღენი
რადგან სრულდება დანაბარები, ესაიამ რომ თქვა უდაბნოში
გზა განუმზადეთ უფალის მოსვლას, ის აბრაამის მოვა საწმყოში.
ის მოსულია, აქ არის ჩვენთან, ვილოცოთ ერთად, ვილოცოთ გზნებით
უფალი მოგვხსნის ცოდვის სიმძიმეს, ჩვენს შორის დადის ეკლიან გზებით
ქრისტე რას ამბობს? რომელი ერთი, უწინ რომელი გაუწყო მცნება

ვინც ღარიბია, ილხენდეს სულით, ცათა სამეფოს დაუმკვიდრდება.
აბა დაფიქრდეს ყოველი კაცი, მისი ცხოვრების რაა მიზანი
იმქვეყნად უნდა ილხენდეს მუდამ, ამქვეყნად არის სულმოკლე ხანი.
და რომელი სჯობს აქ ხორცი ზარდოს, სულს გაუჩინოს ცოდვის იარა
რათა თქვან მუცლის ქადაგი იყო, ჭამას გადაჰყვა, გადაიარა
და ქვესკნელს მოხვდეს იმისი სული, თუ ისე როგორც ქრისტე ქადაგებს
ვინც სული წმინდად შემოინახა, ცის სასუფეველს იგი განაგებს.

**აგათი –**

მე მეცინება მეტად იმაზე რაც უნდა კიდევ ითქვას ქრისტეზე
კოლხეთს მიბრმანდით ოქროს საწმისი, გამოკიდული დიდ წმინდა ხეზე
ზუსტად იგივეს გვასწავლის ცოდვილთ, იგივე არის საგინთა წესი
თუ ტელეპია-მელიას ნახავ, ერის კერპია ის უწმინდესი,
მის ტყავზეც იგივ წერია სიბრძნე, და უფრო მეტი წარსულზე ითქმის
ურ-ბაუს ჰქონდა იგივ ნიშანი, იგივე იყო კუპალა თითქმის
ყველა ღმერთს ჰქონდა ამგვარი სიბრძნე, ქრისტე რითაა გამორჩეული
წინასწარ გეტყვით რაც შემდეგ ითქმის, რათა სურათი დავხატო სრული
რადგან ღატაკნი ცად მოხვდებიან, ხოლო მდიდრები ქვესკნელის ქვევით
ნეტარ არიან მგლოვიარენი, ნუგეში ელით, ცის მეფის წვევით.
და თვინიერნიც უნდა ილხენდნენ ისინი ყველა ღარიბებია
მშიერ-მწყურვალნი, მვალი და ტყავნი, ქრისტესაც თურმე შეჰყვარებია.
ხოლო მდიდარნი, ვინც მოწყალეა, ვინც შემლებს მონა რომ დააპუროს
ჩუმად აკეთოს ოღონდ სიკეთე, თავის ხარჯებზე არ იხმაუროს
და უეჭველად მიუზღავს ღმერთი, ათმაგად მისცემს ყველა საზღაურს
მთავარი არის სიკეთე სთესო, და არ ასტეხდე საქვეყნო ხმაურს,
რას მოგვიწოდებს ჩვენ ქრისტე ახალს, რაშია მისი გულის სიკეთე
იქნება მითხრა და მაზიარო, მოდი განწყობა გამომიკეთე.

**ადმეტე –**

ქრისტე გვასწავლის ჭეშმარიტებას, ჭეშმარიტია და ვიმეორებ
რაცა მწამს იმას გულით ვატარებ, რაც ურწმუნოა შენვე ამბორებ.
აბა ისმინე, ქრისტე რომ იტყვის, ნეტარ არიან გულით სუფთანი
მხოლოდ ასეთნი ამაღლდებიან და გახდებიან ღმერთისა მგვანი.
ნუთუ არაფერს განიშნებს მცნება, ნუთუ გონების კარი დარაზე
მდაბალს დიდგულობ, მტერს ეფერები, მძლავრთან რაკრაკებ თაფლიან ხმაზე.
არც ის გენიშნა? ნეტარ არიან ვინც მშვიდობისთვის აიდგა ფეხი.

იქნებ ისაც თქვა რაზე შეთანხმდით შენ, ასფაგური, ფეროშ, ვამეხი
ვინც მშვიდობისთვის არი საქები, ის ღმერთისაგან ხელდებულია
ვინც ერის სახელს ფეხით გათელავს, ის დაბადებით უკვე კრულია.
ნეტარი არი ვინაც ამ ქვეყნად სიმართლისათვის იქნა დევნილი
იქნებ განვსაჯოთ ჭეშმარიტებას რომელმა რა გზით შემატა წვლილი
თუ ეს აზრები ქრისტეს ნასწავლი, არი სხვის სიბრძნის მოსული ჭავლი
ნუღარ აგირევს გონებას ჯავრი, ჯერ არ გასვლია შენ კერპებს ყავლი.
ოღონდ გვითხარი რომელმა კერპმა სიბრძნე ამგვარი აზრებში ქარგა
რომელ ეტრატში გაქვს ჩაწერილი, ან რომელ ქურუმს სად დაეკარგა?

**აგათი –**

კიდეც გავცინე, მაგრამ რომ ვატყობ, აგაფანგელი მართალი კია
შენ რას გაიგებ ჩვენებურ ამბავს, სად მცხეთა და სად კაპადოკია.
ერთ-ურთში ურევ საღვრთო-საეროს, ვინცა რა გითხრა ერთად არიე
ეს იგივეა ერთგვარად შესვა მტკვარი წმინდა და არაგვი მღვრიე.
ეგ შენი სიბრძნე, ან რა სიბრძნეა-ნეტარ არიან გულით სუფთანი
ალბად ქრისტეა ნაგულისხმები და ათორმეტნი იმისი ძმანი.
გულით სუფთანი. შენ ხომ არა ხარ, აბიათარის ქალის დევნაში.
ასეც იფიქრებ, ისეც იფიქრებ ათასი აზრი მოგივა ჭკვაში.
შენ ვერ მიხვდები ქართების ამბავს, კაპადოკია შორია მეტად
ავხორცი ნინო და სიდონია სიბერის პირას გნახავენ კენტად.
სჯობს მიუბრუნდე შენსავე მამულს, სადამდე გამლებ ქალთ მადევარი
კაპადოკიელთ თუ მოსწონთ ქრისტე, დაგვტოვე, იმათ აუბი მხარი
ჩვენ არმაზს ვფიცავთ, არმაზი გვიცავს, და იმის ფეხთით მუდმივ ვილოცებ
ქრისტეს ვერ ნახავ აქ აღმატებულს, შეურიგდი ბედს, ნუ გაიოცებ.
და მაშინ ნახავ, გზას დაგილოცავ, საგზალს გაგატან მშობელ მხარეში
თორემ ბედს ნახავ უფრო უწყალოს, ვინემდე ქრისტე ჩაავდეს დღეში.
ის ხომ გვასწავლის, მისი სიბრძნეა, რომ შეურიგდე მეტოქეს მაშინ
და აღარ უმტრო, სანამ ერთად ხართ შორს მიმავალნი უკვალავ გზაში.
მე აქვე დავძენ, რა სიმართლეა, რა სისუფთავე თუ მტერს ეძმობით
ან ერთი იყოს და ან მეორე, ორივე როგორ იქნება წყობით?

**ადმეტე–**

ვატყობ აგათის წაღმა-უკუღმა ბევრჯერ უკითხავს ბიბლია მთელი
სანამ ამ სიბრძნეს მე გამიმხელდი ალბად გავიდა მრავალი წელი

მტერს შეურიგდი, მტერთან იარე, მისი ვარამი გაიზიარე
ამ სიტყვის უკან სხვა აზრი ბუდობს, აქ ჩვენი დავის სხვა არი მხარე.
შენ ამბობ ბევრი გამოგიცდია, ქვეყნად ვერ სცანი გულით სუფთანი
ქურდს ქურდი იცნობს, მაძღარს მაძღარი, შენც ალბად გყავდნენ შენივე მგვანი.
და იყო ასე, ამბობს ბიბლია, ქმარმა იეჭვა ცოლის ღალატი
უკულმა შესვა გაქუცულ ვირზე, ჩამოატარა სოფელს ტაატით.
და მერე ქრისტეს მიჰგვარეს თხოვნით-გამოეტანა სასჯელის ზომა
გვინდა ჩავქოლოთ, თან დაუმატეს, მით გაუმხილეს აზრი და ნდომა.
ქრისტემ შეხედა ქალს სიბრალულით, სოფელს მიუგო ღვთიური გულით.
მტერს თუ შეუნდობ, მცდარსაც შეუნდე ნაკოდი არი ისედაც წყლულით
არა იმრუშო წესია ქალის, წესია კაცის ასევ უცილოდ
გულისთქმით ვინაც შეხედა ლამაზს, იმან იმრუშა გულში უწილოდ
და ვინც გაუშვა ცოლი სახლიდან არა იმიტომ, რომ იყო მრუში
იმან შესცოდა შვილის წინაშე, ცოლს სიძვის ლტოლვა ჩაუდო გულში
ახლა რომ ითხოვთ ქალის ჩაქოლვას, ზეცას შეხედეთ თქვენ სასოებით
სუფთა ვინც იყოს გულით, გონებით, იმან ესროლოს პირველმა ქვები.
აღმოჩნდა ისე, რომ გულით სუფთა არავინ იყო იქ უცოდველი
ჩვენ ცოდვის შვილებს სხვის ჩასაქოლად არ უნდა გვქონდეს ქვით სავსე ხელი.
იქნებ არ არის ამ აზრში სიბრძნე, და შენ გულს ნუთუ არაფერს ეტყვის
სხვისკენ ხელს იშვერ, არ გეშინია? შენკენ წამოსვლა იმ ქვების სეტყვის?

**აგათი –**

მე მეტიც ვიცი ვიდრე შენ ფიქრობ, ვიდრე იცი და ვიდრე გგონია
თუ თვალი გაცთენს ამოითხარე, შენი ღმერთისგან მონაგონია
სჯობს მოიკვეთო ის რაც გღალატობს, ცთომა-ცოდვაში რაიც ჩაგაგდებს.
რათა გადარჩეს მთელი სხეული, ნუ გააღმერთებ ცალკეულ ნაკვთებს,
ვატყობ შენ ქრისტეს ამგვარი აზრი არც მიგიღია, არც გაგიგია
ეჭვს აჰყოლილხარ, დიაცთა სიტყვას, ჭორზე, ჭილ-ყვავთა ციხე გიგია.
იგივე გეტყვის ტყუილი ფიცი, არის ღალატი უფლის წინაშე
შენ ცილი გინდა არმაზს დასწამო და გაასაღო როგორც ზედაშე.

**ადმეტე –**

სხვის ბანზე შენი სიტყვის შეგდება, ნიშნავს გღალატობს სიბრძნე-შეგნება,
ის რაც გითხარი, რასაც გპასუხობ, ერთი-მეორეს ვერ შეედრება.
ამბობ მაცთუნა სმენამ და ხედვამ, და ჩემი სიტყვაც არი მაცთური
მაშ დაიფიცე არმაზის მალი, გაცი, გაემი, ზადენი, ური.

ქრისტე გვასწავლის ღმერთს დაიფიცავ, თან შეასრულე დანაპირები
მე ვიტყვი ახლა და მერე შეგთხოვთ, ვინაც რა იცის გახსნან პირები.
სანამ ამ ადგილს ჩვენ მოვდიოდით, სთქვი ვისთან ერთად დაუთქვი სიტყვა
ისიც აუწყე ჩვენ უფალ მეფეს, ვის რას შეპირდი, ვისზე რა ითქვა?

**აგათი –**

მე გიმეორებ გაცთუნებს თვალი, ამოითხარე, ასწორე მზერა
თვალი თვალის წილ მიაგე იმას, ვინც ჩაგასმინა, ვისიცა გჯერა

**ადმეტე –**

ქრისტე გვასწავლის თვალი თვალის წილ–ასე იცოდნენ ჩვენმა მველებმა
ახლა ავაწყოთ სხვაგვარად ლოცვა, გამოგვაფხიზლოს სხვაგვარმა ხმებმა:
ნუ აღუდგები წინ ბოროტებას, ლოყაში გაგკრან? მიეც მეორე
თუ გაწყენინა, ნუ აწყენინებ, სიკეთის ლოცვა გაუმეორე.
ეს როცა ჩემზე ითქმება რაღაც. მაგრამ თუ განსჯად ქვეყნის ბედია?
დავფარო უნდა? თუ არ დავმალო, ვერც ერთი მე ვერ გამიბედია.

**მეფე მირიანი –**

რა ქარაგმებით ლესავენ ენას, ვფიცავ არმაზის მრისხანე მზერას
გარკვევით ითქვას რაც სათქმელია, სანამ გასწავლით სხვაგვარად მღერას.

**აგათი –**

დიდო მეფეო, შენ სახელს ვფიცავ, როცა მაგ მზერას მზე მიეფარა,
თვალთ დაგიბნელა, აზრობდი მნელად სად იყო მწყემსი, სად მისი ფარა,
ზოგმა დრო ნახა, დრო გამოთვალა და მერე ჩუმად ჯვარი გათალა
თუ დაკარგავდი თვალთა სინათლეს, ჯვარს აღმართავდნენ ამ ადგილს მალად.

სანამ მე არმაზს ვიყავი ლოცვად, ცხვარი დავკალი, შევუთქვი ხარი
ქრისტიანებმა სვეტი მოზიდეს, მეფის ბრძანებას უცვალეს მხარი.
მათი მედროშე იყო ადმეტე, კაპადოკიით გადმოხვეწილი
იმ ქალის კუროს, აქ ვითომც ხუროს, ბოროტი ვნება ჰქონდა აშლილი.
ამათი ღმერთის ვითომ სიბრძნეა: ვინც რამე გთხოვოს ადექ მიეცი
ზურგს ნუ შეაქცევ, გთხოვა–ასესხე მოყვარე იყოს და გინდა მხეცი.
აქ მიეჩვივნენ ქრისტიანები, შენ ბევრი რამე დაუთმე ნებით
თავს გაუვიდათ, იაზრეს დიდათ, და სულბოროტნი აღივსნენ ვნებით.

აბა უბრძანე იმ ჯაგთა იქით, რაც გადამალეს, გამოაჩინონ.
მე ჭირს ვმალავდი, ცთომილსა ვგავდი, ვფიქრობდი მეფეს არ ვაწყენინო.
მაგრამ ახლა კი სიმართლეს ვიტყვი როდემდე უნდა ვსდუმდე და ვსთმენდე
შენ შეცთი მეფევ და დედოფალი, კაპადოკიელ მემავს რომ ენდე.
აქ ეგდო მუდმივ, აქ მარხულობდა, აქ მამა-პაპათ კერპებსა გმობდა
ცხოვრება არი კბილი კბილის წილ, ან არ იცოდა, და ან ვერ გრძნობდა
ახლა მე ვიტყვი, რასაც უყურებ რიტორიკობა, სიტყვებით მკობა
სინამდვილეში არის ღალატი, თვალის ახვევა, და საქმით გმობა.
მაგათი ღმერთი ასე გვაცთუნებს-ნუ აღუდგები ბოროტ მოუნეს
ამ აზრს რომ ვსდიე, ვიყავი ჩუმად, მალა ირწმუნეს, ავი გვიჩვენეს
შემოიტანონ უბრძანე ჯვარი, ცხოველი ხისგან მალულად თლილი
თან მოგახსენონ ამ დიდ ღალატში რომელს რამდენი მიუძღვის წვლილი.
ნინოს ენა აქვს ამოლესილი, ის ასისინებს ქართებზე ჭორებს,
იმისი კურო არის ადმეტე, მის ბოროტებას ეს იმეორებს.
ამათ აცთუნეს მცხეთაში ბევრი, ბევრი ფარულად ჯვარს დაატარებს
არმაზის მალა ჰფარავდეს იმას, ვინც მოღალატეთ არ გაახარებს.

**მეფე მირიანი –**

მიბრძანებია გარკვევით მითხრა, რაც ნამდვილ იცი არ დამიმალო
რა ღალატია აქ დამალული და ვინ მღალატობს-ჩამომითვალო.
ნინოს შესახებ რაც გამიგია, უკურნებელთა არი კურნება
ჭინკა არ არი, სიმვა არ არი, ჯვარზე გაკრულის ყოფილა ნება.
მაგრამ თუ ცთება მახვილი მზერა, თუ მამულს ელის მტრისაგან ვნება
მომახსენებდე, სანამ მზე ჩავა, მისი ყვავილი უმალ დასჭკნება.

**აგათი –**

იმას ვამბობდი დიდო მეფეო, შენა ხარ ქვეყნის მამა-უფალი
შენი ვალია მას უპატრონო, რასაც უმიზნებს ბოროტი თვალი.
შენი სიმტკიცე და სიდიადე, არმაზის ნებით ამაღლებულა
იმას შეჰყურებს მორწმუნის თვალი ქართი, კოლხი თუ მთიელი სრულად
ახლა ამ რწმენას ქაჯი-ეშმაკი შეუჩნდა ჯვარის მლოცველის სახით
კერპებს გვინგრევენ, რწმენას გვირყვევენ, არა კრთებიან ღმერთების ნახვით.
აბა იაზრე ტახტის გარშემო როგორ მომრავლდა ჯვარის მტვირთველი
მოინადირეს დედოფლის გული, ზევახ პიტიახშ, ხუარა ქველი.
კაპადოკიელთ თავს გაუვიდათ, ახლა იწვიეს ევსტათი ბრძენი

აგაფანგელიც მხარს უჭერს ღიად, თუ იცოტავა სტუმარმა მღვენი.
ადმეტეს დასჯას მოვითხოვ ახლა, ენა მოსჭრან და თვალი მოსთხარონ.
შენმა მტრებმა და ქვეყნის ორგულთა სანამ ხარ მეფევ ვერ გაიხარონ.
დღეს აქ შეყრილა ყველა შეთქმული, რათა აღმართონ ამ ადგილს ჯვარი
უბრძანე მეფევ მათი შეპყრობა, არმაზის ყმების შეყარე ჯარი.

**ადმეტე –**

მველთაგან ვიცით, ასე ვიზარდეთ, რომ შეიყვარო მოყვასი შენი,
სანაცვლოდ მტერის მტერობა გმართებს, არ დაიტოვო უზირად მრქენი.
ქრისტე გვასწავლის უფრო სხვაგვარად, ბიბლიას არის ასე ნაწერი
გიყვარდეს ძმა და შენი მოყვასი, მაგრამ გიყვარდეს ასევე მტერი,
სიკეთე სთესე, ლოცე ვინც გწყევლოს, ვინც გდევნის იმმე, შეგინდობს ერი.
თუ განიკითხავთ–განიკითხებით, როგორც მიუღწყავ–ისე მოგეცის
გულმართალი ხარ? ნუ გეშინია ადამის მოდგმის და ნურცა მხეცის.
შენ შეიყვარე მოყვასი შენი, როგორაც გიყვარს სიცოცხლე შენი
ვინაც სიმართლე აკეთა ჩუმად, ღმერთთან ისაა გამოსაჩენი.
ამდენი სიბრძნე ერთად ნაკვესი, რომელი ერის, რომელ ღმერთს უთქვამს
სიმართლე ერთი გვითხრას აგათიმ, არმაზს ვაფიცებ, მოგვიგოს თუ სწამს.

**აგათი –**

საოცარია სიბილწე ზოგის, ბატონს ვერა სცნობს, არ იცის წონა,
როდემდე უნდა გავცე სიკეთე, რომ არ მომწამლავს, ვიცოდე მონა
ჩვენ შევიფარეთ ყველა დევნილი, დაცემულთ მივეცთ მლიერის მალა
მაგრამ პატივი და დაფასება უღირსებს ვატყობ არ უღირთ ჩალად.
აბიათარი ამბობდა ჩემზე, სოფელმა იცის პურიათ ბედი,
საშინელია, სატირელია მათი წარსულის გადასახედი
ასე დაცემულს რომ შეიფარებ, დააპურებ და ჩაიკრავ გულში
რატომღა გიკვირს თავი წამოყოს, მოღალატეთა ჩადგეს ფერხულში.
სომეხნი გვახსოვს სულს გვიბერავდნენ, როცა ქვეყანა გერგო წილობით
ახლა გასუქდნენ და გათამამდნენ, თავსაც იქებენ ჩვენი ცილობით.
აგაფანგელი ჩამოსულია, რომ ქრისტეს მთესავთ აუბას მხარი
არმაზი დასცეს და დაცემულმა ვეღარ დარეკოს განგაშის ზარი
რომის პატრიარქს რა უნდა ჩვენთან? როდის იყო რომ მღვდელი ელჩობდა
შენ რომ აოტე იმპერატორი, იბერთა მიწებს აქეთ რომ სთმობდა
მაშინ სად იყო მაგათი ღმერთი, ევსტათი მაშინ სად ლოცულობდა

დღეს გვიკიჟინებს ქრისტე იწამეთ, ქრისტე თუ ღმერთობს, არმაზს რით სჯობდა?
თან მელასავით კუდს აქიცინებს, სპარსელთან ომში დაგეხმარებით
სომეხია თუ ბერძენი არი ჩვენს გადასატანს აზიდვენ მხრებით?
სპარსეთის მეფე, ახლობელია რატომ გაგიწევს უფრო დიდ მტრობას
კარგად დაფიქრდი, სანამ ესენი აქ მოჰყვებიან ტყუილის თხრობას.

**პატრიარქი ევსტათი –**

ქრისტე გვასწავლის: ღმერთის სიყვარულს, არ უნდა ქვეყნად დიდი ხმაური,
თუ შეიყვარებ მას გულით შენით, სულს აღარ უნდა სხვა საწყაური.
ჩემი გონება ნათელი არი, მიტომ მენიშნა ქრისტეს ეს მცნება:
თუ ძმა შესცოდავს, ცალკე ამხილე, და თუ ძმა არი დაგეთანხმება.
მე არ ვუყურებ ბეწვს ძმების თვალში, მე იქ დირესაც განგებ ვერ ვხედავ
მაგრამ როდესაც აგათის ტყუილს ვუსმენ, პასუხად ამას გავბედავ
დიდო მეფეო ჩვენ ერთა შორის ყოფილა ბრძოლა და უფრო ძმობა
მაგალითები შენ იცი კარგად აღარ სჭირდება ჩემი მოხმობა.
მართალი არი რომ ჰალისამდე მიწებს შენ ფლობდი ძლიერი ძალით
ხაზარეთიდან კოლასტრის მთამდე ცას გაჰყურებდი არწივის თვალით.
მაგრამ ისიც ხომ არი მართალი რომ ბოლო წლებში ბედმა გიმტყუნა
რომელმა ღმერთმა ინება ასე, რომელმა მეფემ მისთვის იზრუნა?
განა მას შემდეგ რაც კონსტანტინე რომის ახალი იმპერატორი
ქრისტე რომ მისდევს, ძალას არ იკრებს? ნავარდობს როგორც ზეცაში ქორი?
განა სომხეთიც მან არ წაგვგვარა? შვილი ვისთან გყავს მძევლად ბაქარი?
გინა სპარსელებს, და გინა ჰუნებს არ გაუთენა მან დილა მწარი?
ახლა ვკითხულობ დღეს იგი ძმლავრობს, ვისაც გუშინწინ შენა ძმლავრობდი
იგი ვარსკვლავობს რომლის ზეცაზე, უფრორე ადრე შენ ვარსკვლავობდი.
ვინ მისცა ძალა, ვინ შთააგონა, ვისი იმედით ასე თამამობს
უფრო ძლიერი ადრე მირიან, დღეს მველებურად თავს რატომ ვერ გრძნობს?
მე გეუბნები ქრისტეს ნებაა, ზე გადმოსული ბერძენთა ზედა
იცანი ქრისტე, გიბრუნებთ ბაქარს, ბერძენთა ჯარი მოირთვი მწედა.
აბა ამაში რაა ღალატი, მე ხომ ფარულად არარას ვჩადი
აგათის ვეტყვი ცუდია როცა საკითხს ვერ აზრობ, ისე იქადი.
მაშ რომელი სჯობს, მოძმე ხართ უთხრა და თან ფარულად ლესო ხანჯალი,
თუ პატიოსნად პირში უმრახო, და აუხილო მიბინდულს თვალი.
მე ასე ვიტყვი სპარსელთა მეფე თუმცა მოყვარე არი მეფისა

მტრულად იქცევა, დიდგულობს ფრიად და თუ სიცოცხლე წლობით მელირსა
ვიხილავ როგორ აიღებს მახვილს, როგორ წამოვა ქართების ზედა
მაშინ მანახა აგათის სახე, მაგის თვალებში მაშინ მახედა.
ვინ გინდათ გვავდეთ იქ მოკავშირედ, აქ სომხეთია, იქ საბერძნეთი
ოვსებს ენდობით? ოვსი დაგინდობთ? თუ გაგიმაგრებთ მხარს ხაზარეთი?
მე კონსტანტინეს მოწერილობას, ზოგი დავურთე დანაბარები
ნდობას გიცხადებს, გიბრუნებს ბაქარს, ქრისტესმიერი სურს იყოთ ძმები.
და თუ ამაში არის ღალატი, აგათი მასში თუ ღალატს ხედავს
მას რა დავარქვათ როცა ფარულად ქვეყნის ორგულთან კავშირსა ბედავს?

**აგაფანგელი –**

მეფევ მომეცი მცირე უფლება მეც დავუმატო ევსტათის ნათქვამს
ვიტყვი რაც ვიცი, რაც გამიგია, რისიცა მჯერა და რისიცა მწამს
ქრისტე გვასწავლის თუ ხარ მოწყალე, გაეც რაც მალგიმს, გაეცი ჩუმად,
რაც განგიზრახავს, გიკეთებია, იმაზე ხმაურს თუ სტეხ მალუმად,
მადლი არა აქვს მაშინ ამ საქმეს, სიკეთე სდუმს და სიავე ლაღობს
განა შემვენის მომვართა–მომღვარს გრძნობებს, რომ ასდევს, ბაქობს, ბაღობს.
ჭურიებს ისე უწონის წარსულს, თითქოს პირადად უღია ხარჯი
სომხებსაც თითქოს აჩუქა მიწა, თვითონ მოზომა ახალი თარჯით
ნუნეს აგინებს სომხების ნაცვლად, თითქო სიძვაა და ავის მთესი
კაცები ქალებს ეომებოდნენ ვის უნახია, სადაა წესი?
სომხებზეც ამბობს, თვითონაც ვიცით ტიგრან მეუფის დროის ამბავი
როდის ვომობდით, როდის ვლაღობდით, როდის და რატომ გვქონია ზავი.
მე ვეკითხები აგათის ამას, როცა დამწამა ღალატის ცილი
ვის ედავება, რას ედავება, რომელ საქმეში რა აქვს მას წვლილი
განა მე თუ ვთქვი რამე წარსულზე ეს მომავალის ღალატი არი?
რამდენჯერ კიდევ ჩვენი შვილები ასე იტყვიან თავგადამკვდარი.
მაშ სულ მტერობა ყოფილა ჩვენში, აღარ ჰქონიათ ერებს სიამე
ასეთ დავაში ჩვენი მოდგმიდან როცა კი ვინმემ გატეხოს ღამე.
ახლა სხვაგვარად შევხედოთ საქმეს, სომხებს თუ თქვენი სურდათ მტერობა
მეფეორდატი ხომ თავის ქალიშვილს რძლად არ მოგცემდა, რად უნდა თხრობა.
ჩვენი სალომე, რევის მეუღლე, უჯარმას რომ ფლობს, ზეიმ–დედოფლობს
ჰკითხოს აგათიმ, სომხების ღალატს თუ ღალატია, თავს როგორა გრძნობს
ჟამთა ამწერთა სიტყვა და დავა ღალატად უჩანს ვინც არს სულელი
მე მხოლოდ ძმობა მინდოდა თქვენი, მისთვის ვიღწვოდი გამიგეთ ელი.

ადმეტე–

მეც მათქმევინე მეფევ ერთი რამ. ისე როგორ ვთქვა, იყოს ფხიანი
თუ რომ მომიგო აგათიმ სიტყვა, იქნება იყოს შემდეგ გვიანი
არმაზი ამბობს თვალი თვალის წილ, ქრისტე გვასწავლის არა ჰკლა კაცი.
თუ სხვას სიცოცხლეს წაართმევ ქვეყნად, არ ნიშნავს რომ ხარ მასზე მამაცი.
აგათი ახლა სიცოცხლეს მართმევს, სურს ენა მომჭრას, თვალი მომთხაროს
ზედ მომაყოლოს მრავალი ვინმე, არმაზს შეგვწიროს და გაიხაროს.
ქრისტე გვასწავლის ვინც თავს იმდაბლებს, იგი მით ხდება აღმატებული
იყავ მართალი, სთესე სიკეთე, გატანჯე ხორცი, ახარე სული.
ნუ გეშინია მისი ვინც ხორცს კლავს, სახიფათოა სულის მხუთავი
აგათი მხოლოდ ხორცს ემუქრება, სული ჩემია შეუბილწავი.
უფალი ამბობს იზრუნე სულზე, სულით გახდები ამაღლებული
ხორცი მოკვდება, სული დარჩება, უკვდავს უკვდავი რად უნდა წყლული?
დიდხანს ვითმინე, მოწმეა ღმერთი, და დაფარულში ვილოცე ჩუმად
რათა აგათი გასცლოდა ეშმას, სიკეთე ქვეყნად ემკო მალუმად.
მაგრამ ეტყობა რომ ანგელოზი მისი ბედის წილ არ ჩამოსულა
ზოგი ვერც ხედავს უკუღმართობას, ზოგმა კი უნდა იწვნიოს სრულად.
რადგანაც სული მეტია ხორცზე, ხორცი მეტია მის სამოსელზე
ვიზრუნებ სულზე, სანამ არს ჟამი, აგათის ყულფს ვგრძნობ ჩემსავე ყელზე
და რომ არ ახდეს რაც ასე უნდა, რასაც მომიზღავს თუ მნახავს ერთსა
კეისარს მივცემ მე კეისრისას, ღმერთისას მივცემ ჩემ უფალ ღმერთსა.
წინასწარ ვიტყვი, უფრთხილდით ნინოს, სიკეთის არი იგი მეტყველი
დადნეს ის ენა ნინოს რომ უმტრობს, დაბრმავდეს თვალი, და გახმეს ხელი.
უფალი ამბობს: წინასწარ მთქმელი არა ფასდება თვის სამშობლოში.
შეიტკბეთ ნინო, წმინდა ასული, გზას ნუ უჩვენებთ უცხო საწმყოში.
ახლა კი ვიტყვი რაც სიმართლეა, მართალი არი აგათის სიტყვა
დიდი ღალატის ვარ თანამდგომი, მოკვდომის ღირსი როგორაც ითქვა,
მე თუ რა ვიცი ქვეყნის ღალატზე და არ ვამხილე რა ჰქვია ამას?
რად მინდა შვილი ხმალს არ იქნევდეს, გადაჰყვებოდეს მხოლოდ სმა–ჭამას
ასე გამოდის მე დღეს გავიგე მოღალატეთა ჩაფიქრებული
და თუ არ ვუთხარ საქვეყნოდ მეფეს, მოღალატე ვარ მეც ბედით კრული
უფალო მეფევ ოღონდ ნუ მკითხავ საიდან ვიცი, ვისი ნათხრობი
შენს წინააღმდეგ შენ გარე მეოფნი, ლესავენ ხანჯალს ჩუმ–ჩუმად წლობით
და დღეს გამჟღავნდა მათი მოთავე არის აგათი, მოძღვართ–მოძღვარი
ასფაგურია ამისი ხმალი, არმაზის კერპი სახელის ფარი.

დღეს ამ ადგილას შუადღის პირას ჰქონდათ თათბირი შენაპირები
ჩუმად ლესავდნენ კლანჭებს და კბილებს, ვით იქცევიან მშიერი მგლები.
დაუდგენიათ ადარბადაგანს გზას გაუყვება დღეს ასფაგური
სპარსეთის მეფეს ჯარი ჰყოლია შენ წინაღმდეგ ათასი ჯურის
უმეგზურებენ ის და ვამეხი, აქ კი გეზს მისცემს ჩვენი მომღვარი
ფეროშთან უკვე აწვიეს გზირი, რათა დალახოს ოვსეთის კარი.
შემდეგ აფსაგურ დაჯდება ტახტზე, ასეთი არი ჩანაფიქრები
შენი სიბრმავის იმედიც ჰქონდათ, ბრმა ომში სარდლად როგორ იქნები

**აგათი –**

ცილისწამება არის ეგ ყველა, არმაზი დაგსჯის სხვის ავის მდომელს
ყველა მეგონა მაგრამ თუ მტრობდი კერპების მსახურს, მონას და მშრომელს
ვერ ვიფიქრებდი. და ვერცა იმას კაცს თუ შეგემლო ცილისწამება.
მიწაზე ცოდვის თუ არ გაქვს რიდი, ზეცაში გულის მისგან წამება
შენი ღმერთია რომ ამბობს ასე: მახვილის ამღებს, მოკლავს მახვილი
მე არ მინდოდა შენ მაიძულებ, შენ დაღუპვაში შენვე გაქვს წვლილი.
უფალო მეფევ, ქვეყნის დიდებავ, სამართალს გთხოვ და მოველი კიდეც
თვალი თვალის წილ თუ არი წესი, ვინც რას დასთესდეს იმას მომკიდეს.
მე აქ მყავს მოწმე, ის დაიფიცებს, რომ უფრო ადრე ვერ გავიმეტე,
მაგრამ რადგანაც სიმართლეს ვეძებ, ვიტყვი რომ მტერი არი ადმეტე.
და ჩემი მოწმეც აქავე არი, აქ ყველამ იცის აბიათარი
დიდი რავინი, ჰურიტთა მამა, მცხეთის მშვენება, ბრძენი და წყნარი.
დამემოწმება კაპადოკიელს ამისი ქალის რამ კლავს სახმილი
ყველას იბირებს, ბევრსაც იპირებს რათა შენ სახელს მიადგეს ჩრდილი.
დღეს მისგანაა აქ დანიშნული ქრისტეს მდევართა ამბოხი რამე
დიდხანსა ბჭობდნენ როგორ მოიქცნენ, ვის დაუყენონ შავბნელი ღამე.
როცა გაიგეს თვალთ დაგიბნელდა, პირი პირს მისცეს, ხელს დაკრეს ხელი
სჩანს აცთუნებდა ჭინკა–ეშმაკი, მიზანი ჰქონდათ რამ საზარელი
აქ მოიტანონ ნათელი ჯვარი ესეც შეთქმულთა მამხილებელი
მე მელზე გასმას მოვითხოვ მისას, ჯალათს მოუხმეთ, გათალეთ მელი.
*/ კერპთაყვანის მცემლებს თავხევისმერის მეთაურობით შემოაქვთ ჯვარი და სდე-ბენ/*

**რევი მირიანის მე –**

თუ თვალი კაცის გულ ნადებს ამხელს, ენა სამხილის არი მფარავი

ბოლოს ერთია ცოდვის სიმძიმე ოქროს ამღები, აზრის მპარავი.
კაცი თუ მრუდობს, სიმრუდე არი, ხანჯალი დაჰკრა თუ უმტრო ენით
ღალატი მაინც არის ღალატი ოქროზე ჰყიდი თუ ჰყიდი რწმენით
მეფევ რაც ითქვა, მენიშნა დიდად, თუმცა არ ვიცი რაა ყოველი
ნუ ავჩქარდებით, მეცა მყავს მოწმე მაგრამ აგათის მოწმეს მოველი.
აგათი ამბობს ადმეტეს ღალატს დაემოწმება აბიათარი
უბრმანე წარსდგეს, მის უფალს ჰფიცოს და მერე გვითხრას სიმართლე მწარი
მერე მეც ვიტყვი მოწმე მეცა მყავს ქეჯნის გრძნობებით დატყვევებული
მომგვარეთ აქეთ ჩემი მსტოვარი თან გაამზადეთ ნალესი ცული.

**მეფე მირიანი –**

მიბრძანებია, ისე გადაწყდეს როგორაც რევი იტყვის მართალი
ვინაც ჩაითქვას ქვეყნის ღალატი, იმას დაევსოს სამიწე თვალი
აგათი ჩვენი მოძღვართ–მოძღვარი, პატივნადები არმაზის მცველი
არ გვაკადრებდა ცილით საუბარს, ბრძენია თითით საჩვენებელი.

**აგათი –**

მეფევ თუ ვსტყუი მომეცი ნება გამოვუტანო ჩემს თავს სასჯელი.
თუ მართალი ვარ ნდობას მოვითხოვ თუ არა დამწვით როგორც სანთელი.
მითხარ როდემდე უნდა ვითმინოთ ქრისტიანების ურცხვი თარეში
ნინოს ლოცავენ კაპადოკიელს, მოგვწყდეს, წავიდეს თავის მხარეში.
ყველა ვინც იმან აცთუნა ჩვენში, რომ არ დაატყდეს რისხვა ზადენის
ილოცდნენ უნდა, რომ აღარ ჰქონდეთ ავი სახელი ცოდვის ჩამდენის
განვაგდოთ ნინო, იმისი კერო, ვადიდოთ მხოლოდ კერპნი მამათა
მე სხვას არას გთხოვ, დაგლოცავ მუდამ, გადაგექცევი რწმენის სანათად.
სხვა ხატი არ მაქვს, სხვას ვერ ვიგუებ, ვერ ვნახავ არმაზს დამდაბლებულსა
ჯვარზე გაკრული რად მინდა ღმერთი, მას ვერ შევწირავ ჩემ სიყვარულსა.
კარგად ვიაზროთ ჩვენთა წინაპართ მუდამ მრისხანე ჰყავდათ ღმერთები
ერიც ამიტომ იყო ბრწყინვალე, ჰქონდა ზღვებამდე გაშლილი ფრთები
განა შენ თვითონ არმაზის ძალით არა ლაშქრობდი ხაზარეთამდე?
შენი არ არის კავკასიონი ნიკოფსიიდან დარუბანდამდე?
დროებით თუ სთმე არიან ქართი, თრდატეს მიეცი ახლა სომხეთი
ხომ არა ნიშნავს დავკარგეთ ძალა, არა გვაქვს აზრი, განგვიდგა ღმერთი.
თუ არა, ვიტყვი რწმენის და ბრძოლის გაურილან ქვეყნად სავალი გზები
მე ვერ ვიგუებ კერპების სირცხვილს არმაზს წავალ და შევეწირები.

მაგრამ მანამდე ერს შევღაღადებ იყვნენ ერთგულნი მამათ სისხლისა
ვინ არის ჩვენში ქვეყნის ორგული, მტრისთვის მიმცემი თუნდაც მისხლისა.
ოვსების ნდობა, სომხების ნდობა ქართებს ოდესმე გამოადგებათ?
მალას თუ გრძნობენ, ჩუმ-ჩუმად გვმტრობენ, როდის გაგვიხდნენ უტყუარ მმებათ?

თავად ბერძენი, დათაფლულ ენით, მალას გვპირდება, ქრისტეს ქადაგებს
ვითომ არ გვიცნობს, ჩვენ მიწას იპყრობს, ჭალისის მხარეს უკვე განაგებს
მასთან ბრძოლაში განა სპარსეთი არ იყო ჩვენი შემწე და მალა?
ახლა რა ხდება, მველი რად კვდება, რწმენა რა ფიქრმა გამოგვაცალა?
მე ვერ ვიგუებ ამდაგვარ ღალატს, წავალ და ნინოს დავუთმობ არეს
არმაზის სახელს ვარ შეწირული, იმის ფეხთა ქვეშ ვპოვებ სამარეს.
მხოლოდ ერთს შეგთხოვთ, სანამ რას იზავთ, გაითავისეთ სამშობლოს ბედი
რომ არ დაღუპოთ ნაგები მველთა, რომ არ შემოგწყრეთ ხვალ შემოქმედი

/აგათი გადის. მცველებს შემოჰყავს პელიოსი/

**რევი მირიანის მე –**

მეფევ და მამავ, ვგრძნობ ეჭვი გმალავს, სანამ გადაწყვეტ განვსაჯოთ წვრილად
თუ საქმეს აწყობს მეც დავისჯები, მოსავლელია მტერიც კი ფრთხილად.
სანამ ვიტყოდე, აგათიმ ეს თქვა, როცა აგინა ქრისტე და ჯვარი,
ყველა სიმართლეს, ყველა სიმრუდეს ახსნის ბრძენ კაცი აბიათარი.

**აბიათარი –**

უფალო მეფევ, მეხს უფრო ჰგავდა ჩემი აქ მოწმედ დასახელება,
იქით და აქეთ იმდენი ითქვა, გამოვა აზრთა მაღალი წყება.
ერთი მენიშნა, ქრისტიანებზე ამ დილას გვქონდა ჩვენ საუბარი
როცა აგათიმ ნინო აგინა და პურიტებსაც გამოჰკრა მხარი
დამაკნინებლად როცა მომიგო, ჩემ ერს მიუგდო სიტყვები მწარი
მაშინ ვუთხარი, რომ იმის ჯინზე აღიმართება დღეს ქრისტეს ჯვარი.
ახლა არ მესმის ამ ჩემ სიტყვებში რაა სამოწმო და ან ღალატი
ვისაც გვიბრძანებ იმას ვცემთ პატივს კერპები არის თუ ქრისტეს ხატი.

**რევი მირიანის მე –**

ასეც ვიფიქრე პურიებისგან არ უნდა გვქონდეს რქენა და წყენა

გაღმელზე იტყვი, გამოღმა შეგრჩეს, მტყუანს სჭირდება ასეთი ენა.
ახლა კი ვიტყვი რაც შემიტყვია, მერე განვსაჯოთ სიმართლის წონა.
ციხე თბილისთან აქეთ მომავალს შემომეყარა აი ეს მონა.
ცბიერი მზერა, თაყვანი, კდემა, იყო საეჭვო, ვატყვევე მალით
გაქცევა სურდა, მენიშნა ცუდად და გუდა, უბე მოვსინჯე თვალით.
გადამალული ვნახე ეტრატი და ისეც ჰქონდა დანაბარები
წამოვათრიე, მათრახის ხმაზე მძიმედ გამიღო ენის კარები.
მგონი სჯობს თვითონ მოგვითხროს ყველა, სად მიდიოდა ანაჩქარები
რა საქმე ჰქონდა, ფიქრით სად ქროდა, რისთვის დალახა მცხეთიდან გზები.

*/ჰელოსსდაადგებენმეფისწინ/*

**მეფე მირიანი –**

მიბრძანებია

**ჰელოსი –**

უფალო მეფევ, ქვეყნის დიდებავ, მე თვითონ მსურდა ამ ამბის თხრობა
სულ ყველას ვიტყვი, ოღონდ სიცოცხლის, შეგთხოვ, რომ მომცე მეფევ პირობა
მე რა შემეძლო, უარი მეთქვა? ასფაგურ ბატონს თუ მოვეწონე
ბედი მქონია ისე წყეული ვის ვუერთგულე იმას ვემონე.
მცირე ხანია რაც მე გავიგე ჩემი ბატონის გულში ნადები.
კარგი იყო თუ არ იყო კარგი, არ იყო ჩემი ჭკუის ნაგები
მე ვასრულებდი რასაც მეტყოდნენ, ეს ქცევა იცი მონის ვალია
ვინაც ეურჩა ბატონის ნებას, იმან ცხოვრება მწარედ გალია.
მოძღვართ მოძღვარი, ჩემსა ბატონთან რამდენიც ვიცი ხშირად ხვდებოდნენ.
სულ იყვნენ ცალკე, მე არ მისწრებდნენ, აბა რა ვიცი ჩუმად რას ბჭობდნენ.
დღესაც ეს იყო, მე ვიყავ მზირზე, არ ვიცი მათი აზრის საგანი.
ადარბადაგანს მიბრძანეს ხლება, როგორ მიმეცა უფლისთვის განი.
ეტრატიც მომცეს, თავადაც ხედავ, მაგრამ რა ვიცი შიგ დაწერილი
დამსაჯოს ღმერთმა თუ რამ ვიცოდე, ღალატით არ მაქვს ხელი გასვრილი.

**რევი მირიანის ძე –**

თუ სიმართლეა, სიმართლე იყოს, ღმერთის წინაშე ვიყოთ მართალი
თუმცა ვიცოდი, ვეჭვობდი მაინც და ამიხილა ამ მონამ თვალი.

ასფაგური რომ არ ისვენებდა, სამეფო ტახტსაც თავისად თვლიდა,
ვამბობ ვიცოდი, ამაზე სიტყვა მე მომდიოდა სხვადასხვა მხრიდან.
ისაც ვიცოდი აგათიმ ზარდა, აღმზრდელს აღზრდილი ზოგჯერ ხვდებოდა
მაგრამ თუ მასაც ღალატში წვლილი ჰქონდა, მითხარი ვინ მიხვდებოდა.
სპარსეთის მეფე ჯარს რომ აგროვებს, მსტოვრებმა უკვე თქვეს დაჯერებით
ვის წინააღმდეგ ეს არ ვიცოდი, ვიტანჯებოდი მძიმე ეჭვებით.
ახლა გაცხადდა ყოველი საქმე, ასფაგურ მიდის ადარბადაგანს
ერთად რა უნდათ, ვის წინააღმდეგ გაიგებს ვინაც ჩახვდება საგანს.
ამ მონამ იცის იმაზე მეტი ვიდრე გვითხრა და ეტრატს წერია
თავის ბატონის არის ერთგული და ერთგულებას ვერ მოერია.
უჯარმის ციხეს ჩავაგდებ ბნელში, იტყვის რაც იცის და რაც არ იცის
სხვის ერთგულება კარგია, მაგრამ არა გატეხა სამშობლოს ფიცის
ვნახოთ რას იტყვის აგათის ირგვლივ, ვიცნათ ვის რა აქვს გულში ნადები
მცველნო წაიყვათ, მიაბით ჯაჭვით, საქმე არ ვარგა გადანადები
მეფეს კი შევთხოვ, მამავ ძვირფასო, ერთი აზრი მაქვს, დამიგდე ყური
დღეს ქრისტეს რჯულზე ბევრსა მსჯელობენ, ისმის აზრების აურზაური.
კაცს ეგონება უცხო ხილია, არ ვიცით მისი ფერი და გემო
ზოგი რას იტყვის და ზოგი რასა, რიტორიკობა სურთ დაიჩემონ.
ნინოს ირგვლივაც იტყვიან აუგს, უნდათ შელანძღონ წმინდა ასული.
მას ვერწმუნები იცი ფარულად, არა ვარ რწმენით თავგადასული.
ახლა ეს მინდა, კახეთს მეწვიოს, ჭეშმარიტ ღმერთის მომითხრას ყველა,
თქვენც დაისვენებთ ვისაც არა გწამთ, ასე გამოვა ერთურთის შველა

**ქამთა მროველი –**

სანამდე მეფე იტყოდეს სათქმელს, მე დავაზუსტებ ამდაგვარ რამეს
ზოგჯერ სიბრმავით, ხშირად სიმწარით მზეს ვარქმევთ მთვარეს, დღეს ვარქმევთ ღამეს.
აგაფანგელი აქებდა სომხებს, ქრისტეს რჯულს ვიცავთ, ვართ ბრძენი ერი
პატრიარქ ევსტათს, ბერძენთა მამას, უფრო მეტი აქვს ამ მხრივ სამზერი.
ისე გამოდის ქრისტეს ჯვარს ფიცავს ყველა, ვის ძლავრობ ახალი რომი
ჯერ ჯარი მიდის, იპყრობს ქვეყანას, მერე იწყება აზრების ომი.
სადაო ამ მხრივ არა არის რა, ჩათრევას რომ სჯობს ჩაყოლიება.
თანაც თუ ერთი იქნება ღმერთი, აღარ დააბნევთ, ღმერთებსი წყება.
მაგრამ როდესაც ვდაობთ ქრისტეზე, ის როგორ იყო, ეს როგორ არი
ნუ გავიწყდება, რომ სხვებზე ადრე კოლხმა დარეკა ჯვარცმულის ზარი.

აბა ასე ვთქვათ, ანდრია წმინდა, პირველწოდებულს უწოდებს ერი
სად ქადაგებდა ჭეშმარიტ რწმენას, სად მოამრავლა მღვდელი და ბერი?
სიმონ კანანელს ეუტვიან ასევ, სადა ცხოვრობდა, სად აქვს სამარე?
სიმართლეს უნდა შეხედო ჯიქურ, გინდ ტკბილი იყოს და გინდა მწარე
კონსტანტინემ რომ აწვია კრება, მას შემდეგ გავლო თორმეტმა წელმა
იქ იყო ჩვენგან ეპისკოპოსი, ჯვარი აღმართა, წმინდანის ხელმა.
და უფრო მეტიც. კვართი ქრისტესი გამოიტაცეს როცა აწამეს.
ჩამოიტანეს, მცხეთაში დაფლეს, არ უძინიათ გზაში ერთ ღამეს.
ქრისტიანობა ჩვენმა ჯილაგმა მას შემდეგ ბევრგან მიიღო რწმენად
ბევრგან დალანდავ ჯვარის მტვირთველებს თუ გადიქცევი ხედვად და სმენად.
და მოხდა ისე რომ სასომხეთში მეფემ იწამა ერმა კი არა
ჩვენ სამშობლოში მოხდა პირიქით, რწმენამ მდაბიოთ გადაურა
მეფე კი ჩვენი კერპებს ერთგულობს, ვით ფარნავაზი იყო ერთგული.
კაცი არის და გუნება არის, არის გონება და არის გული.
მაგრამ მთავარი ის კი არ არი, ვადიდო კერპი, ვატარო ჯვარი
ვანთო სანთელი, დავრეკო ზარი... ცხოვრება მინდა რომ მქონდეს წუნარი.
მინდა ვიცოდე როცა სპარსეთი დამესხმის თავზე, ან საბერძნეთი
მე ვინ დამიცავს, ვინ მომცემს მიწას, ვინ დამიფარავს, რომელი ღმერთი.
ახლა ირკვევა სპარსეთის მეფე ჯარებს აგროვებს, გრძნობას აწვალებს
ჩვენი ჯილაგი მას თუ ეახლა გზებსაც ასწავლის, აუხელს თვალებს.
მეორე მხრიდან ბერძენთა მეფე იგ ივ მუქარას ტკბილ ენით გვითვლის
რამდენს მოვიგებთ, რამდენს წავაგებთ, სუყველას ზომავს, გვიწონის, გვითვ-
ლის
უნდა განვსაზღვროთ რა რას ჯობია, რისა რა არი ამონაგები
ვერ ერწმუნები ვერც ერთის სიტყვას, ფლიდობით არი ორივ ნაგები.
მაგრამ ჩვენთვის ხომ ისეც ცხადია, თუ ასფაგური სპარსეთს ეწვია
წინასწარ იყო ეს შეთანხმებ, სხვას რას შეეძლო გამოეწვია.
მაშინ გამოდის ყველაზე უმალ აქედან უნდა ველოდეთ რქენას
ამიტომ გვმართებს ფიქრების დაწვნა, უცებ არ უნდა ავდევდეთ ენას,
სპარსი წამოვა, ეს იმას ნიშნავს, ზურგში დაგვარტყავს ოვსი-ხაზარი
ბერძენ-სომეხი თუ არ მოვირთვით იქნებ ცხოვრება დადგეს საზარი.
ახლა ისიც ვთქვათ, როცა გვემუქრის, რაა მიზეზი საპარსის შურისა
იქნება მეფემ არმაზის ნებით, მაზდეანები ასაჭურისა.
არა და არა. შორს გამიზნულად არმაზს რომ ეტრფის, ცეცხლსაც თაყვანს სცემს

როცა ჟამია, სხვაზე უმეტეს სპარსელზე მეფე წყალობას გასცემს.
აქ ერთად-ერთი მიზეზი არი მიწის ბარაქა და სილამაზე
ზოგი ამიტომ აღმართავს მახვილს, ზოგი გვიმღერის დათაფლულ ხმაზე.
ბერმენი გვეტყვის იწამე ქრისტე და მე ამ ომში დაგეხმარები
არა მგონია მხოლოდ ამიტომ მრავალთვიანი დალახოს გზები.
ყველას თავისი აქვს საწუხარი, და თუ ხვალ იგივ განმეორდება
დღეს ვიცნობთ ქრისტეს, ხვალ ახალ რწმენას, ზეგის ვინ იტყვის, ზეგ რა მოხდება?
ამიტომ ყველას აჯობებს, მგონი, ჩვენ ჩვენი რწმენით ვიაროთ წინა
სხვისი დაკვეთით ვინაც იცინა, ცხოვრებამ მწარედ იმას დასცინა.

**მეფე მირიანი –**

დღევანდელი დღის ვარ კმაყოფილი, მადლი მას ვისაც მიუძღვის წვლილი
რამდენი სიტყვა ვისმინე ზრდილი, აზრთა თავთავი იყო დაყრილი
დილას, როდესაც გაველი მუხრანს, სულ არ მეგონა ასე მოხდება
ციხისძირს მიველ, ვნახე ციხენი, გადავიარე მინდვრების წყება
ფიქრი მტანჯავდა ათასი სახის, თან სიცხე იყო, ბუღი დიოდა
ასე მეგონა პირიმზის რისხვა, სხივების ძალით ტვინში ჰკიოდა.
მეფის საზრუნავს რა დალევს ქვეყნად, განსასჯელია ათასი რამე.
რომ დავფიქრდები, ასეთ ცხოვრებას, სჯობია მონის, თუ აქვს სიამე.
შემშურებია ცხოვრება ქედნის, უბრალო მჭედლის და გუთნისდედის
მაგრამ რას იზამ, კაცი კი არა, ღმერთი ყოფილა გამჭედი ბედის.
რამდენი დღეა მსტოვრებმა მაცნეს სპარსეთის მეფის ჯარის შეკრება
ასევე კარგად ვიცოდი ყველა, საბერძნეთიდან მომღვარის ხლება
რომელიც მახლდა ოვსეთის ომში, იცის ფეროშმა დამბანა ფეხი
და უკვე მაშინ გუმანით მივხვდი რატომ ზრუნავდა მასზე ვამეხი.
ასფაგურს ამბობთ, მისი ამბავი არ ახალია, ჩემთვის ძველია.
თრდატი მოყვარე ხომ არი ჩემი, მაგრამ ეშმაკობს როგორც მელია.
ათასი უნდა მეფიქრა გეზი, რომ სწორე იყოს ბრძანება ჩემი
ზოგი მტერია, ზოგი ფეხს გვიდებს, სურთ ქართი ნახონ ძირს დანაცემი.
ჩემი ვალია ერს ვუპატრონო, რომ არ დაგვიდგეს წუხილის ბოლო
პასუხი გავცე, სიტყვა ვისმინო, არც ერთს ხინჯი თან არ გავაყოლო.
ეს ადრე იყო ჩემთვის  ადვილი, ჯეელობასაც აქვს თავის ძალა,
ირგვლივ ბევრი ვინ დამილაშქრია, წლებმა მეც ჯანი გამომაცალა.
მტერს შევკივლებდი, ბოლომდე ვსდევდი, გვერდით რომ მედგას ჩემი ბაქარი

ფრთამოტეხილი, თუნდაც არწივი, ცაში ამფრენი მაინც არ არი.
აი ამ ფიქრში ვიყავი როცა, ჩემს ირგვლივ უცებ ჩამოწვა ნისლი
მზე არ მზეობდა, მთვარეც არ იყო, გადაიხურა ქვეყანა ისლით.
ვიყურე ერთ ხანს, ვერ ვგრძნობდი ჩემ ტანს, გულისა ფეთქვას, სუნთქვის გასატანს
თურმე მხედავდნენ ჩემი მხლებლები რომ ჩემი სული ჯანს მალას ატანს.
მე კი გარშემო ვერას ვხედავდი, რამდენი ხანი ასე გავიდა
და მერე გვიან მოვიდა აზრი, განსჯა დავიწყე გულში თავიდან.
თუ მოხდა ისე, ცეცხლს არ ვცემ თაყვანს, ამიტომ თავში ცეცხლი ამენთო
მაშინ სპარსულად ვილოცებ გულში და შენ მიშველე სპარსულო ღმერთო.
ვილოცე კიდეც, მაზდეანურად ცას აღვავლინე ლოცვა-კურთხევა
ცეცხლი, რომელმაც დამწვა თვალები, ტანზე რატომ არ შემომეხვევა.
არ გაჭრა ლოცვამ. მერე ვიაზრე, იქნებ ვარისხე არმაზ-ზადენი
ვილოცე გულში, შევთხოვე შვება, არა ვარ მათთან ცოდვის ჩამდენი.
ცალკე ვევედრე გაცსა და გაემს, ცალკე ვახსენე მთიელთ კოპალე
როცა არ გასჭრა, ვევედრე ყველას, სულ სათითაოდ კერპნი მოვთვალე.
გულით ვდარდობდი, რა ვთხოვო ღმერთებს, რომ დამიბრუნონ თვალისა ჩინი
არ დავაღონო ჩემი ქვეყანა, მტრების არ გავხდე მე დასაცინი.
აქ გაიხსენეს მრავალი კერპი, მე უფრო მეტსაც საკლავს შევპირდი
გონების ძალით მე ჩემ თავს ვსჯიდი, თვალი არ მქონდა, გულითა ვმზირდი.
ვერ ჩამოვიხსენ ზმანება ავი, ვით დილით კალო ბრუნავდა თავი
თუმცა ვერ ვნახე ფიწალი, კავი, ჩაბნელებულმა ვლეწე თავთავი,
და ბოლოს როცა მომიწყდა ღონე, გულის იმედად ეს მოვიგონე
გონებით ყველა ღმერთი ავწონე, ვიდარდე არც ერთს არ მოვეწონე.
და მაშინ იყო ანდეზე ეს ვთქვი აქიმი არ მყავს, მიშველის ნინო?
ნინოს ღმერთს ვთხოვე მომეცი ძალა, ჩემსავე თვალში გავხდე საჩინო.
თუ რამე გცოდე, მოვინანიებ, ვიქნები შენი ჯვარის მტვირთველი
მე მოვამრავლო ეკლესიები, ქრისტიანობის გავხდები მცველი.
ნინოს სახელზე ვილოცებ მუდამ, დილა-სათამოს ავანთებ სანთელს
ნუ დამიობლებ საყვარელ მამულს, ნუ გამომტაცებ თვალიდან ნათელს.
ამის თქმა იყო და მე ვიგრძენი, ღმერთმა სიცოცხლის მომიძღვნა მღვენი
ჩამიდგა შუქი, განათდა ირგვლივ, გული აღმევსო ახალი რწმენით.
იგ ივეს ვიტყვი ბევრი რაც ითქვა, არც მე მეწამა ქრისტე და ჯვარი
მაგრამ სხვა ღმერთმა თუ არ მიშველა, თუ გაუჩინა ჩემ რწმენას ბზარი,

თუ ნინოს ღმერთმა, მან ერთად-ერთმა. სასოწარკვეთილს შთამბერა სული
თუ არ დამაგდო ბედის ანაბრად, არ გამიხსენა ბნელი წარსული
მომბერა სიო, სიბნელით მზირალს, გულს ჩამინერგა ტკბილი იმედი
რატომ ვაგინო მე ჩემი ბედი, ნუგეშმომცემი, და შემოქმედი.
როცა ვუსმენდი რიტორიკობას, უფრო განმტკიცდა ჩემში ის რწმენა
ქრისტეს ნებაა ქვეყნის აღმასვლა, კაცთა ჭიდილი, ვარსკვლავთა ცვენა.
ამიერიდან ჭეშმარიტ ღმერთის მრაცხდნენ მოწამეს და მოტრფიალეს
ვწირავ მადლობას ვინც ადრე იგრძნო, ეს ხე მოსჭრეს და ჯვარი გათალეს.
მე ახლა ვბრძანებ მომებნეთ ნინო, მსურს განვინათლო ქრისტიანთ წესით
და ჩემი ერი მინდა რომ ეუმოს მას ვისი მალის ვართ განაკვესი.
ამიერიდან ჩემი ქვეყანა მინდა სხვა ღმერთებს აღარა ცნობდეს
სხვა სალოცავი აღარა ჰქონდეს, და სხვა სიხარულს აღარა გრძნობდეს
უმეტეს ქრისტეს სამსახურისა, უმეტეს ქრისტეს ლოცვა-კურთხევის.
ბრძანება არის განსანათლავად, ხმას ვის მივაწვდენთ, სულ ყველას წვევის.
რადგან არ ვიცი წესი-ადათი, სანთლის ანთება, პირჯვარის წერა,
საგალობელნი, შესაწირავნი, ლოცვის წარმოთქმა, ღმერთზე სიმღერა,
როცა ვუსმინე რიტორიკობას, ცოდნით სულყველას გადაამეტე,
ამიტომ ეს მსურს ყველა განაწესს შეასრულებდეს ჩვენში ადმეტე.
პატრიარქ ევსტათს მე მადლს შევწირავ, რადგან ასეთი აქვს დავალება
კარგი იქნება თუ თავის რჩევით საღვთო საქმეში დაგვეხმარება.
აბიათარო, რადგან ეს რწმენა, შენი ჯიშის ერს აჩუქა ზენამ
ჩემთან ერთად მსურს გადაინათლო, თქვენშიც იბუდოს სიმართის ლხენამ.
ადმეტეს ვეტყვი, აღმართე ჯვარი, ერს გაუმეხი, გვილხინე სული
ნათელი მინდა მივიღოთ დღესვე, სანამ არ არის დრო გადასული.

**პატრიარქი ევსტათი –**

ვკადნიერდები მეფევ და ვიტყვი, ადმეტე არი საერო პირი
რათა ის გახდეს მღვდელთა მთავარი, უნდა იცვალოს სახელი, ნირი,
თუ თანახმაა

**ადმეტე –**

მე თანახმა ვარ, ჩემს ფიქრს დაერთვის მეფის სურვილი
თუ საღვთო საქმე მაკისრა მეფემ, ამით მომიკლა რწმენის წყურვილი,
ეს იყო ჩემი ოცნების ბოლო, თუმდა არ მსურდა ამის გამხელა
ახლავე ვტოვებ საერო სამოსს და იოანეს ვირქმევ სახელად.
მე ხელდებული მეფის და ერის, ვიქნები დიდი ჯვარის მტვირთველი

დამლოცავს ნინო, დაგ ლოცავთ ყველას, სვეტი აღვმართოთ მომეცით ხელი
ღმერთი ვადიდოთ ,სიწმინდით ვზიდოთ, ქრისტეს მლოცველის ნიშანი–ჯვარი
სვეტი აღვმართოთ, გ ზა მივცეთ ფართოდ, თავი აუწით, შეუდგ ით მხარი
დიდება უფალს, მისი ნებაა, რომ დაგ ვეფინა წყალობა დიდი
მეფევ დალოცავ, დაგ ლოცავ იმ გ ზას რომლითაც ქრისტეს მცნებამდე ვლიდი.
ვადიდოთ ღმერთი, ვადიდოთ ერთად, ჩვენი გ ალობა ზეცას მისწვდება
ჭეშმარიტება იბუდებს ჩვენში, ხვალ ის მიმხვდება, ვინაც დღეს ცდება.

*/ იოანე ადმეტეს ლოცვა–ხელმძღვანელობით ჯვარს აღმართავენ თან გ ალობენ.*
*უფალო შეგ ვიწყალე, უფალო დაგ ვიფარე, უფალო დაგ ვაპურე,*
*გ ვარიდე დღენი მწარე, კალთა გ ადაგ ვაფარე, დაიცავი ეს მხარე,*
*უფალო შეგ ვიწყალე, უფალო დაგ ვიფარე/ .*

**იოანე–ადმეტე:** ქვეყნის შემოქმედი, მზისა და მთვარისა ყოვლისა ცოცხლისა, ყოველი მხარისა ცოდვილის ყოფითა, წმინდანის სულითა ვადიდოთ უფალი მართალის გ ულითა

**მლოცველნი:** უფალო შეგ ვიწყალე, უფალო დაგ ვიფარე, უფალო დაგ ვაპურე, გ ვარიდე დღენი მწარე, კალთა გ ადაგ ვაფარე, დაიცავი ეს მხ–არე, უფალო შეგ ვიწყალე, უფალო დაგ ვიფარე

**იოანე–ადმეტე:** ვინც სული ჩაგ ვიდგ ა, ვინც ხორცით გ ვადიდა ვინც ჩვენში ჩასახლდა, დაგ ვლოცა თავიდან ვინც ჩვენთვის შეამკო სიტურფით ტყე–ველი ვადიდოთ უფალი ნუგ ეშისმცემელი

**მლოცველნი:** უფალო შეგ ვიწყალე, უფალო დაგ ვიფარე, უფალო დაგ ვაპურე, გ ვარიდე დღენი მწარე, კალთა გ ადაგ ვაფარე, დაიცავი ეს მხ–არე, უფალო შეგ ვიწყალე, უფალო დაგ ვიფარე

**იოანე–ადმეტე:** ვინაც ნუგ ეში სცა გ ულით მგ ლოვიარეს,წამებით და ტანჯვით ვინც ქვეყნად იარეს ვიანც გ ანიკითხა მრუდი და მომალე ვადიდოთ უფალი ნიადაგ მოწყალე

**მლოცველნი:** უფალო შეგ ვიწყალე, უფალო დაგ ვიფარე, უფალო დაგ ვაპურე, გ ვარიდე დღენი მწარე, კალთა გ ადაგ ვაფარე, დაიცავი ეს მხ–არე, უფალო შეგ ვიწყალე, უფალო დაგ ვიფარე

**იოანე–ადმეტე:** ნეტარ იქნებიან უფლი სმორწმუნენი, შრომაში, ლოცვაში გ ანვატაროთ დღენი მშვიდობის გ ანძგ ები, სამართლის მოქმე–დი ვადიდოთ უფალი ჩვენი შემოქმედი

**მლოცველნი:** უფალო შეგვიწყალე, უფალო დაგვიფარე, უფალო დაგვაპურე, გვარიდე დღენი მწარე, კალთა გადაგვაფარე, დაიცავი ეს მხარე, უფალო შეგვიწყალე, უფალო დაგვიფარე

**იოანე-ადმეტე:** ქვეყნის შემოქმედი, მზისა და მთვარისა,ყოვლისა ცოცხლისა, ყოველი მხარისა ცოდვილი ყოფითა, წმინდანის სულითა ვადიდოთ უფალი, მართალის გულითა

**მლოცველნი:** უფალო შეგვიწყალე, უფალო დაგვიფარე, უფალო დაგვაპურე, გვარიდე დღენი მწარე, კალთა გადაგვაფარე, დაიცავი ეს მხარე, უფალო შეგვიწყალე, უფალო დაგვიფარე

*/ გალობისდროსშემოდისწმინდა ნინო/*

**წმინდა ნინო –**

დედაო ღვთისა, წმინდა მარიამ, ხელაპყრობილი გლოცულობ, გვედრი
ადიდე ერი, მამრი და მდედრი, ცით კურთხეული, შენი წილხვედრი
აღესრულება ნაანდერძევი, უფლის ნიშნული, ხაზი ბედისა
დავაგუგუნოთ ქვეყნის ზარები, დაგვიდგა ჟამი სულის წმენდისა.
რაც იყო, იყო, უღვთოდ, ურწმენოდ, მრავალი ცოდვის გზებით ვიარეთ.
გაუტანლობამ გატანჯა ჯანი და უმლურებით არ მოვიხარეთ.
საუკუნეთა გრძელი მანძილი ერმა ხმლითა და ცეცხლით იარა
კერპების წყება შექმნა-დაამხო, სულს გაუჩინა ცოდვის იარა.
ცოდვა ტრიალებს ხმელეთის ზურგ ზე და ცისარტყელის სიჭრელით კრთება
ბოროტი ხარობს ჩვენი სიმდაბლით, ძლიერი ძალით მართალი ხდება.
ერთ-ურთის ქიშპი, შური და წყენა, ყველა სიბილწე როგ ორ თქვას ენამ
ცოდვამ გვიწია, ცოდვის შვილები, უნდა დაგვიხსნას სიმართლის რწმენამ.
ადამის მოდგმა ერთი ძირია, სიმრავლის გამო განაყარები
ღმერთი თუ ზეცით ყველას თანაბრობს, კაცმა რად დახშას გულის კარები.
და თუ გვემლევა სიცოცხლის ფეთქვა, შიშველს ვითარცა ადამ და ევა
რატომ ვჭამთ ერთ-ურთს ოქროს გულისთვის, რატომ გვგონია ოქრო მირწევა?
რატომ არ ვიცით კაცობის წონა, რად ლაღობს ერთი, ბევრია მონა
კაცის გაწირვა, გონებით მწირმა, სად, როდის, რატომ გამოიგონა?
დავრდომილს რატომ არ ვუწევთ ძმობას, გადავყოლილვართ სიხარბის გრძნობას
სიმართლეს ვტოვებთ, სიცრუეს ვიწყებთ, ჯოჯოხეთს ვარჩევთ სამოთხის ცნობას.
ვინაც მოვიდა, ხორცით მოვიდა, სული შთაბერა უშველა ღმერთმა

რაც აქ აკეთა, მარტომ აკეთა, და რაც წაიღო, წაიღო ერთმა.
რასაც იხვეჭდა, მიაჩნდა ბედად, იქუხდა, გლეჯდა, ეშმას ევედრა
რაც დააგროვა, თუ გადამალა, შვილთა შვილების მიაჩნდა ხვედრად
ოქროს კენჭები ფეხთით ეყარა. ხომ ვერ შერჩება მაინც ქვეყანას?
იმისი სული ზეცას არ ავა, ქვესკნელს ჩაჰყვება, ჩავა ქვე ყანას.
კაცსა რად უნდა მომხვეჭელობა, თუ სტუმარია, უნდა წავიდეს
სჯობს ხორცი ტანჯოს, სული გაწაფოს, იქნება ღმერთთან ზეცას ავიდეს.
ვინაც იხილოთ მსუქნად და მდიდრად, თუნდა ყოველ წამს პირჯვარს იწერდეს
მოყვასის აუგს თუ ლხენით მღერდეს, ღატაკის ბოგინს თუ მშვიდად მზერდეს
თავისი ქცევით არისხებს ზენას, იმისი ტანი მიბმია ენას
ცხოვრება მისი დარჩება ოხრად, თვით ჩავარდება მძიმე გეენას.
ვინაც იხილოთ ღიად მარხულობს, ჩუმად ემლევა ქეიფს და ლხენას
კაცს თუ ატყუებს, ღმერთს მოატყუებს? ვისი იმედით ფიქრობს დარჩენას
ვინაც იხილოთ სხვას ჭკვას არიგებს, ენაწყლიანი არი ქადაგი
ისედაც იტყვის, ასედაც იტყვის, ჭრელია როგორც მეფის ფარდაგი
და ჩუმად ამ დროს მრუშობს და მრუდობს, სიმდიდრეს იხვეჭს სახელის თანა
თუნდა სანთელი ენთოს მუდმივად, განა მან იცის მოყვრის გატანა?
ვინაც სიმართლით განვლო ცხოვრება, არ მოჰკლებია ჭირვება, ვნება
ოქრო თუ აკლდა, სიბილწეც აკლდა, სიჭარბით ჰქონდა კაცური ნება.
ვინაც რწმენითვის ეწამა ქვეყნად, იმან იმ ქვეყნად ღმერთი იხილა
ვინაც შეიგრძნო ამ ქვეყნის სიბრძნე, იმან სხვა მრუდედ არ განიხილა
სიკეთის მთესი, ასეა წესი, გარშემო მყოფთში კეთილად ჭედავს
ავს ავი უყვარს, კეთილს–კეთილი, კაცი თავის მსგავსს შორიდან ხედავს.
ვინაც მონაში კაცს დაინახავს, გაჭირვებისთვის სხვას არ დაზრახავს
ნუგეში იცის და ყადრი მიწის, სიცოცხლეს ალხენს, ბოროტს დამარხავს
მართალი გულით ავა ზეცაში, თავისში ღმერთის მალას იხილავს
ვინაც არა და ეშმას მიჰყვება, ავსა და კარგსაც მისით იხილავს.
დღეს ჩვენში ღმერთის დიდება ისმის, ლაღად გალობენ ქრისტიანები
ჭეშმარიტების მიების ჟამად, მრავლად დავლახეთ ოცნების გზები.
ეს იყო ჟამი რწმენის მიების, სულის განწმენდის, კენჭთა სროლისა,
უნდა შევკრიბოთ ყოველი უკან, შევაჭდოთ ფიქრი მრავალი წლისა.
ჭეშმარიტება რაც უფრო ფასობს, მით უფრო ძნელად მოიპოვება
ის ჩვენთან არის, მას ვცეთ თაყვანი, მას დავუმონოთ ჩვენი გონება.
ამ მიებისას ეტანჯა ხორცი, რა ეკლიანი გზებით ვიარეთ
ის რაც მომავალს გაუტკბილდება, მოგონებებად დარჩება მწარედ.

ამიერიდან სამშობლოს ბედი, მისი სიამე და სიდიადე
ჯვარით იქნება გაბრწყინებული, იგი განსაზღვავს მიჯნების ვადებს
შევთხოვოთ უფალს სანამ მზე, მთვარე და ვარსკვლავები ცაზე იქნება
ქართი ქართობდეს, არეს არ თმობდეს, აღსრულდეს ერის და ღმერთის ნება.
ვილოცოთ ღმერთი ჩვენი შემქმნელი, ჩვენი იმედი, შემწე და მცველი
ვადიდოთ ჯვარი, დავრეკოთ ზარი, დავლოცოთ დიდი სვეტი ცხოველი.

*/ მორწმუნელი პირჯვარს იწერენ და გალობენ/*


ხყზარძახილხი

**(408 წელი
კონსტანტინეპოლი, იმპერატორის სასახლე)**

**ბაკურ იბერი —**

დღეს არჩევანი გაკეთდა დიდი, გამოჩნდა ყველა, ერთგული, ფლიდი,
კმაყოფილი ვარ, ასე რომ ვლიდი, კარგს კარგს ვარქმევდი, ცუდს ცუდად ვთვლიდი,
როცა ვარჩევდი დიდს და პატარას, მთავარი იყო კაცობა მისი,
როგორც იღწვოდნენ, ისე იცოდნენ, მოქცევა მქონდა შესაბამისი.
მართალი ვიყავ და სიმართლისთვის მოყვარეც კი მტრად მომკიდებია,
შური, დასმენა და ორგულობა უმადურობის ტყუპი დებია,
მიკვირდა მუდამ, საიდანა აქვთ ადამიანებს ღალატის ნიჭი,
მართალზე როგორ უნდა ამხედრდე, როგორ შეპკივლო, მიდი, დაიჭი!
ბუზმირ იბერი, ჩემზე უხნესი, უდიადესი სარდალთა შორის
ცხარე ბრძოლისას მიპარვით მოკლეს, რადგან პირისპირ არ ჰყავდა სწორი.
ოცდათერთმეტი წელი გავიდა და დღესაც მახსოვს ის შემართება:
გერმანელები აოტა მიჯრით, არ სჭირდებოდა თავის მართლება
და რა იცოდა, იმპერატორი საკუთარ სარდალს თუ გაწირავდა,
მიპარვით დასცეს მისი ბრძანებით, ვისთვის იბრძოდა, მისით გათავდა

**სუბარმახიოსი —**

ჩემო უფალო, ბაკურ ბატონო, როგორ იქნება არ მოვიგონო.
შენგან ვარ კაცი, შენი ვიყავი ხელდასადები და საპატრონო.
ყმაწვილი ვიყავ როცა აქ მოვხვდი, მშიერ-ტიტველი, მიუსაფარი.
შენ იყავ ჩემი ტანგრძელი შუბი, გაჭირვებისას შენ იყავ ფარი,
აქ რა მინდოდა, კოლხი ვარ მირით, სადაური ვის ვემსახურები,
თითქოს დიდი ვარ და დიდებული, მეც მყავს მონები და მსახურები,
მაგრამ ხომ ვიცი სად დავიბადე, სად აღვიზარდე, ავიდგი ფეხი,
საით ვიარე, როგორ ვიარე, მზეს სად ვჭარბობდი, სად მცემდა მეხი,
ცხუმიდამ აქეთ როგორ ვიცურე, გამოვიარე რამდენი ყურე,
როგორ ვითმინე, სხვისი ვისმინე, მტრის საამებლად არ გავახურე.
როცა აქ მოვხვდი მშიერ-ტიტველი, როცა უნდოდათ ჩემი სიკვდილი.
ყმაწვილი ბიჭი ვინ დამიფარა, მახვილი ჰქონდათ ჩემზე მიწვდილი.
ეს რომ არა ვთქვა, რაღა კაცი ვარ, მადლობის გრძნობა განა მკვდარია.
შენი სიკეთე, ჩემო ბატონო, ღმერთის წყალობის დასადარია.

სასახლის მცველთა რაზმში მიმიღე, სარდალი იყავ, გქონდა უფლება,
გზა გამიკვალე, ეს რომ დავმალო, ჩემ სულს ეშმაკი დაეუფლება.
დღეს რომ მე ვსარდლობ რჩეულ ლეგიონს, ადრე ხომ შენი იყო არჩივი.
კეისრის კარზე ვარ მიღებული, ყველა პატივს მცემს, არაფერს ვჩივი,
მიყვარს ქეიფი, ვარ ჩხუბის თავი, ვერ მოვიშალე ძველი ბუნება.
მაგრამ არ ნიშნავს სიკეთე ვერ ვცნა, არა მჭირდება შემობრუნება.
როგორ არა ვთქვა, რაც მაბადია, ყოველი არი შენი წყალობით,
სწრაფად მატარე ცხოვრების გზაზე, სხვები რომ ნაბიჯს ვერ დგამენ წლობით.

**ბაკურ იბერი –**

სუბარმახიოს, ყველა ასე გცნობს, დღეს ვისღა ახსოვს შენი სახელი.
იმპერატორის პატივი გმოსავს, გეთაყვანება ყველა მნახველი.
რომ არ გენახე, მოგეპატიჟე, გზაში სახითაც ვეღარ გიცნობდი.
თვალთაც დამაკლდა, ყურთაც დამაკლდა, ვის გადვეყარე, განა, ვიგრძნობდი
ძველი ვის ახსოვს, ვისა სჭირდება, ცხოვრება გარბის ახლის დევნაში.
სასახლის კარზე, უზრუნველები, დროს ატარებენ ქალთა ხვევნაში.
მაგრამ იყო დრო ამაღლებული, როცა ვგმირობდი, როცა ვკაცობდი,
ამხედრებული ისარს ვიჭერდი, ფიცხელ ბრძოლაში დაღლას არ ვგრძნობდი.
ბუზმირის მერე გავხდი სარდალი, იბერებს მოგვდგავს ასეთი ბედი.
სამარქაფო ჯარს წინ მივუძღვოდი, მაღალი მქონდა გადასახედი.
ბუზმირ იბერის სიკვდილის შემდეგ, წელიც არ იყო სრულად გასული,
ავგუსტოს ცხრაში მოხდა შეხვედრა, სიცხე სულს წვავდა წრეგადასული,
გერმანელებმა შემოგვიტიეს, ფრიდიგერნ ჰყავდათ დიდი სარდალი.
ჩვენ კი გვსარდლობდა იმპერატორი, ბრძოლისას ისიც არ იყო მხდალი.
ბარბაროსებმა გვაჯობეს ძალით, მოკლეს ვალენტინ იმპერატორი,
ორმოცზე მეტი სარდალი მცირე, ცხენთა და კაცთა დახვავდა გორი.
გადავარჩინე ვინაც მომენდო, მათით ვიხსენი დედაქალაქი,
ვინ დამინახა ეს თავდადება, სულმდაბლად იწყეს ქირქილ-ლაქლაქი,
თითქოს ის მარცხი ჩემი ბრალია, არ მომდევს მკლავი, ვერ ხედავს თვალი,
ზოგის სიდედლე გმირობად იქცა, ზოგს შეუყენეს ჭორების წყალი.
ვალენტიმ მოკლა ბუზმირ იბერი, არ მიგლოვია ამიტომ ბევრი.
დედაქალაქი ჩემ ხელში იყო, დავატრიალე სარდლებში კევრი.
თეოდოს მყავდა ძმად და მეგობრად, თავზე დავადგი მძიმე გვირგვინი,
დავსვი კეისრად და ვუერთგულე, მივეცი მხარი, დავლოცე ღვინით.
ჭანებმა იმ დროს ბევრი ქვეყანა მოგვიოხრეს და გაატიალეს,

სირიასა და კილიკიაში თავისი დროშაააფრიალეს.
იქით გავიჭერ, ჭანთა ტომები მალე დაზავდნენ როდესაც მნახეს.
იბერიული მირი აქვთ მათაც, არ დამიგებდნენ ვიცოდი მახეს,
რომს თუ რა სჭირდა, იყო საზარი, მე განვუმტკიცე ყველა საზღვარი
და თეოდოსის ვიდექი ბურჯად, გამოვიარე ომების ღვარი.
ასე ბოლომდე გავაგრძელებდი, რომ არა მისი მდაბალი ქცევა.
მუხა მუხაა, რომ ურტყა ცული, ისიც ოდესმე გადაიქცევა.

**სუბარმახიოსი –**

თექვსმეტი წელი გავიდა თუმცა, მეც კარგად მახსოვს რაც მაშინ იყო.
კონსტანტინედან მოყოლებული იმპერია რომ შუა გაიყო,
იყო მცდელობა გამთელებული კვლავ გადაეჭრად ორად და სამად,
გვირგვინი სურდათ, არ კითხულობდნენ ქვეყნის დაქცევა თუ ღირდა ამად.
დასავლეთ ნაწილს, თექვსმეტი წლის წინ ევგენიოსი წაეპოტინა.
თეოდოსი რომ რომს არ დათმობდა სწავლული იყო და ვერ მოტვინა.
თოთხმეტი წლის წინ, აქვილეასთან, სისხლის ღვრა მოხდა პირველობისთვის.
თეოდოსი ხომ მმას არ ინდობდა, ევგენიოსი ვინ იყო მისთვის.
ორ დღეს გასტანა უმღებმა ბრძოლამ, იცის სიხარბემ და ბევრის ნდომამ.
ორივე მხარე დაღალა სისხლმა, უმიზნო ცემამ, ჯიქურ მიხტომამ.
ახლაც თვალწინ მაქვს წარმოდგენილი, მიჰქროდი მტრისკენ ხმალამოწვდილი.
უკან მოგყვევით მე და ფარსმანი, როგორც მზიანში მოგყვება ჩრდილი.
ევგენიოსი შენ დაეც დაბლა, მიართვი მეფეს ვით ტკბილი ტაბლა.
როცა იხილეს შენი გმირობა, იქიდან მებრძოლთ დაეცათ დამბლა.
ფრანკი სარდალის მეთაურობით გაქცეულები მთებს შეეფარნენ,
მე და ფარსმანი მივყევით კვალში, გზა მოვუჭერით, ვერ გაიპარნენ.
არბოგასტ ერქვა ფრანკების სარდალს, თავი მოიკლა, როცა გვიხილა.
მისი ცოლ-შვილი იმპერატორმა არ შეიწყალა, არ განიხილა,
და რა იცოდა ტყვე ქალიშვილი, ულამაზესი ვით ამორმალი
დედოფლად მის შვილს დაუჯდებოდა, რქებს დაადგამდა, რაც ჰქონდა მალი.

**ბაკურ იბერი –**

ევგენიოსი, კარგი რიტორი, რომის კვესტორი, სახელიანი
ტყვედ ავიყვანე, ცუდი არ ვკადრე, ვესარჩლე, მაგრამ იყო გვიანი.
თეოდოსს ვუთხარ, ტყვის მოკვდინება, მეომრებს შორის წაგიხდენს სახელს.
არ დამიჯერა, გადამემტერა, სმულთ კაცი ვინაც პირდაპირ ამხელს.

ამიტომ იყო პალესტინაში სარდლად გამიშვა და მომიცილა.
იმპერია რომ ვუერთიანე, უმადურობა მივიღე წილად.
ასე ყოფილა კაცურ კაცობა არ არი თურმე ყველას არჩივი,
შენ მოსაგებელს სხვას თუ დაუთმობ, არ დაგიმადლოს, მერე რას ჩივი,
სატახტო ქალაქს მე ვიფარავდი და გავხდებოდი იმპერატორი.
სხვა გავამეფე, უკან მივდექი, თუმცა არ იყო ის ჩემი სწორი,
ღირსად მივიღე. ბევრს დაავიწყდა ჩემი სახელი, ჩემი კაცობა.
ბედს თუ ხელი ჰკარ, ბედის მპოვნელმა ასეთი იცის თურმე ანცობა

**თემისტიოსი –**

მე შენი მესმის, უმადურობამ ბევრჯერ გატკინა კეთილი გული,
მაგრამ ხომ გყავდნენ გვერდში მდგომებიც, მადლიერი და თავდადებული,
ჩემზე არ ვამბობ, მე მეომარი არა ვყოფილვარ გამორჩეული,
არ მისწავლია, არ ვაკეთებდი, დაქადნებასაც არ ვარ ჩვეული.
დედაქალაქის პრეფექტი გავხდი, ამაში შენიც არის წყალობა.
მაგრამ მთავარი არის სახელი, კეთილი აღზრდა და ნასწავლობა.
ფილოსოფია მამაჩემს და მე ფაზისში გვქონდა შეთვისებული,
ეს კოლხეთშია აკადემია, იქ გავიარე აღზრდა, წვრთნა სრული.
ზოგს მიაჩნია, თუ აქ ისწავლი, მოგემატება ჭკვა და გონება.
იქ მეტი იყო სიბრძნის ნაკური, ყოველი ტკბილად მომეგონება,
იმპერიაში ყველამ იცოდა ევგენიოსი, ფილოსოფოსი,
ამაღლებული თავისი ცოდნით. ნასწავლი იყო, უცხო საწმყოსი
იცოდა ყველა. ამიტომ იყო მეც იმ ქალაქში მწურთნა და მზარდა.
იქ შევიძინე თუ რამე მცხია კაცურ–კაცობა დიდ ცოდნის გარდა
ქცევა და ცოდნა იყო მთავარი სენატში როცა პირველად დამსვეს.
ასე აეწყო ჩემი ცხოვრება. მე ვუწოდებდი განცდებით სავსეს.
თუმცა მე ჩემზე კი არ ვსაუბრობ, მე შენზე ვამბობ, ბაკურ ბატონო.
ნამდვილი კოლხი თუ შენ აღზარდე, სხვაც ბევრი გყავდა შენ საპატრონო.
განსაკუთრებით ეს მაშინ ჩანდა, ძველ რწმენას როცა დაუწყეს დევნა.
ძველი ღმერთები უარყვეს მიჯრით, ქრისტეს ჯვარს უწყეს კოცნა და ხვევნა.
ლიბანიოსი უჭკვიანესი, რომელს არ ჰყავდა ტოლი და სწორი,
უდიადესი ფილოსოფოსი და უფრო მეტი როგორც რიტორი,
ქრისტეზე ხშირად ამბობდა ესე: ჯვარზე გაკრული მკვდრების ღმერთია,
საიქაოზე, საიქიოზე ყველა ზღაპარის შენაერთია.
მე მასზე მეტად მიყვარს ბაკურის თვალი და ტანი, ჭკვა და გონება,

უმაღლესი, სამართლიანი, ბრძენი თუ ვინმეს გაეგონება,
დიდი რიტორი, ლოგოსთა მთხზველი, მეგობარია მრავალი წელი.
მის ყურებაში დამღლია თვალი, მასზე წერაში დამღლია ხელი,
სხვას ვის უქია სხვისი კაცობა, რომ შენზე ნათქვამს დაუდოს ტოლი,
ვისა რგებია ასე პატივი აქ დასტოვი, იქ წასაყოლი?

**პრეფექტი ანთიმოზი –**

მეც დავუმატებ რაც კარგად მახსოვს. ლიბანიოსმა ლოგოსთა წყება
ბაკურს მიუძღვნა, იმდენი აქო, ყველა ერთბაშად არ დაითვლება.
მასთან სტუმრობას ყველა ნატრობდა, სიტყვა კაზმული აზრებს ათრობდა,
კამათში შებმას ვერვინ ბედავდა, ბრძენის მოსმენას ნეტავ რა სჯობდა.
შენ იყავ მხოლოდ გამორჩეული, პასუხზე პასუხს იყავ ჩვეული,
ნებისმიერ დროს შეგეძლო მისვლა, ლაღობდით ხელხელ გადახვეული,
ამიტომ არის, რომ სამდურავი არა ღირს ყველას ჩამოურიგო
და დღევანდელი დღის გამარჯვებაც პასუხი არის არც თუ ურიგო.

**ბაკურ იბერი –**

როცა სამდურავს ვუთვლიდი სოფელს, მათში მედიდურთ და ავის მყოფელს,
არ ვუჩიოდი იქ მცხოვრებ ყოველს, ცუდის და კარგის ვცნობ გასაყოფელს.
ამიტომ ეს ვთქვი, გაიდო ხიდი, დღეს არჩევანი გაკეთდა დიდი,
იმპერიას და იბერთ სამეფოს მეგობრობა გვაქვს ხელჩასაკიდი.
მოხარული ვარ, მეფე ფარსმანი, ვინც ბევრსა გვმტრობდა საკმაო ხანი,
აქ ჩამოვიდა, შეგვეკრა ზავით, დაგვიდგა ჟამი არდასანანი.
სუბარმახიოს, შენ გაიხსენე, როცა პირველად რომში გვეწვია,
რამდენჯერ გსურდა, ლამაზი, მძლავრი, ორთაბრძოლაში გამოგეწვია.
ჩხუბის თავი ხარ, მლივს დაგიშალე,ნუ იცი შფოთი, იფიქრე, ხვალე
ეს შენი მოძმე გახდება მეფე. შენც იამაყებ. ზრდა დაალალე.
დაგვიდგა ეს დრო, საამაყოა, დღეს შევიკარით უმტკიცეს ფიცით,
ხვალის საზრუნავს დღეს უნდა ფიქრი, ზეგ რას მოგვიტანს, არავინ ვიცით.

**სუბარმახიოსი —**

როდესაც შენი ჭკუით და ძალით სჭარბობ მეტოქეს, უყურებ თვალით,
ძნელია, დათმო მის სასარგებლოდ, დღეს მოსაგები შეცვალო ხვალით.
იმპერიაში ფარსმანის მოსვლა არ იყო ჩემი ჩამოსვლის დარი,
მე სიდუხჭირე მომაცილებდა და წინ დროება მელოდა მწარი.

რომ არა შენი დიდი სიკეთე, რითაც ცხოვრება გამომიკეთე,
სხვისი მონობა არ ამცდებოდა, შენ ბედის კვანძი მალით გაკვეთე.
ფარსმანს რა სჭირდა ჩემი სადარი? მაღალი ჰქონდა ჯიში და გვარი,
ვარაზ-ბაკურის შვილს და მემკვიდრეს ზურგს უმაგრებდა კეისრის კარი.
ამიტომ ჩემზე სწრაფად იარა, გულს გამიჩინა შურის იარა,
მეტოქეობის გრძნობას აყოლილს ერთბაშად თავზე გადამიარა,
სულ დასაწყისში, ხშირად, ამიტომ შუა ქეიფში მეწადა ჩხუბი,
რა იარაღით — სულ ერთი იყო: ხანჯალი იყო, ხმალი თუ შუბი.
მაგრამ როდესაც რომის მახლობლად, აქვილეასთან, ბრძოლაში ვნახე,
მივხვდი, ვაჟკაცი არის საჩინო. ეს აზრი დღემდე შემოვინახე.
მის ახოვნებას და სილამაზეს სჭარბობდა ომში მისი გმირობა,
შური შევცვალე აღფრთოვანებით და ერთგულების მივეც პირობა.
სიტყვა კაცური ბევრად მეტია, ვიდრე ბეჭედი და ხელწერილი,
კაცი ბევრია, თუ თვითონ კაცობ, სიმართლითა ხარ თვალახელილი.

**თემისტიოსი —**

ფაზისში ერთი ფილოსოფოსი ბევრს გვიყვებოდა სხვათა ამბებზე:
კოლხ-იბერებზე,პართიელებზე, ბაქტრიელებზე, საომარ გზებზე;
იმისგან ვიცი, ფარსმან იბერი არ იზრდებოდა ვით ნებიერი.
იბრძოდა ბედი და უბედობა, მეფის ძე იყო, იყო მშიერი.
ორმოცი წლის წინ მეფე შაბური, პართიის მეფე, ღმერთი და ლომი,
რომლის გმირობის და სიდიადის არ არსებობდა ქვეყნად საზომი.
ვინც რომს წაართვა სომხეთის მხარე, ტიგრსა და ევფრატს შორის მიწები,
იბერიისკენ შემოტრიალდა, სად მტრობა ჰქონდა დანაფიცები.
დაეცა მცხეთას, საურმაგ მეფე, რომაელების ხელდადებული,
აოტა ბრძოლით, იპყრა ქვეყანა და გამარჯვებით გულმოცემული
გაბრუნდა უკან. მცხეთას დატოვა საურმაგის ძმა ვარაზ-ბაკური.
მისი წული კი მძევლად იახლა, რომ არ ემიათ იბერებს შური.
პატარა იყო მაშინ ფარსმანი, მძევლად რომ მოხვდა პართიის მხარეს.
ბავშვს თუ სამშობლო ვერ დაიფარავს, უნდა ელოდოს უცხოსგან მწარეს.
ასედაც მოხდა. რადგან ასეა, უძლიერესთა ორთაბრძოლაში
სუსტები მეტი იჭყლიტებიან, ტოლს ვერ უდებენ ქვების სროლაში.
საურმაგ მეფე რომში გაიჭრა, რომმა ათხოვა ლეგიონები
ტერენტი სარდლის მეთაურობით პართიელების მათ შეკრეს მნები.
მცხეთას მიიჭრა ბოლოს საურმაგ, თვის სამეფოში მეფობის მდომი,
პირველობისთვის ძმა მეგობართან, სურდა უსისხლოდ მოეგო ომი.

გამოგება ვარაზ-ბაკური, არ აუტეხავს დიდი ხმაური.
დასხდნენ, კარავში, ილაპარაკეს, ძმობა-ერთობის გატეხეს პური.
ბაკურმა უთხრა, შინაურებში ასპაგურს თურმე ხშირად ეტყოდნენ.
მოდი, შევთანხმდეთ, გავერთიანდეთ, რომ მტრები ჩვენი ერთობით ძრწოდნენ.
ტახტი შენია, მე ვიცი კარგად, და თუ დროებით ის დაგეკარგა,
ძმამ თუ იპოვა მისი სახელი მეფეთა შორის ამოიქარგა,
ეს იმას ნიშნავს, არ დაკარგულა, იცი, ძმა არ ვარ შენი ორგული,
უკან გიბრუებ, მაგრამ ერთს შეგთხოვ, უნდა დაინდო, ვინც გიერთგულაა.
საქმე ისაა ჩემი ფარსმანი, რაც ტახტზე ვზივარ, მძევლად ჰყავს შაბურს,
ახლა თუ დავთმე, შვილს მომიწამლავს, ძმის შვილის მოკვლა, ვიცი,
შენც არ გსურს.
ამიტომ შეგთხოვ, დროებით მაინც, სამეფო ჩვენი გავინაწილოთ.
შენ ხომ იმეფებ, მეც ხომ ვიმეფებ, შვილს გადავარჩენ, ვიცი უცილოდ,
შეთანხმდნენ მტკვრის და არაგვის მარჯვნივ იბერიელთა ყველა მიწები
საურმაგს ჰქონდეს მცხეთასთან ერთად მისი იქნება დასაფიცები,
მისი საზღვრიდან აღმოსავლეთი ვარაზ-ბაკურის სამფლობელოა.
ასე უსისხლოდ მოგვარდა საქმე, ადვილად მოხდა, რაც საძნელოა,
ეს შეთანხმება კეისარ ვალენტს, ჭკვიანი იყო და მოეწონა,
მაგრამ შაბურმა იუკადრისა, თქვა რომ ყიდვისას დააკლეს წონა.
სუბარმახიოს, შენ როგორ ფიქრობ, ფარსმანს როგორი ელოდა ბედი?
ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე, ვერ უშველიდა მას შემოქმედი.
სასწაულებრივ გადურჩა სიკვდილს, შენ მისი ყოფა როგორ შეგშურდა?
იმის ხიფათთან შენი ხიფათი, დამეთანხმები, რომ იყო ხურდა.

**სუბარმახიოსი ―**

რასაც მოჰყევი ახლა მეც ვიცი, მაგრამ იმჟამად ხომ არ ვიცოდი,
მეტოქედ ვთვლიდი შეურიგებელს და ორთაბრძოლის ცეცხლით ვიწვოდი,
რაც იყო, იყო, ჩაბარდა წარსულს, მადლობა უფალს, არ ავყევ ავსულს,
ბაკურ ბატონმა დაგვამეგობრა და აღარ ვეძებ, რა არი, რა სურს.
არ მიბრძოლია აზიის მხარეს, მე ჩრდილოეთის ტომებს ვებრძოდი.
გალთა ქვეყანა შემომივლია, ბევრი მინახავს, ბევრსაც ვეძმოდი..
მაგრამ არ ვიცი, იბერთა თავზე, იმათ მეზობლად სად რა ხდებოდა,
გზა გამოვლილი დასავლეთიდან აქ აღმოსავლელს შეეურებოდა,
პართიელები ელჩად მინახავს, მათი არ ვიცი ამოსავალი.
სხვაგან რა მინდა, სასახლეს ვიცავ, სასახლეში მყავს ჩიტი მრავალი.

**ბაკურიბერი** —
არ გეთანხმები, შენ თუ გგონია, წახვალ, ნაჭუჭში ჩაიკეტები,
კუ ხომ არა ხარ, ხარ სასახელო და უსახელოდ დაეხეტები.
მხოლოდ ღვინო და მხოლოდ ქალები, შიგა-შიგ ჩხუბი, ფული, ვალები.
უნდა შეგეძლოს შორს დამიზნება, რომ დაუყენო შენს მტერს თვალები,
ფარსმანმა შეძლო, მისი სახელი იმპერიაში განფენილია,
ახლა მიიღო ძველ სანატრელი, რისთვის მცდელობა არ დაილია.
რვა წელი ხდება, მეფობს და ზეობს და რაც დაკარგეს მამამ და ბიძამ,
თავის ქვეყანას შემოუმტკიცა, უფერა, როგორც ერთგულმა მიძამ,
შენც ხომ შეგეძლო, შენი კოლხეთი დაგეფარა და გედიდებინა,
განა, ვერ შეძელ, ვერ მოიაზრე, იმპერატორთან დაიდე ბინა.
აქ არ იციან შენი სახელი, იქ არსებობაც არავინ იცის,
იმპერიაა შენი დიდება და დედოფალი შენი საფიცი.
ხვალ ევდოქსია გაჰყვება ფარსმანს, სახელის გარდა, რაღა დაგრჩება?
ვინც სხვის სამსახურს მიიღებს მიზნად, ის სხვის მონობას ვერ გადარჩება.

**თემისტიოსი** —
ფარსმანს ვიცნობდი, უფრო მეტი კი სხვათა ნათქვამი გამიგონია,
სხვაზე რომ გითხრან, რაც ითქმის მასზე, არ დაიჯერო, მონაგონია.
ჯერ ერთი, უნდა იცნობდე წარსულს, შეგეძლოს მისი წარმოჩინება,
კოლხეთში ბევრი წამიკითხია, ყველა რომ მოვყვე, რას ემგვანება?
მაგრამ არა ვთქვა მის წინაპრებზე და არ შევუქო ჩამომავლობა,
იბერებსა და მათ მეფეს შორის არ გაგიწიოთ შუამავლობა,
ნიშნავს, წავშალო დამსახურება ბუზმირ იბერის, ბაკურ იბერის,
ესენიც მეფის ნათესავნია, სიცოცხლის გზაზე მათი სიმღერის
მათი მირია მეფე მირიან, მისი მეები: რევი, ბექარი,
შემდეგ ბექარის მე მითრიდატე და ულორტნი მისგან ამონაყარი,
მათგან მოდიან ორივე მეფე ვარაზ-ბაკური დასაურმაგი.
ყველას აჭარბებს მეფე ფარსმანი, შეუძლებელი შეძლო ათმაგი,
მან დაამარცხა პართიელები, ჩვენ ყველამ ვიცით პართიის მალა.
თუ რომმა სადმე იწვნია მარცხი, პართიამ სიქა გამოაცალა.
ყველა დაიწყო არდაშირ მეფემ, სასანიდების ფუძისმდებელმა,
კიროსის შემდეგ ყველაზე გმირმა, არსაკიდების დამბადებელმა.
თქმულება ამბობს, ორასი წლის წინ ცხოვრობდა პაპაკ ვარსკვლავთმ-
რიცხველი,

მათი კარნახით იცოდა ყველა, ვინ იყო მცდარი და მართლის მცველი.
მან უმკითხავა მეომარ სასანს, თუმცა კარგ სარდალს, მაგრამ უშვილოს,
პაპაკის ცოლთან თუ დაწვებოდა, შვილს გააჩენდნენ სხვებში უწილოს,
ცხრა თვის მერე კი გაჩნდა არდაშირ, სასანის მოდგმის, მე პაპაკისა.
მან იმპერიას მისცა სათავე. ნამდვილი ბოლო ამ არაკისა:
არდაშირ იყო დიდი ხელმწიფე, ბევრის შემძლები, მაგრამ უშვილო.
ალბათ, ასევე დაასრულებდა, რომ არ შემთხვევა ერთი, უცილო.
ჯეელობაში უყვარდა ქალი, ქალსაც უყვარდა, არის თქმულება,
ეყოლებოდა მისაგან ვაჟი, მაგრამ არ მისცეს ამის უფლება,
რადგან იმისი საგვარეულო არსაკიდების იყო ნაყარი,
კარისკაცს მისცეს ქალი ორსული, ვით კეთროვანი ვინმე საპყარი.
ცოცხლად დამარხვა უბრძანეს ქალის. კარისკაცმა კი ის გადამალა,
შემდეგ მალულად ზრდიდა მემკვიდრეს, დაჭაბუკება ბედმა აცალა,
მოხუც არდაშირს მიჰგვარეს შაბურ. შაბური იყო შვილის სახელი,
არდაშირმა ცნო შაბური შვილად, დააჯილდოვა მისი გამზრდელი.
შაბური იყო რომს ვინც წაგლიჯა სასომხეთი და ევფრატის მხარე,
იმპერატორი ტყვედ აიყვანა და დაუყენა დროება მწარე.
იბერიაში იმ დროს მეფობდა ფარსმან მესამის დევგმირი შვილი,
ამაზასპ იყო მისი სახელი. დიდი დაიდო ამქვეყნად წვლილი.
შაბური რომს რომ არად აგდებდა, იბერის ჰქონდა შიში და რიდი,
იცოდა კარგად, კარი ალანთა მის ხელში იყო, ვით ვიწრო ხიდი.
იბერს შეეძლო, ჰუნთა ტომები როცა უნდოდა, გადმოეყვანა,
პართიისათვის შემოესია, ეოხრებინა ბაღი და ყანა.
იმპერატორი ვალერიანე შაბურს ტყვედ ყავდა, თავზე ფეხს სდგამდა,
ამაზასპ შაბურს არად აგდებდა. სამივე ერთად ვინ რას მოჰგავდა?
მის დროს ოვსებმა დვალეთის გზებით სამხრეთით ბიჯის გადადგმა სცადეს,
იბერმა იქით შეუნთო ცეცხლი, დევგმირთა ბრძოლა გადაიხადეს.
მეფემ ოვსეთი დალაშქრა სრულად, ოვსებმა უხმოდ ქედი მოხარეს,
მეფის გმირობა მტრებს შიშსა ჰგვრიდა და ახარებდა ყველა მოყვარეს.
შაბურის შემდეგ იყო ჰორმიზდა და შემდეგ მისი წული შაბური,
ორმოცი წლის წინ მან დასვა ტახტზე იბერიაში ვარაზ-ბაკური.
ხოლო ფარსმანი მძევლადა ჰყავდა. ფარსმანი იყო მცირეწლოვანი
და რა იცოდა მაშინ შაბურმა, რომ იზრდებოდა მალგულოვანი,
რომელიც შემდეგ შურს იძიებდა, პართიის კარებს მილეწ-მოლეწდა.
შემდეგ თეთრ ჰუნებს გადმოიყვანდა, რომაელების კალოს გალეწდა.

დღეს ეს ფარსმანი არის სტუმარი, იმპერატორის ლხენითა ლხინობს.
იმპერატორი ემახის მამას, მის შენიშვნებზე არაფერს წყინობს,
ბაკურ იბერმა მართალი ბრძანა, დღეს არჩევანი გაკეთდა დიდი.
იბერიასთან აღსდგა კავშირი, გვყავს მეგობარი და შესახიდი.

**პრეფექტი ანთიმოზი** —
მე მაშინ ფარსმანს არც კი ვიცნობდი, მაგრამ, ვიცი, რომ იყო მძევალი.
მიტომ იღწვოდა თავდადებული, პატივიცემა სურდა მევალის,
იმპერატორი თეოდოსი კი, ვიცი, როგორც შვილს, ეფერებოდა,
გრძნობდა, ჭაბუკი იყო უებრო და დიდი ხვალე ელოდებოდა.
მართლაც, ფარსმანმა მალე გაკვალა გზა მეომრიდან მხედართმთავრამდე,
ბევრი შეიძლო, ბევრსაც გაუძლო, ამიტომ სწრაფად ამაღლდა ცამდე.
მე გამიგია, ბაკურ ბატონი ფარსმანს, ნათესავს დიდად სწყალობდა,
ბევრსაც ცდილიყო არწივის მართვე, ის ბულბულივით ვერ იგალობდა.
ფარსმანს ბაკურის კეთილი თვალი, როგორც სანთელი, გზას უნათებდა,
საკეთებელი იყო ფარსმანის, საკეთებლისთვის თავს გადასდებდა.
ამიტომ იყო, როცა მისჭირდა, და ერთგულება იყო საჭირო,
როცა ქვეყანამ იგრძნო ხიფათი, გახდა უცილო, თავი გასწირო,
ფარსმანმა უკან არ დაიხია, როგორც ესა ქნეს კარისკაცებმა,
იმპერატორის წინაშე წარსდგა და სიტყვიერად დაუწყო შებმა.
ბაკურ ბატონო შენ მაშინ უკვე პალესტინაში ჯარებს სარდლობდი,
შორს იყავ მეტად, საფრთხეს უზომოს ვერცა სჭვრეტავდი და ვერცა გრძნობდი.
ევგენიოსის სიკვდილის მერე იმპერიაში იყო ერთობა,
იბერიიდან იბერიამდე შეკავშირების სუფევდა გრძნობა.
თეოდოს დიდმა იმპერატორმა სენატორები, მხედართმთავრები,
ყველა, შენს გარდა, კარზე იწვია, დარბაზის დახშეს შიგნით კარები
და განუცხადა შეკრებილთ შიგნით. მდივანი ვიყავ, მეც იქ ვერიე,
მევალებოდა საქმის აღწერა, ბევრი ვეცადე, ვერ მოვერიე,
მაგრამ რაც იყო იქ მირითადი, მახსოვს და გეტყვით, მერე განსაჯეთ,
ვინ იყო კაცი, ვინ კაცუნობდა, ვის რას მიუზღავთ, ისე ეაჯეთ.
იმპერატორმა ეს განაცხადა: ჩემი მცდელობით და ჩემი მალით,
გარე მტრები და შეამბოხენი მე დავამარცხე, დავუვსე თვალი.
მე განვადიდე ეს სახელმწიფო ისე, ვერ შეძლო მაკედონელმა.
მე დავამკვიდრე ქვეყნად მშვიდობა და ასე განვლო მრავალმა წელმა.
დღეს მე სიბერე შემომერია, ძველი ჭრილობაც აღარ მასვენებს,

თუ ცოდვა რამე ჩამიდენია, დრო და დრო ისიც თავს გამახსენებს.
ქვეყანა, ხედავთ, აწყობილია, სიმშვიდე სუფევს კიდიდან კიდე,
ჩემი მახვილი და მუზარადი საძინებელში, კედელს დავკიდე.
დღეს ასე ხდება, ხვალ რა იქნება? ახალ თავსატეხს მოგიტანთ ხვალე,
წავალ იმქვეყნად. აქ ვინც დარჩებით, იმათი ბედი გამოვითვალე
და რომ არ ატყდეს ხვალ შინაომი, ძმამ არ აიღოს ძმაზე მახვილი,
არ მოინდომოს სხვისი ულუფა, სისხლში არ ჩაკლას გულის სამხილი,
მე გადავწყვიტე, მყავს ორი ვაჟი და იმპერია გავყო მათ შორის,
აღარ ექნებათ ერთურთის შური და დააზავებს განცდა სიშორის.
აღმოსავლეთი იმპერიისა, როგორც ყველაზე შფოთი და რთული,
არკადიუსის ხვედრი იქნება, კეისრად დაჯდეს კეისრის წული.
რადგან ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, რუფინუსს ვუჩენ ერთგულ მმართველად,
საქვეყნო საქმეს ის განაგებდეს, კეისარს ჰყავდეს მარჯვენა ხელად.
დასავლეთ ნაწილს იმპერიისა, რომიდან იქით ყველა მიწები,
ჰონორიუსის სამკვიდრო იყოს, მისივე გახდეს დასაფიცები.
სტილიხონი კი ჰყავდეს მმართველად, მან უპატრონოს საქვეყნო საქმეს,
ორივ მმართველი მყავს გამოცდილი, ჩემით აკეთეს ის რაც ისაქმეს.
დადუმდა ყველა, მხოლოდ ფარსმანმა არ დაიმჩნია შიშის ჭრილობა,
ტანახოვანი წამოდგა ფეხზე, არ დაჰკლებია სათქმელს ზრდილობა.
ასე მიუგო: შენ კეისარო, მხოლოდ შვილების მამა როდი ხარ,
ის გაიხსენე, რა იყო უწინ, რომელ კუთხიდან, როგორ მოდიხარ.
დღეს მაკედონელს თავს არ უყადრი და ტრაიანე გესახელება,
ერთი ერთს ფიქრობს და მეორე სხვას, აზრი გონების კედლებს ევლება,
ის, რაც ჩვენ დღეს ვართ იმპერიაა, ურიცხვ ერებზე გარდაფენილი,
ხმელთა შუა ზღვა მის შიგნითაა, როგორც წყლის წვეთი მუშტში შთენილი.
სანამ ასეა, ვართ უძლეველნი, ძლეულნი, ღმერთო, ვერვინ გვნახოს,
ჩვენმა გონებამ და ჩვენმა მკლავმა ქვეყანა ისე შემოგვინახოს.
დღეს ჩვენ ერთად ვართ მრავალი ერი ისპანიელი, გალი, იბერი,
გერმანელები გვებრძვიან მედგრად, ჰგონებთ, დაგვიდგა ხანი სიბერის.
აღმოსავლეთით პართია ძლავრობს, იქიდან ზევით ჰუნთა ტომები,
ერთობით ძლივსღა ვაკავებთ მომხდურთ, გადავიტანეთ მრავლად ომები.
დღეს ჩვენ ერთად ვართ და მაინც გვიჭირს, ზოგჯერ ამიტომ მარცხი დაგვყვება,
თუ დავიშლებით და გავიყვებით, ერთობის გრძნობა რომელს გაგვყვება?
ამხედრდებიან მტრები მალიმალ, ერთობით კერას აგვიოხრებენ,
ერთად თუ გვიჭირს მათი მოთოკვა, დაყოფილები როგორ გასძლებენ?

იმპერატორი მამა ხარ ყველას, არ გაბარია მხოლოდ შვილები,
ფრანკი, ბერძენი, პალესტინელი ერთნაირად გვყავს დღეს ნაშვილები.
დაჰყოფ, ისინიც დაიყოფიან, ამხედრდებიან ადრე თუ გვიან,
ერთურთის მტრებად გადიქცევიან, შენ ფიქრობ ამას სიდინჯე ჰქვიან?
როცა რომიდან ევგენიოსმა გთხოვა გაგეყოთ ქვეყანა ორად,
შეინარჩუნე ქვეყნად ერთობა, მოსპე მეტოქე, მოიქეც სწორად,
თუ მაშინ ჰქონდა ერთობას აზრი, ახლა რა მოხდა, რა შეიცვალა,
არ მინდა ეს თქვან, იმპერატორმა ყველა გაგვწირა, შვილს ანაცვალა.
დაე, შენ შემდეგ არკადიუსი აღზევდეს რომის იმპერატორად,
გვერდით მოისვას ჰონორიუსი, ძმებს ერთმანეთი მიაჩნდეთ სწორად.
ეს ჩემი აზრი ჩემი აზრია, დანარჩენებიც ასე ფიქრობენ,
შვილის გულისთვის ყველასა გვწირავ, ასე აზრობენ და ასე გრძნობენ.
ახლა შენ იცი, რასაც აირჩევ, კეისარი ხარ, გემორჩილები,
მე მხოლოდ ვნანობ, ასე უმიზნოდ ბრძოლის ველებზე გამიქრა წლები.
ფარსმანის სიტყვა იმპერატორმა, თუმცა იწყინა, არ შეიმჩნია,
უთხრა, რაც შენ თქვი, მეც ხომ ვიცოდი, ცოდნა იარად გულზე მაჩნია,
მაგრამ არ არის დღეს სხვა საშველი, ერთობით ვღუპავთ საერთო მიზანს,
დღეს საჭიროა გავიღოთ მსხვერპლი, ქვეყნის საშველი მე ასე მიჩანს.
ფარსმან, შენა ხარ იბერიელი და კარგად იცი პართიის მალა,
ამიტომ გნიშნავ იმ მხარის სარდლად. შეპასუხება აღარ აცალა
და მიუბრუნდა სხვა კუთხის სარდლებს, რომელთაც კრძალვით თავი დახარეს.
ზოგს თუ ეწყინა ქვეყნის გაყოფა, ვინაც მოიგეს, მათ გაიხარეს.

**ბაკურ იბერი —**

ეს ხომ მეც მახსოვს, პალესტინაში მე და ფარსმანი ზოგჯერ ვხვდებოდით,
კარგი რჩევისთვის იმპერატორმა ორნივ გაგვწირა, ამას ვხვდებოდით,
მაგრამ მთავარი ჩვენ კი არა ვართ, დიდი ამბავი, ორი სარდალი,
როგორც ურჩები, რომ მოიშორა. ქვეყნის საწიერს დაუვსო თვალი.
იმპერია რომ გაიყო ორად, თვითეულს შვილი დაუსვა ქორად,
იმპერატორი კეისარს მტრობდა, მონას მონა არ მიაჩნდა სწორად.
ეს კარგად იგრძნო მტერმა, მოყვარემ, მოღალატემ და მისმა მოგვარემ,
არავინ იყო ქვეყნის პატრონი, ზარს ვერ ჩამოკრა ქვეყნის მოზარემ.

**პრეფექტი ანთიმოზი —**

იქ თუ იგრძენით, რომ დარჩით კენტად, აქ იგრძნობოდა ეს უფრო მეტად,

რუფინიუსმა მოიცა მალა, აიშვა თავი, გადიქცა ცეტად,
მის ხელთ აღმოჩნდა მრავალი ერი აღმოსავლეთი იმპერიისა
და თეოდოსის სიკვდილის შემდეგ გავხდით საჯიჯგნი სხვისა და სხვისა.
აღარ ვიცოდით, ვინ გვპატრონობდა, გზას ვერ ვაგნებდით, რომელი სჯობდა,
თვრამეტის იყო არკადიუსი, მაგრამ კეისრად ვერ კეისრობდა.
უქნარა იყო, თანაც უზნეო, ნიჭი არ ჰქონდა და ნებისყოფა,
ვიტანჯებოდით მონებზე მეტად, მოგვიკლეს გული, გვიტირეს ყოფა,
რუფინუსს სურდა კეისარისათვის ულამაზო და მიეცა ცოლად,
მაშინ გენახათ, იმპერატორი ეყოლებოდა ხელს გასაყოლად.
აისრულებდა კიდეც განზრახულს, ბედისწერამ კი სხვაგვარ ინება,
კაცს თუ განგება მახეს დაუგებს, რად გიკვირთ იწყოს მისი გინება.
რუფინუს გახლდათ ანტიოქიას, დიდი ქონების საქმეს აწყობდა,
იმპერატორის ნდობით მოსილი, ადგილობრივებს კაცად არ ცნობდა.

**სუბარმახიოსი —**

ვიცი, რის თქმა გსურს, ევტროპიუსი საჭურისი და კაცი უგვანო,
ჩასაფრებული ჰყავდა რუფინუსს, ისიც იცოდა, როდის უგანოს,
ის რამდენჯერმე მოვიდა ჩემსას, სადაც სახლობდნენ ჩემი ტყვეები
ფრანკი სარდლისგან დატოვილები და გადიოდა ასე დღეები.
დათაგან უფროსს ვუყვარდი ძლიერ, მასთან ავაგე ჩემი სამკვიდრო,
ევტრპიუსმა იცოდა ყველა,, ამხანაგობა მოგვდგამდა მჭიდრო,
მე რა ვიცოდი, თურმე უმცროს დას, რომ იყო მართლა ულამაზესი,
როგორც ვენერა, მშვენიერება ტანით სურო, თვალების მკვესი,
დაადგა თვალი, უცებ იაზრა და არკადიუსს უჩვენა ქალი.
გადაირია იმპერატორი, არ ჭამა პური, არ შესვა წყალი,
ვიდრე დედოფლად არ დაისვამდა, არ აღივსებდა გულს ნეტარებით
და იმის შემდეგ მთელ იმპერიას ის უყურებდა ცოლის თვალებით.
მეც იმის შემდეგ ვიცავ სასახლეს, მუდამ ვიყავი დედოფლის ახლოს,
ევდოქსიამაც მიმიღო მამად და სადაც წავა უნდა ვეახლო.

**ბაკურ იბერი —**

ახლა მეც ვხვდები, რა როგორ მოხდა, რუფინუსს ბედმა როგორ უგანა,
ანტიოქიას რატომ დატოვეს, არ მოაბრუნეს რომში უკანა,
მევალებოდა მე თვალის ჭერა, არ ამფრთხალიყო ხელიდან მერა,
განგებამ იცის, როგორი არის კაცის ბუნება და ბედისწერა.

რუფინუს ერთ ხანს როგორც ტყვე მყავდა, ასე გავიდა ორიოდ წელი,
შემდეგ მოვიდა დიდი ბრძანება და იმ საცოდავს გამოჭრეს ყელი.
აი, რა არის ჩვენი ცხოვრება, ფიქრობ, წინ მივალ, მივიმღერები,
ცას მუშტმოღერით ეპოტინები, თვალის სამზერზე გაშლილი მხრებით
და თუ ოდნავად წაბორძიკდები, თვალს ვერ შეასწრებ და ვერ მიხვდები,
ზეციდან მიწას ჩამოვარდები, ღმერთი მატლების კერძი გახდები.
მიტომ ჯობია რამ საშუალო, არც დიდკაცობა და არც მატლობა,
თუ აგისრულა გულის წადილი, უნდა ზეციერს სწირო მადლობა.

**თემისტიოსი —**

თეოდოსის დროს ჭირდა სიმართლე, თუმც ტრაიანეს ედარებოდა,
ისე მოსპობდა სიკეთის ნასახს, შედეგი სულ არ ედარდებოდა,
თუ ტრაიანე იმპერატორმა ჭეშმარიტების გზებით იარა,
ამან გატანჯა წუთისოფელი, გულს გაგვიჩინა ყველას იარა.
ტრაიანემ რომ დამბეზღებლები, ფარისევლები, ქურდი, ფლიდები,
ერთი მოქნევით მოასპობინა და ახსენებენ მიტომ დიდებით,
თეოდოსი არ მისდევდა მის გზას, მნელად არჩევდა მეტოქეს და ხმას.
მლიქვნელთა შორის მედიდურობდა, ზეცას არ ცნობდა და ზეციურ მმას,
ბაკურ ბატონო, ეს შენც იწვნიე, ფარსმანსაც შეხვდა მისგან წყენანი.
შენ მოგიშორა, არ გთვლიდა სწორად, მიტომ დაგვშორდი საკმაო ხანი,
ზედ მოგაყოლა ფარსმან იბერი, არაკაცობის მგმობი და მტერი.
პართიელები საჯიჯგნად მისცა, ჩამოიბერტყა ხელიდან მტვერი,
მამა თუ სადმე თავს ლომად თვლიდა, არკადიუსი ყოველი მხრიდან
მამას ვერაფრით უტოლდებოდა, მაგრამ ამაყი თავს არ დახრიდა.
უნებისყოფო და თან უზნეო, მხოლოდ მოლხენას ეტანებოდა,
სხვისი უნდოდა ქალი და განძი, ყველა თავისად ეჩვენებოდა.
ანჩხლი და ფიცხი არას დასდევდა, მით გაუჩინა ერთგულებს სევდა,
ბევრმა მოირგო მისი ბუნება. მისი სისუსტით ბევრი აღზევდა.

**სუბარმახიოსი —**

თემისტიოსი სიბრძნის წყაროა, ზუსტად ასახავს კაცის ბუნებას,
მაგრამ ნუ მიწყენს სიმნელით ნათქვამს, მე დავუმატებ პატარა ცნებას:
ზოგის ბუნება და ხასიათი საკმაოდ მნელი არის საცნობად,
მოგეჩვენება ზოგი დევგმირად და არ ივარგებს დოქის საცობად.
ზოგი გმირია ცოლთან და შვილთან, გარეთ მშიშარი არის კურდღელი,

ზოგი, პირიქით, გარეთ მხეცია, შიგნით ადგია ცოლის უღელი.
ისეთიც არის, ზომას რომ იცავს, ერთნაირია შინა და გარეთ,
ზოგი დინჯია, გადაირევა ზოგი უმისოდ თუ კენჭი ყარეთ.
იმდენი არის კაცი სულელი, რამდენიც ქვეყნად დაიარება,
ბრძენიც ააფრენს, თუ უკვირდები, შეხედვა მისი შეგეზარება.
სხვაზე არ ვიტყვი, ჩემი ცხოვრება სვლაა ცოდვიდან შეცოდებამდე.
ვიცი, რომ ვცდები და მაინც ვცდები და გაგრძელდება კიდევ სადამდე?
ზოგის საქმეა დუმილით ლოცვა,ზოგი ხმაურობს, დადის, იქადის,
განმეორდება ყოველი მიწყივ, უფლის ნებაა,. ვიდრე, იქამდის
მე ვიტანჯები იმით, რომ კოლხი ვერ ვეღირსები კოლხეთის მიწას,
სამშობლოს ვინც ვერ გამოადგება, მისი აკვანი არც უნდა ირწას,
ალბათ, იმიტომ, რომ ვიცი ბოლო, არას დავიდევ განძს და ქონებას.
დროს გავატარებ ლხინში და ჩხუბში და არ დავატან მალას გონებას,
მე არ მაკლია ქალი და ღვინო, მტრები, მოყვრები, მეინახენი.
სხვა რა შემრჩება, სხვა რა წამყვება, ნაგლეჯი მიწა, საფლავის ხენი.
არკადიუსიც ამასა გრძნობდა, თავის სამშობლოდ რომს არა სცნობდა,
იბერიაში დაბადებული, იქ დაბრუნებას ჩემებრ ნატრობდა.
ამიტომ იყო, თავი აიშვა, როგორც კი გახდა იმპერატორი.
მისთვის ქვეყანა იყო საჯიჯგნი, ღმერთიც არ იყო იმისი სწორი.
არას დასდევდა დიდს და პატარას, არარაობა იყო უცვლელი,
რომ არ დაგინდობს, უნდა იცოდე, ასეთებისგან სხვას რას მოელი?
იმპერატორზე როცა ვსაუბრობთ, რაც მე მოვყევი, უნდა იცოდეთ,
ყველაზე დიდი იყო ავყია, ამ ქვეყანაზე რომლებმაც ვცოდეთ.
ერთს დავამატებ, ცოლი უყვარდა. კი არ უყვარდა, ემონებოდა,
ევდოქსიას წინ ჩოქვით მხოხავი, ღმერთის მლოცველი გეგონებოდა.

**პრეფექტი ანთიმოზი —**

რაც შენ შენიშნე, არის მართალი, ნაფოტი ხისგან ჩამონათალი,
ჭკვასთან ბუნებით იყო საწყალი, არა ჰყოლია ამაში ცალი,
ასე ვიდოდა მისი ცხოვრება და, ალბათ, ასევ გაგრძელდებოდა,
რომ არა ბედის შემობრუნება, რასაც რა მოჰყვა, ვინ მიხვდებოდა,
ზუსტად რვა წლის წინ, მე არა ვცდები, მახსოვს, აღვნიშნე ეტრატს ყოველი
მოხდა ამბავი რამ უცნაური და უფრო მეტსაც აწი მოველი.
იმპერატორის სასახლის კარზე იყო ზეიმი, დიდი მიღება,
კაცთა და ქალთა ორომტრიალი, ხვევნა-ალერსი, ნიშნის მიგება,

იმავ დროს მცირე დარბაზობაზე, ვიდრე ლხენაში წილს დაიდებდნენ,
სასმისს ასწევდნენ, გაიხარებდნენ, სადაც მიჯნურნი ერთურთსა სდევდნენ.
იმპერატორმა და დედოფალმა ჯართა სარდლები თათბირს იწვიეს,
ყოველ კუთხიდან სახელოვანნი, ამ შეკრებისთვის გამოიწვიეს.
იყო მსჯელობა ჩრდილოეთიდან გერმანელები, თეთრი ჰუნები,
რატომ არიან აღვირახსნილნი, გამფუჭებელნი ქვეყნის გუნების.
პალესტინაში რა როგორ ხდება, რომაელთა ჯარს ვინ როგორ ხვდება,
სად სირთულეა, სად მისი შიში, გაწყობა რითი გამოკეთდება.
აღმოსავლეთით გამარჯვებაა, სხვაგნით თუ გვიჭირს, აქეთ შვებაა,
ეს პართიელთა დამარცხებაა და იმპერიის ამაღლებაა.
იმპერატორმა ისმინა ერთხანს, თვალი მოავლო სარდალთა წყებას,
რომ ვერ იხილა ფარსმანი მათში, ნება არ მისცა განსჯის დაწყებას.
ვერ მოითმინა და მოიკითხა. უთხრეს, შორიდან მოდის სარდალი,
შეუსვენებლივ მოაჭენებსო და არ მოუხუჭავს წუთითაც თვალი,
ამ დროს დარბაზის გახსნეს კარები და თვით არესის დასადარები.
ფარსმანი სწრაფად დარბაზს წარუდგა, ამაყი, მძლავრი, მიუკარები,
იმპერატორმა მიიღო ლხენით, თუმცა უმზერდნენ მრავალნი რქენით.
გამარჯვებული არის მართალი, ეფერებოდნენ ამიტომ ენით.
როცა გახურდა სიტყვით ვარჯიში, ერთურთს შეუქეს მკლავი და ჯიში,
წვრილად განსაჯეს მტერ-მოყვარე, ვინ ღიად გვებრძვის, ვისა აქვს შიში,
შევნიშნე ერთი, თუმცა ფარსმანი სიტყვის სიუხვით არა მძლავრობდა.
მის სიდიადეს, დამსახურებას, სარდალთა შორის ყოველი გრძნობდა
და დედოფალი იმ ხნის მანძილზე რჩეულს თვის მზერას არ აცილებდა.
ადგებოდა თუ სასმისს მოსვამდა, გაბრწყინებული თვალს აახლებდა,
თითქოს არ იყო რამ უცნაური, პირველად ნახა იმ დღეს ფარსმანი.
თუმცა იცნობდა სარდლებში ყველას, ჯერ არ ენახა იმისი მგვანი,
ფარსმანი იყო უფრო ლამაზი, ვიდრე მეომარს შეეფერება.
გამორჩეული იყო გმირებშიც, ბევრს მიტომ სურდა მისი ფერება,
სარდალთ შეკრება დასრულდა ოდეს, იმპერატორმა ასე ინება.
საერთო ზეიმს შეერთებოდნენ, ბრძანება იყო, იმისი ნება
და მოხდა ისე, რომ ევდოქსიამ ახლო მიიხმო უცხო სარდალი.
სიტყვა უბოძა, ხლებით ეფერა, დაალევინა მწუხრვალ თვალს წყალი,
მერე არ ვიცი, რა როგორ იყო, მაგრამ ჟამი რომ მცირე გამოხდა,
უცებ აზვირთდა ჭორების ტალღა, რასაც ველოდით, მოხდაო, მოხდა.

**სუბარმახიოსი** —

მერე რა იყო, მხოლოდ მე ვიცი, იცით, დედოფალს მივაჩნდი მამად,
მენდობოდა და მის კარს ვიცავდი, რაც ახლა არის, იყო იმჟამად.
ძველი დრო იყოს, როგორ ვიტყოდი, ახლაც არ ვიტყვი, რაც ვიცი წვრილად,
ერთს მივანიშნებთ: ფარსმანთან ახლოს ვერ დარჩებოდა ქალი გულგრილად.
იმავე ღამით სანთიობოში მე მივაცილე ქალთან ფარსმანი.
ფხიზლად ვიყავი, დარაჯობაში გამომეცალა დილამდე ხანი
და ასე ხშირად მეორდებოდა, დარაჯობაში ღამე კვდებოდა.
რაც არ მინახავს, ვერ დავიფიცავ და სხვაც ვერ მეტყვის იქ რა ხდებოდა.
მე ერთი ვიცი: მიღების შემდეგ სარდლები უკან, ჯარში გაბრუნდნენ.
მხოლოდ ფარსმანი დატოვეს მალით, საქმის გარჩევას დიდხანს მოუნდნენ.
იმპერატორი დროს ატარებდა, დარდი არ ჰქონდა, არაფერს სდევდა,
ჯერ კიდევ ადრე მისმა ამ ქცევამ დედოფალს მძიმე მოჰგვარა სევდა.
ეგებ, მის ჯიბრზე, შურისძიებით, პირველად ქალი სხვასთან სცოდავდა,
კარგად ვიცოდი, არ იყო ბილწი, ქმარს და მეუფეს სულ არ მოჰგავდა.
მაგრამ როდესაც გადადგა ბიჯი, როცა ჩაიდო გრძნობა საგულეს,
მიეცნენ ტრფობას შეყვარებულნი. საიმედობა როს დაიგულეს.
ასე გაგრძელდა საკმაო ჟამი,დედოფალს ბევრი მეცელს ატყობდა,
თუკი მოკეთემ იცის და მალავს, მტერი, ვინ იცის, ამ დროს რას გრძნობდა.
დაემთხვა ისე, იმპერიაში მთავარსარდალი გარდაიცვალა,
ჭრილობებმა და ჟამის სიავემ გამოაცალეს დიდ ვაჟკაცს ძალა.

**პრეფექტი ანთიმოზი** —

სიტყვას წაგართმევ, რადგან მე ვიცი და დაწვრილებით მაქვს აღწერილი,
იმპერიაში ბევრი სარდალი სახელოვანი და გამოცდილი
იყო და მათში არკადიუსმა, ფარსმანს შეავლო მოწყალე თვალი
და, ალბათ, ასეც გადაწყდებოდა და იქნებოდა ყოვლგნით მართალი,
რადგან უკეთესს ვერა ნახავდნენ და უკეთესი არც ვინმე იყო,
მომხრეებსა და მოშურნეთ შორის მაშინვე აზრი შუა გაიყო.
დედოფალი რომ იყო თანახმა, მას მხარს უბამდა იმპერატორი,
რადგან სარდლები, თუმცა, მრავლად იყვნენ, მაგრამ არ იყვნენ ფარსმანის სწორი.
ევტროპიუსმა, ჩემმა უფროსმა, ეშმაკი იყო, ასე იანდა,
ფარსმანი მმართველს არად აგდებდა, ქედს არ უხრიდა, თვალნათლივ ჩანდა.
ის ჯერ არ იყო მთავარსარდალი და უკვე ქცევით თავს აჭარბებდა.
დანიშვნის შემდეგ, ისეც ცხადია, ევტროპიუსს არ გაახარებდა

და საჭურისმა იღონა ყველა, სურდა დარჩენა და თავის შველა,
შემოუსია ფარსმანს მსტოვრები, ბუზი გახადა აქლემის ხელა.
მალე მსტოვრებმა უთხრეს ფარულად, ფარსმანი, თურმე, ღამ-ღამ მალულად
ევდოქსიასთან ტკბილად ნებივრობს, ჭეშმარიტია ეს ცნობა სრულად.
ევტროპიუსმა დაგეგმა ასე: ფარსმანს მეტოქე უნდა უჩინოს,
სარდალთა შორის ენდო გაინას, შეუკავშირდა არც თუ უჩინოს.
გაინა იყო გერმანელებში გამოჩენილი, დიდი სარდალი,
ჩრდილოეთიდან გზებს იფარავდა, ვით რომის მცველი, ყური და თვალი.
ჩამოიყვანა, იმპერატორთან ცალკე მოუწყო ახლო გაცნობა,
ორთავ უფერეს ჩლუნგ არკადიუსს, დასდეს პირობა, გაულღვეს გრძნობა,
როცა არ გასჭრა ასეთმა ხერხმა, ევტროპიუსმა მოკრიბა ღონე,
რაც ჩაიდინა არაკაცობა, გეტყვით, მე არა გამოვიგონე.
უთხრა, ღვთის დარო, გონებით სავსევ, ბრძენო, ძლიერო, შემმართებელო,
გაჭირვებულთა მოჭირნახულევ, იმპერიაში ყველას მშობელო,
ნუ განრისხდები, სიმართლეს გეტყვი, რატომ არ მინდა იყოს ფარსმანი,
ვიცი, გინდოდა მისი დანიშვნა, ამიტომ იყო, რომ ბოლო ხანი
ვუკვირდებოდი მის ყველა ნაბიჯს და ყველა სიტყვა ამიწონია,
გადავამოწმე მასზე ყოველი, რაც უთქვიათ და გამიგონია.
მე არა მჯერა და ასეც არის, ვერ დავიჯერებ დაუჯერებელს,
მაგრამ რა ვუყოთ, თვითონ იქადის, არ დაუმალავს მისსავე მხლებელს.
თითქოს ეტრფოდეს ღვთიურ დედოფალს და ისიც ეტრფის თითქოს პასუხად,
შეხვედრებიც აქვთ შენგან ფარული, ალერსს ათოვენ ურთიერთს უხვად.
დედოფალი რომ არის ფეხმძიმედ, შენგან არ არის, ამბობენ ჭორად,
ასე არ არის, მაგრამ მაინც სჯობს, ასეთი მონა განდევნო შორად.
გადაირია იმპერატორი, ცოლი, რომელსაც ემონებოდა,
არ იკარებდა ქმარს შორიახლო, თურმე, უჯიშოს ამ დროს ხვდებოდა.
იწყო ყვირილი, ავარდა ქარი, ცოლის ღალატი ყოფილა მწარი,
გადმოანთხია გინების ღვარი და სასიკვდილო ჩამოჰკრა ზარი.
დამსმენს უბრძანა, ჭორად ნათქვამი სხვასთან არ ეთქვა და გაემხილა,
დაღამებისას ჩასაფრებოდნენ, სარდლის ღალატი თავად ეხილა.
ცოლი უყვარდა, მის მოკვდინებას ქვეყნის დაქცევას ამჯობინებდა,
მაგრამ ფარსმანი? სარდალი რაა, მის სამინებელს თუ უგინებდა.
ევტროპიუსმა დამსჯელი რაზმი შემოიკრიბა და გაამზადა,
სურდა, ფარსმანი გაება მახეს, ვით ბინის ქურდი და არამზადა,
მაგრამ თუ ყველას რაღაც ეშლება, ევტროპიუსსაც როსსსსმ შეეშალოს,

ამაში რაა გასაკვირველი? მთავარი არის, არ წაიშალოს,
რაც მიზანია და თუ შედეგი არის, რისთვისაც თავი გადადე,
ხამს ღმერთს შესძახო: დიდება შენდა, ბრწყინვალე ომი გადავიხადე!

სუზარმახიოსი —

ბაკურ ბატონო, რასაც პრეფექტი აქ გვიყვებოდა, სულ მართალია,
მხოლოდ ერთია, მინდა იცოდე, ესაც საქმესთან მისათვალია,
სხვას რას გაუგებ, როდესაც ხშირად კაცს საკუთარი ვერ გაგიგია.
ზოგჯერ გგონია, სიბრძნეს იხვეჭავ, სიგიჟის კოშკი თუ აგიგია,
მე არ ვიცოდი ერთი შეხედვით სიყვარული თუ შეიძლებოდა.
ერთს მოეწონა, მეორის გულშიც მისი ტაძარი აიგებოდა,
ასე ვფიქრობდი, რაც სჭირს დედოფალს, წამიერია, წარმავალია,
ფარსმანს რა უჭირს, თავის მბრძანებელს მოემსახუროს, მისი ვალია,
მე გვიან მივხვდი, მათი ტრფიალი არ იყო კოშკზე სანიშნე ცეცხლი.
ხანძარი იყო ტყეს მოდებული და წმინდა, როგორც სახატე ვერცხლი,
ამიტომ იყო, რომ ვუერთგულე და რაც შემეძლო, მათ ვიფარავდი.
იმპერატორსაც ვერიდებოდი, თითქოს ბაღიდან ვარდს ვიპარავდი,
მე ევდოქსია მიყვარდა გულით, ჩემს ერთგულებას ისიცა გრძნობდა.
ალბათ, ამიტომ, გაჭირვებისას, მე მიბარებდა, სხვას არა სცნობდა,
ეს მე მოვაწყვე საქმე იმგვარად, ყველას ფარულად და გასამწარად.
ფარსმანზე ჯვარი დავაწერინე, ქალს კაცთან თავი რომ ეგრძნო მყარად,
რადგან ელოდა მისგან მომავალს და კიდევ ფიქრით ვინ იცის მრავალს.
ღმერთი ფარავდეს სიკეთის მთესველს, იმისთვის მებრძოლს, მის გზაზე მავალს,
მე ვესწრებოდი ფარულ ჯვრის წერას და არ მოვყვები ტყუილ სიმღერას.
ვიცი, ფიცავდნენ სრულ ერთგულებას, მინდობილები თვის ბედისწერას,
ამას რად ვამბობ, შენ მიმიხვდები, შედეგი არის ის, რაც დღეს მოხდა.
ბევრმა არ იცის, რატომ და როგორ, და გაოცების ოხვრა აღმოხდა.

**ბაკურ იბერი —**

რომ გითხრათ, ყველა ვიცი და ვხვდები, საკუთარ ტყუილს გადავეგები,
შორს ვიყავ, შორით სხვისი ამბები მარტივი არის და გასაგები,
მე ამ საქმეზე რაც გამიგია, არეულია ტყუილ-მართალი,
ზოგჯერ სიცრუე შორიდან ბრწყინავს, ვით ოქროს ზოდი ჩამონათალი.
ზოგჯერ სიმართლეც ბნელში მოხვდება, ვერ გაარჩიო თავი და ბოლო
და როგორ გინდა, ჭეშმარიტებას ტყუილი ჭორად არ მიაყოლო.
ის, რაც ფარსმანზე თქვენთან ვისმინე, როგორც ახალი სახარებაა,

მოგონებების გაცოცხლებაა, კაცური რწმენის გახარებაა.
სხვამ თუ არ იცის, სუბარმახიოს, შენ კარგად გახსოვს ჩვენი ერთობა,
მოგონებებით ხალისობს გული, სული მშვიდდება, გრძნობა, ერთობა,
კიდეც მიკვირდა ფარსმანისაგან იმპერატორის ვითომ ღალატი,
კეისრის უნდა ვუძღვნათ კეისარს და არ ვაქციოთ საფიცი ხატი,
ის, რაც მე შემხვდა თეოდოსისგან, ფარსმანსაც შეხვდა მისგან ათმაგად,
ერთგულებისთვის გვაქცია ზურგი, ორგულებს სთხოვა, აბა, ჰკა მაგათ,
ხნიერისათვის რაც ადვილია, ზოგჯერ ეს ჯეელს ლახვრად დაესმის,
რაზეც მოხუცი ყურს არ იბერტყავს, იგივე მოზარდს წყევლად ჩაესმის,
ამიტომ იყო, ჩვენი განდევნა სხვადასხვაგვარად გადავიტანეთ,
მე გამეცინა, იმან იდარდა, თუმცა გავძელით და ავიტანეთ,
როცა ყურს ჩასწვდა, რომ ევდოქსიას დაუფარავად უვარობს ფარსმანი,
მეგონა მხოლოდ შურისძიება, შევცდი, ვხედავ, ვერ ამოვიცანი.
დღეს ნათელია, როცა გამჟღავნდა იბერთა მეფის გულის ნადები,
არა ყოფილა გულით ბოროტის ავმისაგებად დანაქადები.
მოხარული ვარ ფარსმანის ნახვის, დღევანდელი დღის ბედის ანცობის,
დე, მიწყივ იყოს იბერთა ჯიში, ქვეყნად ნიმუში კაცურ კაცობის,
მაგრამ ვერ ვიცი ისეთ დასაწყისს, ბოლო ასეთი როგორ ერგება,
სასწაულია წუთისოფელი თუ დაგატარებს ქვეყნად განგება.

**თემისტიოსი** —

უფალო ბაკურ, შენი პატივი მამის პატივად მიმიჩნევია,
ჭკუა მილესავს, მაგრამ მახვილი, იცი, აროდეს არ მიქნევია.
თუ კი რამ ფასობს ჩემში, შენც იცი, სიბრძნე და სიბრძნის სიყვარულია,
თითქოს, არ ვჩლუნგობ, მაინც ფარსმანზე წარმოდგენები არ მაქვს სრულია.
აქ უკვე ითქვა, არ ვიმეორებ, იმპერატორმა ღალატი მისი,
გვიან გაიგო, მაგრამ გაიგო და რისხვა ჰქონდა შესაბამისი
ბრძანა ფარსმანის უცილო მოკვლა, იქვე შეკრიბეს მკვლელთა გუნდები,
უპირატესი რად გინდა ძალა. იმის მოკრეფას თუ მოუნდები,
ამ დროს დაგასწრებს მეტოქე დარტყმას, რომ მოგაყენოს აქეთ ზიანი,
ომში იმარჯვებს არა ძლიერი, არამედ მარჯვე, სწრაფი, ჭკვიანი.
ფარსმანმა როგორ დაასწრო ყველას, როგორ გაექცა სატევრის რქენას,
ბევრი ვეცადე და ვერ გავიგე, არ დასცდენია ამბავი ენას.

რვა წლის მანძილზე რაც ვიცი ვმალე და არ მეგონა, თუ ასე მალე
შემეძლებოდა გულის გადახსნა. რაც გადვიტანე და ჩუმად ვთალე,
ზოგჯერ ვეჭვობდი, ვაი თუ, ვინმემ რამე გაიგო და მახეს მიგებს,
წინასწარმეტყველს თუ გადვეყარე, რასაცა ვმალავ, უცებ გაიგებს,
შინაგანი ხმა არ მასვენებდა, ოფლი მწურავდა და მასველებდა,
ღვინოში ფიქრი რომ არ ჩამეკლა, დარდი დამძლევდა, გული ვერ სძლებდა,
თავად იანდეთ, მე იმპერატორს, მცველთა სარდალმა მივეცი ფიცი,
არა მჩვევია სიტყვის გატეხა, ზურგს უკან კბენა, პირში ლაციცი.
არადა, მართალს როგორ ვეტყოდი, სხვის საიდუმლოს სხვას რად ვანდობდი?
არკადიუსს და დედოფლის შორის დარდით საკუთარ სხეულს ვანდობდი,
ხომ ნამდვილია, რომ ევდოქსია, ნახევრად ჩემი გამოზრდილია,
ის თუ დედოფლად გვესახელება, დამეთანხმებით, ჩემიც წვლილია.
ხო და, მე როგორ უნდა მეღონა, არ დამეჭირა იმისი მხარე,
ფიცის გატეხა თუ მწარე იყო, შვილის ღალატი უფრო მწარე.
ამას რად ვამბობ, ახლა მიხვდებით, უნდა ავხადო ამ წყვდიადს ფარდა,
ვით ვუერთგულე შვილს და მეგობარს, იმათ, ვინც თავზე მეტად მიყვარდა.
იმ დროს, როდესაც, ევტროპიუსი, შორს გამიზნულად შეწუხებული,
კეისარს მწარე ამბებს უთხრობდა, რომ მოეწამლა გონი და გული
და კეისარი, ეჭვით ნაკოდი, ღრიალით კედლებს აგუგუნებდა.
თუ მოისმენდა ვინმე ყველაფერს, ვინ მიხვდებოდა, ვინ იანდებდა,
იმპერატორის მონა-მძევალი, შორიდან ვინაც ფარსმანს ეტრფოდა
ფარულად, ამათ ნათქვამს ისმენდა და თუმცა შიშით მრწოდა და კრთოდა,
ბოლომდე აზრი გამოიტანა, დრო რომ იპოვა, არ დაახანა,
ჩუმად და ჩუმად გამოიპარა და დედოფლამდე როს მიატანა,
უამბო ყველა, რაც გაიგონა, რისიც იცოდა ფასი და წონა,
მეტოქის გული მოინადირა, თავი მიანდო და მოაწონა
და ევდოქსიამ მხევლის ნათქვამი, როგორც ისმინა, თავისთან მიხმო,
ისეთი მითხრა, ისეთად მითხრა, ენა გამიშრო, სასა გამიხმო,
ცრემლით მევედრა, შენ მამობილო, მამაჩემი ხომ შენს გამო მოკვდა,
შენ მიპატრონე და გაპატიე, ბრძოლა იყო და, რაც მოხდა, მოხდა.
ახლა ფარსმანი რომ დაიღუპოს, თავს არ ვიცოცხლებ, გადავეგები,
ჩვენი ნაყოფიც ჩემში მოკვდება, ქრისტიანი ხარ ამის გამგები.
მამა მომიკალ, შვილს ნუ მომიკლავ, ფარსმანს უშველე და მიეხმარე,
გააფრთხილე და სადმე დამალე, თავშესაფარი უჩვენე მხარე.

ფიცით შევპირდი, ჩემი გონება ათასგვარ გეგმებს შლიდა-აწყობდა,
ასე მოვიქცე, ვაითუ, შევცდე, შემდეგ ს შემდეგ ი, ვაჰ, თუ ვერ სჯობდა.
ქვდოქსიასგან ისე გამოველ, ჯერ არ ვიცოდი, რით ვუშველიდი.
სასახლე იყო უკვე შეკრული, მიტომ ვჩქარობდი და ნელა ვლიდი.
დაღამებულზე გალავანს გარეთ გამოვაღწიე, შვება ვიგრძენი.
ვერ შემამჩნიეს, ნიშნავდა იმას, რომ დედოფალი უკვე ვიხსენი,
ფარსმანის კართან ორი მსტოვარი გადამეყარა და თავი დადო,
ღმერთო, რამდენი უნდა ვილოცო, რომ ყველა ცოდვა გადავიხადო?
მივეჭერ ფარსმანს უკვე მძინარეს, წამოვახტუნე და გავაფრთხილე,
ვჭექე: გავარდი და თავს უშველე, ოქროს რქისაკენ გზა გააწჩრილე!
გამოველ, შევდექ და სიბნელიდან ვუმზირე, როგორ გადვიდა მალაყს,
არ დაგიდევდა ღობეს და ორმოს, თითქოს დაეთრო ორნახად არაყს.
როგორც გავარდა მდევრების რაზმი, შთენილ ეზო-კარს შემოესია,
კვალი იპოვეს, დიდი ნაწილი კვალში ჩაუდგა, როგორც წესია.
მეც მათ მივყევი. იმ სიბნელეში მაშხალის შუქზე, თუმც, როგორც ჩანდა,
თავისად მიცნეს, მეც გავაქეზე, იქ როგორ მოვხვდი, ვერვინ იანდა,
მდევარმა დევნილს გზა გადაუჭრა, ზედ ზღვის ნაპირთან მოხდა შეხვედრა.
ასრულდებოდა იმის სურვილი, ფარსმანის სიკვდილს ღმერთს რომ ევედრა.
ფარსმანი მარტო იყო, იცოდნენ, მარტოკაცს ყველამ შემოუტია,
დიდკაცის სისხლი სწყუროდა ყველას და სალახტაო არ დაუტია.
ლტოლვილმა იძრო გრძელი მახვილი და სატევრებმა იწყეს კამათი,
გმირის სიკვდილი რთული საქმეა, თავისი ახლავს ეშხი, ლაზათი,
ერთ ხანს ვადროვე, როცა მისჭირდა, როცა უტევდა ყველა მიჯრითა,
ცხენი დაუჭრეს, ვატყობდი უკვე, სიკვდილის ლანდმა გაიჯირითა.
ვიძრე მახვილი, მდევრებს ვამგერე, არაკაცურად მკლავი ვამღერე,
ცოდვა დავიდე ცოდვილიანმა და დარცხვენილი დავალ მას მერე.
მდევრებს ზურგიდან შემოვუტიე, სხვა გზა არ იყო, ასე განვსაჯე,
ოღონდ ფარსმანი გადამერჩინა, თავს ვუღალატე, მკლავი დავსაჯე.
ფარსმანმა იგრძნო ოდნავი შვება, ჩვენ შევუტიეთ ვით ტყუპმა ძმებმა,
თუმცა ხანმოკლე იყო ჭიდილი, ბევრისთვის იყო ეს ბოლო შებმა.
ჩვენი შეტევა იქ შენაერთი, მისი ხსნა იყო, გზა ერთადერთი
და ჩვენებურად მიტომ შესძახა: შენ ძმა ხარ ძმისთვის, გწყალობდეს ღმერთი!
შემოაბრუნა მერანი სწრაფად, ბოსფორის ტალღებს ეკვეთა მძაფრად,
უკუნმა შთანთქა ცხენი და კაცი, ტალღა თავს ედგათ ფრთაგაშლილ აფრად.
მეც სხვებთან ერთად მივასკდი ნაპირს, მაგრამ დევნილი ვერსად დავლანდე.

უნდა შეგქმლოს თავის მოთოკვა, თუ არ გსურს, მტრებში მტრულადა ჩანდე.
დაიღუპაო, ეს თქვეს მდევრებმა და მოაბრუნეს უკან ცხენები.
ოხ, რა ვიომეთ! — გაიძახოდნენ, გმირულად ლესეს გზაში ენები.
მე გზაში ავცდი, სხვა მხრით ვიარე, ფარსმანს ვურჩენდი ფიქრით იარებს,
კაცად ისაა დასაფასები, ვინც მოძმის ტკივილს გაიზიარებს.
ბევრი ვიაზრე, რა ქნა, გადარჩა? ეგება, გახდა ტალღების კერძი.
ძნელად ამ სრუტეს გადაურჩები, თუ არ გმფარველობს მფრინავი ვერძი.
მე როგორც ვიცი, ამ ადგილებში გადაარჩინა ვერძმა ბავშვები,
ფრისკე და ჰელე, განდევნილები, მათზე ზღაპრებით აღარ დავშვრები.
თუ ასე იყო, ერთი დაიხრჩო, მეორემ ცაში შეკრა კამარა,
კოლხეთში მოხვდა გზააბნეული, მარტოდ შთენილი, ვერძის ამარა.

**თემისტოსი —**

შენ გაგიგია, რაც იყო წინათ, რაც ჩვენ ჩაგვესმის, როგორც ზღაპარი,
მაგრამ ვინც იცის წარსულის გემო, ყველა უნთია, როგორც ლამპარი.
ორი ათასი წელი გავიდა, ბევრი მიეცა დავიწყებასა,
ფრიქსეს და ჰელეს მწუხარე ბედი აადუღებდა მრისხანე ზღვასა.
მეფე ათამანტს მოუკვდა ცოლი, ობლები დარჩნენ მიუსაფარი,
დედინაცვალი მიჰგვარეს ბავშვებს, სიტყვებით მელა, ქცევით — აფთარი,
სხვაგან ვინ ნახა, სამულველ გერებს, დედინაცვალი კოცნის, უფერებს,
ჰო და, ინომაც, მას ერქვა ასე, დაადგა თვალი მიმინოს მწყერებს.
დაიწყო ასე, მთელ სამეფოში ხორბლის მარცვალი მოახარშინა,
მეფის უჩუმრად დაათესინა, ყანებს ელოდნენ გარეთ და შინა.
არ აღმოცენდა მწვანე ჯეჯილი და მოსავალი ვერ მოიწიეს,
შიმშილმა მოსპო ბევრი სოფელი, სცადეს, მიზეზი ვერ მოიძიეს.
დელფოს სამისნოს ინოს მსახური გაუშვეს ამბის გასაგებადა,
ინომ ასწავლა მონას პასუხი, რა უნდა მოხდეს, რატომ და რადა
და მოუტანეს მეფეს ამბავი, ამას იტყოდა, ვითომ, მისანი:
თუ გსურთ შიმშილი მოიგერიოთ და აისრულოთ გულის მიზანი,
უნდა გამოჭრათ ყელები ბავშვებს, სამეფო ვერძი ზედ მიაყოლოთ.
სამივეს თუკი შესწირავთ ღმერთებს, ამ გზით უშველით ქვეყანას მხოლოდ.
რა ექნა მეფეს, სამეფო წახდა, არ ჩანდა სხვა რამ გამოსავალი,
მზადება ბრძანა, კაცი რას იზამს, თუ ღმერთს არ უნდა სხვა მოსავალი?
სამეფო კარზე, ორგულთა გარდა, იყვნენ ჭკვიანნი და ერთგულები,
მათ გააპარეს ფრიქსე და ჰელე, დაზაფრულები, შიშმოცულები.

მაშინ მეფენი მრავალნი იყვნენ, წინაპართაგან მოსდევდათ წესი,
მორიგეობით ვერძს ღმერთს უზრდიდნენ, ასეთი იყო რამ დანათესი.
ამ ვერძს ეფარა ოქროს საწმისი და ნებიერი იარებოდა,
წასულთა ხსოვნას უძღვნიდნენ ბოლოს, რომ მათი სული ზიარებოდა.
ასეთი ვერძი თან გაატანეს, მას გარს ემოსა ოქროს საწმისი,
ჩვენ ეს ამბავი ზღაპრად შემოგვრჩა და გაგება გვაქვს შესაბამისი.
ფარსმანს არ ჰყავდა მფრინავი ვერძი და არც მერანი იყო ჰეგასი,
თვითონ ყოფილა შემმართებელი, სხვა თუ ერთია, ყოფილა ასი.
ახლა როდესაც ვიცით სიმართლე, გასაგებია, რა როგორ მოხდა,
როცა აზიას ფეხი უწვდინა, შვების სიმღერა, ალბათ, აღმოხდა.

**პრეფექტი ანთიმოზი —**

მე კარგად მახსოვს სიტყვა მალული ერთიდან ბევრთან იარებოდა:
ფარსმანი წუხელ ზღვაში დამხრჩვალა, ტალღასთან ნაპირს ვერ მისწვდებოდა,
ზოგნი იტყოდნენ, მთვრალი თუ იყო, მიუთითებდნენ ზოგნი მიზეზსა,
ის, ვინც სიცოცხლით არა სწყალობდა, შეადარებდა გარდაცვლილს ზევსსა.
არკადიუსი — იმპერატორი სხვებზე უმეტეს დარდობდა, სწუხდა,
აღარა ჰყავსო გმირი სარდალი, ვინც აზიაში სჭექდა და ქუხდა,
ევტროპიუსი კვერს დაუკრავდა, ნამდვილ მოტირალ მეგობარს ჰგავდა,
იყო ისე თქმა, იყო ასე თქმა, ათასი ჭორი უცებ აზვავდა.
გლოვა სასახლეს აღარ აცალეს, სათქმელს სათქმელი გამოაცალეს,
წუხილის თასი უცებ დაცალეს, გადაივიწყეს, სხვას ანაცვალეს.
გაინა გახდა მთავარსარდალი, ყველა მეტოქეს დაუვსო თვალი,
გერმანელები დაზავდნენ მალე, მისით მოირთეს მეტოქეთ მალი.

**სუბარმახიოსი —**

მდევარს როდესაც გამოვეყევი და სამშვიდობოს ვიგულე თავი,
ოქროს რქისაკენ გავბრუნდი უკან, რომ გამეფანტა ზმანება ავი.
დილამდე დავრჩი, ნაპირ და ნაპირ, წაღმა-უკუღმა, ვეხეტებოდი.
ვაკვირდებოდი, მაკვირდებოდნენ, რას დავეძებდი, ვერ მოვუყვებოდი.
როცა მენავეთ იქითა მხრიდან არ მოიტანეს ცუდი ამბავი,
არვინ დამხვრჩალა იმ ღამეს ზღვაში, კაცურ ნამუსთან შევკარი ზავი.
სწორედ განვსაჯე, რაკი ფარსმანი, მასთან დაჭრილი იმისი ცხენი
არსადა ჩანან, არც ჰყავთ მხილველი, მტრისათვის დარჩნენ ხელმიუწვდენი,
ნიშნავს — გაცურა მშფოთვარე სრუტე, აზიის სივრცეს თავი მიანდო,

მთები გაუვალ ტყეებით სავსე შესაფარია, ყველაზე სანდო.
წამოველ ფიქრით გულმოცემული და ევდოქსიას ვუამბე ყველა.
ვუთხარ, ნუ დარდობ, მტრების ჯინაზე, ახლა შვილს უნდა ფერება, შველა.
დამიჯერა და მთელი ის ხანი, ქმარს მხიარული ეჩვენებოდა,
არკადიუსსაც, ცოლის ნათელი, გულზე ლოდივით ემძიმებოდა.
ხოლო როდესაც მოვიდა ცნობა, იბერთა მეფე გახდა ფარსმანი,
ქალი აღივსო სხვა სიხარულით, მე არ მინახავს მშვენება მგვანი,
ჯერ ერთი, ვიცი, ქალის სიტურფე მატულობს, როცა ელის დედობას,
მხეციც რომ იყოს, მომლოდინე ქალს, გულით დალოცავ, ეტყვი შენდობას.
ევდოქსია ხომ ისეც ლამაზი, ტურფა ელენეს ედარებოდა,
მშვენება იყო, თუმცა მიჯნურის ცნობა არ ჰქონდა, ედარდებოდა.
ახლა, როდესაც ვუამბე წვრილად, აღმოსავლეთით როგორ იარა,
წულული მოვბანე და დავუამე დაობლებული გულის იარა.
თუმცა ორი თვე იტანჯა ბევრი, ჩუმი ცრემლებით გაავსო ქვევრი,
წუხდა და ადგილს ვერ პოულობდა, დარდში შებმული ბრუნავდა კევრი.
ახლა დამშვიდდა და თან დამშვენდა, გარშემო მეოფთაც სიამეს ჰფენდა.
მცველი, მშობელი თავს ვევლებოდი, გულით ვლოცავდი — დიდება შენდა!
ცოტა ხნის შემდეგ იშვა მემკვიდრე, მეურვეობა, მენდნენ და მანდეს,
ჩვენ ერთად ვწურთნეთ და ერთად ვზარდეთ, ჩვენი ამაგიც ხომ უნდა ჩანდეს!
დღეს მერვე წელში გადამდგარია, ჯანით და გონით, ერთობ, მეარია,
ვფიქრობ, კაცობით და ვაჟკაცობით ემაწვილი მამის დასადარია.

**პრეფექტი ანთიმოზი —**

ეს არის ახლა, მაგრამ იმჟამად, ჩვენც ხომ ვიწვნიეთ, იცი შენ თავად,
როცა ფარსმანი ხედვიდან გაქრა, და არ ვიცოდით, კარგად თუ ავად,
ცოცხალი დარჩა, თუ ვერ გადარჩა, საით იარა გულგასახარად,
როცა გამეფდა, მალა მოირთო, ელჩი მოგზავნა, ჩვენ გასამწარად.
კეისარს სთხოვდა მეფე ფარსმანი, როგორც სწორი სწორს, მიეცა განი
და იმ სიავეს დაივიწყებდა, რასაც დაუდეთ აქეთ სამანი.
არკადიუსო, იყო ნაწერი, საწყენ-სალხენი ცალკე გავცერი,
ბოროტს შეგინდობ და გაპატიებ, გულს არ დამრჩება ჩამონაჭერი.
იმპერიასაც ვემეგობრები, ერთად ვომობდით მრავალი წლები,
მაგრამ პირობად ერთ რამესა გთხოვ და სხვა არ მინდა მისი თანხლები.
დედოფალს, ვინაც არად მიგაჩნდა, ვის ღალატობდი ყოველ ცისმარე,
მიეცი შენგან თავისუფლება, რაც დაამცირე, ისიც იკმარე!

დე, მან განსაჯოს ჩვენ ორთა შორის, ვინ არის ღირსი საუნჯის ქონის
და მე მოგიძღვნი საუნჯეს იმდენს, შენი სასახლე ვერ გადაწონის.
თქვენც გეხსომებათ, იმპერატორი, რომელს ეგონა, რომ მისი სწორი
ღმერთიც არ იყო აღმატებული, უტრიალებდა ქალსა, როგორც ქორი,
საჭურისების ჰყავდა ალყაში და გასაქანი არსაით ჩანდა,
ფეხმძიმე ქალის ბედის სასწორი სიავისაკენ უცებ დაქანდა.

**სუბარმახიოსი —**

შენ მოჰყევ იმას, რაც ბევრმა იცის, სასახლის კარზე ელჩის მნახველი
მრავალი იყო, მრავალს ეკერა პირზე იბერთა მეფის სახელი,
ელჩთან მეც მქონდა შეხვედრა ჩუმი, რაზე და რა ვთქვათ, არის უკუნი,
ფარსმანის სურვილს არ ჰქონდა ზღვარი, ფარსმანის გეგმას გააჩნდა წუნი.
ის მთავაზობდა, შევკვრა პირი, დედოფლის მცველი ყველა ორპირი
უცები დარტყმით მოგვეკლა ყველა, ქრთამიც გვეხმარა მძიმე და ძვირი
და დედოფალი გამოგვეყვანა, მე და ჩემებიც ვხლებოდით თანა,
ნავსაყუდელში გემს შევფარვოდით, რომელს მალუმდა ჩვენი წაყვანა,
გაშლილ ზღვაში კი ის შეგვხვდებოდა, მდევრებისაგან დაგვიფარავდა.
ასე უსუსხლოდ და უხიფათოდ თავისიანებს მოგვიპარავდა,
როცა დედოფალს ვუამბე ყველა, რას ფიქრობს ფარსმან, რითი სურს შველა,
დამძიმებულ ქალს, ნაყოფის გამო, გაქცევ-გაპარვა ფრიად ეძნელა.
აქ ისე დავრჩით და ძლივს გადავრჩით, ევტროპიუსის მსტოვრების გამო,
დღე და ღამ გვმზერდნენ, დედოფლის ახლოს, თუმცა დაცული მქონდა მიდამო.
მე დავამატე, რათა იცოდეთ, არ დაილია სატრფოს მცდელობა,
მიჯნურისათვის მიჯნურის ტანჯვა ადამის მოდგმის არის ხელობა.

**ბაკურ იბერი —**

ჩემთვის ყოველი გასაგებია, თუმცა შორს მყოფი დიდხანს ვფიქრობდი,
არკადიუსი შეეკრა ფარსმანს, მაგრამ რა მიზნით, ამას ვერ ვგრძნობდი.
თუ მიტომა ქნეს, რომ მოკავშირეთ კარი ალანთა არ დაეკარგა,
ხომ არა სჯობდა, მყარად დაერტყათ, აქეთ რომ შერჩეთ, იქით ევარგათ.
ცნობილი არის, რომ იბერია იქით ხაზარებს ედავებოდა,
აქეთ სტუმრადაც არ ატარებდა, მომხდურებს ლომეკს იქით ხვდებოდა.
თავად ოვსები, ალანთა მოდგმის, ალანები კი სკვითთა ჯიშისა
მუდმივ მოყვრობდნენ ფარნავაზიანთ, მონაწილენი ლხენა-ვიშისა.

თუკი შეთანხმდნენ და ამის გამო, იბერიაში დაჯდა ფარსმანი,
მაშ, რატომ ატყდა მათ შორის ომი, როგორც კი მცირე გავიდა ხანი?
შვიდი წელია, იმპერიაში ფარსმანი მიწყივ ხმალს ატრიალებს:
ხან აქ დაარტყამს, ხან იქით იპყრობს, იბერთა დროშებს აფრიალებს.
მანამდე, ვიცი, ჩრდილოეთიდან გერმანელები არ ისვენებდნენ,
ახლა რა მოხდა, რატომ დაზავდნენ, რომელ ჯადოსნურ ძალას დანებდნენ?
დასავლეთიდან ჰონორიუსი ძმა და სიყრმითვე თანაშეზრდილი,
შურით სკდებოდა, მტრულად ხვდებოდა, ყველა სიავის გახდა აჩრდილი.
მხოლოდ აზია გვეყმოდა წყნარად, ხარკსაც იხდიდა კარგად თუ ავად,
აზიის სამხრეთს მე ვდარაჯობდი, ვიყავი მტრების გზის შესაკრავად.
სანამ ფარსმანი პართიას მტრობდა, ჩვენთან საომრად მათ არ ეცალათ,
როცა დაზავდნენ, აღმოსავლეთით მტკიცე საყრდენი გამოგვეცალა,
მითრიდატეს და ფარნაკის შემდეგ პონტოს სამეფო გახდა რომისა,
პომპეუსის და ცეზარის მერე მას აღარ ჰქონდა ძალი ომისა.
მთებს კავკასიის, უხსოვარ დროდან კოლხნი, იბერნი ედგნენ დარაჯად,
ყველა გასასვლელს უდარაჯებდნენ, ეს იყო მათი დიდი ხარაჯა.
რომმა იცოდა იმათი ფასი, მიტომ ითმინა წყენა ათასი,
რომში მეგლები აუგო მეფეთ და მეგობრობა ჰქონდა ხალასი.
ფარსმან ქველს ვეტყვით, ორასიწლის წინ, აფსარის აქეთ ფართო მიწები
შეიერთა და დაგვამაბუნა, მაინც ძმა დარჩა დასაფიცები.
ახლა რა მოხდა? — ვფიქრობდი ხშირად, — ამ ფარსმანს რატომ
სწყურია ომი?
რამდენი უნდა კიდევ მიიღოს, რომ გადაივსოს თვალის საზომი.
თურმე, სხვა იყო ომის მიზეზი, ქვევრში მჯდომარეს სულ სხვა მეგონა,
გრძნობის სიმძიმე უფრო მეტია, ვიდრე მთვარე და ვარსკვლავთა წონა.
ახლა გავიგე და აღარ ვკიცხავ, ზღვაზე მეტს იტევს პატარა გული.
თუ სიყვარულით არ უმღერია, რისთვის ყოფილ ყოფილა დაბადებული?

**პრეფექტი ანთიმოზი —**
შენ თუ შორეულ პალესტინაში აქა–იქ ცნობით ბევრსა ხვდებოდი,
ჩვენ აქ ორ ცეცხლში ვიწვოდით მუდამ, მაგრამ უმლური რას გავხდებოდი?
ცალკერძ ვიცოდი, რომ დედოფალი იყო მეუფე თავის მეფისა,
არ იყო მასთან არკადიუსი შემბრუნებელი მაღალი ხმისა,
მეორე კერძ კი, ეჭვებით სავსე ქალს არ აძლევდა მოსვენებასა,
უხმოდ სტანჯავდა, თვით იტანჯვოდა და გვაყენებდა ყველას ვნებასა.

როდესაც ბიჭი შვა დედოფალმა, კარისკაცებმა გავიგეთ ვიდრე,
არკადიუსმა ბრძანებით გვამცნო, რომ დაიბადა მისი მემკვიდრე.
მამის სახელი უწოდა შობილს, ბადიშს დაერქვა პაპის სახელი,
თუმც არ ყოფილა თეოდოს მცირე თეოდოს დიდის მომსწრე-მნახველი.
აქ მართლად ითქვა, აქა ვართ სამნი, ვინაც თეოდოსს ზრდიდა და წვრთნიდა.
ჩვენ უნდა ღმერთთან გვეგო პასუხი, რას ისწავლიდა და რას შექმნიდა.
არკადიუსი ბავშვს უფერებდა, ბავშვსაც უყვარდა და მამად თვლიდა,
დღეს მერვე წელში გადამდგარია, ბიჭი გმირების დასადარია.
მის ხელში არის ბედი-იღბალი, არკადიუსი რაკი მკვდარია.

**თემისტიოსი —**

ხშირად იტყვიან, ჯერ პატარაა, ნუ გააწვალებ, მიეცი შვება,
წამოიზრდება, სწავლას და ცოდნას გაითავისებს და მოესწრება,
ამიტომ არის, შეძლებულები შვილებს უზომოდ ათამამებენ,
აუცილებელს უკუაგდებენ, ფიქრობენ,, ამით შვილს აამებენ,
მოუბრუნდებათ პატივი უკან, სიკარგის ნაცვლად ავს მოიმკიან,
იმათი აზრით, შვილს თუ დაზოგავ, ნამდვილი აღზრდა ამასა ჰქვიან,
მე ადრეც მითქვამს, მწვრთნიდნენ კოლხეთში და თუ მაქვს ცოდნა დაზ-
ვინებული,
სიმკაცრით წურთნის მადლის ბრალია, არ დავრჩენილვარ გაწბილებული.
ჩვენ თეოდოსი სიმკაცრით ვზარდეთ, ისმინეთ ჩემი აღიარება,
ბევრჯერ მინახავს ჯოხით დასჯილი, მსმენია მისი აღრიალება.
განსაკუთრებით სუბარმახიოს, უბელო ცხენით თან დაათრევდა,
ზოგჯერ ცხენიდან გადმოაგდებდა, ამხედრებული გაქცეულს სდევდა.
სიბრძნის სიყვარულს მე ვუნერგავდი, ანთიმოზი კი საერო საქმეს,
სუბარმახიოს მკაცრად გვეტყოდა, არ დამალავდა ბავშვთანაც სათქმელს.
თუ ჯანმრთელობა არ ექნა მოზარდს, ლოგოსის ცოდნას რა ჭირად აქნევს?
თუ ვერ ჯირითობს, ხმალს ვერ მოიქნევს, დაპყრობილ მიწებს სწრაფად
მიაბნევს.
მთავარი არის მეომრად აღზრდა, ბიჭი მამისგან არის ჯანმრთელი,
მისი გამოწვრთნა და გაკაჟება ყველა აღმზრდელის ვალია წრფელი.
იქნებ, ამიტომ, ბაკურ ბატონო, შეხედავ ტანით კაცს ედარება,
მერვე წელშია იმპერატორი, ბავშვური ქცევა არ ენატრება.

**ბაკურიბერი —**

იმპერატორის უდროო სიკვდილს იმპერიაში არვინ ელოდა,
ვინაც საქმისთვის მოვლენილია, მას საჭორაოდ არა ცხელოდა.
ამიტომ იყო, როცა მაუწყეს, არკადიუსი ჯერ წლებით მცირე
გარდაიცვალა, შენაც იგლოვე, შეკრიბე ერი, მაღლა შესტირე.
თავდაპირველად მეგონა ჭორი, მაგრამ როცა აქ გამომიძახეს,
თან წერილობით მაცნობეს ყველა, ვცანი, არავინ არ მიგებს მახეს.
რამდენი დღეა, უკვე აქა ვარ, მე ჯერ დედოფალს მივუსამძიმრე.
ტკბილად მიმიღო, მამა მიწოდა, მეც მივეფერე, არ გავუჭირვე.
მეორე დღისთვის კვლავ დამიბარა, როცა გვესტუმრა მეფე ფარსმანი,
დაღვინებულა, თმაშევერცხლილა, მველებური აქვს ხედვა და ჯანი.
ანთიმოზ იცი, მცირე დარბაზში ათას საკითხზე გავმართეთ ბჭობა.
დასკვნა ასეთი გამოვიტანეთ, როდესაც გვიჭირს, გვმართებს ბიჭობა,
ბოლოს გადაწყდა: იმპერატორად შვიდი წლის ბიჭი და ანგელოზი,
უნდა ვაკურთხოთ, მრჩევლებად ჰყავდეს და პულხერია და ანთიმოზი.

**პრეფექტი ანთიმოზი —**

მხრებზე დამაწვა დიდი სიმძიმე, დღეს ჩემი ბედი სატირალია,
საქმეს გამგებლად სჭირდება იგი, ვის ღმერთი ლოცავს და ალალია.
იმპერატორი, ვინც უნდა იყოს, ღმერთისგან არის ის ხელდებული,
როგორც გვიბრძანებს, ჩვენც უკან მივდევთ, ერთგულები და თავდადებული.
ზოგჯერ, ეგება, სწორად არ სჯიდეს, მაგრამ ნათქვამი უნდა შესრულდეს,
არ არის მონის გადასაწყვეტი, ბატონს ურჩიოს, რაც თავად სურდეს.
ორ ცეცხლს შუა ვარ დღეს ჩავარდნილი, უნდა საქმეში დავიდო წვლილი,
სხვისი სახელით გადავარჩიო, რა როგორ იყოს მსხვილი და წვრილი.
დღეს დამეკისრა მოვალეობა, გავუძღვე საქმეს მე ერთი გზობა,
ყველას წინაშე პასუხი ვაგო, რა შეიცვლება და აეწყობა.
თუ გავამართლე და გამიმართლა, ქვეყნის სატკივარს თუ ვუმკურნალე,
იმპერატორი ყველა სიკეთეს თავისად ჩათვლის, დღესვე თუ ხვალე
თუ რამე შემცდა, შეცდომით ჭედვა მუდამ ყოფილა კაცის ბუნება,
თქვენ ხვალე ნახეთ ჩემი დღე მწარე, ბედის უკუღმა შემობრუნება.
ის, რაც კეისარს ეპატიება, მონისთვის იგივ სასჯელი ხდება,
ვერსად წაუვალთ ჩვენს ბედისწერას, ასეთი არის უფალის ნება.
მე იმედი მაქვს, იმპერატორი, ვის მსახურება ღვთისაგან მაწევს,
წამოიზრდება, ამაგს შეხედავს, გზას გააგრძელებს, ჩემზე მეტს გასწევს.

დამიფასდება სიბერის წილად, მისგან, რომელიც მიმაჩნდა შვილად.
ვისაც სიცოცხლით ვემსახურები, გადავქცეულვარ რომლისთვის ჩრდილად.

სუბარმახიოსი___
ბედზე ჩივილი, მოთქმა, წუწუნი, კაცს აჭიანებს, მხოლოდ ქალს შვენის,
ის, ვინც ბრძოლისთვის დაბადებულა, არ უნდა იყოს ამყოლი ენის.
რაც წარსულშია, მნელი არ არის, გინდა აქო და გინდა აგინო,
გმირად მაშინ ხარ გამოსაჩენი, თუ გადიტანე ომი საჩინო.
აქ კი რა არის სატრაბახები, ჩვენ ბედის ნებით შევაწყვეთ ხმები,
არკადიუსის გარდაცვალება თუმცა კი იყო საქმე სავნები,
მაინც ველოდით სასახლის ირგვლივ ჯარად დავაწყე ერთგული მცველნი
ევტროპიუსი, მასთან გაინა, გამოვამწყვდიე მეტოქე მველნი,
ფეხქვეშ გამიწვნენ, თან გამახსენეს, რომ ევდოქსია მათით აღზევდა.
ერთხმად მღეროდნენ, თავადაც იცით, მაღლი რომ მაღლის ტყავს არ დახევდა
ის, რაც ჩვენ დავთქვით და დავადგინეთ, ბრალად დავუდეთ და ვათქმევინე,
ფარსმანის ჯავრიც ამოვიყარე, სული გავუშვი, ხორცი ვაგინე,
ორივემ ტანჯვით დალია სული, რადგან ორივე იყო ავსული.
ჩვენთან არ ჰქონდათ თანხმობა სრული, ორივე იყო თავზე გასული,
ბაკურ ბატონო, ეს ჩვენი რჩევით ყველა სარდალი გამორჩეული
სასწრაფოდ აქეთ გამოიძახეს, არვინ დატოვეს გზაარეული,
სანამ შეგროვდნენ ქვეყნის თავები, იმპერატორის დანაბარები
აღვასრულეთ და წესი ავუგეთ, მისი სამვალის დავხშეთ კარები.
შემდეგ, როდესაც შეგროვდა ყველა, უცხო სტუმრებიც ბევრი გვეწვია,
თეოდოს დავსვით იმპერატორად, რომ სიხარული გამოგვეწვია.
პირველმა მივეც ჩემ აღზრდილს ფიცი, ვინაც გამიხდა გულის საფიცი,
ის მამამისსაც გადააჭარბებს, უფლის თანხმობით, ვილოცე, ვიცი,
მე ბევრს არ ვითხოვ, არც მსურს ვიცოდე, მინდა, ერთგულად მისთვის ვიღწვოდე,
ხმლის ტრიალიდან ღვინის თასამდე, მას ვედგე მცველად, მისთვის ვიწვოდე.
ანთიმოზ, შენ ხარ ჩვენი რჩეული, შენ უნდა მისცე საქმეში რჩევა,
ასწავლო, როგორ მართოს ქვეყანა, არ დაიმკვიდროს უღირსი ჩვევა,
მცირე დრო გავა და დაკაცდება, დიდი მოღვაწე მისგან დადგება,
ჩვენ უნდა გვერდით ვედგეთჩევა,ვინეა ცისმარე, ასეთი არის ჩვენი განგება.

**ბაკურიბერი** —
იმპერატორის ვნახე კურთხევა, ის, რაც განგების ძალით გვეძლევა,
ქვეშევრდომთათვის მისაღებია, ეს არის ჩვენი წესი და ჩვევა.
როგორც სარდლებში ყველაზე ხნიერს, თეთრი თმა-წვერით რომ აჩენს იერს,
დედოფლის ახლოს დამიდგეს სკამი, იქიდან ვმზერდი ყველა მიწიერს,
მე თქვენი ფიცის ყოველი სიტყვა, მასთან ათასთა დამოწმებული,
გონს აღმებეჭდა, ვიმეორებდი, ჭაბუკურ გზნებით აღმევსო გული.
ელჩები იყვნენ სხვადასხვა მხარის, ტომთა ბელადნი, ზოგთა მეფენი
საზეიმო დღეს იყო ხმაური და შემახილი შვების მომფენი,
მეფეთა შორის ვლანდე ფარსმანი, თვალით მოვზომე და მიპასუხა,
გარს ეხვევოდნენ დიდებულები, თავაწეული იდგა ბერმუხა.
შემდეგ დაიწყო დიდი მიღება, როცა მილოცვას ლოცვა მიჰყვება,
სანახავია ისე ლამაზი, სიტყვა ვერ აღწერს და მოგიყვება.
ახლად ნაკურთხი იმპერატორი, დიდხანს ფარსმანის ნათქვამს ისმენდა,
გაჭრილ ვაშლივით იყვნენ მსგავსები, გულში გავივლე — დიდება, შენდა!
მთელი საღამო წვეულებაზე, რაც იყო რომის ჩვეულებაზე,
ვერ მოვაცილე ორთავეს თვალი, გრძნობა მივუშვი თავის ნებაზე.

**პრეფექტი ანთიმოზი** —
დღეს ახალგაზრდა იმპერატორი, ფარსმანს ეწვია, ვით სწორთან სწორი,
ითათბირეს და დათქვეს ერთობა, არ გადიხაროს იქით სასწორი,
იბერიასთან მტკიცე მშვიდობა ჩვენი მცდელობით მიღწეულია,
ვინაც სიკეთის გზებით იარა, ღმერთმა სიკეთე არ დაულია,
აღმოსავლეთით, სად შვიდი წელი უომრად დღე არ დაღამებულა,
სადაც ფარსმანის მლიერი დარტყმით მრავალი კუთხე გაწამებულა,
სადაც, თქვენ გახსოვთ, თეთრი ჰუნები, მარბეველები შემოგვისია,
აღდგენილია ჩვენთან ერთობა: ჩვენი ჩვენია, მისი — მისია.
მეტი რა გვინდა, აღმოსავლეთით პართიისაგან გვიცავს ფარსმანი,
ნეტა სხვა მხარეს, მიმართულებით მოკავშირენი გვყოლოდა მგვანი.

**სუბარმახიოსი** —
ბაკურ ბატონო, ამათ რომ ჰკითხო, არა სჭირდებათ მოწმის მიწვევა,
თუ სასიკეთო რამე მჟრებია, ყველას ჰგონიათ თავის მიღწევა.
აბა, მე მკითხეთ, არკადიუსი ჯერაც არ იყო გაცრებული,
ჩემი შიკრიკი ფარსმანისაკენ მიაგელვებდა გამალებული,

ეს მე ვაცნობე ცვლილება ყველა ევდოქსიასთან შეთანხმებულად,
ვთხოვდი, ქარქაშში ჩაეგო ხმალი, წამოსულიყო გაგელვებულად,
მისი იმედით შევკარ სასახლე, მისი იმედით კიდეც ვკაცობდი,
ევტროპიუსს და იმის დამქაშებს არ ვიკარებდი, არაფრად ვცნობდი,
როცა გვეწვია ფარსმანი ბოლოს, ევდოქსიასთან გული იჯერა,
ერთად განვსაჯეთ გადასაწყვეტი: უფროსი ძმა ვარ და დამიჯერა.
მოეხსენება ჩვენი ამბავი, ერთგული არის არ უნდა ავი,
იმპერატორის ძლიერებისთვის, თანახმა არის, გადადოს თავი,
აღმოსავლეთის დამორჩილებას დიდი არის თუ მცირეთა წყებას
გვპირდება მტკიცედ და საპასუხოდ ითხოვს, რომ დავყვეთ ძლიერის ნებას.
დედოფალს ითხოვს, თავის დედოფალს, სხვა არა უნდა ამოსაგები,
მცხეთას სასახლე უდგია დიდი, კოშკები იცავს მტკიცედ ნაგები,
ცალკე დაისვა იმპერატორი, მამა-შვილურად ყველა გაანდო,
იმპერატორმა ლოცა ფარსმანი, გული იპოვა ყველაზე სანდო.
დღეს დედა-შვილი თანახმა არის, მალე ჩამოჰკრავს მგზავრობის ზარი,
გული იპოვის თავის საგულეს, დედა-შვილს შორის გაჩნდება ბზარი.
და კიდევ ერთი უნდა დავურთო, გადასაწყვეტად რაც მეძნელება,
რაშიც არა ვარ გულით მართალი, აზრით მჭირდება მოძმეთა ხლება.
ფარსმანი მირჩევს, ამ სიბერის ჟამს, როგორიც ვიყავ, ყველა შევცვალო,
ფასდადებულმა, ნაპატიებმა, ახალი ვძებნო და ვანაცვალო.
მირჩევს, დავტოვო საიმპერიო, სად დავიბადე, იქით ვიდოდე,
მე არვინ მახსოვს, მათ კი ვახსოვარ?— ვის გადვეყრები, ნეტავ, ვიცოდე.
და-ძმა თუ შემრჩა, ან მათი მოდგმა, დამინახავენ, რას იფიქრებენ?
— ბავშვი წავიდა, მოხუცი — მოდის, ცხოვრებას ასე როდი იწყებენ!
ვთქვათ და, დავთანხმდი, ჩემი ჯალაბი: ცოლი, შვილები და მსახურები
რომ გაიგებენ, ხომ იფიქრებენ: ტვინნაღმობია, განახურები.
იმპერატორთან მაქვს სიყვარული, ისიც მიფასებს ამ ერთგულებას,
ის მივატოვო, მასთან — სასახლე, ავყვე სიახლის ფლობის ცდუნებას,
აქ მაფასებენ, იქ ვის ვჭირდები? კოლხეთისათვის ვარ დაკარგული,
ჩავიდე, მითხრან, აქ რას დაეძებ — ნაღველი შემჭამს, გასკდება გული.
არ წავიდე და, ეგებ, ვჭირდები, სოფელს, ქვეყანას რაღაცა ვარგო,
თუ შემიძლია ძველის მოძებნა, მაშ, სამუდამოდ რად დავიკარგო?
ბაკურ ბატონო, მეც ხომ მაქვს გული, ჩემში იმ მიწის ბრუნავს სურნელი,
სამშობლოს გრძნობა დაუვიწყარი სენი ყოფილა განუკურნელი.

ოჰო, რა ძნელად გადასატანი, რა ტანჯვის ცეცხლი არის ობლობა,
არვინ გიმღეროს ძილის წინ ნანა, არავის სურდეს შენი მშობლობა,
არ დაგირწიოს დედამ აკვანი, მამამ ვერ შესძლოს მხრებით ტარება,
მოტირალს არვინ მოგწმინდოს ცრემლი, ვერ სცნო ალერსი და გახარება.
გულში არავის ჰყავდე ხატებად, არავის სურდეს შენი გაგება,
სხვის ნაგავს ჰქექდე საჭმლის ძებნაში, ეს იყოს იმ დღის მოგებ-წაგება,
ნათესაობა გარს არ გეხვიოს, გვერდით არ გედგნენ დანი და ძმანი,
ასე ობოლი თავი კი არა, ცოცხალს არ უნდა მტერი-დუშმანი,
შენი ნათქვამი არვის ესმოდეს, შენდამი იყვნენ ყრუ და მუნჯები,
მოდი, გაუძელ ასეთ ცხოვრებას, ნუ აჯანყდები, ნუ ეურჩები.
მშობლით ობლობა მალზეა ძნელი, უნდა ეწამო მრავალი წელი.
ათას სადარდელს თუ გაუძელი, ბოლოს მოგწვდება მსახვრელი ხელი.
ვიღაცა მაინც ხომ დაგინანებს, ვიღაცა იტყვის ღვთისა შვილია.
მიწა მიგიღებს, ჩაგიკრავს მკერდში, მშობელი მიწა გულგაშლილია,
ვაი მას, ვისაც მშობლით ობლობა დაბადებიდან უტარებია,
მის გონს რა მისწვდა სულში ჩამხედი, გული რა გრძნობით უხარებია,
და მაინც მე მშურს ასეთი კაცის, თუმც დადიოდა ქვეყნად ეული,
მშობლიურ კუთხეს ესმოდა მისი, თუ თვითონ იყო კაცი გრძნეული.
მე ვსტირი ისეთს, როგორიც მე ვარ, როგორიც შენ ხარ, არის მრავალი,
მშობლიურ კერას მოწყვეტილები, რომელს გამოჰყვა იმ მიწის ვალი?
ისედაც ხდება, დედა არ ახსოვს, მაგრამ ვიღაცა უწევს დედობას.
ცოდვილმა სულმა თუ მიისვენა, გვერდით ვიღაცა ეტყვის შენდობას.
ჩვენ სხვანაირი ვიცით ერთობა — კოლხი არის თუ არის იბერი,
ტომებს ატყვია სიმძლავრე ჯანის, ფესვებს ატყვია სიბრძნე სიბერის.
ჩვენში უცხოსაც თავს წაუქცევენ, ფეხზე ადგომით ეტყვიან წასულს,
ვერ იტყვი ღვინით მოუგონებელს, გადავიწყებულს და ყავლაგასულს.
უცხოეთში კი ვის რად ვუნდივართ? — გამოგვწოვენ და გადაგვაგდებენ,
ერთი თუ წავა, მოვა მეორე, არც ერთის წუხილს არ იდარდებენ.
სხვა მიწის შვილი სხვას რაში არგებს, სანამ სჭირდება, უფერებს, აქებს,
მზეს რომ სჭარბობდე სულის სინათლით, მზეს მოგიძებნის ათასგვარ ლაქებს,
ამიტომ გირჩევ, სანამ გაქვს ჟამი, აღარ დაფიქრდე არც ერთი წამით,
აღარ უყურო, საით ჰქრის ქარი, არ გადიხარო, როგორც ლერწამი,
აღარ დაგჭირდეს სხვის კარზე დახრა, ბედი თუ გწყალობს, თავი ასწიე,
მხნედ შეეჭიდე მაცთურ იმედებს, სამშობლოსაკენ ლხენით გასწიე.

არ დაიდარდო, ვინ მელის, რადა, გწამდეს გაშლილი ნაჯაფი ხელის,
თუ მშობლისაგან დარჩი ობოლი, მშობელი მიწა უცილოდ გელის.
სუბარმახიოს, გწყევია ბედი, იქ გემახიან, სადაც იზარდე,
მშობლიურ მიწას უყვარს ფერება, გეყო, რაც სცოდე და რაც იდარდე!
ფარსმანს მიენდე, იცი, მმა არის, უტყუარია, მძლავრი და მყარი,
გიენოსში თუ ვერ დახნავ მიწას, მცხეთის მახლობლად დაჭკარი ბარი.
ადრეც მითქვია და ვიმეორებ: დღეს არჩევანი გაკეთდა დიდი,
კმაყოფილი ვარ ასე რომ ვლიდი, კარგს კარგს ვარქმევდი, ცუდს ცუდად
ვთვლიდი.





## 502წ

*ვახტანგი, დედოფალი ელენე, დაჩი, კათალიკოსი პეტრე, ერისთავები: წუნდისა ნასარ, კლარჯეთისა არტავაზ, ოძრხისა ბივრიტიანი, ჯუანშერი*

**ჯუანშერ –**

უსასრულოა კაცის გონება, ფიქრი, ოცნება, ზეშთაგონება
იცის რაც იყო და რაც იქნება, რაც არ იცოდა – მოეგონება
დასაბამიდან იღწვის და მალავს, აძველებს, როგორც ჩვევია მარანს
უსაზღვრობაში ინთქმება ყველა, დავიწყებული ამდიდრებს ზარალს
მცირესთვის ზოგჯერ აზრს წლობის ლესავს, კლდეს ეხეთქება, ელავს და კვესავს
თოვლის ფიფქივით ახვავებს ზოგჯერ, მიემგვანება ხელგაშლით მთესავს
რა გსურდა გეთქვა, დამალავს უცებ და გაგახსენებს რაც არ ითქმება
ტკბილში შეურევს ზოგჯერ სიმწარეს, ღამეს აანთებს და შთაინთქმება
ვერვინ მიხვდება, ვერვინ აზომავს, რამდენი არი თავშეკონილი
რამდენი ახსოვს, რამდენს გადაურის და მიადგება დროებით ჩრდილი
გაჭირვებისას გადახდის ფარდას და ისეთ წვრილმანს გამოაბრწყინებს
მსმენელს და მნახველს გაუკვირდება, ზოგს დააფიქრებს, სხვას გააცინებს
რას არ შეწვდება, რას არ გაწვდება უკიდეგანო კაცის გონება
მისგან სიცოცხლე აზრიანია, მან უნდა მართოს გრძნობა და ნება
უსასრულობა სასრულში არი, სუსტია გონის კარი და ფარი
ერთი რომ მიდის მეორე მისდევს და მოგონება მიუსაფარი
რჩება მეათეს, რჩება მეასეს, მაინც მოკლეა გონების არხი
უსაზღვრო ქრება უსაზღვრობაში, ასე ტრიალებს ცხოვრების ჩარხი
ვინ იფიქრებდა, ჩვენი მეუფე, ვის ვერ უნახეს ტოლი და ფასი
ღმერთკაცი ვინაც შემრა სოფელი, იტვირთა საქმე მრავალ ათასი
ახლა, როდესაც ვაოტეთ მტერი, როცა სულს ითქვამს ნაბრძოლი ერი
მცირე ღალატით წაიქცეოდა, შესუსტდებოდა თვალ საწიერი.

**ვახტანგი –**

სიკვდილის ჟამს სუსტდება ღონე, მაგრამ ნათდება აზრი და გონი
ერთბაშად ყველა თვალწინ მიდგება თავს გადახდილი და განაგონი.
გრძელი გზა განვლე, რომ მოვსულიყავ, თვითონ შემეგრძნო გზა გასაყარი
რაც უფრო დროით მოვა გაგება, სავალი რჩება მშვიდი და წყნარი

რამდენჯერ მის წინ შევჩერებულვარ, არა მქონია დარდი და ფიქრი
ახლა დავლახე ზღუდე მაღალი, უსაზღვრობაში მსუბუქად მივქრი
სასწორის პინას შევდექი ფეხით, აქეთ დევს ჩემი მთელი წარსული
რა გადაწონის მეორე მხარეს, მადლი, სიკეთე ან თუ ავსული
მე ჯერ არ ვიცი, ჯერ აქ მაქვს საქმე, მიტომ გიწვიეთ, მისთვის შეგყარეთ
მადლობას ვწირავ ზენაარს მისთვის, მოსვლა არც ერთმა არ დაიზარეთ
კათალიკოსს ვთხოვ, მამაო ჩემო, როცა ანდერძი ჩამოთავდება
უზიარებლად არ გამისტუმრო, ცოდვათა კლება ნუ დაგზარდება
განა რა ვცოდე, დავობლდი ადრე, დიდმა წუხილმა მცირეს მიწია
იქიდან ჩემი სატარებელი, უნდოდათ, ვერვინ ვერ ამიწია.

**ჯუანშერ –**

კაცი სტუმარი არი სოფლისა, იხვეჭავს რისიც ხდება მნახველი
წავა, როგორიც ატარა ყოფა, ისეთი რჩება მერე სახელი
მე გამიგია როდის რა იყო ქრისტემდე ადრე, ქრისტეს შემდეგა
საიდან ვლიდით, რას ვპატრონობდით და საბოლოო დაგვრჩა შედეგად
ქრისტემდე ნაწერ უწმინდურ წიგნებს თუცმა სპობდნენ და ცეცხლით დევნიდნენ
ძველს გვავიწყებდნენ, სახელებს ცვლიდნენ, კაცთა გონებას ახლად ხედნიდნენ
მაინც შემოგვრჩა ბევრის სახელი, თარგამოსიდან რამდენი ვთვალო.
უმადურებამ დაგვრია ხელი, მადლი რომ ვიცით, გმადლობ უფალო
მე არ ჩამოვთვლი ჩვენ დიდ წინაპრებს, მაგრამ ერთს ვიტყვი, მერწმუნოს ყველა
გმირები იყვნენ, მაგრამ მათ შორის, არა ყოფილა მეუფის ხელა
მადლობელი ვარ, რომ შენთან ერთად სისხლსა ვღვრიდი და ჭაპანს ვჭიმავდი
სამშობლოს საქმეს შეჭიდებული ღმერთი იყავ და ღმერთებს მიგავდი
მცირე ჭრილობა შენ რას დაგაკლებს, საკეთებელის წინა გაქვს ვალი
მიწიერს ზეცამ რაც დაგაკისრა, კაცურად უნდა გაავლო კვალი

**ვახტანგი –**

კაცის სურვილი არაფერს ნიშნავს, ზეცა თუ თავის დაასვავს ნიშანს
რამდენიც უნდა იღვაწო ქვეყნად, ხომ ვერ მიაღწევ სანუკვარ მიზანს?
მეც გულში მქონდა რამ ჩაჭედილი, ჩემი სამშობლო ფართედ გაშლილი
მელაღებინა, მეხარებინა, ყველას გვქონოდა ამაში წვლილი
კაცი იბრძვის და ღმერთი განაგებს, წამში წაახდენს წლობით აანგებს

ვის დაამიწებს, ვის განადიდებს, დაუსვავს წერტილს, პასუხს არ აგებს
ვგრძნობ, რომ ანდერძის დროა მოსული, არ მიამდება გულის პირს წყლული
რაც თქვენთვისაა თვალს მიფარული, ჩემთვის შიგ ნიდან არი ხილული
მე ღმერთს მადლს ვწირავ, რამდენიც მომცა, არ მომკლებია ქვეყნად დიდება
ახლა რას მარგებს კვნესა-ჩივილი, რაც მოხდა კრულვით გამოკიდება
მაგ რამ ერთია, სანამ მაქვს მალა, არა ვარ ღმერთთან წამდგარი ცალად
უნდა გიბრძანოთ, თანაც შეგთხოვოთ, ანდერძზე ფიქრმა რად გამაწვალა
ყველაზე მვირფასს, რასაც აქ ვტოვებ, რისთვის ვიბრძოდი, რასაც შევტრფო-
დი
ჩვენი სამშობლოს ძლიერებაა, ყოველ გოჯს მისას ვეფერებოდი
თქვენი ვალია მას უპატრონოთ, რათა არ დარჩეს თქვენგან უღონოთ
როგორც არ კმარა მცირედი გარჯა, ისე არვარგა გარჯა უგონოთ
ძლიერები ხართ სამშობლოს ღონით, ძლიერი არ ის თქვენი გონით
რამდენიც მოგცათ, თუ დაუბრუნებთ, გაუსწორდებით კაცობით, წონით
უნდა შეიძლოთ მეტის კეთება, გქონდეთ უდრეკი სულისკვეთება
მონდომებული გაიტანს ლელოს, ხელ ჩაქნეული მოიკვეთება
დაჩის დავლოცავ და თქვენ გაბარებთ, თქვენგნით შეიქმნას მეფე სვიანი
პირმშოა ჩემი, თქვენგან ნაწრთობი, ავის და კარგის გამგებიანი
ხუთი წლის იყო, რომ თანამეფედ დავსვით და ფიცი მივეცით მტკიცე
შემოიკრიბე ერისთავები, აერთიანე და განამტკიცე
თბილისს გაბარებ, მეფის სასახლის მშენებლობა როს ჩამოთავდება
დედაქალაქი იქ დააფუძნე, ზარდე, მცდელობა ნუ დაგზარდება
მომდევნო ვაჟებს, ლეონს და მირდატს ტასისკარიდან დიდ სომხითამდე
რაც მე ბრძოლებით შემოვიერთე საბერძნეთამდე და სპერის ზღვამდე
საერისთაოდ გადამიცია, თქვენ შორის იყვნენ ერისთავები
მეფის ერთგულნი, სამშობლოსათვის გადადებული ჰქონდეთ თავები
როცა ელენე მომგვარეს ცოლად, კეისარს მივეც ასე პირობა
აფხაზეთს სარჩოდ ვამლევ დედოფალს, და არც დაუწყოს ვინმემ ცილობა
ნასარ, არტავაზ, ბივრიტიანო, ჩემი ანდერძის თქვენ ხართ მწყემსები
რომ შეასრულებთ, მომეცით ფიცი, თქვენი კაცობის დანაკვესები
სვეტიცხოველში დაკრძალეთ ტანი, სული ქვეყანას მოეფინება
რისთვის ვიბრძოდი, თან რა გამყვება, დავფიქრდე, მოკვდავს გამეცინება.
ახლა კი ეს მსურს დამტოვოს ყველამ, სანამ ცოდვების შევძლებ ტარებას
კათალიკოსს ვთხოვ, უფლის სახელით მათ მიტევებას და ზიარებას.

**კათალიკოსი პეტრე –**

არავინ უწყის ღვთის განაწესი, ბევრიც ეცადო, ვერას გაუგებ
მორწმუნეს მიტომ სურს ზიარება, ურწმუნოს წყევით წერას აუგებ
ღმერთისთვის მაინც ორივ კრავია, რომელზე იტყვი ხელსაკრავია
ჩონგურს თუ სიმი აქვს მოშვებული, ფანდურს რითა ჯობს, რა საკრავია?
დიდო მეფეო აღსარებისთვის ხშირად მოსულხარ სვეტიცხოველში
ცოდვებს იტყოდი დამწუხრებული, შემოგდნობია სანთელი ხელში
მაგრამ ცოდვებსაც ხომ აქვს სხვაობა და თუ გაიგე მათი რაობა
მათი სიმძიმე სხვათა ცოდვასთან, მოგეჩვენება მასხარაობა
როცა დაობლდი იყავ შვიდი წლის, ბიჭს უნდა გეგრძნო მამის მშობლობა
განა შეცოდე, ღვთის ნება იყო გამოგეცადა ვაჟკაცს ობლობა.

**ჯუანშერი –**

ასაკით უფროსს მე კარგად მახსოვს მეფე მირდატი, კაცი სვიანი
ხმალი უჭრიდა, არა ნაკლები აზრით ბრწყინავდა სიტყვა ფხიანი
საურმაგს მიგცა ტახტის მემკვიდრე, სპასპეტი იყო გონებით სავსე
შეგთხოვდი ღმერთო, იბერთ სამეფოს ნუ გამოულევ ვაჟკაცებს მსგავსებს
შენ საურმაგი გზრდიდა და გწრთვნიდა, არა გზოგავდა თუმც იყავ ციდა
ის, რაც შეიძელ, მისი მადლია, თავისით არც რა ჩამოსდის ციდან.

**ვახტანგი –**

მამა არ მახსოვს მე ისე ნათლად, როგორც აღმზრდელი გამახსენდება
კრუხივით თავზე დამტრიალებდა, ძილსაც თან ახლდა მისი ხელდება
მაგრამ საქმეში არა მზოგავდა, ოსტატს კი არა პირად მტერს ჰგავდა
ვეღარ ვასწრებდი გასაკეთებელს, საქმე ურიცხვი ისე დახვავდა
მან შეცოდება სულ არ იცოდა, მსმენელ–მხილველი ცოდვით იწოდა
რამდენჯერ ჩუმად მისმა მეუღლემ საშველად ხელი გამომიწოდა
შეცოდებისთვის ცოლს უწყრებოდა, ცოდვა–მტრობაა ასე იტყოდა
ორმაგად მე–ვე მაზღვევინებდა, მან სიყვარული მტრულად იცოდა
ჯუანშერ შენ თქვი სიტყვა მართალი, მისი მადლია რაც შევიძელი
ირემს ფეხ და ფეხ დავდევდი ტყეში, კურდღლის დევნაში მიზომავს ველი
საჯილდაო ქვას, ყველაზე მძიმეს თუ ვერ ავწევდი, სიცილს მაყრიდა
შემთხვევით ვინმე თუ წამაქცევდა, შერცხვენილივით თავს ის დახრიდა
მამას კი თითქმის ვერცა ვხედავდი, შვილის საცქერლად მას სად ეცალა

მოვაკანს, რანს და ადარბადაგანს იცოდნენ მისი რისხვა და ძალა
როცა ომიდან მობრუნებული, რომ დაესვენა, გაერთო გული
დავვიბარებდა მცხეთას პატარებს, მუხლებზე ვესხდით ასული, წული
მაგრამ ეს იყო იშვიათობა. ლაშქრობა იყო მისი გართობა
სანამ ის იყო, მტერი არ გვყავდა, ყველას აფრთხობდა იბერთ ერთობა

**ჯუანშერი –**

მე ვინ მასწავლის მეფე მირდატი, ერის დიდება, ფარი და ხატი
შემმართებელი და არ დამთმობი, მასთან ლამაზი, როგორც ნახატი
გამიგონია, თორე რა ვიცი, არავინ დარჩა მომსწრე, მნახველი
მამას ჭარბობდა ბრძოლის ხელობით, მიტომ დატოვა დიდი სახელი
არჩილი, შენი პაპა დიადი, ვინაც გააპო სოფლის წყვდიადი
კარი ალანთა ამოუკეტა და საიდუმლო რამ ხვაშიადი
მით აისრულა, რომ ალთა–ბალთას იქით ააგო ციხე მაგარი
წანარნი დასხა, ჩემია არქვა, როგორც ლომეკის კარი და ფარი

**ბივრიტიანი  ერისთავი ოძრხისა ___**

ჯუანშერ ჩემო, ჩვენ, ვინც მეუფის ჭირსაც და ლხინსაც ვიზიარებდით
ერთად ვომობდით, ერთად ვლხინობდით, წარსულსად ერთად მოვ-
იგონებდით
ჩვენ კარგად ვიცით მირიანის დროს წუთისოფლის შემობრუნება
ძველი ღმერთები ქარს გავაყოლეთ, ღმერთად ვიწამეთ ქრისტეს ბუნება
უწმინდურები ვარქვით ეტრატებს შემონახულებს მამა–პაპიდან
დავწვით, დავხიეთ, გავანადგურეთ, ცხოვრება თითქო ვიწყეთ თავიდან
მაგრამ ხომ იყო ადრე სიცოცხლე, რამდენი რამე, ვერავინ თვალოს
წუთისოფელი მიწყივ გვაბრუნებს, მიემგვანება ცხენშებმულ კალოს
ჩემი ფესვები შორიდან მოდის, მე და არტავაზს გვაქვს ერთი მირი
ფარნავაზია მისი სათავე, მისთვის გვიწირავს ჩვენ შესაწირი
იმ მეფეს ჰყავდა შვილთა სიმრავლე, მათ შორისა შვა ბაგრატ, ბაგამი
ბაგრატიდან ვართ ბივრიტიანი, ბაგრატიონთა გვარ–დასაბამი
ეს გავიხსენე, რათა იცოდე, მეფის წარსულიც იქიდან მოდის
ერთს თუ შეაქებ, სხვაზე ჩუმდები, ხსენების მადლი აღარ გამოდის.

**დაჩი მე ვახტანგისი –**

ნუ შევაწუხებთ მამას და მეფეს, მან კარგად უწყის როდის ვინ იყო

მეფე მირიანს ვინ ჰყავდა მენი, მათი მეფობა როგორ დაიყო
მირიანის მე ბაქარი იყო, მან განადიდა მამის მეფობა
შემდეგ მირდატი, ვარაზ-ბაქარი, ერს საამაყოდ ესაც ეყოფა
მაგრამ ეს ენა როგორ დადუმდეს, არ მოიგონოს ფარსმანი დიდი
რომლის მე დაჯდა იმპერატორად და აღადგინა მშვიდობის ხიდი
ფარსმანმა ძლია სპარსეთს ომებში, მტერი აოტა იქით-აქეთა
რომს მოუბრუნდა სპერიდან ზღვამდე, მათი სავალი გზები ჩაკეტა
მაგრამ მანამდე იმპერიაში იყო კეისრის მთავარსარდალი
დედოფალს კლავდა მისი სურვილი, ქალთან ფარსმანიც არ იყო მხდალი
ტროფობის შედეგი იმპერატორი, გამორჩეულად ჩვენებს წყალობდა
იბერებს, კოლხებს იახლოებდა, ენდობოდა და გულით ხარობდა

**კათალიკოსი პეტრე –**

მეც ვიზრდებოდი კონსტანტინეპოლს, ეს ჭორიც ბევრჯერ გამიგონია
არ ვიყავ მოწმე, ტყუილ-მართალი მე გავარჩიო არა მგონია
მხოლოდ ეს ვიცი, როცა მურვანოს, ნორჩი ყმაწვილი, მე ბუზმარისა
ვინაც მეფობდა ფარსმანის შემდეგ, იყო მხილველი ბევრი მწარისა
როცა ბუზმარი, მეფე იბერთა, იძულებული შვილს აგზავნიდა
იცოდა კარგად, კონსტანტინეპოლს ბიძა მურვანოსს ტკბილად გაზრდიდა
და კეისარმა არ გაუმტყუნა. მურვანოს იქმნა ყოვლით ნათელი
პეტრე იბერად გადაინათლა, ჩვენც ასე მოგვწვდა მისი სახელი
ათი წელია რაც მიიცვალა, ზეცას ამაღლდა უფალის შვილი
პლატონის შემდგომ სიბრძნის კვლევაში არავის უდევს მისდენი წვლილი

**დაჩი –**

არ დავამთავრე. შემდეგ მეფობდა მირდატი მძლე და დაუდეგარე
სპარსეთთან ომში ვინც გაილია, ბაღდადში ნახა ცივი სამარე
მისი მემკვიდრე იყო არჩილი. წინაპრისათვის შური იძია
სპარსეთს ანანა მირდატის მოკვლა, ხმალმა ბევრი არ გამოიძია
მტრებს ჩამოაჭრა რანის სამთავრო, განდევნა, ფეხი ამოუკვეთა
არჩილი იყო მძლავრი მებრძოლი, დამკვიდრებელი დიდების დღეთა

**ჯუანშერი –**

ის, რაც არჩილმა, ქვეყნის დიდებამ, შეძლო, სიამით მოგვეგონება
ხმალი უჭრიდა და მკლავზე მეტად საქმეს შველოდა მისი გონება

დაჩი, ეს შენ თ□ვი, მე არ მით□ვია, ამოუკვეთა სპარსეთს სავალი
რანი მოაჭრა, იქით არბია, გადაიხადა მშობელის ვალი
მამა-პაპაზე ვამბობდი სიტყვას, მისი მე იყო მეფე მირდატი
მოვაკანს მისწვდა, არდაბადაგანს აღმართა ჯვარი, აშენა ხატი
რანის ერისთავ ბარზაბოდს ჰყავდა მზეთ უნახავი ნორჩი ასული
მასთან სირცხვილით მზე წითლდებოდა და მთვარე იყო ფერგადასული
მირდატმა მამას სთხოვა დასტური, მეფე არჩილმა არ თქვა უარი
ბარზაბოდისგან ქალის მოცემა არ იყო ფანდი და სატყუარი
საგდუხტ დედოფალს ვინაც იცნობდა, მისი სიკეთე ვინაც იცოდა
დამეთანხმება ქრისტეს რჯულს სდევდა, ქრისტიანების ცოდვით იწოდა
მან სამი შვილი აჩუქა მეფეს. სამივ ლამაზი, ერთ-ურთზე კარგი
ქალსა რად გინდა იყო ლამაზი, შვილს თუ არ გაზრდი და ვერ ივარგი
მეუფე იყო რიგით მეორე, ჯერ უფროსი და, შემდეგ პატარა
უბედობამ და დის გამო ზრუნვამ, სად არ გვაომა, სად არ გვატარა.
სამი წლის იყო ქალი მირანდუხტ, როცა ოვსები კასპს თავს დაეცნენ
სანამ მცხეთიდან იქ ავიდოდი, ტყვედ გაირეკეს, ფიცხლად გაგვექცნენ
ცხრა წლისა იყო მაშინ ვახტანგი ან რა შეეძლო, ან რა ეღონა
სირცხვილი ვჭამეთ, ქურდად შემოსვლას, გაგვიბედავდნენ,- არვის გვეგონა
ჩავულაპეთ ჯავრი, ვიუჩეთ რადგან, უფრო მეტს გვმტრობდა აქეთ სპარსეთი
რანს და მოვაკანს გვედავებოდა, სისხლს გვილოკავდა წვეთი და წვეთი
როცა თხუთმეტის გახდა ვახტანგი, მეფედ ვაკურთხეთ, მირონი ვაცხეთ
თუ ვინმე იყო აქეთ მომხდური, იქით ვანანეთ, დავკარით, დავცხეთ
მაშინ სპასპეტი უკვე მე ვიყავ, კარგად ვხედავდი სად რა ხდებოდა
მირდატის მიერ ვიყავ ნაწრთობი, მიტომ ვიცოდი რა ეგებოდა

**არტავაზი-ერისთავი კლარჯეთისა —**

ბიერიტიანო, რად დაგავიწყდა, ადრე მოუხდა დავაქკაცება
ჯერაც ყმაწვილმა ვერ აიტანა დის დატყვევება და გატაცება
ბრძანა მზადება. ყოველ ერისთავს სახელდახელო მოგვეცა საქმე
ბევრი ვიშრომეთ, თავის დადება თვითეულისა ავღნიშნოთ აქვე
ცოტამ ვიცოდით, ოვსეთის გარდა მეფეს სხვაც ჰქონდა განზრახულობა.
არ დავიწყნია, რომ მამის სიკვდილს ბევრგან დაერთო არეულობა
ბერძნებმა მაშინ ჯიქეთის მხრიდან ციხე-გოჯამდე იპყრეს მიწები
ჩამოგვაცალეს აფხაზთა მხარე ეგრისელების დასაფიცები
ჩვენი ჩვენივე რომ გამხდარიყო საჭირო გახდა დიდი მზადება

არც დაუკლია ჩვენგან არავის ხარჯის გაღება და თავდადება
ერთი წლის თავზე შევხვდით ერთმანეთს მუხნანის ვაკეს შეიკრა ჯარი
მიზანი იყო ოვსების დასჯა, ამოგვეყარა ღალატის ჯავრი.

**ნასარი–ერისთავი წუნდისა** ___
მე კარგად მახსოვს მეფემ მოგვმართა სიბრძნით აღსავსემ, სიკეთით ზრდილმა
მოიწიაო ღვთის დიდი რისხვა, და ვერ დავიცავ და დედა შვილმა
ეს შვიდი წელი, როგორც შვიდი დღე ტანჯვაში, ფიქრში მიტარებია
შურისძიებას ითხოვდა გული, სიხარული არ მიჭკარებია
ახლა ჩვენ მზად ვართ ყველა სიავე მტერს ვანანოთ და გადავუხადოთ
კარი ალანთა მტკიცედ ჩავკეტოთ, საცინლად საქმე არ გავიხადოთ.

**ბივრიტიანი–ერისთავი ოძრხისა**___
მაშინ სპასპეტმა აიღო სიტყვა. ასე მიმართა მოძმეთ და მეფეს
ყველა მზადა ვართ, არ ვაპატიებთ კავკასიის მთებს ვინაც შეჭყეფეს
მეფის იმედით ანთებული ვართ, არცა გვყოლია გმირი ამგვარი
ტანად მთის დარი, ბუნებით წყნარი, გონებით ბრძენი, მკლავით მაგარი
მხოლოდ ეგ არი, ჯერ ყრმა ხარ მეფევ, ამიტომ შეგთხოვ ასე გავსაჯოთ
შენ მცხეთას დარჩი, ჩვენ სხვა გვისარდლე, ვინც თქვას უარი ახლავ დავსაჯოთ
წინ გველოდება დიდი ხიფათი, უცხო მიწები, უცხო ტომები
ეს მეომართა არი სამსხვერპლო, გადაგვიხდია ბევრჯერ ომები
შენი სიფიცხით მარცხი რომ მოხდეს, ეს ხომ სამეფოს მარცხი იქნება
სხვაა ჩემი თუ სხვისი სიკვდილი, ამით ქვეყანა არ გარდიქმნება.

**ვახტანგი**___
თქვენ თუ გგონიათ ის დრო არ მახსოვს, ან და წამერთვა უკვე გონება
აქლემი ისე არ დავარდება, ვირს ვერ აჯობოს,–გაგეგონებათ
ბედმა მატვირთა სპილოს საპალნე, როგორც შევიძელ ბოლომდე ვზიდე
თუ არ აკეთე საკეთებელი, ვალმოუხდელი უნდა წახვიდე
მე მიქაელი ეპისკოპოსი, ბიზანტიიდან აქ მოწვეული,
იქაურ სიბრძნეს მომიყვებოდა, იმათ სწავლებას იყო ჩვეული
მისგან გავიგე არისტოტელე, დემოკრიტე და თავად თალესი
ძველი ღმერთების ახლებით შეცვლა, ვისაც იმედი ჰქონდა ხვალესი
ჩემმა შემქმნელმა მომცა სიმაღლე, სიმაგრე მომცა ჩემმა აღმზრდელმა
სულის სიკაჟე, გონის სიმწიფე, ნების სიმტკიცე მიქაელ მღვდელმა

ამიტომ იყო მე არ დაგთანხმდით, თავს არ ვაკადრე სულით კნინება
გითხარით კიდეც ჩემი სარდლობა უფალმა ბრძანა, ასე ინება
ჩემი და თუა ოვსებში მძევლად, შვიდი წელია თუ ვარ მწუხარე
სიკვდილი არი ჩემი დარჩენა, იქ უნდა ვიყო მიწყივ მქუხარე
ვიყავ მართალი თქვენც დაინახეთ, ჩვენ აღვასრულეთ კაცური ვალი
კაცად მაშინ ხარ მოსაგონები თუკი კაცური დატოვე კვალი

**ჯუანშერი –**

მუხნან-ხერკიდან თიანეთისკენ ისე წავედით მე არ ვიცოდი
შენ აქ ანდერძი დაგიტოვია, ისეთი დიდხანს ცოდვით ვიწოდი:
ჩემ არყოფნაში, ჯერ ვარ უცოლო, დედას ეკუთვნის დარჩეს მმართველად
მასთან და იყოს ჩემზე უფროსი, თანამმართველად, შემწედ და მცველად
თუ ვერ დავბრუნდი, თუ ოვსეთს მომკლეს, სამეფოს უნდა მეფე ახალი
მამის ძმის წული მირიანია მემკვიდრე და მზე ამომავალი
ჩემი და დაჯდეს მასთან დედოფლად, ჩემი სამეფო სიამით მართონ
ასეთი არი მეფური ნება, სხვა არ ემებონ, სიცრუე ხლართონ.
იქვე თიანეთს შემოგვიერთდნენ ყველა მეფენი კავკასიანი
რანის მთავარი ვარაზ-ბაკური იმათშიც ჩანდა კაცი სვიანი
შენი დედის ძმა შენ ჭმუნვა-საფიქრს ყოველთვის გულით იზიარებდა
და შენც ისეთი მიეცი მხარი ენატრა, ვერსით მოიაზრებდა.

**ვახტანგი –**

ვარაზ-ბაკური ჩემი დედის ძმა ყოველთვის იყო ჩემი ერთგული
მასთან კამათიც საამო იყო, გადამიშლია მწუხარეს გული
რამდენს მიითვლის ჩემი გონება ვისთანაც ერთად მე მიომია
ჩრდილოეთით თუ აღმოსავლეთით მთები, ველები გამიზომია
კაცი რა არი, ცხენიც კი მახსოვს მცხეთიდან არმაზს მხრებით ვატარე
ბევრს ფარად ვექეც, ბევრსაც მახვილად, ზოგისთვის ვიყავ შუბის სატარე
ასეა თურმე კაცის გონება გამოვლილს, ნაფიქრს სკივრში ალაგებს
თუ არ გაჭირდა არ გაიხსნებს, დავიწყებაზე პასუხს არ აგებს
თქვენ რომ იგონებთ, ათასჯერ სწრაფად ათასჯერ მეტი თვალწინ მიდგება
ახლა ნათლად ჩანს ბევრი ისეთი, რისიც მიჭირდა ადრე მიგნება
ვაგლახ, მერთმევა ძალი და ღონე, სინათლე ქრება, თვალთ მებინდება
სულიერ მამას დარდს თუ არ ვეტყვი, გონება როგორ დამეწმინდება
ამიტომ მინდა დამტოვოთ მარტო, რომ მოვემზადო ზიარებისთვის

სული ხომ მაინც ჩემია სული, ტანი ყოველთვის იბრძოდა სხვისთვის
თუმც მეფე ვიყავ, ვიყავ თქვენი ძმა, იქაც წინ წავალ, მიტომ გეყრებით
ღმერთი ინებებს, დრო რომ მოგიწევთ, იქნებ იმ ქვეყნად გადაგეყრებით
მაგ რამ მანამდე, დამილოცნიხართ, არ შეკრთეთ, არ ხართ ვიცი ჯაბანი
ქვეყნის ბედს განდობთ, სამშობლოსათვის ერთობით ჭიმეთ მძიმე ჭაპანი

*/ახლობლები ემშვიდობებიან მეფეს და კათალიკოსთან სტოვებენ ზიარები-სთვის. მეორე დარბაზში გადიან ერისთავი წუნდისა ნასარ, ოძრხისა ბივრიტიანი, კლარჯეთისა არტავაზი, ჯუანშერ სპასპეტი და მეფისწული დაჩი/*

**ჯუანშერი –**

რას ვიგონებდით? მთელი მხედრობით კარი ალანთა მძიმედ დავლახვეთ
თავი არ მივეცთ აშლილობას, მიტომ ვიმარჯვეთ, არ გავილახეთ
თერგის ნაპირთან იქითა მხრიდან ერთად მოქუჩდნენ ოვსი, ხაზარი
მდინარის ხმაურს მათი ღრიალი, ფარავდა როგორც მოთქმა საზარი
უწინ ლომეკი ერქვა მდინარეს, ჩრდილო არავის გამიგონია
უფრო მრისხანედ კლდესთან მებრძოლი სხვა სადმე იყოს არა მგონია
თერგის ტალღათა ქვებზე ხეთქებას ფარავდა მტერთა ორომ-ტრიალი
ოვსთა მოერთოთ ძალა ხაზართა, სხვაც ბევრი იყო ოხერ-ტიალი
ჩემის ციხესთან, სადაც იშლება, თვალის საზომზე ჩქარი მდინარე
შვიდი დღე იყო დევგმირთა ბრძოლა, მიხდომ-მოხდომა დაუძინარე
შვიდი დღე სცემდნენ ბუმბერაზები, დადუმდა ბევრის საგმირო ხმები
მდინარე იყო ცრემლ-სისხლით სავსე, სამგლოვიაროს მოთქვამდნენ მთები
მერვე დღის დილას ხაზარი თარხან, ორთაბრძოლებში სხვებს რომ უხმობდა
წინა დღეებში ნაკლებად ჩანდა და ეტყობოდა ყველასა ჯობდა
მოადგა ნაპირს იწყო გინება, აქეთა მხარის კილვა-კნინება
თავი ღმერთ-კაცად წარმოადგინა, კაცს რაც არ შვენის, ისიც ინება
ჩვენ შორის იყო ფარსმან-ფარუხი, სპარსი რომელიც მთას მიაგავდა
მასზე ამბობდნენ, ცალ ხელით თურმე, მრავალჯერ ლომი პყრობილი ჰყავდა
კაცს რწმენა აძლევს გამბედაობას, მიტომ ღვთის ნებას მინდობილია
ზღვას გადარჩება, ყპული დაახრჩობს, ბედი იღბალზე აწყობილია
ფარუხს ეწერა იმ დღეს სიკვდილი, ლომებში ლომსაც მიადგა ჩრდილი
თარხანმა შემლო მისი მოთოკვა, გმირებში გმირად იყო გაზრდილი.

**არტავაზი-ერისთავი კლარჯეთისა –**

ჯუანშერ, მაშინ იყავ სპასპეტი, სპის მართვა მიტომ გევალებოდა
შენ ნათქვამს დაბლა ვინ დაუშვებდა, თავს ვხრიდით, შენთან ყველა კრთებოდა
პასუხს აგებდი მეფის წინაშე, ჩვენ შენთან უნდა პასუხი გვეგო
მაგრამ ფარუხის დაღუპვის შემდეგ ვინ რას მართავდა ველარ გაგვეგო
აღარა ჩანდა სხვა ბუმბერაზი ვისაც შეეძლო თარხანთან ბრძოლა
დამწუხრდა ყველა, შიშსა სცოდნია დადედლებულის ჩირგვში მიწოლა

**ბივრიტიანი-ერისთავი ოძრხისა –**

სპასპეტი უნდა სპას უძღვებოდეს, როგორც დედა შვილს, თავს ევლებოდეს
ზოგჯერ წინ იყოს, ზოგჯერ შუაში, თუ საჭიროა უკან რჩებოდეს
სხვაა ვინც იბრძვის ბუმბერაზულად, ერთი-ერთს ერჩის და ერკინება
სხვა და სხვა არი მოვალეობა, არ მსურს არც ერთის მიტომ გინება
ფარუხი იყო ისე ძლიერი არას დასდევდა, არა ფრთხილობდა
თარხანმა მიტომ უყელა მარჯვედ ძლიერთან ხერხით მისვლას ცდილობდა
ჩვენც ვყოყმანობდით, რადგან არავის თარხანის ომი არსად უნახავს,
რა როგორ უნდა, როგორ ეგების, ხსოვნად არავის შემოუნახავს.

**ნასარი-ერისთავი წუნდისა –**

თავის მართლება რა საჭიროა, გვიანი არი თითზე კბენანი
არტავაზმა თქვა სრული სიმართლე, მახსოვს, თუმც დიდი გავიდა ხანი
განა არ შევკრთით მაშინ ყველანი ? თითქო დადამბლდა ვაჟკაცთა ჯანი
რაც მაშინ მოხდა აზრთა ცვენანი, გარშემო ყველა იყო უგვანი
და მხოლოდ მეფე, ღმერთთა სადარი, ვის ჯერ არ ედო გმირებში წილი
ვინც თორმეტ ბრჭყალის[1] სიმაღლის იყო, მაგრამ არ იყო ომს გამოცდილი
ფიქრობდა სხვაგვარ, ვიდრე ვფიქრობდით, მომავლის ამბავს სხვაგვარად ვგრძნობდით
მამულისათვის გასაკეთებელს, ერთად ვიყავით, უკუღმა ვცნობდით
მეორე დილით მომაწვდინეს ხმა, ყალუზე დამიდგა გონება და თმა
მეფემ ინება ასპარეზს გასვლა, ყმაწვილი არი – მესმოდა მოთქმა
თექვსმეტის კიდევ მოზარდი არი, თარხანთან აბა რა შეუძლია
რა უნდა უყოს ისეთ ბუმბერაზს, რომელმაც ფარუხ სპარსელსა ძლია
ამიტომ ყველა ვეხვეწებოდით, მისი მომავლის ცოდვით ვდნებოდით
მეფე იყო და უნდა გვეშველა, რა მოგველოდა ფიქრით ვხვდებოდით.

**არტავაზი-ერისთავი კლარჯეთისა –**

მეფე უშიში, ვითა უხორცო, ამხედრებული და მტკიცე რწმენით

თარხანს უსმენდა და იღიმოდა, ბავშვთ მოყვარული მოხუცის თმენით
ხაზარი დიდ ხანს იმურებოდა, მეფეს ჰკადრებდა უკადრებელსა
ბუმბერაზთ ვებრძვი და არა ქმაწვილთ, რატომ გავისვრი შენ სისხლით ხელსა
თავს არ გიყადრი, არ დავმდაბლდები, დავაქკაცებას გიკლია წლები
გაპატიებ და ცოცხალს გაგიშვებ, ცხენს თუ ჩამოხვალ და მეახლები
მიეტივნენ და უცებ დაზავდნენ, შორით რა მოხდა, ვერვის გაეგო
შენივთებულნი ვერ გაერჩიათ, რომელს რომელი ოროლს აეგო
ისევ ცხენებზე ისხდნენ, როდესაც ვახტანგმა ხანჯალს მოჰკიდა ხელი
მოიქნია და თარხანის თავმა გადმოანთხია ჩანჩქერი ცხელი
სანამ ხაზარნი გონს მოვიდოდნენ, გამხნევებულ ჯარს ვაშა აღმოხდა
ატყდა დროშების მაღლა ფრიალი, ღმერთმა მოგვხედა, წყალობა მოხდა
ოვსნი, ხაზარნი ელდა ნაცემნი, თერგის იქიდან იყურებოდნენ
ვახტანგის სახით ღმერთის მახვილი მათკენ დაიძრა, უცილოდ გრძნობდნენ
იმ დღეს ვიკმარეთ ეს შერკინება, ჩვენ აღვასრულეთ ვახტანგის ნება
თუ გმირი გმირობს, ჩვენ დახსნას ცდილობს, წინ გადავუხტეთ, რას ეგვანება?

**ბივრიტიანი-ერისთავი ომრხისა –**

ეს იყო დიდი შემობრუნება, ასე ყოფილა კაცის ბუნება
თუ წარმატებას არ განამტკიცებ, გაგიფუჭდება ისევ გუნება
ამიტომ სცადეს ოვსებმა მალე, რაც დღეს დაკარგეს ეპოვათ ხვალე
იხმეს ვინც ჰყავდათ გამორჩეული, ეთათბირნენ და თითებზე თვალეს
ბოლოს გადაწყდა ოვსი ბაყათარ, ვინც თავად თარხანს ტოლს არ უდებდა
გამოეყვანათ შესარკინებლად და თუ იმედს არ გაუცუდებდა
შეპირდნენ ათას სიკეთის მიძღვნას, მეფის მოკეთედ მოკიდებასა
კაცი ფიქრობს და ღმერთი იცინის, ვინ გადაუვა იმის ნებასა
დილით ბაყათარ მოდგა წყლის ნაპირს, სიტყვა იკადრა აზვირთებულად
გამოიწვია ბრძოლაში ვახტანგ, იქით ეჩვენა მხნედ და ერთგულად
ამხედრდა მეფე, მიადგა ნაპირს, მეტოქეს იქით ასე გასძახა
ვინცა გმირობდა თქვენებში იცი, რაც დაემართა ისიცა ნახა
შენ მიწვევ ბრძოლად, მე თანახმა ვარ, ვდგავარ და აქვე დაგელოდები
აქ გამოჩნდება, ვინ ჭაბუკია, ვის წაიღებენ ბოლოს გოდებით
წყალს არ გამოვალ, მეფეს არ შვენის, მონას ეახლოს დამდაბლებული
შენ კი გადმოსვლით არ დამდაბლდები, გელი საომრად თუ გიძგერს გული
მაშინ ბაყათარ დაფიქრებული, პირობას თხოვდა ჩვენ მეფეს ასე

ბევრი მინახავს შენზე მლიერი, ცხენს მინდობილი და მოკისკასე
ბევრი კაცურად მოგიგებს სიტყვას, მელიასავით მოგეპარება
შენ რად გენდობი, რატომ გავცუდდე, ჩანხარ დიდგულა და უკარება
მე გადმოვიდე, წულის პირას დამხვდე, დრო აღარ დამრჩეს მოსამზადები
თერგთან ნაბრძოლი, მაღლა ნაპირზე მდგომს გრძელი ხმლითაც ვერსით შაგწვდები
ამიტომ დავთქვათ, თუ სამი ისრის სასროლ მანძილზე უკან მიდგები
მანდეთ გადმოვალ, ცხენს შევასვენებ და სადაც წახვალ მაინც მიგწვდები
ვახტანგი მიდგა პირობის კვალად, ოვსი ბაყათარ წყალს გადმოვიდა
იყო ბუკი და იყო ნაღარა, იმდენი ქვეყნად ვერვინ დათვლიდა
ბაყათარ თურმე ემზადებოდა, არ შეხვედროდა რათა ზიანი
ეშმაკეული იყო ჭკვიანი, ბუმბერაზიც არ იყო ჭიანი
ოროლს არ ანდო ამიტომ ბედი, ხმალიც არ ჰქონდა ხელში მოქმედი
ისრის დაიწყო შორითვე სროლა, უქო მანძილი და შემოქმედი
ნასროლს ვახტანგი ფარით იჭერდა, ირიდებდა და წინ მიიწევდა
ახლოს მიიჭრა, კიდევ ცოტა და, გაუჩნდებოდა ბაყათარს სევდა
მაგრამ იმარჯვა, ბოლო ისარით, მეტოქის ცხენის მკერდი დაკოდა
სანამ ულაყი დაეცემოდა ვახტანგმა მის მხარს ხმალი აწოდა
მხრიდან გულამდე ჩაჭრა ბაყათარ, ამასთან მკვირცხლად მიწას დაეშვა
მტრის ცხენის აღვირს ხელი უკიდა, შემლო ფიცხელი არსად გაეშვა
მოახტა მეისვე, ომახიანად შემოგვიძახა, გაღმა გავიდა
მიჯრით მივყევით მე და არტავაზ, რამდენჯერ მოვყვე ყველა თავიდან?

**ჯუანშერი –**

ფიცხელი ომი გადავიტანეთ, მტრის თავხედობა ვერ ავიტანეთ
იმდენი ვინმე, რომ ვერ დავთვალეთ, ცხენ–კაციანად თერგს გავატანეთ
ჩვენ დავიპყარით ოვსეთ, ხაზარნი, გამოვიჩინეთ მეომრად თავნი
ტყვედ ავიყვანეთ ურიცხვი ვინმე, მომეტებული დაბრუნდა თავნი
მეფის ასული, ოვსეთში მყოფი, დიდი პატივით წამოვიყვანეთ
დასავლეთისკენ ვიბრუნეთ პირი, მტერთა ოტება არ დავახანეთ
პაჭანიკეთში ომით შევედით, პაჭანიკეთი უცხო მხარეა
მოგონებებში ტკბილდება ყველა, გასაკეთებლად რაც რომ მწარეა
გზიდან მთა ვნახეთ უცხოდ მაღალი, თოვლის საფარი თავზე ეფინა
ვით ბუმბერაზი ქონდრის კაცებში, სხვა მთათა შორის ისე ეძინა
ვახტანგმა ნახა ეს სილამაზე, მალა მოირთო, მის წვერზე შედგა

სხვა მთებმა თვალწინ მოდრიკეს ქედი, მათი სიდიდე შემცირდა, შედგა.

**არტავაზი-ერისთავი კლარჯეთისა –**

ვინც იქ ვიყავით. დავმუნჯდით ყველა, ისეთი იყო ქვეყნის მშვენება
თუმცა საძნელო იყო ეს საქმე, მივხვდით იქ ასვლა რატომ გვენება
უჯარმის ახლო მთაა იალ-ნო, მის დასალახად ცხენით ავსულვარ
მისი სიტურფით დავმტკბარვარ ბევრჯერ და მონატრული იმისი სულ ვარ
მტკვრიდან მარჯვნივ, ხუნანის გზაზე, მტკვრის კორო ერქვა სახელი ძველი
ბღუჯა მთებია გადასასვლელი, იალ-ღუჯს არქმევს ახლა ქართლელი
ისიც მოგხიბლავს გადასახედად, იქ ზოგჯერ კიდეც მინადირია
მაგრამ ორივე იალ-ბუზის წინ, ვისაც უნახავს, იტყვის – მწირია
ყინულის წვერი და თოვლის ქუდი, ქვევით ტყეები, ჩანჩქერთა კუდი
თვალთა სანახად არ არი ცუდი, კლდეები ახლავს ბეჭს მისაყუდი
გზა გასავლელი მალზე რთულია, ცდა გინდა – გონი სულ გართულია
მიჰყვები სული სულ წასულია, სართულს ახვალ და სხვა სართულია.
ჩვენ იქ ვიხილეთ სხვა საოცრება, ყოველთვის ასე როდი მოხდება
მთები იხრიდნენ დაბალ მწვერვალებს, დამცირებულებს ცრემლი მოსკდება
მეფე სიმაღლით თორმეტი ბრჭყალის, ამოტანილი სურვილის ქარის
მსუბუქად წვერზე დააბიჯებდა, გულში ვიტყოდით, – ღმერთი აქ არის.
ზევით ასულნი ვმზერდით მიდამოს, ვინ უნდა იყოს ავ თვალით ნახოს
აღსრულდა ნატვრა უნდა იცოდეს, ეს გრძნობა გულში შემოინახოს
გორგასლის მერე, იქ მეოფთა მერე, თუ ახვალ ყელი შემოიღერე
ყოფილხარ კაცი ბევრის შემძლები, ბევრის მიმღწევი და მოსიმღერე.

**ბივრიტიანი-ერისთავი ოძრხისა –**

ჩვენ სეფე-წულებს გვარქმევენ ერში, ფარნავაზიდან მოგვაქვს სახელი
ამით სხვა გვარში გამოვირჩევით, გამოგვასხავებს ამით მნახველი
იალ-ბუზიც ხომ მთა არი მთებში, მწვერვალებს შორის ჩამდგარი ძმებში
შორიდან გხიბლავს, ახლოს გაწვალებს, სეფე წულივით ირჩევა სხვებში
როგორც იქ ასვლა მეჩვენა ძნელად, ბრძოლით მიმავალს გადაშლილ ველად
ისე ომიც არ გამძნელებია, იქ ასვლა მხოლოდ შემრჩა სახელად
მე უფრო მეტად მეამაყება, ჯიქნი ვაოტე, მტრისგან ლტოლვილი
აფხაზეთს იქით, ზღვის პირას დავსხი, დიად საქმეში დავიდე წვლილი

**ნასარი-ერისთავი წუნდისა –**

კაცს ბედი უნდა. თუ უბედობა დაბადებიდან გვერდით დაჰყვება

დიდს ვერ შეამჩნევს, მცირეს იგუებს, მისთვის იომებს და გადაჰყვება
თქვენ მეფეს ახლდით, ჭაბუკი გმირი ღმერთივით იყო ამაღლებული
რომელი იყო მის გვერდით ყოფნით არ ამაყობდა მისი ერთგული?
მე სხვანაირი მერგო პატივი, მირანდუხტს უნდა გზაში ვხლებოდი
დიდ საქმეს ვიყავ მოშორებული თვალი ხედავდა, გულით ვხვდებოდი
კარი ალანთა მე გავამაგრე, ძლიერი ჩავსხი მეციხოვნენი
ტყვეების გაცვლას, ხარჯის შეკრებას ზედ შევალიე მრავალი დღენი
მეფის ასული, დედას მივგვარე, მათი შეხვედრით კიდეც ვიხარე
უმეფოდ შთენილ მამულს მივხედე, ბევრი წვალება გადავიყარე
არ ვიტყვი რაც ვქენ ფუჭია შრომა, თავს უბედობის დამეცა წყრომა
კაცის გულია გაუმაძღარი, ბევრიც რომ ჰქონდეს, მეტი აქვს ნდომა.

**ჯუანშერი –**

ჩვენი ლაშქრობა ჯიქეთის მხარეს, მეფის გმირობის იყო დასტური
აფხაზეთს მალით ფლობდა ბერძენი, გულს ჯავრი სჭამდა ამონაწური
ჩრდილოეთიდან ვუყეელეთ მომხდურთ, ციხე-გოჯამდე ომით ვიარეთ
სობღისის ციხე, ანაკოფია, არ დავთმეთ, მტრისად არ ვაღიარეთ
მოვბრუნდით უკან, მოველით მცხეთას, მადლი შევწირეთ უფალს და ზეცას
სხვა ვინ გინახავთ ჯაჭვის პერანგი სამ წელზე მეტი მუდმივად ეცვას.
ფარნავაზს გარდა მსგავსი გმირობა არც ერთ მეფეს არ უჩვენებია
ასეთი გზნებით და შემართებით მამული არვის უშენებია.

**ნასარი-ერისთავი წუნდისა –**

ზოგის ბედია უსახელობა, სახელისათვის მუდმივი ომი
ვის რა ეკუთვნის, რას მიანიჭებს უფლის ნებაა ყველას საზომი
თქვენ რომ ჰყიოდით, მტერს მიჰკაფავდით, მე ხშირად ვიყავ ზურგში მდგომელი
მხვნელი, მომკელი თუ მშრომელია, განა არ არი მცველი მშრომელი?
ამიტომ იყო ჭაბუკმა მეფემ, თქვენშიც უცილოდ გამომარჩია
დიდ საქმეს უნდა ბუზმერაზობა, პატარა საქმეს გასწვდება ჩია
ჯერ მადესპანა ვარაზ-ბაკურთან, დედის ძმას უძღვნა ამონაგები
კაცი ნაცადი მრავალ ბრძოლაში, დის წულის ღვაწლის კარგად გამგები
შემთანხმდა ერთში, ვახტანგს სჭირდება ფიქრის ზიარი და მოკავშირე
უნდა შეიძლო მტრების გათიშვა საბრძოლო წყობას თუ მოუხშირე
ჩვენ აფხაზეთი ლეონ კეისარს ომით წავართვით და დავიცავით

ემზადებოდა ახლად საომრად და არ დავთმობდით ცოცხალი თავით
ვარაზ-ბაკურის რჩევას დავუყევით, სპარსეთს წავედი შუა მავალი
მახლდა ბინქარან ეპისკოპოსი, მცხეთას სპარსელთა გული და თვალი
ათი ათასი მონა მიმყავდა, ათასი ცხენი, ოქრო და ვერცხლი
ბინქარან სპარსულ რჯულს ამიხსნიდა, ჩაუქრობელი მიჰქონდა ცეცხლი
სპარსელთა მეფეს შევთანხმდით ასე, არ შევხედავდით ჰარამხნის ხასებს
თავის ასული მოეცა სარძლოთ, ბალენდუხტ ნორჩი, მშვენებით სავსე
და ჩვენ დავცხებდით ლეონ კეისარს, ლაზურ მიწების უცილოდ მდომელს
ისე გავწევდით დასავლეთისკენ, ვემსგავსებოდით მამულთა მზომელს
მეფემ სიამით აივსო გული, როცა ისმინა ჩვენი სურვილი
სომხითი მოგვცა ასულის მზითვად, დალოცა სიძე და თავის შვილი
ქორწილის მალე ჩავერთეთ ომში, კეისარს დავცხეთ, გავატიალეთ
სტერში, ეკლეცში და ანძორეთში ქართული დროშა ავაფრიალეთ.

**ჯუანშერი –**

თუ ვინმეს ახსოვს ჯერ ფარნავაზმა ასეთ საზღვრებში დაგვიდო ბინა
უარმყოფელი, მოქიშპე, მტერი, გადააშენა, არ აზოგინა
ჩვენ ფარნავაზის ვართ მემკვიდრენი, სოფელმა იცის კაცობა ჩვენი
მიზანი არი ბუნების მჩენი, ვამაყობ საწყისს რომ მივაგენი
ბრძოლით ვიპოვეთ ძველი საზღვარი, ჩვენში იღებდა სათავეს მტკვარი
არაქსზე გვქონდა სომხებთან ზღვარი, ვაოტეთ ვისაც მოექცა მხარი
ბოლოს სამშობლო ვაერთიანეთ, ვაშენეთ სისხლით და ოფლი ვღვარეთ
მეფის სახელი შიშის ზარს სცემდა, შინ ურჩი იყო თუ მტერი გარეთ
ოცდა ორი წლის იყო მეუფე, სწრაფი და მძლავრი, ტანით მთის დარი
არ არსებობდა რაიმე ზღვარი, სიმძიმე იყო თუ რბოლა ჩქარი
და ხუარანძე მმას ჰგავდა ქცევით, ქალებში მეოფი, მმასავით ზევით
კუხეთს მართავდნენ ბიმაშვილები, ეს ეგებოდა წესით და ჩვევით.

**ბივრიტიანი-ერისთავი ოძრხისა –**

გადაუხვიე სპასპეტო სათქმელს, გეტყობა უკვე ასაკი გმალავს
გონებას ზოგჯერ აცთუნებს ენა, სათქმელის ნაცვლად ამხელს რას მალავს
ბრძოლით მიველით კაფას ციხემდე, ფეროზის მიერ იყო ნაგები
სომხითის მხარე ვიპყარით მტკიცედ, იყო მზითევი და მონაგები
ერისთავებად დატოვა მეფემ, ასფურაგ ნელი და ტაროვნელი
მათთან სივნელი და მათი ხელით მტერი დაგრიხა ვით იფნის წნელი

ჩვენ კონსტანტინეს ქალაქს ვუწიეთ, მტერს ანგარიში არ გავუწიეთ
კეისარს ვძლიეთ, მათი სარდალი მოვკალით, თავიც არ ავუწიეთ
შემდეგ დავზავდით. ბედი იცვალა, ჩვენი ცხოვრებაც გამოიცვალა
ვისაც ვეომეთ, მოყვარედ იქცა, იტყვი მაშ ერმა რატომ იწვალა?

**არტავაზი-ერისთავი კლარჯეთისა –**

ჰალეკარპოსი, ბერძენთ სარდალი, მეუფის ხელით იქნა მოკლული
კეისარ ლეონს დაეცა ზარი, არავინ ჰყავდა მასზე ერთგული
ამიტომ იყო შეგვეკრა ზავით, მეფემაც მისცა მტკიცე პირობა
მოყვრობის საქმეს არ უღალატებს, ვისაც სჩვევია ომში გმირობა
და მოხდა ისე, ამ დროისათვის მეფე დაქვრივდა, დაობლდნენ შვილნი
ბალენდუხტ შობას გადაჰყოლოდა, ვარდს დასჭკნობოდა კოკრები შლილნი.

**დაჩი-ძე ვახტანგისი –**

დედამ მე მშობა, ვიყავ პირველი, ტყუპის ცალი კი, და, საკვირველი
მძიმად დაუჯდა სიცოცხლის მშობელს და მწუხარებამ დაგვრია ხელი
მამა შორს იყო, იყო მებრძოლი, მან არ იცოდა თბილი საწოლი
მტერთა კაფაში არ ჰყავდა ტოლი, მამულს შეწირა შვილი და ცოლი.

**ნასარ-ი – ერისთავი წუნდისა –**

მეფე ჩავარდა ორ დიდ ცეცხლს შუა, საით ელონა, აღარ იცოდა
აქეთ ამმული, იქით ობლები, ორივეს ზრუნვა-ცოდვით იწოდა
ბოლოს შეგვკრიბა თანამებრძოლი, აზრებს დაურთო სიტყვა უზადო
ერთხმად ვურჩიეთ და დავაფიცეთ, გადავარდებას აღარ უცადოს
კეისარია ჩვენებრ მორწმუნე, მასთან მოყვრობას მრავალი ცდილობს
ჰყავს ქალიშვილი, რომ სილამაზით, მას შეუძლია ვარდი დაჩრდილოს.
დავთქვით პირობა, მოგვცეს დედოფლად და საუკუნო შევუკრათ ზავი
თუ უარს იტყვის, ომი გრძელდება, ვსდიოთ ბოლომდე, გადავდოთ თავი.

**არტავაზი-ერისთავი კლარჯეთისა —**

მეფე შეთანხმდა კიესარს ასე: ბრძოლა შეწყვიტე, მამა გიწოდე
ფიცი მომეცი, ფიცით შეგეკვრი, სამოყვროდ ხელი გამოგიწოდე
რაც ჩვენი გქონდა, უკავ მივიღე, ნადავლი ითვლის სხვა მოგებასა
ამით გავსწორდით ურთიერთ შორის, ნუ ვიტყვით აუგს და ძაგებასა
ერთმორწმუნენი გავერთიანდეთ, შენ შენი გქონდეს, მე ჩემი ვიცი

დადედლდეს ყოფა ჩვენ შორის იმის, ვინაც იქნება გამტეხი ფიცის.
ელჩს ელჩი მოჰყვა, ნათქვამს-ნათქვამი, ბოლოს მშვიდობის დაგვიდგა ჟამი
მტკიცედ შეეკვრნენ მეფენი ერთურთს, ძმობისა გახდა ის დასაბამი.
რაც დავიბრუნეთ ტაო-კლარჯეთში ყველა ჩვენ დაგვრჩა სამარადჟამოდ
იბერთა ჯიში ვაერთიანეთ, მოსაგონია ყოველი ამოდ
მხოლოდ ეგ იყო, კლისურას ზევით, კორახი ერქვა ადრე მდინარეს
მაღალ მთებიდან წყაროდ მოდენილს, ცხუმის კარებთან ჩამომდინარეს
საზღვარი დათქვეს. კლისურას ზევით კეისარს დარჩა სანადიროდა
სხვა გზა არ იყო და არცა მალი, ბედის ნიავი ასეთი ქროდა
მაშინ მთავარი საფრთხე სხვა იყო და ცოტას სჯობდა ბევრის მოგება
ასეთი იყო ბედის ტრიალი, მეფის ბრძანება, ჩვენი გაგება
კლარჯეთის მხარე გვტკიოდა მეტად, იქ მე მაკუთვნა ერისთაობა
მუდმუმტე ვიყავ და მენდობოდა, მეც ღრმად ვიცოდი მიზნის რაობა
არტანუჯს ციხე ვაშენე მიტომ, ვისაც უნახავს იცის რა არი
იმ მხარეს იცავს და ერს იფარავს, მოყვრისთვის ტკბილი და მტრისთვის მწარი
ციხესთან ერთად, მეფის ბრძანებით, ოპიზის შევქმენ მე მონასტერი
თავდასაფარი – სულდასაფარი, ვაჟკაცობის და ნიჭის საფერი.

**ჯუანშერი –**

ახლა სათქმელად გვეადვილება, რისიც გვიჭირდა ადრე გამლება
კარნუ ქალაქი დავმლიეთ ალყით, დაგვჭირდა ჯარის ჩამონაცვლება
იოლი გახდა მოსათავებლად სტერი, ეკლეცი და ანძორეთი
კონსტანტინეპოლს სამ დღის სავალზე ვუწიეთ, ჩვენი გახდა სამხრეთი.
მაშინ ლეონმა ითხოვა ზავი, იმპერატორმა მოდრიკა თავი
ჩვენ ნებას იყო მისი სამეფო, მისი გვირგვინი და მოსართავი
ელჩად გვაწვია პეტრე-სამოელ საეკლესიო ორი მთავარი
ჩვენი ჯიშისა, იქ მოღვაწენი, შუამდგომლობდნენ, ეს იყო მწარი
ერთი გვაქვს რწმენა, ბრძანებდა პეტრე და კვერს უკრავდა მას სამოელი
თუ ერთმანეთი არ დავიცავით, სპარსელებისგან რას გამოელი
მათ ჩამოაგდეს მშვიდობა ჩვენში, მოყვრობა იყო ბოლო პირობა
ომის დაწყება თუ ძნელი არი, დამთავრებაა მეტი გმირობა
ჩვენ თუხარისი შემოვიმტკიცეთ, პონტო მთლიანი, ტაო-კლარჯეთი
წინაპართაგან ნაანდერძევი ხალიბ, ჭანეთი, მთელი ლაზეთი
მხოლოდ აფხაზეთს კლისურას ზევით ვერ შეელია იმპერატორი
წიწილებს შორის საუკეთესოს მუდამ შეარჩევს ყოველი ქორი

ასე იყო და ასე იქნება, ასე ტრიალებს ცხოვრების ჩარხი
თუ დათმობ შენი გახდება სხვისი კერია, თონე, ეზო, სამარხი

**ნასარი-ერისთავი წუნდისა –**

იმავე ჟამად სპარსეთის მეფე ჰორმიზდ მესამე გარდაიცვალა
გამეფდა მისი შვილი პეროზი, მოყვრულად ყოფნა არ დაგვაცალა
ვახტანგი გრძნობდა იმისგან საფრთხეს, მიტომ საომრად ემზადებოდა
ცოლის ძმა იყო პეროზ, იცნობდა, იცოდა მისგან რა მოხდებოდა
ცეცხლის თაყვანის მცემლებისაგან ქართლი გაწმინდა, და განამტკიცა
თბილისის ციხე, რომელიც მცხეთას სამხრეთის მხრიდან ოდითგან იცავს
ამიერიდან მთელ სამეფოში ისმოდა მხოლოდ ქრისტეს დიდება
მარად ჟამს იყოს მართლმორწმუნობა, სხვა რამ ვერასდროს ჩაეხიდება.

**ჯუანშერი –**

პეროზმა მალე ილაშქრა ქართლზე, ოთხი თვე იყო სასტიკი ომი
ვერ მოიწევდა წინ საბალახოდ მოყვარის მტერი და მტრობის მდომი
ვახტანგ ჩაბალახს მგელი ეხატა, შეტევაც ჰქონდა მომხდურზე მგლური
დურ აზ გორგასალ – იძახდა შიშით მის დანახვაზე ყველა მომხდური
ერიდეთ თავსა მშიერ მგლისასა სპარსულად იყო ესე მახილი
სადაც დაჰკრავდა, შუაზე ჩეხდა, მტერი გარბოდა, როგორც ნახირი
ოთხი თვის თავზე კეისრის ჯარი დასახმარებლად ქართლში მოვიდა
პეროზი მიხვდა, საერთო მალა გადაქელავდა, სპარსეთს აღგვიდა
შედრკა, სასწრაფოდ ითხოვა ზავი, სიძეს ევედრა, მოდრიკა თავი
ბალენდუხტის ძმა დაინდო მეფემ, შეუნდო მის წინ რაც ჰქონდა ავი.

**ბივრიტიანი-ერისთავი ოძრხისა –**

მეფის პირობა იყო ასეთი: ხმალს ხელს შეუშვებს და დაზავდება
სპარსი კეისარს თუ ზავს დაუდებს და მეგობარი მისი გახდება
თუმც მძიმე იყო პირობა ესე, მაგრამ გმირებმა თუ დააწესეს
უნდა მოიმკან ერთად ნაყოფი, რაც ერთად დახნეს და ერთად თესეს
ზავის მიხედვით ბერძენ-სპარსელმა ჯაზირეთს[2] შუა დადეს საზღვარი
ჩრდილო ნაწილი კეისარს ერგო, სპარსელმა დათმო, თუმც იყო მწარი
ჩვენ კი საზღვარი დავდეთ არაქსზე, ოდითგან იბერს რაც ეკუთვნოდა
შემოვიმტკიცეთ და განვამტკიცეთ, ჩვენი გვინდოდა ჩვენვე გვქონოდა
ქართლოსისაგან მოყოლებული ჩვენი სამხრეთი არაქსი იყო

გმირმა თარგამოს, როცა სამეფო, შვილებს სამკვიდროდ, შუა გაუყო.

**ჯუანშერი –**

მე ვინ მასწავლოს ქართის წარსული, მცხეთოს, უფლოსი, მათი გმირობა
სხვაც ბევრი გვყავდა სახელიანი, არა ჰქონიათ ცილობ–წილობა
ბივრიტიანო ეს შენ ახსენე, ჯაზირეთს როგორ შეწვდა ბერძენი
დიდი ხნის წინათ სხვები ცხოვრობდნენ, მეფენიც ჰყავდათ მძლავრი და ბრძენი
იმათ მახლობლად მესხთა მიწები, მუსკებს ემახდნენ ასირიელნი
მათ ხუთი მეფე სარდლებად ჰყავდათ, იმდენნი იყვნენ შემტევნი, ხელნი
ბევრჯერ აოხრეს კუმუხის მხარე, კუმუხი ახლა ჯაზირეთია
თქვენ შეგიძლიათ არ დამიჯეროთ და მიპასუხოთ, ეგ სულ ერთია
მეორეს გეტყვით, დაგესხმით რეტი, ათასი წლის წინ და უფრო მეტი
ვანის ზღვის მხრიდან, საბერძნეთამდე ცხოვრობდა მყარად ტომი კერკეტი
ხალდებს ემახდნენ, ქალდეველებსაც, ასურელთათვის იყო ტაბალი
მრავალი ტომი, მრავალი მეფე და მეომარი ბევრჯერ მრავალი
მათ ეკუთვნოდათ ურმია, ვანი, ტიგრის, ევფრატის სათავეები
დაყოფილები იყვნენ ტომებად თუმცა იცოდნენ რომ იყვნენ ძმები
სარგონ მეორე, ასირიელი, თვითონ ეგვიპტეს შიშის ზარს სცემდა
მაგრამ ტაბალებს ეფერებოდა, ბევრსაც უთმობდა და ბევრსაც სთმენდა
როდესაც ამრი გამეფდა ტაბალს, სარგონმა სიძედ მიიღო მძლავრი
მზითებში მისცა შვილს კილიკია და ჩაიხვია გულს მძიმე ჯავრი
აი, სადამდე სწვდებოდა ხელი, რას გვეუბნება წარსული ძველი
იმდენი რამე გადაგვხდენია, გულს დააწვება ფიქრები მწველი
რომ არა შემდგომ ჰუნთა თარეში, ეტყვიან გიმრებს, ეტყვიან ხონებს
იმდენი შეგვხვდა უბედურება, ყველას ვინ იტყვის და მოიგონებს
ეს მას დაამხეს კოლხთა სამეფო, დასცეს ურარტუ, დიდი ფრიგია
ტაბალთა ნაწილს შეერწყნენ ბოლოს, არიან ქართი თუ გაგიგია
არიანები დაერქვათ ბოლოს, ჩვენი სამხრეთი, სომხრეთ, სომხეთი
არაქსის იქით დამკვიდრებულნი, აქეთს ცდილობენ წვეთი და წვეთი
დღეს ჩვენმა მეფემ კვლავ აგრძნობინა, ვინც სად გაჩნდება, იქ ჰქონდეს ბინა
არაქსის აქეთს არვის დაუთმობთ, ღმერთმა მოგვცა და შეგვაძლებინა.

**არტავაზი–ერისთავი კლარჯეთისა –**

ის, რაც თქვენ იცით, სხვებმაც იციან, კეისრის კარზე ითქმება ხშირად

ჰელაზგებია ყველაზე ძველი, მათი აუგი გაისმის ძვირად
ჰელაზგებისგან მოდიან ბევრნი, ალბანებია, კოლხი, იბერი
ბიბლიაშია ყველა ნაქები, ვისაც ატყვია მტვერი სიბერის
მაგრამ მთავარი ის კი არ არი, ქრისტეს შობამდე ვინ სად ყოფილა
სად აუგია საცხოვრებელი, გამრავლებულა და დაყოფილა
მთავარი არი ქრისტეს მოვლენა, ნეტარი არი ვინაც იწამეს
რამდენმა მისთვის გადასდო თავი, რამდენი ხოცეს, დაწვეს, აწამეს
თვით ჩვენი მეფე მირონცხებული, ქრისტეს სახელით ომში ვიდოდა
უძლეველობის ნათელი შუქი, ზეციდან მასში გადადიოდა
თექვსმეტის იყო ქრისტეს შეწევნით თერგიდან ზღვამდე რომ გადიარა
ოცდა ორისამ კეისარს დასცხო და გაუჩინა მის გულს იარა
როცა ჰეროზმა აღმართა ხმალი, ცეცხლს თაყვანი სცა და მისი ალი
მიმართა აქეთ, ქრისტეს შეწევნით, მეფემ დაუხშო ბოროტი თვალი
ახლა თქვა, რომ ღვთით მომადლებულს, მეფეს იესომ შეაძლებინა
მტერი დაემხო, იმავე მტრისთვის გულმოწყალება ეჩვენებინა
მონაწილენი იყავით ყველა, და თუ ვახტანგი გმირად გვეჩვენა
ქრისტეს მადლია, ღმერთის დიდებას, ბევრიც ვეცადოთ, ვერ იტყვის ენა
ჩვენი ვალია ვილოცოთ მიწყივ და მოწყალება მუდამ ვეაჯოთ
რაც ხდება ღვთისგან დანაწერია, ვილოცოთ, ვსდიოთ და არ განვსაჯოთ
დღეს ჩვენი მეფე შეუძლოდ არი, მოღალატურად მოხვდა ისარი
დაჭრილმა ბრძოლა არ მიატოვა, უბეს უვსებდა თუმც სისხლის ღვარი
ჩვენ დაველოდოთ მის გონზე მოსვლას, ვინც ერთგულების იხადა ვალი
თან მოვიგონოთ მისი გმირობა, ჩვენი დიდების ამოსავალი

**ჯუანშერი –**

თქვენ კარგად იცით, მეფის ცხოვრების სრული აღწერა მე დავივალე
ვცდილობ ყოველი სწორად გავმართო, მატყუარაა არა თქვან ხვალე
მიტომ არ მინდა სხვას დავავიწყო, ჰეროზთან ზავის დადების ფასად
ომის ზარალი, ომის ხარჯები მეფემ იმისგან აიღო ასად
სხვა ვინ შეძლებდა, ვახტანგმა შეძლო, ამიტომ არი გმირებში გმირი
მომავალი რომ წარსულს გახედავს, ვახტანგს დალოცვა ეკუთვნის ხშირი
სპარსელი იყო კაცი ვერაგი, მასში ბუდობდნენ ლომი და მელა
მან ჩვენთან მარცხი ვერ მოინელა. გადაივიწყა საწყენი ყველა
გამოაგზავნა შუამავალი, ბარზაბან სპარსი, კაცი ნაცადი
მიანდო სიტყვა და დაარიგა, ხვადთან მუ იყავ და მუ–სთან ხვადი

ის მეფეს ასე ეაჯებოდა, რომ მისი მეფე უცილოდ გრძნობდა
თუ არ მივცემდით მხარს და თანხმობას, ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ჯობდა
ასე ყვებოდა, რომ მარზპანებმა ქტესიფონაში მეფეს უყელეს
ბევრი დათმეო ვახტანგის წილად, ცოდვილიანებს გამოუყენეს
ახლა ითხოვდა, არ ამიჯანყდნენ, რომ განვიმტკიცო ქვეყნად მეფობა
და მომათხოვე, სიძე ხარ, სიძედ თუ კი მიმიღებ, ესეც მეყოფა
ხოლო თუ ომში მომეხმარები, აღმოსავლეთით ერთად ვიაროთ
ელამ-სინდეთი დავიმორჩილოთ, ნადავლი გავყოთ, გავიზიაროთ
დაფიქრდა ვახტანგ, შეჰყარა საბჭო, დარბაზობაზე ითქვა ყოველი
უარს რა მოჰყვეს, ხო რა იქნება, გუშინ რა იყო, ხვალ რას მოველი
ყველა იქ იყო, ვინც იყო გმირი, იყო ბჭობა და დიდი თათბირი
სახელისათვის იღვაწის კაცი, სიტყვა-სიტყვაა და პირი-პირი
თუ კი ზავის დროს დაითქვა ძმობა, გონებამ გაჭრა და არა გრძნობამ
ხვალეც გონებით უნდა განვსაზღვროთ, არ გადაგვძალოს ვნებების წყობამ
და შეუთვალა პასუხი ასე, შენ ცოლის ძმა ხარ, სიკეთით სავსე
დის მული ცოლად რომ მოეყვანოთ ჩვენში ვერავის ნახავ ვაჟკაცებს მსგავსებს
ჩვენ ჩვენი რჯული წესად არ გვაძლევს, თქვენში სხვა არი დაფუძნებული
შენ შენი მოგწონს და მე კი ჩემი, დე რწმენის დავრჩეთ ორნივ ერთგული
მე ხოს არ ვამბობ, არც ვამბობ არას, მაგრამ დაგითქვამ ასეთ პირობას
იერუსალიმს მივემგზავრები, არ დავზარდები თავგარჯილობას
წმინდანთა საფლავს მოვილოციებ, შევთხოვ შენდობას, ქორწილის ნებას
იქიდან შენთან ქორწილს გადვიხდით, არ გადაუვალ უფლის განგებას
ამასობაში კეისარს მივწერ, მოკავშირეა და მეგობარი
საერთო საქმეს მხარი აუბას, ერთად ავტეხოთ ომი საზარი.

**ნასარი-ერისთავი წუნდისა –**

ის დარბაზობა მე კარგად მახსოვს, ყველა იქ იყო ერისთავები
განსჯაც იყო და მკლავით მუქარაც, ფიქრმა დაღალა ბრძენთა თავები
ჯუანშერ იყავ შენ მეთაური, როგორც მპყრობელი შიდა ქართლისა
როგორც სპასპეტი ასაკოვანი, ერისთავთ თავი, მთქმელი მართლისა
დემეტრე, თავი კახეთ-კუხეთის, ბრძნულად მეტყველი, კაცი ჭარმაგი
გვერდით მდგომი და საქმის გამტანი, უყვარდა მეფე, ჰქონდა ამაგი
ჰერეთის კუთხეს გრიგოლი ფლობდა, აღმოსავლეთის ყადრი იცოდა
მასთან ნერსარან, ხუნავის მხრიდან, ისიც ერთგულთა ცეცხლით იწოდა
სამშვილდე ვიცით ქვეყნის გულია, აქ ადარნასე ერისთაობდა

დარბაზობისას სულ იჯდა წყნარად, იცოდა სმენა, არას დაობდა
საპირისპირო იყო სამნაღირ, ეგრის-სვანეთის  თავი და თვალი
მკვირცხლად იცოდა სიტყვებით შებმა, პრიდაპირი და ხშირად მართალი
არგვეთ-თაკვერის ერისთავი კი, დინჯად გამრიგე დიდი ბაკური
სხვები რომ საქმეს მოათავებდნენ, მაშინ მიჰქონდა წილი აგური
შენ იყავ მახსოვს ძმაო არტავაზ და მეორე ძმა ბივრიტიანი
მეც თქვენთან ერთად, თქვენი უმცროსი, არც ბევრის გამგე, არც რეტიანი.

**არტავაზი-ერისთავი კლარჯეთისა –**

სხვამ უნდა გათქვას რაცა ხარ კაცი, თავის დამცრობა ჩვევა გაქვს კარგი
რად გინდა ქება მომეტებული, რაც ხარ იმაზე მეტად ივარგი?
ბრძენი სულელად მოგეჩვენება, სულელი კი ვერ გახდება ბრძენი
სინამდვილეში რომელი რაა, ჟამი გავა და დრო არი მჩენი
მე კარგად მახსოვს შენი სიტყვები: სიცრუის მთქმელი რატომ ვიქნები?
საქმე განმაგებს, მიტომ ვწყვეტ საქმეს, რასაც მთხოვს ისე გარდავიქმნები
უთხარი, მეფევ დღეს შენ გთხოვს საქმე, დროება ისე შემოტრიალდა
ადრე ბევრს თავი ღმერთი ეგონა, მაგრამ დამარცხდა და აწრიალდა
დღეს შენ სპარსეთი სიტყვას გიჯერებს და კეისარი გემეგობრება
ხვალაც და ზეგაც რომ ასე იყოს, მათი მაზეგის გვმართებს შეგნება
რასაც გთავაზობს შენი ცოლის ძმა, მათთან ამბავი არი ჩვეული
მირანდუხტს მისცემ, ზავს განამტკიცებ, დარჩებით ხელებ გადახვეული
მათში ასეა, სისხლით ნათესავს, მოიყვანენ და დასვამენ ცოლად
ისე ხშირია ესე ამბავი, არც ღირს სათქმელად და მოსაყოლად
მირადნუხტი ხომ უცხოა მისთვის, რომ მიათხოვო, რა დაშავდება
შესახედავად კარგი ვაჟია, დაგიმოყვრდება და დაზავდება
სულ სხვაა საქმე სალაშქროდ წასვლა, წაუსვლელობა თუ არ ეგება
ცოტა ჯარიც ხომ მიხმარებაა, ქვეყანა მას ვერ გადაეგება
ჩვენ აქ მტრები გვყავს ჩრდილოს მხარიდან, დიდ ჯარს სჭირდება მიტომ დარჩენა
ცოტას ვინა თქვა მცირე გმირობა, მოგვდგამს ომებში თავგამოდება.

**ბივრიტიანი-ერისთავი ოძრხისა –**

ოცდათორმეტი წელი გავიდა და მაინც მახსოვს, ვით გუშინდელი
დარბაზობაზე ყოველი აზრი წრფელი იყო და ქვეყნის სანთელი
ბოლოს ღმერთკაცმა განსაზღვრა ასე, საბჭო არ დარჩეს ცრუმობაასე

დავადგინოთ და შევუდგეთ საქმეს, არ დავემსგავსოთ დიაცთ და ხასებს
ბრძანა, მე წავალ იერუსალიმს, წმინდა ადგილთა მოსალოცავად
მე ამოვარჩევ ჩემ თანმხლებ პირებს და წავუძღვები მლოცველებს თავად
ჩემი მემკვიდრე დაჩი–ა იცით, თუმცა ასაკით ხუთი წლისაა
მეფედ მას ვტოვებ, მე რომ ვბერდები, ქვეყანა მაინც მომავლისაა
მასთან დარჩება, როგორც მეურვე, როგორც პატრონი, რომ შეკრას ერი
ჩემი უფროსი და ხუარანძე, გრიგოლ, სამნაღირ და ჯუანშერი
თან გამყვებიან ძმებად ცნობილი ნასარ, არტავაზ, ბივრიტიანი
საურმაგ ჩემი ეჯიბი, გმირი, ათი ათასი ცხენოსნიანი
გადაწყდა. სხვა რას მოიფიქრებდა, და თუმც თვითეულს აღგვეძრა სევდა
მეფე იყო და ჩვენი პატრონი, ნაბიჯით უკან ვინ დაიხევდა?

**ნასარი–ერისთავი წუნდისა –**

აღდგომა დღეებს წმინდა მიწაზე შევხვდით, ვილოცდით, გულით ვიხარეთ
შთამბეჭდავია ქრისტეს ამბავი, სხვა ჯავრი მოვსპეთ, გადავიყარეთ
როცა ჩათავდა დღე სასწაული მეფე მხლებლებით უკან ვიდოდა
ანტიოქიას შეგვხვდა პეროზი, თანხმობა იყო, უკვე იცოდა
იქიდან შემდეგ ქტესიფონამდე ქეიფ–ზეიმით, ლხენით ვიარეთ
დედაქალაქში იყო სიგიჟე, ქორწილით დაღლა გავიზიარეთ
კაცი ნაჩვევი უზრუნველობას, ტანჯვას ვერ უძლებს, ეცემა, ტუდება
ტანჯვას ნაწრთობი უზრუნველობას ძნელად იგუებს, ასედაც ხდება
ჩვენ, გადაღლილებს ქეიფისაგან. დროით მოგვისწრო კეისრის ჯარმა
სხვა საზრუნავი შემოგვესია, დღეები შთანთქა ზრუნვამ და ჯავრმა
ათი ათასი ჩვენ ვახლდით მეფეს, ათი ათასიც სომეხი გვახლდა
ანთიპატოსი ლეონის ოცით, გაორმაგდით და ორმოცი გახდა

**არტავაზი–ერისთავი კლარჯეთისა —**

სპარსული ჯარი თუმცა გვმეტობდა, რიცხვით მრავალი მებრძოლი, მცველი
ჩვენდა ბერძნების ერთობლივ ძალას ტოლს ვერ უდებდა, ვერ იყო ძლევი
ქტესიფონიდან აღმოსავლეთით ჯორჯანეთამდე მშვიდობით ვლიდით
ჯორჯანეთს ომი გადავიხადეთ, ჩამოჭრილ მკლავებს ასობით ვთვლიდით
ქვეყანა სპარსეთს დავუმორჩილეთ, ხმლის ტარს მარჯვენა მტკიცედ შევივლეთ
თუმც დღე ცხელოდა, ღამე ციოდა, ბედს არ დავნებდით, ღმერთს არ შევჩივ-
ლეთ
შემდეგ გზა ვნახეთ ინდოეთისკენ, აქ ალექსანდრეს ნაკვალევია

წელი გავიდა, წელს მიჰყვა წელი ჩვენი წყალი არ დაგვილევია
და არც ვიცოდით, თურმე ჯორჯანეთს, ადგილობრივი გაწყვიტეს ყველა
ჩამოასახლეს სპარსული ჯიში, გვიან გავიგეთ, ჩვენ რა გვეშველა
ჩვენ უკვე განგის ხეობას ვლიდით, მანამდე განვლეთ ინდის ნაწილი
პენჯაბში ვნახეთ უცხო ცხოვრება, უცხო მიდამო ირგვლივ გაშლილი
განგიდან ინდის ქვემო ნაწილებს, სინდეთს ბრძოლებით ჩამოვუარეთ
დღისით მლეულნი, ღამით გვესხმოდნენ, ჩვენ მათი ხერხი არ ვიუარეთ
სინდნი ციხეებს თავს აფარებდნენ, შემდეგ სპარსელებს თავზე ესხმოდნენ
ჩვენ და ბერძნები დამხმარე ვიყავთ, მტრები იყვნენ და მაინცა გრძნობდნენ
ორთაბრძოლაში იწვევდნენ სპარსებს, ბევრი მათგანის ატირეს დედა
ორთა ბრძოლა ხომ ორთა ბრძოლაა ვინ გახდებოდა სპარსელის მწედა
და მაინც მათი დამმარცხებლები შემდეგ ბერძნებს ან ჩვენა გვხვდებოდნენ
გორგასლის მალა ბევრმა იწვნია, გორგასალს იქაც შორიდან ცნობდნენ
თხუთმეტ ბუნბერაზს პირადად შეხვდა, და თხუთმეტივეს მოუღო ბოლო
შენ როგორ გინდა სხვები შეაქო, ზედ მეფის ქება არ დააყოლო

**ბივრიტიანი-ერისთავი ოძრხისა __□**

არტავაზ ვიცი მოსაგონებლად რაც სინდეთს მოხდა მალზეა მძიმე
მაინც შეგთხოვდი ჩაჰკალი რისხვა, არ დაიბოღმო და მომისმინე
სინდეთში მეფე იყო დევ-გმირი, ქალაქ სინდიას გამაგრებული
იქიდან ხშირი გამოხდომებით არ გვასვენებდა, წაიღო გული
ერთხელ მან შემლო, რომ საურმაგი, ეჯიბი მეფის, შემმართეველი
რაღაცა ხრიკით ჩამოგვაშორა და მოტყუებით მოუღო ხელი
პატიებას გთხოვ, მამის ძმის წული არტავაზ, სინდთა ღალატით მოკლეს
შენ ვერ შემოგწვდნენ და ბერძენ ლეონს, დიდს თუ ვერ მიწვდნენ, ხომ
მიწვდნენ მოკლეს
განრისხდა ვახტანგ და სინდთა მეფე ორთაბრძოლაში გამოიწვია
გამეხებული, გაშავებული, ასეთი ბუხარს არ დამიწვია
ბრძოლის წინ სინდმა არაკი უთხრა, სიტყვა არ მახსოვს, აზრით ასეთი:
კაცი რომ იბრძვის, უნდა იცოდეს, თავს რას შესწირავს გულით სავსეთი
მე ჩემ სამშობლოს ვიცავ და ვიცი, სანამ ვარ ცოცხალ, ჩემი საფიცი
ჩემგან მოელის თავის დადებას, არც დამჭირდება დიდი ლაციცი
მზადა ვარ მისთვის ბრძოლაში მოვკვდე. შენ კი ვის იცავ, აბა თუ იცი
საიდან რისთვის მოსულხარ ბრძოლით, ან ერთგულების ვის მიეც ფიცი
სპარსელი, ვინაც სინდეთს დაიპყრობს, მერე ისევ შენ მოგიბრუნდება

სიკეთის წილად ბოროტს მოიმკი თუ ეშმაკს ასდევ, ასედაც ხდება
ეგებ ამ სიტყვამ გასჭრა მეფეზე, სინდი არ მოკლა, მხოლოდ დაკოდა
მტერმა მტრის მტერზე უთხრა ისეთი, რაც წლობით მეფეს გულით დაქონდა
სინდეთი მაინც კი დავიკავეთ, მაგრამ შედეგად, ვახტანგის რჩევით
მეფე სინდეთის ვათავისუფლეთ, მძევლების წილად, თან ხლებით, წვევით
თუმცა ჩაველით შემდეგ აბაშეთს, ეს მხარე მალე დავიმორჩილეთ
ვახტანგი ბრძოლას გულს არ უდებდა, თუ ხმალს იქნევდა, ისე გულჩვილეთ

**ჯუანშერინ —**

შვი წელზე მეტი იქნიეთ ხმალი, ბევრგან დატოვეთ გმირობის კვალი
დაიმორჩილეთ უცხო ქვეყნები, მტერს თუ მოყვარეს დაუვსეთ თვალი?
თქვენ ამლიერეთ სპარსეთი ძლიერ, მტერს მისი მტერი მიუგდეთ მშიერს
როცა სისხლს ღვრიდით შეუბრალებლად ვის ადიდებდით სულს თუ მიწიერს?
მაშინ გვეგონა სიკეთეს ვქმნიდით, უცხო ტომები გვიცქერდნენ რიდით
დაჭრილ მარჯვენებს ველარა თვლიდით, მათი ქონება გვქონდა საზიდით
თქვენ იქ იბრმოდით, აქ ჩვენი ჯარი, მამულის მცველი, ხმალი და ფარი
შიშის ზარს სცემდა ოსებს, ხაზარებს, გარბოდნენ ჩვენგან მიუსაფარი
მე საამაყოდ შემოვინახე, რომ განვადიდეთ სამშობლოს სახე
მაგრამ როცა სხვას ვაძლიერებდით, იმავ სამშობლოს დავუგეთ მახე
სინდეთის მეფეს უთქვამს მართალი, დიდ ფარას დიდი უნდა სარქალი
არ აზიანოს უნევლივ ყველა, ფარას გზა მისცეს და სამართალი
ვახტანგი სანამ იყო ძლიერი, გვქონდა ცხოვრება სვე ბედნიერი
შეშინებული გარბოდა მტერი, და მედიდური გვქონდა იერი
თარგამოსიდან გადმოცემული, ჩვენ გვეკუთვნოდა ჩვენი მამული
მხოლოდ კლისურას ზევით მცხოვრები, კეისარს ვანდეთ ასული, წული
ვის შევეკარით სიტყვით და რწმენით, თუმცა სხვადასხვა ვიყავით ენით
ვეხმარებოდით, გვეხმარებოდნენ, საერთო საქმეს ვჭედავდით ლხენით

**ბივრიტიანი-ერისთავი ომრხისა —**

ჯუანშერ თუმცა შენ თქვი მართალი, გავხარჯეთ ზოგჯერ ზედმეტად ხმალი
მაგრამ ხომ დიდი გვქონდა მიზანი, მისთვის გაგვქონდა ცხოვრების კვალი
ჩვენ განა სხვისი გულისთვის ვბრმოდით, სიკვდილს ვეძებდით, მტრებს შორის ვქროდით
ყველგან საკუთარ მამულს ვიცავდით, მოყვარეს ვგრძნობდით, მეტოქეს ვცნობდით

სპარსეთის იქით ბევრი ტომია, არც გაგვიგია, არც გვიომია
უთვალავია მათი რიგები, ბევრი კი მუდამ ბევრის მდომია
ის ვინც მეზობელს მოიგდებს ხელში, გაიმართება ორგამად წელში
შემდეგ მეორეს მიუბრუნდება, ირგვლივ ჩააგდებს საგონებელში
ამიტომ უნდა განსაზღვრო კარგა, როგორი არი მომავლის ქარგა
ვინც გამოიცნო, არ იქცა ბარგად, იმან მოიგო, იმან ივარგა
აბა შენ მითხარ, გუჯართა ტომი, ჩვენებურ ჯიშის, სიკეთის მდომი
შეგვხვდნენ და გვიცნეს, გვიძმეს, შევთანხმდით, არ დაგვიწყია უაზრო ომი
ასეა მუდამ, გულს გული იცნობს, მტერს და მოყვარეს გაარჩევს თვალი
ჭკუა აარჩევს სად და როგორ ჯობს, არ გინდა ჭორი, შური, თვალთვალი
მეფემ განსაზღვრა რა მოხდებოდა, რა გვჭირდებოდა, რა ეგებოდა
მშვიდობით მიტომ ვაშენეთ დიდ ხანს, მშვიდობის ყადრი გაეგებოდა.

**ჯუანშერი —**

მე ის არ მითქვამს მეფემ არ იცის ან არაფერი არ გაეგება
მტერს მოუფონებს, მოყარეს დასცემს, უჭკუოდ რამეს გადაეგება
გუჯართა ტომი არ გამიგია, საიდან მოხვდნენ, ესეც არ ვიცი
ჩვენ დასავლეთში გვყავს ნათესავნი, ჩვენებრ იბერნი, ჩვენი საფიცი
მაგრამ თვითეულს გვაქვს ჩვენი კერა და ჩვენებური ვიცით სიმღერა
ისე ვცხოვრობთ და ისე ვირჯებით, როგორც გვკარნახობს ჩვენ ბედისწერა
შენ რომ არ მითხრა, თავადაც ვიცი, სად და როგორი ნაშენებია
მცხეთა აყვავდა, დიდება მეფეს, ქალაქი მისგან ნაშენებია
ჭერემს, ნიქოზში დავდგით ტაძრები, მათ სილამაზეს გრძნობით აწვდები
ნინო წმინდაში წმინდა სალოცავს თუ არ ადიდებ, როგორ გაცდები?
უჯარმის ციხე, რომლის სიმტკიცე, მეფის გმირობის შესაფერია
კამბეჩოვანი, თავად ნეკრესი, რომლის სიტურფე აღუწერია
თბილისის ციხის ირგვლივ შენდება, მისგან კლდეებიც კი დამშვენდება
შენ რა მასწავლო, იქით რად გითხრა, ასე რად არი, ისე რად ხდება?

**ბივრიტიანი-ერისთავი ომრხისა —**

ჰო, და რომ არა ბრძოლა. კირთება, იქით მიხდომა, რბევა და ვნება
აქეთ შენება როგორ იქნება, მშვიდობა განა მტრისაა ნება
არი ნათქვამი: იქით ედავე თუ აქეთ გინდა დარჩე დაცული
პენჯაბ-სინდეთში ჩვენი თარეშით, მშვიდობა აქეთ იყო დაწნული
რომ არა ძალა და ძლიერება გვიმეგობრებდა ჩვენ კეისარი?

წართმეულ მიწებს დაგვიბრუნებდა არ გაგვეთია დღეები მწარი?
ოვსები ვინაც კასპში დაგვეცნენ დვალეთის იქით გადავიდოდნენ
ხაზარ-სპარსელნი მუდამ ვინც გვმტრობდნენ, გვემოუვრებოდნენ, გონს მოვიდოდნენ
თვითონ სომეხნი, არიანები, არაქსის აქეთ გვისახლდებიან
უტინ-უდინებს ავიწროებენ, ძმებს არ გვინდობენ, ვერა ხვდებიან
შენ როგორ გინდა დაიცვა თავი თუ ვერ გაიგე კარგი და ავი
თუ არ დახანი და არ დათესე, როგორ მოგივა ხორბლის თავთავი?

**არტავაზი-ერისთავი კლარჯეთისა —**
თქვენმა სიტყვენმა აშალა დარდი, უეკლო არსად მინახავს ვარდი
სუსტი ნაჭუჭში ჩაიკეტება, ძლიერმა იცის შორეთს ნავარდი
ზოგჯერ იცვლება მათი ადგილი, სუსტი ძლიერობს, ასედაც ხდება
ხერხი ღონეს ჯობს, მაგრამ მთვარესთან, მუეფარი მაღლი ვერას გახდება
მე შეგახსენებთ, აბაშეთიდან, მერვე წელს როცა უკან დავბრუნდით
შემცირებულნი რაოდენობით, მაგრამ ძლიერნი ვაჟკაცთა გუნდით
ურიცხვ სიმდიდრეს ზიდდნენ მონები, იმდენი, ზღაპრად გასაგონები
ჩვენ რა დავტოვეთ მოსაწონები? კაცობა მუდამ თან ნაქონები
მეორეს გეტყვით, მეფემ ძლიერმა, გალაღებულმა, სვებედნიერმა
მიქაელ მღვდელის წიხლი ითმინა, რა შეაშინა ბერის იერმა?
მეფემ, რომელმაც კავკასიონი ყოველი მხრიდან ათავისუფლა
კონსტანტინეპოლს უწია თითქმის, ხალიბ-იბერებს გაუხდა უფლად
ინდოეთს მიწვდა, სინდეთის მეფე დასცა და ხელი გამოუწოდა
ვისაც ძლიერთა ძმობა შეფიცეს, სუსტებმა ვისაც ღმერთი უწოდა
მიხრწნილი ბერის წიხლს მოითმენდა? ძლიერმა სუსტის არა იწყინა
თუ ბერის მადლი იყო ძლიერი. გონებამ მკლავზე ხომ არ იცინა?
გამოცანაა ჩემთვის მუდმივი. აწყობილია ვით ქარვის მძივი
უკუნი როგორ მტაცებს სინათლეს, უკუნს როგორ ძლევს სინათლის სხივი

**ჯუანშერი —**
ცვალებადია წუთისოფელი, უცვლელი არი მიწყივ ცვლილება
ძლიერი-სუსტი, კეთილ-ბოროტი შეენაცვლება და იწყვილება
ერთი დრო იყო ჩვენ ვძლიერობდით, ბევრგან ვარბევდით, ვეომებოდით
საბერძნეთს ვძმობდით, მათი იმედით, სპარსეთის მხრიდან საფრთხეს ვერ ვგრძნობდით

ინდოეთიდან მობრუნებულმა მეფემ მიქაელ კათალიკოსი
გადააყენა, გაანაწყენა, აღმზრდელ-მფარველი თავის საწმყოსი
ბერი კი იყო, მაგრამ ამავ დროს, კაცი იყო და მადლი იცოდა
აღზრდილმა აღმზრდელს ვეღარ უთმინა, საშველად ხელი არ გაუწოდა
პეტრე მოიხმო იმის მაგიერ, ღრმად არ დაიწყო საქმის შესწავლა
ეწყინა მოხუცს, დასუსტებული როდესაც მეფემ ახლით შეცვალა
მე ასე ვფიქრობ, არავის ვკიცხავ, რაღა დრო არი ვქექოთ წარსული
როცა დედოფლად ჩამოგვივიდა ლეონ კეისრის ტურფა ასული
მას მოჰყვნენ პეტრე და სამუელი, რატომ? მოხუცი მიხვდა, იწყინა
როგორც შეიძლო, ის ქნა ამბოხი, სუსტმა ძლიერზე ძალით იცინა
ახალგაზრდისგან მოხუცის შეცვლა რა საწყენია, სოფლის წესია
ერთი წავა და მეორე მოვა, უფლისგან ასე დანაწესია.

**ნასარი-ერისთავი წუნდისა —**

მადლი შევწიროთ უფალს და მეფეს, რასაც ვგრძნობთ, ვხედავთ, კარგად აკეთა
როცა გამეფდა, რა იყო იცით, რა გვაქვს, რა როგორ გამოაკეთა
დანახვა უნდა მთლიანად საქმეს, ერთი წვრილმანით აზრი არ შექმნა
განახლებაა ქვეყნის გზა-კვალი, არ შეეცვალა. აბა რა ექნა?
მე როცა ვფიქრობ ნაჯაფ-ნაშრომზე, თავი მომწონს რომ ვარ მონაწილე
ჩვენ ბევრები ვართ, ის არი ერთი, ჩვენი უფალი, არა მოცილე
როცა დიადი აქვს კაცს მიზანი, მას თუ ვერ შეწვდი, ვერ შეიცანი
შეცდომისათვის ნუ ესვრი ტალახს, რა ხარ, ჯერ შენი გამოიცანი
სასაცილოა, როდესაც კაცი, სხვას უწუნებ და თავად არ იცი
სხვა სხვის ომშია იმიტომ ბრძენი, შორიდან იცის ყეფა-ლაცლაცი
იმას არ ვიტყვი რომ ჩვენ მეფეს ტალახში ფეხი არ გაუსვრია
იმან განსაჯოს ვინც მეტი შეძლო, მეტი აწია, მეტი უსვრია.

**ჯუანშერი —**

თუ რამე ითქვა, ცუდად არ ითქვა, აქ ფუჭად არვინ გადაეგება
ჩვენ მოგონებით გონებას ვლესავთ: თუ განმეორდა □ როგორ ეგება?
რა არ შევწირეთ ჩვენ უფალს მადლი, ვერ შევიშნოეთ მომხდარი ყადრი?
არ მომხდარიყო რაც მაშინ მოხდა, რა იქნებოდა, ერთ-ურთს შევადრი?
ინდოეთიდან მობრუნებულმა მეფემ ქვეყანა ახლად აშენა
თუ რამეს ვხედავთ წუნდადებულსა, აგერ ჩვენა ვართ და აგერ შენა
მე მომეწონა როდესაც დაჩის ჭერემს საუფლოდ დაუდო კერა
უფლისწულს უნდა ესწავლა მართვა, შრომა-ჭიდილი, მეფურად მზერა

სომეხთ პიტიახშს ერთგულების წილ და ხუარანძე ცოლად აწვია
დამოყვრების გზით ძველი კავშირი საკეისროსთან მაღლა აწია
სპარსეთის მეფე დის ქმარი იყო, ირგვლივ ამიტომ იყო მშვიდობა
სუსტს დასცინიან, მდიდარს შურობენ, ძლიერთან უნდათ ძმობა და დობა

**ბივრიტიანი-ერისთავი ომრხისა**

მე ჯუანშერის სიტყვა მენიშნა, სოფელი მუდმივ ცვალებადია
იბრძვი, იხვეჭავ, გეამაყება და ოხრად გრჩება, რაც გაბადია
შვილი დაიწყებს მერე თავიდან, ასე ტრიალებს წუთისოფელი
რა არი აზრი ჩვენი ცხოვრების, რას მიესწრაფის ქვეყნად მყოფელი?
როცა გვეგონა ჩათავდა ვრძოლა, სპარსეთთან გვქონდა მუდმივი ზავი
მაშინ აგორდა შური და მტრობა, ტკბილს შეერია ღვარძლი ნაზავი
როგორც კავადი ავიდა ტახტზე, ხუასროს შვილი, ხოსროიანი
გულში ჩაიდო კეისრის ჯავრი, დაგეგმა როგორ ექნა ზიანი
ვახტანგს მიმართა, ჩვენ ჭარმაგ მეფეს, უთხრა: შენ უნდა გვისარდლო ახლა
როცა დრო დამრჩა ვუყელო ძველ მტერს და ვისი შურიც მე განმეახლა
მამად მიგიღებ, მიწინამძღოლე, საბერძნეთს უნდა მოეღოს ბოლო
ჩემთა წინაპართ სირცხვილი ჭამეს, ჯავრი არ მინდა თან გავაყოლო
ერთად დავარტყათ, მეც ხელს შეგიწყობ, კლისურას ზევითს რომ დაეუფლო
გავინაწილოთ კეისრის წილი, გაგიბრწყინდება მეტად საუფლო
მიუგო მეფემ: დღეს საკეისრო მოყვრობით არი ჩვენთან შეკრული
და ამას გარდა ჩვენ სამთა შორის წარსულში იყო თანხმობა სრული
ხომ კარგი იყო, ოცი ათასი ბერძენი როცა ინდოეთს გვახლდა
გუშინ ძმა იყო და მეგობარი, დღეს არ გჭირდება და მტერი გახდა?
ჩვენს ვაჟკაცობას ეს არ შეშვენის, განწყობის ამინდს ვერ გამოვიცვლი
შევთანხმდეთ, შევხვდეთ, და შევკავშირდეთ თუ საამისოდ სადმე მოვიცლით.
მანამდისინ კი ასე იცოდე, მე ძმობის ხელი გამოგიწოდე
მინდა ერთგული დავრჩეთ თანხმობის, მშვიდობის დაცვის გრძნობით ვიწოდეთ
მეფის პასუხი კავადს ეგონა, ჩვენი სისუსტის არი შედეგი
მხარი იბრუნა, ჯერ ჩვენ შეგვება, ბერძენი მისთვის გახდა შემდეგი
რამდენი დღეა იორთან ვიბრძვით, ბერძენი არ ჩანს დავრჩით მარტონი
იქით და აქეთ იღვრება სისხლი, ვინ არი მისი ამზომ-ამწონი
უთენიისას დავეცით თავზე, ახალგაზრდულად მეფემ უტია
სპარსელთა მეფის კარავი ჩაჭრა, მეფის გულამდე თითქმის უწია

გაასწრო მხდალმა და როგორც ქარმა, სასწრაფოდ ბრძოლის ველი დატოვა
მეფის მე ბარტამ ხმალს შემოაკვდა, მცველთა ისრებმა აქეთ ათოვა
იღლიის მირას გარღვეულ პერანგს მოღალატური მოხვდა ისარი
დაკოდეს ვახტანგ, ატყდა ხმაური, მოკლეს გორგასალ, სწორედ ის არი
მაგრამ როდესაც იხილეს ველზე ისრით ნაკოდი კიდევ იბრძოდა
შედრკა მომხდური, გვაქცია ზურგი, აქ რა ხდებოდა აღარ იცოდა
სპარსელთა ჯარი ქართლიდან გარბის, ჩვენი მისდევს და არ მოასვენებს
მტერი დამარცხდა და გაგვერიდა, სანუგეშებლად რა ვუთხრათ ჩვენებს?

**დაჩი —**

სამშობლოს დაცვა ჩვენი ვალია, მზად ვარ სიცოცხლით პასუხი ვაგო
აქ გამორჩენის არა დგას კითხვა, რა შეიძლება მოვიგ-წავაგო
მამაჩემია ის სანიმუშო, რომელსაც ყველა უნდა ბაძავდეს
მამულიშვილებს აკავშირებდე, არა თიშავდეს, არა მაბავდეს
ახლა თუ ოდნავ არი შეუძლოდ, უნდა ვითმინოთ, უნდა გავუძლოთ
გადასატანი არი მრავალი, ადვილად ენა ტრიალებს უძვლოთ
ჩვენ რომ წარსული გვეამაყება, კარგია, მაგრამ რა გვაქვს შეხება
თუ ვერ დავიცავთ რაც მოუციათ, დაეცემა და დაემეხება
ამიტომ ახლა უპრიანია, ლელო მოვზომოთ გასატანია
რომ სინანულით არ მოვიგონოთ, ეს ადრე იყო, ის გვიანია
ნაომარ სოფლებს უნდა შენება, ქვრივებს ნუგეში, ობლებს ფერება
გაჭირვებული თუ არი ერი, მკრეხელობაა ყელმოღერება
იმდენი არი წინ საომარი, დღეები გვქლის იმდენი მწარი
თუ ვახტანგურად არ გავისარჯეთ, დაგვიკნინდება ჯიში და გვარი.



ИЗАНТИЯ
КУТАИСИ
УПЛИСЦИХЕ
ТБИЛИСИ
САМШВИЛДЕ
АРТАНУДЖИ
ОЛТИСИ
КАРИ
АНИ
ДВИН
ГАНДЖА
БАРДАВ
ШЕМАХА
КАБАЛА
ШАКИ
ДЕРБЕНТ
ШАРВАН
ДАРБАДАГАН
ВАСПУРАКАН
СЮНИК


# თეოდოსი

/აფხაზეთის სამეფო. 787-788წწ/

1992–1993 წწ. რუსეთ-საქართველოს ომის დროს, აფხაზეთის გმირის წოდებით და ლეონის ორდენით აჯილდოებდნენ ქართველების გენოციდში თავის გამოჩენისათვის.

ვინ იყო ლეონი, აფხაზეთის სამეფოს შემქმნელი?

ვახტანგ გორგასლის შემდეგ საქართველოს სამეფო იყოფა, ნაწილდება, სუსტდება.

აღმოსავლეთ საქართველოში ირანი 523წ. აუქმებს მეფობას.

დასავლეთ საქართველოში გუბაზისა და წათეს შემდეგ, 562 წლიდან, ბიზანტია მეფეებს პატრიკიოსის (ერის მთავრის) დონემდე ჩამოაქვეითებს.

642წ. არაბები იწყებენ საქართველოს დაპყრობას.

697წ. ლაზიკის პატრიკიოსი გიორგი ბარნუკის ძე ბიზანტიელებს აუჯანყდა და დამხმარედ არაბები მიიწვია. 705–711წწ. არაბებმა დასავლეთ საქართველო მთლიანად დახარკეს.

ბატონის შეცვლამ ქვეყნის მდგომარეობა ვერ გამოაკეთა და იწყება ბრძოლა არაბობის წინააღმდეგ.

ბრძოლას სათავეში უდგანან ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი და ლაზიკის მთავარი (პატრიკიოსი) ლეონი. ისინი ერთობლივი ძალებით ცდილობენ დამოუკიდებლობის დაბრუნებას.

სტეფანოზის ძენი, მირი და არჩილი უერთდებიან ლეონს. ლეონი მირის ქალიშვილ გურანდუხტს ცოლად ირთავს და სამხედრო კავშირს ნათესაურით ამყარებს.

ბიზანტიის კეისარი, არაბებისგან შევიწროებული, სამოკავშირეო ხელს უწვდის მეამბოხე მთავრებს. იგი ცნობს მირის და არჩილის მეფობას გორგასლის საქართველოზე და ორ სამეფოდ გვირგვინს უგზავნის მათ. იგი ასევე ცნობს აფხაზეთის (მდ. კელასურის ჩრდილოეთით) მიწებზე ლეონ მთავრის უფლებებს, თუ იქიდან არაბებს განდევნის.

735წ. მოხდა გადამწყვეტი შერკინება. მურვან იბნ-მუჰამედმა (ქართველებისაგან ყრუდ წოდებულმა) გადაქელა საქართველო და ანაკოფიის (ახალი-ათონი) ციხეში გამაგრებულ მირს და არჩილს ალყა შემოარტყა. ლეონი სობრისის ციხეს იცავდა. შეთანხმებული მოქმედებით მათ დაამარცხეს არაბები და მთელი დასავლეთ საქართველო გაათავისუფლეს.

მეფე მირი მალე გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე სამეფო ტახტზე სიძე ლეონია.

არჩილ მეფესა და მთავარ ლეონს შორის შედგა შეთანხმება.

არჩილმა ლეონს შესთავაზა: შენ დაიწყე ქვეყნის აღმშენებლობა მდ. კელასურის ჩრდილოეთ აფხაზეთში, მე კი ვიქნები ციხე გოჯს და ქუთაისს. ლეონის პასუხია: ბიზანტიის კეისარმა შენი დახმარებით მომაკუთვნა აფხაზეთის ჩრდილოეთი მდ. ნიკოფსუხომდე (მდ. მცირე ხაზარეთისა) და ამის გამო ვალდებული ვარ შენს წინაშე.

არჩილი დიდი მეფეა. მან აღადგინა ქვეყნის ერთიანობა ყველგან, გარდა თბილისის საამიროსი.

ლეონის შემდეგ აფხაზეთის მთავრები ხდებიან თეოდოსი, კონსტანტი და ბოლოს ლეონი II (753-398წწ).

786წ. ქართლის ერისთამავარია აშოტ კურაპალატი. არაბთა მხრივ შევიწროებული, იგი ტაო-კლარჯეთში გადადის და ახალ სამთავროს აარსებს.

787წ. გარდაიცვალა არჩილ მეფის ბოლო მემკვიდრე ჯუანშერი. ქართლი უმეთაუროდ დარჩა.

პირველობაზე პრეტენზია კახეთის ქორეპისკოპოსმა გრიგოლმა გამოავლინა, როცა ქსნის ხეობა დაიკავა. იგი არაა მეფის მემკვიდრე.

საქართველოს სამთავროებს შორის მეფის მემკვიდრე მხოლოდ ლეონია. იგი იწყებს ენერგიულ მოქმედებას, იკავებს მთელ დასავლეთ საქართველოს და დედაქალაქი ქუთაისში გადმოაქვს. სავარაუდოა, რომ 788წ. მან თავი აფხაზეთის მეფედ გამოაცხადა. ბიზანტიელები აფხაზეთს მთელ დასავლეთ საქართველოს უწოდებდნენ და რამდენადაც ლეონმა ეს ტერიტორია დაიკავა, იგი აფხაზეთის მეფე გახდა.

თეოდოსი ლეონ აფხაზთა მეფის უმცროსი ძმა, მისი მემკვიდრე და აშოტ კკურაპალატის სიძე. ამიტომ ეს ორი სამეფო კუთხე შეთანხმებულად მოქმედებს თბილისის ამირასა და კახეთის ქორეპისკოპოსის წინააღმდეგ.

ამ მოკლე პერიოდის ამბებს გადმოსცემს „თეოდოსი“.

/ანაკოფია 787წ. ერისმთავრის ლეონის სასახლე/

**შავლიანი (ერისთავი აბაზგია სანიგიის მხარეს) –**

მალა აღმართს ხნავს, მაგრამ ამ მალას თუ დაღმართისკენ შემოაბრუნებ
ბორეასავით დატრიალდება, სიზიფის შრომას ვერ დაუწუნებ
ჩვენი ვალია თვალი ვადევნოთ, შემობრუნების ჟამი ვიცოდეთ
ლეონის ისე დაექანება, იმისი ცოდვით ყველა ვიწოდეთ
შენ ჩემო შვილო თეოდოსს სდიე, მისი ოცნების არსი გაიგე
ერთი თუ უნდა, სამი ურჩიე, სობლისის ციხის კოშკი აიგე
გვეყო რაც დავთმეთ და რაც ვუთმინეთ, ჩვენსავ მამულში გაგვიბატონდნენ
კლისურას იქით გამოზრდილები, კლისურას აქეთ თავს სახლში გრძნობდნენ
ჯერ კიდევ როდის, გორგასლის ჟამად, როცა აქ დაგვსხა მან ერისთავად
ლაზაკის ციხის დაგვტოვა მცველად, იბერიისკენ გაბრუნდა თავად
მაშინ კლისურას ერქვა კორახი. მდინარის გასწვრივ ზღუდე აღმართეს
ჩვენ ბიზანტიის კეისარს მიგვცეს, მოყვრობა დათქვეს, ძმობით გამართეს
ჩემთა წინაპართ აშენეს ცხომი, შემოიმტკიცეს მრავალი ტომი
ხაზარებისგან დევნილ ჯიქებთან გადაიხადეს ხანგრძლივი ომი
ასი წელია თითქმის გასული, რაც შემოგვიჩნდა უცხო ავსული
როცა გიორგი პატრიკიოსმა გადაივიწყა ქვეყნის წარსული
არაბებს უხმო ახალ მეგობრად, გასცა ტომები, მათი ციხენი
აფხაზთა მხარე თვალუწვდენელი მიუძღვნა როგორც ძვირფასი ძღვენი
სამოცი წლის წინ ლაზთა მეგობრად, გასცა ტომები, მათი ციხენი
ქართების მთავრებს შეუკავშირდა, ხელი ხელს მისცეს, მხარს მისცეს მხარი
იმპერატორმა ბიზანტიისა, ვის ეკუთვნოდა კლისურას აქეთ
ქართთა მეფობა სცნა ლაზთა ზედა, ლაზ მთავარს უთხრა, რომელიც ვაქეთ
თუ არაბობას ლიხს გადადენით, თუ საერთო მტერს მიჰყვებით დევნით
ვცნობ თქვენს გმირობას, კლისურას აქეთ ვცნობ თქვენ მთავრობას სა-
დაც ხართ წვევნით
ქართში გამეფდა მაშინ არჩილი, ციხე-გოჯს დადგა მისი ძმა მირი
კლისურას აქეთს ეუფლა ლეონ, მირის სიძე და გმირებში გმირი
შავლიანებმა ძალით ჩათრევას, ნებით ჩაყოლა ვარჩიეთ წილად
სადაც არა ღირს ნუ იძრობ მახვილს, ძალით მეგობარს მოექეც ფრთხილად

**შავლიანი უმცროსი –**

პატარა არ ვარ, ნათქვამს ვერ მივხვდე, ვერ გავარჩიო მტერი-მოყვარე,

თეოდოსს მიტომ ვემეგობრები და ერთგულებით სითბო მოვგვარე
ზოგჯერ თვითონაც ვერ გამიგია, როგორ ვერ ხვდება, როგორ მენდობა
ჩემი თავისა მე შემრცხვენია, რატომ არ ვიცი იქით შენდობა
შენი კარნახით ჩავუდექ კვალში, გული გავუხსენ, გავხდი ერთგული
ჩვენგან განზრახულს როცა ვერ მიხვდა, აღმეძრა ცოდვა და სიბრალული
ანაკოფიას ლეონი ზეობს, თეოდოსს ცრომის ერისთავს ვარქმევთ
სად ვაღიარებთ ძმების მეტობას, იქ ორმოს ვუთხრით და უკან ვართმევთ
მე კარგად მესმის. ამ მოსულებმა, მირმველ აფხაზებს გვკიდეს უღელი
ჩვენ ერისთავებს მთავრად დაგვისხდნენ და საჭურჭლისკენ იშვირეს ხელი
რომ არა ლეონ, არა თეოდოს, შავლიანების იყო მთავრობა
და გარეგნულად სიამ-ტკბილობას, შიგნიდან ახლავს ფარული მტრობა

**შავლიანი უფროსი –**

ნუ წაიგრძელებ ენას ზედმეტად, მომთმენი ბოლოს მოგებულია

როგორც გასწავლი თუ იმ გზით ივლი, მათთვის ხაფანგი დაგებულია

აბაზგებს ჩვენ ვართ. ერთგულები გვყავს საბედიანოს ერისთავები
ჭკუით ვიქნებით, ვაჯობებთ ლეონს. ჩვენ მტრებს არ შერჩეთ მხრებზე თავები

**შავლიანი უმცროსი –**

ბევრი ვეცადე. შენ იმკი ნაყოფს, რაც მთავრებს შორის დავთესე მტრობა
თეოდოსს უნდა შეხვდეს ამირას. არაბი მის აზრს თუ მიემხრობა
არაბთა ჯარი არგვეთს გაქელავს, ლაზ-აფხაზების რომ მოვა ჯერი
ლეონს დასცემენ და ამას მერე მოვიგერიოთ მომხდური მტერი

**შავლიანი უფროსი –**

თუ თეოდოსი ბაღდადში მიდის, მას თან ეახლო, შენი ვალია
შემატყობინო იქით და ხდება და ან როგორი მომავალია
ერთად იქნებით, როცა დრო მოვა, მისი მოკვლა არ გაგიჭირდება
ჩემი ხარ შვილი, ჩემი მემკვიდრე, ხვალე მეფობა დაგიმკვიდრდება.

**შავლიანი უმროსი –**

შენ მე მაგ ზავნი სასაკლაოზე, სად ვერ მიხვდები ვინ გადარჩება

მე ვიბრძვი წლობით და ამის მერე ჩემი არჩივი სხვა ძმებს დარჩება
ლეონის ჯობნა მალზე ძნელია, დღემდე რაც ვცადეთ, დავრჩით უღონოთ
თქვენ ვერ შეძელით გამოცდილებმა, შვილებმა ეგებ რამ მოვიგონოთ?
შავლიანები მძლავრი გვარი ვართ. საქმეს ერთი ვარ ჩაჭიდებული
საბედიანო ორ ძმას აგზავნის, ჩვენზე მეტია თავდადებული?
სამმა შევიძლეთ და მოვახერხეთ, და თეოდორი დავიყოლიეთ
ქართ ქალაქისკენ გზას დავადგებით, რაკი ღალატის თასი დავლიეთ
აქ შენ იცოდე, იქ მე მივხედავ, საერთო საქმე ასე ეგება
ვიჩქარო უნდა, რომ დავეწიო. გავქუსლოთ ვიდრე გონს მოეგება.

**შავლიანი უფროსი –**

გზას დაგილოცავ, შენ იცი შვილო, მუდმივად მწარევ და ზოგჯერ ტკბილო
შვილს გაეურები, ვის შეეურები, ვაი მოხუცო შე ჭკვა აშლილო

**/ეხვევა. ემშვიდობება. რჩება მარტო/**

ბრძოლა იოლი მე არ მინახავს. კი არ ვთამაშობ, გვაქვს გრძელი ომი
პირზე მკოცნელი, ზურგს ხანჯალს ვუღერთ. ორივე მხარე ვართ ერთის მდომი
ლეონი ცდილობს მონად მაქციოს, არა ვარ მისი უღლის დამდგმელი
ღია ბრძოლაშიც ვერას დავაკლებ, გარს ახვევია ათასი მცველი
ამიტომ უნდა სხვას მივეკედლო, ბიზანტიაა ჩემი იმედი
თუ თადეოსი არაბს შეეკრა, შემოსწყრომიათ ძმებს შემოქმედი
იმპერატორი როცა გაიგებს, ლეონს დაუწყებს მეისვე რქენასა
ანაკოფია დამიბრუნდება, უნდა შევწირო მადლი ზენასა
მაგრამ მანამდე ხამს რომ ვიყურო, კეისარს მივცე ჩუმი ნიშანი
ლეონს ვეფიცო, ვარ ერთგული ყმა, სამსახურია ჩემი მიზანი

**/შემოდის საბედიანოს ერისთავი/**

**საბედიანოს ერისთავი –**

ჩამესმა რაღაც ამბავი ავი, სხვას ვის მოვკითხო აზრებთან ზავი
გეცოდინება, თუ მართალია, მიჯობს ახლავე მოვიკლა თავი
მითხრეს თეოდოს ჩვენი მთავარი, დიდ ძმას ღალატობს, მოსტეხა მხარი

ქუთათისისკენ ცხენს მიაჭენებს, გავარდა როგორც ბორია ქარი
ჩემი ვაჟები ახლავენ თანა, ერთად აღმართეს ღალატის დანა
შენი არ გაჰყვა, თუმც იყო მათთან, მითხარ რას ნიშნავს ეს გამოცანა?

**შავლიანი –**

სიტყვით თამაში რა საჭიროა, ორივემ ვიცით საქმით რა ხდება
თუ როგორც დავთქვით ვიქნებით ერთად, ცალკე რაც გვინდა უმალ ახდება
დღეს თეოდოსის ჩანაფიქრები, ძმისკენ ნასროლი სიტყვის ისრები
გაერთიანდა ჩვენ ჩანაფიქრთან, ის გახდა ჩვენი ტვირთის მკისრები
გამჟავნდა მისი ღალატი დიდი. მან უფროს ძმასთან ჩატეხა ხიდი
ერთგულთა რაზმი თან გაიყოლა, აი ამბავი ხელმოსაკიდი
ჩვენ დაგვიბარა ერის მთავარმა, ბევრია საბჭო, გადასაწყვეტი
როცა გაიგებს ძმის ასეთ ნაბიჯს, დაარტყავს ელდა, დაესხმის რეტი

**საბედიანოს ერისთავი –**

გესმის რას ამბობ? როცა გაიგებს, ჩემი დღეები ხომ დათვლილია
ლეონის რისხვას ვინ გადურჩება, თუმცა ამაში მისიც წვლილია
ღალატის თავი მისი ძმა არი და თუ დასჯაა ჯერ ის დასაჯოს
ჩემ თავს არ ვჩივი, ჩემი ვაჟები. სამართალია? მერე განსაჯოს

**შავლიანი –**

გეყო წუწუნი, ჯობს მომისმინე. როგორც ჩვენა ვართ მისი მსახური
ისე შვილები მის ძმას ახლავენ, არ აუტეხავთ ფუჭი ხმაური
თუ თეოდოსმა ასე უბრძანა, რა მალა იყო ეთქვათ უარი
სადაც ის წავა, თან გაჰყვებიან, ერთგულებაა ეს სატყუარი
ახლა მთავარი უფრო ისაა ლეონთან რად ვართ დაბარებული
რასაც გვიბრძანებს, დავუკრათ კვერი. უნდა ვეჩვენოთ მუდმივ ერთგული

**საბედიანოს ერისთავი –**

შენთვის იოლობს ასეთი საქმე. შენ მორჩილებას არ ხარ ჩვეული
საბედიანო სხვაგვარად არი. თუ რამ დავმალო, ვიყო წყეული
რაც თავი მახსოვს და რაც ოდითგან, წინაპრებისგან გამიგონია

ჩვენ ვმორჩილებდით პატრიკიოსებს, მეფენი იყვნენ ადრე, მგონია
თქვენ სხვა იყავით. აბსილ, აბაზგნი, მისიმინები და სანიგები
ჰენიოხების ხართ განაყარნი. არ ვამბობ ამას ნიშნის მიგებით
აბსართან ახლოს ცხოვრობდით ერთ დროს. სომხებთან ხშირი ომი გქონიათ
შემდეგ აქეთკენ მომართეთ გეზი, ესეც ომებით მოგიქონიათ
ისე მომხდარა. თქვენი მფარველი გამხდარა რომის იმპერატორი
ლაზების მეფეს თქვენ არ ემორდით და არც ყოფილხართ იმათთან სწორი
კლისურა იყო თურმე საზღვარი. მეფეთა შიში თქვენ არა გქონდათ
იმპერატორიც იყო მალზე შორს და თავისუფლად თავი გაგქონდათ
რომ არა ლეონ პატრიკიოსი, რომელმაც შეძლო თქვენი დაყმობა
ახლაც ისევე ინავარდებით, არ გექნებოდათ ჩვენი და–ძმობა
იმპერატორმა ლეონს დაუთმო დიდ ჯიქეთამდე ვრცელი მიწები
რაც ამ ლეონმა, იმის ძმის წულმა, გახადა თავის დასაფიცები
ჩვენ მათი ძველი ყმობა გვაწუხებს, შენთვის ახალი არი უღელი
ამიტომ ის რაც შენ არ განაღვლებს, ჩემთვის დარდია დასაწუხელი
თუ ჩემმა ურჩმა ვაჟიშვილებმა, ბატონის რიდის ზღვარი დალახეს
ლეონ მთავარს ხომ ჩასცეს მახვილი, მამასაც მიმტრეს, ქცევით გამლახეს
როგორ ვეჩვენო მე ერის მთავარს, როცა დარბაზში მიხილავს მარტოს
ვინ დამიფაროს მისი რისხვისგან, ვინ დამამშვიდოს და რამ გამართოს?

**შავლიანი –**

შიშს შეუპყრიხარ. შიში ამ ქვეყნად ყველაზე ცუდი არი მრჩეველი
შიშს აყოლილი კურდღლად იქცევა, გინდ იყოს მძლავრი, მტრების მძლეველი
გითხარი ნათლად. ჩვენ სხვა გვაქვს ვალი. ახლა გვჭირდება ჭკუა და მკლავი
თუ ნებისყოფა არ მოიკრიფე, როგორ იქნები სხვის გამლახავი?
დღეს გაირკვევა რომელ გზით ვილით, მიტომ ვეცადე, მიტომ ვისაქმე
ჩუ. ხმაურია. მოდის მთავარი. ხედავ, ხმაურით გაიღო კარი
აქ გადაწყდება ჩვენი ამინდი, მზე იქნებოა თუ დაბერავს ქარი

**/შემოდიან აფხაზეთის მთავარი ლეონი, მისი ბიძის ლეონის ქვრივი გურანდუხტი, აფხაზეთის, ლაზიის მთავარ ეპისკოპოსები, ტრაპეზუნის (ფასისის) ეპისკოპოსი ქრისტეფორე, მხლებლები/**

**ლეონი–**

უფალის ლოცვით, მალით და ხელით, აფხაზეთს ვმართავ ორმოცი წელი
ორმოცჯერ მაინც დავფიქრებულვარ, წამება რატომ თან დაგვდევს გრძელი
რაც ჩვენ ვეწამეთ იესოს სახე, რაც პირჯვარს ვიწერთ, რაც ვრეკავთ ზარებს
ეკლესიების ვაშენებთ თაღებს, ვაზის ფიცრისგან გავრანდავთ კარებს
ლოცვას აღვავლენთ ბერძნულ ენაზე, ბიბლია ვიცით მხოლოდ ბერძნულად
ვერ გამიგია წმინდა მამებო, ჩემ სამთავროში ასე რად არი
ერს თუ არ ესმის, გულს არ მოხვდება. საფიქრალია და საწუხარი
აქ მოგიწვიეთ ვინც რამე იცის, თქვენ შეგიძლიათ საქმე განსაჯოთ
მადლი შესწიროთ მოწყალე უფალს და მომავალში შვება ეაჯოთ

**აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი –**

მთავარო ლეონ, სულს ნუ წაიწყმედ, რად გინდა დარჩე ცოდვილიანი
ლოცვა ლოცვაა, მაგრამ ბერძნულად ჟღერს უფრო მძლავრად და მადლიანი
ვინ დაიკისრებს იმის გამოცვლას, რაც მამა–პაპას დაუდგენია
თუ ბიზანტია გვმფარველობს მიწყივ, ბერძნულად ლოცვაც დასათმენია
განა რა არი უკადრებელი. ღმერთს ყველა ენა თანაბრად ესმის
რასაც ეჩვევა ბავშვი თავიდან. მოხუცს იგივე ტკბილად ჩაესმის
ჩვენ კი აკვნიდან გვესმის ბერძნული, დილა–საღამოს ბერძნულად ლოცვა
უმჯობესია ვისწავლოთ მეტი, მათებრ მოქცევა, მათებრ მილოცვა.

**ლეონი –**

შენ მართალი ხარ მამაო ჩემო. უფალი ყველას თანაბრად ხედავს
უთავალვია ქალი და კაცი, ყველა ყურს თავის ენაზე ხედნავს
ჩვენს ჩვენ ენაზე თუ ვილოცებდით, ხომ დარჩებოდა იგივე რწმენა
ღვთის სამსახური განმტკიცდებოდა, შემოგვწყრებოდა ამისთვის ზენა?

**ეპისკოპოსი აფხაზეთისა–**

ჭკვას ნუ მასწავლი. თვითონ ბიბლია ბერძნების მიერ შედგენილია
დიდი მძლევრება მიმოფანტული, მათ შეაგროვეს, მათი წვლილია
იესო ქრისტეს ბერძნულ მცნებანი სათუთად ყველას შემოგვინახეს
ჯაფა გაიღეს, მისთვის ეწამნენ, ურწმუნოთაგან ვაება ნახეს

განა ივარგებს წიხლი ვკრათ ყველას, დიდი სიკეთე ვერ დაუფასოთ
რაკი ბერძნულად ისმის აზრები, აზრი არად ვცნათ და ასო ასოთ?
და ამას გარდა ქრისტიანების მსოფლიო კრება როცა გაიგებს
მკრეხელობაში ჩამოგვართმევენ, ვინ რას წააგებს, ვინ რას აიგებს
ამიტომ გირჩევთ თავშეკავებას, სულ მიანიჭებთ თქვენ ამით შვებას
ჩვენი მლოცველიც გადაურჩება წმინდა მამების მხრივ გაშავებას.

**ეპისკოპოსი რიზესი (ლაზიისა)–**

სმენას მოვითხოვ მცირედი ხანი, სულიერი ძმის ვცანი ნათქვამი
რატომ არი რომ ერთი გვზრდის ენა, მეორეს ვისმენთ ჟამი და ჟამი
როცა მთავრდება ლოცვა ბერძნულად, გარეთ მრევლის აზრს პასუხობს ბრძნულად
გაგიზიარონ, გაუზიარო, ესაუბრები ისევ ბერძნულად?
მრევლს უნდა უთხრა იმათ ენაზე, ლოცვა გულს ხვდება მშობლიურ ხმაზე
ჩინურად ნათქვამს რას გაიგებენ, ეტყვი მთავარზე, გპასუხობს ყმაზე
როცა ტრაპეტუნტს, მაისის სამეტს, ანდრია მოხვდა სულით წმინდანი
პირველწოდებულს უხმობენ ერში, დაჰყო ლაზებში საკმაო ხანი
შენ როგორ ფიქრობ, რომ ქადაგა ლაზებისათვის უცხო ენაზე
გაუგებდნენ და დაუჯერებდნენ, ან გაუშვებდნენ თავის წვერაზე?
პირველწოდებულს ახლდა მატათა, მან ჯერ კანანელ სიმონს ასწავლა
როგორი არი ლაზური კილო, ლაზური ცეკვა, ლაზურად გავლა
მერე ორივე გაჰყვა ანდრიას, ლაზთა მიწები მრავლად დალახეს
ქრისტეს მცნებანი ბევრგან აუხსნეს, აქეთ ლაზურით სმენა გალახეს
ამიტომ იყო ერმა გაუგო და ათი მცნება გაითავისა
შენსას ვერ ეტყვი, მისი არ გესმის, ასე მოუვრობა გამოვა სხვისა?
თუკი ანდრიამ ისწავლა ენა, მატათამ შეძლო და კანანელმა
უცხო ენაზე ჩვენ რაც ვქადაგებთ, ჭკვა ვერ გვასწავლა მრავალმა წელმა
თუ მრევლს არ ესმის ჩვენი გალობა, წირვა და ლოცვა ფუჭად იყრება
ხე, თუ არ იცი როგორ გადაჭრა, ახალი ყლორტი ამოიყრება?

**გურანდუხტი –**

გულით ვისმენდი, სულით ვილხენდი, რაც არ მომწონდა მოწყალედ ვთმენდი
ქალი ვარ, კაცთა გადასაწყვეტში, ზედმეტად ენით რაც მოვილხენდი

ახლა საკითხი არი ისეთი, აზრი აზრს ავსებს წვეთი და წვეთი
ბოლოს გროვდება და ლეონ მთავარს გადასაჭრელად უნდა საკვეთი
სანამ მეუფე იტყოდეს სიტყვას და დახურავდეს განსჯისთვის სარკმელს
მსურს დავუმატო მამათა აზრებს, ასე შემოვკრებ ნაფიქრს და სათქმელს
ბერძნულს რომ აქებთ კარგია მალზე, მან განაცვიფრა მთელი ქვეყანა
შემოიკრიბა სხვათა წარსული, ირგვლივ რომ ასე უხვად ეყარა
მათ შორის არი ჩვენი წარსული, იბერ-კოლხების გზა გამოვლილი
რაც ჩვენი იყო და დავივიწყეთ, მათი ნიჭისგან არი მოვლილი
ის, რაც აქ ითქვა ბიბლიის ირგვლივ, ისიც ბერძნების ნაფიქრებელი
შემოინახეს და განადიდეს, რის ქონა სხვა ერს დაზარებია
ეს კი არ ნიშნავს ყველა სიკეთე, მხოლოდ ერთ ენას მიეწერება
დაუკვირდები, გაგიკვირდება და მოგინდება ყველას ფერება
მე გეტყვი ამბავს, აწ დავიწყებულს, დასკვნა თქვენ თვითონ გამოიტანეთ
დღეს მცხეთა თაობს საღვთო სამსახურს, ყველას უმღვება შინა თუ გარეთ
ერთი დრო იყო ქართის მცხოვრებმა საკუთარ ენას უთხრეს უარი
სომხურად ლოცვა დაიწყეს ბევრგან, უვიცთა გახდა ეს სატყუარი
მაგრამ როდესაც იყო მოთხოვნა ქალკედონის კრების ცნობისა
ალბანელებმა და იბერებმა სომხურად ლოცვა-წირვა აკრძალეს
დვინში მოწვეულ კრებაზე დათქვეს, თავისი სხვისას არ ანაცვალეს
კრების ოქმები ქართულად შედგა, სხვებმა დაფარეს მწარე წარსული
შენი თუ სჯობნის, სხვისი რად გინდა, გადაფასება წრეგადასული
ახლაც ასეა. ქართი, ლაზები საერთო საქმეს ერთად ლოცავენ
ბიბლია თარგმნეს, ერს მათი ესმის, უვიცს ინდობენ, არა ხოცავენ
ლეონს კვერს ვუკრავ. ჩვენ სამთავროში არ უნდა იყოს ლოცვა ბერძნულად
თუ მოვინდომებთ, ამ წესსაც შევცვლით, რომ მომავალი ჩვენ ვმართოთ სრულად
მაგრამ როდის ვქნათ საკეთებელი, როდის შევცვალოთ დათქმული წესი
ერისმთავარი თავად გადაწყვეტს, მან უნდა მომკას ჩვენი ნათესი.

**ლეონი –**

მთელ სამთავროში სიბრძნით, ქალობით, სულ პირველობდი უფლის წყალობით
გამორჩეული არი ბიცოლა, ტოლი ვერ ნახოთ ვერც ცალობით
მან ეს შენიშნა: დავსვი საკითხი, რომ თვითეულის აზრი მესმინა

ისეც განსაჯეთ, ასეც განსაჯეთ, არც ერთის თქმული მე არ მეწყინა
ამ საქმეს გვიან დავუბრუნდებით, ასჯერ ავზომავთ და არ შევცდებით
ახლა სულ სხვა გვაქვს გადასაწყვეტი. რას ვიტყვი ალბად ცალცალკე ხვდებით
დიახ. მცხეთიდან კათალიკოზმა სანდო შიკრიკის პირით მაცნობა
ცალკე ეტრატი მაახლა ვრცელი, გამოგვიცხადა აშკარა ნდობა
სინანული თქვა, რომ სარკინოზნი ჩვენ, ქრისტიანებს არად გვაგდებენ
გვივარდებიან, კერას გვინგრევენ, ეზო-კარიდან გარეთ გვაგდებენ
ქრისტიანებსაც გადუწყვეტიათ, რომ მოიწვიონ საქვეყნო კრება
ერთად დასხდნენ და წვრილად განსაჯონ, რა გვეშველება, როგორ ეგება
კათალიკოსი, მამა სამოელ, როდესაც ჩვენთვის ლოცვას აღავლენს
ჩემ სიკეთესაც მოიხსენიებს, დიდ მოწყალებას ჩემდამი ავლენს
და თან აქვს თხოვნა, იმ შეკრებაზე, თქვენ შეარჩიეთ ერთი თქვენგანი
წარსდგეს და მისი სახელით მოყვეს რაც ხდება ჩვენში ამ ბოლო ხანი
როგორ ვაოდეთ სარკინოზები და გადავრეკეთ ლიხის იქითა
შური იძიეს, აბო აწამეს, მისი სისხლი სვეს სავსე ჭიქითა
დიდი არჩილი მეფის ასულმა, შუშანმა როგორ გადადო თავი
ურჯულო ხაზარ ხაკანთან პატივს, არჩია ტანჯვა და საწამლავი
მალზე ბევრია ჩვენგან სათქმელი, ქრისტიანობას რა მედგრად ვიცავთ
ღვთის მშობლის მადლი იცავს ამ მხარეს, ყოველი ქრისტეს სახელსა
ვფიცავთ
მოგეხსენებათ, მამა სამოელ ჩვენ გარდა თაობს გუგარეთს, ქართებს
და მისი თხოვნაც ბრძანება არი, მისი პატივი თვითეულს მართებს
ამიტომ უნდ ამყის აღვასრულოთ, კრებას რაც ვეტყვით აქ გავარჩიოთ
შემდეგ განვსაზღვროთ საკეთებელი, კრებას წამსვლელიც ამოვარჩიოთ
წმინდა მამებო. თქვენზე უკეთეს ვინ იცის ცალკე ვინ როგორ ფასობს
რომლის გამოსვლა უცხოთ წინაშე სასირცხვო დანას გულს არ დაგვასობს

**მთავარეპისკოპოსი (ლაზიისა, რიზესი) –**

ეს ხმა ჩვენც ჩაგვწვდა, რომ ქრისტიანნი საეკლესიო კრებას იწვევენ
იქ რა ითქმება ან რა იქნება, რას გადაწყვეტენ, რას მოიწვევენ
კათალიკოსის დასადგენია. ის კი მოწყალე არი ჩვენდამი
იყო გვიწვევდა მცხეთას სალოცად, გვესტუმრებოდა ჟამი და ჟამი
მაგრამ თუ ასეთ საქმეს გვანდობდა, ოცნებითაც ვერ მოვიაზრებდი
ის, რაც მისია გადასაწყვეტი, ჩემ თავზე როგორ დავივალებდი

იქ თუ მოხსენდა რაც ჩვენში მოხდა, მხოლოდ ჩამოთვლად შორს წაგვიყვანდა
ახლოს მნელდება ყოველი საქმე, ზოგჯერ ადვილი რომელიც ჩანდა
მე არ მეკუთვნის მსგავსი პატივი, ასე იოლად მიტომ ვუყურებ
რასაც ვერ დაძრავს ჩემი არსება, იმით გონებას არ გავიხურებ
მთავარო ლეონ, შენ უკეთ უწყი, ვის შეუძლია წარმოგვაჩინოს
ჩვენი უთხრას და სხვისი ისმინოს, სიცრუის ჭია არ გაგვიჩინოს
მე ტრაპეზუნის ეპისკოპოსი ქრისტეფორე მყავს მხედველობაში
ბიბლიაც იცის, ბერძნულიც იცის, სიტყვა-პასუხით არ გაცვლი სხვაში
ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა, მაგრამ რომ ვატყობ მეთანხმებიან
თუ გვინდა ვინმე გამოვარჩიოთ, საუკეთესო ამასა ჰქვიან.

**მთავარეპისკოპოსი (აფხაზეთისა) –**

მღვდელთა მთავარი ყოველი კუთხის, ღირსი მამაა თავისი მრევლის
მიმტევებელი საწყალთა ცოდვის, დამწუხრებულთა მომწმენდი ცრემლის
ჩვენში ვინც უნდა ამოვარჩიოთ, არ მიადგება ჩვენ საწყმოს ჩრდილი
ასეთი არი ერის ბუნება და თვითეული ერში გაზრდილი
რადგან ერთია ამოსარჩევი, ერთის გაგზავნა იქნება წვევით
მე ვეთანხმები აქ გამოთქმულ აზრს, რატომ ვირბინოთ ზევით და ქვევით
ეპისკოპოსი ტრაპეზუნისა ქრისტეფორეა ღირსებით სავსე
მსოფლიო კრებას მან დაანახოს, რომ ქვეყანა ზრდის მხოლოდ მის მსგავსებს
დე ჩვენი სახე მაგან უჩვენოს, თან ტრაპეზუნი უფრო ახლო
კაპადოკიაც მან წარდგინოს ჩვენი აკვანი და სამოსახლო.

**ლეონი–**

მოხარული ვარ. ღირსეულ მამებს, ღირსეული გაქვთ ყოველი სიტყვა
ჩემ გონებაში აღბეჭდილია ის, როგორ მოხდა და ის რაც ითქვა
პატივისცემა თქვენდამი ჩემი, ასე ქცევის დროს უფრო მატულობს
თუ არი წესი საჭმელით მარხვა, გონება მაინც ხომ არ მარხულობს
კრებაზე წავა და იმის მერე, მექნება თხოვნა და დავალება
იმ ჩვენი უდაბნო მოინახულოს, გადაიტანოს მისთვის წვალება
იმ წმინდა ადგილს რომ მოილოცებს, მეუდაბნოე ბერები ჩვენი
დაასაჩუქროს იმით რას ვატან, რომ ჰქონდეთ ყოფა თითით საჩვენი
ქრისტეფორე მათ გადასცემს თქვენგან რაც გაიღება ლოცვა-კურთხევა

ჩვენ აქეთ ვცდილობთ, ისინი იქით, ქრისტიანული არი ეს ჩვევა
ახლა გვჭირდება მტკიცე ერთობა, მალე დიადი დღე გათენდება
ერის ერთობა სიმძლავრეს ბადებს, ყველა მამული დაგვიბრუნდება
ამ მიზნისათვის ვიღვაწოთ ერთად, ვისაც რა ძალუძს იყოს ნათელი
კაცად მაშინ ხარ დასაფასები, თუ ერს უნთიხარ როგორც სანთელი.

**ეპისკოპოსი ქრისტეფორე**–

მადლობელი ვარ დაფასებისთვის. სიმხნევეს მმატებს ასეთი ნდობა
რამდენიც უნდა მამყოფოს ღმერთმა, წამყვება ყველგან ამ სითბოს გრძნობა
მოხარული ვარ, რომ შემეძლება ქვეყანას ვამცნო ჩვენი ამბები
თუ კაცი თავის ქვეყრში შემძვრალა, ვინ უნდა იყოს მისი გამგები
მეუდაბნოე ბერებს რომ ვნახავ, მათ მივუმატო სიმხნე–ხალისი
ერის მთავარის ნაბოძვარს მივცემ, თან დავამატო თქვენი და სხვისი
ჩავალ და ვეტყვი ჩვენ სადარდებელს, ეგებ მამულის ცრემლი მოვწმინდო
მცხეთასაც ჩავალ, მადლი შევწირო, ლოცვას მიიღებს კათალიკოსი
საერთო ძალით ვჭიმოთ ჭაპანი, ვიყოთ მამები ჩვენი საწმეოსი.

**საბედიანოს ერისთავი –**

ერისმთავარო, უფალო ლეონ, ნეტავი ეს დღე არ მომსწრებოდა
ყოველ სიტყვაზე მიკრთოდა გული, თვალის სინათლე წამერთმეოდა
მაშინ, როდესაც შენ ერზე ზრუნავ, აფხაზეთია გულის ტკივილი
მე როგორ გითხრა რაც ხანჯლად მესმის, როგორ დავიწყო ბედზე ჩივილი
მაგრამ რა გზაა მე თუ არა ვთქვი, თუ შავლიანმა არ დაუმატა
როგორ აეწყო ქვეყნის ღალატი, ვის რა დააკლო, ვის რა აქვს ხატად.

**ლეონი –**

ხო. აღარ იტყვი? სულს რა აშფოთებს, ჩემ თანაშეზრდილს რა გაქვს სადარდი
ისეთი რაა თქმას ვერა ბედავ, ვაჟკაცი სულით რაზედ დავარდი?

**ერისთავი საბედიანოსი –**

მოხდა ის რასაც არვინ ველოდით. არც მიფიქრია მასზე თავიდან
მუდამ მეგონა ლეონის შემდგომ, ღალატის თესლი მიწას ჩავიდა
როცა ამ ხიფათს ვერაფრით ვგრძნობდი, ეტყობა მართლა მწარედ ვცდებოდი

დამნაშავე ვარ, სასჯელის ღირსი, ვარ მოღალატე, შენთან შემცოდი
ახლა ხანს მითხრეს, ჩემი ვაჟები, რომლებსაც ხშირად შენთან ვაქებდი
ეს რომ მცოდნოდა, რას ვიფიქრებდი, იმათთვის თავსაც არ გადავდებდი.
ჩემი შვილები, შენ ძმასთან ერთად, ქვეყნის ღალატის გზას დასდგომიან
მცოდნოდა ჩემი ხელით დავსჯიდი. ვაჰ, ყოველივე გავიგე გვიან.

**ლეონი –**

თქვი რა ღალატზე მესაუბრები – ყველა აქა ვართ, არც რა დამალო
თუ ვინმეს გული ღალატით უცემს, ხამს ჩემი ხელით ამოვაცალო.

**ერისთავი საბედიანოსი–**

თეოდოსი და ჩემი შვილები, შეთქმულან თურმე ღალატის მიზნით
თბილისისაკენ მიიჩქარიან, მიაჭენებენ ულაყებს მიჯრით
უნდათ ამირა მოინახულონ და არაბებთან შეკრან კავშირი
ამიტომ ერთად დროს ატარებდნენ და თათბირები ჰქონიათ ხშირი
მათ თუ ამირა დაიყაბულეს და საომარი დათქვეს პირობა
არგვეთის მხრიდან მოგვადგებიან, თუმცა იციან შენი გმირობა
ძმათა შორისი ატყდება ომი. ძლივს აწყობილი საქმე წახდება
რამდენი კაცი გახდება მსხვერპლი, რამდენი ობოლ-ქვრივი გახდება
დასასჯელი ვარ, ეს კარგად ვიცი. ვერ აღმიზრდია კარგად შვილები
სანამ განაჩენს გამომიტანდე, თუმცა ვერავის შევეცილები
კარგ კაცობაში. მაინც მსურს გითხრა: სანამ ის ომი დამთავრდებოდეს
მომეც უფლება შევკრიბო ჯარი და სანამ სული ამომხდებოდეს
ვიომო გვერდით, როგორც ეს იყო, ლეონი როცა სდევდა არაბებს
თუნდ ჩემნაირის ჩამოცილება საერთო საქმეს იცი არ არგებს
მე სხვებისა მშურს. ჩემებთან ერთად თეოდოსს სხვებიც მრავლადა ყავდა
მაგრამ გზაში არ უახლებია, უფრო ახლობლად თუმცა ღა ჩანდა.

**შავლიანი –**

გეყო. ისედაც არი ნათელი, ვისკენ იწევდინე ენა და ხელი
მიგიხვდი უმალ რა იანდეზე. შენზე უმეტეს არ ვარ სულელი
ერისმთავარო. არი მართალი, რომ ჩემი წული თეოდოსს სდევდა
და მეც ვფიქრობდი, რა კარგი არი ახალგაზრდები რომ მეგობრობენ
ერთად არიან. ის მთავარია, მაგრამ სხვაობას სულ არა გრძნობენ
არ დამიშლია. არც დავუშლიდი უფალის ძმასთან მეგობრობასა
თუ არ ექნებათ ნდობა, ერთობა. რას გააწყობენ სხვასთან და სხვასა

დღესაც ვიხილე, ემზადებოდნენ ახალგაზრდები სანადიროთა
ვიფიქე, როცა დაიღლებიან, ჩემთან ამოვლენ სანადიმოთა.

**ლეონი –**

რასაც აქ ამბობთ ერისთავები, თუ ამის მეტი სხვა რამე იცით
გაიხსენეთ და წვრილად მიამბეთ, შეკრულები ვართ ღვთიური ფიცით
მე მუდმივ ვცდილობ თქვენი სურვილი მეტ–ნაკლებობით გავიზიარო
ვალდებულნი ხართ თქვენ თქვენი მხრიდან, რადგან ქვეყანა გვაქვს საზიარო
რას ეგვანება ჩვენი ცხოვრება ყველამ რომ თავის გეზით გასწიოს
ჩვენ თანადგომით უნდა შევიძლოთ სხვას არ ჩამოვრჩეთ და დაგვეწიოს
თქვენ ახლა ამბობთ რაღაც ღალატზე, თითქო უმცროსი ძმა მღალატობდეს
იცი,–უნდა თქვა და თუ არ იცი, ჭორებს ეგება დუმილი ჯობდეს
თეოდოსი ხომ ძმა არი ჩემი, ასაკის გამო უფროა შვილი
ვზრდიდი, ვწურთნიდი, ვავაჟკაცებდი, ცოდნას იღებდა და იყო ზრდილი
ცხომს ერისთავად ჩვენ დავადგინეთ, როცა კაცობის ჟამმა უწია
მიზეზი რაა, რატომ დაგვშორდა, მტრებისკენ გულმა რად გაუწია?
იქნებ რაღაცა სხვაშია საქმე, ცუდი და კარგი ხომ არ გერევათ
აზრი გღალატობთ? არ ხართ ბებრები, თითოეულს ლომი ვერ მოგერევათ
თქვენ თუ ერთგულნი იყავით ჩემი, რამ გადარია თქვენი შვილები
ვიცნობ, ვემოწმი და ვენდობოდი, არა ყოფილან ჭკვა აშლილები
ეგებ თქვენ ცდებით, სადღაც ლაღობენ, ღალატი გულში არ გაუვლიათ
გადამოწმება არი საჭირო ვისთან ყოფილან და სად უვლიათ
მე დამაეჭვა თქვენმა ნათქვამმა, მაგრამ იქავ მსურს გავფანტო დარდი
ახალგაზრდობამ იცის ანცობა და უმიზეზოთ ცხენით ნავარდი
ხომ თავად ამბობთ, შავლიანის წულს, იმათკენ ფეხი არ მოუცვლია
თუ ღალატია, ერთად ჩაითქვეს, მას წასაყოფად ვერ მოუცლია?

**შავლიანი –**

უფალო ლეონ. ეს მართალია თეოდოსს ჩემი წული არ გაჰყვა
არა იმიტომ, იგრძნო ხიფათი და ან ტოლების აზრებს არ აჰყვა
ის ჭოჭმანობდა, მეფიცებოდა, რომ თეოდოსის მტკიცეა ნება
შეხვდეს ამირას, ემმოს არაბებს, ძმას არ უჯერის, არი თავნება
ჩემი წული კი მე მაფრთხილებდა, თან მაბარებდა, რომ შენთვის მეთქვა
ვერ მიატოვებს თეოდოს მთავარს, თუმც სულ სხვაგვარი აქვს გულის ფეთქვა
ეს მე ვუბრძანე, მოღალატეებს დაეწიოს და ჩადგეს მათ შორის

შემდეგ ამბები შეგვატყობინოს და ნუ ექნება ფიქრი სიშორის
ჩვენ მისგან როცა გვეცოდინება, როგორი არი განზრახულება
ზომებს მივიღებთ, მტერს არ ვაცინებთ, ესაა აღზრდა და ერთგულება

**ლეონი –**

შენ ისე ყვები თითქო მართალი არი შვილების ჩვენგან განდგომა
მაგ რამ მიზანი მათი რა არი, ქვეყნის დაქცევა, მტრის გვერდში დგომა?
ვერც ერთმა მაინც ვერ დამარწმუნეთ, რას მოველოდე, რომელი მხრიდან
არაბებთან აქვთ მტკიცე კავშირი თუ ონავრობით გადვიდნენ გზიდან
კარგი გიქნია, რომ შენი შვილი, მოღალატეთა ჯგუფს აახელი
ის უნდა გახდეს იქ ჩვენი სმენა, აქ სიმართლეზე თვალის ამხელი
მაშ დავიცადოთ რას გვაცნობებენ და საპასუხო შემდეგში ვცადოთ
სიფრთხილე გვინდა, დასაბუთება, ჭორი სიმართლედ რომ არ გავხადოთ

**შავლიანი –**

ჭორი კი არა, ნამდვილად ვიცი, ხატის წინაშე დამეფიცება
გარკვეული ვარ მათ ბნელ ამბებში, არ დამჭირდება ხელის ცეცება
მე ჩემი ვაჟი არას მიმალავს, მისგან სიახლეს სულ ვგებულობდი
თეოდოსი რომ არ ისვენებდა, ეჭვი არ არი, გულითა ვგრძნობდი
მისი მიზანი არი ნათელი, მას არაბების მოწვევა უნდა
თუ ბიზანტიას გადავუდგებით, მოგვადგებიან შეკრული გუნდად
დასუსტებულებს სადმე გვიყელონ, სამთავრო დასცენ და გადაქელონ
არაბთან ძალით დაჯდება მთავრად, შური და მტრობა არ დააძველონ

**ლეონი –**

ჩემი სიცოცხლე და შემართება მამულისათვის შემიწირია
ცხოვრების წლები სავლე მრავალი, გადასახედი მაინც მწირია
რას ვესწრაფოდი, რაც მივაღწიე, ფუჭად ზრუნვაში მომხრია ქედი
ვის დავემდურო, ვის დავემუქრო, ალბათ ასეთი მეწერა ბედი
ბიძა ლეონმა რაც დამიტოვა, რასაც სიცოცხლის წლები აქსოვა
მე მხოლოდ ფიცით შემოვიმტკიცე, მმართებს ჩივილი და ჩუმი გლოვა
ახლა ძმა მერჩის, განზე გამიდგა, ამბობს რაც შენ გაქვს სულ ჩემად მინდა
დღეს მოგიწვიეთ სულ ახლობლენი, ერთგულნი, ვისთან ვატარე წლები
თუ სამართალი არ გამიჩინეთ, წავალ მონასტერს დავესახლები.

**გურანდუხტი –**

მოთქმა არაა კაცური საქმე, თუ გადაწყვიტე და ხელი ახლე
უნდა ნაბიჯი წინ წადგა მტკიცედ. შენ კი ჩივილი აქ განაახლე
თვითონ ამბობდი გიყვარს მამული, სისხლით გაქვს მიწა გადანამული
თუ არ შემატე რაც შეგიძლია, გმირად როგორღა იქნები თქმული?
თეოდოსრას გთხოვს, რას ემართლები, თქვენშორის არი ხანგრძლივი წლები
თუ გამოზარდე, ძმა ცანი შვილად, რად დაიბანე ახლა ხელები?
მე ერთი მინდა, შენი სამთავრო, აღმატებული კლისურას აქეთ
კლისურას იქითს აერთიანო, რომელმაც გშობა, სიცოცხლით აქეთ
თუ აფხაზეთის მეფეს ემახდნენ გუბაზს სწავლული ბიზანტიელნი
შთამომავალნი რატომ არ მეფობთ, შთამომავლობით გახდით ტიელნი?

**შავლიანი –**

ჩვენ, აფხაზეთის ერისთავები, ძლიერნი, გვარად შავლიანები
ვისი მამული დიდ ჯიქეთს წვდება და თვითეული დევის მგვანები
პატრიკიოსებს ჩვენ ნებით ვეუმეთ, ერთნი ვართ ეს ვთქვით, მოდგმით და ჯიშით
თქვენთა წინაპართ ერისმთავრობა, ერთობით ვცანით და არა შიშით
ახლაც მზადა ვართ მამულისათვის თავი დავდოთ და სისხლი გავიღოთ
მაგრამ ძმა ძმაზე თუ აუგს იტყვის, საერთო ძმობა როგორ დავიგოთ?
მე ასე მესმის: ეგრი თუ კოლხი, ადამ–ევადან ლაზი ყოფილა
ჰელიოხები ვიყავით რწმენით, ტომებიც მიტომ გამოყოფილა
ჩვენ აბაზგები, ქცევით აფსილნი, საერთო სისხლით არის ავსილნი
აქაველები და სანიგები კერიისაა სხვადასხვა შვილნი
ერთიანობით ხელგვეწიფება, ერისმთავარის თუ იქნა ნება
ტრაპეზუნამდე ფეხი ვიწვდინოთ, მოვსპოთ თუ გზაში შეგვხვდა თავნება.

**გურანდუხტი –**

არეულია ლაზთა სოფელი და თუ ლეონმა არ უპატრონა
ციხე სობლისა რად გაამაგრა, აფხაზეთისა რად უნდა ქონა
ჯუანშერ, ქართთა დიდი მთავარი, ბოლო იმედი ერთიანობის
მიცვალებულა. მის ქვეყანაში, ვერ ნახეს ღირსი სამეფოდ ცნობის
ჰერი განუდგა თურმე კახელებს, კახელი ქართებს მისმალებია
უპატრონობა, არეულობა მეფის წახდენის თანა მხლებია
აშოტი, ეს თქვეს, კლარჯეთს გადვიდა, ქალაქში დარჩა არაბთ ამირა

ერისთავთათვის შემოუთვლია, რო მიმათ მამულს აქცევს ყამირად
ქორეპისკოპოს გრიგოლს მეგობრობს, მმობა ჰქონიათ დაფიცებული
ქართს დაიუპრობენ, მოგვადგებიან, ჩვენ ბიზანტიის დავრჩეთ ერთგული?
თეოდოსს უნდა ქართს გადავიდე, ბაღდადის გზაზე იქიდან ვლიდეს
თქვენებთან ერთად ლაზეთს უშველოს, მამულის ტვირთი ამიტომ ზიდეს.

**შავლიანი –**

მე თეოდოსის გულისთქმა მესმის, ახლა მძიმეა უმოქმედობა
ჩვენ ბიზანტიამ გვაქცია ზურგი, გაცუდდა ჩვენი მმობა და დობა
იმპერატორი ლეონის შემდეგ, რაც კონსტანტინე ტახტზე ავიდა
მცირეწლოვანი ვერ ჩაწვდა სქმეს, ჩვენი მცდელობაც ცუდად წავიდა
ეგება ჯობდეს ვუხმოთ არაბებს, თეოდოსს ჰქონდეს ამის უფლება
იმისი იყოს ლაზეთს მეფობა, ქუთათისს ვინაც დაეუფლება
გრიგოლი მმლავრობს კახთა მთავარი, ამირა იცავს და არაბობა
სარკინოზები თუ დაიხმარა, არ დაჭირდება სხვების მოხმობა
ბიზანტიაც კი ხარკს უხდის იმათ, არავინაა უფრო მლიერი
ხამს მივეკედლოთ ყველაზე მაგარს, რომ საშუალო შეგვრჩეს იერი.

**გურანდუხტი –**

შავლიანები დიდი გვარია, გაიცნობ, იტყვი რა მაგარია
მოისმენ აზრებს, ეჭვი შეგრჩება, ერისთავს რა სურს, რა უხარია
რაც ქვეყნად ხდება, ლეონმაც იცის, ხაზარეთიდან სახალიფომდე
სანამ გადაჭრი აქეთ თუ იქით, ასაჭრელს ასჯერ უნდა აზომდე
შავლიანს ენდნენ აქაველები, აქ ლაზები და მისიმინები
ვერ უპატრონეთ თქვენზე მონდობილს, უაზრო მსხვერპლთა დადგით ზვინები.
რომ არა ლეონ, ცემი მეუღლე, ვინაც აშენა კლისურას აქეთ
რომელი იყო ერის პატრონი, შავლიანებში რომელი აქეთ
დღეს თეოდოსი შენსავით მღერის, შავლიანური გამოერია
მმას თუ განუდგა, არაბებს აქებს, ღალატის ხმაზე დაუმღერია
მე ვიტყვი სიტყვას, თუმცა ვარ ქალი, ზოგ კაცზე უკეთ გამიჭრის თვალი
თუ ჯუანშერი აღარ გვყავს მეფე, რომელიც მიწყივ იყო საწყალი
ეს იმას ნიშნავს, მე დავრჩი მხოლოდ, ვისაც ეკუთვნის მეფის გვირგვინი
და შემიძლია გადავცე იმას, ვინც ერს პატრონობს და უჭრის ტვინი
ლეონი ჩემი მაზლის შვილია, ყველა შვილებში გამორჩეული
კლისურას აქეთ იპყრა ყოველი, ერისთავი თუ მონა ეული
მას შეუძლია შეკრას სამეფო, გვირგვინი არი მისი არჩივი
გადამიცია, დამილოცია, მისი იმედით ვარ და არ ვჩივი.

**ლეონი–**

უმცროსი ძმაა ჩემი თეოდოს, ღმერთია მოწმე, ვუფერე, ვზარდე
მისი იმედი მქონდა ყოველთვის, ახლა სირცხვილით სად გადავარდე
ბევრი რამ იცის ჩვენმა წარსულმა, გადუტანია ავი და კარგი
რაც იყო აღარ გამეორდება, წარსულმა რა ქნას თუ არ ივარგი
განა ისეა მართლა სოფელი, რომ არ მზოგავენ, მიკიჟინებენ
არც კი ფიქრობენ, ჩემი გინებით, თავს და ქვეყანას ერთგვარად ვნებენ
ძმა არაბებთან ძმობასა ფიქრობს, რა იმედი აქვს არაბებისა
ვინც თავისიანს მარცვავს და ხოცავს, ის ივ დამნდობი იქნება სხვისა?
ხომ ვცადეთ ადრე, შველა შევთხოვეთ, მოვიწვიეთ და გავუღეთ კარი
შორით მოსულმა გარეთ გაგვრეკა, ვიყავით დიდ ხანს მიუსაფარი
ოცი წლის ბრძოლა დასჭირდა ლეონს, მას გვერდში ედგნენ არჩილ და მირი
რამდენი ტანჯვა გადაიტანეს, რამდენი საქმე ქმნეს გასაკვირი
მარტო დავითი და კონსტანტინე, ორი მოწამის სახელიც კმარა
უფლის რწმენისთვის გადადეს თავი, უფალმა იქით ვერ დაიფარა
მურვან ყრუს შემდეგ კვლავ ენდო არაბს, ცოლი და შვილი კვლავ მომხდურს ანდო
არ დარჩენილა სოფლად სიკეთე, ძმა თუ გღალატობს, მტერია სანდო?

**გურანდუხტი –**

მე დავამატებ ლეონის ნათქვამს, ქრისტეს მორწმუნემ უნდა იცოდეს
რად გავიხადოთ ამხანაგებად ჭეშმარიტ უფალს, ვინაც შესცოდეს
ზოგჯერ ყოფილა, რომ იძულებით საკუთარ რჯულზე უთქვამთ უარი
შემდეგ მისთვის სხვებს მიუბაძიათ, ცთომა გამხდარა რამ საფუძარი
ჩვენ ეხლა სულ სხვა გვაქვს მაგალითი, ბნელს გაანათებს ვით მარგალიტი
დრო გავა ყველას დაავიწყდება, გაგვიფრინდება ვით ტყეში გვრიტი
თუ არ ვუფერეთ, არ ვუპატრონეთ, არ გადავეცით ახალ თაობებს
მუდმივი წვიმა, თუ არ აქვს არხი, მთიან ადგილსაც დააჭაობებს
ერისმთავარი ნერსე იცნობდით, ამ შვიდი წლის წინ აქაც სტუმრობდა
ათას გასაჭირს ის ეუვებოდა, სხვა იფიქრებდა, კაცი ხუმრობდა
წლობით ბაღდადში დილეგში იყო ხალიფას მიერ გამომწყვდეული
ერთი არაბი ჰყავდა დამხმარე, ნასწავლ-ნაწრთობი, ბედით ეული
ნერსემ შეიტკბო უცხო ტომელი, არ სდია რწმენით არი რომელი
რამდენსაც შემდეგ ვლიდა ამ ქვეყნად, არაბიც იყო იმ გზის მზომელი
თბილისს ჩამოჰყვა, იყო ერთგული, ნერსესთან აწრთო გონება, სული

ყურანს ფიცავდა, სურებს სწავლობდა, მორწმუნე იყო თავდადებული
იქ აიხილა მეორედ თვალი, სცნა ნერსე იყო მტერთან მართალი
მის იუფალიც იყო კეთილი, სხვა ღმერთებს შორის არ ყავდა ცალი
როცა დარწმუნდა ქრისტეს მალაში. ყურანს დაუწყო ხელში თამაში
მოისროლა და გადაინათლა, ლხენით შეცურა სიკეთის ზღვაში
წლები გავიდა. წლების მანძილზე, ქრისტეს მოძღვრებას მუდმივ სწავლობდა
ცოდნასთან რწმენა ემატებოდა, ჰპოვა სიამე, არსებით გრძნობდა
სარკინოზებმა გაუგეს ბოლოს, მარჯვედ უყელეს, გამოამწყვდიეს
მაჰმადის რწმენას დაბრუნებოდა, ბევრი ამლიერ ოქრო და ფული
იყო პასუხი: ხორცი თქვენია, უფალისათვის ვამზადე სული
მე ტანჯვით ვცანი ჭეშმარიტება, გზა არეული დიდხანს ვცდებოდი
მუჰამედსა და ქრისტეს ვადრიდი, ვცოცხლდებოდი და ისევ ვკვდებოდი
ბოლოს დავძლიერ ეს გაორება ბედის გამრიგედ ქრისტე ვიცანი
ჯვარცმისთვის მზად ვარ, ქრისტეს ცნებისთვის სიკვდილი არი დიდი მიზანი
შარშან თბილისში აწამეს აბო, აბო არაბი არი წმინდანი
მან ჩვენ მოგვბაძა. ვისაც ბაძავენ იმან ურჯულოს რად მისცეს განი?
მე თეოდოსის აზრი მაკვირვებს, ის ჩემი კალთით გამოზრდილია
ძმას გადაუდგეს, ურჯულოს ემოს, ტკბილი და მწარე ერთი ხილია?

**ეპისკოპოსი ქრისტეფორე –**

უფალის რწმენას როდის ღალატობს, უფალის მადლით უნდა იცოდეს
რა გზას დაადგეს, რომ არგოს მამულს, მის სადიდებლად მუდმივ იწოდეს
ხომ არა ამბობს დავაგდებ რწმენას, ალაჰის რჯულზე მოვინათლები
პირიქით, უნდა ჩავიდეს მცხეთას, ლოცოს, ილოცოს, ანთოს სანთლები
ქორეპისკოპოსს თუ შეუძლია ქართზე ილაშქროს, ამირას ემმოს
მალა მოირთას, შემოგვიტიოს, ხვალ ლაზიკაში იგივე შემლოს
შორიდან რატომ უნდა ვუყუროთ, როდის მოვლიან და როგორ გვცემენ
ჯუანშერივით ტყვედ წაგვიყვანენ, მოესურვებათ სხვას გადაგვცემენ
მას ურჩევია იქით დაასწროს, აერთიანოს ჩვენი მალები
გადაარჩინოს ჩვენი მამული, მუდმივი ცემით განაწვალები
დღეს საფრთხე გველის ყოველი მხრიდან, ყოველ მხრივ უნდა ვიქნიოთ ხმალი
მტერს ბევრი იქით შევგებებით თუ ეს იქნება ჩვენი წამალი
თუ თეოდოსი სხვა გზასა ხედავს, სჯობს განზე გადგეს და გაგეცალოს
რაც ერთად გიხნავთ და გითესიათ, ახლა უმცროსი გალეწეთ კალო.

**ლეონი –**

ვერ შევაგონე ძმას ვერაფერი, თუმც საუბრები მქონია გრძელი
თავისი წასვლით მე რა დამაკლო, აფხაზთ სამთავროს ამოსდო ცელი
ახალგაზრდაა და სისხლი უდუღს, ჩქარობს და ხშირად აგვიანდება
ზოგჯერ სასურველს სიზმრადა ხედავს და მელასავით მოელანდება
მაგას ჰგონია ამირას ნახავს, არაბი ლხენით დაუკრავს თავსა
ბაღდადში წავა, უცებ გადაწყვეტს ჩვენ საკეთებელს კარგსა და ავსა
მე კარგად ვიცი მისი გულისთქმა, კიდეც ამიტომ მივეცი განი
უფალი იყოს მისი მფარველი, დე აუსრულდეს ყველა მიზანი
მაგრამ ხომ ვიცი მისგან ამ ნაბიჯს, ვინ რას დაარქმევს, როგორ გაიგებს
აიშლებიან მტერთა აზრები, ჩვენ ხარჯზე ყველა კოშკებს აიგებს
ძლივს გადავიგდეთ არაბთა ხარკი, ძლივს დავიგულეთ ლიხის იქეთა
მურვან ყრუს კუდით ქვა ვასროლინეთ, მკლავი გავსარჯეთ, თავი ვიქეთა
ხელახლა გვინდა მათი მოწვევა? არაბი აფხაზს ძმობას გაუწევს?
მის სადარდებელს გაზიარებს, შეშას მოუტანს, მძიმეს აუწევს?
ამავ დროს, როცა იმპერატორი გაიგებს ჩვენი განდგომის ამბავს
ჩემ ძმას რა სუზავს, მაგრამ ხომ ვიცი მის სახელს ჩემსას უმალ მიაბავს
ამიტომ გვმართებს ახლავ ვაცნობოთ, ვუთხრათ რომ მევარ ალალ-მართალი
იმპერატორს და ხალიფას შორის აფხაზებისთვის დიდი ზღვარია
უნდა დალაგდეს ურთიერთობა, რაც თეოდოსის წასვლამ არია
ეჭვი არ არი არაბთ ხალიფა ყველაზე მეტად რომელიც ძლავრობს
მოიწადინებს ლაზების ყმობას, თავისუფლებით დღემდე რომ ხარობს
იმეპრატორი წინ აღუდგება, ატყდება მათში ფიცხელი ომი
რომელი როგორ მოგვიგდებს ხელში, ყველას ექნება თავის საზომი
მიტომ არ მსურდა, რომ თეოდოსი ამ სახიფათო გზას დასდგომოდა
ღალატიანი საქმე დაეწყო, რომელსაც თავად ვერ ერგებოდა
ახლა რაღა ვქნათ, ჩვენი ვალია იმპერატორმა იცოდეს ყველა
შავლიანს ვეტყვი, იცრუე სწრაფად, შენ შეგიძლაი სამთავროს შველა
ამავ დროს უნდა ხაკანს ვაცნობო, დედის ძმაა და ვალდებულია
დის წულს უფეროს და განამტკიცოს ხიდი რომელიც გადებულია
ხაზარნი ისეც მტრობენ არაბებს, თუ გზას მივცემთ და წინ წარუდგებით

ეგებ დავიცვათ ლაზიკის მხარე და მომავალში ვისუნთქოთ შვებით.

**გურანდუხტი –**

თუმცა ბიძაა შენთვის ხაკანი, არ მოუსპია მტრობის საგანი
აფხაზთა ჯიქეთს თავისად ითვლის და აწიოკებს ხანი და ხანი
ამიტომ დიდი გმართებს სიფრთხილე, უნდა აწონო ყოველი წვრილად
თავში იწვალებ, კეთილი ბოლო, მოგეჩვენება დაჩირულ ხილად
არც ერთის ნდობა, რომ არ იქნება ბერძენია თუ არაბ, ხაზარი
გასაგებია, არ დაივიწყო, ყოველი მტერი არი საზარი
ძმა თუ არ ფიქრობს რა დღე დაგადგა, უცხო ტომელი გასწევს ძმობასა?
ყოველი ცდილობს რამ ისარგებლოს, შენგან მოითხოვს ერთგულ ყმობასა.
ხამს დაფიქრება და მოფიქრება, რა დროს ვისთან ღირს შეკავშირება
რომ თეოდოსის არაბეთს წასვლა დარჩეს ხუმრობა და ახირება

**შავლიანი –**

ჩემ გაოცებას არ აქვ საზღვარი, ის რაც ვიხილე არი საზარი
ძმამ ძმას უგანა, მტრებს უმოყვრდება, ძმებს შორის მტრობას ჩამოჰკრა ზარი
ბაღდადს ხალიფას თუ ეახლება, წინასწარ ვიცი ის რაც მოხდება
ხალიფა მაჰდი ისეც დიდგულობს, დროს ნახავს ალაჰს გაუტოლდება
სარკინოზების დააწყობს რიგებს, ისე, ბერძენი ვერას გაუგებს
თავს დაესხმება კაპადოკიას, იქიდან ტაოს წერას აუგებს
ტაოდან ჩვენსკენ რაა მანძილი, თუ ამხედრდები, გასწვდები ჩრდილი
ჩვენგან წვეული ჩვენ დაგვესხმება, წამოუძღვება ჩვენგან გაზრდილი
ჩვენ ციხეებში ბერძნებ ისხედან, ჩვენ მიწა–წყალზე უჭირავთ თვალი
საბაბს ნახავენ, აგიოხრებენ, გვიტირონ ცოლი, შვილი და რძალი
შენ მართალს ბრძანებ მთავარო ლეონ, ჩემი ელჩობაც სწორად განსაჯე
ღმერთო ნუ მისცემ მტერს გახარებას და მოღალატეც მასთან დასაჯე

*/გადის, დამსწრენი მისდევენ/*

**გურანდუხტი –**

ახლა, როდესაც დავრჩით მარტონი, ხამს მოვიკრიფოთ ძალი და გონი
ერთად ავწონოთ რა როგორ გვიღირს, მართლად ნათქვამი, გამონაგონი
წვრილად განვსაჯოთ საერთო საქმე, საკუთრებელი ავზომოთ აქვე
რომ ერის ბედი, მთას ასატანი, რა დავვიქანდეს შეცდომით თავქვე

რასაც დღესა ვფლობთ, ეს თითქო ვიცით, მაგრამ სიფრთხილე მაინც გვჭირდება
თუ ფხიზლადა ხარ,–არ გამოგრჩება, განსაზღვრავ–აღარ გაგიჭირდება.
მე ბევრსა ვფიქრობ კარგზე და ავზე, რადგან ეს საქმე ავირე თავზე
შენც დაგიჯერე, როცა ვიმსჯელეთ ერის მომავლის ამოსავალზე
სწორად მოიქეც, როცა თეოდოსს არ შეუშალე წასვლაში ხელი
მოღალატეა იტყვის ყოველი გზაში შემხვედრი დინჯი თუ ხელი
შენზე აუგი თუ ვინმეს დასცდა, მიეწერება ძმობას და განცდას
სულელი სწრაფად აკეთებს დასკვნას იქ, სადაც ბრძენი არჩევდა დაცდას
მე შავლიანი უფრო მაფიქრებს რას მოიაზრებს, როგორ მიხვდება
დიდი ძალაა საგავრეულო გამოგყვება თუ წინ დაგიდგება
მისი ელჩობა სასარგებლოა, მაგრამ აახლე კაცი ერთგული
უნდა ვიცოდეთ ყველა ნაბიჯი და ყველა სიტყვა ზურგს უკან თქმული
სანამ ელჩობა ჩამოთავდება, შენ მოაგვარებ გადაწყვეტილსა,
უცაბედობა სისწრაფეს ითხოვს, უნდა მოჰგავდე ზვავს დაწყვეტილსა
მე მოხუცი ვარ სხვას ვერას ვიტყვი, სულ სასიკეთოდ შეგეხოს ხელი
პირჯვარს გადაგწერ, დამილოცნიხარ, უფალი იყოს შენი მფარველი.

**ლეონი –**

რაც თავი მახსოვს, დედობას მიწევ, სხვა დედა მგონი არცა მყოლია
თუ რამე კარგი შემორჩენია, მხოლოდ აღმზრდელის მონაყოლია
არ მოვსწრებივარ, ხომ გამიგია, ქართის მეფეთა გრძელი ამბავი
სტეფანოზ დიდმა, მირიმ, არჩილმა ქვეყნისთვის როგორ გადადეს თავი
მე მხოლოდ მახსოვს, ციხე–გოჯს ვყავდი, იყო ზეიმი, შენი მოყვანა
შენ კალთას ჩამსვეს მომავლის მაცნედ, ჩემი მეგონა მთელი ქვეყანა
ბიძა ლეონმა კლისურას აქეთ ათავისუფლა როცა მიწები
წამომიყვანე, შვილებთან ერთად პირველი გყავდი დასაფიცები
როცა თეოდოს, შემდეგ კონსტანტი, უსაყვარლესი შენი გმირები
უთანასწორო ბრძოლაში დარჩნენ, მამულისათვის შენაწირები
მე შევრჩი მხოლოდ იმედის ფარად და შენი სიბრძნე თუ მიფარავდა
კი არ ვცდილობდი, ვიყავ ისეთი, რომ სამომავლოდ კიდევ მე გყავდა
მხოლოდ სიყვარულს როდი ვაფასებ საქმეში სიბრძნეს და ერთგულებას
ბიძის ანდერძს რომ გადაუხვიონ, არავის მისცემ ამის უფლებას
მისი მიზანი ორივემ ვიცით, ის დიდი საქმე გამხდარა ჩვენი
შენ თუ ვერ შეძლებ, მე თუ ვერ შევძლებ, ვერ შევეყრებით იმ ქვეყნად ლხენით
შენი თანხმობით მე მიტომ ვჩქარობ, მთელი ცხოვრება მიტომ ვითმინეთ

ბევრს ბევრი უნდა მოსამზადებლად, საქმეში სიბრძნე გამოვიჩინეთ
დღეს დღე დაგვიდგა შემობრუნების, მჯერა შენი თქმის და ერის ნება
თავის დადება იმ საქმეს შვენის, თავის დადებად რომ ეღირება
თეოდოსმა თქვა თავის სათქმელი და ვიდრე იგი გზაში იქნება
ნათქვამი მიწყივ მთქმელს გადაასწრებს და ერთი ასად ჩამოიქმნება
შენ მართალი ხარ, ახლა მთავარი, აბაზგთა თავი შავლიანია
ჩვენ სათქმელს როგორ ეტყვის კეისარს, რა მართალია, რა წყლიანია
ამიტომ მასთან ერთად იქნება საბედიანოს მღვდელ–წინამძღვარი
ბერძნებს ბერძნულად რომელიც ეტყვის პირობას ვიცავმ სიტყვა მაქვს მყარი
მთავარი არი დროის მოგება, ზუსტი განსაზღვრა პირველ ნაბიჯის
დაგვიანება თუ არ იქნება, აჩქარებისთვის ცხოვრება დამსჯის
ჩვენ ცოტა კიდევ უნდა ვიყუჩოთ, თუმცა დრო თითქმის შესაფერია
ეს ჩვენ რომ ვიცით, სხვებმაც იციან, ჩვენ გარშემო კი ჭრელი ერია
ვინაც პირველი გადადგავს ნაბიჯს, ყველა დანარჩენს გადაიკიდებს
როცა ერთმანეთს წაერევიან, ჩვენ, ვინცა ვდგევართ შორსა და კიდეს
შეუმჩნებლად გავმლიერდებით, ჩვიცი ხაკანიც გვერდს დაგვიდგება
დასუსტებულებს დავარტყავთ მიჯრით, რასაც ვერ ვფიქრობთ ის აგვიხდება

**გურანდუხტი –**

გამოცდილება დიდი განძია, ცოდნაც არასდროს ჩამოდის ციდან
მამა მწყრთნიდა და მასწავლიდა, რას მოველოდე, როგორ კაციდან
მირს არ დასცალდა თავად ემეფა, ვაჟების ნაცვლად მე შევრჩები ხელში
უმეოდ მეოფი და კმაყოფილი, ვინ გინახია წუთისოფელში
შემდეგ ლეონი წამომეშველა, სიძე უყვარდა, ათამამებდა
სიძე–სიმამრი, ხმა შეწყობილი ერთმანეთისთვის თავსაც დადებდა
მათი ერთობით ერს რაც ეშველა, შენც კარგად იცი, ბავშვიც კი ხედავს
სულელი შვილის წამოზრდას უცდის, ჭკვიანი მცირეს დღითი დღე ხედნავს
რაც თავი მახსოვს, თუმც ვიყავ გოგო, მე შეღავათი არა მქონია
თუ რამე შევძელ ლეონთან ერთად, იმ შენამენის მონაქონია
შენ ჩემო მეფე და ჩემო შვილო, როგორც შევიძელ სიმკაცრით გზარდე
ახლა მზადა ხარ, მთავარი არი, მამულს სამსახურს რომ არ დაზარდე
მე მოხუცებულს რა შემიძლია, პირჯვარს გადაგწერ, დაგლოცავ ენით
ღმერთმა ინებოს შენი სიკეთე, მე მომელოცნოს სამეფო მღვენით.

/რამდენიმე დღის შემდეგ. თბილისი. ამირას სასახლე. ტახტზე ზის ამირა ალი შუბის მე. გვერდით კახეთის ქორეპისკოპოსი გრიგოლი და აფხაზთა მთავარი თეოდოსი/

**ამირა –**

თავისუფლება, რჩეულთა ხვედრი, დიდი მიზანი, უფლის საჩუქარი
როგორც მწვერვალი მიუწვდომელი, კაცთაგან კაცის მიწყივ საყვედრი
თვითეულს ესმის როგორაც უნდა, გულით რა დააქვს, რას უჭრის გონი
ზოგიერთისთვის განცდაა მძიმე, ზოგისთვის სიტყვა,–გამონაგონი
ზოგი ასეთად დაიბადება და ვიდრე ცოცხლობს უსაგნოდ ფანტავს
ზოგს ესიზმრება და რომ ვერ წვდება, კარს მიიხურავს, თავისში ხატავს
ზოგის ცხოვრება ბრძოლაა მისთვის, ზოგი არ დარდობს, არას დაგიდევს
ზოგს ღმერთი დასჯის, გამოარიდებს, ზოგს უწყალობებს, მკერდზე დაჰკიდებს
რა ვასკვლავზეა დაბადებული, ისე ატარებს წუთისოფელი
თუ ბედი სწყალობს, სხვა რას დააკლებს, ბედნიერია ასე მყოფელი
კაცზე ვამბობდი, თუმცა იგივე განმეორდება სხვადასხვა ერზე
ერთი საკუთარ სალამურს უკრავს, მეორე ცეკვავს სხვების ნამღერზე
ალაჰის მალით, დღეს ყველა ხედავს, არაბთა ბედი როგორ ბრწყინდება
მის ადგილს ყოფნა, მისი სიმძლავრე, რომელი არი არ მოუნდება?
ალაჰი მაღლით განაგებს ყოველს, ჩვენი რწმენისთვის მალასა გვმატებს
სადაც დრო გვიწევს, ლოცვას აღვავლენთ, არ ვემონებით დახატულ ხატებს
ჩვენთვის ყურანით განსაზღვრულია, რად ვიბადებით, როგორა ვკვდებით
როგორ მოვიქცეთ შინა თუ გარე, მტერს თუ მოყვარეს როგორ შევხვდებით
ალაჰმა უთხრა მილში მუჰამედს, მან კი სურებში გადმოსცა ყველა
ვინც იტანჯება, რად იტანჯება, ვისაც ეშველა, რატომ ეშველა
მე სხვა არ ვიცი ყურანის დარი და მუჰამედის სიბრძნის მფლობელი
მსაჯული არი ყველა ურწმუნოს, ყველა მორწმუნის არი მშობელი.

**ქორეპისკოპოსი –**

ამირა ალი, ამ საკითხებზე, ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია
ახლა მეასედ ავტეხოთ დავა, კინკლაობაში რა სიბრძნე ერია
ჩვენი მიზანი არი ნათელი, მან საბრძოლველად გვაერთიანა
თეოდოსი თუ დაეთო საქმეს, კურაპალატი გაგვიმლებს განა?

ჩვენ მეგობრობას წლები ამტკიცებს, აფხაზთ მთავარი დაგვემატება
ანაკოფიას მიიტან დროშას, მამათა ვალი არ გემართება
მთავარი არი კარგად გავთვალოთ, როდის სად დავკრათ საგულდაგულოდ
ირგვლივ მიწები გაერთიანოთ, არაბთა ჯარი რომ დავაპუროთ.

**თეოდოსი –**

ვხედავ მტკიცეა თქვენი კავშირი, დიდი მიზნისთვის შეგიკრავთ პირი
ლაზებში თუმცა ბევრია გმირი, წინ გავირეკოთ როგორც ნახირი
თქვენ შეგიძლიათ, ერთობის ძალით, კლარჯეთის მეფეს დაუვსოთ თვალი
ძლიერმა უნდა გასჭედოს რვალი, გადაუწყვიტოს სუსტს სამართალი
მე თქვენთან ერთად ვარ მეომარი, აქეთკენ მიტომ ვიცვალე მხარი
ჩემთვის ხალიფა თუშები არი, ამირა ალი ყოფილა ფარი.

**ამირა –**

ხედავ, რა კარგად ამბობს აფხაზი, მე მომწონს მისი ფიქრის ნახაზი
უნდა შევიძლოთ, აშოტს და ლეონს შემოვეხვიოთ ვით სურო ვაზი
გრიგოლ, შენ უნდა დაჰკრა პირველმა, ისე, იტიროს იმათ მხილველმა
დამხდურებს სული გავაგდებინოთ, ლეშზე იმძლავროს ტურამ და მგელმა

**თეოდოსი –**

აშოტს მე არ ვსდევ. უკვე გითხარით ლაზთა სამეფოს აღდგენა მინდა
არაბებს მიტომ ვუმეგობრდები, რომ ავისრულო მიზანი წმინდა
ხაზარეთიდან ტაოს კარამდე თავისად ითვლის იმპერატორი
ძლიერი არი.ხალიფას ძალუძს, ჩვენსკენ დახაროს ძალის სასწორი
თუ არაბობა მხარს გამიმაგრებს, ხალიფა დასცხებს ბერძენთა რიგებს
ლაზთა ქვეყანა ხარკს გადაუხდის. მე გავმეფდები და ისმოიგებს
მინდა ვიცოდე აქ ვინ რას ფიქრობს, თუ გამომყვება ომში გრიგოლი
გამიგონია ქორეპისკოპოსს ცხარე ბრძოლაში არა ყავს ტოლი
ზედ თუ ამირა დაემატება, ჩვენი ძალები ვაერთიანოთ
ერთი მიზნისკენ, ერთად ვიაროთ, ვარგოთ ერთმანეთს და არა ვავნოთ

**ამირა –**

ხალიფა მაჰდი, ალაჰის ძალით, ყველაფერს წვდება, ყველაფერს ხედავს
ინდოეთიდან ისპანიამდე ხმის შებრუნებას ვერავინ ბედავს
მე მან ამირად დამნიშნა მიტომ, საერთო საქმის რომ ვარ ერთგული

იბერიაში მოვკრებ ხარაჯას, ერთგვარად განვსჯი მე–ა თუ წული
გუნდრუკის გზიდან მიტომ ვიარე, მაქორაბაში (მექას რომ ეტყვით)
ვილოცე წრფელად და დავისწავლე, ყურანის სიბრძნის ნასროლი სიტყვით
მე მუჰამედის ნაკვალევს მივყევ, ჭეშმარი რწმენის გავიგე მალა
ლოცვა მწყუროდა იქვე მუდმივად, მაგრამ ცხოვრებამ არ დამაცალა
ბოლოს აქ მოვხვდი ხალიფას ნებით, ამირად ყოფნა მან მომიწონა
მის უკითხავად ნაბიჯს არ წავდგავ, ის ბატონია, მე მისი მონა
ის თუ მიბრძანებს დაგიდგეთ გვერდით, გრიგოლს დავიცავ საკუთარ მკერდით
თუ იტყვის,–არა. ვარ მონდობილი. მონდობილთ გეტყვით: გყვით, შეჩერდით

**თეოდოსი –**

ამირას ნათქვამს ბოლომდე ვხვდებოდა მომავალიც გასაგებია
დღემდე მეგონა აქ წყდება საქმე. ეს თურმე ზღაპრად ანაგებია
ეს იმას ნიშნავს ხვალ თუ არა, ზეგ ბაღდადისაკენ გზას დავადგები
მაგრამ არ მინდა წავიდე ისე, თუ არ დამრჩება ახლოს გამგები
პირველ ყოვლისა, მივმართავ ჩემ ჯიშს, ქორეპისკოპოსს ეს უნდა ვკითხო
ლაზეთს მეფობა რომ დავიმკვიდრო, შენ რასა კარგავ და ან რას ითხოვ
ჩემი ნათქვანი პირდაპირია, ლიხის გადაღმა ჩემი მირია
შენ აქეთ იყო, მე იქით ვიპყრო, ეს შეთანხმება როგორ მვირია?

**ქორეპისკოპოსი –**

ამ ცოხვრებაში მე ბევრი ვცადე, სიბრძნით აღმა სვლა, სიტყვით ანცობა
მძიმეა ჩემგან გამოვლილი გზა, თუ რამე შემრჩა, პირველ კაცობა
კახელი ვარ და პირდაპირ მოვჭრი, არა მჩვევია ქიც–მაცურობა
სიტყვას, რომელსაც წარმოთქვამს ენა, ამტკიცებს ხანჯლის უწმაწურობა
ჩვენ თუ შევთანხმდით, ჩათვალე ჩემგან აღარ გჭირდება მერე ფიცილი
შენც ამას შეგთხოვ, თუ ხო იქნება, არ მოითხოვო ზედმეტი წილი
ჩემი მიზანი ნათელი არი, არც დავუმალავ მტერს და მოყვარეს
მე არ ვენდობი ვინც სადმე მიმტრო, მიღალატეს და სევდა მომგვარეს
ჩამომავლობა მაქვს სანაქებო, არა მჭირდება სიტყვით ლაცლაცი
არჩილმა მამას მისცა კახეთი და დაუმტკიცა მეფური ფიცით
ჩვენ ერთი მირი ფარნავაზიდან მოგვდგავდა, იყო ქვეყნად ცნობილი
ტაო–ში ერთი, ქართში მეორე, ხის ტლორტებივით გადაჭდობილი
გაგეგონება ფარნავაზ მეფეს ვაჟები ჰყავდა ბაგამ, ბაგრატი
კაპადოკია მათ ეკუთვნოდათ, ლამაზი, როგორც უფლის ნახატი

ბაგრატი იყო გმირებშიც გმირი და უფრო მეტის სახმილი სწვავდა
რაც მიაკუთვნეს მამა-პაპანმა, საკუთარ სისხლით ყველას იცავდა
ბაგრატ შვა ქვეყნად გმირი ბივრიტი. ერისთავები ბივრიტიანი
გორგასალს ახლდნენ ოვსებთან ომში და დარჩნენ ერში სახელიანი
ბივრიტის მოდგმა,-ბაგრატიონი, მოდებული ვართ იქით და აქეთ,
ნერსე, სტეფანოზ თუ ადარნერსე, ყველა ჩემია, რომელიც ვაქეთ
ბრმა ადარნერსეს ძმა და ძმის წულნი კახეთს ჩასახლდნენ არჩილის ნებით
წუქეთს სიმაგრე კასრი ააგეს, მამულს უვლიდნენ გრძნობით და გზნებით
მე იმათი ვარ ძირიდან ძირი, რაც მაქვს იმათი მომდევს კაცობა
ვიტყვი? სალ კლდეზე უმაგრესია. არა მჩვევია ტყუილ-ანცობა
გუშინ გაგიცან, დღეს მთხოვ პირობას, აქეთ მპირდები ძმობას, შვილობას
მე აჩქარებით მტერსაც არ ვერჩი და არც ვუჩივი ჭკვა აშლილობას
დღეს შემომფიცო, ხვალ მიღალატო, ხვალეზე ფიქრით დღეს როგორ გაქო
არა ვარ ლაზი შენებრი ცქვიტი, არა ვტრიალებ ვით წრეში მაქო
გულახდით გეტყვი. რაღაცას მალავ, იმით რასაც აქ მიერეკები
ფუჭად გეფიცო, წისქვილი არ ვარ, უსაგნოდ რეკენ სად ერეკები
ჩემი მიზანი ნათელი არი და არ ექნება მცდელობას ბზარი
არ ჩამოეჭრას მაულს თუ დედულს ტყე და გორაკი, მინდორი, ზვარი
მომეც პირობა, მითხარ სიმართლე, აქვე დავმიწდე თუ ვერ გაგიგო
მაგრამ თუ გულში გიდევს ღალატი, შემწევს უნარი-წესი აგიგო
მე ფარნავაზის შთამომავალი, მისი აზრებით დავიარები
მე აღვუდგინო იბერთ დიდება, მოვბანო ძველი ნაიარები

**თეოდოსი –**

წარმომავლობა საიდან მოდის, ვის რა უნახავს, ჩაუდენია
შთამომავლობას განუჩხრეკია, სარწმუნო თუ რამ დაუდგენია
კაცს საამაყოდ მოუჩნევია, ჟამიდან-ჟამზე კიდეც იგონებს
ხდება, მსმენელი აზრს დაუმატებს, ზოგი ვარაუდს გამოიგონებს
ჩემთვის ცხადია. მეფეთა გვარი, უცებ არ ჩნდება, უცებ არ ქრება
აღმაფრენაა, დაბლა დაცემა, კარგის და ცუდის განმეორება
ფარნავაზიანთ საგვარეულო ასეულ წლობით მამულს უძღვება
მიმოფანტულან სხვადასხვა მხარეს, როგორც ფოთლებს შლის ქარი უმღება
გამიგონია ფარნავაზიანთ სეფე-წულები მრავლადა ყვანან
ქართი არი თუ კახეთ, კლარჯეთში მეფობის ნდომით ერთმანეთს გვანან
ამავ დროს მათში არი სხვაობა: თვალი შორსაა-გულიც შორდება

ახალი მიწყივ ახალს წარმოშობს, ძველიც უცვლელად არ მეორდება
ბაგრატის მოდგომა ბაგრატიონობს, მაგრამ იცვალეთ მაინც საწყისი
იმ წინაპრისგან რა დაგრჩენიათ ხმალ-მუზარადი, საწმის-სასმისი?
მხოლოდ მამული არი უცვლელი, რასაც ფიცავდა, იმასვე ფიცავთ
ქართოს-უფლოსით მოყოლებული, ყოველი მიწყივ ამ მიწას იცავთ
თქვენ თუ ასე ხართ მომარტულები, ჩემიც გაიგე, არ გაიკვირო
არაბს კი არა, ქაჯს ვუმეგობრებ, თუ მამულისთვის არი საჭირო
შენ თუ ფარნავაზს იცნობ სათავედ, ქუჯიდან ვითვლი წარმომავლობას
ლაზთა სამეფო ჩვენ ავაშენეთ, არავის ვთხოვდით შუამავლობას
დღეს შენ თუგინდა ჰერეთ-კახეთი ქართს მიუმატო, აერტიანო
ჩემი რაღატომ უნდა გიკვირდეს, რატომ არ მითხრა-შე მადლიანო?
ეგება მიტომ, რომ წათეს მერე მეფეს უწოდეს ერისმთავარი?
იგივ არ მოხდა გორგასლის შემდეგ ? თქვენც ხომ დროება დაგიდგათ მწარი
თქვენ ახლა გინდათ აღდგეს მეფობა და ყველა მისთვის ხმალს ატრიალებს
მოგვარე რაა, ძმას დარ დაინდობს, მისდევს, მიჰყივის და ატრიალებს
მე სხვაგვარ ვქენი. ძმას განვერიდე, არ დამიწყია მისი გინება
მხოლოდ იმიტომ, მამულისათვის ბრძოლის დაწყება რო მარ იქნება.
მე მინდა ლაზეთს აღდგეს მეფობა, ჩემი მამული იყოს ძლიერი
მოვსულვარ, ვცდილობს შეგიკავშირდეთ, ბრძოლით შევცვალოთ ერის იერი

**ამირა –**

ურწმუნოები ბევრი მინახავს, მაგრამ ამგვარი თავქარიანი
არ შემხვედრია, რო ასე სურდეს საკუთარ მამულს მისცეს ზიანი
ჩვენთანაც იყო ტომთა სიმრავლე, ღმერთიც თვითეულს თავისი ყავდა
ზოგი ქვისაგან იყო ნათალი, ზოგი შეკუმშულ ქვიშასა გავდა
და ასე ალბათ გაგრძელდებოდა. მაგრამ ალაჰმა სხვაგვარ ინება
მისი კარნახით ბრძენმა მოძღვარმა, მსოფლიოს სიბრძნე გაითავისა
როგორი ღმერთი, როგორს ჯობია, რომლის შიბრძნე ჯობს, ამის თუ სხვისა
ბოლოს შეკრიბა ჭეშმარიტება, რაც მცდარი იყო, უარყო არ ცნო
ალაჰს მიენდო და მინდობილის სიტყვით უფალმა ყოველი გვამცნო
როგორი უნდა იყოს მორწმუნე, როგორ ილოცოს, სად რა აკეთოს
რომ უდაბნოში, მიუსაფარმა, ცხოვრება თვისი გამოაკეთოს.
ალაჰის ნებით გავერთიანდით, ვძლიეთ ურწმუნოთ, ჭკუა ვასწავლეთ
ვინც ვერ გაიგო და გაჯიუტდა, მისი სახელით კიდევ ვაწამეთ
თქვენშიც ბევრია თავქარიანი, წინ გადაუდგა ძლიერთა ნებას

ველარ მოზომა, ბედუკუღმართად, გადაჰყვა მცდარი კაც-ღმერთის ცნებას
ქრისტეს არ ვიცი რაზე ლოცულობთ, მან რა შემატა თქვენ ძლიერებას
პირიქით. დასცა თქვენი მეფენი. სხვაგან წახდენს მეფეთა წყებას
თუნდაც ის რად ღირს, თავადაც ამბობთ, უწინ იყავით სახელიანი
იბერი არი თუ ლაზი არი, ახლა დადიხართ ორთავ ჭიანი
თქვენ მხოლოდ ითვლით ვინ გყავდათ გმირი, საიდან მოდის თქვენივე გვარი
ჩვენ გვარს არ ვეძებთ, სახელიანი გვჭირდება გვჭირდება ბრძენი და მეომარი

**ქორეპისკოპოსი –**

სულელი რომ ბრძენს მახეს დაუგებს, როგორ მოზომავს, ვერვინ გაუგებს
თვითონ არ იცის, სხვას რას მიხვდება, თავს გაიტანჯავს, წერას აუგებს
ბრძენი თუ ფიქრობს, სულელს ატყუებს, თავიდანვეა მოტყუებული
ქვეყანა სულელს პასუხს არ მოთხოვს, ბრძენი დარჩება მუდამ ვნებული
მე ვინ მასწავლოს რას ნიშნავს რწმენა, რა არი ქვენა, რა არი ზენა
უფლის ამბების ჩხრეკას შევეშვათ, თარის ჰანგებით გავართოთ სმენა.

**ამირა –**

სისუსტე გმალავს და გამირბიხარ, მაშ აღიარე რომ ვარ მართალი
ერთია მიწა, ერთია ზეცა, ერთია ღმერთი და სამართალი
იმ ერთ ზეცაში შვიდი რკალია, შვიდი მნათობის გზა-გასავალი
იმათზე ზევით არი ალაჰი, არ აყავს მამა, შვილი და ქალი
თქვენ ქრისტე სცანით უმაღლეს ღმერთად, მაგრამ იქავე აქციეთ კაცად
მამად უჩინეთ ებრაელთ ღმერთი, ანგელოზებში მავალი ვაცად
თქვენ და სომხები ხომ წაიჩხუბეთ, როცა მამაზე მათ თქვეს უარი
მაშ ღვთის მშობელი რაღად იწამეს ცთუნებისთავი და სატყუარი
უფრო ჭკვიანად თქვენ მოიქეცით, როცა თქვით ქრისტეს ჰყავს დედა-მამა
კაცი იყო და მშობელი ჰყავდა, როგორც შესცოდა, ისე ეწამა
მე ესე ვფიქრობ, ღმერთი ერთია, ანგელოზები გარს ჰყავს მრავალი
ჯიბრაილ მათში უმაღლესია, ალაჰთან მას აქვს გზა გასავალი
მეშვიდე ციდან, წმინდა ყურანი, მან იტვირთა და ჩამოიტანა
წლობით მუჰამედს უკარნახებდა, სიბრძნეს აფრქვევდა და რჩევებს თანა
იქიდან ვიცით, დიდება ალაჰს, ღმერთ,ა ექვს დღეში შექმნა სამყარო
ზეცა გამოჰყო დედამიწისგან, მზე შექმნა, მთვარე-გულგასახარო
ჰაერი, ქარი და ვარსკვლავები, ყველა ცოცხალი, მათი საკვები
მთები, გორები, მდინარეები და იმათ შორის გაშლილი ზღვები

ქვესკნელში შექმნა მან ჯოჯოხეთი, ყველა ურწმუნო იქ იტანჯება
ბატონის ურჩი მონა თუ ცოლი, თავს გაიწამებს და დაისჯება
მორწმუნეთათვის შექმნა სამოთხე, ვინც მის გზას მისდევს, ყველამ იხაროს
ამ ქვეყნად ვინაც ვერ შესვას შერბეთს, იმქვეყნად დარდი გადაიყაროს
მას იქ დახვდება შავთვალა გოგო, რომ სრული ჰქონდეს იქ ნეტარება
ასეთი ბოლო ვისაც მოელის, სიკვდილი რატომ დაეზარება?

**ქორეპისკოპოსი –**

შენსას არ იშლი, ისევ ჯიუტად ტყუილს ამრავლებ, ცუდად ირჯები
ღმერთის აუგი კაცს არ შეშვენის, ცოდვას მოიმკი და დაისჯები
შენ ამბობ ქვეყნად ღმერთი ერთია, როგორც არი მზე და არი მთვარე
სამოთხე ერთი სიამე არი და ჯოჯოხეთი ერთია მწარე
მეც გეთანხმები ღმერთი ერთია, მრავალსახება დააქვს ბუნება
შენაც ხარ ერთი, მაგრამ რამდენჯერ გამოგეცვლება დღეში გუნება
ბევრჯერ მინახავს ცის კაბადონზე მთვარე იყო და მისი სახება
გაორებულად თუ ხედავ საგანს, მათ შორის იგივ დაგეჯახება
ხშირად ერთს ფიქრობ, მეორეს იმკი, სად მოგებაა–საქმე წახდება
შენ როგორ გინდა განსაჯო ღმერთი, რასაც ლოცულობ იგივ მტერია?
ენა მაშინ გაქვს ამოსაღები, შენი გონება თუ მოერია
ყურანს კითხულობ,–აზრი არ გესმის, მირი საიდან ნასესხებია
ბიბლიის ამბავს შენ როგორ განსჯი, მას შენი მზერა არ შეხებია
ვინც წაიკითხა ერთიც, მეორეც იმან იესო მტკიცედ იწამა
აბო წმინდანად ამაღლებული, შენგან მოიკლა, შენგან ეწამა.

**ამირა –**

იმ მაღლთაპირზე ნუ დასმრავ ენას, გაფიცებ მმობას, ვფიცავარ ზენას
ვინც მოღალატეს დაუწყებს ქებას, უნდა ელოდეს ერთგულის რქენას
მან ურჯულოებს აუბა მხარი, დათმო მუჰამედ, დათმო ყურანი
ჯვარზე გაკრულის ღმერთად შერაცხვა, ჩემი აზრისთვის არი ბურანი
ახლა მიამბეს, რომ იოანე მისი წამების აღწერას იწყებს
მასაც წამება მოელის ჩემგან, ამ გაფრთხილებას ნუ დაივიწყებს.

**თეოდოსი –**

ამირას ვუძღვნი მე დიდ მადლობას, ამ მასპინძლობით ვარ კმაყოფილი
რამდენი დღეა ვქეიფობთ, ვღრეობთ, რამდენი ყანწი არი დაცლილი
რამდენი აზრი ტკბილად გავცვალეთ, ჩვენი სხვებისას არ ვანაცვალეთ

ჭია გულისა მრავლად ვახარეთ, ჩვენ დრო ვატარეთ, სხვები ვაწვალეთ
ამიტომ არ მსურს პაქრობაში იქით ან აქეთ დავიდო წვლილი
ყურანი რაა, ბიბლია რაა, არა ვარ ამ მხრივ თვალახელილი
ერთს კი ვიტყოდი და ამ ჩემ ნათქვამს, ნუ ჩამითვლიან მკრეხელობაში
ალი შუბის მეს მე კვერს დავუკრავ, ეს ერთი აზრი დამიჯდა ჭკვაში
ქალი კაცს უნდა ეკუთვნოდესო, ქალი მონაა–კაცი უფალი
რად ვარგა ქალი კაცის წინ მხტომი, ურჩი, ქმარისგან თავისუფალი
ქალი შენია, გარეთ რა უნდა, თუ გეურჩება, უნდა დასაჯო
სხვა მოგეწონა? ისიც შენია, გყავდეს რამდენსაც კაცი გასწვდები
თითოსთან თითო თუ გეყოლება, მრავალი შვილის მამა გახდები
ამ მხრივ ალაჰი არი მოწყალე, კარგად გამყოფებს დღესა თუ ხვალე
მოკვდები? იქაც გელის ლამაზი. ქრისტიანმა კი თავი ახალე
ერთს მოიყვან და გადაეგები, შვილი ეყოლოს იმ წელს ეგები
თუ გაგიჩინა ჰგონიხარ მონა, პატივს დაგდებს თუ ფეხქვეშ ეგები
აბა შეხედეთ აქავ დარბაზში, რამდენი ცეკვავს ჩვენ გასახარად
ამირა მიწყივ ბედნიერია და არც მენახოს იგი სხვა გვარად.

**ამირა –**

ყურანს რომ აქებ, გულს ლხენით მივსებ, სწორ გზას ადგეხარ, ასე იარე
შემდეგ თუ სუნას ღრმად წაიკითხავ, ის დაგიამებს მძიმე იარებს
მუჰამედი რომ ჭკვას დაგარიგებს, გირჩევს როდის და როგორ აკეთო
რომ ღია გქონდეს სამოთხი კარი და ჯოჯოხეთის კარი ჩაკეტო.

**თეოდოსი –**

უკვე გითხარით, ლოცვის საქმეში არა მაქვს ცოდნა, არ ვარ ძლიერი
ეკლესიაში სანთელს ავანთებ, პირჯვარს დავიწერ, ვარ ბედნიერი
ამას ვაკეთებ როგორც მასწავლეს, მაგრამ არ ვიცი ასე რად არი
რატომ ავუგო უფალს სასახლე, რატომ დავკიდო სამრეკლოს ზარი
თქვენ ხართ უხნესი, ორნივე ბრძენი, თუმც შენ ერთს ფიცავ და შენ მეორეს
თუმცა რა არი ისე ნათქვამი. ერთი მეორეს არ იმეორებს?
ორივე ამბობთ ერთია ღმერთი, ზეცისკენ კრძალვით აღაპყრობთ თვალებს
ორივეს ღმერთი არი ზეცაში, იქიდან გვმართავს და გვითვალთვალებს
თუ ის ერთია, მაშინ გამოდის, ის ერთი არი ორივეს ღმერთი
მხოლოდ სახელი არი ორმაგი, ტვინთა ნაღრძობი და შენაერთი
მთავარ ანგელოზს რომ ეძახიან, ერთნაირია ორივეს თვალში

გარშემო ბევრი შემოხვევია, არიან ცაში, ხმელეთზე, წყალში
იმ ერთმა ღმერთმა, ორივეს რწმენით, ექვს დღეში შექმნა მთელი სამყარო
ცოდვილს ქვესკნელში უჩინა ბინა, მორჩილს სამოთხე გულგასახარი
ორივეს მოგცათ მოკლე სიცოცხლე, უკვდავი სული იქ ჩაასახლა
მოკლე სიამე, ხანგრძლივი ტანჯვა და ან პირიქით, ირჩიე ახლა
მხოლოდ ეგ არი, საიქიოდან ჯერ ხომ არავინ დაბრუნებულა
ის სინამდვილე რატომ არ ვიცით, იქ მუდმივ ყოფნა რად აიძულა?
ცოდვას ჩავიდენ და ასე ვიტყვი: სადაც ვარ მინდა, რომ ვიყო კარგა
მე აქ ვეცდები სიამოვნებას, მინდა აქ მქონდეს ბედნიერება
ვინც საიქიოს იმედით არი, ათას საფიქრალს გადაეყრება.

**ამირა –**

სტუმარო, თუმცა ხარ ქრისტიანი, მაგრამ ალაჰთან უფრო ხარ ახლო
თუ ასე ივლი, სიკვდილის მერე, შეძლებ რიდვანას რომ მიეახლო
ნაქირ-მუნქარი როცა აწონის შენ კაცობას და დამსახურებას
მალიკის კლანჭებს აგარიდებენ, არ დაგიწყებენ ტვინ გახურებას
მთავარი არი რომ აღიარო, ჯვარზე გაკრული არა გწამს ღმერთად
ისეო, ბუდა თუ მუჰამედი მოციქულები არიან ერთად
მათ ზევით არი მხოლოდ ალაჰი და ის ყველაფრის შემოქმედია
მას არ სჭირდება სადმე სასახლე, ის არი ღმერთი, არი ყველგანა
მან შექმნა ზეცა, მზე, ვარსკვლავები, ხმელეთი, წყალი, მთელი ქვეყანა
ჩვენ მისგანა გვაქვს, რაც გარშემოა, ის თვითონაა რასაცა ვხედავთ
მაშინ რად უნდა თუნდა სასახლე, სახლში ჩაკეტას როგორ ვუბედავთ.

**თეოდოსი –**

ამირა ალი, რასაც ღაღადებ, ჩემ წარმოდგენას ესალბუნება
ღმერთი ერთია. მშობა, მიმიღებს. ეს ჩემი რწმენით არი ბუნება
თუ ასე არი, მაშინ რად გინდათ ეს მეჩეთები, მინარეთები
ან ჩვენ რად გვინდა ეკლესიები, აწვდილი, როგორც ფრინველის ფრთები.

**ამირა –**

ასეთი კითხვა ცოდვილიანი, ურჯულო ხარ და თანაც ჯეელი
ამიტომ ჩემგან გეპატიება და თან მაქვს რჩევა: თუ არ ხარ ხელი
ასეთი რამე მეორედ არ თქვა, სხვა ვერ გაგიგებს და დაისჯები
დრო გავა, ხანი მოიტანს სიბრძნეს, ყურანს შეიტკბობ, დაჭკვიანდები

წინასწარმეტყველს უსწავლებია: ალაჰი ყველგან, ყველაფერს ხვდება
სახლი რად უნდა, არცა სჭირდება, სადაც ილოცებ ზეცას მისწვდება
მაგრამ ყურანი წმინდა ქმნილება, სად უნდა იყოს დასვენებული
ადამიანმა, ჭკვა გაფანტულმა, სად შეაერთოს სული და გული
ვინ გაგვახსენოს, სად შეგვასწავლოს, როგორი არი ალაჰის ნება
როგორც უნდოდეს, ისე ილოცდეს, მორწმუნეებმა წმინდა ადგილად
ხაჯის ცეცდებით, თუმცა ნამაზი დასაშვებია ყველგან ადვილად
ალაჰი მიწყივ არი მოწყალე, დღეს თუ გაქვებს, ირწმუნებ ხვალე
ყურანთან სუნას გაითავისებ, ახალი რწმენა შეგმატებს ძალებს.

**ქორეპისკოპოსი –**

თეოდოს, მორჩი ასეთ საუბარს. ამირას ოღონდ მიეც საბაბი
სუნაში რაა ყველაზე ბრძნული, რაა შავი ქვა, რაა ქააბი
ასე მეგონა ხარ ქრისტიანი, გწამს ათი მცნება, ჯვარსაც ატარებ
ამ რწმენით გინდა სამშობლოს დაცვა, რწმენისთვის მტერსაც არ გაახარებ
ერთ ხანს ვიფიქრე, ახალგაზრდაა, თან აფხაზეთის არი მთავარი
თუ შევაერთებთ ჩვენ ძლიერებას, იბერ–კოლხეთის გავხდებით ფარი
ისაც ვიფიქრე, ულამაზესი, ძმის ასული მყავს სრულიად ნორჩი
თუ შევაუღლებ, შემდეგ და შემდეგ… შენ ავსულობას ვერაფრით მორჩი
აგრე თუ მოგწონს სარკინოზობა, სწორად გივლია ერთი მხრივ გზობა
აქედან ბაღდადს გასწიე მარდად, სცანი ღალატი, სიძვა, ბოზობა
და რაც მოიგო ასეთი გზებით, ასეთი რწმენით, ასეთი გზნებით
სხვას არასოდეს გაუნაწილო, ნურცა ბრძანებით და ნურცა ნებით.

**თეოდოსი –**

ბატონო გრიგოლ, კახთ ერისთავო, მეუფევ კახთა, ჰერთა, წანართა
ამირა ალის ვინ უერთგულა და მეგობრობის ხიდი გამართა
მე შენ გზას მივდევ, მე შენ კვალ და კვალ ამირა ალის ვემეგობრები
მაინტერესებს, აზრს ვუზიარებ, მაგრამ მონურად რად მოვიხრები.
თუ საჭიროა ბაღდადსაც წავალ, საჭირო არი, ამასაც ვხვდები
რადგან შევატყე, შენსკენ მომავალს, ასე ხელგაშლით რომ არ შემხვდები.

**ქორეპისკოპოსი –**

ასაკის გამო ბევრი არ იცი, ამიტომ ბევრიც გეპატიება
მაგრამ საზღვარი უნდა იცოდე რომ არ დაგჭირდეს ძველის მიება

ალიმ გიწოდა თავქარიანი. რატომ აგიხსნა რა ნიშნავს რასა
გირჩევ, როდესაც თქმას დააპირებ, გულს ნუ ენდობი, მიმართე ჭკვასა
მე მიკიჟინებ რწმენის არ ქონას, მე, ვინც რწმენისთვის ვარ გადაკლული
ვინ რა მასწავლოს, ვინ რა ამიხსნას, ორივე აღქმის ცოდნა მაქვს სრული
იქით ვასწავლი სამღვდელო პირებს, ამ გზით სიარულს ვინაც აპირებს
ქორეპიოსკოპოსს მეტყვიან მიტომ. მე ვსპობ ურწმუნოთ და იმათ მირებს.

**თეოდოსი –**

ფიცი მწამს, მხოლოდ ბოლო მაკვირვებს, აფხაზებს შორის იტყვიან ხშირად
სიცრუე მიწყივ იაფად ფასობს, მოიპოვება სიმართლე ძვირად
თუ როგორც ამბობ და თავს არ იქებ, ახლა ვისთან ვართ ეს მითხრა იქნებ
როცა ერთს ხედავ, მეორე გესმის, გაცრუებული ხელსაც ჩაიქნევ
შე დალოცვილო. ურწმუნოს კოცნი და რწმენისთვის ხარ გადადებული
მაშ აბო თბილელს რაღა ვუწოდოთ, რომელ რწმენისთვის გაუპეს გული.
ეს შარშან მოხდა, სწორედ იმ ჟამად, გუშინ ყვებოდი შენ ამას თავად
ამირას მიეც ბეჭი ბოწკინტად, შეუკავშირდი საომრად მყარად
შენი იმედით, შექებით, მხარით, ერის მთავარი აოტეს მალით
მყარად აუკრეს გუდა-ნაბადი და ამოშანთეს რკინით და რვალით
ურწმუნოს კოცნი, მორწმუნეს დევნი, თქვენში ასეთი რწმენა იციან?
სხვები რწმენისთვის სულს გატანჯავენ, ხორცით ქედფიცხელ
ცეცხლში იწვიან
რომელი ერთი ჩამოგითვალო, ამირა სმენით რომ არ დავღალო
ძმები დავითი და კონსტანტინე, შეგადარო თუ რწმენა გავცვალო?

**ქორეპისკოპოსი –**

შენ გულში ვატყობ შური ტრიალებს და თუ მოგისმენ, გადმოდინდება
აფხაზი კახელს ვერას გაუგებს, მოკვდება ისე ვერ დაღვინდება
იმდენი არი ჩემგან სათქმელი, რომ თუ გავხსენი პირის სარქველი
სასაყვედურო თავს გადაგივათ, შენ ხარ ახალი, შენი ძმა ძველი
როდი უარვყოფ, გორგასლის შემდეგ, ჩვენ დავიყავით სამთავროებად
ერთ ურთის რქენა, შუღლი, წაქცევა, მიგვიჩნევია ნეტარ დროებად
არჩილმა შეძლო ყველას მოთოკვა. არჩილი მიტომ მეფეა დიდი
მაგრამ შვილებმა ვერ უერთგულეს. მამის საქმესთან ჩატეხეს ხიდი
დღეს ჯუანშერი, მისი მემკვიდრე, აღარ გვყავს, რომ კვლავ გვაერთიანოს
სამთავროები მიტომ ჩქარობენ, არავის უნდა დაიგვიანოს
ჩემკენ თითს იშვერ, მე კიდევ თქვენსკენ. დამნაშავე გვყავთ მამა-პაპანი

ლაზთა სამეფო წამოაქციეს, ვერ გაუწიეს უღლის ჭაპანი
დღეს შენ რა შეგრჩა იმ სამეფოდან, რა გაქვს უფალთან დასაფიცები
თქვენ არაბებმა გაგდევნეს იქით, სობღისის ციხე დაგრჩათ საფარი
ქუჯის სულს ფიცავ, გუბაზსაც ფიცავ, მათი სულია მიუსაფარი
დღეს თუ რამეს ფლობთ, ესეც მადლია, მონიჭებული არჩილის ნებით
შენ მომინდომე სამეფოს შექმნა, მალა არ გერჩის, რჩები თავნები
ბერძნების გამო, რომელნიც გუბაზს დიდ აფხაზეთის მეფეს უძახდნენ
შენი პაპანი მტრისგან დევნილნი, მცირე აფხაზეთს მთავრები გახდნენ
ახლა მოგინდა ციხე-გოჯის აქეთ ლიხამდე ყველა აერთიანო
ტრაპეზუნამდე ჩახვიდე ომით, იმ დიდ წინაპრებს რომ დაემგვანო
შენ გავიწყდება. ჯერ ერთი ქუჯი, მეფე არ იყო, ერისთაობდა
ფარნავაზს ემო თავისი ნებით, უფრო მეტობას არა დაობდა
გუბაზი თუმცა კი იყო მეფე, მაგრამ ლიხს იქით სრულად ვერ ფლობდა
იმპერატორის იყო მორჩილი, უმაღლესობას იმისას ცნობდა
ასეთი მეფე აფხაზეთისა, თუ არ ექნება მეფობა სრული
გინა ყოფილა და გინდა არა, მოგონებაა ვადაგასული
შენ სურვილი გაქვს, რომ გამოტოლდე, რაკი მთავარი ყმებმა გიწოდეს
იმას სჯერდები, რაც სალაფავად მხდალმა ბერძნებმა გამოგიწოდეს
მე სხვა ხისგან ვარ გამონათალი. მემორჩილება კახეთ, ჰერეთი
წანარებსაც ვფლობ, ქართიც ჩემია სამონადირო და სამღერეთი
ჯერ გარდაბანი და ბაზალეთი, ხერკი, მუხნარის ველი დავხარკე
ხვალ ქსანს გადავალ, ლიხს მივადგები. ესაა ჩემი მიზნების სარკე
შენთა წინაპართ პირიქით შეძლეს, დათმეს ლაზიკა, ვერ ივაჟკაცეს
სად გაგონილა ვირზე მჯდომარე, აქლემს მჯდომარეს ემახდეს აცეს.

**თეოდოსი –**

რამდენიც ვიცი, ქართებს-კახელებს შუა არაგვი საზღვრად დიოდა
აქედან იქით, იქიდანაქეთ, კაცი სამტროდ არ გადადიოდა
შენ თავს გიღია ქართულ დახარკვა, ალბათ არაბებს გასჯიბრებიხარ
მოყვრად მიდიხარ, მტრულად იქცევა. შეგეკითხები, მისული ვინ ხარ?

**ქორეპისკოპოსი –**

ქართუს ამბავი გინდა იცოდე, აფხაზეთისა ვერ გაგიგია
სხვაგან დაეძებ იმის მაგიერ, რაც კარზე გქონდა და წაგიგია
ვისი ბრალია. ერის მთავარმა აშოტმა ზურგი უჩვენა ქართებს

ერს თუ ულვები, ერისთვის ზრუნვა, მკვდარიც რომ იყო, მაინცა გმართებს
მან მიატოვა დედაქალქი, სად ყოფნა მყარად ღვთისგან ევალა
მოქალაქეთა ყველა წუხილი, წესით, მას შემდეგ სისხლით ევალა
ნარიყალადან ტაშისკარამდე ამირას სარგო მამულებია
იქიდან ზევით მან მიატოვა, რა ვიცი, რატომ მოსმულებია
ასე დიდ ხანს ხომ ვერ გაგრძელდება, წესია, ემასაც უნდა ბატონი
ეკლესიაშიც კატა იყეფებს, თუ არ გამოჩნდა დროით პატრონი
ზენა სოფელი, ობლად შთენილა, არავინა ჩანს მისი ქომაგი
ვალდებული ვარ მივხედო მამულს, წაქცეულ გლეხებს დავდო ამაგი
მე, ფარნავაზის შთამომავალი, წინაპართ ღირსი აღარ ვიქნები
თუ მივატოვე მტერთა საჯიჯგნად. საგინებელი რად შევიქნები?
ჯერ თვალი მიჭრის და მკლავი მომდევს, ჩემი დარტყმული მხოლოდ ავს მოხვდეს
მოყვარემ მუდამ იხაროს ჩემით. ორგული ჩემი დანახვით მოკვდეს
ცოტა შევხურდი. მაგრამ იცოდე, გულს არ ჩაიდო ბოროტი წყენა
ეს ღვინო მუნჯსაც წამოამღერებს, ალისთან მიტომ მიყვარს მოლხენა

**ამირა –**

შენც ნუღარ დალევ. წინასწარმეტყველს, ღვინო იმიტომ აუკრძალია
სუფრასთან მყოფი მაშინ გიქდება, როცა ამტკიცებს,–ცოტა დალია
თუ გინდა კაცი ალაპარაკო, სრულად გაიგო მისი გულისთქმა
ღვინო უზომოდ დაალევინე და მოისმინე მოთქმა და მითქმა
დღეს მეტი მოგდის შენ ჩემო გრიგოლ. ზომაა სიბრძნის მაჩვენებელი
ტრაბახი გიყვარს. შენად მიითვლი, არ მიგიწვდება რაზედაც ხელი
ყურანი აქებს ზომიერებას. ხელგაშლით ფანტვას ის არ ქადაგებს
სიმუნწეც ნაკლად მიუჩნევია. კაცი ცხოვრებას სიბრძნით განაგებს
ამიტომ არი, რომ რამადანი, ის დღე როდესაც წიგნი გვაჩუქა
აღინიშნება მორწმუნეებში, როგორც კი ზეცა შეიკვრის მუქად
და უფრო დიდი დღესასწაული, ვიდრე ალაჰის არი წყალობა
არც შეიძლება რომ ქვეყნად იყოს. ბიბლიამ ვერ ქნას მისი ცალობა
იდალ–ადხა–ზე აღარას ვიტყვი, თქვენში ეტყვიან ყურბან–ბაირამს
სხვაგან სად ნახო ღმერთის მორწმუნე, რომელიც საკლავს ამგვარად წირავს
აბა მისმინე, რასაც მოვყვები, თუ არ გეჩვენოს ღმერთის ნიშანი
მერე სხვაზე არ გადაიტანო, სხვაგვარად იყო არ თქვა, ვიცანი
მე არაბების წინაპარს ვამბობ, ვაქებ იბრაგიმს და იმის სიბრძნეს
შთამომავლობა ვის თაყვანსა სცემს, ანგელოზებმა იცნეს და იგრძნეს

იბრაჰიმს ჰყავდა ვაჟი ისმაილ. მამის გულს მისი ხილვა ატკბობდა
შვილი ალაჰთან მამას ფიცავდა, სათქმელს და საქნელს იმას ანდობდა
ზეშთაგონება ჰქონდა იბრაჰიმს. ალაჰისათვის შესაწირავად
შვილი დაეკლა და თან ამასთან, ამ დანაპირებს შეასრულებდა
მისი სურვილის მორჩილი იყო, საკუთარ თავსაც იქვე დასდებდა
დანის დარტყმის დროს, ზეციურ ძალით, შვილის მაგიერ დაიკლა ცხვარი
ალაჰი მუდამ სიტკბოთი უცვლის, ნამდვილ მორწმუნეს თუ ელის მწარი
ჩვენ ისმაილის ვართ ნაშიერნი, ტანით ძლიერნი, თვალთ მშვენიერნი
ყოველ წელს ალაჰს ზვარაკსა ვწირავთ, ვართ მოთაყვანე და მადლიერნი
ზვარაკის გარდა, სუფრა გვაქვს დიდი, არი სიმღერა, ცეკვა, სეირი
ზოგი ფულს სწირავს. ალაჰისათვის ორივ საამო არი სეირი
ამ ნამდვილ ამბავს, ალაჰის ნებას, ყველა მორწმუნე ლოცვითა ხვდება
ზოგმა მირ წვრილად იცის ყოველი, ზოგი თქვენსავით გვიან მიხვდება.

**ქორეპისკოპოსი –**

ეხ ალი, ალი. დაგიდგეს თვალი. ვინა გგონია ჭკუით საწყალი
გამოდის სუსტი მტყუანი არი, ძლიერი მუდამ არი მართალი
რასაც შენ ყვები, შენად მიიჩნევ, რაღაცას იმენ, ორმაგად ჰყიდი
კვერი დაგიკრა, ჩემი არ გითხრა, ხომ არ გგონივარ სუსტი და ფლიდი
რამდენჯერ მითქვამს, ეს მოვლინება ჩვენ ბიბლიაში არი ნათქვამი
ყურანზე ადრე, ქრისტეზე ადრე, რამდენი წელი არ მაქვს ნაჯამი
შენ გინდა ახლა, ის რაც ყოფილა, ყველა შენ უფალს რომ მიაწერო
მე თუ შევთვერი, შენ რად გერევა, იცინე ერო და გასკდი მტერო.

**ამირა –**

მე ხომ გირჩიე აღარ დალიო, ეშმაკის ძალას ნუ ეტანები
თავქარიანი გიწოდე ადრე, შენ მაინც მისდევ და ემონები
აბა მიყურე. ისე ვიქცევი ყურანთან ვიყო მუდამ მართალი
და თან მოვწყდე სიამოვნებას, რომ არ დამევსოს სიხარბით თვალი
უყურე კარგად, თუ იცი საქმე, კიდეც მოუვლი და მოაგვარებ
ჩასაფრებული თუ გყავს მოენე, საბაბს არ მისცემ, არ გაახარებ
წინასწარმეტყველს, როცა კრძალავდა ღვინის დალევას და დათრობას
არსად უთქვია ღვინო წითელი, იმის კაცისთვის დამალებასა
ამიტომ, თუ გსურს დარჩე მორწმუნე და თან მიიღო სიამოვნება
შავი ღვინო სვი დიდად სავარგი და დღე სამოთხეს დაემგვანება

იგ ივე ვიტყვი: აკრძალულია? ის გინდა მაგრამ არ შეიძლება?
მთავარი არი მოგდევდეს ჭკუა და ქონებრივი გქონდეს შეძლება.
აბა უყურე. ჩემზე არ ვამბობ. ჩემი ისედაც გასაგებია
რათა ურჯულოთ ვასწავლო სესი, რა და როგორი მისაღებია
ზოგჯერ მეც მიწევს ცოდვის ჩადენა: ეს არ იქნება და უნდა ვჭამო
დროებით ვარღვევ, რათა ურჯულოთ უკეთ გაიგონ ჩვენი ჩვევები
მერე ვილოცებ, ცოდვას მოვიხსნი, არ დამჭირდება ფიქრთ სახვევები
ჩემზე კი არა, მე თქვენი რჯულის სხვა კაცი მყავდა მხედველობაში
რაც არაბისთვის სასახელოა, ქრისტიანს აგდებს გაჭირვებაში
აშოტზე ვამბობ, ერისმთავარზე. ბედნიერება მომდგარი კარზე
ვერ შეიშნოა, სხვას დაუჯერა და სასაცილოდ გამოსვეს ფარზე
როცა აქედან კლარჯეთს გაიქცა, თქვენ როგორ ფიქრობთ, ვისი ბრალია
უბედურების ყველა სათავე ქრისტიანებში მუდამ ქალია
ვიცი არ გჯერათ, მე ჩემსას ვამბობ, ხართ საცოდავი ქრისტიანები
მამა გიბრძანებს, კოჭლსაც მოიყვან და დაგეთხრება სხვაგან თვალები
ალაჰის ნებით მე მყავს იმდენი, ზოგჯერ ვაჩუქებ, ზოგ სად გავყიდი
ქალი ძვირფასი საქონელია, ახალი ხილი და ძველი ხიდი
აშოტი ომში არ შემხვედრია, ვერ ვიტყვი დედლობს თუ არი ვაცი
შორი განჯისას მტერი მხდალია, ახლოდან მხდალიც ხდება მამაცი
მე ასე ვფიქრობ, ის ქალის გამო არი კლარჯეთში გადახვეწილი
მტრების გმირულად დამმარცხებელი, ქალისგან არი ფარდალეწილი.

**ქორეპისკოპოსი –**

აშოტი ჩემი ნათესავია, ის ქართის შტოა, მე კახეთისა
მამულის გამო ომია ჩვენში. დრო აღარ გვრჩება თავის ხეთქვისა
ახლა თუ ზენა სოფელს წავგლეჯავ. ოჰო, რა მაგრა ვადარდიანებ
დღეს ჩემი დღეა, უნდა დავასწრო, ხვალამდე რატომ დავაგვიანებ
მაგრამ მანამდე მსურს მოვულხინო, ჩემ თავს ამისთვის სად ვაწყენინო
ამდენ სიმღერას და ქალთა როკვას, მსურს ავაყოლო კახური ღვინო.

**ამირა –**

გრიგოლი უფალს ყავს მიღებული. მაგის ლაპარაკს არ უგდო ყური
მხევლებში ვინც გსურს გამოარჩიე, არა სჭირდება ამას ხმაური
უკვე ვაცნობე ხალიფას შენზე და ნუ შემოვდებთ ამ საქმეს სხვენზე
დღეს მოვილხინოთ, ხვალ გზას გიჩვენებ და გაგაცილებ ცხენის სარბენზე

თუ ხალიფამ თქვა თავის თანხმობა, გაგვიმტკიცდება საბრძოლო ძმობა
არ დაგვჭირდება დიდი პატიჟი, შუბის სესხება, საომტად ხმობა
ხედავ გრიგოლი უკვე მზადა, მოუთმენლობა გამოეცხადა
ვნახავ, თუ კი ღირს ეგ ჩიტი ბრდღვნადა, მისი სურვილი იქცევა ცდადა.

**/ დარბაზში მხიარულება გრძელდება / .**

**788წ. ტაო–კლარჯეთი. მერე–ს ქალთა მონასტერი**

**წინამძღვარი ფებრონი –**

მამაო გრიგოლ. დიაცი სიძვის, სასახლიდან რომ აქ მოიყვანე
ისეთ კელიას მივეცი ბინა და დარიგება თან გავატანე
ვერ მიაგნებენ. თვითონ ვერ შეძლებს, კუროს ჩივილის ხმა მიაწვდინოს
სხვა გზა არა აქვს, ხორცს გაიტანჯავს, რომ მისი სული მოხვდეს სალხინოს

**გრიგოლ ხანძთელი –**

დაო ფებრონი. ჩვენ ვზრუნავთ სულზე. იესოს ნებით გადავარჩინოთ
ვიცი ხელმწიფე ამოაკითხავს. დავმალოთ და არ გამოვაჩინო
მისი ვალია ერს უპატრონოს. არას შემატებს სიძვის აყოლა
მრუშობა მოვსპოთ ჩვენი ვალია. კაცს დედაკაცის თავსა სდის ყოლა
სასახლეში ყავს კანონიერი. არი მეუღლე ღვთით კურთხეული
მისი ღალატი თუ ჩაიფიქრა, კუდიანისგან არი ძლეული.

**წინამძღვარი ფებრონი –**

ქრისტესმიერ ძმას სიტყვას გიჯერებ. ხელმწიფე მაგ ქალს თვალით ვერ ნახავს
რაც იყო იმას ამოვშლით შანთით. მოგონებებსაც ვერ შეინახავს
მაგრამ რა ვუყო. მეფის ასული, აქ ამოსული სალოცავადა
შეესწრო სიძვის მოთქმას და ტირილს და მოუფონა სიტყვით თავადა
გაგვიჯიუტდა, ქალს უკან ითხოვს. ერთიც, მეორეც თავხედები
ამბობს უმისოდ არ დაბრუნდება. რად მემუქრება ესეც არ ვიცი
ანჩხლს თუ სიანჩხლეს არ ჩაუკალი, დამშვიდებულზე ვერ გაჭრის ფიცი
რით ვერ მოთოკეს თავნება გოგო. ნეტავი მალე გათხოვდებოდეს
აქეზებს მრევლს და მონასტრის მორჩილთ. მისი სურვილი რომ ახდებოდეს
აღარ იქნება სოფლად მლოცველი. ბოროტი სული წალეკავს ყველას
ღმერთო შეჰყარე მასავით გიჟი. ჩვენ ასე შევძლებთ მორწმუნეთ შველას
მამაო გრიგოლ, იქნებ ურჩიო. ხელმწიფეს შენი სიტყვისა სჯერა

ჩვენ მოგვაშორონ, თავლას დააბან, უნახონ ვინმე თავისი ფერა.

**გრიგოლ ხანძთელი –**

დაო ფებრონი. მე მჯერა შენი და თან ნათქვამზე გამეცინება
მეფის ასულის საქმროს მოძებნა, ღვთის მსახურების არ არი ნება
მე ერთს გირჩევდი: ეცი პატივი, მაგრამ ეცადე ჭკვას ნუ აუოლებ
ხდება, კენჭისთვის დაიღუნები, იქით საკმკაულს გადააყოლებ
ეგ გოგო ჩვენი სამკაულია. მისით გებულობს მრავალი ცოდვას
დაუკვირდები, გაგიკვირდება, სოფელი ბრძენსაც მიაწვდის ცოდნას.

**წინამძღვარი ფებრონი –**

არ ვიცი. იქნებ ეგრე სჯობია, მაგრამ არა აქვს ბოლო წამებას
დავდივარ მუდმივ დამძიმებული, ვერ ვასწრებ თვალის დახამხამებას
რაღაცა ოინს გამოიგონებს. თავად იცინის, მხიარულია
ღამე მონაზვნებს მილს არ ანებებს, სულივით ჩუმად მოარულია
თუმცა ხელსაქმე იცის უზადოდ, ბერძნულს, არაბულს მიერეკება
ღმერთო შეგცოდე, სიკეთის ზარი სულელისათვის რად ირეკება
დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ გამანდეს ჩუმად ამბავი
მე შარშანდელზე გაგახსენებლი: სავარსამიძემ გადადო თავი
იწვალა, მაგრამ მოღალატენი, აფხაზეთიდან გამოქცეული
დაბორკა, მეფეს ტყვედ მიუყვანა, სიკვდილს ელოდა იქ თვითეული
მაგრამ იმ ღამეს გაქცევა შეძლეს, ნაკეტი გახსნეს, ციხე გატეხეს
მცველები რაღაც ბანგმა შეიპყრო, განგაში მალზე გვიან ატეხა.
ამბობენ მაშინ მეფის ასულმა მცველებს ღვინო რამ დაალევინა
დაამინა და შუბი, ხანჯლები, მიძინებულებს დააურევინა
კარები გასნა, ოთხივე აფხაზეს, ცხენები მისცა და გზა უჩვენა
მის ღალატს ცხადად ვერ დავამტკიცებ, უსაფუძვლოსაც არ იტყვის ენა
ეს კი არ მესმის, მამა რად არ სჯის, მისვებული ჰყავს თავის ნებაზე
სხვებს კი არ მოსწონთ, ვერას ამბობენ, მის მოქცევაზე და შეგნებაზე.

**/შემოდისმონაზონი/.**

**მონაზონი –**

დედაო წმინდა. კურაპალატი მათხარით ურეტავს მონასტრის კარებს
ითხოვს გავუღოთ და იმუქრება, ვინც გზას მოუჭრის არ გაახარებს.

გრიგოლ ხანძთელი –

რასაც შიშობდით, ხედავ აგიხდა. ფიქრი არ არი, ვერ გადაგვმალავს
წადი, გაუღე, უთხარი ველი. მე გამიმჟღავნებს რასაცა მალავს
თან დაამატე, რომ ვარ მრისხანი, წინასწარ ვიცი მისი მიზანი
წყენა დაიცხროს, ლოცვას იტყოდეს და სიამაყეს უტიოს განი
აქ მე ვილოცებ მისი სულისთვის. ხელმწიფე არი და ვერ გავწირავ
დედოფლისათვის ერთად ვილოცებთ, მის სადიდებლად ვგალობ და ვწირავ.

/ფებრონია და მონაზონი გადიან. შემოდის აშოტ კურაპალატი/.

აშოტ კურაპალატი—

ნეტარ მას კაცსა, ვინაც არღარა ცოცხალი არი ამ მიწის ზედა
წუთისოფელის ყველა სიავე უფალის მონას რად დამებედა
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია, სული ჩამიდგა, ვინაც დამბადა
სული ჩამიდგა, ფეხი ავიდგი, იმას ვხედავი, რაიც მებადა
რაც სხვას ებადა, იმაზე მეტი ჩემთვის საამოდ არა მქონია
რაც თავს დამატყდა და რაც ვიწვნიე, ჩემგან და ჩემთვის მონაქონია
უფალო ღმერთო. თუ სხვა არჩინე, რატომ საავდროდ გამომაჩინე
რაც მქონდა დავთმე დასათმობელი, დაუთმობელიც არ შემარჩინე
ჩემთვის ერთს გთხოვდი, ისიც დავკარგე, ჩანს ცხოვრებაში რომ არ ვივარგე
სად სიყვარულით უნდა მემღერა, სისხლის ცრემლებით უხვად მოვქარგე
ახლა რაღაა ჩემი სიცოცხლე, ვინაც არაა ისიც მჯობია
ზეცა დაბნელდა. ერთი სიავე, სხვა სიავეზე ანაწყობია
უფალმა მოგვცა ქვეყნის სიტურფე, კაცის საამოდ და გასახარად
მხოლოდ მე ერთი დავრჩი მაშვრალი და უბედობას მივყვები მეარად
ბევრი ვითმინე მოუთმენელო, არვინ გამოჩნდა ტანჯულის მწედა
ნეტარ მას კაცსა, ვინაც არღარა, ცოცხალი არი ამ მიწის ზედა.

გრიგოლ ხანძთელი –

ნუ იტყვი ცოდვას ცოდვილიანო, ნუ მიეცემი უკეთურეობას
ღვთისგან შობილი, მას უნდა სდევდეს, არ ესწრაფოდეს მაცთურის ცნობას
შენ იესოსგან ხარ ხელდებული, მან მოგცა ძალა და ხელმწიფება
შენი იმედით არი ყმა გლეხი, მსახურეული თუ დიდებული
შენ თუ იმარჯვე, იმათ იმარჯვეს, შენ თუ შეცდები, მოუკალ გული

მეფეს ვინ მისცა იმის უფლება, როგორც ეწადოს, ისე ვიდოდეს
შენ სად გინახავს წყარო მდინარი, მაღალ მწვერვალზე გადადიოდეს
ჯვარს მიტომ ეცვა უფალი ჩვენი, მორწმუნეთ ერგოთ ხვედრი საწყენი
რომ მაგალითი ეჩვენებინა, მეფეა ერის სამსხვერპლო მღვენი
შენ ფიცი დადე ერის წინაშე, ყოველცისმარე ქრისტეს ფიცავდი
რატომ იწერდი ბეჯითად პირჯვარს თუ უფლის რჩევას არ დაიცავდი
ერს რა მიეცი სამაგალითო, შენი მრუშობით, დიაცის ხვევნით
მეფეს ბაძავენ. შენ რომ მოგბაძონ, გადირევიან ქალების დევნით.

**აშოტ კურაპალატი –**

შენ ჩემო თაო. მეფედ გსახავენ და დაცემულხარ მონაზე დაბლა
ვემორჩილების ხუცის მქუარას. თავს დამტყდომის ელვა და დამბლა
შენ ჩემო თაო. რად გინდა ტაო, გუგართა მხარე, ჯავახეთ–ქარი
თუ საკუთარ თავს ვერ მოვერიე, თუ ხუცესს ქალი ვეღარ წავართვი
თავს მძლავრად ვთვლიდი, ვაერთიანე, იმიერ ტაო, სამცხე შავშეთი
ჩემთვის საერთოდ არ მიცხოვრია, მტრები სისხლს მწოვდნენ წვეთი და წვეთი
თბილისი დავთმე სადაც ვიზარდე და გორგასალის ტახტი მებარა
შინაგან შუღს და აგრეშე მომხდურთ ვერ აღვუდექი მე წინ ვეღარა
აქეთ ვილტვდი არა იმიტომ ქალა დევნაში გავლიე დღენი
იქიდან ქეთ ვერ შევძელ ისე, აქედან იქით რომ გარდავქმენი
თუ რამ შემომრჩა ერის სამსახვერპლოდ ბოლო წვეთამდე მიმტანია
მხოლოდ ერთს ვთხოვდი სამაგიეროდ, ვიტანჯებოდი დიდი ხანია
შენ ცოდვად მითვლი, წმინდა მოძღვარო, სიყვარულისთვის თუ მიძგერს გული
მაშ სიმულვილით რომ ვუოფილიყავ, ღმერთთან ვიქნები აღმატებული?

**გრიგოლ ხანძთელი –**

ჰოი შენ საწუმსოვ საწყალობელო, ხიფათ ქმნილი ხარ შენი ერისა
უფალმა მოგცა მრავალი შვილი, შექმნა ამინდი სამღერელისა
შენ ღმერთს შეჰფიცე, რომ იქნებოდა შენთან სიკვდიმდე შენი მეცხედრე
პირი უშალე, სიძვას მიეცი, ზეცა და მიწა რად აიმხედრე?

**აშოტ კურაპალატი –**

წმინდა მამაო, თუ რამეს ვფარავ, თუ რამე სანდოდ არ მიმაჩნია
ზურგს უკან რომ ვთქვა, პირში არ გითხრა, ურწმუნეობამ ხომ დამჩენია
უფალს შევცოდავ, გულ ახდით გეტყვი, შენ ღვთის კაცი ხარ, მე კი ერისა:
თუ დაიბადა ამ ქვეყნად კაცი და სიყვარული ერთხელ ეღირსა

რაც უნდა იყოს მანამდე ქმნილი, რატომ დამალოს, რას ანაცვალოს
ერთხელ გაჩნდება, ერთხელ იმღერებს, ის ერთი გული რატომ აწვალოს?

**გრიგოლ ხანძთელი –**

ვახტანგის შემდეგ დიდი ხელმწიფე ამ ფართე მიწებს არ ღირსებია
ერზე არ ვიტყვი, ერის წყურვილი სიდიადეზე აღუვსებია
მე მიმაჩნიხარ მძლავრად და მყარად, საწყალს უდგეხარ გულ აგ სახარად
შენც თუ გულს აჰყევ და დაუძლურდი, მოგვემალება გარეშე ღვარად.

**აშოტ კურაპალატი–**

არა ვით მეფე, ხელმწიფე დიდი, როგორც უბრალო მუშაკი მშვიდი
როგორც ნათესავს შეგეკითხებიდა ნუ იქნება პასუი ფლიდი
მე ღმერთს შევცოდე იმით, რომ ქალი რომელიც მისგან გაჩენილია
შევიყვარე და გვერდით დავისვი, წყვილობაც ღვთისგან დადგენილია
ვთქვათ ცოლი მიყვარს და ცოლის გარდა, უცხო ასული შემყავრებია
უმისოდ ყოფას არა აქვს მადლი, სადაც ვლი გულით მიტარებია
ეს არი ცოდვა შენ მეუბნები, სულ ამირიე მომავლის გზები
შენ რომ არავინ არ გყვარებია, არ დაგიკოცნავს ვნებით და გზნებით.
წმინდანად რატომ უნდა იწოდო, რატომ არა ხარ ცოდვილიანი
ვიცი ბევრ ლამაზს შეჰყვარებიხარ, ბევრს თვალი ჰქონდა შენგნით წულიანი
შენ თუ არავის არ უპასუხე, არ გაუხსენი გულის კარები
ცოდვილიანი როგორ არა ხარ, ხარ ქალისათვის მიუკარები
მე ასე ვცოდავ, შენ ისე ცოდავ, ვინ მეტი არი ცოდვილიანი
მე თავს ვიხარებ, სხვასაც ვახარებ, შენ ყველას ერთად მიეც ზიანი.

**გრიგოლ ხანძთელი –**

კაცი არ უნდა იყოს ცუნდრუკი, ერთს აკეთებდეს და სხვას ფიცავდეს
რად ვარგა სიტყვა ღალატიანი, კეთილს ართმევდეს, ბოროტს იცავდეს.
შენ გინდა ჩემი აზრი გაიგო, სიტყვაზე სიტყვის კოშკი აიგო
წასაგებელი მე მომიწონო, მოსაგებელი თავად გაიგო
ნათესაობა რომ შემახსენე. შენ როგორ ფიქრობ თავად არ ვიცი?
სწორედ ამიტომ გადავდე თავი, არ დამიწყია ბევრი ლაციცი
შატბერდს ვიყავი როცა შევიტყვე, შორ გზაზე იყავ კლარჯეთიდანა
მსწრაფლ მივასურე შენსა სასახლეს, ჭამადი ვთხოვე, კოვზი და დანა
შემდეგ მოვუხმე შენ მაცთუნებელს, ხამლთა საბელი სარტყელად მივეცი
მერეს დედათა მონასტერს მოველ, მომდევდა როგორც დაბმული მხეცი

და ფებრონია, წმინდა ქალწული, გამოვიხმე და მკაცრად ვუთხარი
თუ მეფე მოვა, სიძვას მოითხოვს, ჩემსკენ უცვალე საავდრო მხარი
ახლა ჩემთან ხარ, ვარ ნათესავი, როგორ მოიქცე გინდა იცოდე
ხან დამემუქრე, ხან დამიყვავე, საშველად ხელი გამომიწოდე
მე კარგად ვუწი ნათესაობა. წლოვანებითაც არ ხარ ხნიერი
გამიგებ რასაც გონებით გეტყვი, ბოლოს დარჩები სვებედნიერი
მე ბავშვობიდან შევფიცე უფალს და ჩემი ფიცის დავრჩი ერთგული
სიტყვა თუ დაგცდა, უნდა მისდიო, არ გაუჩინო კაცობის წყლული
მე შენი მესმის, ხარ ერის კაცი, ასეც აკეთებ, ისეც ტრიალებ
თუ საჭიროა სხვისსას მოითმენ, ზოგჯერ ზვავით დაგრიალებ
ამიტომ შენთვის ადვილი არი, ერთი მეორით სწრაფად შეცვალო
დღეს გადაყარო, ხვალ მოიხვეჭო, სიცოცხლე დათმო, ერს ანაცვალო
მიწიერია შენი ფიქრები, ზეციერს მიტომ უცებ ვერ ხვდები
მე თავიდანვე ზეციერ ვენდე, იმას მივყვები, იმისთვის ვკვდები
თუ იესომ თქვა, იყავი სუფთა, ეცადე მისი რჩევით იარო
ვნება ჩააცხრო, შენი გრძნობები ღვთისაგან კურთხეულს გაუზიარო
შე დალოცვილო, ეგრე სად არი, ყველა ლამაზი შენ შეიყვარო
იმათ დევნაში გალიო დღენი, რომ გულის ჯავრი გადაიყარო
გყავს დედაკაცი, ვისთან უღელი, რამდენი წელი გიტარებია
რამდენი სითბო უჩუქებია, მოფერება არ დაზარებია
ახლა შენ მეტყვი დამიბერდაო. ის თუ ბერდება, შენ ჯეელდები?
მომავალი გაქვს, მომავალს სდიე. სიძვა დაგღუპავს ნუთუ ვერ ხვდები.

**ამოტ კურაპალატი –**

შენ გინდა მითხრა, უფალს ისა სურს, უშვილ–ძირო  იარებოდე
ქალს არ შეხედო, გვერდით არ გყავდეს, ქალური ეშხით არა თვრებოდე
თვითონ იესო ქალსაც სტუმრობდა, სიძვას ნახავდა ეცოდებოდა
სხვას დაუშლიდა, თვითონ რაც სურდა, არა მგონია ასე ცდებოდა
და ამას გარდა, წარმოიდგინე ყველამ ინდომოს წმინდანად ყოფა
აღარ იქნება სიმრავლე ბავშვთა, ერი ერს როგორ გამოეყოფა
ერთი წმინდანი არ წმინდანი. თუ წმინდანობას ისურვებს ყველა
მაშინ წმინდანი აღარ იქნება. ვინ მოინდომოს იმათი შველა?
ამიტომ ვფიქრობ ეგ საყვედური, სასახლეს მისვლა, ქალის წაყვანა
დიდი ცოდვაა წმინდანის მხრიდანდა შეგაჩვენებს მთელი ქვეყანა.

**/შემოდისბერი/.**

**ბერი–**

წმინდა მამაო, გთხოვ მომიტევო და თავხედობად ნუ ჩამეთვლება
დედა ფებრონიმ თანხმობა მომცა და დაყოვნებაც აღარ ეგება
სავარსამიძე მონასტრის კართან დგას და შემოსვლას გვემუდარება
ხელმწიფის ნახვა უნდა სასწრაფოდ, ხელმწიფეს თუ არ დაეზარება
მხლებლები ირგვლივ შემოხვევიაბ, მაგრამ სიტყვა ვერ დააძვრევინეს
ამაყ ერისთავს რა აქვს სათქმელი, რით აალელვეს ან აწუხენინეს
მხოლოდ ჩემ ბატონს მოვახსენებო, მხოლოდ ესა თქვა, დამუჭა პირი
რაც დამაბარეს, ის მოგახსენე, ახლა მომებნე საქმის ნაპირი.

**გრიგოლ ხანძთელი –**

გეუბნებოდი შენ შვილო ჩემო, ხელმწიფეს არ აქვს იმის უფლება
იქით გასწიოს და დრო ატაროს, საითაც ვნება დაეუფლება
მაშ ერისკაცმა ვილას მიმართოს, რომ ერის საქმე კარგად გამართოს
ხელმწიფე უნდა მიწყივ ზრუნავდეს, რომ ქვეშევრდომი კეთილად მართოს
მე გაგეცლები. ან აქ მოვიდეს ან თავად გადი ნუ ალოდინებ
თუ კი სასწრაფო ჰქონია სიტყვა, აქ შემოჭრისთვის ნუ აწუხენინებ

**აშოტ კურაპალატი –**

წმინდა მამაო, ბატონო გრიგოლ, შენ სიბრძნეს იცი ვეთაყვანები
აქ დარჩი ჩემთან, ერთად ვისმინოთ, რისთვის მოსულა კაცი თავნები
სავარსამიძე ჩემი ერთგული, ტყუილად რომ არ გაირჯებოდა
ისეც ცხადია. უთხარ მოვიდეს. ვნახოთ ჩვენს იქით რა მოხდებოდა

*/ბერი გადის. შემოდის სავარსამიძე/ .*

**სავარსამიძე –**

უფალო გრიგოლ, შენც აქ ყოფილხარ. მე ხელმწიფისთვის მქონდა სათქმელი
აქ სალოცავად არ ამოვსულვარ, არც ამინთია აქ დღეს სანთელი
უნდა მომეთხრო რაც თავს გადამხდა, რის გამოც მოველ გამგელებული
ვატყობ უდროოდ. თქვენ სხვასა ბჭობდით. მოვიცდი თუმცა ვერ ითმენს გული.

**აშორ კურაპალატი–**

შენ აჩქარება არა გჩვევია. არც მოხვიდოდი რომ არ ჩქარობდე
რაღაც შეგემთხვა წრე გადასული. არა მგონია ამით ხარობდე.

**სავარსამიძე–**

ჩემო ხელმწიფევ, მამაო გრიგოლ დღეს უჩვეულო დღე გამითენდა
ვეღარ ჩავიდე გული საგულეს. უფალს მადლს ვწირავ–დიდება შენდა
გახსოვთ, გასულ წელს, რომ არ ველოდი ტყვედ ავიყვანე აფხაზთ მთავარი
ერისთავების ვაჟებიც ახლდნენ, ერთსაც არ ჰქონდა უჯიშო გვარი
კოშკში ჩავკეტე, გამოვიკითხე, მეგზურად ჰყავდათ არაბთ მსტოვარი
წიგნი ვუნახე, წვრილად ეწერა, საით მიდიან, რა როგორ არი
მაშინ გავიგე, რომ თეოდოსი, ძმა აფხაზეთის დიდი მთავრისა
შემოსწყრომია ძმას და მეუფეს, გადუტანია დღე სიმწარისა
ღალატის გზაზე შემდგარან ერთად ის და უმცროსი ერსთავები
გამოქცევიან ლეონ მეუფეს, რომ შერჩენოდათ მხრებზე თავები
არაბთ ამირას სტუმრობდნენ ერთ ხანს დამისი რჩევით ბაღდადს ვიდოდნენ
არაბი ახლდათ სანდო მეგზურად და რომ იფიქრე ფონს გადიოდნენ
გადავეყარე. ბოლოს მოგვარე, დაბორკილებმა გაქცევა შემლეს
აქედან ბაღდადს ჩავიდნენ თურმე, ხალიფას კარზე ყოველი შემრეს
ხალიფამ რა თქვა ან რას შეჰპირდა, არავინ იცის, არც გამიგია
მათი არსებაც დამვიწყებია, ფიქრის ნაბადიც არ დამიგია
დღეს კი. დღეს ჩემო დიდო ბატონო, საღ–სალამათნი გამომეცხადნენ
შორი მგზავრობით დაჯაფულები,თავისი ბედით კმაყოფილს გავდნენ
თვითონ მომძებნეს. ალბათ ამიტომ დანახვა სულ არ შეშინებიათ
ქცევაც ისე აქვთ, თითქო სამშობლო თავის ღალატით უშენებიათ
მომიკითხეს და ბოლოს მომთხოვეს, ხელმწიფევ შენთან წამოვყოლოდი
თავი ვიმტვრიე, ვერაფერს მივხვდი, მოვყევ, მოვიხსენ გულიდან ლოდი.

**აშოტ კურაპალატი–**

ამბობ თეოდოს აფხაზთ მთავარი, მასთან სამივე მისი მხლებელი
ჩემი ციხიდან გაქცეულები, ჩემი სიმშვიდის შემწუხებლები
კარზე მოგადგნენ როგორც მეგობარს, არ შეგიშინდნენ როგორც მეომარს
აქეთ წამოსვლა ჰქონიათ მიზნად, ჰგვანან ახლობელს, საქმეში მომხმარს
მაშინ ასე ვქნათ: თუმც მეძნელება, ესაა ჩემი მეფური ნება
თქვენ აქ განაგრძეთ საქმეზე ბჭობა, მოვალ როდესაც მეცოდებიან
რატომ მოსულან, რაა მიზეზი, მამულში რატომ გვივარდებიან
ჩვენი შეცდენა განუზრახიათ, თუ მეგობრობას დაგვპირდებიან

/გადის/.

**გრიგოლ ხანძთელი –**

შენ ერისთაო ხანძთას დადიხარ, მშენებლობასაც ბევრი შეწირე
შატბერდს ვაშენებთ, შატბერდისათვის შეწირულობა გაიღე მცირე
არ დაგავიწყდეს ეს სანახები კაცთაგან იყო მიტოვებული
მხოლოდ ბერები ვირწოდით დღე-ღამ, თავები გვქონდა გადადებული
ხომ არა ფიქრობ ეკლესიები ქრისტეს ზეცას მყოფს სახლად სჭირდება
ავდარი არი თუ მზე აცხუნებს, თავს შეაფარებს თუ გაჭირდება
ცდები როდესაც ციხეს ამაგრებ, ტაძარი გრჩება მიუსაფარი
ღმერთი კაცებში ნუ აგერევა, ქმებო შენგან რა აქვს საჭარი
ტაძარი უფალს როდი სჭირდება, ყოველი ჩვენთვის არი ნაგები
ხორცით მლიერმა სული რომ იხსნა, იყოს სახსნელი და გასაგები
ხომ არ გგონია ღმერთი კაცია, გზაში შეგხვდება, გემათხოვრება
სხვას მოუყვები, სიზმარს დაურთავ, ჭეშმარიტებად გემახსოვრება
არც ღმერთი მოვა შენთან სათხოვრად, არც ანგელოზი მხარს დაგიმშვენებს
ნურც მოუყვები ზღაპრად მოყვარეს და ნურც აჭყევები ცრურწმენის ენებს
ღმერთი შენშია, სხვაგან ნუ ეძებ, შენში უნდა სცნო, აახმიანო
უნდა ეცადო თავი მოგწონდეს ადამიანად ადამიანო.
რაც შეეხება ახლის შენებას, ღმერთს კი არ უნდა, ეს შენ გჭირდება
ხორცმა დაღლილმა სული ასვენო, როცა აქ ყოფა გაგიჭირდება
მე შეგახსენებ, ეს სანახები, კაცთაგან იყო დიდხანს დაცლილი
ეკლესიების ვიწყე შენება, ამაში სენიც ხომ არი წვლილი
და მოემენა ირგვლივ გლეხობა, მალე ვიგრძენით ბალღთა სიმრავლე
რა იყო უწინ, რა არი ახლა, კუთხე-კუნჭული მტრის თვალით დავლე
თუ შეამჩნიო ირგვლივ სიცოცხლე, თუ დაითვალო სოფელთა წყება
შატბერდს შეწირე შესაწირავი, რაც გეპოვება და გემეტება

**სავარსამიძე –**

მეუფე გრიგოლ, რას წარმოვადგენ უფალის მადლზე ვიწყო კამათი
მხოლოდ მოვისმენ წირვას და ლოცვას თუ მგალობლებმა მისცეს ლაზათი
ჩემი არსება კმაყოფილია. ვფიქრობ მართებულ გზებით მილია
აზრის გამოთქმა ანგელოზებზე, რაც არ მინახავს უცხო ხილია
ხანძთისთვის ბევრი შემიწირია, თუმცა ღვთისათვის მაინც მწირია
ეკლესიაში მიმიტანია, ჯალაბთა ნატვრა გამიწირია
ვიცი რომ უფრო მეტი მეკუთვნის. მწერისგან ბევრი მაინც მცირეა

უნდა აზომოს ყველამ თავისი, რა სამყნობია, რა სამირეა
მე სხვა მაწუხებს მამაო წმინდა და უნდა გკითხო მინდა არ მინდა
შენი როგორღა იქნება იგი, რაც ხელთა გყავდა და გაგიფრინდა
ჩემს ჯალაბობას შენ ჩემზე უკეთ იცნობ და სიტყვას არ გავაგრძელებ
მოწიფებული მყავს ქალიშვილი, კეთილად ვიშვერ მის მხარეს ხელებს
ამ მონასტერში არი გაწრთვნილი, ამიტომაა ნასწავლი, ზრდილი
მაგრამ უჯერის ხელმწიფის ასულს, ვშიშობ მიადგეს მის სახელს ჩრდილი
წინამძღვარი რომ კმაყოფილია, მგონი არაა მთლად უსაფუძვლო
სხვის გამო შვილი არ გამელანძღოს, იცი ენაა კაცისა უძვლო
ამიტომ ვფიქრობ მივცე მის პატრონს, ბევრია მისი ხელის მთხოვნელი
მეორე მხრივ კი გული არ მიშვებს, შვილის მოკვეთა ყოფილა ძნელი
ახლა მომადგა შაროელის მე, შავლიანებსაც მგონი ეტყვიან
შვილის ხელსა მთხოვს, მოყვრობა უნდა, ბედის თამაში ამასა ჰქვიან.

**გრიგოლ ხანძთელი –**

შენ შვილო ჩემო, ჭკვიანად გთვლიან, ვის გინდა სიბრძნეს რომ დაესესხო
წლებიც მეტი გაქვს ჩემზე გავლილი, იქით რჩევას გთხოვ მირმველი მესხი
საამაყოა შენი მოსმენა. ვისაც გაიცნობ, შეგაქებს ენა
ჭკუასთან ცოდნა დიდი გქონია, მიტომ გჩვევია აზრების ცვენა
შე დალოცვილო, მიმოიხედე, რასაც უყურებს ყველა იცვლება
გინდა არ გინდა შვილი იზრდება, იერით, გონით გამოიცვლება
თუ თავის გზაზე არ დააყენე, მეჭორავეთა მოჰკითხე ენებს
ვერ გაათხოვა, დაუბერდაო, ბევრი გაგკილავს და შეგაჩვენებს
და მონაზვნობა შერჩება ბოლოდ, ვინც დედობისთვის ცხოვრობდა მხოლოდ
ყვავილი შლილი ვინაც გვათრობდა, აღარ ივარგებს ეკლად და ღოლოდ
შენ ამის მერე იანგარიშე იქით იყო თუ აქეთ ეყარა
გადაირევა ცუდი და კარგი, მაცთური არი მიტომ ქვეყანა
მე შენი არ მშურს, ამასთან გლოცავ, შვილს მიუჩინე თავის პატრონი
შაროელის მე თუ გესიმება, სასახელოა. იყავ გამგონი.
მე ჩემ ნათესავს სინანულს ვეტყვი, შვილს არ სჭირდება გათამაშება
მეფის შვილია? მეფემაც იცის თითზე კბენანი და დანანება
მერეს მონასტერს, ოპიზის ტაძარს ართავაზ დიდი წლობით აგებდა
ვახტანგ გორგასლის მუმუმტე იყო, მთელ ამ მიდამოს ის განაგებდა
კარგად აშენა არა იმიტომ, ურწმუნოებას გაედგა მირი
მეფის შვილია თუ გლეხის შვილი, უფლის კრავია და შესაწირი

წინამძღვარს ჩემთვის არა უთქვია, სეფე ქალწულის ცუღლუტობაზე
ერთს მიუტევებ, სხვა მეტსაც იზამს, დიაცს რა უნდა თავის ნებაზე
გულ ახდით გეტყვი, ვართ ღვთის შვილები, დიდის და მცირეს გამოზრდილები
წეს–რიგი ვინმეს დავარღვევინოთ, სხვას ვეგონებით ჭკვა შეშლილები
შენი ქალწული უფალის მალით, შემორჩენილა მველებურ კვალით
შაროელის მეს თუ დათანხმდები, გაამაუდები იმათი ხვალით
თუ შაროელი, აბაზგთა თავი, შენ ასულს ეტრფის, სიყვარულს უხსნის
მე ვინატრებდი შენ ადგილს ყოფას, არ ვიყო ღვთისთვის გადადებული
თუ ერთხელ მოხველ, ერთხელ იმღერებ, არ დარჩე ბოლოს გარიებული.

**სავარსამიძე** –

წმინდა მამაო, სხვისი წაპანი, რაც უნდა იყოს, მაინც იოლობს
ჩემი ბუნება ისეა მძიმე, სხვისთვის იოლი, ჩემ გულში ბრძოლობს
რაც უნდა მითხრა, ჯიქეთის მხარეს, დასალიერში რად გავათხოვებ
განაცულია შეშის საჩეხად დღეს მე მოვიხმარ, ხვალ სხვას ვათხოვებ
სიყვარულით მყავს შვილი ნაზარდი, მისი გაცემა მე მეძნელება
იქ რა იქნება, თქმაც კი მძიმეა, კი არ ვართულებ და მეჩვენება.

/შემოდის აშოტ კურალაპატი/

**აშოტ კურაპალატი** –

შემაგვიანდა. თქვენ გალოდინეთ, მაგრამ იცოდეთ ლოდინად ღირდა
კარგია როცა ავ სიზმარს ხედავ, გაგეღვიძება, გაქრა, გაფრინდა
რასაც ვეჭვობდი სავარსამიძევ, შენს მონაყოლზე აგებულია
მიველი, ვნახე, გავესაუბრე: ზოგი შეცდომით გაგებულია
ზოგჯერ ერთს ეძებ და სხვას იპოვი. ზოგჯერ საძებნიც არაფერია
არც დრო მქონია, არცა სურვილი, ადრე გამგეო რა ამერია
ახლა ყოველი გარკვეულია. მივხვდი თეოდოსს რა გზით უვლია
საქმე რთულია. ბოროტ–კეთილი, ღალატ–ერთობა არეულია
ჩემი ვალია ბოლომდე ჩავწვდე. სიმართლის ვალი მხრებით ვატარო
მოგვარე არი თუ გარე მტერი, არ გავაცინო, არ გავახარო
ჩვენ საომარი გვმართებს მზადება და რაც გავიგე, როცა ახდება
თუ მზად ვიქენით და არსად შევცდით, მტრის ჩანაფიქრი უმალ წახდება
მთლიან სამზადისს თავად ვუთავებ. სულ არ მივლულავ საძილედ თვალებს
გზა–კვალს ავურევ მოჩენილ მსტოვრებს, ყველას შორიდან ვინც მითვალთვალებს
შენ კი სასწრაფოდ, სავარსამისძევ, უნდა შეკრიბო შენი რაზმები

ხანგრძლივი ლხინის დამთავრებამდე, ყველას მოასწრებ, დაირაზმები
როგორც კი გავალთ, ვბრძანებ მზადებას, გადავიხადოთ უნდა ქორწილი
თვითეულსა გთხოვთ მხარში დადგომას, ჭაპანი ვწიოთ ლომისა წილი

**სავარსამიძე –**
ჩემო ხელმწიფევ, დიდო ბატონო. თუმცა გულისყური არ მომკლებია
რა ლხინს გვპირდები და რა სამზადისს, რომელიც ხვალის თანამხლებია
ვერ გამიგია. იქნება მიხსნა. მინდა რომ კარგად დავკვალიანდე
თუ ვერ მიხვდები, როგორ ამოვხსნა, საქმე რომელიც ამ წუთას მანდე?

**გრიგოლ ხანძთელი –**
სიტყვა რად გინდა, ზოგჯერ უთქმელად უფრო მეტია ნათელ ფენილი
ხელმწიფემ გითხრა, რომ რთულ საქმეში ყველაზე მეტი შენია წვლილი
ის რაც აფხაზთა მთავარს ეხება, ეს ხომ შენია დამსახურება
შარშან ატყვევნე, წელს შეიყვარე, რატომ? არა ღირს გახმაურება
ახლაც შენა ხარ შუამავალი, აფხაზთ ამბავი შენით გავიგეთ
მიდი-მოდიხარ ამ გრძელ ამბავში და გამოდიხარ საქმის გამრიგეთ
ახლა იმასაც თუ დავამატებთ, რომ შენი შვილი შაროელს უნდა
ეს იმას ნიშნავს იცი სათქმელი, დაგიბანია ხელები თუნდა
ვგრძნობ ბევრი რამე გარკვეულია, ვინ სად ყოფილა, რატომ უვლია
უნდა საერთო ძალით მოვშანთოთ, ის რაც საერთო ყველას წყლულია
მე ჩემი მხრიდან დავამატებდი, მომლოდინე ვარ დიდი ცვლილების
დღეის მომხდარი ფუძე იქნება, ქვეყნის აღდგენის და გაბრწყინების
ერთობით უნდა შევიძლოთ ყველა, ჩვენი ვალია ერთობის შველა
ერის გულისთვის რამდენსაც ასწევ, თვითონ იქნები ერში იმხელა.

**აშოტ კურაპალატი –**
წუთისოფელო, შენ იცი მხოლოდ ბედისბორბალი როგორ ტრიალებს
დაბლა ჩამომსვლელს მაღლა აიყვან, ასულს ცეცხლს მისცემ, აბრიალებ
ლხინს ბედნიერებს, მწუხრით შეუცვლი, მწუხარეთ მოჰგვრი დალხინებას.
არავინ იცის, არავინ უწყის ვინ სად გაჰყვება შენ დინებასა
დილით ერთ აზრზე მტკცედ დამდგარი, საღამოს შეიცვლის სხვამხრივ მხრობასა
საღამოს მტრობას მოყვრობით შეცვლი და ჩაუნერგავ მოყვრებს მტრობასა
სად დაბადებულს სად მოატარებ, ვის შეახვედრებ, ვის შეავედრებ
მეარად აწყობილს შვიდჯერ აურევ, სატანჯველს შეური და დააყვედრებ

არავინ იცის როდის წაიყვან. რომ არ მოელის კაცი ბოლოსა
ქვესკნელში მაშინ ჩაიჩეხება, ზეცაში რომ სურს გაიქროლოსა
მე დილას ვიყავ სვებედნიერი. მეფე ვიყავ და მამულს ვუვლიდი
ვფიქრობდი უკან მობრუნებული, გრძნობის მეუფეს გამოვუვლიდი
შუადღეს მალით გული მომტაცეს და დამიღამეს სევდით თვალები
ზეცის ხელმწიფე მიწას დავეცი, გავხდი მონისგან შესაბრალები
უკუნი დადგა, ღონე წართმეულს, თვალი მიცემდა, გული ავს გრძნობდა
ახლობელს ვენდე, მან არ დამინდო, მოძმე, მოყვარედ სხვა რად მიცნობდა
ვისაც მტრად ვთვლიდი, მოყვრად მივიდა, საშველად ხელი გამომიწოდა
რა ჭირი მჭირდა, რა მიშველიდა, უცნობმა შორით როგორ იცოდა
წელში მოხრილი თავს მაღლა ვიწევ, სხვაგვარად ვხედავ არე-მარესა
დიდ სატანჯველში შვება ვიგრძენი და შევუერთე ტკბილი მწარეს
რაც ჩავიქიფრე, რაც შევათანხმე, თუ შევასრულე მტერი რას მიზამს
მარტომ ვერ შევძელ, ერთობით შევქმნი, ბოლოს მივაღწევ დასახულ მიზანს
მამაო გრიგოლ, შენ ხარ ღვთის კრავი, შენ რჩევას ჩემთVის დიდი აქვს ფასი
ხო ვთქვა, ვთქვა არა, როგორ სჯობია, ვით მოვიშორო შვილი ძვირფასი
ჩემთვის არაა მთელად იოლი, არავინა მყავს მსგავსი და ტოლი
გიჟმაჟი არი, თან უხიაკი, მივცე? როგორი იქნება ცოლი?
განა არ ვიცი, პირში არ მეტყვით, ზურგს უკან ერთი აზრი ტრიალებს
მამის ბრალია. გაათამამა. მონასტერს ურევს და აწრიალებს
ნეტა კი მალე გათხოვდებოდეს, დაისვენებდა დიდი და მცირე
მოუსვლელამდე გზა დაულოცოთ, მყარად ჩავუხოთ უკან სამზირე
ფიცი, რომ ზოგი მკრეხელობაში ჩაუთვლის ჩემ შვილს გიჟანურ ქცევას
მის გვერდით სანთელს არ აანთებენ, თავს არიდებენ მისგან მიწვევას
დედა ფებრონი სხვაგვარად მიხსნის, შენ რასაც მეტყვი, ისიც ცხადია
თუ არ ადუღდა, არ დაღვინდება. ქალის დუღილი ძნელ სახადია
მამაო გრიგოლ, ხარ ნათესავი. მტრულად შეხედე, პირში მითხარი
ასეთი ქალი რომ გავათხოვო, მომეკიდება მტრად მისი ქმარი?

**გრიგოლ ხანძთელი–**

რა ვით მამას, არცა ნათესავს გულ ნათლად გიგებ
როგორცა მთხოვე, უცხოდ შევხედავ, რაც მწარე არი პირში მოგიგებ
რომ არ ვიცოდე რა არი რწმენა ქართის-მესხეთის ერისმთავარის
არდანუჯს რატომ გამოირიყე, ქრისტიანული არ აქვს იერი
სულ არა აქვს რწმენით გამთბარი, სიგიჟე დასდევს რამ მიწიერი

ვითვალისწინებ ქცევის ხასიათს, ბოლომდე ვიცი მისი ბუნება
შენი გულიდან მკვეთრი მოწყვეტა, იქნება ბედის შემობრუნება
ეს არ იქნება მისთვის იოლი, ვგონებ საკმაოდ გაილახება
როგორც შეხედავს თანამეცხედრე, ახლოდან ისე დაინახება
მაგრამ არ გითქვამს ვინ არი საქმრო, ეგებ არ იცი მისი იერი
თუ ჭკვიანია, არ მოუფონებს, რომ ბოლოს დარჩეს სვებედნიერი.

**აშოტ კურაპალატი–**

ხო. ხარ მართალი. მე არ მითქვია. დღეს თეოდოსი, აფხაზთ მთავარი
სხვა საკითხები როს მოვათავსეთ და დავალაგეთ როგორ რა არი
ჩემ ქალიშვილზე ალაპარაკდა. მითხრა გასულ წელს თურმე უნახავს
სახალიფოში არ დავიწყნია, მისდამი გრძნობა შემოუნახავს
მე მოვუყევი შვილის შესახებ, რაც არი ასჯერ უარესები
მე ვწიწმატობდი, ის იცინოდა, მგონი არია ჭკუით მსგავსები
ბოლოს შემთხოვა, მივეც თანხმობა, დღესვე ჯვარს დავწერ, ქორწილს გადვიხდი
რაც საჭიროა მზითევს გავატან, ქვეყნის საცინლად თავს რად გავიხდი
ზღვისპირა კლარჯეთს, ტრაპიზონს, რიზეს, თუ ბიზანტიას წაართმევს, სიძეს
დავუთმობ. დაე ლეონმა იპყრას. მე არ დავკარგავ და ის შეიძენს.

**გრიგოლ ხანძთელი –**

თეოდოსი ხომ ლეონის ძმაა, ბერძნულად ვიტყვით პატრიკიოსი
ლეონ აფხაზთა დიდი მთავარი, პატრონი არი ურიცხვ საწმეოსი
ის მძისწულია დიდი ლეონის, ვინც გამარჯვების დროშა აღმართა
ყოველი კუთხე აერთიანა, აღარ იყოფა აღმართ–დაღმართათ
კათალიკოსი მათ ლოცვას ამბობ და მუდამა აქვს მათი იმედი
ისინი ჩვენი განაყარია, ერთი გვქონია წარსული ბედი
ჯიში, ჯილაგი, სარწმუნოება მუდამა გვქონდა განუყოფელი
ერთი–მეორის წარმატებაში გამოგვიღია ყოველთვის ხელი
როდესაც ფარსმან სპარსეთს ანგრევდა, ჰუნიოხები სომხეთს არბევდნენ
მეციხოვნეებს სპარსული ჯარის, ერეკებოდნენ, ალაფს ართმევდნენ
მოყვრობაც იყო ჩვენში ყოველთვის, აბაზგებია თუ აფშილები
მესხნი იმ მხარეს ეხიზნებოდნენ, გვიმოყვრდებოდნენ მათი შვილები
ცხუმის ერისთავს სიძობა რომ სურს, ეს კი არაა გასაკვირველი
აქედან იქით ქალის მთხოვნელი არც ბოლო არი და არც პირველი
მე სხვა მაოცებს. გარკვევით ითქვა, აფხაზეთიდან გამოქცეულა

საკუთარ ძმისთვის უღალატია და მოღალატედ ქვეყნის ქცეულა
ქვეყნის ღალატში ვისაც აქვს წილი, როგ ორ გახდება ის შენი შვილი
ან მე ყურები არ მიჯერებენ ან შენ ხარ მეფევ ჭკვაზე შეშლილი.

**აშოტ კურაპალატი –**

გიპასუხებდი, მაგრამ ადრეა. წინასწარ თქმული არი ტრაბახი
არავინ იცის რა გამოგივა, ამას ვიზამო სხვას რომ ამახი
მიტომ ვდუმდები. მხოლოდ ერთს გეტყვი. მან რა აჩნია ღალატის კვალი
საერისთაო თუ მიატოვა, თვითონ აივსო ცრემლებით თვალი
ანაკოფიას იჯდა ლეონი, იქავე მთავრობს სადაც მთავრობდა
აფხაზთა საზღვრებს არავინ ერჩის,  ისევე ხარობს, როგ ორც ხარობდა
ამ წლის მანძილზე რაც შეიცვალა, რაც გარშემოა დიდი ცვლილება
ბიზანტიას და ხალიფატს შორის ზავის დარღვევა, კარაშლილება
თუ თეოდოსი არი მიზეზი, მაშინ გმირობა ჩაუდენია
ორი ვეშაპი მისით შებმულა, ხელი სადამდე გაუწვდენია
სხვა თქვენ მითხარით ძმას რა დააკლო, მისი ღალატის რაა ნიშანი
ჩვენ შევაფასოთ გუშინ რა იყო, არავინ იცის ხვალის მიზანი
მე რომ განვსაჯე, ვერაფერს მივხვდი, ეგებ თქვენ აქეთ მაკვალიანოთ
ჯვრის წერამდე დრო კიდევ არი, განვსაჯოთ, მაგრამ საქმეს არ ვავნოთ
დღეს თეოდოსი ძმა არი მთავრის, არავინ იცის რა მოაქვს ხვალეს.
ჩვენი სამეფო და აფხაზეთი მტერს დაუყენებს ერთობით თვალებს.

**/ქუთაისი ლეონ აფხაზთა მეფის სასახლე/**

**იოანე საბანისძე –**

უფალო გვედრი. ჩემ ამ გალობას, ხმას მიუერთებს მამრი და მდედრი
დღეის  მიღწევა საწინდარია. ერთობა, ძმობა ხვალისა ხვედრი
ცის კაბადონზე შვიდი მნათობი, შვიდი სამთავროს მომავალს ჭედავს
განგების ძალა მართავს ყველაფერს, ზეცის გამრიგე ფარულსაც ხედავს
ჩვენი ვალია ვენდოთ ღვთის ნებას, სად ნიშანს მოგვცემს, იქით გავწიოთ
დინჯად ვიჩქაროთ, ასჯერ ავზომოთ, საქმე ხვალისა დღეს წინ წავწიოთ
მამულის ბედი ნათლად გაბრწყინდა და თუ მცდელობა გვექნება წმინდა
უფალის ნებით შეგვისრულდება ის საოცნებო, რაც ასე გვინდა
ყველა ესწრაფვის იყოს პირველი, მიზნის მიმღწევი, მისი მხილველი
დღეს დაკარგული, ხვალ აღვიდგინოთ, ახალი მეისვე გავხადოთ ძველი

დავიწყებული მალზეა ბევრი, ჟამთა წიაღსვლის ტრიალებს კევრი
ჩვენი დროება კარმილეწილი, წარსულ დროების გახდება წევრი
მცირედ ნალვაწი თან გაიყოლოს, ჩვენ კი ნუგეშად დაგვრჩება ბოლოს
კარგად ვიომეთ მამულისათვის, არ ვაგროვებდით კერკსა და ღოლოს
დღეს ასე ფიქრობს შვიდივე მხარე: მე თუ გავრანდავ სამეფო კარებს
ხვალ თუ შევიძლებ სხვას მივიერთებ, დავრეკავ მისთვის მომავლის ზარებს
მისი ვარსკვლავი თუ აციმციმდა, ცას გაანათებს ჩემი მნათობი
ერთიან მალით მესამე დავძლევ, აღარ ვიქნები სხვისი გამრთობი
უარიყოფა რაც გვაცალკევებს, სეგვკრავს რაც გვხიბლავს და რაც გვაერთებს
ხოლო შვიდივეს ვინც შეაერთებს, გაუტოლდება ერისთვის ღმერთებს
რატომ სხვა იყოს სიკეთის თავი, სხვამ რად მოიკმას ჩემი ნათესი
სოფლად მე ვარ და ჩემი ნაბადი, ასეთი არი ცხოვრების წესი
და ვიდრე ასე დავდივართ თითოდ, საერთო საქმე როგორ გავიგოთ
ცხოვრების ლელო როგორ მოვიგოთ, ოცნებას ვსდიოთ, კოშკი ავიგოთ?
დღეს შენ მეუფებ. გუშინდელ მთავარს, ეგრისს მეფობა გეცოტავება
ქსანთან, ლიახვთან ებრძვი კახელებს, არ გსურს დაცხრომა და დაზავება
ქორეპისკოპოს გრიგოლს თუ მოსპობ, საომარ გზიდან ჩამოიცილებ
ჯერი ჰერეთზე მიდგება უმალ, აშოტთან ერთად გაინაწილებ
ეს კარგად ვიცი. კურაპალატმაც იცის და მიტომ მრჩევლად მოველი
პირდაპირ გეტყვი რაც გულს მიდვია, შენგანაც ასეთ პასუხს მოველი
მეუფე ლეონ, შენ გამარჯვებას რა აქვს შედეგი და რა მიზანი
გამანდო აშოტ კურაპალატმა, მართალი უთქვამს, გნახე და ვცანი
მოვსულვარ რათა განვსაჯოთ წვრილად, რაც გულზე ლახვარს დაგვა-
სობს ხშირად
ეგებ ერთობით იაფად შეგხვდეს, ის რაც თვითეულს უჯდება ძვირად.

**სავარსამიძე –**

თუ გაქვს სახელი ქვეყნად ცნობილი, ფიქრობ ყველა გცნობს, არი ძმობილი
ივიწყებ რისთვის ხარ მოხმობილი, ფუჭ ფიქრებთან ხარ გადაჭდობილი
შენი საზომით აფასებ ყველას, სადაც არა ჭირს, იქ ცდილობს შველას
და თუ არ გითხრეს გეყო, დაყენდი, მროხას გაავდებ, ხარს უწყებ წველას
როცა ვიღაცას მოძღვრავ და კილავ, არ უნდა იყო მასზე ნაკლები
ნუ გაყოფ სადაც გამრავლებაა, ამატებ სადაც არი საკლები
არტანუჯში როს ჩამოყევ აშოტს, დაგხვდით ჩვენ მესხი დიდებულები
ნადიმობისას გვიქე ლეონი, მოალბე კაცთა მკაცრი გულები

მისი ძმა გვეჯდა სიძე–ბატონად. თეოდოს ჩვენთან ერთად ლაღობდა
აფხაზეთსა და ქართ–მესხეთს შორის ქიშპის ყინულის კედელს ალღობდა
კურაპალატმა თავის ასული აფხაზეთს მიტომ მისცა დედოფლად
იცოდა ლეონ უტოლდებოდა, მამულიც ჰქონდა ყველას სამყოფად.
შეძლო გრიგოლს დამოყვრებოდა, გრიგოლიც ხოა მეფის ჯიშისა
აქეთ გადუჭრა მეუფეს გონმა. იყო შემკრავი ამ კავშირისა
კარგად იაზრა. როცა თეოდოს, ქორწილის მერე აქეთ ვიდოდა
აშოტის ნებით მეც თან ვეახელ, აქ დავრჩი თუმცა სულ არ მინდოდა
ახლა დავრწმუნდი, კოლხი–იბერი არა ყოფილა რამე სხვაობა
უნდა იქ დადგე სადაც მისჭირდეს, არ გვარგებს ბედთან მასხარაობა
არტანუჯს თქმული ამ ერთობაზე გულს და გონებას წამლად ეფინა
დღეს თუ მეუფეს ხვაგვარ ეტყოდი, წამითაც არსად წარმომედგინა
შენ გსურს ლეონი აქ დაამცირო, უთხარ ძმისაგან უკადრებელი
გამარჯვებულთა ხილი სტაბლაში, დაუდევარი ჩაყავი ხელი.

**იოანე საბანისძე –**

კარგ მთქმელს გამგონივ რომ კარგი უნდა, არ ახალია, თქმული ძველია
კაცს თუ არ უნდა, რიყეზე ქვასაც არ დაინახავს, თუმცა ძნელია
შენ მხოლოდ სიტყვას ნუ მიენდობი, საქმე აკეთე ყოველთვის გრძნობით
ნუ შეეცდები ბოროტის ხილვას, სად ამაყობენ საამო ძმობით
როცა ჯუანშერ მთავართ–მთავარი. ბოლო მემკვიდრე არჩილ მეფისა
გამოგვეცალა, ქართი დაობლდა, კატებს დაუდგათ ჟამი ყეფისა
არავინ დარჩა ქვეყნის პატრონად აფხაზეთიდან ალბანეთამდე
წელიც არ არი ჯერაც გასული, უნდა გახსოვდეს თუ გინდა მწამდე
ამავ დროს იყო, კურაპალატი თბილისს ტოვებდა, მესხეთს ვიდოდა
ამირა დარჩა ხელშეუხები, სხვა არაბთაგან ვინ მოვიდოდა
უპატრონობა ქვეყნის გულისა მტერს ახარებდა, ერთგულსა კლავდა
როცა გრიგოლმა ქსანი დალაშქრა, ქართლში მეფობა ეწადა, ჩანდა.
ამირა ედგა გვერდით მფარველად, ის ჩვენი მტრების მეგობარია
ნარიყალადან ტაშისკარამდე ყველას შეირგებს რაც აბარია
ჩვენი გათიშვა, ურთიერთ ქიშპი, ხელს აძლევს, მიტომ ასე ირჯება
დასუსტებულნი თუ მოგვიხელთა, ისე ჩაგვყლაპავს, არ დაისჯება
ამიტომ იყო კურაპალატმა თბილისი დათმო და განერიდა
ახალ სამეფოს მშენებლობისას აფხაზეთს ფიქრობს ის გზად და ხიდად
თქვენი სიმძლავრე მისთვის ბურჯია, მიტომ ხართ ხატზე დასაფიცები

უნდა უშველოთ ამერ და იმერს, ერთობის რწმენით და განმტკიცებით
როცა ამირა შეკრა გრიგოლს, მე და სამოელ კათალიკოსი
გამოვგზავნა, ფიცი გვაახლა, საქმე დაგვეწყო უნდა საწმყოსი
მეფეთ ერთობამ ერს მოუფონა, კოლხთა, იბერთა ასწია წონა
ფესვთა კავშირი ხის სიმძლავრეა, უფალმა გლოცათ და მოიწონა.
ახლა რა უნდა სავარსამისმეს, რაც არ მითქვია, იმას რად ხედავს
ცხენს უნახავი, ვირზე შემჯდარი, დეზებს იქნევს და ბედაურს ჭედავს?

**ლეონი, მეფე აფხაზეთისა –**

შენ ნიჭს მწერალი აფასებს ყველა. შენთან ბაასი გულს ლხენით ავსებს
ბედნიერია ერი რომელიც მრავლად მიითვლის ბრძენკაცებს მსგავსებს
ის, რაც ჩემზე თქვი, რად მეწყინება, ორივემ კარგად ვიცით წარსული
მეამაყება საქმე მამათა, ერთიც არ იყო მათში ავსული
ქუჯამდე ჩადის ჩემი ფესვები და იმის იქით დათვლა ძნელია
მძიმე ტვირთია მათი შვილობა და საფიქრალი არ დამელია
მხოლოდ გუბაზის სახელიც კმარა, რომ არ ვახსენო სხვა წარა-მარა
ცხოვრება ფიცხელ ომებში ხარჯა, სიცოცხლე გასცა, არ დაიზარა
ღალატით მოკლე თვით უღალატო. შემმართებელი, მხნე და სვიანი
კეისრის ოხვრა, მკვლელების დასჯა, მონანიება იყო გვიანი
ორასზე მეტი წელი გავიდა და დღესაც მწარედ მოგვაგონდება
მოღალატეთა წესი ყოფილა ჩუმად მიპარვა, მოთქმით გოდება
კიდეც გამოჩნდა მალე შედეგი, წათეს არ მოჰყვა მეფე შემდეგი
ლაზთა სოფელი დაანაწევრეს, ყველა აღზევდა ვინ იყო შლეგი
პატრიკიოზი უწოდეს მეფეს, მაინც ის იყო ქვეყნად მთავარი
ტრაპეზუნიდან ნიკოფსუხომდე სულ ღია იყო იმისთვის კარი.

**იოანე საბანისძე –**

ლაზიკა ერქვა ადრე მაგ ქალქს, აქაველთა და კერკეტთა მხარეს
ეს მათ მოუჭრეს პომპეუსს გზები, მარცხი აგემეს, არ გაახარეს
გალაღებული რომის სარდალი, დაუძლურებულ პონტოელს სდევდა
მაგრამ ბოსფორში ვეღარ გადაჰყვა, მარცხი იწვნია, იგემა სევდა
ისღა შეიძლო ლაზიკას შედგა და ნიკოფსია ქალაქს უწოდა
ტყვედ აიყვანა რომელსაც შეწვდა, სიკეთის ხელი არ გაუწოდა
დაცლილ სოფელში დასხა ჯიქები, შთამომავალნი კავკონთა მოდგმის
დღესაც ვუწოდებთ აფხაზთა ჯიქეთს, ასე სახელი იქიდან მოდის.

**სავარსამიძე –**

მდინარე მცირე ხაზარეთისა ჯიქებმა მაშინ გაითავისეს
გასაგებია. თავად ლაზებმა ქვეყანა ნებით არ გაასხვისეს
მთავარი რაც მე ვერ გამიგია, მძიმთის თავიდან ცხუმის კარამდე
ფსუს სათავე და ბზებისხეობა წიბელის დიდი ციხის თავამდე
ხომ აბსილების კუთვნილი იყო და ასე დარჩა და ასე ჰქვიან
აბაზგებია თუ სანიგები აქ მოსულები ყოფილან გვიან.

**იოანე საბანისძე –**

ცხოვრება მიჰქრის, დღეს შეჭიდებულს, ხშირად არა აქვს ონსილა ფიქრის
ჟამიდან ჟამად განაგონები როგორც ზღაპარი ბოლოს შეიკვრის
ჩვენს ასე მოგვდის, რაღაცა გვახსოვს, რაღაცა სხვისგან გაგვიგონია
თუ არ აგვიხსნეს რა როგორ არი მრუდედ ნათქვამი სწორი გვგონია
კარგია, დასვი კითხვა სათუო, საკითხის არსი გინდა იცოდე
მესხეთის ნასხლეტს თუ მთებში ნახავ არა თქვა გულში – თვალებმა სცოდეს
არეულია რადგან სახელი შენ რომ ერთს ეტყვი, სხვა სხვას ემახის
ერთს თუ სახელი ათი დაერქვა, არ ნიშნავს არი ათმაგი სახის
წურწუხის უპეს ლაია ერქვა, ლაიაშს ეტყვის სხვანი–მთიელი
ბზების მდინარე კაპოეტია, თუ მოზვავდება ხდება ტიელი
კორახის წყალი კლისურა არის, კედელსად ჰქვია კორახის ზღუდე
ჩემგან რქმეული თუ მართალია, სხვისგან რქმეული რად არი მრუდე?
მთავარი არი ყველა ჩვენია, ზღვის სანაპირო, შმაგი მდინარე
აქ მუდამ კოლხთა იყო სადგომი, კოლხების შიგნით ბევრი ტომია
სად წარსწურთების კავკასიონი ყველა იმათი ასაზომია
კოლხებს დაარქვეს ჰენიოხები, ზოგჯერ ეგრები, ზოგჯერ ლაზები
რა შეიცვალა სახელწოდებით, რაც იყვნენ, დარჩნენ ის ლამაზები
მე ასე ვიცი. თუ სადმე ვცდები. თუ მეტი იცი, შენ შემისწორე
მას შემდეგ როცა წარღვნა ჩაწყნარდა, ფაზისი გახდა მდინარე მდორე
მისი შვილები, შვილთა შვილები გარე უვლიან ვით ცხენს ვიცები
იმის მიხედვით რა ერქვა ღელეს, ზღვის უპეს, გორას, მთას თუ მდინარე
აბასკის პირას დასახლებულებს აბაზგთა ტომი შემდეგ ეწოდა
ბოლოს აფხაზად გადაინათლნენ, ძველი არავის არ შეეცოდა
დღეს აფხაზები დავარქვით ყველას მთაში ბინადრობს თუ ზღვასთან ახლოს
შენი მეფობა დაიცავს ყველას, მტერმა ვერ შეძლოს და ხელი ახლოს.

**ლეონ, მეფე აფხაზეთისა –**

შენ კარგად უწყი წარსული ჩვენი, მიტომ ხარ სხვებში გამოსაჩენი
კიდეც რომ დაგცდეს რამე საწყენი, დასალოცი გყავს მაინც გამჩენი
მართალი ითქვა, პონტოს ზღვის გასწვრივ, მუდამ სახლობდნენ კოლხთა ტომები
არავინ იცის მიწის ზომები, გადაიყარეს მისთვის ომები
შენ მიტრიდატე ახსენე გაკვრით, პონტოელ იტყვის ყველა მწერალი
ეპყრა კრეტადან მეოტის ზღვამდე, არა ყოფილა სხვის მაცქერალი
მისი სიკვდილით, მისი სამეფო, მრავალ ტომს რისხვით დაექცა თავზე
მისი მომხრენი რომმა დასაჯა, ბევრი გაექცა და განერიდა
ეგრისს მიაწყდა ზოგი მათგანი, ხარობდა ვინაც შიშს გადიურიდა
იქ სადაც ადრე ჰელიოს შვილნი, ჰენიოხებად მონათლულები
დიდ აიეტის შთამომავალნი, კავკონთა მთებთან შეჭდობილები
ლაღობდნენ მარტოდ, ახლა გამოჩდნენ კარ აწეწილნი სამხრეთის მხრიდან
მოსხნი, მაკრონნი და სანიგები, რათა აეწყოთ ყოფა თავიდან
ასე დაფუძდნენ აქ აბაზგები, აბსილებს ვეტყვით, მისიმიანებს
კარგი შეხვდება დინჯად მოჩქარეს, ფუჭად რომელიც არ იგვიანებს
სწრაფად იზარდნენ, როგორც ნალები, რადგან მზიური ჰქონდათ ბალები
ტყე-ველი სავსე ზამთრის სარჩოთი, ციხენი მტრისგან ვერ ასაღები
ისე იმძლავრეს, სამასი წლის წინ, მეფეს განუდგნენ, მტრებს გაურიგდნენ
და რა იცოდნენ უბედურებმა, უფლის წინაშე თურმე თავს სცოდნენ
მე აბაზგებზე მომეთხრო უნდა, მეფეს ესროლეს ტალახის გუნდა
რომს მიეკედლნენ. იმპერატორი, საკუთარ მამად ჰყოლოდათ თუნდა
მაინც მტერია და დამპყრობელი, მაინც უჭირავს ვადაზე ხელი
შინაურებზე მომდურებული გარეთ მოილხენს მხოლოდ სულელი
ორი მთავარი ჰყავდათ აბაზგებზე, რომის კარნახით მოსპეს ორივე
მათი სოფელი ბერძნებმა იგდეს, ლაცთა მორევი როს ნახეს მღვრიე
ბოლოს, როდესაც მიხვდნენ შეცდომას, ბერძნებს განუდგნენ, შეეკვრნენ ირანს
კაცი-კაცია, ქალი-ქალი, ტირანიც მუდამ ჩამოგავს ტირანს
თუ ერთხელ გულში ღალატი ჩაჯდა, მერე ღალატი ხშირად წყვილდება
მართალი-მართალს, მტყუანი-მტყუანს, ტყუპის ცალივით არ დასცილდება
ასეთი არი ღალატის ბოლო. თუ ისარგებლებ, ცოტა ხნით მხოლოდ
თუ გადურჩები წამება-სიკვდილს, სახელს წაიხდენ, თან საბოლოოდ.
აბაზგებს ერგოთ ასეთი ბედი, ალბათ შემოსწყრა მათ შემოქმედი

ღალატისათვის იმპერატორმა ჩამოუბნელა გადასახედი
კაცნი გაჟლიტა. მათი ცოლ-შვილი ტყვედ წაიყვანა, დაანიავა
ძმებთან ცხოვრება ვის უმძიმდება, დაუმოკლდება როს ცალკე გავა.
აბაზგთა ზვრებში ჩასახლდნენ სხვანი, იყო სანიგი, სკვიმნი თუ სვანი
ისევ აბაზგნი დაერქვა ახლებს, დღეს აფხაზებად ყველამ სცანით
მიტომ მოვყევი მკლედ წარსული, თუ არ ვიქნებით წრეგადასული
ვერ დავიკვეხით ეს ვარ და ის ვარ, როცა ჟამია დიდი გასული
მთავარი არი ერთ საქმეს ვსდიოთ, ერთობით მძიმე მაღლა ავწიოთ
სხვის საზუნავი არ დავილიოთ, სხვას არ ველოდოთ, წინ წავიწიოთ.

**სავარსამიძე –**

ენაა კაცის პირველი მტერი, პირველი მცველიც იგივ ენაა
სადაც თავს გვიკრავს ნარი-ეკალი, ხშირად იქავე ყვავილთ ცვენაა
ვინ თქვა საწყისი დასასრულისა ან დასაბამი ვინ გაგვახსენა
ყველა სიავის, ყველა სიკეთის თავი და ბოლო ენაა, ენა
ვის როგორ ესმის ნათქვამი სხვების, ისე გებულბს, ისე ჩაესმის
როცა ჩამოვა გულის წვერამდე, ხან მალამოა, ხან ეკლად ესმის
ის რაც უფალმა ლეონმა ბრძანა, არაა ენის მიმო და ტანა
დაუკვირდები, გაგიკვირდება, მომავლის გზებზე წაგყვება თანა
აბა ვიაზროთ, თუ აბაზგები, აბასკის წყალის ირგვლივ მცხოვრები
თავისად თვლიდნენ გეოს ნაბოძარს, აქვე პქონიათ გაშლილი ზვრები
მაგრამ დაღუპა ენის მიტანამ, ენით მიტანამ დაუვსო მზერა
ცუდად დამიწდნენ სადაც ლაღობდნენ, დადუმდნენ სადაც სურდათ სიმღერა
ის აბაზგები ცვალეს ახლებმა, ყველას ეწოდა შემდეგ აფხაზი
ხვალ რა იქნება, დღეს ვინ გამანდოს, როგორი არი ბედის ნახაზი
ეგება ხვალაც გაქრეს ვარსკვლავი, ტომი იცვალოს, დარჩეს სახელი
ჟამი გადის და მოწმე არ რჩება, ვინ მოიძიოს ძველთა მნახველი?

**იოანე საბანისძე –**

ჭკუა კაცისა, მისია ფარი, რაც უფრო აწრთობ, მით უფრო მყარი
გული მშვილდია ამოზიდული, ენა მოქნილი, მჭრელი ისარი
როგორც ჭკვას აწრთობ, როგორც ეწრთობი, ისე ჭაპანს წევ, ისე ერთობა
შეჭირვებაა, დალხინებაა შენ უნდა შეკრა სამივ ერთობით
მშვილდის მოზიდვა ბალღმაც კი იცის, უფრო მწარეა დიაცთ ისარი
საჭირო კაცმა უნდა განსაზღვროს, რასაც აკეთებს, სწორედ ის არი

მეუფე მოუკვა აფხაზთა წარსულს, ამ ლაზთა ამბავს მე შევეხები
მშვილდის სიმაგრით აწყობილებმა, როგორ შეაჭიდეს ისრებად ხმები
როცა გუბაზი მოკლეს დიადი, ქვეყნად ჩამოწვა სევდის წყვდიადი
ჭკვა დაიბინდა, მშვილდი მშვიდობდა, ისარს ისროდა რამ ხვაშიადი.
ბრძენთა კრებაზე განათდა გონი, ლარი მიუშვეს მშვილდის საფონი
ისარმა ვეღარ გაასწრო სიბრძნეს, დარჩა შეცდომა ვერ ასაწონი
ერთნი იმახდნენ ისე და ისე, მეორენმა თქვეს ასე და ასე
არავის ახსოვს ამდენი მთქმელი, ამდენი აზრი და მობაასე
აიეტმა თქვა მრავალთ ნაფიქრი: თუ ბერძნებს ვენდეთ და მათ გავწირეს
ზურგი გვაქციეს, მეფე მოგვიკლეს, ღალატი თესეს და მოუხშირეს
უპრიანია მაშინ ჩვენს მივხვდეთ, სხვა გზა მოვძებნოთ, იქით ვიაროთ
და ალბათ ასეც გადაწყდებოდა, რომ არა ბრძენის გონით ნათქვამი
არი დრო როცა ისვრიან კენჭებს, სროლას ცვლის მათი შეკრების ჟამი
აიეტმა როს მოზიდა მშვილდი, ბასრი რამ იყო მისი ისარი
გონი დაინდო დაბინდებული, გულს შეუნგრია გრძნობის ფიცარი
საპირისპიროდ ფარტამიმ ბრძანა, ცხოვრებისაა ეს ანა-ბანა
თუ აჩქარდება აღელვებული, ჟინს ვერ მოთოკავს და სიტყვას თანა
ვეღარ აზომავს საქმის თავ-ბოლოს, გზას ვერ გაიკვლევს, გადიჩეხება
სანამ არ ვიცით რა როგორ არი, არა გვჭირდება მშვილდის შეხება
ბერძნებმა გვიმტრეს ეს მართალია, მეფე მოგვიკლეს, მივგავართ ობლებს
ვაი და მოთქმა, გრძნობს აუოლა, ეპატიებათ შვილ მოკლულ მშობლებს
მეფე მოგვიკლეს, მისი ძმა წათე, იმავ ბერძნებთან არის მძევალი
გავდგებით? აღარ დაგვიბრუნებენ, უნდა დავივსოთ მეორე თვალიც
მამა-პაპური წესი შეწყდება, ძველი სამეფო გვარი გაწყდება
უმეფოდ მტერზე ვინ გაგვიღვება, მტერთა სურვილი უმალ ახდება
ამიტომ გირჩევთ რომ დავითმინოთ, კეისარს ვთხოვოთ საქმის გარჩევა
მკვლელების დასჯა, მძევლის მოცემა, წათეს ლაზების მეფეს არჩევა
ამ ორი მტრიდან ერთიც არ გვინდა, მაგრამ ბოროტი თუ მცირე ვცანი
თუ გონს მივენდეთ, გონით მოვთოკეთ, გაგვიმართლდება ბოლო მიზანი
შედეგი იცით, წათე გამეფდა, შევინარჩუნეთ სამეფო გვარი
გრძნობით ნათქვამი თუ ისარია, გონების სიტყვა ყოფილა ფარი.

**ლეონ, მეფე აფხაზეთისა –**

ფარტამის სიბრძნემ ვერა გვიშველა, არ იყო ჩვენი მალა იმხელა
ბიზანტიისთვის დაედო ზღუდე, დიდ ხმით ძნელია ამის გამხელა

და მაინც ვიტყვი. ლაზეთს მეფობა გაუქმდა იმავ კეისრის ნებით
ყობის უღელი ავწიეთ კისრით, ახალი სახით და ძველი ცნებით
პატრიკიოსი და მაგისტროსი ეწოდათ შემდგომ წათეს მემკვიდრეთ
ას წელზე მეტი გავიდა ასე, ახალი ჭირი მოვიმკეთ ვიდრე
ოთხმოცი წლის წინ პატრიკიოსი გიორგი როცა კოლხეთს მართავდა
თითქო ერთგული იყო კეისრის, გრძნობამ და ჟინმა გონებას ძლია
არაბ სარდალთან შეკრა კავშირი, ალბათ ეგონა კეთილი ძია
ნებით წვეულმა წაგვგვარა ძალა, რწმენა ქვეყანას გამოეცალა
ბერძნის სამადლოდ დატოვებული არაბმა ირგო და მიითვალა
ბერძნებს შევეშვით, მთელი ძალებით არაბებს ვუწყეთ კირთება, ბრძოლა
ორმოცი წელი მან გადიყოლა, ახლაც მძიმეა მისი მოყოლა
გიორგის შემდეგ თეოდოს დიდი, ბაბუა ჩემი, მისი მემკვიდრე
შემდეგ კონსტანტი, ჩემი შემქმნელი, ხმალს არ აგებდა, ცოცხლობდა
ვიდრე
ბოლოს ლეონი მმას შეენაცვლა, ლეონი იყო ბრძენებშიც ბრძენი
მისი მადლია და შემართება, თუ რამ შევიძელ, თუ რამ შევქმენი.

**გურანდუხტი –**

მადლობელი ვარ მეფევ და შვილო, ბიძის ამაგი არ გავიწყდება
ბევრიც ავწეროთ მისი სიკეთე, ყველას, რაც შემლო, ვერ გადაწვდება
ჟამი გავიდა, დროის სიავე, მოგონებების მძიმე კვალს ტოვებს
ავი და კარგი ერთად ირევა და სანამ ვცოცხლობ არ მიმატოვებს
მაშინ არაბნი ბატონად გვესხდნენ კახეთ–ჰერეთში, ქართ–აფხაზეთში
მტერის ერთობამ დამხდურნიც შეკრა, იმერ–ამერი შეთანხმდნენ ერთში
საერთო ძალით თუ არ ვიბრძოლებთ, გადაგვიყოლებს ქიშპი და შური
გავერანდება ბაღი–ვენახი, ეს დრო შეგვექმნას ეგებ საშური
ქართს პაპაჩემი მაშინ მთავრობდა, სტეფანოს იყო ყოვლით ცნობილი
მირი და არჩილ, იმისი ძენი, ლეონს გაუხდნენ ძმა და მმობილი
საერთო ძალით დაიწყეს ბრძოლა, ციხე და ციხე მიხტომა, რბოლა
შეავიწროეს ყველგნით მომხდური, ველარ კიოდა თამამად მოლა
ვერ გამოლიეს არაბთა ძალა, დუშმანი იყო ბევრად მრავალი
ბრძოლის ნახაზი შეცვალეს მმებმა, რომ მოეწიათ სხვა მოსავალი
ბიზანტიელებს აახლეს ელჩი, სამოკავშირო მისცეს პირობა
არ დაუმალეს ახლად ზრახული და ჩადენილი უკვე გმირობა
იმპერატორის იყო პასუხი: სარკინოზებთან მაქვს მძიმე ომი
ჩემ გარდა ვინც მათ შეეკრინება მოკავშირეა და თანამდგომი

სტეფანოზის მეთ მე ვცნობ მეფობას, ერთად მეფობდნენ არჩილ და მირი
ამერ-იმერი ათავისუფლონ, გადაიტანონ ეს გასაჭირი
მეფის გვირგვინებს ვუგ ზავნი ორთავ, ძმები არიან და ძმებად დარჩენ
ვინც მიერთგულებს, მეც ვუერთგულებ, გაუჭირდებათ და გადავარჩენ...
ჩვენ სამეფოებს კორახის ზღუდე, გორგასალიდან მოუოლებული
საზღვრად ჩაუდის და არასოდეს არა ყოფილა ჩვენგ ნით ვნებული
კლისურას ქვევით ლაზთა მიწები არი ლეონის დასაფიცები
ზევით, შეიძლოს, ათავისუფლოს, მივცემ, ვფიცავარ და ვემტკიცები.
კლისურას ზევით, დიდ ჯიქეთამდე მტკიცედ მთავრობდნენ შავლიანები
გვარი ძლიერი, შემმართებელი, არას დამთმობი, შარიანები
სანამ ეგრისში იყო მეფობა, მეფეს ემორჩნენ, მეფედა ცნობდნენ
გუბაზის მერე თავი აწიეს, პატრიკიოსთა ხიფათს ვერ გრძნობდნენ
ლეონმა შეძლო მათი მოთოკვა, იპყრა მიწები კლისურას ზევით
მირთან, არჩილთან ერთად იმეფა, მისი საქმენი თავად მოუევით.

**ლეონ მეფე აფხაზეთისა –**

ტკბილი ბიცოლა და დედოფალი, ჩემ მეფობაში დიდი გაქვს წვლილი
ემაუება ნათესაობა. თუმცა არ მახსოვს თქვენი ქორწილი
გამიგონია ლეონ ბიძიამ მირისგან როგორ წამოგვიყვანა
როგორ შექმენით ახალი კერა, ხმალსაც იქნევდით ერთად ერთ ხანა
როცა მურვან-ყრუ, ჩვენი მტარვალი, დიდი სარდალი არაბებისა
საამიროდან დაიძრა აქეთ, არ ჰქონდა შიში სხვისა და სხვისა
შემოგვესია. მან ციხე-გოჯი მიწასთან დასცა, დაანგრევინა
კლისურას მისწვდა, ზღუდე მოშალა, აჩვენა ყველას ვინ არი ვინა
ცხუმი გადაწვა. ანაკოფიას, უძლეველ ციხეს გარე მოადგა
დაარტყა ალყა, სცადა აღება და რომ ვერ შეძლო ბანაკად დადგა
ციხეს იცავდნენ მირი და არჩილ. ლეონი იდგა ციხეს სობლისა
ერთიან ძალით დაარტყეს მურვანს, ზეცას წვდებოდა ჯახი სოფლისა
არაბებს კუდით ქვა ასროლინეს, მიჯრით მისდიეს ლიხის ქედამდე
თუ საკუთარი გეამაყება, სხვისას ორმაგად უნდა ხედავდე

**გურანდუხტი–**

მამა დაიჭრა მძიმე ბრძოლისას ჭრილობებისგან დამძიმებულმა
ვეღარა ზიდა სამეფო ტვირთი. ასე გაუჭრა მომაკვდავს გულმა:
ძმას შეუთვალა, მამა დავკარგეთ, მცხეთას ვერ მივწვდით, აქეთ დავკრძალეთ
ქუთათისს მაინც გადაასვენე, მეც იქ დამფალი, მოვკვდები მალეთ

ვაჟი არა მყავს. სიძე ლეონი. სიძე კი არა შვილია ჩემი
ერთგული არი შენი მეფობის, შენი მტრებია მისგან ნაცემი
მინდა მას მივცე ჩემი გვირგვინი და დავუმკვიდრო აფხაზთ მთავრობა
მან გაგიწიოს ნათესაობა, ნაფიცი ძმობა, თანამგზავრობა
არჩილმა ლეონს დაუდო ფიცი, მტკიცე ერთობის მისცა პირობა
უთხრა, არაბებს ერთად ვებრძოდით, გამოვიჩინეთ დიდი გმირობა
არა ნაკლები გარჯა სჭირდება, მშვიდობის დაცვას, სოფლის შენებას
კლისურას ზევით აკეთე საქმე, მთხოვე რა გსურდეს, დავყვე შენ ნებას
მე ციხე-გოჯის აღდგენა მინდა, მერე ქუთაისს დავეფუძნები
ნათესაობით ვიყოთ ერთგულად და სამეგობრობო გავკვალოთ გზები
ჩემმა პატრონმა ლეონმა ეს თქვა: შენი წყალობა ისეც დიდია
ბიზანტიას და აფხაზეთს შორის ერთობის ხიდი შენით ჰკიდია
იმპერატორმა კლისურას ზევით ყველა მიწები, ყველა ციხენი
შენ გამო მომცა და დამიმტკიცა, ამით სიკეთე დიდი მიქენი
ჩემი სამთავროს საზღვარი გახდა მდინარე მცირე ხაზარეთისა
სანამ ცოცხალ ვარ, გემსახურები, ვარ დამნახავი ამ სიკეთისა

**იოანე საბანისძე –**

ძლიერი იყო მეფე არჩილი, ნუხიდან ზღვამდე ხელი სწვდებოდა
ალთა-ბალთიდან აკილასენას რასაც ბრძანებდა, ისა ხდებოდა
თბილისს ამირას არ ეხებოდა, მიპარვით ომი არა სჩვეოდა
აფხაზეთს მუდმივ ეხიდებოდა, ფრთხილობდა ლეონს არც რა სწყენოდა
სანამ ის იყო, ერი ზეობდა ერთიანობით ქედაწეული
სპარსი, არაბი გარე ეხვია, არა ყოფილა მათგან ძლიერი
მან დაიკვეხოს ვინც უკვდავია. ვის შერჩენია მუდმივ სოფელი
დრონი მეფობენ, არა მეფენი. იცის ვინცაა ქვეყნად მყოფელი
არც არჩილს შერჩა რაც მოიპოვა. თუ რამ იშოვა დატოვა სხვისთვის
ასული ჰაყვდა ულამაზესი და იმის გარდა ორივე მისთვის
ოც წელზე ოდნავ მეტი გავიდა, რაც მეფემ დაგვთმო და მიესვენა
რამდენი რამე ითქმება მასზე, ტყავზე ვერ დაწერ, ვერ იტყვის ენა
მისი სიკვდილით მტერმა იხარა. ის ბევრი იყო შიდა და გარე
ერთად აზვირთდნენ, თავისთვის სურდა მომხდურს თუ შინას ის არე-მარე
ერისთავებმა დრო მოიხელთეს. ის რაც არჩილმა კეთილად თესა
გაინაწილეს, მეტიც ინდომეს, ყველას მოუნდა ისა თუ ესა.
არჩილის შემდგომ ერის მთავრობდნენ, მისი ვაჟები ბედუკუღმართი

სადაც სხვებისთვის იყო დაღმართი, მათთვის იქ იყო მძიმე აღმართი
და ჰყავდათ მართლაც მზეთუნახავი, მისთვის სახმილით ბევრი იწოდა
ვის დარჩებოდა მანათობელი, ხელის მძებნელმა არვინ იცოდა.
ხაზარეთს ხაკანს უამბეს თურმე და მოისურვა ცოლად ჰყოლოდა
გამოაგზავნა ელჩობა დიდი. ურჩიეს ნებით რომ გაჰყოლოდა
ურჯულო ქმარი ცოცხალს არ მინდა, უცილო იყო ქალსი პირობა
ძმები დათანხმდნენ დის ასეთ სურვილს, არა ჰქონიათ დიდი ცილობა
მაშინ ხაკანმა შეკრიბა ბევრი, ყველას უსარდლა გმირი ბლუჩანი
ალბანეთის გზით დაეცნენ კახეთს, არვის უნახავს შესევა მგვანი
თბილისს მიადგნენ, ვერ ნახეს ქალი, ქალაქი დასცეს და აოხრეს
ვერვინ დაუსხლტა მომხდურთა კლანჭებს, აღარას ჩივი არაბებს ოხრებს
თიანეთისკენ აიღეს გეზი, ბოდოჯის კოხტა სასახლე მარცვეს
ტყვედ აიყვანეს მეფის ასული, მისი მხლებლები ხმალს წამოაცვეს
შუშანი მოხვდა ხაზართა ხელში, მასთან ჯუანშერ ერისმთავარი
და-ძმა მიჰგვარეს ბლუჩანს პატივით, შედეგი ვისაც სურდა ამგვარი
როცა ხაზარნი გაბრუნდნენ უკან და-ძმა ტყვეები თან გაიყოლეს
როგორც დედოფალს, შუშანს უვლიდნენ, თაყვანსა სცემდნენ, არ გაიტოლეს
ალანთა კარს რომ მიუახლოვდნენ, კარი უპყრიათ მყარად წანარებს
ქალწული მიხვდა, უმტყუნა ბედმა, მის სულს სიკვდილი თუ დააწყნარებს
ქრისტეს დაგდებას, ურჯულოდ ყოფნას, ქალმა არჩია რწმენით სიკვდილი
არ დაუმალა ძმამ ჩანაფიქრი, იყო მორწმუნე და გულ ახდილი.
როცა მომხდარი მოუთხრეს ხაკანს, მარცხის სიმწარით გავეშებულმა
ბლუჩანი იქვე მოაკვლევინა. ასე აჯობა გინებას გულმა
ერისმთავარი იოანე კი, ჯუანშერის ძმა დიდხანს დარდობდა
და რა იცოდა, მუდმივი გლოვით, გულს და გონებას სწრაფად აღნობდა
მისი სიკვდილი, ვინაც იცოდა, ჩვენში არავის გაჰკვირვებია
სხვა დანარჩენი თუ რამე იცით ავი ენების მრუდე ხმებია
რაკი არჩილის მემკვიდრეები ასე, ამგვარად მიმოიფანტნენ
არაბთ ხალიფამ ერისთავები შეკრიბა ვინაც ერთგულად ჩანდნენ.
იმათში ნერსე ამოარჩია და თბილისს დასვა ერისმთავარად
ჭკვიანი იყო, აუღო ალღო, და საქმეს ხელი მოჰკიდა მყარად
ნერსე არ იყო ნიჭით უგვანი, მან არც არაბებს დაუგდო განი
მათი განდევნა ჩაიდო გულში, როგორც მთავრობის გავიდა ხანი
არც არაბები იყვნენ სულელი, ნერსეს დასდევდნენ როგორც შველს მელი
ხალიფა მანსურ განსჯიდა ასე: სოფლად ვერ ნახავ იბერთა მსგავსებს

ვინც უნდა გახდეს ხელისუფალი, მაინც გიმტრობს და ბოღმით აგავსებს
ამიტომ არ ღირს ნერსეს მოკვეთა, ახალიც იგივ გზას დაადგება
უმჯობესია იყოს, არც იყოს, ციხეში მყოფი ვის წაადგება
თექვსმეტი წლის წინ იხმეს ბაღდადში, სამართალი ყვეს და გაამწესეს
ნერსე საკანში იჯდეს მუდმივად. იფიქრეს მტრებში შიში დათესეს
სამი წლის მერე მოკლეს მანსური, ამოუღამეს თვალის საწური
ამირა მაჰდი გახდა ხალიფად და როგორც რამე საქმე საშური
ნერსე იხმო და ათავისუფლა, იბერთა შორის გაუშვა უფლად
საკანში ერის საქმეს ჭედავდა, ის დარჩებოდა თბილისში უქმად?
შენ შეგითანხმდა უფალო ლეონ, აფხაზეთს უკვე იყავ მთავარი
ნახევარ ეგრისს ხელი სწვდებოდა. იქიდან გქონდა ფესვი და გვარი
რაზე შეთანხმდით შენ უკეთ იცი. რა ერთგულების თქვენ დადეთ ფიცი
ერთი ცხადია დიდი მამული თანაბრად იყო თქვენი საფიცი.

**ლეონი, მეფე აფხაზეთისა –**

ჩემი ბიცოლა გურანდუხტის მხრივ, ნერსესთან გვქონდა ნათესაობა
მე რომ არ გითხრათ, თავადაც იცით, სამეფო გვარი, მისი რაობა
ერთი თაობით არ იზომება, ზოგს რომ ჰგონია, ისე არ ხდება
გუშინდელ მეფეს დღეს გლეხად აქცევ, გლეხი იყო და მეფე გახდება
დიდი მალაა გლეხკაცის გვარი, სამეფო გვარი უფრო მეტია
შვილი მამას ცვლის, შვილთა შვილები ლხინის სუფრაზეც ვერ დაეტია
აბა შეხედეთ ჩემი მამანი კოლხეთში მუდამ იყვნენ მეფენი
საუკუნიდან საუკუნეში ერის გამძღოლი და შუქის მფენი
თუმცა დაკარგეს ერთ ხანს მეფობა, პატრიკიოსად ჩამოქვეითდნენ
ხომ არ მოისპო იმათი ჯიში, მდაბიოდ მაინც არ გარდაიქმნენ
ახლა როდესაც დაგვიდგა ჟამი, სხვას არ ვუაბულობ, მეფობა მინდა
მამა–პაპათა გზა გამოვლილი მისაბამია წმინდათა–წმინდა
ანდა ავიღოთ, შავლიანები, მუდმივ აფხაზეთს ერისთაობდნენ
არ სურდათ უფრო ნაკლებად ყოფნა, ბიძა ლეონთან მიტომ დაობდნენ
ასეა ნერსეც, გნებავთ აშოტი, ფარნავაზიდან უდგიათ ძირი
რომ არ ცდილობდნენ ქართში მეფობას ჩემთვის იქნება მართლა საკვირი
ამავ დროს ყველა ვართ ერთი ძირის კოლხი–იბერი ვის გაუყვია
თესალიდან მოვდივართ ყველა ეს წამიკითხავს და შემიტყვია
მაშ რად გიკვირდეთ საერთო საქმეს, საერთო ძალით ვეჭიდებოდეთ
ნათესაობას განვამტკიცებდეთ, როდის რა გვიჯობს ერთად ვხვდებოდეთ

გედასტურებით ნერსე შემკრა, ერთად გვინდოდა არაბთა ცემა
რა ვქნათ, რომ ზოგჯერ მწიფეს ესვრიან, მიწას კი მხოლოდ მკვახე ეცემა.
ნერსემ მომანდო ცოლი და შვილნი, ქვეყნის ხაზინა, თუ რამა ჰქონდა
ემზადებოდა აჯანყებისთის, მომწიფდა ომი, ლელო გაჰქონდა
მაგრამ ღალატმა უწია ბოლოს, ენამ გონებას სადღაც აჯობა
ხალიფამ ბრძანა მისი შეპყრობა, არ დაუწყია დიდი მსაჯობა
ნერსემ გაიგო რას უპირებდნენ და ზაზარეთში ბრძოლით გადვიდა
აფხაზეთს შემდეგ ჩამოუხვია. ამასობაში წელი გავიდა
და არაბებმა უმალ ილანდეს, ქართს უმეფობა არ ეგებოდა
ნერსეს დის წული მთავრად შერაცხეს, ფიქრობდნენ მონად გაუხდებოდა
სტეფანოზი კი მე გურგენისა, იყო ამაყი, მიუკარები
სამეფო დარბაზს დაეპატრონა და მიუხურა არაბთ კარები
ორი წელია რაც აღარ არის. აშოტი გახდა ერისმთავარი
არი მამის ძმა სტეფანოზისა, ბაგრატიონთა ჯიშისა არი
ბიძა ლეონი ქართის მეფეებს ერთგულებდა და ესიძებოდა
მხოლოდ ერთობით გაიმარჯვებდნენ, იცოდა კი არ ესიზმრებოდა
მე მის კვალს მივდევ. აფხაზმა ვიცი, თუ მსურს აფხაზეთს მეარად ვმართავდე
ეს შეიძლება ქართებთან ერთად. ობობის ქსელებს რაზე ვხლართავდე?

**საბედიანოს ერისთავი –**

მე გეთანხმები ჩემო ხელმწიფევ, ეჭვი არაა მართალს ღაღადებ
მაგრამ რა ვუყოთ შენ ძმა თეოდოსს, ვმატოთ? ამ ღალატს ხომ ვერ გადადებ
შენ გაგეცალა, ქართში გადვიდა, ესტუმრა გრიგოლს, მერე ამირას
ქართის სამეფო გადაიარა, ბოლო სოფლამდე გაიყამირა
ხალიფასაგან მობრუნებულმა, კურაპალატთან დადო პირობა
სამშობლო მიწა შენთვის წაერთვა, გამოეჩინა ძმასთან ვირობა
აშოტს ესიძა. მეფეთა შორის ასე მტკიცდება ყველა კავშირი
სიძე–სიმამრი ერთად გვერჩოდნენ, მაგრამ დაუჯდათ ეს რქენა ძვირი
მან ჩვენ გვიგანა ქართის იმედით, ჩვენდამი მტრობა ვერ დაიტია
როცა შენ მიხველ და მალა იგრძნო, წახდა თეოდოს ნებით გვიტია
ახლაც სიმამრთან ერთად ნავარდობს, მტკცედ შეკრულან საომარ გუნდათ
ქორეპისკოპოსს, კახელს დაეცნენ, ქართიდან მისი განდევნა უნდათ
იქ მორჩებიან, მოგვადგებიან, რაც შენი ძალით ვაერთიანეთ
დანაწილებას მოინდომებენ ჩვენ ძველ სამეფოს რაც დავამგვანეთ
თუ შეიძლებენ დაგვაჩოქებენ, გადაგვაქცევენ არაბთა ყმებათ

მოღალატეებს დამპყრობთან ყოფნა ეამაყებათ და ეხერხებათ.

**სავარსამიძე –**

სანამ ხელმწიფე იტყოდეს სათქმელს, რომ მოეფინოს საქმეს ნათელი
მე შეგ ახსენებთ: რასაც აანთებ, განა ყოველი არი სანთელი?
კაცმა სიტყვებით არ უნდა სცოდო, საჭურჭლეს განა სიტყვები ავსებს
თუ არ ჩადევი, რას ამოიღებ, ან ამოღებულს დაადებ ფასებს?
არ შემიძლია და არც მჩვევია ბევრის მოყოლა, სიტყვების ცვენა
ვაჟკაცისათვის თავმოსაწონი ბასრი ხმალია და არა ენა
ხელმწიფე აშოტს რად უნდა ქება, მამულისათვის თავდადებული
არაბებს მიჯრით მიერეკება, ამირა არი მისგან ვნებული
ლიხს აქეთ იმას არ უომია, თუ ჩემმა რაზმმა ჩემი სარდლობით
აქეთ მიწები აერთიანა, ლეონს დაუთმო შემდეგ მძახლობით
აშოტის ნება იყო ასეთი, როცა აფხაზთა ერის მთავარი
ქუთათისისკენ დაიძვრებოდა, შევერთდებოდით, აი მთავარი
საერთო ძალით დაჰკრავდნენ გრიგოლს, ქართს ქართის ბატონს დაუბრუნებდ-
ნენ
ერთი მეორეს აძლიერებდნენ, საერთო მტრებსაც ერთობით ვნებდნენ.

**სამედიანოს ერისთავი –**

შენთვის იოლობს ასე ღალატი, ყველას ამართლებ, რა გენაღვლება
დიდი სამეფო რომ აღვადგინეთ, ახლა მოგინდა ლეონის ხლება
ისე გამოდის თითო აშოტი შენ და თეოდოსს ერთად გმოძღვრავდათ
ლიხს გადმოსულებს აფხაზთა ჯარი, შეთანხმებულად მარქაფად გყავდათ
არ დაამატო თითქო თეოდოს, როდესაც შედგა ღალატის გზაზე
წინასწარ, ჩუმად თქვენ შეგითანხმდათ, ხმლებიც ალესეთ საერთო ფხაზე
შენ ახლა გაწყობს ასე იფიქრო, შენი სიძეც ხომ მასთან ვიდოდა
მამამისს ჰკითხე რა გადიტანა, სანამ ის თქვენსკენ წამოვიდოდა
შავლიანი ხომ თეოდოსს სდევდა, ღალატის გზებით ერთად იარეს
ჩემი ვაჟებიც აიყოლიეს, ერთად ბაღდადი შემოიარეს
მაგ რამ შავლანს (შაროელის ძეს თქვენში ასეთი შეარქვეს გვარი)
მეტი აქვს წვლილი ამ დიდ ღალატში და ყველა ერთად აშოტთან არი
კახელებს სცემენ, განა კახელი არაა ჩვენი ძმა და მოგავრე
ერთს მოვუფრო, მეორეს ვემტრო, შვება ერთგვარად ყველას მოვგვარე?

**გურანდუხტი –**

ერის თავებო, თქვენი კამათი თუ თან არ დასდევს ცოდნის ლაზათი
რაც უფრო მეტად გაიწელება, მეტად გახდება ჭორთა კალათი
ამიტომაც ჯობს შეწყვიტოთ დავა, გამოშუქდება სიმართლე თავად
როცა საჭირო დადგება ჟამი, გადაიქცევა ქიშპობა ზავად
ჩვენ უფრო რთული მოგველის საქმე, როცა სამოელ კათალიკოსი
მხლებლებთან ერთად ჩამობრძანდება, როგორც მეუფე მღვდელთა სამმოსი
უნდა მზად დავხვდეთ. ჩვენი ვალია ერმა იხილოს მეფის კურთხება
გვირგვინი აქ გვაქვს, მეფეს არ შვენის, ზეიმის ჩაშლა, უკან დახევა

*/შემოდის ერისთავი შავლიანი. შემოაქვს ხელდაბორკილი შვილი/*

**შავლიანი უფროსი –**

ჩემო ხელმწიფევ. ჩემ გაჩენაში არა ჰქონია სიკეთეს წილი
დიდხანს ვიარე ამ ქვეყანაზე. დღეს დაესმება ამას წერტილი
რას ვიფიქრებდი, მაგრამ რაც მოხდა, იმას ვერაფრით მოვიგონებდი
ძმა–ძმას ღალატობს, მამა შვილს ერჩის, შევიშალე თუ ეშმას დავნებდი?
თვითონ განსაჯე. მე ვერას ვიტყვი, ეს ჩემ გონებას აღემატება
მხოლოდ მოვყვები რა როგორ იყო, არ დამჭირდება სხვის დამატება
როგორც მიბრძანე, ქალაქს ვუთავე, ყველას ვუჩვენე საჭირო რიგით
შენი კურთხევა, რომ წესით იყოს, იცოდნენ, გვჭრეტდნენ, იყოს წესრიგი
ამ დროს მაცნობეს ქალაქის კარებს ვიღაც საეჭვო უახლოვდება
ვბრძანე შეპყრობა და გაკოჭილი ვნახე, თავს ვწყევლი, ასე რად ხდება
ჩემი ვაჟკაცი, შენი ბრძანებით, მოღალატეებს ადევნებული
შემდეგ ღალატში ფეხჩაყოფილი, ცოდვის ჩამდენი, ჭკუით ვნებული
უცნაურია. ვიდოდა ლაღად. ლხინში მიმავალთ როგორც სჩვევია
თითქო მამულის დაცვის ჭაპანი საკუთარი მხრით გაუწევია
მხარგაკოჭილი აქ მოგიყვანე, ყველა ღალატის ამბავი იცის
მე უარს ვამბობ მის მამობაზე, ვინც გამტეხია სამშობლოს ფიცის.

**ლეონი, მეფე აფხაზეთისა –**

უფალო ჩემო, რას მოვესწარი, მამა–შვილს შორის ჩამდგარა მტრობა
ჩანს ყველაფერს აქვს თავისი ჟამი, სიმართლეა თუ მატყუარობა
ვბრძანებ შეუხსნათ სწრაფად ხელები, მეახლოს როგორც მვირფასი შვილი
მისი აქ მოსვლა აი ნიშანი. დიდ საქმეებში დიდი აქვს წვლილი

მოკლედ მითხარი ბრძოლის შედეგ ი. დანაჩენს თავად ავუხსნი სტუმრებს
რა მოხდა ქართში. როგ ორ იომეთ, რა მომლოდინე თავებს ახურებს.

**შავლიანი უმცროსი –**

დიდო მეფეო, დავწინაურდი, რადგ ან ასეთი მქონდა ბრძანება
მოსვულიყავი შენ ფეხთა წინა, სათქმელს უხდება არ დახანება
გ ამარჯვებული ბრუნდება ჯარი. ჯავრი გ ულს ახლო არ გ აიკარო
ამ მოკლე ცნობით უნდა იხარო, შავი ფიქრები გ ადაიყარო.

**ლეონი, მეფე აფხაეთისა –**

შენგ ან მოველი მხოლოდ სიმართლეს, რაც კაცს უმატებს თვალში სინათლეს
თუ მხოლოდ ძველი ცოდვები ვთვალეთ, როგ ორ აღზარდეს, რა დაანათლეს
მომავალს ვინღა შეეჭიდება, უცხოს ვინ შექმნის და ხელს რად ახლებს
ძველის წიაღში ჩნდება ახალი, ძველისგ ან დაცვა სჭირდებათ ახლებს
მოკლედ მოჭერი, რა ომი იყო, რა მოხდა ქსანის, ლიახვის ახლო
ეს ხეობები ვის დარჩა ბოლოს, ვისი იქნება იქ სამოსახლო
ჩვენ თუ აქ გვინდა ახლის შენება, რასაც ემახდნენ ეგ რის, ლაზეთი
ქვეყანა დიდი აიეტისა, გ ამორჩეული სილამაზეთი
ბიზანტიელი აფხაზეთს არქმევს რიზედან ზევით ნიკოფსიამდე
მეც აფხაზეთის სამეფოს შევქმნი, კვერი დამიკარ თუ გ ინდა მწამდე
აფხაზთ სამეფო ლიხს ებჯინება, გ ვეხება ლიხის იქით რაც ხდება
შორს მაცქერალი გ ზას დაინახავს, ბრმა საკუთარი ბიჯით წახდება
მარტონი არ ვართ წუთი სოფელში, სხვისი მასავით ვიცოდეთ წვრილად
რაც ჩვენი ქვეყნის ნაპირას ხდება, უფრო დიდ ჭირად იზრდება ხშირად.

**შავლიანი უმცროსი –**

ჩემო ხელმწიფევ, ჩემო უფალო, ვის რა ვეფიცე, ვის რა ვუთვალო
თეოდოსისგ ან ვარ დამომღვრილი, ვიცი რა ვარგ ო და რა ვუთვალო
დანაბარიდან თუ შემცდა რამე, მაშინ შავბნელი დამიდგ ეს ღამე
აღარ მეღირსოს აისის ხილვა, ქვეყნის წახდენის გ ავხდე მოწამე
დღეს თეოდოსი მიჩნეულია ღალატის თავად და როგ ორც წესი
ისმის გ ინება. რადგ ან შენ გ არდა არავინ იცის მისი ნათესი
მისი თხოვნაა, ჯერ გ ავურკვიოთ რა მოხდა კარგ ად, რა იყო ავად
ისე არა ვქნათ გ ანსჯის გ არეშე ბრმა ვცნათ ხილულად, თეთრი ვთქვათ შავად
ძალზე ძნელია სიტყვებით ომი, ბევრჯერ ხანჯალი უფრო იოლობს

აზრი აზრს მისდევს და ეჭიდება და ვერ გაიგებ ვინ რისთვის ბრძოლობს
მე თეოდოსი სიცოცხლედ მიღირს და მინდა ჩემებრ ყველა ხარობდეს
რად ვარგა კაცი უქმად მეტყველი, ვის დაბადებას დედა ნანობდეს
ჩვენ, სამშობლოსთვის დაბადებულნი, თეოდოსს ვსდევდით, შევაჯეთ გულნი
შევამხანაგდით, ერთად ვიომეთ, და ერთმანეთის გავხდით ერთგულნი
სხვაზე არ ვიტყვი, აგერ ვარ მონა და თუ მოსმენა ჩემი ინდომა
მეფეს მივუგებ რა მოხდა ქართში, რისი გვინდოდა ყველას ახდომა
შენგან მოცემულ აფხაზთა ჯარით კურაპალატთან გავერთიანდით
საერთო ძალით დავცხეთ ამირას, სისხლის მსმელები მშიერ მგლებს ვგვან-
დით
ქართის ნაწილი ის მიდამონი ამირას წილი სამკვიდრონია
იქიდან ქვევით დავეშვით ფიცხლად, არ დავუტოვეთ გრიგოლს დრონია
არაგვის გაღმა გადავირეკეთ, აშოტის ჯავრი ერთად ვიყარეთ
ქართი მის ბატონს შემოვუმტკიცეთ, ჩვენი ერთობის ძალით ვიხარეთ
აშოტი არი არჩილის სისხლის და მისი ჯიში დაგელავს ვიდრე
სამეფო გვირგვინს დაეუფლება როგორც ძლიერი და თან მემკვიდრე.
შენზე ამბობდა, რომ მირის შემდეგ მეფობის ღირსი აქეთ შენა ხარ
თქვენ ორმა უნდა იხსნათ მამული მიტომ უყვარხარ, საფიცად ყავხარ
თეოდოსი ხომ მისი სიძეა, თქვენ ამ ერთობით უნდა იხაროთ
მოდის მეფობა რომ მოგილოცოს, გულს დარდი ერთად გადაიყაროთ
აფხაზთა ჯარი ბრუნდება უკან ამ გამარჯვებით გალაღებული
ჯართან სტუმრები, დიდო მეფეო, რომ შენი მზერით გაითბონ გული
მათ შორისაა კათალიკოსი რათა გვირგვინი მეფის დაგადგას
დიდებულები, ერისთავები, შენთან მომავალ შარას ვინც ადგას
ყველას მოუძღვის დიდი სარდაფი და სიმაყით უბრწყინავს თვალი
ხამს თეოდოსი გმირად შერაცხონ, ეყო რაც იყო ვითომ საწყალი.

**ლეონი, მეფე აფხაზეთისა –**

ერის შვილებო, მივმართავთ ყველას, ვისაც მივიპყრობ სმენას და მზერას
უნდა გაუწყოთ რაც დიდხანს ვმალე, მოუტანია რაც ბედისწერას
დღეს ის მიზანი მიღწეულია, აფხაზთ სამეფო აგვხადე ფართო
ის რაც სამსხვერპლო იყო მოთავდა, დღეიდან უნდა მშვიდობით ვმართო
ისმინოს ყველამ, როცა სამეფო გვირგვინს დავიდგამ და ფიცსაც ვიტყვი
აღარ დამრჩება გულს რამე ხინჯად, თუ გულმართალი ვიქნები სიტყვით
სიმართლე ცოტა უცნაურია, ზოგმა ეგება ვერც დაიჯეროს

რაც წელიწადზე მეტია ვმალე, სხვის დასაფარად შემოდე ჩეროს
ახლა გვამჟღავნებ და თუ განზრახვით ცილი დავწამე, ბოდიშსაც ვიხდი
მართალი იყვნენ ჩემი ბიცოლა და უმცროსი ძმა, გვიანღა მივხვდი
აზრი, რომელზეც უნდა მოგითხროთ თეოდოსს ადრე მოსვლია ჭკვაში
შემდეგ ბიცოლა გურანდუხტს ანდო, ვარაუდების შეცურეს ზღვაში
ბოლოს მე მითხრეს და ვიუარე, შემდეგ ათასგზის შემომიარეს
ხან დამიყვავეს, სურდათ გატეხვა, ხან გამაბრაზეს და გამამწარეს
დამითანხმეს და კვერი დავკარი, შინაგან ტანჯვის ჩამოვკარ ზარი
იმდენი ხანი გავიდა შემდეგ, მძიმე განცდებით ვარ ცოცხალ–მკვდარი
ჯერ კიდევ როდის, ბიძა ლეონი ამ ნაბიჯისთვის ემზადებოდა
ლაზთა სამეფოს აღდგენა სურდა მისი მცდელობით თუ მოხდებოდა
შემდეგ მე გავხდი აფხაზთ მთავარი და გახდა ჩემი გადასაწყვეტი
ეს იყო ჩემი გასავლელი გზა, ეს იყო ჩემი სინათლის სვეტი
ბიცოლა ჩემმა და თეოდოსმა მიზნის შესახებ კარგად იცოდნენ
ვემზადებოდი, ძალებს ვიკრებდი, მშველოდნენ რადგან საწადელს გრძნობდნენ
ეს თეოდოსის იყო იდეა, ვით მოღალატე და განდგომილი
იმათ სწვეოდა, აზრი გაეგო, ვისთვისაც უნდა დამეფრთხო ძილი
როცა დავთანხმდი მოსინჯა ყველა, ჩუმად მაცნობა რაშია შველა
ვინ მტერი არი და ვინ მოყვარე და თუმცა თავად ბევრჯერ ემნელა
სახალიფატო შემოიარა, შედეგმა იცით არ დაახანა
ბიზანტიასთან განახლდა ომი. ორივე მხრიდან ჩვენ აგვცდა დანა
მან დაგვიმოყვრა კურაპალატი, დღეს ამ ერთობით ორივე ვზეობთ
ერთი–მეორის ქიშპსა და ჯიჯგნას, ერთი–მეორის სიკეთეს ვრჩეობთ
საერთო ძალით დავცხეთ ამირას, კახელებს კუდით ქვა ვასროლინეთ
ლიახვისა და ქსნის ხეობები ვათავისუფლეთ, გავაძლებინეთ
ხვალ უფრო მეტი გვექნება ძალა, აღარ ვიქნებით მტრებს შორის ცალად
დღეს თეოდოსიც უკან ბრუნდება, ეყო რაც დათმო, რასაც ეწვალა
რასა ფიქრობდა ბიძია ლეონ, მისი სიმამრი სულმნათი მირი
მე შევასრულე ჩემ ძმასთან ერთად, დიდი მომავლის გავხდი საყვედრი
როცა თეოდოს, ქორწილის შემდეგ, არტანუჯიდან დაიძრა აქეთ
იყო ნიშანი ლიხამდე მისვლის. ის გამარჯვება ვპოვეთ და ვაქეთ
ძველი სამეფო აღდგენილია, ჩემთან ჩემი ძმის დიდი წვლილია
თუმც მოღალატეს ეძახდნენ ხშირად და მისი წყევა არ დაილია
დღეიდან უნდა იცოდეს ყველამ, ის მოღალატე დიდი გმირია

შეამაყება მე მისი ძმობა. ტკბილი და მწარე თუ აირია
დავლაგდებით და მივუზღავთ კუთვნილს. მან ეს პატივი დაიმსახურა
აღარ იქნება გაორებული, არ ჩაითვლება ის უსახურად
უფრო მეტს ვიტყვი. გვაქვს მაგალითი, როდესაც ძმები მირი, არჩილი
ერთად მეფობდნენ, ჯაფას იყოფდნენ, ერთი–მეორის გული და ჩრდილი
ჩემი სურვილი არი ასეთი: სამეფო დიდი აფხაზეთისა
ორივემ ვმართოთ, ერთად ვიმეფოდ, ვიყოთ გამკვლევი საერთო გზისა
მე თუ ვარ მეფე, ის თანამეფე, ჩემ შემდეგ გახდეს ყველას უფალი
გუბაზის შემდეგ, ლეონის შემდეგ, მან გაიტანოს მეფობის კვალი.


ბაზალეთი

(1626 წლის შემოდგომა)

**მოურავი**

უმადურობავ, შენ რომ არ იყო, მადლიერების რა ვიცით ფასი,
ვარ მოძმეთაგან მოძულებული, ვცანი სიმუხთლე მრავალ ათასი.
ვინც ავამაღლე, იმან დამამცრო, ვინც განვადიდე, ვეჩვენე კნინად,
ახლა ეკალი რატომ მოვკრიფო, სად ვარდი მქონდა დარგული წინად,
რაც ასი კაცის არის საზომი, მოყვრობაა თუ ფიცხელი ომი.
მიკეთებია თავაწყვეტილად, არა ვყოფილვარ სიხარბით მდომი,
ჩემი ქვეყანა სიტურფით სავსე და იქ მცხოვრები ყველა ქართველი
შემომყურებდა იმედის თვალით, ვიწვოდი როგორც წმინდა სანთელი,
დავღლილვარ ფიქრით, დავღლილვარ ჯავრით, არა მჩვეოდა ბრძოლებში დაღლა,
სამშობლოსათვის შემართებული, როგორ ვეომო ჩემ მოძმეს ახლა?

**მროველი**

შვილო გიორგი. ხარ ჩემი მრევლის, მწამს შენი ნიჭის, კაცობით ელვის,
მიტომ გაწვიე, არ ხარ მოთავე გლეხკაცთა ხოცვის მამულის თელვის.
მწამს მოიგონებ რაღაცა ილეთს, მოძმის სისხლით არ შეღებო ხმალი
ეგება სიტყვით აქ გადავწყვიტოთ, ვინ მტყუანია და ვინ მართალი?

**მოურავი**

შენ კარგად გახსოვს მამავ მროველო, ფეხქვეშ გავეგე ვით მწვანე მდელო,
ვუერთიანე ქართლი–კახეთი ჩემი მამული და სამლოცველო,
განა ვაყვედრი, მეფეა მაინც, მმართებს ერთგული გარჯა და ყმობა,
და თუ რაღაცას უკეთ ვაკეთებ, არ ვუტოლდები, არ ვითხოვ ძმობას.
მაგრამ, ერთგული სამსახურისთვის არ უნდა მდევდეს ღალატის შიში,
არ მინდა, დამკლან ძილს მიცემული და მერე იწყონ მოთქმა, ვიშვიში,
ამიტომ იყო, ამ ზაფხულს გთხოვე, შენც არ დამზარდი და მიერთგულე,
მიშუამდგომლე, მიზეზი ჰკითხე, რატომ ლესავენ დანებს და ცულებს.
არ თქვა, არა მტრობს, ამის მიზეზი ლუარსაბ მეფის სიკვდილი არის,
თითქოს, მე მედოს ამისი ცოდვა, მე გავუთენე დღე საწუხარი.
ამ დალოცვილებს ის ავიწყდებათ, რაც თვითონ ავი ზრახვა ჰქონიათ,
თუ რამ კეთდება, ამათი არის, თუ გაფუჭდება, სხვისი ჰგონიათ,
არას მოვყვები, თავადაც იცი, მეფის სიკვდილში არ მიძევს ხელი,

არ მიმღვის ბრალი, სხვისი ცოდვებით რად გავიმწარო წუთისოფელი?

**მროველი—**
შენს დიდკაცობას, მეფის სიქველეს, არ ვიცი, ბოლოს რა ემართება,
ერთი იქით წევს, მეორე აქეთ, ორივე გლეხკაცს რას ემართლება?
აბა, იფიქრე, ხვალინდელ ომში გამარჯვებული, განა, იქნება?
ვინც უნდა მოკლან, არის ქართველი, ნუთუ, ესაა დღეს შენი ნება?
როცა გვიჭირდა, მარაბდის ველზე ჯვარი მეპყრა და წელს მერტყა ხმალი,
ვაზიარებდი ერს სასიკვდილოდ, არ ამვსებია ცრემლებით თვალი.
ხვალ სხვა იქნება, მინდა, დაფიქრდე, ვის გინდა, მოხვდეს შუბი ტანგრძელი?
რომელი არის, არ იყოს მოძმე, რომელზე გინდა, აღმართო ხელი?

**მოურავი—**
შენ ისე ამბობ, უფალო ჩემო, თითქოს მე ვიყო შუღლის სათავე,
ცოდვა, რომელიც ქვეყნად ტრიალებს, მე მომაყარე და დაახვავე,
რად მომეკითხოს მე სხვისი ცოდვა, სხვის კალოს რატომ გავხდე მლეწავი?
ვინც მომაყენა ათასი წყენა, რად ვიქცე მისი გზის დამლოცავი?

**მროველი—**
მე ის არ მითქვამს — ხარ უცოდველი ან უნდა ზიდო სხვა კაცთა ცოდვა,
ღვთის მსახური ვარ, არა მჩვევია საერო საქმის ჭორვა და ბოდვა,
მე ის გითხარი, ხარ მოურავი, შენ გევალება სამეფოს მოვლა,
ერს მიაჩნიხარ მამად და ფარად, ვის არ სჩვევია ჭმუნვა და მრწოლა,
ყოველი გლეხის შენ ხარ იმედი, შენ შემოგყურებს მხნე და ბოგანო.
შენ უნდა მისცე მშვიდობა კერის, ცრემლი შეუშრო, სისხლი მოჰბანო
და ხვალ თუ გლეხკაცს შემოჰკარ ლახტი, არ გაერიდე და არ უგანე —
რით განსხვავდები სხვა თავადთაგან, რით არ მიჰგევხარ ყველა უგვანებს?
შენი ცოლის ძმა ქალს რომ აბახებს, ქმარს ყელს გამოსჭრის, შემად უკეთებს
გაგიტოლდება ხვალ ბრძოლის ველზე, ვერ გამოარჩევს თვალი უკეთესს.
მე ეს არ მინდა, არ მინდა, ის თქვან, რომ მოურავი მოძმეს მტერობდა,
ერს უნდა დარჩეს მოსაგონებლად შენს გმირობაზე რასაც მღეროდა.

მოურავი—
ერის შვილი ხარ ავალიშვილი, უწმინდესი ხარ მამა მროველი,
უწყინრად მითხარ რა ფიქრი მტანჯავს, რასაც განვიცდი, რასაც მოველი.
ბაზალეთის ველს მოვსულვარ ჯარით, რომ შევუტიო ყიჟინით, ზარით

შემოვკრა, ორად გავაპობინო ვერ დაიფარონ ჯაჭვით და ფარით.
სვიმონ მამაცის გამოზრდილი ვარ, მეფე იყო და კიდეც მეფობდა,
ქვეყნის ყოველი კუთხე სტკიოდა, მისთვის ბრძოლაში დაღლას ვერ გრძნობდა
სამშობლო იყო მისთვის კახეთი, სამცხე, გურია და აფხაზეთი,
აღმაშენებელს რაც აუგია, მისთვის სისხლს ღვრიდა წვეთი და წვეთი.
ყმაწვილი ვიყავ, მამასთან ერთად პირველდ ბრძოლაში როცა მაწვია,
მას შემდეგ ვიბრძვი საქართველოსთვის, ტანზე აბჯარი მუდამ მაცვია.
მე ეს შევიძელ, ერთ სამეფოში ქართლი–კახეთი ვაერთიანე,
სამცხე–იმერეთს თუ მივუმატებ, რით არ ვიქნები სვიმონის მგვანე?
გაზრდილი გამზრდელს უნდა ჰბაძავდეს, არ დაიზაროს და არ დაზავდეს,
მოირთოს ძალი და მონდომება, ამიტომ გვწყრთნეს, ამიტომ გვზარდეს.
ამ დიდ საქმისთვის მზადა ვარ ბრძოლად, მტერს მოვევლინო რისხვად და მრწოლად,
ვარ მოურავი და არა მეფე, მეცადოს ჩრდილში წამოსაწოლად,
მაგრამ არ მინდა მოძმესთან ომი, არ ვარ მოშურნე და სისხლის მდომი,
რა ვქნა და როგორ გავაჭრევინო, არ მაქვს სასწორი, სიგრძის საზომი,
შენ კარგად მიცნობ, რაც მოიმია, მტერს ვსპობდი, ძმასთან არა მქონია,
მაგრამ ამათი დაუნდობლობა შენც იცი და მეც გამიგონია.
დავინდო, აქეთ რომ არ დამინდონ, იმათ გავუგო, მათ არ გამიგონ,
განვერიდო და გამომეკიდონ, მუხანათობის მახე დამიგონ,
ხომ ჩაიშლება საქვეყნო საქმე, უსაგნოდ ზედ მე შევეწირები —
საღამოს აქეთ ეს აზრი მტანჯავს, აქეთკენ ქრიან ჩემი ფიქრები.

**მროველი —**

ასეც ვიცოდი, შენი ჯილაგი არ ჰგავს გამყიდველ და წუწკ თავადებს,
ერი დალოცავს იმ ქალის ლეჩაქს, შენნაირ გმირებს ვინაც დაბადებს.
შენ მე მომენდე, რუისში გითხარ, შუაკაცობა რაკი ვითავე,
მე გავარიგო მეფესთან საქმე, ყველა საკითხი ტკბილი თუ მწვავე.
ამ მიზნით ვუხმე ზურაბ ერისთავს, მითხრეს, მოსულა და მელოდება,
ვინძლო მორიგდე, შემოირიგო, რომ ავიცილოთ წყევა–გოდება.
მერე ვთხოვ მეფეს, შეგხვდეს, შეგრიგდეს, კვლავაც ვიძმლავროთ ერთობის ძალით,
არ ვუყურებდეთ ძმას და ნათესავს უნდობლობისა და მტრობის თვალით.

**მოურავი —**

ზურაბ არაგვის ერისთავს, იცი, თუ რამ კაცური უკეთებია,
ჩემი მოთხოვნით იყო ყოველი, მარჯვენა ჩემი თანა ჰხლებია.

დღეს რომ დიდგულობს, ასე სად არის, ვის მფარველობამ ზარდა და ჭედა?
მე ვიყავ მისი ჭკუის მომღვარი, სიკეთის მამა, სურვილის დედა.
მოვიდეს, მითხრას, რას მემართლება, რად მიღალატა, მტრად მომეკიდა,
რაც აბადია, ჩემით იშოვა, თავისით არც რა ჩამოდის ციდან.

**(შემოდის მსახური, უკან მოსდევს ზურაბ არაგვის ერისთავი)**

**ზურაბი**

ეპიკოპოსებს, მამავ მროველო, მე შენი სახით პატივს მივაგებ,
თუ ღვთის საგმობი მიკეთებია, მოვინანიებ და პასუხს ვაგებ,
მაგრამ რად გინდა, მოსისხლე მტერთან, ვისგანაც მახსოვს წყენა და შური,
ვილაპარაკო ავზე და კარგზე, ასეთი რა გჭირს საქმე საშური?
გამოვეშურე, მეგონე მარტო, ვიფიქრე, ვეტყვი, რაიც გადამხდა,
კი იყო სიძე, მაგრამ განმიდგა, ერთ დროს მოყვარე მოსისხლე გახდა.
მალე ვაოტებ, მე ვერ მოვითმენ მეფეს და სიმამრს ერქინებოდეს.
დავუწიოკებ ნაშიერს, ნაშოვნს, ისე გარბოდეს, გზას ვერ ხვდებოდეს.

**მროველი**

ბატონო ზურაბ, მთიულთ ბატონო, უნდა დაიცხრო რისხვა და ვნება,
უნდა შეიძლო, ქვეყნის გულისთვის მტერ–მოყვარესთანერთად შენება.
მოურავთან კი შენი მტერობა, არის ორივეს მტერთა მცდელობა.
უნდა მოძებნოთ საერთო ენა, გაგწვდეთ კაცობა და სულგრძელობა,
დღეს თუ სამეფოს რაიმე უჭირს, ეს წაკიდება მომავლად უღირს.
თქვენ თუ ერთმანეთს დაეტაკებით, გზას გაუწმენდავთ უგვანოს, უღირსს,
ამიტომ გიხმეთ, უნდა დაზავდეთ, თუ გინდათ, ერში კვლავ დიდათ ჩანდეთ,
ვინ მეტი დათმო და ვინ ნაკლები, ამისი განსჯა მომავალს ანდეთ.

**მოურავი**

წმინდა მამაო, როგორც ყოველთვის, სიმართლეს ამბობს შენი ბაგენი,
მეც ვფიქრობ, ზურაბს რა ვაწყენინე, ვეძებ და მიზეზს ვერ მივაგენი.
როცა დავმოყვრდით, იყო ყმაწვილი და ვზარდე, როგორც უფროსი შვილი.
თუკი რამ მქონდა, თუ რამ შემეძლო, ვით სუფრა იყო მისთვის გაშლილი,
ვიდრე ნუგზარი, ჩემი სიმამრი, მთაში ვერ ჰპოვებ რომლისაც მსგავსებს,
გვერდში მედგა და მეხმარებოდა, ზურაბიც იყო სიკეთით სავსე.

ნუგზარის მერე ერისთავობა სხვა ძმისა იყო, ასეა წესი
და თუ ზურაბი მთას გაბატონდა, ჩემი იყო ცდა და დანათესი.
მარტყოფის ომში ერთად ვჭედავდით მტერზე მამულის გამარჯვებასა,
გაჭირვებაში ერთად ვიდექით, არ გეტყვი მხოლოდ დალხინებასა.
ახლა რა მოხდა, რატომ მიგანა, იწყო ვედრება და მიმოტანა,
რაც ვიყავ მისთვის, ის ივე დავრჩი, იგ ივ გიორგი არა ვარ განა?

**ზურაბი** ——

რასაც ეს ამბობს, სიმართლე არის, მაგრამ ცალმხრივი არის მსჯელობა,
ეტყობა, ასაკს გადააყოლა საღი განსჯა და აზრის მსჯელობა,
ეგ ისე ყვება, თითქოს ერისთავთ მაგ ის წყალობა დასჭირვებია,
იქნებ, გვიამბოს, როცა უჭირდა, ვის შეეფარა, ვისა ჰხლებია,
თან დაამატოს, მამა ბატონი ვის გამო იყო, შაჰს რომ ეწვია,
ეგებ, ჰგონია, ლხინს მიდიოდა, რომ საცეკვაოდ გამოეწვია.
მაშინ ლუარსაბ შაჰთან მოყვრობდა, როგორც სიძისგან სიყვარულს გრძნობდა.
თუ არ უნდოდა ჩვენს მეფეს ვინმე, იმას მოკვეთდ შაჰიც არ ცნობდა.
ეს მაშინ მამამ უშუამდგომლა, მასთან იმისმა შვილმა და ცოლმა.
დღეს ეს სიკეთე დავიწყებულა და რისხვა მკადრა ვით ცალმა, ტოლმა..
ეგ თუ ვაჟკაცობს, რით ვარ ნაკლები? —— მარტყოფის ბრძოლა ხომ მე მოვიგე,
ჯარი შევკრიბე, თავად ვუსარდლე, ეგ მტერთან იჯდა, როგორც მორიგე,
მაგრამ მანამდე, როგორ მიმუხთლა, ცოლი შაჰის კარს დამაგდებინა,
არ თქვა, რას ფიქრობს, არ მენდო დროით, ალბათ, იფიქრა, ეგ ვინ —— მე ვინა,
ეგ თუ არ მენდო, მე რად ვენდობი? სიმუხთლის წილად, თუნდა სიძესა
ჩემს მამულში დგას უცხოთა ჯარით, მემუქრება და ბრძოლად მიწვევსა
და ამას გარდა, თავად განსაჯე, მარტყოფის შემდეგ ბატონი ლელა
უნდა შევრთოო —— პირობა მომცა და გაიწყვიტა ფიცილით ყველა.
ვითომ იმ ქალის დევნა-დევნაში კახეთს მაომა, და უფრო მეტი,
კაბალ, ყარაბაღ, განჯა დავლაშქრე, ალბათ, ამიტომ ვეგონე ცეტი.
ვერ დაინახა ჩემი სიკეთე, ვერ შეიშნოა ჩემთან სიძობა,
მთლად მთიანეთის მსურდა დაყმობა, წინ აღმიდგა და მიწყო მიძობა.
მროველო, ნახე, სანაცვლოდ მეფემ კარგად იგუა ჩემი ბუნება,
კახეთთან ქართლში როცა ვამეფე, გამოვუკეთე როცა გუნება,
ჩამისიძა და შვილად მიმიღო, მომიფერა და პატივი დამდო,
ჯარი შეკრიბა, სარდლად დამნიშნა, სამეფოს ბედი უცილოდ მანდო.
ახლა შენ ამბობ, მეფეს განვუდგე, დავთმო მოყვარე და ნათესავი,
იმას მივენდო, ვინც არ დამინდო, შელახა წესი და სალოცავი.

**მროველი**

მე ის არ მითქვამს, რომ მეფეს უმტრე, გულს არ გაივლო ავი ზრახვანი,
გვიანი არის გზის არჩევანი, როცა გადადის ფონს ქარავანი,
მაგრამ თუ მალვიმს ფონს გადასულმა დაისვენო და გაიშრო ტანი,
რატომ იჩქარი ტვინნაღრძობივით, რომ გახდე გზაში კერძი სატანის.
შენ ფონს გასულხარ და ასე ფიქრობ, რაც გამოვზიდე, ახლა ჩემია,
არ ანგარიშობ ვისი რა არის, ვისთვის რამდენი მისაცემია.
წინ გზა გაქვს გრძელი და ქარავანმა, რაც გაქვს მიზანი, მისვლა რომ შეძლოს,
ვინ რა გიბოძა გზის დასაწყისში, დამახსოვრება უნდა შეგეძლოს.
ზოგჯერ მოხდება, ძველს დაივიწყებ, გადაყურები როდესაც ახალს,
რამდენი მწარედ გაწბილებული იმდუღრება და თავს კედელს ახალს.
მხოლოდ ის მინდა, იმიტომ გთხოვე, გული გაგიხსენ და ჩავუქსოვე,
როდესაც ახალს მოიგდებ ხელში, ძველს ნუ დაკარგავ ნუ მიატოვებ.
შენ შეგიძლია, ჩადგე შუაში, თუ დაგიჯდება ეს რჩევა ჭკვაში
და შეარიგო პირისპირ მდგომნი, ხმალს არ მოჰკიდონ ხელი უუაში.

**მოურავი**

ისე რთულია ვრცელი ქვეყანა, აღარც კი ვიცი, სად რა ეყარა,
ხშირად ტკივილი უგრძვნია იქ გულს, ვისთანაც უნდა გულით ეხარა,
ზურაბი თუმცა იყო ცოლის ძმა, მაგრამ შვილებში ვერ გავარჩევდი,
თუ რამ შემეძლო მოყვარულ მამას, როგორც ნუგზარი კვალდაკვალ ვსდევდი.
მე თუ რამ მახსოვს, ალბათ, ასეა, მას უფრო მეტი უნდა ახსოვდეს,
ტკბილი წლებისგან მცირე წყენისთვის უმადურობის ბადეს არ ქსოვდეს.
მისაყვედურა, ჩემი სიმამრი, თურმე, ჩემ გამო სპარსეთს ვიდოდა,
თან არ იცოდა, რა შეხვდებოდა, ავი თუ კარგი გამოვიდოდა.
მას ავიწყდება ვინ ვიყავ მაშინ, რისი შემძლე და რას განვაგებდი,
როგორ ვანგრევდი მტერსა და დუშმანს, სად, როგორ, რამდენ ციხეს ვაგებდი.
საავკამეთა გვარის შვილი ვარ, ჯიშით არ მოგვდგამს დიდთავადობა,
მაგრამ მეფისგან დიდკაცობისთვის ათასჯერ გვესმა დიდი მადლობა.
ბაგრატიონებს არ ვუტოლდებით, მაგრამ რითი ვართ სხვაზე ნაკლები,
დიდი დავითის დროიდან ვიცი, ჩემ წინაპართა ამოსაკრები.
ჯანზურაბ იყო ის წინაპარი, თამარ მნათობი ვისაც სწყალობდა,
ბაგრატ დიდს ახლდა დონა სულმნათი, მის სამსახურში დაღლას არ გრძნობდა.
გიორგი პაპა პირველი იყო, თუ ვინმე იყო ტახტის ერთგული,
გინდ მამაჩემსა და გინდ ჩემ ბიძებს სამსახურში არ აღმოხდათ სული?

მეფე სვიმონმა, უმამაცესმა, რომლის დიდებას ვერ აღწერს ენა,
რომელს სტკიოდა მთლად საქართველო, ქართველი კაცი, იმისი რწმენა,
არ განადიდა, განა, სიაუშ? მოურავობა არ უწყალობა?
თუ რამ გვკლებია საქაკამეებს მოღალატეთა კოცნა და ძმობა,
ისე გამოდის ზურაბის სიტყვით, ბოგანო ვარ და მას თავს ვუტოლებ.
მან თავისი თქვა, მე ჩემსას ვიტყვი, პირს ტყუილებით არ ავიყროლებ,
პირველ ბრძოლაში შემნიშნა მეფემ, შემაქო, გულით გავიხარენი.
სოფელი ლისი მომცა წყალობით, ტბა და იმისი შემოგარენი,
მოურავადაც დამნიშნა ბოლოს და, რაც შევიძელ, სულ ცნობილია.
ამის გამოა, დიდ თავადთაგან შური და წყენა არ დაილია.
როცა დავმოყვრდი ერისთავ ნუგზარს, სახელიც მქონდა და გვარიც მქონდა,
სამეფო საქმეს სიკეთით ვჭედდი, სადაც არ ჭრიდა, მალით გამქონდა.
ნუგზარის გარდა, მხარს მიმშვენებდნენ ერისთავები, მუხრან ბატონი,
ხერხეულიძე და ციციშვილი, რომელი არის, რომ გადასწონი?
როცა წავკისში მოკვლა მინდომეს, ამიწიოკეს ნოსტეს კერია,
რომელი იყო ტოლს დამიდებდა, მამაცი იქ ვინ გამოერია?
შემეძლო მარტოს სპარსეთში წასვლა, ცხენები მყავდა და გზაც ვიცოდი.
კიდეც ვუტიე, მერე დავფიქრდი, მტრის ბანაკისკენ რატომ ვიდოდი,
მე ქართლში მყავდა მოკიდებულნი, მათთან თათბირი თავს ვალად მედო.
გუშინ რა ვიყავ, ხვალ რა გავხდები, მარტო არ ვიყავ, ხიდი გამედო,
ნუგზართან მოველ არა ლტოლვილი, შიშმა და ელდამ მიწას რომ დასცა,
უნდა გამეგო მტერი–მოყვარე, მოკვლის ბრძანება რომელმა გასცა.
უნდა მცოდნოდა, ჩემი დაცემით, ჩემ მომხრეთ ხვალე რა მოელოდათ.
თავს ვუშველიდი, რომ წავსულიყავ, მაგრამ ეს ფიქრი გულს მაწვა ლოდად.
ამიტომ იყო, ნუგზარს ვეწვიე არა ვით მფარველს, ვით მოკავშირეს.
მტრებმაც რომ ნახეს, ისევ ქართლში ვარ, სხვათა აკლებას ვერ მოუხშირეს.
ჩვენც ვითათბირეთ, რა რად გვიღირდა, შემეძლო მაშინ თვით მეფის ტყვევნა,
შადიმანია თუ ფარსადანი, ჩამოსახრჩობად ყულფის მოხვევნა.
თათბირის მერე ჩვენ ავიცილეთ უღირსთა ხოცვა და შინაომი,
ქართველისათვის ლახტის შემოკვრის არა ვყოფილვარ არასდროს მდომი.
სპარსეთში ადრეც ვიყავ ნამყოფი სხვის მეგზურება არ მჭირდებოდა
და ნუგზარი თუ წამომყვა მაინც, საერო საქმე ესწრაფებოდა.
ახლა ზურაბის თქმით ის გამოდის, თითქოს უნდილი ვიყავ თავიდან,
ქვეყნის ორგული, მტრისგან ნაცემი, რომელი ახსოვს ჩემი გვარიდან?

ზურაბი —

თუ მამა იყო კავშირის თავი, თქვენს შორის იყო ძმობა და ზავი,
თუ ერთი გქონდათ კერიას ცეცხლი, ერთი აღვირი და მოსართავი,
განა, არა ვარ მე მამის შვილი, შენ გმირობაში არ მიძევს წილი,
სპარსეთში რატომ არ გამეხსენი, არ გამიმხილე საქმის ნაწილი?
ეგებ არ ვიყავ ღირსი ნდობისა, ან არ ვიცოდი ყადრი ძმობისა,
ცოლი დავტოვე მიუსაფარი, გამხადე უნდო კაცთმოყვრობისა.

მოურავი —

გამკვირვებია ნათქვამი შენი, მოყვარე ხარ და გმირობა გშვენის,
მაგრამ გღალატობს თავშეკავება, ზოგჯერ ამყოლიც ხარ ავი ენის.
შენ გაიხსენე, მძევლად დავტოვეთ, ყველამ ვიღაცა, ვინც იქ ვიყავით,
ასეთი იყო შაჰის ბრძანება, მისით დავცილდით და დავიყავით.
შენ ცოლს მისტირი და მსაყვედურობ, თითქოს მე მსურდა მისი დარჩენა.
რომ მეთქვა რამე, გამოგატანდნენ? მაგრამ შეეძლოთ, შეეტყოთ წყენა.
აღელვებულს რომ რამ დაგცდენოდა, ჩვენი აზრები საითა რბოდა,
მამულს არ ვიტყვი — მოისპობოდა, ჩვენგან რომელი გადარჩებოდა?
შენ ცოლი დათმე, არც დაუსჯიათ. გიყვარდა? გსურდა? ჩამოგეყვანა,
ახლაც არ არის ეს საქმე ძნელი, რაზე შევყაროთ მთელი ქვეყანა?
და ამას გარდა, კარგად დაფიქრდი, შენ ცოლს მისტირი და მსაყვედურობ,
თითქოს მე განზრახ ჩამოგაცილე იმდუღრები და ისე ხმაურობ.
მაშ, მე რაღა ვთქვა, შვილმკვდარმა მამამ, ვისზე და რა ვთქვა აქ საყვედური?
ჩემი პაატას მსხვერპლად შეწირვით დავრჩი გულმკვდარი და უბედური.
ცოლთან გაყრა თუ უფრო მეტია, ვიდრე გაწირვა ღვიძლი შვილისა,
გავიზიარებ იმ კაცის ტანჯვას, ჩემებრ, ჩემი გზით ვინაც ივლისა.
შენ გოროზი ხარ და მედიდური, ცოლი დატოვე და სხვა შეირთე,
მეფის სიძე ხარ ჩემი წყალობით, დაუალაგდი და ეს შეირგე!
მე კი შვილს, მითხარ, ვინ დამიბრუნებს, ან ვინ შემიცვლის, სად ნახავ მსგავსებს?
პაატამ თავი მამულს შესწირა — ეს მაამაყებს და შვებით მავსებს.

ზურაბი —

პაატა, განა, ჩემთვის უცხოა? დის შვილი არის და მას დავტირი,
მეამაყება, მარტყოფის ბრძოლის მონაწილეა და დიდი გმირი.
შენ გსაყვედურობ, რომ არ გამენდე, უნდა მცოდნოდა ყველა თავიდან,
რამდენიც უნდა ხარჯო სიტყვები, ვერ გამოიყვან კეთილს ავიდან.

თუ თავიდანვე არ მენდობოდი, რით შევიცვალე, როცა დაგჭირდა?
ეს დაშორება, თუ მოყვარე ვარ, რაც შენ მოიგე, იმადა ღირდა?

მოურავი

მძიმე კითხვაა, წაგებ–მოგება ასეთ საქმეში რითი ავწონოთ,
რომ არ ვიცრუოთ, ბრალი სხვას დავდოთ, ტყუილით თავი არ მოვიწონოთ.
სპარსეთში მეთქვა? რა უნდა მეთქვა, რა დაგჭირდება მე კი ვიცოდი?
რა გამემხილა, მხოლოდ გუმანი — შაჰი არ არის ჩვენი შემცოდი?
მიზეზი იყო მეფის ქორწილი, მეთქვა, არ გვინდა, ვიყოთ მაყრები?
საქართველოში რატომ წავიდეთ, როცა აქაც ვართ მუდამ მაძღრები?
რასაც ვხვდებოდი, რასაც ვფიქრობდი, მის გამოკვეთას დრო სჭირდებოდა
და ერთად დგომაც გვინდოდა მაშინ, როდესაც საქმე გაჭირდებოდა.
შენ როგორ ფიქრობ, ვინც დამაქცია, ვინაც გადაწვა ჩემი მამული,
ყველანი რატომ შემოვირიგე, გონით ჩავტენე საგულეს გული,
თვით ქაიხოსრო ჯავახიშვილი, კაცი მხტუნავი, ცეტი, ქანდარა,
ჯერ ჩემი იყო, მერე მიმტერა, აზრებს იცვლიდა თან წარა–მარა.
თვით ქაიხოსრო შემოვირიგე, დიდი — პატარა, მტერი — მოყვარე,
ამის გარეშე არ დადგებოდა შვება, რომელიც ყველას მოვგვარე.
შენ კი გეწყინა, არ ვიცი, რატომ. კათალიკოსს რომ ვანდე პირველად
სულის მოძღვარმა გადაგვიწყვიტა, გადასაწყვეტი რაც იყო ძნელად.
შენ უფრო ადრე, ქართლისკენ გზაში ასეც განიშნე, ისეც გითხარი,
რა შეიძლება თავზე გადაგვხვდეს სასიხარულო თუ საწუხარი
და უფრო ნათლად ის როგორ მეთქვა, რაც მიხვედრაა და გულის ხეთქვა,
მუდმივად ვიღაც გვითვალთვალებდა, რა მექნა, აზრი რომ არ გამეთქვა?
მაგრამ, როდესაც მომძლავრდა საქმე, როცა გამჟღავნდა გულში ნადები,
განა, არ განდე ჯარების შეყრა, არ მყავდი გვერდში მდგომი ნაქები?
შენ აქ ბრძანებდი: მარტყოფის ომი შენი სარდლობით მოგებულია,
მე კი სპარსელთა ბანაკში ვიჯექ, დროს ვატარებდი სულწასულია.
რად გავიწყდება სიმართლე ზოგჯერ და მახსოვრობა ბევრჯერ გღალატობს,
სხვისი კაცობა თუ არად გიჩანს, შენი ბიჭობა იქით გაართობს?
მისაყვედურე, რატომ სპარსეთში არ გაგიმხილე რითი ვიწოდი,
ვერ დაიჭერდი ამ საიდუმლოს, გავმჟღავნდებოდით, კარგად ვიცოდი,
აქ კი როდესაც საქმე მოგვარდა, როცა შევკრიბეთ შეთქმულთა ჯარი,
პირველი იყავ — ვის ვენდობოდი, ამოგვეყარა მომხდურთა ჯავრი.

**ხურაში**

მეც მაგ ას ვამბობ რაც მე ვიომე, რაც მე ჯაფა და ბრძოლა გადამხდა,
შენ მოგეწერა მთელი გმირობა, ჩემიც რომ ეთქვათ, განა, რა გახდა?
შენ იქ იყავი, მტრების ბანაკში, მე კი გარედან ვსარდლობდი ჯარებს,
არ დავცემოდი მტერს თავზე მგლურად, შენ შეუნგრევდი კარვების კარებს?
ხუთნი იყავით, ხუთი კი არა, ვერას იზამდა თქვენში ხუთასი,
როცა შენს იტყვი და დააფასებ, იქვე იცოდე სხვებისაც ფასი.

**მოურავი**

შენ სად გინახავს სარდალი მუდამ წინა რიგებში იდგეს, ომობდეს,
იარაღს გარდა მისი ვალია, საქმე ააწყოს, ჭკუით შრომობდეს,
მე სამზადისი დავიწყე ადრე, მაშინ, როდესაც სპარსეთს ვიყავით,
ვიცოდი, როდის რა უნდა გვექნა, მიტომ შევერთდით, არ დავიყავით.
შაჰის უსტარი როცა გაჩვენეთ, ხომ დაგარწმუნეთ, ვიყავ მართალი,
შაჰი გაწყვეტით გვემუქრებოდა, იყო მიზანი და სამართალი.
კახეთი მოსრა, ახლა ქართლს მოსდგა, ბევრის გულს ეს არ ეჯერებოდა,
უცხოდ მივაჩნდით და მოღალატედ, ბევრიც ამიტომ მემტერებოდა.
მაგ რამ როდესაც ნახეს, ყორჩი ხანს ჩემს მოკვლას შაჰი ჯიუტად სთხოვდა,
მიხვდნენ, რომ სპარსთა და ჩემი რემა მარტყოფის ველზე ერთად ვერ სძოვდა.
როცა გადაწყდა მარტის 25 ერთიან ძალით მტერზე დაცემა,
ჩემი წამოსვლა მტრის ბანაკიდან არ იქნებოდა გეგმის გაცემა?
იმით, რომ დავრჩი მტერთა ბანაკში, მათი სიფხიზლე მით მოვადუნე,
არც განვერიდე, არც შევეკარი, მცდელობის ჯოხი არ გადავღუნე.
კარავში მყავდა ოთხი ვაჟკაცი ოთხივე დიდი კაცობის მჩენი,
რომელი უნდა შევაქო სიტყვით, არ დავამცირო სხვების გამჩენი.
იცი პაპუნა ვაშაყიშვილი, ჩემი მხლებელი, ძმა და ერთგული,
მასთან ელია დიასამიძე, მტერზე მიმსვლელი, თან სულწასული.
ხერხეულიძეთ რად უნდა ქება, მათშიც პაატა გამორჩეული
და ავთანდილი, შენი დის წული, შემტევი, როგ ორც ჭკვაარეული.
როცა გამოჩნდა ქართველთა ჯარი, ყორჩიხან ბრძანა მოკლე თათბირი,
ყველა იქ იყო, ვინაც სარდლობდა, თუმც მტრები იყვნენ, არა უბირი.
როგ ორც ამხედრდნენ, მოვკალ ყორჩი ხან, იუსუფ ხანიც ზედ მივაყოლე,
ავთომ განგმირა იმამვერდი ხან და ხანებისგან ავაგეთ ყორე.
უსარდლო ჯარი ფარას ჩამოჰგავს, თუნდ იყოს დიდი რიცხვით და ძალით,
ცხრა თავიან დევს მოჰგავდა მტერი და ცხრავე თავი ხუთმა მოვკალით.

შენით გამოდის, თითქოს, მტრის ჯარში სტუმრად ვიყავით სანადიმოთა,
სიმართლეს მაინც ვერ შეცვლი სიტყვით, რამდენიც უნდა მოინდომოთა.
და თუ ასეთი იყავ სარდალი და მეტი იყო შენი სიმამრი,
მარაბდის ველზე რად არ ივარგეთ, რად ვერ შემუსრეთ მომხდურთა ჯარი?

ზურაბი—

მარაბდის ბრძოლა შენით წავაგეთ, შენ არ იყავი ბრძოლის მსურველი,
თორემ ვიყავი მთიულთა ჯარით მტრის რისხვის ზარი და შემმუსვრელი.
მაგრამ რადგანაც მეფემ ინება ველზე გასვლა და თავად სარდლობა,
არ დაუდექი ერთგულად გვერდით, არ მოახსენე მდაბლად მადლობა,
გათიშულობამ დაგვღუპა ყველა, გათიშულობის იყავ მოთავე,
არც შენ ივარგე, არც ავთანდილმა, მტრის მხარეს მდგომებს ჰგავდით ორთავე.

მოურავი—

ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალ — ჩვენში ანდაზად იტყვის ჭკვიანი,
არ შეიძლება იყოს სარდალი პატივმოყვარე და ეჭვიანი,
როცა გირჩიეთ კოჯრის ხევებში შემოვიტყუოთ მტერი მტარვალი,
რიცხვითაც გვჯობდნენ, ძალითაც გვჯობდნენ და გამყიდველიც გვყავდა მრავალი.
მიტომ გირჩიეთ, დაცემულ ველზე გაგვიჭირდება მომხდურთა ძლევა,
მაგრამ დიდ დიდთა თავადიშვილთა ვერ მოიშალეთ ორპირი ქცევა.
შენ გაიხსენე შენი ნათქვამი: ახლა დაუდგა ჩვენს მეფეს ჟამი
გვიჩვენოს ნიჭი დიდ სარდლობისა, და თუ გადავდეთ თუნდ ერთი წამით
ბრძოლის დაწყება, მე წავალ სახლში და თან გამყვება მთიელთა წყება.
უჩვენოდ ბრძოლა აქ ვერ შედგება. ასეთი არის დღეს ჩემი ნება,
მხარი აგიბეს დიდ თავადებმა. შემდეგ იც იყო დიდ თავადური.
ციხე–კოშკებში მიმოიფანტნენ, როგორც მითავდა ბრძოლის ხმაური,
შენც ანანურში გამოიკეტე, არყით გუნება გამოიკეთე,
მტერს განერიდე, მოყვარეს ეცი, დასაუმჯობლად ფშავლებს ეკვეთე.

ზურაბი—

მთა მე მეკუთვნის, მამაპაპიდან ერისთაობა ჩემი ხვედრია,
შენ კი ხელს მიშლი, მთიელთ მიჯანყებ, რატომ? — რა ძნელი მისახვედრია?
ჩემი იმედით ბარი ვაჟკაცობს, მაგრამ სიდიდეს ჩემსას ვერა გრძნობს.
მე ვინ მახსენებს, შენი სახელი პირს აკერია უცნობს და ნაცნობს.
და იმის ნაცვლად, დამიდგე გვერდით, მხარი მომცე და დამიცვა მკერდით,

ჭკუას მარიგებ, თითსაც დამიქნევ. მე კმაყოფილი ვით ვიყო ხვედრით?

**მოურავი**

დაგვიწყებია შოთას ნათქვამი: საქმეა კაცის თავშესაფარი,
თუ ხარ კაცობით ზნედაცემული, ვერ აგამაღლებს ოქრო და გვარი.
შენ ისიც გინდა, სახელი გქონდეს, სხვისას იხვეჭდე, სახლში გაგქონდეს,
მტერს უმეგობრო, მოყვარე დასცე, ხორცი ალაღო და სული ცხონდეს.
მარაბდის მერე სპარსელთ უნდოდათ არშის ციხიდან ტყვეთა გამოხსნა
და ყორჩიბაშმა მოგიმღვნა ოქრო, ტკბილი სიტყვების ტიკჭორაც მოხსნა.
ათი ათასზე მეტი სპარსელი შენ შენს მამულზე გადაატარე,
ამილახვარი უვნებლად მიეც, გამოაცილე არაგვის არე.
მე კი ჯერ იქით მიმავალთ შევხვდი, წიწამურასთან ვეკვეთე მგლურად,
მერე ვადევნე შენი ძმის რაზმი ზარის საცემად, ავის მეგზურად.
უკან მომავალთ დავუხვდით ქსანთან, ჯარი მთლიანად გავანადგურე,
შენ არ მომიდექ. არც დაგამალე, საყვედურებით არ ვიხმაურე.
ვიდრე მთიელთა ყმობას ცდილობდი, ქვეყნის საქმისთვის შენ არ გეცალა,
გცემეს, გაოტეს და ამის მერე ყველა სურვილი გამოგეცვალა.
შენს გზას დაადგა ქსნის ერისთავი, ჯავახიშვილი, ბარათაშვილი,
ბირთვისის ციხე მტერს ჩააბარა, დიდგვაროვნებში დაიდო წილი,
მეფე სხვა მხარეს იმალებოდა, ქვეყანა დარჩა მიუსაფარი,
მეც მომებაძნა? ქართლის სამეფოს დაეცემოდა ელდა და ზარი.
სხვა გზა ვირჩიე. მტერს გზა შევუკარ, წვრილ-წვრილი ბრძოლით წავულე ძალა,
ყორჩიბაშ ციხეს გამოიკეტა, ქართლი დააგდო და გამეცალა.
ქართლიდან სამცხეს გადაველ მეისვე, მომიდგნენ სამცხის დიდებულები:
დიასამიძე, გოგორიშვილი, სხვებმაც მოიცეს მათთან გულები.
ვათავისუფლეთ აწყურ, ხერთვისი, ახალი ციხე და ფარავანი,
მტერს გავუცუდეთ ყველა იმედი, აღვმართეთ ყორე და გალავანი,
შემოვუბრუნდი ქართლის შუაგულს, უცები დარტყმით ავიღე გორი,
მტერი გარბოდა ქუდმოგლეჯილი, მიჰქონდა შიში, რჩებოდა მძორი.
ბირთვისს გადაველ მუხლჩაუხრელად, ბირთვისის ციხე ვათავისუფლე,
ლორე-ალავერდს შემოვუტიე, იმდენი ვცემე, რომ დავეუფლე,
ახლა შენ მითხარ, რას ვაჟკაცობდი, რით შეეწიე ერს და მამულსა,
ერისშვილობის სახელი გინდა? უნდა მოერგო მაშ ერის გულსა.

**ზურაბი**

ადამიანად დაბადებული კაცობის დონეს ყველა მიწვდება?

არგ ამტყუნება კაცური სიტყვის, კაცობა არის, თუ ვინ მიხვდება.
შენ არად გიღირს სიტყვის გატეხა, გინდა, ზურაბიც ასეთი იყოს?
ორპირობას და მაცდურად ნათქვამს, მირჩევნის, გული შუა გაიყოს.
მეყორჩიბაშმა კაცურად მთხოვა, შვილის დახსნაში დავხმარებოდი
და რატომ უნდა მეთქვა უარი, იმიტომ შენ ვერ მიმიხვდებოდი?
არშის ციხეში შენს გამო მყავდა ანდუყაფარი გამოკეტილი,
გენდობოდი და ასე მეგონა, სიმართლით გქონდა გადაწყვეტილი,
მაგრამ აღმოჩნდა, შენში ვცდებოდი, შენს მრუდე ნათქვამს მე ვასრულებდი,
სიძე იყავ და ვიყავ პატარა, გიჯერებდი და შენს აზრებს ვსდევდი.
შენს გამო ბევრჯერ ხიფათს ვეწიე, მთაც აღარ მეყმო ისევ შენს გამო,
განსხვავებულად მექცევა მეფე, მან დამიყენა ჟამი საამო.
მას ესმის ჩემი გულის ნადები და შენიც იცის დანაქადები,
ამიტომ ერთად დაგხვდებით ველად, დაგთრგუნოთ, როგორც რამ სახადები.
იმერთა ჯარი მოგიყვანია, იმქვეყნად ყველა თან გაგატანო,
სიცოცხლე გიყვარს? — გამცილდი ახლავ, თურქეთს გაქცევა არ დაახანო.
სადაც შენი თქვა, იქვე თქვი ჩემი, რომელი ვისგან არის ნაცემი.
სიტყვა არ გინდა, ისედაც ვიცი, რა გაქვს მეფესთან გადასაცემი.

**(ზურაბი მედიდურად გადის)**

**მროველი—**

მაცხოვარს უთქვამს შეიტკბე მტერი, არ შეუბრუნო სიტყვა და ხელი.
შენ რომ გისმენდი, თუმც იყო მნელი, მაგრამ სურვილი ხომ გქონდა წრფელი.
შეგონებისთვის იმისი გული იყო ცივი და ბნელში მოსული.
თუ გაგეახლა შეხვედრით წყლული, გთხოვ ნუ დარჩები ბოღმით მოცული.
ვხედავ ზურაბი აღარა ხუმრობს, დიდი ბრძოლისთვის მომზადებულა.
მედიდურია გული უმღები, თავგასულია, მაგრამ ცალგულა.
მან ვერ გაგიგო, მაგრამ თუ მეფე შეგხვდა, შერიგდი და დაეზავე,
ზურაბიც მეისვე შეიცვლის აზრებს, მოგებულები დარჩეთ ორთავე.
ვიცი მნელია შენთვის ყოველი, არა ხარ ფლიდურ ხლართთა მქსოველი.
მაგრამ მამული მოითხოვს ასე, ამიტომ უნდა მოიღო ხელი.

**მოურავი—**

ცუდ საუბარი არა მჩვევია, მაგრამ, რადგანაც ასარჩევია,
უნდა ვიცოდეთ, მამულისათვის რა წამხდარია, რა ნარჩევია,

გითხრა, არ მიყვარს მე ჩემი თავი, არცა მცოდნია ყადრი და ფასი,
უნდა ვიცრუო. ერთმა სიცრუემ სხვა მოიყოლოს მრავალ ათასი.
ამიტომ, თუმცა ძალზე ძნელია, მაგ რამ თუ მამულს ასე ჭირდება,
მეფეს კი არა, მტერსაც შევეკვრი, გადაწყვეტაც არ გამიჭირდება.
როცა ითხოვდა დიდი მიზანი, მოსაჩვენებლად რჯულიც ვიცვალე,
შინ ერთი ვიყავ, გარეთ მეორე, თორმეტი წელი ასე ვიწვალე,
დღეს მე მეფესთან რა მაქვს სადაო? როგორ შევკადრი, ვინ და სადაო?
კამეჩთან ხარი ღონით რას იზამს? — რქები დასცვივა, თუ რამ სცადაო.
ჩემი რწმენით და კაცობით, ძალით, დიდხანს ლუარსაბს გვერდით ვედექი,
სანაცვლოდ ჩემი მოკვლაინდომა, როგორ გადავრჩი — იცი შედეგი,
თეიმურაზი გადახვეწილი, როცა სამეფო ვუერთიანე,
ჩამოვიყვანე და მეფედ დავსვი, ერთგული ყმობა არ დავახანე.
მადლობის ნაცვლად ზურგი მაქცია, შემოიკრიბა ყველა ორგული,
სიკვდილს მიმცემდა, რომ არ გამეგო, ცოცხალს რწმენა მაქვს მისგან მოკლული.
ან რად მიკვირდეს მუხანათობა? მისგან მრავალჯერ მრავალმა სცადა,
ზურაბ ერისთავს მოელის იგივ, თუ მიენდობა და დაუცადა.
მე კი ეს ნდობა უკვე დავკარგე, მოვუსმენ, მაგ რამ რაზე ვენდობი?
შაჰის კარზეა ეგ გამოზრდილი, იგივე შაჰის იცი ვარ მცნობი.

**მროველი** —

მეფე მეფა, მისგან დათმენა დაგენილია, ჩვენი ვალია,
თუ ეამება — წყალობას იზამს, რისხვაც ასევე მოსავალია.
მე ერთი მიკვირს: შენებრ ნაცად კაცს რატომ არ სწყალობს? — გზიდან იშორებს,
მფურჩვნელნი ირგვლივ არა ცხებიან, ვერცა ხედავენ გმირებში სწორებს,
ავნი ენანი იქეთ და აქეთ შეურიგებელ მტრებად გსახავენ,
თუ შედგა ბრძოლა დუშეთის ველზე, გამარჯვებულის ხატს დახატავენ.
არადა, ვიცი, ხვალ არ იქნება არცერთი მტერზე გამარჯვებული,
მარცხია ბოლო იმავ წუთიდან, რაც იქნა ბოლმა დახვავებული.
ვიცი, გინდა, რომ მე გაზიარო, როგორც ბრძოლის წინ გვქონია ჩვევა,
დაე, წავიდეს უზიარებლად, თქვენში სიკვდილი ვისაც ეწვევა.
ცოდვა გლეხკაცის, ცოდვა მოძმესი არ მოგასვენებთ არც დღე, არც ღამე,
ამიტომ შეგთხოვ, ნუ გახვალ ბრძოლად, ერიდე ცოდვას, იღონე რამე!
იფიქრე კარგად, მე კი დაგტოვებ, ჟამი მოვიდა, მეფეს შევხვდები,

ეცადე, დაცხრე, ვნება მოთოკო და შერიგებას შეგევედრები.

**(მროველი გადის)**

**მოურავი**——
როგ ორც წარღვნის დროს პატარა ნავი, სამშობლო ჩემი მიუსაფარი,
მოქცეულია დიდ ტალღებს შორის და ათამაშებს ბორეა ქარი,
თითქოს შემოსწყრა მას შემოქმედი, დავსებულია დღეს მისი ბედი,
ვეძებ მშველელებს უმისამართოდ, გ ადამეწურა შველის იმედი.
რაც ჩაესვენა შუქი ქართოსი, აიეტისა, ფარნავაზისა,
დიდი ვახტანგ ის, აღმაშენებლის, ბრძენი გ იორგ ის, თამარ–ვაზისა,
მზე ვეღარ გ ვათბობს, თითქოს მოგ ვცილდა სვეტი ნათელი და ღვთისმშობელი,
აღარ გ ვწვავს ცეცხლი ამირანული, იმედი ხვალის გ ამათბობელი.
სამეფო შვიდად დაყოფილია და თითოს შიგ ნით კიდევ შვიდია,
რაც მეტად ისმის გ ლეხკაცის კვნესა, მეფე–თავადი ასევ მშვიდია.
არავინ ჩივის საერო საქმეს, ყველა საკუთარ კერას უკეთებს,
თუ არ შეერთდა მრავალთა ნება, ცალკეულს საქმეს ვინ გ აუკეთებს?
ცალკეულ გ მირთა თავის დადება —— მეფე იქნება თუ დიდებული,
მაგ ალითია, ძალის მომცემი, არა მორევი დაგ უბებული,
თვითონ სვიმონი უმამაცესი, ვისი წახედვით მე ვიზრდებოდი,
არ იყო ქვეყნის ძალთა შემკრები, დაინახავდი, თუ მიხვდებოდი.
ბრწყინვალეს შემდეგ არცა გ ვყოლია ერთიანობის დიდი მედროშე,
ცოდვილი ვიყო, თუ ტყუილს ვამბობ, თუ რამ ვიცრუე და წამოვროშე.
მე კარგ ად ვიცი, როგ ორ რა უნდა, მაგ რამ არა ვარ ბაგ რატოვანი,
ძალა სიტყვისა ჩემის კოჭლია, გ ინდ იყოს ბრძნული რამ, ხატოვანი,
ჩვენ მეფე გ ვინდა სულით ძლიერი, რომ დიდგ ვაროვნებს დაუდოს ზღვარი,
იცოდეს მადლი მტყუან–მართალის და ვერ არხევდეს ბორეა ქარი.
მე კი ვინც მახსოვს სვიმონის შემდეგ , მფურჩნელთა სიტყვებს მინდობილია,
წაიღო ძალა მათთან თამაშმა, თუმც მათი გ ზებით მე არ მივლია.
ხვალ უნდა დავცხო, ყველა გ ავტეხო, ქვეყნის ერთობის შევდგ ე შარაზე,
მიტომ ვუყელე დღეს თეიმურაზს და გ ასაქცევი გ ზები ჩავრაზე.
ის თუ მიხვდება, დღეს გ ამეცლება, დაე, ილტვოდეს, საითაც უნდა,
დიდგ ვაროვნებიც თან გ აიყოლოს, როგ ორც შეყრილან ერთიან გ უნდად.
მე უფრო სხვა მაქვს სადარდებელი, არ გ ანმეორდეს ღალატი ძველი,
ალექსანდრემაც გ ზაში მიგ ანოს და სასიკვდილოდ მოიცეს ხელი.

თუ ლუარსაბმა მე არ დამზოგა, თეიმურაზმა ქნა უარესი,
ახალი რატომ წავა სხვა გზებით და არ იქნება სიკვდილის მთესი?
ვენდო, არ ვენდო? ვაჰ, თუ გამყიდოს, ქვეყანა წარყვნას და გადამკიდოს,
სადღა წავიდე? ვის ვუერთგულო? თურქსა თუ სპარსელს, ლეკსა თუ დიდოს?
თუმცა ხვალის დღე წილნაყარია, მროველმა ჩემი ფიქრი არია,
მომერევიან, თუ მოვერევი, ქვეყნისთვის, განა, გასახარია?
მე ასე ვფიქრობ, ის ფიქრობს ისე, მეფის უფლება გავითავისე,
მე ერზე ვზრუნავ, ის ზრუნავს თავზე და თავს მომკვეთავს, თუ შეძლო, მეისვე.
რაკი მოვსულვარ, უკანდახევა ნიშნავს, ვერ ვზიდე ჩემ წილად ჯვარი,
მოვუსმენ მეფეს, დღეს გამოჩნდება, ხვალ როგორი გვაქვს გზა გასაყარი.

**(შემოდის მროველი, მოჰყვება თეიმურაზი)**

**მროველი**

ღმერთის წინაშე თუ ხარ მართალი, არა გჭირდება სხვა სამართალი,
ვერას დაგაკლებს შური და წყენა, ბოროტი ენა და ავი თვალი,
თვითეულს გვმართებს ეს არჩევანი, სხვა არ გვექნება ამგვარი ხანი,
დღეს თუ შევცოდეთ, ხვალ არას გვარგებს თავის მართლება, თითზე კბენანი.
მე ასე ვფიქრობ, ღვთის ცოდვილ შვილებს, ერის მეუფეს და ერის გმირებს,
ვის შენებაში მიუძღვის წვლილი, მტრის ურდოები ვინაც განგმირეს,
უნდა შეეძლოთ ერთ აზრზე დგომა უნდა ჩაიკლან მეტობის ნდომა.
ერის გულისთვის სანთლად იწვოდნენ, არ მოინდომონ მისგან განდგომა,
დღეს თუ ითავეთ, აერთიანეთ ერთ სამეფოში ქართლი, კახეთი,
რად არ მოვირთათ მესხების ძალა, რად არ დავურთოთ ხვალ ჯავახეთი?
მოურავმა ხომ ისეც გაწმინდა ხერთვისი, თმოგვი, ზედაც ვარძია,
კოლა, არტანუჯს თუ წავუმატებთ, რა მიღწევაა და რა განძია.
რაც მარტომ შეძლო ფარნავაზ მეფემ, გორგასალმა და აღმაშენებმა,
ჩვენ ერთად რატომ არ შეგვიძლია მოყვრის ალერსი და მტერთან შებმა?
შორს რად მივდივარ, აგერ ბრწყინვალემ, როცა თავები მტრების დათალა.
თურდოს შეურთო იმათი სისხლი, რამდენი იყო განა დათვალა.
ჩვენ რაღა მოგვდის, იმათ ნაშიერთ, ნუთუ კაცობა ისე დაეცა,
მხეციც კი ინდობს თავის ჯიშისას, აღარ ვარგივართ აღარცა მხეცად?
მე მოგიწოდებთ დაიცხროთ ვნება, გამოაჩინოთ კაცური ნება,
პირადი წყენა ჩაიკლათ გულში, არ მიაყენოთ სამშობლოს ვნება.
თუ ეს მოხდება, დამილოცნიხართ, ვიტყვი აფერუმ კაცებად ღირხართ,

ვინმლო მომავალთ არ ვათქმევინოთ, რანი ყოფილხართ, რას ჩივით ვინ ხართ.

**თეიმურაზი**___

მროველო, შენი ნაფიქრი ვცანი, მოგიწვევია კაცი უგვანი,
გინდა მიართვა გვირგვინოსანი, ასე მდაბალი გხარჯავს მიზანი.
რატომ გგონივარ ასე სულელი, ვერ მივხვდე რა გაქვს ოცნება მწველი,
ვიფიქრე, ვცანი, ამიტომ არის მოვიყოლიე ხუთასი მცველი.
ელიან ნიშანს, და მაგ თქვენს მიზანს თქვენივე მმორებს გააყოლებენ
თუ არა კაცებს არ შეჭამს მხეციც, ხევს ჩამდინარეს ააყროლებენ,
მაგრამ მანამდე, გულ მართალს ცამდე, რად გადმიდექი მითხარ მროველო,
რატომ წაბილწე ავი ზრახვებით კაცობის რწმენა და სამლოცველო.

**მროველი** □

შენ, მეფე ქვეყნის, რომლის შიგ ნითაც ავთან სიკეთე წყვილად ტრიალებს,
ვის შეუძლია ავის შენდობა და სურს? სიკეთეს გაატიალებს,
შენ, ვინც ემლევი ხორცით არელტვი, სულის სიღრმეში წვდომას
დღეს ინადირებ ნადირთა ხროვას, ხვალინდელს ჩაკლავ ღვინოში ნდომას,
შენ, ვის შეჭყურებს მდაბიო ერი, აქვს საზრუნავი, საფიქრ–სამზერი.
უნდა არჩევდე კარგებში ავებს, ვინ მოყვარეა, ვინაა მტერი,
მესმის, რომ ბევრი იტანჯე წინათ, გადაგხადა მეტი ერთ მეფის წილად.
მაგრამ არ ნიშნავს ასდევდე ეჭვებს, მოყვრები კიცხო ცალ–ცალკე წყვილად,
მოსვლა შეგკადრე არა იმიტომ, შენი ღალატი გულს მედო ვითომ,
მინდოდა, ერთად გამოგვერკვია, რაც ვერ ავზომეთ ცალკცალკე თითომ,
სულიერ მამას სულით წახდენას იოლად რატომ უნდა მწამებდე,
შენი სხვას უთხრა, გადააბრალო, სხვისი წამებით გაიხარებდე,
წვევის მიზანი თუ ვერა სცანი, არ გარგებს ფურჩვნა და მიმოტანი,
ღვთის წყალობაა შენზე მოსული, აღაღე სული, გატანჯე ტანი,
თორემ ხვალ იქნებ იყოს გვიანი, ჩვენ მივაყენოთ მამულს ზიანი,
ჩვენსავ კერაზე ვთესოთ სიკვდილი, აღარ გვეღირსოს ჟამი მზიანი.
აქ მოურავი მომიყვანია, შენ გელოდება დიდი ხანია,
ერთად აზომეთ რით არგებთ მამულს, რა უფრო მეტად საქმიანია.

**თეიმურაზი**___

მე, ბაგრატოვანს, ღვთით მირონცხებულს, ვისაც სამეფოს აყვავება სურს,
ვინა მთხოვს პასუხს, ვინ მახდევინებს დაუღალავი გარჯის საფასურს?

წილად. წინათ, გადაგხადა, ვინაა მტერი,.,ლი,ართ.
საჰკამენი, აზნაურები, მეფის სამსახურს არად აგდებენ,
მაგათ რომ ვკითხო და დავუჯერო, სასახლიდანაც გამომაგდებენ,
რაც მე ვიტანჯე, გადავიტანე, მეგონა, ერი დამიფასებდა,
გინდა მდაბიოს, გინდ დიდგვაროვანს, ვისა ხვედრია ამდენი სევდა.
ღმერთს მუდამ ვთხოვდი, რატომ მე დამწვი, სხვას არ არგუნე ეს ბედი ბედად?
მაშინ ვნახავდი, რომელი იყო ჩემთან ჭიდილი რომ გაებედათ,
ჩემი ცხოვრება რაც თავი მახსოვს, სულ ბეწვის ხიდზე მიტარებია,
მეფობის ნაცვლად მძევლად ვყოფილვარ, სხვისი ნაბომი მიტარებია,
განა, მინდოდა, სიკვდილს გავქეც, შაჰთანაც სიკვდილს ვემალებოდი.
მამამოკლული მტერს ვეფარვოდი, ვტიროდი, განა ვებრალებოდი,
იმავე შაჰმა ეპისკოპოსი, ორი ვაჟი და დედა მიწამა,
სამშობლოს ზეცა ვეღარ იხილეს, აღარ მიიღო აღარც მიწამა,
თუნდაც ამიტომ ვინ შემომბედოს, ვინ გამიხსენოს გულის იარა,
კაცმა, რომელმაც ჩემთან მტრობაში მთელი ქვეყანა შემოიარა?
იმერთა ჯარი მოუყვანია, ამას ცდილობდა დიდი ხანია,
ნახავს, ხვალვე გავაგებინებ ფლიდობა როგორ ასატანია.

**მოურავი**

სიტყვას მივუგებ სულიერ მამას და მეფე ბატონს შევკადრებ ამას,
ფურჩვნად ნუ ჩათვლით რასაც მოისმენთ და ნუ მიაწერთ ენით მოქროთამას,
მწარე სიმართლე მიჯობს ყოველმხრივ, ყურ ხედნილისგან საამოდ ნათქვამს,
ღვთის შვილები ვართ, ვინც იცრუება, სამოთხის ნაცვლად სატანა ჩანთქავს,
სხვაგან რად მინდა იმის სწავლება რაც სვიმონ მეფემ გულში ჩამიდო,
დიდი წარსული გადამიშალა, მისგან მომავლის ხიდი გამიდო.
ის, რაც თქვენც იცით და გისწავლიათ, მეც ხომ შემეძლო, ჩემით გამეგო,
როდის რა იყო, ვისგან რა მოხდა და ასე ცოდნის კოშკი ამეგო.
რუსთველი იტყვის, მზისა სინათლე ყველას თანაბრად თავზე ეცემა,
მზესავით არის ცოდნა წარსულის, თუ ჩვენგან ხვალეს გადაეცემა.
ათასად გვარი კაცის დაფასდა, ამასაც იტყვის დიდი რუსთველი,
გვარი არ არის მეფის გვირგვინი, არცა რამ თავზე დასაბურველი.
კაცი თუ კვდება, მხოლოდ ისეთად, როგორაც სოფლად დაიბადება,
მაშინ რად გვინდა შრომა და ბრძოლა, ეს შემართება და დაქადება.
ბაგრატიონნი გარჯით ამაღლდნენ, უფალმა მისცა ამ გარჯის მალა.
მაგრამ, ხომ იყვნენ მრავალნი ადრე, ვისაც ეს მალა გამოეცალა?

იმას არ ვამბობ, რაკი ასეა, არად ჩავაგდოთ მირონცხებული,
ბაგრატოვანთა ვარ მოთაყვანე და სიყვარულით სავსე მაქვს გული,
იმის თქმა მინდა, მხოლოდ გვარისთვის კაცს ნუ გაწირავ და ნურცა აქებ,
თუ ამ სიმართლით გაჭედავ საქმეს, დიდსა და მცირეს კუთვნილს მიაგებ.
სამწუხაროა, რომ დიდ თავადებს, ვინც ეფარება წარსულს და გვარებს,
ის მიეცემა მეფის წყალობად, რასაც ვერ აწევს და მოაგვარებს,
ამ დროს თუ კაცი დაბალი გვარით, თავისი ნიჭით, ცხოვრებით მწარით,
ქვეყნის სიკეთეს ემსახურება, რა ვქნათ, ჩავქოლოთ ფურთხით და ზარით?
მაშინ მოგიგებთ, აღმამშენები, როცა მომავლის გაკვალა გზები,
რად ეურდნობოდა მდაბიო მოდგმას, ოღონდ ელვაწათ ქვეყნისთვის გზნებით?
მაშინ თამარი, მანათობელი, რად იყო მცირედთ გამათბობელი,
რად აამაღლა ნიჭისთვის ბევრი, ზრუნავდა, როგორც დედა მშობელი?
თვით სვიმონ მეფე, მირონცხებული, ერისთვის ზრუნვას გადაგებული,
ჩემებრ აზნაურთა როცა სწყალობდა, ხომ არ დიოდა თვალდავსებული?
კაცის წესია, უკეთესს ელტვის, რაც მეტი ხდება, მეტი უნდება,
თუ შეაჩერე, გზა გადუკეტე, შეგებმება, ან დამაბუნდება,
როცა ხარ მეფე, ეს უნდა იგრძნო, დიდ თავადების უმეტესობა
თავისზე მაღლა შენც არა გცნობენ,  თუ არა, გმტრობენ, არც უნდათ ძმობა,
აზნაურები, დიდი, პატარა, თავადებისგან თავლაფდასხმულნი
მეფეს ხედავენ მცველად, იმედად და ერთგულობენ ფრთაგამოსხმულნი.
უნდა იფიქროს ყოველმა მეფემ, რომელს მიენდოს, წყალობა მისცეს,
რომ მტკიცედ ეპყრას ქვეყნის სადავე, რომ მაღლა მხტომი დაბლავე დასცეს.
ბაგრატოვანთა გრძელ ცხოვრების გზას თუ გაიხსენებთ, მიხვდებით თავად.
წვრილ დიდგვაროვნებს მიწყივ წყალობდნენ, ავიწროვებდნენ ქედმაღალ თავადთ,
ამ გზით აღწევდნენ ერთობას ერის, იყვნენ მჭედელნი ქვეყნის დიდების,
როცა ძლიერებს აძლიერებდნენ, დგებოდა ჟამი მტრად მოკიდების,
ახლაც ასეა, ჩემი ცხოვრება მეფეთ სამსახურს გადავაყოლე.
ვიბრძოდი მუდმივ თავაწყვეტილი, ხორცი არ ვზოგე, არ ავიყოლე,
როცა მეფენი მწყალობდნენ დიდად, მეც ვეგებოდი შარად და ხიდად.,
როცა თავადთა ფურჩვნას იგებდნენ, არ მძინებია საწოლში მშვიდად,
დღეს რაცა ხდება, ენის ბრალია, დიდ თავადების შურის შედეგი.
თუ მომინელეს, სხვას მისდგებიან, მუდმივ იქნაბა რიგში შემდეგი
წმინდაო მამავ, მამავ მროველო, როდის გაგანდე, რომ ავს მოველი,
სულ ყველა ვიცი, მეფესთან შუღლის რომელი არის ბადის მქსოველი.
კურთხეულ მეფეს მივუგებ ასე: რად დააფასე სხვად მობაასე?

შენი ერთგული ორგულად მსახე, გულს მოღალატის დამღა დამასე.

**თეიმურაზი**
ეს ისე უბნობს, თითქოს ერთგული ამაზე მეტი სხვა არვინ მყავდეს.
არავინ იყოს ტახტის დამცველი, ერის ქომაგსაც არავინ ჰგავდეს.
არადა, რაც მან მუხთლობა შეძლო, რაც მან ერსა და მეფეს უგანა,
ვერც ერთი ამ მხრივ ვერ უტოლდება, გინდ წინა იყოს, გინდა უკანა.
ზურაბ არაგვის ერისთავს გეტყვი, დიდთავადია, დიდადაც ფასობს,
ის, თუ გავწირე და შენ თუ მოგენდე, ცხოვრება გულში დანას დამასობს.
ასე ბაასი როგორ იქნება, ვისაცა ვწყალობ, მტრად გარდიქმნება,
დიდ თავადების მეც ვიცი ნება, მეფე, სამშობლო, ეს ორი მცნება
გულს ახატიათ, მისთვის იბრძვიან, დღე არ იციან, ადრე თუ გვიან
თუ მეფეს ვინმე წამოედება, მიჯრით მიდიან, წამში აჰგვიან.
ასევე ვიცი ბუნება შენი, თუმცა ყმა იყავი თვალში საცემი,
დიდებულებსაც თავს არ უკრავდი და დადიოდი მათგან ნაცემი,
მეფეც არ მოგდის შენ ახლა თვალში, გამხვევდი კვამლში, ჩამწვავდი ალში,
ბაზალეთის ტბა ორ ნაბიჯზეა, გადამაგდებდი ჩალებთან წყალში.
ცუდად გჩვევია მეფეთ ღალატი, ვერ გრძნობ არწივებს დასდევ ტაატით,
მუჰამედს ფიცავ,ქრისტესაც ფიცავ, წინდაცვეთილი თვალს გვიხვევ ხატით.
შენ გავიწყდება, ის რაც შენ იცი, მეფემაც ვიცი, ქვეყანამ იცის,
გსურს თავადობა შემოვიმდურო, შენ ჩაგიხუტო გამტეხი ფიცის?

**მოურავი**
არ იყო მეფე მირონ ცხებული, უაზრო ჭკვით დადედლებული,
მართლა ქვეყნისთვის გერჩოდეს გული, სხვა ვინ გენახა ჩემზე ერთგული.
თავდადებისა და ერთგულების ნეტავ იცოდეს სულ ყველამ ფასი.
მოსპობილიყო ქვეყნად ღალატი და მოღალატე მრავალ ათასი,
ჩემსკენ თითს იშვერ და გავიწყდება სააკაძეთა საქმენი ქველი
მეამაყება, მამა–პაპათა კაცურად ლეწეს წუთი სოფელი.
ყორღანაშვილი ხომ არ გგონივარ, შალიკაშვილი, ბარათაშვილი.
ვართ სამშობლოსთვის შეწირულები, ამაყები ვართ და მხარგაშლილი,
სჯობს გადახედო საკუთარ წარსულს, მამა–პაპათა სთვალო ცოდვები,
მამათ მკვლელები, ძმათა მკვლელები, დაუტირალნი, შესაცოდები,
თუ არ დამზოგე, არც მე დაგზოგავ, გეტყვი უჯიშოდ რომ ჯიშიანობ,
ბევრი ცოდვა გაქვს მოკიდებული, გეამაყება და არა ნანობ.

თეიმურაზი

კახთა სამეფო ჩემთა წინაპართ, გარჯით და სისხლით უდიდებიათ,
ციხე–კოშკები უშენებიათ, ღვთის მოწიწება გულში სდებიათ.
რომელი იყო, რომ არ ცდილობდა სამეფოს დაცვა– მომძლავრებასა,
ამიტომ ზოგჯერ მტერსაც ემმოდნენ, არ თაკილობდნენ თანა ხლებასა.
ასეთ დროს იყო აზრთა სხვაობა ვისთან ეომათ, ვის მინდობოდნენ,
კარზე მომდგარ თუ შორეულ საფრთხეს, რა ღონე იყო, რით დახვედროდნენ.
ერთს ერთი სწამდა, სხვას კი მეორე, მიება იყო დავის საგანი,
წაჩხუბებულან სისხლიც დაღვრილა, არ მიუციათ როდესაც გაni,
ალექსანდრეზე ვიცი იფიქრე, პაპაზე არა, პაპის პაპაზე,
ავგიორგიმ რომ ხელი აღმართა, თითქო მისდევდა მტერს შეტევაზე.
მაგრამ მასაც ხომ ჰქონდა მიზეზი, ძმამ გადაუჭრა სამეფო გეზი,
აიმულეს და ქედმოუხრელმა შურისძიების შემოჰკრა დეზი,
მამაჩემს იტყვი, რა მამაჩემი კანონიერად არა მეფობდა?
მეფე იყო და ტახტს დაიცავდა, გარშემო მყოფი ხომ ყველა გრძნობდა.
ძმა იქნებოდა, თუ სხვა მოკეთე, მოღალატეა? ყველას დასჯიდა.
სამეფო ტახტი ამას ითხოვდა. მეფე იყო და მეფურად სჯიდა.
დიდზე რაგითხრა, ბავშვს ვერ დაინდობ, როდესაც ითხოვს სამეფოს ბედი.
ამიტომ სხვაა მეფეთა ხვედრი, მათი სავალი და სამოქმედი.
ჩემ დას ელენეს ჯერ რა ესმოდა, რომ მიუსაჯეს შაჰის ცოლობა.
მეც მასთან ერთად მძევალი გავხდი, სხვამ ვერვინ შესძლო ჩემი ტოლობა.
რაც იქ ვიხილე და მოვისმინე, რაც იქ ვისწავლე, რაც იქ გავიგე,
გარედან ვიყავ შაჰის ცოლი ძმა, შიგნიდან ჯავრის ციხე ავიგე,
სხვის კარზე ყოფნა რა ბედენაა, თორმეტი წელი შენაც ხომ ხეხე,
მამულს რა უყავ დასაფასები, მიდი, მოყევი და დაიკვეხე.
რა შხამს უდებენ იქ ქართველს გულში, რჯულს შეუცვლიან, წინ დაცვეთავენ,
სპარსულ ბაიათს შეაყვარებენ, ხალათს აცმევენ და ჩალმით რთავენ.
ყმაწვილი ვიყავ ყველა ვიწვნიე, გრძნობა გაცივდა, ეჭვით ავივსე
თუმც შევიყვარე სპარსული ლექსი, თვალები შაჰის მტრობით დავივსე.
ოცი წელია კახეთსა ვმეფობ, შაჰს ვეომები ოცი წელია,
ვინ თქვას ჭიდილი არის იოლი და სატანჯველიც არ დამელია.
მალზე მძიმეა მეფეთა ხვედრი, ყველა შეგნატრის, გშურობს, გიურებს
ათას რამეზე, ათას ვინმეზე ფიქრი და განსჯა თავს გაგიხურებს.
არადა შენც ხომ კაცი ხარ ამ დროს, შენც გინდა ლხენა, ტრფობა და ვნება,

ერთს მიეძალო, მეორეს ავნო, ასე მეფობა რას ეგვანება.
მდაბიოთათვის რაც იოლია, მეფეს იმისიც არ აქვს უფლება,
უნდა იტანჯოს მეტ–ნაკლებობით ვინაც სამეფოს დაეუფლება.

**მოურავი –**
უცნაურია, ისე გამოდის მთვარე, რომ ჩადის და მზე ამოდის
არ ეფინება ყველას თანაბრად. მზე თუ მზე არის ეს როგორ მოსდის?
ღმერთი თუ ყველას თანაბარს აჩენს, ბიჭი თუ გოგო ჩნდება შიშველი,
თუარ მიართმევ მუმუს ანარჩევს, სხვას რომ აჯობოს რითი უშველი,
შენაც ხომ გაჩნდი, როგორც მე გავჩნდი, მაგრამ ნარჩევი გყავდა გამზრდელი,
არ შეგ ხვედრია ჩემდენი ტანჯვა, შიმშილი იყო თუ განსაცდელი,
მაგრამ არ ნიშნავს, რომ მზე მშურობდა, შენ გინათებდა, გეფინებოდა.
თუ გიფიქრია რომ მზე გმზეობდა, ნიშნავს ღმერთს შენზე ეცინებოდა.
ღმერთი–ბუნება სიცოცხლის სურვილს, ცოცხალს თანაბრად თუ დააპურებს,
ზოგი უკუღმას წაღმად რომ ხედავს, წაღმას უკუღმა აახმაურებს?
მე არ ვუარყოფ, მამა–პაპათა სახელი შვილებს გადაეცემა.
ამის გარეშეც, ვინაც ვაჟკაცობს ამაგი მისი არ დაეცემა,
მაგრამ თუ თვითონ ვერა იღონე, მხოლოდ წარსულით თავი იწონე,
სიცრუისა და ტრაბახის გარდა ან რა მოიგე, რა მიიწონე?
მე არ მითქვია, თავად ახსენე, ის რაც უთქვიად ჩვენამდე ძველებს.
ავ–გიორგიო. კეთილი იყო? ღვთისკენ სიკეთით იწვდიდა ხელებს?
გინდ ბიძაშენი ___ კოსტანტინ–მირზა, მამას რომ ჰკლადა, ძმას ზედ აკლავდა,
შენ გამართლება გინდა უნახო, ეგება მითხრა ანგელოზს გავდა.
განა მამაშენს არ ჰქონდა ცოდვა? როცა პაპაშენს ტახტი წაართვა,
რატომ იმიეს შური დავითზე, არ დაანებეს სამეფოს მართვა?
ამიტომ ვამბობ, არაა წესი უცოდველს ცოდვა გადააბრალო.
გულმოწყალება მეფის ვალია, რომ დამნაშავეც კი შეიბრალო.
შენ კი ის გინდა, რომ შენი ავი გვეგონოს ქვეყნის შესაწირავი,
ყველა სიკეთის შენ იყო თავი, სხვას გადულოცო ვაების ხვავი.

**თეიმურაზი ___**
ბაგრატოვანი ღვთითკურთხეულნი, ტახტზე უფლისგან დადგენილია,
ბიბლიური გვყავს მამა მთავარი, ღვთის ლოცვა ჩვენზე ახდენილია.
დღეს შენ მკრეხელობ როცა შენს მეფეს, როგორც შენნაირ მოკვდავს უყურებ
და რომ მოგეცეს საშუალება, ბევრ შენნაირსაც თავს გაუხურებ.

შენ, მოღალატე ლუარსაბ მეფის. ანგელოზ მეფის მოკვლის სათავე,
ჩემთა წინაშართ კილვასაც ბედავ, მიშვებული გაქვს ენის სადავე,
ასეთზე ითქმის, ფეხთ თუ დაისვი, მერე თავზედაც აგაცოცდება,
ვინც ნაჩვევია კილვას და კბენას, მაღლის კუდივით არ გასწორდება.
ვისაც შეჰფიცე ყველას უგანე, ყველა ორგულის გახდა მოყვარე,
ვინაც დაგინდო შენ არ დინდე, ემმის წინაშე ქედი მოხარე.

**მოურავი**

ვაჟკაცს არ შვენის ენის აყოლა, სათქმელსაც უნდა მოსდო ლაგამი,
ნუ შეეცდები მთვარის დაჭერას, თუ არ მოძებნე ფეხის სადგამი.
მე კარგად ვიცი სად დავკრა ფეხი, რომ არ შემერქვას ურცხვი, უკმეხი,
არ ავიტეხო თავის სატეხი, არ მამიწებდეს მფურჩვნელთა მეხი.
ამიტომ არის ვითმენ უსაზღვროდ, მეფე ხარ, შენ წინ მხრებში ვიხრები,
გიპასუხებდი ათასჯერ მწარედ, მაჩერებს ხვალეს ბედზე ფიქრები,
შე დალოცვილო, ლუარსაბ მეფეს, იცი აჩრდილის ჩრდილად ვედექი.
რით შევეხიდე, რით მიპასუხა, რაზე რა მოხდა, იცი შედეგი.
როცა გამეფდა თოთხმეტის იყო. მისი მამისგან აღზევებული
გვერდით დავუდექ, მკერდით ვიცავდი, ერთგულთა შორის ვიყავ ერთგული.
მან ეს იცოდა და უფრო მეტად იცოდა მისმა დედამ ღვთიურმა.
ქართლის სამეფოს, ასე მეგონა, შვება მოჰგვარა რამ ზეციურმა.
გიორგიმ თბილისს მქნა მოურავად, შვილმა დაურთო ცხინვალ–დვალეთი.
საქმეს შევენთე, ურჩი მთავარნი, სწრაფად მოვდრიკე მკლავით ცხარეთი.
ზოგს ესარგებლა მეფის სინორჩით, ხევნი გაეყოთ და ხეობანი,
დვალებს, გადამდგრებს ოვსთა იმედით, მივყელ დავუმხე ციხე და ბანი.
ოვსებს გადაველ, გადავირეკე, საზღვარს ავაგე კოშკნი, ციხენი,
ატყდა ჩივილი მეფის წინაშე, ვინ მოგვისიე ,ეს რა გვიქენი.
დიდ გვაროვნებსაც დაეტყოთ შიში, დაიწყეს მოთქმა, ვაი და ვიში,
მეფემ მდაბიო დაგვასვა თავზე, სხვა რა იქნება უფრო საშიში.
როდესაც მეფემ დაგაათხოვა, აბასს მიართვა მეორე ცოლად,
მაყრიონს მიმცეს გამრიგე–მცველად, ვერვინ მინახეს ცალად და ტოლად.
იმავ წელს იყო, რომ მანუჩარმა საათაბაგო ათავისუფლა,
მე მივეხმარე ქართველთა ჯარით და თუმც მიმიღეს მცველად და უფლად,
არ გავთამამდი, ლუარსაბ მეფის მამიდის შვილთან და მამის დასთან
ვიყავ მსახური და თუ მხრებს ვშლიდი, ცხარე ბრძოლაში ოსმალთა დასთან
სვიმონ მამაცის ნაწრთობი ვიყავ, სამცხე მტკიოდა ამ მეფის გვარად,

თავს არ ვზოგავდი, ვის დავზოგავდი სამშობლოს მეოფი მის დასაფარად?
ოსმალო მოვსპეთ. საათაბაგო ქართლთან ერთობით ფეხზე დგებოდა,
გონი მიჭრიდა, ყველა ვიცოდი შემდეგ ნაბიჯად რა ეგებოდა.
ცხირეთს ვეახელ ლუარსაბ მეფეს. მეფეს მე ვუავდი და ციციშვილი,
ზაზა, სარდლებში გამორჩეული, გამარჯვებაში ვის ედო წვლილი.
ჩვენ ვთათბირობდით, რადგან ველოდი ოსმალთა მხრიდან შემოსევასა.
გზას მოანგრევდნენ თათრებთან ერთად, არ დაუცდიდნენ ჩვენს მიწვევასა.
სარდლად მათ ფერად ფაშა უძღოდა ყოფილ სამცხელი, ქართველ ყოფილი,
სისხლი სწყუროდა ნათესავების, ვისგანაც იყო გამოყოფილი.
გამოიარეს საათაბაგო, თრიალეთს მოსდგნენ, განვლეს მანგლისი.
სამოცი ათასს ითვლიდა ურდო, რიდი არ ჰქონდათ, მათ არავისი.
სოფელ კველთასთან შემოხვდათ მღვდელი, ანაფორა და ქალმები მველი,
გაუკრეს ხელი, წინ გაიმძღვანეს, მათრახით უქეს წუთისოფელი.
იცოდნენ მეფე ცხირეთში იდგა, მეფის ტყვეობის იყვნენ მონატრე.
გზის ცოდნა სურდათ, რომ ქვეყნის თავი ჩაეგდოთ ხელში გვიან თუ ადრე.
მღვდელმა თევდორემ, სწრაფად იანდა, რა მოყვებოდა მეფის ტყვეობას,
ერიქალას მთას, სოფელ გოსტიბეს და ერთაწმინდის მოსახლეობას.
ამიტომ იყო ცხირეთის ნაცვლად, ქვენადრისის გზას გაუყვა მღვდელი
თავი მოჰკვეთეს თავდადებისთვის, მოკლე მიუზღეს წუთისოფელი.
მდაბიო იყო, ახლა შენ იტყვი, მდაბიოს რატომ დავუკრა თავი.
არ გაქცეულა სხვასავით შიშით და არც შეუკრავს მომხდურთან ზავი.
შენ შეადარე იმ დიდგვაროვნებს, სხვებს რომ სწირავენ, თვით იმალვიან,
რომელი რომელს ტოლს არ დაუდებს, მამულის შვილი რომელსა ჰქვიან?
ცხირეთის ციხეს დავტოვეთ მეფე, საწრაფოდ მცირე ჯარი შევკრიბეთ,
სხერტის ჭალაში დავეცით მგლურად, მოკლულთ თავები მარწყვივით ვკრიფეთ,
ზაზა ციციშვილს, თამაზ მაჩაბელს, ტოლს არ უდებდა მუხრან ბატონი.
ბევრი დაეცა მუხლმოკვეთილი და არც ვინ იყო მათი გამგონი.
სხერტის ჭალიდან გაქცეულ ოსმალთ ახალდაბასთან გზა მოვუჭერით,
ალყა დავარტყით ექვსჯერ მეტ მომხვდურს, ბოლო კაცამდე თავები ვჭერით.
ეს გამარჯვება ბევრსა ნიშნავდა, როგორც მტრებისთვის, ისევე ჩვენთვის.
გამოცდილებას თუ რამ ქვს ფასი, გახსენებაზე გულები ენთვის.
ტაშისკარს მოჰყვა ბევრი სიკეთე, მტრებმა ეს იგრძნეს და დაიხიეს.
მეფის ღალატის შავი ხალათი ორგულთ გაიძრეს, გადაიხიეს.
შაჰთან სტუმრობდა ლუარსაბ ერთ ხანს, მისგან მოურავს ქართლი მებარა,
სამშობლოს მოვლა, მოძლიერება, ასეთი იყო ჩემი ბეგარა,

მივხვდი კიდეც, ქართლის სამეფო ძალას იკრეფდა, ფეხზე დგებოდა,
მინდოდა, მეფეს, შინ მობრუნებულს, გამხნევებული შეჰგებებოდა.
თან ჩვენი თხოვნით, თბილისის ციხე შაჰმა დასცალა და დაგვიბრუნა,
დიდი იმედი ჩადგა გულებში, უკეთურებამ პირი იბრუნა
და, ალბათ, ასეც გაგრძელდებოდა, რომ არა მტრობა დიდგვაროვნების,
სამეფო კარზე ჭორი და ფურჩვნა, მასთან სისუსტე მეუფის ნების,
იცი, შადიმან ბარათაშვილი, მასთან ბერუკა და ფარსადანი
არა მზოგავდნენ, აშკარად მტრობდნენ, რაა სათქმელი და მოსატანი,
ოც მაისს იყო, მეფის მიწვევით წავკისს ვეწვიე სანადიროდა,
ვერა ვიანდე, მეფის დატურით, შეთქმულთა ქარი საიდან ქროდა.
მათ ჩემი მოკვლა უნდოდათ თურმე, ჟანგიან ხანჯლებს ჩემთვის ლესავდნენ,
მათი თვალები, ალერსით სავსე, როცა არ ვიყავ სიმწრით კვესავდნენ,
შუაღამისას დამეცნენ ჯარად, უბელო ცხენით მლივს გავასწარი.
ნოსტეს გავფრინდი, ცოლ-შვილი ვიხსენ, რადგან დროება დგებოდა მწარი,
განა, მინდოდა, სხვა გზა არ იყო, წაველ, სპარსეთში გადავიხვეწე,
იმდენი შხამი მომიმღვნა მეფემ, რაც მე ვუფერე და რაც ვეხვეწე.

**თეიმურაზი**

სწორედ ამიტომ იძიე შური, შაჰ აბასს იგი მოაკვლევინე,
მის წმინდა სისხლში ჩაყავი ხელი, ჯალათებს თასით დაალევინე
და ამის მერე გსურს, დამაჯერო, რომ ლუარსაბთან ხარ უცოდველი,
მე მევალება შურისძიება, მოღალატე ხარ და მეფის მკვლელი.

**მოურავი**

ლუარსაბს კიდევ ვუყვარდი ერთ ხანს და მეც მიყვარდა ჩემი ბატონი,
იცოდა ფასი ერთგულებისა, იყო ერთგულთა რჩევის გამგონი
და ასე ეგებ გაგრძელდებოდა, რა იქნებოდა, რა მოხდებოდა,
ნოსტეში სტუმრად რომ არ მწვევოდა, ჩემი და რომ არ შეჰყვარებოდა.
ღმერთია მოწმე, მე არ მინდოდა, დედა ვაფიცე — დიდ დედოფალი,
ხელი აეღო უცხო საქმეზე, არა სჭეროდა ჩემ დაზე თვალი.
ვერა ვიღონე, დიდთავადებმა ჩემი პატივი იუკადრისეს
და გამილანძღეს, მეფის წინაშე ლაფი მესროლეს და ფეხით მსრისეს.
ბოლოს მიიღეს მოკვლის ნებართვა, მაგრამ გადავრჩი და განვერიდე.
ეს ხომ არ ნიშნავს, მე მოვკალ მეფე, მე შევუნგრიე გონების რიდე.
შენ გაიხსენე თუა სიმართლე, იმერეთს ერთად იყავით სტუმრად,

გაქცეულები ქართლ-კახეთიდან დროს ატარებდით ქეიფში მშურად.
თქვენი სამეფო სპარსეთს ეკავა, შენ გამო შაჰმა მოსრა კახეთი,
რამდენჯერ გთხოვა შემორიგება და პასუხობდი სიტყვით მკვახეთი.
შენი მიბაძვით ლუარსაბ მეფე იმერეთს გაგყვა, გადაიხვეწა,
იქვე ეახლა მას შადიმანი, იყო გამზრდელი, ტკბილად ეხვეწა,
ჩამოიყვანა, შაჰს ჩააბარა,თან თავს იქებდა ის წარამარა,
მისმა ღალატმა დაღუპა მეფე, ჩემი დის ცოდვამ არ გაახარა.
შაჰმა მოსთხოვა რწმენის გამოცვლა, ალაჰის რჯულზე სთხოვა შედგომა,
უარი უთხრა. უარის გამო მეფემ მოიმკო ტანჯვა შემდგომა,
თავი გაწირა, თავის გაწირვით სამეფო რბევას გადაარჩინა,
იმათ მიუძღვნა მეფემ სიცოცხლე, ვინაც გაზარდა, რამაც არჩინა,
შენ გინდა, ახლა მე დამაბრალო, რაიც გადახდა, რისთვის ეწამა,
კიდეც რომ გითხრა: ვარ დამნაშავე, ვერ დაიჯერებ, ვიცი, ერთწამა,
რადგანაც იცი შაჰის ბუნება, სპარსეთის ლომი, მართლაც, ლომია.
პატარა იყავ — მასთან იყავი და დიდს შენ სხვათან არ გიომია.
შაჰი არ არის გულსუსტი ბიჭი და არც უჭკუო — სხვის სურვილს აჰყვეს,
დიდი თურქეთი მან დააჩოქა და საქართველოც მის ნებას გაჰყვეს.
ეს გინდა, რომ თქვა: მან ჩემი რჩევით ლუარსაბს თავი გააგდებინა?
სასაცილოა, მტრედს ადრი არწივს, ის მძლავრი მეფე და მე კი — ვინა?
შენ იმის ყმა ხარ და მე კი შენი, ვინ ვის უბრძანებს,ხომაა ცხადი?
სხვისი ცოდვები რატომა ვზიდო,სხვებისა რა მჭირს გადასახადი?

**თეიმურაზი —**

დიახ, ლუარსაბ შენ მოინელე, კახეთის რბევას შენ მეგზურობდი.
ეს შენ ურჩიე ზამთარს ლაშქრობა, ცოდვა იტვირთე, ნუთუ, ვერ გრძნობდი?
ეგებ, კახელნი სულ არ გტკიოდა, თვლით არ გყოლია ჩაბარებული,
სამშობლო დათმე, მტერს შეეკარი, გახდი გონებაგაცვეებული.
შენს გამო მოხდა, ბევრი ათასი მოკლეს ან სპარსეთს გადაასახლეს,
შენს გამო კახეთს შეუნთეს ცეცხლი, ქართლი დაინდეს, ხელი არ ახლეს.
ეტყობა, უკვე მაშინ გინდოდა ჩემი სამეფოს დაპატრონება,
ამიტომ ქლიტე, გამოაჩინე უძღები კაცის შლეგი და ვნება.

**მოურავი —**

ჩემი შენ გითხარ — გული მოგიკალ, ასე ხომ ხშირად იტყვის ქართველი,
ერ გამიგია ასე სიცრუე, არც მეზღაპრის ვარ ქვეყნად მნახველი.
შე, დალოცვილო, თითს იშვერ ჩემსკენ, გინდა, შემარქვა კახელთა მკლეტი.

რად აგერია ჩემი და შენი, ეგება ეშმამ დაგასხა რეტი?
თუ არა ასე, მე გაგახსენებ, ვიტყვი, რისი თქმა სულ არ მინდოდა
როგორი იყო ცხოვრების არხი და შიგ სიცოცხლე როგორ დიოდა,
ტაშისკრის მერე, შაჰის მიწვევით ლუარსაბ მეფე შაჰს რომ სტუმრობდა,
შენც მიგიწვიეს და ეახელი, რადგანაც გული ავს არ გიგრძნობდა.
პირველი თხოვნა, რაც შაჰს მიართვი ნიშნად მოყვრული თავდადებისა,
იყო სურვილი სიკვდილით დასჯის იქ მყოფ კახელი თავადებისა.
შენში არ იყო გულმოწყალება, ვერ დაითმენდი შერიგებასა,
სისხლი გწყუროდა შენივე მოძმის, ჩქრობდი მიზნის ასრულებასა.

**თეიმურაზი**

როგორ მიბედავ იმათ ხსენებას, ვინც თავის მეფის იყო ორგული,
დავასჯევინე, ღირსები იყვნენ, უფლებაც მქონდა მეფური სრული.
შენ ვინ გინახავს, რომ მოღალატე ხელში მოიგდოს და შეიწყალოს,
ასეთი გზებით შორს ვერვინ წავა და ვერც გალეწავს ცხოვრების კალოს.

**მოურავი**

რატომაც არა, აგერ არა ვარ? დასტურად მოწმე არა მჭირდება,
ბერუკას ჩემით სამჯერ შევრიგდი, თუმც მისგან წყენა არ მავიწყდება.
რაც ფარსადანმა იკისრა ცოდვა, სხვა ჩემს ადგილას თავს წააცლიდა,
ორჯერ შევფიცე და ვაპატიე, არც მინანია სიკეთე ციდად.
შორს სად მივდივარ, თვითონ მროველი ხომ იყო მტერთა ბანაკში მყოფი,
ფიცით შევერთდით, ვეთაყვანები, რა მაქვს სამდურო და გასაყოფი!
მე ასე ვფიქრობ, კაცის კაცობა მისი სიკეთით აიწონება,
სუსტი ხმაურობს და იმუქრება, თავდაჭერაა ძლიერის ცნება.

**თეიმურაზი**

ვფიქრობ, პირიქით, მტერს რომ დაინდობ, ამით საკუთარ მტრებს მოამრავლებ,
ასე სამეფოს ვერ აძლიერებ, ერის ხსოვნაში კვალს ვერ გაავლებ.

**მოურავი**

რა მტრებზე ამბობ? ომანიშვილი, უერთგულესი მთავარსარდალი
მოაკვლევინე სულ უმიზეზოდ, ალბათ, რომ დიდი გაგევლო კვალი?

**თეიმურაზი**

არავინ იცის, რომ ქაიხოსრო შორშორ გამიზნულ მახეს მიგებდა,

ვისთვის რა მეთქვა მისი ზრახვები, თვით დედაჩემიც ვერ გამიგებდა.
ქორწილი გვქონდა მე და ხორეშანს და თავს დაგვეცნენ ვითომ ლეკები,
ყადორს შეკრიბეს დიდძალი ჯარი, ვითომ მტრის რისხვა და გამრეკები.
არ გამომეცნო მისი განზრახვა, ორგულობისთვის არ დამესაჯა,
არ ვიქნებოდი მეფობის ღირსი, თუმც შეწყალებას ბევრი მეაჯა.
მაგ რამ რას ვვაჭრობ ერთზე და ათზე, შენ აკლეტინე მრავალ ათასი,
მოსპე კახეთი, იმათი სისხლით შაჰს გაუწოდე პირსავსე თასი.
მათში ჩემები: დედა შვილები, შენ ხრიკთა მსხვერპლნი ვერდაზრდილები,
შურნამიები ვიქნები მაშინ, როცა იმქვეყნად მივეწყვილები.

მოურავი

რას უწყალობებს კაცს შემოქმედი, ისეთი არის იმისი ბედი,
თუ ხარ მოშიში, ხომ დააკელი, არავინაა მეტის გამბედი.
ბედმა გარგუნა, რომ იყო მეფე, მეფურად ყოველ საქმეს განსჯიდე.
ბევრს შვება მისცე, ცოტას უფერო და უფრო ცოტას კიდეც დასჯიდე.
თუ აგერია ვისთან რა გინდა, თუ ვერ გაიგე მტყუან–მართალი,
როგორღა უნდა მართო ქვეყანა, რა გაარიგო რა სამართალით?
მე რომ ჩამმახი: ხარ მოღალატე, შაჰს შენ ურჩიე ზამთრით ლაშქრობა,
ცხელი ტყუილი უცებ ისროლე, არ დატყობია ენის დამწვრობა.
შენ ჩემს ადგილას სხვას რას იტყოდი, კახელებს რითი შეეწეოდი?
თავს წააგებდი, უდროოდ წასულთ გზას მოუჭრიდი, დაეწეოდი.
გაზაფხულის პირს მოგადგა შაჰი, შენ ნადიმობას არ ეშვებოდი,
გავაზურს სვამდი ტანგრძელი ყანწით, სად ნადირობდი, იქვე თვრებოდი.
ჩილოყაშვილმა, შერმაზანს ეტყვით, ბევრჯერ გირჩია ხმალი გლესა,
შენ სასაცილოდ არა გყოფნიდა, სპარსეთს ადრიდი ვიწრო ღელესა,
როცა განჯაში ჩამოხდა შაჰი, შენ მაშინაც კი არა იზრუნე,
ბუჩქი, რომელიც გიშლიდა ხედვას არ გადაწიე და გადაღუნე.
მე რომ მერჩია შენზე წამოსვლა, არ მოგეჩვენოს რამ უკმეხობა,
სიკვდილის კერმად გადიქცეოდა მთელი კახეთის მთელი გლეხობა,
მშიერ გაზაფხულს ვინ გადიტანდა და ან მოსავალს ვინ მოიწევდა?
შაჰს ეს უნდოდა, შენც თუ გინდოდა, რაზე გაწუხებს წასული სევდა?
მე ეს ვიფიქრე, დაე, გლეხობამ საზამთროდ სარჩო მოიმარაგოს,
სამალავებიც კარგად მოაწყოს, რომ ჯალაბობას რაიმე არგოს.
ზამთარს ვერც მოხნავს და ვერც მოიმკის, მარაგით არა გაუჭირდება,
სიცხის ქვეყნიდან მოსულ საპარსელსაც ბევრჯერ აჯობებს, თუ დასჭირდება.

ეს თუ ღალატი არის ჩემი მხრივ, მაგ შენს მოქცევას რა ეწოდება?
შაჰმა გიწვია: მოდი, შევრიგდეთ, სხვებს ნუ მიგზავნი, თუ გეცოდება
ალექსანდრე და ლევანი გაეც, ზედ ქეთევანი დაურთე მძევლად,
არ გამოცხადდი შაჰთან პირადად, გადაიქეცი გინებად, წყევლად,
გაპატიებდა, რომ მისულიყავ, გადაგერჩინა დედა, შვილები,
მრავალ ათასი კახელი გლეხი შენგან ლაჩრულად განწირულები,
მე გაგახსენებ სულმნათ დემეტრეს, ერმა უწოდა თავდადებული.
თვით ლუარსაბი შენს ლაჩრობასთან გმირობით არის გაბრწყინებული.
მეფე, რომელმაც გასწირა ერი გაწირა დედა, წვრილი შვილები,
სხვას უკიჟინებს მოღალატობას, მოდი და ჭკვაზე ნუ შევიშლები.

**თეიმურაზი**___

დიახ მე მძევლად გავეც შვილები და თან რადგანაც იყვნენ მცირენი,
ბებია გაჰყვათ ობოლთ მზრუნველად და თან ამალა ახლდათ მწირენი,
ასეთი იყო დარბაზის აზრი, არც მიგვიღია აზრი უდავოდ,
მე არ გამიშვეს მაშინ, სამეფო ხომ დარჩებოდა მტერთან უთავოდ.
ჩემობას კახეთს სხვა ვინ გაწევდა, ჩემს ტვირთს ვინ ზიდდა, ან ვინ აწევდა?
სულმნათი პაპის სიკვდილის მერე ჩვენ უბედობა ისედაც გვდევდა.
შენ აქ მიხსენე დემეტრე მეფე, ჩემია ჯიში და წინაპარი,
სად მიდიოდა, კარგად იცოდა, არ სჭირდებოდა თავშესაფარი.
მართალი იყო, კიდეც უნდოდა, ყველას სცოდნოდა მისი სიმართლე,
მართალი მუდმივ წელმაგარია, მტყუანს ერთმევა თვალში სინათლე.
ღალატით მოკლეს მოღალატეებმა სიმართლის დაცვა არ დააცადეს,
თავი მოჰკვეთეს , მკერდი გაუპეს, მფეთქავი გული ამოაცალეს.
იქ პირადული რამ იყო მტრობა, სამეფოს არვინ ემუქრებოდა,
ამიტომ იყო, თავის დადებით კარგად იცოდა, რაც მოხდებოდა,
ლუარსაბისაც სხვა იყო საქმე, ქართლის დარბევა შაჰს არ უნდოდა,
მას ჯერ კახეთის გაქლეტა სურდა, მისი ფიქრები იქითკენ ჰქროდა.
რომ არა შენი დიდი მცდელობა, ლუარსაბს შაჰი ხელს არ ახლებდა,
უკან მისცემდა ქართლში მეფობას და ამალასაც თან აახლებდა.
შენი ბრალია მისი სიკვდილი და კახეთისა რბევაში წვლილი,
შაჰმა ამიტომ პატივით გმოსა და დადიოდი წელში გაშლილი.
მალიან გინდა, უბედურება უცოდველ მეფეს გადმოაბრალი,
ნუთუ ვერა გრძნობ ამაოდ შვრები, კაცო დიდგულავ, უჭკვო საბრალო.
შენ რას მიხვდები ჩემი მსხვერპლის ფასს, ჩემდენი ტანჯვა ვის გაუვლია?

უბედურებამ ჩემთვის დრო ნახა, მწარეში მწარე გადაურია.
მამა მომიკლეს, ცოლი მომიკვდა, უღვთოდ მიწამეს დედა, შვილები,
ჩემდენი თუ ვის გადუტანია, დარჩნენ უგონო, ჭკვაშეშლილები.

**მოურავი**

მართალია, შენ მეტი გაიღე: დედა და ორი მცირეწლოვანი,
ერთი შეხედვით, უბედურება არავის წილად მინახავს მგვანი,
მსხვერპლი დიდია, შენი წუხილი ამიტომ ერში დიდადა ფასობს,
ვინც გაიხსენებს როგორ, რა იყო, მას მოგონება ლახვარს დაასობს
შენზე იტყვიან, მამულისათვის, ამხელა მსხვერპლი ვის გაუღია.
სამაგალითო თუ არის რამე, ბევრს მაგალითად გადაუღია,
მეც ვიქნებოდი არარა კაცი, ამ მსხვერპლის ფასი რომ არ ვიცოდე.
მათი გულის ხმა რომ არ მესმოდეს, მათსავით შანთით რომ არ ვიწოდე,
წმინდანებია დედაც, შვილებიც, დედოფალს იცი, კარგად ვიცნობდი.
როცა ჩაყარეს სპარსეთს დილეგში, რა მოხდებოდა — გუმანით ვგრძნობდი
ერთია მსხვერპლი, მე ასე მესმის,მეორე არის მსხვერპლის გამღები,
როგორც ერთია საგნის პატრონი და მეორეა მისი წამღები.
შენ თვითონა ხარ იმის სათავე, რაც შეხვდა დედას, შეხვდა შვილებსა,
ვერ შევადარებ საცოდავობით ტანჯვით დახოცილთ და მოტირლებსა.
მე მაგონდება, როცა წავკისში ხერხეულიძემ მომცა ნიშანი,
გამოვვარდი და უბელო ცხენით გავქროლე, სადაც მქონდა მიზანი.
ნოსტეს მივვარდი, რათა შვილები რბევას და ძარცვას გადამერჩინა,
ცოლ–შვილი მეხსნა, მე მოვმკვდარიყავ, ასეთი ბოლო მუდამ მერჩივნა.
ახლა შევხედოთ, შენ რა იღონე, რა ჰქენი, ან რა გამოიგონე,
შაჰს რომ ჰხლებოდი, ყველას იხსნიდი, მაგრამ არ გაგწვდა ვაჟკაცის დონე.
თვით დაიმალე, შვილი გაუშვი, ერთი, მეორე, დაურთე დედა,
ასეთ კაცს კაცი როგორღა ჰქვია, რად ვემსახურო, გავუხდე მწედა?

**თეიმურაზი**

ჩემზე რომ ამბობ, შენსას შეხედე. შენც ხომ სპარსეთში დატოვე შვილი?
თვითონ წამოხველ, ის გაიმეტე, მაშ, შენც ყოფილხარ ჭკუაშლილი.
ჩვენში სხვაობა რაღა ყოფილა, შენ დათმე ერთი, მე დავთმე ორი,
შვილი შვილია, თუკი ხარ მამა, საგულეს ხატი გრძნობასთან სწორი.

ერთი შეხედვით, მართლაც, ასეა: დათმე შვილები, მეც დავთმე შვილი,
პაატას მსხვერპლად გამეტებაში, მამა ვარ დიდი მიმიძღვის წვლილი,
ვარ შვილის მკვლელი. მკვლელი კი არა წმინდა მინდა არსების მსხვერპლად გამღები,
მას შემდეგ დავალ თავმოკვეთილი, თუ ვინმე არის ამის გამგები.
ერთი შეხედვით, მართლაც, ასეა: შენ შვილი გაეც და მეც გავეცი.
მით გარეგნულად უფრო ავმაღლდი და შინაგანად დაბლა დავეცი,
მაგრამ ერთი მაქვს სანუგეშები: არ გამიწირავს თავდახსნის მიზნით,
შენგან მეფეო, ამ დიდ საქმეში მე განვსხვავდები ამგვარი ნიშნით.
შენ შაჰი გთხივდა თავისთან მისვლას, გელოდებოდა ორიოდ წელი,
სურდა ეხილე ერთგული ქვისლი, ერთგულებაზე დაგეკრა ხელი,
სურდა სცოდნოდა წინაპართ მსგავსად რუსებისაკენ არ იცქირები,
მისი სამეფოს მირის სათხრელად არ დაგირაზმავს კახეთს გმირები.
შაჰს სხვა რა სურდა შენგან, მითხარი, რად გაამწარე და რად აშალე?
ერთგული იყავ — ხომ გაფასებდა, მოყვრობის გრძნობა რატომ წაშალე?
უნდა გცოდნოდა, რუსთა ხელმწიფე შორსაა და ვერ დაგეხმარება.
უცხო ხარ მისთვის, ვისა სჭირდება ზედმეტი ბარგის ზურგით ტარება?
მოკლედ რომ მოვჭრა, ასე ვიტყოდი, არა მჭირდება ხანგრძლივი გარჯა,
შენმა შენმა სიბეცემ მოსრა კახეთი, ზედ დაემატა ახლობელთ დასჯა.
ახლა შევხედოთ, ჩემი ამბავი შენსას რამდენად ეხმაურება:
ვიტყვი, ისმინე, დაიმახსოვრე, არა მჭირდება მოწმეთ შეკრება.
ჯერ კიდევ შაჰთან ყოფნისას ვიგრძენ ქართლის დალუპვის მისი სურვილი.
კახეთი მოსპო, მაგრამ უმღებმა ვერ დაიოკა სისხლის წყურვილი.
როცა ყორჩი ხან ქართლს გამოგზავნა და თან მაახლა პირველ მრჩეველად,
ეჭვები უფრო გამიძლიერდა, შაჰი თავს გრძნობდა ყველას მძლეველად.
წამოსვლის წინ კი ჩემი პაატა მძევლად დატოვა შაჰმა თავისთან,
მტანჯავდა ფიქრი მის მომავალზე, მაგრამ წუხილი გამეთქვა ვისთან?
სასწორზე იდო სამშობლოს ბედი, მეორე მხარეს ბედი შვილისა,.
ერთის დარჩენა მეორის ხარჯზე იყო შედეგი ჩემი წვლილისა.
მე ღმერთის შემდეგ და ღმერთის დარად მხოლოდ სამშობლოს ვეთაყვანები,
თუ არ ვანაცვლი თავსაც და შვილსაც, მის დამცველს სხვაფრივ რით ვემგვანები?
ხედავ? ჩვენს შორის რა სხვაობაა, რაა ჩვენ შვილთა მსხვერპლის მიზანი,
სამშობლოს ვარ მე შენაწირები, შენ კი შენ თავში სამშობლო სცანი.

**თეიმურაზი**

შენ მალზე დიდი გგონია თავი, ამაყობ, როგორც მხედართმთავარი.
ომის ღმერთი ხარ, შენ ასე ფიქრობ და შენი ტოლი არავინ არის.
არ ვიტყვი ტყუილს, როგორც მებრძოლი, თუ ვინმემ იცის, დიდადა ფასობ,
სად ტკბილი სიტყვით ფონს ვერ გადიხარ, იქ ლახტს მოიქნევ და შუბს დაასობ,
მაგრამ არ ნიშნავს სხვას შენნაირად მახვილით კვეთა არ ეხერხება,
ეგ დიდგულობა დიდ მებრძოლისა ჩემთან არ გავა, მე არ მეხება,
შენ თუ მოიგე აქა–იქ ბრძოლა, მეც მიომია, მეც მომიგია,
აქ თავსაქები და სატრაბახო, ნეტავ, რა არის, ვერ გამიგია.
შენ თუ იმარჯვე სხერტის ჭალაში, შეჰკარ ბორჯომი და ტაშისკარი,
არ იყავ მარტო ნაქებ სარდლებში, იქ იყო მეფე და მისი ჯარი.
გინდა, მარტყოფი, ხომ ყველამ იცის, ზურაბი იყო ჯარის სარდალი,
შენ კი მტრის ზურგში იყავი მშვიდად, გევალებოდა ჩუმად თვალთვალი.
ახლა ადექი და შეადარე, მითხარ სიმართლე, თუნდ იყოს მწარე,
როგორც სარდალი, როგორც მებრძოლი, სად გამიტოლდი და შემედარე?
ბავშვმაც კი იცის, მე რატომ გითხრა, ათი წლის წინათ არაგვის პირად,
წიწამურასთან ალი–ყული ხანს ვინ მოევლინა მსახვრელად, გმირად?
რომელი იყო, ჩემდენს ასწევდა, სამჯერ მეტ სპარსელს ბოლომდე სდევდა?
გზებს მოუჭრიდა, თავებს დასჭრიდა, კარვებს ველს გაშლილს ხანჯლით ჩახევდა?
იმას არ ვიტყვი, ჩემთა წინაპართ მეტი გმირობა არა სჩვევოდათ,
მაგრამ ენახათ იქ ჩემი ომი, იმათაც თავბრუ დაეხვევოდათ.
შენ კი გგონია, რომ შენი დარი, არც ვინმე იყო, არც ვინმე არის.
შურით მარაბდა წაგვაგებინე, შენ მიუძღვენი ერთობას ბზარი,
რომ არა შენი ბოღმა და ღვარძლი, ომს მოვიგებდით, თავს შევიქებდით,
შენმა ღალატმა ჩაყარა წყალში, რასაც ერთობით გავარიგებდით.
შენ არ იკმარე ჩემი წყალობა, თუმც მეფე ვიყავ, მეფედ არ მცნობდი,
ჩემს ცოლს წაართვი პირველ ქალობა, კაცსაც შენ ტოლად ვერავის გრძნობდი.
გოროზი გული ვერ დაიწყნარე, ვერ შეიშნოვე დიდი სიკეთე.
ახლა მეფობაც მოგდომებია, მომკალ, გამეხი და მოიკეთე.
მე დავტოვებდი ორთავ სამეფოს, ვიცოდე ჩემ ერს ეს მოუხდება.
არ გამრავლდება შენებრ ორგული და მეფეს კარზე არ მოუხდება.
აქ, ბაზალეთში, ვიცავ სამშობლოს, ვაგლახ, ქართველი ქართველებისგან,
ჩემივ ყმებისგან მოველი იმას, რასაც მუდმივად ველოდი მტრისგან.

**მოურავი**

აროდეს მითქვამს, რომ ხარ ჯაბანი, არ გიწევია ბრძოლის ჭაპანი,

არ გხურებია კაცის საბანი, ლაჩრულად გისვამს სხვისი ნაბანი.
უფრო პირიქით, მუდმივ მჯეროდა, შენს გადახდილზე ბევრი მღეროდა,
არ იყავ სხვისი ხელის შემყურე, არ უყურებდი სხვის ომს ჩეროდან.
ამიტომ იყო, მარტყოფის მერე, ქართლი–კახეთი გაერთიანე,
განჯას მივუხტი, არაქსს ვუწიე, წამითაც არსად დავაგვიანე.
დიდი სასულთნოს დიდვეზირს ვთხოვე, კარგი დრო იყო, მხარი მოეცა,
რომ შევჭრილიყავ სპარსეთის გულში, შიშსა და მრწოლვას ყველა მოეცა.
ბეცი ვერ მიხვდა აზრის სიდიდეს, მცოდნის რჩევა არ დაუჯდა ჭკვაში.
შაჰს დავამხობდით ერთიან ძალით, მადა ხომ იცი, მოდის ჭამაში.
რომ არ მქონოდა მე შენი რწმენა, მქონოდა შური, ბოღმა და წყენა,
გადახვეწილი, დამდაბლებული, კიდევ უარესს ბევრს იტყვის ენა,
რად მოგიწვევდი მეფე–ბატონად, გადვიქცეოდი ყურმოჭრილ მონად?
იმერთა მეფეს გავამეფებდი, შევძლებდი, ვამბობ შენს გასაგონად,
მაგრამ ვიფიქრე, ეს არ ეგება, სანამ ქვეყანა გონს მოეგება,
სანამ მიხვდება ერთობის ძალას, შემოეცლება მცირე მოგება,
კახეთს თავადნი აიშლებიან, ქართლში ისედაც ბევრნი მშურობენ,
ცალკცალკე ყოფნა ურჩევნით თავადთ, მიტომ ცდილობენ და ხმაურობენ,
იმერთა მეფის ქართლში მოწვევას თუ სულთნის ძალა არ გაამაგრებს,
შაჰი შეხვდება ცოფმორეული და გამარჯვება ვერაფერს გვარგებს.
მთავარი მაინც იყო ის რწმენა, რომ გაარჩევდი მტერს და მოყვარეს,
განადიდებდი, ვინც გიერთგულა, არა, ვინც მტერთან ქედი მოხარეს,
სვეტიცხოველში გაკურთხეთ მეფედ, იმისი ძალა ყველას ჰფარავდეს,
დაეცეს დამბლა იმ ფიცს ერთობის, ვინც ღალატობდეს და იპარავდეს.
ასე მეგონა, ჩემი მცდელობა, ქვეყნის დიდების იყო სამანი
და არ ვიცოდი პატარკაცობას პატარდიდების ეყოფა ხანი.
ოთხი თვის შემდეგ, როდესაც შაჰმა მარაბდას სპარსნი შემოუსია,
ცეცხლში გახვიეს სამეფო მთელი, როგორც ქათამი გასატუსია,
მაშინაც სამჯერ გვჭარბობდა მტერი, მოსული, როგორც სეტყვა და ღელგმა,
კოჯრის ვიწროებს თავს ვაფარებდით და საომარი გვინდოდა გეგმა.
იქ ზოგს ეგონა და შენც გეგონა, თუ სადმე ერთი მოიგე ბრძოლა,
სარდალი ხდები უდიადესი და მომხდურს ზაფრავს შიში დამრწოლა.
ახლა მიხსენე მარტყოფის ომი და შენი ომი წიწამურასთან,
სხვადასხვა იყო საომარ წყობით, რატომ შევადრი სხვასთან და სხვასთან?
წიწამურასთან ჯარს რომ სარდლობდი, ალყაში იყავ, სხვა გზა არ გქონდა,
ფონს გახვიდოდი, ან ტყვედ გიგდებდნენ, გამოსავალი სხვა არსით ჩნდოდა.

მე კი შემეძლო, ზურაბის ნაცვლად, ქართველთ შეტევას თავში ვდგომოდი,
მაგრამ შემეძლო, მტერს შორის ყოფნით ათასჯერ მეტად გამოვდგომოდი.
ჯერ მივაძინე სპარსელთ სიფხიზლე, მერე სარდლობა მოვუსპე წამში,
რაც იყო კარგი ან მოხდა ცუდი, ნუ ჩაიყრება საერთო ჯამში!
შენ გაიხსენე აღმაშშენებმა დიდგორის ომში რა ხერხს მიმართა,
მტრის ბანაკისკენ რჩეულთა რაზმი დედლების ნიღბით რად გაემართა.
შე დალოცვილო, აბა, დაფიქრდი, მე უკვე შიგნით, ბანაკს ვიყავი.
თავი გადავდეთ ხუთმა ვაჟკაცმა, ურჩხულს ხუთმაგი მოვკვეთეთ თავი.
რომ შემეტია ზურაბთან ერთად, რას შევმატებდი, რას მოვიგებდი?
ქქვსჯერ მეტ მტერთან უსაგნო ჯახით დავიღლებოდით, ომს წავაგებდით.
ხერხია ომში ძალის მძლეველი, ჯარსაც სჭირდება კარგი მრჩეველი.
თუ არ გყავს მცოდნე და გამწევლი, მარცხის კერძია ის შემტეველი.
ამიტომ იყო კოჯრის ხევებშიც დარჩენას გთხოვდით ყველა სარდალსა.
ვერ გაუძლებდა ქართველი გლეხი მარაბდის ველზე იმ სიცხის ალსა
და, ამას გარდა, მტერთა სიმრავლე ხევხუვში უფრო ნაკლებად ფასობს.
ამ დროს ტყის ჩრდილში ჩასაფრებული მედგრად მიიბრძვის და მიკისკასობს.
შენ არ იგუე იქ ჩემი რჩევა, ზურაბმა, სხვებმა, მხარი აგიბეს,
ცრუ იმედების კოშკები დადგეს და შენც ხალისით აჰყევ ამ კიბეს,
არ დაიჯერე გამოცდილისა და რაც მოიგე, თავადაც ნახე,
მახე, რომელსაც სპარსელს უგებდი, ქართველისათვის აღმოჩნდა მახე.
ეჩქარებოდი პატივმოყვარე, გწვავდა სახელი მთავარსარდლისა,
თუ სახელს ელტვი და არა საქმეს, შედეგი მუდამ იქნება სხვისა.
ღმერთია მოწმე, მარაბდის ველზე ყველა ვაჟკაცმა თავი გადადო,
მაგრამ გეზი თუ არ არის სწორი, ვერას გახდები, რაც უნდა სცადო,
ახლა გინდა, თქვა, ბრძოლის წაგება შენი კი არა, ჩემი ბრალია?
სიცრუის გარდა, თუ არ აქვს ღონე, დამბრალებელი შესაბრალია.
თუ მე წავაგე მარაბდის ომი, შენ რას გარბოდი, საით ილტვოდი?
მეც რომ შენსავით გავქცეულიყავ, მაშინ მენახა, რაღას იტყოდი?
სხვაფრივ განსაჯე, დარჩენილები წვრილ–წვრილ რაზმებად შემოვიკრიფე,
ვუსაფრდებოდი, თავს ვესხმოდი, მტერთა თავები ხილივით ვკრიფე.
სამოცი კაცით დავეცი ლისში, შვიდასი მტერი იქ დავამიწე.
არ ვისვენებდი, არც ვასვენებდი, მამულს ვიცავდი, როგორც შევფიცე.
შენ სად იყავი მძიმე დღეებში, როგორც სარდალი, მეფე და მცველი?
გარბოდი და თან იმალებოდი, ასეთი მოგდგამს თვისება ძველი.
შენ ახლა გმირობ, როცა მეორედ სამეფო ტახტი ფეხქვეშ გაგიგე,

სამცხეს გადაველ, ვათავისუფლე, ერთობის ძალის კოშკი ავიგე.
ის ვერ იგუე, რომ მეტი შევძელ და უფრო მეტი მაქვს განზრახული.
მდაბიო ერში ჩავდე სახელი, ხატივით ვუევარ გამოსახული.
დიდგვაროვნების შეკრიბე გუნდი, ყველა თან გყავდა, ვინაც მე მშურობს,
ფურჩვნას ეძლევა დილით-დილამდე, ჩუმად ფეხს მიდებს, არა ხმაურობს.
ყოველ მათგანმა მარაბდის მერე ძლიერ მომხდურთან შეკრა კავშირი,
ციხე-კოშკები ნებით დაუთმო, სტუმრობაცა აქვთ იმათთან ხშირი.
შენც არ იჭირვებ, გავაზურს ეტრფი, ყანწით იგონებ სანატრელ დროთა,
თორმეტ ნადირზე თორმეტ ადგილას ჯერ-ჯერით დახვალ სანადიროთა.
აბა, მე მკითხე, დღე-ღამე მაშვრალს ბოლოს საწოლზე როდის მეძინა,
თავი გადავდე, არც სხვა დავზოგე, რომ მტერს ქართველზე ვერ გაეცინა.
ცდილობ, აქეთკენ გადმომაბრალო, რაც ცხოვრებაში გიქნია ავი,
დღევანდელი დღის შენ ხარ მიზეზი, დამარცხებების შენა ხარ თავი.

**თეიმურაზი**—
როგორც მეომარს და შემმართებელს, არა გაქვს წუნი, გავიმეორებ..
მეფის ყმა იყავ ხმალშემართული, ვიტყვი და ენას არ ავიყროლებ.
ვისაც უნახავს ხმალთა კვეთება, შეგეძლო საქმე, მისი კეთება.
შენ არ გეგონოს, ამას რომ ვამბობ, მინდა რაღაცის გამოკეთება.
მე მხოლოდ ის ვთქვი, როგორც მებრძოლი, შენ თუ იყავი, სხვაცა ყოფილა,
კარგი სარდლობა სხვისაც უნახავთ, მისთვის ქვეყანა არ გაუყოფილა.
მხოლოდ შენ გინდა, სხვა არა ჩანდეს, ერისთვის მებრძოლს სხვა არა ჰგავდეს,
ყველა სიმღერა შენთვის აყვავდეს და ყველა გული შენთვის დაზავდეს.
ამის გულისთვის გაჰყავ ქვეყანა, ქართლს წამოასვი მუხრან-ბატონი,
ახლა იმერეთს უწვდინე ხელი, კახეთში გინდა, დავრჩეთ მარტონი,
შენგან არ მიკვირს, კაცი, რომელიც შაჰს ეახლება, რჯულს გამოიცვლის,
სულ ახალ ღმერთებს ემსახურება, სხვის სადიდებლად ვეღარ მოიცლის.
თავს ვერ გიტოლებ, ასე სად არის, მე ქრისტიანი, შენ კი ურჯულო,
ცრემლმაქცევარი მოწამეთათვის მე გულიანი და შენ უგულო,
შენ შეადარე ქრისტეს სახელი ჩემს სამეფოში როგორა ფასობს,
მისი გულისთვის როგორ ვეწამეთ და კიდევ ლახვარს რამდენს დაგვასობს,
როგორ არ სტანჯეს ჩემი შვილები და დედაჩემი მირონცხებული,
მსოფლიო შესძრა მისმა წამებამ, მხოლოდ შენ დახვალ თვალდავსებული.
იმ დროს შაჰს ახლდი, ყველა იცოდი, მათთვის თითი არ გაგინძრევია,
ის შენი ქცევა, რჯულის დაგდება, ღალატია და გულსარევია.

ვერ უერთგულე შენ უფალ მეფეს, ვერც მის სამშობლოს, ვერცა დედასა,
როგ ორღა ბედავ სიტყვის წარმოთქმას და კაცობაზე ხელდადებასა.
ამის მერე გ სურს კვლავაც შევრიგ დეთ, ერთობა გვქონდეს, ერთად ვიწვოდეთ,
ვინც ერთხელ გ იმტრო, ისევაც გ იმტრობს, ვინცა ვართ გ ონზე, უნდა ვიცოდეთ,
ვინაც სამშობლოს ვერ უერთგ ულა ღმერთი გ აწირა, რას უზამს მოძმეს?
მოღალატე და ქურდი, ოხერი არ საჭიროებს ზედმეტად მოწმეს.

**მოურავი**

მუხთალ ცხოვრების უკუღმა ბრუნვას დიდი ხანია, ვარ მოხვედრილი
ჭირში სიმაგ რეს ვარ მიჩვეული, ვერავინ მნახოს წელში მოხრილი,
დე, მან მესროლოს შუბლში ტალახი, ვის ჩემზე მეტი უკეთებია,
ვისაც კაცობით, ჭკუით და მკლავით სამშობლოს ზეცა უნათებია,
თავს არ ვუყადრი ღმერთთა სადარებს, ვინაც სამშობლოს ტვირთი ატარეს
ერი ადიდეს და ამაღლიერეს, სამეფო შექმნეს და ანეტარეს,
მაგ რამ რომელი დიდგ ვაროვანი, სვიმონ მამაცის შემდგ ომი ხანი,
გ არჯილა ისე, რომ მისი საქმე იყოს სათქმელად, აქ მოსატანი,
შენ მიკიჟინებ, რომ ზოგ იერთმა რწმენის გ ულისთვის თავი გ აწირა.
დაგ ეთანხმები, მათი წამება მისაბამია და გ ვიღირს მვირად.
გ ანა, ყოველთვის ეს ხერხი გ ვიჯობს? ზოგ ჯერ გ ვიჯობნის რწმენის დათმობა.
ბუხარი მას რგ ებს, ვინც ეფიცხება, არ შეუძლია ყველას გ ათბობა
მე გ ამამევეს ერთობლივ რქენით, გ ადამწვეს ცეცხლით, მომწამლეს ენით,
როცა სპარსეთში გ ადავიხვეწე, ამოისუნთქეს შვებით და ლხენით,
ჩემი ქონება მეისვე გ აიყვეს, არ დამიტოვეს საფლავის მიწა.
ქრისტიანულად მოიქცნენ გ ანა? და იმათ რწმენას რწმენით დავიცავ?
თორმეტი წელი სპარსეთში ვიყავ, შემიტკბო შაჰმა თორმეტი წელი.
სულ ქართველობა მეხვია ირგ ვლივ, თუმც სპარსელების გ ვქონდა სახელი.
ვთქვათ, ვერ ვივარგ ე, ამიტომ მიმტრეს, სხვა ქართველები მრავალ ათასი
მორწმუნეებმა რატომ გ აწირეს, ნუთუ, იმათაც არ ჰქონდათ ფასი?
ნამდვილი რწმენა ის კი არაა, თავი დავიხსნა და სხვა გ ავწირო,
წყალში მოხვედრილს ხელი არ მივცე, ფეხი დავადგ ა, უფრო ჩავძირო.
შენ არ წახვედი შაჰთან იმიტომ, რომ გ ათათრება გ ელოდებოდა,
მაგ რამ შვილები როცა გ აგ ზავნე, გ ანა იგ ივე არ მოხდებოდა?
ქრისტიანულად მოიქეც, გ ანა? რა ადვილია სხვისი მხილება.
თავი სხვის ნაცვლად წარმოიდგ ინე, ისე დაიწყე მისი გ ინება.
მე რწმენის შეცვლამ შემამლებინა, მრავალჯერ ქართველს იქ შევწეოდი,
გ ულში მქონოდა ქრისტეს ხატება, ჯვარსაც ფარულად შემოვხვევოდი.

რომ არა ასე, გაჭირვების ჟამს ხომ ვერ შევძლებდი მამულის დახსნას?
მარტყოფი იყო თუ ქსნის სანახი, აღარ დავიწყებ ზედმეტად ახსნას.
ახლა განვსაჯოთ, რა აჯობებდა, მეც რწმენისათვის შემეკლა თავი,
თუ დამეზოგა, რომ საჭირო ჟამს ერს დაემლია მუქარა ავი.
ქრისტეს ვადიდებ ისე, როგორაც სიკეთის კალთა გადმოვაფარა.
რწმენა გულში მაქვს და არა თვალში, ჰირჯვარს ვიწერდე თან წარამარა.
მე ერთგულება ასეთი ვიცი, ესაა ჩემი აზრი და რწმენა.
გულით ვუყურებ, საქმით ვაფასებ, აზრით ვსაუბრობ, დუმდება ენა.
სამშობლოს მოვლა და სიყვარულზე სხვასთან არასდროს მისაუბრია,
საქმეა საქმე და არა სიტყვა, ფუჭ ლაპარაკში სიცრუე ერია.
შენ მე მიწუნებ ამიტომ საქმეს, ოდეს უგონოდ სიტყვას ედები,
რა არის კარგი, რა არის ცუდი, ნუთუ, ვერ ხვდები და მართლა ცდები?
თექვსმეტის ვიყავ, სვიმონ მამაცმა როცა ბრძოლაში პირველად მნახა,
შემაქო კიდეც, წამათამამა, დამლოცა, განა, რამ წამომძახა.
ვიზრდებოდი და ყოველთვის ვგრძნობდი, რომ კაცობაზე მეფეც ზრუნავს,
ასე მეგონა, სამშობლოს კვერი ჩემია და ჩემ გარშემო ბრუნავს.
სამშობლომ უნდა ზარდოს ვაჟკაცი, მერე სამშობლოს გამოადგება
და თუ ვერ იგრძნო ეს სიყვარული სულ მიატოვებს, ასედაც ხდება.
მე, განა, ლხენით წავედი სპარსეთს, განა, მოყვარულთ ცუდად ვუგანე?
არ გავეწირე მეფეს და მოძმეს, მაშინ გენახა შენ ჩემი მგვანე,
შე დალოცვილო, მე გამაქციეს, შენ კი რამდენჯერ შიშით გაიქეც.
იმერეთი და თურქეთი მოვლე, იმედწამხდარი კიდეც წაიქეც,
ჩემი გაქცევა თუ ღალატია, შენი რატომღა არის გმირობა?
ეგება, რაღაც შელოცვა იცი, ღმერთთან ასეთი გქონდა პირობა?
შენ სხვა მითხარი, სხვა რა გაქვს აზრი, მამა მროველთან გახსენი გული.
გადმომაფრქვიე, ერთად დააწყე, შენი და ჩემი მთელი წარსული,
არც ის დააკლო, ქრისტეს მოწამევ, შაჰთან როგორი გაქვს მიმოწერა.
შაჰს მდაბლად როგორ ეკეკლუცები, და რატომ გხიბლავს მათი სიმღერა,
მან რა გირჩია, ჩემთან რა გიჯობს, რისი ვარ ღირსი, რის გულობაზე?
ის რას შეგპირდა, შენ რას შეპირდი? რატომ ამღერდით შეწყობილ ხმაზე?
მე მომინელებ — ზურაბს მიდგები, ამას გირჩევენ შაჰი და ცოლი?
რა დროს რჯულია, რა დროს მამული, მუხთლობის გზაზე არა გყავთ ტოლი.

**თეიმურაზი** —

შენ სხვისი ჭირი არ გიღირს ჩირად, ერს თავს აუვედრი ამიტომ ხშირად,

ახლაც არ გინდა, მოიტეხიო, დიდგულა კაცო, სიკვდილის პირად.
მონანიებას არ ხარ ჩვეული, დადიხარ მიტომ ჭკვაარეული,
აქ მოსვლა მთხოვე და რა იფიქრე, მოვალ, როგორც ყმა შენგან ძლეული?
შენ რომ სამეფოს ბედი გტანჯავდეს, მეფეს შესთხოვდი პატიებასა,
არ მოყვებოდი საქვეყნო ზღაპრებს, არ დაიწყებდი დაყვედრებასა.
ვერ შეიშნოვე მეფის პატივი, ჩანს, რომ გამხდარხარ შურის არჩივი,
თუ საომარი გაქვს განაზრახი, ჩემთან რას დაობ, რას ტირი, ჩივი?
ხვალ გამოჩნდება, ვინ ვაჟკაცია, ვინ ვისზე მეტი მხედართმთავარი.
შავ ცხენზე მჯდომი, თეთრ მოსასხამით, როცა მიხილო დაგეცეს ზარი,
შენ კი, მროველო, აღარას გერჩი, თუმც შენი ქცევა არ მომეწონა,
ცუდად მაკადრე, როცა სამსჯავროდ ერთად შეგვყარე მეფე და მონა.

(თეიმურაზი გადის)

მროველი___

ვაი, შენ ჩემო ტკბილო მამულო, რა დრო დაგვიდგა სასინანულო!
ქართველი ქართველს საკლავად სწირავს, იტირე ქალო, კაცო და წულო!
რა ბედენაა, ვინ ვის შემოჰკრავს, ვინ ვისზე არის გამარჯვებული.
წილწამხდარია რაკი ქვეყანა, გაპობილია ათასად გული.
ჩვენს უთავობას ღვთის რისხვას ვარქმევთ, არავის ვინდობთ, არაფერს არ ვთმენთ,
ბეჯითი შრომა–შენების ნაცვლად, მოძმეთა ვძარცვავთ, ვიტაცებთ, ვართმევთ.
არ არის კაცი მაშვრალს უფეროს, კერა გაუთბოს, ბუხარს უბეროს.
არ არის კაცი, ობოლი ნახოს და იავნანა ტკბილად უმღეროს.
რა დაგვამშვიდებს, რა დაგვაწყნარებს? რა გაამაგრებს მორყეულ კარებს?
არ არის წესი, ჯიშით ქართველი ეფერებოდეს უცხოა კარვებს.
ლოცვა რას გვიზამს, ტკბილი ვედრება, სასწაულები ასე არ ხდება,
ერთობა გვინდა და არა ომი, ღვთისმშობლის ნატვრა ასე ახდება.

მოურავი___

მროველო, უკვე მომიგე ბრძოლა, სულს დაეუფლა ჭმუნვა და მრწოლა.
ვერას მიშველის ხვალინდელ ომში ხმლის ამოღება, შუბით მიწოლა,
რაც თავი მახსოვს ჯერ ქართველისთვის ცუდად მახვილი არ შემომიკრავს,
როგორ დავეცე, როგორ ვიკადრო, ჯავრი გულს მიკლავს და კრიჭას მიკრავს.
არადა, ვიცი, ხვალის ბრძოლაში ერთიანობის გზა იკვეთება,
საჭირო არის ერთი გაბედვა, ერთი შეტევა, ერთი კვეთება.

თუ გავიმარჯვებ, ქართლი, კახეთი, იმერთან ერთად ერთიანდება,
მესხეთი იბრძვის და გველოდება. ხელს მივცემთ, ვიცი იქ რაც მოხდება
მაშინ გურია და სამეგრელო, რომლებიც ჯიბრით ერთურთსა მტრობენ,
აფხაზებთან და სვანებთან ერთად ერთი დროშის ქვეშ კვლავ მიგვიხმობენ.
მე ამ აზრსა ვდევ, ამიტომ არის, გადავდე თავი, გავტანჯე ჯანი.
ვერას დამაკლებს დიდგვაროვანნი, ბებერი ხარის კიდევ ხნავს რქანი.
მაგრამ რა ვუყო გლეხს და ბოგანოს, ხელოსანს, მეხრეს, თუნდ გუთნისდედას?
ვაჰ, თუ დავზოგო და არ დამზოგონ, ვინ დამიდგება თავდებად, მწედა?
ეგება, ხერხი გაჭრის ასეთი, გულით მისმინე მამავ, მროველო!
ერთის ჭკვას ორი აჭარბებს მუდამ, გადავარჩინოთ სისხლს საქართველო.
შენ იცი, მახლავს ჯავახეთიდან თავადი დავით გოგორიშვილი
ტანით, იერით სააკაძეა, უფრო ფართედ აქვს მხრები გაშლილი.
ჩემი კურტაკით თუ ტანს შემოსავს, და მუზარადი დაფარავს სახეს,
ჩემს ლურჯა ცხენზე ამხედრებული საომარს ჩემებრ დასჭექავს მჭახეს.
ხომ ეგონებათ ის სააკაძე, მომხრენი უმალ გამხნევდებიან,
მე გავეცლები საომარ ადგილს, როს მიხვდებიან, იქნება გვიან.
სხვის ალალ ბედზე არა მჩვევოდა ჩემთა საქმეთა ზურგს მოკიდება,
ახლა ასეა, სხვა გზას ვერ ვხედავ, ჭკვიანიც სცდება, ასედაც ხდება.
გადაწყდა, უნდა ვიცვალო გზები და, თუმცა, ვცდები, თვითონაც ვხვდები,
ქართველთა სისხლი არ დამედება, ცოდვილიანი ხომ არ მოვკვდები?
დე, მომავალმა განსაჯოს მიწყივ რაცა და რისთვის მიკეთებია,
სად დავიბადე, მინდა იქ მოვკვდე, ჩემი სამშობლო ნოსტეს მთებია.









Суровой чести верный рыцарь,
Народом Берия любим.
Отчизна славная гордится
Бесстрашным маршалом своим.



# მემკვიდრეობა



(1953 წ. 3 მარტი)

**ბერია**

ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს მღვდლის ცოლი. ვინ არის ვინა, ვინ ვისი ტოლი
ზოგს ჭკვა არ ყოფნის და ზოგს საწოლი, ზოგი ფრთხილია, ზოგი მიმწოლი,
ზოგს რწმენა ტანჯავს, ზოგს არ აქვს რწმენა, არის უენო, ცარელა ენა,
თუ არ ივარგა, თუ ვერ გაბედა, ყველა სიკეთე რაა ბედენა
ბედი კაცისა იქ იჭედება, სადაც ეწრთობა და იჭიდება,
რიგს მომლოდინე უკვალოდ ქრება, მხოლოდ მებრძოლის ისმის დიდება.
ჩემი მიზანი მიღწეულია, ამის დანახვა არც თუ რთულია,
რაც მიფიქრია, მიოცნებია, დღეიდან იქით სულ წარსულია,
თუ კი უგვარომ ისე იგვარა, ბრძოლით ააწყო და მოაგვარა,
მთელი ცხოვრება ბატონად გვეჯდა, ჩიბუხს გვიქნევდა თან წარამარა,
მე რატომ უნდა ვიყო ნაკლები, გარს მახვევია იგივ ნაკრები,
ჩემს შეხედვაზე ყველა კანკალებს წელში ხრის შიში მათი თანმხლები,
საბერიოდან ასე ვიარე, კვალი ტოვებდა სისხლის იარებს,
აწი წინ ვინღა გადამიდგება, სახელი ჩემი გაატიალებს,
ცბიერ ცხოვრებამ სად არ მატარა, ბაქო, დერბენტი შემომატარა
ვიყავ ჟანდარმი, თან მეამბოხე, სხვის თვალში მაინც ვიყავ პატარა,
იმათი ვიყავ, ამათიც ვიყავ, სადაც რა ჭრიდა, იმას ვფიცავდი
მფარველი მყავდა, სახელს ვიხვეჭდი, საკუთარ მიზანს მუდამ ვიცავდი
ბევრი შევიძელ, იბერიაში საბერიოში, ყველა ბერია
ამაყად ამბობს ჩქიმი ლავრენტი, სხვაგვარად სხვასაც არ უმღერია,
ამიერიდან ყველა ჩემია და მე ყველასი ბატონ–პატრონი,
ტირანი მოკვდა, ტირანი მოდის, ჩემი მცდელობით იცვალნენ დრონი
ვის სურდა ჩემი მარცხი ეხილა, დამარცხებული ტახტს ასვენია.
ქვეყნად მე ვარ და ჩემი ნაბადი, მსოფლიოს ბედი ახლა ჩემია,
ჩქიმ ცოდვა, ლავრენტ, გმართებს სიფრთხილე, ის, რაც შენ შესძელ და რაც იხილე,
ხვალ ეგებ სხვამაც გაიმეოროს, თუ სითამამით რამ გაამხილე.
დღეს მალენკოვი ჩემი მონაა, ამასთან ძმაა და განდობილი,
ჩვენში, საერთო, დაგროვდა უხვად, საერთო საქმე გვაქვს აწყობილი.
ის მე მჭირდება, რუსეთში რუსი, როგორც ლეჩაქი, როგორც ნამუსი,
მაგრამ მე უფრო მეტად ვჭირდები და გარე მივლის როგორც მუსუსი.
მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობა, სად მოადგილედ დღემდე ბერდება,
რომ ჩავაბარო, სხვა რაღა უნდა, ხომ დამშვიდდება და დამშვენდება.

თავმჯდომარე რომ რუსი გახდება, ყველა გაიგებს, ყველა მიხვდება,
რომ ნებით დავთმე პირველი პოსტი, სხვებზე უმეტეს მე რომ მიხდება.
პარტიის საქმეს ვანდობ ნიკიტას, ფლიდს, გაიძვერას, ვერაგ მიკიტანს,
თუ რამ მჭირდება სხვისთვის სათქმელი, უფრო ერთგულად სხვა ვინ მიმიტანს?
რაც მე სიკეთე მისთვის ვაკეთე, თითქმის წამხდარი გამოვაკეთე,
თუ გულწრფელია, მე მიერთგულებს, არ გახსნის ჩვენი საქმის საკეტებს.
სხვა დანარჩენი ვინ რას გაბედავს, გადაეყრება ხიფათსა და ავს,
წკიპურტის ძალას ვერ გაუძლებენ, თუმც თვითეული კაცს ჩამოაგავს.
ახლა მთავარი: სეიფი ვნახო და შიგ ტირანის ჩანაწერები,
უნდა მოვასწრო, სამხილი მოვსპო, სანამ შეთქმულნი მოვლენ წევრები.

**(ჩხრეკს სტალინის მაგიდას, სეიფს, იღებს რვეულს, ქაღალდებს და მალავს საქაღალდეში. შემდეგ გამოიძახებს სტალინის მდივანს მალინს.)**

შენ, ამხანაგო, ჩემზე ილოცე! — ამით სამშობლოს ემსახურები,
ტელესკოპივით გქონდეს თვალები და რადარივით გქონდეს ყურები.
თუ რამე შეგცდა, თუ რამე დაგცდა, ვეღარ გიშველის დამსახურება.
პოსკრებიშევი იმან დაღუპა, რომ მე დამიწყო ზურგში ყურება.
შენ მის ადგილას მე წამოგწიე, შეცვლა არ იყო ერთობ ადვილი,
ვინძლო შეიძლო და მიერთგულო, არ მოგიძებნო სულ სხვა ადგილი.

მალინი —

ამხანაგ ლავრენტ პავლეს ძეს გეტყვით, პოლიტბიუროს წევრებისაგან
ცკ–ს წევრებიც ხშირად რეკავენ, საზღვარს იქიდან, სხვისგან და სხვისგან.
ყველას უნდოდა, ზუსტად სცოდნოდა: რა იმედია, ვინ რას ამბობდა,
მე მხოლოდ იმას ვუპასუხებდი, რასაც მეტყოდით და აზრი გრძნობდა.
ადგილებიდან და ცენტრებიდან ბევრი შეკითხვა შემოსულია.
თქვენ დამარიგეთ, ვიმეორებდი, ხორცი ხორცია, სული სულია,
დიდი ბელადი, მსოფლიოს მამა, ტანჯულთ მფარველი, მშრომელთ მშველელი
არავინ უწყის, რას გადაიტანს, რამდენს უძლებდა, რამდენი წელი.
შვიდი წუთის წინ ერთად დარეკეს ნ.ს.ხრუშჩოვმა, გ. მალენკოვმა,
თქვენ მოგიკითხეს და ვუპატაკე, რაც დამარიგეთ სიკეთის მთოვმა.
მე მხოლოდ თქვენი მწამს ერთგულება, როცა მიმიღეთ, მოგეცით ფიცი,
ბელადის მერე ქვეყნის მმართველად, სხვა რას გააწყობს, ვაფასებ, ვიცი.

ბერია—

მე ახლა გავალ, ხრუშჩოვ-მალენკოვს, თუ მიკითხავენ, ასე მიუგებ,
ჯერ არ მოსულა, მაგრამ დარეკა, მოდის. წერტილი. ამით მოიგებ

**(ბერია იღებს საქაღალდეს და გადის.)**

სტალინი—

ვეღარ გავიგე ვის ვუერთგულო, ყველა თავისას მიერეკება,
ერთი იქადის, მეორე დედლობს, საქმეს კი იგებს, ასედაც ხდება,
დიდი ბელადი ჯერ ცოცხალია, ეგება, კიდეც გამოძჯობინდეს,
მაშინ ხომ ყველას დედა ეტირა, ვინც უღალატა და არ დაინდეს
მე გადავრჩები? მე ხომ ბერიამ ათი ათასჯერ გადამამოწმა,
სად მიჭამია, სად მისაქმია, სად მომდომია მო...ნა და მო...მა,
სტალინს გადვურჩე, ხრუშჩოვს გადვურჩე, ბერიას მაინც ვერ გადვურჩები,
პოსკრებიშევის ბედი მომელის თუ დავჯიუტდი და ვუურჩები.
ამიტომ მიჯობს, სულ არა ვჩანდე, ვთქვა და არა ვთქვა, ვერა ვხვდებოდე,
ვიცოდე, მაინც ვინ გაიმარჯვებს, მას ვუერთგულო, რომცა ვკვდებოდე.

**(სტალინის საწერ მაგიდას ალაგებს. შემოდიან გ. მალენკოვი და ნ. ხრუშჩოვი.)**

მალენკოვი—

ამხანაგ მალინს მივმართავ ასე, ხშირად ვყოფილვარ აქ მობაასე,
ბელადს უნდოდა და საათობით გვაყურყუტებდა ისე თუ ასე.
ახლა სხვაგვარი არის ამბავი, სხვაგვარად უნდა ვიწყოთ ბაასი,
ცხოვრება ისე აწყობილია, ზოგს უმძიმს ერთი, ზოგს არც ათასი.
კაი ხანია, რაც აქ დაგნიშნეს, იცი რას ნიშნავს თანამდებობა?
აქ საჭიროა ყველაფრის ცოდნა და თან სიმუნჯე, რომ იყოს ნდობა,
უნდა იცოდე, პოსკრებიშევი, რომელიც იყო მუდამ ერთგული,
თუმც დაუჭირეს ოჯახ-მოკეთე, იქნებ, განგებაც გაუპეს გული.
პოსკრებიშევი დაუძინარი, ყველაფრის მცოდნე, ყოველთვის წყნარი,
ჩვენი აღმოჩნდა მაინც ორგული, ჩვენ დიად საქმეს უჩინა ბზარი.
შენ ჩვენ დაგნიშნეთ, ამ დიად პატივს, უნდა ზომავდე კაცური ვალით,
იყო ერთგული, ქვეყნის საქმეში, იმოღვაწეო ასმაგი ძალით.
ძალზე რთულია შენი ფუნქცია, ბერია დროით გენდო და განდო,
ჩვენ ასე ვფიქრობთ, მძიმე წუთებში დარჩები ჩვენთან ყოველმხრივ სანდო.

თუ პოსკრებიშევს ენდო ბელადი, ნდობა წუთითაც არ გაუმტყუნა.
ჩვენ შენ მოგენდეთ, ასე გვგონია, არც შენ და არც ჩვენ არა ვართ ფუნა.
ამიტომ გკითხავ, პრინციპულია, ახლა იცრუებ თუ მეტყვი მართალს,
ამ კაბინეტში ჩვენ ვართ პირველნი, ხომ არ აფენდნენ ჩვენამდე ფართალს?

**მალინი** —

ამხანაგებო, ასე მოგმართავთ, თუმცა სად მე ვარ და სად ხართ თქვენა,
თუ მომენდობით, მეც გიერთგულებთ, მოღალატეებს გაუწყრეს ზენა.
თავად განსაზღვრეთ თვითეული ხომ ამ კაბინეტში წლობიდან წლობით
ბელადთან ერთად ბრძნულად საზღვრავდა, საითკენ გვევლო აზრით და წყობით
დღესაც თქვენ ძალგიძთ, ასე თუ ისე, მოატრიალოთ მსოფლიოს კევრი,
მე კი ერთგულად გემსახურებით, ვით ჯარისკაცი, რიგითი წევრი.

**ხრუშჩოვი** —

შენ კარგად უწყი, უკრაინაში ცკ–ს მდივანი ვიყავ პირველი,
იქ შემხვედრია ბევრი ორგული, ბევრი შემცდარი და ჩვენი მცველი.
გზა გამივლია ხიფათით სავსე, ბევრი ვერ ნახოთ ეგება მგვანი,
ბევრი მინახავს ცუდად მოსაქმე, ბევრი საკუთარ ავის მომყვანი.
რაც მე ვიწვნიე, რაც მე გავიგე, ნამუსს გადაველ, ტახტი ავიგე,
ახლა ის დროა, სხვას ვუპატრონო, გავხდე ამ ქვეყნის საქმის გამრიგე.
ამ დიდ საქმეში გასარკვევია: ვის უერთგულებ, უნდა ვიცოდე,
არ მოხდეს, შემდეგ მოინანიო, საკუთარ თავის გახდე შემცოდე,
ბერიამ რა თქვა — უნდა გვიამბო, ხომ არ ვტყუვდებით, ხომ არა ვცდებით?
გვაინტერესებს და არ ეცადო ტყუილი გვითხრა თავგამეტებით.
ჩვენ ერთი გზა გვაქვს და ერთი ფიქრი. ვემმეთ შევფიცეთ და ერთად მივქრით.
ცხოვრება ჩემდეგ გაგვაგებინებს, ვის გავწირავთ და ნაგავში მივყრით.
დღეს კი მთავარი სულ სხვა რამეა: ვისთვის დილაა, ვისთვის ღამეა,
ცხოვრება მუდამ ცვალებადია, დრო ყველას იცვლის და მოწამეა.
მალინ, რაც განდე და რაც გითხარი, დაიმახსოვრე, გაითავისე,
ჩვენ გირჩევთ მუდმივ ჩვენ ერთგულებას, სხვა ყველა დათმე და გაასხვისე!

**მალინი** —

რა დამავიწყებს, როგორ ვიარე, კავშირი მთელი შემოვიარე.
ვისი შვილი ვარ, ვისი გაზრდილი, ვინა მფარველობს, ვისთან ვტრიალებ.
პარტიამ მშობა, პარტიამ მზარდა, რად ჩამოვუშვა მშობელთან ფარდა,

რად მივატოვო და ვუღალატო, რაც რწმენად მქცა და რაც მიყვარდა?
მხოლოდ ერთია: თავადაც ხედავთ, დიდი ბელადის მაშინებს ბედი,
საბჭოთა ხალხის არის აღმზრდელი, მშრომელთა მამა და შემოქმედი.
ის რომ არ იყოს, ასე მგონია, მთელი სამყარო დაიღუპება,
სუსტს თუ აშინებს უბრალო სურდო, ძლიერი სიკვდილს არ ეპუება.

**მალენკოვი—**

ლაჩრულად ტირილს არ ვარ ჩვეული, ამით ვარ სხვებში გამორჩეული,
ამიტომ იყო, ჯერ კიდევ როდის სტალინთან ვიყავ მე მიწვეული.
ვერავინ იყო იმ დროის შემდეგ ჩემს კაცობაში ეჭვის შემტანი,
ვინც მიერთგულა მეც ვუერთგულე, ვიყავ ჩემების მრჩეველ–გამტანი.
სტალინის ნებით და დავალებით გამოწმებდი და გაკვირდებოდი.
ის რომ გცოდნოდა, რა ვიცი შენზე, გაოცდებოდი, გაკვირდებოდი.
ბევრი ჰყოლია ბელადს მდივნები: კანერ, მეხლისი, დვინსკი, ტოვსტუხა,
მუშაობდა და ამუშავებდა, ზედმეტად ვერვინ ვერ შეაწუხა.
ყველაზე დიდხანს პოსკრებიშევი, თუმც დაუჭირა ბერიამ ცოლი,
ერთგულებით და შრომის უნარით არა ჰყოლია, მერწმუნე, ტოლი.
ოცდაოთხ საათს მორიგეობდა, ყველას უსმენდა, ყველა იცოდა,
ეგება მიტომ კარგად ხვდებოდა, რომ მისმა ცოლმა მწარედ შესცოდა.
ბრონისლავამ თქვა ძმასთან ისეთი, რაც პოსკრებიშევს უეცრად წასცდა,
ძმა ხშირად იყო საზღვრების გარეთ, ხო და ამბავიც ამ საზღვრებს გასცდა.
ეს უნდა იყოს სამაგალითო, ამიტომ ვითხოვ შენ ერთგულებას,
რამდენს მოითმენ, იმდენს მოიგებ, ჭკვიანი მისდევს ამ ღვთიურ ცნებას.

**ხრუშჩოვი –**

მე, ჯარისკაცი რევოლუციის, მისთვის ათასგვარ ჭირსაც ვიტანდი,
იდეებს ვსდევდი სოციალიზმის, ლენინის საქმეს მკერდით ვიცავდი,
კავკასიაში ბევრი ვიომე, თბილისიც ჩემი აღებულია,
რაც სიკეთე აქვს საბჭოთა კავშირს, მთავარი ჩემგან აგებულია.
ცოდნა არ მქონდა, ნიჭმა მიშველა, რა დროს რა სჯობდა გუმანით ვგრძნობდი.
ვინც მავალებდა, მას ვერთგულობდი, ვისთან ვიყავი ბატონად ვცნობდი.
როცა პარტიის საქმეს დასჭირდა, ტროცკისტებს ვემძე, გავუხდი მცველად,
შემდეგ დავმართე ისეთი ჭირი, ვერ დაიკვეხნოს მეორემ ძნელად.
მე დღესაც ბევრი ტროცკისტს მიწოდებს, თუმც ტროცკისტების დავლიე დღენი.
პარტიის მტრები ავლაგმე მიჯრით, გავხდი ბელადი, გამოსაჩენი.

ამას რად ვამბობ, უნდა მომბამო, პერსპექტიული რომ გახდე კადრი,
უნდა განსაზღვრო შენი და სხვისი, იცოდე შენი ფასი და ყადრი.

**მალინი —**

მე თქვენი მწამს და ვით ჯარისკაცი, პარტიის საქმეს ვემსახურები,
თვალი არ ხედავს, რაც თქვენ არ გინდათ და არ ისმენენ სიტყვებს ყურები,
თქვენ დარწმუნდებით, ჩემებრ ერთგული, თქვენ სამსახურში ბევრი ვერ ნახოთ.
რატომ ვისურვებ, წინ გადაგიხტეთ, მფარველებს მალით შემოგელახოთ.
თქვენ დამიბარეთ, რომ მოხვალთ მალე, ცნობარშიც ისე ჩამიწერია,
ასევე მკითხა, ასევე ვუთხარ, მელაპარაკა როცა ბერია,
წუთი წუთს ველი და აქ რომ მნახოს, ხომ არ იქნება საქმისთვის კარგი,
თუ რამ იეჭვა, თუ აღარ მენდო, განა, იქნება თქვენთვის სავარგი?

**მალენკოვი –**

შენ მართალი თქვი, თუმცა ერთი გზა გვაქვს, ბიჭიც არ გვინდა მმისთვის საჭვო,
ვინაც იცრუა და ითაღლითა, ვინც გვიღალატა, ტყვია დაერჭო.
გადი და შეხვდი ლავრენტ პავლოვიჩს, და თუ რამ გკითხოს, ეს უპასუხე,
ამ წუთს მოვიდნენ შენი ერთგულნი, ალერსით უთხარ და დააქუხე,
სხვაგვარ პასუხი გამოვა მკუხე, ჩვენია, რატომ ვაეჭვიანოთ,
თუ შეგვიძლია მოყვარეს ვკოცნოთ, მომტერეს კოცნით რაიმე ვავნოთ,
ქვეყანა ბრმაა, მაგრამ თქვენც იცით, თუ ვინმე არის მისი ერთგული,
მე და ლავრენტი განუყრელნი ვართ, გრძნობას გრძნობა ცნობს და გულს ცნობს გული.
თუმცა წესია და დადგენილი, პოლიტბიუროს წევრები მუდამ
ცალკე ცხოვრობდნენ, სხვას არ ხვდებოდნენ, მსოფლიოს მამას რაკი ეს უნდა.
მე და ლავრენტი გამონაკლისი, მუდამ ერთად ვართ, ერთადა ვმგზავრობთ,
აზრიც ერთი გვაქვს და მოქმედებაც, ქვეყნის სამსახურს აროდეს ვზარობთ.
შენ მართალი თქვი, აქ რომ გიხილოს, საუბარს მიხვდეს, შეიცვლის კილოს,
ვინღა მოთოკოს იმისი რისხვა, გული მოუგოს და გაუგრილოს?

**(მალინი გადის.)**

**ხრუშჩოვი —**

ნეტა, ვიცოდე ხვალ რა ახდება, ვინ გადარჩება და ვინ მოკვდება,
დიდი მიზანი, რის გზასაც მივდევთ, ვის გაუღიმებს როცა მოხდება?
აქ საფიქრალი მალზე ბევრია, ვიანგარიშე, არ ამერია.

მე და შენ უნდა ვიყოთ შეკრული, ერთად ვიმღეროთ, რაც სამღერია,
თუ ასე ვქენით, ორნივ მოვიგებთ. არა? ვინ იცის ხვალ რა მოხდება?
ზოგჯერ ძველი სჯობს ახლის კეთებას. ვალი მაინც ხომ არ დაგვედება.
რაც პავლოვიჩმა რისკი გასწია, დაუფასდება ადრე თუ გვიან,
ჩვენი იმედი ხომ ჰქონდა მაშინ, შეხმატკბილება ამასა ჰქვიან.
ჭკვიანი არის, როგორ ააწყო, ექიმთა საქმე, ვლასიკის საქმე,
პოსკრებიშევი ზედ წაამატა, ვინ გადაურჩა თუ ნახა სადმე?
როგორ დასტყუა დადგენილება, რომ მის გარეშე ჩიტიც ვერ ფრენდა,
ეგ რომ არ იყოს ჩვენ რას ვიზამდით, უნდა ვუძახოთ — დიდება შენდა.
ამავ დროს უნდა კარგად განვსაზღვროთ, ყველა სიტყვასაც უნდა სიფრთხილე,
როდის რას იტყვი — უნდა აწონო, დამალო, სიზმრად თუ რამ იხილე.
ის არ დაინდო, ვინც უპატრონა, ვინც მალა მისცა, მისცა სახელი,
მამას და მზრუნველს დაუდო ფეხი, არა ვყოფილვარ სხვაგან მნახველი,
ის არ დაინდო, ჩვენ გვიერთგულებს? — საფიქრალია და საზრუნავი,
მაშველი რგოლი უნდა მოირგო, თუ შეაცურე ტალღებში ნავი,

**მალენკოვი** —

შენი ნათქვამი მიკვირს და მაკრთობს, თუ დამალონებს, იქვე გამართობს,
ლავრენტ პავლოვიჩს თუ არ ენდობი, ვინ გამოგიყოფს სხვა კრემლში ფართობს?
ის, რაც მან შეძლო სხვა ვინ შეძლებდა? მე არ ვიყავი მისი ჩამდენი,
თუ რამ იეჭვა, თუ მოინდომა, მას მიაყოლოს, იქნებ, რამდენი.
შენ გაიხსენე, რამდენჯერ გიხსნა, რისხვა ჩაუცხრო და აგარიდა,
სულით არ გატყდა, თუმც მის ადგილას რომელი იყო, ქედს არ მოხრიდა?
მარტო ის რად ღირს, ოცდათვრამეტში ტიმოშჩენკოს და შენი დასმენით
სამი ათასი სამხედრო იყო მტერი ტროცკისტი ქცევით და ენით.
ათასი იქნა მათგან დასჯილი, სასჯელი შენაც არ აგცდებოდა,
ვერ გაატარე პარტიის ხაზი და ვინც ასმენდა, ბევრჯერ სცდებოდა,
მაშინ ახალი იყო მინისტრი და როგორც ახალს, მისცეს უფლება,
ყველა შემცდარი არ დაესაჯა, გამოიჩინა გულმოწყალება.
მაშინ არ მითქვამს, ახლა იცოდე, ბერია იყო შენი შემცოდე,
ამიტომ, გირჩევ, ნუ ასდევ ეჭვებს, ერთგულის ხელი გამოუწოდე.

**ხრუშჩოვი** —

ვერ დამარწმუნე, ბერია იყო უფროსი შვილის მკვლელი, ჯალათი,

ეს მან შეკრიბა ყველა ვერსია, ინფორმაციის მთელი კალთი.
მან დაადგინა, თითქოს ლეონიდს გერმანელებთან ჰქონდა კავშირი,
ტყვე კი არ იყო, თანამშრომლობდა, რადიო–ლანძღვა ისმოდა ხშირი.
მან დაავალა და მზვერავებმა გამოიტაცეს აქ ლეონიდი,
მამა ვიყავ და იმედი ჰქონდა, შიში არ ჰქონდა და იყო მშვიდი,
ბოლოს დახვრეტა გამოუტანეს, ვითომ, ის იყო სამშობლოს მტერი.
ბერიას ვთხოვე, დამხმარებოდა, არზა მივართვი მას შესაფერი,
არ შეისმინა, ბელადთან მიველ, ვუთხარ მამა ვარ, ჩემი ვალია
შვილს ვუპატრონო და დავიფარო, პირმშოა მიტომ შესაბრალია.
იცი რა მითხრა? მოღალატეა და მოღალატეს თუ კი არ დავსჯი,
თავგანწირულთა მამებს რა ვუთხრა, მტერს და მოყვარეს როგორღა განვსჯი,
გული არა აქვს, შვილი გასწირა. ასეთი განა მე გამიგებდა?
ნაბიჯი სადმე რომ შემცდენოდა, მეისვე დამსჯიდა, წესს ამიგებდა,
ღმერთმა დასაჯა, ახლა უგონო საკუთარ საწოლს მიჯაჭვულია,
სხვას რას მოუვლის ისეთი კაცი, შვილისთვის ვისაც ვერ მოუვლია.

**მალენკოვი–**

ნიკიტა, ნუ ხარ დაუდეხავი. კარგს თუ უარყოფ, გირჩევნის ავი,
თითს რომ მუდმივად სხვებისკენ იშვერ. ზოგჯერ სვინდისთან გჭირდება ზავი,
ლეონიდს სტირი. გასაგებია. შვილი იყო და გეწვება გული,
მიტომ არ გინდა რომ აღიარო, გვიღალატა და იყო ორგული.
მაშ გაიხსენე შენ შვილს დახვრეტა ჯერ სასამართლომ გამოუტანა,
პოლიტბიურომ არ შეიწყალა, სტალინმა მალა არ დაატანა
და, უფრო მეტი, მას ხომ შეეძლო შენც დაესაჯე, როგორც წესია,
ბერია ჩადგა მაშინ თავდებად, სიკეთე მისგან დანათესია.
სხვას უკიჟინებ, განა, სტალინმა შენი გაწირა, თავისი არა?
იაკობი ხომ მართლა გმირია, მამას გულზე არ შემოეყარა?
მე გაგახსენებ შენ თუ არ გახსოვს, ომი იყო და სისხლი დიოდა,
უბრძანა ფილმი სააკაძეზე, იცი, საიდან ამოდიოდა?
სამასი წლის წინ მხედართმთავარმა შვილი გაწირა მამულის წილად,
გაიმეორა შემდეგ სტალინმა და არ გამხდარა სხვების საცინლად.
დაფასება ხომ უნდა ყველაფერს. ყველა აწონო, შენი ვალია.
ამბობენ, ზეცას მადლით შეხედა, ქათამმა როცა წყალი დალია.

ხრუშჩოვი—

გასაგებია, ქართველებს იცავ, მათ მე მოვუვლი, თუ დრო დამრჩება.
იცი? მაგათ მე ჰანღურით მცემეს, გულში ჩავიდე და არ მირჩება.
ყველას ციმბირში გავასახლებდი, რუსს დაასახლებს მათი მიწები,
დედას ვუტირებ, რამდენსაც შევძლებ, ასე მაქვს ცოლთან დანაფიცები.
ჩვენ — სლავიანებს რა გვჭირს, მითხარი, ქართველი მოკვდეს, დავსვათ ქართველი,
დიდი რუსეთი არ გვაპატიებს, თუ გავაგრძელეთ შეცდომა ძველი.
პეტრე პირველი არა გვყოფნიდა? რამდენი წელი სტალინმა გვცემა,
უნდა შევწყვიტოთ უცხოთ თარეში, სხვა დრო ასეთი არ მოგვეცემა.
ჯავრს ამოვიყრით, მაგ დაფნის ფოთლებს ციმბირულ ქარზე დავანიავებთ,
რუსეთი მიწყივ რუსისა იყო, აღვსდგეთ და ნუღარ დავიგვიანებთ!
იმას არ გეტყვი დღესვე ვიყვიროთ, ჯერ ხომ სტალინი ცოცხალი არის.
დაე, ბერიამ□დაასამაროს, მერე შემოვკრათ განგაშის ზარი.
შენ დაუკვირდი, ორნი არიან, ერთი–მეორეს არ ენდობიან,
უნდა გცოდნოდა, ერთი მეორეს უღალატებდა ადრე თუ გვიან.
რაც უკვე მოხდა, იმას ვერ შეცვლი, მაგრამ უკვე გვაქვს გამოცდილება,
ამიტომ გვინდა, ჩვენ ორმა ვიცით, აზრების შერწყმა და შეწყვილება.
ერთი ვარ შიგნით, მეორე გარეთ, უნდა შევიძლოთ ტურა–მელობა,
სტალინი ვაქოთ, ბერია ვაქოთ, არ დავიზაროთ თვალწინ მცდელობა,
მომეცი ხელი, ხელობა ძველი, ვინძლო ავწიოთ ახალ დონეზე,
დამყოლი ვიყოთ, სუსტად ვეჩვენოთ, როცა დრო მოვა, მოვალთ ღონეზე.

(ხელი ხელს დაჰკრავენ.)

ეს შეთანხმება მიღწეულია. ჩვენ ბერიასგან განდობილები,
როცა დავმარხავთ ბელადს და მამას, ახალ ლიდერის გავხდეთ შვილები,
მერე ვიაზროთ, როგორ რა ვცადოთ, მოყვარე–მტერი ბუკებზე დავდოთ,
უმთავრესია, სხვა გზა არა გვაქვს, ჩვენ თუ გვენდობა, ვეჩვენოთ სანდოდ.

**მალენკოვი—**

ერთში არ სცდები: ჩვენ სამეულმა, როცა შევკარით მყარი კავშირი,
უკვე მაშინვე ეს გავიაზრე, დაგვიახლოვა? ვუღირვართ ძვირი,
კაცი თუ ჰყიდი საკუთარ ნამუსს, ფასი ხომ მაინც უნდა იცოდე,
თუ გზას გადახვალ და თან უფასოდ, საკუთარ თავთან ორჯერა სცოდე,
პოლიტბიუროს წევრებისაგან, ბერიამ ორნი გამოგვარჩია,

ჩვენ ვუყურეთ ულოთ, სხვამ იხეიროს, ქონდრის კაცებშიც დავრჩებით ჩია.
ახლა ის დროა, დიდი ბელადი გონს ველარ მოვა, წაქცეულია,
ისეთი რჩება შთაბეჭდილება, მასთან სისტემაც დაქცეულია,
მაგრამ მალა აქვს, სანამდე სუნთქავს, ხო და, მანამდე უნდა გავსაჯოთ,
ჩვენ რას შევიძენთ, თუ არ დავკარგავთ, სხვის სასარგებლოდ არ გავისარჯოთ.

**ხრუშჩოვი**___

შეგაწყვეტინებ, მართებულად სჯი, ჩვენ სამს გვექნება მალე თათბირი,
ერთი–მეორეს კვერი დავუკრათ, რომ არ გამოვჩნდეთ სუსტნი და მწირი,
თან მეცინება, როცა ვიხსენებ პირველ მარტს, როცა გამოგვისტუმრა,
ხუთი ხდებოდა, ცივად დაგვტოვა, ჩიბუხიც ჩამცხო და გამეხუმრა...
თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ ვატყობდი, ბერიას გამოიყო გულცივი.
რა არ ვიფიქრე, აღარ მეგონა, არ გაწყდებოდა სიცოცხლის სხივი,
თორმეტზე უნდა გამოეღვიძა, შუქი აანთო, ექვსი ხდებოდა,
წყალი დალია, □პრავდა“ აიღო, — თუ გრძნობდა, მალე რა მოხდებოდა?
წაიქცა ნოხზე, ველარ დგებოდა. სიკვდილს ებრძოდა ოთხი საათი
და მხოლოდ შემდეგ შეშფოთდა დაცვა. ასეთ სამსახურს თუ აქვს ლაზათი?
იგ ნატიფთან დარეკეს მეისვე. მან შენს კენ თითი გამოიშვირა,
ორმოცი წუთი მოუნდა ამას. ავადმყოფს ეს დრო დაუჯდა ძვირად.

**მალენკოვი**___

მართალი არის. მე სტაროსტინმა, ის, რაც იხილა, შემატყობინა,
ვუთხარ, ნუ ღელავ, ვეტყვი ბერიას, მან გაარკვიოს, ვინ არის ვინა,
ერთი საათი მოვუნდი ძებნას, სად, ვისთან იყო, ძლივს მივაგენი,
ბერიამ დაცვას გადაურეკა, მკვახედ უხსენა ყველას გამჩენი,
გამოძიარა და უკვე ორში ორნი მივედით ჩვენ კუნცევოში.
ბერიამ დაცვას გამოუცხადა, ბელადსა სძინავს, ასე აქვს ხოში,
თქვენ არ გაბედოთ და ეს ამბავი შემთხვევით არვის გააგებინოთ!
თუ არ გინდათ, რომ მოხვდეთ ჩემს ხელში, პასუხი მერე მე გაგებინოთ,
დღეს დილას იყო, კვლავ სტაროსტინმა რვას ხუთი აკლდა, რომ დამირეკა.
მე კვლავ ბერიას შევატყობინე და კვლავ დამჭირდა კისრის მოდრეკა.

**ხრუშჩოვი**___

მე, განსხვავებით, როცა გავიგე, მაშინვე მიველ კუნცევოს სწრაფად,
ცხრა რომ ხდებოდა, თქვენაც გამოჩნდით, თან ექიმები გყავდათ მარქაფად.

ვინოგრადოვი რაც დაიჭირეს, უერთგულესი მისი მკურნალი,
ის სხვა ექიმებს არ ენდობოდა, არ სჭირდებოდა მათი წამალი.
მართალიც იყო. მის ჯანმრთელობას არც არა აკლდა, არც არა სჭირდა,
უექიმოდაც თავს კარგად გრძნობდა. ჩვენ მივუყვანეთ, როცა გაჭირდა.
თან ბერიასგან დაშინებულნი ეს ექიმები ვირთხებსა ჰგვანდნენ.
შეეძლოთ კიდეც, ვერა უშველეს, ნება რომ მისცეს, უცებ გავარდნენ.
ტანჯანმრთელ ბელადს რა მოუვიდა, საღამოს ქვეყნზე რატომ წაიქცა?
□პრავდა“ ეკავა, როგორი □პრავდა“? □პრავდა“ მიზეზად ხომ არ გადიქცა?
კითხვები არის მალზე მრავალი, ჭეშმარიტების ამოსავალი.
ბერიამ იცის, მე და შენ ვხვდებით, სხვას რად დავადოთ ვახში და ვალი?
ბერიას გარდა, არვის შეეძლო კუნცევოს მისვლა, რამის მიტანა,
თუმცა გვიცნობდნენ, ჩვენ გვამოწმებდნენ, გასაღებიც კი არ მქონდა თანა.

**მალენკოვი—**

ვინოგრადოვის დაჭერა, მახსოვს, მასთან მკურნალი ექიმებისა,
საქმე შეკერეს, თითქოს უნდოდათ მოწამვლა ჩვენი და წევრებისა,
პოსკრებიშევიც ამ საქმეს მიჰყვა, თუმცა ბერიამ მელზე არ გასვა,
ხომ მოიშორა და მათ ადგილას თავისი კადრი უმალვე დასვა.
მხოლოდ ვლასიკი უშლიდა მას ხელს. დაცვის უფროსი დაუძინარი,
უერთგულესი ბელადისათვის, სხვასთან მძვინვარე და მასთან წყნარი.
სამსახურებრივ მდგომარეობას ბერიამ ისიც გადააყოლა,
დრო შეურჩია. ურჩის მაგიერ მუდამ ერჩია მოყნის ყოლა.
მე ვიცი მხოლოდ ხრუსტალიოვი ყველას, ყველაფერს უთვალთვალებდა,
შემდეგ ბერიას მოახსენებდა, მისი გულისთვის თავსაც დადებდა.

**ხრუშჩოვი—**

დიახ, მეც მახსოვს, გუშინ დილით კი, როცა შევედით ბელადთან ერთად,
უგონოდ იყო მისვენებული, კაცი, რომელიც მიგვაჩნდა ღმერთად.
კვლავ მეცინება, ფეხსაცმელები, სულ მთლად ახალი, ხელში გეჭირა,
წინდებით იდექ, რათა ხმაური არ ქცეულიყო ბელადის ჭირად.
ტირანი მოკვდა — ეს თქვა ლავრენტიმ, ცოტა ხმამაღლა გამოუვიდა.
ბელადმა გახსნა უცებ თვალები, რომ შემომხედა, რა მომივიდა.
უკან როგორღა გამოვიქეცი, ნოხს ფეხი მოვდე და წავიქეცი,
მუდამ მამაცი მეგონა თავი და უცებ დედლად გადავიქეცი.
შენ მე მომდევდი და ფეხსაცმელებს, უშნო ქურდივით აფრიალებდი,

სისველე ფეხებს შორის ვიგრძენი, ვერ ვგრძნობდი, შარვალს თუ ვატარებდი.
ბერია დარჩა. როცა შევბრუნდით, ის მშვიდად იდგა, ისევ იქ იყო.
მივხვდი, ახალი მოდის ტირანი და გრძნობა უცებ შუა გაიყო.
ასე ვიფიქრე, ახალ ხიფათებს, ხომ არ სჯობია ნაჩვევი ჭირი?
ჰოპაკს მაცეკვებს, ჩიბუხსაც მირტყამს, მაგრამ მიფარავს როგორც მეგზური.
ახალი რა გზას აირჩევს, ვიცი? ვაჰ, რომ მივენდო და მივცე ფიცი,
რომ არ იკმაროს ჩემი ლაციცი, დამსაჯოს, როგორც წინ მხტომი კვიცი.
დღეს საფიქრალი გაგიზიარე, ჩვენ ხომ ერთად ვართ მასთან შეკრული,
რომ დავემოწმოთ და როგორც მოწმე, გავხდეთ ზედმეტი და ბედით კრული?
მაგრამ თუ ერთად ვიქნებით ორნი, ეგებ, ხიფათის ზღუდე დავლახოთ,
არ გაველახოთ, დრო შევურჩიოთ, თუ დაგვემუქრა, იქით გავლახოთ.

**მალენკოვი**

მეც შიში ვჭამე, მაგრამ ბერია სხვა მასალისგან არის ნაკეთი,
წინასწარ იცის რა დროს რა უნდა, არ შეეშლება სახნის-საკვეთი.
თვითონ ბელადი მოიგდო ხელში, შენ როგორ გინდა, რომ მოერიო?
მე მირჩევნია, კვალში მივდიო, არ გადვუხვიო და არ ავრიო.
აბა, განსაჯე, ჩვენი აქვს ნდობა, ამიტომ იყო, გუშინვე, მალე,
ბულგანინს უთხრა: დარჩი მოკვდავთან, ეს რატომ ქნა, მოდი, დამალე!
ჩვენ გვენდობოდა და თან გვიახლა, სხვსა კი არ სურდა ზედმეტი მოწმე,
რა საჭიროა უცხო ყურები, თუ საიდუმლოს გებულობს მომმე?
ალბათ, თორმეტიც არ იქნებოდა, კრემლში მივედით ჩვენ ერთდროულად,
ბელადთან ხშირად იმ კაბინეტში ვისხედით ვინაც ვუჩნდით ერთგულად.
მოვითათბირეთ, მაგრამ ბოლომდე საქმე მაინც არ მიგვიყვანია.
ვგონებ, გამოვა, რასაცა ვფიქრობ, რისთვის წელს ვიწყვეტ, დიდი ხანია.
შემოგვიერთდნენ მერე წევრები: მოლოტოვი და მიქოიანი,
ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, დიდი და მცირე უფლებიანი.
პრეზიდიუმი ცკ-სი, სრულად იყო, ჩატარდა პირველი სხდომა,
რასაც ბელადი არ დასწრებია. მიტომ ბერიამ არ მოინდომა,
გადაეწყვიტა ყველა საკითხი. შეწყვიტა სხდომა. თან გამიყოლა,
იქ მყოფებისგან გამომარჩია, სხვა არ მიაჩნდა თავისი ტოლა.
მიველთ კუნცევოს, იქვე მოვიდნენ ვოროშილოვი, მიქოიანი,
მუდამ მდუმარე, ყველას უმცროსი, უეშმაკესი, მალზე ჭკვიანი.
ვნახეთ ბელადი და ექიმებმა არ დაგვიტოვეს მცირე იმედი,
რასაც გაუძლებს ეს რკინის კაცი, ისა ყოფილა იმისი ბედი.

ცხრის ნახევარზე კრემლში დავბრუნდით, მეორე გვქონდა იმ დღეს თათბირი.
არ ღირსებიათ ბიუროს წევრებს ჩვენთან შეხვედრა ასეთი ხშირი.

**ხრუშჩოვი**—

დღეს ხომ სამია. სამასი გრამი სითამამისთვის დილას დავლიე,
შემდეგ კუნცევოს გამოვეშურე, ჩუმად ღიღინში ის გზა გავლიე,
მე გული მიგრძნობს, დღეს გადაწყდება, ვის და როგორი □პოსტი‘‘ შეხვდება.
ვისი ოცნება დასამარდება და იმედები ვისი ახდება.
შენ რაც გამანდე, თუ შესრულდა, ლავრენტ პავლოვიჩს რაც უფიქრია,
მაშინ ჩათვალე, მომავალ გზაზე ნაირფერადი ყვავილი ყრია.
რად აგვიანებს? — ისე არ მოხდეს, რაც შენ განიშნა — გადაიფიქროს,
ვინც ჩვენ არ გვინდა და არ ვენდობით, მას მოუფეროს, გულზე მიიკროს.

**მალენკოვი**—

შენ რასა დარდობ? იფიქრონ სხვებმა, ვის არ შეხედავს კეთილი თვალით,
თუ არ ისურვა ვინმეს სიკეთე, თუ გადარჩება, ხომ ივლის ვალით.
შენზე რას ფიქრობს, უკვე გითხარი ახლა კი არა, დიდი ხანია.
პრეზიდიუმის სხვა წევრებს შორის შენი ბედი რა მოსატანია?

**ხრუშჩოვი**—

მაგას არ ვჩივი, მაინტერესებს, ვის რა ერგება თანამდებობა.
განსაკუთრებით თავდაცვის საქმეს ვინ ეუღლება ხელმძღვანელობა.
მე ვისურვებდი, ამ პოსტზე ჟუკოვს, ძლიერი არის და აქვს სახელი,
შერისხულია ბერიას გამო. მოსპობს, თუ სადმე მიუწვდა ხელი.
თან თუ მე ვიქენ ამის მოთავე, დავალებული ჩემგან იქნება,
გმირობას მისცემს ჩემ დაღუპულ ბიჭს. ავი სიკეთედ გარდაიქმნება.
შენ მხარს ამიბამ, მის საკითხს დავსვამ, ვინ რა გაბედოს მაშინ უარი?
თუ მალა გიჭრის, სიტყვაც თამამობს, არა სჭირდება სხვა საფუარი.

**მალენკოვი**—

ჩემო ნიკიტა, კაცი ბერდები, ჭკუა კი მაინც არ გისწავლია,
გამოცდილება არ მიგიღია, ეკლიან გზაზე ცუდად გივლია.
რაზე ოცნებობ, რა საქმეს ებრძვი, ჯერ ხელში ნაღდი რა გიჭერია?
შენ ვინ რას გკითხავს, ვის სად დანიშნავ, იქნება, როგორც იტყვის ბერია.
მას დაველოდოთ, როგორც გვიბრძანებს, როგორც გადაწყვეტს, ისე იქნება,

ტვინს რაზე იჭყლეტ, რას დონკიხოტობ, შემოინახე გონი და გზნება!
ყველას თავისი გზა აქვს სავალი, ისე იქნება, როგორც ჭრის ბედი,
ვერც ააჩქარებ, ვერც შეანელებ, ყველას განაგებს ცად შემოქმედი.

**(შემოდის ბერია. ფეხზე ადგომით მიესალმებიან.)**

**ბერია**

ამხანაგებო, თქვენ მომასწარით, კარგია, რომ თქვენ უკვე აქა ხართ,
დღეს გამოჩნდება ვინ და რადა ღირს და მეგობრებად რამდენად ვარგხართ.
სანამ ბიუროს წევრები მოვლენ, შეიკრიბება პრეზიდიუმი.
ჩვენ შევაჯეროთ პოზიციები და ნუ ვიქნებით სხდომისას ჩუმნი.
პარტიის წევრებს ყველას ვენდობი, ცკ-ს წევრები უფრო მეტია,
ზოგის ცოდვებზე თვალსაცა ვხუჭავ, სამსჯავროდ ძნელი გასამეტია.
ჩვენ ყველანი ვართ ამხანაგები, მათში მეგობრებს ვერ ეტყვი ყველას,
განა, ოქროა რასაცა ხედავ, მზის გულზე თუ დევს, ბჭვინავს და ელავს?
მე თქვენ გენდობით უკიდეგანოდ, ერთი გვაქვს ბედი, ერთი მიზანი,
წლობით ერთად ვართ უღელს შებმული, შეგთანხმდით, რადგან ამოვიცანი.
არა მჭირდება სხვების კარნახი, ვინცა ყოყმანობს მარცხია ახი,
ყველაზე საქმე მაქვს შედგენილი და ალესილი მუდამ ნაჯახი.
ვინც მიღალატებს, ვერ გაიხარებს, კარცერში მუდმივ ბედსა ტიროდეს,
ვინც მიერთგულებს, ის ლაღდებოდეს, ჩემი მზე მისთვის ამოდიოდეს.
თქვენ კარგად იცით, ჩემ საზიანოდ, მეგრელთა საქმე კიდეც შეკერეს,
თითიდან სპილო ვერ გამოწოვეს, სპილო უწოდეს და დაამღერეს,
და რა მოიგეს? ჩემთან ჭიდილი ვინაც ინდომა, ყველა დაეცა,
თავად ხართ მოწმე, თვითონ ბელადსაც ჩემ გამო როგორ გაუწყრა ზეცა.
ეგ საქმე ჩემთვის დახურულია, შედეგი მიზნის საწყაულია.
სამაგიერო მიეზღა იმას, ვინც მიღალატა და აურია.

**ხრუშჩოვი**

ბელადი ჯერაც ცოცხალი არის, არავინ იცის, ხვალ რა იქნება,
მიტომ ძნელია ხვალეს განსაზღვრა, გვჭირდება მოცდა და მოთმინება,
მე გუშინაც ვთქვი, ოღონდ გადაკვრით, ირიბად ნათქვამს ყველა ვერ იგებს,
თუ მოთმინებით უნდა მოიგო, მოუთმენელი რაღას მოიგებს?
მესამე დღეა ჩაგრულთა მამა შეუძლოდ არის, ტახტს ასვენია,
სანამ შედეგი არის უცნობი, მე როგორა ვთქვა — ტახტი ჩვენია?
მე მირჩევნია, შენ მოგყვე უკან, ლავრენტ პავლოვიჩ, სვებედნიერო,

ავრორას შენთვის გაუსროლია, უძლეველებზე უფრო ძლიერო.
სამმა დღემ ბევრი რამე მარწმუნა, ჯერ ერთი — შენი უძლეველობა,
არ ჩაურილიყოს აროდეს წყალში ეს შემართება, დიდი მცდელობა,
რაც შენ შეიძელ, მე სად შემეძლო, ახლოს არავინ გამაკარებდა.
სხვას მოვრეოდი, შენი უწყება ბოლოს მაინც არ გამახარებდა.
მერე მაოცებს ეგ ნებისყოფა, ქცევის სიდინჯე და აზრთა წყობა,
იმის განსაზღვრა სად რა სჯობია, დახევა სადაც სხვა არ ეწყობა.
მესამე, რასაც ვიტყვი უცილოდ, მხოლოდ შენ შესძელ, სხვისგან უწილოდ
და თუ უარყოფს ჭკვათა მყოფელი, დე, მისი მოდგმა დარჩეს უშვილოდ,
ჩვენ მეთვრამეტე ყრილობა როდის, აღარც კი მახსოვს სად ჩავატარეთ,
შემდეგ დაგროვდა ათასი აზრი და ბევრი ფიქრი წლობით ვატარეთ,
ცამეტი წელი ჩვენ არ ვიცოდით, რაა პარტია, მისი ყრილობა,
სამ-ხუთ კომუნისტს ერთად ვნახავდით, გვეგონა მტრობა და შეთქმულობა.
მესამე დღეა, შენ ხარ ლიდერი, იქნება მეტიც, მე ვერ გიწოდე,
მაგრამ სამ დღეში შენ რაც დათესე, მეამაყება, მინდა, იცოდე.
სამი მარტია, მესამე სხდომა ცკ-ს ბიუროს გაიმართება,
პრეზიდიუმის წევრებიც მოვლენ, აზრს შევაჯამებთ, მეამაყება.
დემოკრატია სწორედ ეს არის, ისტორიული არის მომენტი,
გუშინ მომანდე სხდომის წაყვანა და მეც ვითვლიდი ლუწი და კენტი,
თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, ვერ მომერევა ხავსი და სევდა,
სიტყვით მრავლობა, აზრთა მრავლობა ბავშვობიდანვე ოცნებად მსდევდა.

**მალენკოვი—**

მე დავამატებ მხოლოდ ერთ ამბავს და ვინც თქვენს ნათქვამს ჩემსას მიაბამს,
იტყვის, ბრძნულია ეს გადაწყვეტა, ახალ ეტაპის საწყისს მიაგავს.
მე მწამს ლავრენტის დიდი ბუნება და სასიკეთოდ თუ აქვს გუნება,
აღარ გვჭირდება ბევრი მტკიცება, აზრის უკუღმა შემობრუნება.
ერთი ფიქრი გვაქვს ჩვენ დღეს უცილოდ, არ ვიცით ბედი დიდი ბელადის,
მილიონი გვყავს მტერი გარშემო, არ ვიცით ვინ, სად და როგორ დადის.
ამიტომ გვმართებს მტკიცე ერთობა, საქმით მიდგომა, სიტყვით ღმერთობა,
დავუკვირდეთ და აქ გამოჩნდება, სიტყვით თამაშით ვინ გაერთობა.
დღეს ჩემი რწმენა არის ასეთი, ფოლადისავით გამონაკვეთი,
ლავრენტის მივყვეთ ნაბიჯ და ნაბიჯ, დავუდასტუროთ წვეთი და წვეთი.
ყოველ მთავრობას უნდა ლიდერი, ერთგულთ შემკრები და შემხიდველი,
მხოლოდ ერთობით იძლევა მტერი, ასპარეზი გვაქვს ამისთვის ვრცელი.

**ბერია**

ამხანაგებო, გწირავთ მადლობას, ნუ გავაცუდებთ ერთობის გრძნობას,
რაც სამმა ვიცით, სხვა ვერ გაიგებს, ჩვენც ნუ მივაწვდით უცილო ცნობას,
ჩვენი პარტიის, ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელობა აქ დავიბარე,
მალინს ვუბრძანე გარეთ შეგროვდნენ, უკითხავად ნუ გახსნიან კარებს,
იმათ მოსვლამდე უნდა შევთანხმდეთ. დღეს სამშობლოს ჰყავს სამი ლიდერი,
იმას არ ვიტყვი, გარეთ ვინც იცდის ორგულია ან ჩვენია მტერი,
მაგრამ ასეა სიტუაცია, პასუხისგება ჩვენ დაგვეკისრა,
ბევრს ეს ამბავი სულაც არ მოსწონს, ზოგს დაესმება შხამიან ისრად,
ამიტომ გვმართებს მტკიცე ერთობა და თან სისწრაფე გააზრებული,
ყველა ზომები მიღებული მაქვს, ძალებიცა მყავს გამზადებული,
გაფიქრებასაც ვერ მოასწრებენ, ჩემს უწყებაში აღმოჩნდებიან,
ყველას აქვს ცოდვა რამ ჩადენილი, მოეკითხებათ ადრე თუ გვიან,
მაგრამ რა ვუყოთ, თუკი ბელადმა ანდერძით ვინმე დაასახელა?
მე ეს მაშინებს, სხვა დანარჩენი დაბლოკილი მაქვს შედეგი ყველა,
სანამ ვართ სამნი, მოდი დავძებნოთ, თუა ანდერძი პოლიტიკური.
უნდა ვიცოდეთ წინასწარ სამმა, მერე ავტეხოთ აურზაური,
თქვენ ყველამ იცით, ჰქონდა რვეული, შიგ საიდუმლო ჩანაწერები.
დოკუმენტებზე მინიშნებანი, ხაზების გასმა ფანქრის ფერებით.
ეგებ, მივაგნოთ რაიმე ნიშანს ვის გამოყოფდა, მემკვიდრედ თვლიდა,
ჩვენი ვალია მას ვუერთგულოთ, ვისაც ბელადი ზრდიდა და თლიდა.

**ხრუშჩოვი**

ყველა დოკუმენტს ვერ წავიკითხავთ, შეკრებილია მთელი არქივი,
ჩვენ რასაც ვეძებთ იმას ვერ ვხედავ, სხვა ქაღალდებს კი სულაც არ ვჩივი,
ერთი რამე კი უცხადესია, ჩვენში სიმართლე თუ რამ წესია,
ანდერძი არ ჩანს, ბელადი არ გვყავს, სიახლეც მისგან დანათესია.
თქვენ მე მომანდეთ სხდომის წაყვანა, პარტიულ ფორუმს მე გავუძღვები,
რასაც აქ დავთქვამთ, მყისვე გადავწყვეტ, მე დავაოკო ყველა უძღები.
მე პირადად მწამს, ბელადს ანდერძი, საერთოდ, არც კი შეუდგენია,
ისეც ვიცოდი, აქ ვინ პირველობს, ქვეყანას მართავს ვისი გენია.
რაც იუბილე გადავუხადეთ, პატივი ვეცით, ვადიდეთ, ვაქეთ,
მოტყდა მოხუცი და დამაბუნდა, საქმეს მოსცილდა ის იმის აქეთ,
ლავრენტ პავლოვიჩს მხრებზე დააწვა კავშირის მართვის მთელი სიმძიმე,
გამოიკვეთა სხვებში პირველი, როგორც ვარსკვლავი ცად მოციმციმე.

ქვეყნისთვის ვის რა უკეთებია, მისი თანხმობა თანა ხლებია,
დღეს ამერიკას რომ ვუტოლდებით, ამაგი ხელით შესახებია.

**მალენკოვი**
შენ ჯერ არ იცი, უფრო მეტს გეტყვი, ხვალ და ზეგ მეტად გავძლიერდებით,
ამერიკასაც ჩამოვიტოვებთ, მსოფლიოს ბედის გამგე გავხდებით,
შენ შეგ ახსენებ, ატომურ ბომბის ოპენჰაიმერს ეტყვიან მამას,
მისი სახელით ცნობილი არის, მტკიცება აღარ სჭირდება ამას.
სინამდვილეში ენრიკო ფერმი, იტალიელი, გადახვეწილი,
იყო შემქმნელი, იყო გამწევი, ყველაზე მეტად დაიდო წვლილი,
მას დაუმატე კიდევ ტელერი, ვინაც განსაზღვრა საფრთხის სიდიდე,
ვერავინ სხვა ვერ ანგარიშობდა, მიდი, შეცვალე და შეეხიდე!
ჩვენთანაც რუსის სახელი ბრწყინავს, კურჩატოვია ატომის მამა,
მაგრამ თუ იცი, ვინ რას საქმობდა, ვინ შეკრიბა და ვინ დააჯამა?
ახლა უკეთესს გაგიმხელ ამბავს, მხოლოდ ლავრენტიმ მომცეს თანხმობა,
მოკლედ მოვყვები, ფართედ მან იცის, არა მჭირდება სხვათა მოხმობა.

**(ბერია თანხმობის ნიშნად თავს უქნევს)**

რაკი თანახმა არის ლავრენტი, გეტყვი, გმირობა რა ჩაიდინა,
პონტოკორვო რით ჩამოიყვანა, რა საიდუმლო უჩინა ბინა.

**ხრუშჩოვი**
შენც მითხარ რამე. საჭირო ხალხის გადმობირების არის ოსტატი,
ამიტომ არის უშიშროების ჯადოქარი და სალოცი ხატი.
რით განირჩევა ეგ პონტოკორვო არც გამიგია, არც არა ვიცი,
რომ არ იქნება ურიგო საქმე, მჯერა და მიტომ მივეცი ფიცი.

**მალენკოვი**
რაკი დავიწყე, ჯერ მათქმევინე! ნუ გიყვარს ურცხვად სხვების წინ ხტომა,
ლავრენტის ბევრი უკეთებია და მეტსაც შეძლებს, თუ მოინდომა,
დღეს წყალბადის ბომბს ფლობს ამერიკა, მალე ამაშიც გავუტოლდებით,
მაგრამ სფეროა ერთი ისეთი, ვიბრძვით, ვეტანჯვით, ვერაფერს ვხდებით.
ინგლისი აგებს ელექტროსადგურს, არა წყლის მალის გამოყენებით,

არა მაზუთის ან ქვანახშირის, ატომის მალით და შემართებით,
ხუთწლედის ბოლოს დაამთავრებენ, ასეთი იყო მათი გეგმები,
მაგრამ როგორღა მიაღწევ მიზანს, გზაში ხაფანგში თუ გაებმები?
იდეის მამა პონტოკორვოა, უბრწყინვალესი იტალიელი,
გამოიტაცეს, ჩამოიყვანეს, და მოეცარათ კუნძულზე ხელი.
ახლა ჩვენ ვაგებთ ატომურ სადგურს, ინგლისიც უკვე ჩამოვიტოვეთ,
ხვალე მოვიმკით იმ დიად შედეგს, გუშინ რისთვისაც ის მახე ვქსოვეთ.
ლავრენტის არის დამსახურება, ხვალე ატომურ ელექტროსადგურს
ავამუშავებთ, გამოვაბრწყინებთ, ვით კომუნიზმის შენების აგურს.
კიდევ რამდენი მხოლოდ მე ვიცი, რამდენი რამე გადუტანია,
ამიტომ არის, ვემეგობრები, ბელადად მიჩანს დიდი ხანია.
ჩვენ თუ იმედი გადავიწურეთ, ავადმყოფობა გავახმაურეთ,
ნიშნავს □ სტალინი დავასამარეთ და იმედების ზღვაში შევცურეთ.
მსოფლიო ორად გაყოფილია, მტერი გვყავს ყველგნით დაუნდობელი.
არ დააყოვნებს უეცარ დარტყმას, თუ ოდნავადაც მოდუნდა ხელი.
ამიტომ უნდა ვთხოვოთ ლავრენტის, წინ წაგვიყვანოს, გვიხელმძღვანელოს,
სხვისი შემყურე მშიერი რჩება, მუდმივ მებრძოლი გაიტანს ლელოს.

ბერია

თქვენი აზრები გასაგებია. სტალინის ყოფას თუმცა განვიცდით,
სიკვდილის წამს ვერ დაველოდებით, დასაფლავების დღეს ვერ დავიცდით.
ჩვენ უნდა დღესვე მივხედოთ საქმეს, ბელადის ტვირთი გავინაწილოთ,
სამმა შევფიცეთ, სამი მოვიმკით, და არ დავტოვოთ სხვები უწილოდ.
ორგანიზების საკითხს ვეხები, უნდა გავიყოთ ჩვენ იმდაგვარად,
ძალაუფლება ჩვენ გვეკუთვნოდეს, ცალკე შტო გვქონდეს და ვიყოთ მყარად.
დღეს პარტიული არის ფორუმი, უნდა შევიძლოთ აზრის ხორუმი,
ერთიმეორეს დავუკრათ კვერი, სიტყვა თუ გვეთქმის, არ ვიყოთ ჩუმი.
ფორუმს მე გავხსნი და ნიკიტას ვთხოვ, იკისროს მისი ხელმძღვანელობა,
მან სიტყვა მომცეს მოხსენებისთვის, დავასაბუთოთ ჩვენი მცდელობა,
როგორ ვმკურნალობთ ბელადს და მამას, რას მივაღწიეთ, რაა იმედი,
ვიტყვი რაც ითქმის, დავასაბუთებ, როგორი არის მომავლის ხედი.
რამდენიც არის ბიუროს წევრი, იმდენი არის აზრი მრავალი,
ვინც დღეს მოიგებს, ის გაიმარჯვებს, განვსაზღვროთ ხვალის ამოსავალი.
მხარს ვინ დაგვიჭერს, ჩვენ ვის წამოვწევთ, წინასწარ უნდა ვიცოდეთ წვრილად,
ზოგი მიხვდება, ზოგი გაგვიგებს, ზოგი შეხვდება ყველას გულგრილად.

ჩვენი ვალია, რომ სხვებს დავასწროთ, ფაქტს მერე ყველა შეუერთდება,
ამოღებულ ხმალს ჩააგებს უკან, დაგვიანებას როცა მიხვდება.
გამოსვლის ბოლოს დავასაბუთებ, უხელმძღვანელოდ რომ არ იქნება,
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა აქვე არჩევა, რომ მოგვიხდება.
დავასახელებ კანდიდატურას, არ დასჭირდება მალენკოვს ქება.
მოადგილეა რამდენი წელი, საქმის გაძღოლა კი ეხერხება.
შემდეგ ის იტყვის მადლობის სიტყვას, შემოგვთავაზებს რაღაც ცვლილებებს,
შინაგან საქმეს, უშიშროებას, მე ჩამაბარებს, არ დამაყვედრებს.

**ხრუშჩოვი**

ორი უწყება დღეს ცალკ-ცალკეა, მაშინ წინასწარ უნდა გადაწყდეს
შერწყმის საკითხი სასწრაფო არის, თუ გვინდა მტერი შედრკეს და გაწყდეს,
იმპერიალიზმს, იმის დამქაშებს, სხვაგვარად ვეღარ მოვუღებთ ბოლოს
და სათავეში ამ ერთეულის ლავრენტ პავლეს მე უნდა გვყოლოს.
სხვა ვინ შეიძლებს საქმის გაძღოლას, კაპიტალიზმის მცველებთან ბრძოლას,
დემოკრატიის დაცვას და წინსვლას საზღვრების დაცვას და ამოქოლას?

**ბერია**

ორივ უწყებას რომ შევაერთებთ და ჩამაბარებთ ხელმძღვანელობას,
ეს არა კმარა. დღევანდელ პოსტზე ნურვინ დამიწყებს ფუჭად ცილობას.
დღეს თავმჯდომარის მოადგილე ვარ და უნდა დავრჩე ისევ პირველი,
სხვაგვარად როგორ მოვინადირო, ერთად შევკრიბო ქვეყანა ვრცელი —
ეს ერთი მხარე. მეორე მხარე პარტიულია ხელმძღვანელობა,
პოლიტბიუროს წევრი დავრჩები, რომ იქაც გვქონდეს ერთგულებს მმობა.

**ხრუშჩოვი**

ეგ თავისთავად. შენ დაიტოვებ ყველა პოსტს, რაც კი მოგესურვება,
ოღონდ წინასწარ მითხარ, რა გინდა და შენს ფეხებთან ყველა გაწვება,
რომელი არის ხმის ამომღები, უარს არ ვიტყვი, შენიშვნის მთქმელი
როგორც ისურვებ, ისე იქნება და შესრულება არაა ძნელი.
მე სხვას ვკითხულობ: სტალინი მუდმივ გენერალური მდივანი იყო,
იქით მთავრობა, აქეთ პარტია, მხოლოდ ბოლო ხანს შუა გაიყო.
მინისტრთა საბჭო ვანდეთ მალენკოვს, გამოცდილია და გაუძღვება,
პარტიულ საქმის ხელმძღვანელობა ვის მივაკუთვნოთ, ვიღას დარჩება?

**ბერია** —

რაში გჭირდება ჩემთან თამაში? ამ ხაზით ხვდები, რასაცა ვფიქრობ:
თუკი ავანთე აზრის ლამპარი, ცდა რაღად გინდა, ვეღარ ჩამიქრობ,
მუდამ იღწვოდი პარტიის ხაზით, იცი პარტიის საქმიანობა,
კადრებსაც იცნობ და შენც გიცნობენ, ხელახლად რაზე ვიწყოთ გაცნობა?
დღეს კომიტეტი დედაქალაქის მოგანდეთ და ხარ მისი მდივანი,
რომ დავუმატოთ რესპუბლიკები და შენ გაუძღვე პატარა ხანი
რა დაშავდება? ვითომ ვერ შეძლებ? აქა ვართ ყველა, დაგეხმარებით,
გარდაიქმნება ვრცელი ქვეყანა, თუ შევუტიეთ მთელი ძალებით.
ოღონდ ერთია, მაგ შენს მდივნობას არ დაერქმევა გენერალური.
ვის უნახია გუთნის უღელში ხარის მაგიერ შებმული ფური?
ამიტომ დავთქვათ, მდივნობას მოგცემთ, მაგრამ იქნება მხოლოდ პირველი
თავს გამოიჩენ? — მერე შევცვალოთ, ახალ იარლიყს ვარჩიოთ ძველი
და შევაჯამოთ: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა ქვეყნის წამყვანი.
დიდ რუს ერს უნდა ის ეკუთვნოდეს, ეს პოლიტიკის არის ანბანი.
მალენკოვი კი წმინდა რუსია, თან მოადგილედ არის ნაცადი,
სხვა რომ არ იყოს, ჩემი ძმა არის, მის სასარგებლოდ არგუმენტს ჩადი.
ეს გადაწყდება, არ არის ეჭვი, მერე სტრუქტურის წავა ცვლილება,
ახალ სტრუქტურას მე ჩავიბარებ, ამ მხრივ დიდი მაქვს გამოცდილება.
პარტიის ხაზით შენ გაგხდით პირველს და ქვეყნად მთელი ძალაუფლება
ჩვენ სამს გვექნება თუ მე მომისმენთ, აზრი გონებას დაეუფლება.

**მალენკოვი** —

ლავრენტი, გწირავ მუდმივ მადლობას და თუ აღსრულდა, ჩვენს ძმობას ვფიცავ,
სანამ ვარ ქვეყნად და მიდგა სული, შენს არგუმენტებს მუდამ დავიცავ.
ხომ კარგად ვიცი, სტალინის შემდეგ კავშირში შენ ხარ ავტორიტეტი.
შენ მე გზას მითმობ, შენ წინ მაყენებ, ეს არ მესმოდეს, არა ვარ ცეტი.
ვფიცავ, თუ რამ მაქვს ყველაზე წმინდა, შენ პირველობას არ გეცილები.
სიტყვით ვიქნები, საქმით შენ იყავ, ვთქვი და თანხმობით დავკრათ ხელები,

**ხრუშჩოვი** —

შენ დამასწარი, მაგრამ იცოდეთ, ამ მეგობრობას თუკი შევცოდე,
ამქვეყნად ღმერთმა არ გამახაროს და ჯოჯოხეთში იქით ვიწვოდე,

მე ბედი მუდამ მანებივრებდა, წარმატებები ყოველთვის მდევდა,
ყველგან ვიმარჯვე და მხოლოდ ერთხელ გულს შემომაწვა ჭმუნვა და სევდა,
როდესაც ჩემი პირმშო დახვრიტეს. მამა ვარ, შვილი ვერ დავიფარე,
სტალინს ვუკოცნე მაშინ მუხლები, აქეთ პასუხი მივიღე მწარე,
ახლა პარტიის ვხდები ბელადი, ახლა მე ვიცი სამაგიერო,
ყველა ხერხს ვიზამ, მტერი დავთრგუნო, ერთგული დავსვა და ვაძლიერო.
ლავრენტ პავლოვიჩ, შენი წყალობა, სანამ ვარ ქვეყნად, მემახსოვრება,
ჩემზე ერთგული სხვა ვინღა გვყავდეს, შენ გადიდებდე მთელი ცხოვრება,
მე მხოლოდ ერთი, გთხოვ, დამიზუსტო: მესმის, რომ ძალა ახლა ჩვენია,
ჩვენ ვართ და ჩვენებს დავნიშნავთ ყველგან, თანამდებობა რაც საჩენია.
მე ისიც მესმის, სამში შენა ხარ ყველაფრის თავი, ყველგან წამყვანი,
შენი ნებართვით უნდა ვსაქმობდეთ, ჩემი ფუნქციის მესმის საგანი.
არ ვიცი ერთი, თავდაცვის მინისტრს ან რას უპირებ, ან ვინ იქნება,
დიდი ძალაა სახელმწიფოში, არ მიაყენოს ჩვენს საქმეს ვნება.
ბევრი ვიფიქრე, ბოლოს ჟუკოვი სხვებზე უმეტეს ჩვენი მეჩვენა,
ის ხომ სტალინმა დასაჯა მწარედ, ჩვენებრ მასაც აქვს ბელადის წყენა.
ჩვენ, შერისხულებს, ის შერისხული, როგორც მინისტრი შეგვიერთდება,
ჩემი მტრის მტერი — მეგობარია, ასე ამბობენ და ასეც ხდება.
მე რა მაღელვებს? ორი საკითხი, ვფიქრობ, ჟუკოვს ხდის უფრო მისაღებს,
ერთი, ძლიერი პიროვნებაა, ძლიერი მოხდის ყოველთვის ნაღებს.
ზურგს გაგვიმაგრებს, ბევრს დაადედლებს, დაგვისჯის ახლებს, დაგვისჯის ძველებს.
თუ თანახმა ხარ, საკითხს მე დავსვამ, მევე დავითვლი აწეულ ხელებს.
ასე რომ მოხდეს, არ ვმალავ თქვენთან, იქნება ჩემგან დავალებული,
შვილის ღალატის სირცხვილს მომწმენდავს, დამრჩება შვილი ამაღლებული.
მერე, იქნება, გმირობაც მისცეს, ვინც ტყვედ ჩავარდა, არ არის გმირი?
მეც გენერლობა მომეკუთვნება, ჩემი ოცნების შორი სამზირი.
სამოქალაქო ომის ქარცეცხლში ამაზე ბევრი მიოცნებია
და თუ ვერ მივწვდი აქამდე მიზანს, ეს სულ ბელადის ოინებია.

**ბერია** —

ნიკიტა, მორჩი მაგ სისულელეს, სამხედრო ჩინი რაში გჭირდება?
როგორც ორიც უნდა მოირგო ქურქი, მასთან ჭიდილი გაგიჭირდება,
გენერალ–სიმუსს ხომ ვერ დაირქმევ, როდის ყოფილა, სად გიომია?
მხედართმთავარი არა ყოფილხარ, ნეტავი ახლა რად მოგდომია?
უმჯობესია, მოხვიდე გონზე, რომ უკეთ შეძლო სხდომის წაყვანა.

იმან მოიგო ომი ყოველთვის, შეტევა ვინაც არ დაახანა,
შენ როგორ ფიქრობ? — ჩვენ რომ გვეცლია, ის დაგვაცდიდა ამ წლის ბოლომდე?
უნდა იცოდე, ვისთან გვაქვს საქმე, სანამ ინტრიგის ბადეს მოქსოვდე,
მე თავიდანვე გავთვალე ყველა, ვინ უნდა გვიმტროს, ვის უნდა შველა.
შორით დავიწყე, მტკიცედ მივსდიე, შეცდომაც არ მაქვს იოტის ხელა,
ჟუკოვს შენ იცნობ. მე რა, არ ვიცნობ? უფრო ღრმად ვიცი მისი ამბავი.
ომამდე რატომ მოჰყვა ბადეში, ომის დროს რატომ დავუდე ზავი,
ვერ შეიშნოვა, ბევრი შესცოდა, ამიტომ მოხდა, რომ ომის შემდეგ
დაიმსახურა საერთო რისხვა და ახლა იმკის ამ ცოდვის შედეგს.
შენ ტროცკისტული შეგრჩა ჩვევები, ბოლომდე მაინც ვერ გაიწმინდე.
იმპულსური ხარ და ქარი გიქრის. შენი შვილისთვის, ღმერთო, შემინდე!
ახლა ჟუკოვი გინდა იმედად, მინისტრად დასვამ, იცი, რას გიზამს?
სტალინის გარდა ქედს არვის უხრის, ემსახურება საკუთარ მიზანს.
მერე, იქნება, ის გაგიხსენოს, როგორ ასმენდი სამხედრო კადრებს,
ეგება, ფიქრობ, ჭკუა არ ეყოფა, ან როგორც მფარველს, არას გაკადრებს?
დღეს მე მბრალდება ყველა ის ცოდვა — ოცდაჩვიდმეტი, ოცდათვრამეტი...
ხვალე, იქნება, მეტიც შემითხზან, რამდენი არის შენებრ ცერცეტი?!
შენ თუ არ გახსოვს, მე გაგახსენებ, ოცდათვრამეტის შუა დეკემბერს,
ეჟოვი როცა დააპატიმრეს ვის უწოდებდნენ სტალინის ცერბერს?
მის მაგიერად დამსვეს კომისრად, რეპრესიები მე შევანელე,
ბევრი დავინდე, მათ შორის იყავ, როგორც შევიძელ, ისე გიშველე.
მეორედ იყო ორმოცდაერთში, კვლავ ტიმოშენკო გყავდა მეწყვილე
ურთმანეთოდ საქმეს ვერ წყვეტდით, თითქოს მოგენდო, თითქოს ეშვილე.
მხოლოდ რეზერვებს ითხოვდით მუდმივ, შეშინებულნი სხვას ვერას ფქვავდით,
სტალინს რომ თითი არ დაექნია, მთელ უკრაინას თქვენ გადასწვავდით.
იდგა საკითხი, რომ თქვენ, ეს ორნი, ვოროშილოვი, ბაგრამიანი,
ხელმძღვანელებად ვერ ივარგებდნენ, ერთიც არ არის თქვენში ფხიანი.
კვლავ მე ჩავდექი მაშინ თავდები, ვთქვი რომ სხვაგვარი ვუჩვენოთ გზები.
ჟუკოვი მაშინ ტალახში გსვრიდა, ახლა რომ იცავ, შენ ისევ სცდები.

**ხრუშჩოვი** —

ჟუკოვს არ ვჩივი, შენ თუ არ გინდა, მინისტრად რატომ მომესურვება?
დასვი ვინც გინდა, რა უნდა შეძლოს? — უშენოდ მაინც საქმე არ წყდება.
გული მატკინა მე სხვა ამბავმა, ისე გამოდის, ვიყავ მშიშარა.
თუ რამ კაცი ვარ, სულ ვაზღვევინებ, ვინც დამამცირა, ვინაც მიშარა.

მე არ მინახავს, მაგრამ ხომ ვიცი, ომის დაწყების პირველ დღეებში
სტალინი მუდნივ იმალებოდა და თუ ვინ იყო, მეც ვჩანდი სხვებში.
ამბობენ, ტახტის ქვეშ იმალვოდა, შეშინებული იყო ბელადი,
დარდს ცივ არაყით გაიქარვებდა, ზედ ამატებდა ღვინოს ხელადით.
ისიც ვერ შეძლო, ქვეყნისთვის ეთქვა, მოლოტოვს ანდო სიტყვა და საქმე,
რუქას ვერ ცნობდა, გლობუსს ხმარობდა, მუნდირს მუნდირზე იცვლიდა აქვე.

**მალენკოვი—**

შენ გაუბერე. თუ რამ შეგეძლო, რაც გულში გქონდა, ყველა წამოგცდა,
პასუხს მე გაგცემ, აქვე ვარ მოწმე, არ დაგჭირდება დიდი ხნის მოცდა.
ჩვენ დღეს ერთად ვართ და ერთად ვზომავთ როგორი გვინდა ხვალის წესები,
მაგრამ, რომ მოხდეს, სტალინი ადგეს, შველას ხომ ისევ შემეხვეწები?
ისე გამოდის, თითქოს ბელადმა ვერა რა შეძლო, არც რა იცოდა,
სხვების დაკრულზე ცეკვავდა მარად, შენი გენიის შურით იწვოდა.
იმას არ ვიტყვი, რომ მის გარეშე გერმანიასთან ომს წავაგებდით,
მაგრამ ხომ მეტად გაჭირდებოდა, ცალკე პასუხსაც ვერვინ ვაგებდით.
რაც შეეხება ომის დაწყებას, შენ რატომ გინდა, აზრი შეცვალო?
ჭაობში მჯდომმა მთვარე ლაქისთვის არად ჩააგდო, ოჰ, შე საწყალო!
მე გაგახსენებ ორმოცდაერთში, ოცდაერთ ივნისს ჰქონდა ანგინა,
ოცდაცხრამეტი — ტემპერატურა და წაქცეულმა ყველას გვაგინა,
როცა გვიხილა იმედწამხდარი, ჩვენ ერთობაში იხილა ბზარი,
ჯერ შეგვარცხვინა, მერე დაგვმოძღვრა, იმედს სიტყვები დაურთო მწარი.
შუაღამისას, ოთხი ხდებოდა, ომის დაწყება შეატყობინეს.
მოკლედ მოუჭრა, რა დროს სიცხეა, მტრებმა იმძლავრეს, დედა გვიგინეს.
ახლავე კრემლში მიდით და მოვალ, პოლიტბიუროს ყველა წევრები
პოსკრებიშევმა გამოიძახოს და ნუ ცახცახებთ ვით თოვლში ცხვრები!
ანგინის გამო, თვით არ შეეძლო, მოლოტოვს მისცა ეს დავალება:
ომის დაწყება ეცნობებინა, ვერ შევიძელით რის აცილება.
იმ დროს თუ ვინმე შიშითა კრთოდა, პანიკას თესდა, დედლობა ჩნდოდა,
შენ აქა მყევხარ, ჩემო ნიკიტა, ცნობაზე ცნობა შტაბს მოსდიოდა.
ეს იყო შენი წინადადება, რომ ფრონტისპირა რაიონები
დაგვენგრია და სრულად დაგვეწვა, არ დარჩენოდა მტერს ხორბლის მნები,
ათ ივლისს იყო, ეს კარგად მახსოვს, სტალინმა მოგცა ეს შიფროგრამა:
ვიცი, პანიკამ მოგიცვათ ყველა, რაგმირებიც ხართ, ვუყურებ ამას,
დნეპრის დასავლეთ ყველა მიწები, რაც არის შენი დასაფიცები,

გინდათ უომრად მტერს ჩააბაროთ და გამოჭენდეთ, როგორც კვიცები.
იცოდეთ, ვინც არ იბრძოლებს თავად, მტერს არ უჩვენებს დევგმირულ ძალას,
როგორც ლაჩარი, დაიხვრიტება, მე შევასრულებ, გპირდებით ამას.
ახლა ეს მითხარ, ომის დაწყებით თქვენში ვინ იყო შეშინებული?
არაუში ბოლმას ვინ აზავებდა, ვინ იყო მტრისგან დადედლებული?
ჯერ ცოცხალია დიდი ბელადი, სუნთქვს, თუმც საწოლს მიჯაჭვულია.
უკვე იწყება, რასაც ამბობდა, როგორ ემთხვევა — სასწაულია!
ჯერ კიდევ როდის ორმოცდასამში თეირანიდან დაბრუნებული
იტყოდა ზოგჯერ: როცა მოვკვდები გაცივებას ვერ მოასწრებს გული
და დაიწყება ტალახის სროლა მათგან, ვინც იცის ლიქნი და ძრომა.
სოციალიზმი ზედ დაემხობათ და ეს იქნება ქვეყნის ღვთის წყრომა.
მაგრამ დრო გავა და თაობები თავისუფლების დიდებულ დროშას
მაღლა ასწევენ, დამაფასებენ, დაივიწყებენ, ვინც ბედავს როშვას.

ბერია —

დავეთანხმები გიორგის სიტყვას, ოცდაცხრამეტის ნოემბერს ითქვა
და იმის მერე გაიხსენებდა, როგორც წისქვილში ბევრჯერ დაიფქვა.
ამიტომ დავთქვათ. გამოცდილება წინამორბედის გამოვიყენოთ.
ისე მივუდგეთ, რომ ჩვენი თავი სხვის დასაცინად არ ჩავიყენოთ.
თქვენ როგორ ფიქრობთ, ლენინი მართლა ასეთი იყო იდეალური?
სტალინმა შექმნა მისგან ხატება, აქო, ატეხა დიდი ხმაური.
რაც პლეხანოვმა აგინა ლენინს, ზედ დაუმატე ტროცკის სიტყვები,
გერმანიასთან მისი კავშირი, რა კაცი იყო თავად მიხვდები.
რატომ იბრძოლა ბრესტის ზავისთვის, კომუნიზმს სთესდა სამხედრო ძალით,
ახვრეტინებდა ფეხმსუბუქ ქალებს, სისასტიკეში არ ჰყავდა ცალი.
სტალინმა მისი ნაკლი დამალა, წარმოაჩინა სულ სხვა არსება,
მისი სახელით ებრძოდა ყველას, ღმერთად დახატა მისი სახება.
ჩვენ რატომ უნდა მოვიქცეთ სხვაგვარ, რად არ ვადიდოთ მისი სახელი?
რატომ ვაგინოთ წინამორბედი, გავხდეთ სიკეთის არ დამნახველი?

ხრუშჩოვი —

ეშმაკმა უწყის რა რას სჯობია, რაც საქმებია დასაგმობია,
თქვენ არ იფიქროთ, რაც ვთქვი ან ვიტყვი, წლობით ჩემგანვე ანაწყობია,
ლავრენტის შევთხოვ, მომაპყროს სმენა, არ ვატარტარო ტყუილად ენა,
თუ დავამცირებთ, ხომ ავმაღლდებით, ასეა, მე ხომ არ მომეჩვენა?

განსაზღვრეთ თავად, ჩვენ თუ ის ვაქეთ, რაც დაიბადა, იმ წლების აქეთ
მემკვიდრედ მისი არ ივარგებთო, ხომ მოგვიგებენ სამივეს მკვახედ?
ამიტომ ვფიქრობ, უპრიანია, ხალხს შევაპაროთ — ის უგვანია,
გავუტოლდებით ბოლოს ერთმანეთს, შორიდან კაცი კაცის მგვანია,
აბა, იაზრეთ, ხმას თუ დავარხევთ, ქართველებს მუდამ რომ მფარველობდა,
გადასახადებს იქ არა კრეფდა, რუსს, უკრაინელს კი ტყავს აძრობდა,
თუ დავუმატებთ ომში ქართველებს წინა ხაზზე არ ერეკებოდა,
რუსებს არ სთვლიდა, სლავიანების უტყვიოდ ხოცვა ეხერხებოდა,
არ დაიჯერებს, ეგება, ათი, მაგრამ ათასით მეტი ჩვენია,
რუსს ყოველთვის სწამს ხელისუფლების, უფალს ასეთი გაუჩენია.

**მალენკოვი** —
ისეთი არის სოციალიზმი, რაც რომ დრო გადის, მეტად ვრწმუნდები,
თუ ერთხელ შესძელ მაღლა ამოსვლა, გინდოდეს, უკან ვერ დაბრუნდები.
დაბლა არიან მილიონები, უაზრო ხედავა, უენო ხმები,
თუ არ იღონე, თუ არ გიშველეს,, ბრძენიც რომ იყო, იქვე ჩახმები.
კაცობას იგრძნობ, თუკი გახდები რაიკომისა მხოლოდ მდივანი,
კარიერიზმის გრძნობა თუ მოგდევს, შეინარჩუნებ საკმაო ხანი.
ვისა სჭირდება შენი კაცობა, ლიქვნა და ხოხვა უფრო მეტია,
პარტია სწყალობს, ვისთვის ბუნებას არაკაცობა გაუმეტია.
ამგვარი გზებით ბევრმა იარა, საქმეს დაატყო დიდი იარა,
სხვებმაც შეხედეს იოლ ცხოვრებას და ბედი ბევრმა გაიზიარა.
ნიკიტა ამ მხრივ გამოცდილია, სტალინთან მუდმივ თავდახრილია,
ზურგს უკან ლესავს ჭორების ხანჯალს, ამგვარი საქმე მისი წვლილია.
მაგრამ ნათქვამში რომ ვუკვირდები, რაღაცა არის საღი მარცვალი,
რაც არას გვარგებს, ის უკუვაგდოთ, საჭიროზე კი დავხუჭოთ თვალი.
სანამ ცოცხალი არის ბელადი, აუგს ვერ იტყვი, ესეც ცხადია,
დავკრძალავთ, პირველ ხანებში ვაქოთ, უნდა გავიღოთ, რაც სახადია.
მერე ცხოვრება თვით გვიკარნახებს, როგორ მოვეპყრათ ადრევე ნაქებს,
წინა უკანას ხიდი იქნება, წინას სავალი თუ წაღმა ნახეს.

**ხრუშჩოვი** —
განა, ცუდია ასეთი ჭორი, გერმანიასთან რომ ატყდა ომი,
არ მოვემზადეთ წინასწარ მისთვის და ვერც გავიგეთ მისი საზომი.
სტალინი ჰიტლერს სულ ენდობოდა, მმობას ჰფიცავდა, კიდევაც მმობდა,

სულელი ჭკვიანს მოატყუებდა, ჭკვიანი იყო, რატომ ვერ გრძნობდა?

**ბერია**

ამხანაგებო, მხოლოდ პარტიის ხაზით ხომ არ ხართ ამხანაგები?
ის, რაც დღეს ხდება, ან ხვალ მოხდება, არის სამივეს ამონაგები,
მე გავაკეთე რაც გავაკეთე, მაგრამ ხომ იყო თქვენი თანხმობა?
ხელის შეწყობა, აზრის შეწყობა. ხო და განმტკიცდა ჩვენს შორის ძმობა.
ეს მე აღვძარი ექიმთა საქმე, ყველა მკურნალი ჩამოვაშორე.
სამაგიეროდ, ვუჩინე სანდო, ამით შანსები ვაწონასწორე.
ვლასიკი იყო მეტად საშიში, პირადი დაცვის უფროსი სანდო,
ციხეში ჩავსვი, მონით შევცვალე, ყველა მათგანმა ბედი მომანდო.
პოსკრებიშევის შეცვლაც მე შევძელ, თქვენ მხოლოდ გვერდით იყავით მოწმე,
ეშმაკი ეკალს სხვის ხელით გლეჯავს, არ მოიქცევა ამგვარად მომმე.
ახლაც ეშმაკობს ნიკიტა, ვატყობ, საქმე სურს ისე წარმოადგინოს,
საბჭოთა კავშირს სისხლს სწოვს ქართველი და ქართველობას ძმარი ადინოს.
მას ავიწყდება, მეც ქართველი ვარ, მეც ვიმსახურებ სიკვდილის სასჯელს,
ერთი იყვირე, მეტი რა უნდა, მილიონს ნახავ რუსეთში დამსჯელს.

**ხრუშჩოვი**

ლავრენტ პავლოვიჩ, ჩემო მვირფასო, კარგად ნათქვამი კარგად გამიგე,
მეგრელი სხვაა, ქართველი სხვაა, ქართველთა ჯავრის ციხე ავიგე.
თქვენ ხომ არ იცით, მაგათ რა მიყვეს, კავკასიაში როცა ვომობდი?
ბევრჯერ მოვწონდი, ბევრჯერაც მცემდნენ, სიკვდილის აჩრდილს ყოველთვის ვგრძნობდი.

**ბერია**

ნუ მაწუვეტინებ, მაგ სისულელეს შენს მეტი სხვა ვინ გაიხსენებდა?
ბელადს რომ ევლო შენი ლოგიკით, კრემლში მე ვინღა გამაჩერებდა?
ასე რომ ვდიოთ, მეც შემიძლია ერთი ბრძანებით ყველას დახვრეტა.
ვიტყვი, ნიკიტას დიდი მცდელობით სიცოცხლის ძილი გადაეკეტა.
დამიჯერებენ, თქვენ კარგად იცით, ჯანმრთელად იყო ბოლო ხანებში,
დიდი თეატრი მოინახულა, ოთხი დღე არის განატანები.
ბევრმა იხილა, იყო ჯანმრთელი, მას შემდეგ არც რა წამოსტკენია,
ვიტყვი, იაზრეთ, შემდეგ რა მოხდა, ჩემით დასკვნა არ დამიდგენია.
ოცდარვაში რომ ადგა ჯანმრთელი და მოისმინა ინფორმაცია,

დამიდასტურებს ამას ყოველი, ვინც იმ დღეს ნახა და ვინც კაცია.
აგერ, გიორგი, მოწმე მყავს გვერდით, სანამ თეატრში წაბრძანდებოდა,
დაურეკა და ჯანმრთელად იყო. სხვაფრივ გიორგი ხომ მიხვდებოდა.
თან დაუბარა: მივალ თეატრში, ხვალე საღამოს კი გელოდები,
გამოიყოლე ხრუშჩოვ-ბერია, ბულგანინს უთხარ, თუ შეწუხდები,
ექიმთა საქმე გამოიკითხა, მე დაწვრილებით ვუამბე ყველა,
ვინოგრადოვი, ვოვსკი, კოგანი და ეტინგერიც მას მიეშველა,
ერთად წამლიდნენ ხელმძღვანელობას სისტემატურად და მეთოდურად,
ჟდანოვ, დიმიტროვ და შჩერბაკოვი მათ მოინელეს. თან მედიდურად
აცხადებდნენ, რომ იღონეს თუკი შეიძლებოდა რამის მიღწევა
ისე დავხატე, რომ ჭკუათმყოფელს შეზარებოდა მათი მიღწევა,
შემდეგ ბულგანინს დაკჰითხა წვრილად, როგორ გრძელდება კორეის ომი.
გვითხრა, მოგვიწევს ზავის დადება, თუმცა არა ვარ მე ზავის მდომი.
პირველი მარტის ოთხ საათამდე თავისთან ვყავდით, გვსჯიდა და გვწვრთნიდა,
დაგვარიგებდა, თუ არ ვიფხიზლეთ, თავისით არც რა ჩამოდის ციდან,
ოთხ საათზე კი დაგვცილდა ცივად. ყველამ ვიგრძენით იმ სუსხის ძალა.
მივხვდი, დრო დადგა მოქმედებისა, ფეხქვეშ საყრდენი გამომეცალა,
შემდეგ რა მოხდა თავადაც იცით. პირველი მარტის საღამო ხანზე
მოხდა ჩაქცევა, ასეა დასკვნა და ეს ეტყობოდა სახეზე, ხმაზე,
ჩაქცევა მოხდა? ვანიშნებ ექიმს და საწამლავის კვალს აღმოაჩენს.
კონსილიუმი დაასკვნის ისეთს, ჩამდენს უფალიც ვერ გადაარჩენს.
ნიკიტა, უთხარ, გინდა ასეთი? თუ გირჩევია ბოლომდე მენდო,
აგისრულდება გულის წადილი, თუ ავასრულე, რაც გულში მედო.

**ხრუშჩოვი** —

ბოდიშს მოვიხდი, სულ არ მინდოდა, პავლოვიჩ, თქვენი ოდნავაც წყენა,
ჩემთვის ვიფიქრე, მეგრელს და ქართველს რა გაქვთ საერთო ჯიში თუ ენა?
მეგრელთა საქმე რომ წამოიწყო, არა მგონია, მხოლოდ შენს გამო,
დასცალებოდა — შენ დაგტოვებდა? მითხარი, როგორ უნდა ვიწამო.
ხო და ვიფიქრე, რა აქვთ საერთო და რაკი მისი შენსას დაერთო,
შორით ყურებით რატომ გავერთო, მოგება ვნახო, მირჩევნის, ღმერთო.
მეგრელთა საქმეს ექიმთა საქმემ თუკი დაასწრო დაბოლოება,
დამარცხებული არ დავამიწოთ, შემოვირიგოთ, რას ემგვანება?
ახლა განსაზღვრე, რაც ჩამოვთვალე, განა, არ ჯდება საერთო არხში?
თუ არ მოვიმკით ბოლომდე შედეგს, გამოგვეყოფა ჩვენ თავი ხალხში?

**მალენკოვი**

გასაგებია შენი წადილი, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეს,
მატყუარას გზა ეკლიანია, თამამად მხოლოდ მართალი ვლიდეს,
რასაც შენ ამბობ სიმართლეს მოჰგავს, მაგრამ მირშივე არის ტყუილი,
ფუტკარი ყვავილს თავზე ევლება, ბუზმა კი იცის ფუჭი ბზუილი,
შენი ნათქვამი ბზუილს მაგონებს, საქმეს არ მისდევს, ჭორებს აგორებს,
შედეგი მიზანს რომ გაუტოლდეს, შენ ვერ იპოვი ასეთ სასწორებს.
აბა, დაფიქრდი, მოვყვეთ შორიდან, გამარჯვებულნი დავრჩით ომიდან,
ვერც მოვემზადეთ და ვერც ვიბრძოლეთ, შედეგი გაჩნდა რა საზომიდან?
გასაგებია, არ გვსურდა ომი, ჩვენ არ ვიყავით სისხლის ღვრის მდომი,
იმას ხომ მაინც კარგად ვხვდებოდით, გარს გვახვევია კარზე მომხდომი,
შენ თუ ვერ გრძნობდი შენი ბრალია, ბრმა და ყრუ მუდამ შესაბრალია,
მაგრამ მხედველი არ დამნახველი არა მხედველებს მისათვალია?
ჯერ კიდევ როდის, ოცდაშვიდ წელში, როცა ქვეყანა ფორთხავდა ბნელში,
სტალინმა იგრძნო, იქნება ომი და სამზადისი აიღო ხელში,
იტალიაში, გერმანიაში, ფაშიზმი ძალას სწრაფად იკრებდა,
იაპონია იმუქრებოდა, დაწყობილ კარტებს ინგლისი რევდა,
ჩვენ რა შეგვეძლო? ღატაკ ქვეყანას დაქსაქსულობა ემატებოდა
ტროცკი, რიკოვი თუ კამენევი ხელისუფლებას ეტენებოდა.
ყველას უნდოდა ბელადად ყოფნა და თავის ტოლად არავის თვლიდა,
გრძელ მოხსენებებს აყალიბებდნენ, ოცნებით წყვეტდნენ ვარსკვლავებს ციდან.
სხვას ვის შეეძლო, სტალინმა შეძლო ყველას მოთოკვა და მოცილება,
სოფლის გარდაქმნა, მრეწველობაში მოკლე ვადებში დიდი ცვლილება.
მან დაადგინა და მრეწველობა სამჯერ მაღალი ტემპით გაზარდა
მასში სამხედრო კვლავ სამჯერ მეტად და შესრულებას ვერვინ დაზარდა
ტრაქტორის ქარხნებს აგებდა მიტომ, რომ გამოეშვა შემდეგ ტანკები
ავიაცია, არტილერია, რაც იყო მტერთან დასატაკები.
არ ეჯერა და არ ემზადაო, ენა ამგვარად ვით გიბრუნდება,
ტყუილი ისევ მთქმელს გააწითლებს ბუმერანგივით დაუბრუნდება
ჩვენ ჯერ ასე ვთქვათ: სად გერმანია და სად კავშირის შესაძლებლობა,
და მაინც შეძლო მისთვის გაესწრო, ჰქონოდა ბევრ მხრივ წონასწორობა
სტატისტიკოსთა დასკვნები ნახე ოცდაჩვიდმეტში უკვე ვჯობნიდით
ყოველ წლიურად სამხედრო ძალას მაქსიმალური დაძაბვით ვზრდიდით.
მაგრამ როდესაც ჰიტლერმა შეძლო ევროპის ძალის ხელში ჩაგდება

ორჯერ და სამჯერ გადაგვამეტა, მიტომ დაიწყო თავის აგდება
სტალინმა ყველა ბიჭი გაზომა, სადაც არ ღირდა იქ გაეცალა,
ზავი დაუდო ოცდაცხრამეტში და ამით ჭკუა გამოაცალა
სხვა ვინ შეძლებდა სამხედრო გზაზე, ქვეყნის იმგვარად ორგანიზებას
ვინ მიმართავდა საჭირო მიზნით შესაძლებლობას და ხალხის გზნებას,
შენ გაიძახი ვერ სცნობდა რუკას, განა, შენებრი იყო უვიცი,
მის მაგიდაზე რუკების გროვა მეც მინახია და შენაც იცი.
იცნობდა ყველას, იცოდა ყველა, მტკიცედ ეკავა ხელში სადავე,
არავინ იყო დამრიგებელი, რჩევის მიმცემი, აზრის მოდავე.
მახსოვს რა მკაცრად მისაყვედურა, ინფორმაცია დავაგვიანე,
ვადა გასული სიმცდარე ხდება, საქმეს აფერხებს, ანაგვიანებს.
მისაყვედურა, განა დამსაჯა, ყველა აწონა, ყველა განსაჯა,
მსოფლიოს ბედი ხელში ეკავა, მაგ არი ჰქონდა გონი და მაჯა.

**ხრუშჩოვი**—

მე როდი ვამბობ იყო უჭკუო, დაუნთებელი ცეცხლით იწვოდა.
ვამბობ არ იყო კადრი სამხედრო, ომს რა სჭირდება, არც ეს იცოდა
არა ჰყოლოდა გვერდით ჟუკოვი, ვნახავდი რა ომს დაივადებდა.
ვოროშილოვი ნაცემ ცხენს მიჰგავს, ვოროშილოვის აზრებს დასდევდა.
თუ ჩვენგან ომი მოგებულია, არი ჟუკოვის დამსახურება.
დიდების ნაცვლად დააქვეითეს, ჩემთვის მნელია ამის ყურება.

**მალენკოვი**—

შენი სიტყვები სინანულს იწვევს, ცომივით ფუის და მაღლა იწევს,
გზა მიეცი და დაფრთიანდება, შემოდგომაზე ნაყოფს მოიწევს,
შე დალოცვილო, არ იყო მოწმე, არ ვიყო მოწმე — დაგიჯერებდი.
როდის იყო, რომ იყავ მართალი, სიმართლისათვის თავს როდის სდები?
ომამდე ადრე და ომის წლებში, სამხედრო საქმეს რაც შეეხება,
რაც დაწერილა, ყველა იცოდა, თავად მინახავს წიგნების წყება,
გალაპარაკებს მადლიერება? ვინც ვიცით, მათთვის გასაგებია.
ჟუკოვმა გიხსნათ სასჯელისაგან, მან გადაფარა წანაგებია,
გოლიკოვმა და შენ ვერ შესძელით სიტუაციის გაკონტროლება.
ვორონეჟის ფრონტს ვერ უპატრონეთ, მან შესძლო საქმის გამოსწორება,
და თქვენ გადარჩით. ეს კი არ ნიშნავს, სამხედრო საქმე სხვამ არ იცოდა.
თვითონ ჟუკოვი ბევრჯერ შემცდარა. მან კი შეუნდო და შეიცოდა.

მაგალითს გეტყვი: ჟუკოვი სტალინს ავიაკორპუსს ჯიუტად სთხოვდა.
არც კი იცოდა სინამდვილეში რა ძალას ფლობდა, ზედმეტს რად სწოვდა,
ორმოცდაოთხის თექვსმეტ მარტს იყო, სტალინმა იქით ჩამოუთვალა
რა ძალები ჰყავს, რა შეუძლია, რამდენად მეტი რა ადევს ვალად,
მიხვდა ჟუკოვი, სტალინმა უკეთ იცის, ვის რა აქვს, რა ევალება.
ჭკუას მოუხმობოს, რა შეუძლია, თუ სამსახური არ ეზარება.
სტალინს არ ჰყავდა ფავორიტები და არ იცოდა ჩემი და შენი,
საქმის შედეგით საზღვრავდა ყველას — შექება იყო თუ განაჩენი,
შაპოშნიკოვი ერთადერთია, ვისაცა ჰქონდა ნდობა-პატივი,
რჩევას ჰკითხავდა, არცა ჰკიცხავდა, რატომ? პასუხი არის მარტივი
— მისი ნაშრომი □არმიის ტვინი“ სიგრძე-სიგანით კარგად იცოდა,
თეორიები სამხედრო საქმის, სტრატეგიული ნიჭით იწოდა.
ორმოცდაერთში მოსკოვის დაცვა სტალინისაგან ჟუკოვს ევალა,
გაუჭირდა და რეზერვი სთხოვა, კიდეც ემნელა, კიდეც ევალა,
ამ დროს სტალინი მისგან ფარულად დიდ კონტრშეტევას უკვე გეგმავდა,
და როცა მტერი შორს მოისროლა, სამხედრო მცოდნეს, ვითომ, ვერ ჰგავდა?
გინდ, სტალინგრადის ბრძოლა აიღე და, გნებავს, კურსკთან ჩაფიქრებული,
უცოდინარი ამას შეძლებდა? გონება ცოდნით გაკაჟებული.
თუ გინდა, ის თქვა: მოსკოვში იჯდა, არ დაუვლია ფრონტის ხაზები,
საჭირო იყო? ისიც იცოდა, მტრების-მოყვრების მონახაზები.
თუ იმას იტყვი: ფრონტის სარდლებად სხვები ჰყავდა და სხვები აბრძოლა,
ხელმძღვანელობა, ორგანიზება, მეტი არ არის მტრებზე დაწოლა?
ამ მხრივ ბერლინის ოპერაცია ყოველმხრივ არის გამორჩეული,
ის უშუალოდ სარდლობდა ბრძოლას, ეს საქმე იყო მისთვის ჩვეული,
ერთ ფლანგზე სარდლად იყო ჟუკოვი, ვასილევსკი კი მეორე მხარეს,
მხოლოდ სტალინმა იცოდა ყველა, ხელმძღვანელობდა მთელ ბრძოლის არეს.
ომის შემდეგ კი ჟუკოვზე ეს თქვა, რომ ის იბრძოდა კონევზე უკეთ,
როკოსოვსკიზე არანაკლებად და არცა სხვებზე, ვინაც კი ვუქეთ.
და თუმც ლავრენტი კიდეც ცდილობდა, მასთან მეხლისი უფრორე მეტად
წარმოედგინათ კარგი სარდალი, ინგლისის მომმედ, საეჭვოდ, რეტად,
სტალინი მაინც იცავდა ჟუკოვს და კვლავ დაჭერას გადაარჩინა.
კაგანოვიჩის ხელიდან იხსნა, ოდესის ოლქში გამოაჩინა.
მოსწონდა კიდეც და აფასებდა, პატარა სტალინს მასში ხედავდა,
ათამამებდა და იფარავდა, მომავლისათვის კიდეც ჭედავდა,
აგონდებოდა, ალბათ, წარსული, როცა ლენინის წარმომადგენლად

იბრძოდა ყველგან, სად გამარჯვება ეჩვენებოდათ წარმოუდგენლად.
ჩვენ ყველას გვახსოვს, რომ ცარიცინთან სოციალიზმის წყდებოდა ბედი,
ვერავინ შეძლო მტრის გამკლავება, არავინ იყო რვალის გამჭედი,
აღმოსავლეთით იყო კოლჩაკი და დენიკინი დასავლეთს ფლობდა,
შეერთდებოდა ეს ორი ძალა, მტერი-მოყვარე უთუოდ გრძნობდა.
ლენინმა მაშინ კობა აწვია, და რაც მან შეძლო, რაც მან აწია,
დარაზმა ძალა, მტერს დააწია, ბრძოლის იღბალი გადაარწია,
იხსნა ქვეყანა. ის ივე მოხდა, როცა თეთრები პიტერს უტევდნენ
სამხრეთის ფრონტიც, სანამდე კობას ომის არესად გამოუჩენდნენ.
ჰოდა, თუ მაშინ ომობდა მედგრად, სადაც კი ჭირდა, თუ ის იბრძოდა,
ახლა რატომ ვთქვათ, სამხედრო საქმე მისთვის უცხოა, სულ არ იცოდა?

**ხრუშჩოვი**

ამხანაგ ლავრენტ პავლესძემ იცის, მეც ბევრი რამე გამიგონია,
სტალინს რა ჰქონდა თავმოსაწონი, ყველა პარტიის მონაქონია,
მე რასაც ვამბობ მოკლედ და ხისტად, თუმცა ვეგონე მეჭკუასუსტად,
შეფასებები არ შემეშლება და მოგიყვები ყველაფერს ზუსტად.
ვემახით სტალინს, თუმცა ის იყო ივანოვიჩი, კობა, ჩოპურა,
ხან ჩიჟიკოვი, გილაშვილმა კი ფსევდონიმების კარი მოხურა,
რატომ იცვლიდა სახელებს ხშირად, საკუთარი მე მიაჩნდა ჩირად,
მხოლოდ იმიტომ, მისი მოძებნა ჟანდარმერიას გახდიდა ჭირად?
სხვაგვარად ვფიქრობ, თქვენც დაუკვირდით, თუმცა ამ საკითხს ვეხები რიდით,
მაგრამ ხომ უნდა გაირკვეს ყველა, ვიდრე ავს და კარგს მისას დავითვლით,
რევოლუციას ის მიეტმასნა, რადგან ზედმეტად ხშირადა სჯიდა,
მამა ლოთი და ხელმოცარული, ვინც გაჰყურებდა ცხოვრებას ჭიდან.
ხუთი წლისამ კი შავ ჭირს გაუძლო და ულამაზო ნაყვავილარი
სახით მახინჯი, გახდა ბოროტი, ლამაზთა სისხლის უხვად მწოვარი.
ეს მან გამარცვა თბილისში ბანკი, ტერორისტების იყო უფროსი,
სერგო, კამოა თუ ალიოშა, მონაწილეა მისი სამწყოსი,
სასულიერო სემინარიაც ვერ დაასრულა, არ ეყო ცოდნა,
გასაოცარი მხოლოდ ის არის, მისგან ბელადი როგორ გამოდნა?
მამას ვერ ცნობდა, საწყალი დედაც სულ ორჯერ-სამჯერ მოინახულა,
ჩვენ რად გვიკვირდეს, ასეთი კაცი იყოს უვიცი, უხეშ, დიდგულა?
რელიგიური მიიღო ცოდნა და რელიგია დაასამარა,
ვის უერთგულა ან ვინ დაინდო, აზრებს იცვლიდა ის წარა-მარა.

მარქსისტობდა და მარქსს ვერ სცნობდა, ინტუიციით რაღაცას გრძნობდა,
კარიერისთვის იბრძოდა მხოლოდ, რეპრესიებსაც მისთვის აწყობდა,
ორატორობის არ ჰქონდა ნიჭი, კანცელარიის ვირთხასა ჰგავდა,
ტროცკის ნათქვამებს იმეორებდა, სხვათა იდეებს თხილივით ხრავდა.
ასეთი კაცი, ათეულ წლობით, სალაფავს გვჩრიდა გაბზარულ გობით,
ახლა დრო არის, გავსწორდეთ წელში, ჯავრი ვიყაროთ მისი დაგმობით.

ბერია____

ნიკიტა, ჩვენში რაც უნდა ითქვას, აქ დასრულდება, აქვე მოკვდება,
კაცი ჯერ კიდევ არის ცოცხალი, ეგება, ხვალე არ გაცივდება,
შენ კი გსურს უკვე მსოფლიოს ამცნო, შენი ბატონი როგორა გმულდა,
მისი ნათქვამი ნაგვის წაყრაზე როგორ სიზუსტით სწრაფად შესრულდა.
რასაც შენ ამბობ ჩვენს სასარგებლოდ, გინდა, მომგვარო სიამოვნება,
მე და გიორგი აგყვეთ ლანძღვაში, ეს სამეული რას ემგვანება?
შენ ასე ამბობ, მილიონები მასზე ლოცულობს და მას მიჰყვება,
ჯერ კიდევ სუნთქავს იმათი კერპი, მისი გინება ვით აღიქვება?
თუ ვერ მოერგე მასების რწმენას, იმათ ფიქრს და ღმერთს დაუწყებ რქენას,
ვინ დაგიფარავს იმათ რისხვისგან, ამოგაძრობენ მირშივე ენას.

ხრუშჩოვი____

ამარჯვებული არის მართალი, რა იმოქმედონ, ვინ ჰკითხავს მასებს?
კარგად იციან, ხმის ამომღები, დახვრეტილების რიგებს შეავსებს.
დიქტატურა ხომ მალადობაა, ჩვენ მალადობით დღემდე ვიარეთ,
მტრების დანდობა მარცხის წყაროა, ეს აზრი ყველამ გავიზიარეთ.
თუ დაგავიწყდათ, მე შეგახსენებთ, ცხრაასჩვიდმეტში და იმის მერე
ლენინი იყო დასჯის მოთავე, დახვრეტის მომხრე და მოსიმღერე.
ტამბოველ გლეხთა თხოვნა–მუდარას ის უწოდებდა აჯანყებასა,
შემოუსია წითელი ჯარი, დამსჯელს უქებდა თავდადებასა.
მშრომელ გლეხობას სისხლი ადინა, მერე, ვინ ჰყავდა მას განმკითხავი?
ჩვენ ხომ ლენინის ვართ მოწაფენი, უნდა დავართათ მისი სართავი.

ბერია____

ლენინელები, კომუნისტები სტალინისაგან ვართ დაზრდილები,
ჩვენთვის ერთია ლენინ–სტალინი, ჩვენ გვიფარავენ მათი ჩრდილები,
ლენინს რა სჭირდა სხვასთან საბრძოლო, კეთილ ოჯახში იყო ნაზარდი,

დროს შეუფარდა თავის აზრები, სხვათა ხარჯებით იწყო ნავარდი,
ხომ მარქსისტობდა, იცოდა მარქსი? შურისძიების ცეცხლით იწოდა.
სადაც რა სჭირადა და რა უჭირდა, იქით კენ ხელი გამოიწოდა,
მისი აზრები არამარქსული, მარქსიზმად იქნა ჩვენგან აღქმული.
იმას აწყობდა და ჩვენც გვაწყობდა, გამოვიძებნეთ ერთი ავსული,
მარქსი ამბობდა, სოციალიზმი მხოლოდ მას შემდეგ ქვეყნად იშობა,
კაპიტალიზმი რომ დაბერდება მისგან სხვა არა წარმოიშობა.
ლენინის აზრი იყო სხვაგვარი: მე პარტია მყავს მალზე მაგარი,
პარტიის ძალით გარდავქმნი რუსეთს, რათა ცხოვრება შევქმნა სხვაგვარი.
მარქსი ამბობდა: ეკონომიკა უნდა მომწიფდეს, უნდა იზარდოს.
ლენინი ამბობს მე კაცს გარდავქმნი, მან ცხოვრებაზე თავად იდარდოს.
მარქსის მიხედვით, კომუნიზმისთვის გლეხობა-კლასი არის ბორკილი,
ლენინი გლეხებს სულს უბერავდა, აზრები ჰქონდა თავშებორკილი.
ასე ხალხოსნებს სჩვევოდათ ადრე, ლენინი მათგან იყო ნაშობი,
მათი თიხისგან იყო ნამერწი, მარქსის თონეში გამოსაშრობი.
მარქსის მიხედვით, ცხრაას ჩვიდმეტში ფეოდალიზმის დამთავრდა მსხვრევა,
კაპიტალიზმი თუ კომუნიზმი, მისწრაფებების მოხდა აღრევა.
ოცდაერთში კი იკისრეს ცოდვა, როცა ოცნება ხელში ჩამოდნა,
თქვეს, რომ მანეთმა აჯობა აზრებს, ვერ დაეხმარა რუსეთის ცოდნა.
აი, ასეთი დარჩა ქვეყანა, ნამსხვრევებივით ირგვლივ ეყარა.
ამ ნიადაგზე ვინ იყო მარჯვე, ვის საქმეს უნდა უხვად ეხარა?
ტროცკი რომ იყო პირველი, იცით, რა ჰქინდა აზრად, ვის ენდო ფიცით,
შრომით არმიებს აყალიბებდა, დახტოდა, როგორც უხედნი კვიცი.
ცხრაას ჩვიდმეტის ივნისის თვემდე ბოლშევიკებში არ ერეოდა,
□მეჟრაიონელს‘‘ თავს უწოდებდა, პარტიებს შორის აზრებით ჰქროდა.
მაისის თვემდე იმალებოდა, საზღვრების იქით თავსა მალავდა,
რიტორიკობდა, ხმაურსა სტეხდა, გამტეხთა შორის ლიდერსა ჰგავდა.
როცა პიტერის საბჭოში მოხვდა, როცა ლიდერის ძალა შეიგრძნო,
მეტოქეობა დაუწყო ლენინს, შედეგის აზრი მაშინ შეიცნო.
მეორე მხრიდან როზენფილდია, ქვეყანა იცნობს, ვით კამენევი,
ციმბირში წლობით სტალინთან იყო, გრძელ ღამეების თეთრად გამთევი.
მის გვერდით ბევრჯერ რადომილსკია, დიდი ბელადი-ზინოვიევი,
დაჯერებული, შემართებული, ქედმოუხრელი და გამომწვევი.
ოქტომბრის თვეში მომწიფდა საქმე, უნდა დაემხოს ძველი მთავრობა,
ვინ გაუძღვება ახლის შენებას, ვისი იქნება ქვეყნად ძძლავრობა?

კამენევი და ზინოვიევი ძალას ვერ გრძნობდნენ, მიტომ ფრთხილობდნენ,
არც ტროცკი აწყობთ და არც ლენინი, ახლის შშენებლად ვერც ერთს ვერ სცნობდნენ.
ოქტომბრის თვეში, ოცდახუთ რიცხვში, საბჭოებსა აქვთ დიდი ყრილობა,
ქვეყანას ელის მთავრობის შეცვლა, სავალ გზის შეცვლა და აშლილობა.
ტროცკის აზრია: ყრილობას გახსნის, გამოაცხადებს ძველის დამხობას.
ხელში მოიგდებს ძალაუფლებას, სხვებს შესთავაზებს მასთან სამხრობას.
რა საჭიროა ჯანყი და სისხლი, ყველას მიაღწევს მშვიდობის გზებით.
მას, როგ ორც ბელადს, ქედს მოუხრიან, ხელს გაუწვდიან ერთგულის გზნებით.
ლენინს ეს გეგმა სულ არ აწყობდა, მაშინ ტროცკია ლენინზე მაღლა.
განა, ამიტომ იბრძოდა წლობით, მძიმე შრომაში არ იგრძნო დაღლა.
გამოსავალი რა არის მაშინ? რა მოქმედება დაუჯდა ჭკვაში?
განა, ამიტომ □პოპ, პოპ‘‘ იძახა, მოხვედრილიყო ტროცკისტულ ჭაში?□
გამოსავალი ერთია მხოლოდ, ეს ჩაითვლება ბრძოლების ბოლოდ.
აჯანყების გზით დავამხოთ ძველი, მთავრობა მოვსპოთ, ძალით ჩავქოლოთ.
თუ საბჭოების ამ ყრილობამდე, მოხდა ეს საქმე, ძალა ჩვენია,
ტროცკი და მისგან ყრილობის გახსნა, მისი ნათქვამი, რა საჩენია,
ლენინმა ასე აჯობა ყველას, მტერსა და ვისგან ელოდა შველას,
არა ჰყოლოდა სტალინი გვერდით, მარტო ასწევდა საქმეს ამხელას?
ჯერ კიდევ როდის, აპრილის თვეში, როცა თეზისებს აფრიალებდა,
სანამ სტალინი მას არ მიემხრო, ყველა მეტოქეს ის ვერსად ძლევდა,
მაგ რამ როდესაც შეთანხმდნენ ორნი, გადაიხარა ბედის სასწორი,
სიტყვა ლენინის, საქმე სტალინის, ვერავინ გახდა იმათი სწორი.
ნიკიტა ამბობს სტალინის აუგს, ვინაა, ვისი ნაშიერია,
ქვეყანას როგ ორ მოაჯდა თავზე, ჩვენში საიდან გამოერია,
სად დაიბადა, ვისია შვილი, იყო უვიცი, რაში აქვს წვლილი.
ლენინის სუფრა ჩაიგდო ხელში, წინ მოგვიძღოდა დროშა გაშლილი,
ჯერ ერთი, იცი, ვისი შვილია? მის გამოზრდაში ვისი წვლილია?
ეგ ნატაშვილი ვინ იყო მისი, რად იყო მისთვის ხელგაშლილია,
მეორეც იცი? სად რას სწავლობდა, რას კითხულობდა, რა ცოდნას ფლობდა.
ტერორს გეგმავდა, ციხეში იჯდა, ერთგულ მეგობრად წიგნებსა სცნობდა,
ეგება ფიქრობ, სკოლის გარეშე თან თუ არ დაგდევს დამრიგებელი
და დიპლომები ჯიბეს არ გივსებს, არა ხარ ცოდნის მატარებელი?
მაშინ რა ვუთხრათ ჩვენ ცკ–ს მდივნებს, პოლიტბიუროს სტაჟიან წევრებს
ვოროშილოვი, კაგანოვიჩი და ბულგანინი მიჰგვანან მწერებს?
გინდ მოლოტოვი გადაამოწმე, გინდ მალენკოვი, აქ ვარ ბერია,

რა წაგვიკითხავს ჩვენ უკეთესი და უფრო მეტი დაგვიწერია.
ეგება შენ ხარ მეტად ნასწავლი, შეძლებ, რომ ცოდნით გადაამეტო.
ამიტომ გირჩევ, თავს ნუ აიგდებ, დაუალაგდი ცოტა ჭკვას, ცეტო!
იმასაც ამბობ, მშიშარა იყო, მიტინგებზე ვერ ამბობდა სიტყვას,
უნდა მოვზომოთ, ვის რატომ ვლანძღავთ ან საქებარი ვისზე რა ითქვას.
რამდენჯერ იყო ის დაჭერილი და კატორღიდან გამოქცეული,
მშიშარა, განა, ამას შეძლებდა? ნუ ხარ შურისგან ჭკვაარეული!
უვიცი იყო? მშიშარა იყო? მაშ, ამიხსენი, ეს როგორ მოხდა,
ტურუხანსკიდან ჩამოსვლის მერე ისეთი მცირე ჟამი გამოხდა
და შეიყვანეს ცკ–ს რიგებში, შემდეგ კი „პრავდის“ რედაქციაში,
შენი ბრალდების დადასტურებას როგორა ხედავ ამ აქციაში?
ხელმძღვანელობდა პარტიის საქმეს, გაზეთებისთვის სტატიებს წერდა,
ლენინს მალავდა და იფარავდა ბინაში, სადაც თავად შეჩერდა.
შემდეგ რაზლივში გადაიყვანა, თავად ყრილობას ხელმძღვანელობდა,
აჯანყებისკენ მოუწოდებდა, გარშემო მუდამ მტრის ხროვას გრძნობდა.
მასებს რაზმავდა, გეგმებს სახავდა, ორატორობა არ სჭირდებოდა,
ზოგისთვის მხოლოდ სიტყვაა საქმე, ზოგი კი სიტყვას ერიდებოდა.
შენ მაინ რიდის წიგნი თუ იცი, თუ გაგიგია, შიგ რა წერია,
იქ მხოლოდ ტროცკი ჩანს ორატორი, ლენინიც გვიან გამოერია.
იქ არა ჩანან პრაქტიკოსები, დიდი ტრიბუნა არა სჭირდებათ,
არა დგებიან რიგში სათქმელად, არა იმიტომ, გაუჭირდებათ.
საქმე ხომ უნდა აკეთოს ვინმემ, სიტყვა არ არის საქმის საზომი,
მოლაპარაკეს რა დალევს ქვეყნად, მაგრამ ცოტაა პრაქტიკის მდომი.
ალბათ, ამიტომ დეკემბრის თვეში, როცა ლენინი გადაიღალა,
დროებით სტალინს მიანდეს საქმე და ყველა პროცესს დაატყო ძალა.
ხუთი დღით იყო, მაგრამ ხუთი დღე, ზოგჯერ, ხუთ წელსაც გაუტოლდება,
მნიშვნელობა აქვს ყოველგვარ საქმეს, თუ რამე ხდება, რატომძა ხდება.
სწორედ იმ ხანად სახკომსაბჭოში იყო დავა და იყო კამათი,
ომი თუ ზავი გერმანიასთან, რომელს ექნება მეტი ლაზათი?
ზინოვიევი მიემხრო ლენინს, მათ გერმანია ერთად გამოვლეს,
ერთად დაუდეს მტკიცე პირობა და დაემსგავსნენ მშვიდობის მომლელს.
მათი აზრია: ზავი დაიდოს, გერმანიასთან მტკიცე მშვიდობა,
რათა მივხედოთ შიდაპროცესებს, მოვსპოთ გათიშვა, ღალატ–ფლიდობა.
მეორე აზრი არის ტროცკისა, არც მიწისაა ის და არც ცისა,
ამბობს არც ომი და თან არც ზავი, ესწრაფვის იმას, რაც არ იცისა.

მესამე აზრი მომხიბვლელია და თან მარქსის აზრს ეთანახმება,
ბუხარინია მისი ავტორი და გადიტანა მისთვის წამება,
მარქსიზმი ამბობს, სოციალიზმი გერმანიაში ადრეა მეტად,
უნდა მომწიფდეს ბევრი პირობა, ბევრი პრობლემის გადასაწყვეტად.
რაც შეეხება რუსთ იმპერიას, ფეოდალიზმის საზუდარია,
პერსპექტივა აქვს მალზედ უსახო, ყოფნა მონობის შესადარია.
მაგრამ, თუ მოხდა რამე გამოსვლა, თავისუფლების ყლორტმა იხარა,
მასებმა იგდეს ძალაუფლება, სასწორი მათკენ გადაიხარა,
კაპიტალისტურს შექმნიან წყობას, მას დაარქმევენ ერთობა–ძმობას,
ხელს გაიწვდიან დასავლეთისკენ, მოუწოდებენ მათთან მიმხრობას.
თუ დასავლეთში სოციალიზმი გაიმარჯვებს და დაეხმარება,
რუსეთიც წავა ცოცვით იქითკენ, თუ არა ელის გადაგვარება.
ამ გზას აქებდნენ: ბუბნოვ, რადეკი, პიატაკოვი და ბუხარინი,
წინადადება არ იყო ცუდი, ხელის საკრავი და დასაცინი,
გაიმარჯვებდნენ კიდევაც, ალბათ, მაგრამ ეს ბოლო მას არ ეწერა,
რადგან სტალინი მიემხრო ლენინს, გადააკეთა ეს ბედისწერა.
შედეგად ბრესტის ზავი მივიღეთ, კარგი თუ ცუდი სხვა არის საქმე,
ვინ გადაწყვიტა ყველა პრობლემა, მთავარი არის, აღვნიშნოთ აქვე.

**მალენკოვი**

მე დავამატებ ლავრენტის ნათქვამს, ხომ ორი ბოლო ყველა ჯოხს ახლავს,
ვინ რას შენიშნავს, თავს მოიწონებს ან დამღუღრული თავს კედელს ახლავს,
მე უმაღლესი ვერ დავამთავრე და აპარატის ვიყავ მდივანი,
ჩემ ხელში მოხვდა დოკუმენტები, ვუკირკიტებდი საკმაო ხანი,
ეროვნულ საკითხს შეეხებოდა და ასახავდა კავშირის შექმნას,
სხვადასხვა ერთა დაახლოვებას, რუსეთში ჩართვას, რუსებთან შერწყმას,
ბევრს არ მოვყვები, დღეს ასე ვიცით, სტალინი იყო აზრის მოთავე,
შექმნის პროექტიც მან შეადგინა, საკითხს შესძინა დიდი სიმწვავე,
რესპუბლიკებმა მისი პროექტი არ მიიღეს და გაითავისეს,
უკლონისტობა დაიწყეს მყისვე, გული რუსების ზიზღით აივსეს,
მაშინ ლენინმა იტვირთა საქმე, საბჭოთა კავშირს მისცა სათავე,
სტალინს დაბრალდა ყველა შეცდომა, ყველა გადახრა, ყველა სიავე.
დოკუმენტებმა სხვა რამ მანახეს, კარგად ხატავდნენ ბელადთა სახეს,
ვინ იყო თავი და ვინ შუაში, ვინ ვის უთხრიდა ორმოს და მახეს,
იმ დროს ლენინის დაუკითხავად, რჩევის გარეშე კარგად თუ ავად

სტალინი არას გააკეთებდა და არც დაწერდა ქაღალდზე შავად,
მისი პროექტი იყო ლენინის, მისი აზრებით გაჯერებული.
და გაიტანდა, ეგონა, სწრაფად, მიზანში იყო დაჯერებული.
როცა გამწვავდა საკმაოდ საქმე, ორჯონიკიძე დაატრიალა,
მისწი-მოსწია სხვისი საზღვრები, სტალინს სამშობლო გაუტიალა,
საბჭოთა კავშირს მისცა ეს სახე და ცენტრალური შექმნა მთავრობა,
სტალინს რა ქნა, უხმოდ იკისრა ყველა შეცდომის ავტორ-მაყრობა.
ოცდასამი წლის თებერვლის თვეში კავშირს უწოდა ფედერაცია.
ამით გამჟღავნდა ამ დიდ საქმეში ვინ მართალია, ვინ თვალთმაქცია,
კავშირი არის ფედერაცია — ასეთი იყო სტალინის სიტყვა,
მწარედ ანანეს ასეთი აზრი, სწრაფად აღკვეთეს, რაც მისგან ითქვა.
ეს ფაქტი მუდამ სიფრთხილეს მგვრიდა, სისტემა თუკი სტალინს დასჯიდა.
დამხვრეტდნენ მე რომ მეთქვა ამგვარი, იმ გიგანტებთან ვიყავი ციდა,
ერთსაც დავურთავ, ხომ ცნობილია, როცა ლენინი ავადმყოფობდა.
სტალინს მიადნდეს მისი რეჟიმი, ვის შეხვდებოდა, როგორც თავს გრძნობდა,
ოცდაორი წლის დეკემბრის თვეში ვეღარ მოზომეს ბელადის ძალა.
კრუპსკაიას ბევრი რამ უკარნახადა ავადმყოფი გადაიღალა,
მარჯვენა მხარე წაერთვა მაშინ, სტალინმა მკაცრად დატუქსა ქალი.
ქალმა ქმარს უმალ უთხრა სტალინზე, ის უხეშია, მე ვარ მართალი.
აი, ამ ამბავს დიდი აქვს კუდი, ზოგისთვის კარგი, ზოგისთვის ცუდი.
ლენინს, ავადმყოფს, ცოლის დატუქსვა აჯერეს, როგორც ქმედება მრუდი
დაუკარნახა მაშინ წერილი, ყრილობას უნდა ის განეხილა.
მეტოქე ტროცკი, სანდო სტალინი ლენინმა მაშინ არ დააცილა,
უხეშიაო, ასე თქვა ძმაზე, სუსტი ჰკიოდა საომარ ხმაზე,
სტალინის მოხსნას ჯიუტად სთხოვდა, მოძავალს სჯიდა ქალების ჭკვაზე,
ცხრაას ხუთიდან ჰქონდათ ერთობა, პოლიტიკური გაგება-ძმობა.
ლენინის სიტყვა, სტალინის საქმე, არ სჭირდებოდათ მოწმის მოხმობა,
ქალის ჩივილმა არია ყველა, არვის შეეძლო ერთობის შეცვლა,
და მოითხოვა სტალინმა წასვლა, თუმცა მოთხოვნა ძალზე ეძნელა,
კაცის სახელი მძიმე ტვირთია, ორჯერ ითხოვდა გადადგომასა
და არ გაუშვეს, რადგან შემცვლელი არ გაარჩევდა მტერსა და ძმასა.
კამენევია ტროცკის დის ქმარი, უნდა აუბას თითქოს მას მხარი,
მას კი სტალინი ურჩევნის მუდმივ, ძმობის ერთგული, კაცობის ფარი.
მე გავიხსენებ მხოლოდ ერთ ამბავს, თქვენ შეაფასეთ რაა და რას ჰგავს,
ოცდაექვს წელში ამ პატარა ფაქტს მცოდნე სხვა ფაქტებს თუკი მიაბავს.

მიხვდება, ვისთან გვქონია საქმე, უხეშ რეგვენთან თუ კეთილ გულთან,
ქირურგის ხელი ფასდება მაშინ, როდესაც დანას მიიტანს წყლულთან,
ოცდაექვს წელში პარტიამ წყლული, რის გამო სტალინს არ ჰქონდა რული.
მოიკვეთა და ამოისუნთქა, ავი ზმანება იქცა წარსული,
ზინოვიევი და კამენევი პოლიტბიუროს ჩამოაშორეს,
ტროცკის კვალდაკვალ გააკრიტიკეს, სხვა ანგარიში არ გაუსწორეს.
გარიცხულები, შერისხულები, სახლში ეწვივნენ უფროს ძმას, კობას,
კონიაკს სვამდნენ, ბევრს იგონებდნენ, ლხინს მიემალნენ და არშიყობას.
სტალინმა დათმო, რაც კი შეიძლო, შემოირიგა გარიყულები,
რამდენი ტანჯვა გადახდა მათგანს, წარსულის ცოდვით გათბა გულები.
ახლა მე გეტყვით, უხეში, გულქვა, განა, შეძლებდა პატიებასა?
ცოდვის შენდობით ფასდება კაცი, კეთილი იხვეჭს მუდამ შვებას.
მე როგორც ვიცი, სტალინს შეეძლო ბევრის შეცდომა არ დაენახა,
ტროცკია მხოლოდ გამონაკლისი, ვერ შეეგუა, მიტომ ეძრახა,
მდიდარ ოჯახში დაბადებული, უმაღლესობის დიპლომით სავსე,
მედიდური და შემართებული, ტროცკი არ სცნობდა სტალინის მსგავსებს.
მაძღარ-მდიდარი, მშიერ-ღატაკი ვერ გახდებიან ერთგული ძმები,
საპირისპირო ჰქონდათ სვლა-გეზი, რამდენიც ვიცი დავემოწმები.
ტროცკი ებრძოდა პირადად სტალინს, ის კი ებრძოდა ტროცკის იდეებს,
საკუთარ თავში დარწმუნებულნი არ ჰგვანან სხვათა მოიმედეებს.
გაჭირვების ჟამს, როცა ბავშვები ნაშიმშილევი იხოცებოდნენ,
ტროცკი და მისი მეინახენი ამ გაჭირვებას სულაც ვერ გრძნობდნენ,
ტროცკი-სარდალი ფრონტიდან ფრონტზე დაცვით, ამალით მიმოდიოდა.
ბრონირებული მატარებლებით, სუფრის სიმცირეს არვინ ჩიოდა,
არ მოჰკლებია მას ფუფუნება, თავს ღმერთად თვლიდა, იყო თავნება,
არარაობად დანარჩენთ თვლიდა და უცხო იყო ყველა სხვა ცნება.
როცა □ოქტომბრის გაკვეთილები" შექმნა და სახე გამოაჩინა,
ქვეყანა მიხვდა, რევოლუციამ ვინ გააჩინა, რისთვის არჩინა,
სტალინს სხვა ჰქონდა ამქვეყნად ხვედრი, დამიგდე ყური, ნიკიტა, გვედრი.
გაჭირვებაში გაკაჟებული გახდა შემბრალე, ჭირის მიმხვედრი.
მას კრემლში მისცეს პატარა ბინა, მცირე ხელფასი ბედმა უჩინა,
დღე და ღამ შრომა, ცოლ-შვილის მოვლა, ზურგს უკან მკვდრები და მტრები წინა
და მაინც კვირას, თუ იყო მოცლა, ოჯახს ასეთი ბევრი სტუმარი:
ვოროშილოვი, მიქოიანი და ბუხარინი ერთგული მყარი,
ორჯონიკიძე და მოლოტოვი ხშირად ისედაც შემოივლიდნენ.

თუ ბუდიონი გასწევდა გარმონს, იმღერებდნენ და ხელებს გაშლიდნენ.
პატარა სახლში დიასახლისი შვილებთან ერთად სტუმრებს უვლიდა,
სტალინი მუდამ დაკავებული ცეკვა-სიმღერას არვის უშლიდა.

**ხრუშჩოვი**

მეც გამიგია, რასაც შენ ჰყვები, მაგრამ სხვის ნათქვამს ვერ დავჯერდები,
დიასახლისი და მოყვარული რად გაიმეტა, რადგან ვერ ვხვდები.
კაცს თუ არ უყვარს ცოლი და შვილი, ვერ არის თავად კაცად აღზრდილი,
მას კი არ ჰქონდა შვილებზე წვლილი, ცოლსაც ხვდებოდა სახეშეშლილი,
მის გამო ქალმა მოიკლა თავი, ან ეგებ მოკლა, ესეც არ ვიცი,
ბადიშები არ უნახავს თვალით, არა ჰყოლია გულს დასაფიცი,
მე ასე მესმის, შენი თუ არ გყავს, სხვისი როგორღა შეგიყვარდება?
ოჯახი არის დიდი ტაძარი, ზრუნვაში ჯავრიც გაგიქარვდება,
მან არ იცოდა ჩემი და სხვისი, საკუთარ შვილსაც ვერ უპატრონა,
პირმშო გასწირო სხვისი გულისთვის, სანაცვლო მითხარ, რა მოიქონა?
ამიტომ ჩემში ნდობას არ იწვევს, კაცი რომ კვდება, სახელიც იწევს,
რომ გავემიჯნო, ახლავე მიჯობს, ვინაც გაწირეს და დაამიწეს.

**ბერია**

კაზაკებს შორის ხშირად მსმენია, ოჯახში მეფობს ქალის გენია,
ზოგჯერ, თუ მოხვდა ქმარს ცოლის მუშტი, ესაც ღმერთისგან დანადგენია.
ამ მხრივ ყოველ ერს აქვს თავის წესი, წინაპრებისგან არის ნათესი,
ვის როგორ აწყობს და როგორ ესმის, ვისთვის რა არის სხვის უმჯობესი.
კავკასიელებს კი ასე სჯერა, ქალის იმედი და ბედისწერა
ტრიალებს მუდმივ კაცის გარშემო, ქალს დაიმონებს იმისი მზერა.
პატივისცემით თუ არის ქალი, თუ სხვა ვერ ნახე იმისი ცალი,
ნიშნავს, შენია ბედი-იღბალი, მოჰკიდე ხელი, დაადგი თვალი,
თუ ოჯახს შეჰქმნი, კერიას ათბობ, რაც შეგიძლია აძლევ და ართობ,
მხოლოდ შენია ძვირფასი განძი, სხვას არ დაუთმობ საუნჯის ფართობს,
ნადია, როგორც დიდი საუნჯე, სტალინმა ადრე გაითავისა,
უყვარდა ძალზე, ანებივრებდა, არ დაუზოგავს ვალი კაცისა.
შვილებთან ერთად სხვებს იფარავდა, ყველა პატარას ერთგვარად ზრდიდა,
კაცი იყო და ცოლს პასუხს სთხოვდა, მის ხასიათზე ვერ გაივლიდა,
გვაქვს მონაყოლი: კობა ბიძია, დეიდას ზოგჯერ რად უბრაზდები?
პასუხი მისი: მიხვდები მაშინ, დრო რომ გაივლის და გაიზრდები,

მე კატორღაში ვეწამე ბევრი, მიტომ მჭირდება წვნიანით კვება.
ცოლს დაეზაროს მისი კეთება, ოჯახი ასე ვერ გამთელდება.
თავის მხრივ ცოლი ბრაზობდა ხშირად, მე არ გიღირვარ უბრალო ჩირად,
შენ საქმე გიყვარს და არა ცოლი, ცოლად გამოგყევ ნეტა რა ჭირად?
სტალინს რომ ევლო ცოლის ნებაზე, რაც მან შეიძლო, იმდენს შეძლებდა?
ოჯახის გამო საქვეყნო საქმეს ყურადღებას ხომ ვერ მოაკლებდა?
ნიკიტა, სტალინს შენ შენით ზომავ, ის სხვა ცომისგან იყო ნაზელი.
დიდ გზას მისდევდა, ბევრი შეიძლო, რომ მოეხვეჭა დიდი სახელი,
შენ შეადარე სტალინთან ტროცკი, მდიდრულ ცხოვრებას იყო ჩვეული,
არ უყადრებდა თავს გარშემო მყოფთ, ფიქრობდა, იყო გამორჩეული.
ცოლს დაათრევდა მდიდრულ ნადიმზე, არ მოჰკლებიათ აგარაკები,
თავი მიაჩნდა მსოფლიოს ჭიპად, ტროცკი ტროცკისგან იყო ნაქები.
ნადიას სურდა მათსავით ყოფნა, გამობრწყინება და გაელვება,
მამაკაცთაგან ქათინაური, მეგობრებისგან მუდამ შექება,
შინაგან კონფლიქტს ვერ გადაურჩა, მეუღლეს ზოგჯერ ცუდად ეურჩა,
თავი გაწირა, ქმარიც გაწირა, იარა სტალინს აღარ მოურჩა,
ყველამ არ იცის, სტალინი ხშირად მისი საფლავის კარებთან იჯდა,
ვინ შეაფასოს, ცოლის სიკვდილი წლების სიცოცხლის ფასად დაუჯდა.
მიზანი მართავს საშუალებას, იმად არა ღირს შენი მიზანი,
ჭორები სთესო, სხვებს უკიჟინო: ამას რად ვშვრები — გამოიცანი.

**ხრუშჩოვი** —

მიგიხვდი ნათქვამს. უხეში იყო,ამ ხასიათით პირდაპირ სჭრიდა,
თავს არ ინდობდა, სხვას დაინდობდა? თუ ხელს უშლიდა, ცოლსაც დასჯიდა,
ყველას უგანა, ჩამოიშორა, რეპრესიების ძალით ტკბებოდა,
რაც უფრო მეტი დაეცემოდა, საკუთარ თვალშიც კი მაღლდებოდა.
ლენინი ჰყავდა ვით პატიმარი, მასთან ცოლსაც კი აღარ უშვებდა,
სხვას ვის შეეძლო ბელადის ნახვა, სტალინი ამას არ დაუშვებდა.
ლენინის მერე ტროცკის უყელა, არ ჰქონდათ კარგი ურთიერთობა,
გაახსენებდა მენშევიკობას, ეს იყო მისი დიდი გართობა,
ზინოვიევი და კამენევი ახლო მეგობრად სტალინსა სთვლიდნენ,
ტროცკის ებრძოდნენ და ბელადობდნენ, ათობით იმის შეცდომებს თვლიდნენ.
როცა სამივეს ბოლო მოუღო, რიკოვს მიადგა სტალინი მიჯრით,
მოხსნა, გათელა, ციხის საკანი აალებინა ვალად და იჯრით,
ოცდაცხრიდან კი ბუხარინს მისდგა, ვინც იყო შემწე და მეგობარი,

მოატეხინა ბოლოს კისერი, ფართედ გაუხსნა იმქვეყნის კარი.
ერთი რამ მესმის, გასაგებია, ყველა მათგანი სჭარბობდა კობას.
თანაც არ ჰქონდა ისეთი ცოდნა, რომ მოჰყოლოდა ლაპარაკობას.
ქართულ აქცენტით მოკლედ მოსჭრიდა, სიტყვას ბურთივით პირში ჩასჩრიდა,
არ მოჰყვებოდა გამოძიებას, განუკითხავად ერთგულებს სჯიდა.
ერთგულთა შორის კიროვი იყო, ორატორობით გამორჩეული,
მისი უნარი შეშურდა ბელადს, სახელიც იყოს მისი წყეული.
მოაკვლევინა მართალი კაცი, მოკლა და მწარედ მერე იყვირა,
მას მიაყოლა მილიონები, არ გაარჩია და შეიწირა,
მოსპო თუ ვინმემ რამე იცოდა, ვინაც გაეგო, ვისაც იცნობდა,
როცა სიკვდილით მრავალსა სჯიდა, თავს კარგად მხოლოდ მაშინა გრძნობდა.
მე ამას ვამბობ თქვენს გასაგონად, უნდა ვიცოდეთ, ვისთან ვიზარდეთ,
მის დამახილზე რა ამბავს ვტეხდით, რომ მომავალში არ გადავვარდეთ,
ის ტირანია, ქვეყნის ჯალათი და მასთან ერთად ჩვენაც ხომ ვცოდეთ,
განკითხვის დღეს ეს მოგვეკითხება, უნდა გავმაგრდეთ, უნდა ვიცოდეთ,
მაგრამ თუ ახლა ვიტყვით, რას ვფიქრობთ, წარსულის ცოდვებს გამოვისყიდით,
სამნი ვართ, სამმა გავინაწილოთ, ერთიმეორეს მოვეპყრათ რიდით.

**ბერია**

ახლა ვცნობილობ, ნამდვილ ნიკიტას, წინასწარ ბევრი გამოუთვლია,
მხოლოდ ესაა, მის შესრულებას დიდი ნაბიჯი მაინც უკლია,
საქმე ის არის, ჯერ არ მითქვია, ვერ მოვასწარი, რაც მთავარია,
არ ვიცი, ვინ რას იანგარიშებს, ვისთვის როგორი გასახარია,
დამაგვიანდა მე ამის გამო, ამიტომ თქვენთან ბოდიშს მოვიხდი.
გეტყვით, იცოდეთ, არ დამაყვედროთ, რაც უნდა გითხრათ, თქვენც ალბათ, მიხვდით,
დიახ, ახლახანს შემატყობინეს, დიდი ბელადი თავს უკეთა გრძნობს.
ისტომინას ქალს ელაპარაკა, გარშემო მყოფთაც უყურებს და სცნობს,
სასიხარულო არის ამბავი, გადაიტანა მკაცრი გამოცდა.
მალე კაბინეტს დაუბრუნდება, არ დაგვჭირდება დიდი ხნით მოცდა.

**(ხრუშჩოვს გული მისდის)**

**მალენკოვი**

ლავრენტი, ნუთუ არის მართალი, თუ გაახილა ბელადმა თვალი,
შენ ეს იცოდი და დაგვიმალე, ეშმაკობაში არა გყავს ცალი.

ალაპარაკე ამდენი ხანი, თუ რამ იცოდა, დაროშა მწარე,
მისი დღეები დათვლილი არის, ვეღარ შეაღებს ოჯახის კარებს.
რად მოაღორე ისეც უტვინო? თუ ცუდი საქმე გინდა, უჩინო,
შეგეძლო, სხვაფრივ გასწორებოდი, სულელს სულელი არ უკიჟინო.
მომეხმარე, რომ მოვიდეს გონზე, მერე განვსაზღვროთ, რითი ვუშველოთ,
სიცოცხლის დღენი გავუხანგრძლივოთ, მისი პროცესი დროში გავწელოთ.
მე მესმის შენი, ამ საიდუმლოს ბელადს უამბობ, როცა დრო მოვა.
რას მოიფიქრებს, როგორ გადაწყვეტს, წინასწარ ვიცი, რატომ გამოვა,
მაგრამ ჩვენც ხომ ვართ დამნაშავენი, ვერ მოვიზომეთ ადგილი ჩვენი,
მას ვათქმევინეთ ჩვენაც ხომ დაგვცდა დიდი ბელადის სიტყვა საწყენი,
ამიტომ უნდა გავიყოთ ცოდვა, შეთქმულებივით ერთად ვიაროთ,
ჩვენ თუ ჩავუშვებთ, ესაც ჩაგვიშვებს, ერთურთის ბედი გავიზიაროთ.

ბერია

გიორგი, მორჩი, რას მიედები, მეგობრები ვართ, მაინც ვერა მცნობ?
ნიკიტას მხოლოდ ცოტა ვეხუმრე, იუმორს, ნუთუ, საერთოდ ვერ გრძნობ?
შენ რა არ იცი? ბოლომდე მიმყავს, რისთვისაც ხელი მომიკიდია,
რაც ჩაიფიქრა, უკან მიიღო, ტირანი მიტომ ფეხზე მკიდია.
რა გააცოცხლებს, ხროტინებს კაცი, დღეს თუ არა ხვალ სულს განუტევებს,
ჩვენ უნდა ახლა აქ გადავწყვიტოთ, ვინ რას მოიგებს, ვის მიუტევებს,
ამას შეეშვი, გონს თავად მოვა, შეძლებს? შეტევით ჩვენზე წამოვა?
ჩვენ ორმა მიტომ უნდა განვსაზღვროთ, რა იქნება და როგორ გამოვა,
ეს მუდამ იყო ტროცკის შეგირდი, ბოლომდე მისი ერთგული რჩება,
ჩვენ შემოგვიძვრა, რადგანაც იცის, მისი ლუკმაა, რაც გადაგვრჩება.
ტროცკის მისტირის, იმისი დედაც... არ მოისვენა და ჩავამაღლე.
შემეძლო მაშინ ნიკიტას დასჯაც, შემეცოდა და ხელი არ ვახლე.
პოლიტიკაში სხვის შეცოდება დანაშაულის არის ტოლფასი,
მე ვაპატიე, ის კი დაგვინდობს? ეგებ, წამება შეგვხვდეს ათასი.
ტროცკი მსოფლიო რევოლუციას უტრიალებდა, თავს ევლებოდა,
ვერა ხვდებოდა, ვარშავის შემდეგ იდეა თავზე დაემხობოდა,
რომ ვერ დანერგეს რევოლუცია, უიმედობა ხალხს ერეოდა,
დამარცხება ან ახალი აზრი, რომელიც მასებს მოედებოდა,
ერთ ქვეყანაში სოციალიზმი გაიმარჯვებს და იქნება მყარად,
როგორც ავადმყოფს მხსნელი წამალი, მასებს მოედო გულს გასახარად.
სტალინი იყო მისი მედროშე, მას კამენევმა მაშინ უგანა,

ამ დიდ იდეას ერთად ქქქავდა ოპოზიცია წინა–უკანა.
სტალინს რა ექნა, ეთქვა მე ვცდები, სოციალიზმი არ გამოგვივა?
ოპოზიცია დაასამარა, მასები შეკრა და გაალღვივა
აზრი შეუწყო ლენინის სახელს და ვინც პირადად უგებდა მახეს.
რა შეუძლია ჭკუას და ნებას, საკუთარ ტყავზე ყველამა ნახეს.
ლენინს სხვა ჰქონდა, სხვაგვარ ნაფიქრი, როგორ ეძებნა შვების ნაპირი!
სტალინმა მასზე დაამყნო თვისი და მოსავალი დაკრიფა ხშირი,
ლენინს ეგონა, რომ მისი ნება, პარტიის ძალა, ორგანიზება
შეცვლიდა ქვეყნის შესაძლებლობას, ხოლო მასების ოცნება, გზნება
კულტურის დონეს მთლად გარდაქმნიდა. ეს ხალხოსნური მისი ფიქრები
ნეპმა წაიღო, დაასამარა, მე გულახდილი შენთან ვიქნები
და გეტყვი მოკლედ, არ მომკვდარიყო, ლენინს ფიასკო არ ასცდებოდა.
სტალინის გარდა, ვინ იყო ქვეყნად ახლის შენებას შეეცდებოდა?
კომუნებისა სჯეროდა ლენინს, შრომით არმიებს ტროცკი უმღერდა.
სტალინს სხვა ჰქონდა ჩაფიქრებული, მიტომ ორივეს ცერად უცქერდა.
ათ წელში შეძლო ქვეყნის გარდაქმნა, არ დაუნდია ქალაქ–სოფელი,
იძულებითი იყო ნაბიჯი, დამეთანხმება ჭკუათმყოფელი.
დიად გარდაქმნებს ბევრი მისდევდა, ბევრს არ ეჯერა და ბევრი მტრობდა.
იყო ტერორიც, დივერსიებიც, მილიონები ახალს არ სცნობდა.
სტალინის მტრები არ ისვენებდნენ, ერთს მოთოკავდა, ათს წინა სწევდნენ.
ისიც ფრთხილობდა, აკვირდებოდა, მათ ვინც ენდო, ვინაც არ ენდნენ.
ეს კიროვს სტირის. ჩემებრ ვინ იცის, კავკასიაში მან რა იღონა,
ვის შეეფიცა, ვინ დაიფიცა, ათასი ხრიკი გამოიგონა.
რას მიაღწიაქ, როგორი გზებით, ვინ დაამიწა, როგორი გზნებით.
თანამდებობებს როგორ იცვლიდა, ვისი დასტურით და ვისი ნებით.
თითქოს სტალინის იყო ერთგული, კობას მოსწონდა და ენდობოდა.
ძმას და მეგობარს უმახდა ხშირად, ერთად იღვწოდნენ, ხშირად ხვდებოდა,
მაგრამ გამოხდა რაღაცა ჟამი, კიროვს დიდების დაუდგა წამი,
ბელადად თავი წარმოიდგინა, არ შერხევია ფიქრით წამწამი.
ოცდათოთხმეტში შედგა ყრილობა, სადაც დაირღვა მისი ზრდილობა,
სტალინის შეცვლა მოიწადინა, დონკიხოტური შედგა გმირობა
ყრილობა შეხვდა მას, როგორც სტალინს, სტალინი ჩრდილის ჩრდილი ხდებოდა.
იგრძნო ხიფათი, შეიკრა მუშტად და ბევრმა იგრძნო, რაც მოხდებოდა.
შენ რას იზამდი? ჩემზე არ ვამბობ, არა მჩვევია მტრების დანდობა.
შედეგი იცი: თუ ქვებს მესვრიან, რა შუაშია დობა და ძმობა?

ხოდა, ყრილობის დელეგატები, ვინაც გაწირა, ვინაც უკანა.
ვინც მოშორება ინდომა მისი, ერთიმეორეს მიჰყვნენ უკანა..
ცკ–ს წევრების უმრავლესობამ იმათი ბედი გაიზიარა,
არავინ დარჩა ხელშეუხები ღალატის გზებით ვინაც იარა.
ლენინის გვერდით და იმის მერე, ბელადობანას იყო თამაში,
ყრილობის მერე დარჩა სტალინი, სიბრძნე და ნება სჭვივის ამაში.
კვლავ გიმეორებ, შენ რას იზამდი, ძლიერი სუსტებს დანებდებოდი?
ნებით დათმობდი, სუსტად ჩაგ თვლიდნენ, მოგ სპობდნენ, კი არ დაზავდებოდი.
სხვის ბედს თუ შენი ბედი არჩიე, ნიშნავს, რომ სიბრძნე გამოაჩინე.
ის, რაც შენია, შენ უნდა მართო, სხვისგან დარბევას გადაარჩინე.
თუკი სტალინიც მოიქცა ასე, გამოესარჩლა მშრომელთა მასებს,
არა ყოფილა სხვებივით მხდალი, ფუჭად მოსაქმე და მობაასე.
რაც შეეხება რუსულის ხედნას, ნიკიტას ნათქვამს მივაწერ ბოდვას,
თუ ვინმეს რამე მოეკითხება, არ უწუნებდა მას საგ ნის ცოდნას.
ის თავად სწერდა ყოველგვარ სიტყვას, გრძელი თუ მოკლე მოხსენებები,
სხვათა ნათქვამსაც ახალისებდა, ხშირადა ჰქონდა მითითებები.
მიხალკოვი ხომ არის მაგარი, ეკუთვნის ჰიმნი, რამ საოცარი,
სტალინმა მასშიც დაიდო წვლილი, ახლად გამართა ამ ლექსის ბწკარი.
□ვეფხისტყაოსნის“ მცირე ნაწილი რუსულად თარგმნა, დაიდო წვლილი,
რაც პოეტისთვის შრომაა მძიმე, ნეტარებაა მისთვის ვით ხილი.
ნაშრომი, რაც მის სახელს ატარებს, არ შეუქმნიათ სხვებს და პატარებს,
ვინც მას ამ ხაზით ეტყვის საყვედურს, ცხოვრება იქით არ გაახარებს.
სტალინი იყო დიდი გენია, მე ასე ვიცი, ასე მგონია,
წამიკითხია ბევრი ნაწერი, ბევრი ზეპირად გამიგონია.

**მალენკოვი—**

პავლოვიჩ, თუკი რამე ვიცოდი, სულ დავიბენი და ამერია,
შენ იცი, ვიყავ შემსრულებელი, სოლო რა არის არ მიმღერია.
მე ამ საქმეში შენ მოგდევ უკან, მე ძალას მმატებს შენი იმედი
შენა ხარ ჩვენი ძმობის მოთავე, საქმის დამწყები და შემოქმედი.
ის, რაც შენ შეძელ, სხვა რას შეძლებდა, ერთგულად მიტომ მოგყვები კვალში,
უშენოდ, აბა, რა შემიძლია, არ ჩავითვლები მე სათვალავში.
ამიტომ იყო, უეცრად შევცბი, ვიფიქრე, ნუთუ ეს მართლა მოხდა?
დიდმა ბელადმა წამოიხედა, რაც ვნახე მცირე ჟამი გამოხდა.
თან ის ვიფიქრე, ლავრენტიმ ნუთუ სადმე დაუშვა მცირე შეცდომა?

იქნებ, შეცვალა რამე გეგმაში, მისი სიკვდილი არ მოინდომა
განა, იმიტომ ეწვალა დიდხანს, ექიმთა ტვინი კედელს ახალა
თორმეტ საათით დაიგვიანა და მოუყვანა, როცა დაღალა,
ამიტომ იყო ვერ ნახეს კვალი, არ ტრიალებდა გარეშე სუნი.
გაკეთდა ყველა ისეთ დონეზე, ვერ მოუძებნა ვერავინ წუნი.
დიდი ხარ, დიდი, ჩემო ლავრენტი, რომ ვუკვირდები, კარგად იქცევი.
თუ არ წამოჰკარ გზაში ქვას ფეხი, თვალდახუჭულიც არ წაიქცევი,
შენ კი ასეთი გაქვს გემოვნება, ისეთი სწორი გათვლები იცი,
ბელადის შემდეგ შენ ხარ ბელადი, მიტომ მოგენდე, მოგეცი ფიცი,
სხვა ვინ შეძლებდა ქვეყნის გამღოლას, მოლოტოვი თუ მიქოიანი,
კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ჩვენში არაა შენებრ ჭკვიანი.
კარგად მენიშნა, ბელადს არ ლანძღავ და საყვედური არ დაგცდენია,
სუსტს თუ აჯობე და მოერიე, დიდი არაა შენი გენია.
მაგრამ თუ აქებ შენს წინამორბედს, იტყვი, მაღალი ჰქონდა გონება,
უბადლო იყო პოლიტიკოსი, მტრებსაც მართავდა იმისი ნება.
თუ იმას ვიტყვით, ჰიტლერი იყო უძლიერესი ქვეყნის მმართველი,
ევროპა შეძრა, აფრიკა შეძრა, ამერიკამდე უწვდინა ხელი.
ყველა მოღუნა, თვითონ ჩერჩილი, ჰიტლერის შიშით ხტოდა და ძრწოდა
და მხოლოდ სტალინს დაუდო ზავი და ვერც კი მიხვდა, რაში შესცოდა.
სტალინმა შეძლო ყველას შეკრება, დაიმეგობრა რუზველტ-ჩერჩილი.
დასავლეთი და აღმოსავლეთი მტრისგან გაწმინდა, დაიდო წვლილი.
რუკას შევხედოთ, საბჭოთა კავშირს, გადაჭიმულა სიდან სადამდე,
სხვას ვის შეეძლო ასე დიდებით, რომ ასულიყო ღმერთებთან ცამდე?
ყველას აჯობა, მაგრამ მობერდა, მწარე დროისგან იქნა ძლეული
შენ მას იცავდი უფრთხილდებოდი, იყავი ლანდად გადაქცეული.
არვის შეეძლო მასთან კონტაქტი, თუ შენი ნება არ იქნებოდა,
წაქცეულიც კი ვერავინ ნახა, რადგან იცოდა, რაც მოხდებოდა.
შენ ხარ ძლიერი, პოლიტბიურო თვალში შეგცქერის, რა გსურს — კითხულობს.
ირგვლივ მყოფთაგან ხმას ვერვინ იღებს, რამე გაბედოს, ვერვინ კისრულობს.
უშენოდ ვერვინ უშველის ბელადს, ხვალ ცას მისწვდება შენი დიდება,
დიდება მუდმივ წარმავალია, თუკი წარსული დაგავიწყდება.

**ბერია** —

მოვრჩეთ ლაპარაკს, რა საჭიროა, რაც კარგად ვიცით, იმისი განსჯა,
ტყუილად დროის უზომო ხარჯვა, საკუთარ თავის დაღლა და დასჯა,

თანაც შენ იცი, გარეთ გვიცდიან ცკ–ს, მთავრობის ყველა წევრები,
ნერვიულობენ, ჯგუფ–ჯგუფად დგანან უცნობი აზრით დანაწევრები.
ჯერ არ იციან, დღეს უნდა შევძლოთ, დავაკანონოთ, რაც გვიფიქრია,
თუ არ გადავდგით ჩვენ ეს ნაბიჯი, ფუჭ ლაპარაკში რა აზრი ერია?
ცკ–ს ბიუროს წევრებს მოვიხმობთ ჯერ მათ გავაცნოთ ჩვენი სურვილი,
შემდეგ ბიუროს სახელით ყველას ვანდოთ აზრების ოქროცურვილი.
მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობა მთელი სისრულით დაგეკისრება.
ხომ ცოცხალია ჯერაც ბელადი? ვუთხრათ ცოცხალმა ასე ინება.
მე დამამტკიცე შენს მოადგილედ, თუმცა დავრჩები თქვენში პირველი.
შენ საქმის თავი, მე კი კისერი, არ დაგჭირდება ჩემს იქით მცველი,
უშიშროების ყველა ფუნქციას ჩემ ხელში ვტოვებ და გიმეორებ,
მენდე ბოლომდე, მეც არ გაგწირავ, სხვას თუ იფიქრებ სულს აიმძორებ.
პარტიის საქმე ვანდოთ ნიკიტას, ვფიქრობ იქნება ჩვენი ერთგული,
ამრიგად, შევძლებთ, ჩვენ, სამეული, რომ დავაწესოთ კონტროლი სრული.
ძველ თანამებრძოლთ ჩვენ არ გავწირავთ, სამინისტროებს ჩამოვურიგებთ,
ერთსულოვნებას ხალხს დავანახებთ, მოქიშპეებთან ბრძოლას მოვიგებთ,
მცირე საქმესაც განსჯა სჭირდება, რომ საბოლოოდ დავკვალიანდეთ,
აუჩქარებლად უნდა ვიჩქაროდ, მიზანთან მისვლას არ დავგვიანდეთ.



*/1993 წლის 25 ნოემბერი/*

გასათვალისწინებელია:

1. დაიწერა ავადმოსაგონარი სხდომის ზეგავლენით, აჩქარებულად და გაუაზრებლად;

2. ჩაფიქრებული იყო თეთრი ლექსით, რითმა უნებლიედ შეერია;

3. მარცვალთა რაოდენობა გამომსვლელის პათოსის შესაბამისია.

***პარლამენტის სხდომათა დარბაზი. პატარა მაგიდასთან ჟამთა მროველი წერს.***

ოდეს ქართოსმა ხართ-ქართები მუნ აღაზევნა
ზღვის ხალხმა მაშინ მაღალ მთამდე ასწია მხრები
პალიმონები, ხალიბთ ვეტყვით, ოტებულთ მალით
მშობელ ევბეას ივიწყებენ და ახალ მხარეს
რკინით ჭედავენ და მდინარეს არქმევენ პალისს
მუშქი-მესხები შორ ლაშქრობებს აღარ ელტვიან
ეგროსს კოლხეთში გაუდგია მყარი ფესვები
ლეკოს-კავკასოს მათ იცავენ ზემო მხარისგან
და ცუდი ნახოს ვაის მდომმა ვაინახისგან
ეგეოსიდან კავკასამდე იბერთა მოდგმა
ღვთის კეთილ ნებით იყო უწინ გალაღებული
და ვინ იტყოდა, რა დაცემის დღე დაუდგება
რომ გმირობასთან ღალატია გაზავებული
ახლა მოვუხმობ წარსულთ სულებს ჩვენდა მსაჯულად
აზრთა მეფენი გაგვანდობენ მწარედ განსასჯელს
ერმა იცოდეს მეობაადის ავი და კარგი
ვინ ერისკაცობს, იმსახურებს ვინ მძიმე სასჯელს
საუკუნეთა სიმრავლეში იყო მრავალი
იყო დიდება, იყო ცრემლი და სისხლის ღვარი
ბერძენთ ლაშქრობა კოლხიდაში, ღალატი ქალის
ტროას დაცემა, მაკრონთა კვლა სულის საზარი
იბერიელთა გაბრწყინება აქაც, შორეთშიც

იქაც დაცემა, აქაც მოძმის მწარე ღალატი
ასირიელნი, ეგვიპტელნი, პართნი თუ სკვითნი
არას დასდევდნენ, მოიწევდნენ ველურ ტაატით
არაბთა ცეცხლი, თურქთა ცემა, მონღოლთა რისხვა
ახალი იყო ყოველივე, თუმც იყო ძველი
ბოლოს რუსული ბორკილები, რუსული სუსხი
რუსული ღამე ყინვიანი, და დილა ბნელი
დღეს აფხაზეთი სამშობლოსთვის დაკარგულია
ზენა სოფელი წარყვნილია და წარეცხილი
როდესაც ერი სირცხვილისთვის განწირულია
მოღალატეებს არ აწუხებთ გულის წუხილი
საქართველოში დასავლეთი მტრობს აღმოსავლეთს
ნაწილი მთელობს, მთელი კვდება ნაწილ-ნაწილად
ქვეყნად ღალატის ვარსკვლავია გაბრწყინებული
ბოროტი მამლობს და კეთილი ითქმენა მვირად
მოვუხმობ სულებს გარდასულებს, გვექნენ მოაზრედ
ვთხოვოთ ვისაც სწამს, ხელეწიფვის ქვეყნის საშველი
ერისთვის მებრძოლთ მივუთვალოთ წილი პატივი
მომავლისათვის გამოვიღოთ სულ ყველამ ხელი

*/შემოდიან ნოდარ სივსივაძე და გურამ პეტრიაშვილი მოაქვთ წიგნების გროვა/*

**ნოდარ სივსივაძე –**

ბატონო გურამ, პარლამენტი თქვენ რომ გინდოდათ
ამ დარბაზშია დღეს დღეობით დაბანდებული
მე ჩემი ვალი მოვიხადე დისიდენტური
ახლა დაგტოვებთ.

**გურამ პეტრიაშვილი –**

თუ ხარ მართლა ჩვენი ერთგული
ფეხი არ გასდგა. თქვენობითაც ნუღარ მომმართავ
ეს კალკა არი რუსულიდან შემოღებული
არ გვეკადრება დიდოსტატებს ქართული სიტყვის
რუსულ შაბლონნით ვმეტყველებდეთ. ამასთან თითქმის

უკვე დრო არის საიდუმლო გაგნდო დიდი
დღეს ამ დარბაზში ზვიადს ველით, დიად მესიას
და რომ ვინც ნახავს, მონუსხული შეიქმნას მისგან
თალისმანივით ჩემ წიგნს ვჩუქნი როგორც წესია.

**ნოდარ სივსივაძე –**

მადლობა უფალს, მის ხილვას თუ ვეღირსებოდი
რად არ მითხარი უფრო ადრე, რად მიწყრებოდი?

**გურამ პეტრიაშვილი –**

წყრომა კი არა სიფრთხილეა მეტად საჭირო
თანაც მოვლენა მესიისა მეხს უნდა ჰგავდეს
რომ მის ხილვისას მოღალატე ქვესკნელს ჩავარდეს
შენ კი ვით ერთგულს პრეზიდენტის, დიდყურა ვირო
გმართებს მუხლთმოყრა და სასწაულს როცა იხილავ
ჩემი წიგნისთვის დიდ მადლობას ზეცას შესწირავ.

**ნოდარ სივსივაძე –**

ო, ეს წიგნი, (იხუტებს) გენიოსის დასტური ლამალი
მარგალიტების წყაროა და ქვეყნის სინდისი
მეისტორიეს დავანახოთ, ის ხომ აქ არის (მიანიშნებს მროველზე)

**გურამ პეტრიაშვილი –**

მეისტორიე? დამცველია ხუნტეტთა მხარის?
მოღალატეა? თუ არ ესმის არე-მარეზე
ჩემი წიგნებით გავაშიშვლე ყველანი მზეზე
მას აუხსენი, ისტორია ქართველთა, ბრიყვო
ქვეყნად ზვიადის მოვლინების პირობა იყო
შენ გაიხსენე რა ბრძნულად თქვა წულეისკირმა:
ქართველი ერი სამარეში ჩაამხო ჭირმა
მაშინ ზვიადმა ღმერთის დარმა ჭირისუფალმა
წელში გამართა ერი ერთმა ლომმა და გმირმა.
ბევრჯერ შემშურდა იმ დროს ნოდარ წულეისკირის

იმისი აზრის სიკისკასის, იმისი სიბრძნის.

**ნოდარ სივსივაძე –**

მაგას რად ბრძანებთ სიტყვის მეფევ, თქვენი წიგნები
ბევრად მეტია ვიდრე აზრი ყველა პოეტის

**გურამ პეტრიაშვილი –**

არც მე უარვყოფ. ამიტომ მსურს შევარდნაძემაც
კარგად ისწავლოს. დაასწავლოს ხუნტის სხვა წევრებს
და როცა ყველა ჭკვათმყოფელი ამას მიაღწევს
მაშინ ცრუ სიბრძნის დავიწყებას აღარ ინაღვლებს.
ახლა ვიჩქაროთ მოღალატეს აჩვენე წიგნი
პრეზიდიუმშიც ყველა სკამზე შემოვდოთ უნდა
ვინძლო მესიის მოვლენამდე დახედონ მაინც
მე კი ამ ბებერს მინდა ვტყორცნო აზრების გუნდა
(მიმართავს ჟამთა მროველს)
მეისტორიევ, უურთა სმენა, ეს მოგიხდება.

**ჟამთა მროველი –**

გისმენ ბატონო

**გურამ პეტრიაშვილი –**

დიახ სმენა შენი მჭირდება
იქნებ როგორმე მიხვდე ჩემი ნათქვამის სიღრმეს
და ისტორიაც გადაწერო როგორც წერია
რათა მომავალ თაობათა სულიერ სიბრძნეს
არ გამოაკლდეს რაც ორ წიგნში დამიწერია.

**ჟამთა მროველი –**

გისმენ ბატონო

**გურამ პეტრიაშვილი –**

ვბრძანდები გურამ პეტრიაშვილი
დიდი მეზღაპრე, პოლიტიკოსი, პიიტიკოსი
თან მსახიობი, იდეოლოგი სწორუპოვარი

მაქვს პრეტენზია: არ დამეკარგოს აზრი უმირო
ისტორიაშიც არ გამოვჩნდე კაცი უპირო

**ნოდარ სივსივაძე –**

მართალსა ბრძანებს გურამ ბატონი
მის წიგნთან სხვების ორასი ტომი
აზრთა სიმრავლით, ტონთა სიმაღლით
ისეა როგორც ფაფასთან ღომი.

**ქამთა მროველი –**

და მაინც გისმენ, გისმენ ბატონო

**გურამ პეტრიაშვილი –**

ახლა მადროვე ერთგული ჩემო.
ეს კაცი თვითონ გამოვაშტერო
რომ როგორც ვეტყვი ისე იფიქროს
ისტორიაშიც ისე ჩაწეროს,
დიახ მეზღაპრე გახლავარ დიდი
ხანგრძლივად ვთხზავდი ბავშვათა გასართობს
და ასე ალბად გავაგრძელებდი, მაგრამ
დროება როს შეიცვალა
ბედმა მესიის ფრთის ქვეშ მიმაგდო და დამაცალა…
პირველი ვიყავ ვინც მეუფეს გუნდრუკს უკმევდა
მე მოვიგონე ზვიად, ზვიად, ზვიად, ზვიადი
ტაშის დამკვრელიც პირველი ვარ და მოყვირალიც.
და მაშინ მოხდა სამართალმა, რომ პური ჭამა
ბავშვთა ზღაპრები შორს გადავაგდე, მივხედე დიდებს.
პოლიტიკური ზღაპრის ძალა უფრო მეტია.
თუმცა ბევრისთვის კვლავ ვრჩებოდი როგორც ტეტია
ტელევიზია, პრესა მაინც მოვისაკლისე.
დაბერებულხარ და თუ იცი ამ სიტყვის ფასი?
ჩიტივით ვფრენდი, ზოგებს ვკბენდი, სხვას ვაცინებდი
მაგრამ იცოდე არც რა დავთმე, არც ვინ დავინდე
ბნელ ქვეყანაში ეკრანიდან სანთლებად ვენთე.
აწმყოს რას აქებ თუ წინაა ბედი მუხთალი.
ხუნტის წევრებმა გზა მომიჭრეს. ხალხი მურდალი

ჩვენ აგვიჯანყდა, არ დაგვასწრეს ახალ წელს ტკბილად.
თუ მოღალატეს ვერა ხედავ, იყავი ფრთხილად.
ეს შეგონება ბევრჯერ მითქვამს, მაგრამ მესია
არ მიჯერებდა და წააგო, როგორც წესია.
ახლა ეს მრჩება დღეს ზვიადის მოსვლის მომენტი
ჩემი წიგნებით ზე ავწიო. თან ხუნტის წევრებს
ხალხის გულისკენ გზა მოვუჭრა, დავტოვო კენტი.

**ჟამთა მროველი –**

ჩემო ბატონო, მსგავსი მისია
თქვენი გენიის შესატყვისია.
მე თუ ვერ შევძელ, სხვა იტყვის მართალს
მე კი ვწერ, როგორც ვხედავ სამართალს
ერთი შეხედეთ მშობელი ერი
ამბობთ, რომ იწვა ცივ სამარეში
ერთმა გმირმა კი გამოაცოცხლა
წარუმღვა კაცთა ლხენის მხარეში.
თუ ერი მოკვდა, გმირს ვინ შობავდა
მკვდრის ნაშიერი მკვდარი გმირია.
ერმა ვერ შეძლო, ერთმა ვით სძლია
მტრის მალოვნებაც გასაკვირია.

**გურამ პეტრიაშვილი —**

მე ხომ გითხარი ნოდარ ჩემო ერთგული ძმაო
მოღალატეა. მას არ ესმის მალა მესიის
რომ ყოფილიყო მეისტორიე ჩეჩენთ მხარეში
სულ სხვანაირად ჩაიხედავდა ჩვენს ანალებში

**ნოდარ სივსივაძე –**

გურამ ბატონო ნუ შერისხავ, ჟამთა მროველი
არ შეიძლება ქვეყნად იყოს თურმე ყოველი
თუმცა მეკრძალვის, გასულია საკმაო ხანი
რაც თავი მახსოვს მეც ვიბრძოდი ერის გულისთვის
და ჩემთან ერთად სხვებიც იყვნენ. თუნდაც ბექანი
მასთან ნოდარი წიკლაური, თმებჩახვეული.
ჩემი ანზორი ჯაფარიძე, ბევრი ეული

წინ გვუავდა კობა, ჩაგელიშვილს ვიცავდი მკერდით
გვიცავდა აზრით, თვით ზვიადი კრთოდა მის გვერდით.
ხოლო როდესაც სტამბა გვსურდა ჩუმად მოგვეწყო
უნივერსიტეტს ამოვართვით ასოთა წყება
როცა ვიფიქრეთ ქვეყნის ბედი კეთილად წყდება,
გაზეთს გამოვცემთ, ერს ვასწავლოთ მართალი ცნება.
მაშინ ზვიადმა გვიკიდეგანა, წაგგვარა ნება.
კობა წაიქცა. ჩვენ წადილი ქარს გავატანეთ
და იმას შემდეგ სათითაოდ ნდომა ვატარეთ
თუმც ვერ გავგმირეთ გასაგმირი, ხომ ვიერთგულეთ
სამარეშიაც არ ვაწვენდით მხურვალე გულებს.

**გურამ პეტრიაშვილი –**

რაებს მიჭქარავ, შენი ბრძოლა, თუნც სხვისი ომი
იყო პირობა, მოსულიყო ამ ქვეყნად ლომი.
რომ მილიონებს ანთებოდათ ნების სანთელი
ზვიადს ელოდა ისტორია და თუ ნათელი
აღმოსავლეთით აკიაფდა ტკბილად და ამოდ
ჩრდილოეთის მზე ჩაესვენა აქ სამუდამოდ.
ზვიადი იყო ამ მსოფლიოს მამა-მესია
მან იმპერია დაბლა დასცა. თავისუფლება
ყველგან ზვიადის ძალით გახდა ხალხების ნება.
დროს ნუ დავკარგავთ სჯობს წიგნები დავაწყოთ ყველგან
ერთგულ სამსახურს, დისიდენტურს მოველი შენგან.

***(გურამ პეტრიაშვილი და ნოდარ სივსივაძე სადეპუტატო მაგიდებზე აწყობენ წიგნებს, შემოდიან თ. კიტოვანი და თ. სიგუა მიდიან ჟამთა მროველთან).***

**თენგიზ სიგუა –**

მამავ მროველო გესალმებით ორი თენგიზი
კეთილად ყოფნას გისურვებთ და კეთილის წერას
მაგ ანალებში ასახული ჭეშმარიტება
ჩვენთა მომავალთ მისხალ-მისხალ გამოადგება
სწორედ ამიტომ მე და თენგიზს გვსურს გაგიმჟღავნოთ

რომ თქვენ განსაზღვროთ მოღალატე ვინ არის, რატომ!

**ჟამთა მროველი –**

მშვიდობა თქვენდა და მშვიდობა თქვენთა ჯალაბთა
ადრე მოსულხართ გულისყურით გისმინოთ რათა
მზად ვარ მსახურად. ისტორიამ უნდა იცოდეს
ვინ ვინ არის და ვინ ატარებს უმძიმეს ცოდვებს.

**თენგიზ კიტოვანი –**

მე ასე ვიცი, ასეცაა ჟამთა მროველო
რომ ცუდ დღეშია ჩვენთა გამო დღეს საქართველო
სადაც გახედავ ორპირობა გამეფებულა
როგორ გაუძლოს ამგვარ ღალატს კაცურმა გულმა.

**თენგიზ სიგუა –**

მე ვიტყვი სათქმელს

**თენგიზ კიტოვანი –**

ჯერ მე ვიტყვი უფრო პირდაპირ
შენ იცი ხოლმე იქით-აქეთ ქიცინით თხრობა
და თუ ვერ ვიტყვი შინაგანი სიმძიმის გამო
შენ დაუმატე ასეთია ჩვენი პირობა.

**თენგიზ სიგუა –**

დაიწყე მალე რომ მოვასწროთ ჩვენი სათქმელი

**თენგიზ კიტოვანი –**

ჩვენი ამბავი თუმც გრძელია მე ასე მოვჭრი
შევარდნაძესთან გვაქვს სადაო ბევრი და ბევრი.
ჯერ კიდევ როცა პრეზიდენტი პრეზიდენტობდა
ჩვენთა აზრების გარიგება ჩუმ-ჩუმად მოხდა
ამიტომ იყო პრემიერმა სთქვა გადადგომა
ზვიადის ნებას არც გვარდია აჰყვა ბოლომდე.
თუმცა შეგვეძლო შერიგება, მაგრამ ვიფიქრეთ
მოსახდენია? მოხდეს ის რაც მოსახდენია.
შემდგომ ზვიადის გაძევების გახსოვთ ყოველი

თქმა რაღად გინდა თავადა ხარ ჟამთა მროველი
მალაუფლება ჩვენი იყო ორი თენგიზის
ვისა სჭირდება მოზიარე თავზე თუ გიზის?
ჩვენ კი წავედით იმაზე რომ ჯაბა გავუშვით,
და ედუარდიც თავს დავისვით გიორგის ხატად.
პირობა იყო ოთხი კაცი გავმეფდებოდით
ტკბილი თანხმობით მოვუვლიდით ავსაც და კარგსაც.
მოხდა პირიქით. ახლადნათლულმა ძველ ნაციხარს
ჩაჰკიდა ხელი
ძმობის ღალატი ჩაიხვიეს. ღალატი ბნელი.
დაიახლოვეს ყველა ვისაც ჩვენ არ ვუყვარდით,
ჭრელი პეპელა ჭანტურია შეამკეს ვარდით,
იმისი ცოლი, მკითხაობის დიდი ოსტატი
პარლამენტისთვის გახადეს ხატი
ჩვენ აგვიმხედრეს ძმა და ხიზანი
და აისრულეს გულის მიზანი
როცა ჩაითქვეს ჩემი წასვლა–გადაყენება
გვარდიის ძალით მათი ქლეტა, მე რომ მენება
არ დარჩებოდა იმათგანი ცოცხალი არვინ
როგორიც მსურდა იმდაგვარი დამიდგა ჟამი
მაგრამ ღალატი გულში მე არ მიტარებია
ხალხიც დავინდე ნაწამები ბრძოლით და ნგრევით
მათ კი იხარეს ღალატის ლხენით.

**თენგიზ სიგუა –**

ჟამთა მროველო, მე შევმატებ სიცხადეს აზრებს
ახდილად ვიტყვი ისტორიამ უნდა იცოდეს.
კაცობას ვფიცავ სამშობლოს და ყოფილ პრეზიდენტს
ჩვენ ვუერთგულეთ. მაგრამ იმათ ჩვენთანა სცოდეს
როცა ზვიადმა ერთმეფობა დაისადგურა
აიშვა თავი რუსეთს ჩქმეტა დაუწყო კრძალვით.
მან სატრანსპორტო მიმოსვლისთვის გზები დატეკა
წერეთლის ჯიბრზე თვითბლოკადა მოგვიწყო მალვით
ჩვენ დაგვამშია, იმპერია აცინა დიდად
და საპასუხო მიწისძვრისას კვლავ მიეყუდა

მიხვდი, რომ კერპი გარეგ ნულად შეღებილია,
რომ მისი ნდობა შეცდომაა, ქვეყნის ღალატი
დაღუპვის გზაზე დამღუპველის ბრმმა ერთგულება
ჭკვიან წაახდენს, გამოაცლის საყრდენს ტაატით.
მხოლოდ ამიტომ აპრილს შემდეგ ვიცვალე აზრი
ბევრი ვიფიქრე ვისთვის უნდა გვენდო ქვეყანა.
აქ მყოფი ვინმეს აღმატება სხვას აკნინებდა
მტრად განაწყობდა, მის სიკარგეს არავინ სცნობდა.
არა და გვყავდა კაცი სხვასთან გამორჩეული
და ჩვენც ვიფიქრეთ იქნებოდა ჩვენი ერთგული
თურმე ღალატი ედო გულში სხვისა და სხვისა
კაცის და ქვეყნის ტკივილი ვერ გაითავისა.
ვინც შორეთიდან მოიყვანა ისიც გაწირა
და ქვეყანასაც სიკეთისკენ ვერ უმეგზურა.

**ქამთა მროველი –**

თქვენგან ნათქვამი, თუ სათქმელი იყო ყოველი
გეთქვათ პირადად. რად იფიქრეთ მოვა მროველი
სხვათა მონათხრობს დააჯამებს და ისტორიას
ისე მიაწვდის ვით უტყუარ ჭეშმარიტებას?

**თენგიზ სიგუა –**

ნუ, ნუ იფიქრებთ თითქოს მათთვის არა რა გვეთქვას
მაგრამ ყოველი ჰგავდა ცერცვის კედელზე შეყრას.
კარგად უწყიან გამარჯვებულს ვერავინ დასჯის
ხოლო შემდგომად ისტორიის თუ გახდა განსჯის
განა არ ვიცით? არ მართლდება ყველა მართალი
მირითადია საკვები მსაჯის.

**/შემოდიან ვახტანგ გოგუაძე, რუსუდან ბერიძე, ნოდარ ნათაძე, ირაკლი წერეთელი, ვაჟა ადამია, ირინა სარიშვილი, ჯაბა იოსელიანი, ლუიზა შაკიაშვილი და სხვ. გურამ პეტრიაშვილი და ნოდარ სივსივაძე უკანა რიგებში მოეფარებიან. იწყება სხდომა/ .**

**ვახტანგ გოგუაძე –**

დეპუტატებო, რეგლამენტი უნდა დავიცვათ
გუშინ რა იყო და იმის წინ ის სულ სხვა არის
დღეს გვევალება უფრო მეტად ვსდიოთ ეთიკას
პროფესორი კი ეთიკისა მე ვარ მაგარი
ჯერ შინაგანად მოვწესრიგდეთ. დავკვალიანდეთ
აქ საკითხები გველოდება ბევრი და ბევრი.
დიახ. იქ თითქოს ვითათბირეთ, ვიდავეთ კიდეც
რა კანონები მოგვეტანა თქვენს სამსჯავროზე.
ორი თვე არის პარლამენტი არ შეკრებილა
ასე ინებეთ ბატონებო ჩემი კარნახით.
ბევრი დაგროვდა სათათბირო, გადასაწყვეტი
გადახანებაც ვერ შევძელით ამაზე მეტი.
დღის წესრიგს გეტყვით, რად ხმაურობთ, ჰა მიკროფონი?
ორი და სამი, მერე შვიდი, შემდეგ კი ოთხი
მხოლოდ თითო წუთს გეხვეწებით. რიგს მე დავიცავ
აბა დავიწყოთ. მიკროფონთან ნოდარ ნათაძე
ხო მართლა ქვორუმს რაღა ვუყოთ? ჯერ ხომ
ქვორუმის, საკითხია თავისთავად აქ გასარკვევი.
ნოდარი იცდის ჩემი ხათრით. ჰა ვრთავ აპარატს
ვინ არის მომხრე აღინიშნოს დარბაზში მყოფად?
ტელევიზიის, გადაცემა საქვეყნო არის,
ტელევიზიას ვთხოვ აცნობოს ყველა დეპუტატს
დღეს სესიაზე უსათუოდ უნდა მობრძანდნენ.
დაველოდებით ერთ-ორ საათს თუმც მეჩქარება
დარბაზობა მაქვს დანიშნული უცხო ელჩისთვის.
დავთვალეთ? ქვორუმს ვინ აკლია ერთი მაცნობეთ
დერეფნებშიაც გადასძახეთ იქნებ მოვიდნენ
ჩვენ კი მანამდე დღის წესრიგი აქ განვიხილოთ
პირველ საკითხად ეთიკური ნორმების დაცვა
დიახ, დეპუტატს ევალება დაიცვას წესი.
მიკროფონები? შვიდი, ოთხი სამი და ორი
რიგს მე დავიცავ აბა სიტყვა ჟვანიას მივცეთ.
ნოდარ ნათაძე? ჩემი ხათრით ცოტას მოიცდის
ახლა კი ვუსმენთ სარიშვილის მოკლე გამოსვლას
შემდეგ ჟვანია, ადამია. ხო, ხო წერეთელს

ჩაურთეთ მალე მიკროფონი. ქვორუმი შედგა?
დეპუტატებო ეს ამბავი მომილოცია. ერთად ვილოცოთ
და ამაყად გვჭიროთ თავი
პირველ საკითხად ჩვენ ვიხილავთ ჩვენი ჯარების
მიერ ჭიორას გამარების პრინციპულ ამბავს
მეორე არის ჟენევაში კავსამის წასვლა
თუმცა კი არა. ვაადგილებ არ შევეშალოთ
მეორე არის შევარდნაძის პარტიის შექმნა
ვისა აქვს სიტყვა?

*/მიკროფონთან ჯანსუღ ჩარკვიანი/*

**ჯანსუღ ჩარკვიანი –**
დეპუტატებო, ბატონ სპიკერს მოვთხოვე სიტყვა
და უნდა გითხრათ ჩვენი დიდი გაჭირვების ჟამს

*/ზურაბ ჟვანია აწყვეტინებს/*

**ზურაბ ჟვანია –**
ბატონო ვახტანგ რიგს რად ვარღვევთ, რითი არ გვეყო
ნოდარ ნათაძეს ცდა რომ უწევს. მეც მაცდევინოთ?
ბოდიში დიდი, ჯერ მე ვიტყვი, ვარ მიკროფონთან.
მწვანეთ პარტიას პატივი აქვს ყველას აცნობოს.
ბატონ ჯანსუღსაც პატივსა ვცემ მე რა თქმა უნდა
მაგრამ მთავარი. უმთავრესი მაინც ის არის,
რომ მწვანეების შეერთებით თბილისელებთან
ჩვენ ხომ არ ვიცით შემდეგ მათგან ვინ გამწვანდება.
მთავარი არის შეერთება რომ უკვე მოხდა
მსოფლიომ იცის ბი-ბი-სი-მაც ასე გადმოსცა
შევქმენით ლიგა ან კავშირი მოქალაქეთა
ეს დავამთხვიეთ გიორგობას რადგან ედუარდს
ახალ სახელად გიორგობა უნებებია
მისთვის შევქმენით ეს პარტია. ამით დამთავრდა.
ზვიადიზმისგან საქართველოს ბოლო გამოხსნა.

მომილოცია ქვეყნისათვის. ყველას გილოცავთ
ახალ პარტიის სათავეში გიორგის ყოფნას.

*/შემოდის შევარდნაძე. იკავებს ადგილს პრეზიდიუმში. მას უმრავლესობის წარმომადგენლები ტაშით ხვდებიან/.*

**ედუარდ შევარდნაძე –**
ბოლოს მოხდა ის რაც დიდი ხნის წინ ჩავიფიქრე
წინასწარჭვრეტა ჩემი მუდამ გამართლებულა
ჟამთა მროველს ვთხოვ გაიხსენოს, თუმცა თქვენც იცით
ჩემი ნათქვამი ყველგან, მუდამ როგორ ამხდარა
გორბაჩოვს ვუთხარ დიქტატურა მოვა რუსეთში
მოგეხსენებათ ,,გკჩპ" რა ამბით მოხდა.
ელცინს ვუთხარი შენი მტრობა აქვს ხასბულატოვს
და ყველამ იცის ახლა სად ზის ხასბულატოვი
რეიგანს ვუთხარ დაეცემა ეს იმპერია
მისი ამბავი ოცი წლის წინ მე განვიზრახე
კოლს მე ვუთხარი მოგაშორებ ბერლინის კედელს
ტეტჩერს ვურჩიე არ დაეთმო სხვისთვის ფოლკლენდი
მიტერანს ვუთხარ ნუ იქნები მსოფლიო დენდი
სადამ ჰუსეინს მე ვურჩევდი თავშეკავებას
და ნამიბიას სამყაროში თუ რამ აბია
ჩემი კურთხევით გამოეყო მეზობლისაგან
ევროპის ქვეყნებს მე ვაჩუქე თავისუფლება
იაპონია და ჩინეთი მე გავაზავე.
ავღანეთიდან რუსის ჯარებს მე ვუკარ თავი.
თუ რამ ვერ შევძელ, თუ რამე ვჭამე
ნოდარ ნათაძე ნომერია ამ მხრივ პირველი
და წერეთელსაც ვერ მოვუარე.
მსოფლიოს მოვრჩი. და საქართველოც
დღეს–ხვალეობით სტაბილურია,
მაგრამ მე ვიცი მოვა განკითხვა
ვინ აურია, რა აურია
რა ხმები მოდის ოსების მხრიდან
აფხაზეთშიაც რა ხმაურია,

რად მიგრირებენ დღეს ქართველები
ქართველთ წალეკვა ვის რად სწყურია.
ვიცი იტყვიან თუ იფიქრებენ
ფიქრი უცილოდ საწყაურია.
და რომ არ დავრჩე მე მერე მარტო
მარტომ ვაკეთე, პასუხიც ვაგო?
მე მოგიწოდებთ პარლამენტარებს, ხალხს მოვუწოდებ
განაწამებსა
ახალ კავშირში შედით სასწრაფოდ. მოგიფონებენ
ფიქრის წამებსა
ჩემს მოხსენებას აქვს დიდი დასკვნა.
იმსჯელეთ, მაგრამ გაიზიარეთ:
როგორც ვიდოდით ზაფხულის შემდეგ
იმ გაჭირვებით კვლავაც იარეთ.
ამიკრძალია თქვენი სხდომები?
მერე და როგორ არ ვარ მართალი?
პრესას მოვუწყე მკაცრი ზომები?
მერე რა როგორ არ ვარ მართალი ?
ტელევიზიას ჩემი ახიკო განაგებს როგორც მომენებება
როგორ, მიგიშვათ, გალაპარაკოთ, ვინ რასა ფიქრობს, ვისაც რა ნებავს?
ისეც ამბობენ დიქტატურაა, ეკრანიდან რომ მსგავსი ითქმება
როგორ მოგითმენთ. ახლა უჩემოდ ისე იმსჯელეთ, როგორც იქნება.
დემოკრატია სწორედ ეს არის.
უმაღლესი მაქვს კიდევ მიზანი:
ხან გიორგი ვარ, ხან ედვარდი ვარ
როდის ვინა ვარ გამოიცანით.

**(დეპუტატთა ჯგუფი ერთხმად)**

მოგვილოცია, მოგვილოცია
ეს მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში
რასაც ინებებთ, როგორც ინებებთ
ის დაგვიჯდება ყოველთვის ჭკვაში

**ვახტანგ გოგუაძე –**

ვგრძნობ მხარდაჭერა ახალ პარტიას
და იმის ლიდერს ბატონ ედუარდს
მუდამ ექნება ერთსულოვანი.
ახლა კი გთხოვდით, რომ თითო-თითოდ
თქვენ გამოგეთქვათ რამ აზრის მგვანი

**(უმრავლესობის წარმომადგენელთა ჯგუფი)**

აბა, აბა ერთხმად:
გაუმარჯოს, გაუმარჯოს
ბატონ ედვარდს, გიორგი, ახალ პარტიას
ხმები ირევა.
არა, არ ვარგა, გავიმეოროთ
მხოლოდ ნუ ავრევთ, ვთქვათ გამარჯვებულს

**(იმეორებენ)**

გაუმარჯოს, გაუმარჯოს
გამარჯვებულს გაუმარჯოს.
კარგია.

**(ტრიბუნასთან მიდის ივლიანე ხაინდრავა)**

**ივლიანე ხაინდრავა –**

პოლიტიკაში ბევრი რამ ხდება
პ...პოლიტიკოსი პ...პოლიტიკოსობს
ზ...ზოგი პოეტიც პ...პოლიტიკოსობს
ზ...ზოგი მხატვარიც პ...პოლიტიკოსობს
ვერ გ...გამიგია მე მ...მხოლოდ ერთი.
უ...უმრავლესობა აქ რ...რატომ ანცობს.
საკითხები გვაქვს ს...საჭირბოროტო,
კ...კონსტიტუცია არა გვაქვს ხალხო.

სურთ გ...გვაგვზავნიან დეკრეტის გზაზე
ახალ კავშირებს გვახვევენ თავზე
ვკითხულობ ამით ვინ ისარგებლა
და ,,ესენგეში“ შ...შეგვლალეს ყველა
კანონი ჩვენი ხელისუფლების
დარღვეულია მეასე პუნქტში.
ახლა მოვითხოვ ჩვენი სხდომები
უწყვეტი იყოს, ნუ შეველევით.
დეკრეტში ყოფნა დიქტატორს ბადებს
და ხვალე სხვებსაც გაუხსნის მადებს.

**ვახტანგ გოგუაძე –**

გასაგებია, მაგრამ რეგლამენტს
გადაამეტეთ ჩვიდმეტი წამი
დღეს ჩვენს ქვეყანას მძიმე აქვს ჟამი
და მოვუსმინოთ ჩუმად ერთმანეთს.

*/მიკროფონთან მიდის ლუიზა შაკიაშვილი/*

**ლუიზა შაკიაშვილი –**

მაშ მე უსიტყვოდ ვით გითხრათ სიტყვა.
სიტყვაა ჩემი ძალა და ტყვია.
ხომ ვარ ლუიზა შაკიაშვილი
კახელი ქალი, უბრალო შვილი.
ბედმა უბედოდ სად არ მატარა
როცა გავთხოვდი ვიყავ პატარა.
და მერე ბრძოლა, კაცებთან ბრძოლა
და ბრძოლა გახდა ცხოვრების აზრი.
ჯერ კომუნისტებს ვეჭიდებოდი
ედუარდს ახსოვს წინ რომ ვუხტოდი.
მერე ვებრძოლე პარტიაშვილებს
ჯუმბერს და გივის, ვაჟას, ავთანდილს.
შემდეგ მოვიდა გამსახურდია
და ბრძოლის ველი არ დამიგდია.

მერე მოვიდნენ ჯაბას ქურდები
და აფრიალეს ტყვიის ქუდები.
თენგიზს ვებრძოდით, მეორე თენგიზს
სიტყვა წავართვით ხუთგზის და ექვსგზის

*/ისმის წამოძახილი:*
*პოილუიზა/*

**ლუიზა შაკიაშვილი –**
ჯაბავ ბატონო

**ჯაბა იოსელიანი –**
ჩემავ, ლუიზა შაკიაშვილო
ქიზიყის შვილო, შე ვირის შვილო
ქურდების ამბავს ბოზნი არჩევდნენ
სად გაგიგია, ვისი წესია?

**ლუიზა შაკიაშვილი —**
ჯაბავ ბატონო, ნუ შემომწყრები
უფლება მომეც, რომ გავათავო.
დიახ მოვიდა მერე გიორგი
ედუარდ მისი ფსევდონიმია.
ბრძოლას არ შევწყვეტ, ბრძოლას არ შევწყვეტ
მას დავამთავრებ რაც დამიწყია.
შევეკითხები ქვეყნის მეთაურს
და უცილობლად მოვითხოვ პასუხს
ჭიორას ხაზი რომ გაამაგრა
სოხუმს რა უყო, რა უყო გაგრას?
ცხინვალი დათმო, ზუგდიდს დაეცა
მოყვარეს სცემა მტერს კი გაექცა.
ახლა პარტია შექმნა ახალი
რათა ჩამიხშოს სიტყვა მართალი
დამშეულ ბალღებს პარტია უნდათ?
არ შეიძლება იტყუო მუდამ

მილიონ ლტოლვილს უნდა პარტია?
რა ლოგიკაა, ეს რა აზრია
*(მევარდნაძე გარბის დარბაზიდან)*
გამექცა. ხედავთ? ჩემი სიტყვები
მისდევს ვით ზურგში ნასროლი ქვები
***(ხმაური და არსეულობა მატულობს)***

**ვახტანგ გოგუაძე –**
მე ვარ სკიპერი. გთხოვთ მომისმინოთ
მე ხომ ეთიკის პროფესორი ვარ.
ყველა დაბრძანდეს. ახლა გაგაცნობთ
დღის წესრიგში გვაქვს დანავებული
პირველი არის ჩვენი ეთიკა. ეთიკის აზრი, მისი საგანი.
მე გადავდგები თუ არ მომისმენთ. მეორე
კითხვა ასეთი არის.
მოგეხსენებათ შავი ზღვის კავშირს
ჩვენი პირველის ედო იდეა.
ახლა გვაცნობეს ,,ეს-ენ-გეს'' კავშირს
ასევე თავი გამოუდვია
ელცინმა სთხოვა ბატონ ედვარდის
მისი მსოფლიო ავტორიტეტი
ცოტა ,,ეს-ენ-გეს'' შემოახმაროს
რათა დუდაევს დაესხას რეტი.
ჩვენი მიზანი აქ ნათელია
როცა ,,ეს-ენ-გე'' გაგვიღებს კარებს
როცა ედვარდი ჩვენი ბატონი
მსოფლიოს თვალწინ გაიელვარებს,
მაშინ არმინბას ბოლო დადგება,
არმინბა შურით დახუჭავს თვალებს.
მერე რა ვუყოთ დღეს თუ დავმარცხდით
პერსპექტივაა ჩვენთვის მთავარი
ამ დიად გზაზე ახალ პარტიას
ბევრი ექნება გზაგასაყარი.
სწორედ ამიტომ დღის წესრიგს შევცვლი

ვინაა მომხრე? ქვორუმი არის?
მიკროფონებთან მდგომებსაც სიტყვას
ახლავე მოგცემთ შვიდი და სამი.
არა მე შემცდა, გთხოვთ მომიტევოთ
ჯერ იყოს ორი, ოთხი და ხუთი
მახოვს ლესაში პატარას მითხრეს
წამები თვალე, იქნება წუთი.
მირკოფონები ხომ წესრიგშია?
მაშ ასე ვიწყებთ სამი და შვიდი
ნოდარ ნათაძეს ბოდიშს მოვუხდი
ჩემი ხათრისთვის დე იყოს მშვიდი

***(შემორბის შევარდნაძე, მიდის მიკროფონთა)***

**ედუარდ შევარდნაძე –**

ვით სახელმწიფოს მეთაური, მთავარსარდალი
რიგის გარეშე მოვითხოვ სიტყვას

***(სადეპუტატო უმრავლესობის წარმომადგენლები მღერიან.***
***გაუმარჯოს, გაუმარჯოს***
***ვინც მოვიდა-გაუმარჯოს)***

**ედუარდ შევარდნაძე –**

დემოკრატობით ცნობილი ვარ, ასეთად ვრჩები
დემოკრატობამ მაიძულა ფურთხის ალოკვა,
მაგრამ ახლა კი მე გაფრხილებთ, თუ მოგაფურთხეთ
აღარ აგლოკავთ. ასეთია დღეს ჩემი ნება.
ისე რასა ჰგავს ზოგიერთის მოქცევა წროულს?
გვარებს არ ვიტყვი, არ შევბღალავ დემოკრატიას
წლებით ვიფიქრე, როგორც იქნა რომ გადავწყვიტე
ახლა მიგინებთ ახალ პარტიას?
მერ რომ გიყურებთ თავხედობას ზღვარი არა აქვს
არც რამე გესმით, და არც იცით რაზე იდაოთ
მხოლოდ უვიცი შემილანძღავს ახალ იდეას.
მოდი შევთანხმდეთ: საგანგებო წესებს მივიღებთ

ეს ასე იყოს, რა მოხდა თუ აზრი არ აქვს.
სამაგიეროდ მეც დაგითმობთ, თქვენი სხომები
ხშირად ჩატარდეს, თუმცა გეტყვით რომ ტანში მზარავს
ახლა მივდივარ, უცხო ქვეყნის დელეგაცია
უნდა მივიღოთ შევარდნაძემ და ფაცაციამ.

*(გადის. იგივე გუნდი მღერის:*
*გაუმარჯოს, გაუმარჯოს*
*ვინც წავიდა გაუმარჯოს)*

**ქამთა მროველი –**

ღმერთო მაღალო, ანგელოზო ქვეყნის მფარველო
როგორ დავკნინდით, ვის ხელშია დღეს საქართველო
ნუთუ ამ ერში იშვა ხატად მცხეთის ვარსკვლავი
და ქართთა მოდგმამ სიტყვა სთქვა და საქმე გასჭედა.
არამცირედი ვაჟკაცობა და ერთგულება
ერისთავ ქუჯის ამშვენებდა მაშინდელ ზეცას
მათ შეაერთეს ფიქრი, ძალა და სიყვარული
და ესრე რიგად ერთიანი იქმნა მამული
თუნდაც ვახტანგი გორგასალი, ერის დიდება
ამ მცირე კაცებს სალოცავად რაზედ არა ჰყავთ?
დიდი დავითი აღმაშენი ან თამარი მანათობელი
ვით იქნებოდნენ დარბაზისა ამგვარის მწვევი?
განა დემეტრემ მისთვის დასდო თავი ზვარაკად
დიდბუნოვნება შეგვრჩენოდა მხოლოდ არაკად.
თუ ვინ უშველის ამ ქვეყანას გიორგის არის
არა უჯიშო, ის ბრწყინვალე გამჭედი რვალის
მე კი რა გზაა უნდა ჩუმად აღვწერდე ამბებს
და ვღებულობდე სირცხვილის ამბებს.

*/დარბაზში ხმაურია. ერთდროულად პრეზიდიუმის ორი საპირისპირო მხრიდან შემოდიან შევარდნაძე და ზვიადი. გურამ პეტრიაშვილი და ნოდარ სივსივაძე იროქებენ/*

**გურამ პეტრიაშვილი–**

მოდის მესია. მოდის მესია
აბა ჩვენც შევხვდეთ როგორც წესია
დღეს სხვა დღე არის სხვა შემართევა
ჩემი პროგნოზი ახლა მართლდება.
ფუ ეს პროგნოზი რუსული კალკა
როგორ მიფუჭებს სათქმელს ფიქრიანს
შეხედეთ ზვიადს, შეხედეთ ზვიადს
სიტყვის სანთელი მიტომ მინთია.
ახლა იწამეთ მალა მესიის
და ორი წიგნის მე რო გაჩუქეთ

*/საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატები მღერიან:*
*გაუმარჯოს, გაუმარჯოს,*
*ვინც მოვიდა გაუმარჯოს*
*გაოგნებულ დამსწრეთა ფონზე, ზვიადი ხელშემართული მხედრულით*
*მიდის მიკროფონთან/*

**ზვიად გამსახურდია–**

ვითარც პრეზიდენტს კანონიერს ასე მენება,
ვალდებულიც ვარ სიტყვა გითხრათ, ავი ვაგინო
ჩემი ცხოვრება წმინდანივით მიტარებია
სამშობლოსათვის ვეწამე და გავტანჯე მტერი.
და ისტორიის სამსჯავროზე უთვნელად ვიტყვი.
იყო დიდება და ღალატმა დასცა მიწამდე.
იყო ღალატი საშინელი. მოღალატენიც
აქვე არიან, თუმც მართალი ჰგონიათ თავი.
მათ წააქციეს, დააქციეს ჩვენი ქვეყანა
მარცვეს და დაწვეს, დააგუბეს სისხლის მორევი.
კრემლის კარნახით პრეზიდენტის დაამხეს ტახტი.
მიწა გაჰყიდეს, ლტოლვილებად აქციეს ხალხი.
მათხოვრობაა ქვეყანაში გამეფებული
ღალატი ხარობს, მოღალატე კაცივით დადის.
მოგევლინეთ რომ აღვიდგინოთ ადათი, წესი
გაგიმღოთ კუჭი, რაღა გინდათ სხვა უკეთესი.

თავისუფლება მოგიპოვეთ, თქვენ კი დაკარგეთ
მტერი ახარეთ და ღალატი შინა თუ გარეთ.
ახლა მოველი რომ დაგატყოთ მზრუნველი ხელი
ჩემს მოვლინებას უმადლოდეს ერი და ბერი.
კავკასიონი მოვიარე მტრის მიებაში
ვიყავ სომხეთში, ჩეჩნეთიდან ჩაველ სენაკში.
იქ რომ ვეძებდი აქ ყოფილან აი ამ სახლში.
ხუნტის ყველა წევრს მე აქ ვხედავ, მოხუნტულებსაც
მოღალატენი აქ ყოფილან და გამყიდველნი.
ჰკითხეთ კიტოვანს მე რომ არა რა იქნებოდა
იყო მხატვარი თუ ბიუსტზე უცდია ხელი?
ჰკითხეთ სიგუას ასე მაღლა ვინ აღაზევა
რომ მოკლე ხანში დაემართა მას თავბრუსხვევა.
ასათიანი, ადამია ხელს მილოკავდნენ
და ორპირულად მტრის ბანაკში უცებ გავარდნენ
პაატაშვილი, მელაშვილი თუ ურიდია
არც ნამუსია ამ მიწაზე აღარც რიდია?
მე რა ვიცოდი წერეთელი და ჭანტურია
ოცდაათ ვერცხლად გამეყიდნენ როგორც ურია.
მე რა მოვთხოვო პატიაშვილს, კაბინეტიდან
მშვიდად უმზერდა 9 აპრილის ხოცვას და ჟლეტას
დღეს კი აქ გიზით ხალხის რჩეულად
და მომღიმარი გასცქერის ზეცას.
მეზობლის ბიჭის პატივის აურაც
მას ეყოფოდა ცოდვად და ტვირთად
დღეს კი მიითვლის რომ დაამშვენებს
კოპორტას გმირთა.
აქ არის ჯაბაც, რატომ დუმს ღმერთი
ცა დედამიწას არ დაეცემა
ციხე, რომელიც მისთვის გავჭედე
დღეს პარლამენტში ექცა ედემად.
ვახოც აქაა ვითომ სპიკერი
ჯერ კომუნისტებს ეტმასნებოდა
პროფესორობას გამოჰკრა ხელი
რა იყო, რა ჰქნა, ან რა იცოდა.

ოთხმოცდაცხრაში მეფიცებოდა
ოთხმოცდათში დამიდო კვანტი,
მერე კონგრესი და ჭანტურია
შევარდნაძეა დღეს მისი ხატი
თვით შევარდნაძეც აქა ბრძანდება
ხუნტის მეთაურს სხვაგან რა უნდა
ჩემგან არეულს აწყობს ქვეყანას
ავტონომიებს სხვას აძლევს ხურდად.
ცოტას კეთება, ბევრის ლაქლაქი
დიდ პოლიტიკოსს სჩვევია მუდამ.
ერთ დარბაზშია ორი მეტოქე
აქეთ ბერიძე, იქით ჩხეიძე.
მერაბ კოსტავას სულს დავიფიცავ
ვინ უღალატა მას ვერ გავიგე.
ლანაც აქაა, ორჯონიკიძეც
სახლში ვინ დარჩა მველქალებიდან
უფერეს ვისგან მოგება ნახეს
ასე ამომვრნენ მველმანებიდან.
ჯანსუღს ვახლავარ დისიტენტობა
სიბერეში რომ ხელობად ექცა.
კეპკა ახურავს და სიტყვაც უჭრის
ქცევა აქვს ბოზის, მზერა აქვს მუშტრის
ყველას მოერგო, ყველას შემორჩა
სულით წამხდარი ივარგებს ხორცად?
სარიშვილს ვხედავ–დაქალებულა
ჩემზე წუევლა თუ ჩააბულბულა.
სჯობს ქმარს მიხედოს და გაარკვიოს
დემოკრატია, ლიბერალია.
ერთი დრო იყო მონარქისტობდა
იქნებ გადახრა ციხის ბრალია.
რომც დაინახოს ნოდარ ნათაძე
მიკროფონიდან შორი–შორს მდგარი
ვერ დაიჯერებს ერთგულის გული
და ვერ გაარკვევს მჭვრეტელის თვალი
აქ რომ ხალხს ვხედავ, მარჯანიშვილის

მენიშნა სიტყვა:

დღეს ქართველობა ერი არ არის
მასალა არის გამოსაძერწად.
და ამ საქმეში ღვთის შემწეობით
ვიყავი კენტად. დავრჩები კენტად.
რუსთ იმპერია მე დავანგრიე
მე ავაშენებ კავკასიის სახლს
მირს შევარდნაძე, ძველი სამყარო,
დიდება ზვიადს, დიდება ახალს,

**(აქა იქ ისმის: დიდება მესიას,**
**ზვიადი, ზვიადი.**
**დარბაზში ჩოჩქოლია).**

**ვახტანგ გოგუაძე –**

მე შესვენების გამოცხადება გადავიფიქრე
თუ ვარ სკიპერი უფლებაც მაქვს აზრები ვცვალო.
არ მოგახსენებთ იმ ქილიკზე რაც აქ ისმინეთ
არა მსურს ძველის გახსენებით ყველა დავღალო.
სანამ გეტყოდეთ რა დროს გაძლევთ შესასვენებლად
გაძლევთ თუ არა ესეც მნელი სათქმელი არი
მიკროფონებთან ხალხი რომ დგას რიგებში ჩუმად
რიღასთვის მორცხვობთ, რატომ არ რეკს განგაშის ზარი?
ჯერ მოვუსმინოთ დეპუტატებს და შევისვენოთ.
თუ შევისვენოთ, მერე იყოს ცხარე დებატი?
შესვენებაა, არა, არა ჩავრთავთ მიკროფონს.
რიგი ასეა ორი, ოთხი, ექვსი, რვა, ათი.
ნოდარ ნათაძეს ვეხვეწები კიდევ მაცალოს
მოუთმენლებს გეზად მივცემ სიტყვების კალოს.

**ჯანსუღ ჩარკვიანი –**

მოგახსენებდით ჩვენი დიდი გაჭირვების ჟამს
საჭირო არის მოქმედება შეერთებული
უნდა განივთდეს... **(აწყვეტინებენ)**

**ზურაბ ჟვანია –**

ვეთანხმები მე ბატონ ჯანსუღს
თუმცა დამასწრო და ლოზუნგი ისროლა ჩემი.
დღეს მოქმედება ერთობით გვაქვს ზე აწეული
და ვინმე მაინც თუ გაბედავს შეურაცხყოფას

**ჯანსუღ ჩარკვიანი –**
ბატონო ვახტანგ ამდენ ხანში ორიოდ სიტყვად
ჩემი სათქმელი, ხომ შემეძლო მეთქვა კაცურად.
და არ მაცლიან, ამიტომაც სხდომის პროცესში
რეპლიკის სახით კვლავ ვიყვირებ მე მამაცურად

**(პროტესტის ნიშნად სცილდება მიკროფონს).**

**ზურაბ ქვანია –**
ბატონ ჯანსუღმა არ მაცალა აზრების დაცლა
აღარც მე მინდა მოცლილივით კვლავაც ვიცადო.
თქვენ დაუკვირდით რა დიდებულ იდეას ვხედავ
ხოხ, ჩემს აზრებში რა მაგრაა განივთებული
დღეს პოლიტიკა არ გეგონოთ მართლის კეთება,
არც მართლის მთქმელი არის დიდი პოლიტიკოსი.
თქვენ დაუკვირდით მწვანეებზე რას არ ამბობენ.
რანაირად აქვთ მწვანეებზე ენა ნალესი.
მერე და რაა დაამტკიცეს ან და უარყვეს?
ვერც ვინ მიხვდება აქ სადაა თავი და ბოლო
რატომ? ცხოვრება ბატონებო პოლიტიკაა.
პოლიტიკაა-არც გაჩუმდე და არც იღონო
ჩვენი დევიზი მუდამ იყო კარგი ვაჭრობა.
რამდენჯერ გითხრათ მავარია რუსეთს ვევაჭროთ
დავსვათ საკითხი, ,,ეს-ენ-გეში‘‘ შემოვალ მიტომ
ან არ შემოვალ ამიტომ და ისევ ამიტომ
როცა შევხედავთ დარჩენილი სჭარბობს წანაგებს
ასეთ მოგებას იმედია ხალხი გაიგებს.

**გურამ მუჩაიძე –**
მივმართავ სპიკერს, თქვენც ასევე დეპუტატებო

ყველას ვინც ახლა პოლიტიკას გაუგო გემო.
როდის ვამბობდი, აქ რვეულში ჩანიშნულია
რომ საქართველო რუსეთისგან დანიშნულია
ნუღარ გადავდებთ საზეიმო შეკავშირებას,
ადრე ქორწილი ადრე მოგვცემს გაწოლის ნებას.
თქვენ კი ვაჭრობდით: მე ეს ვიცი, ის არ ვიცია
მოცემას რას სთხოვ, როცა ჯერ შენ არ მიგიცია.
ჩვენ დრო წავაგეთ, დრო დავკარგეთ უძვირფასესი
და ,,ესენგეში‘‘ შეგვაგდებენ წეწვით და კვნესით.
აგდებული გაქვთ სოც, სოციალ-დემოკრატია
რომელ პარტიას უკეთესი დააქვს მანტია.
ერდეპეს ხომ ვსჯობთ, სახელი გვაქვს ყველას საფერი
სომეხი არის, რუსია თუ ბერძენ-ოსია.
ახლა განსაჯეთ ამ პატარა ქვეყნის საჯიჯგ ნავს
ამ ყველა ერის ერდეპე თუ შემოესია.
ვერც არას ეტყვი აფსუას სურს თავის ერდეპე
სომეხსაც უნდა, ქურთიც მოგთხოვს, რუსიც-რუსია
თუ დემოკრატობ, დემოკრატი იყავ ბოლომდე
შენ გაქვს? მასაც სურს, რას უკრძალავ, რა ნამუსია.
აღარას ვიტყვი დანარჩენზე, რომელთა სახელს
თუ ვერ წარმოთქვამ, მაინც იტყვი ეს ლაფსუსია.
მაგრამ მთავარი? ხო რვეულში ჩანიშნულია
ჩვენი ქვეყანა რუსეთისგან დანიშნულია.
ჩვენი ხეხნია პარტიებიც მრავლად არიან
თქვენ თუ ფეხს ითრევთ, ჩვენ მალუმად მიგვეჩქარია.

**(გადის დარბაზიდან)**

**ზურაბ ქვანია –**

პროტესტს ვაცხადებ, საპროტესტო მაქვს მეტის-მეტი
აზრები მტაბჯავს თუ გიამბეთ, დაგესხმით რეტი.
მაგრამ რად გინდა, არ გაცლიან ჯანსუღ, გურამი
მაინც მოვითხოვ, გავამაგროთ უნდა სურამი
წარმოიდგინეთ აქეთ ოსი, იქით აფსუა
წინ სომხის ჯარით უკან ,,კრუნკის‘‘ ლოცვა-კურთხევით

ადიღ-ბალყართა-რუს-კაზაკთა მთელი არმია
ქვებით ჩაგვქოლენ, ჩაგვახრჩობენ მხოლოდ ფურთხებით.
რომ არ შეერთდეს მტრების ძალა იქით და აქეთ
სურამის ციხე გავამაგროთ და მტკვარზე დავსხდეთ.

**ვახტანგ გოგუაძე –**

ვუყაროთ კენჭი. ვინ არის მომხრე?
აზრის გამოთქმა? ჩავრთავთ მიკროფონს.
სამი და სამი. შვიდი და შვიდი.
ნოდარ ნათაძე დე იყოს მშვიდი.
ჯერ სარიშვილი და წერეთელი.
ვინ არის მომხრე? ასწიეთ ხელი.

**ნოდარ ნათაძე—**

გამსახურდიამ მე მიწოდა ერთხელ შეშლილი
მეცინებოდა, მამაჩემის ჭკვიანი შვილი
გენიოს მამის შერეკილმა როგორ შემამკო
დღეს რომ სესიას ვუკვირდები, თურმე შემაქო
რადგანაც ბრძნული ვერაფერი შევნიშნე თქვენში.
დეპუტატებო, თქვენ თუ ერის ხართ რჩეულები
მაშ რა ივარგებს გარეთ მეოფთა ხორცი თუ ძვლები?
პირველი რადაც აქ ვიდექი სწორედ ის არი
ერთად განვსაჯოთ ვინ გიჟია და ვინ მისანი.
ვინ გვიღალატა, შეგვარცხვინა-არის მეორე.
რა ვქნათ და როგორ ამის შემდეგ გავიმეორებ.
უნიკალური დღე დაგვიდგა, იქნებ დიადი
აქ ედუარდი ემობრძანდა, იქით ზვიადი.
დავდგეთ და ვნახოთ ქართველთ შორის ვინ არის ვინა
ვინ აგვაშენა, ვინ მამული დაგვაკარგინა
ბატონო ვახტანგ. სპიკერი ხარ სწორუპოვარი
რაც იყო დღემდე კარგად ვიცი თამაში არი.
შეგევედრებით, დავივიწყოთ ჭო, ჯო და ჯგირო
დღე დავაღამოთ, ღამე ვტეხოთ და ვითათბიროთ.
გარეთ გვისმენენ ათასები განაწამები
ნუ გვავიწყდება სისხლი ჩვენი და ხორცი ჩვენი.

ვაუწყოთ ყველას ვინ, როდის ან რითი გმირობდა
ხალხის სახელით, ხალხის თავზე მიმოდიოდა.
ჟამთა მროველი ყოველივეს აღნიშნავს ზუსტად
აღსარების ჟამს ჩვენი აზრიც შეიკვრის მუშტად.
და თუ შევძელით ერთად დგომა, ერთის კეთება.
ვიქცევით ძალად, ამაღლდება სულისკვეთება.

**ედუარდ შევარდნაძე –**

მე თანახმა ვარ თქვენ დაიწყეთ და მეც მოგყვებით

**ზვიად გამსახურდია –**

მეც ხომ ამისთვის ჩამოვედი გზარდებით ნებით.

**ვახტანგ გოგუაძე—**

თუ ასე არის პირადული განზე გადავდოთ
ჩვენი კაცობა და ღირსება სასწორზე დავდოთ.
პირუთვნელად ვთქვათ ვინ რა იცის, ვინ როგორ სჯიდეს
სიცრუის მდომელს დაე ღმერთი აქვე დასჯიდეს.
ჩვენ რომ ღალატი მოგვიმრავლდა სიმართლე არის
ვინ მართალია გავარკვიოთ ვინ არის არის მცდარი.
და რამდენადაც ჩვენი ბედი ასე გაიყო
ვინც ადრე იყო, აღარ იყო და ისევ იყო.
და რამდენადაც სათქმელია და თქმის მდომელი
უპრიანია რომ იტყოდეს ჟამთა მროველი.
თუ მართლა გვინდა გავაღვიძოთ კაცობის თესლი
გამომსველთათვის ეს იქნება ურყევი წესი
რაც წარსულია იმას იტყვის ჟამთა მროველი
თუ რამ აზრია აქ გამოვა შემდეგ ყოველი
გვეყოს სიდინჯე დარბაისლად ერთურთს ვუსმინოთ
ვსდიოთ ჭეშმარიტს, ნუ დავსახავთ წყალნარევს ღვინოდ
ჟამთა მროველო

**ჟამთა მროველი –**

მზად გახლავართ ბატონო ჩემო
აქვე მაქვს ჩვენი ისტორია ჟამით–ჟამამდე

და თუ მაცალეთ ყველას გეტყვით ჭეშმარიტებას
თუ რამ შევცოდე ვიზიარებ მართალ ბრალდებას
მცირე წარსული მოისმინეთ მე გთხოვთ მანამდე.
თავისუფლების წყურვილია ქვეყნად პირველი
ბრძოლაც იწყება დაპყრობის დღიდან
ერი რომელიც ეგუება მონობის უღელს
მალე გაქრება ერების გზიდან.
რუსულ ურდოთა წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლაც
დაიწყო არა გუშინ, წინ და ცოტა ხნით ადრე
ოცდაერთი წლის ოცდახუთი თებერვლის შემდეგ
ჩვენი ცხოვრება იმეორებს გმირობის კადრებს.
ასეთი იყო ოცდაორი წლის გამოსვლები,
და ოცდაოთხის ყველამ იცის არ ღირს კამათი
ბევრი დაეცა, თავს უშველა, მეტმა იუჩა
თუმც შინაგანად კვლავ რჩებოდა მებრძოლად, ურჩად
ვინ ახსნას შემდგომ ტროცკისტების მსხვერპლთა ნაწილი
არ იყო ქვეყნის გამოხსნისთვის თავშენაწირი

**(ხმები: ჭეშმარიტია, მართალია, სწორეა)**
**ახლა ისიც ვთქვათ რამდენი ჯგუფი**
**ჩავარდა მიზეზ-ღალატის გამო**

რამდენი იყო სწყუროდა ბრძოლა
თოფის წამალს ვერ გაუგო გემო.
ზოგ რამეს გეტყვით ამირეჯიბი
ზოგს დაეკითხეთ შოთა ჯიჯაძეს
ჩვენი საქმები ახალგაზრდები
ციხის კედლებთან რატომ მიჯაჭვეს
ბევრი, ვაი რომ ვეღარას იტყვის,
მაგრამ თუ ცოცხლობს ნათელი ხსოვნა
გამოიძიეთ, შუქი მოჰფინეთ
ვით შეიწირა მამულის ომმა.

**ჭაბუა ამირეჯიბი –**
ჰე ერის შვილნო, მამულის შვილნო

ჟამთა მროველი მართალს ღაღადებს
რამდენი იყო ჩვენზე მაღალი
და რამდენს კიდევ დედა დაბადებს
ამის აწონვა, ამის გაზომვა
არც შეიძლება, ნურც შეეცდებით
მხოლოდ ეცადეთ ცხოვრების დღენი
მამულს შესწიროთ ფიქრიან გზნებით
რაც თავი მახსოვს ეს ასე იყო
ახალგაზრდები თუ მოხუცები
ქალი თუ ბავშვი მიუსაფარი
მამულს ლოცავდნენ მუხლმოყრილები.
მე დიდ პატივს ვცემ ყველა მოლექსეს
ყველა შემოქმედს, ყველა ჭკვიანსა
მაგრამ ცდებოდა ვინც დიად ბრძოლას
მოკლე ცხოვრებით უთვლიდა ჟამსა.

**გურამ პეტრიაშვილი –**

მუდამ ვიცოდი სავსე ხარ ცოდვით
ქვეყნად დადიხარ ცოდვილიანი
სახელს ითვისებ, წიგნებს ითვისებ
ჰონორარს იღებ, ჯიბეებს ივსებ
ახლა გინდა სთქვა ჩვენი მესია
უარესებზე უარესია?
რომ ჩვენი ბრძოალ დაიწყო სხვამა
სხვამ ჩვენი გზები სისხლით დანამა
მაშინ ზვიადი სადღა ყოფილა
რად გაუთენდა სამადლო დილა.

**ჭაბუა ამირეჯიბი –**

შესდექ ბეჩავო, ნუთუ ვერა გრძნობ
ამ დიდ საქმეში ცუდად პაექრობ
ზვიადს რომ ამბობ, მხოლოდ ზვიადის
მაშინ ვიღამ სთქვას საქმენი მამის.
განა კოწია სულით ნათელი
რუსით არ იყო მწარედ ნაგვემი?

განა ცხოვრება მისი თუ სხვისა
არ იყო ბრძოლა ჩვენი დასხნისა?

**გურამ პეტრიაშვილი** —
არ გეთანხმები, ზვიადის დარი
ამ პლანეტაზე (ფუ ისევ კალკა) არავინ არი.

**ვახტანგ გოგუაძე** –
მე მოგიწოდებთ მეტი სიდინჯე
და მოთმინება გამოვიჩინოთ
კარგად ვისმინოთ, ნდომით გავსინჯოთ
იქნებ ქვეყანა გადავარჩინოთ.

**ჟამთა მროველი** –
ჯერ კიდევ ახსოვს უფროს თაობას
უმცროსსაც ალბათ გაეგონება
როგორ გაცუდდა ცხრა მარტის დილას
ასეულობით კაცის ცხოვრება.
აბა ვინ იტყვის, რომ იმ დღეებში
ქართველი მხოლოდ სტალინს სტიროდა
რომ ათასების ამოძახილში
ქართული აზრი არა სჭვიოდა.
საეჭვოდ მიჩანს ცალმხრივად ფიქრი
მაღლა ნათქვამი უფრო ცოდვაა
მხოლოდ ეროვნულს ნურვინ მიაწერს
და მის გარეშეც ნაღდი ბოდვაა.
მწარე დღეებში მილიონებმა
პირველად იგრძნეს მადლი ნებისა
ჩვენს მეობაზე ხმამაღლა ფიქრი
ხიბლი კაცური გაქანებისა.
მაგრამ იმ ხანად ბრძოლასთან ერთად
იყო ღალატი და შეგინება
და ვერ იხილა ხალხმა სინათლე
ვერ გაანივთა ხვალის შეგნება.

**ნოდარ ნათაძე –**

ბოდიშს მოვუხდი ყველას ვინც რომ ფიქრობს სხვაგვარად
მე კი ამგვარად მესახება პრობლემა ვრცელი
ეს იყო ბრძოლა ეროვნული, პოლიტიკური
მტერმა ამიტომ მოიქნია სიკვდილის ცელი.
ბევრი არ იყო იმ დროს ჩვენთვის გულზე დამწვარი
კომუნისტური ბევრს უქროდა ყურებში ქარი
ამიტომ იყო ზოგმა დაგმო, ბევრმა იყუჩა
მაგრამ ერი ხომ დაენახვა მსოფლიოს ურჩად.
ხრუშჩოვის ბრაზი მისთვისვეა სილაქის გაკვრა
და გასახლება ქართველების გაუხდა ნატვრად.
თხრობას გავუსწრებ, რაც მაშინ მან ვერ აღასრულა
ელცინმა შესძლო, აფხაზეთი წაგვართვა სრულად.

**ედუარდ შევარდნაძე –**

მოდით ნუ ვჩქარობთ განვიხილოთ საკითხი რიგით
ნურავის ვერჩით, მტრის მიმართაც კი ვიყოთ რიდით.
მარტის ამბები ჩვენ ბევრს გვახსოვს, მართალი არი
მწარე სადიზმი გენოციდის იყო სადარი.
მეისტორიე მართალია იყო ღალატი.
თვითგვემაც იყო რუსთა ქება ხელზე ტაატით.
ცხადია ისიც დიდი რღვევის ეს იყო მიძა
კაცთა გონებას საფიქრალიც მრავალი მისცა.

**ზვიად გამსახურდია –**

ხომ ვერ უარყოფთ ჩემი ბრძოლა ახალგაზრდული
ამ პროცესების გაგრძელება რომ იყო სრული.
რაც შევიძელი, როგორც შევძელ ისიც მეტია

**გურამ პეტრიაშვილი –**

ის შემართება რუსებისათვის იყო კეტია.

**ედუარდ შევარდნაძე –**

დაგეთანხმები გაბრძოლება ბევრსა ნიშნავდა

თუმც რუსეთისთვის იგი მხოლოდ ფხაჭუნსა გავდა
სამას მილიონს ერთის დარტყმა როგორ მოაკვდენს
მაგრამ თვით ფაქტი ხალხისათვის მუშაობდა ბევრს.
იქ ყველაფერი კარგი იყო და მისაღები
თუ არა თქვენი დაწერილი განცხადებები.

**ნოდარ ნათაძე –**

ჩვენ ყველას გვახსოვს თბილისელთა მითქმა და მოთქმა
კოწიას ბიჭი დაიჭირეს, ციხეში მოხვდა.
არა არ გატყდა, ამაყია მეტად ზვიადი
დიდებულ მწერალს მემკვიდრე ჰყავს მეტად დიადი.

**ვახტანგ გოგუაძე –**

თქვენი ნათქვამი ადასტურებს ჭეშმარიტებას
ბევრი უძღოდა შემდგომ ბრძოლას და წარმატებას.
მრავალს მოისმენს მოსაუბრე იქით თუ აქით
ზოგი ჩურჩულებს შეშინებით, სხვა ყვება ბაქით.
ერთი კაცია აქ მოსული მორცხვად და რიდით
თქვენც მოუსმინეთ სასაუბრო არა აქვს მშვიდი.
გაბედე ვეჟო

**ნოდარ სივსივაძე –**

სათქმელი მაქვს მრავალზე ბევრი
მიმუხთლა ბედმა დატრიალდა ჩემს თავზე კევრი.
უნივერისტეტს მივაშურე მაშინ ნდობილად
იქ ვმუშაობდი საქმე მიჩანდა მე აწყობილად.
ბევრსა ვფიქრობდით, ვკამათობდით ახალგაზრდები.
რად არ ვმრავლდებით, მამულისთვის რაზე არ ვწუდებით.
და წელი-წელად მაშინ კობა ჩაგელიშვილმა
მიწის არშიენი თვის გარშემო შემოიკრიბა.
ბევრი დავგეგმეთ, ბევრი ვცადეთ, ცოტა შევძელით
ქვეყნის სახურავს ვერ ვუწვდინეთ ფეხმოკლე ძელი.
შორით ვიცნობდით მაშინ ზვიად გამსახურდიას,
არ იკარებდა ჩვენისთანას მდაბალს და ბიას.
ზვიადთან კავშირს ალი-ფაშა მაშინ ევედრა

კიდევაც შემლო, ორჯერ იყო გრძელი შეხვედრა.
ბოლოს გადაწყდა, რადგან ,,სუკში“ არის ნამყოფი
ვიფრთხილოდ მეტად, არ მივიღოთ ცუდი ნაყოფი.
ჩვენ რომ არ ვენდეთ, არც ის გვენდო უფრორე მეტად
წინ ვერ წავედით, ის ჩვენ უკან დაგვირჩა კენტად
კობა დაეცა, საქმე წახდა და უნდობლობამ
შავი ჭირივით სათითაოდ დაგვრია ხელი.
დათითოებულს მარცხის მეტი რა მოგველოდა
სწორედ ამიტომ უნაყოფობა დამყვება ლოდად.
თემო სტეპანოვ-მამალაძეს ახსოვს ეგება
ოცი წლის წინად რა მოგვივ ო თხოვნის შედეგ ად.
ვახოც ჩვენია გოგუაძე, ემახსოვრება
ბედკრულ ჭიდილში ვით გ ავლიე ჩემი ცხოვრება.
მიუხედავად იმედების გ აცრუებისა
მაინც მჯერა საყვარელი პრეზიდენტისა

**(ყვირის: ზვიადი, ზვიადი. და რომ არავინ აჰყვება ხელჩაქნეული გადის).**

**ვახტანგ გოგუაძე –**

დეპუტატებო სხვა საკითხევბს ნუ გ ადავყვებით
თავს გ ავუჭირვოთ, ეგებ ბოლოს ვისუნთქოთ ლხენით.
ბატონ ნოდარი სივსივაძის ვიცით ამბავი
რაც მუნწად გ ითხრათ ვრცელია და საბაძი არი
მაგრამ გ ზას გ ავყვეთ, ნუ ვიმრუდებთ მძიმედ სავალსა
აქ ბევრს გ ავიგ ებთ სასიკეთოს სხვასა და სხვასა.

**ქამთა მროველი –**

რაიც გ ითხარით, თქვენაც ბრძანეთ, რომ გ ვეთქვა გ სურდათ
თვითოეულ ქართველს ფიქრის ფიქრად დასდევდა მუდამ
ამ შემართების, ღვიძილის და ბრძოლის გ არეშე
არ იქნებოდა მონის ღვედის ფონება, შვება
და თუ გ ამოჩნდა სხვათა ფონზე ზვიადის ნება
არა იმიტომ რომ განგ ებამ ინება ა სე.
როცა მიიღეთ ხელნაწერი ჟურნალი მისი
ბევრმა თუ იგ რძნო ოქროსია ესე საწმისი.

ვინ გაარჩია შინაარსი, ფორმა და ენა
მაგრამ როდესაც გაზეთებმა დაუწყეს დევნა.
ბევრი დაფიქრდა, ბევრს მოუნდა ზვიადის ხვევნა.

**ედუარდ შევარდნაძე –**
ნუ ჩამომართმევთ მიხვედრაში, ნურცა რას ავად
ეს იქნებოდა წინასწარვე ვიცოდი თავად
არ ეთქვა გაზეთს, რა უნდოდათ ზვიადს და მერაბს
ვერ შეკმაზავდნენ დისიდენტურ ჭორების მერანს.
მათი ჟურნალი ვინ სად ნახა, როდის იკითხა
მაგრამ როდესაც გაჩნდა ხალხში მოთქმა და მითქმა
ორნივ გმირებად გარდაიქმნენ თვალში მრავალთა
და მიივიწყეს ამდაგვარის მომყვანი წამთა.
იქნებ განზრახვით მათ მივეცი გზა-ასპარეზი
იქნებ უჩუმრად შევურჩიე ბედის სვლა-გეზი
სამოცდათვრამეტს, თოთხმეტ აპრილს, თუ კი რამ მოხდა
იქნებ მე მქონდა ჩანაფიქრი, ნაგები კოხტად.
პოლიტიკაში პოლიტიკა შედეგით ფასობს
და არა იმით ვინ იჩემებს და მიკისკასობს.
ვინ იტყვის ქვეყნად როდის, რატომ, სად, ვის რა სტანჯავს
რა უდევს გულში, გულის გარეთ თავს რაზე ხარჯავს.
მე უკვე მაშინ დავისახე დიდი მიზანი
და მივსდევ საქმეს წლიდან-წლამდე, მისხალ-მისხალი.

**ზვიად გამსახურდია –**
რაც თავი მახსოვს თან მაქებენ, თან მაგინებენ
მახეს მიგებენ, მაღმერთებენ და უკან მსდევენ
აი ამ წუთშიც მოვისმინეთ გინებაც, ქებაც
ისე გამოდის ჭკუა არ მიჭრის, არა მაქვს ნება.
თუ მართალს ვიტყვით ნაკლებ მახსოვს რაც ითქვა მველი
უნივერსიტეტს გავეცალე დიდი ხანია
თუ იყო ჯგუფი რომელთანაც კავშირი მქონდა
თან არცა მქონდა, არ მახსოვდეს განა ბრალია?
მე ნოდარს ვიცნობ სივსივაძეს, კიდევ ორ თუ სამს
ჯერ კიდევ მამის სანახავად რომ მოდიოდნენ

სამშობლოს ბედზე, აწმყოზე თუ უბედობაზე
მეც ვკამათობდი, აზრს ვამბობდი როცა მხვდებოდნენ.
სულაც არ მიკვირს, მე თუ ფრთხილად ვეკიდებოდი
ზოგჯერ აქეთაც ფრთხილობდნენ და არ მენდობოდნენ.
რაც შეეხება ,,ოქროს საწმისს", გადასახლებას
სხვა საკითხია არა ერთხელ ადრეც ავხსენი
სხვისსა თუ სხვაა ჩემს ქცევაზე აზრი და დასკვნა,
სხვას რატომ უკვირს იგ ივეზე მე მქონდეს ჩემი.
მითქვამს მრავალჯერ, დისიდენტურ ჯგუფის ხელმძღვანელს
ფაშიზმთან ბრძოლას აქ არავინ მაპატიებდა
მათი ლიდერი შევარდნაძეც ელოდა მომენტს
მზე მისთვის მუდამ სულ სხვა მხრიდან ამოდიოდა.
ჩემზე ამბობენ მოღალატე ზვიადი არის
აგენტი იყო მოქმედებდა ,,სუკის" ზვარაკად.
ვინც უნდა ვიყო ვაღვიძებდი ქართველების გულს
და ამისათვის არ ვიღებდი გასამრჯელოდ ფულს
ჩვენი ერისთვის რომელი სჯობს განსაჯეთ კარგად:
ის პატრიოტი, ბორკილს რომ სჭედს, ჩუმად ქირქილებს,
თუ მოღალატე ერისთვის რომ გასწირავს შვილებს.

**ნოდარ ნათაძე –**

ვიტყვი ორ სიტყვას, მსაჯულობას სულ არ ვჩემულობ
რაც თავი მახსოვს მე სიმართლეს მუდამ ვერთგულობ
დღევანდელ მარცხის მოღალატეს ვეძებთ წარსულში
გვინდა წიალი? ჩავიხედოთ სუყველამ გულში.
ყოველ ქმედებას უკუ კუკუს მახილით დასდევს
და ვერ ასწონი იმ მომენტში გულებში ნადებს.
შევარდნაძე ხომ მეფე იყო ცამეტი წელი
ცამეტი რიცხვი თარსია და თარსად იარა.
ღალატთან ერთად მასაც ჰქონდა სიკეთის ხელი
სტკიოდა კიდეც ქართველობის გულის იარა.
ზვიადიც იყო, ვთქვათ და იყო აგენტი ,,სუკის"
მაგრამ ქართველებს აღვიძებდა ის ჩვენში თუკი
განა ივარგებს? იმ წარსულზე დღეს ვუკიჟინოთ
ღვინო დავღვაროთ, წყალნარევი მოვნათლოთ ღვინოდ.

**ედუარდ შევარდნაძე –**

არ გეთანხმებით, ჩვენ თუ გვინდა ვიყოთ მართალი
სიტყვის კონასაც დასჭირდება თავის სარქალი.
ჩვენ ორმა ადრე სხვადასხვა გზით ვაქეთ ბრეჟნევი
მე ზევით ვიყავ, მან იარა ხევი და ხევი
იმისთვის რათა მოსულიყო დღევანდელი დღე
ჩრდილოეთიდან მოვიყვანე მაშინ თქვენთვის მზე
ის კი საქვეყნოდ გამოვიდა მონანიებით
არა იმიტომ აშინებდნენ ფეთქად ტყვიებით.
კულტურის სახლის დირექტორად კოჩუბეიში
იყო იმიტომ არ ჰქონოდა არავის შიში.
როცა კოსტავა დილეგებში სიკვდილს ებრძოდა
ეს ნადირობდა, ქეიფობდა, სტეპებში ჰქროდა.
თუ ასე ყოფნა ციხეა და ტანჯვა–წამება
იქ მაშინ მწყემსებს არა ჰქონიათ სულ გახარება.

**ზვიად გამსახურდია –**

მონანიება ჩემი, იცის ზოგმა და ზოგმა
არა იმისთვის მოხდა თავი რომ დამეზოგა
მერაბთან იყო ეს ნაბიჯი შეთანხმებული

**ვაჟა ადამია –**

სცრუობ შენ

**რუსუდან ბერიძე –**

და სცრუობს ეგ გული

**ზვიად გამსახურდია –**

წერილი მქონდა მოწერილი მერაბისაგან

**ვაჟა ადამია –**

მისგანვე ვიცი შენით იყო იგი შეთხზული
მოდი შეეშვი, რაც შესცოდე კაცსა და ღმერთსაც
ესე იკმარე და წმინდანებს ცოდვილიანი
ნუ შეეხები ჭუჭყიანი ხელით და ენით.

**ვახტანგ გოგუაძე –**

კინკლაობას ნუ გადავყვებით ვიაროთ რწმენით
არ უცხოვრია არც ერთ ჩვენგანს ამ ქვეყნად ლხენით.

**ჟამთა მროველი –**

მართალს რომ ვაქებთ მართალია, ისიც სწორეა
დაივიწყება რაც ჭორია და მედროვეა
იმ მნელბედობას ბევრმა ბევრი სთქვა და გასჭედა
გვეადვილება დღეს ამიტომ გადასახედად.
ზვიადზე ნაკლებ ჩხეიძის ქალს უცემდა გული?
ვიქტორ რცხილაძე რატომაა მივიწყებული?
და სარიშვილი ციდა გოგო ბევრს რომ ხტებოდა
განა იცოდა გამარჯვებას შეესწრებოდა?
ან და ნაკლები მალის იყო მუხრანის ლექსი?
რამდენი იყო წინათ მთქმელი, უკანაც მთესი.
კაკო ბაქრაძე ბევრს ნიმუშად არ ეხატება
ისედაც ხდება, რომ დედის წინ კვიცი ახტება.

**ზვიად გამსახურდია –**

არავინ დაობს ბაქრაძემაც ბევრი იდავა
მაგრამ ის ბრძოლა, რომელიც მე გადავიტანე
სხვა შემართებას, სხვა სიკაჟეს ხომ მოითხოვდა
დამეთანხმებით, სიმართლეზე გიჟი იდავებს.

**ჟამთა მროველი –**

ყველას ნათქვამი ადასტურებს თავდაპირველ აზრს
ქართველთა ბრძოლა თავიდანვე იყო უწყვეტი
მეორე ის, რომ იგი ზვიადს არ დაუწყია
და მრავალთაა იგი საქმით გადასაწყვეტი.
ქართველთა ბრძოლის ამ გრძელ მანძილს სხვას რას
უწოდებთ
თუ არა ხალხის საღი აზრის მომწიფებასა.
წვეთი და წვეთი დღეებით და წლებით ნაჟური
დაგუბებული ხომ შექმნის ზღვასა.
და თუ დღე დადგა ნისლიანი და ქარიანი

ის გამოიწვევს მძიმე ღელვასა.
ოთხმოცდა რვაში, ზაფხულს შემდეგ ჩვენი ცხოვრება
ხომ იყო აზრის, სიტყვის, საქმის აბობოქრება.

**ირინა სარიშვილი –**
მეოსტორიე მართალს ბრძანებს ზაფხულის მერე
რაც ჩვენ ვიდავეთ, ვიმიტინგეთ, ვიმღერეთ, ვწერეთ
ასჯერ ასწონის რაც მანამდე გვიხმაურია
ჩვენი ქმედება ჩვენი დროის საწყაურია.
ვინ დაივიწყებს ნოემბერში დიდ შიმშილობას.
რა თავდადება შემლებია ახალ თაობას
ერდეპეს ხალხი ჭანტურიას მოთავეობით,
სისხლს გაიღებდა სამშობლოსთვის წვეთი-წვეთობით
და უდიდესი არც ვინ იყო მაშინ ლიდერი
მას უჯერებდა, შესცქეროდა ერი თუ ბერი

**ჟამთა მროველი –**
ხანგრძლივი იყო დრო და ჟამი გამოღვიძების,
ერის დარაზმვა სწრაფად მოხდა, დროების კვალად.
სამყაროს ნებით, რუსთა მეფე დაიჩოქებდა
არ გვექნებოდა მისი რისხვა შიშად და ზარად
რომ არ ვიცოდით, არ გვქონია ჩვენ სამზადისი
მოიმედენი მიტომ დავრჩით სხვისი და სხვისი.
ვინც იმიტინგა ლიდერებად მოვნათლეთ ჩქარად
ას ოც პარტიად დავიყავით მტრის გასახარად.
ჭკვიანთ ვაგინეთ, რომ ჩვენს გვერდით არ უნდათ დგომა
რომ მამა-პაპა დედლები გვყავს, არ უნდათ ომი
და იმათ გვერდით ყოფნა თუკი ვინმემ ინდომა
მამარდაშვილის საზღაურით ვუწყეთ საზომი

**ზვიად გამსახურდია –**
სწორედ ის ითქვა, ჩემდა წილად რაც უნდა მეთქვა
თქვენც ვერ უარყოფთ ექსტრემისტის სახელი მერქვა
და მერე რატომ? იმიტომ, რომ ახალგაზრდების,

სულსწრაფი ხალხის ავყევი ნებას.
ლიდერთა შორის, ბალღებს შორის, ასაკით წუნარი
ოთხნი ვიყავით მე, მერაბი, კაკო, ნოდარი.
დანარჩენები ვერ გავიგე ვინ აურია
ჟორჟოლიანმა, წერეთელმა თუ ჭანტურიამ
ქადაგიშვილი, მთავრიშვილი, მრავალი შვილი
ქადაგებდა და არ იცოდა რასა მთავრობდა
ცოდნა თუ აკლდათ ენა ჰქონდათ, მკლავი ერჩოდათ
და სამიტინგო ასპარეზი იყო გაშლილი.
ბევრს არ მოვყვები ,,საქართველო ქართველებისთვის‘‘
ასეთი იყო ერდეპე-ლთა აზრი და ნება
მით აამხედრეს ჩვენში ყველა არაქართველი
და არ ეღირსა ამ ქვეყანას კვლავ დაწუნარება.
ლოზუნგი კი მე მომეწერა, ვიყავი თავი.
ყველა გამოძვრა, ჩემი დარჩა სახელი ავი.

**ირინა სარიშვილი –**

არ არის სწორი, ვიმეორებ არ არის სწორი
ზვიადი დარჩა როგორც იყო მყრალი და მძორი.
ამ ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ერთმა მან აურია
რა შუაშია სარიშვილი და ჭანტურია.
მართალი არის ეს ლოზუნგი ლოზუნგად გვქონდა
მაგრამ რა ვუყოთ გვჭირდებოდა, თანაც გვაწყობდა.
ახლა ხომ არ გვაქვს, ამოვიღეთ ის პროგრამიდან
პოლიტიკაა ეს ცხოვრება ყოველი მხრიდან.
სხვა რაიმეშიც ბრალსა გვდებენ, აზრი ვიცვალეთ
ვაგინებდით და ვადიდებდით იქით და აქეთ.
უზნეობაა ვერ გაიგოთ, რომ პოლიტიკა
გვიკარნახებდა ასე გვექნა აქაც და იქაც.

**ვახტანგ გოგუაძე –**

მე გთხოვთ ზნეობას ხელაღებით ნუ შეეხებით
რასაც თქვენ აქებთ, სხვა შეამკობს ლანძღვა-გინებით.

**ირაკლი წერეთელი –**

ამ საკითხებზე მოკლე4დ აზსრი გაოწოთ უნდა:
არ ჩამეთვალოს ან მშიშრობად, ნაკლად ან ხურდად
ის რასაც ვიტყვი მოგონილი არ არის ჩემგან
გაზეთებშიაც წაიკითხავთ, გაიგებთ ბევრგან
რომ საქართველო სტრატეგებით არის ღარიბი
არვის ეგონოს თავის ქება ჩემგან ირიბი
მაგრამ რაც შევძელ მე აპრილის დიად დღეებში
დიდებულ ადგილს დაიმკვიდრებს ისტორიაში.

**ზვიად გამსახურდია –**

ნუ აჩქარდები, თავს ნუ იქებ ირაკლი ჩემო
გსურს პირველობა სხვას წაჰგვარო და დაიჩემო
ნათლია-ნათლულს რომ არ დაგვრჩეს სიტყვები როშვად
ვისი სახელი ეკერა ხალხს ლოცვად და დროშად.
ვინც უნდა იყო როცა ზეობ, როცა იქადი
უნდა გახსოვდეს ხალხის კერპი იყო ზვიადი.

**ჯანსუღ ჩარკვიანი –**

ამ საკითხებზე მოკლე აზრი გაუწყოთ უნდა

**ვაჟა ადამია –**

ერთნი უბედობენ, მეორენი ისმენენ მუდამ
მოგვეცით ნება, ეგებ სიტყვა გითხრათ ფხიანი
ოთხმოცდაცხრა წლის ცხრა აპრილის დღე სისხლიანი
არ იქნებოდა სატირალი და სევდიანი
ერთი გვყოლოდა ლიდერებში ოდნავ ჭკვიანი
ამ მანძილიდან იმ დღეების განსჯა იოლობს
მაგრამ ვინც იცის რა გადაგვხდა, ვინც მუდამ ომობს
დამეთანხმება ლიდერების იყო ღალატი
ქვეშჩაფსმულებმა დაიკიდეს იუდას ხატი.
გადაიხვეწნენ, დაიმალნენ ხალხი დატოვეს
დღეს კი გმირობენ, გმირობაზე დაწერენ ტომებს.

**ჯანსუღ ჩარკიანი –**

ამ საკითხებზე მოკლედ უნდა გაუწყოთ აზრი

**ჯუმბერ პატიაშვილი –**

თუ მომისმენენ ჩემი სიტყვა იქნება მკაცრი.
მე ხალხი მენდო, პარლამენტში გზა დამილოცა
მსგავსი ამბავი მაშინაც ვთქვი მირჩევდნენ როცა
წინა ნოემბრის მოვლენების მე ვიყავ გმირი
კრემლის მესვეურთ აშინებდათ ასეთი მგზავრი
ჩუმად შეიკრეს ჩემმა მტრებმა ბედი და პირი
ცხრა აპრილს ჩემზე ამდაგვარად იყარეს ჯავრი.
თუ გეეჭვებათ წაიკითხეთ გაზეთი ჩემი
ყველა ფაქტია აღწერილი თვალში საცემი
დღეს როცა ბევრი მიუიჟინებს მოღალატობას
ჩერქეზიაც ხომ ჩემთან იყო, ვფიცავარ ძმობას.
როცა ფანჯრიდან ქვეყნის ორი ხელისუფალი
ხოცვას ვუცქერდით, ვფიცავ ცრემლით ამევსო თვალი
რომ გავსულიყავ ხალხთან მაშინ, რას შევმატებდი
მე მხოლოდ ჩემ თავს, უფრორე სკამს გავიმეტებდი
სკამი ხომ მაინც მივატოვე, გიჩვენეთ ამით
რომ თქვენთანა ვარ, იმ მომენტში მოვტყუვდი წამით
მე და ქვეყანამ აპრილამდე ერთად ვიარეთ
კრემლს ვაშინებდი, ხალხს ვიცავდი შინა თუ გარეთ
ღალატი რომ არ მოძრაობის ლიდერებისა
ზვიადის, გიას, ირაკლის და სხვისა და სხვისა
იმ შებრძოლებას ერთი ძალით ჩვენ მოვიგებდით
მტერს გადავძლევდით ნებისყოფით, გმირული ნებით
ღალატი ერთი და მუხთლობა მეორე მხრიდან
მეც და ჩემ ხალხსაც ყველამ იცის მწირად დაგვიჯდა.
ხალხს მე ვუყვარვარ, გულის გულში ვუზივარ ხატად
არჩევნების დროს ეს აშკარად გამოიხატა.

**ჯანსუღ ჩარკვიანი –**

ბოლოს და ბოლოს აზრი უნდა გაუწყოთ მოკლედ

**ედუარდ შევარდნაძე –**

მძიმე დღეებში მე ვიყავი იმედის მეკვლედ
ზეპირად იცით ნაბიჯ-ნაბიჯ როგორ ვიარე
როგორ ვუხვევდი დაჭრილ ქალაქს სისხლის იარებს.
როგორ სიმართლით მოვაგვარე საკითხი ბევრი
როგორ ავლაგმე იმპერიის სამხედრო კევრი.
ერთნი მოვხსენი, მეორეთა ღვედებს ვუფონე
გამოვაჩინე ჰუმანიზმი, ჭკუა და ღონე
კერძო მიებას გზა მივეცი, საქმე ყოველი
სამიოდ დღეში დავალაგე პარტიულ ხელით.
დღეს ყველა გმირობს, გაიძახის მე ვიცი, ვიცი
საზიანოა მშობლის წინ თუ ახტება კვიცი.
იმ დროს ზოგებმა თავის შავი საქმე აკეთა
გმირობაც იყო და ღალატიც იქით-აქეთა.
დღეს თუ დავიწყებთ ვინ-ვინ იყო, ვინ როგორც არი
სათქმელი გვრჩება მაშინ მთავარი.

**ჯანსუღ ჩარკვიანი –**

და რომ არ დაგვრჩეს აზრი უნდა გაუწყოთ ერთი

**ქამთა მროველი –**

ერთ-ურთის კილვას დაეხსენით იწამეთ ღმერთი
რაც შეიძელით მეტოქეთა გულის ჯინაზე
ნათლად გამოჩნდა შეიკრიბეთ როცა ბინაზე.
გაწერელიამ ბევრი გითხრათ, კიდევაც გაქოთ
მაგრამ თქვენს შორის ტრიალებდა ღალატის მაქო.

**ზვიად გამსახურდია –**

მე ის შეკრება მოვიწვიე რათა მენახა
ჩემს შესაჭმელად რომელ აგენტს უღია ხახა
მე მაშინაც ვთქვი, ახლაც ვიტყვი ,,სუკის‘‘ აგენტი
ლიდერებს შორის ტრიალებდა, თან არა ერთი.
დღეს რაღა გითხრათ, მეც აგენტი მიწოდეს ვითომ
გროზნო-სენაკში დამათრევდნენ ყურმოჭრილს მიტომ.
ეს მაშინ, როცა ,,სუკის‘‘ შეფი დაგვისვეს მეფედ

შევარდნაძე ხომ მეტი იყო, მიდი შეჭყეფე.
პარტიაშვილებს არა ვცემდი არასდროს პატივს
არც გუმბარიძე მეხატა გულს, არ ვიტყვი ქადილს
ბევრი ვიბრძოლე, უფლებები წავგლიჯე ძალით
დიქტატორს მიტომ მიწოდებდა შიშით და მალვით.

**ჯანსუღ ჩარკვიანი –**

მე ამ საკითზეც აზრი მქონდა, უნდა მეუწყა

ედუარდ შევარდნაძე –

არვის ეგონოს რასაც ვიტყვი ტრაბახი ურცხვად.
დაფიქრდით ერთი, გონს მოეგეთ, დინჯად იარეთ
დღეს ჩვენი დროშა გაეროში თუკი ფრიალებს
ვისი წვლილია, ვისი მადლი და გაქანება
ვინ ვინ დასაჯა, აღაზევა, მადლი ინება.
იმპერიისთვის თქვენი ბრძოლა არ იყო ჩქმეტაც
და თუ განგებამ თქვენთვის რამე გამოიმეტა
იმ განგებას ხომ მე ვმართავდი ოსტატის ხელით
დიდი მისია შევასრულე რთული და მნელი
ვინ აგენტია, ვინ დამსმენი და ვინ მშიშარა
ყველა ვიცი და ყველას გიცნობთ იყავით წყნარად.
ზედმეტი სიტყვა ზედმეტ ლუკმას გადაკარგინებს
არ აწყენინებ, მაშინ არც შენ არ გაწყენინებს.

**ჯანსუღ ჩარკვიანი –**

დიახ, მინდოდა ერთი სიტყვით ისეთი მეთქვა
მმას შესწეოდა, მტერი გულზე რომ გაეხეთქა.
ჩვენს გარშემოც ხომ მრავლადაა მელა და ტურა
პოლიტიკური მიტომ არ გვაქვს დიდი კულტურა.
და რომ ქიშპობამ არ წაგვლეკოს არ ინადიმოს
ვფიქრობ გვჭირდება ჩვენ დიქტატურა.
არა დესპოტი, ნუ გაიგებთ მცდარად და ავად
ბატონ ედუარდს ეს მივანდოთ გაარკვევს თავად.
პირადი შტატი ჩინოვნიკთა მან შექმნა უკვე
ერთმმართველობას ქართველთ შორის ვინ შემლებს უკეთ.

მსოფლიო იცნობს, ყველა მისი მეგობარია
მსოფლიოს ბედი გარკვეულად ხომ აბარია
და ჩვენი თავიც მას მივანდოთ უპრიანია.

**ედუარდ შევარდნაძე –**

დიქტატორობას მე ნუ მომთხოვთ, ამას ვერ შევძლებ
ჰუმანისტი ვარ, ვდემოკრატობ ამიტომ ყველგან
თუ დიქტატურა მოგენატრათ ზვიადს მიმართეთ.
რაც ჩაგისხია ის იდავე თავღია ქვევრთან.
ვატყობ არ იცით ამ ორ აზრში რა სხვაობაა
ხალხს რაღა ვკითხო, რა იციან ფართო მასებმა
დემოკრატობა დიქტატურას ხომ გამორიცხავს
დემოკრატობა არ იციან დიქტატორებმა
ის, რომ პალამენტს ბევრჯერ გვერდი მე ავუარე,
რაც მჭირდებოდა ცალკე შევქმენ ბევრი სტრუტურა
რომ საგანგებო უფლებები გამოვითხოვე
და პარლამენტი, ლაფში ჩავსვი მე ოსტატურად.
ერთმართველობაც კი არ ნიშნავს დიქტატორობას
მე კი ვერ ვმართავ ამ ქვეყანას თავად უყურებთ
ამიტომ ვამბობ ჩვენ ვართ მხოლოდ საწყის ეტაპზე
დემორკატია ჭეშმარიტი თავს გაგიხურებთ.

**ზვიად გამსახურდია –**

ვხედავ ალავერდს გადმოდიან თან უბოდიშოდ
შევარდნაძეებს თუ ვგონივარ ვინმე უჯიშო
გვარიშვილობა ჩემი მალზე შორიდან მოდის
არ ვარ ნაშობი კომუნისტურ-ფაშისტურ მოდის.
დემოკრატობა ანარქიას არ ეტოლება
და არცა იმას ერუდ შეგაქონ მუნჯმა მონებმა.
დემოკრატობა ქურდებისთვის, ყაჩაღებისთვის,-
დიქტატურაა საწყალ ხალხისთვის.
ქურდთა დაჭერა, ყაჩაღთ მოთოკვა
ხალხის ლხენაა, სიმღერა, როკვა.
მე კი წესრიგის მომხრე ვარ და პატიოსნების
და ვერც ავიტან მე ჟრიამულს სულელურ ხმების.

კომუნისტები მე დიქტატორს მიწოდებთ ვიდრე
არ დაივიწყოთ რა წესრიგი მე დავამკვიდრე.
ვინ იყო მაშინ, როცა ოვსთა აიშვეს თავი,
ბორჩალო ხალხმა შაჰ-აბასის დროშა აღმართა
როცა სომხებმა საჯავახოს შეუნთეს ცეცხლი,
ყვარლის გარშემო ბრძოლა იყო ლეკებ-ავართა.
იქნებ წესრიგი არ გვაწყობდა არც ერთ კუთხეში
ახლა რომა ხართ, ასე უნდა მჯდარიყავთ მთხლეში?

**ვახტანგ გოგუაძე –**

გთხოვთ ყურადღებას, ჩვენ წესრიგი აქაც გვჭირდება
ქვეყნის გამართვა პარლამენტით თუკი იწყება.
ძირითადს მივყვეთ, წვრილმანზე ნუ დავიწყებთ დავას
ვინც უნდა იყოს მე მოვთხოვ ამას.

**ჟამთა მროველი –**

ოთხმოცდა ცხრაში კიდევ ერთი იყო ამბავი.
ზოგის მიზეზით ვერ მოება იმ საქმეს თავი
ჯერ კიდევ მარტში მაშინ პირველს,-პატიაშვილსა
სთხოვეს გაპეროდა კომპარტია, ვით დედა შვილსა
ასეთი აზრით: საქართველო იქნება ცალკე
და კომპარტიაც ცალკე იყოს ეროვნულ ძალად.

**ჯუმბერ პატიაშვილი –**

ახალ ბრალდებას ნუ მომიყენებთ, პირველად მესმის
მეც არ მომსვლია მსგვასი აზრი-ეს თავის-თავად

**ჟამთა მროველი –**

რაც ისტორიის კუთვნილება გამხდარა უკვე
ის ისტორიის ბრალდებაა და არა ჩემი
აბა იფიქრეთ, ეს აზრი რომ მოგწონებოდათ
ან გამხდარიყო თქვენგან ოდნავ თვალში საცემი
ან გუმბარიძე, მაისში ხომ მასაც მიმართეს,
მოეკიდებოდა ამ იდეას, როგორც სიმართლეს,
ან სექტემბერში მეორედ რომ მიართვეს არზა

ამ ცხოვრებაზე ყოფილიყო ფხიზლად და აზრად,
რამდენ სადაოს, ცრემლს და სისხლსაც ავიცილებდით
თუ დაინავებთ და გამოთვლით მალე მიხვდებით
დეკემბერშიაც, როცა კრემლი არჩევდა საქმეს
და საბჭოების ყრილობაზე ბუღი დიოდა
მირს ეცემოდა იმპერიის რკინის კედელი
თავისუფლების გარიჟრაჟზე მაცნე ჭყიოდა
როდიონოვმა, კატუსევმა და მმანმა მათმა
შოვინისტური გაგვიმართეს ქართველთ აღლუმი
როგორ გვინდოდა მაშინ მძლავრი ერთი პარტია
რას მოგვიტანდა გაბრძოლება ერთი მალუმი
ჩვენ მაგალითი საამისო ლიტვამ გვიჩვენა
ჩვენ კი ვიდედლეთ შემოგვიწყრა მაშინ ჩვენ ზენა.

**ედუარდ შევარდნაძე –**

მეც ვადასტურებ რომ პარტია მოგვცემდა ქულებს
მომგებიანი იყო ის დრო, კვლავ ვადასტურებ

**ზვიად გამსახურდია –**

კომუნისტურ რმეს მირჩევია მკლავდეს წყურვილი

**ირინა სარიშვილი –**

თუმც შინაგანად შევარდნაძის არა ვარ მტერი
ვერ ვიზიარებ ეს გზა იყო ჩვენი სამზერი
და შინაგანად თუმც ვერ ვიტან ბატონ ზვიადსა
მის ქმედებაშიც ვერა ვხედავ რამე დიადსა
დავეთანხმები. მეც მერჩია თავში აგური
ვიდრე სიამე კომუნისტური

**ირაკლი წერეთელი**

და ამას გარდა განსაჯოს ყველამ
განა ოქროა რაც მზეზე ელავს?
ეროვნულ ფორუმს მიტომ ვკრავდით, ერთად ვიარეთ
რომ მოგვირჩენდა უძლურების მწარე იარებს.
თავად განსაჯეთ რა იდეა განივთდა მაშინ
და ან ვინ იცის რა გეგმები დავიწყე ჭკვაში.

ეროვნულ კონგრესს მე ვფიქრობდი, ჩვენ ავირჩევდით
მაშინ ყოველი კომუნისტი რჩებოდა გვერდით.
ბევრი ვიაზრეთ, მახსოვს ერთად ბევრი ვიდავეთ
მარტის არჩევნებს ბოიკოტი გამოვუცხადეთ.
და რომ მართალი სხვა არ იყო და ჩვენ ვიყავით
იქიდანაც ჩანს, რომ მოვიგეთ და გავიმარჯვეთ.

**ნოდარ ნათაძე –**

ის გამარჯვება თქვენი, მარცხის იყო ტოლფასი
მოიგეთ ერთი და წააგეთ მრავალათასი.
სახალხო ფრონტი ერთად-ერთი იყო მართალი
იმ არჩევნებში, დიდ-პატარა, კაცი და ქალი
ჩვენ მოგვყვებოდა, ჩვენი იყო და გამარჯვება
უეჭველია სახალხო ფრონტს მოგვრიდა შვებას.
ეს კარგად იგრძნო კომპარტიამ, იგრძნო ფორუმმა
და მაშინ თქვენმა ალიანსმა, კავშირმა უმმა,
ქვეყნის გამოხსნის აშკარა გზა დაასამარა.
როგორც შეერთდით, თქვენ დასცილდით ერთმანეთს წუნარად.
ამით პარტიამ გუმბარიძის, მოიკლა მადა,
მზის ჩასვლის დღე და გამევება გადაივადა.
თქვენ შანსი დაგრჩათ, მომავალ სხვა არჩევნებისას
ეღირსებოდით ამოსვლას მზისას.

**ჟამთა მროველი –**

ნათაძეს ვეტყვი, რომ მეთქვა მსურდა
ასე პირდაპირ ნუ გასჭრის მუდამ.
რაც მან აქ ბრძანა და არა ბრძანა
ჭკვიანისაა ეს ანა-ბანა.
ჭკუა ფორუმში არ ეყო ყველას
ბევრი ვერ მიხვდა, რა მარცხს გადარჩა
როცა ზვიადმა დასტოვა კრება
უხაროდათ რომ ფორუმი დარჩა.
ზვიადის გასვლა იყო თანხმობა
სხვა არჩევნებში კენჭის საყრელად
ფორუმში ყოფნა კონგრესზე მიბმას

სკამის დაკარგვას მიტინგებს მნელად.
თქვენც კი მოტყუვდით ნოდარ ბატონო
როცა გ ზის თავი გეგონათ ბოლო
მალიან ბევრი აიღეთ თავზე
და არ იზრუნეთ სხვა არჩევანზე.
მაშინ ზვიადმა, ნაცვლად მალვისა
თქვენი ტაქტიკა გაითავისა
ჩვეული რიხით, უჩვეულ მალით
ზოგ ჯერ ალერსით, სხვაგან მუქარით
ზოგის კარნახით, ზოგის თანხმობით
ბევრთან და-მმობით, და ზოგ თან მტრობით
უმაღლეს საბჭოს ამოსდო ყულფი

**რუსუდან ბერიძე –**

დიახ მერაბის მკვლელობის შემდეგ
ჩვენში ბევრ უღირსს გაეხსნა გ ზები
პირში სიმართლეს ვერვინ ეტყოდა
ტყუილს ლოცავდნენ მართალი გ ზნებით

**ზვიად გამსახურდია –**

ეს თქვენი გესლი ჩემთვის ნაცნობი
რომ არ მიიღოს არავინ ნდობით
თქვენ ხართ და აგერ ჩხეიძის ქალი
მიდით უსწორეთ ერთმანეთს თვალი
მერე განსაჯეთ ვინ რადა ღირდა
ვინ შეუყენა ერის გმირს წყალი.

**ნოდარ ნათაძე –**

არ შეიძლება ყველას ეჭვით უმზერდე ქვეყნად
შთაბეჭდილება კი პირადი ასე შემექმნა:
აგენტი არის, მკვლელი არის ამბობდე ხშირად
თვით წმინდა საქმეს ჩირქი მოსცხო თუნდაც ირიბად
ნათელი ბნელად გესახვოდეს, ჭკვიანი გიჟად
საეჭვო საქმეს გაუყუჩდე, მიგაჩნდეს ჩირად
არის ამაში ინტერესის დიდის აღმძვრელი

და საფიქრალი ბევრი და გრძელი.
მთავარი არის მერაბის ყოფნა
ვის უშლიდა ხელს, ვის რა აწუხებდა.
მერაბთან ერთად ჩვენი ზურაბი
ასევე მწარედ დასატირალი
ერთბაშად მათი ჩამოცილება
ღმერთმა გაგვწირა? კაცმა ინება?
მე ამ კითხვებზე, ფიქრის წინ დასმულს,
ვისგან ველოდე აზრიან პასუხს?

**ზვიად გამსახურდია –**

ჭავჭავაძის ვაჟს მე ვეძახდი ,,სუკის აგენტო''
ჭანტურიასაც ასე ვეტყვი და ზოგიერთ სხვას
არიან თქვენში, ჩვენშიც იყვნენ, მაგრამ მერაბზე
არ გადავურჩე მე ზეცის რისხვას
თუ ოდნავ მაინც იქ რაიმე იყოს საეჭვო.
რაც შეეხება მათ დაღუპვას, რად გინდათ ,,სუკი''
იყო მესამეც, ის გადარჩა, აგოს პასუხი.

**ქამთა მროველი –**

ოთხმოცდა ათის ოქტომბერმა დაადასტურა
ვის მისდევს ხალხი, ვინ უყვარს და მხარს უჭერს სრულად.
კონგრესმენების არჩევნების საქმე გაშავდა
სუკი, პარტია დასამარდა, აღარსად ჩანდა.
ამით ამ ბრძოლის მეორე ჟამს დაედო ბოლო
ქვეყანა დუღდა, ქვეყნად სიბრძნე არ იყო მხოლოდ.
თუმც ვიწონებდით თავს, რომ რღვევა იმპერიისა
დამსახურება იყო ჩვენი და არა სხვისა.
მაგრამ ფაქტია სულ სხვა ძალამ ძირს დასცა დევი
ჩვენ არ ვიყავით მისი ამწევი.
და რამდენადაც ყოველივე სწრაფად აღსრულდა
ვერ მოვასწარით დაღვინება როგორაც გვსურდა.
ამიტომ იყო ის მევირალა მომიტინგენი
უზენაესნი და უბრძნესნი რომ გახდნენ ჩვენი.
მათ რაც ემარჯვათ ის აკეთეს, ის ახმაურეს

მტერს რას აკლებდნენ, ჩვენ გვიხეთქდნენ გადაღლილ გულებს.
და ახალი წლის იანვრიდან მოყოლებული
ხელით გვიჭირავს მთრთოლვარე სული.

**ზვიად გამსახურდია –**

მეისტორიევ ყურადღებით ვისმენდი სიტყვას
სადაც ქებაა, იქ აუგიც უმალვე ითქვას
ისე გამოდის, ჩემი ყოფნით უზენაესი
პარლამენტიდან გადაიქცა სიავის მთესი.
მაშ გაიხსენეთ, როცა ქვეყნად ვიყავ პირველი
როგორ დაეტყო უზენაესს მზრუნველი ხელი
წესრიგი იყო. წესრიგია თავი და თავი.
უწესრიგობას მოსდევს საქმე ტანში მზარავი,
მას შეადარეთ ახლანდელი მიეთ-მოეთი
ზღვას რას მისტირი თუ დაგახრჩობს პატარა წვეთი.

**ვაჟა ადამია –**

თვით არ იცოდე, სხვას არ უსმინო სიბრძნეა განა?
ვინ გვმართველობდა ზვიადი თუ სამი მანანა?
ზვიადი იყავ, ზვიადობდი, ზეცაში ფრენდი
იყავი ყველგან მაგრამ ვერსად ვერას ხედავდი
სად შავი იყო და სად თეთრი არ იცი დღემდის
გყოფნიდა ის, რომ წუნკალ ქალებს მესიად ჰყავდი.
მაშ გაიხსენე იანვარში, ყორნის-ცხინვალში
როცა წესრიგი უკვე იყო, იყო მშვიდობა
მუხანათურად უკან როგორ გამოგვიტყუე,
მაშინ დაკარგე ვაჟკაცთა ნდობა.
ჩვენი ძალების ცხინვალიდან სწრაფი წამოსვლა
იყო ღალატი ქართველობის, იყო თავის კვლა.
და ამის შემდგომ ჩვენთან ოსი ექსტრემისტები
ქართველებს ხოცვენ თავგამეტებით
გახსოვს? მე გთხოვე ერთი კვირა, თუნდაც დღე ორი
რათა შემეკრა როქის ყელი და ახალგორი
ყველა ვიცოდით ვინ სად იყო, სუნთქავდა რითი
შენ ტელეფონით მომიყევი რუსული მითი.

მკაცრად მიბრძანე რეგიონის გადაშიშვლება
მერე რაც მოხდა მითხარ ამას რა ეშველება?
ახლა მიბრძანე, ვითომ ხომ გწამს ღმერთი და ხატი
ის ნაბიჯი ხომ ქართველობის იყო ღალატი?

**ზვიად გამსახურდია –**

გაუგებარი ბევრი მყავდა მე მეგობარი
ერთგული იყავ იმათ შორის და იყავ წყნარი
მერაბის ხელში გამოზრდილი იყავი ზრდილი
და მოღალატეც როგორც ვხედავ, ჩემგან წყევლილი.
მაშინაც გითხარ ამას მთხოვდა სიტუაცია
შენ ვერ გაიგე იმ ბრძანების ინტონაცია.
გითხარ დატოვე რეგიონი ახლავე, მალე
დაქსაქსვის ნაცვლად სხვა ჭკვიანი გაზრდიდა ძალებს.
შენ წამოხველი მიატოვე ზენა სოფელი
პოლიტიკოსობ, სტომატოლოგობ და ხარ სულელი.

**ნოდარ ნათაძე –**

ოსთა თარეში შიდა ქართლში არ ახალია
ოსი მოსდევდა ყველა მომხდურს დამხმარე ძალად
ჩვენთვის იგივე მეორდება მხოლო ოსებმა
რუსები ნახეს მონღოლთა ნაცვლად.
და როცა მე ვთქვი დავაზუსტოდ ვისთან გვაქვს ომი
სულელად ჩემი გამოცხადების ვინ იყო მდომი?
იგივე მოხდა აფხაზეთში. ბოლო შედეგად
ვთქვათ, ცდებოდნენ თუ გვღალატობდნენ ჩვენ ასე მედგრად?

**ედუარდ შევარდნაძე –**

ცხინვალის საკითხს ჩვენ აფხაზეთს ნუ შევადარებთ
ეს ორი ომი დაგეგმილი შინა და გარეთ
თავისი არსით, მასშტაბებით, დანიშნულებით,
თვისობრიობით სხვადასხვაა, ნუთუ ვერ ხვდებით.
ოსებთან ბრძოლა, და მომდევნოდ ოსთა თარეში
სულ სხვაა ვიდრე ის რაც მოხდა აფხაზთ მხარეში.
აქ უეჭველად დამნაშავე არის ზვიადი,
აფხაზეთში კი არ მიმიძღვის ბრალი პირადი.

**ზვიად გამსახურდია –**

ჩვენ ხომ შევთანხმდით პირადული გამოგვერიცხა
ახლა ბრალდებას მიუენებენ ვხედავ აქ ურცხვად
რათა გაირკვეს გასარკვევი ნაწილიც, მთელიც
მეისტორიე აგერა გვყავს ჟამთა მროველი.

**ჟამთა მროველი –**

რუსთა მოსვლამდე ოსთა თარეშს ვუმკლავდებოდით
მეზობლად მოსულს მეგობრულად ხშირად ვხვდებოდით,
და ასრე რიგად ჩაგვისახლდა ოსობა მთაში
სულ ოცდაცხრამდე იყო ათასი.
რუსთ ბატონობამ საქართველოს წაჰგვარა მალა
სამშობლოს დაცვის წმინდა აზრი გამოაცალა
ბრძენმა რუსებმა ამ სიავით მყის ისარგებლეს
ასი ათასი ორი ქართლში გადმოასახლეს.
ბევრმა ოსებმა იქ რუსთათვის დასცალეს მიწა
სხვისი მამული დაივადეს გულის საფიცად.
საუკუნეა დავა არის ქართულ მიწაზე
არც ზვიადია დამნაშავე, არც შევარდნაძე.
ბოლშევიკებმა, რომ ჩაეკლათ ქართველთა ნება
თავზე დაგვასვეს, ოსებს მისცეს მეტი უფლება
არა მხოლოდ მათ, ქვეყანაში გარეშე ყველამ
რუსთ თანადგომით, ქართველთ ხარჯზე ისწავლა ლხენა.
აქ შევარდნაძის, როგორც მეფის, ბრალი ის არი
არ შეამზადა მომავლისთვის შვილდი-ისარი.
ამ ცხოვრებაში ის ფიქრობდა სულ სხვა ლუკმაზე
და სიტყვიერად ბევრი რამე აიღო თავზე.
ოსთა თავგასვლას თვით ზვიადიც ვერას უზავდა
საკუთარ მალით, ვერც ერთ საკითხს ის ვერ დასძრავდა
ამიტომ იყო მოკავშირეს ეძებდა მტრებში
კავკასიის სახლს აშენებდა მიუვალ მთებში.
ვერა ხედავდა მისი სახლი ააშენა სხვამ
იგიც დამირა მშენებლის რისხვამ.
ათი წლის წინათ აფსუათა-ოვსთა კავშირმა
ქართველთა სამტროდ შეიკრა პირი

ადიღეველნი მრავალ ჯურის მოძმენი მათნი
რუსული აზრის აღმოჩნდნენ გზირნი.
ძალა არ იყო, მიტომ იყო საჭირო ხერხი,
სუსტი ძლიერსაც მიწას დასცემს, თუ მოსდო ფეხი.
გაბედულების, უცბათობის, სისწრაფის ძალით
უნდა დამარცხდეს ყველა მტარვალი.

**ედუარდ შევარდნაძე –**

არა იმიტომ თქვენს წინაშე ვიმართლო თავი
მინდა გავფანტო ქართველებში ზმანება ავი
ვუწყივარ კარგად მოღალატე–ამბობენ ჩემზე
ჩრდილოეთიდან მოვიყვანე მე ქართველთა მზე.
არ არის სწორე, მე რა ვიყავ, ვინ რას მკითხავდა
ადრე ჩემამდე საქართველოს ბედი გათავდა.
ჩემისთანები ბრეჟნევს ჰყავდა ათი, ათასი
რუსისთვის ყველა შავი იყო ქართველის მსგავსი.
ჩვენ დაგვცინოდნენ, გვამცირებდნენ ისეც და ასეც
გვყიდულობდნენ და სხვადასხვას გვადებდნენ ფასებს.
მე ბევრის ბევრად იქ ავწიე ჩემი მაზანდა
მაგრამ ეს ყველა კლოუნების თამაშსა ჰგავდა.
მე მაბრალებენ რომ გავხსენი გვირაბი როქის
ქართველნი ვხოცე, რუსთა ტამარს ვუარე ჩოქვით.
სიმართლეს ვიტყვი რა ვიყავი, ვინ რას მკითხავდა
მონა ვიყავი, თუმცა მონა მეფესა ჰგავდა.
ჩვენ ახლა მეტი შეგვიძლაი ვაკეთოთ ერთად
მაგრამ გაფთხილდით ნუ მიიღებთ ნურავის ღმერთად.

**ზვიად გამსახურდია –**

ეს რა გამოდის, შევარდნაძე, მეფის ნაცვალი
ქვეყნის ნგრევისას ალალია, არის მართალი
მართალი არის მოგვიტანა ვინაც ზიანი
მაშინ მე ვინ ვარ, ანგელოზი მრავალფრთიანი?

**ნოდარ ნათაძე –**

ასე ილოცებ დაგიფრთხება ანგელოზები
სამწუხაროა მტყუან–მართალს ახლაც ვერ ხვდები.

ბოლოც იმღვრევა თუ აამღვრევ თავში წყაროსა
ასეთი არის შიდა ქართლის საკითხი ოსთა.
დანაშაული ზვიადისა გამოიკვეთა
რაც არ იცოდა, არ ისწავლა, არც უნდა ეთქვა.
ცხინვალის დაცლამ ექსტრემისტებს გაუხსნა მადა
იმძლავრა სისხლმა, ჩვენ მშვიდობა გადაგვევადა.
ჩვენ ერთი გვქონდა ვაჟკაცური გამოსავალი
მსოფლიოსათვის აგვეხილა მძინარე თვალი
გვეთქვა: ოსების უკან რუსის დგას ზარბაზანი
საქართველო მისი მიზანი,
ჩვენ ქართველობა გავწყდებით ერთად
არ მივეცემით კვლავ რუსებს ტყვედა.
რაც არ იცოდი, არ ისწავლე, ისე თქვი მაშინ
გადაიჩეხე, იმპერიის ჩაგვყარე ჭაში.
იგივ სიმართლე აფხაზეთში ჩვენ გვეთქვა უნდა
მოღალატეა ვინც საქმეში იქცევა ცუდად.

**თენგიზ სიგუა –**

მეც დავუმატებ, ოსთა საკითხს მოევლებოდა
მაგრამ ზვიადის აზრთა წყარო სხვაგვარი ჰქონდა
კარგად იცოდა ვინ გაღმაა, ვინ იმის მიღმა
აფსუათ შორის შეარჩია მიტომ არძინბა.

**ვაჟა ადამია –**

დაგეთანხმები ყველას სურდა იქ მარშანია
მან კი სხვაგვარად გადაწყვიტა ოჯახში გვიან.

**თენგიზ სიგუა –**

იგივე მოხდა აჭარაში, სხვაგან და სხვაგან
თითქოს გაზრახვით ჩვენ ზვიადმა ყველგან გვიგანა.
ასეთი იყო მისი აზრი, მისი ბუნება
რაზე რას იზავს ჩვენზე უკეთ იცოდნენ მტრებმა.
თავად განსაჯეთ ვისი კარნახით გამოუცხადა
რუსეთს ბლოკადა
რომ მხედრიონი მოეგდო ხელში რუსის გენერლებს როგორ
ლოკავდა

მხედრიონი რომ დაარბევინა მისგან ღალატი იყო თუ არა?
რა შვება იგრძნო როცა შიდა ქართლს მიწისძვრის ტალღამ გადაუარა
თუ გამიზნული იყო მიწისძვრა
მაშ რა ვიფიქროთ, მაშინ რაღა ვთქვათ?
აღარას ვამბობ იმ თვითბლოკადამ
რამდენი მოგვცა ზარალ-ზიანი
და ამის შემდეგ ის ამობრწყინდა ვით
პრეზიდენტი ნათელმზიანი
მან დაამშია საწყალი ხალხი, ბრძენნი ჩააგდო საფიქრალ დღეში
რაც ჩვენ წაგვგლიჯა, არმად შეერგო, გადაიხადა მერსედესებში
ყველა მოქიშპის გასაკილავად გულშავი ღვარძლი როგორ ღვიოდა
ვახკანალიას აყოლილები ვეღარ ვაზრობდით რა მოგვდიოდა.
აგვისტოს თვეში გკჩპ-ს დროს ბევრმა არ იცის როგორ გაგვყიდა
და ორ სექტემბერს კინოს სახლის წინ ტყვიას გვიშენდა ყოველი მხრიდან
რომელი ერთი აქ ჩამოვთვალო სექტემბრისა თუ ოქტომბრის ღამე?
იმდენჯერაა ის მოღალატე წუთი რამდენსაც დაითვლის წამებს.

**თენგიზ კიტოვანი –**

მოღალატეებს სხვას უწოდებს თვით მოღალატე
აუგის მეტი რა უქნია, რით უცხოვრია
გთხოვთ გაიხსენოთ ჩვენ ორს შორის რა ძმობა იყო
როგორ ვადიდე, ვუერთგულე და რით მომიზღო
გვარდია, რომლის სიძლიერეს შევწირე თავი
როგორ გასწირა, რუსთა ნებას როგორ მიენდო
რკონის ხეობა მაშინ გახდა ჩვენი საფარი
ზვიადის ღალატს, რუსთა რისხვას დავუდეთ განი.
ამის შემდგომად ჩვენგან მისი პატივისცემა
მის ღალატის იყო ოდენა.

**ჯაბა იოსელიანი –**

მეც დავუმატებ, გაიხსენოს როგორ გაგვწირა
რუსის არმია მოგვისია და შავნაბადას მხედრიონელთა აპკურა სისხლი.
ხოლო სირცხვილი? მეტი იყო დამბლა და ელვა
თავდადების წილ ციხე გვერგო, ფეხქვეშ გათელვა.

**ირინა სარიშვილი –**

მე არ მოვყვები მოღალატის გრძელ ისტორიას
მთელ მის ცხოვრებას ერთი სიტყვით-სიგიჟე ჰქვია.
ოთხმოცდა ცხრაში, ნოემბერში, ცხინვალს მისულნი
შეშინებულმა მიგვატოვა ვით მკვდარი სულნი
ოცი ათასი პატრიოტი რისთვის აწვალა
ქართველთა საქმე ვის მიუგდო, რას ანაცვალა?
თუნდაც აპრილში, მთელი ღამე სხვებს უბიძგებდა
უშიშრად ვიყოთ იძახოდა, დაფდაფებს სცემდა.
მაგრამ როგორც კი რუსის ჯარი შორით დალანდა,
გაუჩინარდა, აღარსად სჩანდა.
ანდა მხედრიონს რა მალულად უსია მტერი
რომელი ერთი ჩამოვთვალო ცოდვა აქვს ბევრი.
ვაჟკაცი იყო მდედრიონის გახდე მძევალი?
ვინ ვის იცავდით ვინ კაცია, ვინ არის ქალი?
მდედრიონელთა კარვებს იქით ლანძღვა და კვნესა
მიტინგებზე და იმათ შორის გაუხდა წესად
ორ სექტემბერს კი სისხლი შესვა მისა და მმისა
და რუსთაველიც მიიზომა, გაითავისა.
ახალს რას ვიტყვი ყველამ იცის ამბავი მისი
შავი სიები, დაჭერები შესაბამისი.
ზიზღი დათესა, რისხვა მომკო, ცოდვამ უწია
სახლხო იყო საახალწლო რევოლუცია.

**თენგიზ კიტოვანი –**

რაც ზვიადიზე გავიგონე, ცოტაა კიდეც
ცოდვათა რიცხვი ტყვიამფრქვევის გაავსებს მჭიდეს.
მაგრამ დეკემბრის და იანვრის დღეების ამბავს
ყველას შევთხოვდი ახალ სიტყვას ნუ გადააბავს.
ერ-დე-პეს ხალხი გაიძახის რევოლუცია
დემოკრატობას მეფის ტახტი არ მოუცია.
აქ სულ სხვა იყო, ზვიადს სურდა ჩვენი დაჭერა
თან ეშინოდა და ეს–ენ–გეს მიმართა მზერა.
ციხე გველოდა ან სასწრაფო ემიგრაცია
გაქცეული კი ვის დააფრთხობს ან რა კაცია.

მაშინ ვიფიქრეთ სანამ აქ ვართ და გვყავს გვარდია.
სანამ მალები მეტ-ნაკლებად თანაფარდია.
დავარტყათ უცებ და ალყიდან მშიშარა მტერი
გაიპარება როგორც წყლის ჭავლს იჭერს საცერი.
ჩემი აზრია ჰაი-ჰარად ნუ ვისვრით სიტყვებს
სულელს აცთუნებს, ჭკვიანს მაინც ვერ გააბრიყვებს.

**ირინა სარიშვილი –**

სახალხო იყო აჯანყება მოყდო მასებს
გია აფასებს ამ მოვლენას, მეც ვიცი ასე.
თუ სხვა ვიფიქრეთ შეფასებაც არის სხვაგვარი
თუ ვთქვით რომ ზვიადს არ აღუდგა მთლად მთა და ბარი.
მაშინ გამოდის კიტოვანმა ქვეყანა მთელი
ტირანისაგან გამოიხსნა, ვუნთოთ სანთელი.
ასეთი აზრით წინ ვერ წავა ჩვენი პარტია
ჩვენი სანთელი ჭანტურიას ბედზე ანთია.
ჩვენს პოზიციას ადასტურებს ჩემი სიტყვები
ყველას ვუგანებ, ავანგარდში გიას მივყვები.
ერ-დე-პეს არ სურს რომ აღზევდეს თენგიზ სიგუა
ისიც ბეცია კიტოვანი ვინაც იგუა.
ჯაბას საამოდ ერთ დროს გვეცვა მეფური ჯუბა
,,მონარქისტების‘‘ ფიქრებს ვსვავდით, ვატანდით ნუგბარს.
ჩვენ შევარდნაძეც ბევრი ვაქეთ, ბევრი ვადიდეთ
მანაც გზა მოგვცა და ერთმანეთს ხელი ჩავჭიდეთ,
მაგრამ ახლა კი სხვა დრო არის, სხვა პოლიტიკა
ერ-დე-პე მიტომ ღალატს ხედავს აქაც და იქაც.
ახლა ზვიადზე. უზნეოა ვინც ზვიადს აქებს
ის სხვის ბეწვს უფრთხის, არად აგდებს საკუთარ ლაქებს.
როგორც ტირანი ხალხმა იგი მლივს მოიშორა
ჩეჩენთ მხარეში დარჩებოდა ის ცოცხალ მმორად.
მაგრამ იცვალა უცნაურად სიტუაცია
სულელი ბრძენობს და დედალი თურმე ვაცია.

**ვახტანგ გოგუამე –**

დეპუტატებო, ბატონებო, ამხანაგებო

ვატყობ პირადულ ამბიციებს გაუგეთ გემო
თუ მოთმინებას გამოვიჩენთ ბოლოსაც ვნახავთ
ერთურთს ვუსმინოთ, ეთიკურ ზღვარს ნუ გადალახავთ.
მალე გავარკვევთ ვინ კაცია და ვინ ქურდია.
მიკროფონს ჩავრთავ სიტყვას ამბობს გამსახურდია.

**ზვიად გამსახურდია–**

მე მოთმინებით მოვისმინე აზრი ყოველი
და საპასუხო მოთმინებას თქვენგან მოველი.
ღმერთის წინაშე მართალი ვარ ორივემ ვიცით
კაცთა წინაშე არ მითქვია ამგვარი ფიცი.
ცოდვილ ქვეყანას უცოდველი მე ვერ გავივლი.
როგ ორებიც ვართ ქვეყნის გარდა ჩვენია წვლილი.
ჩემს შეცდომებზე ბევრი ითქვა, ზოგი მენიშნა
არ შევმცდარიყავ არ ვიყავი ღვთიური კრიშნა.
მე მეტიც ვიცი, სხვას არ ახსოვს, რა დამავიწყებს
დროს დავიზოგავთ მათ ჩამოთვლას აქ არ დავიწყებ.
ერთი მაკვირვებს, თუ ვცდებოდი, ქვეყანას ვნებდი
ჩემს სახლს ვანგრევდი, მეზობლებსაც არად ვაგდებდი
დალოცვილებო, ახლა რომ ხართ ასე გულადი
რას გაჩუმდით ქუჩა–ქუჩა ზვიად–ზვიადი.
გასუქებული კურდღლებივით აცეცებთ თვალებს
რა მოგიციათ, რას მოითხოვთ, ან რას მავალებთ?
ვიყოთ გულწრფელნი, რატომ გინდათ მომიკლათ დღენი
ვინ მომინათლეთ საპასუხო მოგიმღვნათ მღვენი?
რაც მოძრაობა ავაგორე, გავადიადე
თქვენი მედროშე გაიხსენეთ იყო ზვიადი.
თავისუფლება მოგიტანეთ, სხვა რა მაცალეთ
ვინც რა იპოვეთ, მოიპარეთ და გადამალეთ.
ჩემგან მოითხოვთ ნამუსია ანდა კაცობა?
სუფრასთან მჯდომებს ხელგაწვდილის არ უნდათ ცნობა.
დღეს ბევრი ამბობს მე ვიყავი ქვეყნის ტირანი
მაშინ რად არ სთქვეს გავუხსენი როცა მარანი.
ჩვენი საყდარი სალოცავად არ მივეც კატებს
მიტომ მიგანეს, გადამეიდეს და მიღალატეს.

სულისჩამდგმელი შევარდნაძე იყო ყველასი
მოსკოვს მიმოსვლა საიდუმლო ჰქონდათ ათასი.
შევარდნაძისთვის ყოველივე იყო სეროზა
ჩემს მოღალატეთ მისცა ხელი, ეფიცა ძმობა.
მიზანი ჰქონდა შორეული შერეულ ხმათა
კერძო, ჯგუფური და საქვეყნო გადაიხლართა.
შევარდნაძე ხომ მოღალატე არის ბუნებით
მან საქართველო გაატყავა მოშურნის გზნებით.
ამით მედლები დაიკიდა ნამგლის და უროს
ქრთამით, ლაქუცით შინ შეუძღვა პოლიტბიუროს.
ქართული ქოხი რუსულ სახლზე მან გადაცვალა
შემდეგ რუსეთსაც უღალატა დასტოვა ცალად.
როცა მოირგო მან მსოფლიო ავტორიტეტი
დიდკაცობისგან დაესხა რეტი.
სხვა რაღა დარჩა და ,,გაერო" აიღო მიზნად
მსოფლიო სახლის მოინდომა მჯდარიყო მდივნად.
თუ გსურს იხილო სავარძელი ,,გაეროს" მზისა
არ უნდა იყო მერიქიფე დიდი ქვეყნისა.
ამიტომ მოხდა გადადგომდა გამოაცხადა
დემოკრატობდა და ღვეზელი მონათლა მჭადად.
არ აირჩიეს ის ნომერი არ გაუვიდა
კოლი, ტეტჩერი, რეიგანი თუმც ჰყავდა ხიდად.
თქვენ დაუკვირდით როცა იგი დარჩა უსაგნოდ
სიგუა მიდის, კიტოვანიც იქცევა ,,ამოდ"
მაშინ შეკრიბა ჭანტურიამ მომხრენი მისნი
მაშინ აგორდა გაფიცვები სხვადასხვა მიზნით.
მე რაღა მექნა მომეთმინა მათ თარეში?
შევარდნაძესთან წავსულიყავ უცხო მხარეში?
და ჩვენი ბრძოლა იმ დღეებში დამთავრდა იმით
ზოგიერთები ორთაჭალას მიბრძანდნენ ტივით.
შევარდნაძემაც უსკამობა ვერ აიტანა
და მინისტრობას დაუბრუნდა იგი ერთ ხანად.
ერთ რამეს გეტყვით, თუ ის არის პოლიტიკოსი
უდიდესია, ყველა კუთხის, სხვადასხვა დროსი
წინასწარ იცის რა იქნება, სად რა მოხდება

რით ვერ განსაზღვრა გორბაჩოვის მან ჩამოგდება?
და თუ იცოდა, რას მირბოდა, ვინ ეწეოდა
რას კუნტრუშობდა, მინისტრობდა, ქვეყნის წინ ხტოდა
არც ის იცოდა, რომ ელცინი სულ სხვა ხატია
ვინც წინ დაუდგა მოსრა, მოსპო არ აპატია?
ის შევარდნამეს დაინდობდა იფიქრეთ რათა?
და ჰა შედეგი საქართველოს რაც დაემართა.
მაგრამ იმ ჟამად, დავუბრუნდეთ ამბავს იმ დროის
უსკამოდ რჩენილს იმედი აქვს ისევ იმ ხროვის
და მართლაც მოხდა, ორ-სამ დღეში დაიწყო ბრძოლა
თავისუფლების ყველა შანსი მან გაიყოლა.
მე კი არა ვარ აქ მთავარი და ჩემი დღენი
ქურდნი მოვიდნენ სათავეში. მოღალატენი-
როცა მოსპობას საიდუმლოდ ჩემსას გეგმავდნენ
როგორც მაღლები მგლის ხილვისას უმალ დაზავდნენ.
მგელი წავიდა, კვლავ ერთმანეთს დაუწყეს კბენა
რაც დატრიალდა ქვეყანაში, როგორ თქვას ენამ.
კომუნისტები, ყაჩაღები, ძველი ქურდები
ახალ ყაჩაღებს, თოფიანებს გაუხდნენ ძმები.
პატიოსანი და მშრომელი თუ დარჩა ვინმე
მიდი გაძარცვე, დაამცირე და თან აგინე.
მოღალატეა ჩემზე ამბობთ, ჩემია ჯერი?
მაშინ შეხედეთ ვინ ახარა ქართველზე მეტრი.
ცხინვალი თითქმის ხომ აიღო ყარყარაშვილმა
ვინ დასთმო შემდეგ სამაჩაბლო, რომელმა გმირმა?
ვინ იძახოდა მე ვარ თავი, პასუხსაც ვაგებ
და რომ ჩაეცხრო ხალხის რისხვა, ასევე განგებ
ჯერ მხედრიონი სამეგრელოს შემოუსია
დედა უტირა, ვთქვათ სიმართლე თუ ნამუსია
შემდეგ, რომ კვალი დაეფარა აფხაზეთს მისდგა
ამ გზით ქვეყანას რომ ყიდიდა ვერავინ მიხვდა?
როცა სოხუმში შეაჩერა განგებ გვარდია
რატომ არა სთქვით ეს ღალატის თანაფარდია.
ვის დაუჯერა, ვისი რჩევით დაკარგა გაგრა?
ვის ატყუებდა, ნაცვლად ახლა ვიქნები მაგრა?

ლაჩრულად დასთმო ლესელიძე და განთიადი
პოლიტიკოსი არის იგი? თანაც დიადი?
რა მიზნით მისცა ფსკოვის პოლკის ჩამოსვლის ნება?
რუსს ენდო ვინაც მიაყენა ამდენი ვნება?
ჯარი ვერ შექმნა, ვერ დაიცვა გალი, სოხუმი
ჭკუა არ ეყო, ჯარიკაციც გამოდგა უმი.
ხალხს თვალს უხვევდა, სოხუმში ვარ, თანაც გმირობდა.
წავიდა ის დრო ხელმძღვანელი მტრის წინ რომ ხტოდა.
აბა ვინ ნახა რომ სტალინი ჯარს მიუძღოდა
ყველას სუნთქვა იცოდა ფეხს არსად დგამდა, მაგრამ
აქ კი რა მოხდა, რა დევგმირი იყო ისეთი
მის დანახვაზე თვით არმინბას დასხმოდა რეტი?
ჯაბას მიჰბაძა, ჯაბას ჯიბრით ჩაიცვა ჯუბა
ვის წაეკიდა, ვინ იძმო და მხარი აუბა?
მე პირადულზე არას ვიტყვი, პირადულობა
რა სათქმელია როცა სახლი თავზე გვემხობა.
დღეს საქართველო სანახევროდ გაყიდულია
გამყიდველების გამოცნობა არც თუ რთულია (გადის).

**ედუარდ შევარდნაძე –**

დემოკრატობამ დამღუპველი რამ იცის სენი
რასაც ვერა იქმნ, იმას ამბობ ნაღრძობი ენით.
რამ თუ დამღუპავს, ნიშნავს მღუპავს დემოკრატობა
სურვილი ქვეყნად დავაფუძნო ახალი წყობა.
რომ მომენდრომა, თქვენ მითხარით, ვინ დამიშლიდა
ჩემთვის ვარსკვლავნი მომეკრიფა მსოფლიოს ციდან
მეცხოვრა მდიდრად, ვით არიან სხვები და სხვები
მაგრამ ვარჩიე აქ ჩამოსვლა, აქვე მოვკვდები.
ვერ გაიხარებს ვინც სამშობლოს უმტრო-უგანა
თბილი სკამისთვის კუნტრუშობდა წინ და უკანა.
მართალს ამბობენ ქურდი ყველას ემახის ქურდებს
კაცი კი კაცობს და გარე მეოფთ კაცობას უქებს.
მაგრამ ლაჩარი როცა მამაცს ემახის ლაჩარს
რად არ გახმება ენა მსგავსი, სიკვდილი არ სჩანს.
ლაჩარი ვინაც დიაცურად ცხრაჯერ ინანა
ენით იომა, მტერსაც ენით საჯდომი ფხანა

მე მიკიჟინებს, მოღალატეს მიწოდებს ურცხვად
ქვებს ჩემსკენ ისვრის, სასიკეთოს მიითვლის უხვად
ყოველთვის ვსდუმდი, არ მინდოდა აუგი მეთქვა
მაგრამ რადგანაც თახსირს უნდა თახსირი ერქვას
მოღალატეა გეუბნებით ყოფილი გზირი,
კაცთან ბოზია, ბოზებში გმირი.

**ირაკლი წერეთელი –**

არა იმიტომ, ჩემს ნათლიას აგინეს მწარედ
მისგან ვსწავლობდი, მიტინგებზე მასთან ვიარე.
ჭეშმარიტება ერთადერთი არის საზომი.
მართალი ქვეყნად არის მხოლოდ სიმართლის მდომი.
დეპუტატებო თქვენ მოგმართავთ, თვითონ განსაზღვრეთ
ვინ იძახოდა მხოლოდ რუსი დაიცავს საზღვრებს.
ვინ ამტკიცებდა გვინდა რუსის ავიაცია,
დესანტთა პოლკი ჩაგვისახლა აღარ აცია.
და ვისაც ჰქონდა ოკუპანტთა მძიმე სტატუსი
ვინაც გაგვქელა ეს ხომ იგივ ჯარია რუსის.
რუსთა გარეშე ოსთა ბანდა ჩვენ რას გვიზამდა
ოსი ფეხმარდი გასაქცევად მზირალსა ჰგავდა.
სამაჩაბლოში როცა ფიცხლად გვებრძოდა რუსი
დიდი მეგობრის ვინ უბოძა ჩვენს მტერს სტატუსი?
ასე განსაზღვრეთ ამის შემდეგ ვის და რა ჰქვია
ვინ მოგვატყუა, გვიღალატა, ხელზე გვიხვია.
მე მეტსაც გეტყვით გუმისთასთან, იქ ეშერაში
ვინ წააქცია ქართველების მფრინავი რაში?
რუსთა ტექნიკა, რუსთა ნება და რუსთა ძალა
იყო რომელმაც გზა მოგვიჭრა, დრო არ გვაცალა.
როცა პარლამენტს სურდა ეთქვა სიმართლე მწარე
ვინ იყო ვინაც დაიჭირა რუსების მხარე?
დემოკრატია, ფაშისტია, რუსი-რუსია
ჩერქეზ, ჩეჩენი ქართველთ რუსმა შემოუსია.
სომეხი იყო, კაზაკია თუ არი ოსი
ვინაც გვესროლა არის მტერი ერთი საწყმოსი.
გვეთქვა სიმართლე, მართალია ქვაზე მაგარი

მაგრამ სიცრუეს თუ აუბი ასეთ დრო მმხარი
რა ხარ, ვინა ხარ, თვით განსაზღვრე ვისი მსახური
ვის ფერებაში და ქებაში დასცალე ჭური?
ვინც ასე იყო, ასე ვიტყვი, ვინც ასე გვიყო
ნამუსი ჰქონდა, კაცი იყო, გადამდგარიყო.

**ედუარდ შევარდნაძე –**

არვინ იფიქროს ქურდს ქუდი ეწვის
შეცდომაც არ მაქვს მე ერთი ბეწვი.
მაგრამ სიმართლე თუ რა ზომაა
ასე გამოსვლა თავხედობაა.
ბავშვმა რა იცის რომ პოლიტიკა
ზოგჯერ დათმობებს გვკარნახობს დიდად
მე რაც ვიკისრე, მე რაც ავზომე
რასაც შევწირე ამდენი ღონე
შორს გამიზნული პროცესებია
სულელებს მიტომ ვერ გაუგიათ
თქვენ თვითონ ნახეთ ყველა საკითხზე
კომისიები შევქმენი რიგზე.
იმიებენ და თავად მიება
უკვე საქმეა თუ ვინ მიხვდება
ჩვენ ყველა შედეგს ვეტყვით ,,გაეროს‘‘
რომ ჩვენი მტრები მან გააჩეროს.

**ჯანსუღ ჩარკვიანი –**

თუ ქადა ქადობს, გული გულია
ასეთი აზრი დიდებულია.
მე შევარდნაძეს ყველგან გავყვები
არც მისი ქებით არ დავიღლები.
აბა განსაჯეთ, კომისიები
ხომ განსაზღვრავენ მკვდარსა და ცოცხალს
შემდეგ სიები გადამოწმდება
კომისიებსაც კვლავ შევქმნით ახალს.
რამდენი არის სასწრაფო საქმე
რამდენი უფრო მეტად საშური

დროს ნუ დავკარგავთ, ვუყაროთ კენჭი
ჩვენს მტრებზე ამით ვიძიოთ შური.
მე ასე ვფიქრობ დეპუტატები,
ქალბატონები, ამხანაგები
უმრავლესობის კავშირებს შევქმნით
და შევარდნაძეს გავუვებით გზნებით.

**ვახტანგ გოგუაძე –**
დეპტატებო, რომ არ ჰქონდეს სესიას წუნი
დავითვალოთ და დავადგინოთ არის ქვორუმი?
დამთვლელ ტექნიკის მონაცემებს ნუ დავეყრდნობით
ხუთმა დათვალოს ერთმანეთის მონაცვლეობით
მონაცემები გავამრავლოთ დამთვლელთა რიცხვზე
ვფიქრობ ქვორუმიც გამოგვივა წესზე და რიგზე.
წინადადებებს ამის შემდეგ ვუყაროთ კენჭი
ხელის აწევით რომ გავფანტოთ ღალატის ეჭვი.

**ირინა სარიშვილი –**
ჩემი ფრაქციის და პირადად ჩემი აზრია
ევროპის სახლში გადავბარგდეთ, დავთმოთ აზია.
ვივაჭროთ კოლთან. მიტერანთან, სხვასთან და სხვასთან
კრედიტს მივიღებთ, ახალს ვნახავთ კრიტიკის საგანს.
წარსულზე ფიქრით და კამათით მოვიგებთ ვერას
ევროპის სახლში ევროპულად დავიწყებთ მღერას.
და ამის შემდეგ სულელი ხარ, ცეტი თუ გიჟი
რესპუბლიკაში აიწევა შენი პრესტიჟი.
აბა შეხედეთ ჭანტურიამ ბევრი იარა
და არც უთქვიათ ევროპელებს ,,ვიზაზე‘‘ არა.
დღეს ბევრი ამბობს საიდან აქვს ამდენი ფული
თუ აქვს ხალხს მისცეს, დამაშვრალებს მოჰბანოს წყლული.
მე ასე ვფიქრობ, ამას ფიქრობს ჩვენი ფრაქცია
ვის ეკითხება რასა ვჭამთ და როგორ გვაცვია.
მთავარი არის მადრიდია თუ ფლორენცია
ევროპელთათვის ჩავატაროთ კონფერენცია
მერე დასწერენ ეს და ეს თქვა ამან და ამან

ვისი ჯერია, ჩამობრმანდით, სხვა რა სთქვას სხვამან?
ჩვენ ისე ბრძნულად ვუკარნახეთ წვეთი და წვეთი
ნიდერლანდები მოვიმხარით და საფრანგეთი.
დღეს მუჩაიძემ მოინდომა ჩვენი კრიტიკა
პროგრამა ჩვენი მან არ იცის, ტაქტი, ტაქტიკა
ჩვენი პარტია ევროპული უაიდის არის
ასევე გვესმის, ასეთი ვართ დამრეკი ზარის.
ჩვენი ლიდერი, თუ კი იცით ჩვენი მიზანი
რად არ შევიდა პარლამენტში? გამოიცანით.
საქართველოში დღეს არ არის დიდი პარტია
თუმც ასზე მეტმა ხალხს გააცნო ნდომის ქარტია.
მათ ლიდერებსაც ერთი ჰქონდათ ოცნების ზღვარი.
ამ შენობაში შემოეღოთ დარბაზის კარი
ერთი მიბრძანეთ ის ლიდერი რა ლიდერია
მეტს რომ ვერ ქაჩავს, ან პარტიას პარტია ჰქვია?
ერ-დე-პეს საქმე თავად ნახეთ არის სხვაგვარი
და როცა დაჰკრავს პრეზიდენტის არჩევის ზარი
წინასწარ ვიცი რა იქნება იმის შედეგი
ვინ პირველია, ვინ მეორე და ვინ შემდეგი.
დღეს პარლამენტში ლიდერები პარტიებისა
აზრებს ამბობენ მოიმედე სხვისა და სხვისა
ხალხი უყურებს, ხალხი უსმენს, ესხმება რეტი
წოლზე დავიდა მათი ვითომ ავტორიტეტი.
მათ ვინ აირჩევს, ვინ უსურვებს პრეზიდენტობას
ერთურთს დასჭამენ, ვერ შემლებენ ერთურთის ძმობას.
ჩვენი ლიდერი აქ არ არის, არ ხურდავდება
რიგებს ამრავლევებს, მისი სიტყვა ევროპას სწვდება
და ვით ლიდერი ცნობილი და შეუბღალველი
პრეზიდენტობის გვირგვინს მოსწყვეტს უცოდველ ხელით.
ამავე მიზნით, რომ რეიტინგს შევმატო მეტი
მაღლა ავწიო ,,ერდეპელთა‘‘ ავტორიტეტი
მაღალ პოსტიდან გადავდგები, ხომ ვერ იტყვიან
რას უფროსობდა ჩვენ შედეგი ვერ შეგვიტყვია.
და ვერცა იმას ,,ერდეპელთა‘‘ მთელმა ფრაქციამ
ჩვენი ქვეყანა ,,ეს-ენ-გელთა‘‘ წევრად აქცია.

ჩვენ ვინ რას გვეტყვის არც ვაფუჭეთ და არც ვაკეთეთ
და ამის გამო ჩვენ გვექცევა ყველა მოკეთეთ.
ვტოვებ ყველა პოსტს პარლამენტმა ასე იცოდეს
ჩვენ სუფთები ვართ, ჩვენს გარშემო სუყველამ სცოდეს.
(გადის დარბაზიდან).

**ვახტანგ გოგუაძე –**

დეპუტატებო, ნუ ატყდება თქვენში ხმაური
მეც მინდა რამ ვთქვა, გამოსვლა მაქვს ემოციური
ნურვინ იფიქრებს რომ აზრები ხშირად ვიცვალე
რომ ვერ ვარჩევდი რა მოგველის დღესა თუ ხვალე.
კონგრესში ვიყავ ერთს ვამბობდი და სხვას ვფიქრობდი
ვიცოდი ბევრი, ბევრს ვიტყოდი, უფრო მეტს ვგრძნობდი.
მე თავიდანვე თავს ვრაცხავდი რუსეთის მტერად
არა იმიტომ ვერ ვახერხებ რუსულად მღერას.
ეს იყო ჩემი პოზიცია და იყო რწმენა
მაგრამ ბოლო დროს გამეხედნა ენა და სმენა.
ვინა მხედნიდა? მთავარია დავკვალიანდი
ისეთი არ ვარ რაც ვიყავი, როგორიც ვჩანდი.
რა შემეცვალა? არაფერი, შევცვალე ხატი
სხვაგვარი ლოცვა აღვავლინე. არის ღალატი?
იმპერიაა ვიძახოდი თქვენი ,,ეს-ენ-გე‘‘
მერე ვინც მირჩევს, მან მირჩია, მისით გავიგე
,,ეს-ენ-გეს‘‘ გარეთ ჩვენი ყოფა, ჩვენი ცხოვრება
პოეტი იტყვის  არის მხოლოდ ამაოება.
თუმც ბევრჯერა ვთქვი გადადგომა არ გადავდგები
ვინც მფარველობდა ის მფარველობს მასთან დავრჩები.
ახლა კი საქმე, რომ არ იყოს შემდეგში გვიან
თუმცა არა მთხოვს სიტყვა უნდა მივცე ქვანიას.

**ზურაბ ქვანია –**

სიამოვნებით გამოვდივარ ყოველთვის სიტყვით
ამის გარეშე არც ტარდება სხდომები თითქმის
არის ლოგიკა, აზრი არის ამაში დიდი

თუ მივაღწევდი ლაპარაკით ყველას დავღლიდი
კენჭის საყრელად თავნატკენნი, გადაღლილები
ვერ მიხვდებოდით რას უყრით კენჭს და რაში სცდებით.
რაც უფრო მეტად გეტინება ნაღრმობი ტვინი
მეტია შანსი ორატორის მომცეთ გვირგვინი.
არაერთხელ ვთქვი, პოლიტიკა ისე რთულია
რამე ვისწავლო, გზაზე დავდგე, ვერ მომიცლია.
სპიკერს მივმართავ, დამიჯერეთ ვახტანგ ბატონო
სხვა ჩვენ არ გვინდა, თქვენ იყავით სპიკერი მხოლოდ.
მერე რა მოხდა ისეც იტყვით, ასედაც იტყვით
ვაჭრობა არის პოლიტიკა საქმით და სიტყვით.
რომელი არის დეპუტატი მართალი ეთქვას
რომელი არის მოღალატე რომ ვერ დაერქვას.
თუნდაც ნათამე პატრიოტი, კაცი ღვთიური
უკვე აქ ჯდომით მოთხვრილია ღალატის მურით
თუნდ ადამია ხომ იბრძოდა, იცავდა მამულს
ხომ ღალატობდა იმ პრეზიდენტს ღალატით ნამულს,
თვით შევარდნაძე ხომ დაგვპირდა რომ დეკემბერში
კონსტიტუციას გადმოგვცემდა ხელიდან ხელში
რომელი არის ის მართალი ანგელოზს ჰგავდეს
აღსარების დროს არ გაწითლდეს და არ გამწვანდეს.
ხო მწვანეები, მწვანეები გეტყვით გულწრფელად
მე რომ აქ მოველ, იქ პარტია შეთელდა ხელად.
ახლა სხვა დროა, მსგავსად უცხოთ დახმარებისა
ჩვენ იმედი გვაქვს თბილისელთა, სხვისა და სხვისა.
კარგად ვივაჭრეთ, გაგვიმართლა, გვიშველა ერთმა
სწორუპოვარმა შევარდნაძემ, უფალმა ღმერთმა.
ახლა გვიყურონ გაბევრდებით, ავიწევთ მაღლა
ვაჭრობა ვიცით, ვაჭრობაში არ ვიცით დაღლა.
მე ბატონებო ძირითადი გითხარით უკვე
და ვერც გეტყოდით ამგვარ სათქმელს ამაზე უკეთ.
რაც შეეხება აფხაზეთი და სამაჩაბლო
მწვანეები ვართ სისხლს ვერ დავღვრი, ვერ მივალ ახლო.
მწვანე ვარ მუდამ არ დავეძებ შავ და თეთრ ქულებს
არ გავწითლდები თუ ახალ შეფს ვერ ვუერთგულე.

ახლა კი, ახლა, სპიკერს ვეტყვი, ვახტანგ ბატონო
თუ გსრუთ ივაჭროთ და ნავაჭრის გაიგოთ გემო
აქაც იყავით, პარტიაში ახალშიც გელით
დაკვალიანდით კენჭის ყრის დროს ორივე ხელით.

**ვაჟა ადამია –**

მომეცით სიტყვა ამ ვაჟბატონს რაღაცას ვეტყვი
მონაწილე ვარ სამაჩაბლოს ტყვიების სეტყვის.
ღალატი რაა, მე არ ვიცი ლაქუცი, რიდი
გამსახურდიას ვერთგულობდი, ვიყავი მშვიდი
მაგრამ როდესაც ორგულობა შევნიშნე საქმის
როცა შევხედე ქალთა რემა რად აქცევს, რად ქმნის
როცა დავრწმუნდი გაუოუჩდა, დაჰკარგა თავი
არ მეთქვა პირში, მოღალატე მაშინ ვიყავი.
შევარდნამესაც მშვიდად შევხვდი, ვფიქრობ კაცია
კვლავ დაგვიბრუნებს რაიც რუსეთც მიუტაცია.
და კვლავ გავოცდი როცა ვნახე საქმენი მისნი
შეცდა თუ მართლა ჩამოვიდა ღალატის მიზნით?
მან დაგომისში ის აკეთა, რაც ოსს ენება
ქართველს კი უთხრა ეს შვებაა და გამარჯვება.
ისე იხაროს ავის მდომმა ჩვენ რომ ვიხარეთ
ჩვენს ხელთ რაც იყო ისიც დავთმეთ და ავიყარეთ
მე ეჭვი მღრღნიდა, ხომ არ შეცდა? შეცდა თუ არა?
მაგრამ როდესაც სამეგრელოს გადაუარა
ხალხი გამარცვა და უმწეოს ადინა სისხლი
სუყველა ვიცი, აწონილი გულში მაქვს მისხლით.
შევფიქრიანდი ეს რა არის, ეს რატომ ხდება?
თუ ვერ ფლობს საქმეს რად არ წავა, არ გადადგება?
მე არ ვიყავი აფხაზეთში სისხლისღვრის მდომი
და ვერც გავიგე რა ყაიდის იყო ის ომი.
გულღიად ვიტყვი, საქმე სწრაფად გადაწყდებოდა
მაგრამ ვინ იცის ვის რა სურდა, სად რა ხდებოდა.
თავად განსაჯეთ ერთი ასჯერ ავიღეთ ლაზრა
დაცვის მაგიერ გავაშიშვლეთ ბზიფი და გაგრა
ტყვარჩელმა ორჯერ დანებება გვაცნობა ნებით

ფრონტი არ მოვსპეთ, არ ავიღეთ არასდიდებით
ტამიში-კინდღა ცხრაჯერ მაინც ავიღეთ ხელში
შემდეგ ვტოვებდით, ხალხს ვაგდებდით სევდიან დღეში.
თვეობით იჯდა ჯარისკაცი წყლიან სანგრებში
წინ არ ვუშვებდით და იმედი გაგვიწყდა წელში.
გენერალია ვინც წააგო სულ ყველა ბრძოლა
პოლკოვნიკია ვინც ისწავლა თოფის გასროლა.
თვით ამერიკა ვერ დაითვლის ჩვენდენ გენერალს
მტერს ვახარებდით და მოყვარეს ვუბრმავებდით თვალს.
ვის სჭირდებოდა ვის უნდოდა ასეთი ომი
მოღალატეა თუ შემცდარი ამ ყოფის მდომი?
მე ასეთებთან რა ხელი მაქვს, რაზედ ვეფერო?
ორი სიცოცხლე არ მეყოფა ეს რომ ავწერო.

**ნოდარ ნათაძე –**

საკვირველია თავხედობა ვიღაც-ვიღაცის
ჩემი შენ გითხარ, სიტყვით მოგკალ, ასე იმახის
ერთი პირობა თავს ვურჩიე ნუ ითხოვ სიტყვას
მაგრამ სათქმელი სათქმელია და უნდა ითქვას
საქმე განვსაჯოთ ყურს ნუ ვუგდებთ საქმიან ჭორებს
ენის აყოლა ზღვას დააშრობს, ზვავს ააგორებს
მიმოიხედეთ ხალხის ხმასაც მიუგდეთ ყური
შუქი არ არის, სამსახური, ტრანსპორტი, პური
კაცთა მრუშობა, მარცვა-გლეჯა, დაყაჩაღება,
შორს რას მივდივართ, რუსთაველზე ჩვენ თვალწინ ხდება.
ჩვენ მოთმინებას ვუქადაგებთ, ამ დროს პათოსით
თან ხალხს ვაშინებთ აფსუათი, რუსით თუ ოსით.
მოდით შევთანხმდეთ აღარ გვინდა მიეთ-მოეთი
ვინ ვაჟკაცია, ვინ გვადინა ცხვირიდან ზეთი.
აქ ყველამ ვიცით ვინ ვინ არის, ხალხმაც იცოდეს
ვინ სად კაცობდა, ვინ და როგორ, სად და რა სცოდეს
დღეს აქ დავუსვათ ყველა მითქმას მძიმე წერტილი
არავინ დარჩეს პირუთქმელი, გულდაწყვეტილი

**ვახტანგ გოგუაძე –**

აზრთა ჭიდილში იბადება ჭეშმარიტება
ჭეშმარიტება ბადებს აზრთა გამოთქმის ნებას
და თუ მივსდიეთ ლოგიკურად სიტყვათ დინებას
სესიის წესი, დღის წესრიგი ხომ შეიცვლება?
ასე ვფიქრობდი განვიხილავთ გეგმიურ ამბებს
ვნახავთ კანონი ვის და როდის, სად რას მიაგებს
ადრეც გითხარით ათასგვარი პრობლემის ნაცვლად
პირველად იყოს ეთიკური ნორმების დაცვა,
მეორე არის, მიკროფონი? ხუთი და სამი
საქმეს მივხედოთ, დავიზოგოთ წუთი და წამი

**ირაკლი წერეთელი –**

სპიკერს მივმართავ. თუ გვიძღვები და ხარ სპიკერი
არ უნდა იყოს აქ ბატონი, შვილი და გერი.
მიკროფონებთან ხალხი იცდის შენ მასხარაობ
სადეპუტატო ოლიმპს გვიქმნი და გვიქმნი ჭაობს.
რა დროს ეთიკა, მისი დაცვა, საგანი არი
ერის ერთობას გაუჩინეთ ამგვარად ბზარი.
სად ეთიკაა და სად შენი ბატონის ქცევა
თუ არ შეგეძლო სპიკერობის ტვირთის აწევა
თუ შენი სიბრძნე ანეკდოტთა მოყოლა არი
გამოაცხადე, რომ დღეიდან ხარ გადამდგარი.

**ვაჟა ადამია –**

არვინ იფიქროს პოზიცია, ოპოზიცია
მე ეს არ ვიცი, იმაზე ვთქვათ, მე ის ვიცია–
მოდი დავწუნარდეთ და ჩვენს ბედზე ვიმსჯელოთ მკაცრად
თან გავარკვიოთ ჩვენი ბედი ჩვენ გზას რად აცდა.
ჩვენი წახდენა ვის აწყობდა ვისია ბრალი
ვინ ბატონია და ვინ არის აქ შესაბრალი
ამ საკითხებზე თუ დაგვჭირდა ვინმე მრჩეველი
მეისტორიე აქ ბრძანდება ჟამთა მროველი.
მე ასე ვფიქრობ ქვეყნის კრეპი დღეს თუ ქურდია
დამნაშავეა არა მხოლოდ გამსახურდია.

ექსპრეზიდენტზე ბევრი ვთქვით და ბევრი ვიდავეთ
გამოუცდელი, უნიათო შინა თუ გარეთ
ეგონა მართლა მეფე იყო, პრეზიდენტობდა
სამი მანანას ნანინანას სულაც ვერ გრძნობდა.
როცა ოცნებით დაფრინავდა მეშვიდე ცაზე
ის გაისტუმრეს ლტოლვილთა გზაზე.
ამჟამად ვიტყვი, ხალხთან იგი დამნაშავეა
და კი არ ნანობს, ღალატს ფიქრობს რამდენი თვეა.
მაგრამ იქნება სისულელე ვიფიქროთ ასე
იგი ერთია მოღალატე, ვერ ვნახავთ მსგავსებს.
თუ ნებას მომცემთ, ასეთია ჩემი სათქმელი
ზვიადი უფრო უვიცია ვიდრე სულელი.
მისი ღალატიც შედეგია მანანას ნების
და ამით მოვრჩეთ, დროს დაკარგვა აღარ ეგების.
არა ნაკლებად დამნაშავე სხვანიც არიან
მოტრაბახობენ მჯიღს იცემენ გულში გვარიან.
მე ასე ვიტყვი, რომ სამხედრო საბჭოს წევრები
სამეფო ტახტთან მისულები სხვადასხვა გზებით
არა ნაკლებად ცოდვილები არიან ქვეყნად
ამიტომ იყო ისე მედგრად რომ იდგნენ ერთად.
თქვენ აბა ჰკითხეთ, როგორ მთხოვდნენ საბჭოს წევრობას
თანასწორობას მპირდებოდნენ, ქონებას, ძმობას.
ბუნებით არ ვარ მოღალატე და არც სულელი
გზასაცდენილებს მეგობრულად ჩავჭიდო ხელი.
სამხედრო საბჭო-სახელმწიფოდ გადაქმნეს როცა
შევარდნაძემაც არა ერთხელ მთოვა და მლოცა.
მანამდეც გვქონდა საუბარი და არა ერთი
მე დავიფიცავ მანაც ბრძანოს თუ კი სწამს ღმერთი
ზვიადის წასვლას ბევრი რაზე ედო საფუძვლად
არ მომხდარიყო კარგი იყო ეს ასე მურდლად.
ეს ოთხეული მასზე მეტად არი ცთენილი
ქვეყნის ღალატში, დაქცევაში დიდი აქვთ წვლილი.
მაგრამ რა სცოდა, რა დაგვაკლო რათი რომელმა
მეტადრე იცის მოგვახსენოს ჟამთა მროველმა.

**ვახტანგ გოგუაძე –**

ქამთა მროველი დეპუტატი არ არის ჩვენი
დასწრების ნება მე მივეცი ვით დიდი მღვენი
ახლა თქვენ გინდათ აზრი გვითხრას და გვიკარნახოს
ჩვენს პროცესებში ჩაიხედოს, შიგ ნიდან გვნახოს
აბა უყურეთ აქ არიან ჟურნალისტებიც
ხმას არ იღებენ ეთიკა აქვთ, კანონის ნებით.

**ირაკლი წერეთელი –**

ფილოსოფია ერთობ რთული საქმე ყოფილა
ფილოსოფიამ სპიკერს აზრი შეაცვლევინა.
ბატონო ვახტანგ, დალოცვილო, ჩვენო სპიკერო
როგ ორც გინდოდეს ისე დაჭრა, ისე შეკერო
ღმრთი არ არის? დეპუტატებს მასხარად გვიგდებ
როცა თქვენ გაწყობთ ათქმევინებთ როგ ორც გ სურთ იმდენს
დღეს ტრიბუნასთან ხალხი ვნახე უფრო ფრიადი
პეტრიაშვილი, სივსივაძე, თავად ზვიადი.
ქამთა მროველიც ხომ აქ იყო აზრებს ამბობდა
იქნებ იმის თქმა თქვენსა ბატონს კიდეც აწყობდა.
ახლა სხვაც გვინდა მოვისმინოთ, ამის მთხოვნელი
ჩვენში ბევრია, თქვენ მიუშვით ქამთა მროველი.

**ქამთა მროველი –**

მადლობას ვწირავ მაღალ ღმერთს და თქვენსა დარბაზსა
სულ არ მეგ ონა მოისმენდით კვლავაც ჩემს აზრსა.
საზარი სიტყვა-მოღალატე, აქ ითქვა ბევრზე
კიდევ რამდენის სახელია თქვენს ენის წვერზე.
როცა ვცდილობდი გ ამერჩია დიდი-პატარა
კვალზე ვიარე, საქართველო შემომატარა.
ყოველი სცოდავს, ზოგ ი ჩუმად და ზოგ ი ცხადად
თუ მიუყენე ყოველ ცოდვის სასჯელის ვადა
უსაზღვრობაში გ ადიზრდება მსგ ავსი საქმენი
ამიტომ უნდა შევამოკლოთ სიები თქვენი.
და თუ დავხვეწავთ შინაგ ანად ამ მოკლე სიას
პირველად ვიტყვი რა ცოდვა აქვს იოსელიანს.

**ჯაბა იოსელიანი –**

ვიცი რას იტყვის, რომ ვიყავი წარსულში ქურდი.

**ქამთა მროველი –**

თუ დამაცლიან დამჭირდება სულ ოთხი წუთი.
თქვენი სპიკერი ეთიკაზე ბევრსა მსჯელობდა
კი არ ცდებოდა, მინიშნებას აზრი არ ჰქონდა.
თქვენ აბა ნახეთ, სხვა ქვეყნებში არის კანონი
ვინ შეიძლება მათში იყო მეფობის მდომი.
რატომ გადადგა რიჩარდ ნიქსონი? როგორი იყო ჩეინის ბედი?
ან უკეთესი. პრეზიდენტი რატომ ვერ გახდა  ედვარდ კენედი?
თანამდებობა ჩვენთან ყველას ხელეწიფება
რა წარსული აქვს ან რა აწმყო სხვას არ ეხება.
იოსელიანს აქ ეგონა ვუხსენებ წარსულს
მისი წარსულის შეფასება არავის არ სურს.
მთავარი არის დღეს როგორი დადის მორალით
გარს ვინ აკვრია, ვის მფარველობს დღისით და ღამით.
თუ მხედრიონში ყაჩაღია თუნდ ათი კაცი
როგორი არის მისი სახე, მისი ლაზათი?
ან და უბრალოდ, აცხადებდა: მე გადავდგები,
ქართველთა შუღლის მონაწილე მე არ გავხდები.
და იმას შემდეგ სად არ იყო, რა არ გადახდა
რა არ იცრუა, არ წავიდა და არ გადადგა
ვინ აცადებდა, თუ დაეცა სოხუმი ჩვენი
ტერორს მივმართავ, დათვლილია მოსკოვის დღენი?
ოღონდ მხედრიონს იარაღი არ დაეყარა
მეხანძრეებად ნათლავდა მათ, ის წარა-მარა.
ვაგლახ სადღაა მველებური კაცურ-კაცობა
თქვი-შეასრულე, ჯანმრთელობის რად გინდა ცნობა.
არავინ ამბობს ცეტი არის ანდა უტვინო
მაგრამ ქვეყანას უძღვებოდე, იყო საჩინო
ხომ უნდა იყო გარკვეული, კომპეტენტური
და ხელმძღვანელი დადებითად გამორჩეული?

**ჯაბა იოსელიანი –**

ეს ყველაფერი სულ ზოგადი არის სიტყვები
ზღაპრებსა ჩმახავ, პეტრიაშვილს კვალში მიჰყვები.

**ქამთა მროველი –**

თუ მე ვტყუივარ, თავი მოგაქვს შენ კაცურ-კაცად
ნავთობბაზაში ვინ გააგდე, ვინ დასვი ნაცვლად?
დღეს ის ყმაწვილი ვინც პირველი მოადგილეა
ვისი კაცია ისიც გვითხარ რა მოხელეა?
ანდა ბენზინი ასტონობით მომღვნილი შიშით
სასომხეთისკენ ვინ წაიღო, რა ანგარიშით?
ვფიქრობ ჩამოთვლა ფაქტებისა ზედმეტი არის
მეტსაც იტყოდნენ გაბედულნი სხვადასხვა მხარის.
აქ არსებითი ერთია და ვამთავრებ ამით
ვით ხელმძღვანელმა რესპუბლიკის, დაფიქრდით წამით
ჩვენი ქვეყნისთვის რა შექმნა ან რა გააკეთა
ხალხს რით უშველა, რით ექმნა მწედა?

**ედუარდ შევარდნაძე –**

ყველას დავასწრებ, ასე ვიტყვი ბატონმა ჯაბამ
ვაჟკაცურობით ჩვენში ყველას გადააჭარბა.
თვითონ განსაჯეთ სადაც იყო ცხელი წერტილი
პირველი იყო მეომრებში თავაწყვეტილი.
პირად მაგალითს თქმა არ უნდა დიდი აქვს ძალა
ხშირ შემთხვევაში ფრონტის პირად რჩებოდა ცალად.
ეს დიდკაცობა სათვალავში მისაღებია
მე როგორც ვამბობ მიმიხვდებით, გასაგებია.

**ირაკლი წერეთელი –**

მე ბატონ ჯაბას სხვაზე მეტად ვეთაყვანები
მისი ასაკის შესატყვის თავისი ნებით
მხედრიონელებს წინ უძღოდა ახალისებდა
გარკვეულწილად სასიკდილოდ თავსაც დასდებდა.

ამ მიმართებით დიდი არის ქართველი იგი.
მაგრამ აქ სულ სხვა წამოიჭრა საკითხთა რიგი.
პირველ ყოვლისა, რომ არა გვყავს ნამდვილი ჯარი
სამხედრო საბჭოს წამყვან წევრის ბრალიც ხომ არი?
მაშველთ კორპუსი იძახოდა და მხედრიონი
ეს დიდი ბანდა ნამდვილ ჯარს ხომ ვერ გადასწონის.
სადაც შევიდნენ ყველა კუთხე საჯიჯგნად უჩნდათ
მიტომ მონათლეს თვითეული ყაჩაღად, ქურდად.
ცოდვას ვერ ვიტყვი მხედრიონშიც ბევრია კარგი
ერთიც არაა დასაცინი და დასაკარგი.
ათას ღორს გასვრის ერთი ღორი ტალახიანი.
მან შეაერთა ქურდების და კაცების გზანი.
და ისე მოხდა, ადრე ქურდი დანას მალავდა
მის დროს ავტომატს დაეუფლა, დამცველსა ჰგავდა.
ადრე ქურდები საქმეს ბჭობდნენ ბნელ სარდაფებში
მან წამოჭიმა ყველა დიდ-დიდ კაბინეტებში.
ამიტომ არის, ქურდებისთვის იგი ხატია
მაგრამ ხალხისთვის ღალატი და მოღალატეა.

**ნოდარ ნათაძე –**

მე ასე ვიტყვი, ჩამომართვით როგორაც გსურდეთ
მცირე ცოდვაა თუ მფარველობ ყაჩაღებს, ქურდებს
ასევე მცირე თუ არ გინდა შეიქმნას ჯარი
მაგრამ შენ თუ ხარ მოადგილე მხედართმთავარის
და ვერაფერი ვერ ააწყვე ქვეყნისთვის ამ დროს
თუ დაეყრდენი რაიონის და სოფლის სამმოს
თუ იმედი გაქვს ქუდზე კაცის დამახებისა
ან სულელი ხარ, ან დებილი იმედით სხვისა.
ამ დროს ტრაბახი ამას ვიზავ, იმასაც შევძლებ,
იმას მოვრჩები, იმის იმას დავიწყებ შემდეგ
და ამავე დროს არ აკეთო სახალხო საქმე
რის იმედი გაქვს ან შეგრჩება მითხარ სადამდე?
იმას არ ვიტყვი პარლამენტში არჩევნების დროს
ამომრჩევლები ჰყავდათ შიშში ამ თუ იმ სამმოს
მაგრამ აქ რომ ხარ და არ ფიქრობ ქვეყნის საქმეზე

თან თავი მოგაქვს, ჭკვიანი ხარ სხვებზე და სხვებზე.
არც რა იცოდე, არც ისმინო სხვისა და სხვისა
იმედით იყო მხედრიონის ავტომატისა.
ხალხს აშინებდე და ტერორი მეფობდეს ქვეყნად
მოღალატე ხარ ზვიადზე ბევრად.
გაორებული ბუნებით და მდგომარეობით
მძარცველთა ძმობით, მშრომელთა მტრობით
როდემდე გინდა ქვეყნად მეფობდე
ხალხს დასცინოდე და ბედსა გმობდე?
თუ მხედრიონი არ გაუქმდა, არ დაიშალა
თუ არ შეიქმნა ერთიანი სამხედრო ძალა
თუ სახელმწიფო სახელმწიფოდ ჩვენ არ ვაქციეთ
იმას დავჯერდით რაც ვძარცვეთ და დავაქციეთ
თუ არ შევკრიბეთ რაც გადარჩა მისხალი მისხლით
თავისუფლების არ ვყოფილვართ ეტყობა ღირსი.

**ჯაბა იოსელიანი –**

თქვენი თუ ითქვა, ჩემიც იყოს მოსმენა წუთით
საქმე ისე ჩანს, ვინ შეხედავს რომელი კუთხით
დღეს მხედრიონი, ასე ამბობთ, ბანდაა მხოლოდ
ჩვენ რომ არ ვიყოთ იქნებოდა კეთილი ბოლო?
საქართველოში სადაც იყო ცხელი წერტილი
მხედრიონელთა დროშა იყო ყველგან გაშლილი
მხედრიონელი არა მხოლოდ მეომარია
და სასიკვდილოდ განა ვინმეს მიუხარია?
თუ ვინ იკითხა ხალხი ომობს, სისხლსაც გაიღებს
არ გაიხარებს მაგრამ მტერსაც არ გაახარებს
ჩვენ კი საჭმელი მაინც მივცეთ მებრძოლ ბიჭებსა
ჩვენს სისხლს და ხორცსა, ჩვენ შვილებსა და ჩვენსა ძმებსა.
როგორი არის კვირით კვირა და თვიდან თვემდე
მშიერ-მწყურვალი ცივ სანგარში ღამეს ათევდე.
ასეთ დროს ზოგი ახალგაზრდა თუ სწორ გზას ასცდა.
არ უნდა გვქონდეს მათი მტრობის ამგვარი განცდა.
მე არ უარვყოფ ყაჩაღობის არის ფაქტები
მაგრამ არც ისე როგორც ჩვენზე დააგდეს ხმები.

რაც შეეხება ჩემს ზნეობას, ვითომ მეფობას
მე გაოცებით ახლა ვისმენ ამდაგვარ ცნობას.
თანამდებობა არასოდეს არ მიზიდავდა
და არც სხვა იყო ჩემოდენა ტვირთს რომ ზიდავდა.
მე მაიმულეს და ავწიე აუწეველი
მაგრამ ამ ქვეყნად თუ გამოჩნდა ისე სულელი
რომ მძიმე ტვირთი ჩამომართვა მხრიდან სათუთად
თუ ამ საქმიდან გამოველი უვალოდ, სუფთად.
თანამდებობას ვტოვებ მეისვე, ნახეთ შემცვლელი
აქ კომედია თამაშდება მე ვატყობ მველი

**ჯანსუღ ჩარკვიანი –**

პროტესტს ვაცხადებ, ბატონ ჯაბას დავიცავ მკერდით
ნამდვილ ჯაბისტებს დავიყენებ დამცველად გვედით
რატომ არ ფიქრობთ მისი წასვლა ჩვენ დაგვაობლებს
რა სიტყვას ვეტყვით ჩვენს მოხუცებს და იმათ მშობლებს
კაცი მებრძოლი, მეომარი დღისით და ღამით
ვერ დავიცავით ვეღარც სიტყვით და ვეღარც მალით.
ნაკლულ მხარეთა ჩვენ დავიწყეთ აქ განქიქება
მაშინ ვიღამ სთქვას მასზე კარგი და მისი ქება?
მოკალმე არის დრამატურგი სწორუპოვარი,
მძიმე დღეებში მან ჩამოჰკრა განგაშის ზარი
ჯარი შეჰკრიბა როგორც შესძლო და როგორც იყო
მაგრამ როდესაც რესპუბლიკა ასად გაიყო
ერთიან ჯარზე ლაპარაკი დამთავრდა მეისვე
ბევრიც შეშინდა, ის კი ბრძოლას აგრძელებს ისევ.
უთაურობით ჩვენ დავღუპეთ ჩვენივე საქმე
და ახლა გვინდა ბრალი ჰქონდეს ვიღაცას, სადმე.
ბევრი ილაყბეს აქ ნათამემ და ადამიამ
მათაც ჰყავთ რაზმი და ამ ყოლას ღალატი ჰქვია?
ერთი ბევრს მარცვავს, მეორე კი გამარცვავს ცოტას?
მაშინ კანონით შემოვიღოთ მძარცველთა კვოტა
ხოლო რადგანაც ჩვენ არა გვაქვს მსგავსი კანონი
ჯაბას შეეშვით, ნუ იქნებით ღალატის მდომნი.

**ლუიზა შაკიაშვილი –**

მე ერთს ვეტყოდი ჩვენს პოეტს ჯანსუღს
სულით რად შფოთავს ან გულით რად დუღს.
სახალხი ფრონტის რაზმი ,,იმედი‘‘
გვარდიაშია, სხვა არ გვყავს მეტი
კოსტავას რაზმიც დიდი რომ სჩანდა
გვარდიის შიგ ნით გაერთიანდა
მხედრიონია ის ერთად-ერთი
რომ არ მოაკლდა არც ერთი წვეთი
და სამთავრობო ჯარებთან ერთად
ჩვენს შორის რჩება ის ომის ღმერთად
დღეს მხედრიონის შენარჩუნება
ღალატის გზაა, აზრი და ნება.
დღეს მხედრიონი ეურდნობა ჯაბას
და ერთად სწევენ ღალატის ჭაპანს.
ურთმანეთოდ ჩამოჰკავენ მწირს
ხელი ხელსა ჰბანს და ორივე პირს.

**ჯაბა იოსელიანი –**

ნოდარ ნათაძის მე მაკვირვებს სიტყვათ თამაში
დანაც არა აქვს გარჭობილი უნდილ ქამარში
პისტოლეტებიც ვგონებ მხოლოდ ფილებში ნახა
ალბათ ამიტომ გათამამდა, გარდაისახა
ეს პარლამენტი დიდ კურდღელთა საკრებულოა
ისე ხტუნაობთ ეს სესიაც თქვენი ბოლოა.
მსუქანი თაგვი ნადირობას უმართავს კატებს
და მოღალატე სხვას ემახის-შენ მოღალატე.
მე აქ ვიფიქრე და გითხარით როგორაც მსურდა
ვაჟკაცები ხართ, დაბინრუნეთ კუთვნილი ხურდა.

**ვახტანგ გოგუაძე –**

დეპუტატებო, ძმებო, დებო გამოთქვით აზრი
მაგრამ მიმართვა ნუ იქნება დაცინვა მკაცრი.
აქ ბევრსა ვხედავ, ბევრი არის სიტყვის მთხოვნელი
მიკროფონს ჩავრთავ შემდეგს იტყვის ჟამთა მროველი.

**ჟამთა მროველი –**

ჩვენ თუ ღვარძლსიტყვის და მუქარის გზებით ვიარეთ
კიდევ ბევრს გავხსნით სისხლ და ცრემლის სადენ იარებს.
ამიტომ ვიტყვი ხელმძღვანელი ქვეყნის თუ სახლის
გამორჩეული არის თურმე სამგვარი სახის:
ერთია იგი ვინცა ფიქრობს და აზრებს ამბობს
მეორე მხოლდო საქმეს მისდევს სიტყვას არ დარდობს.
მსამემ თითქოს ერთი იცის, იცის მეორე
არაფერს მისდევს, ენაჭარტლობს არის მოენე.
ყველაზე კარგი სახლისათვის მუდამ ის არი
აზრი უჭრიდეს, ხელთა ჰქონდეს ბარი, ისარი.
ერთნი აგინებთ, მეორენი ემახით ჭკვიანს
ლოთ ქობალიას, კიტოვანს თუ იოსელიანს.
მათ ცხოვრებაში ის აკეთეს როგორც იცოდნენ
რა ადარდებდათ სხვის ნათქვამზე თამამად ხტოდნენ.
არმია იყო, გვარდიაა თუ მხედრიონნი
ხომ გუშინ იყო გაიხსენეთ წასული დრონი
აღტყინებული ხალხი თვითონ მოითხოვდა ჯარს
ფიქრობდა ამით მოიჭამდა დამონების ჯავრს.
და ბევრი ვისაც მკლავი ჰქონდა, გული ერჩოდა
და ბევრი ვინაც გამორჩენის ახალ გზას გრძნობდა
იმ კაცებს გაჰყვა ვინც პირველმა უთხრა კაცური
ეს ხომ არ იყო ანაზომი, ამონაწური.
ბევრი, რომელმაც არასწორი იცოდა ხედვა
იარაღს ენდო, იარაღით დაიწყო ჭედვა.
ასედაც ვიტყვი ვინც ყველაზე არის ჭკვიანი
მაშინ სად იყო, რად გაუჩნდა აზრი გვიანი?
ადრეც გითხარით ყველაფერი სწრაფად წავიდა
ჭკვიანი ხალხი თ□ვის საქმეს სდევდა თ□ვიდან.
ახალგაზრდობას, ხელმოცარულთ დრო ბევრი ჰქონდათ
და მიტინგიდან მიტინგამდე დროშა დაჰქონდათ.
მევირალა ხალხმა კარგად იგრძნო ის დრო და ჟამი
საქმეს მიხედეს არ დაკარგეს ტყუილად წამი.
სანამ მამაცნი ჯანს ყიდიდნენ, ეყიდათ პური
ვინაც იყვირა სახელი აქვს დღესაც კაცური.

ჯარის შემკრები მხატვარია და ან მოლექსე
სამხედრო იყოს ჯარს შექმნიდა სამხედრო წესზე.
ახლა რას იზავთ, ახლა მალა მა□გათ ხელშია
ქვეყანა მიტომ დაქცეული შავბნელ დღეშია.
აქ ლაპარაკი აღარ გვინდა ისეთ „გმირებზე“
შევარდნაძეს რომ კუდში სდევდნენ საომარ გზებზე
მიტოვებული ჰქონდათ საქმე რაც კი ებარათ
ოღონდ კი პირველს თვალი ევლო და გაეხარათ
ლითანიშვილი, გაბაშვილი თუ მრავალი სხვა
ვით იქნებოდნენ ჩვენი მტრების ზარი და რისხვა
საქმე მიაგდეს მინდობილი, სანგრებში ხტოდნენ
ასეთი ჯარით იერიშზე გადავიდოდნენ?
ახლა შედეგი ცნობილია გაგვიტყდა ჯანი
ყარყარაშვილიც აქვე არის და კიტოვანი
თენგიზ ბატონი დილას იყო სათქმელად სიტყვის
იმდენი ითქვა, ამოსწურა რაც სურდა თითქმის
ახლა მეც ვიტყვი, მე რომ ვუთხრა უპრიანია
რაში თეთრია, რა საქმეში მურიანია.
გვარდიის შექმნა სახელია არა მცირედი
კიტოვანია მისი შემძლე და შემოქმედი
დამსახურება დიდი არის წინაშე ერის.
ცდება ვინც ხვალის მომლოდინე წარსულზე მღერის
და კიტოვანსაც კარგთან ერთად ბევრი აქვს ცოდვა:
სხვის აზრს არ სცნობდა, საკუთარი არ ჰქონდა ცოდნა
ცუდ ცოდნას მოსდევს საქმის ხელში ცუდად მოკრება
იციან მტრებმა და იწვნიეს ყველა მოყვრებმა.
ბევრს არ დავიწყებ ასე იყო, ისე და ისე
ჯარი ისაა თუ დაგჭირდა მზადაა მყისვე.
აქ კი რა იყო, აცხადებდნენ ესა და ესა
ზეგ მოდით ჩვენთან თოფით ხელში როგორც გაქვთ წესად
სად გაგიგიათ რომელ ქვეყნის, რომელი ჯარი
სახლებში ლოთობს, მამულია მიუსაფარი.
რადგან გენერლის ცოდნა, ხელი ყველას ვერ წვდება
ქვეყნად მომრავლდა გვარდიისგან დაყაჩაღება.
შემდეგი ცოდვა ორპირული არის ბუნება

ვერ აიცდინა იქით–აქეთ ხტომის ცდუნება.
მონარქისტია, რესპუბლიკელი ,ერთიც–მეორეც
სიტყვით თერგ ია მოტრაბახო და საქმით მდორე.
ზვიადს ებრძოდა, ქობალიას თოფსა სჩუქნიდა
აქ შოულობდა, ჰპოულობდა იქითა მხრიდან.
ქუთაისს იჯდა და გაგ რაში სიმაგ რეს ქმნიდა
 სახლს იშენებდა, დაჰყურებდა ქვეყანას ციდან.
როცა მინისტრად არ მიიღო თქვენმა დარბაზმა
კაბინეტს დაჯდა, ურუდლები შიგ ნით ჩარაზა.
ახლა დრო აქვს და რომ იცვალოს მოქცევის ქურქი
იქვე მიართვით წაიკითხოს დიდი ლიკურგ ი.

**ედუარდ შევარდნაძე –**

ჩემი აზრია, ასე მკაცრად ნუ ვიტყვით სათქმელს
უმჯობესია მივუბრუნდეთ ხვალინდელ საქმეს.
,,ეს–ენ–გეს‘‘ ბედი გ არკვეულად ხომ გვაბარია
მასზე ვიფიქროთ, გ ადავწყვიტოთ ჩვენი ვალია.
ყარყარაშვილი, კიტოვანი, თუ რა გვარია
ვიცი რომ ყველა ჩემი ახლო მეგ ობარია
პოლიტიკურად თუ აზროვნებთ, ასევე ვამბობ
ჩემი გ ითხარით, შინაარსის გ აგ ებას გ ანდობთ.

**ზურაბ ჟვანია –**

მე თქვენი სიბრძნის გ აგ ონების ვარ მოყვარული
აქეთ თუ ამბობთ, აქეთ მომწონს, აქეთ სცემს გ ული
იქით თუ ამბობთ ეს ხომ სიბრძნის სიბრძნეა მხოლოდ
და ამიტომაც თქვენი სიტყვა მწამს უცილობოდ.
ახლა რომ ბრძანეთ კიტოვანი–კიტოვანია
მეც ვუკვირდები ასე არის ერთი ხანია
მახსოვს, როდესაც ბატონ ზვიადს ებრძოდა უმად
თან ასათიანს იფარავდა მხრებით მალულად.
ასათიანიც ვითომ იყო გ ულით ნაკბენი
იმალებოდა რომ ჰქონოდა ახლა სათქმელი.
ოხ. როგ ორა ვგ რძნობ, როგ ორ ვაჭრობს ყველა და ყველა
ყველა ბრძენია ამ დარბაზში რომელიც ელავს?

მე სიბრძნე მხოლოდ თქვენი ვიცი ნაფარდაგები
დე შურით გასკდნენ ფრონტელები, მათთან მრგვალები
თქვენი სიბრძნეა, რომ შექმნებით დიდი პარტია
თქვენი წყალობა, მისი მდივნის დამაქვს მანტია
მხოლოდ თქვენ ბრძანეთ, თქვენი სიბრძნის ვარ მოყვარული
საითაც ამბობთ, იქით მომწონს, ისე სცემს გული.
ერთ სიბრძნეს ვიტყვი, რომ დაესხას კიტოვანს რეტი
მოდი ვივაჭროთ, შემასყიდე ეგ კაბინეტი.
ფრონტელებს ვეტყვი, სახალხოა თუ თქვენი ფრონტი
სად გყავდათ ხალხი როცა ჭირდა, დაგევსოთ ყრონტი?
ოხ, ეს მრგვალები, საცინალნი, ვითომ მრგვალები
ალბათ ჰგონიათ სმენა არა გვაქვს, არ გვაქვს თვალები
გრძელი-გრძელია, მრგვალი-მრგვალი და ფართე-ფართე
სხვა თუ მრგვალია ,მე ვყოფილვარ არწივის მართვე.

**ვახტანგ გოგუაძე –**
ჩემი ხუმრობა ყველას მოსწონს, მიტომაც ვხუმრობ
მაგრამ ეთიკა თუ ირღვევა, მკაცრად ვსაუბრობ
ეს რა გამოდის თითქოს მრგვალი არ არის მრგვალი?
მალით მტერს ვიჩენთ და მოყვარეს ვაშინებთ მალით?
ეს რეპლიკაა, მეტს არ ვიტყვი, თუმც მაქვს უფლება
თენგიზზე ითქვა ამ საქმეს ვინ მიუბრუნდება?
თენგიზ კიტოვანს სიტყვა მივცეთ განხილვის ბოლოს
ორატორობას ნუ მოჰყვება დასკვნა სთქვას მხოლოდ
მიკროფონები აბა სწრაფად ორი და სამი
დაწყნარებაში დაიკარგა ორმოცი წამი.

**თენგიზ სიგუა –**
სხვა აქ რას იტყვის მე არ ვიცი, მე ვიცი მხოლოდ
რომ ეს იქნება ამ საკითხზე პირველი სოლო
რაც უკვე ითქვა, გინდა თქმულა და გინდა არა
ზოგიც რას იტყვის უკვე ვიცი და ზიზღი მზარავს.
ზოგმაც არ იცის ეს როგორი საკითხებია
დარბაზში ღმუის არც არვის დაკითხებია
დღეს ფაქტობრივად ბრძოლა არის ახალთან ძველის

პატრიოტებთან მაფიოზთა და მათი მცველის.
თქვენ გაიხსენეთ რა ვიყავით, როგორ ვიარეთ
ზვიადიზმს მოვრჩით ვიშუშებდით ახალ იარებს.
მიწის კანონი გამოვეცი, გლეხს მივეც მიწა
იმისი იყოს მე გითხარით ვინც ხნავს და იცავს.
ქალაქს მივხედე, დრო მოვიგე, არ მიფიცია
ბაზარი შევქმენ, მარკეტინგი და კომერცია.
რადგან კრემლიდან ცუდდებოდა ჩვენი მცდელობა
ვიფიქრეთ მოვა შევარდნაძე გასწევს ჩვენობას.
ჩამოვიყვანეთ, გადავნათლეთ, დავისვით თავზე

**ედუარდ შევარდნაძე –**

ჩამოსაყვანი მე რა მჭირდა თუ არ ხარ შარზე
მე ხალხმა მთხოვა, დავაფასე მე ხალხის ნება
ამიტომ ვითხოვ ახლავ შეწყდეს ჩემი გინება.

**თენგიზ სიგუა –**

კაცს თუ სიმართლე გინებად აქვს აღმული გულში
მაშინ რაც უნდა ის ჩაესმის გამოწრთვნილ ყურში
იმედი გვქონდა ვიმეორებ იმასვე ახლაც
კაცი ფერს იცვლის და არა ზნეს, ასეა მართლაც
თუმც აცხადებდა დემოკრატი ვარ და ვიქნები
კომუნისტური დარჩა თურმე ქცევა-ფიქრები
პირველი რაიც კარგად შეძლო, იყო გათიშვა
ყოფილ სამხედრო საბჭოს წევრებს შორის რომ იშვა.
ვინანე კიდეც გვჭირდებოდა საერთოდ ჯაბა?
განა უმისოდ ვერ გავწევდით საერთო ჭაპანს?
მეორე იყო რეფორმების დამუხრუჭება
როგორ და რატომ ამ საკითხებს ყველა ვერ ხვდება.
მესამე იყო კომუნისტთა დარაზმვა გვერდით.
ჩვენ ამ საკითხზე, კიდეც გვითქვამს და კიდეც ვწერდით
ლორთქიფანიძე, ელოშვილი თუ მარგიანი
ძენი და შვილნი უჯიშონი თუ ჯიშიანნი
ბოლოს კავსაძე, მეცინება, როგორ იოძა
ოღონდ მის ძმაკაცს შესძლებოდა მინისტრად ჯდომა.

ხო, დვალიშვილი, დვალიშვილზე მე ვიტყვი მერე
მაგრამ რად გინდა გინდ იყვირე, გინდ შენთვის სწერე
მეოთხე იყო ფინანსური ღალატი ჩვენი
ამით ჩვენს კუპონს შეუმოკლა მალა და დღენი.
ადრეც გითხარით, ახლაც ვიტყვი, მისი დემური
კრემლის კაცია, მაფიოზთა მეწველი ფური.
მარჯვნივ და მარცხნივ ერთად გასცეს მილიარდები
ალბად ფიქრობდნენ საიდუმლოს ვერ მივუხვდები.
და როცა მივხვდი იყო გვიან, იყო გვიანი
ოსტატის ხელი სწორედ მაშინ, ამაში ვცანი.
თენგიზს გავუტყდი და ვიმსჯელეთ ორივემ ერთად
მაძღრებს რა გვრჯიდა, რომ მშივრები მოვიხმეთ ღმერთად.
მართლაც რა მოხდა?    ხალხს უნდოდა ხელისუფალი
რომ ექნებოდა მკტიცე ხელი, გამჭვრეტი თვალი
რაც მთავარია ეროვნული საქმის ერთგული
არ გაეყიდა კრემლის ჩინზე ცოდვილი სული.
მე და თენგიზი ამ ფუნქციებს კიდეც ავწევდით
მაგრამ ავჩქარდით, დღეს რომ ვხედავ, მაგრადაც შევცდით.
დღეს ჩვენ დავმარცხდით, დღეს ჩვენი გზა დანაღმულია
დაცემულს სცემენ, მისი ბედი მუდამ კრულია.
აქ კიტოვანზე ბევრი ითქვა კარგიც და ცუდიც
ზოგი მენიშნა, ზოგი არის აზრები მრუდი.
ჩვენ უშეცდომოდ თავი ჩვენი არ ჩაგვითვლია
ერთად ვიყავით, ერთად ბევრი შემოგვილია.
ამიტომ არის მის შეცდომებს მივითვლი ჩემად
პირში ნათქვამი არ დაგვრჩება მეგობრებს წყენად.
რაც სწორედ ითქვა და ითქმება, ჩვენია ცოდვა
თუმცა ალალად დაგვიხარჯავს მალა და ცოდნა.
უნაკლო მხოლოდ ღმერთიაო, მე ასე ვიცი
და კიდევ ვინმე ამ დარბაზში მოჰყვება ფიცილს.
მთლად უცოდველი ქვეყანაზე დამწვარი ხეა
კაცი ცოდვების, შეცდომების დიდი მახეა.
მე ვაღიარებ, ვერ გავუძელ ზვიადის ქადილს
ვერც შევარდნაძის ყალბად ღიმილს და პირქუშ წადილს
ბევრჯერაც შევცდი, რომ მეგონა ვიყავ მართალი
თურმე საცერით მიზიდია სასმელად წყალი

ზოგჯერ ხათრითაც ვტყუვდებოდი აქ ვაღიარებ
მაგრამ ღალატს კი ვერვინ მეტყვის, ვერ გაიხარებს.
თენგიზს თუ კიდევ რამე უნდა გითხრათ სათქმელი
მე კი ვამთავრებ, დამითმია დარბაზი ვრცელი.
მხოლოდ ერთს ვიტყვი, მე ,,ეს-ენ-გეს" არ დავუშვებდი
მიტომ გამიშვეს რა ვიცოდი, ახლაღა ვხვდები.

**თენგიზ კიტოვანი –**

მე რაღა გითხრათ, რასაც ვიტყვი ამათ იციან
ამიტომაა ჩუმად სხედან და ჩუმად მცდიან.
ნათამე არის, ადამია თუ წერეთელი
ჩვენ ერთ საქმეზე ერთნაირად გვეკიდა ხელი
ძმები ვიყავით განუყრელი და მეგობრები
ალბათ ამიტომ ეშინოდათ, ფრთხილობდნენ მტრები.
მათ მოახერხეს თქვენი შუღლი და წაკიდება
ხვალ მათ თავსაა, რაც ამჟ□მად ჩემ თავსა ხდება.
სულაც არ მინდა დღეს მე მათგან შემხვდეს საწყენი
ვემშვიდობები, ასე ვეტყვი-რაც გინდა ქენით.
რაც შეეხება ზოგ მინუსებს, მროველმა რომ სთქვა
მან მხოლოდ ჩემი გული გახსნა, გულისთქმა გასთქვა.
მაგრამ ერთს ვიტყვი, რომ იცოდეს იმავ მროველმა
დღეს საქართველოს გაუხსენა ღალატის სენმა.
გულღიად ვამბობ, რაც ვიცოდი ყველა ვიღონე
მაგრამ დიდ ღალატს ვერ მოვარტყი, არ მეყო დონე
და თუმც შემეძლო, მიმიხვდებით, როგორაც, ვგონებ
ახალი მსხვერპლი, ხანძარ-ნგრევა არ მოვინდომე.
იქნება შევცდი, მართალი ვარ იქნება კიდეც
რასაც დასთესავ ბოლოს იმას უნდა იმკიდე.
რაც შეეხება კაბინეტში ჯდომა არ ჯდომას
სულელებს ვთხოვდი, ნუ გადავლენ გიჟობის ზომას
და კიდევ ერთი – კიტოვანი-კიტოვანია
არ შეგეშალოთ რომ არ იყოს ზოგისთვის გვიან

**(სიგუა-კიტოვანი დარბაზიდან გადიან).**

**ვახტანგ გოგუაძე –**

მადლობა უფალს, ეს სესია თუ მორჩებოდა

სულ არ მეგონა, გული ჩემი სხაგვარად კრთოდა
კენჭის საურელი არაფერი ვფიქრობ არ არი
ნერვიულობამ გადამღალა ვარ ცოცხალ-მკვდარი.

**ნოდარ ნათაძე-**

მე კარგად მესმის ეს სურვილი, მორჩეთ სესიას
კიდევ პლიუსი მიუმატოთ სხდომათა სიას.
მაგრამ სათქმელი ბევრი დაგვრჩა ნუ აგვაჩქარებთ
ავის მოსურნეთ ნუ აცინებთ, ნუ გაახარებთ.

**ვახტანგ გოგუაძე-**

ბატონო ნოდარ, არ მეგონა თუ კიდევ რამე
გვაიძულებს ჩვენ აქ ვათიოთ ნოემბრის ღამე
ბოლოს და ბოლოს ყველაფერი გარკვეულია
დეპუტატებიც მძიმე შრომით დაქანცულია
რა გვჭირს ისეთი ვერ გავიგეთ კარგი და ავი
გასკდება გული, ეს ოხერი ამტკივდა თავი
თუ ვფიქრობდით, რომ მოღალატე დადის ჩვენს შორის
იმდენ ვინმეზე ითქვა აქ რომ სუნი დგას მძორის
ნუ ავაყროლებთ აქაობას ბილწსიტყვაობით
დავკმაყოფილდეთ წასულების კიცხვა-დაგმობით.
ვინაა მომხრე დავიშალნეთ? კენჭი ვუყაროთ
ჩავრთავ აპარატს მომხრეებმა არ დაახანოთ.

**ჭაბუა ამირეჯიბი-**

დეპუტატებო, თქვენს წინაშე თავს არ ვიწონებ
სიტყვასაც ვამბობ იშვიათად თქვენც ხედავთ ვგონებ
არც ახლა მინდა აქ სათქმელი გავწელო დიდზე
მაგრამ თუ კაცი ფეხს გადადგავს დაკიდულ ხიდზე
ვალდებულია მოზომილად სწრაფად იაროს
რომ არ აიბნეს, მღვრიე ტალღებს არ მიეფაროს.
ჩვენ ეს საკითხი, სათქმელადაც ძალზე ძნელია,
ვერ გავიარეთ, ვერც დავტოვებთ, გასავლელია.
დავრჩეთ ვისაც სურს, ისინი კი ვისაც არ უნდა
უკანა კარით გაიკრიფონ ერთბაშად, გუნდად.
იმასაც ვნახავთ სესიები ვისთვის მახეა

ვინ ზედმეტია, რომ მოვკვეთოთ ვისთვის ახია.

**ივლიანე ხაინდრავა–**

მეც ვ...ვეთანხმები ამ ს...საკითხის ამგავრად დ...დასმას
კ...კითხვათა წყება მომაგონებს მძივების ასხმას
მაგრამ პასუხი ამ კ...კითხვებზე არა ჩანს ჯერაც
თუ მოვინდომეთ ამოვიცნობთ, მე ასე მჯერა.
სამი მაქვს კითხვა, ჯერ პასუხი არ მოუციათ
ნარკომანია, პ...პროსტიტუცია, კ...კონსტიტუცია.
ჩვენ ნარკომანებს დამნაშავეს ვეძახდით უწინ
აღარ ვდაობდით, არც ვითვლიდით კენტი თუ ლუწი
სადაც ჯერია ვისტუმრებდით და ამით სხვები
ამ ჭირისაგან შორსაც იყვნენ და დაცულები
დღეს ასე ვამბობთ: ნარკომანი–ავადმყოფია
ხალხის შვილია, ხალხისგან რა გასაყოფია
ჩვენ მხოლოდ ვეძებნოთ ვის შემოაქვს ნარკოტიკები
საზღვრებთან დავდგეთ, საიმედოდ ჩავკეტოთ გზები.
თავს ვიტყუებთ თუ ვატყუებთ სხვას, არ ვიცი კარგად
მაგრამ იმედი გადარჩენის ხომ დაიკარგა.
პროსტიტუცია მე რომ ვიცი პროსტიტუცია
ვინ სად ყოფილა, ვინ უცვნია, რა მიუცია
წალეკილი ვართ იქ თურქეთი, იქით სირია
რა ხდება ჩვენს თავს, რა ტრიალებს, ეს რა ჭირია.
კაცები არ ხართ? აბა ნახეთ თქვენი ცოლები
იყიდებიან სხვის ბაზარზე როგორც მონები.
მესამე იყო ძირითადი კანონი ჩვენი.
ჩვენი უფროსი კაცი არის მცოდნე და ბრძენი
და რომ არ მოხდეს მე პასუხად მივიღო სულ სხვა
პირადად უნდა მოკლედ კითხვა ასე დავუსვა:
ნარკომანიას ვერ ებრძვით და პროსტიტუციას
იქნებ მიხედოთ გაბაზრებულ კონსტიტუციას.
თუ ამერიკამ ორ კვირაში, ერთ კაცის ხელით
შექმნა ისეთი, მეარადაა ორასი წელი.
ჩვენ რაღა მოგვდის? არვარგივართ ვთქვათ მეომრებად
შრომა არ ვიცით, დავმათხოვრობთ წყებად და წყებად

თქვენ მაინც ხომ ხართ უდიდესი, უდიადესი
რა გაგიჭირდათ შეგედგინათ ეს განაწესი?

**ედუარდ შევარდნაძე–**

მე პატივსა ვცემ ხაინდრავას, სხვებსა და სხვებსა
აქ ბევრსა ვხედავ მეგობრებს და ამხანაგებსა
და რომ არავის არ შეექმნას დასკვნები მცდარი
უნდა განვმარტო ეს საკითხი როგორაც არი.
ჯერ კიდევ შარშან, სახელმწიფო საბჭოში, იცით,
მე არ დავიწყებ მოგონებას და ტყუილ ფიცილს,
ჩვენ დავაფუძნეთ მთელი რიგი კომისიები
შემადგენლობაც განუსაზღვრეთ, წევრთა სიებიც,
მუშაობს ხალხი იმას შემდგომ, რა გსურთ, რა გინდათ
საკითხები აქვთ უამრავი მღვრიე და წმინდა
ზოგი რამ უკვე მიღწეული შევნიშნე მვრები
მაგრამ ზოგია იმისთანა ვერას გახდები.
ამასთან ერთად კარგად იცით ომში ვიყავი
ვერ მოვიცალე, საჭირო დრო ვერ გამოვყავი
შესამოწმებლად მოდი შევქმნათ ჩვენ კომისია
მე დავამტკიცებ, შეადგინეთ მსურველთა სია.
თუ დამიჯერებთ, რასაც გეტყვით, ის გადაწყდება
მიმოიხედეთ მეზობლებში რა არა ხდება
ჩვენ ჭკვიანურად გავიაზრეთ აქ უმთავრესი
და რომ არა ეს მოვხვდებოდით საშინელ დღეში
თორმეტ დეკემბერს რუსეთშია რეფერენდუმი
კონსტიტუციას მიიღებენ, არა აქვს წუნი
ჩვენც წავიკითხავთ რაა კარგი, რა არის ცუდი
რომ არ გადავდგათ ჩვენ ამ ხაზით ნაბიჯი მრუდი
ახლა იფიქრეთ რომ მიგვეღო რუსებზე ადრე
ჩვენს კომისიას ხომ მოვსპობდით, დავშლიდით კადრებს
მაშინ გარღვევებს ტექსტებს შორის რაღას ვუზავდით
რუს დემოკრატებს რას ვეტყოდით რით მივუზღავდით?
და ამას გარდა, დაუკვირდით სიღრმეს სიბრძნისა
კიდეც მიგვეღო ჩვენ მიჯნაზე გასული წლისა
,,ეს–ენ–გეს“ საკითხს მაშინ იქ ჩვენ ვერ ავსახავდით

ახლა კი სხვაა უკვე შიგ ვართ, მოვიგეთ ამით
მესამე მომენტს ვასახელებ-რეგიონები
როგორი წესით ავსახავდით, როგორი წესებით
ჩვენ არ ვიცოდით აფხაზეთი ვის დარჩებოდა
ან და ცხინვალი თუ გვარდიას გადარჩებოდა.
ახლა სულ სხვაა, საკითხია დასმული ნათლად
და გადაწერაც არ მოგვიწევს ძველიდან ახლად.
ერთი ღრმა აზრიც ამ საკითხში ნაღმივით მიდევს
ვინც ოდნავ მიცნობს ჩემს ლოგიკას ლოგიკით მისდევს
მიმიხვდებოდა, რომ ჯერ ერთი არ დავწვი მწვადი
გარკვეულად შორს დავიჭირე ამით ზვიადი.
მეორე პუნქტი ამ დასკვნაში არის მთავარი
თქვენ კარგად იცით ზურგს უკან მაქვს წელი მრავალი
რაც უფრო გვიან ამირჩევენ ისა სჯობია
ჩვენი პროექტიც ამ ქარგაზე ანაწყობია.

**ვახტანგ გოგუაძე-**

მოდი ნუ დავღლით ბატონ ედვარდს ბევრი კითხვებით
ხომ ნათელია ნუღარ ვაცდენთ, თვითონაც ვცდებით.

**დავით ბერძენიშვილი-**

თუ ვინმემ ჩვენი ისტორია იცის და უყვარს
ასეთ დასკვნაზე ვერც შეძლებს და ვერც მეტყვის უარს
რომ საქართველო იწყებოდა ოლთის-სპერიდან
მესხთა და ჭანთა ბრძოლებიდან და სიმღერიდან
დღეს კი ჭანეთის მარგალიტი ჩვენი აჭარა
თურქმა წაიღო თუ რუსეთმა ამოიჩარა
ვერ გამიგია, და მეთაურს შევთხოვდი ასე
თუ ერი უყვარს, დემოკრატობს, პატივს სცემს მასებს
მოგვცეს პასუხი იმ კითხვებზე, რომ გვტანჯავს ყველას
რომელ მეზობელს მიაპყრობს დღეს აჭარა მზერას?
მეორე კითხვა ასეთია, თქვენც გტანჯავთ ალბათ
ნოდარ იმნაძის მოკვლის ფაქტი გაშუქდა ყალბად
რა არ ვიღონეთ და შედეგი არა სჩანს ჯერაც

თუმცა სიმართლე ზოგმა იცის, მე ასე მჯერა
მესამე კითხვა კვლავ აჭარის არი სტატუსი
თუ ჩვენი არის რად ბატონობს დღემდე იქ რუსი
თუ რუსისაა, ვაღიაროდ ის რუსულ მხარედ
სხვას თვალს ვუხვევთ თუ თავს ვიტყუებთ
ჩვენ ასე მწარედ?
ერთი წელია რაც მუშაობს ეს პარლამენტი
ყველა მოსულა, ასლანია იაქი, კენტი
რომ არ ისურვა აქ თბილისში ჩამობრძანება
ფეხზე ვკიდივართ, იმას იზავს რაც ენებება
ამ პერიოდში ბათუმ-მოსკოვს გზირად იარა
ვის რას შეჰპირდა, გაუჩინა მამულს იარა.
ასეთი ქცევა აბაშიძე ასლანისაგან
ღალატი არის თუ დავარქმევთ სახელებს საგანს.
თვით აჭარაში მის იქცევა აჭარბებს ყველას
სხდომებს არ იწვევს, ყველა კანონს ფეხებით თელავს.
დიქტატორია, მაფიოზი-ვიცით ბათუმში
თქვენც იცით კარგად, არა ზიხართ ზოგ ივით ჭურში
ახალი კითხვა ასეთია, თუ საქართველო
დემოკრატიის მშენებლობის გამხდარა ლელო.
აჭარის კუთხე რატომ არის  გამონაკლისი
რა ხდება ჩვენს თავს, ან ბრალია რისი და ვისი?
და კიდევ ერთი კითხვა უნდა დავსვა ასეთი
ცოდვამ გვიწია, უეჭველად შემოგვწყრა ღმერთი
სამეგრელოში ჯანყი იყო ომი და შფოთი
ზვიადი იყო იქ მოთავე და იყო ლოთი.
მოღალატეა ორივეზე ითქვა ხმამაღლა
მაგრამ ის, ვინც მათ სამსახურში ვერ იგრძნო დაღლა
ფულსაც ამლევდა, უზიდავდა სხვასა და სხვასა
მოღალატიდან პატრიოტად გარდაისახა?
სულ საბოლოოდ ასეთი მაქვს საერთო კითხვა
გარკვეულწილად სხვისგან სხვაგან ეს უკვე ითქვა.
სარფიდან თურქეთს გადაზიდვა სპილენძის, ხე-ტყის
ვისი კონტროლით სწარმოებს დღეს ვინმე თუ მეტყვის.
ვის რა ხელი აქვს ამ საქმეში და ვის რა წილი

და რომ დავუსვა ამ შეკითხვას ბოლო წერტილი
მაინტერესებს ასლანის კაცს-ლორთქიფანიძეს
საბაჟოების უფროსობა როგორ უბოძეს?

**ვახტანგ გოგუაძე-**

გამოხდომები პირადული გთხოვთ რომ აღკვეთოთ
საქმეს მიხედეთ და იცოდეთ სად რა აკეთოთ
ეთიკის ნორმებს ნუ გადახვალთ, დაკვალიანდით
ნუ შეეცდებით შეგვაშინოთ აჭარულ ბანდით
და თქვენი ბედი, აქ გამომსვლელს შევახსენებდი
რომ აბაშიძე პარლამენტში არა ჩანს დღემდის.
ორმაგი ბედი, არც ბატონი არის ვიქტორი
თორემ ჩვენს დავითს გაწეწავდა ვით ქათამს ქორი.
ბატონ ასლანზე ნუღარ ვიტყვით მართალს და ჭორებს
ქვეყანა გვისმენს ბევროი სხვაგვარ გაიმეორებს.

**ედუარდ შევარდნაძე-**

ბერძენიშვილის პოზიცია ნაცნობი არის
უყვარს ნათქვამში გადარევა ტკბილის და მწარის
მაგრამ როდესაც ეშელონებს ეხები მაღლა
ცხენიც შეკაზმე არ შეგატყონ სირბილში დაღლა.
დეპუტატების მოსაზრებებს ჩვენ პატივსა ვცემთ
რაციონალურს, კომისიებს მეისვე გადავცემთ.
მაგრამ როდესაც ადგილობრივ ფაშიზმს ვებრძოდი
დემოკრატიულ საწყისიდან ამოვდიოდი.
დემოკრატია ვატყობ ყველას ვერ გაუგია
მას საფუძველში მშრომელების ნება უგია
ასლან ბატონი ხალხის მიერ არჩეულია
ამ პრობლემაში ჩამიება ახლა რთულია.
მისი მიება სიახლისა ქვეყანას მოსწონს
ხიდებს აშენებს, ყაჩაღობას შეუნთებს კოცონს
წესრიგი არის და სიმშვიდე რაც მთავარია
ეკონომიკას ვაჭრობისთვის კარი აქვს ღია

სარფის საბაჟო კონტროლზე ჰყავს ვიცი უცილოდ.
არის შედეგი, არა რჩება ვინმე უწილოდ
რესპუბლიკისთვის სასიკეთო არის კავშირი
თურქეთ-რუსეთთან მიმოსვლაა ზომაზე ხშირი
რაც შეეხება პარლამენტის სესიის სხდომებს
ველაპარაკე, თანახმაა, მიიღებს ზომებს.
დემოკრატია არ ირღვევა დღესაც იცოდეთ
რაც ამ ხაზით თ□ვით ან იხუმრეთ ანდა შესცოდეთ.
დემოკრატიას ერთიანი ვაშენებთ ძალით
და არც დავუშვებ გადახვევას არც ერთი წამით.
ასლან ბატონი ცნობილია დემოკრატობით
მიტომ ვეახელ რამდენჯერმე, შევეკარ ძმობით
ჩვენი ღალატი არა მჯერა, რომ ედოს გულში
შეხვედრების დროს მეფიცება ძმურ სიყვარულში
პოლიტიკოსი ის არ არის, რაც სურდეს ის თქვას
პოლიტიკოსი ერთს ამბობს და გულისხმობს სულ სხვას.
პოლიტიკოსი ძალზე ღრმაა, ასლან ბატონი
ავტორიტეტიც თან დაჰყვება პაპის ნაქონი.
დემოკრატობას თუ შეეწყო ამავ დროს იგი
თვითონვე შევთხოვ დაფუძნებას ახალი ლიგის.
დიახ, თქვენ იცით ეს პარტია ჩემი, ახალი
რეგიონალურ ლიგებს შექმნის ლოგიკის ძალით
აჭარაში კი სხვა ვინ არის უფრო ერთგული
ჩემი პარტიის საქმეებს რომ დაუდოს გული.
და თუ ასლანი ჩემს პარტიას არ გაცვლის სხვაში
დემოკრატია გაიმარჯვებს მთელს აჭარაში.
ამიტომ არის ბერძენიშვილს სიფრთხილეს ვურჩევ
ნუ აჩქარდება ნუ წამოჭრის საკითხებს უჩვევს.
ჩემი აზრია: საქართველოს ახალი წყობა
ძმობა, ერთობა, დემოკრატობა.

**ზურაბ ქვანია–**

ბატონო ედვარდ, სულ გიყურებთ გაოცებული
ამდენი ცოდნა ერთ კაცშია დაგუბებული
რა კარგად ბრძანეთ–დემოკრატი დემოკრატია

დემოკრატობა აბაშიძის წმინდა ხატია.
ოხ რა კარგია, რა ცუდია რომ ბატონ დავითს
დემოკრატობას ვერ უბოძებ დეკრეტის ძალით.
და ამას გარდა, ახალ კავშირს, შორს აჭარაში
თუკი ბატონი აბაშიძე ჩაუდგა თავში
უხ რა კარგია, მაგარია, მართლა ბრძნულია
ჩემთვის მდივნობა ხონ თქვენგანვე დაწინდულია
და აბაშიძე ხომ იქნება ჩემს ხელთქვეითი
და აღნიშნავენ ჩემს იქ ჩასვლას დაფით-ზეიმით
გენერალური მდივანი ვარ, ვივაჭრე კარგად
რეგიონალურ ორგანოებს დავუვლი მარდად
დემოკრატიაც ხომ ეს არის. დემოკრატობა
დემოკრატობის რომ არ მაქვს ცნობა?

**დავით ბერძენიშვილი–**

დემოკრატია თვითმმართველობა ხალხისა არი
და მაშინ წეობაც უნდა იყოს ხალხის სადარი.
მე ახლა გეტყვით რა აზრია მასში ნადები
თვითონ განსაზღვრეთ რამდენად ხართ დემორკატები
პირველ ყოვლისა იგი ნიშნავს არჩევითობას.
მოკლებულები ჩვენ არა ვართ ამდაგვარ გრძნობას.
მაგრამ პრინციპი უნდა იყოს ყოვლისმომცველი
აირჩეოდნენ: დიდი, მცირე, მშრომელ-დამცველი.
თუ გაგიგიათ არჩევნები ჯარში ტარდება
ან დიდ მოხელეს მშრომელები უჩნდა თავდებად
არ უნდა იყოს ქვეყანაში თანამდებობა
არჩევის პრინციპს გაექცევა, არ დაეყრდნობა
მეორე პრინციპს წარმოადგენს პასუხისგება
ვინც აგირჩია ანგარიშიც მასთან ეგება.
მესამე პრინციპს შემოკლებით წესრიგი ჰქვია
თქვეს-შეასრულე, არ დასტოვო საკითხი ღია.
მეოთხე არის ხელფასები ნომენკლატურის
ასე-პრემიერს საშუალო ხელფასი მუშის
მის ხელქვეითებს უფრო მცირე, ნაზომი პრიზმით
რათა მოისპოს მაღლა ძრომა, კარიერიზმი.

ვთქვათ ბელგიაში უმაღლესი ხელფასის დონეს
სულ ხუთჯერა აქვს უმდაბლესზე მაღლა და ღონე.
კერძო სექტორში სგ სურს მოიგე მილიონები
ქვეყნის სამსახურს პატივი ეც, ენდე კანონებს.
მეხუთე არის ხელფასები დეპუტატების
არ უდნა ჰქონდეთ მათ ასეთი, ასე ეგების
უდნა შრომობდნენ, პარლამენტში ქვეყნის საქმისთვის
არა ცხოვრება-და სიმდიდრე, არა ფულისთვის
მეექვსე არის გაუქმება ყველა იმ წესის
პრივილეგიის ,ზოგისათვის, რომ არის მთესი.
როცა განსაზღვრავთ ეს მუხლები როგორ სრულდება
დემოკრატია დიქტატურად გარდაიქმნება.
რომელი მუხლი არის ჩვენში შესრულებული
მაგრამ ვარ ჩუმად უვიცთაგან იმულებული.
თუ შევარდნაძე ბიუროკრატ-დიქტატორია
რაც ასლანზე ვთქვი დამიჯერეთ მართლა სწორია.

**ედუარდ შევარდნაძე-**

მე ვერ მოვითმენ ამ მიმართვას ღლაპებისაგან
თუ განმეორდა, მიგატოვებთ, დავჯდებით სხვაგან.
აბა იფიქრეთ ჩემი დონის პოლიტიკოსი
მამა ერისა, მოყვარული მთელი საწმეოსი
თუმც ვნერვიულობ, ვიკავებ თავს, მოგმართავთ რიდით.
თქვენც ამასა გთხოვთ ნუ გამლანძღავთ, იყავით მშვიდი

**დავით ბერძენიშვილი-**

ბატონო ედვარდ, მე განვმარტე აქ სიტყვის არსი
თეორიულად რაა მასში ჩასმული მრწამსი
ამის მიხედვით რა გამოდის ავღნიშნე ისიც
მაგრამ იმდაგვარს, თქვენ რომ მწამებთ დღისით და მზისით
ვერც ვიფიქრებდი ვფიცავ თქვენს თავ და მეგობრობას.
პრაქტიკა ზომავს თეორიას, იცავს სხვაობას.
თქვენ ეს მომენტი დაივიწყეთ და დამამცირეთ
ბევრი დაჰკარგეთ, აფექტისთვის დასჯერდით მცირედს
ახლა მეც გეტყვით, რომ მეთქვა, მსურდა

და ნუ მიიღებთ ამ ნათქვამს ხურდად
თქვენ ჩამობრძანდით ძველი წლის მარტში
იყო სიწყნარე და მხოლოდ ქართლში
ოსთა და რუსთა იყო თარეში.
გთხოვთ გვიპასუხოთ ამ ხნის მანძილზე
რა გააკეთეთ, რომელ მხარეში?

**ედუარდ შევარდნაძე–**

უცნაურს სიტყვებს ვისმენ თქვენგან ბატონო დავით
ენით აზროვნებ, საჯდომით თუ ნატკენი თავით
შე დალოცვილო როცა ამბობ ამდაგვარ აბსურდს
ისიც თქვი: ვისიც არ მჯერა, დანახვაც არ მსურს.
იზოლაცია უცხოური მოვხსენი მეისვე
მე აღვიდგინეთ კავშირები რუსეთთან ისევ.
,,გაეროს‘‘ წევრი მე გავხადე ჩვენი ქვეყანა
სესხი მივიღეთ, დახმარებამ არ დაახანა
ჩემი ხათრისთვის ამერიკამ რაც პური მოგვცა
ჩემს სასახელოდ ესეც კმარა, დამთავრდა, მორჩა.
და ამის შემდეგ თუ გავიგე კვლავ საყვედური
ვიტყვი მეოლია ჩემი ხალხი მე უმადური.

**ნოდარ ნათაძე–**

რაც თქვენა ბრძანეთ, მართალია, მოხდა თქვენს ხელში
მაგრამ არ ნიშნავს, რომ ვიყავით უარეს დღეში.
თქვენს ჩამოსვლამდე ამერიკამ სცნო საქართველო
რიგ-რიგად გვცნობდნენ სხვა ქვეყნებიც, გვცნობდა ,,გაერო‘‘.
თუკი სხვა ერებს შემავალებს იმპერიაში
უცხო ქვეყნები და ,,გაერო‘‘ დაუდგა მხარში
რად იქნებოდა საქართველო გამონაკლისი
ჩვენც არ ვიყავით მომლოდინე სხვისი და სხვისი.
მადლობა უფალს საქართველოს ერთიანობა
იმ პერიოდში მტკიცე ჰქონდა, არ ერღვეოდა.
კავკასიასთან მეტი იყო ძმობა-კავშირი
მხოლოდ რუსეთის მხრიდან იყო მუქარა ხშირი.
თქვენი ჩამოსვლით ამ მხრივ ჩვენთან რა შეიცვალა?

თუ კარგი მოხდა დაგვაწერე საკუთარ ვალად
თუ იყო ცუდი გადაბრალდა იმას და იმას
ზოგჯან თოვლობას და მიწისძვრას, სეტყვას და წვიმას.
მე მაშინვე ვთქვი ,,ეს-ენ-გეა'' მისი მიზანი
ჟამი გავიდა, დღეს დავრწმუნდი  გამოვიცანი
თქვენ აღიარეთ, რომ ეს გქონდათ იდეა მყარი
მაგრამ შიშობდით არ აება ხალხს თქვენთვის მხარი.
თქვე დალოცვილო, ბევრ სიცოცხლეს გადაარჩენდით
თუ ვაჟკაცურად გაულისხადებს გამოაჩენდით.
მეორე რაც მსურს გულახდილად პირდაპირ გითხრათ
რომ არ დაიწყონ ჭორაობა, მოთქმა და მითქმა
სამასი ათას ქართველამდე ლტოლვილთ ბედია
სარჩო არა აქვთ, სიტყვის თქმაც ვერ გაუბედიათ.
თვით შაჰ-აბასმაც კი ვერ მოსრა მამული ისე
დღეს რომ ქართლი და აფხაზეთი გაითავისეს.
უფრო უარესს ვინ აგვიწერს ქაოსს და წყვდიადს
ფაშიზმი არის. თქვენ კი ამას მიაწერთ ზვიადს.
უფრო მტრულ საქმეს ვერ გვიზავდა ვერარა მტერი
თქვენ კი პარტიას აფუძნებთ და ძმობაზე მღერით.

**ლუიზა შაკიაშვილი-**

მეც ხომ მანდა ვარ, მაგას ვამბობ ეს ჩემი დღენი
თუ ოცდაერთში საქართველო მტრის გახდა მღვენი
და ჩვენი ქვეყნის მესამედი დავკარგეთ მაშინ
დღევანდელ შედეგს სხვაობა აქვს მითხარით რაში?
ერთი საერთო კი შევნიშნე ამ ორ პროცესში
ქვეყანა იყო ორივეჯერ ფელშერის ხელში.
ორჯონიკიძე-შევარდნაძე რაა სხვაობა
თუ კი ორივემ გაუწია სამშობლოს მტრობა

*/შევარდნაძე გარბის დარბაზიდან, მიჰყვება პრეზიდიუმი/*

ხედავთ კვლავ გარბის, მიპასუხოს თუ მართალია

მე ხომ არ ვმალავ, ვლაპარაკობ აშკარად, ღიად
მას პასუხისთვის არასოდეს არა სცალია
ამით ზრდის ეჭვებს, იტანჯება და გვტანჯავს ფრიად.
როგორა ფიქრობთ ორჯონიკიძეს უნდოდა მტრობა?
ისიც იმახდა: რუსეთსა სურს ძმობა-ერთობა
და ოცნებობდა დაბრუნდება სოჭი-ადლერი
და ვერ გაიგო, თუ მტერია, მტერია-მტერი.
მოცემის ნაცვლად იქით კიდევ ბევრი მითალეს.
ისე წავიდნენ ვერ გაიგეს როგორ მიჰქარეს,
დღეს ხომ იგივე მეორდება რთული პროცესი
ისევ ფელშერი გენიოსი ენით ნალესით
ისევ იმედი დაბრუნების რაც წაუღიათ
ამის შესახებ სიტყვაც ვერ ვთქვათ აშკარად, ღიად?
ორი წელია და ,,გვპატრონობს‘‘ და გვტანჯავს ფრიად
თქვენ გაიხსენეთ რა შესრულდა რასაც დაგვპირდა?
გაიძახოდა ამას ვიზავ, იმასაც ვიზავ
მსოფლიოს შევძრავ და მივაღწევ საერთო მიზანს
ახლა განსაზღვრეთ რა შესრულდა რაც იქადილა
ვის გაუთენდა მშვიდობის და სიკეთის დილა?
რუსეთი იყო, და იქნება მაგისთვის ხატი
რუსეთისათვის ჩაიდინა ქვეყნის ღალატი.

**ჟამთა მროველი–**

მრავალი სიტყვა გაიოლდა, გაუბრალოვდა
მოღალატეა, ყაჩაღია, მოჰკლეს ან მოკვდა
იოლად ვიტყვით, დავივიწყებთ, არ ვაგდებთ არად
მაგრამ თუ გვინდა ერი იყოს და ვიყოთ მყარად
უნდა გვტკიოდეს სატკივარი ძმისა და მოყვრის
სხვისი წუხილი თუ გაგტანჯავს და ცრემლებს მოგვრის
მაშინ ხარ კაცი სალოცავი, საგოგმანები.
ასეთი ყოფა ბრძოლას ითხოვს ერთიან ნებით.
აქ ბევრს დაერქვა მოღალატე და გამყიდველი
უნდობლობაა მისი ძირი და შური ძველი.

რომ არ გაღვივდეს ჩ□გდებული თესლი ეჭვისა
რომ არ გტანჯავდეს უნდობლობა დისა და ძმისა
ჩვენ ცოდვილიან საკუთარ სულს მირში ჩავხედოთ
სხვას რას დავეძებთ საკუთარი ენა გავხედნოთ.
რაც შეეხება შევარდნაძეს, მე ასე ვფიქრობ
სანამდე სანთელს მის იმედად ნანთებს ჩავიქრობ
შემოგთავაზებთ უმოკლესად ვიმსჯელოთ ასე:
თვითონ ცხოვრება წარმოაჩენს სხვაგვარს და მსგავსებს.
ცხოვრებას ბევრი მუდმივი აქვს წინსვლის კანონი
და პოლიტიკოსს მათი შეცვლა არ მალუძს, მგონი.
პოლიტიკოსის მოქმედება არის სამგვარი:
ფიქრიანია პირველი და საზომით წუნარი
იცის ცხოვრება რას მოითხოვს, როგორ და რატომ
სხვათა მცდელობას რა მოაკლოს, რა დაუმატოს
სწორად გადაწყვეტს, დაამოკლებს სავალის საზღვარს.
შორს იყურება, მოკლედ წყვეტავს, მისხლობით საზღვრავს.
ასე ჩქარდება ურმის წინსვლა, ქვეყნის პროგრესი
და უკეთესი არ არსებობს ცხოვრების წესი.
პოლიტიკოსი სხვანაირი, სხვაგვარი არი
საქმე არ იცის, ბრძანება აქვს უხვი და ჩქარი
ასედაც იტყვის, ისეც იტყვის და იმის ისეც
სთქვა, დაამთავრა, სხვამ იდაოს და შენ ამტკიცე.
და თუ ლიდერი ამ ცხოვრების კანონებს არ სცნობს
მისი ბრძანება ხალხს დასცინის, დახტის და ანცობს.
ამ ბრძანებების შედეგია ორმაგი თურმე.
პირველი როცა გზას გაუკვლევს დამტვრეულ ურემს,
მეორე როცა აღარც გზაა, აღარც ურემი
ტალახში ვწევარ და ცხოვრება მგონია ჩემი
დაისახება ჩვენს წინაშე ამგვარი ქარგა:
თუ ამ კუთხიდან შევარდნაძეს შევხედავთ კარგა
საუკუნეა იმპერია და საქართველო
პოლიტიკოსთა დასახნავი რომ იყო მდელო.
ექსპერიმენტი ჩაატარეს მრავალ ათასი
კაცობრიობას არ უნახავს შენება მსგავსი.
როგორ და რატომ, რას ვაგებდით ვინმემ იცოდა?

დღესაც არ ვიცით რაში შევცდით, ვინ რაში სცოდა.
კაცი რომელმაც არ იცოდა და აშენებდა
ახალ შენებას ისწავლიდა, რამეს გვარგებდა?
შევარდნაძემაც, ასეთია ნაფიქრი ჩემი
სულაც არ იცის რომელი გზით მართოს ურემი.
და უკეთესი თუ მივიღებთ მეორე შედეგს.
ასე იქნება თუ არ ვიზავთ ხვალიდან შემდეგს:
მველი თაობა, გამოზრდილი მველ არტახებში
კონსერვატორი აზროვნებით, გამწუდარი წელში
ვერ წარუმღვება ახლის შექმნას ,ახალ შენებას
სხვასაც გასტანჯავს, გამოიწვევს გადაშენებას.
ის თაობა კი ოცდახუთი-ოცდაათი წლის
მალა რომ ერჩის, ჭკუა უჭრის, თავი აქვს ფიქრის
ხელისუფლებას თუ გადავცემთ უღელსაც გასწევს
მველნი მოსცილდნენ ახალ დროშას, ახალი ასწევს
მაგრამ თუ მველი კვლავ შემორჩა ვით მუზეუმში
ნიშნავს ნახარში თესლი ვყაროთ ვაებით ხნულში.
თვით შევარდნაძე ამ საქმეში არ გამოდგება
არ უსწავლია მას ახალი ,ვეღარც მიხვდება
ყველას თავისი ცხოვრებაში აქვს დრო და რიგი.
და რა მალაა თუ ოცნებად მას აქვს წესრიგი.
ყველაფერს გარდა ნიშნები აქვს ინტელიგენტის,
ვინც ასეთია ორ სისუსტეს ყოველთვის ელტვის.
ავადმყოფობის ორი დასკვნა, ორი ნიშანი
თუ დამიჯერებთ ბატონებო ასეთი არი:
ინტელიგენტი ყოვლისმცოდნედ მიიჩნევს თავსა
ას საქმეს ებრძვის ერთდროულად მას ასე სწამსა
ას სხვადასხვაში ვერაფერი ვერ გაუგია
რაც დაუწყია, უწყევლია, არ აუგია.
მეორე დასკვნა აეთია, დავიფიცავ მზეს,
ინტელიგენტი გრძელ ლაპარაკს საქმედ მიიჩნევს
თუ წაიკითხა მოხსენება ას-ორას გვერდზე
ჩინ-მედლებს ითხოვს, ფერწასული, ჩავარდნილ მკერდზე.
ავადმყოფობა შევარდნაძეს აქვს კიდევ ერთი,
მდივანი იყო, როცა ერთ დროს შემოსწყრა ღმერთი

ბიუროკრატთა კანონები მან შეითვისა
დაკვალიანდა როგორც კაცი გუშინდელ დღისა.
კომისიები, შემოწმება, ბიუროს სხდომა
გახდა ცხოვრების გზისგამკვლევი მუდმივი ნდომა.
პროფესიული ეს ჩვევები ღრმადაა მასში
ამიტომაა საქმეს აგებს ასიდან ასში.
და კიდევ ერთი რამ ნიშანი დრომ გაუჩინა
რაც დაიბადა ხელმძღვანელობს გარეთ თუ შინა
ძალაუფლების ავადმყოფობით ის არის ავად
და თუ მოისმენს რასაც ვამბობ მიხვდება თავად.
ამიტომ ვამბობ მას თუ უნდა ხვალეს წაადგეს
ახალ თაობას გზა უტიოს, ნებით გადადგეს.
ეს არ იქნება წიხლის წაკვრა, უმადურობა
დროით წასვლაა დიდკაცისთვის, დიადი გრძნობა.
კიდევ ერთს ვიტყვი: ჩვენ გვცელავდნენ ორასი წელი.
მეფის მთავრობას და საბჭოთას თუ გავუძელით.
დემოკრატიულ იმპერიას დღევანდელ სახით
გადავაბრუნებთ ბრძოლის მადით და დიდი მარხვით.
უნდა ეწამო, რომ დასძლიო მარხვის წამება
უნდა იბრძოლო რომ აღსრულდეს ტანჯვის სამება.
თავისუფლების რომ შევიძლო ხილვა და თრობა
უნდა მოვიდეს სულ სხვა თაობა.

**ჯაბა .იოსელიანი–**

პრეზიდიუმი გაკრეფილა, სანამ მეძინა
ეტყობა უფროსს ისევ ქალმა თუ აწყენინა.
მე თქვენ მოგმართავთ დედლებო და დეპუტატებო
ერთგულ ძაღლებო, ტანით ვირნო, ჭკუით ბატებო
ქვეყნის მეთაურს თუ შეჰბედეს უკადრებელი
თუ ის წავიდა კაცი ბრძენი და მოუცლელი.
თქვენ რას უსხედხართ, ვის დარაჯობთ, ან რა წესია
დამიხურია სათამაშო თქვენი სესია.
აბა გასწიეთ სახლებისკენ ჰერი და ჰერი
ააწყეთ ფეხი და იარეთ ჩვეულ სიმღერით

*/ ჯაბა იოსელიანი გადის. უმრავლესობა დარაზმული მისდევს სიმღერით:*

*გაუმარჯოს, გაუმარჯოს,*
*ვინც წავიდა გაუმარჯოს/*

**ნოდარ ნათაძე-**

დანომრილები თუ წავიდნენ და მოვიცილეთ
ჭორს დაგვიგდებენ ახლა ათასს, მოსდებენ მილეთს:
ჩვენ ასე ვქენით ,გავაფუჭეთ, ისედაც ვქენით
ცილი დავწამეთ, ტუყილი ვთქ□ვით, მოვწამლეთ ენით
და რომ არ იყოს ამდაგვარი მიეთ-მოეთი
წავიდეთ სახლში ,გვიანია, გფარავდეთ ღმერთი.

*/ოპოზიციის დეპუტატები გადიან, გამოჩნდება გურამ პეტრიაშვილი/*

**გურამ .პეტრიაშვილი-**

მე არასოდეს არა მწამდა ქაჯის და ეშმის
მაგრამ რაც აქ მე მოვისმინე და ახლაც მესმის
არ შეიძლება სხვანაირად ვინმემ განსაჯოს:
ღმერთის რისხვაა რათა ხალხი ჩემი დასაჯოს
თუ პარლამენტი ერის აზრის სალოცავია
ეშმა პატრონობს ამ სალოცავს მე მივხვდი გვიან.
რას ვიფიქრებდი მოვიდოდა ხატი-ზვიადი
ნათელის ნაცვლად დარჩებოდა ისევ წყვდიადი
თუმცა ნათელი მაინც არის ,გამოჩნდა ყველა
ამ ორმა წიგნმა დიად საქმეს მაინც უშველა.
თუმცა კი როგორ, რომ არავის წაუკითხია?
გული მატკინეს, მაგრამ ვატყობ ჩემზე ახია.

*/კრეფს თ□ვის წიგნებს და გადის/*

**ქამთა მროველი-**

ჯადოსნურ სარკეს მომაგონებს დღეს ეს დარბაზი
ამ ხალხს მოუსმენ თვალწინაა ქვეყნის ნახაზი.
ურთიერთ დავა, ერთმანეთის კიცხვა და კილვა,
ურთიერთ ქება, ფოლორცი თუ ალერსით ხილვა.

სხვა ჟამს ვინატრით და სხვა ჟამის ვინც არის მდომი
უნდა შეიგნოს, რომ მოიგოს ამ დროის ომი.
და რომ შენივთდეს ყველას აზრი როგორაც გვინდა.
უნდა ვიცოდეთ ვისი რაა წმინდათა-წმინდა.
ქვეყნად რა ხდება, თუ ბრძენი ხარ ამოიცანი
ერთი რომ კვდება, ქეიფია ასის მიზანი.
ფრონტზე მეომარს ტყვიებისთვის არა აქვს მჭიდი.
აქ წარა-მარა იმართება კონცერტი დიდი.
ქუდზე კაცს ვუხმობთ და არა გვაქვს ნამუსის ქუდი.
კაცობა კვდება, გვიკაცდება ბოზი და ქურდი.
ვინც მშრომელია, ის შიმშილში ატარებს კვირას,
უსაქმური კი დაქეიფობს სხვის გასაკვირად.
პური არ არის, ბალღებს კუჭი ავუვსოთ ცომით
შიმშილისაგან გვეხოცება შვილი და ცოლი.
მეომარს ვეძებთ გაისროლოს, მტერი გაფანტოს
ამერიკას ვთხოვთ დახმარებას, ,,გაეროს‘‘, ,,ნატოს‘‘
ყოველ ნაბიჯზე ამ დროს ჩვენი ჯარისკაცები
გზებზე გასულნი მსხვერპლს ეძებენ თვალის ცეცებით.
დაყაჩაღება, ტანკით რბოლა, სროლები გუნდად
სახლში კითხე რას დაეძებ, ფრონტზე რა გინდა.
ჩვენი წახდენა, ჩვენი დაცემის არის ტოლფასი
ერთი თუ კაცობს, კაცუნაა მრავალ ათასი.
არვინ იფიქროს სხვას ვკილავდე, სხვისი ვიცოდე
ყოველი ზიდავს თავის ნამუსს და თავის ცოდვებს.
აქ მოღალატე ბევრს უწოდეს, ბევრმა იდავა
სხვის თქმა რად გინდა, საკუთარი იცოდე თავად.
დღეს თუ ვის ეთქმის მოღალატე და სულმდაბალი,
თქვენი მონაა, ცოდვით უნდა დამევსოს თვალი.
სხვების და სხვების, მტრების ნებით სულ ვწერდი ფლიდად
თეთრს შავს ვარქმევდი, უმეცარი მიმაჩნდა დიდად.
მე ვასწავლიდი რაც იყო და არ იყო ისე
რწმენა დაკარგეს, სხვისი რწმენით ილოცეს მეისვე
ხომ უნდა მეთქვა ნამუსით და კაცობის ნებით
ნუ დამიჯერებთ, ტყუილს ვამბობ, ნუ დაებმებით.
და მაინც მინდა მომავალმა კარგად იცოდეს,

არ გავურბივარ ბევრის მსგავსად საკუთარ ცოდვებს:
ეს მე ავკუწე ისტორია ჩვენი ქართული
სხვისი კარნახით გავურიე რუსული სული.
თითქოს ქართველი დასაბამით მუდამ იბრძოდა
ოღონდ კი რუსეთს სამუდამოდ შეერთებოდა
რუსი არ იყო ჯერ მეტყველი, ხეებზე ხტოდა
კოლხი კი სწერდა, რომ ოცნება აუხდებოდა,
ასეთი ზღაპრით დავაბნიე ქვეყანა ისე
კარგი უარყეს, სხვისი ცუდი გაითავისეს.
ოსზე ადრე ვთქვი, აფსუაზე ორიოდს ვიტყვი:
თუ ღონე არ გაქვს, ვერ წააქცევ მორკენალს სიტყვით.
როცა დაიყო საქართველო გორგასლის შემდეგ
სამთავროებად გათიშულნი ვიმკიდით შედეგს.
მაშინ ცალკე ვთქვი აფხაზეთი, ცალკე სვანეთი,
ტაო-კლარჯეთი, ქართლ, ჰერეთი, რაჭა, დვალეთი.
მერე დავყავით თვითეული ნაკუწ-ნაკუწად
და ისე ვწერე საკუთარი მესმოდა ცუდად.
მადლობა უფალს. ნაწილებმა არ მომცეს ხელი
თუმც კუთხურობდა, თვითეული იყო ქართველი.
სამასი წლის წინ, იქნებ ნაკლებ, არა უმეტეს
უცხო ტომებმა საქართველოს რბევას უმატეს.
მაშინ იყო, რომ ლეკმა ჰერეთს მოუღო ხელი.
ოსმა მოსრა და გაარსა დვალეთი მთელი.
აფსუას ტომი, ადიღეველთ ჩამომავალი
აფხაზეთისკენ შემოიჭრა ბავშვით და ქალით
კოლხმა-აფხაზმა სიკვდილის ცელს ვინაც გადარჩა,
მომხდურთ გემოზე გადააწყო სკივრი და თახჩა.
თურქთა თანხმობით, ძალისხმევით, ხელისგამართვით
ისლამის რწმენას მიეკედლა ხალხი წარმართი.
და ასრე რიგად, ნელი-ნელა, ასე, ამგვარად
აფხაზეთს მომხდურთ აფხაზები ვუწოდეთ თავად.
იყო დრო სურდათ დაგვემახა-აფრიკელები
სურდათ გვცოდნოდა, შორს დატოვეს მამათა ძვლები.
იმდენი ვცადეთ, ვიხმაურეთ, რომ ბოლოს მერე
ჩვენაც ვიწამეთ და მომხუდრიც გადავაჯერეთ,

და იმას შემდგომ, რაც აფსუა გახდა აფხაზი
სულ შეიცვალა საქართველოს ბედის ნახაზი.
აფსუას ტომმა ცოტა-ცოტა, ცოდვილ-ცოდვილად
თურქთა თანხმობით აფხაზეთი დაიმორჩილა.
მოვიდა რუსი, ჩრდილოეთის მას მოჰყვა სუსხი
ყველა აღრიცხა, გადათვალა ახალი ნუსხით.
ორმოცდათორმეტ ათასამდე აფსუა იყო,
მერე შემცირდა, რუსთა ნებით შუა გაიყო.
თურქეთს გასახლდნენ, ივაგლახეს, იხეტიალეს,
რას დაეძებდნენ, სად ნახავდნენ უკეთეს მხარეს.
წასულთა ნაცვლად სომეხ-რუსთა ჩასახლდა ურდო
მათმა მცდელობამ კოლხთა ტანჯვას ჰინა დაუდო.
ბოლშევიკებმა უარესი მოგვარეს რისხვა
და წლიდან-წლამდე, ნაბიჯ-ნაბიჯ, მისხალ მისხალ
კოლხთა სიმკვიდრეს შეურყიეს ფუძე და გენი
მე კი აღვწერდი ყოველივეს სხვაგვარი რწმენით.
შიმშილის შიშით, სიკვდილის შიშით
ჰირზე ღიმილით და გულში ვიშით,
ვწერე და ვწერე მმობის ზღაპარი
არ მქონდა სხვა გზა, მეთქვა სხვაგვარი.
აფსუამ თუ სთქვა მე ვარ აფხაზი-უძველესი-
დავუკარ კვერი
მე შევქმენ ასო, დავდგი სახლი, ულამაზესი-
დავუკარ კვერი
ეკლესიებიც მე აღვმართე, ძველი ციხენიც,
დავუკარ კვერი
შემდეგ ქართველმა მომპარაო სახლიც და ცხენიც-
დავუკარ კვერი
ქართველმა წარყვნა აფსუური სახელწოდება-
დავუკარ კვერი.
აფსუურია ყველა კოლხის ჯიშიც, წოდებაც-
დავუკარ კვერი.
ჯვარი სომეხმა ააშენა, ძველი ატენიც-
დავუკარ კვერი.
ახალციხეო ახალცხაა-სომხურ სახელი-
დავუკარ კვერი.

სომხური გაქვთო ასო-ბგერა, თვალში ნათელი-
დავუკარ  კვერი.
თბილისი რუსმა დააარსა ასე იცოდეთ-
დავუკარ  კვერი.
ბრძანეს ქართველნი გადაშენდით, გეუოთ რაც სცოდეთ-
დავუკარ  კვერი.
აზრი წამგვარეს, სიბრძნედ მითხრეს აზრის ნაცვალი-
დავუკარ  კვერი.
მეფე წამგავრეს, ნაცვლად დასვეს მეფისნაცვალი-
დავუკარ  კვერი.
ვასილ, ედუარდ, ჯუმბერ თუ გივი-
დავუკარ  კვერი.
ფორმით თქვენია, არსით რას სჩივით-
დავუკარ  კვერი.
შემდეგ ავთანდილ, შემდეგ ზვიადი-
დავუკარ  კვერი.
შემდეგ რაც მოხდა, ახლაა ცხადი-
დავუკარ  კვერი.
დავუკარ კვერი, დავუკარ კვერი,
დავუკარ  კვერი.
დავატრიალე ფიქრთ კალოზე ღალატის კევრი.
ჩემი ბრალია, ჩემი ღა□ლატის, მამულს რაცა სჭირს.
ვინს ასე განჯის, ასე იტყვის, კაცურად გაჭრის.

დასკვნა

იყიდება საქართველო ნაწილ, ნაწილ, ნაწილად
იცინიან ქართველები, თუ აქვთ საქმე საცინლად?
იყიდება ქართველობა, გამართულა ბაზრობა
ვიღას ახსოვს ქმარი, შვილი, სიძე, რძლობა, მაზლობა
ავაზაკთა შეჯიბრია, აღარ ფასობს კაცობა
ასე ვიცით ქართველებმა გართობა და ანცობა

იმედიც კი არსით ბჟუტავს, ვინ აანთოს ბუხარი
გადმოგვცქერის ქართლის დედა, ქართველებზე მწუხარი
სხვისი ჭირი-ღობეს ჩხირი, საქმე გვიჩანს საცინლად
საქართველო იყიდება ნაწილ, ნაწილ, ნაწილად.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

გაურა...3

ილი...39

აიეტი...71

ტროა...117

ამრი...151

არმაზი...195

მითრიდატე...231

რადამისტი...265

სერაფიტი...345

ნინო...411

სუბარმახიოსი...479

უჯარმა...515

თეოდოსი...549

ბაზალეთი...625

შეთქმულება...667

მოღალატე...715